

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი



დ. უზნაძე

ზოგადი ფსიქოლოგია

„საქართველოს მაცნე“  
თბილისი - 2006



ზ მ ბ ე რ ი  
ფ ს ი ქ მ ღ მ ბ ი ე

## წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი ზოგადი ფსიქოლოგიის ყველა ძირითად პრობლემას ეხება და შეიძლება იგი ჩვენს უმაღლეს სკოლებში ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდ იქნეს გამოყენებული.

როგორც მკითხველი დაინახავს, იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება ფსიქოლოგიის ცნობილ კურსებისაგან. არსებითა და უმთავრესში იგი იმ მასალას ეყრდნობა, რომელიც ჩემი და ჩემი თანამშრომლების კვლევითი მუშაობის შედეგად არის მიღებული. ამით აიხსნება, რომ იგი ახალ თავს შეიცავს, რომელსაც სხვა კურსებში გერსად ვერ შევხვდებით. — თავს განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ, რომელიც ჩვენი კვლევითი მუშაობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენი წიგნი ანგარიშს არ უწევდეს ე. წ. კლასიკური ფსიქოლოგიის მიღწევებს. მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენ ფართოდ ვსარგებლობთ მნიშვნელოვანი შედეგებით, რომელიც სხვა მკვლევართ აქეთ მიღებული, და განსაკუთრებით უახლესი კომპენდიებით, რომელიც ჩვენს გახკარგულებაში იმყოფებოდა (ე. შტერნი, გ. დიუმა და სხვ.). მკითხველი ხედავს, რომ ამ პირობებში ჩემი „ექსპერ. ფსიქოლოგიის“ I ტომის (1925 წ.) პირდაპირ გაგრძელებას აზრი არ ექნებოდა. ამიტომ მე გადავწყვიტე I ტომის ნაცვლად ფსიქოლოგიის მთლიანი კურსი მომეტა. წინამდებარე წიგნის სახით. „ექსპერ. ფსიქოლოგიის“ I ტომი თავის მნიშვნელობას ამ წიგნის შემდეგაც ინარჩუნებს: მისი შინაარსი წინამდებარე წიგნში მხოლოდ რამოდენიმე გვერდს შეიცავს, და ვისაც, მაგალ., შეგარძნებათა ფსიქოლოგია აინტერესებს, მას დასჭირდება „ექსპერ. ფსიქოლოგიის“ I ტომს მიმართოს, სადაც ეს საკითხი ფართოდ არის დამუშავებული.

დასასრულ, მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს თანამშრომელს არა მარტო იმ კოლექტიური ბუშაობისათვის, რომელსაც ჩვენ, საზოგადოდ, ერთად ვაწარმოებთ და რომლის შედეგსაც ეს წიგნი წარმოადგენს, არამედ იმ შენიშვნებისთვისაც, რომელიც მათგან ამ წიგნის შესახებ მაქვს მიღებული და გამოყენებული.

ავტორი

თბილისი. 5/XI. 1940

## კარი პირველი

### ფსიქოლოგიის შესავალი

#### ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანა

რა არის ფსიქოლოგია, ე. ი. რა არის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საკვლევი საგანი და როგორია მისი ამოცანები? მუხედევად ფსიქოლოგიის ხანგრძლივი ისტორიული წარსულისა, ეს საკითხი დღესაც სადაო საკითხად ითვლება. განსაკუთრებით დიდია აზრთა სხვადასხვაობა ფსიქოლოგიის საგნის შესახებ, და ჩვენც პირველ რიგში ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ.

მართლაც და, რას იკვლევს ჩვენი მეცნიერება? იმისათვის, რომ ნათელი შეიქნეს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება, ის ეტაპები იქნეს გათვალისწინებული, რომელნიც მან თავის ისტორიულ წარსულში განვლო.

1. **მეტაფიზიკური ფსიქოლოგია.** მეცნიერული აზროვნების დასაწყის ეტაპზე ფსიქოლოგიის საკვლევ საგნად სული იყო მიჩნეული — **არისტოტელი** თავის მთავარ ფსიქოლოგიურ გამოკვლევას „პერი ფსიქე“-ს („სულის შესახებ“) უწოდებს. იგივე მდგომარეობა რჩება საშუალო საუკუნეებში და ახალი დროის დასაწყისშიც: ფსიქოლოგია სულის შესახებ მეცნიერებად ითვლება. საუკუნეთა მიმდინარეობაში ეს შეხედულება იმდენად განმტკიცდა, რომ მაგალითად, **ჰეფდინგს** ჩვენს საუკუნეშიც შესაძლოდ მიაჩნია გაიმეოროს: „ფსიქოლოგია მოძღვრებაა სულის შესახებ; რომ ეს უმოკლესი განსაზღვრაა, რომელიც შესაძლოა ჩვენს მეცნიერებას მიეცეს“-ო.

მაგრამ ნუ თუ მართლა შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად სული ჩაითვალოს, როგორც ამას მთელი საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდნენ?

საკმარისია ეს საკითხი დააყენოთ, რომ იმწამსვე მისი უარყოფითი გადაჭრის აუცილებლობა იგრძნოთ. მართლაც და, რაა ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით დღევანდელი მეცნიერებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი? უეჭველია ის, რომ იგი სინამდვილის რომელსავე სფეროს ან მხარეს სწავლობს; მეცნიერული კვლევის საგანი სინამდვილეა. ამიტომაც საბუნებისმეტყველო მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ავიღებთ, თუ სოციალურისას, ვერსად ვერ ვნახავთ, რომ რომელიმე მათგანი ჯერ შესასწავლად განზრახული საგნის სინამდვილის შესახებ აყენებდეს საკითხს და მის კვლევადობას მხოლოდ ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შემდეგ იწყებდეს.

ყოველი მეცნიერება უშუალოდ მოცემული სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს სწავლობს: ფიზიკა -- ფიზიკურისას, ქიმია -- ქიმიკურისას. ყოველი მეცნიერების საგნისათვის მისი სინამდვილის უშუალო მოცემულობაა აუცილებელი. მაშასადამე, იმისათვის, რომ სული მეცნიერული კვლევის საგნად დაისახოს, აუცილებელია, რომ მისი სინამდვილე უშუალოდ გვეჩვენოს პოცემული.

მაგრამ არის კი ეს ასე? ადამიანი გრძნობს, მსჯელობს, წარმოიდგენს, მიისწრაფის, შფოთავს, ზრუნავს. ჩვენ მხოლოდ ისეთ არსებას ვთვლით სულიერად, რომელსაც ყველაფერი ეს, ან რაიმე ამის მსგავსი, შეუძლია განიცადოს. ამგვარ მოვლენებს, ჩვეულებრივ, სულიერ მოვლენებს უწოდებენ, იმიტომ რომ ფიქრობენ -- ისინი სულის წყალობით აქვს ადამიანსო. რასაკვირველია, მათ ჩვენ უშუალოდ განვიცდივთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სულიერი მოვლენები უშუალოდ გვეძლევა.

მაგრამ რაც შეეხება თვითონ სულს, იგი ხომ ამ განცდათა წარმომშვებ ძალად ითვლება -- მაშასადამე, იგი უშუალოდ სინამდვილის იქით იგულისხმება. ამდენად ცხადია, რომ იგი მოკლებული უნდა იყოს იმ აუცილებელ თვისებას, რომელიც ყველა მეცნიერების საკვლევი საგნისათვისაა დამახასიათებელი -- სახელდობრ, უშუალო სინამდვილეში მოცემულობის თვისებებს.

აქედან უდაოა, რომ სული არა ნამდვილი მეცნიერული, არამედ ისეთი კვლევის საგნად თუ შეიძლება დაისახოს, რომელიც ემპირიული სინამდვილის ფარგლებს სცილდება და მეტაფიზიკური სფეროს საზღვრებში ცდილობს შეიჭრეს. მაშასადამე, ფსიქოლოგიის საგნად სულის დასახვა ე. წ. მეტაფიზიკურის და არა მეცნიერული ფსიქოლოგიისათვის არის დამახასიათებელი.

2. ემპირიული ფსიქოლოგია. მას შემდეგ, რაც ემპირისტული ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები შემუშავდა, ნათელი შეიქნა,

რომ ფსიქოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნაძვილ მეცნიერებად ჩათვლილიყო, თუ რომ მის საკვლევ საგნად არა მეტაფიზიკური არის, სული, იქნებოდა მიჩნეული, არამედ ის, რაც უშუალოდ გვეძლევა. ემპირიულ სინამდვილეში კი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სულიერი მოვლენებია მოცემული: ჩვენი სხვადასხვაგვარი განცდები — ჩვენი გრძნობები და წარმოდგენები, ჩვენი აზრები და სურვილები. ფსიქოლოგიის საგნად, მაშასადამე, სწორედ ეს სინამდვილის არე, ე. ი. ფსიქიკური მოვლენები უნდა იქნენ მიჩნეულნი.

ასეთაა ე. წ. ემპირიული ფსიქოლოგიის მსჯელობა.

მაგრამ ემპირიული ფსიქოლოგიისათვის ისტორიულად მარტონის კი არაა დამახასიათებელი, რომ იგი თავის საკვლევ საგნად სულიერ მოვლენებს სთვლის. არა! ამავე დროს იგი იმის გარკვევასაც ცდილობს, თუ როგორია იმ ემპირიული სინამდვილის ფარგლები, რომელიც მის საკვლევ მოვლენებს შეიცავს. იგი არჩევს ემპირიულ გარესინამდვილეს, რომელიც ადამიანს გარე გრძნობების, ე. ი. გარე დაკვირვების საშუალებით, ობიექტური სინამდვილის სახით ეძლევა, და იმ სინამდვილეს, რომელიც შინაგრძნობის და, მაშასადამე, თვითდაკვირვების საშუალებით ევლინება: იგი არჩევს ობიექტურსა და სუბიექტურ ემპირიულ სინამდვილეს. მისი აზრით, ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ თვითდაკვირვების სფეროს შეადგენენ. მაშასადამე, ფსიქოლოგიის საგნად სუბიექტური სინამდვილე უნდა ჩაითვალოს, და ამ აზრით, ემპირიული ფსიქოლოგია სუბიექტურ ფსიქოლოგიად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მეცნიერული დარგები ემპირიული კვლევის ნიადაგზე დადგნენ, მათი განვითარება არაჩვეულებრივი სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. განსაკუთრებით ეს საბუნებისმეტყველო დარგებზე უნდა ითქვას, ე. ი. სწორედ იმ დარგებზე, რომელნიც გარეგამოცდილების ანუ ობიექტურად მოცემული სინამდვილის სფეროს იკვლევენ. სამაგიეროდ ფსიქოლოგია კვლავ ისე ნელი ნაბიჯით განაგრძობდა წინსვლას, როგორც მანამდე. სანამ ემპირიულ მეცნიერებად ვადაიქცეოდა. რა არის ამის მიზეზი? ბუნებრივად დგებოდა საკითხი.

ბუნების მეცნიერებაცა და ფსიქოლოგიაც — ორივე ემპირიულ სინამდვილეს იკვლევს. ამ მხრივ განსხვავება მათ შორის არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბუნებისმეტყველება ობიექტურად მოცემულ სინამდვილეს სწავლობს, ხოლო ფსიქოლოგია

სუბიექტურად მოცემულს. ეს გარემოება შესაძლებლობას უქმნას ბუნებისმეტყველებას, თავისი კვლევის საგანი ობიექტური დაკვირვების გზით შეისწავლოს. ხოლო ფსიქი ლოგია, რამდენადაც იგი სუბიექტურად მოცემულ სინამდვილეს სწავლობს, მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი კვლევა ამ ობიექტური დაკვირვების გზით აწარმოოს. იგი იძულებული ხდება, თანახმად ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებისა, თავისი კვლევა-ძიება სუბიექტური დაკვირვების, ე. ი. თვითდაკვირვების ნიადაგზე აწარმოოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ემპირიული ფსიქოლოგიის უწყაფრება იქიდან გამომდინარეობს, რომ მის საგნად შინაგამოცდილების სფეროა აღებული, ე. ი. სფერო, რომელიც ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ფსიქოლოგიის საგნის საკითხის სწორი გადაჭრა, მაშასადამე, ვერც ემპირიულმა ფსიქოლოგიამ შესძლო.

3. ბიპევიორიზმი. ამ საკითხის გადაჭრის უახლეს ცდას ე. წ. ბიპევიორისტული ფსიქოლოგია იძლევა. თანახმად ამ ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენელთა მტკიცებისა, ფსიქოლოგია მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცეს, რაც იგი თავის კვლევის საგნად — სხვა მეცნიერებათა მსგავსად — ობიექტურად მოცემული სინამდვილის სათანადო სფეროს დასახავს. მაგრამ, როგორც ემპირიული ფსიქოლოგია ამტკიცებს, ფსიქიკური სინამდვილე ასეთ სფეროს არ ეკუთვნის. მაშასადამე, გამოდის, რომ ფსიქოლოგიამ ფსიქიკურის კვლევაზე ხელი უნდა აიღოს და თავის შესწავლის საგნად ისეთი რამ აირჩიოს, რაც არ არის ფსიქიკური.

ამრიგად, ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის მოძღვრების თანახმად, არა მარტო სული, ფსიქიკური მოვლენაც კი არ შეიძლება ფსიქოლოგიის საგნად დაისახოს. მაშასადამე, არა მარტო მეტაფიზიკური ფსიქოლოგია არ შეიძლება ნამდვილ მეცნიერებად ჩაითვალოს, არამედ არც ემპირიული ფსიქოლოგია.

მაგრამ არსებობს კი ისეთი რამ, რაც ობიექტურად მოცემულის სფეროს ეკუთვნის და ამის მიუხედავად მაინც ფსიქოლოგიის საგნად შეიძლება დაისახოს? ბიპევიორიზმის რწმენით, ასეთი რამ უიქველად არსებობს. მართლაც და, ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას ყოველთვის ადამიანი. თავისებურების შემეცნება შეადგენდა. ადამიანის თავისებურება კი მისი ასეთი თუ ისეთი ქცევის სახით იჩენს თავს. ქცევა ყოველთვის განსაზღვრული სტიმულაციის პირობებში



ხდება და ამ სტიმულების ზეგავლენით იცვლება. თუ რომ შესწავლილი იქნება, რა კანონზომიერებას წარმოადგენს ადამიანის ქცევა. თუ რომ გამოკვლეული იქნება, საიდან იქცევა ამა თუ იმ სტიმულის ზეგავლენით ადამიანი, განა ეს ამ ფენომენების შეგნება არ იქნება — შემეცნება, რომელსაც *ჩა მსჯულო* თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს მაგრამ რაა ამისათვის საჭირო? უეჭველია, ადამიანის ქცევის ფორმებისა და იმ სტიმულების შესწავლა, რომელთა ზეგავლენის ქვეშაც იგი ხდება. ფსიქოლოგიამ რომ თავისი კვლევის საგნად ეს დასახლოს, ამით იგი, ბიპევიორიზმის რწმენით, თავის მთავარ ამოცანას არავითარ შემთხვევაში არ უღალატებს. ადამიანის ქცევას კი, როგორც მეცნიერების საგანს, უდიდესი უპირატესობა აქვს ფსიქოლოგიის წინაშე: ი გ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ი ს სახით გვეჩვენება. ეს უკანასკნელი კი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ მოცემული სინამდვილის არეს ეკუთვნის, ისე როგორც სტიმულებიც, რომელთა პირობებშიც იგი ამა თუ იმ სახესღებულობს.

მაშასადამე, ფსიქოლოგია ცოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა ნამდვილ მეცნიერებად, თუ რომ მის საგნად ქცევა და მისი სტიმულაცია იქნება დასახული — ე. ი. ისეთი რამ, რაც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა ა მოცემული — და არა ფსიქიკური მოვლენები — ჩვენი განცდები, რომელთა ობიექტური შესწავლაც ბიპევიორიზმს შეუძლებლად მიაჩნია.

ასეთია ფსიქოლოგიის საგნის პირობების ბიპევიორისტული გადჭრა. არის თუ არა იგი დამაკმაყოფილებელი?

1) თუ ფსიქოლოგიის საგნად ქცევა, როგორც გარკვეული სტიმულებით გამოწვეულ მოძრაობათა სისტემა, უნდა იქნეს დასახული, მაშინ, ცხადია, რომ მისი შესწავლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიოლოგიურ თვალსაზრისს უნდა მიენიჭოს. ამიტომაც, რომ ბიპევიორისტულ ფსიქოლოგიაში ფიზიოლოგია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს, ისე დიდ როლს, რომ, ზოგიერთის აზრით, ბოლოსდაბოლოს, ფსიქოლოგიის ადგილი ფიზიოლოგიამ უნდა დაიკიროს. მაგრამ განა შეიძლება ადამიანის ქცევის გაგება, მისი თავისებურების ახსნა მხოლოდ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით? დღესდღეობით ჩვენთვის ყველასათვის ცხადია, რომ ადამიანის ქცევის სპეციფიურ თავისებურებას ფიზიოლოგიური პროცესები კი არა ჰქმნიან, არამედ სოციალური პირობები. რომელშიც იგი ყალიბდება. ამიტომაც, რომ ადამიანის ქცევის შესწავლად პირველ რიგში სოციალურ მეცნიერებათ მიმართავენ, და არა ფიზიოლოგიას.

2) ესეც არ იყოს — ბიპევიორისტული ფსიქოლოგია არსებითად წეუძღვებელი კონცეფციაა; და ეს იმიტომ, რომ ქცევის შესწავლა. როგორც იგი ბიპევიორიზმს ესმის, სრულიად განუხორციელებელია. მართლაც და, ბიპევიორიზმის აზრით, ქცევა მოძრაობათა კომპლექსს წარმოადგენს, და ფსიქოლოგიის საგნად იგი სწორედ ამ სახით უნდა ვიგულისხმოთ, ე. ი. როგორც მოძრაობათა კომპლექსი — გარეშე შინაგანი ანუ ფსიქიკური მომენტის მონაწილეობისა. მაგრამ ნამდვილად მოძრაობათა ესა თუ ის კომპლექსი გარკვეული ქცევის აქტად მხოლოდ ფსიქიკურის ნიადაგზე იქცევა — იმ განცდის ნიადაგზე, რომელიც ამა თუ იმ ინდივიდს ქცევის სუბიექტად აქცევს. ამიტომ, როგორც კი ვცდით, ქცევას ამ განცდის გარეშე შევხედოთ, იგი იმწამსვე ცალკეულ მოძრაობათა თანმიმდევრობად მოგვევლინება, ცალკე მოძრაობებად დაიშლება, რომელნიც ურთიერთს სდევნენ თან; ასე რომ ჩვენთვის შეუძლებელი ხდება, ამ მოძრაობათა წყებაში, ცალკე კომპლექსების სახით, ქცევის ერთეულები გამოვყოთ: ფსიქიკურისათვის ანგარიშგაუწვევლად არასოდეს არ გვეცოდინება, თუ სად იწყება და სად თავდება ესა თუ ის ქცევის აქტი. ნაცვლად ქცევისა იძულებული შევიქნებით, ეს ცალკეული მოძრაობები შევისწავლოთ, ე. ი. ქცევის ნაცვლად, მისი მოტორული ელემენტების, ე. წ. რეფლექსების კვლევა ვაწარმოოთ.

ამრიგად, ბიპევიორისტული ფსიქოლოგია ძალაუნებურად რეფლექსების მოძღვრებად ანუ რეფლექსოლოგიად იქცევა. ცალკე რეფლექსების შესწავლა კაფიზიოლოგიის საქმეა, და ბიპევიორისტული ფსიქოლოგია, მასასადამე, ფაქტიურად რეფლექსების ფიზიოლოგიას უნდა წარმოადგენდეს.

4. ემპირიზმისა და ბიპევიორიზმის ძირითადი შეცდომა. როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიის საგნის დადგენას ვერც ემპირიული ფსიქოლოგია ახერხებს და ვერც ბიპევიორისტული ფსიქოლოგია. რატომ? რა არის ამის მიზეზი?

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ მკვეთრი წინააღმდეგობისა. რომელიც, პირველი შეხედვით, ფსიქოლოგიური აზროვნების ამ ორ მიმართულებას შორის არსებობს, პრინციპულად ისინი ძალიან ახლო დგანან ურთიერთთან. ერთიცა და მეორეც სრულიად გარკვეულ იდეალისტურ პოზიციაზე დგას. როგორც ემპირიული ფსიქოლოგია, ისე ბიპევიორისტულიც, ფსიქიკურს თავისთავადს სამყაროდ თვლის, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს ფიზიკურთან საერთო: შინაგანი და გარეგანი, ფსიქიკური და ფიზიკური, მისი აზრით,

ორი ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სინამდვილის სფეროებია: ერთი მხოლოდ თვითდაკვირვებისთვისაა მისაწვდომი, და მეორე — გარე-დაკვირვებისათვის.

ამ საერთო მეთოდოლოგიური წინამძღვრიდან ემპირიულ ფსიქოლოგიას ერთი დასკვნა გამოაქვს — ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკური მოვლენები შეადგენენო, ხოლო ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას მეორე — რადგან ფსიქიკურის შესწავლა გარე-დაკვირვებით, ობიექტურად, არ შეიძლება, ამიტომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ფსიქიკურს კი არა, ფიზიკურს, ობიექტურს, სახელდობრ, ქცევას უნდა სწავლობდესო. როგორც ვხედავთ, ერთიდაიმავე წინამძღვრიდან ორი, ურთიერთის რადიკალურად საწინააღმდეგო დასკვნაა გამოტანილი. რომელი მათგანია მცდარი? საოცარია, რომ ორივე თანაბრად სწორია, ე. ი. იმ წინამძღვრიდან, რომელიც მათ უდევს საფუძვლად, ორივე თანაბარი უფლებით შეიძლება გამოვიყვანოთ. მაგრამ არსებითად შეუძლებელია ორივე მართებული იყოს: ორი ურთიერთის საწინააღმდეგო აზრიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს სწორი. მაშასადამე, ცხადია, შეცდომა მათს საერთო წინამძღვარში უნდა ვეძიოთ.

როგორც ვხედავთ, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის დუალისტური გაგების ნიადაგზე, რომელსაც განსაკუთრებით დეკარტის ფილოსოფიამ ჩაუყარა საფუძვლები, სხვას რომ თავი დავანებოთ, კერძოდ, ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადაწყვეტა მაინც შეუძლებელია.

ცხადია, ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადასაჭრელად ახალს, უფრო სწორ მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს უნდა მივმართოთ. ასეთ წინამძღვრებს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი იძლევა.

5. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის პრობლემა. რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის? ფსიქოლოგიის საგნის დასადგენად ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ა) რა დამოკიდებულება არსებობს საზოგადოდ ფსიქიკასა და ობიექტურ, მატერიალურ სინამდვილეს შორის? და ბ) რა დამოკიდებულება არსებობს თვითონ ცალკეულ ორგანიზმში ფსიქიკურ პროცესებსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის?

პირველ საკითხს ასეთი პასუხი უნდა გავცეს: ფსიქიკა მატერიის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს: მას წინ უსწრებს ჭერ მატერიის მოძრაობის ის ფორმა, რომელიც მართო ფიზიკო-ქი-

მიური პროცესებით განისაზღვრება, და მერე — მატერიის განვითარების უფრო რთული ფორმა, რომელიც ს ი ც ო ც ხ ლ ი ს პროცესებს უღვეს საფუძვლად.

გენეტიურად, მაშასადამე, ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის, მატერიის განვითარების, ერთერთ საფეხურს წარმოადგენს: ფსიქიკა, ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვით: „განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის თვისებაა“; იგი ტვინის „პროდუქტია,“ ან მისი „ფუნქციაა.“

რა დამოკიდებულება აქვს ფსიქიკას ობიექტურ სინამდვილესთან, რომლის განვითარების ერთერთ საფეხურსაც იგი შეადგენს? ამაზე ლ ე ნ ი ნ ი ს ასახვის თეორია იძლევა საბოლოო პასუხს: ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენსო, ამბობს ლ ე ნ ი ნ ი. რეალური მატერიალური სინამდვილე ე. წ. გრძნობის ორგანოების გზით ტვინზე მოქმედებს და ფსიქიკურ პროცესებს. პირველ რიგში, შეგრძნებებსა და აღქმებს იწვევს, რომელნიც თავის მხრივ სინამდვილის სუბიექტურ ხატს წარმოადგენენ. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომა იქნებოდა, ეს ხატი სარკისებრივი ანარეკლის სახით წარმოგვედგინა. ლ ე ნ ი ნ ი ხაზგასმით აღნიშნავს. რომ ფსიქიკა ობიექტური სინამდვილის პასიურს კი არა, აქტიურ ასახვას წარმოადგენს, რომ სწორ ასახვას ადამიანი ობიექტურ სინამდვილეზე აქტიური ზემოქმედების პროცესში აღწევს.

ფსიქოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის თვითონ ორგანიზმში, ანდა სხვანაირად: რა ურთიერთობა არსებობს, ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის? დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ამ საკითხის — ე. წ. ფსიქოფიზიკური საკითხის — გადაჭრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მისთვის ფსიქიკურიცა და ფიზიოლოგიურიც მატერიის მოძრაობის ფორმებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათ შორის არავითარი უფსკრული არ არსებობს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ურთიერთისაგან არ განსხვავდებოდნენ, რომ მათ შორის იგივეობის აღიარება იყოს საჭირო. არა! ფსიქიკისა და ფიზიოლოგიური პროცესების გაიგივება ისეთსავე შეცდომას წარმოადგენს, როგორსაც მათი ურთიერთისაგან სრული მოწყვეტის ცდა. სინამდვილეში ფსიქიკა გარკვეული სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ტვინის „პროდუქტს“ წარმოადგენს და, მაშასადამე, გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესებს ემყარება, იგი ამ პროცესებით მინც არავი-

თარ შემთხვევაში არ ამოიწურება: „უეკველია, რომ ოდესმე ჩვენ ექსპერიმენტულად შევძლებთ აზროვნების,“ დაყვანას“ მოლექულარულსა და ქიმიურ მოძრაობებზე ტვინში, მაგრამ განა აზროვნების არსი ამით ამოიწურება“-ო, კითხულობს ე ნ გ ე ლ ს ი.

ამრიგად, ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს შორის, ფსიქიკასა და სხეულს შორის, არც უფსკრული არსებობს და არც იგივეობის მიმართება: მათ შორის დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა უნდა ვიგულისხმოთ. ფსიქოფიზიკური პრობლემის ასეთი გადაჭრასრულიად გვათავისუფლებს იმ გადაულახავი სიძნელეებისაგან, რომელიც ახლავს თან ფსიქოფიზიკური პრობლემის დუალისტური თვალსაზრისით გადაჭრის ცდებს.

თუ რა ხასიათისაა ეს სიძნელეები. ეს ე. წ. ფ ს ი ქ ო ფ ი ზ ი კ უ რ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ზ მ ი ს ა და ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთზე გავლენის თეორიების განხილვიდან ჩანს. თეორიების. რომელთა გარეშეც დუალისტურ ნიადაგზე ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელია.

ა) ფ ს ი ქ ო ფ ი ზ ი კ უ რ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ზ მ ი. თუ ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის საერთო არაფერია, თუ მათ შორის უფსკრულია ამოთხრილი, რომლის გადალახვაც შეუძლებელია, თუ, მაშასადამე, ფიზიკურს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ფსიქიკურზე, მაშინ, ცხადია, ყველაფერი, რაც ფსიქიკაში ხდება. ფსიქიკური მიზეზებით უნდა იქნეს ახსნილი, და რაც ფიზიკურ სინამდვილეში ხდება — ფიზიკურით. მაგრამ რატომ არის მაშინ. რომ ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენები ხშირად ისე მიმდინარეობენ. თითქოს ერთიმეორეს იწვევდნენ? რატომ არის მათ შორის სრულიად გარკვეული შესატყვისობა? მაგალ., რაიმე რომ დაინახო, უსათუოდ საჭიროა, ჭერ ერთი, ეს რალაც ფიზიკურად არსებობდეს, და გარდა ამისა იგი მხედველობის ორგანოზე მოქმედებდეს და მასში ფიზიოლოგიურ პროცესებს იწვევდეს. უამისოდ ფსიქიკური პროცესი — დანახვა, აღქმა -- შეუძლებელი იქნებოდა. სხვა მაგალითები საჭირო არაა: იმდენად თვალსაჩინოა ფსიქიკურისა და ფიზიკურის ან ფიზიოლოგიურის ურთიერთშესატყვისობის ფაქტი.

დუალისტურ თეორიას ამ შესატყვისობის ასახსნელად, უწინარეს ყოვლისა, ერთი გზა აქვს დარჩენილი. რასაკვირველია, მან უნდა აღიაროს, რომ შესატყვისობის ფაქტა მართლა არსებობს: ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ, რადგანაც მისთვის ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთზე მოქმედება გამორიცხებულია. მან უნდა გა-

მოაცხადოს, რომ ეს შესატყვისობა ან ღვთისაგან არის დაწესებული — როგორც ფიქრობდა, მაგალითად, ლეიბნიცი — ან იგი თავისით, ავტომატურად ხორციელდება: როდესაც ფიზიკურ სინამდვილეში რაიმე ხდება, სწორედ ამ დროს, სრულიად პარალელურად, ფსიქიკაშიც მისი შესატყვისი მოვლენა ჩნდება — მიზეზობრივი კავშირი ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის არ არსებობს — არის მხოლოდ პარალელურობა. ეს არის ე. წ. ფსიქოფიზიკური პარალელურობის ძირითადი იდეა.

როგორც ვხედავთ, ფსიქიკურისა და ფიზიკურის კავშირის ფაქტის იგი ვერ უარყოფს; მაგრამ იძულებული ხდება, ან სრულიად აილოს ხელი ამ ფაქტის ახსნაზე, ანდა ღმერთის ცნებას მიმართოს: ფსიქოფიზიკური პარალელურობის დუალიზმის უმწეობის ქეშმარიტად თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს.

ბ) ურთიერთზემოქმედების თეორია. არც მეორე თეორიაა უკეთეს მდგომარეობაში. თანახმად ამ მეორე თეორიისა. მართალია, ფსიქიკური და ფიზიკური ორი ურთიერთის მოპირდაპირის, არსებითად განსხვავებული მოვლენების რიგს წარმოადგენს. მაგრამ ამის მიუხედავად, მათ შორის მაინც არსებობს გარკვეულა ურთიერთობა: ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, ე. ი. ამა თუ იმ ფიზიოლოგიური პროცესების მიზეზი შეიძლება რაიმე ფსიქიკური პროცესი აღმოჩნდეს და, პირიქით, რაიმე ფიზიოლოგიურმა პროცესმა გარკვეული ფსიქიკური მოვლენა გამოიწვიოს. მაგრამ სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება მოვლენების ურთიერთისაგან არსებითად განსხვავებულმა რიგებმა გავლენა მოახდინონ ერთმანეთზე! ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნამდვილ მეცნიერულ კვლევაზე ხელი უნდა აგველო, იმიტომ რომ, როდესაც ჩვენს წინაშე ვექვით, რაიმე ფიზიკური მოვლენის მიზეზის საკითხი დადგებოდა, ჩვენ ყოველთვის გვექნებოდა შესაძლებლობა, ფიზიკურ სამყაროში მისი კვლევის ნაცვლად, ფსიქიკაზე მიგვეთითებია. ეს კი ფიზიკური კანონზომიერების იდეის უარყოფა იქნებოდა.

ამრიგად, დუალისტური კონცეფციის ნიადაგზე ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტის ცდას სრულიად მიუღებელ დებულებათა აღიარებამდე მიყვავართ: ფსიქოფიზიკური პრობლემა მხოლოდ დიალექტიკური ჭრთიანობის იდეის ნიადაგზე შეიძლება გადაწყდეს.

მ. ფსიქიკურის ობიექტურობა. თუ ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ერთიანობას ვაღიარებთ, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ ფსიქიკური არა მარტო სუბიექტურადაა მოცემული, არამედ ობიექტუ-

რადაც; რომ ემპირიული ფსიქოლოგიის და ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის დებულებზე ფსიქიკურის მხოლოდ სუბიექტური მოცემულობის შესახებ ყალბი, დუალისტური წინამძღვრების ნიადაგზე აღმოცენებული დებულებაა.

ქვემოთ, როდესაც სხვისი ფსიქიკის დაკვირვების შესახებ გვექნება ლაპარაკი, დაწვრილებით გავეცნობით, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს ფსიქიკურის ობიექტური მოცემულობა. აქ კი ჩვენთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ ნათლად გავითვალისწინებთ, რომ ფსიქიკა, რომელიც სხეულთან ერთადერთ მთლიანს წარმოადგენს. შეუძლებელია, ამ სხეულის ობიექტურად გამოვლენილ პროცესებსა და აქტებშიც არ ჩანდეს და, მაშასადამე, ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობას არ გვაძლევდეს. განსაკუთრებით ადამიანის მოქმედების შესახებ უნდა ითქვას, რომ მასთან ფსიქიკური განცდების განუყრელი კავშირი, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ერთიანობა, ყოველ ექვს გარეშეა. მ ა რ ქ ს ი მიუთითებდა, რომ ადამიანის მოქმედებაში ფსიქიკა, ასე ვთქვათ, სრულიად თვალსაჩინოდ, მაშასადამე, ობიექტურად გვეძლევა, რომ აქ იგი პირდაპირ გრძნობადი აღქმის საგანს წარმოადგენს: „ადამიანის მოქმედებაო, ამბობდა იგი... გრძნობადად მოცემული ადამიანის ფსიქოლოგიაა“-ო.

7. ფსიქოლოგიის საგანი. მაგრამ თუ ფსიქიკური ობიექტურადაც არის მოცემული, მაშინ ყოველი ის მოსაზრება, რომლის ძალითაც ბიპევიორიზმი მას, როგორც ფსიქოლოგიის საკვლევ საგანს, უარყოფდა, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. წინააღმდეგ ბიპევიორიზმისა და რეფლექსოლოგიისა, ფსიქოლოგიის საგნად ფსიქიკურია უნდა გამოვაცხადოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ემპირიული ფსიქოლოგიის განვლილ საფეხურს უნდა დავუბრუნდეთ: წინააღმდეგ ემპირიული ფსიქოლოგიისა, ფსიქოლოგიის საგნად ჩვენ ფსიქიკურია. როგორც წმინდა სუბიექტური მოცემულობა, როდი უნდა ჩავთვალოთ, არამედ როგორც ობიექტურთან ერთიანობაში მყოფი სინამდვილე, რომელიც სწორედ ამიტომ შესაძლებელია თვითონ იქნეს ობიექტურია შესწავლის საგნად დასახული.

8. ფსიქოლოგიის ამოცანა. ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკურია სინამდვილე, ანუ განცდათა სამკვიდრო შეადგენს. მაშასადამე, მის ამოცანად ამ სინამდვილის ობიექტურისა და სუბიექტური მხარეების დიალექტიკურ მთლიანობაში შესწავლა უნდა იქნეს დასახული. მაგრამ ფსიქოლოგიის ამოცანა საკმარისად არ იქნებოდა დახასიათებული, თუ არ აღვნიშნავდით, რომ ფსიქოლოგიას, ფსიქი-

კური პროცესების აღწერის გვერდით, განსაკუთრებით მათი ახსნა აინტერესებს. მაშასადამე, მის წინაშე პირველ რიგში ასეთი საკითხი დგება: სად უნდა ეძიოს მან ფსიქიკურის ახსნა? რას უნდა მიმართოს ამისათვის?

რაკი ფსიქიკა ტინის „პროლუქტს“ წარმოადგენს, თითქოს უღაო ხდება, რომ ფსიქიკურის ახსნა ყოველთვის ფიზიოლოგიურ პროცესებში უნდა ვეძიოთ. უეჭველია, ფსიქიკური ფაქტების მატერიალური სუბსტრატის, ფიზიოლოგიური პროცესების, დადასტურება საჭიროა, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ამისა საკმარისად იქნება ახსნილი?

ამის თქმა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, ადამიანის ფსიქიკა რომ წმინდა ბიოლოგიური ბუნების მოვლენა ყოფილიყო. ენგელსი ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ასე არაა, რომ ადამიანის ფსიქიკა, როგორც ადამიანის ფსიქიკა, შრომის პროცესში ჩამოყალიბდა, რომ აქ იგი ინსტიტუტური ქცევის დონეს გადასცილდა და ცნობიერებად გადაიქცა. ხოლო ცნობიერება, როგორც ამბობს მარქსი, „იმთავითვე საზოგადოებრივ პროლუქტს წარმოადგენს და ასეთსავე პროლუქტად დარჩება, სანამ არსებობენ ადამიანები“.

მაგრამ თუ ადამიანის ფსიქიკა ცნობიერების სახით არსებობს, ხოლო, ცნობიერება საზოგადოებრივ პროლუქტს წარმოადგენს, მაშინ ფსიქოლოგიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება თავისი ახსნითი ამოცანების სწორი გადაწყვეტა, თუ იგი თავის კვლევა-ძიებას ჩვენი ცნობიერების ისტორიული და სოციალური განსაზღვრულობის იდეას დაუდებს საფუძვლად.

## ფსიქოლოგიის მეთოდები

### თვითდაკვირვება

ფსიქოლოგიის ჰაკვლევ საგანს სულიერი პროცესები ან განცდები წარმოადგენენ. იმისათვის, რომ ფსიქოლოგიამ თავისი ამოცანა წარმატებით გადასჭარას, პირველი აუცილებელი პირობა, რა თქმა უნდა, ამ საკვლევ საგნის შესახები მასალის სისწორითა და სისრულით გათვალისწინებაში მდგომარეობს. ამიტომ ახალი საკითხი, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე დგება, ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, რა გზით იძენს ფსიქოლოგია თავის საკვლევ მასალას, როგორია მისი მეთოდები.



ყოველი მეცნიერების მეთოდი უექველად იმ თავისებურებაზეა დამოკიდებული, რომლის მატარებლადაც მისი შესასწავლი საგანი იოვლება. როგორც ვიცით, ფსიქოლოგიის საგანი ფსიქიკური ფენომენები, ან განცდები ა. მაგრამ ყოველი ცალკე განცდის ფაქტი უკვე იმით, რომ იგი განცდაა, სუბიექტისათვის იმთავითვე ცნობადია: იგი არა მარტო ობიექტურად არსებობს, როგორც ფაქტი, არამედ სუბიექტმაც იცის, რომ ის არსებობს. უფრო მარტივად რომ გამოვთქვათ: განცდა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უთუოდ ცნობიერების ფაქტაცაა.

ამგვარად, რაღაც თავისებური, იმთავითვე მზამზარეულად მოცემული, პირველადი ფაქტი ფსიქიკური ფენომენების არსებობის ცოდნისა უექველად უნდა იქნეს ნაგულიანბმევი. ესაა ის მთავარი წყარო, რომელიც ფსიქიკურის შესახებ ცნობებს გვაწვდის.

ჩვეულებრივ, ამ წყაროს შინა გრძნობას, შინა აღქმას ან განცდათა აღქმას უწოდებენ. რათა იგი ე. წ. გარე გრძნობის ან გარე აღქმისაგან განასხვავონ, ე. ი. იმისგან, რაც გარე გამოცდილების ან ფიზიკურ ფენომენტა წვდომის წყაროდ ითვლება.

მაგრამ განცდათა აღქმა მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის ცნობებს იძლევა, ვინაიდან ჩვენი განცდები — თვითონ ფსიქოლოგიის მზნებვისათვის მაინც — სრულიად შემთხვევითის ბუნებისანი არიან; ისინი იბადებიან, იზრდებიან და ურთიერთს იმის მიხედვით და იმ წესით როდი ცვლიან, როგორც ფსიქოლოგს აინტერესებს, არამედ მათ საკუთარი, სრულიად დამოუკიდებელი საფუძვლები აქვთ; ნეორეს მზრივ, განცდათა აღქმის ცნობები შეიძლება, ჩვეულებრივ, ძლიერ ცალმზრივი აღმოჩნდეს. და ეს იმიტომ, რომ რომელსამე კონკრეტულ შემთხვევაში წამოჭრილს ამა თუ იმ განცდას მუდამ სრულიად გარკვეული კონკრეტული სახე და მნიშვნელობა აქვს: მისი ნაჩღვილი ბუნების გასათვალისწინებლად საჭირო იქნებოდა, იგი გარემოებათა რაც შეიძლება განსხვავებულ შემთხვევებსა და პირობებში ყოფილიყო შესწავლილი.

თავისთავად იგულისხმება, რაც უფრო ფართო და მრავალმზრივია სუბიექტის გამოცდილება, რაც უფრო მდიდარია შინაარსი მისი ცნობიერებისა, მით უფრო სრული უნდა იყოს ცნობათა ის მარაგიც, რომელიც მას სულიერი ცხოვრების შესახებ მოეპოვება.

მაგრამ მეცნიერების საფუძვლად იგი მაინც არაა საკმარისი. აძისათვის თვით დაკვირვებაა საჭირო, ის რთული აქტი, რომელიც არა თავისთავად და უშუალოდ, არამედ საგანგებო განზრახვისა და გეგმის მიხედვით მიიმართება განცდათა გასათვალისწინებლად.

ბუნებრივად ისმის საკითხი: არის კი ასეთი განზრახული მიმართვა ყურადღებისა საკუთარ განცდათაღმე შესაძლებელი? პოზიტივიზმის მამამთავარი, კონტი (1798—1857) უარყოფითად სჭრიდა ამ საკითხს. იგივე უნდა ითქვას, სხვათა შორის, ფსიქოლოგიის იმ მიმდინარეობის შესახებაც, რომელაც ბიჰევიორიზმის სახელითაა ცნობილი.

მართლაც და, თუ თვითაღქმის ცნობები სულიერი ცხოვრების შესახებ ამ უკანასკნელის ბუნებრივი განცდის ფაქტიდან გამომდინარეობენ, ცხადია, რაც უფრო სრულია ეს განცდა, მით უფრო სრული უნდა იყოს თვით ცნობებაც მის შესახებ. სამაგიეროდ, თვითდაკვირვება სულიერი ცხოვრების თავისებურებათა წვლმას სრულიად განახვევებული გზით ეძიებს: მისთვის თვით განცდის სისრულე და ინტენსიობა როდი იძლევა თავისი გათვალისწინების საიმედო გარანტიას, არამედ სისრულე და ინტენსიობა იმ დაკვირვებისა, რომელსაც სუბიექტი აწარმოებს მათზე. თუ პირველ შემთხვევაში, მაშასადამე, ყურადღება იმ საგნისაკენაა მიმართული, რომელიც განიცდება, მეორე შემთხვევაში იგი განცდებისაკენაა მიპყრობილი. ამის მიხედვით, სისრულე ცნობებისა სულიერ ფენომენთა შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ინტენსიობით მუშაობს ყურადღება პირველსა და მეორე შემთხვევაში: როდესაც ყურადღება უფრო ინტენსიურად საგნისაკენაა მიპყრობილი, თვითაღქმის ცნობები უფრო მეტი და საიმედო გვაქვს. როდესაც, პირიქით, ინტენსიური ყურადღება განცდებისაკენ მიიმართება, მაშინ თვითდაკვირვება უფრო მეტსა და სრულს ცნობებს იძლევა სულიერი ცხოვრების შესახებ.

ამგვარად, ცხადად ირკვევა, რომ განცდათა აღქმასა და თვითდაკვირვებას შორის არა მარტო რაოდენობითი განსხვავება არსებობს — როგორც ამას, მაგალ., გ. ე. მიულერი ფიქრობს — არამედ არსებითიც. ეს განსხვავება ისე შორს მიდის, რომ ის პირობები, რომელიც ერთისათვის ხელსაყრელად ითვლება, მეორისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად იქცევა. განცდათა აღქმისათვის ხელსაყრელი მიმართულება ყურადღებისა უეჭველად მავნებელია თვითდაკვირვებისათვის, ვინაიდან, როდესაც ყურადღება საგნისაკენაა მიპყრობილი, ძნელია იმავე დროს იგი თანაბარი ინტენსიობით საგნის განცდისაკენაც მიიმართოს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უეჭველია, რომ თვითდაკვირვებას მართლაც მრავალ დაბრკოლებისათვის მოუხდება ანგარიშის გაწევა; და ეს გარემოება, რასაკვირველია, მის მეთოდოლოგიურ ღირებულებას საგრძნობლად დასწევს ძირს. უწინარეს ყოვლისა, შემდეგი უნდა

აღინიშნოს: თვითდაკვირვებას არასოდეს არ შესწევს ძალა, რომელსავე სულიერ ფენომენს შთლიანად სწვდეს. იმისათვის, რომ რაიმე განცდის დაკვირვება დავიწყოთ, აუცილებელია მისი არსებობის ფაქტი უკვე წინასწარ ვიცოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკვირვების საგანი არ გვექნებოდა; მაგრამ, როგორც ვიცით, განცდის არსებობის ცოდნა მხოლოდ მისი არსებობის დაწყებულთან ერთად გვეძლევა და არასოდეს მასზე აღრე. მაშასადამე, სანამ დაკვირვების წარმოების დაწყებას მოვასწრებდეთ, ფსიქიკურ ფაქტს თავისი განვითარების განსაზღვრული გზა უკვე აქვს განვლილი, და, მაშასადამე, თვითდაკვირვებისათვის ამ გზის მხოლოდ უკანასკნელი ეტაპია მოცემული.

ამგვარად, თვითდაკვირვება არსებითად მოკლებულია შესაძლებლობას ფსიქიკური განვითარების ყველა საფეხურზე თანაბრად იწარმოოს. იგი მხოლოდ ნაწყვეტებს ან ფრაგმენტებს სწავლობს განცდებისას და არა მათს სრულ სახეს.

მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ თვითდაკვირვებას არც ამ ფრაგმენტების ნამდვილი ბუნებრივი მიმდინარეობის დანახვის ძალა შესწევს. საქმე ისაა, რომ დაკვირვების ფაქტი თვით წარმოადგენს ახალს ფსიქიკურ გარემოებას, ახალ ფაქტს, რომელიც ცნობიერების მოცემულ შინაარსს ერთვის და, მაშასადამე, მას ახალ სახეს აძლევს. ამგვარად, თვითდაკვირვების დროს დაკვირვების საგნად დასახული განცდა ახალ გარემოებაში მიმდინარეობს, და თვითდაკვირვება ვერც ერთხელ ვერ იქერს მას იმ სახით, როგორც მას თვითდაკვირვებას მოკლებულ პირობებში აქვს. მაშასადამე, მისი ბუნებრივი მიმდინარეობა ყოველთვის ხელმიუწვდომელი დარჩება მისთვის.

თვითდაკვირვების ფაქტი რომ უკვე თავისი უბრალო არსებობით არღვევს განცდათა ბუნებრივობას, ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა. თვითდაკვირვება განცდათაღმი უურადლების მიმართვას გულისხმობს. მაგრამ უურადლება ძლიერ რთული აქტია, რომელიც შედეგების მთელ რიგს იწვევს ცნობიერებაში: აფერხებს სულიერ პროცესს, რომლისაკენაც იგი მიიმართება, იწვევს ახალ რეპროდუქციებს და სხვა. ზოგიერთ განცდას იგი სრულიად სპობს, ან, ყოველ შემთხვევაში, ანელებს და ასუსტებს: როდესაც ადამიანი განრახსებულა, მისი უურადლება იმ საგნისაკენა მიმართული, რომელმაც ეს განრახსების აფექტი გამოიწვია; მაგრამ საკმარისია უურადლების მიმართულება შეიცვალოს, იგი თვით აფექტისაკენ გადაიხაროს, — მისი ფსიქოლოგიური ბუნების გასათვალისწინებლად. — რათა ადამიანმა იმწამსვე იგრძნოს, რომ აფექტი შენელდა.

ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთერთ დამახასიათებელ თავისებურებას მისი პროცესების მექანიზაცია წარმოადგენს. ის, რაც თავისი განვითარების პროცესში რამდენიმე საფეხურს განვლის, სანგრძლივი განმეორების შემდეგ მარტივდება და უბრალო დასრულებული განცდის სახით გვევლინება ხოლმე. თვით პროცესი მისი ქმნადობისა მოკლდება და ჩვენი ცნობიერებისათვის შეუმჩნეველი რჩება. ეს გარემოება სრულიად შეუძლებელყოფს ფსიქიკური ფაქტების თანდათანობითი სახვის, მათი მომწიფების პროცესის თვალყურის დევნებას. მაგალითად, როდესაც რომელსამე ჩვეულებრივ საგანს ვხედავ, მე იმწამსვე ვცნობილობ მას, იმწამსვე, თითქო უშუალოდ, ვიცი, რომ ჩემს წინ, ვთქვათ, უბის წიგნია. უეჭველია, ამ ცნობას, რომელიც ამ შემთხვევაში ერთბაშად ხდება, თავდაპირველად, ე. ი. როდესაც ეს საგანი ჩემთვის ჯერ კიდევ უჩვეულო იყო, სულიერ ფენომენტა და აქტთა მთელი რიგის მუშაობის შემდეგ ვაღწევდი. იგივე უნდა ითქვას მრავალი სხვა შემთხვევის შესახებაც; მაგალ., როდესაც ორი საგნის შედარებას ვახდენ, ჩემს ცნობიერებაში ერთბაშად მათი მსგავსების თუ განსხვავების წარმოდგენა ჩნდება; თავდაპირველად ასეთ შეფასებას უთუოდ განცდათა მთელი რიგი ედო საფუძვლად, მაგრამ ამჟამად ისინი სრულიად აღარ ჩანან. იმისათვის, რომ მათ კვლავ თავი იჩინონ, საჭიროა ცნობის ან შედარების პროცესი როგორმე ხელოვნურად იქნეს გაძნელებული: მხოლოდ მაშინ იქნებიან ისინი იძულებულნი ცნობიერების შინაარსში კვლავ თავისი ადგილი დაიკავონ.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ყურადღებითი განცდა რომელიმე შინაგანი პროცესისა და ყურადღებითი დაკვირვება მისი მიმდინარეობისა ყურადღების ორს სრულიად განსხვავებულ მიზანს წარმოადგენს — იმ დონემდე განსხვავებულს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი სრულიად აფერხებს მეორეს. ვთქვათ, რომელსამე ჩემთვის საინტერესო სურათს ვათვალიერებ ყურადღებით; სრულიად შეუძლებელია, რომ ამავე დროს სათანადო ინტენსიობით ვაღწევო თვალყური იმ ფსიქიკურ პროცესებსაც, რომელიც თან ახლავს სურათის ყურადღებითს განცდას. ასე ხდება, რომ, ჩვეულებრივ, ყურადღებითს განცდას რომელიმე სულიერი აქტისას ამ განცდის დაკვირვება შეწყვეტს, შეანელებს და შეაფერხებს ხოლმე“ (მიულერი).

როგორი დასკვნა უნდა იქნეს ყველა აღნიშნული გარემოებიდან გამოყვანილი? ნუთუ ისეთი, როგორიც თვითდაკვირვების ფსიქოლოგიის მოწინააღმდეგეთ გამოჰყავთ, სახელდობრ, სრული უარყოფა თვითდაკვირვების მეთოდური ღირებულებისა?

საბედნიეროდ, თვითდაკვირვების ბუნება ისეთია, რომ აღზინულ სიძნელეთა ზოგის შენელება და ზოგის კიდევ სრულიად თავიდან აცილება მრავალ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური სინამდვილე თავისი მიმდინარეობის მარტო ბუნებრივ მდგომარეობას როდი იცნობს; გ. ე. მ. ი. უ. ლ. ე. რ. ის ტერმინი რომ ვიხმაროთ, მისთვის ხშირად არც „იძულებითი პროცესები“ წარმოადგენენ რაიმე უჩვეულოს, ე. ი. ისეთი პროცესები, რომელნიც — თვითდაკვირვების განზრახვის გავლენის ქვეშ ჩნდებიან, ვითარცა ობიექტნი ამ განზრახვის გამო მათზე მიმართული ყურადღებისა“. თავისთავად იგულისხმება, რომ თვითდაკვირვების მთავარი სიძნელე, რომელიც ყურადღების ზეგავლენით ფსიქიკურ ფენომენტთა ბუნებრივი მიმდინარეობის დარღვევის ფაქტში გამოიხატება, იძულებითი პროცესების შესწავლის მიმართ სრულიად მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ესეც არ იყოს, თვითდაკვირვების აქტი არც ფსიქიკურ ფენომენტთა ბუნებრივი მიმდინარეობის გაცნობის შესაძლებლობას უარყოფს სავსებით. საქმე ისაა, რომ თვითდაკვირვება, ჩვეულებრივ, არა თვით განცდის მომენტში ხდება, არამედ მას შემდეგ, რაც განცდამ უკვე განვლო თავისი აქტუალური მდგომარეობა და მხოლოდ მოგონების სახით განაგრძობს არსებობას: „დღეს-დღეობით უკვე საყოველთაოდ იმ ფაქტი ცნობილი, რომ ყოველგვარი აღწერა, რომელიც ჩვენ ამა თუ იმ ფსიქიკური მოვლენის შესახებ შეგვიძლია ვაწარმოოთ, მხოლოდ მოგონების ნიადაგზეა შესაძლებელი“ (მიულერი). მაგრამ ადამიანის მეხსიერება სუსტია, და ძნელი საფიქრებელია, მან ფსიქიკურ განცდათა სახე მანამ უცვლელად შეგვინახოს, სანამ დაკვირვების მიზნით ყურადღებას მისკენ მივაპყრობდეთ. ამიტომ ფსიქოლოგია იძულებული ხდება, დიდი ხნის განცდილ ფენომენტთა რეპროდუქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოს, როდესაც საკითხი რაიმე ისეთი იშვიათი ფსიქიკური ფენომენტის შესახებ დგას, რომელიც არაა მოსალოდნელი, რომ ან ოდესმე, ან მოკლე ხნის განმავლობაში კვლავ განმეორდეს.

ჩვენი ცნობიერების ჩვეულებრივი შინაარსის ფაქტები. უუქველია, ასეთი ბუნების არ არიან. მაგრამ საინტერესოა, რომ ჩვეულებრივი განცდანი, განააკუთრებით თუ მათი ხანგრძლივობა რამდენიმე სეკუნდს არ აღემატება, რაღაცნაირად თავისი დასრულების შემდგომაც რჩებიან რამდენიმე ხნით ჩვენს ცნობიერებაში, ასე რომ მათ გასახსენებლად სრულიად არაა ნამდვილი რეპროდუქცია საჭირო. ასეთ შემთხვევაში „უშუალო მოგონების“ შესახებ ლაპარაკობენ. თვითდაკვირვება გვერღს უქცევს თავის უმძიმეს დაბრ-

კლებათ, როდესაც იგი თავიდან იცილებს ფსიქიკურ ფენომენტა განცდის მომენტში დაკვირვების აუცილებლობას. უშუალო მოგონების ფაქტი მას შესაძლებლობას აძლევს, ფსიქიკური განცდანი მხოლოდ post mortem აქციოს თავისი შესწავლის ობიექტად. ჩვენს მეცნიერებაში ამას უკუხედვითი (რეტროსპექტიული) თვითდაკვირვების მეთოდს უწოდებენ.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ უქველად არსებობს მთელი რიგი ფსიქიკურ ფენომენტა, რომელთა დაკვირვებაც თვით განცდის მომენტშიც ხერხდება. ასეთ შემთხვევაში ყურადღების იმ გარეგანს ადარ აქვს ადგილი, რომელიც ეგოდენ აძნელებს განცდათა აქტუალურ მდგომარეობაში თვითდაკვირვების წარმოებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შეგრძნებები. როდესაც, მაგალ., მელანს ვაკვირდები, მე სრულიად ცხადად განვიცდი მის სიშავეს, და, რაც უფრო მეტის ყურადღებით ვკვრეტ მას, მით უფრო მეტის გარკვეულობით განიცდება ჩემს ცნობიერებაში მისი სიშავე. იგივე უნდა ითქვას შეგრძნებათა რეპროდუქციული სახეების, ე. ი. წარმოდგენებისა და, შეიძლება იმ გრძნობათა შესახებაც, რომელნიც ასეთ შეგრძნებებთან არიან დაკავშირებულნი: ერთი სიტყვით, უკიდურეს პერიფერიულ ფენომენტა დასახასიათებლად შეიძლება ითქვას, რომ მათი განცდა და დაკვირვება ყურადღების ერთსადაიმავე აქტში ხდება, ასე რომ არაფერი გვიშლის ხელს, ერთიც და მეორეც ერთდროულად ვაწარმოთ.

თვითდაკვირვების ერთერთ ნაკლად ხშირად იმ გარემოებასაც ასახელებენ, რომ იგი მხოლოდ საკუთარი სულიერი ცხოვრების შესახებ ახერხებს მოგვაწოდოს ცნობები, ფსიქოლოგიის კვლევის მიზნები კი მარტო ინდივიდუალური სულიერი ცხოვრებით როდი განისაზღვრება, არამედ სულიერი ცხოვრებით საზოგადოდ: მას ხომ ფსიქიკურ პროცესთა და ფენომენტა მიმდინარეობაში ზოგადი კანონზომიერება აინტერესებს და არა კერძო, ინდივიდუალური.

თავისთავად იგულისხმება, რომ შეუძლებელია ეს გარემოება თვითდაკვირვების არსებიდან გამომდინარე ნაკლად ჩაითვალოს, ვინაიდან სრულიად ცხადია, რომ თვითდაკვირვების სუბიექტი შეიძლება მრავალი იყოს, და, მაშასადამე, თვითდაკვირვების საგანიც ამდენივე. და მართლაც, თანამედროვე ფსიქოლოგია ორგვარ თვითდაკვირვებას განასხვავებს: პირდაპირს, თვით მკვლევარის მიერ ნაწარმოებს, და არაპირდაპირს, ე. ი. სხვათა მიერ წარმოებულ თვითდაკვირვებას. მაგრამ როგორ და რა გზით შეუძლია მკვლევარს არაპირდაპირი თვითდაკვირვების მონაპოვართა გათვალისწინება?

თავისთავად იგულისხმება, უმთავრესი საშუალება, რომლის დახმარებითაც ერთ სუბიექტს მეორისათვის თავის დაკვირვებათა გაზიარება შეუძლია, ეს ადამიანის მეტყველებაა. მაგრამ რამდენად საიმედოა იგი აღნიშნული მიზნისათვის, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ, ერთის მხრივ, რამდენად სრულად ახერხებს სუბიექტი თავისი დაკვირვებისათვის სათანადო სიტყვიერი გამოხატულების პოვნას და, მეორის მხრივ, თუ რამდენად შესწევს მსმენელს ამ უკანასკნელის ადეკვატური გაგების ძალა. ერთგვარი გადაჭარბებაა, რა თქმა უნდა, როდესაც ამბობენ: „გამოთქმული აზრი უკვე სიცრუეს წარმოადგენს“. მაგრამ ერთი რამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია: სახელდობრ ის, რომ ადამიანის აზრები, გრძნობები და საზოგადოდ მისი განცდები იმდენს თავისებურ იერს შეიცავენ, რომ სიტყვის საშუალებით მათი გამოხატვა, თუ სულ შეუძლებელი არაა, ძალიან ძნელია მაინც. საჭიროა არაჩვეულებრივი გამოთქმის ნიჭი, რომ ყველაფერს ამას სათანადო გამოხატულება მოუპოვო. ეს კი მხოლოდ რჩეულთ ხვედრია; და სრულიად შეუძლებელია, ყველას მეტყველებაში სულიერ განცოთა თანაბრად ადეკვატური გამოხატულება სჭვრიტო.

კიდევ უფრო ძნელია იმის წვდომა, თუ რას გულისხმობს თავის ნალაპარაკებში ესა თუ ის სუბიექტი. ყოველი სიტყვა ათასსა და ათიათას ასოციაციას აღძრავს. ამიტომ ხდება, რომ მისი მნიშვნელობა არა თუ სხვადასხვა სუბიექტისთვისაა სხვადასხვა, არამედ თვით ერთიდაიგივე პირი ხშირად ერთსადაიმთხვევით სიტყვას მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსს აძლევს. სრულიად ცხადია, რომ ასეთ პირობებში სხვისი მეტყველების სრული გაგება, როდესაც საქმე ეგოდენ სათუთ საგანს ეხება, როგორც ჩვენი ფსიქიკური განცდების ნიუანსებია, ძლიერ ძნელია, და, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად შეუძლებელიც. განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევების შესახებ უნდა ითქვას, როდესაც საკითხი ისეთ პირთა მეტყველებას ეხება, რომელნიც თავისი ცხოვრების, გამოცდილებისა და კულტურის პირობათა მიხედვით საკმაოდ შორს დგანან მკლევარისაგან.

თუ ყველაფერს ამას მხედველობაში მივიღებთ, ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ სხვისი თვითდაკვირვების მონაპოვართა ადეკვატურ წვდომას სიტყვის საშუალებით თვალსაჩინო დაბრკოლება ელოდება წინ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს მეტყველება სრულიად შეუფერებელი საშუალება იყოს სხვის განცდათა გასათვალისწინებლად. ფაქტი ადამიანთა ურთიერთობაში ენის უდიდესი მნიშვნელობისა საუკეთესო საბუთაა, რომ იგი განსაზღვრულ დონემდე და განსაკუთრებით განსაზღვრულ შემთხვევებში

მანც სავსებით საკმარისი გზაა სხვათა სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის გასათვალისწინებლად.

ამგვარად, მეტყველების ფაქტი — განსაზღვრულ ფარგლებში მანც — შესაძლებლობას იძლევა, სხვათა თვითდაკვირვების შედეგები ჩვენსას დავემართოთ და ამგვარად საკუთარს, სუბიექტური ცნობიერების ფარგლები გადავლახოთ.

### სხვათა დაკვირვება

1. ანალოგიის თეორია. მაგრამ კიდევ არსებობს გზა, რომელიც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს სხვისი სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში ჩაიხედოს და მისი თავისებურების გათვალისწინება სცადოს. თუ აქამდე საუბარი საკუთარი განცდების პირდაპირს თუ არაპირდაპირს, ან უშუალო დაკვირვებას ეხებოდა, ეხლა საკითხი შეიძლება ასე დაისვას: ნუთუ შეუძლებელია სხვის სულიერ ცხოვრებაზე სხვის განცდებზე არა მარტო თვითონ განმცდელმა, არამედ მკვლევარმა ფსიქოლოგმაც მოახდინოს საჭირო დაკვირვებანი და ამ გზით თავისი კვლევის ახალი მასალების წყარო გაიჩინოს? ნუთუ სხვისი ფსიქიკა სავსებით დაკეტილია ჩვენთვის, სანამ სუბიექტი არ მოისურვებს, თავის სულიერი ცხოვრების საიდუმლოებაში თვითონ ჩაგვახედინოს?

ჩვეულებრივი დაკვირვებიდან ვიცით, რომ, საბედნიეროდ, ეს ასე არაა. სხვისი სულიერი ცხოვრება მიუწვდომელ ცხრაკლიტულს როდი წარმოადგენს. ჩვენ ხშირად მშვენივრად ვიცით, თუ როგორია ჩვენი მოსაუბრის სულიერი განწყობილება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ამის შესახებ არავითარ ცნობებს არ გვაწვდის, ზოგი ინდივიდი იმდენად შორსმწვდომი ფსიქოლოგიური ალლოთია დაჭილდობული, რომ მას ზოგჯერ თვით იდუმალ ზრახვებსაც ვერ გამოაპარებ. დიპლომატისა და რომანისტის ნიჭი ბევრის მხრივ ამ ფსიქოლოგიურ ალლოზეა დამოკიდებული.

ბუნებრივად ისმის საკითხი: როგორ ხდება ყველაფერი ეს და, უწინარეს ყოვლისა, საიდან ვიცით, თუ რა განცდები აქვს სხვას? ხომ არ არსებობს აქაც რაიმეგვარი უშუალო გზა, რომლითაც სხვის სულიერ ცხოვრებას ვწვდებით? ანდა, შესაძლოა, გრძნობათა ორგანოების საშუალებით ისეთი ნიშნების აღქმას ვახერხებდეთ, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, შესაძლებლობას გვაძლევენ, სხვისი სულიერი განცდების შესახებ სათანადო დასკვნები გამოვიყვანოთ? მ. შ ე ლ ე რ ი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაჭრას მრავალის მხრივ და მრავალის თვალსაზრისით შორსმწვდომი თეორიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიური.



მიუხედავად ამ პრობლემის დიდი მნიშვნელობისა, ჯერხნობით კიდევ არ არსებობს სრული თანხმობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს იგი.

ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მდგომარეობა ასე უნდა წარმოედგინოთ: ფსიქიკური მოვლენები მხოლოდ განმცდელ სუბიექტს ეძლევა უშუალოდ, იგი მხოლოდ თვითაღქმისა და თვითდაკვირვების გზით ხდება მისაწვდომი. მაშასადამე, იმათივე ურყევ დებულებად ითვლება, რომ სხვისი სულიერი განცდების წვდომა უშუალოდ სრულიად მოუხერხებელია. მაგრამ თუ მაინც არსებობს ფაქტი სხვისი სულიერი ცხოვრების გაგებისა, უეჭველია, ეს არა უშუალო გზით ხდება, არამედ რისღაც არაფსიქიკურის მეშვეობით: თვითაღქმისა და თვითდაკვირვების შემთხვევებიდან ვიცით, რომ, ჩვეულებრივ, როდესაც ჩემში რაიმე განცდა იჩენს თავს, ჩემს ფიზიკურ ორგანიზმში გარკვეული სახის ცვლილებები ხდება. ხანგრძლივი თვითდაკვირვების წყალობით ვიცით, რომ, მაგ., როდესაც ვტირით და თვალთაგან ცრემლებს ვაფრქვევთ, ჩვეულებრივ, მწუხარებას განვიცდით, როდესაც შიშს ვგრძნობთ, სახე ფერმკრთალდება, გული გვიცემს და მთელი ორგანიზმი შიშის სპეციფიკურ პოზას ღებულობს. ერთი სიტყვით, ჩვენ ვამჩნევთ, რომ სხეულის გარკვეულ ცვლილებებსა და გარკვეულ განცდებს შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირი არსებობს და, მაშასადამე, პირველი მეორის გარეგამოხატულებას წარმოადგენს. ამის შემდეგ აღარაფერი გვიშლის ხელს, ყველგან, სადაც სხეულის ამა თუ იმ ცვლილებას შევამჩნევთ, ვიგულისხმობთ, რომ სუბიექტი სწორედ იმას განიცდის, რასაც მეც განვიცდიდი, როდესაც ჩემი სხეული ანალოგიურ ცვლილებას გვიჩვენებდა.

ამრიგად, მე შესაძლებლობა მეძლევა, სხვისი სულიერი ცხოვრების სამკვიდროში შევიჭრე და მისი განცდების შესახებ ვილაპარაკო. ასეთია გავრცელებული შეხედულება.

მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, სხვის განცდას უშუალოდ კი არ ვწვდები, ამ განცდას უშუალოდ კი არ ვაკვირდები, არამედ ჯერ სხეულის ცვლილებათა ობიექტურ დაკვირვებას ვაწარმოებ და იმის მიხედვით, თუ რა განცდების გამოხატულებად ეცნობ მათ — თანახმად ჩემი თვითდაკვირვებისა — დავასკვნი. რომ სუბიექტს ესა და ეს განცდები უნდა ჰქონდეს. ასეთია ე. წ. ანალოგიის თეორია, რომელიც, მაშასადამე, სხვისი სულიერი ცხოვრების გაგების შესაძლებლობას საეხებით თვითდაკვირვების მონაცემთა შინაარსზე ამყარებს.

2. ანალოგიის თეორიის კრიტიკა. რა უნდა ითქვას ამ თეორიის

შესახებ? ხსნის იგი სხვისი სულიერი ცხოვრების დაკვირვების ფაქტს დამაკმაყოფილებლად, თუ ვერა?

ა) პირველი, რაც ამთავითვე უნდა აღინიშნოს, ეს ის არის, რომ ეს თეორია არა თუ ვერ ხსნის სხვისი განცდების დაკვირვების ფაქტს. არამედ სრულიად უარყოფს მას. მართლაც და, მისი ძირითადი დებულების თანახმად, ჩვენ სხვის სუბიექტურ განცდებს, სხვის ფსიქიკას კი არ ვაკვირდებით, არამედ მხოლოდ სხვის სხეულს, იმ ცვლილებებს, რომელთაც მასში ვხედავთ. რაც შეეხება თვითონ განცდებს, ამათ შესახებ ჩვენ მხოლოდ დავასკვნით. მაშასადამე, დაკვირვება, ამ თეორიის მიხედვით, მხოლოდ სხეულის ცვლილებათა მასალას გვაწვდის, ხოლო განცდებს, რომელნიც ამ ცვლილებათა საფუძვლად იგულისხმება, აზროვნების ერთერთი ფორმის, დასკვნის, საშუალებით ვწვდებით.

ამრიგად, სხვისი განცდების დაკვირვების შესაძლებლობა აქ ახსნილი კი არა, იმთავითვე უარყოფილია: აქ დასკვნაზეა ლაპარაკი და არა დაკვირვებაზე.

ბ) გარდა ამისა, თუ სხვის დაკვირვებას თვითდაკვირვება უდევს საფუძვლად, და თუ სხვაში მხოლოდ იმის დანახვა ან იმის გულისხმობა შემიძლია, რაც თვითდაკვირვების ნიადაგზე დამიდარტურებია, მაშინ, ცხადია, სხვისი დაკვირვების მეთოდით მე მხოლოდ იმ მასალას მივიღებ, რაც უკვე წინასწარ მქონდა თვითდაკვირვების გზით მიღებული. სხვისი დაკვირვების მეთოდი, მაშასადამე, ახალს არათერს იძლევა, და, ცხადია, იგი სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

ხოლო რაც შეეხება თვით ამ მასალის ღირებულებას, უეჭველია. რომ რამდენადაც იგი აქაც თვითდაკვირვების საფუძველზეა მიღებული, შეუძლებელია, უფრო მალა იდგეს, ვიდრე წმინდა თვითდაკვირვების მასალა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ, პირიქით, მასალის ღირებულება სხვისი დაკვირვების შემთხვევაში უფრო დაბალი უნდა იყოს, ვიდრე თვითდაკვირვების შემთხვევაში. ეს იმიტომ, რომ სხვაში მე — ანალოგიის თეორიის მიხედვით — მხოლოდ იმის დანახვა შემიძლია. რაც თვითდაკვირვებით ე. ი. ნაკლოვანი მეთოდით მაქვს ჩემში დადასტურებული. და თუ ამას იმ გარემოებასაც დავუმატებთ. რომ თვითდაკვირვების შემთხვევაში ეს მასალა ასე თუ ისე მაინც უშუალოდ მეძლევა, ხოლო სხვისი დაკვირვების შემთხვევაში — ანალოგიის დასკვნის გზით, ცხადი შეიქნება, რომ იგი კიდევ უფრო ნაკლებ საიმედოდ უნდა ჩაითვალოს.

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ, ანალოგიის თეო-

რის მიხედვით, სხვისი განცდების წვდომა მარტო საკუთარ განცდათა დაკვირვების ნიადაგზე როდი ხერხდება, არამედ განცდათა და მათ ობიექტურ გამოხატულებათა ერთდროულად დაკვირვების ნიადაგზე, მაშინ სრულიად ნათელი გახდება, თუ რაოდენ დაბალი ღირებულების მასალა უნდა მოგვეცეს ასეთ საფუძველზე დამყარებულმა ობიექტურმა დაკვირვებამ.

მაშასადამე, თუ სხვისი დაკვირვების შესაძლებლობას ანალოგიის თეორიის მიხედვით ავხსნით, სხვისი დაკვირვების მეთოდი არა მარტო ზედმეტად, არამედ თვითდაკვირვების მეთოდზე უფრო ნაკლებ საიმედო მეთოდად უნდა ჩაითვალოს.

ვ. შტერნი ფიქრობს, თითქოს, მიუხედავად იმისა, რომ სხვისი დაკვირვება მხოლოდ თვითდაკვირვების საფუძველზე ხდება, იგი მაინც მეტს იძლეოდეს, ვიდრე წმინდა თვითდაკვირვება. საქმე ისაა, რომ შტერნის აზრით, ყოველი ადამიანი ერთგვარ მიკროკოსმოსს წარმოადგენს, მასში — ჩანასახის მსგავსად მაინც — ყველაფერი ადამიანური იმთავითვე მოცემულია; განსაზღვრული აზრით. „ყოველ ადამიანში რაღაც მაინც მოიპოვება ცხოველის, ბავშვის, ხელოვნის, ფსიქოპათის, ბოროტმოქმედის, რომანტიკოსის... ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ტიპის ყოველი წარმომადგენელი საწინააღმდეგო ან დისპარატული ტიპის თვისებებს ამათუბმ სახით შეიცავს“. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ თითქოს დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ადამიანს არა მარტო იმის დანახვა შეუძლია სხვაში, რაც მას თავის ფსიქიკაში ჩვეულებრივი თვითდაკვირვების გზით დაუდასტურებია, არამედ მეტისაც. მაგრამ როგორ? შტერნი ასე მსჯელობს: როდესაც სხვას ვაკვირდებით და მასში სხეულის იმ ცვილებებს ვადასტურებთ, რომელნიც ჩემთვის უცხო განცდას გამოხატავენ, ისეთ განცდას, რომლის მსგავსიც ჩემში თვითდაკვირვების გზით არასოდეს არ დამიდასტურებია. მე მაინც შემიძლია ამ ჩემთვის უცხო განცდის გაგება. საქმე ისაა, რომ მე ასე შემიძლია მოვიქცე: მოცემული სხეულებრივი ცვლილება რაიმე განცდის სიმპტომად ვიგულისხმობ და შემდეგ ამ ნაგულისხმევი განცდის მსგავსის (ანალოგის) ძიება ჩემს საკუთარ ფსიქიკაში დავიწყო ვინაიდან ჩანასახის სახით ჩემში, როგორც მიკროკოსმოსში, ყოველგვარი განცდაა ასე თუ ისე მოცემული. უეჭველია, „როცა ვიცი, თუ როგორ უნდა ვაწარმოო ძიება ამ საგანძურში, მაშინ ისეთს რასმე მოვნახავ, რომ ელვის სისწრაფით მოფენს ნათელს სხვისი სულიერი ცხოვრების ამ უცხო განცდას“.

მაგრამ საკმარისია ოდნავ ჩაუფიქრდეთ ამ მსჯელობას, რომ მისი

მცთარობა იმწამსვე ნათელი შეიქნეს. ჭერ ერთი, ადამიანი მართლა მიკროკოსმოსს წარმოადგენს იმ აზრით, რა აზრითაც ამას შტერნი გულისხმობს, თუ არა, ამას დამტკიცება ესაქიროება. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, შტერნის დებულება არც სხვა მხრივ არის დამარწმუნებელი. საქმე ისაა, რომ იგი უეჭველ ლოგიკურ შეცდომას შეიცავს. მართლაც და, შტერნი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თვითდაკვირვების ნიადაგზე სხვისი ისეთი განცდების წვდომაც შეიძლება რომელიც წინასწარ საკუთარ თვითდაკვირვებაში არ მქონია და არც მექნებოდა მოცემული. მაგრამ თუ მხოლოდ თვითდაკვირვების მონაცემთა გზით შეიძლება სხვის განცდებს ვწვდეთ, როგორც ამას ანალოგიის თეორია მოითხოვს, მაშინ როგორაა შესაძლებელი, სხვაში ისეთი განსხვავებული განცდა ვიგულისხმო, რომლის მსგავსიც ჭერჭერობით არასოდეს არ შემხვედრია! საიდან ვიცი ამ განცდის რაობა, რომ ჩემში მისი ანალოგის ძიება დავიწყო! თუ მისი წვდომა თვითდაკვირვების აქტამდე შემიძლია, მაშინ ცხადია, რომ სხვისი სულიერი განცდების წვდომა ჩემი ანალოგიური განცდების ცოდნის გარეშეც ყოფილა შესაძლებელი; თუ არა და, მაშინ სრულიად გაუგებარია, თუ რისი ანალოგის ძიება უნდა ვაწარმოო ჩემი ცნობიერების „საგანძურში“!

გ) მესამე სიძნელე, რომელიც საექვოდ ხდის ანალოგიის თეორიას, ფაქტიური ხასიათისაა. მისი მიხედვით, სხვისი გაგების შესაძლებლობას თვითდაკვირვება უნდა უსწრებდეს წინ, ე. ი. ადამიანი ჭერ თავის თავს უნდა ეცნობოდეს და შემდეგ სხვას. მაგრამ ფაქტიურად შეუძლებელია ეს ასე იყოს. ბავშვის ფსიქოლოგიის ერთერთს უეჭველ მონაპოვრად ის დებულებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სხვისი გაგების (დედის, ახლობელი პირების) უნარი გაცილებით უფრო ადრე უჩნდება ბავშვს, ვიდრე თვითდაკვირვების უნარი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ანალოგიის თეორიის მიხედვით სხვისი გაგებისათვის არა მარტო საკუთარი განცდების დაკვირვებაა საჭირო, არამედ პარალელურად საკუთარი სხეულის ცვლილებებისაც, რომელნიც ამ განცდებს ანლავან თან, მაშინ კიდევ უფრო უდაო შეიქნება, რომ შეუძლებელია ადამიანს მანამ აკლდეს უნარი თავის მსგავსებთან სოციალური კონტაქტის დამყარებისა, სანამ იგი ამ რთულ თვითდაკვირვების უნარს შეიძენდეს. სინამდვილეს აწინააღმდეგო დებულება უფრო შეეფერება: ადამიანი უფრო ადრე სხვას აქცევს ყურადღებას, ვიდრე საკუთარ განცდებს; იგი უფრო ადრე სხვას ეცნობა, ვიდრე თავის თავს: თვითდაკვირვება კი არ უსწრებს წინ სხვის დაკვირვებას, არამედ, პირიქით: სხვისი დაკვირვება თვითდაკვირვებას.

ამრიგად, ანალოგიის თეორია სრულიად ვერ ხსნის სხვისი დაკვირვების უეჭველ ფაქტს: არ შეიძლება ითქვას, რომ სხვისი განცდების წვდომა მხოლოდ თვითდაკვირვების ნიადაგზეა შესაძლებელი.

3. ფსიქიკურის ობიექტური მოცემულობის შესაძლებლობა. მაშ როგორ ხდება სხვისი განცდების დაკვირვება? ზემოდ, როდესაც ფსიქოლოგიის საგნის პრობლემაზე გვქონდა საუბარი, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფსიქიკური არა მარტო სუბიექტურადაა მოცემული, არამედ ობიექტურადაც, ე. ი. იგი არა მარტო თვითდაკვირვების, არამედ ობიექტური დაკვირვების პროცესშიც გვეძლევა. ეხლა ჩვენ ხელახლა გვაქვს შესაძლებლობა საბოლოოდ დავრწმუნდეთ ამ დებულების სისწორეში.

ადამიანის ფსიქიკის ძირითად შინაარსს, როგორც ჩვეულებრივი დაკვირვებიდანაც ნათლად ჩანს, განცდათა სამი განსხვავებული კლასი შეადგენს: ადამიანი ან ობიექტურ სინამდვილეს განიცდის, ე. ი. შემეცნების პროცესები აქვს, ან თავის სუბიექტურ მდგომარეობას განიცდის, ე. ი. გრძნობები აქვს, ანდა, დასასრულ, თავის აქტივობას განიცდის, ე. ი. ნებელობის პროცესები აქვს. მაშასადამე, როდესაც ადამიანის განცდათა დაკვირვების შესახებ ვლაპარაკობთ, შეიქლება მხოლოდ შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის პროცესების დაკვირვება გვქონდეს მხედველობაში.

დავიწყოთ შემეცნების პროცესებიდან. ვთქვათ, სუბიექტი, რომელიც ჩემს წინაშე დგას, რაიმე შემეცნებითს პროცესს განიცდის: რაიმე წარმოდგენები აქვს, რაიმე აზროვნების აქტებს აწარმოებს. როგორ, რა გზითაა ჩემთვის შესაძლო ამ შემეცნებითი პროცესების შეტყობა? ჩემს წინაშე მდგომი სუბიექტის ფიზიკურ ორგანიზმში მისი შემეცნებითი პროცესები თვალსაჩინო ცვლილებებს არ იწვევენ. მაშასადამე, მისი სხეულის დაკვირვება ამ შემთხვევაში ვერავითარ დახმარებას ვერ გამიწვედა. ერთ-ერთი გზა, რომლითაც შემეცნების პროცესებს გარეგამოვლენა შეუძლიათ, ეს მეტყველებაა: როდესაც ის ლაპარაკობს, რომ ვთქვათ,  $(a + b)(a - b) = a^2 - b^2$ , მე მხოლოდ მაშინ ვწვდები მისი აზროვნების ვითარებას. გარეშე მეტყველებისა, რა თქმა უნდა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, სხვა ნიშნის მიხედვით გამეგო, რომ მისი გონება სწორედ ამ მათემატიკურ ოპერაციას აწარმოებდა.

ამრიგად, სუბიექტის შემეცნების, განსაკუთრებით მისი აზროვნების გარეგამოვლენა, უწინარეს ყოვლისა, მეტყველების საშუალებით ხდება.

თანახმად ანალოგიის თეორიისა, უშუალო დაკვირვების საგნად ამ შემთხვევაშიც წმინდა ობიექტური ფენომენი — ბგერა და მისი გარკვეული კომპლექსება მეძლევა; ხოლო რაც შეეხება მის ფსიქიკურ შინაარსს, მეტყველის აზრებსა და მსჯელობებს, ამის შესახებ ამ ობიექტური ფენომენის ჩემს აზრებთან და მსჯელობებთან კავშირის ნიადაგზე დავასკვნი. მაშასადამე, თვითონ მეტყველება უბრალო გარე ფენომენია, რომელიც, ჩვეულებრივ, მეტყველის შინაპროცესებთან — მისი აზროვნების პროცესებთან, შემთხვევით არის დაკავშირებული და არა არსებითად. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. მეტყველებასა და აზროვნებას შორის იმდენად თვალსაჩინოდ მჭიდრო კავშირი არსებობს, რომ როგორც კი იგულისხმებ. რომ მეტყველება, როგორც მოტორულ-აქუსტიკური ფენომენი, ერთია, და აზროვნება მეორე, იმწამსვე იძულებული იქნები, დააყენო საკითხი: მეტყველება უსწრებს წინ აზროვნებას, თუ აზროვნება მეტყველებას?

ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, პირდაპირი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაშასადამე, თვითონ საკითხია მცდარი, და ეს იმიტომ, რომ იგი ყალბი წინამძღვარიდან გამომდინარეობს. ამიტომაც, რომ ფსიქოლოგიაში ცნობილია დებულება, რომლის მიხედვითაც აზროვნება და მეტყველება გაიჯივებულია. განსაკუთრებით ბიჰევიორისტები იცავენ ამ დებულებას. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ. რომ ის. რასაც ჩვეულებრივ აზროვნება ეწოდება, ნამდვილად წმინდა სხეულებრივი პროცესია, სახელდობრ, მეტყველების მოტორული პროცესი. გამოდის, რომ არც პირველი თვალსაზრისია სწორი, რომლის მიხედვითაც მეტყველება, როგორც მოტორული ფენომენი, სხვაა, და აზროვნება კიდევ სხვა, და არც მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეტყველება და აზროვნება ერთიდაიგივეა.

მაგრამ თუ პირველი დებულება მცდარია, მაშინ მეორეში უნდა იყოს რაღაც სწორი; ხოლო თუ მეორეა მცდარი, მაშინ პირველში უნდა იყოს რაღაც მართებული; და ეს მართლაც ასეა. პირველი თვალსაზრისი ერთში უეჭველად მართალია, სახელდობრ იმაში, რომ მეტყველებაში აზროვნებაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეტყველება აზროვნების გარეშე არ არის ნამდვილი მეტყველება; მაგრამ მეორეც სწორია, რამდენადაც იგი მეტყველებისა და აზროვნების ერთობას ამტკიცებს.

მაგრამ როგორ შეიძლება მეტყველება და აზროვნება ერთი იყოს და სხვადასხვაც? უეჭველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

ნამდვილი მეტყველება აზროვნებისა და მეტყველების, როგორც მოტორული პროცესის, განუყრელ მთლიანობას, დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს, ფაქტიურად ეს ასეა, და ამიტომ, რომ მეტყველება, როგორც ასეთი, არც მარტო ფიზიკურ ფენომენად ჩათვლება და არც მარტო ფსიქიკურად. ამიტომ, რომ ამა თუ იმ ენის სტრუქტურაში ყოველთვის მასზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების სტრუქტურაა ჩაქსოვილი.

ამრიგად, უეჭველი ხდება, რომ აზროვნების პროცესები, მისი სტრუქტურა, მისი მიმდინარეობა თვითონ მეტყველების პროცესში, მის სტრუქტურაში, მის მიმდინარეობაში მეძლევა. მაშასადამე, მეტყველების დაკვირვება აზროვნების დაკვირვებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შეშხვევაში აზროვნების პროცესები არა მარტო სუბიექტურად, არამედ ობიექტურადაც მეძლევა. მარქსი სრულიად გარკვევით აღნიშნავდა: „აზრის უშუალო სინამდვილე ენა“-ო.

ვნახოთ ეხლა, იგივე იტემის გრძნობების ანუ ემოციური განცდების შესახებ, თუ არა. როგორც ცნობილია, ესა თუ ის ემოციური განცდა ყოველთვის თვალსაჩინო გავლენას ახდენს განმცდელის სხეულზე. ანალოგიის თეორიის მიხედვით, ობიექტურად მხოლოდ ეს სხეულებრივი ცვლილებები გვეძლევა, ხოლო რაც შეეხება თვითონ განცდას, მის შესახებ დასკვნის გზით შეგვიძლია რაიმე ვთქვათ. არის თუ არა ეს შეხედულება სწორი? არის თუ არა ემოციური განცდას ობიექტური დაკვირვება შესაძლებელი?

ძლიერ საგულისხმოა, რომ ემოციათა ფსიქოლოგიაში დაახლოებით აზრთა იმავე მიმდინარეობას ვხვდებით, როგორსაც მეტყველების ფსიქოლოგიაში. ისე როგორც იქ, აქაც არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ემოციური განცდა სხვაა და მისი თანმხლები სხეულებრივი ცვლილებები, მისი ე. წ. გარეგამოხატულება კიდევ სხვა. ამავე დროს, არის ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ის, რასაც ემოციურ განცდას ვუწოდებთ, მაგალითად, შიში, ნამდვილად ის სხეულებრივი ცვლილებებია, რომელთაც, ჩვეულებრივ, მის გარეგამოხატულებად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გრძნობს, რომ ეს მეორე შეხედულება სულ სწორი არ უნდა იყოს, მისი ღირებულების უარყოფა დღემდე მაინც ვერავის მოუხერხებია. რატომ? უეჭველია იმიტომ, რომ, ჩვეულებრივ, გარეგამოხატულება არსებითად უნდა იყოს თვითგანცდის სტრუქტურასთან დაკავშირებული, ანდა უკეთ: ამ უკანასკნელის გარკვეულობაში არსებით მონაწილეობას უნდა ღებულობდეს. ჯემსი სამარ-

თლიანად აღნიშნავს, რომ სრულიად შეუძლებელია რომელიმე ემოცია. მაგალითად, შიში წარმოიღვინო და ამ წარმოდგენაში მისი სხეულებრივი გამოხატულების სრული განყენება მოახერხო. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს თვით ემოციური განცდა, როგორც ასეთი, არ არსებობდეს, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ არც ემოციური განცდა არსებობს: ისი სხეულებრივი გამოხატულების გარეშე, და არც ეს უკანასკნელი პირველის გარეშე: ემოციური განცდა ორივეს განუყრელ მთლიანობაშია მოცემული. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდავოა, რომ ემოციური განცდა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა ც ა ა მოცემული, რომ, მაგ., შიშის სხეულებრივი გამოხატულების დაკვირვების დროს თვითონ შიშს ვაკვირდებით და არა მხოლოდ მის ე. წ. გარეგამოხატულებას.

დაგვრჩა ნებელობითი განცდა. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ადამიანის ნებისმიერ მოძრაობათა, მის მრავალფეროვან მოქმედებათა შემთხვევებში იგულისხმება.

არის თუ არა ადამიანის მოქმედება მოტორული პროცესი, რომლის დაკვირვება და აღწერა წმინდა მოტორიკის თვალსაზრისით შეიძლება? უეჭველია, არა! მოძრაობათა კომპლექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ქცევის ამა თუ იმ აქტად, მოქმედების ამა თუ იმ ფორმად, იქნეს ცნობილი, თუ რომ იგი იმ მთლიან მდგომარეობას გამოსახავს, რომელშიც მოქმედი სუბიექტის სპეციფიკური განცდაა მოცემული. ქცევაში მოძრაობათა თანმიმდევრობას მთლიანი ქცევის სახეს, გარკვეულ ფორმას ე. წ. შინაგანი მხარე, ანუ სუბიექტის ფსიქიკური განცდა აძლევს. ამ მხრივ ნებისმიერი მოქმედება არაფრით არ განსხვავდება მეტყველებისა და ემოციური განცდებისაგან.

მოქმედება, მ ა რ ქ ს ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ, ა დ ა მ ი ა ნ ი ს ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს. მაშასადამე, ცხადია, რომ ნებისმიერ მოქმედებათა შემთხვევაში ობიექტური დაკვირვების საგანს არა მარტო მოძრაობათა უბრალო ქაოტიური შეკრებილობა შეადგენს, არამედ მათი გარკვეული მთლიანი სახე, მაშასადამე, არა მარტო წმინდა მოტორული, არამედ მასი ფსიქიკური მხარეც.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ როგორც შემეცნების, ისე გრძნობისა და ნების შემთხვევაშიც, ობიექტური დაკვირვების საგანს არა მარტო მათი გარეგანი მომენტი შეადგენს, არამედ შინაგანიც. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ სხვისი განცდების საწვდომად ანალოგიის



დასკვნის გზა სრულიად არ არის ერთადერთი გზა, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ. არა, სხვისი სულიერი ცხოვრების მასალის დაგროვება ობიექტური დაკვირვების საშუალებითაც შეიძლება.

## ექსპერიმენტი

1. **ექსპერიმენტის ცნება.** რა გინდ დიდი უნდა იყოს მნიშვნელობა სხვათა ობიექტური დაკვირვებისა, მას მაინც ძლიერ განსაზღვრული ღირებულება აქვს: იგი შემთხვევითს მასალას იძლევა. იგივე უნდა ითქვას თვითდაკვირვების შესახებაც. აქაც და იქაც, ყველგან შემთხვევით წამოკრილ მოვლენათა დაკვირვებასთან გვაქვს საქმე; და, ცხადია, ეს ნაკლი თავიდან იქნებოდა აცილებული, ფსიქიკურ ფენომენთა ხელოვნურად შექმნილ პირობებში განზრახ გამოწვევა და თვალყურის დევნება რომ ყოფილიყო შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მრავალ უპირატესობას მოვიპოვებდით, რომელიც თვითდაკვირვებისა და სხვისი დაკვირვების აუცილებელ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების შესაძლებლობას მოგვცემდა. ამ უპირატესობათა შორის დავასახელებთ მხოლოდ განსაკუთრებით თვალსაჩინოთ:

ა) განზრახ გამოწვევა რომელიმე ფსიქიკური განცდისა შესაძლებლობას მოგვცემდა მომზადებული დავხვედროდით მას და დაკვირვება განცდის ყველა საფეხურზე გვეწარმოებინა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებრივი თვითდაკვირვებით სარგებლობის დროს სრულიად შეუძლებელია.

ბ) როდესაც წინასწარ ვიცით, თუ რა ფსიქიკური პროცესი როდის შეიქმნება ჩვენი დაკვირვების საგნად, მაშინ შესაძლებელი ხდება, წინასწარ გავითვალისწინოთ ის მომენტებიც, რომელთა დაკვირვებასაც ჩვენი მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გ) განზრახ გამოწვევა ფსიქიკური ფენომენისა მისი მრავალგზისი განმეორების შესაძლებლობას იძლევა. ამ გარემოებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს: ის, რაც ერთ შემთხვევაში ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუმჩნეველი დარჩა, მეორე შემთხვევაში საგანგებო ყურადღების საგნად შეიძლება გადაიქცეს; ის, რაც ერთგვარ პირობებში განსაზღვრული სახით წარმოგვიდგა, მეორეგვარ პირობებში შეიძლება სხვა სახით განვიცადოთ.

ცხადია, კვლევის ეს გზა არა მარტო ერთსადაიმავე ფენომენის მრავალი სუბიექტის ცნობიერებაში მიმდინარეობის შესწავლის საშუალებას იძლევა, არამედ ერთსადაიმავე ფენომენის მრავალი

მკვლევარის მიერ ერთსადიმავე ან მსგავს პირობებში განშეორებითა დაკვირვებისასაც. ეს გარემოება კი გამოკვლევათა ურთიერთკონტროლს აადვილებს და ამავე დროს მათი თანამშრომლობის, ურთიერთთან დაკავშირებისა და ურთიერთის გაგრძელების შესაძლებლობასაც ქმნის.

მაგრამ დაკვირვება ამათუიმ მოვლენისა, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფსა და ჩვენი მიზნების მიხედვით ცვალებადს პირობებში განზრახაა ჩვენ მიერ გამოწვეული, ექსპერიმენტული დაკვირვების ან ცდის სახელითაა ცნობილი.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულა ექსპერიმენტმა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგებში. ცხადია, ვერც ფსიქოლოგია აუხვევდა მას გვერდს. დიდი ხანია, რაც ფსიქოლოგიაში მისი გამოყენების შესახებ დავა წარმოებდა; მაგრამ ფაქტიურად ეს დავა მხოლოდ XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დამთავრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვუნდტმა მას ლაიპციგის უნივერსიტეტთან დამოუკიდებელი ინსტიტუტი შეუქმნა.

2. ექსპერიმენტის პირობები. მაგრამ რამდენად სრულია ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული დაკვირვების წარმოების შესაძლებლობა? ან როგორია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ბუნება? ვინაიდან პრობლემა ექსპერიმენტის შესაძლებლობისა საზოგადოდ ფსიქოლოგიაში ჩვენი მეცნიერების ფაქტიურმა განვითარებამ უკვე გადასჭრა პრაქტიკულად, პრინციპულ საკითხს აქ არ შეეეხებით და მხოლოდ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ბუნების გათვალისწინებას შევეცდებით. მის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ შორსმწვდომი იმედები შეგვიძლია დაუეკავშიროთ ექსპერიმენტის შემოღებას ჩვენს მეცნიერებაში.

ვუნდტი ოთხს ძირითად მოთხოვნილებას გულისხმობს, რომელსაც ფსიქოლოგიური კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს, თუ მას სურს ექსპერიმენტად იქნეს ცნობილი: 1. დაკვირვების მწარმოებელს, რომელსაც ფსიქოლოგიაში, ჩვეულებრივ, ცდისპირს უწოდებენ. შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გამოსაკვლევი ფენომენის დაწყების მომენტი თვითონ განსაზღვროს. 2. მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ამ ფენომენის მაქსიმალური ყურადღებით განცდისა. 3. შესაძლებელი უნდა იყოს დაკვირვების მრავალგზისი გამეორება თანასწორ პირობებში. 4. უნდა შესაძლებელი იყოს გამოსაკვლევი ფენომენის ის პირობები, რომელშიც იგი ჩნდება, თანმხლებ გარემოებათა ვარიაციის საშუალებით, დადასტურებულ და შემდეგ შეცვლილ

იქნენ. ეს პირობათა ვარიაცია ან ნაწილობრივი აღკვეთის და ან მათი ქვანტიტატურად და ქვალიტატურად ცვალების გზით უნდა ხდებოდეს.

სამწუხაროდ, სრულიად შეუძლებელია ფსიქოლოგიური დაკვირვება ყველა ამ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდეს. ამას ყველაზე უმეტესად ორი გარემოება უშლის ხელს: ჯერ ერთი, სულიერი ცხოვრების იმ თავისებურების გამო, რომლის მიხედვითაც ერთხელ მომხდარი განცდა უთუოდ თავისებურ კვალს სტოვებს ცნობიერებაში, ერთსადაიმამვე უცვლელი სახით არა თუ ჩვენი რთული ფსიქიკური განცდების განმეორება არ ხერხდება, არამედ ისეთი მარტივსაც, როგორიც მაგალითად, ჩვენი შეგრძნებებია. კიდევ უფრო ძნელია განცდათა დიდი უმეტესობის თანმხლებ გარემოებათა ქვანტიტატურად და ქვალიტატურად ჩვენი ნებაყოფლობას მიხედვით ცვალება. ასეთ განცდათა რიცხვს ისეთი მნიშვნელოვანი ფსიქიკური ფენომენები ეკუთვნიან, როგორც, მაგ., აზროვნებისა და ნებელობის პროცესები, ე. ი. ის პროცესები, რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ინტერესი ახასიათებს. დასასრულ, ზოგიერთის, განსაკუთრებით უმაღლესი განცდის, ხელოვნური გამოწვევა ხომ სრულიად შეუძლებელი ზდება: როგორ გასურთ, ლაბორატორიის საშუალებებით და მის პირობებში ისეთი რთული განცდები გამოვიწვიოთ, როგორიც, მაგ., უმაღლესი ზნეობრივი განცდებია!

მამასადამე, ირკვევა, რომ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ვუნდტის ყველა მოთხოვნილებას სრულის ზედმიწევნალობით ვერ აკმაყოფილებს. ყველაზე უფრო მეტი ანგარიშის გაწვევა მათთვის შეგრძნებათა ექსპერიმენტული კვლევის დროს ხერხდება. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ფსიქოლოგი მესერი, არც აქა გვაქვს საქმე ამ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან, ხოლო რაც უფრო რთულისა და ცენტრალური ბუნების განცდათა კვლევაზე გადავივართ, ეს შესაძლებლობა მით უფროდაუფრო მცირდება.

ვუნდტი ამიტომ რთულ ფსიქიკურ განცდათა ექსპერიმენტულად კვლევის ნაყოფიერებას სრულიად უარყოფს და მათ შესწავლას გენეტურისა და შედარებითი მეთოდის საშუალებით აწარმოებს, რომელიც მის ფსიქოლოგიაში „ხალხთა ფსიქოლოგიური მეთოდის“ სახელითაა ცნობილი. მაგრამ ფსიქოლოგიის განვითარების ფაქტიურმა მიმდინარეობამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ რთულ განცდათა ექსპერიმენტული გზით კვლევაც საგრძნობ შედეგებს იძლევა.

8. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სახეები. ვუნდტის კლასიფიკაციის თანახმად, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სამი ძირითადი სახე უნდა იქნეს ურთიერთისაგან განსხვავებული:

ა) შთაბეჭდილების ან, როგორც სხვები უწოდებენ, გალიზიანების მეთოდთა ჯგუფი (Eindrucksmethoden; Reizmethoden). იმ სიტუაციად, რომელშიც ცდისპირი დგება, ამ შემთხვევაში ესა თუ ის გალიზიანება ითვლება. რომელსამე სუბიექტს რომელიმე არჩეული გალიზიანების ზემოქმედების ქვეშ ვაყენებთ და შემდეგ დაწვრილებით აღვნიშნავთ, თუ როგორ იქცევა იგი ამ გალიზიანების ზეგავლენის გამო. მაგალითისათვის შემდეგი მარტივი ცდა შეიძლება იქნეს აღებული. ვთქვათ, რომელსამე სუბიექტს ხელზე რაიმე სიმძიმეს ვაძლევთ და შემდეგ ამ სიმძიმეს ძლიერ მცირე ოდენობით ხან ვადიდებთ და ხან ვამცირებთ; თითოეულს ცალკე შემთხვევაში ცდისპირმა უნდა გვაცნობოს, იმატა სიმძიმემ თუ იქლო. მის ჩვენებებს ცალკე ოქმში აღვნიშნავთ, რათა შემდეგში მათი დამუშავების შესაძლებლობა მოგვცეს. მაშასადამე, აქ ცდისპირის განსაზღვრულ მინაღწევართან (Leistung) გვაქვს საქმე, და ექსპერიმენტული გზით უწინარეს ყოვლისა მას ვსწავლობთ. მაგრამ შეიძლება, მინაღწევართა ნაცვლად, ცდისპირის ქცევის სხვა მხარეებისაკენაც იყოს ცდა მიმართული.

შთაბეჭდილების მეთოდისათვის ხშირად ძლიერ რთული აპარატებია საჭირო, ვინაიდან აქ გალიზიანების არა მარტო რომელობითი, არამედ განსაკუთრებით რაოდენობითი ცვლაც გვიხდება.

შთაბეჭდილების მეთოდი განსაკუთრებით იმ ფსიქიკური პროცესების შესასწავლად იხმარება, რომელნიც გარე გამლიზიანებელთან მკიდროდ და ერთმნიშვნელოვნად არიან დაკავშირებულნი. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, შეგრძნება, მაგრამ აგრეთვე მარტივი გრძნობებიც, რომელთა ინტენსიობისა და რომელობის ცვალება, ჩვეულებრივ, გამლიზიანებლის ცვალებაზეა დამოკიდებული.

ბ) გამოსახულების მეთოდი (Ausdrucksmethode). ადამიანის სულიერი ცხოვრების მიმდინარეობა ისე მკიდროდაა მისი ფიზიკური ორგანიზმის სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებული, რომ ეს უკანასკნელნი, ვუნდტის რწმენით, ძლიერ ხშირად სიმპტომატური მნიშვნელობის მატარებლად ხდებიან. რა ბუნებისაა ეს კავშირი არსებითად, ამაზე ჩვენ თავის დროზე გვექნება საგანგებო საუბარი; მაგრამ რა ბუნებისაა უნდა იყოს იგი, ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს: იგი უექველი ემპირიული ფაქტია,

რომელიც შესაძლებელია მეთოდური მიზნით იქნეს გამოყენებულნი.

ფიზიოლოგიაში და ფსიქოლოგიაში უკვე დიდი ხანია დადასტურებულია, რომ განსაკუთრებით ზოგიერთს სხეულებრივ პროცესს უქვევლი სიმპტომატური კავშირი აქვს ჩვენს განცდებთან. ასეთებად, უწინარეს ყოვლისა, როგორც გაკვრით უკვე ზემოთაც იყო აღნიშნული, ჩვენი მაჩისცემის, ჩვენი სუნთქვის, ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილის სისხლის მოცულობის ცვალება ითვლება, ისე როგორც ჩვენი მიმოკური და პანტომიმოკური მოძრაობებისაც. ყველა ამ ცვლილებას, მათი სიმპტომატური მნიშვნელობის გამო, სულიერი პროცესებისათვის, შეიძლება გამოიხატებოდეს ამოსახულებითი მოძრაობა (Ausdrucksbewegung; выразительные движения) ვუწოდოთ.

ამ მოძრაობათა შესასწავლად ფიზიოლოგიაში სხვადასხვა საშუალება იქნა შემუშავებული, რომელსაც ფსიქოლოგიაშიც იყენებენ. ვინაიდან ამ მოძრაობათა სულ მცირე რაოდენობით ცვლილებებისაც კი სიმპტომატური მნიშვნელობა აქვს, გასაგებია, რომ მათს ზედმიწევნით შესასწავლად ყველა ასეთი ცვლილების აღნიშვნა ხდება აუცილებელი, მაგრამ ხშირად უხილავ ცვლილებათა გათვალისწინება მხოლოდ ძლიერ მგრძნობიერის, საგანგებო კონსტრუქციის აპარატების საშუალებით ხერხდება. ყველა ასეთი აპარატის როლი საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ თავისთავად ფარული და უხილავი ცვლილებები თვალსაჩინო გახადოს. ეს უმთავრესად იმით ხერხდება, რომ ამ აპარატების აგებულება თვით უსუსტეს მოძრაობათა თვალსაჩინოდ ჩაწერის შესაძლებლობას იძლევა.

გამოსახულების მეთოდი არა მარტო გამოსახულებით მოძრაობათა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, არამედ ზოგიერთს სხვა შემთხვევაშიც. სულიერი პროცესების ერთგვარს სიმპტომატურ გამოხატულებად აღამიანის ფიზიკური და გონებრივი მუშაობის ნაყოფიერებაც შეიძლება ჩაითვალოს. იგი ფსიქიკური ფაქტორების ზეგავლენით იცვლება, და იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს ეს ცვლილება, სათანადო დასვენათა გამოყენა თვით ფსიქიკური მდგომარეობის შესახებაც ხერხდება. ჩვენი კუნთების მუშაობის ენერგია, მაგ., ემოციურ განცდათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. სათანადო აპარატურის დახმარებით შესაძლებელი ხდება ამ ენერგიის ცვალებას თვალსაჩინო გრაფიკული გამოხატულება მიეცეს.

მეორეს მხრივ, გონებრივი მუშაობის ნაყოფიერების გასათვა-

ლისწინებლად, ჩვეულებრივ, ცდისპირს რაიმე მარტივ სამუშაოს აძლევენ ხოლმე: მაგ., ერთმნიშვნელოვან რიცხვთა მიმატებას ან გამოკლებას (კ რ ე პ ე ლ ი ნ ი), ან მარტივ კარნახს (სიკორსკი), ან უაზრო ტექსტში რომელიმე განსაზღვრულის ერთის ან ორი ასოს წაშლას (ბ უ რ დ ო ნ ი), და იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება შეცდომათა რაოდენობა სხვადასხვა ფსიქიკური ფაქტორის ზეგავლენით, სათანადო ფსიქოლოგიური მნიშვნელობის დასკვნათა გამოყენას ცდილობენ. ამგვარი ცდები განსაკუთრებით ხშირად დაღლილობის პროცესის შესასწავლად ეწყობა. ყველაზე მეტი ღვაწლი ამ სფეროში ფსიქიატრს კ რ ე პ ე ლ ი ნ ს ა და მის სკოლას მიუძღვის.

გ) რ ე ა ქ ც ი ი ს მეთოდი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მესამე ჯგუფს წარმოადგენს. ვუნდტი მას შთაბეჭდილებისა და გამოსახულების მეთოდთა შეერთებად სთვლის. და მართლაც, რეაქციის მეთოდის მარტივი სქემა ორ ფაზისს შეიცავს, რომელთაგანაც პირველი შთაბეჭდილების მეთოდს მოგვაგონებს, და მეორე — გამოსახულებისას.

რეაქციის მეთოდი ნებელობის მარტივი აქტების შესასწავლად იხმარება ან, საზოგადოდ, სარეაქციო მოძრაობათა ბუნების ცხადსაყოფად. მისი უმარტივესი სახე ასეთია: ცდისპირს ინსტრუქცია ეძლევა მიღებულ შთაბეჭდილებას რომელიმე განსაზღვრული რეაქციით უპასუხოს, ვთქვათ, მარჯვენა ხელის აწევით. როდესაც ამის შემდეგ ცდისპირი სათანადო გამღიზიანებელს აღიქვამს, იგი, თანაბმად ინსტრუქციისა, მარჯვენა ხელს ზევით სწევს. ამგვარად, პირველი მომენტი ცდისა მართლაც სავსებით შთაბეჭდილებას მეთოდს მოგვაგონებს, მაგრამ მეორე მომენტი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს გამოსახულების მეთოდს, ვინაიდან საპასუხოდ ხელის აწევა ამ შემთხვევაში ცდისპირის რომელიმე შინაგანი განცდის უნებურ გამოსახულებას როდი წარმოადგენს, არამედ წინასწარი შეთანხმების მიხედვით არჩეულ მოძრაობას, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება და სხვაეკვარიც ყოფილიყო.

მიღებულ შთაბეჭდილებასა და სარეაქციო მოძრაობის დაწყების მომენტს შორის განსაზღვრული დრო გადის, სათანადო აპარატურის დახმარებით ორივე ამ მომენტის სწორი რეგისტრაცია ხდება, და, ამგვარად, მათ შუა მდებარე ფსიქიკური პროცესის ხანგრძლიობა იზომება (ე. წ. „რ ე ა ქ ც ი ი ს დ რ ო“).

დ) კ ო მ ბ ი ნ უ რ ი მ ე თ ო დ ი. ბუნებისმეტყველური მეთოდი წმინდა სახით ფსიქოლოგიაში იშვიათად იხმარება. უფრო ხშირია

შემთხვევები, როდესაც მასთან ერთად თვითდაკვირვების გზასაც მიმართავენ ხოლმე. ბიპევიორიზმში, როგორც ვიცით, არსებითად მარტო პირველით კმაყოფილდება: მაგრამ მისი შეცდომაზე სწორედ ამაში მდგომარეობს: ცოცხალი ორგანიზმის ყოფაქცევა, მისი მუშაობა, უდაოდ უფრო გასაგები, უფრო ადვილად აღსაწერი იქნებოდა, თუ რომ ცნობიერების მოწმობასაც მივმართავდით. ხოლო, მეორეს მხრივ, წმინდა თვითდაკვირვებას იმდენი დაბრკოლება ელოდება წინ, რომ მის ჩვენებებს უთუოდ ერთგვარი შემოწმება ესაჭიროება. ასეთი შემოწმების შესაძლებლობას განსაკუთრებით ცდისპირის სულიერი ვითარების ობიექტურ მონაცემთა ანალიზი იძლევა. ამრიგად, ცხადია, ორივე მეთოდის კომბინაცია ხდება საჭირო.

ამიტომ ჩვენი მეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე მაინც კვლევა-ძიება უფრო ხშირად სწორედ ამ კომბინური მეთოდის გზით წარმოებს.

ყოფა სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ კომბინური მეთოდის ხმარების დროს მთავარი ყურადღება ხან დესკრიპტული ცნებების მოპოვებას ეპყრობა და ხან ფუნქციონალურისას. ეთქვას, მიზნად შემდეგი დესკრიპტული ცნობის მოპოვება მაქვს დასახული: რა განცდები ჩნდება ცნობიერებაში, როდესაც ცდისპირი სხედასხვა სიმაღლის ტონებს ისმენს? ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი შთაბეჭდილების მეთოდს მიმართავს და ცდისპირს სხედასხვა ტონებს მოასმენიებს, რომელზეც მან სხედასხვა მხრივ უნდა შეაფასოს, ეთქვას, სიმაღლის მხრივ. ცდისპირმა აქ თავისი შეფასების შედეგები უნდა მოგვცეს. და რამდენადაც ექსპერიმენტატორი მათ თავისი მიზნისათვის იყენებს, იგი წმინდაბუნებისმეტყველური მეთოდის გზით მუშაობს; მაგრამ ამავე დროს ცდისპირს ისიც ევალება, რომ მან თვალყური იმ განცდებსაც აღეცნოს, რომელთაც ტონების მოსმენისა და შეფასების დროს იგრძნობს. ამ მხრივ მას წმინდა თვითდაკვირვებას წარმოება ევალება. შესაძლებელია, ორმა ცდისპირმა ორს სიმაღლით განსხვავებულ ტონს ერთადიგივე შეფასება მისცეს. ბიპევიორისტული ფსიქოლოგია ან მარტო ბუნებისმეტყველური მეთოდი ამ რეაქციით დაკმაყოფილებოდა და ცდისპირთა ფსიქიკური განცდების ერთგვარობას დაასკვნოდა. მაგრამ შესაძლოა, რომ ერთმა იმიტომ უპასუხა საჭირო რეაქციით უფრო მაღალ ტონს, რომ იგი მას, ეთქვას, უფრო ნათელ ტონად მოეჩვენა, ხოლო მეორემ იმიტომ, რომ იგი უტრო მაღალი ტონის სახით განიცადა. ამ შემთხვევაში სრულიად ცხადია, რომ მარტო ბუნებისმეტყველური მეთოდი უეჭველ შეცდომაში შეგვიყვანდა. იმისათვის, რომ საქმის ნამდვილი ვითარება გავეუთვალისწინებინა, საჭირო იქნებოდა, ცდისპირთა თვითდაკვირვებისათვისაც მიგვემართა. სრულიად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ორივე ცდისპირი სწორ ცნობებს მოგვაწოდებდა იმის შესახებ, თუ

რა ფსიქიკური განცდები ელო საფუძვლად იმ გარემობას, რომ მათ სწორედ ასე უპასუხეს მეორე ტონს და არა ისე.

ამგვარად, თვითდაკვირვებისა და სხვათა დაკვირვების კომბინური მეთოდი ასეთ შემთხვევებში ცდისპირის ცნობიერების ვითარების შესახებ საიმედო დესკრიპტულ ცნობებს იძლევა. მაგრამ, შესაძლოა, ჩვენი მთავარი ინტერესი ფუნქციონალური ცნებებისაკენ იყოს მიმართული. ვთქვათ, ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა უდევს საფუძვლად მეხსიერების ეგოდენ ნაყოფიერ მუშაობას. ამ შემთხვევაშიც კომბინურ მეთოდს მივმართავთ: ცდისპირს განსაზღვრულ მასალას ვაწვდით დასამახსოვრებლად და შემდეგ ყურადღებით აღვნიშნავთ, თუ რამდენი განმეორების შემდეგ შესძლო მან ამ მასალის დამახსოვრება, როგორი სიმტკიცით, რა სისწრაფით ახდენს იგი მის რეპროდუქციას და სხვა. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრში ცდისპირის მეხსიერების მინალწევარია მოთავსებული. მაგრამ ამ მინალწევარს რომ სწორედ ეს და არა ის სახე აქვს, რომ იგი სწორედ ასეთია ამ შემთხვევაში და ისეთი იმ შემთხვევაში — ყველაფერი ეს რომ ნათლად გავიგოთ, ამისათვის უეჭველად ცდისპირის თვითდაკვირვება დაგვეხმარება.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში მთავარი ჩვენი ინტერესი მეხსიერების ობიექტური მინალწევარისაკენაა მიაყრობილი, და თვითდაკვირვების გზას მხოლოდ იმდენად მივმართავთ, რამდენადაც მას ამ მინალწევარის ცხადყოფისათვის შეუძლია ხელისშეწყობა.

### ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაცია

1. კლასიფიკაციის სიძნელე. ჩვენი ცნობიერება მთლიანად მიუხედავად ამისა, მასში მაინც მკაფიოდ განსხვავებულ ფსიქიკურ რომელობათა ცალკე ძირითადი ჯგუფების დადასტურება ხერხდება. საკითხი ფსიქიკურ ფენომენთა კლასიფიკაციისა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრობლემათაგანია. იგი ადამიანის სულიერი ცხოვრების მკლევართ იმთავითვე აინტერესებდა. ამის მიუხედავად, დღესაც არ შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიამ ამ საკითხის გადაჭრის საბოლოო სახეს მიაღწია, და მის განკარგულებაში ერთი ყველასათვის შესაწყნარებელი კლასიფიკაცია მოიპოვება. პირიქით, თუ ყველა მნიშვნელოვან ფსიქოლოგს არა, ყოველ შემთხვევაში ყველა განსხვავებულ ფსიქოლოგიურ სკოლას მაინც ხშირად თავისი საკუთარი კლასიფიკაცია აქვს შემუშავებული. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ერთი ფსიქოლოგის სიტყვით, „ჩვენი კონკრეტული



სულიერი განცდანი ძლიერ რთული ბუნებისანი არიან, ასე რომ ძნელი ხდება, ყველა ის კომპონენტები ურთიერთისაგან იქნენ გამოყოფილნი, რომლებშიც მათი სპეციფიკური თავისებურება მარხია. მაგრამ მეთოდოლოგიურ სიძნელესაც აქვს ადგილი. ჩვენი გონების დამახასიათებელი მონისტური ტენდენცია ადვილად ბადებს აზრს. თითქოს ჩვენი ცნობიერების შინაარსის სიმდიდრე ერთი სისტემატური განაწევრების შესაძლებლობას იძლეოდეს. ფაქტიური მდგომარეობა კი ისეთია, რომ სხვადასხვა ზოგადი განსხვავებულობანი ცნობიერების შინაარსთა შორის — განსხვავებულობანი, რომელნიც ხელოვნურად როდი არიან სულიერ სინამდვილეში შეტანილნი, არამედ თვით ბუნების მიერ არიან მასში შექმნილნი — ურთიერთს ენასკეებიან“ (გ ა ი ზ ე რ).

2. ძველი კლასიფიკაცია. მეორეს მხრივ. სულიერ ფენომენტა ზოგადი განსხვავებულობა ისე ნათელია. რომ შეუძლებელია იგი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამ განსხვავებულობის უმთავრესი ჯგუფები თვით ჩვეულებრივს მეტყველებაშიც ცხადადაა დადასტურებული. „მე მგონია“. „მე ვგრძნობ“. „მე მწადია“ — ყველაფერი ეს მკაფიოდ განსხვავებულ განცდათა არსებობას გულისხმობს. მართალია, გულუბრყვილო გონების შემთხვევითი ანალიზი მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ ამის მიუხედავად — უკლებლივ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე — მეცნიერებაში სწორედ ეს გულუბრყვილო აზროვნების ანალიზი იყო გამეფებული.

როდესაც დღესაც გრძნობათა ორგანოების შესახებ ვლაპარაკობთ, გრძნობის ქვეშ ჩვენი მხედველობის, სმენის. გემოვნების, ყნოსვისა და შეხების უნარს ვგულისხმობთ; მაგრამ ამავე დროს სიამოვნებასა და უსიამოვნებასაც ამავე სახელით აღვნიშნავთ. ნამდვილად კი სრულიად ცხადია, რომ სიამოვნებისა და უსიამოვნების, ფერისა და ტონის განცდებს შორის უეჭველი ქვალიტატური განსხვავება არსებობს. გულუბრყვილო თვითდაკვირვება ამ განსხვავებას ვერ ხედავს, და მისთვის სულიერი ცხოვრების მთელი სიმდიდრე გრძნობის (ან წარმოდგენის) და ნდომის ფენომენებით ამოიწურება. სწორედ ასევე მსჯელობდა ძველი მეცნიერებაც, როდესაც იგი — ვიდრე XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე — სულიერ ფენომენტა მრავალსახიანობას მხოლოდ ორს ძირითად ჯგუფად ჰყოფდა: შემეცნებად და ნებელობად.

მეთვრამეტე საუკუნეში, უმთავრესად გერმანელი ფსიქოლოგის ტეტენისის შემდეგ, პირველად გამოაშკარავდა, რომ ფერის, ტონ-

ნის და სხვა ამგვარ ფენომენტა ფსიქოლოგიური ბუნება სიამოვნება — უსიამოვნების განცდათაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ამიტომ აუცალბელებელი შეიქნა ე. წ. გ რ ძ ნ ო ბ ი ს ფენომენტა ორს განსხვავებულ კლასად გაყოფა, რომელთაგანაც ერთს შემეცნებითი ბუნება აქვს და მეორეს — წმინდა ემოციური. პირველს შე გ რ ძ ნ ე ბ ა (ощущение, Empfindung) ეწოდება. ხოლო მეორეს გ რ ძ ნ ო ბ ი ს სახელწოდება შერჩა. ამის მიხედვით — განსაკუთრებით ფილოსოფოსის კ ა ნ ტ ი ს ძლიერი გავლენის გამო — ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში სულიერ ფენომენტა სამ ჩვეუფად დანაწილება ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა.

უნდა ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების შინაარსში ამ სამი ქვალიტატურად განსხვავებული ფსიქიკური მიმდინარეობის არსებობა, მართლაც, ყველაზე უფრო უშუალოდ გვეძლევა. სრულიად უდაოა, რომ შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის განცდები საე-სებით ამოსწურავენ ყველა იმ ძ ი რ ი თ ა დ განსხვავებულობას, რომელიც ჩვენი ცნობიერების შინაარსში ხელსახებად გვეძლევა. ამდენად ეს კლასიფიკაცია მისაღებია.

3. ელემენტარული პროცესების კლასიფიკაციის ცდები. მაგრამ შეუძლებელია ფსიქოლოგიური ანალიზი იმ ტლანქად განსხვავებულ ფორმებზე შეჩერდეს, რომელიც ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობაში ხელსახებად დასტურდება. საჭიროა ამ რთული ფორმების შემდეგი ანალიზი. ვიდრე მათი პირველადი ელემენტები არ იქნება მიგნებული: შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ის პირველადი ელემენტები, რომელნიც შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის ცალკე ფენომენტებს აგებენ, ურთიერთისაგან სრულიად არ განსხვავდებოდნენ, ანდა, პირიქით, მათი რიცხვი მათ მიერ აგებული ფორმებისას გაცილებით სკარბობდეს.

XIX საუკუნის ფსიქოლოგიაში ამ საკითხის გადაჭრის თათქმის ყველა შესაძლებლობას ვხვდებით. ზოგი (მაგ., მი უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ი ა ნ ც ი ჰ ე ნ ი) საკითხს მონისტურად სჭრის და მთელი სულიერი ცხოვრების შინაარსის გამოყვანას ერთადერთი ელემენტარული პროცესიდან ლამობს. ასეთ პროცესად, ჩვეულებრივ, შე გ რ ძ ნ ე ბ ა ს სთვლიან. ზოგი, როგორც, მაგალითად, ვ. ვუნდტი, მხოლოდ შე გ რ ძ ნ ე ბ ი ს ა და გ რ ძ ნ ო ბ ი ს ელემენტარული პროცესების შესახებ ლაპარაკობს, და, დასასრულ, ზოგი კიდევ ამ ორ ძირითად ელემენტს მესამესაც უმატებს, სახელდობრ, ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს ელემენტარულ აქტებს.

რამდენად შეეფერება თითოეული ეს შეხედულება საქმის ნამდვილ ვითარებას, ამ საკითხის გადაჭრა შემდეგისათვის უნდა გადაიდოს. აქ კი შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ დღეს ვაერცვლებული შეხედულების თანახმად, შეგრძნების, გრძნობისა და ნებელობის ძირითადი ელემენტარული პროცესები სრულიად დამოუკიდებელ პროცესებად უნდა იქნენ აღიარებულნი, და, ამის მიხედვით, ძველი განაწილება რთული სულიერი ფენომენებისა სამ ჯგუფად ელემენტარული პროცესების მიმართაც ძალაში უნდა დარჩეს.

4. შტუმფის კლასიფიკაცია. ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შინაარსი გრძნობის, შეგრძნებისა და ნებელობის განსხვავებული სახეებით მხოლოდ ერთი თვალსაზრისით გვევლინება. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი თვალსაზრისი. პირიქით. ჩვენი ცნობიერების ანალიზი, რომელსაც თანამედროვე ესქპერიმენტული ფსიქოლოგიური გამოკვლევები იძლევიან, სხვა ასპექტთა არა თუ შესაძლებლობას, არამედ ზოგჯერ გაცილებით მეტ ნაყოფიერებასაც ამტკიცებს. ფსიქიკურ-სინამდვილის განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგულისხმო თავისებურებანი სწორედ ამ თვალსაზრისის გარეშე რჩებიან. და ვისაც მათი გათვალისწინება სწადია, იმისათვის ჩვენი ცნობიერების შინაარსის განხილვა უთუოდ სხვა ასპექტითაც აუცილებელი იქნება.

ფსიქიკურ განცდათა ასეთი განსაკუთრებული თვალსაზრისით კლასიფიკაციის საინტერესო ცდას ცნობილი კ. შტუმფი იძლევა. მისი აზრით, ცნობიერების ფაქტთა მთელი სამკვიდრო ოთხს განსხვავებულ ჯგუფად შეიძლება გაიყოს, რომელთაგან პირველს „მოვლენები“ შეადგენს. მეორეს — „ფსიქიკური ფუნქციები“, მესამეს — „მიმართებანი“, და მეოთხეს — „ფსიქიკური ფუნქციითა წარმოქმნილი“.

მოვლენებად შტუმფი გულისხმობს შეგრძნებებს, სივრცისა და დროის ფორმებითურთ და ტკივილისა და სიამოვნების განცდებს, არა მარტო, როგორც ასეთებს, არამედ მათს წარმოღვენებასაც, ე. ი. მათ რეპროდუქციასაც. სამაგიეროდ ფსიქიკური ფუნქციებად მას მოვლენათა და მათ მიმართებათა შემჩნევა მიაჩნია, მათი კომპლექსებად გაერთიანება, ცნებათა წარმოება, სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი. შეწყნარება და უკუგდება, შეთვისება და შეფასება. ფსიქიკურ განცდათა ამ ორ ჯგუფს შორის, მისი აზრით, არც ლოგიკურად არსებობს ჭაიმე საერთო და არც რეალურად: ისინი სრულიად დამოუკიდებელ ჯგუფებს წარმოადგენენ. მესამე ჯგუფს, როგორც ვიცით, ე. წ. მიმართებანი შეადგენენ, ე. ი. იგივეობა, მსგავსება და

განსხვავება. მეოთხეს, დასასრულ — ფსიქიკურ ფუნქციათა წარმონაქმნი, ე. ი. ფორმები (მოყვანილობის რომელობანი), ცნებები, ღირებულება და მიზანი.

შტუმფის კლასიფიკაციის ამ ცდამ გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია და მკლევართა ყურადღება განსაკუთრებით „მოვლენათა“ და „ფუნქციათა“ საკითხისაკენ მიმართა. ამ მხრივ მისი მნიშვნელობა უდაოა. ხოლო რამდენადაც შტუმფი მოვლენათ, ე. ი. შეგარძნებებს, გარძნობებსა და მათს რეპროდუქტულ სახეებს ანუ წარმოდგენებს არსებითად ფსიქიკურად არ სთვლის, ამდენად, ყოველ შემთხვევაში, მისი კლასიფიკაცია მიუღებელია: ფსიქოლოგია იმთავითვე განსაკუთრებული გულისყურით სწორედ ამ პროცესებს იკვლევდა და აქ დიდ წარმატებას მიაღწია.

სამაგიეროდ უდაოა, რომ ჩვენი ცნობიერება მარტო შინაარსით (შეგარძნება, წარმოდგენა და სხ.) არ ამოიწურება: იგი ფუნქციებსაც ან, როგორც ეხლა ამბობენ, აქტებსაც, მაგალ., აზროვნებას შეიცავს. ამ მხრივ შტუმფის კლასიფიკაცია უთუოდ საყურადღებოა.

## ფსიქიკური პროცესების უშუალოდითი ხასიათი

1. ფიზიკურის ფიზიკურზე ზემოქმედების უშუალობა. თანამედროვე მეცნიერებაში აქსიომატურ დებულებად ითვლება, რომ ფიზიკური სამყაროს მოვლენები განუყრელს მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან: ერთი მოვლენა მეორეზე იხდენს გავლენას და ამით იგი მასში მომხდარი ცვლილებების უშუალო მიზეზად იქცევა. მიზეზი და შედეგი ორივე ამ სამყაროს მოვლენებს, ორივე ფიზიკურ მოვლენებს წარმოადგენენ; და, მაშასადამე, იმისათვის, რომ რაიმე ფიზიკური მოვლენა ახსნა, მიზეზის ძებნა ამავე ფიზიკური სამყაროს მოვლენათა შორის უნდა აწარმოო. „ბუნების დახშული კაუზალობის პრინციპი“, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება აღიარებს, იმას გულისხმობს, რომ ფიზიკური შედეგი მხოლოდ ფიზიკური მიზეზით შეიძლება იქნეს გამოწვეული. რომ მათ შორის უშუალო კავშირი არსებობს, რომ ერთის მეორეზე ზემოქმედებისათვის არავითარი, არაფიზიკური მოვლენის შუამავლობა არაა საჭირო. უდაოა, რომ ბუნების მეცნიერებათა მძლავრი განვითარება, რომელსაც მთელს ახალ ხანაში ჰქონდა და აქვს ადგილი, ამ დებულების აღიარების გარეშე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ საკვირველი არაა,

რომ იგი სინამდვილის სხვა სფეროების შესწავლისასაც იქნა გამოყენებული.

2. „უშუალობის თეორია“ ფსიქოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური სინამდვილე თვალსაჩინო დაბრკოლებებს ქმნის „უშუალობის თეორიის“ გამოყენების საწინააღმდეგოდ. იგი აქაც იმთავითვე იქნა შემოღებული. თანახმად ამ თეორიის ძირითადი აზრისა ფსიქიკური სინამდვილეც ცალკე სამყაროს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე ცვლილებები უწყვეტ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან და ერთი მეორეს კაუზალურად განსაზღვრავენ. ფსიქიკურის უშუალო მიზეზი მხოლოდ ფსიქიკური შეიძლება იყოს, და თუ რაიმე ცვლილება ხდება ფსიქიკაში — ეს ისევ ფსიქიკურის უშუალო ზემოქმედებით უნდა აიხსნას. თეორიული დასაბუთება ამ დებულებას განსაკუთრებით ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამამთავარმა ვუნდტმა მისცა; ხოლო მის ფაქტიურ გამოყენებას ვუნდტამდეც ჰქონდა ადგილი. ჯერ კიდევ ჰერბარტი მთელი ფსიქიკის შინაარსსა და ცხოვრებას წარმოდგენათა ურთიერთ-ზეგავლენით ხსნიდა. თუ რას შეიცავს ამა თუ იმ მომენტში ადამიანის ცნობიერება, ეს, მისი აზრით, იმაზეა დამოკიდებული, როგორია მისი, წარმოდგენების ურთიერთობა. საგულისხმოა, რომ ამ ურთიერთობას, ჰერბარტის მიხედვით, წმინდა მექანიკური ხასიათი აქვს: ძლიერი წარმოდგენა სუსტს ჩრდილავს და ცნობიერებიდან სდევნის; მაშასადამე, თუ რა წარმოდგენს ამათი მომენტში ჩვენი ფსიქიკის შინაარსს, ეს სავსებით ცალკეულ წარმოდგენათა ძალების მიმართებაზეა დამოკიდებული. ამიტომ იყო, რომ ჰერბარტი წარმოდგენათა მექანიკის შესახებ ლაპარაკობდა.

კიდევ უფრო წმინდა სახით ეს უშუალობის თეორია ე. წ. ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ძირითად მოძღვრებებში ჩანს. თანახმად ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის მტკიცებისა, მთელი ფსიქიკის შინაარსს წარმოდგენები იძლევიან. ისინი გარკვეული კანონზომიერების მიხედვით უკავშირდებიან ერთმანეთს; საკმარისია ამ კავშირის ერთი წევრი გაჩნდეს ცნობიერებაში, რომ მას მეორეც მოჰყვეს თან. აზრიც, გრძნობაც, ნებელობაც, ერთი სიტყვით, მთელი ფსიქიკური ცხოვრება წარმოდგენათა ასეთს ასოციაციასა და მყარებულს. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ფსიქიკაში ხდება, ისევ ფსიქიკურის — რომელიმე მასთან ასოციირებული წარმოდგენის — ზემოქმედებით აიხსნება: ფსიქიკურს ფსიქიკური მიზეზები აქვს; ფსიქიკურზე ფსიქიკური მოქმედებს.

ვუნდტი, რომელიც თავის ძირითად შეხედულებებში ჰერბარტსაც ეწინააღმდეგება და ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიასაც. არა მარტო პრაქტიკულად განაგრძობს თავის ფსიქოლოგიურ მუშაობაში უშუალოდ თეორიის პოზიციებზე დგომას, არამედ მის ფილოსოფიურ დასაბუთებასაც ცდილობს. იგი ამბობს, რომ ყველაზე უფრო უეჭველი დაკვირვება, რომელიც ადამიანს აქვს, ეს ჩვენი ცნობიერების ერთიანობა, ე. ი. ფსიქიკურ მოვლენათა ურთიერთ დაკავშირებულობა არისო: ფსიქიკური მოვლენები თვითონ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, თვითონ ახდენენ თავის განუწყვეტელ მდინარებაში ურთიერთზე გავლენას. მაშასადამე, ფსიქოლოგია, როგორც ემპირიული მეცნიერება, ამ უეჭველ ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს და ყველაფერს მისი მიხედვით ხსნიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ყოველი ფსიქიკური პროცესი მოვლენათა კანონზომიერ კავშირის წარმოადგენს“, რომელშიც ერთი მიზეზია და მეორე შედეგი. ნამდვილი მეცნიერული კვლევაძიება ფსიქოლოგიაში. ვუნდტის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რომ ფსიქიკური კაუზალობის პრობლემა ასე იქნება გადაჭრილი, თუ რომ ფსიქიკური შედეგი ყოველთვის ფსიქიკური მიზეზის ზემოქმედების ნიადაგზე იქნება გაგებული, თუ რომ, ერთი სიტყვით. ფსიქიკას, როგორც კანონზომიერად ურთიერთზე მოქმედის და ურთიერთთან დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობას წარმოვიდგენთ.

უშუალოდ თეორია დღემდე განაგრძობს ბატონობას ფსიქოლოგიაში. თითქმის ყველაზე უფრო გავლენიანი მიმართულება უახლეს ფსიქოლოგიაში, ე. წ. გეშტალტთეორია, ისიც ამ თეორიის ნიადაგზე დგას. მისი ერთადერთი ძირითადი პრინციპის აზრი ისაა, რომ განცდათა სფეროში ნაწილობრივი, ელემენტური პროცესები კი არ ახდენენ ურთიერთზე გავლენას და ამ გზით კონკრეტულსა და რთულ განცდებს ქმნიან, არამედ, პირიქით, ცალკეულსა და ნაწილობრივს მთელი განსაზღვრავს. მაგრამ ორივე, მთელიცა და ნაწილობრივიც, ფსიქიკურ მოვლენებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, ფსიქიკური კაუზალობის პრობლემა გეშტალტთეორიის მიხედვითაც ფსიქიკურ პროცესთა უშუალო ურთიერთ ზემოქმედების აღიარების ნიადაგზე წყდება.

ამრიგად, თანამედროვე ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ფსიქიკური უშუალო გავლენას ახდენს ფსიქიკურზე.

3. უშუალოდ თეორიის კრიტიკა. თანამედროვე ფსიქოლოგთა შორის ხშირად შეხვედებით ისეთებსაც, რომელთაც სრულიად

არ მიაჩნიათ სავალდებულოდ ფსიქიკური მოვლენების მიზეზად უთუოდ მხოლოდ ფსიქიკური მოვლენები ჩათვალონ, ისინი აღნიშნავენ, რომ ფიზიკურს და სხვა არაფსიქიკურ პროცესებსაც შეუძლიათ ფსიქიკაზე ზემოქმედების მოხდენა. მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ „უშუალობის თეორია“ მათთვისაც აქსიომატურ დებულებას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ მათი აზრით, ფიზიკურიც პირდაპირ. უშუალოდ მოქმედებს ფსიქიკაზე, ისე როგორც პირიქითაც, ფსიქიკური ფიზიკურზე. მაგალ., ნემსით ჩხვლეტა (ფიზიკური პროცესი) პირდაპირ ტკივილის გრძნობას იწვევს და ეს უკანასკნელი (ფსიქიკური პროცესი) თავის მხრივ — სხეულის შესაფერ მოძარობას.

ერთი სიტყვით, უშუალობის თეორიის მიხედვით, სინამდვილე — ფიზიკური იქნება აგი, თუ ფსიქიკური — პირდაპირ, ყოველი შუაწევრის მონაწილეობის გარეშე, მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე. მაშასადამე, ფსიქიკა უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფება სინამდვილესთან: ისაა, რომ სინამდვილეზე მოქმედებს, და ისაა, რომ ამ უკანასკნელიდან მიმდინარე ზემოქმედებას ღებულობს.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ადამიანი, ისე როგორც ყოველი სხვა ცოცხალი ორგანიზმიც, გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბდა და განვითარდა. უშუალობის თეორიის მიხედვით, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანი კი არა, ფსიქიკა იმყოფება ურთიერთობაში სინამდვილესთან, ამ განვითარების ერთადერთს წარმართველ ძალას ფსიქიკა წარმოადგენს, ადამიანის მთელ ისტორიას იგი ქმნის. ეს დებულება წმინდა იდეალისტური დებულებაა, და ესაა მიზეზი, რომ უშუალობის თეორიის საფუძველზე აგებული თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგია მთლიანად იდეალისტური შინაარსისაა.

უეჭველია, რომ ფსიქიკის ასეთი მოწყვეტის უმართებულობა მთლიანი ორგანიზმისაგან, მთლიანი პიროვნებისაგან, ასეთი შეუწყნარებელი უგულვებლყოფა ამ უკანასკნელის როლის მნიშვნელობისა, შეუმჩნეველი არც ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დარჩებოდა. უეჭველია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რომ სინამდვილესთან ფსიქიკა კი არა, სუბიექტი ამყარებს ურთიერთობას, რომ არსებობისა და განვითარებისათვის ის იბრძოდა და იბრძვის, და არა მისგან მოწყვეტილი და მის გარეშე მყოფი ფსიქიკური სამყარო. მაგრამ უშუალობის თეორიის ნიადაგზე ამ უეჭველი ფაქტის გაგება მხოლოდ იმ შედეგებში შეიძლებოდა, თუ რომ ნაცადი იქნებოდა ადამიანის, როგორც აქტიური არსის, როგორც პირო-

ვნების, ფსიქიკაზე დაყვანა; თუ რომ დამტკიცდებოდა, რომ სუბიექტი არსებითად ფსიქიკის მეტს არაფერს წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ ქვეყელი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს „სუბიექტი ყოველთვის ცნობიერება ან თვითცნობიერება“ ყოფილიყოს (მარქსი), ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგიის მამამთავარი ვუნდტი ფიქრობს: მეცნიერული ფსიქოლოგიისათვის სუბიექტი ფსიქიკურ მოვლენათა ერთობლიობის მეტს არაფერს წარმოადგენსო. სუბიექტის სხვაგვარად გაგებული ცნება, მისი აზრით, სუბსტანციის ძველი ცნების აღდგენას ნიშნავს, და ფსიქოლოგიური ფაქტების მეცნიერულ შესწავლას სრულიად არაფერს შესძენს.

ამრიგად, უშუალოდ თეორიის გადარჩენის ცდას აქაც უაღრესად იდეალისტური დებულების აღიარებამდე მივყავართ, ისეთი დებულების აღიარებამდე, რომლის უმართებულობაც არავითარ ექვს არ იწვევს. საქმე ისაა, რომ სუბიექტი, ინდივიდი, პიროვნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ფსიქიკური ფუნქციების ერთობლიობად ჩაითვალოს: ფსიქიკა თვითონ ინდივიდს კი არა, იმ იარაღს წარმოადგენს, რომელიც მან გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში შეიძინა და რომელსაც იგი მასთან ბრძოლაში იყენებს; იგი თვითონ სუბიექტი კი არა, „მისი ორგანოა“ (მარქსი); და, რა თქმა უნდა, გარესინამდვილესთან ურთიერთობაში ინდივიდის „ორგანოები“ კი არა, თვითონ ინდივიდი იმყოფება, რომელიც ამ ორგანოებს ამ ურთიერთობის პროცესში იყენებს.

4. მთლიანი სუბიექტი როგორც ამოსავალი ცნება ფსიქოლოგიაში. უშუალოდ თეორიის მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ფსიქიკა აწარმოებს: იგი მოქმედებს უშუალოდ სინამდვილეზე და დებულებს უშუალო ზემოქმედებას მისგან. მაშასადამე, გამოდის, რომ ცოცხალ სუბიექტს, პიროვნებას, აქ ადგილი არ რჩება და ფსიქოლოგიას მასთან არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს.

წინააღმდეგ ბურჯუაზიული ფსიქოლოგიის ამ დებულებისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური განვითარების ძირითად წყაროს სწორედ ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა, ანუ სინამდვილესთან ურთიერთობა წარმოადგენს. პირდაპირი უშუალო კავშირი მხოლოდ ასეთს რეალურ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის არსებობს; და ფსიქოლოგია, რომელიც თავის ამოცანას ადამიანის ფსიქიკის შესწავლაში სჭვრეტს, თავის ამოსავალ



წერტილად შეიძლება მხოლოდ აქტიური სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობას, რეალური ადამიანის პრაქტიკას სახავედს. ამიტომ ფსიქოლოგია გვერდს ვერ აუქცევს სუბიექტის, მთლიანი ადამიანის, პიროვნების ცნებას. ფსიქიკის — პიროვნების ამ სპეციფიკური „ორგანოს“ — სტრუქტურისა და ფუნქციობის კანონზომიერების გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ რომ იგი მოწყვეტილი განიხილებოდა მისი მატარებლისა და მწარმოებლის, მთლიანი პიროვნების, ცნებიდან, თუ რომ მოძებნილი არ იქნებოდა ის ფაქტორი, რომელიც სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობის აქტში ისახება და ფსიქიკური პროცესების სახით იშლება. ამიტომ მთლიანი პიროვნების პრობლემა ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიის ამოსავალ პრობლემად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს ერთი მიმართულება. რომელსაც თითქოს დაძლეული უნდა ჰქონდეს უშუალობის თეორიის ძირითადი ნაკლულოვანება; ეს არის ე. წ. პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომლის მამამთავარს ვ. შტერნი წარმოადგენს.

შტერნის ძირითადი დებულება მართლაც ეწინააღმდეგება უშუალობის თეორიის მთავარ პრინციპს. მისი აზრით, ურთიერთობა სინამდვილესა და ფსიქიკას შორის როდი არსებობს, არამედ სინამდვილესა და ფსიქიკის სუბსტრატს შორის. ასეთ სუბსტრატად მას პერსონა (პირი) მიაჩნია. მაშასადამე, მისი აზრით, ურთიერთობა სინამდვილესა და პიროვნებას შორის არსებობს. ხოლო რაც შეეხება ფსიქიკურს, იგი წმინდა მეორად სფეროს წარმოადგენს, რომელსაც საფუძვლად სხვა, უფრო არსებითი მნიშვნელობის სფერო — პიროვნება — უდევს.

ამრიგად, უშუალობის თეორია თითქოს ძლეულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ საკმარისია ყურადღებით შევეისწავლოთ პერსონის ცნება, რომელიც შტერნს ყოველმხრივ აქვს განხილული, რათა დავრწმუნდეთ, რომ უშუალობის თეორია ფაქტიურად პერსონალისტურ ფსიქოლოგიაშიც დაუძლეველი რჩება. საქმე ისაა, რომ, შტერნის მიხედვით, პიროვნება ფსიქიკური პროცესების „უფალია და რეგულატორი“, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი თავისი მიზნების მიხედვით წარმოშობს და წარმართავს ფსიქიკურ პროცესებს. მაშასადამე, ფსიქოლოგიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მიზნობრიობის პრინციპს აქვს, არამედ მიზნო-

ბრივობისას — ფსიქოლოგიაში ტელეოლოგიური  
თვალსაზრისითაა ძირითადი. ეს ერთი მთავარი ნაკლია.

რაც შეეხება მეორეს, უშუალობის პრინციპის ხელშეუხებლო-  
ბა აქ უკვე სრულიად ნათლად ჩანს. ჯერ ერთი, შტერნის მიხედ-  
ვით, ფსიქიკურის გავლენა იმავე სუბიექტის სხვა ფსიქიკურ პრო-  
ცესზე უშუალოდაც ხდება, ხოლო მეორე, შტერნი იდეალის-  
ტური კონცეფციის ნიადაგზე დგას და ამიტომაც, რომ, ბოლოსდა-  
ბოლოს, პიროვნება მისთვის მეტაფიზიკურ არსად არის დასახული.

## პარი მერაი

### პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები

#### წინასწარი შენიშვნები

1. როგორია პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები? უდაოა, რომ ყოველი სუბიექტი, რომელიც ურთიერთობაში იმყოფება გარემოსთან, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზმს წარმოადგენს. მაგრამ მართო ეს გარემოება ყოველთვის როდი ამოსწურავს მის არსს: ადამიანი, როგორც აქტიური სუბიექტი, განსაკუთრებით როგორც პიროვნება, მართო ბიოლოგიურ ინდივიდს, მართო ორგანიზმს, როდი შეადგენს: იგი პირველ რიგში და განსაკუთრებით სოციალური არსებაცაა. მაგრამ სოციალურ არსებად, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია გადაიქცეს, და იმისათვის, რომ პიროვნების არსი გაიგო, პირველ რიგში მისი ბიოლოგიური საფუძვლის, მისი ორგანიზმის ბუნება უნდა გაითვალისწინო.

რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ბუნების მოვლენა? ამ საკითხის სპეციალური შესწავლა ბიოლოგიურ მეცნიერებათა საქმეა, კერძოდ, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის.

ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი: არის თუ არა საჭირო, ფსიქოლოგია საგანგებოდ შეჩერდეს, პიროვნების შესწავლის დროს, მისი ბიოლოგიური საფუძვლების სისტემატურ გათვალისწინებაზე? მიუხედავად იმისა, რომ კვლევადება ამ სფეროში ბიოლოგიურ მეცნიერებათა ამოცანას წარმოადგენს, ეს საკითხი მაინც დადებითად უნდა გადაიქრას. მართალია, ყველა ცნობა ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდის, როგორც ორგანიზმის შესახებ, ბიოლოგიურ

მეცნიერებათ მოეპოვება. მაშასადამე, ფსიქოლოგიის ფარგლებში მათი ვადატანა და განქორება საკირო არ უნდა იყოს. მაგრამ რამდენადაც სპეციალურად პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლების საკითხი ამ მეცნიერებათ არ აინტერესებს, მათ სათანადო მასალა საგანგებოდ შერჩეული და სისტემატურად დალაგებული ვერ ექნებათ. მაშასადამე, ფსიქოლოგია იძულებული ხდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში გაბნეული, მისი თვალსაზრისით საინტერესო მასალა შეაგროვოს, თავისი პრობლემატიკის ასპექტით შეაფასოს, შეარჩიოს და ბოლოს თავისი მიზნების შესატყვისად სისტემატურად დააღაგოს.

ანრიგად, ორგანიზმი, როგორც მთლიანობა, აი ბიოლოგიური პრობლემა, რომელიც ფსიქოლოგიას მთლიანი პიროვნების პრობლემასთან დაკავშირებით აინტერესებს.

თუ მეტხრანეტე საუყუნის ბიოლოგიურ მეცნიერებათ განსაკუთრებული ინტერესის საგნად უჭრედი მიაჩნდათ, როგორც ძირითადი მასალა, რომლიდანაც ცოცხალი ორგანიზმი აგებული, ხოლო უკანასკნელი, როგორც მთლიანობა, ყურადღების გარეშე რჩებოდათ, დღეს მდგომარეობა შეცვლილია: ორგანიზმის, როგორც მთლიანობის, პრობლემა სულ უფროდაუფრო წინა რიგებში დგება და უფროდაუფრო ნაყოფიერი შეაწავლის საგნად იქცევა. დღევანდელ მეცნიერებაში მთლიანი ორგანიზმის პრობლემა სხვადასხვა მიმართულებით მუშავდება, განსაკუთრებით სხეულის კონსტიტუციის შინა სეკრეციისა და, დასასრულ, ნერვული სისტემის შესწავლის მიმართულებით.

## კონსტიტუციის მოძღვრება

ჯერ კიდევ ჰიპოკრატის მიერ (5 საუკ. ჩ. წელთაღრიცხვამდე) იყო აღნიშნული, რომ ორგანიზმი, როგორც მთლიანი მოქმედებს, რომ ავადმყოფობის სახე და მიმდინარეობა ამ მთლიანზეა დამოკიდებული. დღეს უკვე უდაოდ ითვლება, რომ ტუბერკულოზის ბაცილამ შეიძლება ერთს ორგანიზმში ტუბ-ლოზი გამოიწვიოს, ხოლო მეორისათვის სრულიად უვნებელი აღმოჩნდეს. ყვავილის შრატმა შეიძლება ერთში მძლავრი ანთებადი პროცესი და მაღალი ტემპერატურა გამოიწვიოს, ხოლო მეორეზე არავითარი გავლენა არ მოახდინოს. უეჭველია, ორივე ამ შემთხვევაში ერთიდაიგივე გარემოზე ჩი რომ ეგოლენ განსხვავებულ შედეგებს იძლევა, ეს მთლიანი ორგანიზმის განსხვავებულობის ბრალი უნდა იყოს: ერთიდაიმავე ნაწილის ერთიდაიმავე ინტენსიობით დაზიანება სხვადასხვა ორგა-

ნიზში სხვადასხვა ეფექტს იძლევა; ერთსადაიმევე გამლიზიანებელს სხვადასხვა ორგანიზმი სხვადასხვანაირად უპასუხებს.

ორგანიზმის, როგორც მთელის, ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ევოლუციურ თავისებურებათა ერთობლიობას, რომელიც მისი რეაქციების ასეთს სპეციფიკურ რაგვარობას განსაზღვრავს, ჩვეულებრივ, კონსტიტუციას უწოდებენ. სხვადასხვა ორგანიზმი რომ თავისი ერთიადიმევე ნაწილის გალიზიანებას სხვადასხვანაირად უპასუხებს, ეს, მაშასადამე, თითოეული მათგანის კონსტიტუციით აიხსნება. კონსტიტუცია ამისდა მიხედვით ფუნქციონალური ცნებაა: იგი ორგანიზმის იმ სასიცოცხლო პროცესების ანახსნელად არის შემოღებული, რომელთა გაგებაც მისი ცალკეული ნაწილების გათვალისწინების ნიადაგზე შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ მთლიანი ორგანიზმის ამ ფუნქციონალურ თავისებურებას მორფოლოგიური საფუძვლები აქვს, და კონსტიტუცია სხეულის აღნაგობის სპეციფიკურ მთლიანობაშიც იჩენს თავს. ყოველი ორგანიზმი თავისი მასალის მხრივ ერთნაირია: ადამიანის სხეულის ანატომია სრულ სურათს იძლევა იმისას, თუ რა და რა ნაწილებსაგან შესდგება იგი. მაგრამ ყოველს კერძო შემთხვევაში ამ ნაწილების ურთიერთმართება ერთნაირი არაა, და, შესაძლოა, სხეულის, როგორც მთლიანის, თავისებურება სწორედ ამ ნიადაგზე იყოს აღმოცენებული. მაგალ., შესაძლებელია, ყოველი ცალკე ორგანიზმი იმით განსხვავდებოდეს მეორისაგან, რომ ან მისი ძირითადი მასალა, უჯრედები, იმყოფებოდნენ განსხვავებულს ურთიერთმიმართებაში, ან მისი ცალკე ორგანოები და ორგანოთა სისტემები — ნერვული სისტემა, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის სისტემა, სქესობრივი სისტემა და სხვ; რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ორგანიზმის, როგორც მთელის, მორფოლოგიური სტრუქტურა სხვადასხვაგვარი იქნება და, საკვირველი არაა, რომ ამის კვალობაზე მისი ფუნქციონალური მხარეც შესატყვისად იყოს შეცვლილი: განსხვავებულად აგებული სოპატური მთლიანი, რასაკვირველია, განსხვავებულ რეაქციებს მოგვცემს. აქედან ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ორგანიზმის მორფოლოგიური კონსტიტუციის შესწავლას. ეს მნიშვნელობა მით უფრო უდაოა, რომ არსად ისე ნათლად არ ჩანს ორგანიზმის, როგორც მთლიანობის, თავისებურება, როგორც სხეულის აღნაგობაში. აქ იგი უკვე გარეგნობაში, მის ე. წ. კაბისტუში იჩენს თავს და იმდენად მკაფიო გამოხატულებას პოულობს, რომ სხეულის მორფო-

ლოგიური კონსტიტუციის ზოგიერთი ძირითადი სახესხვაობა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, მაგალ., ეგვიპტეში, ე. ი. რამოდენიმე ათასი წლას წინათ, იყო შენიშნული.

ყველაზე უფრო გავრცელებულად — განსაკუთრებით ფსიქოლოგთა შორის — კრეჩმერის მიერ შემოღებული კონსტიტუციონალური ტიპები უნდა ჩაითვალოს, რომელთა საფუძვლადაც სწორედ ჰაბიტუსის თავისებურებაა გამოყენებული.

კრეჩმერი კონსტიტუციის სამს ტიპს განასხვავებს: 1) პიკნიკურს, 2) ასთენიკურსა და 3) ათლეტურ ტიპს.

როგორია ეს ტიპები? ფსიქოლოგიურად განსაკუთრებით საინტერესოა თავისა და სახის აღნაგობა: მათი საერთო შეხედულება და განიხილველება ხშირად ბევრს იძლევა ადამიანის პიროვნების დასახასიათებლად. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საქმე აქ მთელს ეხება, და მარტო თავისა და სახის მოყვანილობის თავისებურებასა გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს: მორფოლოგიური კონსტიტუციის აღწერისას მთელი ორგანიზმი უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

კრეჩმერის აღწერის თანახმად, პიკნიკური კონსტიტუციის ჰაბიტუსი ასეთია: თვალში გეცემა, უპირველეს ყოვლისა ფართო, რბილი, მრგვალი სახე, რომელიც თავის ქალას მოყვანილობასაც ფარდობდა: პიკნიკის თავის ქალა დიდია, მრგვალი და ღრმა. კისერი მოკლეა და მუცელი საკმაოდ მოზრდილი. სიმსუქნისადმი ტენდენცია და სხეულის შინა ორგანოების (მუცლის, მკერდისა და თავის) მძლავრი განვითარება — დაბალ სიმაღლესთან ერთად — პიკნიკის ჰაბიტუსის დამახასიათებელ ნიშნებად ითვლება.

ასთენიკური კონსტიტუციის ჰაბიტუსი სულ სხვაგვარია: განმდარი და ფერმკრთალი, მკვეთრად მოხაზული, მოგრძო და ვერც სახე, რომელიც კვერცხის ფორმის შთაბეჭდილებას სტოვებს. წერტილი განმდარი სხეული, რომელსაც გადაკრული აქვს სისხლხაჯი და ვერც მხარბეჭი და წერილი კიდურები, სუსტად განვითარებული კუნთებით, ჩავარდნილი გულმკერდი და შეწყვეტილი მუცელი — ყველაფერი ეს საკმაოდ კარგად განასხვავებს ასთენიკს პიკნიკსაგან.

ათლეტური კონსტიტუციის ჰაბიტუსი ასეთია: მძლავრი თავი, რომელიც სწორად ღვას მდალსა და მაგარ კისერზე; სახე მკვეთრი ძეგლოვანა რელიეფით; ფართო მხარბეჭი და ფართო გულმკერდი; მკვეთრად გამოკვეთილი კუნთები მთელს ტანზე, განსაკუთრებით კი კიდურებზე. ერთი სიტყვით, ჩონჩხის, კუნთური აპარატისა და კანის

მძლავრი განვითარება, აი რ' ძირითადი თავისებურება, რომელიც ათლეტური კონსტიტუციის სპეციფიკურ ჰაბიტუსს ახასიათებს.

ლიტერატურაში კონსტიტუციის სხვაგვარი ტიპოლოგიაა ცნობილი (მაგალ., ს ი გ ო ს ი, ბ ე ნ ე კ ე ს ი და სხვების). მაგრამ აქ მათ განხილვაზე არ შევჩერდებით: აქ ჩვენ მხოლოდ იმდენად გვიინტერესებს კონსტიტუციის საკითხი, რამდენადაც იგი ორგანიზმის, როგორც მთლიანის, მოქმედების ფაქტს გვითვალისწინებს.

უფრო საინტერესოა საკითხი, თუ ორგანიზმის რა ნიშნებია, რომ მის ფუნქციონალურ თავისებურებას, მის კონსტიტუციას ქნის. ავტორების ერთი რიგი კონსტიტუციონალურად ორგანიზმის მხოლოდ მემკვიდრეობით განმტკიცებულ თვისებებს, ე. წ. გენოტიპს სთვლიან. ამ შეხედულების მიხედვით, ორგანიზმის, როგორც მთლიანის, მოქმედება ინთავითვე ფატალურადაა განსაზღვრული, და მისი შეცვლა არავითარს გარეპირობას არ შეუძლია: „კონსტიტუცია ორგანიზმის სომატური ფაქტორია“-ო, ამბობს ტ ა ნ დ ლ ე რ ი.

ეს შეხედულება მიუღებელია: იგი ადვილად შეიძლება ექსპლოატორული წესწყობილების გასამართლებლად იქნეს გამოყენებული: თანამედროვე ბურჟუაზიული „მეცნიერები“ (ჯიუნტერი, პენდე), მაგალ., საზოგადოების ვაბატონებულსა და დაბეჩავებულ კლასებადა და ერებად დანაწილების გარდუეალობას გენოტიპურად განსაზღვრულის, უცვლელი კონსტიტუციის იდეით ასაბუთებენ. კონსტიტუციის გაგების, როგორც გენოტიპის, მცდარობა ნათელია: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კონსტიტუციის ცნება ორგანიზმის, როგორც მთლიანის, მოქმედების თავისებურებათა გასაგებადაა შემოღებული. რა საბუთი გვაქვს შამინ ვიფიქროთ, რომ ორგანიზმის მთლიანობას მართო მისი ნაწილობრივი — გენოტიპურად განმტკიცებული თვისებები განსაზღვრავენ. შეძენილი თვისებები ორგანიზმს ნაკლები არა აქვს, და თუ მთლიანის მოქმედების თავისებურებაზეა ლაპარაკი, უეკველია, მათი გამორიცხვა სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. ამიტომ უფრო მართებულად იმ მეცნიერთა აზრი უნდა ჩაითვალოს, რომელთა მიხედვითაც კონსტიტუციას ორგანიზმის თვისებათა ერთობლიობა (ფენოტიპი) განსაზღვრავს, რამდენადაც იგი ინდივიდის თავისებურებას ახასიათებს. ამ მთლიანი, ფენოტიპური, კონსტიტუციის ანალიზისას ყოველთვის იქნება შესაძლებლობა, ერთის მხრივ, მემკვიდრეობითი ფაქტორებით განსაზღვრული კომპონენტები დავადატუროთ (გენოტიპური ან — ლენციის ტერმინოლოგიით — იდიოტიპური კონსტიტუცია), და, მეორეს მხრივ, გარეფაქტორებით პირობადებული — პარა-

ტიპული კონსტიტუცია ან, როგორც ბაუეჩი იტყვოდა, კონდიცია.

## შინაგანი სეკრეცია

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის, როგორც მთლიანობისათვის, მის შინაგან სითხეებს, სისხლსა და ლიმფას. ამ უკანასკნელთა საშუალებითა, რომ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროდუქტები მთელ ორგანიზმში ვრცელდება და მის შინაგან ქიმიურ კავშირს, მის შინაგან მთლიანობას ქმნის. ამ სითხეების ქიმიურ შემადგენლობაზეა მთელი ორგანიზმის კვება დამოკიდებული, და იმის მიხედვით, თუ როგორია მათი ქიმიური შემოქმედება, მთელი ორგანიზმის მდგომარეობა გარკვეულ ცვლილებას განიცდის: ორგანიზმის, როგორც მთლიანის, რაგვარობის დადგინებაში კუმორალური ფაქტორი (humor- სითხე) უდაოდ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

მაგრამ სისხლისა და ლიმფის შემადგენლობა და მათი ქიმიური მოქმედება მარტო იმ პროდუქტებზე როდია დამოკიდებული, რომელსაც ორგანიზმი კვების გზით ღებულობს გარედან. დადასტურებულია, რომ თვითონ ორგანიზმის ზოგიერთი შინაგანი ორგანოც იმუშავებს პროდუქტებს, რომელნიც სისხლის შემადგენლობაში შედიან და ამ გზით მთელ ორგანიზმზე ახდენენ გავლენას. ამ ორგანოებიდან უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ე. წ. შინა სეკრეციის ჭირკვლების სისტემას ანუ ენდოკრინულ სისტემას აქცევენ. როგორც ჩანს, ორგანიზმის, როგორც მთლიანის, გასაგებად ენდოკრინული ფაქტორის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ორგანიზმში ჭირკვლების ორ ჯგუფს განასხვავებენ. პირველი ჯგუფისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი ორგანიზმში შემუშავებულს. უმეტეს შემთხვევაში, მავნე პროდუქტებს სპეციალური სადინარების საშუალებით გარეთ გამოჰყოფს და ამგვარად მას ამ პროდუქტების მავნე ზეგავლენისაგან ათავისუფლებს. ჭირკვლების ამ ჯგუფს გარე სეკრეციის ჭირკვლებს უწოდებენ (მათრიცხვს ეკუთვნის, მაგალ., საკმლის მომწელებელი ჭირკვლები, ოფლის ჭირკვლები). სულ სხვაგვარ სამსახურს უწევს ორგანიზმს ჭირკვალთა მეორე ჯგუფი. ამ ჭირკვლებს გარესადინარები არა აქვთ, და ამ მიზეზით ის პროდუქტები რომელთაც ისინი ამუშავენ, შიგნითვე რჩება, ორგანიზმში, გადადის სისხლში, ცვლის მის ქიმიზმს და ამ გზით მთელ ორგანიზმზე სპეციფიკურ გავლენას ახდენს. ჭირკვ-



ლების ეს სისტემა შინა სეკრეციის ჭირკვლების სისტემის, ანდა ენდოკრინული სისტემის სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო მათ მიერ გამოწვეული პროდუქტები ჰორმონების სახელწოდებით.

სხვადასხვა შინა სეკრეციის ჭირკველის ჰორმონი სხვადასხვა გავლენას ახდენს ორგანიზმზე:

1) მკერდუკანა ჭირკველის (thymus) ჰორმონები ყველაზე უფრო ადრე იწყებენ ორგანიზმზე ზეგავლენის მოხდენას. ეს ჭირკველი რომ ზრდადასრულებულ ცხოველს ამოვაცალოთ, მასში თითქმის ვერაფერია ცვლილებას ვერ დავადასტურებთ. სამაგიეროდ, ახალგაზრდა ორგანიზმში ამ ჭირკველის ამოკვეთა ზრდის შეჩერებასა და ჩონჩხის რახატულ დარღვევას იწვევს. საკმარისია მას მეორე ცხოველის მკერდუკანა ჭირკველი გადავუნერგოთ, რომ ყველა ეს ავადმყოფური მოვლენა გაქრეს და ორგანიზმმა კვლავ ნორმალური ზრდა დაიწყო. მაშასადამე, მკერდუკანა ჭირკველის ჰორმონი ზრდისა და ძვალოვანი ჩონჩხის ნორმალური განვითარების ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

2) ფარისებრივი ჭირკველის ჰორმონი, ე. წ. თიროქსინი არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ეს ჭირკველი ყელის წინა მიდამოებშია მოთავსებული და ხორხის გვერდებსა და წინა ნაწილს ფარავს. როცა მისი მოქმედება დაქვეითებულია (ჰიპოტირია), ორგანიზმი თვალსაჩინოდ იცვლება: ზრდის პროცესი ჩერდება, კვება ქვეითდება, გონება ჩლუნგდება. უკიდურეს შემთხვევაში ჩნდება ჩიყვიანობა და კრეტინიზმი, სპეციფიკური ანომალიები, რომელნიც მთლიანი ორგანიზმის თავისებურ დაავადებას წარმოადგენენ. ფარისებრივი ჭირკველის ჰიპერტირია, ე. ი. გაძლიერებული მოქმედება და აქედან წარმოშობილი სიჭარბე თიროქსინისა მთლიანი ორგანიზმის თავისებურს ავადმყოფურ ცვლილებებს იწვევს: ნერვული აგზნებადობის აწევას, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებას, ოფლიანობას, სუნთქვისა და გულსისციმის გაზშირებას... განსაკუთრებით მკაფიო გამოვლენას ეს სიმპტომები ე. წ. ბაზედოვის ავადმყოფობის შემთხვევაში პოულობენ, რომელიც, მაშასადამე, ფარისებრივი ჭირკველის ჰიპერტირიის ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული.

3) არანაკლებ თვალსაჩინო გავლენას ახდენს ორგანიზმზე ე. წ. ჰიპოფიზი, ანუ ტვინის დანამატი, რომელიც ტვინის ფუძეზეა მოთავსებული, სწორედ მხედველობითი ნერვების კვა-

რედინს ზემოთ. თუ რა გავლენას ახდენს იგი ორგანიზმზე, ესეც მისი ჰიპოტონიისა და ჰიპერტონიის შემთხვევებიდან ჩანს ნათლად. საკმარისია ორგანიზმს მისი ჰორმონი დააკლდეს, რომ ზრდას პროცესი შესატყვისად შენელდეს ან მოემატოს, რომ მან გიგანტური ზრდა იწყოს. ამჟამად ექსპერიმენტალური საბუთებიც მოიპოვება იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ჰიპოფიზი ორგანიზმის ზრდის რეგულაციაზე ახდენს გადამწყვეტ გავლენას: ახალგაზრდა ცხოველს რომ ეს ჭირკვალი ამოუყვეთოთ, მისი ზრდა ორგანიზმის ყველა ნაწილებში შესატყვისად შენელდება; ასე, რომ საბოლოოდ პროპორცია ამ ნაწილებს შორის ჩვეულებრივი რჩება, ოღონდ სხეული ნორმალურ სიდიდეს ვერ აღწევს: ცხოველი თავისი გვარის პატარა ზომის წარმომადგენლის შთაბეჭდილებას ქმნის.

4) ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ზენიშნული იქნა (ბროუნსეკარის მიერ), რომ სასქესო ჭირკვლებს ორმაგი ფუნქცია აქვთ როგორც გარე სეკრეციის, ისე შინა სეკრეციისაც. მაშინ როდესაც პირველი ორგანიზმის გამრავლების მაზნს ემსახურება, მეორე სპეციფიკურ ქიმიკურ პროდუქტებს ქმნის, რომელნიც სისხლში გადადიან და მისი საშუალებით მთელ ორგანიზმზე მძლავრ გავლენას ახდენენ. სასქესო ჭირკვლების ჰორმონების ზემოქმედება მთლიან ორგანიზმზე არაჩვეულებრივ ძლიერია და თვალსაჩინო. ყველა სქესობრივი თავისებურება, რომლითაც ქალისა და ვაჟის ორგანიზმი ურთიერთისაგან განსხვავდება, სასქესო ჭირკვლების შინასეკრეტორულ გავლენას უნდა მიეწეროს. მაშრობითი სქესის ცხოველს რომ დედრობითი სქესის ჭირკვლები გადაუნერგო და დედრობითს მაშრობითის, ცხოველი საწინააღმდეგო სქესის ნიშნებს შეიძენს: მაგალ., მამალი დედალს დაემსგავსება და დედალი მამალს. საკვირველი არაა, რომ მთელი ორგანიზმის განახლების, გაახალგაზრდავების მიზნის განსახორციელებლად მედიცინაში სწორედ სასქესო ჭირკვლებს მიმართავენ. შტაინახისა და ვორონოვის გაახალგაზრდავების ცნობილი ცდები, რომელნიც ზოგჯერ, დროებით მაინც, არაჩვეულებრივ მძლავრ შედეგებს იძლევიან, სასქესო ჭირკვლების მთლიან ორგანიზმზე ულრმესი გავლენის ფაქტს ადასტურებენ.

გარდა აღნიშნული შინა სეკრეტორული ჭირკვლებისა, სხვებიც არსებობენ, რომელთა ინკრეტებიც (შინა გამონაყოფი) არანაკლებ გავლენას ახდენენ ორგანიზმზე. უეჭველია, ორგანიზმის მთლიანობის ჩამოყალიბებაში შინა სეკრეციის ჭირკვლები განსაკუთრებით

დიდ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ორგანიზმის მთელი კონსტიტუცია პირველ რიგში და განსაკუთრებით ამ ჭირკვლებს ურთიერთ დამოკიდებულების ნაწარმოებს წარმოადგენს. მაგრამ უდაოა, რომ კონსტიტუციის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ნერვული სისტემა ასრულებს.

## ნერვული სისტემა

ცოცხალი ორგანიზმის ფილოგენეტიკური განვითარების გზაზე არცერთს მის მხარეს არ განუცდია ისეთი თვალსაჩინო ცვლილება, როგორც ნერვულმა სისტემამ განიცადა. ამიტომ არაფერი ისე მკაფიოდ არ ახასიათებს ცოცხალი ორგანიზმის განვითარების დონეს, როგორც მისი ნერვული სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციონალური რაგვარობა. ეს გარემოება ადვილად აფიქრებენებს კაცს, რომ არ უნდა არსებობდეს არცერთი მხარე ორგანიზმში, რომელიც ეგოდენ არსებითად იყოს მასთან, როგორც მთლიანთან, დაკავშირებული, როგორც ეს ნერვული სისტემის შესახებ უნდა ითქვას. თანამედროვე მეცნიერებაში მოიპოვება მთელი რიგი ფაქტებისა, რომელიც სრულად უდაოდ ხდის ამ დებულებას.

იმისათვის, რომ ნათლად იქნეს გათვალისწინებული ის ფუძემდებელი როლი, რომელსაც ნერვული სისტემა ასრულებს ორგანიზმის, როგორც მთლიანის, ჩამოყალიბების საქმეში, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მას განვითარების თვალსაზრისით განვიხილავთ. უდავოა, რომ ის ნერვული სისტემა, რომელსაც ამჟამად მალალ ცხოველებში ვხვდებით, თვალუწვდენელი წარსულიდან მომდინარე განვითარების შედეგს და ამ მიზეზით მორფოლოგიურად და ფუნქციონალურად უაღრესად გართულებულ აპარატს წარმოადგენს. ამიტომ უეჭველია, რომ ის ძირითადი როლი, რომელსაც მთლიანი ორგანიზმის მიმართ ნერვული სისტემა ასრულებს, უფრო თვალსაჩინოდ მისი ჩასახვისა და თანდათანობითი განვითარების დასაწყის საფეხურებზე უნდა იჩინდეს თავს, ვიდრე მისი განვითარების იმ საფეხურებზე, როდესაც იგი მრავალმხრივ გართულებულია და დიფერენცირებული ორგანიზმის მიზნებს ემსახურება.

ორგანიზმსა და მის გარემოს შორის კავშირის დამყარება, ორგანიზმსა და მის გარემოს შორის ურთიერთობის დადგინება, ყოველთვის ნერვული სისტემის უმთავრეს ფუნქციად ითვლებოდა. მასთანადამე, იმთავითვე იყო ნაგულისხმევი, რომ გარემოდან მომდინარე ზემოქმედება ნერვული სისტემის საშუალებით გადაეცემა ორგა-

ნიზმს, ისე როგორც, პირიქითაც, ორგანიზმის ზემოქმედება გარემოზე კვლავ ნერვული სისტემის დახმარებით ხდება. ამისდა მიხედვით, ნერვული სისტემა ორგვარი ელემენტებისაგან შესდგება: იმ ელემენტებისაგან ან ნერვული ბოქკოებისაგან, რომელნიც გარემოს ზემოქმედებას გადასცემენ ორგანიზმს, და იმ ელემენტებისაგან ან ნერვული ბოქკოებისაგან, რომელნიც, პირიქით, ორგანიზმიდან მომდინარე იმპულსებს გადასცემენ ამათუიმ მომუშავე ორგანოს, რომელიც თავის მხრივ შესატყვის ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ამრიგად, ნერვულ სისტემაში ორგვარ ნერვულ ბოქკოებს განასხვავებენ: აფერენტულს (რეცეპტორულს, გრძნობიერს) და ეფერენტულს (მოტორულს, ეფექტორულს). მეტად თუ ნაკლებად რთული ორგანიზმის შემთხვევაში ნერვული ბოქკოების ამ ორ სისტემას შესაძენ სისტემა, ე. წ. ცენტრალური ნერვული სისტემა, აერთიანებს: იგი აფერენტული გზით მიმდინარე იმპულსებს ღებულობს და ეფერენტულს გადასცემს; მაშასადამე, ორივე ამ სისტემის — აფერენტულისა და ეფერენტულის — ურთიერთობას და ამით ორგანიზმის გარემოსთან დამოკიდებულებას აწესრავებს.

სიცოცხლის პრიმიტიულ საფეხურებზე მდგომარეობა სხვაგვარად უნდა წარმოვიღგინოთ. ერთუჯრედოვანი ორგანიზმიც ცოცხალი არსებაა, და როგორც ასეთი, იგიც ერთგვარ ურთიერთობაში იმყოფება თავის გარემოსთან, ე. ი. გარემოდან მომდინარე იმპულსებს ღებულობს და მათ ამათუიმ მოძრაობით ანუ რეაქციით უპასუხებს. მაშასადამე, ფუნქციონალურად ძირითადში იგი ნერვული სისტემის მქონე ორგანიზმისაგან არაფრით არ განსხვავდება, მაგრამ მორფოლოგიურად ნერვული სისტემის მას სრულიად არაფერი გააჩნია. ეს ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. იგი გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის დასაწყის საფეხურზე გარემოს ზემოქმედება ორგანიზმზე და ორგანიზმის გარემოზე რომელიმე მისი სპეციალური ნაწილის — ნერვული ელემენტების — საშუალებით როდი ხდება, არამედ მთელი ორგანიზმის საშუალებით: უდავოა, რომ ნერვული სისტემის ფუნქციას აქ მთელი ორგანიზმი ასრულებს.

განვითარების ცოტა უფრო მაღალ საფეხურზე (მაგალ., ჭიათა სამკვიდროში) მდგომარეობა იცვლება. აქ უკვე ორგანიზმის მორფოლოგიური შემადგენლობა შედარებით უფრო რთული ხდება; და იმ უჯრედთა შორის, რომელნიც სხეულის გარე საფარს წარმოადგენენ, ჩვენ ისეთებსაც ვხეღებთ, რომელნიც დანარჩენებისაგან

სტრუქტურითაც განსხვავდებიან და ფუნქციითაც, და ამ შემთხვევაში ჩვენ უდაოდ ნერვული ელემენტის ჩანასახთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს ნერვული ელემენტი ჯერ კიდევ სრულიად მოკლებულია ფუნქციონალურ დიფერენციაციას: არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ან მარტო აფერენტული ბოქკოს როლს ასრულებდეს ან მარტო ეფერენტულისას. მასში ჯერ კიდევ ორივე ფუნქციაა გაერთიანებული: იგი რეცეპტორიც არის და ეფექტორიც ერთსადაიმევე დროს.

განვითარების შემდეგ საფეხურზე რეცეპტორული და ეფექტორული ფუნქცია უკვე ცალკე უჯრედებს შორის ნაწილდება: ერთი უჯრედი რომ გარე გავლიზიანებას ღებულობს, მეორე ამის საპასუხოდ რაიმე რეაქციას იძლევა; მაგრამ განვითარების ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ამ უჯრედებს შორის, აფერენტულსა და ეფერენტულს შორის, ჯერ კიდევ არავითარი შუამავალი არ ჩანს: აფერენტული უჯრედი პირდაპირ ეხება თავის შინა ზედაპირით ეფერენტულს და ასე გადასცემს მას იმპულსს.

იმპულსების გადასაცემი სპეციალური აპარატის — ცენტრალური ნერვული სისტემის — ჩანასახი განვითარების მხოლოდ შემდგომ საფეხურებზე ჩნდება: მგრძობიერსა და მამოძრავებელ უჯრედებს შუა ახალი ნერვული ელემენტები ჩაერთვის, რომელნიც თავის თავზე მხოლოდ იმპულსების გადაცემის ფუნქციას ღებულობენ და ამრიგად ცენტრალური აპარატის როლს ასრულებენ.

ნერვული სისტემის განვითარების ყველა ამ საფეხურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ისაა, რომ იგი როგორც მორფოლოგიურად, ისე ფუნქციონალურადაც ნამდვილ დიფუზიურ სისტემას წარმოადგენს. ნერვული ელემენტები ფართოდ არიან გაბნეული მთელ ორგანიზმში და ისე მკიდროდ უკავშირდებიან ერთიერთს თავისი მორჩებით, ისე არიან ერთმანეთში გადახლართულნი, რომ მათ შორის საზღვრის მონახვა შეუძლებელი ხდება. ერთი სიტყვით, თითოეული ცალკე ელემენტი განუსაზღვრელ კავშირში იმყოფება ყველა დანარჩენ ელემენტთან, და მთელი სხეული ერთ განუყოფელ მთლიანადაა შეკრული. თავისთავად იგულისხმება, ნერვული სისტემის ასეთ დიფუზიურ აღნაგობას ფიზიოლოგიური მოქმედებაც შესაფერისი ექნება: საკმარისია სხეულის ერთ რომელსავე ნაწილზე რაიმე გამლიზიანებელმა იმოქმედოს, რომ საპასუხოდ მთელი ორგანიზმის მამოძრავებელი აპარატის რეაქცია მივიღოთ: ყოველი გაღიზიანება მთელი ორგანიზმის დიფუზიურ რეაქციას იწვევს.

მაშასადამე, მიუხედავად ცალკე სპეციალური ელემენტების — ნერვეული ელემენტებისა და სისტემის — გაჩენისა, ორგანიზმი ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც მთლიანი ორგანიზმს გარემოს ზეგავლენას: ორგანიზმის ცალკე ორგანოთა და მამოძრავებელი აპარატის ცალკე ნაწილთა შორის ჯერ კიდევ არააღიარებული განსხვავება, არავითარი დიფერენციაცია არ ჩანს. ეს ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

განვითარების შემდგომ საფეხურებზე სწორედ ეს დიფერენციაციის პროცესი დგება პირველ რიგში. ჯერ ჩნდება ე. წ. კვანძოვანი ნერვეული სისტემა: ორგანიზმის განსაზღვრულ ადგილებზე ნერვეულ ელემენტთა მეტად თუ ნაკლებად კონცენტრირებული ჯგუფები იყრის თავს, და ამნაირად ცალკეულ ნერვეულ კვანძებს ქმნიან. მიუხედავად ასეთი მორფოლოგიური დიფერენციაციისა, კვანძოვანი ნერვეული სისტემა ფიზიოლოგიურად არსებითად მინც ისევ დიფუზიური რჩება: გარეგამლიზიანებელი ან მთელი მამოძრავებელი აპარატის დიფუზიურ რეაქციას იწვევს, ანდა საუკეთესო შემთხვევაში, რომელშიც მთლიანი სისტემისას (მაგალს; შინა ორგანოების მთელი სისტემისას, პერიფერიული კუნთების მთელი სისტემისას).

შემდეგ საფეხურზე ნერვეული სისტემის დიფერენციაციის საქმე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მიიწვევს წინ. ჩნდება ე. წ. ძეკვანძოვანი ნერვეული სისტემა, ნერვეული სისტემის განვითარების ერთ-ერთი მაღალი ფორმა; აქ სხეულის თითოეულს საგმენტში საკუთარი ნერვეული აპარატი ვითარდება, რომელიც მას დანარჩენი სეგმენტებისაგან სრულიად დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას აქლევს. ორგანიზმი ცალკე ერთეულებად (სეგმენტებად) იყოფა, და ის, რაც ერთს მის სეგმენტში ხდება, მეორეს თითქოს სრულიად არ ეხება. მაგრამ ძეკვანძოვანი ნერვეული სისტემის აგებულების ზუსტი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ეს სულ ასე არაა, რომ მას მარტო ცალკეული ნერვეული კვანძები როდი აქვს, რომელიც ცალკე სეგმენტების დამოუკიდებელ ნერვეულ აპარატებს წარმოადგენენ და მთელ ორგანიზმს მტკიცე სეგმენტარულ აღნაგობას აძლევენ; მას ისეთი ნერვეული ელემენტების სისტემაც აღმოაჩნდა, რომელიც ყველა სეგმენტის ნერვეულ კვანძებს ურთიერთს უკავშირებს და ერთ მთლიან ნერვეულ სისტემად აერთიანებს. ეს გარემოება გასაგებად ხდის, რომ ორგანიზმი განვითარების ამ საფეხურზეც მთლიან ორგანიზმად რჩება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ამ მხრივ ზოგიერთი შედარებით უფრო მსხვილი კვანძების აღმოცენება, რომელიც სეგმენტარულ მნიშვნელობას თითქმის სრულიად მოკლე-

ბულნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა დანარჩენი კვანძის, მთელი სეგმენტარული ნერვული აპარატის მოქმედებას იმორჩილებენ. ორგანიზმის მთლიანი, ინტეგრირული მოქმედების უზრუნველყოფა განსაკუთრებით ამ არასეგმენტარული კვანძის ფუნქციას შეადგენს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნერვული სისტემის განვითარების იმ საფეხურზეც კი, სადაც პირველ რიგში განსაკუთრებით დიფერენციაციისა და განთვისების ტენდენციები დგებიან, ნერვული სისტემა ისეთ ელემენტებსაც ავითარებს, რომელნიც ორგანიზმის, როგორც მთლიანის, მოქმედებას უზრუნველყოფენ.

თავი რომ დავანებოთ ახლა ნერვული სისტემის განვითარების შემდგომი საფეხურების თანდათანობით დახასიათებას და პირდაპირ ცხოველთა სამკვიდროს უმაღლეს წარმომადგენელთა, კერძოდ. ადამიანის ნერვული სისტემის განხილვაზე გადავიდეთ, ჩვენ ვნახავთ, რომ აქ განვითარებას ორივე საწინააღმდეგო ტენდენცია — დიფერენციაციისა და გამთლიანების ანუ ინტეგრაციის ტენდენცია — განსაკუთრებით მკაფიოდ არის წარმოდგენილი.

შევიჩინოთ ჩერ დიფერენციაციის თვალსაზრისზე! ადამიანის ნერვული სისტემის აგებულებაში ნათლად არის დაცული განვითარების ორივე ადრეული მონაპოვარი, რომელთაც თავის გამოხატულება კპოვეს ერთის მხრივ, კვანძოვანისა და მეორეს მხრივ, სეგმენტური ნერვული სისტემის აღმოცენებაში. ადამიანის პერიფერიული ნერვული სისტემა, ე. ი. აფერენტული და ეფერენტული გზები თითქმის უკლებლივ სეგმენტურ პრინციპზეა აგებული: ზურგის ტვინიდან ნერვების 31 წყვილი გამოდის, რომელთაგანაც თითოეული ჩვენი სხეულის პერიფერიის გარკვეულ ნაწილს უკავშირდება და ამ უკანასკნელის დამოუკიდებელ ნერვულ აპარატს წარმოადგენს. სამაგიეროდ, კვანძოვანი ნერვული სისტემის პრინციპი თავის გამოხატულებასა და შემდგომ განვითარებას ცენტრალური ნერვული სისტემის აღნაგობაში პოულობს.

ცენტრალური ნერვული სისტემა ანუ ტვინი ნერვული ელემენტების კონცენტრირებულ მასას წარმოადგენს და ორგანიზმის სრულიად გარკვეულ ნაწილებშია თავმოყრილი: ხერხემალსა და თავის ქალაში. ამით იგი კვანძოვანი ნერვული სისტემის განვითარების მაღალ დონეს მოგვაგონებს. მისი მთავარი ნაწილები შემდეგია:

1) ზურგის ტვინი, რომელიც ხერხემლის მილშია მოთავსებული და დასაბამს აძლევს პერიფერიული ნერვების დიდ უმრავლესობას. 2) მოგრძო ტვინი (medulla oblongata), რომელიც ზურგის ტვინის თავის ქალაში გაგრძელებას წარმოადგენს. 3) ნათ-

ხეში, რომელიც თავის ქალაშია მოთავსებული და ზურგის ტენის თავზე აქვს დახურული. 4) ზემოდ, ცოტა უფრო წინ მოთავსებულია შუატვინი (corpora quatrigenina, ოთხბორცვი), 5) მხედველობის ბორცვი (შუამდებარე ტვინი, chiasmus opticus) რომელიც აღნიშნულ ნაწილებსა და დიდ ტვინს შუამდებარეობს და ისეა აგებული, რომ მათი შუამავლის როლს უნდა ასრულებდეს. დასასრულ 6) დიდი ტვინი, რომელიც შეიცავს:

ა) თეთრ ნევთიერებას (ნერვულ ბოქოებს, რომელნიც ან ტვინის ქვედა ნაწილებიდან, განსაკუთრებით კი მხედველობის ბორცვიდან გამოდინარეობენ, ანდა თვითონ დიდი ტვინის სხვადასხვა არეებს ურთიერთს უკავშირებენ: ე. წ. საასოციაციო ნერვული ბოქოები) და

ბ) რუხ ნევთიერებას, ე. ი. დიდი ტვინის ქერქს, რომელიც 2000 კვადრ. სანტიმ. სივრცეს იკავებს და 9 მილიარდ ნერვულ უჯრედს შეიცავს (დონალდსონის მახედვით). მისი ზედაპირი დანაოჭებულია და ღარებისა და ხვეულები მთელ რიგს შეიცავს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ცენტრალურ-ანუროლანდის ღარი, რომელიც ნახევარსფეროებს შუაა მოთავსებული, და სილვიის ღარი, რომელიც გვერდზე მდებარეობს და თავის ტვინის ამ ნაწილს განსაკუთრებით ღრმად სერავს. ხვეულებიდან ძალიან მნიშვნელოვანია სამ-სამი ხვეული შუბლისა და საფეთქლის არეებში: ზედა, შუა და ქვედა ხვეული; გარდა ამისა—კეფის სამი ხვეული (პირველი, მეორე და მესამე ხვეული) და დასასრულ თხემის ზედა და ქვედა ხვეული.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა მორფოლოგიურად ძალიან დიფერენცირებულია: ძველი მორფოლოგიური დიფუზიის აქ კვალიც აღარ ჩანს.

იბადება საკითხი: როგორია იგი ფიზიოლოგიურად? სტრუქტურა და ფუნქცია, როგორც საზოგადოდ, აქაც განუყრელ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან, და, უეჭველია, ნერვული სისტემის ნაწილების მორფოლოგიურ დიფერენციაციასთან ერთად მათი ფუნქციონალური (ფიზიოლოგიური) დიფერენციაციაც უნდა განვითარებულიყო. ამისდა მიხედვით, ნერვული სისტემის ყველა ზემოთჩამოთვლილ განსხვავებულ ნაწილებს განსხვავებული ფიზიოლოგიური როლი უნდა ჰქონდეთ ორგანიზმში დაკისრებულნი.

დავანებოთ თავი პერიფერიულ ნერვებს, რომელნიც აფერენტულსა და ეფერენტულ ნერვულ ბოქოებს შეიცავენ და რეცეპტორისა და ეფექტორის როლს ასრულებენ, და შევჩერდეთ ტვი-



ნის ცალკე ნაწილების ფუნქციების განხილვაზე! ე. წ. ს უ ბ კ ო რ-  
ტ ი კ ა ლ უ რ ი ა ნ უ ქ ე რ ქ ქ ე ვ მ ა ც ე ნ ტ რ ე ბ ი ს ფუნქცია (ე. ი.  
ტვინის ყველა იმ ნაწილებისა, რომელნიც დიდი ტვინის ჰემისფე-  
როებს ქვეშ მდებარეობენ) საგრძნობლად უნდა განსხვავდებოდეს  
თვითონ დიდი ტვინისა და განსაკუთრებით მისი ქერქის ფუნქციი-  
საგან. მაშინ როდესაც პირველი უფრო წმინდა ფიზიოლოგიურ  
პროცესებს უნდა განაგებდეს, მეორეს განსაკუთრებით ფსიქიკურ  
პროცესებთან უნდა ჰქონდეს კავშირი.

კერძოდ, ზ უ რ გ ი ს ტ ვ ი ნ ი ს როლი უმთავრესად ისაა, რომ,  
ჯერ ერთი, იგი რეფლექსურ მოძრაობათ განაგებს, როგორც  
მათი ცენტრი, და მეორე — პერიფერიიდან მომდინარე გალიზიანე-  
ბას თავის ტვინის ქერქისაკენ ატარებს და იქიდან უკანვე პერიფე-  
რიისაკენ. მ ო გ რ ძ ო ტ ვ ი ნ ი ს უ ნ თ ქ ე ვ ი ს, გ უ ლ ი ს ც ე მ ი ს, წ ო ვ ი ს,  
ყ ლ ა პ ე ვ ი ს და სხვა ასეთი ავტომატური ხასიათის მოძრაობების მომა-  
წესრიგებელ ცენტრებს შეიცავს. ნ ა თ ხ ე მ ი განსაკუთრებით სხეუ-  
ლის წონასწორობის დაცვასა და მოწესრიგებაში მონაწილეობს,  
ოღონდ დიდი ტვინის ხელმძღვანელობით. შ უ ა ტ ვ ი ნ ი ს ა და  
მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ბ ო რ ც ვ ი ს როლი განსაკუთრებით იმაში  
მდგომარეობს, რომ ყველა აფერენტულმა ნერვებმა ამ ცენტრებში  
უნდა განიცადონ გადართვა, სანამ ისინი ტვინის ქერქს მიილ-  
წევდნენ. მაშასადამე, ქერქი შეიძლება ფუნქციონალურადაც ამ  
ცენტრების ზედნაშენად იქნეს წარმოდგენილი.

დიდი ტვინი, უწინარეს ყოვლისა, ფსიქიკური პროცესების ცენ-  
ტრის როლს ასრულებს. ყოველ შემთხვევაში, ადამიანის მიმართ ეს  
დებულება სრულიად უდაოა. მაგრამ რაც შეეხება უფრო დაბალ  
საფეხურზე მდგომ ცხოველებს, აქ დიდი ტვინის როლი მით უფრო  
მცირდება, რაც უფრო განვითარების დაბალ საფეხურთან გვაქვს  
საქმე: ფსიქიკური პროცესები აქ ქერქქვეშა ცენტრებთანაც არიან  
დაკავშირებულნი. მაგალ., თევზს რომ დიდი ტვინი ამოაცალო, იგი  
ბოლოსდაბოლოს მაინც სრულიად შეინარჩუნებს საკვების ძებნის,  
მისი შემჩნევის და მის მიმართ მოძრაობის უნარს. მტრედი ასეთ პი-  
რობებში შედარებით უფრო ცუდად გრძნობს თავს: იგი შიმშილით  
მოკვდება, თუ რომ საკვები ნისკარტთან არ მივუტანეთ. დიდტვინ-  
ამოკვეთილი ძაღლი (პირველად ასეთი ოპერაცია გ ო ლ ც ს შ ო უ ხ-  
დენია; ახლა კი იგი ხშირი მოვლენაა) მტრედზე უფრო ცუდად  
გრძნობს თავს, თუშცა რამდენიმე ხნის შემდეგ თითქოს უმჯო-  
ბესდება: ზოგს რასმე სწავლობს და თავის ახალ მდგომარეობას  
განსაზღვრულ წარჩოებში ეგუება. გაცილებით უფრო უმწეოა  
უდიდტვინო ადამიანი: ერთს ასეთს 29 წლის ავადმყოფს სრულიად

დაკარგული აღმოაჩნდა მეტყველების უნარი, მხედველობა, კიდურთა მოძრაობის ძალა; სმენა მას ძალზე დაქვეითებული ჰქონდა. შიმშილის ზეგავლენით იგი მხეცივით იწყებდა ღმუილს. რაც შეეხება ავტომატურ მოძრაობებს: გულსიცემას, სუნთქვას, მონელების პროცესებს — ყველაფერი ეს ნორმალური აღმოაჩნდა. ცხადად ჩანს, რომ დიდტვინს მოკლებული ადამიანი გაცილებით უფრო ნაკლებ ჰგავს თავისი გვარის ჩვეულებრივ წარმომადგენლებს. ვიდრე სხვა რომელიმე ცხოველი. თუნდ ძალიც, რომელიც განვითარების შედარებით მაღალ დონეს წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ, ადამიანის შემთხვევაში მაინც, დიდი ტვინი ფუნქციონალურადაც მკვეთრადაა ტვინის სხვა ნაწილებისაგან გამოყოფილი: მაშინ როდესაც იგი ფსიქიკურ პროცესებთანაა არსებითად დაკავშირებული, მის ქვეშ მდებარე ცენტრები თითქოს მხოლოდ წმინდა ფიზიოლოგიურ პროცესებს ემსახურებიან.

მიუხედავად ასეთი ნათლად გამოკვეთილი მორფოლოგიურისა და ფუნქციონალური დიფერენციაციისა, ნერვული სისტემა განსაკუთრებით მაინც ორგანიზმის მთლიანობას ემსახურება: იგი მისი ცალკეული ნაწილებისა და სისტემების მოქმედების გაერთიანებას, შეთანხმებას, კოორდინაციას ედება საფუძვლად; და რომ ნერვული სისტემის ეს როლი არაა, მაშინ მთლიან ორგანიზმზე ლაპარაკი სრულიად უადგილო იქნებოდა.

როგორ ახერხებს ნერვული სისტემა, მიუხედავად მისი ეგოდენ შორსმწვდომი დიფერენციაციისა, ორგანიზმზე მაინც გამაერთიანებელი ზეგავლენის მოხდენას? უეჭველია, ამას ერთგვარი მორფოლოგიური საფუძველიც უნდა ჰქონდეს. თანახმად ლეონტოვიჩის უკანასკნელი დროის გამოკვლევებისა, ჩვენს ორგანიზმში სპეციალური ნერვული ელემენტები დადასტურდა: ისინი მთელ ორგანიზმში აღმოჩნდნენ გაფანტული. როგორც გამოიკვება, მათი არსებობა სრულიად არ ყოფილა ჩვენს ნერვულ სისტემაზე დამოკიდებული: ისინი არც ნერვულ ცენტრებში დებულობენ თავის დასაბამს და არც რომელსამე პერიფერიულ კვანძში; გარდა ამისა, ორგანიზმს რომ ყველაცნობილი ნერვული კვანძები. ამოვაცალოთ, ეს თავისებური ნერვული ელემენტები მაინც უცვლელად განაგრძობენ არსებობას.

ლეონტოვიჩის აზრით, ამ ელემენტების სახით ჩვენ ძველი, დიფუზიური ნერვული სისტემის ნაშთთან გვაქვს საქმე, ნაშთთან, რომელიც ორგანიზმის ყველა ელემენტის გაერთიანების მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საგულისხმოა, რომ ისინი ფუნქციონალურად

ზრულიად არ არიან ნერვული სისტემისაგან დაპოუკიდებელნი: თავის მოქმედებაში ისინი მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთი ნერვული იმპულსი, რომელიც კი ჩვენი ორგანიზმის ამა თუ იმ ადგილზე აღმოცენდება, არასდროს ვიწრო ადგილობრივს, წმინდა ლოკალურ მოვლენას არ წარმოადგენს: დიფუზიური ნერვული აპარატის საშუალებით იგი მთელ ორგანიზმზე ვრცელდება და მასში, როგორც მთელში, გარკვეულ ეფექტს იწვევს. ამგვარად, ორგანიზმის მთლიანი მოქმედება უზრუნველყოფილია.

მაგრამ როგორ ხდება, რომ ამ დიფუზიურაა, მთელ ორგანიზმში გაფანტული ნერვული აგზნების მიუხედავად, მაინც ცალკეული ორგანოებისა და სისტემების შეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედების სურათს ვლბებულობთ? თანამედროვე ფიზიოლოგიაში ამ საკითხზე გარკვეული პასუხი არსებობს. საქმე ისაა, რომ ნერვული პროცესი ორგვარია: აგზნება და შეკავება, რომელნიც ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ. ნერვული პროცესი რომ მთელ ორგანიზმს მოიცავს, იგი ყველგან აგზნებას როდი იწვევს: ზოგან იგი შეკავების სახითაც ვლინდება. ამისი შედეგი ისაა, რომ ნერვული იმპულსი ორგანიზმის ყველა ნაწილში კი არ იწვევს მოქმედებას, არამედ მხოლოდ იმათში, რომლებზეც შეკავება არ ვრცელდება. — ამრიგად, ორგანიზმის ნაწილების კოორდინაციას აგზნებისა და შეკავების განაწილება უღევს საფუძვლად, განაწილება, რომელიც თავის გარკვეულ სახეს ორგანიზმის განვითარების შედეგად აღწევს.

### ლოკალიზაციის მოძღვრება

განსაკუთრებით მკვეთრად მთლიანისა და ნაწილობრივის ურთიერთობის საკითხი დიდი ტვინის შესწავლისას დგება. მართალია, დიდი ტვინის ქერქი ერთს მთლიანს წარმოადგენს, მაგრამ მისი ზედაპირი იმდენად მრავალფეროვან სურათს იძლევა, ისეა სხვადასხვა ღარებითა და ხეულებით ცალკე, თავისებურად აგებულ არეებად დაყოფილი, რომ ადამიანს ბუნებრივად შეიძლებოდა გაჩენოდა აზრი, რომ ქერქის განსხვავებული ნაწილები განსხვავებულ დანიშნულებას უნდა ასრულებდნენ, რომ ისინი არა მარტო მორფოლოგიურად, არამედ ფუნქციონალურადაც უნდა იყვნენ ურთიერთისაგან გამოყოფილნი. რამდენადაც დიდი ტვინის ფუნქციად ფსიქიკური პროცესები ითვლება, და ეს უკანასკნელნი მრავალს თვალსაჩინოდ განსხვავებულ სახეს შეიცავენ, შეიძლებოდა ეფიქრა კაცს, რომ თითოეული

მათგანი დიდი ტვინის განსხვავებულ ნაწილთან არის დაკავშირებული და მის ფუნქციას წარმოადგენს. მაშინ ყოველი ფსიქიკური პროცესი ტვინის რომელსამე ადგილზე მოთავსდებოდა, და მაშასადამე, შეიძლება დასმულიყო საკითხი თითოეული ფსიქიკური პროცესის ტვინში ლოკალიზაციის შესახებ. ლოკალიზაციის საკითხს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული წარსული აქვს, და იგი დღესაც ერთერთ განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემად ითვლება.

ლოკალიზაციის პრობლემის მეცნიერული ისტორია მეცხრამეტე საუკუნესთან ერთად დაიწყო და განსაკუთრებით მის პირველ ათწლეულ წლებში ყურადღების ცენტრში დადგა. აქ მალე ორმა უკიდურესმა, ურთიერთის საწინააღმდეგო შეხედულებამ იჩინა თავი, რომელთაგანაც ერთი გერმანელ მეცნიერს გალს ეკუთვნოდა, და მეორე ფრანგ მეკლევარს, ცნობილ ფიზიოლოგს ფლურანს.

გალის აზრით, სული 27 ძირითადს, განსხვავებულ ნიქს შეიცავს და მთელი სულიერი ცხოვრება ამ ნიქსთა მოქმედებთა ნაყოფს წარმოადგენს: თითოეულს ამ ნიქს თავისი ორგანო აქვს ტვინის ზედაპირზე; იგი ქერქის რომელიმე ადგილასაა ლოკალიზირებული. და, უეჭველია, სულიერ ნიქიერებათა ზუსტი ლოკალიზაციის ცოდნას პრაქტიკული მნიშვნელობაც დიდი ექნებოდა: იგი ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა გასაცნობად უებარ დახმარებას გაგვიწევდა. გალის რწმენით, რაც უფრო განვითარებული აქვს ამა თუ იმ სუბიექტს ესა თუ ის ნიქიერება, მით უფრო განვითარებული უნდა ჰქონდეს მას ტვინის შესატყვისი ნაწილიც და, მაშასადამე, თავის ქალას ის ადგილიც, სადაც ტვინის ეს ნაწილია მოთავსებული. ეს გარემოება, გალის აზრით, შესაძლებლობას ქმნის, თავის ქალას ამობურთული, ამოზნექილი ადგილების განაწილების მიხედვით, ამა თუ იმ სუბიექტის სხვადასხვა ნიქიერების შესახებ ვიმსჯელოთ. ადამიანის ნიქიერებათა ლოკალიზაციის საკვლევად, გალის აზრით, ცალკე მეცნიერება, ფრენოლოგიაა აუცილებელი.

გალის ფრენოლოგია, ჯერ ერთი, მცდარ ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე იყო აგებული: ისეთი რთული ფსიქიკური მდგომარეობები, როგორცაა შვილის სიყვარული, მეტყველების უნარი, თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და სხვა ასეთები ელემენტარულ „ნიქიერებად“ იყვნენ გამოცხადებულნი და თითოეულისათვის ცალკე, დამოუკიდებელი ლოკალიზაცია იგულისხმებოდა. ყველა მისი დანარჩენი შეცთომები ამ ძირითადი შეცთომიდან გამომდინარეობდა. რასაკვირველია, მისი დასკვნები ხშირად სრულიად ეწინააღმდეგებოდა გამოცდილებას, მაგალ., გალის ფრენოლოგიის მიხედვით, გე-

ჩიალურ მხატვარს რაფაელს ფერების გრძნობა სუსტად უნდა ჰქონოდა განვითარებული და ცნობილი მწერალი ვალტერ სკოტი დიდი მათემატიკოსი უნდა ყოფილიყო.

გასაგებია, რომ გალის ფრენოლოგიამ მალე საწინააღმდეგო მოძრაობა გამოიწვია. ფიზიოლოგმა ფლურანსმა პირველმა დააყენა ზუსტი მეცნიერული ცდები ცოცხალ ცხოველებზე და ამით მეცნიერებებს განუზომელი სამსახური გაუწია. მან პირველმა მოახდინა დიდი ტვინის ამოკვეთა (ექსტირპაცია, დეცერებრაცია) და შემდეგი დაკვირვება მოგვცა: ცხოველს ყოველგვარი ფსიქიკური უნარი დაეკარგა, ინსტიქტებიცა და გრძნობიერებაც; იგი უძრავად ეგდო ერთ ადგილას და მხოლოდ გარე ზემოქმედების საპასუხოდ თუ იძლეოდა ამა თუ იმ მოძრაობას. განსაკუთრებით საგულისხმოდ ის იყო მიჩნეული, რომ დიდი ტვინის რა ადგილიც უნდა ამოეკვეთა, შემდეგი ყოველთვის ერთიდაიგივე იყო, ოღონდ მით უფრო ძლიერი და თვალსაჩინო, რაც უფრო დიდი იყო დაზიანებული ან ამოკვეთილი ადგილი. აქედან ფლურანსი დაასკენიდა: „დიდი ტვინის ყველა ნაწილებს სრულიად თანაბარი მნიშვნელობა აქვთ ფსიქიკური პროცესებისათვის“-ო.

ფლურანსის ეს აზრი ექსპერიმენტულად ჩანდა დასაბუთებული და ამიტომ მან გალის ფრენოლოგიის გავლენა დიდი ხნით დაჩრდილა. მაგრამ შემდეგში გამოიჩვენა, რომ ფლურანსის დაკვირვება არ იყო საკითხის გადჭაპრელად საკმარისი, რომ მან ასეთი შედეგები მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ იგი ცხოველს ოპერაციის შემდგომი დროის მხოლოდ მწვავე პერიოდში აკვირდებოდა, როდესაც ცხოველი ჯერ კიდევ ოპერაციის შოკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და არა უფრო გვიან პერიოდებში, როდესაც დაკვირვების ტვინის როლის საკითხის გადჭაპრელად გაცილებით უფრო საიმედო ზასალის მოცემა შეეძლო. შემდეგი დროის უფრო ზუსტმა გამოკვლევებმა ლოკალიზაციის აზრი ხელახლა გამოაცოცხლეს და ახალ აღმოჩენათა მთელ რიგს მისცეს დასაბამი. ჯერ ბროკამ აღმოაჩინა (1861 წ.), რომ მარცხენა ჰემისფეროს მეხამე შუბლის ხვეულის დაშლა მეტყველების დაზიანებას იწვევს, და აქ ე. წ. ბროკას ცენტრო მოთავსდა. ამას დაერთო ვერნიკეს ცენტრო, საფეთქლის პირველი ხვეულის არეში, რომლის დაზიანების შემთხვევაში ადამიანი მეტყველების მიმართ ყრუვდება: ნათქვამი არ ესმის. დეჟერიენმა ალექსიის (დაწერილის წაკითხვისა და გაგების უნარის უქონლობა) შემთხვევები *gyrus angularis*-ს დაუკავშირა, და ლიპმანმა აპრაქსია (მოქმედების უნარის დაზიანება) *gyrus supramarginalis*-ს. განსაკუთრებით საგულისხმო

აღმოჩნდა მუნიციპლის ცდები, რომლის შედეგადაც გამოირკვა, რომ მხედველობის ფუნქცია კეფის არეებთანაა დაკავშირებული. დასმენის—საფეთქლის არეებთან.

მაგრამ არა მარტო ჩვენი გრძნობიერება (სენსორიუმი) აღმოჩნდა დიდი ტვინის ქერქის გარკვეულ ნაწილებთან დაკავშირებული: იქ არა მარტო „სენსორული ცენტრები“ მოთავსდა, არამედ თავისი ადგილი მიეჩინა იქვე ე. წ. „მოტორულ ცენტრებსაც“. მას შემდეგ, რაც ჰიციგმა ტვინის უშუალო ელექტრული აგზნებულობა აღმოაჩინა, დამტკიცდა, რომ ქერქის გარკვეული არეების ელექტრული აგზნების შედეგად სხეულს გარკვეული ნაწილების მოძრაობა ჩნდება. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად ქერქზე მოტორული ცენტრების ადგილიც იქნა მონახული (როლანდის ღარის წინა ჰემისფეროს ორივე ნაწილში). ფერიერმა, წინააღმდეგ მუნიციპალსა, დაამტკიცა, რომ ეს მოტორული ცენტრები მართლა წმინდა მოტორულია, და მათი აგზნება სრულიად არავეითარ გრძნობიერებას არ იწვევს.

ასეთი მიღწევების შედეგად თითქმის საბოლოოდ განმტკიცდა აზრი, რომ ლოკალიზაციის მოძღვრება სწორ გზაზე დგას, რომ მას ბრწყინვალე მომავალი ელს, რომ ამ მიმართულებით კვლევა საიმედოა და ნაყოფიერი. უეკველია, ლოკალიზაციის საკითხის სწორად გადაჭრის საქმეს დიდად შეუწყობდა ხელს დიდი ტვინის აგებულების, მისი არქიტექტონიკის რაც შეიძლება უფრო ზუსტი შესწავლა. ამ მხრივ თვალსაჩინო ნაბიჯი ჯერ კიდევ ფლექსიგმა გადადგა წინ (მე-19 საუკ.).

მან აღმოაჩინა, რომ სხვადასხვა გამტარებელი ნერვების ბოქოები სხვადასხვა დროს იფარება მიელინის გარსით, და რომ ისინი მხოლოდ ამ მიელინიზაციის შემდეგ არიან სამრქმედოდ მომწიფებულნი. ფლექსიგმა დაამტკიცა, რომ მიელინიზაციის მიმდინარეობის თვალსაზრისით, გამტარებელი ნერვების ბოქოების საში გამსხვავებული სისტემა უნდა იქნეს ურთიერთისაგან გამოყოფილი: 1) პროექციული ბოქოები, რომელნიც ნერვული სისტემის სხვა განყოფილებებიდან დიდი ტვინის ქერქისაკენ მიმდინარეობენ; 2) მოტორული ბოქოების სისტემა, რომელიც, პირიქით, ქერქის მოტორული არიდან ქვემოთ ეშვება, და 3) ქერქის ერთი ხვეულიდან მეორე ხვეულისაკენ მიმდინარე ბოქოების სისტემა, რომელსაც ფლექსიგმა ასოციაციურ ბოქოთა სისტემა უწოდა. ყველაზე ადრე პროექციული ბოქოების მიელინიზაცია ხდება, ხოლო

ყველაზე გვიან — ასოციაციურის. ამრიგად, ფლექსიგმა ნერვული ბოქოების ახალი სისტემა, სენსორულისა და მოტორულისაგან გამსხვავებული, ასოციაციური ბოქოების სისტემა აღმოაჩინა.

ბუნებრივად დადგა საკითხი ამ ახალი სისტემის სპეციფიკური ფუნქციის შესახებ, და ფლექსიგის პასუხი ამ საკითხზე უკვე იმ სახელწოდებიდანაც ჩანს, რომელიც მან ამ მის მიერ აღმოჩენილ ნერვული ბოქოების სისტემას მისცა: ასოციაციური ბოქოების ფუნქციას იმ ასოციაციურა კავშირების დამყარება შეადგენს, რომელიც ფსიქიკურ პროცესებს შორის არსებობს.

მაგრამ სადაა ცენტრი, რომელიც ამ ბოქოებს აწესრიგებს? ფლექსიგის თავისი გამოკვლევების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პროექციული ნერვული ბოქოები დიდი ჰემისფეროების ქერქის მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრულ არეებს უერთდება, რომ, ამ მოსაზრებით, სენსორულ არეებზე მხოლოდ ეს ვიწროდ შემოფარგლული არეები უნდა ჩაითვალოს. ჰემისფეროების დიდი ნაწილი სრულიად თავისუფალია, ფლექსიგის მიხედვით, პროექციული ან სენსორული არეებისაგან; ამიტომ საფიქრებელია, იგი ცენტრალური ნერვული სისტემის ასოციაციურ არეს წარმოადგენდეს, ცენტრს, რომელიც საპროექციო არეებზე ურთიერთკავშირს აწესრიგებს. ლოკალიზაციის მოძღვრებისათვის ფლექსიგის ეს დასკვნები დიდი ტვინის არქიტექტონიკის შესახებ იმ მხრივ შეიქნა მნიშვნელოვანი, რომ ასოციაციური არეები უპალესი ინტელექტუალური ფუნქციების ცენტრებად იქნა გამოცხადებული.

დიდი ტვინის არქიტექტონიკის შემდგომი კვლევა-ძიება უფრო შორს შეიქრა ქერქის აღნაგობის თავისებურებათა შესწავლის საკითხებში. მაინერტისა და ბეცის გამოკვლევებმა ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ წასწიეს წინ ქერქის შესწავლის საქმე, რომელიც მას შემდეგ უმთავრესად პისტოლოგიური მეთოდებით სარგებლობს და ქერქის ნერვული უჯრედებისა და ნერვული ბოქოების მხრივ შედგენილობის საკითხს ეხება.

აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ აღამიანის ქერქის სხვადასხვა ნაწილები საგრძნობლად განსხვავდებიან ურთიერთისაგან და, თანახმად უახლესი გამოკვლევებისა, ორასამდე სხვადასხვანაირად აგებულ არეს შეიცავენ. ამჟამად ფართო გავრცელებულობით სარგებლობს ბროდმანის მიერ შედგენილი დიდი ტვინის რუკა. იგი შედარებით აღრინდელ მონაცემებს ეყრდნობა და 52 ქერქულ არეს ასახავს, რომელთაც სრულიად გარკვეული ტოპოგრაფიული მდებარეობა აქვთ მიკუთვნებული.

რა იქნებოდა საკვირველი, რომ ქერქის ასეთს შორისმწოდოშს

მორფოლოგიურ დიფერენციაციას ასევე შორსმწვდომი ფუნქციონალური დიფერენციაციის არსებობის აზრი გამოეწვია! და ჩვენ ვხედავთ, რომ მართლაც ქერქის, ცალკეულის, ჰისტოლოგიურად განსხვავებული არეების გაღიზიანების თუ დაზიანების შედეგები დაკვირვებას სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. დასტურდება, რომ განსხვავებულ მოტორულსა და სეხსორულ ეფექტს იძლევა.

ყველა ამ გამოკვლევის შედეგად თანდათან მუშავდებოდა და მტკიცდებოდა აზრი ლოკალიზაციის მოძღვრების ძირითადი დებულების უტყუარობის შესახებ, აზრი, რომელიც მიხედვითაც ყოველს ფსიქიკურ ფუნქციას თავისი ცენტრი დიდი ტვინის ქერქის უთუოდ რომელსავე განსაზღვრულ ადგილას უნდა ჰქონდეს; და ამ აზრზე კლასიკური ლოკალიზაციის მთელი მოძღვრება აიგო, რომელიც ძირითადად თანამედროვე ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად კლასიკური ლოკალიზაციის მოძღვრების ეგოდენ ბრწყინვალე წარმატებებისა, ფლურანსის აზრი ტვინის ნაწილების ფუნქციონალური ერთგვარობის შესახებ საბოლოოდ მაინც არ ჩამკვდარა. ჯერ ერთი, ადრევე იყო აღნიშნული, რომ იმ ფაქტიდან, რომ ტვინის ამა თუ იმ ნაწილის გაღიზიანებას ან დეფექტს განსაზღვრული ფსიქიკური ფუნქციის მოშლა სდევს თან, ზრულიად არ გამომდინარეობს, რომ ამ ფსიქიკური ფუნქციის ნორმალური მოქმედებაც, სწორედ ამ ნაწილთან უნდა იყოს, როგორც თავის ცენტრთან, დაკავშირებული. ვ უ ნ დ ტ ი ამის შესახებ ასე მსჯელობდა: ადამიანს რომ მუხლის სახსრები დაუზიანდეს, იგი, რასაკვირველია, კარგად ვეღარ გაივლის. მიუხედავად ამისა, არავენ იტყვის, რომ სიარულს მოძრაობებს მუხლის სახსრები წარმოქმნიანო. ლოკალიზაციის კლასიკური მოძღვრების მომხრეები კი ხშირად სწორედ ასე მსჯელობდნენ: რაკი ქერქის ერთი ნაწილის დაზიანებას გარკვეული ფსიქიკური ფუნქციის მოშლა ახლავს თან, ამ უკანასკნელის ცენტრად სწორედ ეს ნაწილი უნდა აღვიაროთო. თუ რამდენად უმართებულო აღმოჩნდა ასეთი დასკვნა, ეს განსაკუთრებით თვალაჩინოდ მონაკოვის და მერე ლეშლის ექსპერიმენტალური შედეგებიდან ჩანს: 1) მაღალი ინტელექტუალური ფუნქციის დაშლა არა მარტო მაშინ ხდება, როდესაც ქერქში სწორედ იმ ადგილს დაზიანებ, სადაც მისი „ცენტრი“ იგულისხმება, არამედ ქერქის ყველა სხვა ადგილებზე დაზიანების შემთხვევებშიც, ოღონდ ეს დაზიანება საკმაოდ დიდი უნდა იყოს. 2) რომელიმე ფუნქციის „ცენტრი“ რომ მთლიანად ამოკვეთო, ეს ფუნქცია მოისპობა, მაგრამ რამდენიმე ხნის



შემდეგ კვლავ დაიწყებს მოქმედებას, ვინაიდან ამოკვეთილი ნაწილის როლს ქერქის სხვა ნაწილები იღებენ თავის თავზე. აქედან თავის თავად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა, რომელიც თითქოს ფლურანსის ძველი აზრის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს: ამა თუ იმ ნორმალური ფუნქციის ანატომიურ სუბსტრატს (მატარებელს) მთელი ქერქი ანდა ყოველ შემთხვევაში ქერქის საკმაოდ ფართო არეები აქვს დაკავებული. მაშასადამე, მისი ნორმალური მოქმედებისათვის მთელი ამ ორგანოს მონაწილეობაა საჭირო. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ საკმარისი უნდა იყოს ამ მექანიზმის თუნდ ერთი რომელიმე ელემენტი დააზიანო, რომ ფუნქცია ნორმალური მოქმედების გზას აცდეს. ამ შემთხვევაში, ე. წ. «ცენტრები», რომელნიც ლოკალიზაციის კლასიკური მოძღვრების თანახმად ზუსტად არიან სხვადასხვა არეებში მოთავსებული, ამ მექანიზმის მხოლოდ ცალკეულის, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტების მეტს არაფერს არ უნდა წარმოადგენდნენ.

ამას ზოგიერთი ახალი ფაქტიც დაემატა, რომელიც თითქოს ქერქის მორფოლოგიურად გარკვეული არეების ფუნქციონალური მრავალმხრივობის შესახებ უნდა ლაპარაკობდეს. მაგ., ლეშლის ცდების შედეგების მიხედვით, მხედველობითი აზრის დაზიანებას ქერქში სამგვარი ფუნქციონალური დეფექტი ახლავს თან: 1) ფორმის განსხვავების უნარი იკარგება, 2) წინაღ შეძენილი ჩვევები ისპობა: ნასწავლი ივიწყება, 3) ახალი რთული ჩვევების შეძენა ძნელდება, და ძნელდება მით უფრო, ქერქის რაც უფრო დიდი არეა დაზიანებული. აქედან ლეშლი დაასკვნა, რომ მხედველობის არე მარტო მხედველობასთან როდი ყოფილა დაკავშირებული, არამედ ისეთ ფუნქციებთანაც, რომელთაც მხედველობასთან არაფერი არა აქვთ საერთო. აქედან იგი, ბოლოსდაბოლოს, იმ აზრზე მიდის, რომ თავის ტვინის ქერქში მორფოლოგიურსა და ფუნქციონალურ მხარეს შორის შესატყვისობა არ არსებობს, რომ ამიტომ ამა თუ იმ ფსიქიკური ფუნქციისათვის ტვინის დაზიანებული ნაწილის ჩარდენობას, მისი იდიდეს, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის რომელიმე.

რასაკვირველია, ლეშლის ეს აზრი უკიდურესობად უნდა ჩაითვალოს. იმ მონაცემების შემდეგ, რომელიც დიდი ტვინის ქერქის მორფოლოგიური დიფერენციაციის შესახებ მოეპოვება თანამედროვე მეცნიერებას, ფლურანსის აზრის უცვლელად აღდგენა სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. „მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მოვლენები, ფორმა და ფუნქცია ერთმანეთის პირობას წარმოადგენენ“-ო, ამბობს ენ გელსი, და უდაოა, ქერქის არქიტექტონი-

კული დიფერენციაცია ფუნქციონალურ დიფერენციაციასაც გულისხმობს; ამიტომაც იმის მტკიცება, თითქოს ქერქის ყველა არეებს — რაგინდ განსხვავებულაც უნდა იყვნენ ისინი მორფოლოგიურად — ერთიდაიგივე ფუნქციონალური ღირებულება ჰქონდეთ. ჩვენს წინაშე ახალს, სრულიად გადაუქრელ პრობლემას დააყენებდა, პრობლემას იმის შესახებ, თუ რაღა აზრი აქვს მაშინ ქერქის არქიტექტონიკულ დიფერენციაციას, და რად ხდება, რომ ეს უკანასკნელი მით უფრო შორსაა წასული, რაც უფრო განვითარების მაღალ საფეხურზე დგას ორგანიზმი; რაღაა, რომ ფუნქციონალურად ყველაზე უფრო მეტად განვითარებული ორგანიზმი, ადამიანი, სწორედ ყველაზე უფრო დიფერენცირებული სტრუქტურის მქონე ტვინის პატრონია!

უეჭველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქერქის არეების განსხვავებული ფუნქციონალური როლის სრული უარყოფა, ისე როგორც სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა იმის მტკიცებაც, თითქოს ამავე დროს დიდი ტვინი, როგორც მთლიანიც არ მოქმედობდეს. თითქოს მისი მოქმედება მარტო ნაწილობრივი არეების ფუნქციებისაგან აიგებოდეს. ქერქული ლოკალიზაციის პრობლემის სწორი გადაჭრა, თანახმად თანამედროვე უახლესი მიღწევებისა, ისევე უნდა მოხდეს, როგორც საერთოდ ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონალური დიფერენციაციის საკითხისა: ცალკეული, დიფერენცირებული ნაწილების მოქმედება მთლიანის მოქმედებას გულისხმობს და მის ნიადაგზე აიგება.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცენტრალური ნერვული სისტემა საზოგადოდ, მიუხედავად იმ შორსმწვდომი დიფერენციაციისა, რომელიც მას განვითარების მაღალ საფეხურზე ახასიათებს, არსებითად მაინც ყოველთვის როგორც მთლიანი აპარატი მოქმედობს. მისი მთავარი დანიშნულება ორგანიზმის ცალკეული სისტემების შეკავშირებასა და მოქმედების მოწესრიგებაში მდგომარეობს; და, ცხადია, იგი ამ ამოცანას ვერ გადააწყვეტდა, თუ რომ თვითონ იქნებოდა ასეთი მოქმედების უნარს მოკლებული.

ჩვენ ვიცით, რომ ორგანიზმის მთლიანობას არა მარტო ნერვული სისტემა ქმნის. ჩვენ ზემოდ ლაპარაკი გვქონდა ჰუმორალური ფაქტორების შესახებაც, რომელნიც ორგანიზმის შინაგანს ქიმიკურ კავშირს ედებიან საფუძვლად და მის შინაგან მთლიანობას ამ გზით აპირობებენ.

მავსადამე, ორგანიზმის მთლიანობა ორს ძირითად საფუძველზე მაინც აიგება: ნერვულზე და ქიმიკურზე. მართალია, ჩვენ ორივე

ცალცალკე გვაქვს განხილული, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის განუყრელი კავშირი არსებობს: არსებობს მთელი რიგი ქიმიკური აგენტებისა, მაგალ., სხვადასხვა ჰორმონები, რომელნიც ნერვული სისტემის მოქმედებაზე გადააწყვეტ გავლენას ახდენენ, და, მეორეს მხრივ, არსებობს ძველი ფაქტებიც, რომელნიც ნერვული სისტემის ქიმიკურ პროცესებზე ზეგავლენას ყოველ ექვს გარეშე სტოვებენ: თუ, კერძოდ, ენდოკრინული სისტემის გავლენა ნერვულ სისტემაზე უდაოა, უეჭველია ისიც, რომ შეუძლებელია, შინასეკრეციის ორგანოების მოქმედების მოწესრიგება (რეგულაცია) ნერვული სისტემის მონაწილეობის გარეშე ხდებოდეს. ნერვული და ჰუმორალური ფაქტორები ურთიერთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, და მათი ერთმეორისაგან გამოცალკევება მხოლოდ აშტრაქციის გზით თუა შესაძლებელი. მაგრამ ამ განუყრელ მთლიანში აქტიური როლი მაინც ერთერთს ეკუთვნის, სახელდობრ, ნერვულ სისტემას, და ეს როლი მით უფრო დიდია, განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურს აღწევს ორგანიზმი.

ჩასაკვირველია, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს ორგანიზმი პირველად ცალკე ნაწილებსა და სისტემებისაგან შედგებოდეს, თითქოს ამათი გაერთიანება ერთს მთლიან ორგანიზმად მხოლოდ შემდეგ და განსაკუთრებით ნერვული სისტემის წყალობით ხდებოდეს. არა! ორგანიზმი ისეთ მთლიანს როდი წარმოადგენს, რომელიც ნაწილების შეერთების სახითაა მიღებული: „მექანიკური შეერთება ძვლების, სისხლის, კუნთების, უჯრედების და სხვა, ანდა ქიმიკური ელემენტების, ჯერ კიდევ არ შეადგენს ცხოველს. ორგანიზმი არც მარტივია და არც შენადგენი, რაგინდ რთულიც უნდა იყოს იგი“ (ე ნ გ ე ლ ს ი). მაშინ, როდესაც არაორგანული სხეულის ნაწილებს ცალკეც შეუძლიათ არსებობა, იმ მთელის გარეშე, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ორგანიზმის ნაწილების შესახებ ეს არ ითქმის: სისხლს, კუნთებს, ქსოვილებს მხოლოდ ორგანიზმის მთლიანში შეუძლიათ არსებობა: მის გარეშე ისინი ისპობიან (ე ნ გ ე ლ ს ი). ამიტომ სიცოცხლის ნამდვილ ერთეულად, მის ნამდვილ მატარებლად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზმის რომელიმე ნაწილი ან ელემენტი. მაგალ., უჯრედი ან რომელიმე მათი შეერთება. სიცოცხლის ნამდვილ ერთეულად, მის ნამდვილ სუბიექტად მხოლოდ მთლიანი ორგანიზმი უნდა იქნეს ცნობილი.

## კ ა რ ი მ ა ს ა მ ა

### გ ა ნ წ ყ მ ბ ი ს ო ს ნ ი ქ ო ლ ო ბ ი ა

#### გ ა ნ წ ყ მ ბ ა

1. მიზანშეწონილობის პრობლემა: მექანიციზმი და ვიტალიზმი. ორგანიზმი როგორც მთლიანი მოქმედობს, იგი როგორც მთლიანი უპასუხებს გარემოს ზემოქმედებას; და ამის შესაძლებლობას მას, როგორც ზემოდ დაეინახეთ, მისი საოცარი ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურება აძლევს. მაგრამ ამ მთლიან მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ რომ იგი მიზანშეწონილად წარიმართებოდა, ე. ი. თუ რომ იგი ორგანიზმს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და გარემოსთან საზოგადოდ უკეთ შეგუების შესაძლებლობას მისცემდა. ჩვენ ჰეცით, რომ ცოცხალ ორგანიზმს სწორედ ასეთი მიზანშეწონილი მოქმედების უნარი ახასიათებს: უამისოდ იგი დაიღუპებოდა, უამისოდ სიცოცხლე საზოგადოდ შეუძლებელი იქნებოდა, უამისოდ მის მოქმედებას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

და აი იბადება საკითხი: როგორ არის ეს მიზანშეწონილი მოქმედება შესაძლებელი? როგორ ახერხებს ორგანიზმი მას? ამ ძველადძველ საკითხზე ორი განსხვავებული პასუხი იყო დღემდე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებული: მექანიცისტური და ვიტალისტური. თანახმად მექანიცისტური შეხედულებისა, ორგანიზმის მოქმედებას წმინდა მექანიკური კანონზომიერება განსაზღვრავს: ორგანიზმი ნამდვილი მანქანაა, რომლის მუშაობაც გარედან

მომდინარე ზეგავლენაზე და მოკიდებული. თავისი უკიდურესი გამოხატულება მექანიციზმმა დეკარტის ცნობილ შეხედულებაში ჰპოვა, რომლის მიხედვითაც ცხოველი ნამდვილ მანქანას, ავტომატს წარმოადგენს, და მისი ქცევის მიზანშეწონილობა მისი აქტიური ჩარევის გარეშე ისახება. თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მექანიციზმს განსაკუთრებით ე. წ. რეფლექსოლოგია და ბიჰევიორიზმი იცავენ: მათი რწმენით, ცხოველისა და ადამიანის ქცევის გასაგებად, ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიკური კანონზომიერების შესწავლაა საკმარისი, იმიტომ რომ ცოცხალი ორგანიზმის ქცევაც ბუნების მოვლენაა, იგი არაფერს სპეციფიკურს არ შეიცავს და, როგორც ყველაფერი ბუნებაში, ფიზიკურ-ქიმიკურ პროცესებზე უნდა იქნეს დაყვანილი.

ვიტალისტური შეხედულება სულ სხვა პოზიციაზე დგას. მისი აზრით, ცხოველის მოქმედების მიზანშეწონილების ფიზიკო-ქიმიკურად ახსნა დამარწმუნებელი არაა. ორგანიზმი, როგორც სიცოცხლის მატარებელი, არსებითად განსხვავდება არაორგანული ნივთიერებისაგან, და ამიტომ მის მოქმედებას სრულიად თავისებური ფაქტორი განსაზღვრავს: ორგანიზმის ქცევის მიწანშეწონილება ფიზიკო-ქიმიკური პროცესების ნიადაგზე როდი აიგება; იგი სპეციფიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს, რომელსაც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს. ეს ფაქტორი წმინდა არამატერიალურ არსს ან ძალას წარმოადგენს. ზოგი მას ენტელექციას უწოდებს, ზოგი ფსიქოიდს. ზოგი სასიცოცხლო ენერჯიას. იგი დამოუკიდებლად მოქმედობს ორგანიზმზე და შიგნიდან წარმართავს მას ამა თუ იმ მიმართულებით, იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება ორგანიზმს ამჟამად. ასე ჩნდება მიზანშეწონილი ქცევა. ეს უკანასკნელი, მაშასადამე, ახსნას არ მოითხოვს: ცოცხალ ორგანიზმს იმთავითვე აქვს თანდართული საგანგებო ძალა, რომელიც მას მიზანშეწონილი მოქმედების უნარს ანიჭებს. ასეთია ვიტალისტური თვალსაზრისი.

თავისთავად იგულისხმება. არცერთი ეს თვალსაზრისი არაა მისაღები. მექანიციზმი ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობას უარყოფს. მაშასადამე, სიცოცხლე მისთვის განვითარების ახალ საფეხურს არ წარმოადგენს: იგი კვლავ არაორგანული ნივთიერების კანონზომიერებათა ფარგლებში რჩება. ვიტალიზმი მეორე უკიდურესობაში ვარდება: იგი ორგანულსა და არაორგანულს შორის გარღვევალ უფსკრულს თხრის, მათ შორის აბსოლუტურ განსხვავებას

სპერეტს, რამდენადაც იმას, რაც სპეციფიკურია ორგანიზმისათვის, არამატერიალურად აცხადებს.

ეს საკითხი მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის ნიადაგზე შეიძლება გადაწყდეს: ორგანულსა და არაორგანულს შორის უფსკრული არ არსებობს: რამდენადაც ორგანულიც მატერიის მოძრაობის ერთერთ ფორმას წარმოადგენს, ისიც არაორგანულის მსგავსად, მატერიალურის კანონზომიერებას ემორჩილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც მასში ხდება, გარკვეული ფიზიკურ-ქიმიკური მიზეზით უნდა იქნეს ახსნილი: ორგანული, ცოცხალი, ისე როგორც არაორგანულიც, მიზეზ-შედეგთა უწყვეტ ჯაჭვშია ჩართული; და იმისთვის, რომ მასში რაიმე მოვლენის გაგება მოახერხო, უთუოდ მისი მიზეზი უნდა გამოიხსნოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიზეზით არის განსაზღვრული.

ვიტალიზმის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ ორგანიზმში იგი ძალის არსებობას გულისხმობს, რომლის მოქმედებაც მიზეზი კი არა, მიზანი განსაზღვრავს: თუ ორგანიზმისათვის, მაგალ. ესა და ეს მოძრაობაა ხელსაყრელი, საჭირო, ერთი სიტყვით, მიზანშეწონილი, ეს ძალა სწორედ ამ მოძრაობას წარმოაქმნევენებს მას. მაგრამ არც ისაა სწორი, რასაც მექანიციზმი უქერს მხარს: მართალია, ორგანულიც მატერიის მოძრაობის ერთერთი ფორმაა, და მისი არაორგანულისაგან სრული მოწყვეტა არ შეიძლება. მაგრამ იგი ცოცხალი მატერიაა და, როგორც უფრო მაღალი ფორმა მატერიის განვითარებისა, მისი ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. როგორც ასეთი, იგი ახალ რომელობით თავისებურებას შეიცავს და, მაშასადამე, მთლიანად არაორგანულის კანონზომიერებაზე ვერ დაიყვანება: იგი ახალ, სპეციფიკურ კანონზომიერებას, ბიოლოგიურ კანონზომიერებას გულისხმობს, რომლის გარეშეც ორგანიზმის მოქმედების გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

2. მიზანშეწონილების პრობლემა: განწყობა. როგორ უნდა გავიგოთ ორგანიზმის ეს სპეციფიკური თავისებურება? ენგელსი ამბობს, რომ „მიზანშეწონილი მოქმედება ჩანასახში ყველგან არსებობს, სადაც კი პროტოპლაზმა არის, სადაც ცოცხალი ცილა არსებობს და რეაგირობს, ე. ი. თუნდ სულ მარტივ მოძრაობას იძლევა, როგორც შედეგს გარედან მომდინარე გარკვეული გაღიზიანებისას. ასეთ რეაქციას იქაც კი აქვს ადგილი, სადაც ჭერ კიდევ არავითარი უჭრელი არ არსებობს, მით უმეტეს, ნერვული უჭრელი“-ო.

მაშ, ნათელია, რომ უცოველი ცოცხალი არსისათვის, ყოველი მე-

ტად თუ ნაკლებად რთული ორგანიზმისათვის ძირითადში მიზანშეწონილი ქცევაა დამახასიათებელი. იგი არის ის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ორგანიზმი მატერიის რომელიმე მონაპოვარს წარმოადგენს და არაორგანიზმისათვის სრულიად უცხოა. ჩვენი პრობლემა, მაშასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიოთ, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმის, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმის, ქცევა უდაოდ მიზეზობრივად იყოს განსაზღვრული, მაგრამ იმავე დროს მიზანშეწონილობითაც ხასიათდებოდეს. »

ვენახოთ ჯერ, საიდანაა, რომ ცოცხალი არსების ქცევა მიზანშეწონილი ხასიათისაა. უდაოა, რომ ქცევის ეს ნიშანი ცოცხალი ორგანიზმის რომელიმე განსაკუთრებით სპეციფიკური თავისებურებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაშასადამე, პირველ რიგში გამოსარკვევია, თუ რა უნდა ჩაითვალოს ამ სპეციფიკურ თავისებურებად, ისეთ თავისებურებად, რომ მის გარეშე ცოცხალი ორგანიზმის არსებობაც კი შეუძლებელი იყოს.

დაბეჭიტებით შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი განსაკუთრებით ნიშანდობლივი თავისებურება, რომლითაც იგი მკვეთრად განსხვავდება არაორგანიზმის სხეულისაგან, ეს ისაა. რომ იგი გარემოსთან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის განუწყვეტელ ურთიერთობაში იმყოფება. როგორც ყველამ იცის, გარეშე ამ ურთიერთობისა, სიცოცხლე სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. „სიცოცხლე ცილოვან ნივთიერებათა არსებობის ფორმაა, რომლის არსებითს მომენტსაც გარემო ბუნებასთან ნივთიერებათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა შეადგენს და რომელიც ამ გაცვლა-გამოცვლის შეწყვეტასთან ერთად ისპობა“-ო, ამბობს ენგელსი. რასაკვირველია, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შესახებ არაორგანიზმის სინამდვილეშიც შეიძლება ლაპარაკი, იმიტომ რომ ქიმიკური პროცესების არსებობა ყველგან დასტურდება. მაგრამ აქ სულ სხვაგვარ გაცვლა-გამოცვლასთან გვაქვს საქმე: „არაორგანიზმის სხეულთა შემთხვევაში ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა არღვევს მათ, ხოლო ორგანიზმის სხეულთა შემთხვევაში იგი მათი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს“-ო, გვეუბნება ენგელსი. ამიტომ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმისათვისაა დამახასიათებელი.

სმრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ცოცხალი არსების სპეციფიკურ თავისებურებას, განვითარების რა საფეხურზეც უნდა იდგეს იგი, ყველგან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა შეადგენს. »

სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალ ორგანიზმს ის გარე-

მოება ახასიათებს, რომ იგი ყოველთვის რაიმე მოთხოვნების მატარებელია, რომ მას ყოველთვის რაიმე მოთხოვნილება, პირველ რიგში, ნივთიერი მოთხოვნილება აქვს. არაორგანული სხეულის შესახებ ამის თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლება: ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა მას არ ესაჭიროება, მოთხოვნილება მას არ აქვს. \

აპრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცოცხალ ორგანიზმს ორი თავისებურება აქვს, რომლის მსგავსსაც არაორგანულ სინამდვილეში ვერაფერს ვხვდებით: ერთი — მიზანშეწონილი ქცევა და მეორე — მოთხოვნილება. \

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მათ შორის უექველი კავშირი არსებობს: მიზანშეწონილ ქცევას მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად. თუ ცოცხალი ორგანიზმი ქცევის აქტს მიმართავს, ამას მხოლოდ იმიტომ შეეძლება, რომ სხეანაირად მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს მხოლოდ გარებუნება შეიცავს. მაშასადამე, ცოცხალი არსება იმულებული ხდება, ბუნებასთან სათანადო ურთიერთობა დაამყაროს. ე. ი. გარკვეულ ქცევის აქტებს მიმართოს. \

მაშასადამე, უდაოა, რომ ქცევა საზოგადოდ მოთხოვნილების ნიშანდგება აღმოცენებული, რომ იგი მოთხოვნილების პროდუქტს წარმოადგენს. \

მაგრამ რატომაა, რომ ეს ქცევა მიზანშეწონილია? როგორ ახერხებს ორგანიზმი, რომ სწორედ მიზანშეწონილ ქცევას მიმართავს? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხიც მოთხოვნილების ცნებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს.

სანამ სხეული მოკლებულია მოთხოვნილებას, მასსა და დანარჩენ სინამდვილეს შორის სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობს: რა იმოქმედებს და რამდენად იმოქმედებს ამ სხეულზე, ეს სულერთია. იგი თავიდან ბოლომდე პაიუხრად განიცდის ამ ზემოქმედებას. მაგრამ რა წაწს სხეულს მოთხოვნილება უჩნდება, იმ მომენტიდან სინამდვილესა და მას შორის ინდიფერენტული ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი ხდება: ამიერიდან ცოცხალი ორგანიზმი იმიტომ ამყარებს სინამდვილესთან ურთიერთობას, რომ მას მოთხოვნილება აქვს, რომლის დაკმაყოფილებაც ამ ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ამიერიდან, რასაკვირველია, სულერთი აღარაა მისთვის, თუ რა იმოქმედებს და როგორ იმოქმედებს ამ სინამდვილიდან მასზე. ამიერიდან იგი გარემოსთან, როგორც არა ინდიფერენტულ რაღაცასთან, არამედ როგორც თავისი მოთხოვნილების სიტუაციასთან, აწესებს კავშირს.



მაშასადამე, თუ აქამდე სხეულსა და გარემოს მოვლენათა შორის მხოლოდ შენთხვევითი დამოკიდებულება არსებობდა, ამიერიდან ცოცხალი ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობა მოთხოვნილების ნიადაგზე ყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ყველაფერი კი არ მოქმედობს გარესინამდვილეში ცოცხალ არსებაზე, არამედ მხოლოდ ის, რაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს, ე. ი. რაც ყოველს ნოცემულ მომენტში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციას წარმოადგენს.

ამაშირად, ნათელი ხდება, რომ მოთხოვნილების მატარებელს ცოცხალ ორგანიზმზე გარემოს ცალ-ცალკე მოვლენები კი არ აწარმოებენ ზემოქმედებას, არამედ ამ მოვლენების მთელი სისტემა, რამდენადაც ისინი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავენ, ე. ი. რამდენადაც ისინი მის სიტუაციას წარმოადგენენ.

მაგრამ მოთხოვნილების ფაქტი არა მარტო ამას ხდის გასაგებად, ე. ი. იმ გარემობას, რომ ცოცხალ ორგანიზმზე გარემო, როგორც მოვლენათა შენთხვევითი თავყრილობა კი არა, როგორც განსაზღვრული სიტუაცია, როგორც გარკვეული მთლიანი სისტემა, ახდენს ზეგავლენას. მოთხოვნილების ფაქტი მეორე მნიშვნელოვან გარემობასაც უდევს საფუძვლად, სახელდობრ შემდეგს: არაორგანული სხეული ყოველთვის მხოლოდ ობიექტს წარმოადგენს სხვა ობიექტთა გვერდით — მას არაფერი აქვს ისეთი, რომ მისს სწორედ ასეთს და არა ისეთ დამოკიდებულებას მოითხოვდეს სხვა ობიექტებთან — მას არაფერი აქვს ისეთი, რომ მას რაიმე ქცევას ავალებდეს. მაგრამ რა წამს სხეულს მოთხოვნილება უჩნდება, მდგომარეობა მაშინვე იცვლება: გარესინამდვილე ებლა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად, მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საიტუაციოდ იქცევა. მაშასადამე, ორგანული სხეული, იმისდა მიხედვით, თუ რა მოთხოვნილება აქვს მას, იძულებული ხდება, ამა თუ იმ გარკვეული ხასიათის ურთიერთობა დაამყაროს გარესინამდვილესთან — იგი იძულებული ხდება, გარკვეული ქცევის აქტებს მიწართოს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მოთხოვნილების ფაქტის ნიადაგზე ცოცხალი ორგანიზმი ინდივიდალ ქცევის სუბიექტად, იქცევა, ხოლო მასზე მოქმედი გარესინამდვილე მოთხოვნილებას დაკმაყოფილების სიტუაციად.

რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა, ნათელი ხდება, რომ გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე ახდენს ზემოქმედებას — ე. ი. ცოცხალი არსების არა რომელიმე ნაწილობრივ მომენტზე, მის რო-

მელსამე ძალაზე ან ფუნქციაზე, არამედ მასზე, როგორც მთლიანზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე. მაშასადამე, ნათელი ხდება ისიც, რომ გარესინამდვილის შემოქმედების ეფექტი პირველ რიგში ცოცხალ არსებაში, როგორც მოთხოვნილების სუბიექტში, როგორც ინდივიდში, იჩენს თავს, და მაშასადამე, მხოლოდ მთლიანობითი ხასიათის შეიძლება იყოს. უკეთ რომ ვთქვათ: ეს ეფექტი მოთხოვნილების სუბიექტში რაიმე ნაწილობრივი ცვლილების სახით კი არ უნდა იჩენდეს სადმე თავს, არამედ თვითონ ინდივიდის ცვლილებას, თვითონ ინდივიდის მოდიფიკაციას უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ როგორია შინაარსებულად ეს მთლიანობითი ეფექტი, ეს ინდივიდის, როგორც მოთხოვნილების სუბიექტის გადასხვაფერება ან გადახალისება? გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთვის ამ საკითხის გადაჭრას აქვს, იმიტომ რომ ჩვენი ძირითადი საკითხის გადაწყვეტა მთლიანად მასზეა დამოკიდებული.

გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, მაშასადამე, როგორც მთელზე მოქმედობს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი ამ შემთხვევაში, როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია მოქმედობს მასზე, როგორც სისტემა, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. მაშასადამე, იმ ეფექტში, რომელსაც იგი სუბიექტში იწვევს, გარესინამდვილე შეიძლება მხოლოდ როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია — და არა როგორც შემთხვევითი და ინდიფერენტული გარემო — იყოს ასახული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ეფექტი თვითონ სუბიექტის მოდიფიკაციას, თვითონ სუბიექტის გადახალისებას, მის გადასტრუქტურებას წარმოადგენს, და არა რაიმე ნაწილობრივ ცვლილებას, რომელიც ცოცხალი არსების რომელსავე კერძო მხარეს ეხება. ეს კი, ცხადია, შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ქცევის სუბიექტი, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, ამ უკანასკნელის სიტუაციის შესატყვისად იცვლება. მაშასადამე, იგი, როგორც მთელი, როგორც ქცევის სუბიექტი უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვისის მოდიფიკაციას განიცდის, და ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე, როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება, ეს განსაზღვრულ ფარგლებში, უკვე მანამ არის გარკვეული, სანამ მოქ-

მედება დაიწყებოდეს: ეს უკანასკნელი მოცემულია იმ მოლიფიკაციის სახით, რომელსაც სუბიექტი გარემოს ზემოქმედების შედეგად გახიცილდა.

მაგრამ თუ იგი მანამდეა მოცემული, სანამ დაიწყებოდეს, ცხადია, იგი მხოლოდ როგორც წინასწარი მიღრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენციაა მოცემული. მაშასადამე, ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა, რომელშიც, როგორც ობიექტური სიტუაციის სახეობაში, ამ ქცევას საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რაგვარობა მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული.

რა უნდა ვუწოდოთ ამ სპეციფიკურ მდგომარეობას? ფსიქოლოგიაში კარგა ხანია ერთი ფაქტია შენიშნული, რომელიც განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში „განწყობის“ სახელწოდებით აღინიშნება ხოლმე. ამ ფაქტის ერთერთ ნიმუშად შემდეგი შეიძლება ჩაითვალოს: როდესაც ადამიანი, ვთქვათ, პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად რუსული სიტყვა ხარადდება. ხოლო როდესაც იგი, მაგალად, გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას ხარე კი არა, შესაფერი გერმანული სიტყვა (Brot) აგონდება. რატომ? რა უდევს ამ გარემობას საფუძვლად? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, ხოლო გერმანელთან საუბრის დროს — გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადდება ენაზე ყოველს კერძო შემთხვევაში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ სანამ ცოცხალი არსება საზოგადოდ რაიმე მნიშვნელოვან ქცევას ჩაიდენდეს, იგი უკვე მანამდეა ისე მოლიფიცირებული, რომ მან სწორედ ეს ქცევა უნდა ჩაიდინოს. — სხვანაირად ასეც შეიძლებოდა გვეთქვა: სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული.

მაშასადამე, იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა შეგვიძლია ვუწოდოთ.)

ეს ტერმინი განსაკუთრებით იმეტომია შენაფერისი, რომ ერთის მხრივ, იგი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქმე არა რომელსაწე გარკვეულს შინაარსეულ ცვლილებას ეხება, რომელიც სუბიექტში ჩნდება, არამედ სუბიექტს, როგორც მთელს; მეორის მხრივ — იმ გარემოებაზე, რომ სუბიექტის ეს სპეციფიკური მდგომარეობა მას გარ-

კვეულ ქცევასავე მოუწოდებს — მაშასადამე, ეს ქცევა უკვე წინასწარაა მასში განსაზღვრული, და, დასასრულ, — იმ გარემოებაზეც, რომ ეს სპეციფიკური მდგომარეობა დინამიკური სახის მოვლენაა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა პოვოს.

ამრიგად, ცოცხალი არსებისა და გარემოს ურთიერთობა, რამდენადაც ამ უკანასკნელს მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი უდევს საფუძვლად, საბოლოოდ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსით ამოქმედებულს ცოცხალ არსებაზე გარემოსიტუაცია იწყებს ზემოქმედებას და მასში სიტუაციის შესაფერის გარკვეულს მთლიან ცვლილებას, გარკვეულ განწყობას იწვევს. ამიერიდან ასე შეცვლილს, გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტს, რასაკვირველია, მხოლოდ თავისი განწყობის შესაფერისი პროცესებისა და აქტების წარმოება შეუძლია. ამისდა მიხედვით, მისი ქცევა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ყოველ მონაცემ მომენტში მისი ამათუი მ განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, ცოცხალი არსების ქცევას გარემო განსაზღვრავს. მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხასიათის როდია: გარემო თვითონ ქცევას აქტებზე კი არ მოქმედობს უშუალოდ, იგი პირდაპირ კი არ იწვევს მას. არა, იგი სუბიექტზე მოქმედობს, მას სცვლის მთელი სიტუაციის შესაფერისად, მასში გარკვეული ქცევის განწყობას იწვევს. თვითონ ქცევას აქტებს კი უშუალოდ ამიერიდან ამ გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტი განსაზღვრავს. იგი იმ აქტებს და პროცესებს, ერთი სიტყვით, იმ ქცევას მიმართავს, რომლის განწყობაც მას სიტუაციის ზემოქმედების შედეგად აქვს შემუშავებული.

ამის შემდეგ ძნელი არ არის იმ ძირითადი საკითხის გადაჭრაც, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის ქცევის მიზანშეწონილობის ფაქტს ეხება და რომლის გამოც მექანიკური და ვიტალისტური შეხედულებები ეგოდენ მკვეთრად უპირისპირდებიან ურთიერთს. მექანიციზმისა და ვიტალიზმის ფორმულა გარემოსა და სუბიექტს შორის ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ შეიძლება, როგორც ორ წევრიანი ფორმულა, დახასიათდეს. მართლაცდა, მექანიციზმიცა და ვიტალიზმიც ამ ურთიერთობაში მხოლოდ ორ-ორ წევრს გულისხმობს. მექანიციზმის მიხედვით, გარემო პირდაპირ იწვევს ორგანიზმში ამათუი ქცევას. მაშასადამე, მისი ფორმულის სქემა ასეთი იქნება: გარემო-ქცევა. ვიტალიზმის რწმენით, ორგანიზმი მიზანდამსახველ ძალას, ენტელექციას თუ ფსიქოიდს შეიცავს, და ქცე-

ვას სწორედ ეს ძალა განსაზღვრავს. მისი ფორმულის სქემაც ორწევ-  
რანია: ფ ს ი ქ ი დ ი ქ ც ე ვ ა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ურთიერთობა გარემოსა და ცოცხალ  
არსებას შორის სხვაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი. წინააღმდეგ  
მექანიციზმისა და ვიტალიზმისა, ეს ურთიერთობა სამწვერიანია. ჩვე-  
ნის სქემა ასეთია: გ ა რ ე მ — ს უ ბ ი ე ქ ტ ი (განწყობა) — ქ ც ე ვ ა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქცევას საბოლოოდ აქაც  
გარემო განსაზღვრავს; მაგრამ ეს სუბიექტის შუალობით ხდება,  
რომელშიც იგივე გარემო სიტუაციის შესატყვის განწყობას იწ-  
ვევს, და ეს უკანასკნელი ქცევას, როგორც თავის რეალიზაციას,  
წარმოშობს. ქცევა განწყობით არაა — ფშვალოდ — განსაზღვრული:  
იგი არის მისი აღმოცენების უშუალო მიზეზი. მაგრამ განწყობა ხომ  
იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი უკვე წინასწარაა გარკვეული ქცევი-  
სათვის მომართული. მაშ, როგორ მოიქცევა იგი ამათუიმ სიტუაცი-  
აში, ეს უკვე წინასწარაა მის განწყობაში მოცემული. ის, რაც უნ-  
და მოხდეს მომავალში, ე. ი. როგორ უნდა მოიქცეს გარკვეულ  
პირობებში ცოცხალი არსება, ეს უკვე მანამდეა სუბიექტის განწყ-  
ობაში მოცემული, სანამ ქცევა დაიწყებოდეს. მაშასადამე, განწყ-  
ობა არა მარტო როგორც ნამდვილი მიზეზი მოქმედობს ქცევა-  
ზე, არამედ ამავე დროს თითქოს მიზეზის მსგავსადაც: როგორც  
მიზანში წინასწარაა მოცემული ის, რაც შემდეგში უნდა მოხდეს,  
სწორედ ასეა განწყობაშიც.

მაგრამ განწყობის სახით ჩვენ ხომ სიტუაციის სუბიექტში ასა-  
ხვასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, თუ ქცევას განწყობა განსაზ-  
ღვრავს, თუ ქცევა განწყობის შესატყვისად წარიმართება, ეს იმას  
ნიშნავს, რომ იგი სიტუაციის შესაფერისად, მაშასადამე, მიზანშე-  
წონილად მიმდინარეობს: ცოცხალი არსების ქცევას მიზანშეწონი-  
ლი ხასიათი აქვს.

ასე წყდება ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი. როგორც ვხე-  
დავთ, იგი მთლიანად მიზეზობრივ რეალშია ჩართული: მი-  
ზეზ-შედეგის ჯაჭვი აქ არსად არ წყდება — არ არსებობს არავითა-  
რი გარეშე ძალა (ენტელეჟია, თუ ფსიქოიდი), რომელიც სინამდვი-  
ლის მიმდინარეობის პროცესში ერეოდეს და მას ნებისმიერ მიმდი-  
ნარეობას აძლევდეს. მიუხედავად ამისა, ცოცხალი არსების ქცე-  
ვას მაინც მიზანშეწონილება ახასიათებს.

3. განწყობა და ადამიანი. აქამდე ჩვენ საზოგადოდ ცოცხალი  
არსების განწყობაზე გვქონდა საუბარი. მაგრამ ფსიქოლოგიას  
ხომ პირველ რიგში სპეციალურად ადამიანი აინტერესებს. ამიტომ  
ბუნებრივად იბადება საკითხი: რა არის სპეციფიკური ადამიანისა-

თვის? რა ცვლილება იჩენს თავს განვითარების პროცესში ისეთი, რომ ადამიანისა და ცხოველის ქცევის განსხვავებულობის ფაქტს გასაგებად ხდიდეს? ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი საკმარისი იქნება, თუ რომ მას პრინციპული მხრივ მაინც შევეხებით.

ისე როგორც ცხოველის ქცევას, ბოლოსდაბოლოს, ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. ეს უდაო ფაქტია, რომელიც ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. „ადამიანები-ო, — ამბობს ენ გელსი, — მიეჩვიენ, თავის მოქმედების ახსნისას თავისი აზროვნებადან გამოდიოდნენ, და არა თავისი მოთხოვნილებიდან; და ასე გაჩნდა ღრთა მსვლელობაში ის იდეალისტური სოფლმხედველობა, რომელიც ანტიკური ქვეყნების დაცემის ეპოქიდან დაწყებული ადამიანის გონებას ფლობდა“<sup>1</sup>.

„იმისათვის რომ“ ისტორია შექმნან, „ადამიანთ უწინარეს ყოველისა სიცოცხლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდესთ. მაგრამ სიცოცხლისათვის პირველ რაეში საკმელ-სასმელია საჭირო, ბინა, ტანსაცმელი და ზოგი რამ კიდევ სხვა. მაშასადამე, პირველი ისტორიული საქმე — ეს ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ საშუალებათა წარმოებაა-ო“, ამბობს მარქსი.

ამრიგად, სრულიად უდაოა, რომ ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, და ამ თვალსაზრისით ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება მართლაც არაფერია.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ნამდვილად განსხვავება მათ შორის მაინც დიდია. საქმე ისაა, რომ ცხოველის მოთხოვნილებათა ბუნება და წრე ერთგვლ და სამუდამოდ არის განსაზღვრული: მათ ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურებები უდევს საფუძვლად. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილება. ადამიანი ისტორიული არსებაა, და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტელი ქმნალობის პროცესში იმყოფება, ამის შედეგი ისაა, რომ არა მარტო ძველი მოთხოვნილებები იცვლება, არამედ განუწყვეტლივ ახალახალი მოთხოვნილებებიც ჩნდება, მოთხოვნილებები, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ენახავთ ცხოველთა სამკვიდროში: ადამიანი შეუდარებლად უფრო მრავალფეროვანის და მრავალმხრივი მოთხოვნილების პატრონია, ვიდრე ცხოველი.

ამ გარემოებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ქცევის თავისებურებათა ნათელსაყოფად. რა წამს ცოცხალ არსებას მრავალფეროვანი მოთხოვნილება უჩნდება, რომელიც მისი

<sup>1</sup> Энгельс, Диалектика природы, стр. 68.

ისტორიული განვითარების მიმდინარეობაზე უფრო დამოკიდებული, ვიდრე მის ბიოლოგიურ თავისებურებებზე, მისი ურთიერთობა გარემოსთან საფუძვლიანად იცვლება. მართლაც, ცხოველს ყოველს მოცემულ მომენტში ერთი გაბატონებული მოთხოვნილება აქვს, და არ არსებობს იმავე დროს სხვა რაიმე მოთხოვნილება, რომ მას წინააღმდეგობას უწევდეს. ამიტომ მისი ურთიერთობა სინამდვილესთან ამ ერთი მოთხოვნილების ნიადაგზე წესრიგდება, მის ქცევას ამ ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი უღვევს საფუძვლად. ამიტომ გასაგებია, რომ ცხოველს აქტიური მოთხოვნილების სიტუაციაში სრულიად გარკვეული მოქმედების განწყობა უჩნდება, რომელსაც არაფერი უშლის ხელს მაშინვე შესაფერი ქცევის სახით გაიშალოს.

მაგრამ ვთქვათ, ცოცხალ არსებას მრავალფეროვანი და მრავალგვარი მოთხოვნილება აქვს. შესაძლებელია და სრულიად ბუნებრივი, რომ ეს მოთხოვნილებები ზოგიერთ შემთხვევაში საფუძვლიანად ეწინააღმდეგებოდნენ ურთიერთს, და ერთის დაკმაყოფილება მეორის საზიანოდ იყოს მიმართული. მაგალ., ჩვეულებრივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების გვერდით ადამიანს მორალური ან ესთეტიკური მოთხოვნილებებიც აქვს. ხშირია შემთხვევა, რომ ეს მოთხოვნილებები ურთიერთს ეწინააღმდეგებიან. მაგალ. შესაძლოა, რომელიმე აქტუალური ბიოლოგიური მოთხოვნილების იმპულსი ისეთი ქცევისაკენ გვიზიდავდეს, რომელიც ჩვენს მორალურ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება — ვთქვათ, მშვიერი აღვილად დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, რომ მას ნება მადეცა თავისი თავისთვის, თავისი ამხანაგის ულუფა ქურდულად ან ძალით მიეთვისებია.

მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ქცევა სრულიად არ ეთანხმება მის მორალურ მოთხოვნილებას. რა არის ასეთი მდგომარეობის შედეგი? რასაკვირველია, ის, რომ მშვიერი სხვისი ულუფის მითვისების იმპულსს არ ემორჩილება და, ამრიგად, მონაცემ სიტუაციაში თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ცდაზე ხელს იღებს. სხვანაირად: შიმშილისა და მონაცემი სიტუაციის, ე. ი. სხვისი ულუფის მითვისების შესაძლებლობის ნიადაგზე სუბიექტს გარკვეული ქცევის — სხვისი ულუფის მითვისების — განწყობა უჩნდება. მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი ქცევაში გადავიდოდეს, მისი მეორე მოთხოვნილება — მორალური მოთხოვნილება — იღვიძებს, და აღნიშნული განწყობის ქცევაში რეალიზაციას აფერხებს. მაშასადამე, სუბიექტი სხვისი ულუფის მითვისების განწყობის აღმოცენებასთანავე როდი მიმართავს სათანადო ქცევას — მისი განწყ-

ყოფილი უშუალოდ როდი გადადის ქცევაში. არა! სუბიექტის განწყობა სხვა სახით პოულობს თავის რეალიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ მან სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლენა, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს — ნაცვლად იმისა, რომ სუბიექტმა სხვისი ულუფის მითვისების რეალურ აქტებს მიმართოს, იგი ჯერჯერობით მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ ამ აქტების განხორციელების სურათს წარმოიდგენს: სხვისი ულუფის მითვისების განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ექვივალენტში პოულობს რეალიზაციას.

თავისთავად იგულისხმება: სუბიექტს რომ წარმოსახვის შესაძლებლობა არ ჰქონოდა, იგი რომ მოკლებული ყოფილიყო ცნობიერებას, მისი განწყობა მყის ქცევის სახით უნდა გამოვლენილიყო, და ყოველი მისი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს მაშინვე სათანადო ქცევა უნდა გამოეწვია.

მოთხოვნილებათა გართულებისა და განვითარების შედეგად აღამიანს საკმაოდ განვითარებული ცნობიერება უმუშავდება; და ეს შესაძლებლობა აძლევს მას აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის ზეგავლენით აღმოცენებულ განწყობას, რეალური ქცევის ნაცვლად, წარმოსახული ქცევის სახით მისცეს გამოვლენა და ამნაირად აქტუალური განწყობის მონობისაგან თავი გაითავისუფლოს.

მაგრამ თუ ეს ასეა, რაღა წარმართავს მაშინ სუბიექტის ქცევას? მართალია, აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას იგი აღარ ემორჩილება, მაგრამ მას ხომ ამ განწყობის შესატყვისი ქცევის სურათი უჩნდება ცნობიერებაში! და ეს სურათი ამ ქცევის გაცნობიერებას წარმოადგენს; იგი უჩვენებს სუბიექტს, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ქცევის რეალური განხორციელება. ამის მიხედვით, ე. ი. შესაძლო ქცევის ღირებულების გაცნობიერების მიხედვით, სუბიექტს მისი შესრულების თუ შეუსრულებლობის განწყობა უჩნდება, და ასე ხდება, რომ სუბიექტი გარკვეული ქცევის აქტს მიმართავს.

ამრიგად, აღამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველსაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება ასრულებს. იგი აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას არ ემორჩილება, როგორც ამას ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი. იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამათუიმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გა-



ცნობიერების შედეგად — მოკლედ: ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უღევს საფუძვლად, გაცნობიერებულ წარმოსახული სიტუაცია.

4. განწყობის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. განწყობის ცნება სულ უფროდაუფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე ფსიქოლოგიაში. განსაკუთრებით დიდ როლს მას გერმანელი ფსიქოლოგი მარბე მიაწერს, რომლის მიხედვითაც ადამიანის მთელი ქცევა, მისი ფსიქიკის მთელი მუშაობა განწყობის ფუნქციას წარმოადგენს. ეს დებულება ძირითადად სწორია, ოღონდ იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ განწყობის ცნება მართებულად იქნება გაგებული. მაგრამ ბურჟუაზიული ფსიქოლოგების და კერძოდ მარბეს განწყობის ცნება სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. მარბესთვის განწყობა სუბიექტის მთლიან ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ან თანდაყოლილია და ან პირადი ცხოვრების მიმდინარეობაში ამათუთმ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე განცდების ე. წ. „კრიტიკული გამოცდილებების“ ზეგავლენითაა პირობადებული. და, აი, როდესაც ადამიანზე რაიმე ობიექტური ვითარება მოქმედობს, ეს უკანასკნელი მასში უკვე მზამზარეულ განწყობას ხვდება, რომელიც მის განცდას განსაზღვრავს. განწყობა წმინდა სუბიექტური მდგომარეობაა და, როგორც ასეთი, რასაკვირველია, წმინდა სუბიექტურ ფაქტორად უნდა იქნეს ნაგულისხმევი. იმას, რაც განწყობას შეაქვს განცდაში, მაგალ; ალქმაში თუ აზროვნებაში, მხოლოდ სუბიექტური საფუძველი აქვს: იგი ობიექტური ვითარების ასახვას კი არ უწყობს, არამედ უშლის ხელს. ამიტომ გასაგებია, რომ, ჩვეულებრივ, განწყობის მოქმედების გასათვალისწინებლად მცდარი აღქმების ე. წ. ილუზიების ფაქტს იმოწმებენ ხოლმე.

განწყობის ასეთი სუბიექტური გაგება არც მართებულია და არც ხელსაყრელი. მართალია, განწყობა სუბიექტის მდგომარეობაა, მაგრამ იგი სრულიად თავისებური სუბიექტური მდგომარეობაა. იგი ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარებაა ასახული. განწყობა, მაშასადამე, წმინდა სუბიექტური მდგომარეობა კი არაა, იგი ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანაა, იგი, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადასულ ობიექტური ვითარებაა. ამიტომ გასაგებია, რომ განწყობა პირველ რიგში სინამდვი-

ლის მცდარ განცდას ან ილუზიას კი არ უდევს საფუძვლად, არამედ ობიექტურის სწორი განცდის შესაძლებლობას იძლევა.

იმისათვის, რომ ეს ნათლად გვეჩვენოს წარმოდგენილი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ განწყობა პირველად აღსუბიექტის მზამზარეული მდგომარეობა კი არაა, რომელიც მას სხვა პირობებში შეუქმნავდა და ამიერიდან, ყოველი ახალი ვითარების განცდისას, მარად თან ახლავს და განსაზღვრავს მას. არა! ყოველი ახალი სიტუაცია, რომელიც გარკვეული მოთხოვნების მქონე სუბიექტზე მოქმედობს, პირველ რიგში მას შესატყვის განწყობას უქმნის, და დანარჩენი, რაც ამიერიდან ამ სუბიექტში მოხდება — მისი განცდები, თუ ქცევა — ამ განწყობის ნიადაგზე იქნება აღმოცენებული. პირველად აღსუბიექტი მზამზარეული განწყობით როდი უდგება სინამდვილეს და მისდა შესატყვისად გარდაქმნის მას. არა, განწყობა მას თვითონ ამ სინამდვილის ზემოქმედების პერიოდში უჩნდება და მისდა შესატყვისი განცდისა და ქცევის შესაძლებლობას აძლევს.

განწყობას ასეთ პირველად ფაქტად ბურეუაზიული ფსიქოლოგებიდან არავინ სთვლის, და ამიტომაც რომ მათთვის განწყობის მეორე არსებითი მხარე დაფარული რჩება, სახელდობრ ის, რომ განწყობა ცოცხალი არსების ობიექტური ვითარების შესატყვისი მოდიფიკაციაა, მასში, როგორც მთელში. ობიექტური ვითარების ასახვას, წარმოადგენს. განწყობის ცნებისათვის კი განსაკუთრებით სწორედ ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, და ამის გარეშე ამ ცნებას არავითარი პრინციპული ღირებულება არ ექნებოდა ფსიქოლოგიაში.

5. განწყობის სუბიექტური ფაქტორი. განწყობის აღმოცენებისათვის არა მარტო ობიექტური ვითარებაა საჭირო, არამედ თავისთავად იგულისხმება, სუბიექტიც, რომელზეც ეს ობიექტური ვითარება მოქმედობს. ამისდა მზედვით, უეჭველია, განწყობა ორ ფაქტორს გულისხმობს, ობიექტურს და სუბიექტურს. საჭიროა შევჩერდეთ ამ ორივე ფაქტორის განხილვაზე!

სუბიექტური ფაქტორის გასათვალისწინებლად ძირითადი მნიშვნელობა მოთხოვნების ცნებას აქვს. ყოველი ცოცხალი არსება — მათსადამე, ადამიანიც — უთუოდ რაიმე მოთხოვნების ნიადაგზე ამყარებს ურთიერთობას გარემოსთან, და ამ ურთიერთობის მთელი აზრი ისაა, რომ მან სუბიექტს ქვემდებარე მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა უნდა მისცეს.

ამიტომ გასაგებია, რომ მოთხოვნების რაგვარობას ყოველთვის გადამწყვეტი გავლენა აქვს ქცევაზე. თვითონ გარემო თავის-

თავად არასდროს არავითარი მოქმედების სტიმულს არ აძლევს სუბიექტს, თუ რომ ეს უკანასკნელი სრულიად მოკლებულია მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილებაც ამ გარემოს პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. გარემო ჩვენი მოქმედების ასეთ თუ ისეთ სიტუაციად მხოლოდ იმის მიხედვით იქცევა, თუ რა მოთხოვნილება გვაქვს, როდესაც მასთან ურთიერთობას ვამყარებთ.

აქედან ცხადია, რომ გარეშე ამათუიშ გარკვეული მოთხოვნილების მონაწილეობისა, მართო გარემოს ზემოქმედების პირობებში, ადამიანს არასდროს არავითარი ქცევის განწყობა არ გაუჩნდებოდა. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ იმისათვის, რომ რაიმე გარკვეულ ქცევის განწყობა გაჩნდეს, სრულიად აუცილებელია ჩვენზე გარკვეული ობიექტური გარემო მოქმედებდეს—ამ პირობების გარეშე განწყობა ვერასდროს თავის გარკვეულ, თავის კონკრეტულ სახეს ვერ მიიღებდა. მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის რაგვარობის გარკვეულობაზე მოთხოვნილებასაც გადამწყვეტი გავლენა აქვს.

უბრალო მაგალითიე საკმარისი იქნება, რათა ეს დებულება სრულიად ნათელი გახდეს. ვთქვათ, ბუხარში ცეცხლია დანთებული და ოთახში შევდივართ. უკვე ცივა (ე. ი. სითბოს მოთხოვნილება გვაქვს), ეს სიტუაცია — ბუხარი, ცეცხლი ჩვენზე ისე იმოქმედებს, რომ ჩვენში ბუხართან ახლო დაჯდომისა და შეიძლება ცეცხლის შემატების განწყობას გამოიწვევს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საწინააღმდეგო მოთხოვნილება გვიჩნდება — ვთქვათ, დაგვცხა და სიგრილე მოგვინდა — იგივე სიტუაცია სრულიად საწინააღმდეგო მოქმედების განწყობას აღძრავს, სახელდობრ, ბუხრიდან მოშორებისა და შეიძლება ცეცხლის ჩაქრობისასაც.

ამრიგად, უდაოა, რომ განწყობა სუბიექტურ ფაქტორსაც გულისხმობს და რომ ასეთ ფაქტორად უთუოდ მოთხოვნილება უნდა ჩაითვალოს — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

6. განწყობის ობიექტური ფაქტორი. როდესაც ცოცხალი არსება რაიმე მოთხოვნილებას განიცდის, იგი მის დასაკმაყოფილებლად გარემოს მიმართავს; და საგულისხმოა, რომ აქ მხოლოდ ის სიტუაცია იწვევს მის ძალებს სამოქმედოდ, რომელიც ქვემდებარე მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. თუ რომ ასეთი სიტუაცია არსად ჩანს, ცოცხალი არსების აქტივობის ტენდენცია კვლავ ინაქტურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას: ხოლო თუ ასეთი სიტუაცია გაჩნდა, მაშინ ეს უკანასკნელი ერთბაშად

აქტუალური ხდება: იგი სუბიექტს გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ იზიდავს.

რა ხდება აქ? რატომაა რომ სუბიექტი ერთბაშად აქტივობას იწყებს? უეჭველია, ერთის მხრივ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გარემოსთან, რომელიც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს, ხოლო მეორეს მხრივ, სუბიექტთან, რომელიც სწორედ ამ გარემოს შესატყვის მოთხოვნილებას გრძნობს. მოკლედ: ხდება მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი ობიექტური სიტუაციის შეხვედრა. შედეგი ისაა, რომ სუბიექტს სრულიად გარკვეული აქტივობის, სრულიად გარკვეული ქცევის განწყობა უჩნდება, იმ აქტივობისა, რომელიც სწორედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება.

მაშასადამე, განწყობის აღმოსაყენებლად მოთხოვნილების შესატყვისი ობიექტური სიტუაციაა აუცილებელი, და სწორედ ეს უკანასკნელია, რომ განწყობის ობიექტურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, განწყობას არც მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის, რომ განწყობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცველს ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვედეს.

კუ რ ტ ლ ე ვ ი ნ მ ა ერთი უეჭველი ფაქტი აღნიშნა, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: როდესაც ადამიანს რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, ამ მოთხოვნილების შესატყვისი საგნები და მოვლენები მის მიმართ განსაკუთრებული ძალით აღიქურვებიან; ისინი მას განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებას აძალებენ, გარკვეული ქცევისაკენ იწვევენ: პური მშინერს ჭამისაკენ მოუწოდებს, ლოგინი დალილს წამოსაწოლად იზიდავს. მაგრამ საგანთა ეს იძულებითი, ეს გამოწვევითი ძალა (Aufforderungscharakter) მყის ისპობა, რაწამს შესაფერი მოთხოვნილება კმაყოფილდება. — ლევინის ეს სწორი დაკვირვება, რომელიც ყოველ წუთს შეგვიძლია შევაპოწმოთ და დავადასტუროთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება გასაგები, თუ ლევინის მიერ ნაგულისხმევს უშუალოების თეორიაზე ხელს ავიღებთ და მხედველობაში განწყობის ცნებას ვიჭონიებთ. როგორც ვიცით, მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტს, შესატყვისის საგნებთან თუ მოვლენებთან, შესატყვისი სიტუაციასთან შეხვედრის შემთხვევაში, სრულიად გარკვეული მოქმედების განწყო-

ბა უჩნდება; და ეს განწყობაა, რომ თავის ფსიქოლოგიურ გამოხატულებას ლევინიის მიერ აღწერილ ფაქტში პოულობს: პური მშვიერში დაუფლებიან და შექმის განწყობას იწვევს და ამიტომ, რომ იგი ერთგვარი მიმზიდველობის ძალის მქონედ განიცდება.

7. განწყობის ცნების მცთარი გამოყენება. განწყობის ცნების მცთარი გამოყენების ნიმუშად განვიხილოთ ერთი განსაკუთრებით ცნობილი დაკვირვება, რომელშიც, ჩვეულებრივ, განწყობის მოქმედებას გულისხმობენ, და ვნახოთ, რამდენად მართებულია აქ განწყობის შესახებ ლაპარაკი.

ერთი ფსიქოლოგი, რადოსლავლევიჩი, შემდეგ საინტერესო დაკვირვებას მოგვითხრობს: ერთერთს თავის ცდისპირს მან ისე ამეორებინა დასამახსოვრებელი მასალა, რომ თურმე ამან არც კი იცოდა, რომ ეს მასალა უნდა დამახსოვრებინა. 46 განმეორების შემდეგ ექსპერიმენტატორმა ჰკითხა ცდისპირს, შეუძლია თუ არა მას ამ მასალის ზეპირად განმეორება. „როგორ? განა ზეპირად უნდა დამესწავლო!“ იკითხა გაკვირვებით ცდისპირმა; და ამის შემდეგ ექვსიოდე განმეორებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, და ცდისპირმა უკვე მთელი მასალა ზეპირად იცოდა. პირველ შემთხვევაში, 46 განმეორების მიუხედავად, ცდისპირს თითქმის არაფერი ახსოვდა; ხოლო მეორე შემთხვევაში ექვსი განმეორებაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მას მთელი მასალა ზეპირად დაესწავლა.

როგორ უნდა აიხსნას ეს საკვირველი ფაქტი? გავრცელებული პასუხი ასეთია: პირველ შემთხვევაში ცდისპირს დამახსოვრების განწყობა არ ჰქონია; მეორეში მას ეს განწყობა ჰქონდა, და დამახსოვრების არსებითს პირობად სწორედ ეს უნდა ჩაითვალოსო. ამრიგად აქ იგულისხმება, რომ დამახსოვრების განზრახვა და დამახსოვრების განწყობა ერთიდაიგივეა.

მაგრამ ამ დაკვირვების უფრო სწორი ანალიზი ალბად ასეთი იქნებოდა: როცა ცდისპირს გააგებინეს, რომ მას ზეპირად უნდა დაესწავლა მასალა. უეჭველია, ამას პირველ რიგში დამახსოვრების განწყობა კი არა, დამახსოვრების მოთხოვნილება უნდა გამოეწვია მასში: მან მიწოდებული მასალა ზეპირად არ იცოდა, და მას ამ „დანაკლისის“ შევსების ტენდენცია უნდა გაღვიძებოდა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდაოა, რომ აქ განწყობასთან კი არა, ჭერ მხოლოდ ამ უკანასკნელის სუბიექტურ ფაქტორთან — მოთხოვნილებასთან — გვაქვს საქმე. როდესაც ეხლა დამახსოვრების მოთხოვნილების მქონე სუბიექტის წინაშე დასამახსოვრებელი მასალა ჩნდება, ეს უკანასკნელი, როგორც ობიექტური ფაქტორი, სპეცი-

ფიქურ ცვლილებას — გარკვეულ განწყობას — იწვევს მასში, და მიწოდებული მასალის ადვილი დამახსოვრება ამის ნიადაგზე ხდება.

მაშასადამე, შეცთომაა, როდესაც ფიქრობენ, თითქოს დამახსოვრების განზრახვა დამახსოვრების განწყობას წარმოადგენდეს: იგი მხოლოდ ერთერთი ფაქტორია, რომელსაც მეორეც უნდა დაემატოს, რათა სუბიექტს მართლა ნამდვილი განწყობა გაუჩნდეს.

ამატომ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოდ არაა სწორი, როდესაც განწყობაზე ლაპარაკობენ იქ, სადაც საქმე მხოლოდ მოთხოვნილებასთან გვაქვს — როგორც უნდა იყოს ეს მოთხოვნილება, სულერთია ბიოლოგიური, თუ სოციალური.

## ფიქსირებული განწყობა

1. ფიქსირებული განწყობის ცნება. იმის მიხედვით, რაც ზემოდ განწყობის შესახებ იყო ნათქვამი. უეჭველი ხდება, რომ ამ ცნებას ძირითადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიაში. ჩვენ ვიცით, რომ? ადამიანის, თუ სხვა ცოცხალი არსების, გარემოსთან ურთიერთობის პროცესში პირველ რიგში განწყობა ისახება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობაში სუბიექტი ყველაზე ადრე როგორც მთლიანი იცვლება, და რომ ეს ცვლილება ობიექტური სიტუაციის შესატყვისია. რაც შეეხება ეხლა მის გახედვებსა და მოქმედებას, ყველაფერი ეს — როგორც ამგვარად შეცვლილი, ამგვარად განწყობილი სუბიექტის განცდა და მოქმედება — შეიძლება მხოლოდ მეორადი, უშუალოდ ამ განწყობის ფონზე აღმოცენებული მოვლენები იყოს.

გასაგებია, რომ განწყობის მოქმედება ნორმალურ შემთხვევებში სრულიად არ გვხვდება თვალი: იგი საერთოდ შეუმჩნეველად მიმდინარეობს. რამდენადაც ცხოვრების ნორმალურს მიზანშეწონილ მსვლელობას უდევს საფუძვლად.

მაგრამ არაის შემთხვევები, როდესაც მდგომარეობა იცვლება, და განწყობა შეცთომებისა და მიზანშეუწონელი ქცევის წყაროდაც იქცევა. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგი ჩვენს საგანგებო ყურადღებას იპყრობს, და როდესაც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განწყობის შესახებ ლაპარაკობენ, უფრო ხშირად, თუ ყოველთვის არა, განწყობის მოქმედების სწორედ ამ შემთხვევებს გულისხმობენ. ეს, რასაკვირველია, სწორი არაა. აქ ჩვენ განწყობის მხოლოდ ერთერთს კერძო ფორმასთან გვაქვს საქმე, ფორმასთან, რომელიც,

მართალია, დიდ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ განწყობის მთელ ცნებას მაინც ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ ჰფარავს. როგორია განწყობის ეს ფორმა?

ვთქვათ, ვარკვეული სიტუაციის პირობებში გარკვეული განწყობა გამოიჩინდა, და, ვთქვათ, ამ განწყობამ თავისი როლი შეასრულა — ჩემს გარკვეულ ქცევას მიმართულა მისცა. რა ემართება ამის შემდეგ მას? იკარგება იგი სრულიად ვგზო-უკვლოდ, თითქოს არასდროს არ არსებულყოს, თუ რაიმენაირად კვლავ განაგრძობს არსებობას და ჩვენს ქცევაზე კვლავ გავლენის მოხდენის უნარს ინარჩუნებს? თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, შოდიფიკაციას წარმოადგენს, მაშინ, ცხადია, რომ, შეასრულებს თუ არა იგი თავის როლს, იმ წამსვე მეორე განწყობას უნდა უთმობდეს ადგილს. — მაშასადამე, უნდა ქრებოდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ და სრულიად არარაობად უნდა იქცეოდეს. პირიქით, როდესაც სუბიექტი კვლავ იმავე სიტუაციაში ჩადგება, მაშინ მას გააღებთ უფრო ადვილად უნდა გაუჩნდეს სათანადო განწყობა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სრულიად ახალი სიტუაციის პირობებში იმყოფება და სრულიად ახალი განწყობა უნდა შექმნას. დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება, რომ იგი სუბიექტს რჩება, როგორც ხე ლახალი აქტუალური ციის მზაობა — სათანადო პირობების განმეორების შემთხვევებში.

თავისთავად იგულისხმება, მზაობა ყოველთვის ერთნაირი არაა. იგი უაუოდ იმაზე დამოკიდებული, თუ რაიმენად მტკიცე იყო ის განწყობა, რომელიც ამ მზაობის სახით შერჩა სუბიექტს. მაგრამ რაზეა თვით ეს სიმტკიცე დამოკიდებული? უდაოა: რაც უფრო ხშირად ვიწვევთ ერთსადაიმევე განწყობას, მით უფრო მტკიცე ხდება იგი და მით უფრო ძლიერი აქტუალური ციის მზაობა უჩნდება მას: განწყობის სიმტკიცეს განმეორება განსაზღვრავს.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, რომ სუბიექტზე ესათუის მოვლენა, თუ სიტუაცია, განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში სუბიექტს არაჩვეულებრივი მტკიცე განწყობა უჩნდება, განწყობა, რომელიც აქტუალური ციის განსაკუთრებით ძლიერი მზაობით ხასიათდება. ეხლა საქმარისია, თუნდ მხოლოდ მსგავსმა მოვლენამ თუ სიტუაციამ იმოქმედოს სუბიექტზე, რომ მასში მყის ამავე განწყობამ იჩინოს თავი და სუბიექტის ქცევა თავისდა შესატყვისად წარმართოს. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში სუბიექტი სიტუაციის ადეკვატურ ასახვას

ვერ ახერხებს: ნაცვლად შესატყვისი განწყობისა, იგი წინანდელი განწყობის ნიადაგზე აღიქვამს მოცემულ სიტუაციას და, ცხადია, ილუზიის მსხვერპლი ხდება.

ამრიგად, ხშირი განქვორების თუ დიდი პიროვნული წონის გამო რომელიმე გარკვეული განწყობა შეიძლება იმდენად ადვილად აგზნებადი, იმდენად ჩვეული გახდეს, რომ იგი არა შესატყვისი გამლიზიანებლის შემოქმედებში შემთხვევაშიც ადვილად აქტუალდებოდეს და ამით ადეკვატურ განწყობას გამოვლენის შესაძლებლობას ართმევდეს.

ასეთს განწყობას შეიძლება ფიქსირებული განწყობა ეწოდოს.

2. ფიქსირებული განწყობის ილუზიები. ფიქსირებული განწყობის შექმნა ძალიან ადვილია, რამდენადაც იგი განმეორების ზეგავლენითაც შეიძლება გაჩნდეს. ეს გარეუბება შესაძლებლობას იძლევა განწყობის ამ ფორმის შესასწავლად ექსპერიმენტულ გზას მიემართოს.

ცდისპირს ხელთ აძლევენ შესადარებლად მრავალგზის (10-15-ჯერ). ორს მოცულობით თვალსაჩინოდ განსხვავებულს, ხოლო სხვა მხრივ სრულიად ერთნაირ სხეულს: მარჯვენა ხელში პატარას, მარცხენაში დიდს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირი სერიოზულად ლებულობს მონაწილეობას ამ ცდაში, მას ჩვენი ინსტრუქციის ზეგავლენით ამოცანის შესრულების ერთგვარი მოთხოვნილება (განწყობის სუბიექტური ფაქტორი) უჩნდება. მიწოდებული სხეულები (ობიექტური ფაქტორი) ამ მოთხოვნის მქონე სუბიექტზე ახდენენ ზეგავლენას და სპეციალურ ეფექტს (განწყობას) იწვევენ, რომლის ნიადაგზეც მათი მიმართების სწორი შეფასება ხდება. მაშასადამე, ყოველი მიწოდებისას ცდისპირს ერთგვარი განწყობა უჩნდება („მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა“). მრავალგზისი განმეორების შედეგად ეს განწყობა იმდენად ჩვეული ხდება, რომ ყოველი ცალკე ცდის შემთხვევაში იგი უკვე მანამ აქტუალდება, სანამ მიწოდებული ობიექტები რიგიანად ზეგავლენის მოხდენას მოასწარებდნენ. მივაწოდოთ ეხლა მას განსხვავებული მოცულობის კი არა, ტოლი მოცულობის მქონე სხეულები (კრიტიკული ცდა). რა მოხდება? თუ წინა ცდებში, გარკვეული განწყობის შექმნის მიზნით, მას ისეთი ობიექტები ეძლეოდა, რომ ისინი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაშინ ჩვეული განწყობა ძალაში დარჩება, და ტოლი ობიექტების შეფასება მის ნიადაგზე მოხდება: ც. პ-ს მარჯვენა ობიექტი უფრო პატარად მოეჩვენება, ვიდრე



მარცხენა. მაგრამ თუ რომ საგანწყობო ცდებში მას თვალსაჩინოდ განსხვავებული მოცულობის ობიექტები ეძლეოდა ხელთ და ეხლა. კრიტიკულ ცდაში, ტოლ ობიექტებს მივაწოდებთ, ძველმა განწყობამ ობიექტური ფაქტორის ტლანქი შეუფერებლობის გამო, თავი ველარუნდა იჩინოს და მის ნაცვლად ახალი უნდა გაჩნდეს. ცდები ამტკიცებენ, რომ ეს მართლაც ასე ხდება.

საინტერესოა, რომ ძველი განწყობის ადგილას ახალი განწყობა რომ ჩნდება, იგი ტოლი ობიექტების შესატყვისი კი არ არის, არამედ საგანწყობო ცდებში შექმნილი განწყობის („მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა“) საწინააღმდეგოა („მარცხნივ პატარა, მარჯვნივ დიდი“): ცდისპირს ტოლი ბურთებიდან — წინააღმდეგ შემუშავებული განწყობისა — მარცხენა პატარად ეჩვენება და მარჯვენა დიდად.

ამრიგად, უდაოა, ორივე შემთხვევაში საგანწყობო ცდებში შემუშავებული და განმტკიცებული განწყობა თამაშობს როლს: ტოლი ობიექტების შეფასება მის ნიადაგზე ხდება და, ნაცვლად სწორი აღქმისა, ორივე შემთხვევაში მცთარი აღქმა, ე. წ. ილუზია ჩნდება.

მაგრამ ერთგვარი განსხვავება მაინც არის ამ ორ შემთხვევას შორის: პირველ შემთხვევაში (ე. ი. როდესაც კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ობიექტების მიმართება დიდად არ განსხვავდება საგანწყობო ცდებში მიწოდებული მიმართებებისაგან) ილუზია უფრო ხშირად განწყობის შესაბამისია (ას ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი ილუზია), ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. საგანწყობო ცდებისა და კრიტიკული ცდის ობიექტების მიმართებათა ტლანქი განსხვავების შემთხვევაში, ილუზია, ჩვეულებრივ, ძველი განწყობის საწინააღმდეგოა (კონტრასტული ილუზია).

ამრიგად, ადვილად შეგვიძლია, სუბიექტს განწყობა ფიქსირებულად გადაუქციოთ და შედეგად ილუზიური აღქმა მივაღებინოთ.

ზემოდ ჩვენ მოცულობის ილუზიასთან გვექონდა საქმე. მაგრამ ეს ილუზია მოცულობის ხელით შეფასებას ენებოდა (პატარა მოცულობის ილუზია). მოცულობის შეფასება კი თვალთაც შეიძლება; და აი, თუ რომ ცდისპირს განმეორებით მივაწოდებთ თვალთ (ობტიკურად) შესადარებლად ორს სხვადასხვა მოცულობის წრეს, ან რომელიმე სხვა ფიგურას (საგანწყობო ცდები) და შემდეგ ერთბაშად ტოლ წრეებს მივცემთ (კრიტიკული ცდა), ამ შემთხვევაშიც სავსებით ისეთივე ილუზია გაჩნდება, როგორც ხელით შეფასების შემთხვევაში (მოცულობის ოპტიკური ილუზია).

ანალოგიური ილუზია — ორი განსხვავებული სიმძიმის მიმართების შეფასების შემთხვევაში — ჯერ კდევ ფეხნერმა აღმოაჩინა (1861 წ.). ასეთივე ილუზია შეაძლება გამოიწვიოს წნევის სიძლიერის მიმართების შეფასებისასაც.

საგანწყობო ცდებში ც. პ. ლებულობს წყვილს წნევას, როგორც თანაბარ პირველი თვალსაჩინოდ უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე, კრიტიკულ ცდაში კი წყვილს თანასწორ წნევას. ცდა გვაჩვენებს, რომ ც. პ. პირველ წნევას, როგორც უფრო სუსტს განიცდის, ვიდრე მეორეს (კონტრასტული ილუზია), ანდა, შესაბამ პირობებში, პირიქით (ასიმილაციური ილუზია).

ასეთსავე ილუზიას აქვს ადგილი მრავალ სხვა შემთხვევაშიც:

1) ბგერათა ინტენსიობის ილუზია. ცდისპირს ეძლევა განმეორებით წყვილწყვილად ბგერები: პირველი ძლიერი, მეორე სუსტი (საგანწყობო ცდები). კრიტიკულ ცდაში ამათ ადგილს ორი თანაბარი ინტენსიობის ბგერა იკერს. ცდისპირისათვის, როგორც წესი, პირველი უფრო სუსტად მოისმის, ვიდრე მეორე, ანდა, შესატყვის პირობებში, პირიქით (ასიმილაციური ილუზია).

2) განათებათა მიმართების ილუზია. საგანწყობო ცდებში — ორი სინათლით განსხვავებული არე, კრიტიკულში — თანაბრად განათებული. შედეგი აქაც ილუზიაა: პირობებისა და მიხედვით — კონტრასტულიცა და ასიმილაციურიც.

3) რაოდენობითი მიმართების ილუზია. საგანწყობო ცდებში ცდისპირს ეძლევა ორი დახშული ფიგურა: ერთში წერტილებია ბლომად ჩასმული, მეორეში — ნაკლებ. კრიტიკულ ცდაში მათი რიცხვი თანასწორია, შედეგი აქაც ჩვეულებრივი ილუზიაა.

## განწყობის ზოგადი ფსიქოლოგიისათვის

განწყობის ილუზიათა მიმდინარეობის რაგვარობა, მისი ასეთი თუ ისეთი მიმართულება ძირითადად მათ საფუძვლად მდებარე განწყობის მოქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაშასადამე, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ილუზიების მიმდინარეობას დაკავრება თვითონ განწყობის შესასწავლადაც გამოადგება. განწყობის ილუზიების ექსპერიმენტული გამოწვევა, მათი აღმოცენების, მიმდინარეობისა და ჩქარობის პირობების შექმნა და შეცვლა ადვილია. ეს გარემოება შესაძლებლობას გვიქმნის, განწყობის ილუზიათა საფუძვლის, ფაქსირებული განწყობის, ბუნებისა და მოქმედების შესახებ საკმაოდ ფართო ექსპერიმენტული მასალა დავაგრო-

ვით. ამ მასალის მიხედვით, დღეს ფიქსირებული განწყობის ბუნებისა და მოქმედების შესახებ ზოგი რამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას.

1) განწყობა არ არის წმინდა ლოკალური ან პერიფერიული პროცესი: იგი არსებითად სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, არ უნდა იყოს სწორი ცალკე კუთხურის, თუ ცალკე სხედასწვება სენსორული განწყობის შესახებ ლაპარაკი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.

ამის ურყევ საბუთს შემდეგი ფაქტი წარმოადგენს: ცდისპირს, განწყობის შექმნის მიზნით, ხელთ ეძლევა შესადაარებლად რამოდენიმეჯერ, ვთქვათ 15-ჯერ, ორი, მოცულობით განსხვავებული. ხოლო სხვა მხრივ სავსებით ერთნაირი ბურთი: მარჯვნივ პატარა. მარცხნივ დიდი. ამ ცდების შედეგად, როგორც ვიცით, მას ფიქსირებული განწყობა უნდა გაუჩნდეს. როგორ შეგვიძლია შევამოწმოთ, რომ მას მართლა გაუჩნდა განწყობა? მივაწოდოთ მას ხელში ტოლი ბურთები, და თუ აღმოჩნდება, რომ იგი ადგეკვატური შეფასების ნაცვლად მცთარს იძლევა, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ფიქსირებული განწყობა შემუშავებულია. მაგრამ ჭერჭერობით ჩვენ მხოლოდ იმაში შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცდისპირს განწყობა იმ ორგანოში აქვს შემუშავებული, რომელზეც საგანწყობო ცდები წარმოებდა: სახელდობრ — ხელში. მაგრამ ვნახოთ ესლა, რა მოხდება, ცდისპირს რომ საგანწყობო ცდების შექმნა ხელით კი არა, თვალთ შევადარებინოთ ბურთები ერთმანეთთან. სათანადო ცდები ამტკიცებენ, რომ ცდისპირს ამ შემთხვევაშიც ილუზია უჩნდება. მაშასადამე, უდაოა, რომ განწყობა მას გაჩენია არა მარტო იმ ორგანოში (ხელში), რომელიც საგანწყობო ცდებში ლებულობდა მონაწილეობას, არამედ იმ ორგანოშიც (თვალში), რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო ამ ცდებთან.

მაგრამ შეიძლება ცდა შებრუნებულადაც დავაყენოთ, ე. ი. საგანწყობო ცდები მხედველობის არეში ჩავატაროთ, ხოლო კრიტიკული — აქტიური შეხების არეში (პაპტურში); შედეგი იგივე იქნება: განწყობა აღმოჩნდება განმტკიცებული არა მარტო საგანწყობო ცდების არეში, არამედ კრიტიკული ცდების არეშიც.

შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეთ და იგივე ცდები უფრო დაშორებულ ორგანოებზეც გადავიტანოთ: აქაც ხშირად შევხვდებით შემთხვევებს, რომ განწყობა არა მარტო საგანწყობო ცდების არეში, არამედ სულ სხვა არეებშიც იქნება აღმოცენებული.

აქედან დასკვნა ნათელია: განწყობა არ ყოფილა

წმინდა ადგილობრივი (ლოკალური) მოვლენა; იგი ცალკეული ორგანოს მდგომარეობა როდი ყოფილა, არამედ სუბიექტის; როგორც ასეთის, ე. ი. როგორც მთელის.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ერთ ადგილას შექმნილი განწყობა სხვა ადგილებზეც ვრცელდებოდეს, გენერალიზირებულობდეს ანუ, როგორც ფიზიოლოგები ამბობენ, ირადიირობდეს. ამისდა მიხედვით, ჩვენ შეგვეძლო ფიქსირებული განწყობის ეს მხარე ირადიულობის ან გენერალიზირებულობის სახელწოდებით აღვვნიშნა.

2) მაგრამ თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე გარკვეული, გახცდადი, კერძოული ფსიქიკური შინაარსის სახით არ გვეძლევა, რომ იგი ცნობაერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს, რომ ამ აზრით იგი არაფენომენალურ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ღრმა ჰიპნოტურ მდგომარეობაში სუბიექტი მთელ გარემოსთან როდი სწყვეტს კავშირს: ჰიპნოტიზორთან იგი კონტაქტს ინარჩუნებს, მასთან საკმაოდ რთულ ურთიერთობას განაგრძობს: ესმის მისი ლაპარაკი, ასრულებს მის დავალებებს (ამას რაპორტს უწოდებენ). მაგრამ როდესაც ჰიპნოტური ძილი გაივლის, როდესაც სუბიექტი გაღვიძებს, აღმოჩნდება, რომ მას არცერთი თავისი ღრმა ჰიპნოტური ძალისდროინდელი განცდა არ ახსოვს; ყველაფერი ეს მას საფუძვლიანად დავიწყებული აქვს (ე. წ. პოსტჰიპნოტური ამნეზია). ეს გარემოება ძალიან ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს ჩვენი საკითხის ექსპერიმენტულად გადაჭრის მიზნისათვის. იგი შესაძლებლობას ქმნის საგანწყობო ცდები ჰიპნოტური ძილის მდგომარეობაში ჩავატაროთ და შემდეგ ვნახოთ, გაკვეება თუ არა ჩვენს ცდისპირს ამ ცდების ნიადაგზე შექმნილი განწყობა სიტხიზლეშიც — მიუხედავად სრული პოსტჰიპნოტური ამნეზიისა, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ გაღვიძების შემდეგ საგანწყობო ცდების შესახებ მას სრულიად აღარაფერი ახსოვს. ჰიპნოტური ძილის შეწყვეტის შემდეგ ჩატარებული კრიტიკული ცდების შედეგებმა ნათელი უნდა მოჰფინონ ამ საკითხს.

ჰიპნოტური ძილის დროს ცდისპირს ხელში ეძლევა, განმეორებით, მოცულობის მხრივ შესაღარებლად, ორი ბურთი: მარცხნივ — დიდი, მარჯვნივ — პატარა. გაღვიძების შემდეგ მას ტოლ ბურთებს ვაძლეუთ ხელთ შესაღარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირს სრულიად არაფერი ახსოვს საგანწყობო ცდების შესახებ, იგი ტოლ ბურთებს მაინც ვერ აფასებს სწორად: მას ჩვეულებრივი განწყობის ილუზია უჩნდება.

აქედან, ცხადია, ძილის დროს შექმნილ განწყობას ოდნავადაც ვერ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ცდისპირის ცნობიერებაში საგანწყობო ცდების შესახებ სრულიად არაფერია დარჩენილი.

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ განწყობა ადამიანის ფსიქიკის მუშაობას როგორც ერთერთი განცდათაგანი როდი განსაზღვრავს, არამედ როგორც სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც, როგორც ასეთი, არც შეიძლება ცალკეული განცდების სიბრტყეში იქნეს მოთავსებული.

3) როდესაც ცდისპირს, ჩვენს ჩვეულებრივს საგანწყობო ცდების შემდეგ, ტოლ ობიექტებს ვაძლევთ ურთიერთთან შესადარებლად, როგორც ვაძლევთ, ამ უკანასკნელთა შეფასება წინასწარ შემუშავებული განწყობის ნიადაგზე ხდება, და ერთი მათგანი უფრო დიდად განიცდება, ვიდრე მეორე. მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როდესაც კრიტიკული ობიექტების ექსპოზიცია ხანმოკლეა, და ისინი, ასე ვთქვათ, არსებულ განწყობისადმი თავისი შეუფერებლობის გამოვლენას ვერ ასწრებენ. რომ გავახანგრძლივოთ მათი ექსპოზიციის დრო და ამით სუბიექტზე საკმარისად ხანგრძლივი ზემოქმედების საშუალება მივცეთ მათ, მაშინ მდგომარეობა შეიცვლება: კრიტიკული ობიექტები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ცდისპირის თვალწინ ერთმანეთს გაუთანასწორდებიან. ის, რომელიც დიდი ჩანდა, შეიკუმშება, დაპატარავდება და მეორის ტოლი გახდება: ილუზია აღიკვეთება. მაშასადამე, განწყობა, ბოლოსდაბოლოს, ვერ უძლებს შეუფერებელი ობიექტური ვითარების ზემოქმედებას და იძულებული ხდება ამ უკანასკნელის შესატყვის განწყობას დაუთმოს ადგილი.

როგორ ხდება ეს? როგორ მიმდინარეობს შეუფერებელი ობიექტური ვითარების ზეგავლენით გამოწვეული განწყობის ლიკვიდაციის პროცესი? ამ საკითხის გადასაწყვეტად განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა შემდეგი ხერხი: ნაცულად იმისა, რომ კრიტიკული ობიექტების მოქმედების გაძლიერების მიზნით მათი ექსპოზიციის დრო გავახანგრძლივოთ, შეიძლება იმავე ეფექტს კრიტიკული ობიექტების განმეორებითი მოწოდების გზითაც მივაღწიოთ. კრიტიკულ ცდებში ცდისპირს, ჩვეულებრივ, ილუზია უჩნდება: ერთერთი ობიექტი უფრო დიდი ეჩვენება, ვიდრე მეორე. მრავალგზის რომ განვიმეოროთ ეს ცდები, ბოლოსდაბოლოს როგორც პირველად სისტემატურად ეს ბ. ხ ა კ ა პ უ რ ი ძ ი ს ცდებშია ნაჩვენები — განწყობა, როგორც შეუფერებელი, დაირღვევა. და მის ნაცულად ობიექტური ვითარების შესატყვისი განწყობა გაჩნდება: ილუ-

ზია აღიკვეთება, იგი ადეკვატურ შეფასებას დაუთმობს ადგილს. მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს ერთბაშად როდი ხდება. სანამ განწყობა საბოლოოდ აღიკვეთებოდეს, მან უნდა განვლოს რეგრესული განვითარების გარკვეული პროცესი, რომელიც თეორიულად მაინც, ექვესს განსხვავებულ ფაზას შეიცავს;

ა) პირველ ფაზაში ფიქსირებული განწყობა თავისი უმტკიცესი სახითაა წარმოდგენილი. ეს იმაში იჩენს თავს, რომ კრიტიკული ცდების ერთი წყება ზედიზედ მხოლოდ კონტრასტული ილუზიას იძლევა.

ბ) დგება მომენტი, როდესაც კრიტიკული ექსპოზიციების ობიექტური ვითარების, ე. ი. ტოლობის განმეორებითი ზემოქმედების გამო, განწყობის პირველი შერყევა ხდება: იგი ერთგვარად სუსტდება, და ცდისპირი, შედარებით ხშირი კონტრასტული ილუზიების გვერდით, აქა-იქ ასიმულატურ ილუზიებსაც იძლევა. ეს განწყობის რეგრესული განვითარების მეორე ფაზად შეიძლება ჩაითვალოს.

გ) განწყობის შესუსტების პროცესი კიდევ უფრო წინ მიდის და შემდეგ საფეხურზე ასიმულატური და კონტრასტული ილუზიების რიცხვი ურთიერთს უახლოვდება: იწყება ნამდვილი რხევა ილუზიის ორივე ამ სახეს შორის.

დ) ფიქსირებული განწყობის დასუსტების შემდგომი საფეხური ასიმულატური ილუზიის შემთხვევათა გაბატონებაში იჩენს თავს: კონტრასტული ილუზია ეხლაც გვხვდება, მაგრამ გაცილებით უფრო იშვიათად, ვიდრე ასიმულატური.

ე) რასაკვირველია, განწყობის კიდევ უფრო მეტი დასუსტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც კონტრასტული ილუზიების შემთხვევები სრულიად აღარ გვხვდება, და ცდისპირი მხოლოდ ასიმულატურ ილუზიას იძლევა.

ვ) ამ მომენტამდე ფიქსირებული განწყობა ჯერ კიდევ განუწყვეტლივ აქტუალურ მდგომარეობაში იმყოფება; მართალია, იგი საგრძნობლად შესუსტებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იძლევა ობიექტური ვითარების ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას: ცდისპირი ჯერ კიდევ ერთხელაც ვერ ახერხებს ილუზიისაგან თავის დაღწევას. რასაკვირველია, განწყობის შემდგომი დასუსტების ახალ ფაზასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეს მდგომარეობა იცვლება, და ცდისპირი კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ობიექტების ტოლობის დადასტურებას ხანდახან მაინც ახერხებს. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი ფაზაც არის: რაწამს იგი ზედიზედ რამოდენიმე გზის შესძლებს კრიტიკული

ვითარების ადეკვატურ შეფასებას და ილუზიას მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ დაუთმობს ადგილს, ჩვენ უკვე ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ შეგვეძლება ვილაპარაკოთ.

მაგრამ ყველა ამ ფაზის გამოკვეთილი არსებობა მხოლოდ თეორიულად შეიძლება დაშვებულ იქნეს. პრაქტიკულად, თუ განსაკუთრებით პათოლოგიური განწყობის მოქმედების შემთხვევებსაც მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ჯერჯერობით მხოლოდ სამი ფაზა იქნეს საგანგებოდ გამოყოფილი:

- ა) კონტრასტული ილუზიების ფაზა,
- ბ) ასიმპლატური ილუზიების მონაწილეობის ფაზა,
- გ) ტოლობის მონაწილეობის ფაზა.

4) ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ ამ შემთხვევაში მხოლოდ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ. საქმე ისაა, რომ საკითხი აქ ისეთ მდგომარეობას ეხება, როდესაც ფიქსირებულ განწყობაზე შეუფერებელი (კრიტიკული) ობიექტური ვითარება განუწყვეტლივ ან განმეორებით მოქმედებს. ირკვევა, რომ ასეთ პირობებში მართლაც შეიძლება ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შესახებ ვილაპარაკოთ: ბოლოსდაბოლოს, ობიექტური ვითარების სწორ შეფასებას განწყობა ხელს ვეღარ უშლის.

მაგრამ ნიშნავს განა ეს, რომ განწყობის მართლა საბოლოო ლიკვიდაციასთან გვაქვს საქმე? ნიშნავს განა ეს, რომ ფიქსირებული განწყობა კრიტიკული ცდების შეწყვეტის შემდეგაც არასოდეს ხელახლა არ წამოყოფს თავს? რასაკვირველია, არა! სათანადო ცდების შედეგები ამის უტყუარ საბუთს იძლევა. ვთქვათ, ერთ დღეს ცდისპირს საგანწყობო ცდების საკმარისი რაოდენობა მივეცი: შედეგად მას ფიქსირებული განწყობა უჩნდება. ჩვენ ეწყვეტთ ცდას და გარკვეული ხნის შემდეგ მას მხოლოდ კრიტიკულ ექსპოზიციებს ვაძლევთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საგანწყობო ცდების განუმეორებლად ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ წინა ცდებში იგი კრიტიკული ექსპოზიციის სწორი შეფასების მდგომარეობამდე, მასთანამდე, ფიქსირებული განწყობის აღკვეთამდე აქნა მიყვანილი, ცდისპირი მაინც ხელახლა იმავე ილუზიას იძლევა. უეჭველია, განწყობა კვლავ განგრძობს მოქმედებას; და საინტერესოა, რომ ზოგჯერ ეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდეგაც კი ხდება. სრულიად უდაოა, ფიქსირებული განწყობა აქტივობის მზაობას საკმაოდ დიდი ხნით ინარჩუნებს.

მაგრამ როგორღა უნდა გავიგოთ მაშინ ის საკვირველი ფაქტი, რომ განწყობა ამ მზაობას მას შემდეგაც ხელუხლებლად იცავს:

რაც იგი, კრიტიკული ცდების მრავალგზისი განმეორების გზით, თითქოს საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული? როგორც ჩანს, საბოლოო ლიკვიდაციაზე ლაპარაკი აქ მართებული არ უნდა იყოს. ეტყობა, ხშირი ზედიზედ განახლების გამო, კრიტიკული ვითარების შესატყვისი განწყობა (ტოლობის განწყობა) იმდენად ძლიერი ხდება, რომ ამ პირობებში იგი ფიქსირებულ განწყობას ჩრდილავს და მას გამოვლენის შესაძლებლობას არ აძლევს; ხოლო თვითონ სუბიექტის ახალ ფიქსირებულ განწყობად ჯერ კიდევ ვერ იქცევა, რათა საგანწყობო ცდებში წარმოშობილი ძველი განწყობა საბოლოოდ განდევნოს და მისი ადგილს აუვითონ დაიკავოს. ამიტომაც, საკმარისია, სუბიექტს კრიტიკული ექსპოზიციები მათი გამუდმებული განმეორების სიტუაციის გარეშე მიეცეს, რომ ფიქსირებულმა განწყობამ კვლავ იჩინოს თავი, და ტოლი ობიექტები არატოლად განაცდევინოს.

როგორც ვხედავთ, დროის ზემოქმედების მიმართ განწყობა საკმაო სტაბილობას ამჟღავნებს, გაცილებით მეტს, ვიდრე ერთიდამდე გამლიზიანებლის განმეორებითი ზემოქმედების მიმართ, როგორც ეს, მაგალ., კრიტიკული ცდების განმეორებითი ზემოქმედების შემთხვევაში ხდება. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ დროის მიმდინარეობაში სუბიექტზე მოქმედებენ ნაირნაირი გამლიზიანებლები, რომელთაც სრულიად არაფერი აქვთ საერთო მის ფიქსირებულ განწყობასთან, მაშინ როდესაც კრიტიკულ ცდებში სწორედ ისეთი გამლიზიანებლები მოქმედებენ, რომელნიც, მართალია, არსებული განწყობისათვის ადეკვატური არ არიან, მაგრამ მაინც იმდენად ახლო დგანან მასთან, რომ მათი შეფასება, ჩვეულებრივ, ამ განწყობის ნიადაგზე ხდება. საკვირველი არაა, რომ ამ პირობებში განწყობა დროის მიმართ სტაბილურია, მაგრამ კრიტიკული ექსპოზიციების განმეორების მიმართ არა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფიქსირებული განწყობა, რაკი გაჩნდება, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს აქტუალიზაციის უნარს; იგი, ასე ვთქვათ, ქრონიკულ მდგომარეობად, ერთგვარ დისპოზიციურ მდგომარეობად იქცევა. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ იგი ასეთად რჩება მას შემდეგაც, რაც იგი კრიტიკული ცდების განმეორების ზეგავლენით თითქოს საბოლოოდ ლიკვიდირებული ხდება.

5) როგორ ჩნდება ფიქსირებული განწყობა? ჩვენ თავიდანვე გვქონდა აღნიშნული, რომ იგი საგანწყობო ცდების, მათსადადე, განმეორების შედეგად იჩენს თავს. განმეორება რომ მართლა



ძირითადი მნიშვნელობის მომენტს წარმოადგენს ამ შემთხვევაში, ეს უდაოა: ექსპერიმენტულად ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია საგანწყობო ცდების რიცხვი, ე. ი. რაც უფრო ხშირად აწარმოებინებ ცდისპირს საგანწყობო ობიექტების შედარებას, ჩვეულებრივ, მით უფრო მტკიცე განწყობას შეუძენს მას. ეს დაკვირვება იმდენად ხშირია, რომ თითქოს სრული საფუძველი გვეძლევა, განწყობის სიმტკიცე პირდაპირ განმეორების ფუნქციად გამოვაცხადოთ. მაგრამ უფრო ყურადღებითი დაკვირვება ამტკიცებს, რომ ეს დებულება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება სწორად ჩათვალოს. საქმე ისაა, რომ შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად არ ჰქონდეს ცდისპირს საგანწყობო ობიექტების შედარების ნამდვილი მოთხოვნილება, და ამ აქტს იგი მხოლოდ ზედაპირულად, მხოლოდ მექანიკურად აწარმოებდეს. რას მოგვცემს ამ შემთხვევაში საგანწყობო ცდების განმეორება? უეჭველია, არაფერს. რაკი განწყობის სუბიექტური ფაქტორი სრულიად არ არის მოცემული, ცხადია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ თითოეული ცალკე შედარების აქტი სათანადო განწყობის ნიადაგზე ხდებოდეს. მაშასადამე, საგანწყობო ცდების განმეორება მხოლოდ გარეგნულად წარმოადგენს განმეორებას: თვითონ განწყობის განმეორებასთან აქ საქმე არა გვაქვს და, მაშასადამე, ფიქსირებული განწყობის შექმნის შესახებ ლაპარაკი ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია: საიდან უნდა შეიქმნას იგი, როდესაც თვითონ პირველადი განწყობა, რომელიც ფიქსირებულად უნდა გადაიქცეს, ჯერ კიდევ არსად ჩანს.

აქედან ნათელია, რომ ფიქსირებული განწყობის შესაქმნელად შემდეგი პირობებია აუცილებელი: საგანწყობო ობიექტების შედარების ნამდვილი მოთხოვნილება, როგორც აუცილებელი პირობა პირველადი განწყობის აღმოსაყენებლად, და განმეორება ამ შედარების აქტისა, როგორც ერთდრომადვე განწყობის მრავალგზისი განახლებისა და განმტკიცების პირობა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ განმეორება მხოლოდ იმიტომ უნდა იყოს ფიქსირებული განწყობის აღმოსაყენებლად აუცილებელი, რომ იგი განწყობის განმტკიცებას უწყობს ხელს. წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ სუბიექტს იმთავითვე ძლიერი განწყობა უჩნდება. ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის შესაძლებელია მოხდეს: საჭიროა ოღონდ განწყობის ფაქტორები — სუბიექტური და ობიექტური — ორივე განსაკუთრებული ძალით მოქმედებდეს. ამ შემთხვე-

ვაში, უდაოა, რომ განმეორება საპირო აღარ იქნება: ძლიერი განწყობა უიმიასოდაც ფიქსირებულად გადაიქცევა.

ამრიგად, ფიქსირებული განწყობა მარტო განმეორების შედეგად როდი ჩნდება. ადამიანს, უექველია, არა ერთი და ორი შემთხვევა აქვს ცხოვრებაში, რომ მასზე ესა თუ ის გარემოება განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდეს. ასეთ შემთხვევებში მისი განწყობა იმთავითვე ფიქსირდება, და შემდგომი მისი ცხოვრების მიმდინარეობა ბევრის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მის ამგვარად ფიქსირებულ განწყობათა წრე.

## განწყობის ღიფრანსიული ფსიქოლოგიისათვის

ჩვენ ვიცით, რომ გარემო პირველ რიგში ადამიანის განწყობაზე ახდენს გავლენას; ვიცით, რომ მთელი მისი ქცევა და განცდა ამ განწყობის ნიადაგზე ღებულობს თავის გარკვეულ სახეს. მაგრამ, როგორც ღავინახეთ, სუბიექტს ყოველთვის შეიძლება თავისი წარსულიდან ესა თუ ის განწყობა ჰქონდეს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გარემოსთან ურთიერთობის აქტში ჩაერიოს, ახალი შესატყვისი განწყობის აღმოცენებას დაასწროს, დაჩრდილოს იგი და ეს აქტი თვითონ წარმართოს.

უექველია, ამისდა მიხედვით, რომ ადამიანის წარსულს, მისი ფიქსირებული განწყობის წრეს და ძალას, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისი ქცევის გასაგებად.

მეორის მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმასაც, თუ როგორია ამა თუ იმ შემთხვევაში განწყობის მოქმედების, მისი, ასე ვთქვათ, მექანიზმის თავისებურება. ადამიანის ინდივიდუალობა არა მარტო მისი წარსულის ვითარებაზეა დამოკიდებული, არა მარტო იმაზე, თუ როგორია შინაარსეულად მისი ფიქსირებული განწყობა, არამედ იმაზეც, თუ როგორია ეს უქანასკნელი ფორმალური და.

1) აქ პირველ რიგში საყურადღებო იქნებოდა გამოგვერკვია, თუ რამდენად ადვილად უმუშავდება სუბიექტს ფიქსირებული განწყობა. რამდენად აგზნებადი იგი ამ მხრივ. უექველია, გახწყობის აგზნებადობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფორმალური მომენტი იქნებოდა, რომელიც ადამიანთა განსხვავებულობას ბევრის მხრივ შუქს მოფენდა.

სათანადო ცდებიდან ირკვევა, რომ განწყობის აგზნებადობა მართლა სხვადასხვაგვარია. არიან ადამიანები, რომელთაც ორიოდვე საგანწყობო ექსპოზიციის შედეგადაც ადვილად უფიქსირდებათ სა-

თანადო განწყობა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ამისათვის 15 — 20 ექსპოზიციაც არ ჰყოფნისთ.

2) რა ემართება განწყობას კრიტიკული ექსპოზიციის ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგად? იგი უთუოდ ქრება და ადგილს უთმობს ადეკვატურს განწყობას, თუ ეს ყოველთვის ასე არ ხდება? ცდები ამტკიცებენ, რომ აქ ორ ურთიერთის მოპირდაპირე ტიპს აქვს ადგილი. ერთის მხრივ, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ერთხელ შემუშავებული განწყობა იმდენად უძრავი და ინერტულია, რომ იგი სრულიად არ უთმობს ადგილს ადეკვატურ განწყობას, რაგინდ მრავალგზისაც უნდა იმოქმედონ მასზე კრიტიკული ცდის ობიექტებმა. ამ შემთხვევაში სუბიექტი თავს ვერ აღწევს ილუზიას, იგი ვერ ახერხებს გზის გაკვლევას ობიექტური ვითარებისაკენ. ასეთ უძრავსა და ურყევ განწყობას შეიძლება სტატიკური ვუწოდოთ — განწყობის იმ ტიპისაგან განსასხვავებლად, რომელიც მოცემულ პირობებში ადრე თუ გვიან განზე დგება და ადეკვატურ განწყობას უთმობს ადგილს. თუ პირველი ტიპისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი უსასრულო ილუზიის მსხვერპლად გვაქცევს, მეორე, რომელსაც შეიძლება დინამიკური ვუწოდოთ, ასეთ უძრავსა არ იჩენს და, ბოლოსდაბოლოს მაინც, ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

3) სტატიკური იქნება განწყობა თუ დინამიკური, სულ ერთია, შესაძლოა იგი მეტნაკლები პლასტიკურობით ხასიათდებოდეს. როგორც სათანადო ცდებიდან ჩანს, არის შემთხვევები, რომ განწყობა, ცდების განმეორებითი ზემოქმედების გამო, თანდათანობით სუსტდება და, რამოდენამე ფაზის განვლის შემდეგ, საბოლოოდ რომელსამე მათგანზე ჩერდება (სტატიკური განწყობა), ანდა ყველა ფაზის განვლის შემდეგ სრულიად აღიკვეთება (დინამიკური განწყობა). ამ ორივე შემთხვევაში ჩვენ პლასტიკურ განწყობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სხვაგვარ შემთხვევებსაც აქვს ადგილი: განწყობა ან გამუდმებით ერთ რომელსამე ფაზაზე რჩება გაყინული, ანდა პირველად მოცემული ფაზიდან თანდათანობით კი არ გადადის დანარჩენებზე, არამედ ერთბაშად, ყოველი თანდათანობითი დასუსტების გარეშე, ისპობა. აქ ორივე შემთხვევაში განწყობის სიტლანქესთან გვაქვს საქმე.

4) ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ განწყობას გენერალიზაცია ან ირადიაცია ახასიათებს. რასკვირველია, შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევაში ეს უკანასკნელი მეტნაკლები განფენალობით იყოს წარმოდგენილი. ეს გარემოება სრულიად არ ეწინა-

აღმდეგება განწყობის მთლიანობით ბუნებას: განწყობა ყველგან სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა მაშინაც, როდესაც იგი ფართოდაა მასში გავრცელებული, და მაშინაც, როდესაც იგი თითქოს მხოლოდ ზოგიერთ არეს ეხება. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა, რომ საგანწყობო ცდების ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა შესაძლოა ძალიან ფართოდ იყოს გავრცელებული; მაგალ. აქტიური შეხების სფეროში შექმნილი განწყობა მხედველობის არეშიც იყოს გავრცელებული. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ იგი იმ ორგანოს საზღვრებს არ სცილდებოდეს, რომელიც საგანწყობო ცდებში იღებდა მონაწილეობას; მაგ., თუ საგანწყობო ცდებში მარტო ცალი თვალი ან ცალი ხელი ღებულობდა მონაწილეობას, შესაძლოა, განწყობის გავრცელებულობა მარტო ამ ცალი ხელით თუ ცალი თვალით განისაზღვროს.

5) არის შემთხვევები, რომ განწყობა სამუდამოდ თავისი მოქმედების ერთსადიამვე ტიპს ინარჩუნებს: თუ, მაგალ., იგი პლასტიკურია და დინამიკური, იგი ყოველთვის ასეთი რჩება, მიუხედავად იმისა, დღეს იქნება იგი სათანადო საგანწყობო ცდების შედეგად მიღებული, თუ ხვალ. ამ შემთხვევაში ჩვენ კონსტანტური განწყობის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ განწყობა ყოველთვის კონსტანტური როდია. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ განწყობა ცვალებადი (ვარიაციული) ხდება: დღეს რომ იგი თავისი მოქმედების ერთ ტიპს გვიჩვენებს, ხვალ სულ სხვა სურათს გვაძლევს.

6) განწყობის ერთერთ ნიშანს სტაბილობა წარმოადგენს. მაგრამ იგი ყოველთვის ერთნაირი როდია. არის შემთხვევები, რომ განწყობა, ან უცვლელის ან შეცვლილი სახით, დიდ ხანს სძლებს ხოლმე (კონსტანტურ-სტაბილური და ვარიაციული-სტაბილური), ანდა შედარებით მალე ისპობა — ან ერთბაშად (კონსტანტურ-ლაბილური), ანდა ცვლილებების შემდეგ (ვარიაციული-ლაბილური).

7) შენიშნულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორიოდე კრიტიკული ექსპოზიციაც ან ამ უკანასკნელის ოდნავ გახანგრძლივებაც საკმარისია, რომ სუბიექტმა მოწოდებული ობიექტების სწორი შეფასება მოგვეცეს. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ამავე ეფექტის მიღება მხოლოდ საკმაოდ ხანგრძლივი კრიტიკული ექსპოზიციის, თუ კრიტიკულ ექსპოზიციათა მრავალგზისი განმეორების შემდეგ ხერხდება. უეჭველია, ეს იმიტომ უნდა ხდებოდეს, რომ

განწყობას უწევდეთვის ერთიდაიგივე ს.მ.ტ.კ.ც.ის დონე არ უნდა ახასიათებდეს, რომ უნდა არსებობდეს უფრო მტკიცე და ნაკლებ მტკიცე განწყობის შემთხვევები.)

## განწყობა პათოლოგიურ შემთხვევებში

1. განწყობა და პათოლოგია. თუ განწყობა მართლა ეგოდენ დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქცევის თუ განცდის მიმდინარეობაში, თუ მართლა ისაა, რომ პირველ რიგში იცვლება სინამდვილესთან ჩვენი ურთიერთობის შეცვლასთან ერთად და ჩვენი განცდის თუ ქცევის თავისებურებას განსაზღვრავს. მაშინ, ცხადია, რომ პათოლოგიურ შემთხვევებში განწყობის შესწავლას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ აქ, პათოლოგიურ შემთხვევებში, ქცევის მკვეთრად გამოვლენილი გადახრის ან გამრუდების სხვადასხვა ფორმას ვხვდებით; და ეს გარემოება პირდაპირ გვაფიქრებინებს, რომ, თუ ჩვენი დებულება განწყობის მნიშვნელობის შესახებ სწორია, მაშინ აქ, ამ პათოლოგიურ შემთხვევებში, განწყობის მოქმედების უეჭველად ამდენადვე განსხვავებულ ფორმებთან უნდა გვქონდეს საქმე.

პათოლოგიურმა თავისებურებებმა განსაკუთრებით მკვეთრად სწორედ ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში უნდა იჩინონ თავი. იმიტომ რომ, როგორც ცნობილია. ავადმყოფური ფსიქიკისათვის განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ფიქსაციის მოვლენები დამახასიათებელი. და მართლაც, სათანადო ცდების შედეგად საბოლოოდ გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფიქსირებული განწყობის მოქმედება პათოლოგიურ შემთხვევებში საზოგადოდ საქმოდ თავისებურია; და, გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ ეს მოქმედება სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში იმდენად სპეციფიკურია, რომ ამის მიხედვით ამ უკანასკნელთა საქმოდ შორსმწვდომი დიფერენციაცია ხერხდება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოთ, როდესაც განწყობის პროცესის შესახებ გვქონდა საუბარი, ჩვენ დავარწმუნდით, რომ იგი, თეორიულად მაინც, ექვე განსხვავებულ საფეხურს ან ფაზას შეიცავს. მაგრამ პრაქტიკულად, ცალკეული ნორმალური ადამიანების შემთხვევაში. ეს ფაზები არასდროს სისრულით არ გვეძლევა: როგორც წესი. ისინი მკიდროვდებიან და, ჩვეულებრივ, არსებითად სულ სამს თუ ოთხ ფაზაში ერთიანდებიან.

სულ სხვაა პათოლოგიური პირების შემთხვევაში; რასაკვირვე-

ლია, ექვსივე ფაზის სრული გამოვლენის ფაქტთან არც აქ გვაქვს საქმე. მაგრამ აქ არც მათ იმგვარ შემქმნელობას აქვს ადგილი, როგორც ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანების შემთხვევაში ვხვდებით.

უფრო დამახასიათებელი აქ შემდეგი გარემოება აღმოჩნდა: ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში წინ იწევს განწყობის მოქმედების რომელიმე ერთი ან მეტი ცალკეული ფაზა, ხშირად ის, რომელიც ჯანსაღი ადამიანის შემთხვევაში იმდენად დაჩრდილულია, რომ მისი აჩვენება მხოლოდ თეორიულად თუ შეიძლება იგულისხმოდეს. საინტერესოა, რომ სხვადასხვა დაავადების დროს სწორედ სხვადასხვა ფაზა წამოიწევს ხოლმე პირველ პლანზე. როგორც ვხედავთ, ეს გარემოება იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ განწყობის რეგრესული განვითარების ის ფაზები, რომლის არსებობაც ჯანმრთელი ადამიანის შემთხვევაში მხოლოდ თეორიულად უნდა იქნეს მიღებული, აქ, პათოლოგიური ქცევის შემთხვევაში, ხელსახებ ფაქტად იქცევა.

მეორე გარემოება, რომელიც დამახასიათებელი აღმოჩნდა, ეს ისაა, რომ პათოლოგიური შემთხვევებისათვის განწყობის მოქმედების სწორედ ის სახეებია სპეციფიკური და, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი, რომელნიც ნორმალური ცდისპირების შემოწმების დროს მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდებიან. სანიმუშოდ გავეცნოთ განწყობის მოქმედებას რამოდენიმე განსაკუთრებით ცნობილ დაავადებათა შემთხვევებში, სახელდობრ, ეპილეფსიის, შიზოფრენიისა და ისტერიის შემთხვევებში.

2. განწყობა შიზოფრენიის დროს. შიზოფრენიის შემთხვევების ანალიზმა თავიდანვე ნათელჰყო, რომ ფიქსირებული განწყობა აქ სრულიად სპეციფიკურს, ჯანმრთელისათვის უჩვეულო ფორმებს ღებულობს: 1) ჯერ ერთი, იგი განსაკუთრებით ადვილად აგზნებადი აღმოჩნდა: სულ ორიოდვე საგანწყობო ცდა საკმარისია, რათა ავადმყოფს ისეთივე ჩამოყალიბებული ფიქსირებული განწყობა გაუჩინდეს, როგორც 15—20 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ ვღებულობთ ხოლმე. 2) შიზოფრენიის განწყობას არაჩვეულებრივ მტკიცე გენერალიზაცია ახასიათებს: ჰაპტურ არეში გამოწვეული განწყობა უკლებლივ ოპტიკურ სფეროზეც ვრცელდება და აქ ისეთსავე მკაფიო ილუზიებს იწვევს, როგორცაა თავისი აღმოცენების პირველადს არეში. 3) კიდევ უფრო დამახასიათებელია, შეიძლება ვთქვათ, სპეციფიკურია, ამ დაავადებისათვის განწყობის სიტლანქი და განსაკუთრებით სტატისტიკურობა: შიზოფრენიკი თავს ვერ აღწევს ერთხელ შექმნილ განწყობას, და საინტერესოა, რომ ეს სტატისტიკურობა მის განწყობას არა მარტო თავისი აღმოცენების პირ-

ველადს არეში აქვს, არამედ სხვაგანაც, სადაც კი იგი ვრცელდება. ამისდა მიხედვით, შიზოფრენიკს რომ, მაგალ., ორჯერ მისცე ხელთ შესაღარებლად ორი სხვადასხვა მოცულობის ბურთი—ერთი დაიმავე წესრიგით—ეს საკმარისი აღმოჩნდება, რომ ჩვეულებრივს კრიტიკულ ცდებში მან ერთხელაც ვერ შესძლოს მიწოდებული ბურთების ტოლობის დადასტურება, რაგინდ ბევრჯერაც უნდა გაასინჯინო მას ხელში ეს ტოლი ბურთები. ამრიგად, შიზოფრენიკი უსასრულო ილუზიის მსხვერპლად იქცევა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ეს უსასრულო ილუზია მაშინაც ძალაში რჩება, როდესაც შიზოფრენიკს თვალთ აჩვენებ ამავე ბურთებს: ეხლა ისინი არა მარტო ხელში ეჩვენება მას უტოლოდ, არამედ თვალთაც, მიუხედავად იმისა, რომ თვალი საგანწყობო ცდებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. როგორც ჩანს, ერთხელ შექმნილი ფიქსირებული განწყობა მთლიანად მოიცავს შიზოფრენიკის პიროვნებას და არ აძლევს მას შესაძლებლობას. ობიექტური ვითარებისაყენ ვზა გაიკვლიოს.

ამრიგად, შიზოფრენიის შემთხვევაში დაავადებულის ფიქსირებული განწყობა თვალსაჩინოდ განსხვავდება ნორმალურისაგან: იგი ტლანქია. სტატიკური და ფართოდ ირადირებული; მიუხედავად ამისა, იგი ადვილად აგზნებადი და ამავე დროს უაღრესად კონსტანტური და სტაბილური. ერთი სიტყვით, შიზოფრენიკის განწყობა უეჭველად—თავისებურია: მისი სტატიკურობა. ირადიულობა. კონსტანტობა და სტაბილობა შორს დგას ნორმალური ადამიანის განწყობის მოქმედების ტიპური მიმდინარეობისაგან.

3. განწყობა ეპილეფსიის დროს. ეპილეფსიის შემთხვევაში განწყობის მოქმედების კიდევ უფრო გამოკვეთილ თავისებურებასთან გვაქვს საქმე. ეპილეპტიკის განწყობაც აგზნებადია, ტლანქია და სტატიკური. ამ მხრივ თითქოს არავითარი განსხვავება არ ჩანს მასსა და შიზოფრენიკს შორის. მაგრამ შემდგომი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ განსხვავება მაინც დიდია და ამავე დროს ძალიან დამახასიათებელიც. საქმე ისაა, რომ ეპილეპტიკის განწყობა ირადიაცია უაღრესად შემოფარგლული აღმოჩნდა. იგი არა თუ ერთი სენსორული არიდან მეორეზე ვერ გადადის, იგი თვით ამ ერთს აენსორულ არესაც ვერ ფარავს. კერძოდ, ეპილეპტიკის რომ განმეორებით მისცე ხელთ შესაღარებლად ორი სხვადასხვა მოცულობის ბურთი ერთი დაიმავე წესით და შემდეგ ტოლი ბურთები დაანახო და ერთმანეთს შეაღარებინო, იგი მათ, შიზოფრენიკისაგან

განსხვავებით, იმწამსვე ტოლად შეათვასებს. როგორც ჩანს, აქტიური შეხების არეში შექმნილი განწყობა აქვე რჩება, იგი უფრო შორს არ ვრცელდება. კიდევ მეტი: შეუქმნათ მას ეხლა განწყობა ერთ ხელში, ხოლო ტოლი ბურთები მეორეში მივცეთ შესაღარებლად. რა მოხდება? ილუზია არც ეხლა იჩენს თავს. დასკვნა ნათელია: ეპილეპტიკის განწყობა ლოკალურია. აღსანიშნავია, რომ იგი ისევე მტკიცედ კონსტანტური და სტაბილური აღმოჩნდა, როგორც შიზოფრენიკის ირადირებული განწყობა.

რასაკვირველია, ჩვენ შევხვდებით ე. წ. ეპილეპტიკთა შორის ისეთებსაც, რომელთა განწყობაც სულ ასეთი არაა; მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობაა, და გადახრა ამ შემთხვევაში არაა საკმარისი, ზემოაღნიშნული კანონზომიერების ფაქტიურობაში რომ ეპვი შევიტანოთ, მით უმეტეს, რომ ამ გადახრას თავისი საფუძველი მოეპოვება, რასაც აქ ვერ შევხვებით.

4. განწყობა ისტერიის შემთხვევებში. თავისებური აღმოჩნდა განწყობის მოქმედება ისტერიის შემთხვევაშიც. ჯერ ერთი, შიზოფრენიისა და ეპილეფსიისაგან განსხვავებით, ისტერია განწყობის მოქმედების ერთს გარკვეულ ტიპს არ იძლევა: ა) ერთხელ რომ ორიოდ საგანწყობო ექსპოზიციაც ქმნის საკმაოდ ეამოკვეთილ განწყობას, მეორეხელ საგანწყობო ექსპოზიციათა დიდი რიცხვიც ვერ იძლევა ეფექტს, და ისტერიული კრიტიკულ ცდებში, ჩვეულებრივ, ადეკვატურ შეფასებას აძლევს ხოლმე ტოლ ობიექტებს, ბ) სხვა პირობებში ჩვენ შიზოფრენიკული განწყობის შემთხვევებსაც ვხვდებით და ეპილეფსიურისასაც. მაგრამ ეს უჩანასკნელი ისე მკვეთრად ლოკალური მაინც არაა, როგორც ნამდვილი ეპილეფსიის შემთხვევებში: შესაძლოა, ისტერიულს ერთ სენსორულ არეში შექმნილი განწყობა მეორეზე არ უვრცელდებოდეს, მაგრამ თვითონ იმ სენსორულ არეში. რომელშიც საგანწყობო ცდები წარმოებდა, იგი დაუბრკოლებლივ ვრცელდება: ცალ ხელში შექმნილი განწყობა მეორე ხელზეც გადადის.

ერთი სიტყვით, არ ითქმის: ისტერიისათვის განწყობის მოქმედების ერთი რომელიმე სპეციფიკური ტიპი იყო დამახასიათებელი.

ამას სავსებით ეთანხმება ის შედეგებიც, რომელსაც ცალკე პირებზე კონსტანტობისა და სტაბილობის ცდების ჩატარება იძლევა: ისტერიულისათვის სწორედ განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა აღმოჩნდა დამახასიათებელი; მისი განწყობა ადვილად იცვლება სხვადასხვა დროს და მალე სუსტდება და ქრება, თუ მას ყოველდღიურად ახალი საგანწყობო ექსპოზიციები არ ამავრებს.



ნ. ჯანმრთელობის გაუმჯობესება და განწყობა. ჩვენთვის აქ საჭირო არაა სხვა პათოლოგიურ შემთხვევათა განხილვა. უეჭველია, რომ განწყობა მართლა არსებითი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს. ამის უდაო საბუთს შიზოფრენიის, ეპილეფსიისა და ისტერიის შემთხვევებში განწყობის მოქმედების სპეციფიკური გადახრის ფაქტები იძლევიან.

მაგრამ ამავე პათოლოგიურ შემთხვევებში განწყობის თავისებურების კვლევის დროს ჩვენ წავაწყდით მეორე ფაქტსაც, რომელიც კიდევ უფრო დემონსტრაციულად ამტკიცებს ჩვენი დებულების სისწორეს. თუ პიროვნების ქცევის თავისებურება მისი განწყობის მოქმედების შესატყვის თავისებურებას გულისხმობს, მაშინ უდაოა, რომ ყველგან, სადაც პათოლოგიური პიროვნება გაჯახსალების გზას დაადგება, სადაც მისი ქცევა ნორმალურთან დაახლოებას დაიწყებს, იქ სათანადო ცვლილება განწყობის მოქმედების სფეროშიც უნდა მოხდეს: იქ განწყობის მოქმედების ტიპი ნორმალურს უნდა დაუახლოვდეს. პათოლოგიური განწყობის ექსპერიმენტალური შესწავლის პროცესში სწორედ ამ ფაქტმა იჩინა თავი: ყველგან, სადაც ავადმყოფი გაუმჯობესების გზას ადგებოდა, განსაკუთრებით იქ, სადაც მართლა გაჯახსალების შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ ხშირად იქაც, სადაც იგი დროებით მაინც კარგად გრძნობდა თავს, მისი განწყობის ტიპი თვალსაჩინოდ იცვლებოდა და გარკვევით იმას უახლოვდებოდა, რაც ამ სუბიექტისათვის, როგორც გარკვეულ ხასიათის პატრონისათვის, ჯანმრთელობის დროს იყო ან უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

არსებობს მთელი რიგი ცდები, რომელთა შედეგებიც უდაოდ ხდის ამ დებულებას. საგულისხმოა, რომ ეს არა მარტო ერთი რომელიმე ავადმყოფობის შესახებ ითქმის, მაგალ., არა მარტო ისტერიის, ან ეპილეფსიის შესახებ, არამედ შიზოფრენიის შესახებაც. ექ. ი. ბჟალავას ცდების მასალებიდან, რომელიც მან ქაფურით წარმატებით მკურნალობის შემდეგ ჩაატარა შიზოფრენიკებზე, ნათლად ჩანს, რომ განკურნების შემდეგ შიზოფრენიკიც განწყობის ნორმალურ ტიპს უბრუნდება.

## კარი მეოთხე

### ემოციურ განცდათა ფსიქოლოგია

#### ემოციური განცდები

1. ცნობიერების მუშაობის უკიდურესი ეტაპები. განწყობის როლი ცოცხალი არსების ქცევის პროცესში ძალიან დიდია. დიდია იგი, კერძოდ, ადამიანის ქცევის პროცესშიც. მაგრამ ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ადამიანს აქვს მოპოვებული, განწყობის უშუალო გავლენით მაინც არ აიხსნება; ადამიანი რომ ამ უშუალო გავლენის-ამარა დარჩენილიყო, იგი პირუტყვის ცხოვრების დონეს, ალბათ, ვერასოდეს ვერ ასცდებოდა. ადამიანის სპეციფიკური თავისებურება და იმავე დროს მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ მას ძალა შესწევს, თავისი ქცევა განწყობის უშუალო ბატონობას ხელიდან გამოგლიჯოს, რათა იგი ცნობიერების აქტივობით გაშუალებულ განწყობას დაუმორჩილოს: ცნობიერება ადამიანის ქცევის უსპეციფიკურესი ფაქტორია.

მაგრამ ცნობიერება ნივთი არაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამოკვეთილი, მარად უცვლელი სახით იჩენდეს თავს. იგი უფრო პროცესია, რომელიც ყოველს კერძო შემთხვევაში განვითარების რამოდენიმე საფეხურს გაივლის. მისი სათავე, რასაკვირველია, სინამდვილის პირველად ასახვაში, ე. ი. განწყობაში უნდა ვეძოთ: ყოველი ცნობიერება მას ეყრდნობა და მისგან მომდინარეობს. მაშასადამე, ცნობიერების განვითარების პირველი ეტაპი ჯერ კიდევ უშუალოდ ემიჯნება განწყობას, უშუალოდ უკავშირდება სუბიექტის მთლიან მდგომარეობას; იგი ასე თუ ისე განწყობილი სუბიექტის ასახვას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ობიექტური სინამდვი-

ლის დიფერენცირებულ სურათს. ამ უკანასკნელს ცნობიერება თავისი განვითარების მხოლოდ ბოლო საფეხურებზე აღწევს: მისი უკანასკნელი მიზანი ობიექტური სინამდვილის მრავალფეროვნების ცნობიერ ასახვაში მდგომარეობს.

ამრიგად, ცნობიერების ორი უკიდურესი ეტაპი, დასაწყისი და საბოლოო ეტაპი, ასეა: თავში ცნობიერება სუბიექტის მთლიანი მდგომარეობის ასახვას წარმოადგენს: აქ იგი სუბიექტურია და მთლიანობითი. ბოლო საფეხურზე კი, პირიქით, იგი ობიექტური სინამდვილის დიფერენცირებული მრავალფეროვნების ასახვას ესწრაფვის: აქ იგი ობიექტურია და განაწევრებული. ცნობიერების ჩვეულებრივი მუშაობა ამ ორს, ურთიერთის საწინააღმდეგო პოლუსს შუა მიმდინარეობს.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რა მოვლენების სახით ჩვენს თავს ცნობიერების განვითარების ეს ეტაპები?

2. ემოციური განცდის შედარებითი პრიმიტულობა. პირველ რიგში საინტერესოა გავარკვიოთ: რა გვაქვს ცნობიერებაში ისეთი, რომ ჩვენი სუბიექტური მდგომარეობის მთლიანობითი ხასიათის ასახვას წარმოადგენს? რა განცდები გვაქვს ისეთი, რომ ჩვენი განწყობების მიჯნაზე არსებულად და, მაშასადამე, ცნობიერების გამოვლენის ყველაზე უფრო პრიმიტულ ფორმად შეიძლება იქნეს ვიგულისხმით?

ავიღოთ ჩვენი ცნობიერების სხვადასხვა შესაძლო შინაარსი. დავიწყოთ იმით, რასაც ჩვეულებრივ, შემეცნების პროცესებს უწოდებენ: აღქმა, წარმოდგენა, აზრი — ყველაფერი ეს ხომ უთუოდ რაიმე ობიექტს გულისხმობს, უთუოდ ჩვენს გარეთ არსებულს. ობიექტური სინამდვილის შესახებ გვაცნობებს რაიმეს; ექვი არაა, აღქმაც, წარმოდგენაცა და აზრიც ობიექტური სინამდვილის ასახვას იძლევა, იმის ასახვას, რაც ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს, და არა სუბიექტურისას. ამიტომაც, რომ მათ შემეცნებით პროცესებს უწოდებენ.

მათი ძირითადი ტენდენცია ობიექტური სინამდვილის არა საზოგადოდ როგორმე ასახვაში, არამედ ზუსტ ასახვაში მდგომარეობს, მათს, რამდენადაც შესაძლოა. განაწევრებულს, დიფერენცირებულ განცდაში. დიფუზიური აღქმა და წარმოდგენა ან აზრი თავის მიზანს ვერ აღწევს. მთლიანის ისე ასახვა, რომ მისი ნაწილობრივი მომენტები ბურუსით იყოს მოცული, მაგალ., ხის ისე აღქმა, რომ არ ხედავდე მის ნაწილებს, მის თვისებებს — ფოთლებისა და მათ ფერს... ერთი სიტყვით, რისამე ისე აღქმა, წარმოდგენა ან აზროვნება, რომ

მისი ნიშნების შესახებ არაფერი იცოდე, არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება შემეცნებითი პროცესების აზრსა და დანიშნულებას.

ამრიგად, შემეცნებითი პროცესებისათვის სწორედ ობიექტურობა და, რამდენადაც შესაძლებელია, ამ ობიექტურობის მაქსიმალურად განაწევრებული ასახვაა დამახასიათებელი: შემეცნება ობიექტური სინამდვილის მრავალფეროვნების ზუსტ ასახვას ესწრაფვის.

მაშასადამე, ნათელია, შემეცნებითი პროცესი ცნობიერების განვითარების ბოლო პოლუსს უფრო შეეფერება, ვიდრე მის დასაწყის ფაზას: იგი სწორედ იმის საწინააღმდეგო ნიშნებს შეიცავს, რაც ამ პირველი ფაზისთვისაა დამახასიათებელი.

ავილოთ ეხლა ე. წ. ე მ ო ც ი უ რ ი განცდები: სიამოვნება და უსიამოვნება, სიყვარული და სიძულელი, შიში და რისხვა... რა არის ამათთვის დამახასიათებელი? წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე მათგანის განცდა გაქეთ: მაგალ., შიშს განიცდით, გინდა სიამოვნება, ან სიყვარულს. განა რომელიმე ამ განცდათაგანი ობიექტური სინამდვილის რომელიმე ნიშანს ან მომენტს გადმოგცემს, ანდა, საზოგადოდ, რისამე ობიექტურად არსებულის ასახვას წარმოადგენს? რასაკვირველია, არა. მცენარის მწვანე ფერს რომ აღვიქვამ, ვგულისხმობ, რომ ამ აღქმამ მცენარის ფერი გამითვალისწინა: მცენარეს ეს ფერი აქვს, და ეს აღქმის წყალობით ვიცი. სიამოვნებას ან სიყვარულს რომ განვიცდი, მაშინაც ვტყობილობ რასმე ობიექტური სინამდვილის შესახებ, თუ არა? რასაკვირველია, არაფერს. სიყვარული ან სიამოვნება ჩემი მდგომარეობაა, და არა რაიმე ობიექტის ნიშანი. ასეა ყველა სხვა ემოციური განცდების შემთხვევაშიც.

მაშასადამე, ემოციური განცდა მხოლოდ სუბიექტის მდგომარეობას წარმოადგენს.

ამავე დროს ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მაგალ., სიყვარული. სრულიად არ შეადგენს ისეთს შინაგანად დიფერენცირებულს, გახაწევრებულ განცდას, როგორც, მაგალ., ხის ზუსტი აღქმა. როგორც სუბიექტის მდგომარეობა, სიყვარული მის მთლიან მე-ს ახასიათებს, და არა რომელსამე მის ნაწილს: ამ აზრით, იგი მთლიანობითი შინაარსის განცდაა.

ამრიგად, ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, ცნობიერების გამოვლენის პრიმიტულ ფორმად, იმ ფორმად, რომელიც განწყობათა სამკვიდროს ემიჯნება, სწორედ ემოციური განცდები ჩავთვალოთ: სუბიექტურობა და გაუნაწევრებელი მთლიანობა ყველაზე მეტად სწორედ ემოციურ განცდებს ახასიათებს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ განვითარების ადრეულ საფეხურს ყველგან ემოციური განცდა უნდა წარმოადგენდეს. ონტოგენეტიურად რომ ეს მართლაც ასეა, ამას დღეს არავინ უარყოფს: „ჩვენ რომ ნება მიგვეცა ჩვენი თავისთვის, ახალშობილი ბავშვის ცნობიერების უპირველესი ნიშნებისათვის რაიმე სახელწოდება გამოგვეძებნა, ჩვენ მხოლოდ უსახო ემოციურ განცდაზე შევჩერდებოდით, იმიტომ რომ განაწევრებული განცდების ბავშვს ჭერჭერობით არაფერი აქვს: საჭიროა ხანგრძლივი პროცესი, რომ პირველად ბურუსს ცალკეული აღქმები, წარმოდგენები და სურვილები, როგორც გამოცალკეებული განცდები, გამოეყვენ“-ო, ამბობს ცნობილი ბავშვის ფსიქოლოგი ვ. შტერნი. იგივე დასტურდება ჩვენი განვითარებული ცნობიერების აქტიობის ცალკე შემთხვევებშიც. სანამ ჩვენს ცნობიერებაში, ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად, რაიმე დასრულებული განაწევრებული შინაარსი, მაგალ., რაიმე აღქმა ან აზრი ჩამოყალიბდებოდა, მანამდე ერთგვარი მთლიანობითი ხასიათის უსახო განცდა ჩნდება ხოლმე, რომელიც სუბიექტის მდგომარეობას უფრო ახასიათებს, ვიდრე ობიექტურ ვითარებას, და როგორც თავისებური ემოციური პროცესი განიცდება.

3. ემოცია და გრძნობა — ვიწრო მნიშვნელობით. მაგრამ შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ყოველგვარი ემოციური განცდა ცნობიერების განვითარების ამ დასაწყის საფეხურს შეადგენდეს. არა. ამ მხრივ ემოციური პროცესებიც განსხვავდებიან ურთიერთისაგან: არსებობს ემოციური პროცესები, რომელნიც უფრო სუბიექტურისა და უფრო მთლიანობითი ბუნებისანი არიან, და არსებობს ისეთებიც, რომელნიც შედარებით უფრო დიფერენცირებულსა და ობიექტივირებულ განცდებს წარმოადგენენ.

თვალი რომ გადავაკლოთ ემოციურ განცდათა ერთობლიობას, ჩვენ ორის, ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯგუფის არსებობას დავადასტურებთ. ერთ ჯგუფს ისეთი ემოციები წარმოადგენენ, როგორცაა, მაგალ., სიყვარული, სიძულვილი, შიში, რისხვა, ჭავრი, სიხარული და სხვა. სულ სხვა ტიპის განცდაა სიამოვნება, რომელსაც, მაგალ., ვარდის სუნი მგვრის, ან უსიამოვნება, რომელსაც მწარე გემოსაგან ვგრძნობ.

პირველ შემთხვევაში ჩვენ ისეთ სულიერ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც თითქოს სუბიექტის მთელ ვითარებას ეხება და მის მთლიან დახასიათებას უფრო იძლევა, ვიდრე რომელიმე ნაწილობრივი განცდისას. მეორე შემთხვევაში, პირიქით, უთუოდ რაიმე ნაწილობრივი შინაარსის განცდა გვაქვს, მაგალ., მწარე გე-

მოს ან ვარდის სუნის აღქმა, და ემოციური განცდა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით და მის დასახასიათებლად ჩნდება. აქ ემოციურ განცდას უფრო დამოკიდებული, უფრო სპეციალური, უფრო განსაზღვრული ხასიათი აქვს, ვიდრე პირველ შემთხვევაში, ამიტომ ჩვეულებრივ მეტყველებაში, ისე როგორც მეცნიერებაშიც, თითოეულს ამ ჯგუფს თავისი განსხვავებული სახელწოდება აქვს. იმ „სულიერ მდგომარეობათ, რომელნიც ჩვენს განცდას დროებით მაინც მთლიანად აესებენ და მთელს დანარჩენ სულიერ ცხოვრებას იმორჩილებენ“, ე მო ც ი ე ბ ი ე წოდება; ხოლო იმ სულიერ მოძრაობათ, რომელნიც „სხვა სულიერ პროცესებსა და შინაარსებს უკავშირდებიან, რის გამოც უფრო სპეციალურისა და შემოფარგლული ხასიათის არიან,“ გ რ ძ ნ ბ ა ე წოდება (შ ტ ე რ ნ ი).

როგორც ვხედავთ, ემოციები და გრძნობები იმით განსხვავდებიან, ურთიერთისაგან, რომ პირველნი უფრო მთლიანობითისა და სუბიექტური ხასიათის განცდებს წარმოადგენენ, ხოლო მეორენი — უფრო სპეციალურისა და თითქოს ობიექტური ხასიათის განცდებს.

ამრიგად, არა მარტო მთელი ფსიქიკის შინაარსი იყოფა ორ ჯგუფად, რომელთაგანაც ერთი დიფუზიური, მთლიანობითი ხასიათისაა და სუბიექტის მდგომარეობას წარმოადგენს (ე მ ო ც ი უ რ ი განცდები), ხოლო მეორე ობიექტური სინამდვილის განაწევრებულ ასახვას გვაწვდის (შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი). არამედ თვითონ ემოციური პროცესებიც ორს ასეთსავე ჯგუფად იყოფა: ერთი სუბიექტთან უფრო დაკავშირებულად განიცდება (ე მ ო ც ი ე ბ ი), მეორე — ობიექტური სინამდვილის განაწევრებული ასახვის პროდუქტებთან, 'შემეცნების პროდუქტებთან (გ რ ძ ნ ბ ე ბ ი — ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით): ჩვენი დიფერენცირებული აღქმები, წარმოდგენები, აზრები და მოქმედებები — ესენიც მოქმედობენ სუბიექტზე და მასში გარკვეულ ემოციურ განცდებს იწვევენ, რომელნიც გ რ ძ ნ ბ ე ბ ე ბ ი ს სახით ხშირად არა მარტო სუბიექტის მდგომარეობად, არამედ თითქოს ობიექტის თვისებადაც განიცდებიან. მაგალითად, ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ხმა, ა ღ მ ა შ ფ ო თ ე ბ ე ლ ი საქციელი...

მიუხედავად იმისა, რომ ემოციური ცხოვრების ტიპურსა და დამახასიათებელ განცდას ემოცია უფრო წარმოადგენს, ვიდრე გრძნობა, XIX საუკ. კლასიკური ფსიქოლოგია მთელს თავის გულისხურს მაინც ამ უკანასკნელს აქცევდა და ემოციური ცხოვრების არსის წვდომას აქედან მოელოდა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი ემო-

ცალკე განცდებს არსებითად ისევე უყურებდა, როგორც შემეცნების პროცესებსაც — როგორც თავისებურს რთულ ფსიქიკურ შინაარსებს, რომელნიც ელემენტარული შინაარსების შეერთების პროდუქტს წარმოადგენენ და ამიტომ პირველ რიგში ანალიზის თვალსაზრისით უნდა იქნენ შესწავლილნი. როგორც შემეცნებითი პროცესების შესწავლისას თავი და თავი ამოცანა შემეცნებითი ელემენტების აღმოჩენასა და მათს სისტემატურ დალაგებაში მდგომარეობდა, ისე აქაც — ემოციური განცდების შესწავლისას — ძირითად პრობლემად ემოციური ელემენტების დადგინების საკითხი ითვლებოდა. მაგრამ ამ მიზნისათვის ე მო ც ი ა, რასაკვირველია, განსაკუთრებით არახელსაყრელ მასალას წარმოადგენს. სამაგიეროდ გ რ ძ ნ ო ბ ა ასეთი ანალიზის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ იყო, რომ კლასიკურს ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ემოციური განცდების ფსიქოლოგია არსებითად თითქმის მხოლოდ გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ის კვლევით განისაზღვრებოდა.

## გრძნობა

1. გრძნობის დამოუკიდებლობის საკითხი. ემოციური განცდები თვალსაზრისით განსხვავდებიან როგორც შემეცნებითის, ისე ნებელობითი განცდებისაგან. ეს უდაოა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გრძნობა უსათუოდ, როგორც დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ფსიქიკური ელემენტიც უნდა არსებობდეს. შესაძლებელია, ემოციური განცდები შეგრძნებების თავისებური კომპლექსებისა და მათი თავისებური მიმდინარეობის მეტს არაფერს წარმოადგენდნენ, და, მაშასადამე, თავისი შინაარსის ელემენტურ შემადგენლობაში არაფერს სპეციალურს არ შეცავდნენ. ფსიქოლოგიური აზროვნებისათვის, რომელსაც ფსიქიკური ელემენტების პრობლემა ერთერთ ძირითად პრობლემად მიაჩნია, საკითხის ასე დაყენება სრულიად ბუნებრივია და სამართლიანი. და მართლაც, XIX საუკ. ფსიქოლოგიაში საკითხი ემოციური ელემენტის დამოუკიდებლობის შესახებ ერთერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა. ბევრი ფსიქოლოგი გრძნობაში შეგრძნების ერთერთ მხარეს კერეტდა: მათი აზრით, შეგრძნებას რომ ე ლ ო ბ ის ა და ი ნ ტ ე ნ ს ი ო ბ ის გვერდით მესამე მხარეც აქვს — გ რ ძ ნ ო ბ ი თ ი ტ ო ნ ი. მაშასადამე, გრძნობა, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ელემენტი, არ არსებობს.

მაგრამ ამ აზრის წინააღმდეგ აღნიშნავდნენ, რომ გრძნობითი ტონის მოთავსება შეგრძნების რომელიმე მხარესა და ინტენსიობის გვერ-

დით არაფრით არ შეიძლება გამართლდეს: შეგრძნებას რომ ინტენსიობა ან რომელია ალუკვეთით, მისგან აღარაფერი დარჩება — იგი მოიხსობაო. ხოლო რაც შეეხება გრძნობის ტონს, შეგრძნება უიმისოდაც შეიძლება არსებობდესო. მაგალ, ტკბილის შეგრძნებას რომ სიტყბო ჩამოაშორო ან მისი სიძლიერე ნულზე დაიყვანო, შეგრძნებიდან აღარაფერი დარჩება. ხოლო ის სიამოვნება რომ არ იგულისხმო, რომელსაც სიტყბო იწვევს, ამით თვითონ შეგრძნებას სრულიად არაფერი დააკლდება (კ ი უ ლ პ ე).

ძალიან საინტერესოა შ ტ უ მ ფ ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, გრძნობა შეგრძნებათა თავისებურ კლასს წარმოადგენს: გარდა შეგრძნებათა ცნობილი კლასებისა (მხედველობის, სმენის და სხვა) კიდევ არსებობს შეგრძნებების ცალკე ჯგუფი, რომელთაც გ რ ძ ნ ო ბ ი თ ი შე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი (gefühlsempfindung) უნდა ეწოდოსო, ამბობს შ ტ უ მ ფ ი. ამის საბუთად იგი ტ კ ი ვ ი ლ ი ს შეგრძნებას ასახელებს, რომელიც უსიამოვნების გრძნობად განიცდება, და ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი ტ კ ბ ო ბ ი ს ა ს, რომელიც, პირიქით, სიამოვნებად განიცდება.

შ ტ უ მ ფ ის ეს დაკვირვება საგულისხმოა. უდაოა, რომ მართლაც გვაქვს შეგრძნებები, რომელნიც ძალიან ძნელი გამოსარჩევი არიან გრძნობებისაგან; და ამიტომ შეგრძნებასა და გრძნობას შორის უფსკრულის გულისხმობა შეიძლება მართებული არ იყოს. მაგრამ შ ტ უ მ ფ ი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ასეთი შეგრძნებების გრძნობითი რომელობა მტკიცე არ არის: ისინი ხან სიამოვნების სახით განიცდებიან, ხან უსიამოვნების სახით. ეს თვით ტკივილის შესახებაც კ. ათქმის და განსაკუთრებით სქესობრივი ტკბობის შესახებ: ე. წ. მაზოხიზმის ფაქტი ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს.

თავისებური დასკვნები გამომდინარეობს გრძნობის დამოუკიდებლობის შესახებ ჯ ე მ ს ი ს სახელგანთქმული თეორიიდან. ის, რასაც გრძნობად განვიცდით, ნამდვილად ორგანულ შეგრძნებათა განცდის მეტს არაფერს წარმოადგენსო, ამბობს ჯ ე მ ს ი. მაგრამ, როგორც ამას დაწვრილებით ქვემოთ დავინახავთ, არც ეს შეხედულებაა სწორი.

გრძნობის დამოუკიდებლობის უარყოფის ცდები არცერთი დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. დღეს დამტკიცებულად ითვლება, რომ ჩვენი ემოციური განცდა სპეციფიკურს, სხვა ფსიქიკურ შინაარსებზე დაუყვანად, დამოუკიდებელ განცდას წარმოადგენს.

2. ელემენტარული გრძნობების ძირითადი რომელობები. პირვე-



ლი საკითხი, რომელიც ბუნებრივად დგება ეხლა ჩვენს წინაშე, ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაითვალოს იმ ელემენტარულ ემოციურ განცდად. რომელიც ყოველ კონკრეტულს ემოციურ განცდაში შეგხვდება: რა და რანაირი ელემენტარული ემოციური განცდა არსებობს?

აღმოჩნდა, რომ, პირველი შეხედვით, აქ განცდების უფრო დარბ ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე შეგრძნებების შემთხვევაში: ფსიქოლოგთა უმრავლესობის აზრით, სულ ორი განსხვავებული ემოციური ელემენტი არსებობს — სიამოვნება და უსიამოვნება — და მთელი ემოციური ცხოვრება ამ ორი ელემენტისა და სხვადასხვა შემეცნებითი პროცესების კომბინაციებზე უნდა იქნეს დაყვანილი.

დამახასიათებელია, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულ შეხედულებას XIX საუკუნეში ე. წ. სინგულარიზმი წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ელემენტარული სიამოვნების გრძნობა ისე, როგორც ელემენტარული უსიამოვნებისაც, ერთია: რომ სხვადასხვა რომელობის სიამოვნება; ან ქვალიტატურად განსხვავებული უსიამოვნების გრძნობები, არ არსებობს; სიმფონიური მუსიკის მოსმენისას აღძრული სიამოვნების გრძნობა და გემრიელი საქმელის მიღებისას განცდილი სიამოვნება არსებითად ერთიდაიგივეა: სიამოვნება სიამოვნება და უსიამოვნება უსიამოვნებაო. მაგრამ თუ ამის მიუხედავად, ესთეტიკური სიამოვნება ჩვენ მაინც სხვანაირი გვეჩვენება, ვიდრე გემოსთან თუ სუნთან დაკავშირებული სიამოვნება, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში არსებითად ერთსადაიმავე ელემენტარულ გრძნობასთან განსხვავებული წარმოდგენები გვაქვს დაკავშირებულიო. განსხვავება, მაშასადამე, თვითონ გრძნობას კი არ ეხება, არამედ უფრო იმ შემეცნებითს შინაარსს, რომელიც ამ გრძნობასთანაა დაკავშირებული. ასეთია სინგულარიზმის შეხედულება. მის უპირატესობას ის გარემოება შეადგენს, რომ ემოციურ განცდათა უთვალავი ნაირსახეობა სულ ორს განსხვავებულ რომელობაზეა დაყვანილი და, მაშასადამე, მაქსიმალურად გამარტივებული.

თვითონ ეს ორი რომელობაც არსებითად ორს დაშოუკიდებელ რომელობას როდი წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ურთიერთის უარყოფას. არსებობს სიამოვნება და მისი უარყოფა — ე. ი. უსიამოვნება. ეს უკანასკნელი, მაშასადამე, სიამოვნების უბრალო აღკვეთაა, მეტი არაფერი. იგივე შეიძლება ითქვას უსიამოვნების შესახებაც. შოპენჰაუერი, ყოველ შემთხვევაში, ამტკიცებდა, რომ

ნამდვილად მხოლოდ ერთი განცდა არსებობს, სახელდობრ, უსიამოვნებების განცდა, და რომ ე. წ. სიამოვნება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტში უსიამოვნებას არ განვიციდი — მეტს არაფერსო.

ამრიგად, საბოლოოდ გამოდიოდა, რომ გრძნობები ურთიერთისაგან მხოლოდ გრადუალურად განსხვავდებიან, რომ რომელიც განსხვავებულობას აქ არსებითად ადგილი არა აქვს. უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნა მშვენივრად ეთნახმებოდა იმ მექანიკურ მსოფლმხედველობას, რომელიც მაშინ (XIX საუკ.) ბუნების მეცნიერებაში იყო გამეფებული და ფსიქოლოგიაში სანატრელ ნიმუშად ითვლებოდა, და ამიტომაც ფართოდ იყო გავრცელებული.

მაგრამ კლასიკური ფსიქოლოგიის ეს დასკვნები გრძნობათა შესახებ თვალსაჩინოდ ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც ამ შემთხვევაში ყოველი მეტად თუ ნაკლებად ობიექტურად წარმართული დაკვირვება გვეუბნება. საქმე ისაა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ უსიამოვნება მხოლოდ სიამოვნების უარყოფას წარმოადგენს, რომ იგი დამოუკიდებელს არაფერს შეიცავს. არა! სიამოვნება და უსიამოვნება ორივე სრულიად განსხვავებული რომელობის განცდებს წარმოადგენენ, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ურთიერთის უარყოფასთან. მხიარულება, მაგალ., სიამოვნების კატეგორიას ეკუთვნის, მწუხარება — უსიამოვნებისას. განა შეიძლება ითქვას, რომ მხიარულების განცდა მწუხარების უარყოფას ნიშნავს, ანდა მწუხარების განცდა მხიარულებისას! უეჭველია, ორივე სრულიად დამოუკიდებელი ხასიათის განცდებს წარმოადგენენ, და ისინი მარტო + ან -- ნიშნით როდი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გარდა ამისა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ თვითონ სიამოვნების გრძნობათა შორის, ისე როგორც უსიამოვნების გრძნობათა შორისაც. მხოლოდ გრადუალური განსხვავება არსებობდეს. ვინც თავის განცდას ჩაუკვირდება, როდესაც იგი სიმფონიური მუსიკით ტყდება და როდესაც იგი გემრიელ საჭმელს შეეჭყევა, ის უეჭველად იძულებული იქნება თქვას, რომ, მართალია, ორივე შემთხვევაში სიამოვნებას განიცდის, მაგრამ ამ ორ განცდას შორის ძალიან დიდი რომელობითი განსხვავებაა, რომ მათ შორის, შეიძლება ითქვას, არაფერია საერთო. ყოველ შემთხვევაში თვითონ განცდების შინაარსს რომ მივაქციოთ ყურადღება, მათში ვერაფერს ვნახავთ ერთნაირს. სიამოვნების ყოველი ცალკე შემთხვევა ახალ ემო-

ციურ რომელობას წარმოადგენს, ისე როგორც უსიამოვნების ყოველი ერთეული შემთხვევა. არსებობს უთვალავი რომელობით განსხვავებული ელემენტარული სიამოვნება, ისე როგორც უთვალავი რომელობით განსხვავებული ელემენტარული უსიამოვნება. ე. წ. პ ლ უ რ ა ლ ი ზ მ ი, წინააღმდეგ სინგულარაზმისა, ელემენტარულ გრძნობათა ქვალიტატური მრავლიანობის აზრს იცავს.

განსაკუთრებათ ენერგიული ღამცველი პლურალიზმს ვუნდტის სახით ჰყავდა. მაგრამ ვუნდტი ჩვეულებრივზე უფრო შორს მიდიოდა. იგი ამტკიცებდა, რომ ელემენტარულ გრძნობათა მრავალსახიანობა არავითარ შემთხვევაში სიამოვნება-უსიამოვნების კატეგორიით არ ამოიწურება. რომ გარდა ამ ჰედონისტური (სიამოვნება-უსიამოვნების) კატეგორიისა, არის სხვა კატეგორიაც, — რომ არსებობს კიდევ ალელეგება და დამშვიდება, ერთის მხრივ, და ძაბვა და შვეება, მეორის მხრივ. სამივე ეს კატეგორია დამოუკიდებელია ურთიერთისაგან. და მათი ერთმანეთზე დაყვანა შეუძლებელია. გარდა ამისა, თითოეული მათგანი მხოლოდ საერთო სახელწოდებას წარმოადგენს, რომელიც ქვალიტატურად განსხვავებულ გრძნობათა უთვალავ მრავლიანობას აერთიანებს.

ისე როგორც ფსიქოლოგიის სხვა პრობლემების შემთხვევაში, ვუნდტის პოზიცია აქაც ორაზროვანია. ერთის მხრივ, იგი ტრადიციული შეხედულების განსაზღვრულობასა და მისი გადალახვის საჭიროებას გრძნობს, მაგრამ, მეორის მხრივ, იგი მაინც ვერ ახერხებს ძველს პრინციპულ პოზიციებს გადასცდეს და ფსიქოლოგიური აზროვნება ახალ ლიანდაგზე დააყენოს. ამიტომ მას მხოლოდ შესწორებები შეაქვს ძველში, შესწორებები, რომელნიც ძველი სისტემის პრინციპულ საფუძვლებს (უღად ეგუება, მაგრამ არსებითად ახალს მაინც არაფერს იძლევა. ვუნდტი კარგად ხედავს, რომ სიამოვნება-უსიამოვნების კატეგორია სრულიად ვერ ამოწურავს გრძნობათა სამყაროს უთვალავ მრავალფეროვნებას, როგორც ეს ტრადიციულ ფსიქოლოგიას სწამს; მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ ელემენტების რიცხვი მაინც განსაზღვრულია, ოღონდ მათი სწორი მიგნებაა საჭირო, და ფიქრობს, სიამოვნება-უსიამოვნების კატეგორიას რომ კიდევ ორი ახალ კატეგორია დაეუმატოთ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებაო. ვუნდტი ელემენტთა ფსიქოლოგიის ნიანდაგზე განაგრძობს დგომას, და ამიტომ მთავარ პრობლემას მისთვისაც ამ ელემენტების სწორი რიცხვის მიგნება შეადგენს.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გრძნობების მრავალფეროვნების ფაქტი, წინააღმდეგ სინგულარაზმის მტკიცებისა, უეჭველ ფაქტად

უნდა ჩაითვალოს: ჩვენი გრძნობების სამკვიდრო ისევე მრავალფეროვანია, როგორც მრავალფეროვანია სუბიექტის რეაქციის შესაძლებლობა სხვადასხვა გამლიზიანებელთა მრავალი შესაძლო ზემოქმედების საპასუხოდ. მაგრამ მაინც გამოსარკვევი რჩება გრძნობათა რა და რა ძირითადი მიმართულებები უნდა იქნეს ურთიერთისაგან განსხვავებული. უდაოა, ვუნდტი აქაც მართალი იყო, როდესაც მარტო სიაშოვნება-უსიაშოვნების მიმართულებით არ კმაყოფილდებოდა, და დამატებით ახალი შემოქმონდა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ მისი დასკვნები მთლიანად სწორი იყო.

იმისათვის, რომ მართებულად გადავწყვიტოთ, თუ გრძნობის რა და რა ძირითადი მიმართულება აქვს ადამიანს, იმ დებულებიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ყოველი გრძნობა ზუბიექტის მდგომარეობას წარმოადგენს. მაგრამ მდგომარეობა თავისთავად და უმიზეზოდ კი არა, მხოლოდ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ჩნდება და ამ ურთიერთობის მიხედვით იცვლება. გრძნობა ამის ცნობიერ ანარეკლს წარმოადგენს. მაშასადამე, იგი მაჩვენებელია, თუ როგორ მიმდინარეობს ეს ურთიერთობა.

სინამდვილესთან ადამიანის ურთიერთობის მიმდინარეობა შეიძლება მხოლოდ ორი თვალსაზრისით იქნეს განსხვავებული: ან იმის მიხედვით, თუ რას აძლევს იგი სუბიექტს — მიზანშეწონილების თვალსაზრისით; ანდა იმის მიხედვით. თუ თვითონ პროცესი ამ ურთიერთობისა როგორია — დინამიკის თვალსაზრისით. მაშასადამე, გრძნობას მხოლოდ ორი ძირითადი მიმართულება უნდა ჰქონდეს: მიზანშეწონილების თვალსაზრისით, სიაშოვნება-უსიაშოვნების მიმართულება; ხოლო დინამიკის თვალსაზრისით — აგზნება-დამშვიდების მიმართულება. ამრავად, ნაცვლად ვუნდტის საში ძირითადი მიმართულებებისა, სულ ორი ასეთი მიმართულება უნდა განვასხვავოთ: სიაშოვნება-უსიაშოვნებისა და აგზნება-დამშვიდების მიმართულება (მტერნი და სხვა).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გრძნობის ეს მიმართულებები ურთიერთს არ გამორიცხავენ: სიაშოვნება-უსიაშოვნება გრძნობის შინაარსეულ მხარეს ახასიათებს; ხოლო აგზნება-დამშვიდება წმინდა ფორმალური ემოციური განცდებია, და ამიტომ, შესაძლოა, მათ ყოველგვარ შინაარსში იჩინონ თავი: აგზნება შეიძლება სიაშოვნებასთანაც; იყოს დაკავშირებული და უსიაშოვნებასთანაც; ისე როგორც დამშვიდებაც.

ესა თუ ის გრძნობა ადამიანს სინამდვილესთან ურთიერთობის,

ე. ი. მოქმედების პროცესში უჩნდება. როდესაც მოქმედება მიმდინარეობს — როდესაც იგი ჭერ კიდევ აქტუალურია — ამას სუბაქტი აგზნებულობის სახით განიცდის. აგზნებულობა შტერნის თქმით, გზის გრძობაა (Weggeföhle), ე. ი. გრძობა, რომელიც მოქმედების პროცესთანაა დაკავშირებული და არამის შედეგთან. მოქმედების ბოლოს, მის შედეგს, თან ახლავს დამშვიდების გრძობა (შედეგის გრძობა, შტერნის მიხედვით).

ადვილი წარმოსადგენია, რომ როგორც მოქმედების პროცესი. ისე მისი ბოლოც, სიამოვნების აღმძვრელიც იყოს და უსიამოვნებისაც. მაშასადამე, მოქმედების გრძობა-აგზნება შესაძლოა ორგვარი სახით იჩენდეს თავს — ან სასიამოვნო აგზნებულობისა და ან უსიამოვნო აგზნებულობის სახით. იგივე ითქმის შედეგის გრძობის შესახებაც: დამშვიდებაც შეიძლება ორგვარი იყოს — ან სასიამოვნო და ან უსიამოვნო.

ამრიგად, სიამოვნება და უსიამოვნება ჩვენი მოქმედების არამართ შედეგებთან არის დაკავშირებული: ადამიანი მხოლოდ იმის გამო როდი განიცდის სიამოვნებას ან უსიამოვნებას, რომ საგანს ან პროდუქტს ეუფლება, რომელიც მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. არა! სიამოვნება და უსიამოვნება თვითონ აქტიობის პროცესთანაც არის დაკავშირებული. ამას შემდეგ გასაგები ხდება, რომ თამაში მხოლოდ როგორც პროცესი იძლევა სიამოვნებას, რომ შემოქმედების პროცესი თვითონ წარმოადგენს სიამოვნების წყაროს, რომ, დასასრულ, ჩვენ მართო იმისათვის კი არ ვშრომობთ, რომ გარკვეული პროდუქტი შევქმნათ, რომელიც ჩვენს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ იმისთვისაც, რომ თვითონ შრომის პროცესში ვპოულობთ სიამოვნებას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო. მაშინ, — თამაშსა და შემოქმედებას რომ თავი დავანებოთ — შრომა თავის განვითარებულ ფორმებში — წარმოებითი შრომა — სრულიად შეუძლებელი იქნებოდა: მწარმოებელი მხოლოდ განვითარების ძლიერ დაბალ საფეხურზე აწარმოებს მართო იმას, რისი მოთხოვნილებაც თვითონ აქვს პირადად, თორემ საზოგადოდ იგი ბაზრისთვის მუშაობს. მით უმეტეს გაუგებარი იქნებოდა ის არაჩვეულებრივი შრომის ენთუზიამი, რომელიც ჩვენს სტახანოვურ მოძრაობას ახასიათებს: შრომის პროცესი თვითონ წარმოადგენს სიამოვნების წყაროს.

3. გრძობათა კლასიფიკაცია. სიამოვნება-უსიამოვნება და აგზნება-დამშვიდება გრძობის ძირითადი რომელობებია; მაგრამ ესენი ელემენტარული გრძობებია, რომელნიც ყველა ემოციურ განცდამში

შედის. თვითონ ემოციური განცდა ყოველთვის რთული მთლიანია. მასში, ამ ელემენტებს გარდა, სხვებიც მოიპოვება — განსაკუთრებით კი სხვადასხვაგვარი შემეცნებითი შინაარსი — აღქმა, წარმოდგენა, აზრი... კონკრეტულად გრძნობის აღმოცენება ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობის ნიადაგზე ჩვენს ცნობიერებაში სხვადასხვა განცდა ჩნდება, რომელიც ამ ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს; ჩვენ ვხედავთ კონკრეტულ საგნებს ყველა მათი გრძნობადი თვისებებით — მათ ფერს, სიდიდეს, ფორმას; აღვიქვამთ მათ სუნს, გემოს; ვამჩნევთ სიმძიმეს, ტემპერატურას; და თითოეული ეს შინაარსი რაღაც ემოციურ მდგომარეობას, რაღაც გრძნობასაც იწვევს ჩვენში, რა თქმა უნდა, არა უშუალოდ წინააღმდეგ უშუალობის თეორიისა, მაგალ., ფერი — სიამოვნებისას, სუნი — უსიამოვნებისას. მაგრამ შესაძლოა მთელი საგნის აღქმამაც გამოიწვიოს რაიმე გრძნობა, ასეთ შემთხვევებში ჩემთვის შთავაზი თვითონ საგანია, ან მისი ცალკე თვისება: მე მას აღვიქვამ, და ამ აღქმასთან ერთად ის გრძნობაც მეძლევა, რომელსაც ამ საგნის ან მისი ცალკე თვისების აღქმა იწვევს ჩემში. ამიტომაც ეს საგანი არა მარტო გარკვეული ობიექტური თვისებების — ფერის, ფორმის, სიდიდის მატარებლად მეჩვენება; იგი არა მარტო ამ თვისებით ხასიათდება, არამედ იმიტაც, რომ მას, მაგალ., სასიამოვნო სუნი აქვს, რომ იგი საერთოდ მოსაწონია. როგორც ვხედავთ, ჩემი აღქმის საგანი არა მარტო ობიექტურ თვისებებს შეიცავს, არამედ იმ თვისებებსაც, რომ იგი ჩემში სიამოვნების გრძნობას იწვევს.

მანსაღამე, გრძნობა ამ შემთხვევაში სუბიექტს კი არ ახასიათებს, არამედ გაცილებით უფრო საგნების იმ თვისებას გვეთვალისწინებს, რომელსაც იგი სუბიექტზე ზემოქმედების შემთხვევაში იჩენს: ეს საგანი ასეთია, რომ იგი აღნიშნულ სიამოვნებას იწვევს, თითქოს ასე გვეუბნება გრძნობა.

ამრიგად, როდესაც ჩვენ ობიექტი გვიანტერესებს, მის ასახვაში არა მარტო ობიექტური თვისებები შედის, არამედ სუბიექტურიც, ე. ი. ის თვისებაც, რომ მას ჩვენში გარკვეული გრძნობის გამოიწვევა შეუძლია. ასეთ შემთხვევაში ემოციური განცდა ობიექტურად ვითარების დახასიათებად იქცევა: იგი საკუთრივ გრძნობის სახით გვევლინება.

გრძნობათა გამოვლენის შემთხვევები მრავალია და მრავალფეროვანი. მათ დასაჯგუფებლად განსაკუთრებით ის ობიექტური გან-

ცლები გამოდგება, რომელთა ნიადაგზეც ისინი ჩნდებიან და რომელთა შინაარსშიც განიცდებიან. ეს ობიექტური განცდები ორგვარია: 1) ის განცდები, რომელნიც ჩვენი გრძნობის ორგანოების ფუნქციონის შედეგად ჩნდებიან — გრძნობადი განცდები, ე. ი. ფერის, ხმის, სუნის, გემოს და სხვა ასეთების განცდები, და 2) ის განცდები, რომელნიც უფრო მაღალი კატეგორიის მოვლენებს წარმოადგენენ: ჩვენი იდეები ქეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის შესახებ.

ამისდა მიხედვით გრძნობების ორი დიდი ჯგუფი უნდა გაირჩეს:

1) გრძნობადი გრძნობები, ე. ი. გრძნობები, რომელსაც ფერის, სუნის და სხვა ასეთების აღქმის შედეგად ვლტებულობთ და რომელნიც ამისდა მიხედვით ამ ობიექტურ შინაარსებთან დაკავშირებით განიცდებიან.

2) უმაღლესი გრძნობები, ე. ი. ის გრძნობები, რომელნიც რაიმე აზრის, რაიმე ესთეტიკური იდეების (მხატვრული ნაწარმოების, ან ბუნების სიმშვენიერის) ან რაიმე ქცევის განცდის შედეგად აღმოცენდებიან. ეს გრძნობები ინტელექტუალურის, ესთეტიკურისა და მორალური გრძნობების სახელწოდებით არიან ცნობილი.

საკმარისია, ოდნავ ჩაუხევირდეთ — იშწაშსვე შევამჩნიოთ, რომ, ჩვეულებრივ, ამ გრძნობების განცდის შემთხვევაში სუბიექტის მდგომარეობა საგანგებო ცვლილებას არ განიცდის და ცნობიერების წინა პლანზე არ დგება.

აქ უფრო მეტად ობიექტური ვითარების — გრძნობების, მშვენიერებისა და ზნეობრივი ქცევის — განცდასთან გვაქვს საქმე: ყოველ შემთხვევაში, აქ ობიექტური ვითარების თავისებურება უფრო გვეცემა თვალში, ვიდრე სუბიექტის მდგომარეობა. განსაკუთრებით ნათლად ეს ესთეტიკურ ემოციურ განცდაში ჩანს: ესთეტიკური გრძნობა უფრო ობიექტს აბასიათებს. ვიდრე სუბიექტის მდგომარეობას; იგი მშვენიერების განცდას წარმოადგენს და ამ გრძნობის შინაარსს — მშვენიერებას — საგანში გულისხმობს, როგორც მის თვისებას, და არა სუბიექტის როგორც მის მდგომარეობას.

## ემოცია და მისი კლასიფიკაციის ცვლები

1. გრძნობა და ემოცია. ემოციური განცდების ანუ გრძნობების — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — მეორე გამოვლენის ფორმას ემოცია წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რით განსხვავდება იგი საკუთრივ გრძნობისაგან. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნე-

ლი, ჩვეულებრივ, ობიექტური შინაარსების განცდებს უკავშირდება და მათ თვისებად. ან უკეთ, მათ ემოციურ ტონად იქცევა, ემოცია, პირიქით. წმინდა სუბიექტურ მდგომარეობად განიცდება: საგნობრივი. ობიექტური მასში მეორე პლანზეა მოთავსებული — იგი არასდროს ამ ობიექტურის თვისებად არ განიცდება.

ჩვეულებრივი გრძნობის შემთხვევაში საგნის, ობიექტურის, განცდაა ცნობიერებაში პირველ პლანზე წამოწეული; ხოლო ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ამ განცდასთან დაკავშირებით ჩნდება, ისეთი არაა, რომ საგანგებო ყურადღება მიიქციოს, ცნობიერებაში დამოუკიდებელი ადგილი დაიჭიროს: იგი ობიექტური შინაარსის წინაშე ჩრდილში რჩება. მაგრამ ვთქვათ, რომ რაიმე მიზეზის გამო ობიექტის განცდა ისეთ გავლენას ახდენს სუბიექტზე. რომ ეს უკანასკნელი თავისი ჩვეულებრივი წონასწორობიდან გამოდის და მკვეთრად განსხვავებულ მდგომარეობაში ვარდება. უეჭველია, ამ შემთხვევაში მის ცნობიერებაში არა მარტო ობიექტის ვითარება აისახება, არამედ სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის განცდაც გაჩნდება: ის, რაც გრძნობის შემთხვევაში ობიექტურ შინაარსს უკავშირდება, აქ ცნობიერების ცალკე შინაარსად იქცევა — ცალკე განცდად, რომელიც, ობიექტური ვითარების განცდის გვერდით, სრულიად დამოუკიდებელს, სრულიად თავისებურ რომელობას წარმოადგენს. ვთქვათ, ტყეში ერთბაშად მხეცს წააწყდი, რომელიც ღრიალით შენსკენ მორბის. აქ ცნობიერებაში სრულიად გარკვევით ორი ურთიერთისგან განსხვავებული და ურთიერთისგან გამოყოფილი შინაარსი გაჩნდება: ერთის მხრივ, „საშინელი მხეცის“ აღქმა და, მეორის მხრივ, ელდა, შიში, რომელშიც მხეცის თვისებები კი არა, შენი საკუთარი მდგომარეობაა გადმოცემული. რასაკვირველია, ჩვენ „მხეცის საშინელებს“ შესახებაც ვლაპარაკობთ, როდესაც ობიექტური ვითარების აღწერას ვაწარმოებთ; მაგრამ ამით ჩვენ ოდნავაც არ ვეხებით უმთავრესს, სახელდობრ, თვითონ სუბიექტის მდგომარეობას — მის ელდას, შიშს. ეს უკანასკნელი არც ერთი მხრით მხეცის დასახასიათებლად არ გამოდგება: იგი სუბიექტის მდგომარეობაა და მხოლოდ სუბიექტს ეხება. უეჭველია, ასეთი განცდები მკვეთრად უნდა განვასხვავოთ გრძნობებისაგან: ისინი ემოციის სახელწოდებით არიან ცნობილნი.

მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ რომელიმე გრძნობა ნამდვილ ემოციად გადაიზარდოს. ავიღოთ სრულიად ჩვეულებრივი გრძნობა და ვიგულისხმობთ რომ მისი ინტენსიობა თანდათანობით ძლიერდება! ადვილი შესაძლებელია, ამ ინტენსიობის ზრდის პრო-



ცესში ისეთი მომენტი დადგეს, რომ ამ გრძნობამ არა მარტო ობიექტის თვისების, არამედ სუბიექტის შეცვლილი მდგომარეობის განცდის სახით იჩინოს თავი ცნობიერებაში. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე ემოციასთან გვექნება საქმე.

ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს, რომ გრძნობა და ემოცია იმით განსხვავდებოდნენ ურთიერთისგან, რომ ემოციური განცდის ინტენსიობის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენდნენ. რომ ემოცია უფრო ინტენსიური გრძნობა იყოს და მეტი არაფერი. არა! სრულიად არაა სავალდებულო, რომ ემოცია უფრო ინტენსიური განცდა იყოს, ვიდრე გრძნობა. შესაძლებელია ასეთი მდგომარეობაც: გრძნობა ძლიერდება და თავისი ინტენსიობის იმდენად მაღალ დონეს აღწევს, რომ ემოციად იქცევა; მაგრამ ეს ემოცია ჯერ მხოლოდ სუსტი ემოციაა, და ისე მკვეთრად, როგორც გრძნობა, ჯერ კიდევ არ განიცდება: ადვილი შესაძლებელია, რაიმე ობიექტი ინტენსიურ უსიამოვნების გრძნობას იწვევდეს, მაგრამ ეს გრძნობა მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი შიშის ემოციაში გადადიოდეს.

იმისათვის, რომ საბოლოოდ ნათელი გახდეს, თუ რას წარმოადგენს ემოცია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი დამოკიდებულება იმ ობიექტურ ვითარებასთან, რომელიც მას იწვევს, თავისებურია. მიუხედავად იმისა, რომ ემოცია წმინდა სუბიექტური მდგომარეობაა, რომელსაც, მაშასადამე, არაფერი აქვს ობიექტური ვითარების ასახვასთან საერთო, იგი მაინც გულისხმობს ამ უკანასკნელს. შეიძლება ითქვას, ემოცია ამ ობიექტური ვითარების ნათლად ასახვას და რამდენადაც შესაძლოა ცნობიერების მასზე კონცენტრაციას უწყობს ხელს. მაგალ., შიშის შემთხვევაში ცნობიერებაში შიშის გამომწვევი სიტუაციის შესახები წარმოდგენები ბატონობენ.

ამრიგად, ემოცია სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს; მაგალ., მე მეშინია რისამე. გაჯავრებული ვარ უთუოდ რამეზე. მიყვარს ან მძულს უსათუოდ ვინმე და სხვა.

2. ემოციის ძირითადი კლასები. ყოველი ემოცია, როგორც ემოციური განცდა, აუცილებლად მარტივი გრძნობების მონაწილეობას გულისხმობს: სიამოვნება-უსიამოვნებისას და აგზნება-დამშვიდებისას. ამისდა მიხედვით, ემოციები ოთხ ჯგუფად შეიძლება განაწილდეს: ორი ჯგუფი სასიამოვნო ემოციებისა -- აგზნებითი და დამ-

შვილებითი სასიამოვნო ემოციები, და ორი ჭგუფიც უსიამოვნო ემოციებისა — აგზნებითი და დამშვიდებითი უსიამოვნო ემოციები.

მაგრამ ეს დაჭვუფება ძალიან ზოგადია და მისი შემდგომი დიფერენციალია საჭირო.

ახალი ცდებიდან, რომელიც ემოციების დაჭვუფების საკითხს ეხება, განსაკუთრებით საყურადღებოა მაკ-დ აუ გოლის, ვ. შტერნისა და შ.ნაიდერის ცდები.

მაკ-დ აუ გოლი ემოციების კლასიფიკაციის საფუძვლად ინსტინქტებს იყენებს და ემოციათა იმდენ ჭგუფს განასხვავებს, რამდენი განსხვავებული ინსტინქტიც არსებობს. მაკ-დ აუ გოლის კლასიფიკაცია მის პრინციპულ შეხედულებას ემყარება, რომლის მიხედვით ემოციას ინსტინქტური საფუძველი აქვს და იგი ინსტინქტური პროცესის აფექტური გამოვლენის მეტს არაფერს წარმოადგენს. მაკ-დ აუ გოლის მიხედვით:

- |   |  |
|---|--|
| 1. თავდაცვის ინსტინქტს ახლავს თან .         | შიშის ემოცია                           |
| 2. აგრესიობის ინსტინქტს .                   | რისხვა                                 |
| 3. უკუგდების ინსტინქტს .                    | ზიზღი                                  |
| 4. მშობლიურ ინსტინქტს . . .                 | სინაზე                                 |
| 5. დამოკიდებულობის ინსტინქტს .              | უმწეობის ემოცია                        |
| 6. გამრავლების ინსტინქტს . . .              | სექსუალური ემოცია                      |
| 7. ცნობისმოყვარეობის ინსტინქტს .            | გაკვირვების ემოცია                     |
| 8. დამორჩილების ინსტინქტს                   | დამოკიდებულების,<br>მორჩილების გრძნობა |
| 9. თავისი თავის განმტკიცების<br>ინსტინქტს . | სიამაყე.                               |
| 10. სოციალურ ინსტინქტს                      | მარტოობის ემოცია                       |
| 11. ნადირობის ინსტინქტს                     | მალა                                   |
| 12. საკუთრების ინსტინქტს                    | ფლობის ემოცია                          |
| 13. მშენებლობის ინსტინქტს                   | შემოქმედების ემოცია                    |
| 14. სიცილის ინსტინქტს                       | მხიარულება                             |

საკმარისია თვალი გადავაგლოთ ამ კლასიფიკაციას, რათა იმწამსვე შევამჩნიოთ, რომ აქ ზოგი რამ ინსტინქტად არის დასახელებული, რაც არავითარ შემთხვევაში ინსტინქტს არ წარმოადგენს, და ზოგი რამ — ემოციად, რაც ემოციად არ ჩაითვლება. ეს იმით აიხსნება, რომ მაკ-დ აუ გოლის კლასიფიკაციას თვითონ ამოსავალი პუნქტი აქვს მცთარი. სრულიად შეუწყნარებელია, ადამიანის ემოციური ცხოვრება, რომელიც ეგოდენ მჭიდროდაა მის სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული, ინსტინქტებზე იქნეს

დაყვანილი და, ამრიგად, მისი განვითარების ყოველი შესაძლებლობა სრულიად უარყოფილი იქნეს. მაკ-დ აუ გო ლ ი ს ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, თითქოს ადამიანის ემოციები, მისი ინსტინქტების მსგავსად, ერთხელ და სამუდამოდ იყვნენ მოცემული და მათი შეცვლა შეუძლებელი იყოს.

ვ. შ ტ ე რ ნ ი ს დაჯგუფებას იაკლებ არისციპული ხასიათი აქვს. იგი იმ მოსაზრებიდან გამოდის, რომ ემოცია მთლიანი პიროვნების მდგომარეობას წარმოადგენს. ამიტომ იგი პიროვნების ცხოვრების მთლიან მიმდინარეობასთან დაკავშირებით უნდა იქნეს შესწავლილი. ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობისათვის კი გაისაკუთოვიული მნიშვნელობა დ რ ო ს აქვს: ადამიანის ცხოვრება აწ მ ყ ო შ ი მიმდინარეობს, მაგრამ იგი წ ა რ ს უ ღ ღ ს ა ც შეიცავს და მ ო შ ა ვ ა ლ ს ა ც. ამისდა მიხედვით, ყველა გრძნობები სამ ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

1) აწ მ ყ ო ს გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი, რომელსაც შეადგენენ: გ უ ნ ე ბ ა, ა ფ ე ქ ტ ი, საკუთარი ყოველდღიური ქცევის წ ა რ შ ა რ თ ვ ე ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი და განცდების გ რ ძ ნ ო ბ ი ს ტ ო ნ ი.

2) მ ო მ ა ვ ლ ი ს ა კ ე ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი. ასეთია მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა, როგორც გრძნობა; წინასწარი გრძნობა მომავლისა; შოლოდინი, შიში, იძელი.

3) წ ა რ ს უ ლ ი ს ა კ ე ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი. დადებითი: ახლოობის გრძნობა (სიყვარული, ერთგულება, პატრიოტიზმი); უარყოფითი: დარდი, დამოკიდებულების გრძნობა.

დროზე უფრო ხელსაყრელი თვალსაზრისია ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა, რომელთან დაკავშირებითაც ჩნდება ესა თუ ის ემოცია. ამ მხრივ საყურადღებოა კ უ რ ტ შ ნ ა ი დ ე რ ი ს კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა. ყოველი ემოცია, სამართლიანად აღნიშნავს შ ნ ა ი დ ე რ ი, უთუოდ ეხება რასმე: იგი რ ე ა ქ ც ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა. ეს რ ა ღ ა ც კ ი შესაძლებელია სამგვარი იყოს: მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, ს ა კ უ თ ა რ ი თ ა ვ ი, ს ხ ვ ა ვ ი ნ მ ე. აქედან ემოციებიც სამგვარია:

А. მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ე მ ო ც ი ე ბ ი:

ა) ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო: სიხარული, სიამოვნება, მხიარულება, ბედნიერება, სიმშვიდე, დარწმუნებულება, კმაყოფილება.

ბ) უ ს ი ა მ ო ვ ნ ო: სევდა, დარდი, შიში, უხალისობა, ნაღვლიანობა, უმწეობა, სამშობლოს სევდა, სასოწარკვეთილება, წუხილი, ძრწოლა, წყენა, რისხვა, ბრაზი, შური, იქვი, მოწყენა, სიცარიელე.

თავისი თავის მიმართი ემოციები:

ა) სასიამოვნო: ძალა, სიამაყე, თავმომწონობა, თავისი ღირსების დაცვა, ჭიუტობა, თავისი უპირატესობის გრძნობა.

ბ) უსიამოვნო: სირცხვილი, ბრალიანობის გრძნობა, სინანული, დარცხვენა, თავდაპყერილობა, თავდაბლობა.

ც. სხვის მიმართი გრძნობა:

ა) სასიამოვნო: სიყვარული, სიმპათია, ნდობა, თანაგრძნობა. პატივისცემა, ინტერესი, მოწონება, მადლიერება, კეთილგანწყობილება, თავყანისცემა, აღფრთოვანება.

ბ) უსიამოვნო: სიძულელი, ზიზღი, უნდობლობა, არაფრადჩაგდება, მტრობა, დაცინვა, უკმაყოფილება, აღშფოთება.

გარდა ამ გრძნობებისა არსებობს კიდევ ისეთი ემოციური განცდებიც, რომელნიც სიამოვნების ელემენტებსაც შეიცავს და უსიამოვნებისააც. მაგალ., დარდი, უარის გრძნობა...

საერთოდ, ემოციათა დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია დღემდე არ არსებობს. ეს იმით აიხსნება, რომ თვითონ ემოციის ბუნება არ არის ჭერ კიდევ საკმარისად შესწავლილი. პრაქტიკულად შენიღბვის კლასიფიკაცია უფრო გამოსადეგია, ვიდრე სხვები.

## ემოციურ განცდათა რომელიზითი დახასიათება

1. სუბიექტურობა. ერთი, რითაც ემოციური განცდა მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა განცდისაგან, ეს მისი სუბიექტურობაა, ანუ ის გარემოება, რომ იგი სუბიექტის მდგომარეობად განიცდება: სიამოვნება-უსიამოვნება და აგზნება-დამშვიდება ამ მხრივ სრულიად არ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. მაგრამ ეს ნიშანი განსაკუთრებით მკაფიოდ ემოციას ახასიათებს: ხაძღელის წმინდა სუბიექტურ მდგომარეობას, როგორც ვიცით, მხოლოდ ემოცია წარმოადგენს. რაც შეეხება გრძნობას, რასაკვირველია, იგი სუბიექტის მდგომარეობაა, მაგრამ მის განცდაში ობიექტური მომენტიც ძალიან დიდ როლს ასრულებს: როგორც ვიცით, გრძნობა ისე განიცდება, თითქოს ობიექტს ცალკე თვისება ან მხარე ჰქონდეს, რომელიც გრძნობაში აისახება. მიუხედავად ამისა, შეგარძნებასა და გრძნობას შორის მაინც დიდი განსხვავებაა: მაშინ, როდესაც პირველი წმინდა ობიექტურ მოცემულობად განიცდება, რომელშიც სუბიექტის სრულიად არაფერი ჩანს, მაგალ., ფერი ან ხმა — მეორე, ე. ი. გრძნობა, ყოველთვის სუბიექტს გულისხმობს. და თუ კი რამეა მასში ობიექტური ვითარების — ყოველთვის სუბიექტსადმი მიმართების ასპექტით, მაგალ., სასიამოვნო ხმა.

ამრიგად, სუბიექტურობა ის აუცილებელი ნიშანია, რომელიც საერთოდ ახასიათებს ემოციურ პროცესებს; როგორც მარტივ გრძნობას, ისე რთულ ემოციასაც.

2. პოლარული ხასიათი. ემოციური განცდების ძირითად რომელიცათა განსაკუთრებით სპეციფიკურ თავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ თითოეული მათგანი ორს, პოლარულად საწინააღმდეგო, მიმართულებას შეიცავს: სიამოვნება და უსიამოვნება, აგზნება და დამშვიდება — ორივე პოლარულად დაპირისპირებული წვევებისაგან შედგება. ეს იმით აიხსნება, რომ ის, რაც საფუძვლად უდევს თითოეულს მათგანს, თვითონაა პოლარული ბუნების. ადამიანის აქტიობას მიზნად აქვს ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აქტიობა ყოველთვის წარმატებით ვერ სრულდება: იგი ან აღწევს თავის მიზანს, ან ვერა. მაშასადამე, მას ნამდვილი პოლარული ხასიათი აქვს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ სუბიექტის მდგომარეობაც ორგვარიანია: როდესაც აქტიობა მიზანს აღწევს, მაშინ მისი მოთხოვნილება კმაყოფილდება, და ეს გარემოება თავის ანარეკლს კმაყოფილების ან სიამოვნების გრძნობაში პოულობს; როდესაც, პირიქით, აქტიობა მარცხით თავდება, მოთხოვნილება დაკმაყოფილებელი რჩება და სუბიექტი უკმაყოფილებას ან უსიამოვნებას განიცდის.

ამრიგად, სიამოვნება-უსიამოვნების პოლარული ხასიათი გასაგები ხდება. პრინციპულად იგივე უნდა ითქვას აგზნება-დამშვიდების შესახებაც: ამათი პოლარული მიმართულებაც მათი საფუძვლიდან გამომდინარეობს. ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის აქტიობაა დამახასიათებელი. მაგრამ მთელი სიცოცხლის შინაარსს მარტო აქტიობა როდი შეადგენს: ცოცხალი არსება არა მარტო ზარჯავს თავის ენერგიას, ე. ი. აქტიობს, არამედ მას ისეთი პერიოდებიც აქვს, რომ იგი ამ ენერგიას აგროვებს: პირველი, ე. ი. აქტიობის პერიოდი, აგზნებულობის სახით იჩენს თავს ცნობიერებაში; მეორე — მოსვენების ანუ ენერგიის დაგროვების პერიოდი — დამშვიდების სახით.

3. პოლუსების ასიმეტრიულობა. მაგრამ პოლარულობა, რომელიც გრძნობას ახასიათებს, თავისებური პოლარულობაა. იგი, შტერნის თქმით, „ასიმეტრიულია“. ეს იმას ნიშნავს, რომ გრძნობის საწინააღმდეგო პოლუსები მარტო ურთიერთის უარყოფაა როდი წარმოადგენენ: სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის მარტო ის განსხვავება კი არაა, რომ ერთი მეორეს უარყოფდეს, როგორც ფიქრობდა, მაგალ., შოპენჰაუერი. არა, ეს გრძნობები რაკონტრასტულად განსხვავებულ განცდებს წარმოადგენენ და ამიტომ

არც რაოდენობით შეესატყვისებთან ურთიერთს. ავიღოთ სიამოვნება-უსიამოვნების მიმართულება! რასაკვირველია, იგი პოლარულია: სიამოვნება ერთი პოლუსია, უსიამოვნება — მეორე. მაგრამ იგი სპექტრიული არაა. იგი რომ სიმეტრიული ყოფილიყო, მაშინ ყოველ სიამოვნების გრძნობას თავისი საწინააღმდეგო უსიამოვნების გრძნობა უნდა ჰქონოდა, და, პირიქით, უსიამოვნების გრძნობას თავისი საწინააღმდეგო სიამოვნება.

მაგრამ, ცხადია, ეს ასე არ არის. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გრძნობებისა, რომელიც სიამოვნება-უსიამოვნების ან ერთ მიმართულებას ეკუთვნიან, ან მეორეს, მაგრამ თავისი საწინააღმდეგო გრძნობები შათ სრულიად არა აქვთ. ეს განსაკუთრებით ხშირია ემოციების შემთხვევებში. მაგრამ არც მარტივი გრძნობების შემთხვევებშია ეს მაინცდამაინც იშვიათი მოვლენა. მაგალ., რომელი უსიამოვნება წარმოადგენს ბეთპოვენის სიმფონიის მოსმენასთან დაკავშირებული სიამოვნების საწინააღმდეგო პოლუსს? რასაკვირველია, ასეთი უსიამოვნების გრძნობა არ არსებობს.

აქედან გასაგებია, რომ შესაძლებელია, გრძნობათა პოლარულ მიმართულებათა შორის არც რაოდენობრივი შესატყვისობა არსებობდეს. ეს რომ მართლაც ასეა, ამის საუკეთესო საბუთს პესიმისტები იძლევიან, რომელნიც ადამიანის სიამოვნებისა და უსიამოვნების შემთხვევათა „ბიუჯეტს“ იკვლევდნენ და იმ სამწუხარო დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ცხოვრებაში ადამიანს უსიამოვნება მეტი აქვს, ვიდრე სიამოვნებაო, რომ საზოგადოდ პირველი უფრო ხშირია, ვიდრე მეორეო.

რასაკვირველია, სიამოვნება-უსიამოვნების რაოდენობრივი შეფარდება იმ სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაზეა დამოკიდებული, რომელშიც ადამიანს ცხოვრება უხდება; და პესიმისტები მართალნი იყვნენ, რამდენადაც მათი „ბიუჯეტი“ კლასობრივი საზოგადოების პირობებში სიამოვნება-უსიამოვნების ადამიანთა შორის განაწილებას ეხებოდა. მაგრამ ისინი ცდებოდნენ, როდესაც თავის დებულებას საზოგადოდ ადამიანის ცხოვრების დასახასიათებლად იყენებდნენ, და მხედველობაში არ ღებულობდნენ, რომ სიამოვნება-უსიამოვნების შეფარდება პირველ რიგში სოციალური პირობებითაა განსაზღვრული, და, მაშასადამე, არაა აუცილებელი იგი ყოველთვის უსიამოვნების მხარეზე ხრიდეს სასწორს: სოციალისტურსა და მეტადრე კომუნისტურ საზოგადოებაში ეს შეფარდება სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა.

მიუხედავად ამისა, პესიმისტების „ბიუჯეტი“ საკმაოდ ნათლად

ამტკიცებს, რომ არაა აუცილებელი, სიამოვნება და უსიამოვნება ერთიდამავე რაოდენობით გვეძლეოდეს, რომ, კერძოდ, შესაძლოა განსაზღვრულ პირობებში უსიამოვნება იმდენად სჭარბობდეს სიამოვნებას, რომ ამ პირობებში მართლა არ ღირდეს ცხოვრება და, მაშასადამე, ამ პირობების მოსასპობად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყოს საჭირო.

მეორის მხრივ, თვითონ ბუნებაც სიამოვნებისა და უსიამოვნებისა ისეთია, რომ მათი რაოდენობრივი შეფარდება ტოლობას არ გულისხმობს. უკვე არისტოტელმა აღნიშნა, რომ სიამოვნებასა და უსიამოვნებას განსხვავებული ბიოლოგიური ძირი აქვს: სიამოვნებაო — ამბობდა იგი — ცოცხალი არსების წარმატების ნიშანია, ხოლო უსიამოვნება, პირიქით, ამის საწინააღმდეგო მოვლენას აღნიშნავს. ამის შემდეგ სიამოვნება-უსიამოვნების ბიოლოგიური ღირებულების აღნიშვნა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სპენსერი ამ იდეას აეთ ფორმულას აძლევს: „უსიამოვნების გრძნობები ორგანიზმისათვის მავნებელი პროცესების კორელატს წარმოადგენენ, სიამოვნების გრძნობები კი სასარგებლო პროცესების კორელატს“-ო. ეს იმას ნიშნავს, რომ სიამოვნების განცდა მხოლოდ მაშინ აქვს სუბიექტს, როდესაც მის ორგანიზმში რაიმე სასარგებლო პროცესი ხდება, და უსიამოვნების მაშინ, როდესაც საწინააღმდეგო პროცესს აქვს ადგილი, ე. ი. რომ ყველაფერი სასარგებლო სასიამოვნოა, ხოლო ყველაფერი მავნებელი არასიამოვნოა.

სიამოვნება-უსიამოვნების ბიოლოგიური თეორიის სპენსერისებური ფორმულის გაზიარება შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ არსებობს მრავალი შემთხვევა, რომელიც ამ ფორმულის აზრს ეწინააღმდეგება: წამალი, მაგალ., არასიამოვნო დასალეწია, ან ქირურგიული ოპერაცია, ჩვეულებრივ, მტკივნეულია; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე სასარგებლოა. ალკოჰოლიკი დიდ სიამოვნებას ღებულობს ალკოჰოლისაგან, ან თუთუნის მწვეელი — ნიკოტინისაგან; მიუხედავად ამისა, ნიკოტინიცა და ალკოჰალიც საწამლაგია. მაშასადამე, ცხადია, საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

სპენსერის ფორმულის შეცთობა შემდეგშია: იგი სასარგებლო მავნებელსა და სიამოვნება-უსიამოვნებას შორის პირდაპირ კავშირს გულისხმობს: თითქოს სასარგებლოს ან უსარგებლოს უშუალოდ შეეძლოს გრძნობის გამოწვევა; სპენსერის ფორმულა უშუალობის თეორიიდან გამომდინარეობს. ნამდვილად საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ობიექტური აგენტა — სასარგებლო იქნება

იგი, თუ არა — სუბიექტზე მოქმედებს და იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი მონაცემ მომენტში, რა მიზნები და მოთხოვნილებები აქვს მას ამჟამად, 'შესაძლოა, ან სიამოვნების გრძნობას იწვევდეს, ან უსიამოვნებისას. საქმე სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილებების რაგვარობაშია და არა იმაში, თუ ობიექტურად რა შინაარსი აქვს გამლიზიანებელს. ამიტომ საკვირველ არაა, რომ ზოგჯერ ადამიანისათვის, რომელიც რაიმე მძიმე განცდების გამო სასტიკად იტანჯება და ერთგვარი თავდავიწყების მოთხოვნილებას გრძნობს, ალკოჰოლი მიზანშეწონილი და სასიამოვნო გახდება: იგი ღროებით მაინც უმსუბუქებს მას ტანჯვას. ასეა სხვა შემთხვევებშიც: საერთოდ ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს კეთილდღეობისათვის ობიექტურად მავნე აგენტმა ადვილად შეიძლება სიამოვნების გრძნობა გამოიწვიოს, თუ იგი სუბიექტის რომელიმე ამჟამად მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს, და უსიამოვნების გრძნობა, თუ საწინააღმდეგო ვითარებას აქვს ადგილი. ადამიანთა აქტუალურ მიზნებსა და მოთხოვნილებებს ყოველთვის ინდივიდუალური ხასიათი აქვს; ამიტომ გასაგებია, რომ სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობებსა ასეთივე ინდივიდუალური ხასიათი აქვთ: ზოგს ერთი მოსწონს და ზოგს მეორე (*inde gustibus non disputandum*).

მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან სიამოვნება-უსიამოვნების პოლარულობის ასიმეტრიული ხასიათის შესახებ? მართლაცდა, თუ საამოვნება და უსიამოვნება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამჟამად სუბიექტისათვის ის, რაც მასზე მოქმედობს, მაშინ გასაგებია, რომ შეუძლებელია ჩვენ სიამოვნებასაც ისე ხშირად და ისე მწვავედ განვიცდიდეთ, როგორც უსიამოვნებას. საქმე ისაა, რომ ცოცხალი ორგანიზმის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვეულებრივი პირობები, რომელშიც ის ცხოვრობს, მიზანშეწონილი არ ყოფილიყო: მაგალ., უპაერო სივრცეში იგი ვერ იცხოვრებდა. მიუხედავად ამისა, ჰაერის ყოველი შესუნთქვა საგანგებო სიამოვნების გრძნობას არ იწვევს ჩვენში: რომ ჰაერი სასიამოვნოა. ეს მხოლოდ მაშინ განიცდება ჩვენ მიერ, როდესაც რაიმე მიზეზის გამო მით სარგებლობა გვიძნელდება: მაშინ ჩვენ მწვავე უსიამოვნებას ვგრძნობთ ხოლმე. ასეა სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც: ნორმალური ტემპერატურა, ჩვეულებრივი კვება — არც ეს იწვევს ჩვენში საგანგებო სიამოვნების განცდებს. მაგრამ საკმარისია ტემპერატურა ისე შეიცვალოს, რომ მავნებელი შეიქმნეს ორგანიზმისათვის, ან კვება დაგვაკლდეს. რომ ამჟამად თავი იჩინონ უსიამოვნო გრძნობებმა.



ერთი სიტყვით, ბევრი რამ მოქმედობს ჩვენზე ისეთი, რაც უაღრესად სასარგებლოა ჩვენთვის. მაგრამ სიამოვნების გრძნობებს მაინც არ იწვევს; ხოლო თუ კი ისეთი რამ გაჩნდა, რაც ჩვენს მიზნებს ეწინააღმდეგება, რაც ჩვენთვის მიზანშეუწონელია, ჩვენ ამას უფრო ხშირად უსიამოვნების გრძნობით ვუპასუხებთ. მოკლედ: ჩვენ მანებლისა და მიზანშეუწონელის მიმართ უფრო მგრძნობიერი ვართ, ვიდრე სასარგებლოსა და მიზანშეუწონილის მიმართ. სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობები სიგნალის როლს ასრულებენ: ეს სასარგებლოა, ეს უსარგებლოაო, თითქოს გვანიშნებენ. მაგრამ სასარგებლოს მხოლოდ მაშინ უნდა ნიშნება, როდესაც იგი პირველად იწყებს ჩვენზე მოქმედებას, მანებელს კი -- ყოველთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ადვილად დაიღუპებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ უსიამოვნების სიგნალებო განცდის შემთხვევები გაცილებით უფრო ხშირია. ვიდრე სიამოვნების განცდასა. მაშასადამე, რაოდენობრივი თვალსაზრისით სიამოვნება-უსიამოვნების განცდათა ასიმეტრიულობა ყოველ ექვს გარეშეა.

ასევე ასიმეტრიულია აგზნება-დამშვიდების ურთიერთ-წინააღმდეგობაც. ჩვენს აქტიობასთან დაკავშირებული აგზნებულობის განცდა ისე თვალსაჩინოდ არ გვეკლინება. როგორც ის გრძნობა, რომელიც თან ახლავს შედეგის განცდას: წარმატებაც და მარცხიც — ორივე გაცილებით უფრო მკვეთრად განიცდება, ვიდრე აქტიობის პროცესთან დაკავშირებული გრძნობები.

4. ემოციური მდგომარეობის ერთიანობა. გრძნობის ერთიანობის სპეციფიკურ თავისებურებას, რომლითაც იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება, მაგალ., შეგრძნებისაგან. ის გარემოება შეადგენს. რომ მას ინდივიდუალურად დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია. მაშინ როდესაც შეგრძნებისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მართალია, შერევის ფაქტი შეგრძნებათა წრეშიც ცნობილია: მაგალ., ფერების შერევის ან ბგერეთა შერწყმის ფაქტი. მაგრამ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მშვენივრად შეგვიძლია ერთსადაიმევე დროს მრავალფეროვან საგანს ვკვრეტდეთ. ან მრავალზმოვან მუსიკას ვუსმენდეთ. გრძნობათა არეში კი ეს შეუძლებელია: გრძნობები ერთიმეორის გვერდით არ განიცდებიან. ისინი ურთიერთს ერთიან და ერთს მთლიან ემოციურ მდგომარეობას ქმნიან. ვ უ ნ დ ტ ი ამ გარემოებას განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს: იგი ამას ემოციური მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ის ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს უწოდებს. ეს ერთიანობა. მისი აზრით, იმაში მდგომარეობს. რომ „ყველა გრძნობის ელემენტები, რო-

მელიც მონაცემ მომენტში მოიპოვება ცნობიერებაში ერთს მთლიან გრძნობად ერთიანდება“.

5. ამბივალენტობა. როგორ უნდა წამოვიდგინოთ ეს გაერთიანება? რა ემართება ნაწილობრივ გრძნობებს, რომელნიც მთლიან გრძნობაში ერთიანდებიან? შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გრძნობები ერთმანეთის ნეიტრალიზაციას, გაძლიერებას ან დასუსტებას იწვევდნენ. არა! მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთს მთლიანს ემოციურ მდგომარეობას ქმნიან, ამ მთლიანში, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, თავის ინდივიდუალობასაც ინარჩუნებენ.

განსაკუთრებით მკაფიოდ ეს გრძნობის ამბივალენტობის შემთხვევაში დასტურდება. გრძნობის ამბივალენტობას უმეტესად ფსიქოანალიზის სკოლამ მიაქცია ყურადღება. იგი იმაში მდგომარეობს, რომ არის შემთხვევები, რომ ჩვენ გადაჭრით ერთი გარკვეული გრძნობა გვაქვს — მაგალ., თანაგრძნობა, მაგრამ ამ ერთ გრძნობაში სიამოვნების ელემენტიც განიცდება და უსიამოვნებისაც: სიამოვნება-უსიამოვნება ერთმანეთის ნეიტრალიზაციას როლი ახდენენ, არამედ ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით ერთი მთლიანი გრძნობის სახით განიცდებიან.

ასეთი ამბივალენტური გრძნობები ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგალ.. ნატვრა, ერთგულება, მორჩილება, სიდიადის ესთეტიკური განცდა, კომიკურის განცდა, იჰვიანობა და მრავალი სხვა. ამბივალენტური გრძნობის შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ შესაძლებელია ამბივალენტობა გრძნობის ერთერთ ძირითად თავისებურებადაც კი ჩავთვალოთ. საქმე ისაა, რომ „აღამიანის მიზანთა სისტემის შინაგანი მრავალმხრიობის გამო, ადვილი შესაძლებელია, ერთი რომელიმე მოვლენა, ერთი რომელიმე მიზნის თვალსაზრისით, აზრიანი იყოს, ხოლო მეორე მიზნის თვალსაზრისით — სრულიად უაზრო, და ამის გამო ემოციური განცდა სიამოვნების მომენტსაც შეიცავდეს და უსიამოვნებასაც“. ეს კი არაა, პირიქით, ჩვენ იძულებულნი ვართ. გამონაკლისად სწორედ ის შემთხვევები ჩავთვალოთ — განაგრძობს შტერნი — როდესაც ცნობიერებაში მარტო ერთი მიზანი იძლევა ანარეკლს და არა რამოდენიმე ერთად.

## ემოციური განცდის გრძნობითი დახასიათება

1. ინტენსიობა. ისე როგორც შეგრძნებებს — მაგალ., რაიმე ხმას — გრძნობებსაც ყოველთვის ინტენსიობის რაიმე ხარისხი აქვთ: ისეთი გრძნობა, რომელსაც არავითარი ინტენსიობა არ ჰქო-

ნდეს, არ არსებობს. ე. წ. გულგრილობა ან ინდიფერენტობა, რომელიც პირველი შეხედვით სწორედ ასეთ ნულეული ხარისხის გრძნობას უნდა შეადგენდეს. ნამდვილად სრულიად გარკვეულს დადებითს, თავისებურ განცდას წარმოადგენს, და ამიტომ. შესაძლებელია, მას თვითონ ჰქონდეს მეტნაკლები სიძლიერის ხარისხი.

გრძნობის ინტენსიობა გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება შეგრძნების ინტენსიობასთან, რომლის ზეგავლენითაც იგი ჩნდება. ისე როგორც შეგრძნებას, გრძნობასაც აქვს თავისი ზღურბლი. გრძნობის ქვედა ზღურბლი შეგრძნების ინტენსიობის ის დონეა, რომელიც გრძნობის გამოსაწვევადაა საკმარისი. შემდგომი გაძლიერება შეგრძნებისა, რასაკვირველია, გრძნობის ინტენსიობასაც აძლიერებს. მაგრამ საგულისხმოა, რომ ერთმნიშვნელოვანი შეფარდება შეგრძნებასა და გრძნობას შორის არ არსებობს: თუ რა ინტენსიობის გრძნობას გამოიწვევს შეგრძნების ინტენსიობის ესა თუ ის დონე, ეს არა მარტო ინდივიდუალურ თავისებურებაზეა დამოკიდებული, არამედ იმ საერთო მდგომარეობაზეც, რომელშიც მონაცემ მომენტში იმყოფება სუბიექტი, ეს უტყუარი საბუთია, რომ შეგრძნებასა და გრძნობას შორის უშუალო კავშირი არ უნდა ვიგულისხმოთ.

სიამოვნების და უსიამოვნების ინტენსიობის ზრდა სხვადასხვა ეფექტს იძლევა. უსიამოვნებას, შეიძლება ითქვას, ზედა ზღურბლი არა აქვს, ე. ი. იგი თითქმის-დაუბოლოებლად იზრდება. ბიოლოგიურად ეს გასაგებია: უსიამოვნებას რომ გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ აღარ შესძლებოდა ზრდა, მას სიგნალის მნიშვნელობა დაეკარგებოდა და მისი გავლენით სუბიექტი გაძლიერებული საშიშროების წინააღმდეგ ზომების მიღებას ვეღარ მოახერხებდა.

სულ სხვაგვარ ეფექტს იძლევა სიამოვნების ინტენსიობის ზრდა. სიამოვნებას, შეიძლება ითქვას, არა მარტო ქვედა ზღურბლი აქვს, არამედ ზედა ზღურბლიც. ოღონდ მისი ზედა ზღურბლი თვალსაჩინოდ განსხვავდება შეგრძნების ზედა ზღურბლისაგან. საქმე ისაა, რომ შეგრძნების შემთხვევაში ზედა ზღურბლი ზღვარს წარმოადგენს, რომლის იქეთაც გამლიზიანებლის შემდგომი გაძლიერება არავითარ ეფექტს აღარ იწვევს: შეგრძნების ინტენსიობა აღარ იზრდება. სიამოვნების შემთხვევაში სულ ასე არაა. მართალია, შეგრძნების ინტენსიობის ზრდის პროცესში, ბოლოსდაბოლოს, დგება ისეთი მომენტი, რომ სიამოვნების გრძნობას ინტენსიობა აღარ ემატება: ჩვენ მაქსიმალურ სიამოვნებას ვგრძნობთ. მაგრამ საქმე ამით

არ თავდება: შეგრძნების შემდგომი გაძლიერება მალე გარკვეულ ღონეს აღწევს — ნამდვილს კრიტიკულ წერტილს — რომლის შემდეგაც სიამოვნების რომელიმეობითი გარდატეხა ხდება: ჩნდება უსიამოვნების გრძნობა, რომელიც იზრდება და მალე სიამოვნების გრძნობას სრულიად ფარავს.

საგულისხმოა, რომ გრძნობის ინტენსიობაზე შეგრძნების არა მარტო ინტენსიობა ახდენს გავლენას, არამედ მისი განმეორებითი ზემოქმედებაც: როდესაც ჩვენზე ერთიდაიგივე შთაბეჭდილება ხშირად მოქმედებს, შედეგი ისაა, რომ თანდათანობით იგი ისე ინტენსიურ გრძნობას ვეღარ იწვევს, როგორსაც დასაწყისში იწვევდა: გრძნობა თანდათანობით ჩლუნგდება. მაგრამ სიამოვნებისა და უსიამოვნების შეფარდება აქაც ძველი რჩება, სახელდობრ. სიამოვნების გრძნობიერება უფრო სწრაფად ქვეითდება. ვიდრე უსიამოვნებისა. გარდა ამისა, მაშინ როდესაც ასეთი განმეორების ეფექტად შესაძლოა სიამოვნება უსიამოვნებად გადაიზარდოს. ეს უკანასკნელი არა თუ არასდროს სიამოვნებად არ იქცევა, არამედ არც საბოლოოდ ისპობა. პირიქით. იმისდა მიხედვით. თუ რამდენად მანებელია გამღიზიანებელი. შესაძლოა, მისი განმეორებითი ზეგავლენის შედეგად, უსიამოვნების დაქვეითება კი არაა, მისი თვალსაჩინო გაძლიერება მდვილთ.

გრძნობის ინტენსიობის განვითარებას ერთი თავისებურება აქვს კიდევ. რომელსაც განსაკუთრებით შტერნმა მიუთითა: გრძნობას ორი მიმართულებით აქვს ზღურბლი. რას ნიშნავს ეს? შტერნს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, სადმე მივიღივართ და მთა უნდა გადავლახოთ. ჯერ კარგი გზაა; ჩვენ სრულიად თავისუფლად ვმოძრაობთ: ამიტომ შედარებით ინდიფერენტულ მდგომარეობაში ვიმყოფებით: არც სიამოვნებას განვიცდით საგანგებოდ და არც უსიამოვნებას. ყოველ შემთხვევაში, უსიამოვნების გრძნობის ჯერჯერობით არაფერი გვაქვს. მაგრამ მალე გზა თანდათანობით რთულდება, და რაც დრო გადის, მით უფრო ცუდი. მით უფრო ძნელი სავალი ხდება. ამისი შედეგი ისაა, რომ ერთგვარი უსიამოვნების გრძნობა გვიჩნდება. ჯერ სუსტი, შემდეგ თანდათანობით სულ უფროდაუფრო ძლიერი, ისე რომ შესაძლოა ბოლოს იგი სასოწარკვეთილების ღონემდეც ავიდეს: ვაი თუ ვეღარ შევძლო ვერც წინ წასვლა და ვეღარც უკან დაბრუნება-თქო. მაგრამ ვჩერდები: ვფიქრობ, რა მიმართულებით უფრო მოსალოდნელია უკეთესი გზა, ან რა ზომებს უნდა მივმართო, რომ სვლა გავიადვილო. მოფიქრების შემდეგ, შედარებით დაწყნარებული განვაგრძობ

გზას: სასოწარკვეთილების გრძნობა იჩრდილება და მის ადგილს გარკვეული, მტკიცე გადაწყვეტილება იკავებს. ამის შედეგად უსიამოვნების გრძნობაც ნულდება.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ, როდესაც დაუბრკოლებლივ ვმოქმედობთ მიზანშეწონილად, გრძნობა არ ჩნდება: სიგნალი საჭირო არ არის. რადგანაც მოქმედება ძნელდება, ეს გარემოება სიგნალის საჭიროებას იწვევს და გრძნობა პირველად ეხლა ჩნდება: ვლებულობთ გრძნობის პირველ ზღურბლს, რომელსაც თან სდევს ცნობიერების ამოქმედების გაცნოველება. შემდეგში ჩვენ მოქმედების პროგრესული გაძნელების შემთხვევაში, ცნობიერებაში სწორედ ეს გრძნობა იქცევა მთავარ შინაარსად (სასოწარკვეთილება). მაგრამ როდესაც ცნობიერება მდგომარეობის გათვალისწინებას იწყებს და მასში შემეცნების სათანადო აქტები და შინაარსები ჩნდება, გრძნობა სუსტდება და ბოლოს სრულიად ქრება: მიღწეულია მეორე ზღურბლი, რომელიც სიგნალს ზედმეტად აქცევს. შემეცნებითი აქტების წყალობით მოქმედების ერთადერთი შესაძლო გზა მონახულია და გრძნობა მის ასახვას უთმობს ადგილს ცნობიერებაში.

ამრიგად, გრძნობა თავისი განვითარების პროცესში ორ ზღურბლს გაივლის: პირველი ზღურბლი წინ უსწრებს ცნობიერების განაწევრებული, გამოკვეთილი შინაარსის აღმოცენებას; იგი გაურკვეველ, დიფუზიურ გრძნობას წარმოშობს, რომელიც თანდათანობით ძლიერდება და ცნობიერების გაბატონებულ შინაარსად იქცევა, სანამ არ აიძულებს სუბიექტს სიტუაციის გასაშუქებლად და ამოცანის გადასაჭრელად ზომები მიიღოს. როდესაც ეს მდგომარეობა მიღწეულია, გრძნობა სუსტდება და მეორე ზღურბლს აღწევს, რომლის იქეთაც ის სრულიად აღარ ჩანს, იგი ქრება.

გრძნობის ინტენსიობის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად ხშირად ექსპერიმენტს იყენებენ, სახელდობრ, განსაკუთრებით ე. წ. შთაბეჭდილების მეთოდს. ცდისპირს სხვადასხვა ინტენსიობის გამღიზიანებელს აძლევენ და შემდეგ ან ა) მისი თვითდაკვირვების მონაცემებს აგროვებენ გრძნობის მიმდინარეობის შესახებ, ანდა ბ) ობიექტურ მონაცემებს, სახელდობრ, ცდისპირის იმ უნებურს მიმიკურს, პანტომიმიკურს და სხვა სხეულებრივ ცვლილებებს, რომელიც შთაბეჭდილების ინტენსიობის შეცვლის შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს. გარდა შეგრძნებისა და გრძნობის ინტენსიობის ურთიერთობის საკითხისა, რომელსაც ჩვენ გავეცანით, ამავე მეთოდით გრძნობის ზოგიერთ სხვას, უფრო რთულ საკითხსაც იკვლევენ.

მაგრამ საერთოდ ამ მეთოდის გამოყენება შედარებით უფრო ელემენტარ-

არული გრძობების ფარგლებით არის შემოზღუდული. ფეხნერმა ეს მეთოდი „ელემენტარული ესთეტიკური გრძობების“ შესასწავლად შემოიღო. ცლისპირზე შთაბეჭდილებათა რიგს ამოქმედებენ, რომელთა შორისაც მან ის უნდა აირჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო მოსწონს. ამ გზით ფეხნერმა გამოარკვია, რომ სხვადასხვა პარალელოგრამიდან ადამიანს ყველაზე უფრო ის მოსწონს, რომლის გვერდების შეფარდებაც ე. წ. „ოქროს ნაკვეთს“ შეესაბამება. ე. ი. თუ პარალოლოგრამის უგრძეს გვერდს  $b$ -ითი აღვნიშნავთ და მოკვეთს  $a$ -ით, მათი შეფარდება  $\left(\frac{a}{b}\right)$  უნდა უდრიდეს  $\frac{1}{\sqrt{5}+2}$ -ს

ამავე მეთოდით, სხვათა შორის, შესწავლილია მარტივი ფიგურების სიდიდის ესთეტიკური ღირებულებაც, და გამოირკვა, რომ ბაიშეს, ყოველ შემთხვევაში, პატარა და დიდი უფრო მოსწონს, ვიდრე საშუალო ზომის ფიგურა.

2. ექსტენსიობა. ყოველი გრძობა ერთნაირად ფართოდ როდი ვრცელდება ცნობიერებაში. არის გრძობები, რომლებიც მთელ ცნობიერებას ეუფლებიან და ყველაფერს თავის იერს აძლევენ. მაგრამ არსებობს ისეთი გრძობებიც, რომლებიც ცნობიერების ერთი, სრულიად გარკვეული შინაარსით არიან განსაზღვრული, მარტო მას ეხებიან და დანარჩენებზე არაფერს გავლენას არ ახდენენ. გრძობის ექსტენსიობა ცნობიერებაში მის მეტნაკლებ გავრცელებულობას, განფენილობას ეწოდება. იგი ცნობიერების იმ შინაარსის რაოდენობით გაიზომება, რომელიც მის გავლენას ემორჩილება.

რომ გრძობის ინტენსიობა და ექსტენსიობა სხვადასხვაა, ეს იქედანაც ჩანს, რომ ისინი არა თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ ხშირად უკუპროპორციულ მიმართებაშიც კი იმყოფებიან ურთიერთთან. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ინტენსიობის გაძლიერება გრძობის გავრცელებულობის არც ფარგლოვდეს და ხელს უწყობდეს მის გარკვეულ კონცენტრაციას. არის შემთხვევები, რომ რამე გიწყინება, სრულიად გარკვეული კერძო მოვლენა უსიამოვნების გრძობას აღვიძრავს, და ამის შედეგად მთელი დღეც უღონებაზე ხარ: რამე გაწყინია, შეიძლება აღარც კი გახსოვდეს; მიუხედავად ამისა, ყველაფერი ჩრდილში გვეჩვენება, თითქმის ყველაფერი მხოლოდ თავის ცუდი მხარეებით გეცემა თვალში.

როგორც ვხედავთ, ერთი კერძო შემთხვევის ზეგავლენით გამოწვეული გრძობა თავისი საბაზის ფარგლებით არ კმაყოფილდება და თითქოს მთელი ცნობიერების არეზე ვრცელდება. ასეთ შემთხვევაში „გუნების“ შესახებ ვლაპარაკობთ: გუნება გრძობის ექსტენსიობის განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოვლენას წარმოადგენს.

მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ექსტენსიური გრძნობა — თუნდ ისეთი ექსტენსიურიც, როგორცაა გუნება — ცნობიერების ყოველ შინაარსს ერთნაირად აღვილად ეუფლებოდეს, ყველაფერზე ერთნაირად იოლად ვრცელდებოდეს. არა! არის განცდები იმდენად გარკვეული და ჩამოყალიბებული ღირებულების, იმდენად გამოკვეთილი მნიშვნელობის, რომ, მიუხედავად კარგი თუ ცუდი გუნებისა, მათი ემოციური ტონი ყოველთვის უცვლელი რჩება. მძიმე, უბედურნი შემთხვევა, მაგალ., არასდროს სიამოვნებას არ იწვევს, რაგინდ კარგ გუნებაზეც უნდა იყო. პირიქით, შესაძლოა მისმა ნახვამ ძირიან-ფესვიანად შეგიცვალოს გუნება. გრძნობა, ჩვეულებრივ, ცნობიერების ისეთ შინაარსებზე გადადის, რომელთაც, მაინცდამაინც, გამოკვეთილი ემოციური ღირებულება არა აქვთ, და ამიტომ, შესაძლოა, პირობებისდა მიხედვით, სიამოვნებასაც აღძრავდნენ და უსიამოვნებასაც.

8. სიღრმე. გრძნობას მესამე ნიშანიც აქვს, გ.წ. „სიღრმე“, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ფსიქონალიზის სკოლამ მიაქცია (ფ რ ე ი დ მ ა და ს ხ ე.). წინააღმდეგ ექსტენსიობისა, იგი იმას კი არ ეხება, თუ რაოდენ ფართოდ ვრცელდება ამა თუ იმ გრძნობის გავლენა ცნობიერების არეში, არამედ იმას, თუ პიროვნების რამდენად ღრმად მდებარე ფენებს ეხება. მაგალითად, კბილია ტკივილით გამოწვეული უსიამოვნების გრძნობა შეიძლება ძლიერ მწვეავეც იყოს, მაგრამ, უდაოა, რომ მისი სიღრმე უმნიშვნელოა; იგი თითქოს თვითონ პიროვნებას კი არა, მის ნაწილებს ეხებოდეს: გაივლის ეს ტკივილი და პიროვნება სრულიად იგივე რჩება, რაც იყო. მაგრამ არსებობს ისეთი ტკივილიც, რომ იგი თვითონ პიროვნების არსს, პიროვნების გულს სწვდება და მასში საფუძვლიან მღელვარებას იწვევს. ამ შემთხვევაში შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ცვლილება პიროვნების სიღრმეში ხდებოდეს და გრძნობა ამის გამოხატულებას წარმოადგენდეს.

აქედან ცხადია, გრძნობის არცერთ მხარეს — არც ინტენსიობასა და არც ექსტენსიობას — იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც აქვს სიღრმეს. ამიტომ ადამიანის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, თუ სინამდვილის რა სფეროები უფრო ღრმა გრძნობებს იწვევენ მასში.

4. გრძნობის ხანგრძობა. გრძნობის ერთერთ თავისებურებას მისი დროში განფენილობა ანუ ხანგრძობა წარმოადგენს. უქვევლად არსებობს გრძნობები, რომელთა ნიშანდობლივი თავისებურებაც მათს მეტს თუ ნაკლებს ხანგრძობაში მდგომარეობს. ჩვენ გვაქვს

ისეთი გრძნობები, რომელთა აქტიობაც მომენტით გაიზომება, და ისეთებიც, რომელნიც საკმაოდ დიდხანს გრძელდებიან.

ნ. ემოციურ განცდათა გრადუალური განსხვავებულობის ქვალიტატური ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიობაც, ექსტენსიობაც, ხანიერობაც და სიღრმეც გრძნობის გრადუალურს, მაშასადამე რაოდენობრივ მხარეს გამოხატავენ, ისინი მაინც რომელობითი ხასიათის მოვლენებს წარმოადგენენ.

ძლიერი და სუსტი სიამოვნება, ექსტენსიური და ვიწროდ შემოფარგლული, ან ღრმა და ზერელე უსიამოვნება მართო იმით როდი განსხვავდებიან ურთიერთისაგან, რომ ერთი უფრო ძლიერია, უფრო განფენილია ან უფრო ღრმა, ვიდრე მეორე, არამედ იმითაც, რომ ისინი რომელობითაც სხვადასხვანაირად განიცდებიან: სუსტი და ძლიერი სიხარული ერთიდაიმავე გრძნობის მართო ინტენსიობით განსხვავებულობას როდი წარმოადგენს, არამედ ამ გრძნობის საკმაოდ განსხვავებულ სახესხვაობასაც.

ჩვენი გრძნობების გრადუალური გამოკვლევის სხვადასხვა ფორმას, რომ შევხედოთ, ვნახავთ, რომ ისინი რომელობითაც მართლა განსხვავებულ განიცდებს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად გრძნობის მხოლოდ გრადუალური განვითარების ნიადაგზე ჩნდებიან. ამ ფორმებს შორის განსაკუთრებით ღრია ცნობილი: ერთი — გუნება და მეორე — აფექტი.

1) გუნება. რაც შეეხება გუნებას, მის შესახებ ჩვენ უკვე ზემოდ გვეჩონდა ლაპარაკი. მაშინ ჩვენ დავინახეთ, რომ შესაძლოა რაიმე გრძნობის ექსტენსიობა ისეთი იყოს, რომ მთელი ცნობიერების შინაარსზე თავისი გაკლენა გაავრცელოს, იგი მთლიანად თავისი ფერით შეღებოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გუნების შესახებ ვლაპარაკობთ.

როგორც ვხედავთ, გუნება გრძნობის ექსტენსიობის გამოკვლევის ფორმას, ანდა უკეთ: მისი განვითარების უკიდურეს საფეხურს წარმოადგენს.

უფრო ხშირია შემთხვევა, რომ გუნება სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობათა განფენის ნიადაგზე ჩნდება: „ქარგი“ და „ცუდი“ ცნობილი ატრიბუტებია, რომლითაც, ჩვეულებრივ, ხასიათდება იგი. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი ფორმა იყოს გუნებისა: აგზნება-დამშვიდების გრძნობასაც შეუძლია მეტად თუ ნაკლებად იყოს განფენილი სუბიექტის ცნობიერების უფრო ფართო, თუ უფრო ვიწრო არეებზე. მაშასადამე, შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანი ან აგზნებულს,



ან დამშვიდებულ გუნებაზეა, ე. ი. ან მოქმედების, აქტიობის ბრძოლის ხასიათზეა, ანდა უფრო პასიურს, ტკბობის ან კვრეტის, გუნებაზეა. ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევებს მართლა აქვს ადგილი, და, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოდ, რომ გუნება როგორც სიაპოვნება-უსიაპოვნების, ისე აგზნება-დამშვიდების, გრძნობათა ექსტენსიობის ნიადაგზეც ჩნდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ გუნება მხოლოდ იმით განსხვავდება რომელიმე მტკიცედ ლოკალიზებული გრძნობისაგან, მაგალ., ვარდის სუნის შეგრძნებასთან ან სხვა რომელსაზე აღქმასთან დაკავშირებული სიაპოვნებისაგან, რომ ერთი უფრო ექსტენსიურია და მეორე ნაკლებ ექსტენსიურია; არა, მათ შორის მტკიცე რომელიმე განსხვავებაც არსებობს. ეს ნათლად ჩანს თუნდ შემდეგი მაგალითიდან:

ვთქვათ, რაიმე სასიაპოვნო განცდა გაქვთ: მაგალ., სასიაპოვნო აშბავი შოგივიდათ, და ეს გოძხოია ფართოდ ვრცელდება თქვეთი ცნობიერების არეზე, ასე რომ კარგ გუნებაზე დგეით. ხუთუ 'შიძლება ითქვას, რომ ამ აშბის გაგებასთან დაკავშირებული სიაპოვნება, როდესაც მას ცალკე გრძნობთ, და კარგი გუნება, რომელზეც შეიძლება ამავე გრძნობამ დაგაყენათ, რომელიმე ერთიდაიგივე გრძნობაა? რასაკვირველია, არა. უკვე მარტო იმის გამო, რომ გუნების შემთხვევაში ეს სიაპოვნების გრძნობა სხვა ფსიქიკურ შინაარსებზე ვრცელდება, საკმაო საბუთს იძლევა იმისას, რომ იგი რომელიმე განსხვავებულ განცდად ვცნოთ.

მაგრამ, უდაოა, რომ გუნება გრძნობის მარტო ექსტენსიობის გამოვლენის ფორმას არ წარმოადგენს; ხშირია შემთხვევა, რომ იგი „სიღრმის“ განზომილებასაც ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ ყოველ გრძნობას ერთნაირი უნარი როდი აქვს ცნობიერების სხვა შინაარსებზე გავრცელებისა: რაც უფრო ზერელეა გრძნობა, მით უფრო ვიწროა იგი შემოფარგლული; იგი მხოლოდ გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებით განიცდება. მაგრამ რაც უფრო „ღრმა“ იგი, პიროვნების რაც უფრო ცენტრალურ ფენებს ეხება, რაც უფრო დამახასიათებელია მთელი პიროვნებისათვის, მით უფრო ადვილად ვრცელდება იმავე პიროვნების სხვა განცდებზეც, მით უფრო მეტ განფენილობას იძენს, და, მაშასადამე, მით უფრო ადვილად ედება საფუძვლად გუნებას. ამისდა მიხედვით, გუნებას გრძნობის სიღრმესთანაც აქვს კავშირი.

2) ა ფ ე ქ ი. გრძნობის სულ სხვა გრადუალური განზომილების ხაზზე ჩნდება ის თავისებური ემოციური განცდა, რომელიც,

ჩვეულებრივ, აფექტის სახელწოდებით აღინიშნება. შიში, რისხვა, სირცხვილი... აფექტის ჩვეულებრივ მაგალითს წარმოადგენს. მისთვის პირველ რიგში ინტენსიობაა დამახასიათებელი. მართალია, აფექტის თავისებურება მარტო ამ ნიშნით არ ამოიწურება, მაგრამ დანარჩენი გრძნობებისაგან იგი განსაკუთრებით მაინც ინტენსიობით გაირჩევა.

აფექტი, ჩვეულებრივ, ერთბაშად იწყება: რაიმე ძლიერი შთაბეჭდილება ინტენსიურ ემოციურ რეაქციას იწვევს, რომელიც თავისი ინტენსიობის გამო მთელ ცნობიერებას იპყრობს და ამასთან ერთად გამოკვეთილ სხეულებრივ ცვლილებებსაც გვაძლევს. დასაწყის მომენტში ცნობიერების აქტუალური შინაარსი თითქოს სრულიად ქრება — ზოგჯერ სუბიექტს ცნობიერება ეკარგება კიდევ — და ერთგვარი სიცარიელე ჩნდება. ამ დასაწყის შეფერხებას მალე წარმოდგენათა გაცხოველებული მიმდინარეობა მოსდევს; ოღონდ აღსანიშნავია, რომ ეს წარმოდგენები აფექტის შესაბამისი წარმოდგენებია: რაც მას არ ეხება, ცნობიერებიდან სრულიად იდევნება. ასე რომ, სანამ აფექტი ძალაშია, მთელი ცნობიერების შინაარსი მის განკარგულებაში იმყოფება, მას ეკუთვნის.

ამ მხრივ თითქოს მასსა და გუნებას შორის განსხვავება არ არის: ისიც და ესეც ცნობიერების მთელ შინაარსზეა გავრცელებული. მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს. გუნების შემთხვევაში გარკვეული გრძნობა ცნობიერების ახალს, უცხო შინაარსებზე ვრცელდება.

აფექტის შემთხვევაში მდგომარეობა სულ სხვაგვარია: აქ გრძნობა არა თუ სხვა შინაარსებზე არ გადადის, არამედ მათ ცნობიერებაში აღმოცენების შესაძლებლობასაც ართმევს: იგი სრულიად რიცხავს ცნობიერებიდან ყველაფერს, რასაც მასთან არა აქვს კავშირი. იგი სულ სხვა აზრით ეუფლება ცნობიერებას, ვიდრე ეს გუნების შესახებ ითქმის.

აფექტი სხვა მხრივაც განსხვავდება გუნებისაგან. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თითქმის წმინდა ფორმალური გრძნობაა, ე. ი. ჩვეულებრივ არაა გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებული და საკმაოდ დიფუზიურია, აფექტს მკვეთრი გარკვეულობა ახასიათებს: იგი ყოველთვის ერთს რომელიმე ობიექტურ ვითარებას გულისხმობს; იგი განუყრელადაა თავისი მიზეზის წარმოდგენასთან დაკავშირებული, და ამიტომ, რომ აფექტის დროს სხვა შინაარსის აღმოცენება ცნობიერებაში გამორიცხულია. ეს განსხვავება აფექტ-

ტსა და გუნებას შორის იმდენად სპეციფიკურია, რომ ზოგი ფსიქოლოგი გუნებას უობიექტო აფექტსაც კი უწოდებს.

აფექტი გრძნობის არა მარტო ინტენსიობის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს: იგი ამავე დროს ხანმოკლე განზომილებასაც ეკუთვნის. აფექტი ხანმოკლე გრძნობაა: იგი ერთბაშად ჩნდება და შედარებით მალე ქრება, ძისთვის „აფეთქება“ დამახასიათებელი, მაშინ როდესაც გუნება გაცილებით უფრო ხანგრძლივი ემოციური მდგომარეობაა. ეს გარემოება, სხვათა შორის იმაშიც იჩენს თავს, რომ აფექტი ჩაქრობის შემდეგაც განაგრძობს შესატყვისი გუნების სახით ერთხანს არსებობას.

თანხმად ძველი ტრადიციული კლასიფიკაციისა, აფექტები ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ა) სთენიკური (სიძლიერის) აფექტები და ბ) ასთენიკური (სისუსტის) აფექტები.

როდესაც ერთბაშად წამოჭრილი ინტენსიური გრძნობა, გონების შუამავლობის გარეშე, პირდაპირ გაცხოველებულ მოძრაობებსა და მოუფიქრებელ ქცევას და იმავე დროს წარმოდგენათა სწრაფ მიმდინარეობას იწვევს, ჩვენ სთენიკურ აფექტთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ასთენიკურ აფექტს, იგი, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა: იგი მოქმედებისა და წარმოდგენათა მიმდინარეობის ერთბაშე შეფერხებაში იჩენს თავს და ზოგჯერ გონიერული აზროვნების უნარის სრულ აღკვეთაშიც. სთენიკურისა და ასთენიკური აფექტების ეს განსხვავებულობა თანმხლებ ფიზიოლოგიურ პროცესებშიც პოულობს თავის გამოხატულებას: სთენიკური აფექტის განცდის დროს სისხლის მიღები ფართოვდება, სუნთქვა და მაჯისცემა ძლიერდება და კუნთური ენერჯია იზრდება; ხოლო ასთენიკურის დროს სრულიად საწინააღმდეგო სურათი ჩნდება.

## ემოციური განცდა და სხეული

1. გრძნობა და გამოხატველი მოძრაობა. ემოციური განცდების ერთერთს განსაკუთრებით დამახასიათებელ თავისებურებას ის გარემოებაც შეადგენს, რომ მათსავეთ მკიდრო კავშირი სხეულთან თითქმის არც ერთს სხვა ფსიქიკურ განცდას არა აქვს. ეს კავშირი იმდენად ინტიმურია, რომ საკმარისია რაიმე მეტად თუ ნაკლებად ინტენსიური ემოციური განცდა გაჩნდეს, რომ იმ წამსვე სხეულში საკმაოდ თვალსაჩინო ცვლილებებმა იჩინოს თავი — იმდენად თვალსაჩინომ და იმავე დროს სპეციფიკურმა ცვლილებებმა, რომ მათი მიხედვით ყველასათვის ნათელი ხდება, თუ როგორია მათთან

დაკავშირებული ემოციური განცდა. სანიმუშოდ დავასახელოთ თუნდ შიშის ემოცია. იგი ეგაოდენ თავისებურს სხეულებრივ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, რომ შეშინებული ადამიანის ცნობა არავის გაუჭირდება.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველს ემოციურ განცდას თანაბრად ინტენსიური სხეულებრივი ცვლილებები ახასიათებდნენ. გრძნობა და ემოცია ამ მხრივაც თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. მაშინ როდესაც გრძნობა ნაკლებ აშკარა სხეულებრივ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, ემოციას ყოველთვის თან ახლავს მკვეთრი სხეულებრივი ცვლილებები.

როგორია ეს ცვლილებები? ზოგი მათგანი იმდენად თვალსაჩინოა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შეამჩნევთ; ზოგია დასაქერად კი საგანგებოდ ამ მიზნისათვის აგებული, მეტად თუ ნაკლებად გრძნობიერი აპარატია საჭირო.

ეს ცვლილებები ეხება: მაჯისცემას, სუნთქვას, სისხლის განაწილებას სხეულში — რის გამოც სხეულის სხვადასხვა ნაწილის მოცულობა იმატებს ან იკლებს — კუნთების ენერჯიას, სახის გამომეტყველებას (მიმიკას), მთელი სხეულის პოზას და ექსტეზს (პანტომიმიკას). ყველა ამ სხეულებრივ ცვლილებას ფსიქოლოგიაში, სრულიად სამართლიანად, გამოუმხატველ მოძრაობებს უწოდებენ: ისინი ჩვენი ემოციური განცდების ობიექტურ განსახიერებას წარმოადგენენ. თვითდაკვირვების ნიადაგზე აგებული ფსიქოლოგია მათში ემოციური განცდების სხეულებრივ სიმპტომებს სჭერეტს.

რა დამოკიდებულება არსებობს ემოციურ განცდათა და გამომხატველ მოძრაობათა შორის? აქვს თუ არა თითოეულ რომელიმე განსხვავებულს ელემენტარულ გრძნობას თავისი სპეციფიკური სხეულებრივი გამომხატულება? ეს საკითხი ერთერთი იმ საკითხთაგანია, რომელთაც კლასიკური ფსიქოლოგია განსაკუთრებული გულისყურით იკვლევდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ელემენტარულ გრძნობათა და გამომხატველ მოძრაობათა შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირის დაწესება სრულიად შეუძლებელია. მართალია, ამა თუ იმ მარტივი გრძნობის განცდა ადამიანის მაჯისცემას სცვლის, სუნთქვაზე გავლენას ახდენს, თითქოს სხეულის სხვადასხვა ნაწილის მოცულობაში ერთგვარ ცვლილებებს იწვევს, მაგრამ რა გრძნობა, სახელდობრ, რა ცვლილებებთანაა დაკავშირებული, ამისი გამორკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა; უნდა ვიფიქროთ, მარტო იმიტომ კი არა, რომ ტექნიკურადაა ეს ძნელი განსახორციელებ-

ბელი, არამედ იმიტომაც, რომ არსებითად შეძტთარი უნდა იყოს ის აზრი, რომლის მიხედვითაც ცალკე ელემენტარული გრძნობები უნდა არსებობდნენ, რომელთაც ასევე გამოცალკევებული განსაკუთრებული სხეულებრივი სიმპტომები უნდა შეესატყვისებოდნენ.

ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ამოცანა მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს:

1) სიამოვნება (ფერის ან ხმის შეგრძნებებთან დაკავშირებული) მაჯისცემას ან ელებს, ხოლო უსიამოვნება და გემოს შეგრძნებასთან დაკავშირებული სიამოვნება — აჩქარებს.

2) სიამოვნება მაჯისცემას ამაღლებს, უსიამოვნება ადაბლებს.

3) სუნთქვა ნელია და ღრმა სიამოვნების დროს; სწრაფია და ზერელე — უსიამოვნების დროს. მაგრამ აქ ძალიან დიდი გავლენა აქვს ინდივიდუალობას.

4) ხელის მოკულობა მატულობს სიამოვნების დროს, იკლება უსიამოვნების დროს; ტვინის კი, პირიქით.

5) კუნთური ძალა სიამოვნების დროს იმატებს; უსიამოვნების დროს, პირიქით, ქვეითდება.

2. ემოცია და გამომხატველი მოძრაობა. თუ გრძნობის შემთხვევაში გამომხატველი მოძრაობები არ არიან გამოკვეთილნი, ძალიან ცხადად ჩანან ისინი ემოციის შემთხვევაში. აქ განსაკუთრებით თვალსაჩინო ცვლილებები მიმიკა-პანტომიმიკაში იცხლება, და ისიც არა მარტო ისეთი ცვლილებები, რომელნიც მხოლოდ საგანგებო აპარატების საშუალებით შეიძლება აღმოაჩინო. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულ პირობებში ემოციის შესწავლა ვერ ზერხდება, იმიტომ რომ ჩვენს ნებაზე ემოციის გამოწვევა და სათანადოდ შეცვლა ძალიან ძნელია. ამიტომ ემოციის გამომხატველ მოძრაობათა შესახებ ჩვეულებრივი დაკვირვების მასალა უფრო მოიპოვება, ვიდრე ექსპერიმენტული მასალა. და ამ მასალიდან ნათლად ჩანს, რომ გამომხატველ მოძრაობებს უთუოდ არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ემოციისათვის.

ჯერ კიდევ დარვინი აღნიშნავდა, ემოციის ბუნების შესასწავლად გამომხატველ მოძრაობათა თავისებურების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო. ეს მოძრაობები, მისი აზრით, წინანდელი მიზანშეწონილი მოძრაობების რუდიმენტებს წარმოადგენენ. მაგალ., განრისხებული ადამიანის მუშტი, კბილების ღრქენა და სხვა, იმ დროის ქცევის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც ადამიანი მართლა მუშტითა და კბილებით იბრძოდა. მაშასადამე, დარვინის

აზრით, ემოცია განუყრელ კავშირში უნდა იმყოფებოდეს ინსტინქტთან, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, ამ აზრს თავისებურ ფორმებში განსაკუთრებით მაკ-დაუგოლი ავითარებს.

მაგრამ ემოციისათვის გამომხატველ მოძრაობათა დიდი მნიშვნელობის იდეას არა მარტო დარვინი და მაკ-დაუგოლი იზიარებენ. კიდევ უფრო მეტ როლს აკუთვნებს მათ ჯემსი, რომლის ცნობილი თეორიაც ემოციის ბუნების შესახებ მთლიანად გამომხატველ მოძრაობათა როლის არსებითობის იდეას ემყარება.

8. ჯემს-ლანგეს თეორია. ჯემსი არაჩვეულებრივ ზედმიწევნით თვითდაკვირებისა და ამ უკანასკნელის მონაცემების იშვიათად ზუსტი აღწერის უნარით იყო დაჯილდოვებული. ჩვეხი ემოციური განცდების დაკვირებისას იგი ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წააწყდა, საიდანაც მან თავისი დროის ფსიქოლოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი, მაგრამ ჩვეულებრივი, საუკუნეებით განმტკიცებული, ფსიქოლოგიური შეხედულებისათვის სრულიად გაუგებარი და გასაოცარი დასკვნები გამოიტანა.

ჯემსმა ყურადღება: შეიქცია, რომ რომელიმე ემოციის აღწერა რომ სცადო — მაგალ., „შიშის ემოციის აღწერა — და ის პროცესები, რომელთაც ამ ემოციის განცდის დროს სხეულში აქვთ ადგილი, სრულიად მხადველობაში არ მიიღო — გულისცემა, ფერმკრთალობა, კუნთების სისტემის სპეციფიკური ცვლილებები და სხვა თავისებური პროცესები, რომელნიც, ჩვეულებრივ, შიშის განცდას ახლავს ხოლმე თან, აღწერიდან გამორიცხო, დაინახავ, რომ აღსაწერი ხელში აღარაფერი შეგარჩება. შიში იმ პროცესების სახითაა ცნობიერებაში წარმოდგენილი, რომელთაც შეშინებული სუბიექტის ორგანიზმში აქვთ ადგილი: თვითონ შიშისას, როგორც განსხვავებული, სპეციფიკური ემოციური განცდისას, ცნობიერებაში ვერაფერს დაადასტურებ. ის, რასაც ჩვენ შიშს ვუწოდებთ, დაახლოვებით ასე ჩნდება: სუბიექტი რასმე საშიშს აღიქვამს, მაგალ., საშიშ მხეცს პირისპირ ხვდება. ეს აღქმა რეფლქტორული გზით იმწამსვე იმ ცვლილებებს იწვევს ორგანიზმში, რომელიც შიშის გამოსახულებად არის ცნობილი — კუნთების დაძაბვას, გულისცემას, თმის აბურძგვლას... ეს სხეულებრივი ცვლილებები შინაგალიზიანებად იქცევა და შინაშეგრძნებებს იწვევს. მაგრამ ეს უკანასკნელნი ურთიერთისაგან გამოყოფილ შეგრძნებათა სახით კი არა, ერთად, კომპლექსურად განიცდება; და აი ეს განცდაა, რასაც შიში ეწოდება. შიში, მაშასადამე, შინაშეგრძნებათა კომპლექსია, იმ შინაშეგრძნებათა, რომელნიც სხეულებრივი ცვლი-

ლებებიდან მომდინარე გაღიზიანების ნიადაგზე არიან აღმოცენებული. ეს გაღიზიანებები რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ არც შესატყვისი შინაშეგრძნებები გაჩნდებოდნენ. და, მაშასადამე, არც მათი კომპლექსი ანუ შიში წარმოიშობოდა. მაშ, შიში იმიტომ გაჩნდა, რომ სუბიექტს გულმა ცემა დაუწყვდ, თმა აებურძგლა, გასაქცევად მოემზადა.

ის, რაც შიშის შესახებ ითქვა, ჯემსის მიხედვით, ყველა დანარჩენი ემოციის შესახებაც შეიძლება ვიგულისხმოთ; და მაშინ გასაგები გახდება, თუ რას ნიშნავს, როდესაც ჯემსი თავის თეორიას ასეთს აარადოქსალურ გაფოთქმაში გვაწვდის: „მე იმიტომ კი არ ვტირი, რომ მწუხარებას განვიციდი, არამედ იმიტომ განვიციდი მწუხარებას, რომ ვტირი“.

ამრიგად, ემოცია, ჯემსის აზრით, სხეულებრივი პროცესების ცნობიერებაში მოცემულ ანარეკლს წარმოადგენს: იგი შინაშეგრძნებების კომპლექსია და მეტი არაფერი.

პრინციპულად ასევე მსჯელობს ლანგეც. ისიც დარწმუნებულია, რომ ემოციების საფუძველს წმინდა პერიფერიული სომატური პროცესები წარმოადგენენ, რომ ემოციები არსებითად ამ პროცესების ფსიქიკურ ანარეკლად უნდა ვიგულისხმოთ. ოღონდ, მისი აზრით, გადამწყვეტ როლს ამ შემთხვევაში სისხლძარღვების ინერვაციის აშლილობა ასრულებს. სისხლის მიღების ანომალური გაფართოების, თუ შევიწროების გამო ჩვენი სხეულის ამა თუ იმ ორგანოში სისხლის რაოდენობა არანორმალურად მატულობს ან კლებულობს, და ესაა, რომ ე.წ. ემოციური განცდების პირველად მიზეზად უნდა ჩაითვალოს. ავილოთ სევდა: „მოსპეთ კუნთების დაღლილობა და მოდუნებულობა; დაე, სისხლმა ჰარბად მორწყოს კანი და ტვინი, და თქვენ ნახავთ, რომ ორგანოებში სიმსუბუქეს იგრძნობთ და სევდისაგან აღარაფერი შეგრჩებათ“, ამბობს ლანგეც.

ამრიგად, როგორც ჯემსის, ისე ლანგეც შეხედულებით, ემოცია წმინდა პერიფერიული სხეულებრივი პროცესებია ნიადაგზე აიგება, იგი არსებითად შეგრძნებების განსაზღვრულ კომპლექსს წარმოადგენს, და, მაშასადამე, არავითარი საჭიროება არ არსებობს, შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების გვერდით, მათგან პრინციპულად განსხვავებული ემოციური პროცესების არსებობაც ვიგულისხმოთ.

ჯემსის თეორიის სასარგებლოდ შემდეგ მოსაზრებებს ასახელებენ:

1) შინაორგანოების უგარძნობლობის, ე. წ. ვისცერალური ანესთეზიის, შემთხვევებში ადამიანი ემოციურად სრულიად ინდიფერენტული ხდება. გარდა ამისა, ჩვეულებრივი გამოცდილებიდანაც ცნობილია, რომ ემოციური განცდების სხეულებრივ გამოხატულებათა შეფერხება თვითონ ემოციაზეც ახდენს გავლენას: ჩვეულებრივ, ასუსტებს მას.

2) ალკოჰოლი ან ოპიუმში კარგ გუნებაზე აყენებს კაცს, ბრომი ცულზე. მაშასადამე, ემოციური განცდა ბქ წმინდა სხეულებრივი პროცესების წიადაგზე ჩნდება.

3) ვაზომოტორული სისტემის დაავადებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ემოციური განცდები, რომელთაც ხვდა მიზეზი არაფერი აქვთ: ნევრასთენიკი შიშს განიცდის, სრულიად ჩვეულებრივ შიშს, მიუხედავად იმისა, რომ საშიში არაფერი აქვს.

მაგრამ ყველა ეს მოსაზრება ძალას კარგავს იმასთან შედარებით, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ექსპერიმენტული კვლევის შედეგად იქნა მიღებული, განსაკუთრებით ცნობილი ფიზიოლოგების — შერინგტონისა და კენონის მიერ.

შერინგტონმა გადაუყვეთა ძალს ზურგის ტვინი კისრის არეში და ნერვი ვაგუსი, ასე რომ თითქმის ყოველგვარი შინაშეგრძნების აღმოცენების შესაძლებლობა მოუხსპო. მაშასადამე, ამოიგად ოპერირებულ ცხოველს — თუ ჭემსის თეორია მართალი იყო — არავითარი ემოციური მდგომარეობა არ უნდა გაჩენოდა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ შესაფერის პირობებში ცხოველი ჩვეულებრივ ემოციურ რეაქციას იძლეოდა: საშიშ სიტუაციაში — შიშისას, და სასიამოვნოში — სიამოვნებისას.

ამრიგად, შერინგტონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ემოციური განცდა ორგანული შეგრძნებების გარეშე ჩნდება, და მაშასადამე, ვისცერალური პროცესები ემოციის არსს არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ.

ამავე დასკვნამდე მივიდა კენონიც. მან ოპერაციის საშუალებით კატას ავტონომიური ნერვული სისტემის მთელი ის ნაწილი ამოაცალა, რომელიც შიშის ან გაბრაზების ემოციისათვის დამახასიათებელს ვისცერალურ რეაქციებს იძლევა, და ამით სათანადო ორგანული შეგრძნებების აღმოცენების შესაძლებლობა გამოირიცხა. ამრიგად, ოპერირებული ცხოველი მან შიშის სიტუაციაში მოათავსა (ძალდი დაანახვა). აღმოჩნდა, რომ ამ პირობებში ოპერირებული კატა ისევე გამოკვეთილს შიშის რეაქციებს იძლეოდა, როგორსაც ოპერაციამდე: ჭემსისა და ლანგეს თეორია აქაც უარყოფილი იქნა.



4. ემოციის ფიზიოლოგიური საფუძვლები. იმავე კენონის ცდებიდან გამოიკვია, რომ ემოციური განცდები მართლაც უეჭველად გარკვეულ სომატურ ცვლილებებთან არიან დაკავშირებულნი, როგორც ამას განსაკუთრებით ჯემსი მიუთითებდა. ოლონდეს ცვლილებები პირველ რიგში ჰუმორალური ბუნების აღმოჩნდა: სახელობრ, გამოიკვია, რომ ისინი შინა სეკრეციის ჯირკვლების, კერძოდ, თირკმელს ზედა ჯირკვალის აქტიობასთან ყოფილან დაკავშირებულნი. კენონი თავის ექსპერიმენტულ ცხოველს, კატას, აბამდა და მასში ინტენსიურ ემოციურს მდგომარეობას — გაბრაზებას იწვევდა ყველა იმ სპეციფიკური სხეულებრივი ხიშნით, რომელიც ამ მდგომარეობისთვისაა დამახასიათებელი. სათანადო გამოკვლევა ყველა ასეთ შემთხვევაში ამტკიცებდა, რომ ცხოველს შაქრის გაძლიერებული გამოყოფა ეწყებოდა, რაც თირკმელსზედა ჯირკვალის ჰორმონის — ადრენალინის — ჰიპერსეკრეციაზე მიუთითებდა. საგულისხმოა, რომ ამავე მოვლენას ჰქონდა ადგილი მაშინაც, როდესაც გაბრაზების ნაცვლად შიშის ემოცია ჩნდებოდა, სახელობრ, როდესაც კატას ძალის სიახლოვეს ათავსებდნენ.

ამრიგად, ინტენსიური ემოციების — შიშისა და გაბრაზების — შემთხვევებში, ორგანიზმში ადრენალინის გაძლიერებულ სეკრეცია დასტურდება.

რა დამოკიდებულება არსებობს ამ ჰუმორალურ ფენომენსა და იმ ვისცერალურსა და ვაზომოტორულ პროცესებს შორის, რომელიც ჯემს ლანგეს პერიფერიული თეორიის თანახმად, ემოციის არსებას შეადგენს? მარანონის ცდები გადაჭრითს პასუხს იძლევა ამ საკითხზე. მარანონმა ადამიანს ადრენალინი შეუშნაპუნა და ამის შედეგად ყველა ის ვისცერალური მოვლენა მიიღო, რომელიც ჩვეულებრივ ემოციურ განცდებს — შიშს, გაბრაზებას — ახლავს ხოლმე თან. ცდისპირს ნამდვილი შეშინებულის, თუ გაბრაზებული ადამიანის გამომეტყველება გაუჩნდა — გულისცემა, თმის აბურძგვლა, ფერის წასვლა, კანკალი...

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, იმ ვისცერალურს და ვაზომოტორულ პროცესებს, რომელიც თან ახლავს ემოციურ განცდებს, ჰუმორალური საფუძველი აქვს. თითქოს ისე გამოდის, რომ აღნიშნული ემოციური რეაქციების არსს ნამდვილად თირკმელსზედა ჯირკვალის ჰორმონის, ადრენალინის სეკრეცია უნდა წარმოადგენდეს, და, მაშასადამე, არაპირდაპირ მაინც, ჯემსის თეორიის ძირითადი აზრი სწორი უნდა იყოს.

მაგრამ მარანონის ამავე ცდებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ასე არაა: აღრენალინის სეკრეცია და მის ნიადაგზე აღმოცენებული ვისცერალური პროცესები არაერთარ შემთხვევაში ემოციის არსად არ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, მარანონის ცდის-პირები, რომელთაც აღრენალინის შემსახუნების შედეგად ემოციური განცდების ყველა სხეულბერივი გამოხატულება ჰქონდათ, არაერთარ ემოციას არ გრძნობდნენ; და მეორე: ეს ვისცერალური პირობები ერთნაირი აღმოჩნდა როგორც შიშის, ისე გაბრაზების შემთხვევაშიც, ე. ი. სრულიად განსხვავებული ემოციური განცდების შემთხვევაში.

ცხადია, ემოციის ძირითადი საფუძველი სხვაგან უნდა ვეძიოთ. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი პერიფერიული წარმოშობის მოვლენას არ წარმოადგენს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ პერიფერიულ პროცესებს — ვისცერალურსა და ვაზომოტორულ რეაქციებს — არაერთარი მნაშენელობა არ ჰქონდესთ ემოციისათვის, რომ ისინი უბრალო შემთხვევითს მოვლენას წარმოადგენდნენ, რომელიც მხოლოდ თან ახლავს ჩვენს განცდას, თორემ გავლენას მასზე არაერთარს არ ახდენს. დღეს უდაოდ ითვლება, რომ ისინი ემოციის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ, რომ ისინი აძლიერებენ და გარკვეულობას აძლევენ მას: ვისცერალური და ვაზომოტორული რეაქციები ემოციური პროცესების „დავატებით ფაქტორს“ წარმოადგენენო, ამბობს რუბინსტეინი. ლემანის დაკვირვებით, სხეულბერივი სიმპტომებს მოკლებულ ემოციას ნამდვილის კი არა, წარმოდგენილი განცდის ხასიათი აქვს. შტერინგის მიხედვით, ის სპეციფიკური გულის-შედონების შეგრძნება, რომელიც შიშის დროს აქვს ხოლმე ადამიანს, თვითონ ემოციის განცდაში შედის მის აუცილებელ კომპონენტად.

ამრიგად, ვიგეტატური ნერვული სისტემისა და ენდოკრინული აპარატის მონაწილეობა ემოციური განცდების გენეზისში, უეჭველია. მაგრამ უდაოა ისიც, რომ მარტო ეს საკმარისი არაა. ადამიანის ემოციური განცდის აღმოცენება ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თანამედროვე ფიზიოლოგიაში ეს აზრი სულ უფროდაუფრო ფეხს იკიდებს, და დღეს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანის ემოციური განცდა მარტლაც ცენტრალური წარმოშობის ფაქტს წარმოადგენს, რომ იგი თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს

ეყრდნობა. სადაო უფრო ისაა, თუ ტვინის რომელი ნაწილი უნდა იქნეს ნაგულისხმევი ემოციური განცდების ცენტრად. -

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, განსაკუთრებულ როლს ამ შემთხვევაში მხედველობის ბორცვი უნდა ასრულებდეს. ძალიან დემონსტრაციულია ამ მხრივ პედის შემდეგი შემთხვევა: ერთ მის ავადმყოფს სრულიად არ შეეძლო სიმღერის მოსმენა, როდესაც იგი მარჯვენა მხრიდან ისმოდა; სამაგიეროდ, სრულიად გულგრილად ეპყრობოდა ამავე სიმღერას, თუ ის მარცხენა მხრიდან მოისმოდა. პაციენტს მხედველობის ბორცვის ცალმხრივი დაზიანება აღმოაჩნდა, და ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ იგი ერთსადაიმაცე სიმღერას ემოციურად სხვადსხვანაირად განიცდიდა.

მაგრამ ირკვევა, რომ მარტო მხედველობის ბორცვი არ კმარა, რომ ემოციური განცდების რეგულაციისათვის თავის ტვინის ქერქის მონაწილეობაც აუცილებელია: ემოცია ქერქისა და მხედველობის ბორცვის ურთიერთმოქმედების პროდუქტს წარმოადგენს. ამიტომ არის რომ ქერქისა და მხედველობის ბორცვის კავშირის დაზიანება განსაკუთრებით მკვეთრ გავლენას სწორედ ემოციურ განცდებზე ახდენს.

## ტემპერამენტი

1. ტემპერამენტის ცნება. ჩიენი ემოციური განცდები სულ ოთხი ძირითადი მიმართულებით შეიძლება განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან: სიამოვნებისა და უსიამოვნების, აგზნებისა და დამშვიდების მიმართულებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თითოეულს ცალკე ინდივიდში ყველა ეს მიმართულება ერთნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი. არა! ამ მხრივ ადამიანთა შორის საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავება არსებობს. არსებობენ უფრო ოპტიმიზტურად ან ევკოლურად განწყობილი ადამიანები, და არსებობენ ისეთებიც, რომელნიც პირიქით, უფრო პესიმიზტურად ან დისკოლურად არიან განწყობილნი. პირველთ სიამოვნების გრძნობები უფრო ადვილად აღეძვრისთ, ვიდრე უსიამოვნებისა; ხოლო მეორეთ, პირიქით, უსიამოვნების განცდები უფრო ადვილად უჩნდებათ, ვიდრე სიამოვნების. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში სიამოვნების დისპოზიციის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, მეორე შემთხვევაში — უსიამოვნების დისპოზიციის შესახებ.

ასეთივე დისპოზიციური განსხვავება აგზნებულობა-დამშვიდებულობის მიმართულებითაც დასტურდება. ზოგი ინდივიდი განსაკუთრებით აგზნებულ ემოციური განცდებისაგან არის განწყ-

ყობილი, ზოგი კიდევ უფრო და მშვიდებულო, წყნარი ემოციებისავენ.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ეს ემოციური დისპოზიციები უფრო ხშირად ტემპერამენტი-სახელწოდებით აღინიშნება. ლუმბა ისიც ხდება, რომ ზოგჯერ ტემპერამენტს გაცილებით უფრო ფართო ცნებად გულისხმობენ: მასში ინდივიდის ყველა ფსიქიკურ თავისებურების დისპოზიციას სჭვრეტენ.

დისპოზიციები სხვა შემთხვევებშიც გვაქვს. მაგალ., აზროვნების დისპოზიციად ინტელექტი იგულისხმება; ნებისმიერი ქცევის დისპოზიციად — ხასიათი. მაგრამ ტემპერამენტი მკვეთრად განსხვავდება ამ დისპოზიციებისაგან: იგი გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირში იგულისხმება სხეულური პროცესებთან, ვიდრე ინტელექტი ან ხასიათი. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ტემპერამენტის შემთხვევაში პირველ რიგში მართლა ემოციურ დისპოზიციასთან უნდა გვქონდეს საქმე, იმიტომ რომ, როგორც ვიცით: ისე განუყრელად არაფერი არაა სხეულური პროცესებთან დაკავშირებული, როგორც სწორედ ემოციური განცდები. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ტემპერამენტის დახასიათებისას ემოციურ განცდებს იმ შემთხვევაშიც დიდ ადგილს მიაკუთვნებენ, როდესაც მასში მთელი პიროვნების საფუძველს სჭვრეტენ და არა მარტო გრძობისას.

2. ტემპერამენტის ტიპოლოგია. ტემპერამენტის ცნება მეცნიერებაში მედიცინის მამამთავარმა, ჰიპოკრატემ, შემოიღო (ამ 2000 წლის წინათ), და ის კლასიფიკაცია, რომელიც მან მოგვცა, დღემდე უცვლელადაა დაცული. მისი მიხედვით, ტემპერამენტის ოთხ ტიპს განასხვავებენ: სანგვინიკურს, ფლეგმატიკურს, ქოლერიკულსა და მელანქოლიკურს.

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი უფრო სასიამოვნო განცდებისკენაა გადახრილი: იგი უდარდელია; კარგს უფრო ელის ცხოვრებაში, ვიდრე ცუდას; გულკეთილია, მხიარული. ადვილად აინთება, მაგრამ ადვილადვე ქრება.

ფლეგმატიკური ტემპერამენტი ამის საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენს: იგი გულგრილია, თითქმის აპათიური, აფექტები მისთვის უცხოა; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოდ უბრძნობელი იყოს. არა! მისთვის ისაა დამახასიათებელი, რომ ემოცია იშვიათად და ნელა უჩნდება: აფეთქება მან არ იცის. საამაგიეროდ, თუ აინთო, დიდხანს არ ქრება.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანი ასეთია: ემოცია ადვილად უჩნდება, რითაც იგი სანგვინიკს მოგვაგონებს; მაგრამ წი-

ნაღმდეგ ამ უკანასკნელისა, უფრო ინტენსიურად და ხანგრძლივად ემორჩილება მას. მბრძანებლობა უყვარს, სხვისადმი მორჩილება არა, ამაყია და ხარბი. ადვილად გამოდის მოთმინებიდან, რისხდება და მეტწილად ყველაფერზე გაჯავრებულია.

შ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი კ უ რ ი ტემპერამენტის ადამიანი ყველაფერში, რაც მას ეხება, ცუდს ხედავს. ცუდ გუნებაზეა, სიცოცხლე მობეზრებული აქვს.

რომ გადავხედოთ ტემპერამენტის ამ ტიპებს, ადვილად დავინახავთ, რომ სანგვინიკური და ფლეგმატიკური უფრო სასიამოვნო გრძნობათა დისპოზიციებს წარმოადგენენ, ხოლო ქოლერიკული და მელანქოლიკური უსიამოვნო გრძნობებისას. სამაგიეროდ, აგზნებულობა-დამშვიდებულობის მხრივ, სანგვინიკური და ქოლერიკული, როგორც მეტი აგზნებულობის პატრონნი, ერთად უნდა მოთავსდნენ, და ფლეგმატიკური და მელანქოლიკური, როგორც უფრო დამშვიდებულნი, ერთად.

ამრიგად, ტემპერამენტის ტიპების კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება, თუ როგორაა სიამოვნება-უსიამოვნებისა და აგზნებულობა-დამშვიდებულობის დისპოზიციები თითოეულში მოცემული.

ფსიქიატრთა შორის განსაკუთრებით გავრცელებულია კ რ ე ჩ მ ე რ ი ს ტიპოლოგია. კრეჩმერი ტემპერამენტს კონსტიტუციის ძირითად კომპონენტად სთვლის: იგი (ტემპერამენტი) პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს და სხეულის აგებულებასთან, ე. ი. ფიზიკურ თავისებურებებთან ერთად, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა ს შეადგენს. პიკნიკური ს ხ ე უ ლ ი ს აგებულობა ც ი კ ლ ო თ ი მ ი კ უ რ ტემპერამენტთანაა დაკავშირებული, ხოლო ასთენიკური, ათლექტიკური და მათი ნარევი — შ ი ზ ო თ ი მ ი კ უ რ ტემპერამენტთან. კ რ ე ჩ მ ე რ ი, მაშასადამე, სულ ორ ტემპერამენტს განასხვავებს: ც ი კ ლ ო თ ი მ ი კ უ რ ს ა და შ ი ზ ო თ ი მ ი კ უ რ ს, მაგრამ თითოეული მათგანი რამდენიმე განსხვავებულ ქვესახეს შეიცავს: ციკლოთიმიკური — ჰ ი პ ო მ ა ნ ი ა კ ა ლ უ რ ს (ძხიარული, მოძრავი ადამიანი), ს ი ნ ტ ო ნ უ რ ს (პრაქტიკული რეალისტი) და ნ ე ლ ს (რბილი, დუნე, უგუნებო ადამიანი). ამათვის ყველასათვის ს ი ნ ტ ო ნ ო ბ ი ს (ბ ლ ე ი ლ ე რ ი ს ტერმინოლოგიით) ანუ ე ქ ს ტ რ ა ვ ე რ ტ უ ლ ო ბ ი ს (ი უ ნ გ ი ს ტერმინოლოგიით) თავისებურობაა დამახასიათებელი. შიზოთიმიკური ტემპერამენტის ხალხისთვის, პირიქით, ინტრავერტულობაა ძირითადი თვისება, და ამის მიხედვით, იგიც სამ ქვეტიპს შეიცავს — უაღრესად გრძნობიერი და დაწყებული და უაღრესად უგრძნობელით, ცივი ეგოისტი გათავებული, სახელდობრ: ჰ ი პ ე რ ე ს თ ე ტ უ რ ს (ნაზი, გრძნო-

ბიარე, ნერვული ადამიანი), ა უ ტ ი ს ტ უ რ ს (ენერგიული, სისტემატური, მშვიდი, განცალკევებული, არისტოკრატი) და ა ნ ე ს თ ე ტ უ რ ს (ცივი, სუსტი აფექტების პატრონი, უგრძობელი ეგონისტი).

ტემპერამენტისა და სხეულის აღნაგობის ანუ ფიზიკური კონსტიტუციის შესატყვისობას, კრეჩმერის მიხედვით, ენდოკრინული ფაქტორი უდევს საფუძვლად: ნერვულ სისტემას იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

სამაგიეროდ, პ ა ვ ლ ო ვ ი ს ა თ ვ ი ს ტემპერამენტი სწორედ ნერვული სისტემის ტიპს წარმოადგენს. მისი მიხედვით, ტემპერამენტის ტიპოლოგია ნერვული სისტემის ტიპოლოგიას ემთხვევა: „ტიპპერამენტიო — ამბობს პ ა ვ ლ ო ვ ი — თითოეული ცალკე ადამიანის ყველაზე უფრო ზოგადი დახასიათებაა, მისი ნერვული სისტემის ყველაზე უფრო ძირითადი დახასიათებაა“-ო.

ნერვული სისტემა კი, თანახმად პ ა ვ ლ ო ვ ი ს გამოკვლევებისა, სხვადასხვაგვარია, იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს მასში ძირითადი ნერვული პროცესები — ა გ ზ ნ ე ბ ა და შ ე კ ა ვ ე ბ ა. აღმოჩნდა, რომ ეს პროცესები ურთიერთისაგან მეტნაკლები ძლიერებით, მეტნაკლები ურთიერთ-წონასწორობითა და მეტნაკლები ძვრადობით განსხვავდებიან.

არსებობს ცხოველები (როგორც ცნობილია, პ ა ვ ლ ო ვ ი თავის ცდებს ძალღებზე აწარმოებდა), რომელთა ნერვული სისტემაც ადვილად იტანს არაჩვეულებრივი სიძლიერის გამღიზიანებელთა მოქმედებას. მაგალ., მათ პირობითი რეფლექსი ისეთი სიძლიერის ბგერაზეც უმუშავდებათ, როგორიც, სუსტი აგზნების მქონე ძაღლებში, მთელი პირობით-რეფლექტორული მოქმედების შეჩერებასა და ზოგჯერ ნერვული სისტემის ქრონიკულ დაავადებას იწვევს. ამ შემთხვევაში ჩვენ ძლიერი აგზნების ნერვულ სისტემასთან გვაქვს საქმე.

იგივე ხდება შეკავების პროცესების მიმართაც. ზოგიერთი ცხოველის ნერვულ სისტემას ხანგრძლივად შეუძლია ე. წ. შ ი ნ ა გ ა ნ ი შ ე კ ა ვ ე ბ ი ს პროცესის ატანა (5—10 მინუტამდე), მაშინ როდესაც სხეუბში ასეთი ხანგრძლივი შეკავების პროცესის შექმნის ცდებს ხშირად თან სდევს ხოლმე ნერვული სისტემის სერიოზული დაავადმყოფება. პირველ შემთხვევაში ჩვენ ძლიერი შეკავების ნერვულ სისტემასთან გვაქვს საქმე. მეორეში — სუსტთა ხ.

ძლიერი ნერვული სისტემის ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ეს პროცესი წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება ურთიერთის მიმართ: აგზნების პროცესიც ძლიერია და შეკავებისაც; ზოგი-

ერთში კი წონასწორობა დარღვეულია — ჩვეულებრივ, ძლიერი აგზნების პროცესის სასარგებლოდ, ე. ი. აგზნების პროცესი ძლიერია, ხოლო შეკავების პროცესი სუსტია.

ძლიერი ნერვული სისტემის შემთხვევებში ჩვენ ერთ ნიშანს ვხვდებით კიდევ: ნერვული პროცესების ძვრადობას. ცხოველს რომ განსაზღვრული სიმაღლის ტონზე შეუმუშავო რეფლექსი, მეორე ტონზე იგი რეაქციას არ მოგვცემს. მაგრამ თუ მიიღებ სათანადო ზომებს, იგი მალე გადაინაცვლებს ამ ტონზე და რეფლექსს ეხლა ამაზე შეიმუშავებს. ნერვული სისტემა ამ შემთხვევაში ადვილად გადადის შეკავების პროცესიდან აგზნების პროცესზე და, პირიქით. ამისდა მიხედვით, ძლიერი ნერვული სისტემა ორგვარია: ძვრადი და ნაკლებ ძვრადი, ინერტული.

რაც შეეხება სუსტ ნერვულ სისტემას, ე. ი. ნერვულ სისტემას სუსტი აგზნებისა და შეკავების პროცესებით, აღმოჩნდა, რომ აქ არც მეტნაკლებ წონასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი და არც მეტნაკლებ ძვრადობაზე.

ყველა ამის მიხედვით, პავლოვი შემდეგ ოთხ ტიპს განასხვავებს:

1) ძლიერი, გაწონასწორებული, ძვრადი, ცხოველი ტიპი.

2) ძლიერი, უწონასწორო ტიპი, აგზნების პროცესის უპირატესობით. თავშეუკავებელი, აგზნებული ტიპი.

3) ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული ტიპი. მშვიდი, მძიმე ტიპი.

4) სუსტი ტიპი.

პავლოვის მიხედვით, ეს იგივე ტიპებია, რომელიც ჯერ კიდევ პიპოკრატეს მიერ იყო შენიშნული:

1) სანგვინიკურ ტემპერამენტს ძლიერი გაწონასწორებული ძვრადი ნერვული სისტემა უღევს საფუძვლად;

2) ქოლერიკულ ტემპერამენტს — ძლიერი უწონასწორო ტიპი.

3) ფლეგმატიკურ ტემპერამენტს — ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული ნერვული სისტემა.

4) მელანქოლიკურ ტემპერამენტს — სუსტი ნერვული სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ პავლოვის აზრით, ნერვული სისტემის თანდაყოლილ ტიპს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ის მაინც აღნიშნავს რომ გარდა თანდაყოლილი ნერვული სისტემის ტიპისა,

ცოცხალი არსების ქცევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მის წარსულსაც.

ამრიგად, ტემპერამენტის ძველი ტიპოლოგია თითქოს დღესაც ძალაში რჩება. ამასთან ერთად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტემპერამენტის ფიზიოლოგიური საფუძველი არა მარტო ენდოკრინულ პროცესებში უნდა ვეძიოთ, არამედ განსაკუთრებით აგრეთვე ნერვულ პროცესებშიც.



## კარი მახუთა

### ქცვის ფსიქოლოგია

#### იპულსური ქცევა

1. ცოცხალი არსება და ვიტალური მოთხოვნილება. ცოცხალი არსებისათვის არაფერი ისე სპეციფიკური არაა, როგორც ის გარემოება, რომ მას მოთხოვნილებები აქვს და რომ ამათ დასაკმაყოფილებლად თვითონ უნდა იზრუნოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის აქტიობაა დამახასიათებელი, ე. ი. გარესინამდვილესთან გარკვეული ურთიერთობის დამყარება, რომლის გარეშეც, რასაკვირველია, არცერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეიძლება. უდაოა, სიცოცხლის მთელ შინაარსს არსებითად ეს აქტიობა შეადგენს, და მის გარეშე სიცოცხლეზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. აქედან ნათელია, რომ მოთხოვნილების ცნებას სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ყოველს მეცნიერებაში, რომელსაც ცოცხალი არსების გაგება აქვს მიზნად დასახული, კერძოდ და განსაკუთრებით ფსიქოლოგიაშიც.

მოთხოვნილება აქტიობის წყაროა: იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, იქ არც აქტიობაზე შეიძლება ლაპარაკი.

ამ აზრით მოთხოვნილების ცნება ძლიერ ფართო ცნებაა. იგი ყველაფერს ეხება, რაც ცოცხალი ორგანიზმისათვის საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ რაც ამჟამად მის განკარგულებაში არაა.

ხოლო რა შეიძლება იყოს საჭირო ცოცხალი ორგანიზმისათვის, რისი უქონლობა შეიძლება მან დანაკლისად განიცადოს, ეს ორგანიზმის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. მოთხოვნილება ვითარდება და არავისთვის არაა სადაო, რომ ადამიანს, განვითარების

დღევანდელ საფეხურზე, მრავალი ისეთი მოთხოვნილება აქვს, რის მსგავსიც არა თუ ცხოველს, არამედ კულტურული განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე მდგომ ადამიანსაც არ გააჩნია.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ზოგიერთი მოთხოვნილება, რომლის გარეშეც არცერთ ცოცხალ ორგანიზმს, განვითარების რა საფეხურზედაც უნდა იდგეს იგი, არსებობა არ შეუძლია. ეს ის მოთხოვნილებებია, რომელნიც თვითონ სიცოცხლის ძირითად პროცესებთან — კვებასთან და გამრავლებასთან — არიან დაკავშირებულინი და, მაშასადამე, ძირითადს ვიტალურს ან წმინდა ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს წარმოადგენენ. კვების მოთხოვნილება, ზრდის მოთხოვნილება, გამრავლების მოთხოვნილება ყოველ ცოცხალ ორგანიზმს აქვს, როგორც უმარტივესს, ისე ურთულესსაც. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს მოთხოვნილებები განვითარების პროცესში არ იცვლებოდნენ, თითქოს კვების მოთხოვნილება ამიობასა და ადამიანს ერთიდაიგივე ჰქონდეს. არა, ჩვენ მხოლოდ ამის აღნიშვნა გვინდა, რომ ვიტალური მოთხოვნილება ყოველ ცოცხალ ორგანიზმს აქვს, განვითარების რაგინდ მაღალ დონეზეც არ უნდა იდგეს იგი. რომ უიმისოდ სიცოცხლე, საზოგადოდ, შეუძლებელია. მაგრამ რომ ეს მოთხოვნილებაც ვითარდება: რომ იგიც რთულდება და მრავალფეროვნდება, რომ დაბალ საფეხურზე იგი სხვაგვარია და მაღალზე სხვაგვარი, ამის უარყოფა დღეს, რასაკვირველია, აზრადაც არავის მოუვა.

2. ვიტალური მოთხოვნილება და ქცევა. რა არის ვიტალური მოთხოვნილებისათვის დამახასიათებელი? ჯერ ერთი, სრულიად არაა აუცილებელი, რომ იგი ფსიქიკურადაც იყოს მოცემული. საკმარისია, თუ იგი ობიექტურად არსებობს, ე. ი. თუ ორგანიზმს მართლა აქვს რაიმე გარკვეული საჭიროება დასაკმაყოფილებელი. მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, სუბიექტს მის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეს, იგი მაინც შეუცდომლად მიმართავს იმ საშუალებებს, რომელნიც მის დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. ეს დაახლოებით ისე ხდება, როგორც სუნთქვის მოთხოვნილების შემთხვევაში. ორგანიზმი სრულიად არ გრძნობს საგანგებოდ, რომ მას რაღაცა აკლია, რომ ეს რაღაცა ჰაერია და რომ მისი მოპოვება სწორედ სუნთქვის საშუალებით შეიძლება. მიუხედავად ამისა, ის მაინც მაქსიმალური ზედმიწევნილობით სუნთქავს, ამისათვის მას არც საკუთარი წინასწარი გამოცდილება ესაჭიროება და არც ვისიმე დახმარება.

ასეა არსებითად ყველა ძირითადი ვიტალური მოთხოვნილების შემთხვევაში. ახალშობილ ბავშვს რომ პირში ძუძუ ჩაუდო, თუ

მის ორგანიზმს საკვები ესაჭიროება, ე. ი. თუ მას ჭამის მოთხოვნილება აქვს, იგი მაშინვე წოვას დაიწყებს, მიუხედავად იმისა, რომ წოვა მისთვის არავის უსწავლებია. არც ხბოს ესაჭიროება ბალახის ძოვის სწავლება და წიწილას კენკვისა: პირველი იმთავითვე სწორედ ისეთ ბალახს ძოვს, რომელსაც მისი გამოკვება შეუძლია, და წიწილა თავიდანვე მარცვალს კენკავს და არა, მაგალ., ქვიშას, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერჯერობით ამ მხრივ არავითარი გამოცდილება არ მიუღია.

ერთი სიტყვით, ცხოველი იმთავითვე უსწავლელად შესაფერსაკვებს აგნებს და მას შესაფერადვე ეპყრობა. ვიტალური მოთხოვნილება თვითონ მიმართავს ორგანიზმს შესატყვისი საგნისაკენ: ორგანიზმი თანდათანობით როდი სწავლობს, თუ რას შეუძლია მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ გარკვეული მოთხოვნილების ქონების შემთხვევაში უამრავი საგნებიდან, რომლებსაც გარემო შეიცავს, ორგანიზმზე მხოლოდ ის ახდენს გავლენას, რასაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. ამის შედეგი ისაა, რომ ცოცხალ არსებებს შესატყვისი მოქმედების განწყობა უჩნდება და, ბოლოს, თუ ამას ხელს არაფერი უშლის, თვითონ ეს მოქმედებაც ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ: ცხოველს, წიწილას თუ ადამიანს, დაბადებიდანვე აქვს თანდაყოლილი ზოგიერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი: იგი არა მარტო სწორედ იმას მიმართავს, რასაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია (წიწილა — მარცვალს და არა ქვიშას), არამედ მოქმედებასაც ისეთს იწყებს, რომლითაც ამ მიზნის მიღწევა ხერხდება (კენკვას და არა სხვა რომელსაღე მოძრაობას). ასეთს თანდაყოლილს, მიზანშეწონილ ქცევას, ჩვეულებრივ, ინსტიქტს უწოდებენ და გულისხმობენ, რომ იგი ელემენტარულ ძირითად მოთხოვნილებებთან არის დაკავშირებული.

8. მომსახურება როგორც ქცევის ცალკე ფორმა. მაგრამ ასეთი სურათი მხოლოდ მაშინ იძლება ჩვენს თვალწინ, როდესაც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას წინ არაფერი ელოდება, როდესაც გარემო უშუალოდ იძლევა იმას, რაც საჭიროა ამ მოთხოვნილებებისათვის; მაგალ., ნორმალური სუნთქვის შემთხვევაში ჰაერი უხვადაა მოცემული და ორგანიზმს მისი შესუნთქვის მეტი არაფერი სჭირია; ანდა წიწილას წინ ქვიშაზე საკენკი ყრია: წიწილა სწორედ ამ უკანასკნელის კენკვას იწყებს. ასეთ შემთხვევებში მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი თავისთავად მიმდინარეობს, ცნობიერების ჩარევა მასში საჭირო არ არის და მთელი ქცევა მართლა ინსტიქტურია. მაგრამ ასეთია მოქმედების მხოლოდ პირველადი სახე, ის პრი-

მიტული აქტივობა, სადაც საკითხი მოთხოვნილების თვითონ დაკმაყოფილების პროცესს ეხება და არა იმ საშუალებათა მოპოვებას, რომელიც ამისთვისაა საჭირო. აქტიობის ეს ფორმა მოხმარების სახელწოდებითაა ცნობილი და, ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნის ეს ფორმა ცნობიერების მონაწილეობის გარეშე, სახელდობრ, ინსტიტუტური აქტების სახით ხორციელდება.

მაგრამ, ვთქვათ, მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს დაბრკოლება ელოდება წინ: ვთქვათ, სუნთქვა გაძნელდა. რა მოხდება მაშინ? უეჭველია, სუბიექტში სპეციფიკური გრძნობა გაჩნდება, შემაწუხებელი გრძნობა, რომ მას რაღაც აკლია, და ამასთან ერთად ერთგვარი დაძაბულობის მდგომარეობაც, რომელიც მზადაა ყოველ წუთს აქტიობის მდგომარეობაში გადავიდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე მოთხოვნილების ცნობიერებაში გამოვლენის ფაქტთან, მოთხოვნილებასთან, როგორც ფსიქიკურ ფენომენთან, გვექნება საქმე. როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით იგი მხოლოდ სუბიექტის მდგომარეობის ფარგლებით არის განსაზღვრული და ობიექტური მასში არაფერი ჩანს. მაგრამ ცოტა მეტი შეფერხება და იგი სუბიექტის საგნობრივ ცნობიერებაშიც მოგვცემს ანარეკლს: დანაკლისის შემაწუხებელსა და დაძაბულ გრძნობას თან დაერთვის იმ ობიექტის სპეციფიკური განცდაც, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, შიმშილის შემთხვევაში, როდესაც მისი უშუალო დაკმაყოფილებს შესაძლებლობა აღკვეთილია, სუბიექტი მას პირველ რიგში, რასაკვირველია, როგორც საკუთარ შემაწუხებელ მდგომარეობას განიცდის; მაგრამ, გარდა ამისა, ობიექტური სინამდვილის განცდაც თავისებური ხდება: მშვიერი გარემოში პირველ რიგში იმას ამჩნევს, რასაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. მაშასადამე, მოთხოვნილება სუბიექტის აღქმასაც განსაზღვრავს.

მაგრამ საინტერესოა, რომ ეს აღქმა სრულიად სპეციფიკურია: სუბიექტი უბრალოდ კი არ ხედავს იმას, რასაც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, უბრალოდ კი არ ამჩნევს მის არსებობას, არამედ ამასთან ერთად მისდამი გარკვეულ მიზიდულობასაც გრძნობს, ერთგვარ ზეგავლენას განიცდის, რომელიც აღქმის საგნიდან მომდინარეობს და მას გარკვეული მოქმედებისაკენ იწვევს. მოთხოვნილების ასეთს ფსიქოლოგიურ გავლენას პირველად განსაკუთრებით კურტ ლევინმა მიაქცია ყურადღება და მის დასახასიათებლად სპეციალური ცნება შემოიღო (Aufforderungscharakter), რომელიც ჩვენს მეცნიერებაში დღეს საერთო

ყურადღებით სარგებლობს. ლევინს აქ ის დაკვირვება აქვს მხედველობაში, რომ მშვიერს, მაგ., საქმელი იზიდავს და მწყურვალს — წყალი; ხოლო, როდესაც მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, მაშინ, შესაძლოა, ერთიცა და მეორეც სრულიად შეუმჩნეველი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, სრულიად ინდიფერენტული აღმოჩნდეს მისთვის. წინანდელი მიზიდველობის ძალის ახლა მათ აღარაფერი რჩებათ და, მაშასადამე, ვეღარც სამოქმედოდ იწვევენ სუბიექტს.

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბრკოლდება, როდესაც მოთხოვნილება უშუალოდ საქმედ ვეღარ იქცევა, მაშინ იგი სპეციფიკური შინაარსის სახით სუბიექტის ცნობიერებაში ვლინდება. სუბიექტის მხრივ იგი ერთგვარი უკმარობის თუ უკმაყოფილების გრძნობის სახით განიცდება, რომელიც აგზნებულობისა და გარკვეული დაძაბულობის მომენტებსაც შეიცავს, ხოლო ობიექტურის მხრივ — გარკვეული საგნობრივი შინაარსების სახით, რომელნიც სამოქმედოდ იწვევენ.

მოთხოვნილების დაკმაყოფილების გართულებებს შემთხვევებს, რასაკვირველია, პირუტყვთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხშირად ვხვდებით. აგერ, მაგ., ხიდან ჩიტი ჩამოფრინდა, რასაც კენკვა დაუწყო; აგერ მწერს მოაგლო თვალი და ეხლა მიჯენ გაეშურა. თითქმის მთელი მისი ცხოვრების შინაარსს საკვების ასეთი ძებნა და პოვნა ავსებს. ასეა სხვა პირუტყვის შემთხვევებშიც: ღორი სულ მუდამ საქმლის ძებნაშია, გამუდმებით მიწას ჩიჩქნის და ერთი ადგილიდან მეორეზე ასე გადადის. ერთი სიტყვით, იქ, სადაც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება უშუალოდ არაა მოცემული. იქ პირუტყვი იძულებული ხდება მის საძიებლად ადგილი გადაინაცვლოს და, იმისდა მიხედვით, თუ რას წააწყდება თავისთვის სასარგებლოს, შესაფერისად მოიქცეს.

პირუტყვის ქცევის ეს შემთხვევები არსებითად ბევრად არაფრად განსხვავდება მოხმარების ქცევის შემთხვევებისაგან. თუ ამ უკანასკნელისათვის მოთხოვნილების საშუალებათა ისეთი უშუალო მოცემულობაა დამახასიათებელი, რომ ცოცხალ არსებას, ასე ვთქვათ, მისი ხელში აღებისა და პირში ჩადების მეტი არაფერი აქვს გასაკეთებელი, ეხლა მდგომარეობა მხოლოდ იმ მხრივია გართულებული, რომ მოთხოვნილების საშუალებათა ხელში ჩასაგდებად ზოგიერთი მარტივი დამატებითი აქტებია საჭირო — კერძოდ, განსაკუთრებით ადგილგადაინაცვლება; მაგალ., ცხოველი წყურვილის დასაკმაყოფილებლად იძულებული ხდება წყაროზე წავიდეს, ანდა ერთ ადგილზე რომ საკვები გამოელევა, მეორე ადგილზე გადავიდეს. რომ ჩაუფიქრდეთ ამ შემთხვევებს, დავრწმუნდებით, რომ

არსებითად აქაც მოხმარების აქტებთან გვაქვს საქმე, ოღონდ, შედარებით, გართულებულთან. მართლაცდა, წმინდა მოხმარების აქტს, მაგ., ჭამა ან სმა შეადგენს; მაგრამ საკმლის პირთან მიტანა და შემდეგ ლეკვა განა ქცევის სხვა აქტია? რა თქმა უნდა, არც ერთი და არც მეორე, ცალკე აღებული — მაგალ., პირთან საკმლის მიტანა შექმის მიზნით კი არა, რაიმე სხვა მიზნით — მოხმარების აქტს არ წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც ისინი უშუალოდ უკავშირდებიან და უშუალოდ ემსახურებიან წმინდა მოხმარების აქტებს, მაშინ, რასაკვირველია, ისინიც მოხმარების ქცევად უნდა იქნენ ნაგულისხმევი.

მაგრამ, ჩვეულებრივ, კიდევ უფრო გართულებულ მდგომარეობასთან გვაქვს ხოლმე საქმე.

ხშირია შემთხვევა, რომ საჭყელი ცხოველის თვალწინაა; მაგრამ უახლოესი გზით მისი ხელში ჩაგდება არ ხერხდება; მაშინ ცხოველი შემოვლილ გზებს ეძებს ხოლმე და ამ გზით ზოგჯერ საკმაოდ რთულ ამოცანებსაც სწყვეტს. ასეა, მაგალ., ბერიტაშვილის ცდების მიხედვით, ხერხემლიანთა სხვადასხვა წარმომადგენლების შემთხვევაში და ასეა, განსაკუთრებით კელერიის ცდების მიხედვით, ადამიანის მსგავს მაიმუნთა — ანთროპოიდთა შემთხვევაშიც.

ავიღოთ ზოგიერთი მაგალითი. ძალღი ხელავს, რომ ხორცის ნაჭერი ფანჯრიდან გარეთ გადააგდეს. ფანჯრიდან იგი გარედ გადახტომას ვერ ახერხებს; ამიტომ მეორე ოთახში გარბის, იქედან უკან კარებში გადის, შემდეგ ეზოში და ეზოდან ქუჩაში გამოდის, სადაც გადასროლილი ხორცი ეგულება. როგორც ვხედავთ, ძალღი იძულებულია საკმაოდ რთული აქტები აწარმოოს, სანამ ხორცს დაეუფლებოდეს და მისი მოხმარების აქტს, მის ჭამას, დაიწყებდეს. მაგრამ შეიძლება გაცილებით უფრო რთულ შემთხვევებთანაც გვქონდეს საქმე, განსაკუთრებით ექსპერიმენტულ პირობებში.

ანთროპოიდი გალიაშია დამწყვდეული; გარედ საქმელია, რომელიც მაიმუნს ძალიან უყვარს, მაგრამ ხელით იგი მას ვერ სწვდება; მაშინ მაიმუნი ჯოხს დაავლებს ხელს, რომელიც განზრახ იჭევა, გალიაში, მის გვერდით მოთავსებული, და მისი დახმარებით საკმელს გალიაში შეათრევს. ანდა კიდევ: მალლა ჭერზე ბანანია მიმაგრებული. მაიმუნი ცდილობს მის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც იგი ძალიან მალლა დაკიდებული. მაშინ ანთროპოიდი იქვე გვერდით მდებარე ყუთს მიათრევს და მას ბანანის ქვემოდ ათავსებს; ხტება ზედ, მაგრამ ბანანს მაინც ვერ სწვდება. მერე იგი მეორესა და შემდეგ მესამე ყუთსაც მიათრევს, ერთმანეთზე ადგამს და თავის მიზანს ასე აღწევს.

რომ დაეახსიანათოთ ანთროპოიდის ეს ქცევა, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხოველს აქ თავიდან ბოლომდე ერთი ძირითადი მიზანი ამოქმედებს, მას თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სწადია და ამას იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს. ეს მოთხოვნილება მარტო მაშინ კი არ იქცევა აქტუალურად, როდესაც მისი უშუალო დაკმაყოფილების პროცესი, მოხმარების პროცესი, იწყება, არამედ ის აქტუალურია მაშინაც, როდესაც ცხოველი, მაგალითად, ყუთს მიათრევს, მეჩე მეორეს და შემდეგ კიდევ მესამეს. მიუხედავად ამისა, რომ მაიმუნი აქ აქტების მთელ რიგს მიმართავს, რომელთაც მოხმარებასთან სრულიად არ აქვთ ისეთი უშუალო კავშირი, როგორც, ზემოდ, გართულებული მოხმარების აქტების შემთხვევაში, იყო აღნიშნული, მაინც უდაოა, რომ ყველა ეს აქტი ძირითადი მოთხოვნილების აქტუალური გავლენის ქვეშ იმყოფება.

ამრიგად, მოხმარების აქტს ქცევის საკმაოდ რთული პროცესი უსწრებს წინ. იგი უშუალოდ ერთი გარკვეული მოთხოვნილებების წყაროდან იკვებება და თავიდან ბოლომდე მისი დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს თუნდაც იმ ურთიერთობიდანაც, რომელშიც იგი აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტთან, მოხმარების პროცესთან, იმყოფება: იგი შეუმჩნევლად გადადის მასში და მასთან ერთს განუყრელ მთლიანს ქმნის.

მიუხედავად ამისა, უდაოა, რომ აქ აქტიობის ახალ ფორმასთან, ქცევის ახალ სახეობასთან გვაქვს საქმე. თუ სპეციფიკურად ქცევის ამ ფორმისათვის იმ მკვიდრო კავშირს ჩავთვლით, რომელშიც იგი მოხმარების აქტთან იმყოფება, იმ გარემოებას, რომ იგი უშუალოდ ამ აქტის მომზადების მიზანს ემსახურება, მაშინ, ალბათ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი სახელწოდება მისთვის მღმსახურება იქნებოდა.

4. იმპულსური ქცევა და მომსახურება. როგორ მიმდინარეობს მომსახურების შემთხვევაში სუბიექტის აქტიობა? რა განსაზღვრავს მას? ამ საკითხის გადასაჭრელად ყველაზე უფრო ხელსაყრელი ისევ ადამიანის დაკვირვებაა: მომსახურების შემთხვევებს ადამიანის ქცევის ინვენტარში ხომ ერთერთი უპირველესი ადგალთაგანი უკავია! შეიძლება ითქვას, იგი ჩვენი ყოველდღიური აქტიობის ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენს. მართლაცა, როდესაც რაიმე კონკრეტული მოთხოვნილება გვიჩნდება, მის დაკმაყოფილებას ყოველთვის დაუბრკოლებლად ხომ ვერ ვახერხებთ. პირიქით, უფრო ხშირად რაიმე დაბრკოლება გველოდება ხოლმე წინ და ჩვენი

იძულებულნი ვხდებით, სანამ პირდაპირ მოხმარების აქტს მივყოფდეთ ხელს, სხვა ოპერაციების მთელი რიგი შევასრულოთ, ოპერაციებისა, რომელნიც მხოლოდ მისთვის არიან წარმოებულნი, რომ აღნიშნული დაბრკოლება ძლიონ და ამით მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოგვცენ.

რამდენადაც ყველა ეს ოპერაცია გარკვეული კონკრეტული მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება, ჩვენ ის მომსახურების ცალკე შემთხვევად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ეს მომენტი — რაიმე კონკრეტული მოთხოვნილების სამსახური — როგორც ზემოთაღნიშნული, ის ძირითადი ნიშანია, რომლითაც მომსახურება ქვეყნის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება. ვთქვათ, ადამიანს რაიმე მოთხოვნილება გაუჩნდა, მაგ., მოშივდა, მაგრამ საკმეღი ხელთ არა აქვს და ამიტომ საკმაოდ შორი და არასასიამოვნო გზა უნდა განვლოს. როდის იზამს იგი ამას? უეჭველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ შორი გზის გავლის უსიამოვნებას ფარავს. ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ სუბიექტი მომსახურების აქტს, შორი გზის გავლას, არ მიმართავს და ისევე უქმელად დარჩენას არჩევს. ერთი სიტყვით, სრულიად შეუძლებელია მომსახურების აქტი ისე ხდებოდეს, რომ მას ძირითადი მოთხოვნილების იმპულსი არ განსაზღვრავდეს. იქ, სადაც მას სხვა იმპულსი უდევს საფუძვლად, იქ იგი მომსახურების აქტად ვეღარ ჩაითვლება.

შეიძლება მოხდეს, რომ მომსახურების აქტის ზოგიერთი მომენტი ძალიან ძნელი შესასრულებელიც იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც სრულდებოდეს და კვლავ მომსახურების აქტად რჩებოდეს.

ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს, ჩვეულებრივ, მომსახურების აქტი! გარეგნულად ჩვენს წინაშე ყოველთვის ასეთი სურათი იშლება: როგორც კი რაიმე ინტენსიური მოთხოვნილება გაჩნდება, სუბიექტი იმის დასაკმაყოფილებლად მოქმედებას იწყებს, ზოგჯერ საკმაოდ რთულსაც; და ეს მოქმედება მანამ გრძელდება, სანამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ იქნება უზრუნველყოფილი. როგორ მიმდინარეობს ეს მოქმედება?

ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, ველურმა შიმშილი იგრძნო. იგი სანადიროდ გაემგზავრება: აიღებს თავის სანადირო იარაღს, წავა ტყეში გარკვეული მიმართულებით. იმის მიხედვით, თუ რა ნადირი შეხვდება და რა პირობებში, იგი ან ჩაუხსაფრდება მას, ანდა პირდაპირ გამოედევნება, ან კიდევ ისარს ესვრის. თუ მოკლა — გაატყავებს და, ოპერაციების მთელი რიგის შესრულების შემდეგ,



თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ჰამას, შეუდგება. ველურის ნადირობის ეს მარტივი სქემა ფაქტიურად ხშირად საკმაოდ რთული შინაარსით ივსება: იგი აქტიობის თანამიმდევარი მომენტების ჯაჭვს შეიცავს, რომელშიც თითოეული რგოლი თავის ადგილასაა მოთავსებული და მიზანშეწონილად მოქმედებს.

როგორ ხდება ყველაფერი ეს? განა ველურს მთელი თავისი ქცევა წინასწარ აქვს მოსაზრებული, წინასწარ გაზომილი და საგანგებოდ შერჩეული? რასაკვირველია, არა. საკმარისი იყო მას ძლიერი შიშშილი ეგრძნო, რომ მაშინვე გარკვეული ქცევისათვის, ნადირობისათვის, მიემართა. ამ ქცევის ცალკე აქტები, თითქოს თავისით, სუბიექტის საგანგებო ჩარევის გარეშე, სცვლიან ურთიერთს: ველურს არ სჭირია ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩაფიქრდეს — აბა როგორ მოიქცეს ეხლა, რას მიმართოს, რომ მიზანს უკეთ მიაღწიოს. ჩვეულებრივ შემთხვევაში ყველაფერი აქ, პრინციპულად, სავსებით ისევე მიმდინარეობს, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგ., მოგეწყურდება, და წყალი ან იქვე მაგიდაზე გვაქვს ჭურჭელში. ან მეორე ოთახშია, ანდა იქვე გვაქვს წყლის ონკანი, საიდანაც წყლის დაღვევა შეიძლება. რასაკვირველია, ჩვენ არასდროს საგანგებოდ ფიქრი არ გვჭირდება, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ წყურვილი დავიკმაყოფილოთ: თვითონ პირობები, სიტუაცია, გვიკარნახებს, თუ რა უნდა ვქნათ: თუ წყალი იქვე ჭურჭელში გვაქვს მაგიდაზე, ცალი ხელი კიქისაკენ გაემართება, ხოლო მეორე — წყლის ჭურჭლისაკენ; თუ არა და, მაშინ ისე მოვიქცევით, როგორც გარემოება მოითხოვს.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ როდესაც ქცევა რაიმე გარკვეული მოთხოვნების აქტუალური იმპულსის ზეგავლენით ხდება, მისი ცალკე ეტაპები და მომენტები თითქოს თავისით, თითქოს სუბიექტის ცნობიერი წარმართვის გარეშე მიმდინარეობენ: მათ უფრო ის სიტუაცია განსზაღვრავს, რომელშიც სუბიექტს თავისი ქცევის გაშლა უხდება.

რა უდევს ფაქტიურად ამ ქცევას საფუძვლად? რა წარმართავს მას? ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში მთელი ქცევა ცალკეულ რეფლექსურ მოძრაობათა ჯაჭვს წარმოადგენდეს, რომელიც მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარე შთაბეჭდილება ან გაღიზიანება მოქმედობს სუბიექტზე. ვერ ვიტყვით ამას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ქცევა არასდროს სავსებით უცვლელი სახით, სავსებით სტერეოტიპულად არ მეორდება, თუნდ პირობები სრულიად ერთნაირიც იყოს; და მეორე: სუბიექტის, როგორც მთელის, როლს, ჩვენს ხანაში, რეფლექსების შემთხვევა-

შიც ველარ ვუარვეყოფთ. სრულიად უდაოა, რომ აქ აქტიობის იმდენად რთულს ფორმასთან გვაქვს საქმე, რომ მისი მექანიკური ახსნის ცდის შესახებ დღეს სერიოზულად ფიქრიც კი აღარ შეიძლება.

ჩვენთვის თეორიულად იმთავითვე ნათელია, რომ სიტუაცია, როგორც გარე გამღიზიანებელთა მთლიანი კომპლექსი, უშუალოდ კი არ მოქმედებს ცოცხალი არსების მოტორულ აპარატზე და ამ გზით მასში შესატყვისის მოძრაობებს იწვევს: არა, სიტუაცია პირველ რიგში თვითონ სუბიექტზე მოქმედებს და, თუ საღმე იწვევს რაიმე ეფექტს, ეს მას მხოლოდ სუბიექტში შეუძლია მოახდინოს. გარემო მხოლოდ ამ სუბიექტში გამოწვეული ეფექტის შუალობით ახდენს ქცევაზე გავლენას.

როგორაა რომ, მიუხედავად იმისა, რომ, მაგ. ველურის ნადირობის ქცევაში არც მისი ცალკეული მომენტები და არც მთლიანად ფვითონ ქცევაა გაცნობიერებული, ანდა წინასწარ განზრახული, იგი მაინც მიზანშეწონილად მიმდინარეობს? გარკვეული მოთხოვნილებით აგზნებულ სუბიექტზე აქტუალური სიტუაცია მოქმედებს, მასში გარკვეულს მთლიან ცვლილებას, გარკვეულ განწყობას იწვევს; და აი, მისი შემდგომი ქცევა ამ განწყობის საფუძველზე შენდება. ამიტომაც, რომ იგი გაცნობიერების გარეშეც მიზანშეწონილია.

ამრიგად, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რაა ის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მოხმარების ქცევის მიმდინარეობას ახასიათებს: როდესაც სუბიექტი, აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, გარემოს მიმართავს, მას გარკვეული სიტუაცია უჩნდება, რომელიც მასში ასევე გარკვეულ განწყობას იწვევს და ამ უკანასკნელის საშუალებით მთელ მის შემდგომ ქცევას განსაზღვრავს. რადგანაც ყველა ასეთი ქცევის შემთხვევებში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი მოქმედებს ხოლმე. ჩვენ შეგვეძლო მათთვის ყველასათვის იმპულსური გვეწოდებინა. მაშინ გამოვიდოდა, რომ იმპულსური ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ, ჯერ ერთი, იგი აქტუალური მოთხოვნილების წყაროდან მომდინარეობს, და მეორე — მას ის განწყობა განსაზღვრავს, რომელსაც აქტუალური სიტუაცია ქმნის.

5. შრომა და მოთხოვნილება. მოხმარება და მომსახურება პირუტყვის აქტიობის ინვენტარშიც გვხვდება. მაგრამ არსებობს აქტიობის ისეთი ფორმაც, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. ასეთია, პირველ რიგში, შრომა.

ენგელსმა თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ ყველა ის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ადამიანს, როგორც ადამიანს ახასიათებს, შრომის წყაროდან გამომდინარეობს. და ღღეს ჩვენთვის ნათელია, რომ ნამდვილი ადამიანური ცხოვრების აზრი და მიზანი შრომაა, რომ იგი წყველა კი არ არის ადამიანისათვის, როგორც ამას დასაბამიდან ღღემდე, ე. ი. საბჭოთა კავშირში სოციალისტური წესწყობილების დამყარებამდე, ყველა განიცდიდა, არამედ კურთხევა და ღბენა, წყარო ბედნიერებისა, „საქმე პატივისა, საქმე სახელისა, საქმე მამაცობისა და გმირობისა“.

მაგრამ რას ვგულისხმობთ, როდესაც შრომის შესახებ ვლაპარაკობთ? რასაკვირველია, თუ შრომად ენერჯის მიზანშეწონილი გამოყენების ყოველ პროცესს ჩავთვლით, ანდა ისეთს, რომელსაც თვალსაჩინო სიძნელის გადაღახვა უხდება, მაშინ მოხზარებაცა და მომსახურებაც შრომის სახეებად უნდა მივიჩნიოთ, იმიტომ რომ ერთიცა და მეორეც უეჭველად მიზანშეწონილი აქტებისაგან შესდგება და ერთიცა და მეორეც, შესაძლებელია, ზოგჯერ საკმაოდ დიდ ენერჯიასაც მოითხოვდეს. როგორც ჩანს, შრომისათვის არც მიზანშეწონილებაა სპეციაფიკური და არც სიძნელის შედარებით მაღალი ღონე, რომელიც თავს იჩენს მისი შესრულების პროცესში. შრომისათვის ფსიქოლოგიურად სულ სხვა რამ არის დამახასიათებელი.

მომსახურების შემთხვევაში ის, რაც კეთდება, იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება, რომელიც მომსახურების აქტებს იწვევს: მომსახურების პროდუქტი აქტუალური მოთხოვნილებისათვისაა განკუთვნილი. მაგალითად: ადამიანს სწყურია. ეს მოთხოვნილება აიძულებს მას, მომსახურების სათანადო აქტებს მიმართოს. მაგალ., მოიტანოს, ან დაახასა წყალი. მომსახურების პროდუქტი — დასხმული წყალი — აქტუალური წყურვილის დაკმაყოფილებისათვისაა განკუთვნილი: მომსახურება მხოლოდ იმ კონკრეტულს, აქტუალურ მოთხოვნილებას ემსახურება, რომელმაც მას დასაბამი მისცა. მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არცერთი მომსახურების აქტი არ არსებობს. მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არც მომსახურების პროდუქტი არსებობს, იმიტომ რომ რაღა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა მომსახურების პროდუქტს, თუ რომ ვიგულისხმებდით, რომ არ არსებობს ის, რისთვისაც ეს პროდუქტი უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე შრომის შემთხვევაში. განა ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაკეთებთ რასმე, როდესაც ეს რა-

ლაც გვესაქცირება, და მხოლოდ იმისთვის ვაკეთებთ, რომ არსებული მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ! არა, ადამიანის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ჩვენ მაშინაც მივმართავთ აქტიობას, როდესაც ის, რასაც ეს აქტიობა ქმნის, სრულიადაც არაა საჭირო ჩვენი ეხლანდელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გუშა რომ პურის ქარხანაში მუშაობს, მხოლოდ მაშინ კი არ კიდებს ხელს მუშაობას, როდესაც პური მოშვიდება, და მხოლოდ მისთვის კი არ მუშაობს, რომ იმდენი პური გამოაცხოს, რამდენიც მისი ეხლანდელი შიმშილის დასაკმაყოფილებლადაა საჭირო. ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ მომსახურების პროცესთან გვექნებოდა საქმე. არა, იგი იმისთვის მუშაობს, რომ გარკვეული პროდუქტი, პური, დაამზადოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ამჟამად მას სრულიადაც არ სჭირია. შრომის აქტიობისათვის სწორედ ეს გარემოებაა განსაკუთრებით დამახასიათებელი: იგი მისთვის კი არ წარმოებს, რომ ის პროდუქტი შექმნას, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო, იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც სუბიექტი აი ეხლა, ამჟამად განიცდის, არამედ კვების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოდ, იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც შეიძლება ხვალ, ან როდისმე გაუჩნდეს მას, ან სხვას ვისმე, სულერთია.

ამრიგად, თუ მომსახურებას მხოლოდ აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქვს მხედველობაში, შრომა შესაძლო მოთხოვნილებისთვისაა განზრახული.

8. შრომა და ნებელობა. მაგრამ საიდან იძენს მაშინ ადამიანი იმის ვაკეთების ენერჯიას, რისი მოთხოვნილებაც მას ამჟამად არა აქვს? როგორაა შრომა შესაძლებელი?

რა თქმა უნდა, რეფლექსის ცნება აქ საკმარისი არაა. მაგრამ არც იმპულსური ქცევის ფარგლებში შეიძლება შრომითი აქტიობის მოთავსება. ჩვენ საკმარისად დაჯერწმუნდით, რომ იგი არც იწყება აქტუალური მოთხოვნილების ბიძგით და არც შემდგომ წარმართება მით. ჩვენ დაერწმუნდით, რომ შრომა აქტიობის განსხვავებულ სახეს გულისხმობს. ისეთ სახეს, რომელსაც აქტუალური მოთხოვნილების გარეშე მოქმედებისა და ამ მოთხოვნილები-საგან დამოუკიდებელი ღირებულებების შექმნის ძალა შესწევს.

აქტიობის ასეთ სახეს, როგორც ჩვენ ქვემოთ დაერწმუნდებით, ნებელობა წარმოადგენს. მაშასადამე, ნებელობის გარეშე შრომა ვერასდროს იმ სპეციფიკური, დასრულებული სახით ვერ ჩამოყალიბდებოდა, რომელიც მას დღეს, როგორც ადამიანის სპე-

ციფიკურ თავისებურებას, აქვს, და მეორის მხრივ, ვერც ნებლობა მიაღწევდა თავისი განვითარების ადამიანურ საფეხურს, შრომითს აქტიობას რომ მისი სტიმულაციისა და განვითარების სპეციფიკური პირობები არ შეექმნა.

## ნებლობა

1. ცნების ზოგადი განსაზღვრება. რა არის ნებლობა? დაუსახელოთ ნებისმიერი მოქმედების რამოდენიმე უღაო მაგალითი და ვნახოთ, რა არის აქ ისეთი, რომ ნებლობის სპეციფიკურ თავისებურებად ჩაითვალოს.

1) ციე ოთახში გდინავს. დილით გაიღვიძე და ხედავ, რომ ადგომის დროა. ადგომა გეზარება, მაგრამ გვიანდება. ბოლოს ძალას ატან თავს და დგები. საჭირო იყო ერთგვარი ნებლობის აქტი, რომ ბუნებრივი სიზნანტე დაგეძლია.

2) ძლიერ გინდა თუთუნის მოწევა; მაგრამ გაღაწყვეტილი გაქვს, თავი დაანებო მას: იკავებ თავს და არ სწევ.

3) ვთქვათ, წიგნს წერ და ერთ ადგილას აზრი უნდა გამოთქვა, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება შენს წინანდელ შეხედულებას, რომელიც არა ერთხელ დაგიცავს საჯაროდ. დგება საკითხი, გამოთქვა ეს შენი ახალი აზრი თუ არა. თუ გამოთქვი, ამით შენ საჯაროდ სცნობ, რომ სცდებოდი, ხოლო შენი მოწინააღმდეგეები მართალნი იყვნენ. თუ დამალე ეს შენი ახალი შეხედულება, მაშინ ძირითად პრინციპს უღალატებ, რომლის მიხედვითაც მეცნიერებაში ჭეშმარიტებაა მთავარი და არა ყალბი თავმოყვარეობა. ბოლოსდაბოლოს, საკითხს ობიექტური ჭეშმარიტების ინტერესის თანახმად სწვევტ. უეჭველია, ამისთვის კვლავ ნებლობის დახმარება დაგჭირდება.

4) როდესაც რაიმე გაქვს გასაკეთებელი, ვთქვათ, რაიმე შრომა. გაქვს დასაწერი, წინასწარ ერთგვარ გეგმას იმუშავებ: რა საკითხს უნდა შეეხო თავში, რაზე ილაპარაკო შემდეგ და როგორ მიუახლოვდე საბოლოო საკითხს. რასაკვირველია, თითოეული ამ საკითხის გადაჭრა ნებისმიერ აქტებს მოითხოვს, და, ბოლოსდაბოლოს, გარკვეულ გეგმაზე შეჩერდები. ამის შემდეგ კვლავ საგანგებო ნებისყოფის აქტია საჭირო, რომ ეხლა უკვე შრომის წერას, ე. ი. შემუშავებული გეგმის განხორციელებას შეუდგე.

რა არის ყველა ამ შემთხვევისათვის დამახასიათებელი? ჭერ ერთი — ეს პირველ რიგში უნდა იქნეს აღნიშნული — ს უ ბ ი ე ქ ტ ი და მ ი ს ი ქ ც ე ვ ა, მისი მოქმედება დაპირისპირებული არიან

ურთიერთს: სუბიექტი მოქმედებაში კი არ არის მოცემული, არამედ მოქმედების გარეშე: შენს თავს ცალკე განიცდი, და შენს მოქმედებას კიდევ — თუთუნის მოწვევას, ზეზე აღგომას, ობიექტური ქვეშარიტების სამსახურს, შენს გეგმას — სრულიად ცალკე. შენ ხომ ჯერ კიდევ არ მოქმედობ! შენ ხომ ჯერ მხოლოდ საკითხს აყენებ, თუ როგორ მოიქცე! ყველა ამ შემთხვევებში შენი მე-ც და შენი შესაძლო ქცევაც თითქოს გარედან მოცემული რაღაც არის, რის შესახებაც მსჯელობ და ფიქრობ, თითქოს შენს წინაშე რაღაც ობიექტური არსებობდეს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნებელობის ყველა შემთხვევისათვის მე-ს ა და ქცევის ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა ა დამახასიათებელი.

მეორე მომენტი, რომელიც არა ნაკლებ დამახასიათებელია ნებელობისათვის, თავს იჩენს ქცევისა და მე-ს განცდის თავისებურებაში. თვითონ ქცევა ჯერ კიდევ არ არის მოცემული: იგი აწმყოს კი არა, მომავალს ეკუთვნის; იმთავითვე კი არ ხდება, მერე უნდა მოხდეს; მაშასადამე, როგორც აწმყოს კი არა, როგორც მომავლის ფენომენი განიცდება. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პროცესი ასე მიმდინარეობს: სანამ გარკვეული ქცევა — ზეზე აღგომა, თუთუნის მოუწველობა, შენი აზრების ობიექტური გადმოცემა — მოხდებოდეს, მანამ მსჯელობ, ფიქრობ, მოხდეს იგი თუ არა.

ამრიგად, ნებელობისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი იმ ქცევის აქტს კი არ ეხება, რომელიც აწმყოში მიმდინარეობს. არამედ იმას, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს: ნებელობა წინ იხედება, იგი, ვ. შ ტ ე რ ნ ი ს ტ ე რ მ ი ნ ი რომ ვისმაროთ, პ რ ო ს ბ ე ქ ტ უ ლ ი აქ ტ ი ა.

რაც შეეხება მე-ს განცდას, მას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ნებელობის შემთხვევებში: ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითში მე როგორც ერთადერთი წყარო განიცდება, საიდანაც ყოველი ნებელობითი ქცევა მომდინარეობს, როგორც ერთადერთი ძალა, რომელზეც სავსებით დამოკიდებულია, თუ როგორი იქნება ქცევა, რა მოხდება: ავდგები, თუ განვაგრძობ წოლას, ისევ მოვწეე თუთუნს, თუ დავანებებ მას თავს. ერთი სიტყვით, ასე მოვიქცევი, თუ ისე, ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამისი მიზეზი მე ვარ. ერთი სიტყვით, ნებელობა მე-ს აქ ტ ი ო ბ ა დ განიცდება, ან ნებელობაში აქ ტ ი უ რ ა დ, მ ო ქ მ ე დ ა დ მე განიცდება.

რომ შივადაროთ ეხლა ნებელობის შემთხვევები იმპულსური ქცევის შემთხვევებს, იმწამსვე ნათლად დავინახავთ, რომ განსხვავება მათ შორის დიდია. ვთქვათ, წყურვილი ვიგრძენ. მივდივარ, ვიღებ ხელში ჭურჭელს, ვასხამ წყალს და ვსვამ. ყველაფერი ეს

ისე ხდება, რომ სუბიექტი (მე), ობიექტი (ჭურჭელი, წყალი) და ქცევა (მისვლა, დასხმა, სმა) ერთს მთლიანს პროცესში არიან ჩართულნი და მის გარეთ და ცალკალკე არ განიცდებიან: აქ არც მე-ს ობიექტივაციასთან გვაქვს საქმე და არც ქცევის ობიექტივაციასთან. გარდა ამისა, ქცევა აქ აწმყაში მიმდინარეობს. იგი აქტუალურია, იგი ეხლა ხდება და მომავალზე აქ სრულიად ზედმეტია ლაპარაკი. დასასრულ, ქცევა — წყლის დასხმა, დაღევა — ისე განიცდება, თითქოს იგი თავისით ხდებოდეს; ყოველ შემთხვევაში, სუბიექტი აქ, ჩვეულებრივ, სრულიად არ გრძნობს, რომ ამ ქცევისათვის მას საგანგებო აქტიობის გამოძევადნება სჭირდებოდეს: ქცევის წყაროდ მოთხოვნილებათურო განიცდება, ვიდრე მე-ს აქტიობათ.

ამ გარემოებასთან ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტია დაკავშირებული, რომელიც იმპულსურსა და ნებელობითს ქცევის აქტებს ძირითადად განასხვავებს ურთიერთისაგან. იმპულსური ქცევის შემთხვევაში, როგორც ეს-ეს იყო აღვნიშნეთ, ქცევის ძირითადი წყარო მოთხოვნილებათ: გაჩნდება თუ არა მოთხოვნილება (წყურვილი), სუბიექტი სწორედ შესაფერ ქცევას მიმართავს (მიდის და სვამს წყალს): იმპულსური ქცევა აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით იწყება და მისი დაკმაყოფილების აქტით — მოხმარების აქტით — სრულდება. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნებელობის შემთხვევაში. ნებელობითი ქცევის ზემოდმოყვანილ მაგალითებში დამოკიდებულება აქტუალურ მოთხოვნილებათსა და საბოლოო ქცევას შორის ყველგან სხვაგვარია, ვიდრე იმპულსური ქცევის შემთხვევაში. აქ სუბიექტს ყველგან რაიმე აქტუალური მოთხოვნილება უჩნდება; მაგრამ მისი ქცევა არასდროს ამ მოთხოვნილების იმპულსს არ ემორჩილება — იგი იმას კი არ აკეთებს, რაც უნდა, არამედ რაღაც სხვას: პირველ მაგალითში წოლა უნდა, მაგრამ იგი ღებბა. მეორეში — მას თუთუნის მოწევა უნდა, მაგრამ იგი არ სწევს მას.

ერთი სიტყვით, ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი კი არ არის მოქმედების თუ ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდევ მას.

ამრიგად, ნებელობის ერთი განსაკუთრებით სპეციფიკური ნიშანი კიდევ ის არის, რომ იგი არასდროს აქტუალური იმპულსის რეალიზაციას არ წარმოადგენს, და, მათასადამე, მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას ყოველთვის სხვა წყაროდან სესხულობს. ნებე-

ლობის ეს ნიშანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: შეიძლება ითქვას, რომ ნებელობის პრობლემის ძირი აქ, ამ თავიანთებულ რეაქციაში, მარხია, და ნებელობის ფსიქოლოგიას განსაკუთრებით იმის გამოკვლევა ევალება თუ რომელია ის წყარო, საიდანაც ნებელობა მოქმედების ენერგიას იძენს. ამიტომ ამის შესახებ საგანგებოდ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მანამდე კი საჭიროა ერთი მაინც იქნეს აღნიშნული.

საქმე ისაა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანი სწორედ ისეთ ქცევას მიმართავს ნებისმიერ, რომელსაც მისი აქტუალური მოთხოვნების იმპულსიც ესწრაფის. მაგალ., ადამიანს მოწყურადა. მისი აქტუალური მოთხოვნების იმპულსი მას წყლის დაღვეისაკენ იწვევს. მაგრამ იგი არ ემორჩილება ამ იმპულსს: ფიქრობს, შეიძლება თუ არა ამ პირობებში წყლის დაღვევა. ბოლოს გადაწყვეტს: „ეს წყალი ხომ მინერალური წყალია, და მისი დაღვევა მავნებელი კი არა, სასარგებლოა,“ და იგი სვამს წყალს. როგორც ვხედავთ, აქ თითქოს უთუოდ ნებისმიერ ქცევასთან უნდა გვექონდეს საქმე. მაგრამ, მეორის მხრივ, სუბიექტი ხომ მაინც წყალს სვამს, ე. ი. თავის აქტუალურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს! მაშასადამე, ნებელობისათვის სრულიადაც არ ყოფილა აუცილებელი, რომ იგი აქტუალური მოთხოვნების იმპულსის წინააღმდეგ წარმართებოდეს და საჭირო ენერგიისათვის უთუოდ სხვა წყაროს მიმართავდეს. მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩავუკვირდეთ საქმის ვითარებას, დავრწმუნდებით, რომ ქცევის წარმართველ ძალად არც აქ შეიძლება აქტუალური მოთხოვნის დაღვევა ჩაითვალოს.

მართალია, სუბიექტს წყლის დაღვევა უნდა. მისი აქტუალური მოთხოვნის დაღვევა ესაა, და ერთგვარი ყოყმანის შემდეგ იგი სვამს კიდევ წყალს, ე. ი. აქტუალურ მოთხოვნის დაღვევას იკმაყოფილებს. მაგრამ ნამდვილად წყლის სმის აქტს მის წყურვილი კი არ იწვევს, როგორც მხოლოდ წყურვილი; არა, იგი მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს ამ აქტს — სვამს წყალს — როცა აგონდება, რომ მინერალური წყალი სასარგებლოა. რაჟ ეს არა, წყურვილი წყურვილად დარჩებოდა, და სუბიექტი წყალზე უარს იტყვოდა. ასე რომ: საქმე ის კი არაა, დაღვევს სუბიექტი წყალს თუ არა, როდესაც მას სწყურია; საქმე ისაა, თუ რით არის ეს აქტი გამოწვეული: აქტუალური მოთხოვნების იმპულსით, თუ არააქტუალურით.

ყველა ამის მიხედვით, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ნებელობის აქტის სპეციფიკურ თვისებებზე ვილაპარაკოთ, ე. ი. ისეთ ნიშნებზე, რომლითაც იგი აქტიობის დანარჩენი სახეებისაგან განსხვავდება. ეს ნიშნები შემდეგია: 1) ნებელობის შემთხვევაში აქ-



ტუალური მოთხოვნების იმპულსი არასდროს მოქმედებას არ იწვევს: ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდნობა, 2) ნებელობის შემთხვევაში აქტიობის პროცესში შემავალი მომენტების, მე-ს და ქცევის, ობიექტივაცია ხდება: მე თავის ქცევას უპირისპირდება; 3) ნებისმიერი ქცევა აწმყოში მიმდინარე ქცევა კი არაა, იგი მომავალი ქცევაა: ნებელობა პროსპექტულია, 4) ეს მომავალი ქცევა მე-ს მიერ ითვისწინება წინასწარ და მისი რეალიზაცია სავსებით მე-ზეა დამოკიდებული: ნებელობა მთლიანად მე-ს აქტიობად განიცდება.

2. ნებელობის სხეულებრივი საფუძვლები. ყოველი აქტიობა, ყოველი ქცევა პირველ რიგში სხეულისა და მისი ორგანოების განსაზღვრულ მოძრაობათა სახით გვეძლევა. ეს გარემოება იმდენად თვალსაჩინოა და კანონზომიერი, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური მიმართულება — განსაკუთრებით ბიჰევიორიზმი — ქცევას თავიდან ბოლომდე ჩვენი კუნთური აპარატის ნაწარმოებად სთვლის და მის გასაგებად ამ აპარატის მოქმედების შესწავლით კმაყოფილდება. რასაკვირველია, ჩვენი ქცევა მარტოდ მარტო კუნთურ მოვლენას არ წარმოადგენს: ფსიქიკის დიდი როლი საზოგადოდ ქცევაში და, კერძოდ, ნებისმიერში სრულიად უქვევლია. მაგრამ ასევე უქვევლია ისიც, რომ ბევრს არაფერს აქვს ფსიქიკაში ისე მჭიდრო კავშირი სხეულთან, როგორც ნებისმიერ პროცესებს. ამიტომ ნებელობის ზოგადი სხეულებრივი საფუძვლების განხილვა სრულიად აუცილებელია.

ნებელობის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ საფუძველს, ურომლისოდაც იგი არცერთ ცოცხალ არსებას არ ექნებოდა, დიდი ტვინი წარმოადგენს. როდესაც ჩვენ ნებისმიერ ემოქმედობთ, ქერქის განსაზღვრულ ცენტრში ფიზიოლოგიური იმპულსი იბადება, რომელიც ქვემოთ მდებარე აპარატებს, მოგვძო ტვინისა და ხერხემლის ტვინის გზით მოტორული ნერვსაყენ მიიმართება და მისი საშუალებით კუნთის შეკუმშვას და სათანადო ორგანოს მოძრაობას იწვევს. ეს მოძრაობა ნებისმიერი მოძრაობაა; და იგი არა მარტო იმით განსხვავდება რეფლექსური მოძრაობისაგან, რომ ქერქული წარმოშობისაა, მაშინ როდესაც რეფლექსს უშუალოდ სუბკორტიკალური წარმოშობა აქვს, არამედ სხვა მხრივაც: რეფლექსის შემთხვევაში ფიზიოლოგიური იმპულსი უცვლელი, თანდაყოლილი გზებით ვრცელდება და სავსებით სტერეოტიპული ხასიათის მოძრაობებს იწვევს; ნებელობის შემთხვევაში ასეთ თანდაყოლილ გზებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ: ნებელობის მიმართულებით

სულ ახალახალი სახით მიმდინარეობს და იმის მიხედვით იცვლება, თუ რა მიზანი აქვს სუბიექტს დასახული. ამ მოძრაობაზე მოწვევებიც ცენტრალურ მარცხენა ჰემისფეროს ზონა ითვლება, და გასაგებია, რომ, როდესაც ეს უკანასკნელი ზიანდება, სუბიექტს აზრიანი, მიზანშეწონილი მოქმედების უნარი უქვეითდება. პირველად ჰუგო ლიმპმანის მიერ აღწერილი დაავადება, რომელსაც მან აპრაქსია უწოდა, სწორედ ნებისმიერი ქცევის უნარის დაშლაში იჩენს თავს: სუბიექტს სრულიად არ შეუძლია თუნდ უბრალო განზრახული აქტების შესრულება, მაშინ როდესაც იმპულსურად იგი სულ ადვილად ასრულებს ამავე აქტებს; მაგალითად, იგი ვერ ახერხებს ღილის გახსნას ან შეკვრას, როდესაც ავალეზთ მას ამის გაკეთებას. მაგრამ, როდესაც მას თვითონ სჭირია ღილის გახსნა თუ შეკვრა, როდესაც მას ამისი აქტუალური მოთხოვნა იღებ აქვს, მაშინ ამ აქტის შესრულება მისთვის არაერთაირ სიძნელეს არ წარმოადგენს: აპრაქსია ნებისმიერი ქცევის დაშლაა და, როგორც ვნახეთ, იგი გარკვეული ქერქული ზონის დაზიანებასთანაა დაკავშირებული.

## ნებელობის აქტის შესრულება

1. ნებელობის პერიოდები. ნებელობის შემთხვევების დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ ნებელობა პროცესს წარმოადგენს, რომელსაც სრულიად გარკვეული პერიოდები აქვს. თუ როგორია ეს პერიოდები, ეს ნებელობის სულ უბრალო მაგალითიდანაც ნათლად ჩანს.

ვთქვათ, რომ ამ საღამოს საინტერესო კონცერტია და მძიი მოსმენის დიდი სურვილი მაქვს. მაგრამ არის მოსაზრება, რომელიც ხელს მიშლის, კონცერტს დავესწრო: რაიმე საჩქარო საქმე მაქვს გასაკეთებელი. ვთქვათ, რომ ბოლოსდაბოლოს, სახლში დარჩენა და მუშაობა გადაწყვიტე და ასეც მოვიქციე. უდაოა, ამ შემთხვევაში ნამდვილს ნებისმიერ ქცევასთან გვაქვს საქმე: მე კონცერტზე დასწრება მინდა და ამის ნაცვლად შინ ვრჩები და ვმუშაობ. უეჭველია, რომ, სანამ თვითონ ნებისმიერი ქცევა დაიწყებოდეს, მანამდე უნდა გადაწყვიტოს, რომ სწორედ ეს ქცევა უნდა შესრულდეს; მაგრამ, სანამ გადაწყვეტა მოხდებოდეს, მანამდე სუბიექტმა უნდა მოიფიქროს, თუ რა გადაწყვეტოს, რაღაც მოსაზრებები უნდა გაითვალისწინოს, რომელიც მას გარკვეული გადაწყვეტილების გა-

მოტანაში დაეხმარება. მან უნდა მოიფიქროს, რა სჯობს მისთვის — კონცერტზე წასვლა თუ შინ დარჩენა და მუშაობის გაგრძელება.

მაშასადამე, ნებელობის პროცესი სამ პერიოდს მაინც შეიცავს, 1) გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდს, რომელიც არკვევს, თუ რა მოსაზრებით რა უნდა გადაწყდეს; 2) თვითონ გადაწყვეტილების პერიოდს და, ბოლოს, 3) გადაწყვეტილების შესრულების პერიოდს.

ნებელობის სრული ფსიქოლოგია ვალდებულაა, სამივე ეს პერიოდი შეისწავლოს. მაგრამ, უეჭველია, რომ სამივეს ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს და ნებელობის სპეციფიკური თავისებურება განსაკუთრებით, ალბათ, ერთერთს მათგანში უნდა ვლანდებოდეს. რომელი ამ პერიოდთაგანი უნდა ჩაითვალოს სპეციფიკურად ნებელობისათვის?

საინტერესოა, რომ ამ სამი პერიოდიდან მხოლოდ ერთის შესახებ, სახელობარ, შესრულების პერიოდის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ იგი აქტიობის სხვა სახეობათა შემთხვევებშიც გვხვდება: შესრულების პერიოდში თვითონ მოქმედება, თუთონ ქცევა გვეძლევა, და ქცევასთან ხომ აქტიობის ყველა სხვა შემთხვევაშიც გვაქვს საქმე. სამაგიეროდ, დანარჩენი ორი პერიოდი, რომელიც არსებითად ერთიდაიმავე აქტის, გადაწყვეტის აქტის, მომენტებს წარმოადგენს, მხოლოდ ნებელობის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ საღმე იჩენს ნებელობის სპეციფიკური თავისებურება თავს, უთუოდ აქ უნდა იჩენდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ჩვეულებრივი, ყოველდღიური, არამეცნიერული დაკვირვების მიხედვით, თითქოს ნებელობის არსი სწორედ შესრულების მომენტში უნდა იყოს საძებარა. დავიწყოთ ამიტომ ნებელობის პროცესის პერიოდთა შესწავლა მისი უკანასკნელი პერიოდით.

2. ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობა. გადაწყვეტის აქტს შემდეგ გადაწყვეტილების რეალიზაცია იწყება: რაც გადაწყდა, უნდა შესრულდეს, რომ ჩაუტყვირდეთ ნებისმიერი ქცევის შემთხვევებს, ყველგან ერთსადაიმავე ვნახავთ: არცერთი მათგანი არცერთს ისეთ მოქმედებას ან ცალკე მოძრაობას არ შეიცავს, რომ მისი შესრულება თავისთავად რაიმე სპეციფიკურ სიძნელეს წარმოადგენდეს, და ნებელობა სწორედ ამ სიძნელის გადალახვაში იჩენდეს თავს. რასაკვირველია, არის ისეთი შემთხვევებაც, რომ აღამიანი რაიმე ტექნიკურად ძნელად შესასრულებელი საქმის გაკეთებას გადაწყვეტს; მაგრამ ეს სრულიადაც არ არის, მაინცდამაინც, ნებელობისათვის სპეციფიკური: ტექნიკურად ძნელად შესასრულებელ აქტებს, შესაძლოა იმპულსური ქცევაც შეიცავდეს. მაშასადამე, უსა-

ფუძვლო იქნებოდა გვეთქვა, რომ ნებისმიერი ქცევის სპეციფიკუმი მისი შესრულების სიძნელეში მდგომარეობს. ეს იმდენად უეპქველია, რომ, პირიქით, სადაც შესასრულებელი მოქმედების გადაულახავ სიძნელეებთან გვაქვს საქმე, იქ არც კი ვლაპარაკობთ ნებელობის შესახებ. თუ ჩვენთვის რამე ძალიან ძნელი შესასრულებელია ანდა სრულიად შეუსრულებელი, მაშინ ჩვენ კი არ გვნებავს ეს, არამედ გვსურს ან გეწადია (Желание, Wunsch) ნებელობა მხოლოდ იმას ეხება, რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. ხოლო რაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ის ნებელობის საგანს არასდროს არ შეადგენს. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ქცევა ისეთია, რომ ყოველთვის შესაძლოა, იგი აქტუალური მოთხოვნის იმპულსითაც იქნეს გამოწვეული: თვითონ ქცევის შინაარსს და აგებულებას არაფერში არ ეტყობა, ნებისმიერია იგი თუ იმპულსური. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ნამდვილს ნებისმიერ ქცევას ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი განცდა, რომ ამის გაკეთება შეგიძლია, რომ ამის შესრულება ჩვენს ხელთაა. ეს განცდა ძალიან დამახასიათებელია ნებელობის პროცესისათვის, და მასზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებოდით.

მაშ, შეგვიძლია დავასკვნათ: ნებისმიერი ქცევისათვის არავითარ შემთხვევაში არაა შესრულების სიძნელე დამახასიათებელი: ნებელობა რაიმე რთულის, ძნელად განსახორციელებელი მოძრაობების კომპლექსს როდი შეიცავს. ამ მხრივ იმპულსურსა და ნებისმიერ ქცევას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

რომ ავიღოთ ეხლა თვითონ მიმდინარეობა იმპულსურისა და ნებისმიერი ქცევისა, ჩვენ ვნახავთ, რომ რაიმე პრინციპული მნიშვნელობის განსხვავება მათ შორის არც აქ დასტურდება. როგორც ვიცით, რა გინდ რთულიც უნდა იყოს იმპულსური ქცევა, იგი თითქოს თავისით ხდება, თავისით მიდის წინ: მას აქტუალური სიტუაცია წარმართავს, და არსად სუბიექტის საგანგებო ჩარევა საჭირო არ ხდება. მაგრამ სწორედ ამიტომ შესაძლებელია, იმპულსური ქცევა რაიმე ახლად წამოჭრილი მოთხოვნის იმპულსით თავიდან აღებულ გზას ასცდეს და სულ ახალი მიმართულება მიიღოს. რასაკვირველია, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. პირიქით, უფრო ხშირად იმპულსური ქცევა თავიდან ბოლომდე ერთს დაურღვეველ მთლიანობას წარმოადგენს და ერთს მიზანს ემსახურება. ეს იმიტომ ხდება, რომ აქტუალური მოთხოვნის იმპულსი, რომელიც ამ ქცევას დაედო საფუძვლად, უფრო ძლიერია, ვიდრე გზაში შემთხვევით წამოჭრილი, ახალი იმპულსები. მაგრამ იქ, სადაც

ეს ასე არაა, იქ იმპულსური ქცევა ხშირად ცვლის თავის მიმართულებას და ერთი დასრულებული მთლიანი ქცევის სახით ვეღარ გვეძღვევა.

სულ სხვაა ნებისმიერი ქცევა. მისთვის დასრულებულობა და მთლიანობა შემთხვევითი გარემოება კი არ არის; არა, მისთვის ეს სპეციფიკური თავისებურებაა. იქ, სადაც ქცევას მთლიანობა არღვევა, სადაც იგი არჩეული მიზნისაკენ მიმავალ გზას სცდება და სხვაგან მიიმართება, აქ ნებისმიერ ქცევასთან აღარ გვაქვს საქმე. ნებისმიერი ქცევისათვის სწორედ ესაა დამახასიათებელი: რაგინდ რთულაც უნდა იყოს იგი, ნებისმიერი ქცევა თავიდან ბოლომდე მოწესრიგებული ქცევაა. მისი ცალკეული ნაწილები, ცალკე მოქმედებები ძირითად მიზანს ემსახურებიან და ამდენად ერთს მთლიან ქცევას შეადგენენ, რომელშიც თითოეულს გარკვეული ადგილი უკავია.

ნებელობის ეს თავისებურება განსაკუთრებით მკაფიოდ გეგმიანი ქცევის შემთხვევებში ვლინდება. გეგმიანი ქცევა ერთი მთლიანი, მაგრამ რთული ქცევაა: დასახულია ძირითადი მიზანი, გარკვეულია საშუალებები, რომლის დახმარებითაც ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული; და ეს საშუალებები, ცალკეული მოქმედებები, ერთი მეორეს ამზადებენ, ერთი მეორეს პირობას წარმოადგენენ, ერთი მეორეს ექვემდებარებიან, ურთიერთთან ერთგვარ პიერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან და, ამრიგად, ერთს რთულს სტრუქტურულ მთლიანად ერთიანდებიან, და აი, საკითხი სწორედ ესაა: როგორ აიგება ეს სტრუქტურა? როგორ აღწევს ნებელობა იმას, რომ ჩვენი ქცევა ხშირად მოქმედებათა ეგოდენ რთული პიერარქიული სისტემის სახეს ღებულობს? საკირო ხდება, ყოველი ცალკეული ნაწილობრივი მოქმედების, ყოველი ცალკეული ნაბიჯის წინასწარ გათვალისწინება, მისი აქტიურად გამოხატვა თუ არა? საკირო ხდება ქცევის მიმდინარეობაში მუდამ ჩარევა და მისთვის მიზანშეწონილი მიმდინარეობის მიცემა, თუ ნებისმიერი ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობა სუბიექტის ასეთი განუწყვეტილი ჩარევის გარეშეც ხდება?

ნებელობის ფსიქოლოგიაში ერთერთს ურყევს, ექსპერიმენტულად დასაბუთებულ ფაქტს ნებისმიერი ქცევის მოწესრიგებული მიზანშეწონილება შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, მაგალ., სახლში დარჩენას და მუშაობას კი არა, არამედ, ვთქვათ კონცერტზე წასვლას, ეს გადაწყვეტილება საკმარისია, რათა მან საგანგებო მოფიქრების

გარეშეც სწორედ შესაფერის მოქმედებათა მთელ რიგს მიმართოს: ადგეს, შესაფერად ჩაიცვას და დაიბუროს, საკონცერტო და რაბაზის მიმართულებით წავიდეს; გზაში რომ რაიმე დაბრკოლება შეხვდეს, იგი მაინც თავისი მიზნის შესაფერისად განაგრძობს მოქმედებას. ერთი სიტყვით, როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, შემდგომი მისი მოქმედება ძალდაუტანებლად, თითქოს თავისით სწორედ ამ გადაწყვეტილების შესაფერისად მიმდინარეობს; ადამიანს არ სჭირია ყოველი ნაბიჯი წინასწარ მოაფიქროს, ყოველი თავისი მოქმედება მისი მიზანშეწონილობის მხრივ ყოველთვის საგანგებოდ შეაფასოს. არა, მას სწორედ მიზანშეწონილი ქცევას ტენდენციები უჩნდება, სწორედ იმის ტენდენცია, რაც საჭიროა.

ლევინი ამ ფაქტს ასე აღწერდა: როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, მაგალითად, კონცერტზე წასვლას, მაშინ ყველაფერი, რაც ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ეხება — სათანადო ტანსაცმელი, გზა, სხვა შესაძლო საშუალებები — ყველაფერი ეს სუბიექტზე საგანგებო ზემოქმედების ძალას იძენს, იგი იზიდავს მას და შესაფერისი მოქმედებისაკენ იწვევს („Aufforderungscharakter“)

ამრიგად, ნებისმიერ ქცევას მოწვესრიგებული მიზანშეწონილება ახასიათებს. მაგრამ ეს მოწვესრიგებულობა სრულიად არ გულისხმობს ყოველ ნაბიჯზე სუბიექტის საქმეში აქტიურ ჩარევას, საშუალებებს ცნობიერად ძებნას და გამონახვას. საკმარისია, გადაწყვეტილების აქტი მოხდეს, რომ ამის შემდეგ საქმე თითქოს თავისით წავიდეს წინ. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ქცევის, ე. ი. გადაწყვეტილის, განზრახული ქცევის მიმდინარეობა ისეთივეა, როგორც იმპულსური ქცევის მიმდინარეობა: ვიდრე ქცევის სისრულეში მოყვანის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, იგი ისევე მიმდინარეობს, როგორც იმპულსური ქცევის შემთხვევაში.

მაგრამ ეს, ექსპერიმენტულადაც დადასტურებული, ფაქტი თითქოს ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენს ყოველდღიურ დაკვირვებას. მართლაცდა, ვინ არ იცის, რომ სიძნელე გადაწყვეტაში კი არა, რასაც გადაწყვეტ, მის შესრულებაშია! ვინ არ იცის, რომ თუთუნის წვევა მავნებელია! რამდენჯერ გადაგვიწყვეტია მისი თავის დანებება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულება ვერ მოგვიხერხებია! თითქოს მართლაც უღაოა, რომ სიძნელე სწორედ შესრულებაშია, და გადაწყვეტა სრულიადაც არ იძლევა შესრულების გარანტიას. მაგრამ ცოტა უკეთ რომ ჩაუუკვირდეთ საქმის ვითარებას, დავრწმუნდებით, რომ ეს ჩვენი. ყოველდღიურ დაკვირვებაზე აღმოცენებუ-

ლი, აზრი მცდარია. საქმე ისაა, რომ, როდესაც რასმე გადაწყვეტთ, კიდევ ვასრულებთ მას, სანამ ეს გადაწყვეტილება ძალაში რჩება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხშირად გადაწყვეტილება იცვლება; მის ნაცვლად რისამე ზეგავლენით, რაიმე ახალი იმპულსი იწყებს მოქმედებას, ან ახალი გადაწყვეტილება ჩნდება. ცხადია, ახლა უკვე ზედმეტია იმის შესრულებაზე ლაპარაკი, რაც წინათ იყო გადაწყვეტილი; და გასაგებია, რომ ის კი არა, ახალი გადაწყვეტილება სრულდება.

ამრიგად, სანამ გადაწყვეტილება ძალაშია, შესრულება არავითარ საგანგებო სიძნელეს არ წარმოადგენს: ნებისმიერი ქცევის ბოლო პერიოდი, შესრულება, მიუხედავად მისი სტრუქტურული სირთულისა, ჰიერარქიული სისტემატურობისა, თითქოს ავტომატურად მიმდინარეობს.

**3. დეტერმინაციის ტენდენციის და კვაზი:მოთხოვნილების თეორიები.** დავას იწვევს მხოლოდ შემდეგი: რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? როგორ ახერხებს გადაწყვეტილება, რომ მისი შესრულების პერიოდში, ჩვეულებრივ, ის იჩენს ძალდაუტანებლად თავს, რაც დასახული მიზნის მიღწევას უწყობს ხელს? თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ამ საკითხის გადაწყვეტის ორი განსხვავებული ცდაა ცნობილი. პირველს ამ მიზნით ე. წ. დეტერმინაციის ტენდენციის ცნება შემოაქვს, მეორეს — ე. წ. კვაზიმოთხოვნილების ცნება.

დეტერმინაციის ტენდენციის თეორიის აზრი ასეთია: როდესაც სუბიექტი თავისი ქცევის მიზანს წარმოიდგენს და მის განხორციელებას გადაწყვეტს, ეს მიზნის წარმოდგენა ისე იწყებს სხვა ფსიქიკურ შინაარსებზე მოქმედებას, რომ ისინი მისდა შესაფერის მიმართულებას ღებულობენ. ასე ხდება, რომ ნებელობის 'შემთხვევაში' ქცევა მოწესრიგებულად მიმდინარეობს: მას მიზნის წარმოდგენიდან გამომდინარე დეტერმინაციის ტენდენცია წარმართავს. მაშასადამე, იგულისხმება, რომ მიზნის წარმოდგენას თავის თავად აქვს უნარი, სუბიექტის ქცევაზე ისე იმოქმედოს, რომ იგი თავისდა შესატყვისად ამოქმედოს, მაგრამ ისე, რომ თვითონ სუბიექტს, როგორც მთელს, აქ არავითარი მონაწილეობის მიღება არ სჭიროდეს.

როგორც ვხედავთ, დეტერმინაციის ტენდენციის თეორია ტელეოლოგიურიცაა ერთდროულად და მექანიკურიც. ტელეოლოგიური იგი იმიტომ, რომ მიზნის წარმოდგენიდან გამომდინარე ტენდენციის არსებობას სცნობს. მაშასადამე, ამ მოძღვრების მიხედვით.

ქცევის უშუალოდ განმსაზღვრელ ძალას მიზნის წარმოდგენა შეადგენს. მექანიკური ეს მოძღვრება იმიტომ, რომ მისი მიხედვით, მიზნის წარმოდგენა სუბიექტის ფსიქიკურ შინაარსზე და მის ქცევაზე თვითონ მოქმედობს უშუალოდ და, მაშასადამე, სუბიექტის აქტიობას ზედმეტად ხლის.

ლ ე ვ ი ნ ი ს მიხედვით, რომელიც მეორე თეორიის წარმომადგენელია, ქცევა შედეგია იმ ენერჯიის განტვირთვისა, რომლის წყაროააც ჩვენი მოთხოვნილებები წარმოადგენენ. ნებელობის შემთხვევაში ჩვენ ისეთ ქცევასთან გვაქვს საქმე, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილებების ენერჯიის აუზს როლი ემყარება უშუალოდ, არამედ სრულიად განსხვავებული მოთხოვნილებების, ე. წ. „კ ვ ა ზ ი-მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა ს“ („ვითომდა მოთხოვნილებებისას“). როდესაც ადამიანი რასმე გადასწყვეტს, მაგალითად, წერილი გაუგზავნოს ნაცნობს, ეს გადაწყვეტილება ერთგვარ დაძაბულობას ქმნის მასში, რაც სათანადო ქცევის სახით განტვირთვას ესწრაფის: მას წერილის მიწერის მოთხოვნილება უჩნდება. რადგანაც ეს მოთხოვნილება ბუნებრივი მოთხოვნილება არაა, მაგრამ ამავე დროს ბევრის მხრივ ჰგავს მას, ლ ე ვ ი ნ ი მას „კვაზი-მოთხოვნილებას“ უწოდებს.

მაშ ასე: გადაწყვეტილება, ანდა უკეთ, განზრახვა ადამიანში გარკვეული მოქმედების შესრულების მოთხოვნილებას, კვაზი-მოთხოვნილებას, ქმნის. ეს ახალი მოთხოვნილება გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს — იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან აქვთ კავშირი — თავისებურ ძალას ანიჭებს, სუბიექტი გარკვეული მოქმედებისაკენ წარმართონ. მაგალ., მაგადა, ქალაღი და საწერკალაღი თითქოს მოუწოდებენ სუბიექტს, დაჯდეს და წერილი დასწეროს; კონვერტი — წერილი შიგ ჩასდოს და დაბეჭდოს; ფოსტის ყუთი — წერილი ჰიბიდან ამოიღოს და მასში ჩააგდოს. როგორც ვხედავთ, საკმარისია სუბიექტმა რამე, მაგალ., წერილის მიწერა გადაწყვიტოს და, მაშასადამე, ერთგვარი კვაზი-მოთხოვნილება გაიჩინოს, რომ შემდგომი მისი ქცევა სავსებით მოწესრიგებულად და მიზანშეწონილად წარიმართოს. ასეთი ძალა აქვს, ლ ე ვ ი ნ ი ს მიხედვით, კვაზი-მოთხოვნილებას. ლ ე ვ ი ნ ი ს კვაზი-მოთხოვნილების თეორია ზუსტი აღწერა უფროა ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობისა, ვიდრე მისი ნამდვილი ახსნა. მართლაც და, ლ ე ვ ი ნ ი მხოლოდ ადასტურებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ადამიანი ისე იწყებს მოქმედებას, თითქოს ამ უკანასკნელს ნამდვილი მოთხოვნილება ედოს სა-



ფუძვლად. მაგრამ, რადგანაც ფაქტიურად აქ ნამდვილი მოთხოვნების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება, ავტორს კვ აზ ი-მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა შემოაქვს. ამის მეტს ეს ცნება არაფერს იძლევა: იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ხდის გასაგებად ქცევის მიზანშეწონილ ხასიათს. ლ ე ვ ი ნ ი ს მიხედვით, გადაწყვეტილება ერთგვარ დაძაბულობას ქმნის, და ამასაა რომ ავტორი კვ აზ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს უწოდებს. აქედან მხოლოდ იმის ახსნა თუ შეიძლება, თუ რატომაა, რომ გადაწყვეტილების გამორტანის შემდეგ მისი შესრულების ტენდენცია ჩნდება. ხოლო რატომაა, რომ შესრულების პროცესს მოწესრიგებული მიზანშეწონილება ახასიათებს — და ისიც სუბიექტის განუწყვეტელი ცნობიერი კონტროლის გარეშე — ამის შესახებ მართო მოთხოვნის ცნება ვერაფერს გვეტყვის.

4. განწყობა როგორც შესრულების საფუძველი. როდესაც იმპულსური ქცევის შესახებ გვექონდა საუბარი, ჩვენ დავრწმუნდით, რომ მისი მიმდინარეობის ხასიათი საკმაოდ ადვილი გასაგები გახდებოდა, თუ ვიგულისხმებდით, რომ მას, იმპულსურ ქცევას, განწყობა უდევს საფუძვლად. ეს დებულება თავისთავად სწყვეტს იმ საკითხებსაც, რომელიც ამჟამად დგას ჩვენს წინაშე, იმიტომ რომ, თუ ნებისმიერა ქცევაც ისე მიმდინარეობს, როგორც იმპულსური, რა გვიშლის ხელს, აქაც განწყობის შესახებ ვილაპარაკოთ!

მართლაცა, სანამ საბოლოოდ რისამე გაკეთებას გადავწყვეტდეთ, მანამდე მისი შესრულება ხშირად ძალიან ძნელ საქმედ მიგვაჩნია. მაგალ., სანამ რაიმე ჩვეულების, ვთქვათ, თუთუნის თავის დანებებას გადავწყვეტდეთ, მანამდე ამ ჩვეულების დათმობა, თუთუნის მოუწევლობა, არაჩვეულებრივ ძნელი ასატანი არის ხოლმე ჩვენთვის თუ თუთუნი გამოგველია და იძულებული შევიქვებით, თავი შევიკავოთ, ამას ძალიან მტკივნეულად განვიცდით, ძალიან გვიჭირს მოთმენა. მაგრამ საკმარისია გადავწყვეტოთ, მართლა ავიღოთ ხელი ამ ჩვეულებაზე, საზოგადოდ აღარ მოვწიოთ თუთუნი, რათა მაშინვე შევამჩნიოთ, რომ ეს მოთხოვნილება თითქოს ერთგვარად დაქვეითდა, და მისი დაუქმყოფილებლობა თითქოს ისე აუტანელი აღარაა, როგორც წინათ იყო, სანამ თავის დანებებას გადავწყვეტდით. ის განცდა, რომ ამის შესრულება ჩვენთვის შეუძლებელი არაა, რომ ამის შესასრულებლად ძალა შეგვწევს. ეს ძალდების (Крепость) განცდა სწორედ ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

რა მოხდა? საიდან მოდის ეს ცვლილება? პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: გადაწყვეტილების შემდეგ სუბიექტი გადახალისდა. იგი ის აღარ არის, რაც იყო თუთუნის წევის მიმართ. ეხლა იგი იმ მხრივ შეიცვალა, რომ თუთუნმა მისთვის მიძზიდველობის ძალა დაკარგა, და მაშასადამე, უთუთუნობა მას ნაკლებ აწუხებს. როდესაც მას თუთუნის მოთხოვნილება ჰქონდა და თუთუნს ამ თვალთ უღგებოდა, ეს უკანასკნელი მასში ერთგვარ ეფექტს იწვევდა, რომელიც თუთუნის მოწვევისადმი განწყობის სახით უნდა წარმოვიდგინოთ. ასეთი განწყობის ნიადაგზე, როგორც ვიცით, იმპულსური ქცევა აივება. მაგრამ ახლა, თავის დანებების გადაწყვეტის შემთხვევაში, სუბიექტის მოთხოვნილება, რომლითაც იგი თუთუნს უღგება, შეცვლილია: მას უნდა — აღარ მოწიოს თუთუნი. მაშასადამე, განწყობის სუბიექტური ფაქტორი შეიცვალა; და როდესაც ახლა სუბიექტი თუთუნს ხედავს, გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი მასში შესატყვის განწყობას, მოუწველობის განწყობას იწვევს. ამის შედეგი ისაა, რომ სუბიექტს თავის შეკავება აღარ უჭირს; იგი გრძნობს, რომ მას თავის შეკავების ძალა შესწევს; და შემდგომი მისი ქცევა ამ განწყობის შესატყვისად მიმდინარეობს: იგი მიზანშეწონილიც ხდება და — რამდენადაც მას მთელ თავის მიმდინარეობაში საფუძვლად ერთი გარკვეული განწყობა აქვს — მოწესრიგებულის.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გადაწყვეტილებას შესრულების პროცესს განწყობა უღევს საფუძვლად, და ესაა, რომ მის შედარებითს გაიოლებას, თითქოს ავტომატურ მიმდინარეობასა და მაინც მოწესრიგებულ მიზანშეწონილებას ხდის გასაგებად.

მაგრამ განწყობა იმპულსური ქცევის შემთხვევაშიც ამავე როლს ასრულებს. რაღა განსხვავებაა მაშინ იმპულსურსა და ნებისმიერ ქცევას შორის? როგორც ჩანს, ეს განსხვავება ნებისმიერი ქცევის შესრულების პერიოდში არ უნდა ვეძიოთ.

## გადაწყვეტილების აქტი

1. ნებელობის განცდის ფენომენოლოგია. გადაწყვეტის აქტს განსაკუთრებული ადგილი უკავია ნებელობითს პროცესში. ნებელობის ექსპერიმენტულმა ფსიქოლოგიამ, რომელიც პირველ რიგში ნებელობის სპეციფიკურობის საკითხით იყო დაინტერესებული — საკითხით, წარმოადგენს თუ არა ნებელობა სპეციფიკურს, სხვა ფსიქიკურ შინაარსზე დაუყვანადს განცდას — ის თავისებური ნებელობითი პროცესი, რომელსაც იგი ეძებდა, სწორედ აქ, გადაწყვეტის

აქტში, აღმოაჩინა. მაშასადამე, გადაწყვეტის აქტის შესწავლა სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

ენერგიული გადაწყვეტილება ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში „პირველადი ნებელობის აქტის“ სახელწოდებითაა ცნობილი. როგორც გამოიჩვენა, იგი შემდეგ ფსიქოლოგიურ სურათს წარმოადგენს: 1) გადაწყვეტის აქტის დროს სუბიექტი საკმაოდ გამოკვეთილ კუნთურ დაძაბულობას გრძნობს სხეულის ამა თუ იმ ნაწილში: მას გარკვეული დაძაბულობის შეგრძნებები უჩნდება (ახი ამას ნებელობის თვალსაჩინოებითს მომენტს უწოდებს); 2) გარდა ამისა, მას ნათელი წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა უნდა ქნას, რა უნდა გააკეთოს, და საგულისხმოა, რომ ეს მომავალი მოქმედება სრულიად გარკვევით, როგორც საკუთარი მომავალი მოქმედება განიცდება (საგნობრივი მომენტი); 3) ამავე დროს სუბიექტი ყოველთვის ადასტურებს გადაწყვეტის მომენტში ერთი სპეციფიკური განცდის აღმოცენებას, რომელიც შეიძლება მხოლოდ ანაირად გამოითქვას „მე მიინდა“... „ეხლა მე ნამდვილად მიინდა“ (აქტუალური მომენტი). როგორ უნდა გავიგოთ ეს განცდა? იგი არაა უბრალო დადასტურება, უბრალო შემეცნება თუ გაგება, უბრალო დამოწმება იმისა, რომ სუბიექტს აქამდე არ უნდოდა და იეხლა უკვე უნდა. არა! იგი ნამდვილი აქტია, ნამდვილი განცდა: მომავალი მოქმედება, რომელიც უნდა მოხდეს, უნდა განახორციელოს „მე“-მ, რომელსაც ეს „უნდა“. ეს „მე მიინდა“ ის აქტუალური ფაქტორია, რომელიც წარმართავს მომავალ მოქმედებას: მასში განიცდება, რომ სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, რომ ყოველი სხვაგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია: იგი განცდილი აქტიობაა და მისი აღწერა, როგორც ამბობს მიშოტი, შეუძლებელია; 4) გარდა ამისა, გადაწყვეტის მომენტში სუბიექტი ერთგვარ ძალისხმევასაც გრძნობს, რომელიც, როგორც გამოიჩვენა, მით უფრო დიდია, რაც უფრო ძლიერია ნებელობის კონცენტრაცია (მდგომარეობითი მომენტი).

ნამდვილი გადაწყვეტის აქტის დროს ცნობიერებაში ეს ოთხი ფაქტორი თუ მომენტი იჩენს თავს და ოთხივე ერთად იმ სპეციფიკურს მთლიან განცდას ქმნის. რომელსაც ამ აქტის დროს აქვს ხოლმე ადგილი და რომელსაც თათოველი ჩვენგანი იცნობს. ამ მომენტებიდან მხოლოდ ერთს აქვს სპეციფიკური ნებელობითი მნიშვნელობა: აქტუალური მომენტი, განცდილი აქტიობა, ს

„მე მინდა“-ს განცდას. სადაც არაა ეს უკანასკნელი, იქ არც ნებელობაზე შეიძლება ლაპარაკი.

დანარჩენ მომენტებს სპეციფიკური ნებელობითი მნიშვნელობა სრულიად არა აქვთ. მართალია, ჩვეულებრივ, ისინი თან ახლავან ენერგიული ნებელობის აქტს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ნებელობის არსებობის მომენტებად უნდა იქნენ ცნობილნი. ჩვეულებრივ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, თითქოს ნებელობისათვის სწორედ დაძაბულობისა და ძალისხმევის მომენტები უნდა იყვნენ დამახასიათებელნი, მაგრამ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები სრულიად არ ამართლებენ ამ ჩვენს რწმენას. პირიქით, აღმოჩნდა, რომ არც დაძაბულობას აქვს ნებელობისათვის არსებითი მნიშვნელობა და არც ძალისხმევას. ინგლისელი ფსიქოლოგიის, ე ვ ე ლ ი ნ გ ი ს, გალვანომეტრული ცდების შედეგ ობიექტურადაც დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ნებელობა და ძალისხმევა, მართალია, ერთად გვხვდება, მაგრამ არსებითად სულ სხვადასხვა მოვლენას წარმოადგენენ. ე ვ ე ლ ი ნ გ მ ა აღმოაჩინა, რომ ნებელობის აქტის შემთხვევაში — თუნდ ძლიერ ენერგიულიაშიც — გალვანომეტრი ვერავითარ ძალისხმევას ვერ ადასტურებს; ამავე დროს იგივე გალვანომეტრი ძალისხმევის თვალსაჩინო მაჩვენებლებს იძლევა, რა წამს საქმე ნებელობის კი არა, შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს პროცესს ეხება. ეს ობიექტური მონაცემი სავსებით ამართლებს ზემოდ აღნიშნულ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, როგორც დავინახეთ, არც თვალსაჩინოებითი მომენტი არსებითი ნებელობისათვის და არც მდგომარეობითი მომენტი, ე. ი. არც დაძაბულობა და არც ძალისხმევა. ნებელობა თავისთავად აბსოლუტურად უძალისხმევია. მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს, ზოგჯერ არაჩვეულებრივ ინტენსიური ძალისხმევა გამოიწვიოს.

ამის შემდეგ გასაგები ხდება ისიც, რომ დაძაბულობისა და ძალისხმევის საკმაოდ მაღალ დონესთან იმპულსური ქცევის შემთხვევებშიც შეიძლება გვქონდეს საქმე. კუნთური დაძაბულობა და ძალისხმევა პირველ რიგში მოძრაობათა შესრულებასთანაა დაკავშირებული, რომელნიც ქცევის მოტორულ შინაარსს შეადგენენ. ამიტომ იგი ყველგან შეიძლება შეგვხვდეს, სადაც განსაკუთრებით მოტორულ ქცევას აქვს ადგილი: იმპულსური ქცევის შემთხვევაშიც და ნებისმიერშიც. განსხვავება აქ მხოლოდ ის იქნება, რომ პირველ შემთხვევაში სუბიექტი აქტუალური მოთხოვნალების იმპულსის ზეგავლენით ხდება იძულებული, ძალისხმევას მიმართოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ნებელობის აქტის ზეგავლენით .

ამრიგად, ნებელობის აქტი ასე შეიძლება დახასიათდეს: როდესაც აღამიანს გადასაწყვეტი აქვს რამე, დგება მომენტი, როცა იგი ერთბაშად გრძნობს, რომ აი, ეხლა მას ეს უკვე „ნამდვილად უნდა“: ჩნდება „თვითაქტიობის“ განცდა, რომელშიც ეხლავეა მოცემული ის, რაც მხოლოდ მომავალში უნდა მოხდეს და უნდა მოხდეს სწორედ ის, რაც „მე ნამდვილად მინდა“. ნებელობის აქტში, მაშასადამე. სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება განიცდება: იგი განცდილი, მე-დან გამომდინარე აქტიობაა, რომელშიც სუბიექტის პოზიცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ. აღსანიშნავია განსაკუთრებით, რომ თვითონ ეს აქტი, როგორც ასეთი, აბსოლუტურად თავისუფალია ყოველგვარი ძალის ხმევის მომენტისაგან: მიუხედავად ამისა, იგი სწორედ მე-ს აქტად განიცდება, აქტად, რომელიც მართო მე-ზეა დამოკიდებული.

ნებელობის აქტის აღწერის სისრულისათვის საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ ხდება იგი და რა გავლენას ახდენს სუბიექტზე. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ სანამ გადაწყვეტის აქტი მოხდებოდეს, სუბიექტი ერთგვარ უმწეობას, ყოყმანს, აგზნებულობას განიცდის. გადაწყვეტის აქტი თანდათანობით როდი მწიფდება და მზადდება: იგი ერთბაშად ხდება, თითქოს მოულოდნელად და მოუმზადებლად. შედეგი ისაა, რომ წინანდელი უმწეობისა და გაურკვეველობის გრძნობა ქრება, და მის ნაცვლად საბოლოოდ გარკვეულობის, სიმყარისა და დამშვიდებულობის განცდა ჩნდება. რომ მართლა ამგვარია გადაწყვეტის აქტის განცდა, ეს თვითონ სახელწოდებიდანაც ჩანს: სიტყვა — გადაწყვეტა — იმაზე მიუთითებს, რომ ის წინარე მდგომარეობას სწყვეტს და სრულიად ახალს იწყებს, რომელსაც ძველი მდგომარეობის აღარაფერი აქვს შერჩენილი.

2. გადაწყვეტა განწყობის შეცვლის განცდაა. ნებელობის აქტის აღწერიდან ნათლად ჩანს, თუ რას უნდა წარმოადგენდეს იგი არსებითად. თუ ეს აქტი იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტი ერთბაშად გრძნობს, რომ მას მართლა და საბოლოოდ უნდა გარკვეული აქტის ჩადენა, რომ ეს უკანასკნელი მისი აქტია, სავსებით მისი მე-დან გამომდინარე, რომ ეხლა მის განხორციელებას არაფერი გადაეღობება წინ, ცხადია, ნებელობის აქტი ისეთს ცვლილებაზე მიუთითებს, რომელიც სუბიექტს, როგორც მთელს, ეხება და მის მომავალ ქცევას განსაზღვრავს. მისი ერთბაშად აღმოცენება, მისი მთლიან-პიროვნული ხასიათი, მასში მოცემული განცდა, რომ მომავალი ქცევა გარკვეულია, რომ იგი უთუოდ შესრულდება, და ამა-

ვე დროს ის გარემოება, რომ ამ აქტს ძალისხმევა არ ახასიათებს, ნათლად ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის განწყობის შეცვლასთან გვაქვს საქმე. ნებელობის აქტში სუბიექტის განწყობის გადახალისება გვეძლევა, და ყველა ის განცდა, რომელსაც სუბიექტის ცნობიერებაში აქვს ადგილი, განწყობის შეცვლის ანარეკლს წარმოადგენს.

ამრიგად, ნებელობის აქტი, რომელიც ფენომენოლოგიურად აქტიობის ცნობიერებაში, განცდილ აქტიობაში „მე ნამდვილად მიიღე“ -ს განცდაში იჩენს თავს, სუბიექტის განწყობის შეცვლაზე მიუთითებს: სუბიექტს სწორედ იმ ქცევის განწყობა უჩნდება, რომლის მიმართაც ის „მე მიიღე“-ს განიცდის და რომლის რეალიზაციაც მისი შემდგომი მოქმედების შინაარსს წარმოადგენს.

მაშასადამე, ეხლა ნათელი ხდება, თუ საიდან ჩნდება ის განწყობა, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძვლად და წარმართველად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, ეს ის განწყობაა, რომლის აღმოცენების ფაქტიც გადაწყვეტის აქტის განცდებში პოულობს თავის ანარეკლს და რომლის შექმნაც ჩვენი ნებელობის საქმედ განიცდება.

## ნებელობის სიმბოციის საკითხი

1. ნებელობის სიმბოციის საფუძველი. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადასტურებულად ითვლება, რომ, რაგინდ მტკიცეც უნდა იყოს გადაწყვეტილების აქტი, შესაძლოა, განსაზღვრულს პირობებში იგი ვერ განხორციელდეს. არ არის საკმარისი, უტყუარი ნებელობის აქტი მოხდეს — ე. ი. მომავალი ქცევის განწყობა შეიქმნეს — რათა თვითონ ქცევის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იქნეს. ძალიან ხშირია შემთხვევები, რომ ადამიანი რასმე გადასწყვეტს — გადასწყვეტს სერიოზულად — მაგალ., ხელი აიღოს რაიმე ჩვეულებაზე, ვთქვათ, აღარ მოსწიოს თუთუნის, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ვერ ასრულებს. ჩვეულებრივ ეს იმიტომ ხდება, რომ გადაწყვეტილების შესრულებას დაბრკოლებათა მთელი რიგი ეღობება წინ, და მათ გადასალახავად ყველას ერთნაირად როდი შესწევს ძალა. ამიტომ, რომ ნებისყოფის სიმბოციეზე თუ სისუსტეზე ელაპარაკობთ ზოლმე. როდესაც, დაბრკოლებათა მიუხედავად, გადაწყვეტილება მაინც სისრულეში მოდის, ჩვენ ამას ნებისყოფის სიმბოციით ვხსნიით. როდესაც გადაწყვეტილება ვერ სრულდება, მაშინ ნებისყოფის სისუსტის შესახებ ელაპარაკობთ. როგორ უნდა გავიგოთ ეს?

რა დაბრკოლება ელობება წინ გადაწყვეტილების შესრულებას?

შესრულების პროცესში ადამიანი ბევრს რასმე ზედება ისეთს, რაც მას მისი გადაწყვეტილების მეტად თუ ნაკლებად საწინააღმდეგო მოთხოვნები უღვიძებს. რასაკვირველია, შესაძლებელია, ამ უკანასკნელთა იმპულსი ზოგჯერ იმდენად ძლიერი აღმოჩნდეს, რომ სუბიექტს წინანდელი გადაწყვეტილება სრულიად დაავიწყებინოს ან შეაცვლევიოს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, წინანდელი გადაწყვეტილების შესრულებაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იქნებოდა. ასეთი დაბრკოლება ყოველი ნებისმიერი ქცევის დროს შეიძლება გაჩნდეს, და საქმე ისაა, შესძლებს თუ არა სუბიექტი მათთვის საკმარისი წინააღმდეგობის გაწევას. ავიღოთ იგივე მაგალითი. ვთქვათ საქმე თუთუნის თავის დანებებას ეხება. მას შემდეგ, რაც სუბიექტმა თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა, აღარ მოსწიოს თუთუნი, შესაძლოა, ვინმემ კარგი თუთუნი მიაწოდოს. თუთუნის დანახვა მას საერთოდ იმ სასიამოვნო მდგომარეობას მოაგონებს, რომელიც მას წინად კარგი თუთუნის მოწვევის შემთხვევაში არაერთგზის განუცდიდა. შეიძლება მოხდეს, რომ მან ვერ გაუძლოს სურვილს და მიწოდებულ თუთუნზე უარი არ თქვას. ასეთ შემთხვევებში, რასაკვირველია, სრული უფლება გვაქვს, მისი ნებისყოფის სისუსტის შესახებ ვილაპარაკოთ. მაგრამ შეიძლება ასეც მოხდეს: მან უარი თქვას მიწოდებულ თუთუნზე, მაგრამ მერე თითქმის მთელი დღეების განმავლობაში თავიდან ვერ მოიშორებს აზრი თუ წარმოდგენა კარგი თუთუნის შესახებ; ბოლოს, ამ აკვიატებული წარმოდგენიდან მომდინარე იმპულსს ვერ გაუძლოს და ხელახლა თუთუნის წევა დაიწყოს. ასეთ აკვიატებულ წარმოდგენას პერსონალური წარმოდგენას უწოდებენ, და ექსპერიმენტულად დაბტკიცებულია, რომ არა მარტო ჩვეულებრივ მოგონებას (მაგალ., სასიამოვნო მდგომარეობის მოგონებას), არამედ პერსონალური წარმოდგენის შექმნა, ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების შესრულებას.

როგორ ხდება ეს? რა უღვევს საფუძვლად გადაწყვეტის შეუსრულებლობას? თუ გადაწყვეტის აქტი იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტს მიზნის შესატყვისი ქცევის განწყობა შეუძუშავდა, მაშინ, სანამ ეს განწყობა ძალაშია, მასზე აღმოცენებული ქცევა თითქმის ავტომატური სიზუსტითა და სიიოლით უნდა მიმდინარეობდეს. და ეს მართლაც ასე ხდება, სანამ სუბიექტს რაიმე იმპულსით, ვთქვათ, კარგი თუთუნის დანახვის გამო, მისი მოწვევის ძლიერი ტენდენცია არ გაუჩნდება. ჩვეულებრივი თუთუნი რომ მიეწოდებიათ მისთვის, ის შედარებით ადვილად იტყოდა უარს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას განსაკუთრებით კარგი თუთუნი მიაწოდეს, და ამან მისი ძველი

მოთხოვნების გაღვივება შესძლო. აქ ჰარულიად მკაფიოდ ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს შექმნილი განწყობა — აღარ მოსწიოს თუთუნის — იმდენად მტკიცე არ აღმოჩნდა, რომ იგი კარგი თუთუნის აღქმის შემთხვევაშიც ძალაში დარჩენილიყო, და აი, იგი თავის საწინააღმდეგო განწყობას, თუთუნის მოწვევის განწყობას, უთმობს ადვილს. ჩვენ ვხედავთ, რომ ნებისყოფის სისუსტეს ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში შექმნილი განწყობის ლაბილობა (ადვილი ცვალებადობა) უღევს საფუძვლად.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, გადაწყვეტილების შესრულებას სხვაგვარი დაბრკოლებაც ელოდება წინ. უეჭველია, რომ ყოველი მოქმედება ტექნიკურად თანაბრად ადვილი შესასრულებელი არაა: ზოგი უფრო ადვილ ოპერაციებს შეიცავს და ზოგი ძნელს. ნ. ა. ხ. ს. ცდების მიხედვით, როდესაც განზრახული ქცევა ტექნიკურად ადვილი შესასრულებელია, მაშინ გადაწყვეტილების შესრულებაც ადვილია, მაგრამ ტექნიკურად ძნელი ოპერაციების შემთხვევაში მდგომარეობა სხვააირია. აქ გადაწყვეტილების განხორციელებას არა მარტო ის აძნელებს, რომ თვითონ გადაწყვეტილების ამოცანა თავიდანვე ძნელი. არამედ განსაკუთრებით ის, რომ შესრულების პროცესში აღმოცენებული სიძნელები ყოველწამს გადაწყვეტილების აქტში მიღებული განწყობის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. შედეგი ხშირად ისაა, რომ ოპერაციების სიძნელე სულ უფროდაუფრო საგრძნობა ხდება და, ბოლოს, სუბიექტი თავისი გადაწყვეტილების შესრულებას თავს ანებებს. აქაც ნებელობის სისუსტე მეღვანდება. როგორც ვხედავთ, საფუძველი აქაც განწყობის შეცვლაა.

გადაწყვეტილების შესრულებას ზოგჯერ ის გარემოებაც აფერხებს, რომ ერთხელ დაწყებული საქმე განსაზღვრული დროის შემდეგ ბეზრდება ხოლმე ადამიანს. ამისი შედეგი ისევე ნებელობის აქტში გამოწვეული განწყობის აღკვეთისა და მისი საწინააღმდეგო განწყობის აღმოცენების სახით იჩენს თავს: ადამიანი წინანდელ გადაწყვეტილებას სცვლის და მის შესრულებაზე ხელს იღებს.

მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლა შეიძლება სხვა გარემოებამაც გამოიწვიოს. ა) ადვილი შესაძლებელია, რომ შესრულების პროცესში ზოგიერთმა ისეთმა გარემოებამ მიიქციოს სუბიექტის ყურადღება. რაც მას წინააღმდეგელობაში არ მიუღია. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ახალი გარემოება მიუღებლად ქმნის წინანდელ გადაწყვეტილებას, განწყობა ირღვევა, და სუბიექტს ახალი გადაწყვეტილების გამოტანა, ახალი განწყობის შექმნა უხდება.

ბ) შეიძლება ისიც მოხდეს, რომ თვითონ სუბიექტი შეეცვალოს: მას ახალი ინტერესები და ახალი მისწრაფებები გაუჩნდეს. მაშინ,



თავისთავად იგულისხმება, ძველ გადაწყვეტილებას, როგორც ეს ლა მისთვის შეუფერებელს, ძალა დაეკარგება, და სუბიექტი იძულებული შეიქმნება, ახალ ნებისყოფის აქტს მიმართოს, ახალი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

მაგრამ არც ერთს ასეთს შემთხვევაში ნებისყოფის სისუსტეზე ლაპარაკი არ შეიძლება. მართალია, გადაწყვეტილება აქაც იცვლება, და ძველი განწყობის ნაცვლად ახალი იქმნება, მაგრამ ეს იმითომ კი არ ხდება, რომ განწყობას გამძლეობა აკლია, რომ ის თვითონაა მერყევი და ცვალებადი, და ამიტომაც, რომ სუბიექტი იძულებული ხდება, ხელახალ გადაწყვეტის აქტს მიმართოს. არა, განწყობა, შეიძლება, თვითონ უაღრესად მტკიცე იყოს, შესრულების პროცესი სრულიად დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს, მაგრამ, რადგანაც სუბიექტი ხედავს, რომ ეს გადაწყვეტილება ამჯამად მიუღებელია მისთვის, შესაძლოა, იგი სრულიად შეგნებულად შეეცადოს, თავიდან მოიშოროს ძველი გადაწყვეტილება და ნებისყოფის ახალი აქტის დახმარებით ახალი, უფრო შესაფერისი ქცევის განწყობა გამოიწვიოს. პირიქით, აქ ნებისყოფის სისუსტესთან კი არა, მისს უქველ სიმტკიცესთან გვაქვს საქმე.

არის შემთხვევა, როცა ადამიანი ხედავს, რომ მისი გადაწყვეტილება შეუფერებელი აღმოჩნდა, რომ ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, ხელი აეღო მის შესრულებაზე; მაგრამ იგი ამაჲ ვერ ახერხებს: ვეღარ ცვლის ერთხელ შემუშავებულ განწყობას. ამ შემთხვევაში იგი თავისი გადაწყვეტილების მონაა: ის კი არ ფლობს ამ უკანასკნელს, არამედ, პირიქით, მას ძალა აღარ შესწევს, ერთხელ შექმნილი განწყობა ნებისმიერ შესცვალს. როგორც ვხედავთ, ჯი უტობა ნებისყოფის სისუსტის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე ნებაყოფის სიმტკიცისა.

ამრავალ, ჩვენ ვხედავთ, რომ ნებისყოფის სიმტკიცე ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების ბოლომდე შენარჩუნების უნარში მდგომარეობს. როდესაც გადაწყვეტის ერთი აქტი საკმარისია, რათა განზრახვა ბოლომდე ძალაში დარჩეს, როდესაც ყოველ ნაბიჯზე ხელახლა იმავე გადაწყვეტილების გამოტანა არ გვჭირია, მაშინ, უქველია, მტკიცე ნებისყოფასთან გვაქვს საქმე.

სანამ ის განწყობა, რომელიც გადაწყვეტის მომენტში ჩნდება, აქტუალურია, მანამდე გადაწყვეტილებას შესრულების პროცესიც იოლად მიმდინარეობს. მაგრამ თუ ეს განწყობა შეირყა, ეს გარემოება იმწამსვე შესრულების გაძნელების განცდაში იჩენს თავს; და სუბიექტი იძულებული ხდება, ხელახლა გადაწყვეტილების აქტს მიმართოს: თუ შესძლო კვლავ ძველი გადაწყვეტილების გამოტანა,

განწყობა ძალაში დარჩება და შესრულების პროცესი გაგრძელდება; თუ არა და — იძულებული შეიქნება, დაწყებულ საქმეზე ხელი აიღოს. მაშინ დახარჯული ენერგია უნაყოფოდ დაკარგული აღმოჩნდება და საქმე ხელახლა თავიდან უნდა იქნეს დაწყებული.

აქედან ნათელი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების გამძლეობას. გადაწყვეტის აქტი თავისთავად მომენტურია. მაგრამ იმისათვის, რომ ის, რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარმართოს. ასეთს სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. როგორც დაჯრმუნდით, მას ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად, და რაც უფრო გამძლეა დროის მიმდინარეობაში ეს საფუძველი, რაც უფრო შეურყეველია იგი, მით უფრო მტკიცედ განიცდება განზრახვა და მით უფრო მტკიცეა ნებისყოფა.

მაგრამ ნებისყოფის სიმტკიცე სხვა მხრივაც იჩენს თავს: შესრულების სიძნელეს სუბიექტი, ჩვეულებრივ, თავიდანვე — გადაწყვეტის აქტის მოხდენამდე — ითვისისწინებს ხოლმე. როდესაც ეს სიძნელე მტირეა, მაშინ გადაწყვეტა შედარებით ადვილია, და იგი ნებელობის ნაკლებ კონცენტრაციას, ნაკლებ დაძაბვას მოითხოვს. ხოლო როდესაც ეს სიძნელე დიდია, მაშინ ნებისყოფის გაცილებით მეტი ენერგიის მოხილზააცია ხდება საჭირო. და აი, ნებელობის ის თვისება, რომელიც შესაძლებლობა აძლევს სუბიექტს — მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცის, რომ საქმე ძნელი შესასრულებელია — მაინც ენერგიული გადაწყვეტილება გამოიტანოს, მის სიმტკიცეზე მიუთითებს.

რასაკვირველია, ასე გაგებული ნებელობის სიმტკიცე ზრულიად აბ შემთხვევა ნებელობის სიმტკიცის იმ ცნებას, რომელიც ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების სიმყარეს, მისს დროში გამძლეობას გულისხმობს. არის შემთხვევები, რომ ადამიანი მოსალოდნელ სიძნელეთა გადალახვის აზრს არ უშინდება და ენერგიული გადაწყვეტილება გამოაქვს. მაგრამ საცმარისია ამ მოსალოდნელმა სიძნელეებმა მართლა იჩინონ თავი, რომ მას მყის გული გაუცივდეს, და გადაწყვეტილების შესრულების ხალისი შეუწეწდეს. ამ შემთხვევაში, უეჭველია, მისი ნებისყოფის სისუსტეზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების ადვილად გამოტანის უნარი მას ამ შემთხვევაში თვალსაჩინო დახმარებას გაუწევდა, იგი ხელახლა გადაწყვეტდა იმის შესრულებას, რაზედაც ეს-ეს იყო გული გაუცივდა, და ამრიგად, ალბათ, ასეთი მრავალგზის განმეორე-

ბითი გადაწყვეტის შედეგად, დაწყებულ საქმეს მაინც ბოლომდე მიიყვანდა.

ნებისყოფის სისუსტე გადაწყვეტის უნარის საერთო დაქვეითების სახითაც იჩენს თავს. ცნობილია არა ერთი შემთხვევა, რომ ადამიანი სულ უბრალო გადაწყვეტილების გამოტანასაც ვერ ახერხებს: პო თუ არა? ასე მოიქცეს, თუ ისე? ეს კითხვა კითხვად რჩება და სუბიექტი საქმის დაწყებას ვერ ახერხებს. რასაკვირველია, გამოკვეთილი სახით ეს მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულ დაავადებად უნდა ჩაითვალოს: იგი აბულიის სახელწოდებითაა ცნობილი და ნებისყოფის იმდენად საფუძვლიან შესუსტებას გულისხმობს, რომ ავადმყოფს სულ მარტივი საქმის გადაწყვეტაც კი აღარ შეუძლია (მაგალ, ცნობილია ერთი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფს ორი საათის ფიქრი დასჭირდა, სანამ ტანისამოსის გახდასა და დაწოლას გადასწყვეტდა).

მაგრამ უფრო მარტივი სახით გადაწყვეტის უნარის დაქვეითების შემთხვევები ნორმალურ ადამიანთა შორისაც გვხვდება. ასეთი ადამიანის ერთერთი სახესხვაობის მხატვრულ სურათს შექსპირის ჰამლეტი წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ასეთი მერყევი ადამიანები აღვილად ემორჩილებიან სხვის ნებას. მაშინ იხინი შედარებით სწრაფად სწყვეტენ საკითხს, მაგრამ ხშირად განცდა ისეთი აქვთ, თითქოს ეს გადაწყვეტილება თავისუფალი როდი იყოს, მათი მე-ს სიღრმიდან მომდინარე, არამედ რაღაც თავზე მოხვეული, იძულებითი, თუმცა ეხლა მაინც მათი საკუთარი სურვილის გამომხატველი. ნებელობისათვის, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სწორედ მე-ს აქტივობის განცდაა დამახასიათებელი, და აქ სწორედ ესაა დაქვეითებული: სუბიექტი გადაწყვეტის მომენტში ვერ განიცდის თვითაქტივობას, იგი ვერ გრძნობს დამოუკიდებლობას. ეს კარგად ეთანხმება ყოველდღიურ დაკვირვებასაც, საიდანაც ცნობილია, რომ დამოუკიდებელი მოქმედების ძალა მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ხალხს აქვს.

საინტერესოა, რომ ნებისყოფის სისუსტის ასეთ შემთხვევებში სუბიექტი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის საკმაოდ თვალსაჩინო უნარს ამჟღავნებს: ხშირად იგი, საგრძნობ დაბრკოლებათა მიუხედავად, მტკიცედ დგას თავის გზაზე და მიღებული გადაწყვეტილების ბოლომდე რეალიზაციაზე ზრუნავს. ეს დაკვირვება ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ამტკიცებს: რომ, ჯერ ერთი, ნებელობის აქტი შესრულების კი არაა, გადაწყვეტის მომენტში უნდა ვეძიოთ, და, მეორე, შესრულების პროცესის მ-მდინარეობას თავისი საფუძველი

აქვს, როგორც თანაბრად წარმატებით მოქმედებს მაშინაც, როდესაც იგი საკუთარი ნებელობის აქტის შედეგად იჩენს თავს, და მაშინაც, როდესაც იგი რაიმე სხვა გარემოებაზე ზეგავლენით ჩნდება.

2. ნებისყოფის სიმტკიცის ექსპერიმენტალური შესწავლის ცდები. პირველი ნამდვილი ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური ცდა ამ მიმართულებით ნებელობის პირველი ექსპერიმენტატორს ნ. ახ-ს ეკუთვნის. იგი თავის ცდისპირს რამდენიმე წყვილ უაზრო მარცვალს აძლევს (მაგალ., დ უ ს-ლ ო რ, ფ უ დ-ნ ე ფ) და მანამდე ავირბენება, სანამ ისე კარგად არ დაასწავლას, რომ დაუბრკოლებლივ ზეპირად განმეორება შესძლოს. ავტორი გულახმობა, რომ ამ პირობებში ცდისპირს მარცვალთა წყვილის ერთი წევრს დანახვისას მეორე წევრის დასახელების საკმაოდ ძლიერი ტენდენცია (ე. წ ასოციაციური ტენდენცია) გაუჩნდება. ამის შემდეგ იგი იმავე ცდისპირს წყვილის იმავე წევრის მიმართ სხვა დავალებებს აძლევს, რომლის ნიადაგზეც მას ახალი ტენდენცია — ნებისმიერი ტენდენცია — უჩნდება, რომელიც ასოციაციურს უნდა შეებრძოლოს და, რამდენადაც შესაძლებელია, გადლახოს იგი. მაგალითად, ცდისპირს მტკიცედ ახსოვს, რომ მარცვალს დ უ ს-ს ერთერთ წყვილში ლ ო რ მოსდევს, ასე რომ, საკმარისია მან დ უ ს მოსმინოს, რომ იმუშავედ ლ ო რ-ის წარმოთქმის ძლიერი იმპულსი გაუჩნდეს; და აი ეხლა, მას ასეთ ამოცანას აძლევენ: როგორც კი გიჩვენებ რომელსამე უაზრო მარცვალს, შენ იმ წამსვე უკუღმა წარმოთქვი იგი (მაგალ., რ უ დ-ი რომ გიჩვენო, შენ დ უ რ-ი უნდა თქვა), როდესაც ეხლა ცდისპირს დ უ ს მარცვალს აჩვენებენ, იგი გადასწყვეტს, ს დ უ-ი თქვას, ამავე დროს მას, მასღა უნებურად, ძლიერი იმპულსი ექნება დ ო რ-ის წარმოთქმასაც. ამრიგად, შექმნილია ექსპერიმენტულად ისეთი მდგომარეობა, რომ სუბიექტი ნებისმიერასა და უნებური ტენდენციების კონფლიქტს განიცდის. რომელი მათგანი გაიმარჯვებს, ნებისმიერი თუ უნებური ტენდენცია, ეს თითოეულის მათგანის ძალაზე დამოკიდებული. უნებური ტენდენციის საბტკიცე ამ შემთხვევაში იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად მტკიცედ დამახსოვრა ცდისპირმა, რომ წყვილის ერთს გარკვეულ წევრს სწორედ ეს გარკვეული მეორე წევრი ახლავს თან, რამდენად მტკიცე კავშირი დამყარა მან წყვილის წევრებს შორის. გამოიჩვენა, რომ ეს კავშირი მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ხშირად გაუმეორებია მასალა ცდისპირს. მარცვალთა რიგის განმეორებათა იმ რიცხვს, რომლის ოდნავ გადიდებაც საკმარისია, რომ უნებურმა ტენდენციამ გაიმარჯვოს ნებისმიერზე, ახ-ი დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ც ი ი ს ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ე ქ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ს უწოდებს. როდესაც განმეორებათა რიცხვი ამაზე მცირეა, მაშინ ნებისმიერი ტენდენცია (ანუ დეტერმინაციის ტენდენცია) იმარჯვებს, და ცდისპირი შებრუნებული უაზრო მარცვლის წარმოთქმას ახერხებს; თუ არა და — ამის ნაცვლად, მეორე ადგილას მდებარე მარცვალი (ლორ) წამოცდება. აქედან ნათელი ხდება, რომ ამ გაგებით დეტერმინაციის ტენდენციის ანუ ნებელობას აქტის სიმტკიცე უაზრო მარცვალთა განმეორების რიცხვით უნდა გაიზომებოდეს: რაც უფრო დიდია ასოციაციური ექვივალენტი, მით უფრო მტკიცე უნდა იყოს დეტერმინაციის ტენდენცია, ე. ი., ახ-ის მიხედვით, ნებელობის აქტი, იმიტომ რომ, როგორც ვიცით, დეტერმინაციის ტენდენცია, ამ უკანასკნელის ეფექტს წარმოადგენს.

ამრიგად, ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი ე ქ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი ს ცნება ნების სიმტკიცის რატეგორიული გაზომვის შესაძლებლობას გულისხმობს. უკველია, მასი მნიშვნელობა ძალიან დიდი იქნებოდა, რომ იგი მართლა დასაბუთებული აღმოჩენილიყო.

შემდგომმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა გამოარკვეეს, რომ უნებური ტენდენცია, რომელიც ახ-ის ცდებში ნებისმიერს ეწინააღმდეგება, მხოლოდ გარკვეულ პირობებში ჩნდება; რომ საქმარისთა ოდნე შესცვალო ეს პირობები, რათა ამ ტენდენციის აღართყვი გაჩნდეს, და ნებასმიერმა ტენდენციამ უკონფლიქტოდ განაგრძოს მოქმედება. ასე, მაგალითად, ცდისპარს რომ შეუთანხმდე, ვთქვათ, წითლად დაწერილი მარცვალის დანახვისას უკელმა წაიკითხოს იგი და სხვა ფერის მარცვლის დანახვისას სხვაგვარად მოიქცეს, იგი ყოველთვის ამ დავალების თანხმად მოიქცევა და არც ერთხელ მომდევნო მარცვალის დასახელების ტენდენცია არ გაუჩნდება (მაკ-კერთი). მაშასადამე, ასოციაციური ექვივალენტისა და მისი საშუალებით ნებისყოფის სიმტკიცის გაზომვის შესახებ აქ ლაპარაკი სრულიად შეუძლებელია. სამაგიეროდ, აქედან ჩანს, რომ საქმოდ დღი მნიშვნელობა ჰქონია უკრადლებას: როდესაც იგი ამოცანისაკენ არის მიპყრობილი, მაშინ სხვა ტენდენციები ხაკლებ ჩევენ თავს და გადაწყვეტილების შესრულებას ნაკლებ უშლიან ხელს. რაიზე ჩვეულების ნებისმიერ შეცლა, ამისდა მიხედვით, იმიტომ არის ძნელი, რომ იგი თავისკენ იპყრობს ადამიანის უკრადლებას, რაც ხელს უშლის მას საქმარისთა უკრადლებით მოუპყრას თავის გადაწყვეტილებას. ამრიგად, ნებისყოფის სისუსტე უკრადლების მეჩვეობაზე ყოფილა დამოკიდებული.

3. ნებელობა და პერსევერაცია. როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ გაკვრით, არის შემთხვევები, რომ ერთი რომელიმე წარმოდგენა, ხშირად ჩვენდა უნებურად, წამოიჭრება ხოლმე ჩვენს ცნობიერებაში და თავიდან აღარ გეშორდება: ჩვენი უკრადლება ხანგრძლივად და მტკიცედ არის მისკენ მიპყრობილი და სხვა რამისათვის მას აღარ სცალია. ასეთ მდგომარეობას პერსევერაცია ეწოდება. იგი უკრადლების მერყეობის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს. მაშასადამე, თითქოს ვისაც პერსევერაციის მეტი უნარი აქვს, მას ნებისყოფაც უფრო მტკიცე უნდა ჰქონდეს. ეს მით უფროა მოსალოდნელი, რომ ნებელობის სიმტკიცე, როგორც ზემოდ იყო ნახევრები, გადაწყვეტილების ხანგრძლივად და უცვლელად დაცვის უნარშიც ჰელვანდება, მაგრამ Lanke-ს სპეციალური გამოკვლევებიდან გაიორკვა, რომ ეს ულოდანი სრულიად არაა დასაბუთებული, რომ პერსევერაციას, რომელიც ნერვული სისტემის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს, აბსოლუტურად არათყერი აქვს საერთო ნებელობის სიმტკიცესთან. გამოიორკვა, რომ ადამიანის ნებელობას ძალა შესწევს, თავისი მოქმედება ბუნებრივი მიდრეკილების საწინააღმდეგოდ მიმართოს, საკუთარი ნერვული სისტემის თანდაყოლილს პერსევერაციის ტენდენციას წინააღმდეგობა გაუწიოს. მაშასადამე, ცხადი ზდება, რომ ნებელობა ჩვენი თანდაყოლილი ბიოლოგიური თავისებურება კი არ არის, არამედ უფრო მაღალი კატეგორიის მოვლენაა, რომელსაც თვითონ ბიოლოგიურის, საკუთარი ნერვული სისტემისა და მისი თანდაყოლილი ტენდენციების შეცვ-

ღია და წარმართვის ძალა შესწევს. ნებისყოფის სიმტკიცე, ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, ვერავითარ შემთხვევაში თანდაყოლილ თვისებად ვერ ჩაითვლება: იგი პირადი ცხოვრების მიმდინარეობაში აქვს ადაპიანს შექმნილი, და ამიტომ მტკიცე ნებისყოფის აღზრდა პედაგოგიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

4. განწყობა და ნებისყოფის სისუსტე. ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტიური მასალა და ის დასკვნები, რომელნიც აქედან ნებელობის სისუსტის შესახებ გამომდინარეობენ, სრულიად არ ეწინააღმდეგებიან ჩვენს დებულებას ამავე საკითხზე. პირიქით, შეიძლება ია.ქვას, რომ ისინი მართებულობის სასარგებლოდ უფრო ლაპარაკობენ, ვიდრე საწინააღმდეგოდ.

მაართლაცა, თუ რომ ნებისყოფის სიმტკიცე ნერვული სისტემის თანდაყოლილ თვისებებზედას არ წარმოადგენს, თუ იგი უფრო პიროვნების, როგორც მთელის, საქმეა, მაშინ, უეჭველია, რომ აქ განდამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ განწყობის ცნებას უნდა მიეკუთვნოს. ჩვენ უკვე თავის დროზე დავრწმუნდით, რომ განწყობა ნერვული სისტემის თუ სხვა ბიოლოგიურ სისტემის თანდაყოლილ თვისებას როდი წარმოადგენს, არამედ პიროვნებებს მდგომარეობას, რომელიც მისი მოთხოვნილებისა და შესატყვისი გარემოსიტუაციის ურთიერთ-ზემოქმედების ნიადაგზე აღმოცენდება. განწყობის ასეთი ცნება გასაგებად ხდის, რომ ნებისყოფის სიმტკიცეს არაფერი აქვს საერთო ნერვული სისტემის თანშობილ ტენდენციებთან. მეორის მხრივ, გასაგები ხდება ის გარემოებაც, რომ ყურადღების მერყეობის შემთხვევებში ნებელობის სისუსტესთან გვაქვს ხოლმე საქმე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ განწყობა გარკვეული განცდების აქტუალის-ზაციისათვის მზაობას ნიშნავს. მაშასადამე, როდესაც გარკვეული განწყობა გვაქვს, ჩვენს ცნობიერებაში მხოლოდ გარკვეულ განცდებს ეთმობა ადგილი, ჩვენ მხოლოდ გარკვეულ მოვლენებს ვაქცევთ ყურადღებას. საკმარისია ჩვენი ყურადღება სხვაგან გადაიხაროს, რომ ჩვენ უფლება მოგვეცეს ვთქვათ, რომ ჩვენი განწყობა შეიცვალა. თუ ვიგულისხმებთ, რომ ნებელობას განწყობა უდევს საფუძვლად, გასაგები გახდება, თუ რატომაა, რომ ყურადღების მერყეობა ნებისყოფის სისუსტეზე მიუთითებს: იგი ხომ განწყობის შესუსტების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს.

ამრიგად, ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიღებული ფაქტები ნებისყოფის სიმტკიცის შესახებ იხვე განწყობის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. როგორც საფუძვლის, რომლის რავგარობაზეც ჩვენს

ნებისყოფის ისეთი ფორმალური მხარეც კია დამოკიდებული, როგორცაა მისი სიმტკიცე თუ სიხუხუტე.

განწყობის ცნების მნიშვნელოვანი უპირატესობა ამ შემთხვევაში თავს იჩენს მეორე გარემოებაშიც. საქმე ისაა, რომ ნებისყოფის სიხუხუტე თუ სიმტკიცე არაერთაზრ შემთხვევაში მის წმინდა ფორმალურ მხარედ არ შეიძლება ჩაითვალოს. ანეთი ფორმალისტური შეხედულება არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ყოველდღიური დაკვირვების, ისე როგორც ექსპერიმენტული კვლევის ნიადაგზე დამადასტურებელ ფაქტებს. ვინ არ იცის, რომ მტკიცე ნებისყოფის ადამიანი ზოგიერთ შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რა აქვს გადასაწყვეტი, საკმაოდ თვალსაჩინო სიხუხუტეს იჩენს; მაშინ როდესაც მეორე, რომელიც საერთოდ სუსტი ნებისყოფის პატრონად არის ცნობილი, სწორედ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ენერგიული მოქმედებას უნარს ამჟღავნებს! უეჭველია, ჩვენი გადაწყვეტილება ბევრას მხრივ იმ შინაარსზეც არის დამოკიდებული, რომელსაც იგი ეხება. ნებელობა, რასაკვირველია, წმინდა ფორმალურ ძალას არ წარმოადგენს. პირიქით, შინაარსის მისთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ეს გარემოება კვლავ განწყობის, როგორც ნებელობის საფუძვლის, სასარგებლოდ ლაპარაკობს, იმიტომ რომ განწყობისათვის, როგორც ვიცით, შინაარსეულს ანუ ობიექტურ ფაქტორს განსაკუთრებით ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს: განწყობის სახით სწორედ ობიექტური ვითარების ასახვასთან გვაქვს საქმე.

## მოტივაცია — ნებელობის აპტის წინა პერიოდი

1. ამ პერიოდის შესწავლის მნიშვნელობა. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ნებისმიერ ქცევას განწყობა უღევს საფუძვლად და რომ ეს განწყობა გადაწყვეტის მომენტში იჩენს თავს. ჩვენ ვიცით, რომ ამ განწყობის შექმნა თავისებური განცდის სახით გვეძლევა, თვითაქტიობის იმ სპეციფიკური განცდის სახით, რომელიც არცერთს სხვა ცნობილ განცდას არ ჰგავს და ნებელობის განცდად ითვლება. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ იმპულსური ქცევაც განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, და რომ ეს განწყობა აქტუალური მოთხოვნების შესატყვისი სიტუაციის ზეგავლენით ჩნდება.

სამაგიეროდ, ჩვენ არ ვიცით ჯერჯერობით მთავარი: ჩვენ არ ვიცით, თუ რა აჩენს განწყობას ნებელობის შემთხვევაში, და, მაშასადამე, ბოლოსდაბოლოს, რით განსხვავდება ნებისმიერი ქცევა იმპულსურისაგან. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ იმპულსური ქცევის შემ-

თხვევაში გადაწყვეტილების აქტის განცდას, თვითაქტიობის განცდას, ადგილი არა აქვს. მაგრამ როგორ ხდება, რომ გადაწყვეტის აქტი, როგორც თვითაქტიობა, განიცდება? როგორ ხდება, რომ ნებელობის შემთხვევაში განწყობის აღმოცენება მე-ს აქტიობის სახით გვევლინება? ეს ჩვენ ჭერ კიდევ არ გვაქვს შესწავლილი. იმისათვის, რომ ამ საკითხებს პასუხი გავცეთ, უნდა გაირკვეს, თუ რა ქმნის განწყობას ნებელობის შემთხვევაში.

ნებისმიერი ქცევა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იმითაც განსხვავდება იმპულსურისაგან, რომ მას გადაწყვეტის აქტის წინაპერიოდი აქვს, პერიოდი, რომელიც, უეჭველია, იმისთვისაა განკუთვნილი, რომ განწყობის მომწიფების პირობები შეიქმნეს, განწყობის აღმოცენება მომზადდეს. უდაოა, ამ მოსამზადებელი პერიოდის შესწავლას ნებელობის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა აქონდეს.

2. ამ პერიოდის აზრი. როდესაც სუბიექტი აქტუალური მოთხოვნების ზეგავლენით მოქმედებს, როდესაც მისი ქცევა ამ მოთხოვნების ძალას ემორჩილება, მაშინ იმპულსურ ქცევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ადამიანი ყოველთვის როდი უთმობს ამ იმპულსს. ჩვენ ვიცით, რომ მას უნარი აქვს თავისი თავი და გარემო ურთიერთს დაუპირისპიროს, თავისი მე-ს მოქმედების ობიექტივაცია მოახდინოს. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს მას აქტუალური იმპულსის იძულებას ხელიდან გაუშვას და, მაშასადამე, თავისი მომავალი ქცევის საკითხი დააყენოს: ეხლა მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ მოიქცეს, რაკი აქტუალური მოთხოვნების იმპულსს აღარ მისდევს. სახელდობრ, სიტუაცია ასეთია: სუბიექტი განიცდის, რომ მისი ქცევა ამიერიდან მასზე, მის საკუთარ პიროვნებაზე, მის მეზე და მოკიდებული. მაშასადამე, რა ქცევა სჯობს ამ მე-სთვის, ეს წინასწარ უნდა იქნეს მოფიქრებული.

შესაძლებელია, აქტუალური მოთხოვნების იმპულსი აღმოჩნდეს ხელსაყრელი, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ იგი პიროვნების სხვა მოთხოვნებებს ეწინააღმდეგებოდეს და ამიტომ მე-სთვის — რომლის არსებობა და, მაშასადამე, ინტერესებიც მართკ ამ მომენტით არ ამოიწურება — საერთოდ შეუწყნარებელი იყოს. ფარვანას ცეცხლი იზიდავს; იგი ვერ უწყევს იმ იმპულსს წინააღმდეგობას და იღუპება. საბედნიეროდ, სულ სხვაა ადამიანი. იგი, სანამ რაიმე ქცევას მიმართავდეს, წინასწარ ითვალისწინებს, თუ რამდენადაა მისაღები საზოგადოდ ეს ქცევა მისთვის: ხომ ცხადია, მისი არსებობა მართკ ამ მომენტით არ განისაზღვრება. იგი თავისი ქცევის სუბიექ-



ტად თავის თავს, თავის მე-ს განიცდის. ამიტომ, გასაგებია, რომ სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდეს, თუ როგორ მოიქცეს, წინასწარ უნდა განსაჯოს, თუ რა ქცევის აქტია მისი მე-სთვის უფრო შესაფერისი.

აქედან ნათელია, რომ ნებელობის შემთხვევაში ადამიანი იმას კი არ აკეთებს, რასაც მისი აქტუალური მოთხოვნილება აძლევს მას, რაც ამ ეტაპად უნდა მას, არამედ იმას, რაც მისი მე-ს საზოგადო ინტერესებს შეეფერება, და რაც ამჟამად შეიძლება სრულიადაც არ უნდოდეს მას.

მაშასადამე, გადაწყვეტის აქტს წინ უსწრებს პერიოდი, რომელშიც წინასწარი გათვალისწინება, წინასწარი მოძებნა წარმოებს ქცევის იმ სახეობისა, რომელიც სუბიექტის მე-ს საერთო ინტერესებს შეეფერება. ეს ძებნის პროცესი გადაწყვეტის აქტით თავდება, ე. ი. ქცევის ისეთი სახეობის მონახვით, რომელიც სუბიექტს თავისი მე-ს შესაფერის აქტად მიაჩნია და რომლისთვისაც მას პასუხისმგებლობის აღება შეუძლია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ, თავისი თავისა და თავისი ქცევის ობიექტივაციის უნარის გამო, ადამიანი თავისი აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსით კი არ მოქმედობს, არამედ საზოგადოდ თავისი მე-ს მოთხოვნილებათა მიხედვით. გადაწყვეტის აქტი ქცევის იმ სახეობის მონახვას ნიშნავს, რომელიც მას თავისი მე-სათვის მიაჩნია შესაფერისად; ხოლო ის პერიოდი, რომელიც ამ აქტს უსწრებს წინ, ქცევის ამ სახეობის ძებნის პერიოდად უნდა ჩაითვალოს.

**მ. არჩევანი და მოტივი.** რომ ვცადოთ ამ მოსამზადებელი პერიოდის შინაარსის წინასწარი ზოგადი ანალიზი, დავრწმუნდებით. რომ იგი ორი ძირითადი ფაქტორის მონაწილეობას მაინც გულისხმობს. ჯერ ერთი, ნაცვლად უშუალოდ მოქმედების დაწყებისა, სუბიექტი წინასწარ მიზანშეწონილი ქცევის სახეობის ძებნას იწყებს: იგი ფიქრობს, მსჯელობს, ერთი სიტყვით, აზროვნობს, რათა ქცევის სწორედ ის სახეობა მონახოს, რომელიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია მისთვის. მეორე — მას თვალწინ აქვს თავისი მე-ს მოთხოვნილებები, და საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამ მოთხოვნილებათა მიხედვით ღებულობს: რაჯანდ მიზანშეწონილადაც უხდება მოეჩვენოს მას ესა თუ ის შესაძლო გადაწყვეტილება, იგი მხოლოდ მას შემდეგ ახერხებს ამ გადაწყვეტილების მიღებას, რაც მას თავისი მე-ს მოთხოვნილებებს შეუთანხმებს.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ორივე ეს ფაქტორი.

**A. ნებელობის შემთხვევაში ადამიანს არჩევანის მოხდენა**

ნა უხდება: რა სჯობს? როგორი ქცევა უფრო მიზანშეწონილია მისთვის? სრულად უღაოა, ასეთი საკითხი მხოლოდ მოაზროვნე არსების წინაშე შეიძლება დადგეს, მოაზროვნე არსების წინაშე, რომელსაც ძალა შესწევს, მიხედეს, თუ რაა უფრო და რაა ნაკლებ მიზანშეწონილი. როდესაც ადამიანი თავს ანებებს ერთ მოქმედებას, რათა მეორეს — უფრო მიზანშეწონილ მოქმედებას — მოკიდოს ხელი, იგი, უწინარეს ყოვლისა, აზროვნებას იწვევს: რამდენად ხელსაყრელი, რამდენად აზრიანი იქნებოდა ამ პირობებში იგი ასე მოქცეულიყო და არა ისე. მიზანშეწონილი ქცევის მონახვა სავსებით იმაზეა დამოკიდებული. თუ რამდენად სწორია აზროვნება.

ამრიგად, გადაწყვეტის აქტს წინ უსწრებს აზროვნება: სუბიექტი მსჯელობს თითოეული შესაძლო აქტის მიზანშეწონილობის შესახებ და, ბოლოს, ერთერთზე ჩერდება. მაგალითად, როდესაც იულიოს კეისრის წინაშე საკითხი დადგა ძალაუფლების შეიარაღებული ძალით ხელში ჩაგდება შესახებ, მან იმწამსვე როდი გასცა განკარგულება რუბიკონის გადალახვისა და რომის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, არამედ წინასწარის, საკმაოდ ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრება სწორედ არსებულ პირობებში იქნებოდა განსაკუთრებით მიზანშეწონილი და საიმედო. მას შემდეგ, რაც მან გონების თვალთ დაინახა, რომ მისთვის მართლა ახლავ ხელსაყრელი რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრება, მის წინაშე საკითხი დადგა, რუბიკონის გადალახვა და რესპუბლიკის ჭარბის წინააღმდეგ გალაშქრება ახლავე გადაეწყვიტა.

ამრიგად, ვიგეორებთ, გადაწყვეტის აქტს ყოველთვის წინ უსწრებს მოფიქრება, ყველა შესაძლებლობათა აწონდაწონა, ერთი სიტყვით, საკმაოდ რთული აზროვნებითი პროცესი, რომლის შედეგადაც სუბიექტი ერთ რომელსამე ქცევას განსაკუთრებით მიზანშეწონილად ჩათვლის.

მაგრამ იძლევა კი ეს უკანასკნელი გარემოება გარანტიას, რომ სუბიექტი მართლა ამ ქცევის შესრულებას გადასწყვეტს? არის თუ არა საკმარისი მიხედვით, თუ რა სჯობს, რომ კიდევ მოკიდო ხელი მის შესრულებას? არის თუ არა ინტელექტუალური პროცესის წარმატებითი დასრულება საკმარისი, რათა შესატყვისი ნებელობის აქტივ მოხდეს? ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნებელობასა და აზროვნებას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა: მაშინ საკითხის ინტელექტუალურად გადაჭრისა და ვოლიტურად გადაწყვეტის აქტი ერთმანეთს უნდა დამთხვეოდნენ. მაგრამ სულ მარტივი დაკვირ-

ვებაც საკმარისია, რომ მიხვდეს კაცი, რომ ეს ასე არაა. წარმოვიდგინოთ, რომ იუ ლი ო ს კ ე ი ს ა რ ი სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო. ეს გარემოება, შესაძლოა, მას ხელს არ შეუშლიდა მიმხვდარიყო, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლის დაწყება სწორედ ახლა იყო მიზანშეწონილი. მაგრამ განა იგი ასევე ადვილად შესძლებდა გადაწყვეტა. თავისი ლეგიონებისათვის ბრძანება გაეცა, რუბიკონი გადაეღახათ და რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრებულაყვენენ! რასაკვირველია, არა. ამისთვის მას კიდევ დასჭირდებოდა რაღაც, რაც აზროვნებას, როგორც ასეთს, არ ეხება. ამისთვის მას დამატებით ნებელობის აქტის მონდენა დასჭირდებოდა.

იბადება საკითხი, რას ემყარება თვიონ გადაწყვეტის აქტი? უეჭველია, ერთი რასაც იგი ეყრდნობა, ეს ის ინტელექტუალური პროცესია, რომლის შედეგადაც გარკვეული ქცევის მიზანშეწონილება დასაბუთებული. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ეს კიდევ არაა გადაწყვეტის აქტისათვის საკმარისი. მას ჯერ კიდევ თავისი სპეციფიკური საფუძველი ესაჭიროება. ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რასმე გადასწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს: გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ.

მაშასადამე, მთელი პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ჯერ მიზანშეწონილი ქცევის დადგენა აზროვნების საშუალებით, შემდეგ მოტივაციის პროცესი და, ბოლოს, გადაწყვეტის აქტი.

B. ნებელობის ფსიქოლოგიაში მოტივის ცნებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის. ამის მიუხედავად, ნამდვილი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, იგი დღესაც არ არის საკმარისად შესწავლილი. წინათ ამ ცნებას უფრო მორალფილოსოფიური თვალთ უყურებდნენ, და ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ არაა ფსიქოლოგიაში საბოლოოდ ლიკვიდირებული. უეჭველია, სანამ ეს არ მომხდარა, მანამ ნებელობის ნამდვილ ფსიქოლოგიაზე ძნელი იქნება ლაპარაკი.

მართლაცდა, როგორ ესმით, ჩვეულებრივ, მოტივის ცნება? ზოგერთი ფსიქოლოგი, მაგალ., რიბო, მოტივს „ნებელობის მიზეზს“ უწოდებს. ამ შემთხვევაში საქმე ასე აქვთ წარმოდგენილი: როდესაც ადამიანს რაიმე გადაწყვეტილება აქვს გამოსატანი, მის ცნობიერებაში უსათუოდ უნდა არსებობდნენ განცდები, რომელნიც მას სწორედ გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანას აიძულებენო, და მოტივი სწორედ ეს განცდებიაო. აქ ნაგულისხმევია:

რომ მოტივი ისეთსავე მიმართებაში იმყოფება ნებელობის აქტთან, როგორშიც ფიზიკური მიზეზი იმყოფება ფიზიკურ შედეგთან.

უფრო ხშირად მოტივს „მოქმედების საბუთად თუ საფუძვლად“ აცხადებენ. ეს შემდეგს ნიშნავს: როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ რაიმე აიძულებს მას სწორედ ეს გადაწყვეტილება გამოიტანოს, არამედ იმიტომ, რომ სხვადასხვა მოსაზრებით, სწორედ ეს გადაწყვეტილებაა მისთვის ხელსაყრელი. ყოველ არჩევანს უთუოდ აქვს რაიმე საფუძველი, და ნებელობის შემთხვევაში ასეთ საფუძველს მოტივი წარმოადგენს.

ავიღოთ უბრალო მაგალითი. ვთქვათ, ამ საღამოს კონცერტია დანიშნული, რომელიც ძალიან მაინტერესებს. მეორის მხრივ, ჩემი სამუშაო გეგმის მიხედვით, სწორედ ამ საღამოს გარკვეული საქმე მაქვს გასაკეთებელი. ჩემში ორი ურთიერთის საწინააღმდეგო ტენდენცია ჩნდება: კონცერტზე წასვლისა და სახლში დარჩენის. ვთქვათ, სახლში დარჩენა და მუშაობა ჩემთვის მაინცდამაინც მიმზიდველი არაა: მე კონცერტზე წასვლა მირჩევნია. წინასწარი მოფიქრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ აჯობებდა სახლში დავრჩენილიყავი და ჩემი სამუშაო შემესრულებია. იმისათვის, რომ მართლა „სახლში დარჩენა“ გადამეწყვიტა, მე ამ ქცევის (სახლში დარჩენის) უპირატესობათა მონახვა დამჭირდა: სამუშაოს შესრულებას შედეგად ის მოჰყვება, რომ გეგმა თავის დროზე მექნება დამთავრებული, რასაც ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს; ხოლო თუ დღეს არ ვიმუშაებ, გეგმა ჩამეშლება. იმიტომ რომ ხვალ არავითარ შემთხვევაში ამ საქმისათვის არ მეცლება. მაშასადამე, თუ მინდა ის შედეგები, რომელნიც გეგმის შესრულებას მოჰყვება, მე უარა უნდა ვთქვა კონცერტზე და შინ დარჩენა ვარჩიო. ვთქვათ, მე შინ დარჩენა ვამჯობინე. რატომ მოხდა ეს? რატომ გადაწყვიტე ის კი არა, რაც უფრო მიზიდავდა ახლა, არამედ ის, რაც სრულიად არ იყო ჩემთვის ამჟამად მიმზიდველი? იმიტომ რომ ამ უკანასკნელს მეტი ღირებულება აღმოაჩნდა: ჩემთვის, ვიდრე პირველს: შინ დარჩენასა და მუშაობას შედეგად ის მოჰყვება, რომ გეგმას შევასრულებ და ყველა იმ უპირატესობას მივიღებ, რომელიც ამასთანაა დაკავშირებული; და ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტი, ვიდრე იმ სიამოვნებას, რომელსაც კონცერტზე მივიღებდი.

ამრიგად, გარკვეულ ქცევას — შინ დარჩენასა და მუშაობას — გამართლება მოენახა. ის, რაც მას მოჰყვება შედეგად, უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენს ჩემთვის, ვიდრე ის, რაც კონცერტზე

წასვლას მოჰყვება შედეგად. ჩემი გადაწყვეტილების მოტივი სწორედ ესაა: იგი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის, და ამ აზრით იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა. ასეთია არსებითად მოტივის ცნების თანამედროვე გაგება.

აქედან გასაგებია, თუ რატომაა, რომ გადაწყვეტილებას ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი მოფიქრება და ყოყმანი უსწრებს ხოლმე წინ. საქმე ისაა, რომ ადამიანი რსული არსებაა; მას მრავალი მოთხოვნა აქვს, და ესა თუ ის ქცევა, შესაძლებელია, ბევრი მხრივ მისაღები იყოს მისთვის და ბევრის მხრივ არა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ყოყმანი ადვილი მოსალოდნელია. არსებობს მოტივების ერთი რაგი, რომელიც მას ამართლებს, და მოტივების მეორე რაგი, რომელიც მის წინააღმდეგ არის მიმართული. რომელ მათგანს უნდა მიეცეს უპირატესობა, ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელს უფრო მეტი ძალა აღმოაჩნდება და რომელი გაიმარჯვებს. ამის მიხედვით. ამბობენ, გადაწყვეტილების აქტს ხშირად მოტივთა ბრძოლა უსწრებს წინო, და არჩევანის პროცესი ამ ბრძოლის სახით აქვთ წარმოდგენილი.

ასეთია გავრცელებული მოძღვრება მოტივის შესახებ. ამ მოძღვრების არსებითი აზრი ასეთია: არსებობს ქცევა; და მისაღები იქნება ეს ქცევა თუ არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოტივები ლაპარაკობს მის სასარგებლოდ და რა — მის საწინააღმდეგოდ. მოტივსა და ქცევას შორის ერთგვარი ზღვარია გავლებული: ქცევა სხვაა და მოტივი სხვა; და ამიტომ, რომ, შესაძლოა, ერთსადაიმთხვე ქცევას დადებითი მოტივებიც ჰქონდეს და უარყოფითიც. მაგალ., კონცერტზე წასვლის სასარგებლოდ ესთეტიკური სიამოვნების მოტივი ლაპარაკობს, მაგრამ იმავე ქცევას საწინააღმდეგო მოტივიც აქვს: კონცერტზე წასვლა, სხვა თვალსაზრისით, დროის გაცდენად შეიძლება ჩაითვალოს.

4. ფიზიკური ქცევის ცნება. მოტივის ცნების ასეთი გაგება მართებულია ეთიკისა და კრიმინალისტიკის თვალსაზრისით. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამიტომ მართებული უნდა იყოს იგი ფსიქოლოგიისათვისაც. მართლაცაა რა აინტერესებს ეთიკას ან კრიმინალისტიკას? პირველისათვის, ისე როგორც მეორისთვისაც, ძირითად საკითხს ამა თუ იმ მოცემული ქცევის შეფასების საკითხი წარმოადგენს: კარგია იგი თუ ცუდი ზნეობრივი თვალსაზრისით, ან დანაშაულისა იგი თუ არა უფლებრივი თვალსაზრისით, ეთიკასა და კრიმინალისტიკას ეს აინტერესებს. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში აუცი-

ლებელია, ჯერ თვითონ ქცევა იყოს მოცემული, როგორც ფაქტი, რომლის აღწერაც ყველას შეუძლია. მაგალ., კო ნ ც ე რ ტ ზ ე წ ა ს ვ ლ ა; თუ შ ი ნ დ ა რ ჩ ე ნ ა ვარკვეული ქცევაა, რომელიც მოძრაობათა გარკვეულ კომპლექსებს შეიცავს და, როგორც ასეთი, ობიექტურადაა მოცემული. ამ შემთხვევაში და ამ აზრით, ჩვენ ფ ი ზ ი კ უ რ ი ქ ე ე ვ ის შესახებ შეგვეძლო გველაპარაკნა. ეთიკასა და კრიმინალისტიკას, რასაკვირველია, ეს ფიზიკური ქცევა აქვთ თვალწინ, მისი სიამყარგე აინტერესებთ. მაგალითი: ვინმემ რაიმე ნივთი იპოვა ქუჩაზე; აილო იგი და მიითვისა. ჩვენს წინაშე გარკვეული ქცევაა: ნ ი ვ თ ი ს მ ი თ ვ ი ს ე ბ ა, ე. ი. აღნიშნული სუბიექტი როდი აცხადებს, რომ ამა და ამ ადგილას ესა და ეს ძვირფასი ნივთი იპოვა, და მოუწოდებს პატრონს, მოვიდეს და წაილოს იგი; არამედ თავისი ნაპოვნის შესახებ არავის არაფერს ეუბნება და ისე ეპყრობა მას. როგორც თავის საკუთრებას; ჩვენს წინაშე გარკვეული ქცევაა, გარკვეული ობიექტური მოცემულობა. ამ ქცევის შეფასების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაისვას, რაც იგი, როგორც ფაქტი, ჩვენს წინაშე დადგება: ზნეობრივი თვალაზრისით, ეს ქცევა ცუდია; კრიმინალისტიკის თვალსაზრისით, იგი დანაშაულია. ერთი სიტყვით აქ ერთიდაიგივე ქცევაა, და საკითხი მხოლოდ მის შეფასებას ეხება.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მოტივის ცნებაც შესაფერის შინაარსს ლებულობს. მოტივი ის მოსაზრებაა, რამაც სუბიექტს ეს აქტი ჩააღვინა, ის მოთხოვნილებაა, რომლის დასაკმაყოფილებლად (ეს ქცევა მიზანშეწონილად იქნა ცნობილი. მაგრამ რადგანაც შესაძლებელია, ერთიდაიგივე ფიზიკური ქცევა სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, ზოგს აესა და ზოგს კარგს, ეთიკისა და კრიმინალისტიკისათვის ერთსადაიმანვე ქცევას შეიძლება ან ერთი მოტივი ჰქონდეს და ან მეორე, ან კარგი და ან ცუდი. აქედან გასაგებია, რომ როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგას, მოიქცეს ასე თუ არა, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ საკითხის გადაჭრა იმაზე დამოკიდებული, თუ რომელი მოტივი გაიმარჯვებს.

5. მოტივის ცნება ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისი არ შეიძლება ასეთი იყოს. მაშასადამე, მისთვის თვითონ მოტივის ცნებაც სხვაგვარი უნდა იყოს. მართლაცა, რას წარმოადგენს, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ქცევა? მას, რა თქმა უნდა, ქცევის სიავკარგის საკითხი არ აინტერესებს. მისთვის ქცევა როგორც ფიზიკური მოცემულობა, როგორც გარკვეულ მოძრაობათა კომპლექსი. სრულიადაც ქცევას არ წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად ეს კომპლექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ქცევად, როდესაც იგი

გარკვეული აზრის, მნიშვნელობის, დირექტულების მატარებლად განიცდება: ქცევად მას ეს აზრი, ეს დირექტულება, ეს მნიშვნელობა აქცევს. მის გარეშე იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა, რომლის შესწავლაც ფსიქოლოგიას, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერზე ნაკლებ ეკითხება.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს, ერთიდაიგივე ფიზიკური ქცევა ფსიქოლოგიურად მრავალ, სრულიად განსხვავებულ, ქცევას წარმოადგენდეს. მაგალითად, კონცერტზე წასვლა, როგორც ფიზიკური ქცევა, კონცერტზე წასვლაა და მეტი არაფერი: იგი ერთი გარკვეული ქცევაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად კონცერტზე წასვლა, როგორც კონცერტზე წასვლა, არაერთად ქცევას არ წარმოადგენს. ქცევად იქცევა იგი, როდესაც მას ფსიქოლოგიური შინაარსიც ემატება: კონცერტზე წასვლა მუსიკესტეტიკური სიამოვნების მისაღებად, ეს უკვე გარკვეული ქცევაა. მაგრამ კონცერტზე წასვლას შეიძლება სხვა აზრიც ჰქონდეს, იგი შეიძლება სხვა მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდეს, მაგალითად, კონცერტზე წასვლა ნაცნობთან შეხვედრის მიზნით. ამ შემთხვევაში იგი ფსიქოლოგიურად სრულიად სხვა ქცევა იქნებოდა, რომელსაც პირველთან საერთო სრულიად არაფერი აქვს. იმავე კონცერტზე წასვლა გართობის მიზნით, ანდა ახალი მუსიკალური ნაწარმოების გასაცნობად — ესეც განსხვავებული ქცევაა ფსიქოლოგიურის თვალსაზრისით. მაშასადამე, ერთიდაიგივე ქცევა, რომელსაც სხვადასხვა აზრი აქვს და სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ფსიქოლოგიურად ფიქციად უნდა ჩაითვალოს. ფიზიკური ქცევა და ფსიქოლოგიური ქცევა არაერთად შემთხვევაში ურთიერთს არ ემთხვევა. ფსიქოლოგიურად იმდენი განსხვავებული ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი.

6. მოტივის ფუნქცია. ეს დებულება სრულიად უდაო დებულებად უნდა ჩაეთვალოს, ხანამ ფსიქოლოგიის თვალსაზრისზე განვადგომოდ დგომას. ფსიქოლოგიაში ქცევის შესახებ მარტოდმარტო ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ მოტივის ცნებაც სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული, და მოტივაციის აზრი სხვაგვარად გაშუქებული.

დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენს მაგალითს. გადასაწყვეტი მაქვს: წავიდე ამ საღამოს კონცერტზე, თუ არა? ბევრი ფიქრის შემდეგ, გადაწყვეტი: მართალია, ძალიან მაინტერესებს დღევანდელი მუსიკა, მაგრამ მუშაობაა საჭირო, და სახლში უნდა დავრჩე. ვთქვათ, სწორედ ამ დროს ტელეფონით მაცნობეს, რომ დღეს კონცერტზე ერ-

თერთი ჩემი ნაცნობი იქნება, რომლის ნახვაც ჩემთვის ძალიან დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ხელახლა ვფიქრობ, წავიდე თუ არა კონცენტრზე; და ახლა უკვე საკითხს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ვწყვეტ. იბადება საკითხი: რატომ? რა მოხდა? პასუხი მარტივია: კონცერტზე წასვლის ახალი მოტივი გაჩნდა — ნაცნობთან შეხვედრის მოტივი — და მან მოუპოვა გამარჯვება იმ ქცევას, რომელიც წინა გადაწყვეტილების მიხედვით თითქოს საბოლოოდ იყო უარყოფილი.

მაგრამ რით მიაღწია ახალმა მოტივმა ამ ეფექტს? რომ ჩაეუკვირდეთ ყურადღებით საქმის ვითარებას, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მოტივმა აქ ერთხელ უარყოფილი ქცევა როდი შემაწყნარებინა და ამრიგად ჩემი წინანდელი გადაწყვეტილება შემაცვლევინა; არა! მოტივმა აქ ახალი ქცევა მომანახვინა, ახალი ქცევა, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებით დიდი ღირებულების აღმოჩნდა — ყოველ შემთხვევაში მეტის, ვიდრე სახლში დარჩენა და მუშაობის გაგრძელება. მართლაცდა, წინა გადაწყვეტილების აქტით მე უარყავი „ესთეტიკური სიამოვნების მიზნით კონცერტზე წასვლა“; ახლა კი, როდესაც ნაცნობის ნახვის მოტივი გაშიჩნდა, ძველი გადაწყვეტილება კი არ შემიცვლია: მე მხოლოდ ფიზიკურად იმავე ქცევის შესრულება გადაწყვიტე, რომელიც წინად უარყავი (კონცერტზე წასვლა), თორემ ფსიქოლოგიურად სრულიად ახალი ქცევის შესრულება ვამჯობინე, სახელდობრ, „კონცერტზე წასვლა ნაცნობთან შეხვედრის მიზნით“. ხომ ცხადია, რომ ეს უკანასკნელი სულ სხვა ქცევაა, ვიდრე კონცერტზე წასვლა ესთეტიკური სიამოვნების მიხედვით.

ამრიგად, მოტივი ამ შემთხვევაში იმ როლს ასრულებს, რომ იგი ერთ ქცევას მეორით ცვლის — ნაკლებ მისაღებს უფრო მისაღებით — და, ამგვარად, გარკვეული მოქმედების შესაძლებლობას ქმნის.

აქედან გასაგებია, რომ არსებითად მოტივთა ბრძოლის შესახებ ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელია, არავითარი მოტივთა ბრძოლა, ერთიდაიმავე ქცევის *pro* და *contra* მოტივთა შეხლა-შემოხლა, ან აწონ-დაწონა არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ თვითონ ქცევა არ არის ერთი, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს.

მოტივის მნიშვნელობა, ამისდა მიხედვით, გაუზომელია: ნების-



მიერად ქცევა არსებითად მხოლოდ მოტივის წყალობით ხდება: იგი ისეთნაირად ცვლის ქცევას, რომ იგი სუბიექტისათვის მისაღები ხდება.

7. მოტივი და მაღალი მოთხოვნილებები. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გადაწყვეტის აქტს წინ უსწრებს აზროვნების პროცესი, რომელმაც უნდა გააჩვეოს, თუ რა ქცევას სუბიექტისათვის მიზანშეწონილი. იმისათვის, რომ ამას ნამდვილი გადაწყვეტილება მოჰყვეს, კიდევ არის რაღაც საჭირო: ის, რაც ობიექტურად მიზანშეწონილია მოცემულ პირობებში, ჯერ კიდევ მოკლებულია მიმზიდველობის ძალას, ჯერ კიდევ ცივს, ინდიფერენტულ დებულებას წარმოადგენს, რომლიდანაც აქტიობის იმპულსი არ გამომდინარეობს. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, და სუბიექტმა სწორედ მისი განხორციელება გადასწყვიტოს, ახალი ფაქტორის ჩარევას საჭირო. ჩვენ ზემოდაც აღვნიშნეთ და ახლაც ვხედავთ, რომ ამ ახალ ფაქტორს მოტივი წარმოადგენს.

იბადება საკითხი: რას ემყარება მოტივი, როდესაც ქცევის შესატყვისი მოდიფიკაციას ახერხებს? ეს საკითხი ჩვენ გვაიძულებს, მე-ს მოთხოვნილებათა განხილვას მივმართოთ. საქმე ისაა, რომ ნებელობის შემხტვევაში მოქმედების სუბიექტად მე განიცდება. მაგრამ მე, როგორც დავინახეთ, მომენტის ფარგლებს სცილდება, და იგი ისეთი მოთხოვნილებების მატარებელია, რომ არც ერთი კერძო სიტუაციით ან მომენტით არ არის განსაზღვრული. მე-ს, ამ აზრით, თითქოს „გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი“ მოთხოვნილებები აქვს, რომელსაც ყოველს შ ე ს ა ძ ლ ო კერძო მომენტში აქვს ძალა. რა მოთხოვნილებებია ეს მოთხოვნილებები?

მართალია, ყოველი ვ ი ტ ა ლ უ რ ი მოთხოვნილება სრულიად გარკვეულს, კონკრეტულ სიტუაციასთანა დაკავშირებული: იგი სრულიად გარკვეული მომენტის მოთხოვნილებაა. მაგალ., შიმშილი მხოლოდ ყოველს კერძო შემთხვევაში შეიძლება განიცდებოდეს: ზოგადად შიმშილი არ არსებობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე-ს განყენებულ მოთხოვნილებათა წრეში იგიც შედის. საქმე ისაა, რომ, როდესაც ადამიანს ეს გარკვეული მოთხოვნილება გაუჩნდა — როდესაც მას ამ გარკვეულ სიტუაციაში მოშივდება — და იგი მისი დაკმაყოფილების შესახებ დაიწყებს ზრუნვას, იგი ისე როდი იქცევა, თითქოს ეს მოთხოვნილება მარტო ამ მომენტის ფარგლებით განისაზღვრებოდეს — ყველაფერს კი არ სჭამს, რაც გააჩნია — არამედ მხედველობაში ღებულობს, რომ ეს მოთხოვნილება მას მომავალშიც ექნება, და თავის დღევანდელ შიმშილს ამის მიხედვით იკმაყოფილებს.

აპრიგად, იგი ამ თავის ვიტალურ მოთხოვნილებას დღეს ისე ეპყრობა, როგორც მოთხოვნილებას, რომელიც მისი მე-ს მოთხოვნილებაა საზოგადოდ და რომელმაც ამიტომ შეიძლება მომავალშიც იჩინოს თავი. ანდა კიდევ: იგი ყველაფერს როდი სჯამს, რასაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია — მაგალ., უმ ხორცს, ან გემრიელს, მაგრამ მისი ჯანმრთელობისათვის მავნებელ საქმელს, არამედ ისეთს, რასაც ვნების მოტანა არ შეუძლია მისთვის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ ადამიანი, თავისი ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროსაც, არა მომენტის იმპულსით, არამედ თავისი მე-ს საერთო მოთხოვნილებებით ხელმძღვანელობს.

მაგრამ ის, რაც შიმშილის შესახებ ითქვა, შეიძლება ყველა სხვა ვიტალური მოთხოვნილების შესახებაც განმეორდეს: კულტურული ადამიანისათვის აწმყოისა და მომენტის მოთხოვნილებად არც ვიტალური მოთხოვნილება ჩაითვლება.

სულ სხვაა, რასაკვირველია, პირუტყვი, სხვაა ცელური და აგრეთვე ბავშვიც. ისინი უფრო მომენტის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ: სხვა მოთხოვნილება მათთვის არ არსებობს.

მაგრამ ადამიანს სხვა მოთხოვნილებებიც აქვს, რომელთაც უშუალოდ არაფერი აქვთ საერთო ვიტალურ მოთხოვნილებებთან. ეს ის მოთხოვნილებებია, რომელნიც უმადლესი მოთხოვნილებების სახელწოდებით არიან ცნობილნი, სახელდობრ, ჩვენი ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური მოთხოვნილებები. ადამიანს ჭეშმარიტების იდეა აქვს, იდეა სიკეთისა და იდეა მშვენიერებისა, და ყველაფერს, რასაც იგი ხედავს და რასაც აყვებებს, ამ იდეათა თვალთაყ სკვერეტს. მას თავის ყოველდღიურ ქცევაში არა მარტო იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სწადია, რომელსაც ეს ქცევა ემსახურება უშუალოდ, არამედ უმადლესი მოთხოვნილებებისაც. ამრიგად, მისი დაბალი, ვიტალური მოთხოვნილებებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მაღალს: ჩვენი შიმშილი მარტო შიმშილი, შიმველი შიმშილი, როდილაა. მისი დაკმაყოფილების პროცესი უმადლეს მოთხოვნილებებსაც უნდა უწევდეს ანგარიშს. საქმელი უფრო გემრიელი გვეჩვენება, როდესაც იგი ჩვენს ესთეტიკურ გემოვნებასაც ეთანხმება — როდესაც მას ლამაზად მორთულ სუფრაზე და ლამაზი ჭურჭლით გვაწოდებენ — ვიდრე ესთეტიკურად არა მიმზიდველ პირობებში. იგივე ითქმის სხვა ვიტალურ მოთხოვნილებებზეც: სიყვარული, მაგალ., უბრალო სქესობრივი მოთხოვნილებიდან მაღალს ზნეობრივ და ესთეტიკურ გან-

ცდამდე ამადლდა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ენ-  
გელსი.

ამროგად, ადამიანისათვის პირდაპირ დამახასიათებელი შეიქნა, რომ იგი ყოველს თავის მოთხოვნილებას, რომელიც მას სრულიად გარკვეულს მომენტში და გარკვეულს პირობებში უჩნდება, თავისი მე-ს მუდმივს, მაღალს, გარდუევალ მოთხოვნილებებს უკავშირებს და მათს დაკმაყოფილებაზე ამისდა მიხედვით ზრუნავს.

8. მოტივაცია და განწყობა. ეს გარემოება ყოველი ადამიანი-სათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ერთნაირად არა. ზოგი ადამიანისათვის უმაღლეს მოთხოვნილებებს მეტი მნიშვნელობა აქვთ და მეტი ძალა, ხოლო ზოგისთვის ვიტალური მოთხოვნილება ცხოვრების განმსაზღვრელი და სტილის მიმცემი. ზოგისთვის ეს-თეტიკური მოთხოვნილება დაუშრეტელი ენერჯის წყაროა, ზოგისათვის კიდევ — მორალური და ინტელექტუალური მოთხოვნი-ლება. ერთი სიტყვით, ადამიანთა შორის საკმაოდ მრავალმხრივი განსხვავება არსებობს იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნილებებია უფრო დამახასიათებელი მათი მე-სათვის.

რასაკვირველია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თითოეულის წარსულს აქვს — იმ სიტუაციას, რომელშიც მისი ცხოვრება მიმდინარეობდა და რომელშიც იგი აღიზარდა, იმ შთაბეჭდილებებსა და განცდებს რომელთაც განსაკუთრებული წონა ჰქონიათ მისთვის. უპქველია, ყოველივე ამის გამო, თითოეულს თავისი განსხვავებუ-ლი ფიქსირებულნი განწყობები აქვს შექმნილი, რომელიც ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს და შესაფერ პირობებში და განსაზღვრული მიმარ-თულებით მოქმედების მზაობას ედება საფუძვლად. ადამიანის პი-როვნებას, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან: ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგისთვის მოთხოვნილებათა ერ-თი სისტემა ენერჯის მთავარი წყარო და ზოგისთვის მეორე.

თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ ყველაფერს ყველასათვის ერთიდაიგივე ღირებულება როდი აქვს. თითოეული საგანი, თუ მოვლენა, იმის მიხედვით ფასდება, თუ რა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, და მოთხოვნილებები ადამიანთ ხომ სხვადასხვაგვარი აქვთ.

როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგება, თუ როგორ მოიქ-ცეს, შემდეგი გარემოება იჩენს თავს: იმ შესაძლო მოქმედებათა-გან, რომელთაც მისი გონება სცნობს მიზანშეწონილად, მხოლოდ ზოგი იზიდავს მას გარკვეული მხრივ, მხოლოდ ზოგიერთის მიმართ

გრძნობა იგი მზაობას, მხოლოდ ზოგიერთს იწყნარებს, როგორც შესაფერისს, როგორც ქვემარტივად მიზანშეწონილს. მოტივაციის აზრი სწორედ ამაში მდგომარეობს: იგი ისეთ მოქმედებას ეძებს და პოულობს, რომელიც პიროვნების ძირითადს, ცხოვრებაში განმტკიცებულ განწყობას შეეფერება. როდესაც სუბიექტი ქცევის ასეთს სახეობას მიაგნებს, იგი განსაკუთრებულად განიცდის მას: იგი ერთგვარს მიზიდულობას გრძნობს მის მიმართ, იგი მისი შესრულებითვის მზაობას განიცდის. ეს სწორედ ის განცდაა, რომელიც გადაწყვეტის აქტის დროს იჩენს ხოლმე თავს და რომელიც იმ სპეციფიკური განცდის სახით გვევლინება, რომელიც „მე ნამდვილად მინდა“-ს სახელწოდებით იყო ზემოთ დახასიათებული. ეს განცდა თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ სუბიექტს გარკვეული ქცევის განწყობა შეექმნა: გადაწყვეტის აქტი მოხდა, და ეხლა საკითხი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ეხება.

მ. ნებისმიერი და იმპულსური ქცევა. მოტივის როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას გარკვეულ ფსიქოლოგიურ ქცევად აქცევს. ამას იგი იმით ახერხებს, რომ მას პიროვნების ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში რთავს და სუბიექტს მისი შესრულების განწყობას უჩენს. ასე ხდება, რომ ნებისმიერ ქცევას საფუძვლად გარკვეული განწყობა ედება. მაგრამ იმპულსურ ქცევასაც ხომ განწყობა უდევს საფუძვლად! მაშინ რაღა განსხვავება მასსა და ნებისმიერ ქცევას შორის?

ამ მხრივ მართლაც არავითარი განსხვავება არ არის ქცევის ამ ორ ძირითად ფორმას შორის: ორივეს განწყობა უდევს საფუძვლად. ეს ჩვენთვის უდაოა. მაშ, განსხვავება სხვა მიმართულებით უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ეს განწყობა ერთს შემთხვევაში ერთნაირად ჩნდება და მეორეში მეორენაირად, და ქცევის ამ ფორმების განსხვავებაც სწორედ აქ უნდა ვიგულოთ. იმპულსური ქცევის შემთხვევაში — ეს ჩვენ ვიცით — განწყობას აქტუალური სიტუაცია ქმნის. უფრო კონკრეტულად: ცოცხალ არსებას გარკვეული, კონკრეტული მოთხოვნილება უჩნდება; იგი გარკვეულს, კონკრეტულ სიტუაციაში იმყოფება, რომელშიც მან ეს თავისი კონკრეტული მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. ამ აქტუალურად განცდილი მოთხოვნილებისა და აქტუალურად მოცემული სიტუაციის ურთიერთობის ნიადაგზე სუბიექტს გარკვეული განწყობა უჩნდება, რომელიც მის ქცევას საფუძვლად ედება. ასე ჩნდება იმპულსური ქცევა. ბუნებრივია, რომ სუბიექტის განცდა აქ ისეთია, რომ იგი არ

გრძნობს, რომ ქცევის ნამდვილ სუბიექტს მისი მე წარმოადგენდეს: იგი არც მე-ს ობიექტივაციას ახდენს და არც ქცევისას, და ამიტომ იმპულსური ქცევა არასდროს მე-ს თვითაქტიობის გამოვლენად არ განიცდება.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნებისმიერი ქცევის შემთხვევებში. რა იწვევს აქ განწყობას? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ამას აქტუალური სიტუაცია შვება. როგორც ვიცით, აქტუალურ სიტუაციას, ე. ი. იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიც გარკვეულ მომენტში იმყოფება სუბიექტი, ნებელობის შემთხვევაში გადაწყვეტა მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ისაა, რომ სუბიექტი აქ იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე როდი ზრუნავს, რომელსაც ამჟამად განიცდის. ნებელობა აქტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით როდი ხელმძღვანელობს. არა! როგორც ზემოდ იყო გარკვეული, იგი ასე ვთქვათ, „განყენებული“ მოთხოვნების — მე-ს მოთხოვნების — დაკმაყოფილებას ესწრაფის; და გასაგებია, რომ აქტუალურ სიტუაციას, რომელშიც ამ მომენტში იმყოფება სუბიექტი, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს: იგი მე-ს მოთხოვნისებთან სიტუაცია კი არ არის, იგი მომენტის მოთხოვნისებთან სიტუაციაა, რომელთანაც ნებელობას საქმე არა აქვს.

მაშ რა სიტუაციაა, რომ ნებელობის საფუძვლად მდებარე განწყობის შექმნაში ღებულობს მონაწილეობას? მოვიყვანოთ მაგალითი. როდესაც გადასაწყვეტი მაქვს, როგორ მოვიქცე — კონცერტზე წავიდე დღეს, თუ შინ დავრჩე სამუშაოდ — წინასწარ ორივე სიტუაციას წარმოვიდგენ: კონცერტზე ყოფნისასაც და შინ დარჩენისა და მუშაობისასაც; გავიაზრებ ყველაფერს, რაც შესაძლოა შედეგად მოპყვეს ერთს და მეორეს, და, ბოლოს, იმის მიხედვით, თუ მე-ს რა მოთხოვნისებთან გვაქვს საქმე, ან შინ დარჩენის განწყობა მიჩნდება და ან კონცერტზე წასვლისა. რა სიტუაციის ზემოქმედებამ შექმნა ეს განწყობა? უეჭველია, იმ სიტუაციისამ, რომელიც უშუალოდ, აქტუალურად კი არ მქონდა მოცემული, არამედ ჩემ მიერ იყო წარმოდგენილი და გააზრებული. ნებელობის შემთხვევაში ის ქცევა, რომელიც გადაწყვეტილების საგნად უნდა შეიქმნეს, მომავალში უნდა მოხდეს. მაშასადამე, არც მისი სიტუაცია შეიძლება აწმყოში იყოს მთლიანად მოცემული: იგი შეიძლება მხოლოდ წარმოსახული და გააზრებული იყოს. ამიტომ, საკვირველი არაა, რომ განწყობას, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ჩნდება და რომელიც ნებისმიერი ქცევის პროცესს ედება სა-

ფუძვლად, წარმოსახული ან აზრითი სიტუაცია კმნის.

როგორც ვხედავთ, იმპულსური და ნებისმიერი ქცევის განწყობათა გენეზისი სხვადასხვაგვარადაა პირობადებული: პირველს აქტუალური სიტუაცია უდევს საფუძვლად, მეორეს — წარმოსახული ან აზრითი სიტუაცია.

10. ნებელობის აქტიურობა. რა მნიშვნელობა აქვს ამ განსხვავებებს? ძალიან საყურადღებო. ნებელობის შემთხვევაში განწყობას მართლა სუბიექტი კმნის; იგი მართლა მისი აქტიობის შედეგს წარმოადგენს. მართლაც, წარმოსახვა, აზროვნება ხომ ერთგვარი შემოქმედებაა; იგი ერთგვარი ფსიქიკური პროცესია, რომელშიც სინამდვილე პასიურად როდია ანარეკლი, არამედ აქტიურადაა ასახული. ნებელობის შემთხვევაში სუბიექტი ამ აქტიურ პროცესებს — წარმოსახვასა და აზროვნებას — მიმართავს, მათი საშუალებით თავისი შესაძლო ქცევის სიტუაციას კმნის, იდეურ სიტუაციას აგებს, რომელიც მასში გარკვეულ განწყობას იწვევს; და ეს განწყობაა ნებისმიერი ქცევის პროცესს რომ საფუძვლად ედება.

ამრიგად, ნებელობის შემთხვევებში სუბიექტი თვითონ კმნის განწყობას: იგი აქტიურია უდაოდ. რასაკვირველია, იგი უშუალოდ, პირდაპირ, როდი იწვევს განწყობას: ეს მას არ შეუძლია; ამას ის არც ცდილობს. მისი აქტიობა იმაშია, რომ წარმოსახულს, აზრითს, ერთი სიტყვით, იდეურ სიტუაციას კმნის და ამით შესატყვისი განწყობის გამოწვევას ახერხებს. სხვაგვარი აქტიობა საზოგადოდ არაა ადამიანისათვის დამახასიათებელი: ჩვენი აქტიობა უშუალო შემოქმედებაში როდი იჩენს თავს, არამედ გაშუალებულში: ადამიანისათვის, საერთოდ, სწორედ იარაღით მოქმედებაა სპეციფიკური.

ამიტომ გასაგებია, რომ ნებელობის აქტში სუბიექტი თვით აქტიობას გრძნობს. ეს განცდა ძალიან თავისებური სახით გვეძლევა. როგორც ვიცით, მისა აღეკვატური დახასიათება ასე შეიძლება: „ახლა მე ნამდვილად მინდა“. აქ რამოდენიმე მომენტი ერთდროულად მოცემული, და ამ თავისებურ განცდას ყველა ეს მომენტები ერთად ახასიათებენ: ჭერ განცდა, რომ „მე“-ა აქ აქტიური, რომ „მე“-ს უნდა. მერე მეორე განცდა, რომ მას ნამდვილად უნდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტისთვის ისეთი განცდაცაა ცნობილი, რომელშიც მას მხოლოდ უნდა და არა ნამდვილად უნდა. ნებელობის აქტში ნდომის ეს ნამდვილობაა ხაზგასმული. დასასრულ, მესამე მომენტი ასეთია: სუბიექტი გრძნობს, რომ აი, ახლა მას უკვე ნამდვილად უნდა. იგი თითქოს ადასტურებს,

რომ აი, ეხლა მასში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომ „აი, ეხლა მას ნამდვილად უნდა“. მაშასადამე, ნებელობის განცდაში, რომელიც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ერთს მთლიან განცდას წარმოადგენს, მოცემულია, ერთი მხრივ, უტყუარი მე-საქტიობის განცდა, მაგრამ ამავე დროს ისეთი აქტიობის, რომლის დაწყებაც მე-ზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თითქოს უიშისოდ ხდება: მე მხოლოდ ადასტურებს თითქოს, რომ „აი, ეხლა უკვე მას ნამდვილად უნდა“, ხოლო აქამდე ან არ უნდოდა და ან ნამდვილად არ უნდოდა. განცდა ისეთია, თითქოს აქამდე საეჭვო იყო, უნდოდა მას ნამდვილად თუ არა; ახლა კი ცხადია, რომ მას მართლა ნამდვილად უნდა: თითქოს ეს ცვლილება მასში მისი მონაწილეობის გარეშე მომხდარიყოს. ეს სპეციფიკური განცდა უეჭველი აქტიობისა და იმავე დროს უეჭველი დამოკიდებულებისა ცალკე და მახასიათებელია ნებელობის აქტისათვის: იგი ყველა მნიშვნელოვანს ესპერიმენტულ გამოკვლევებში დადასტურდა, რომელსაც კი ნებელობის აქტის აღწერა ჰქონდა მიზნად დასახული (მიშოტი და პარიუმი და სხვ.).

როგორ შეიძლება ამ სპეციფიკური განცდის ახსნა? საიდან მომდინარეობს იგი? ჩვენთვის ამ საკითხის პასუხი ძნელი არაა. საფიქრებელია, რომ ეს განცდა ნამდვილ ანარეკლს წარმოადგენს იმისას, რასაც ნებელობის აქტის დროს აქვს ადგილი სუბიექტში. ამ განცდის მიხედვით, სუბიექტში ისეთი რაღაც უნდა ხდებოდეს, რაც, ერთის მხრივ, მის აქტიობას ამყდვენებს, ხოლო, მეორის მხრივ, მის პასიობას, მის დამოკიდებულებას. ის, რაც ნებელობის არსის შესახებ ვიცით, შეიძლება სწორედ ასეთი განცდის საფუძვლად გამოდგეს. მართლაცდა ნებელობის აქტი ხომ იმაზე მიუთითებს, რომ აი ამ მომენტში სუბიექტში განწყობა აღმოცენდა, რომელიც მის შემდგომ ქცევას დაედება საფუძვლად და გარკვეული გზით წაიყვანს მას. მაშასადამე, სუბიექტს აქამდე „არ უნდოდა“ თითქოს და აი ეხლა უკვე „უნდა“ და „უნდა ნამდვილად“, რადგანაც განწყობა ნამდვილად მხოლოდ ახლა შეიქმნა მასში. ამ განწყობის შექმნა მისი საქმეა. ამდენად იგი უეჭველად აქტიურია; და ბუნებრივია, რომ იგი ამ აქტიობას განიცდის კიდევ. მაგრამ იგი ხომ პირდაპირ ვერ მოქმედობს განწყობაზე, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ შესცვალს, გამოიწვიოს ან აღკვეთოს, არამედ იგი იდეური სიტუაციის საშუალებით მოქმედებს მასზე. ხოლო როდის გამოიწვევს ეს იდეური სიტუაცია განწყობას, ეს სრულიად არაა სუბიექტის სურვილზე დამოკიდებული: მას მხოლოდ დადასტურება შეუძლია, მოხდა მასში მის მიერ შუალობით გამოწვეული ცვლილება, თუ არა.

როგორც ვხედავთ, ნებელობის შემთხვევაში ადამიანში მართლა ისეთი პროცესი ხდება, რომ იგი აქტიურადაც უნდა განიცდიდეს თავს და პასიურადაც.

11. ნებელობის თავისუფლების პრობლემა. ამასთან მკიდროდ არის დაკავშირებული ნებელობის თავისუფლების პრობლემა — უძველესი პრობლემა, რომელიც წარსულში უფრო ხშირად მეტაფიზიკური მსჯელობის საგანს შეადგებდა, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიებისას.

ნებელობის თავისუფლების საკითხი პირველ რიგში ფსიქოლოგიური საკითხია. მიუხედავად ამისა, მის შესწავლას მორალური ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია და კრიმინალისტიკა უფრო აწარმოებდა, ვიდრე მეცნიერული ფსიქოლოგია. ეს იმით აიხსნება, რომ ამ საკითხის გადაჭრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ზნეობრივის, საწრმუნებრივისა და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით: თუ ადამიანი თავისუფალია, თუ მისი ქცევა საესებით მასზეა დამოკიდებული, მაშინ ზნეობრივად მოქცევა იგი თუ არა; შეასრულებს რელიგიურ ნორმებს თუ არა; დაემორჩილება იურიდიულ ნორმებს თუ არა; ყველაფერი ეს მისი ხელთ იქნება, და ამით ჩვენ შესაძლებლობა გვძლევს, მასზე სათანადო ზეგავლენა მოვახდინოთ: დავსაჯოთ, როდესაც ცუდად იქცევა, და დავაჯილდოვოთ, როდესაც კარგად იქცევა.

ამ საკითხის გადაწყვეტის ორი მოპირდაპირე ცდა არის ცნობილი — ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი: ინდეტერმინიზმი, რომელსაც ნებელობა თავისუფალ ძალად მიაჩნდა, ძალად, რომელიც მიზეზობრიობის საყოველთაოდ გავრცელებულ კანონს არ ემორჩილება, და დეტერმინიზმი, რომელსაც, პირიქით, ნებელობის დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მიზეზობრივი რკალის გარეშე მოქმედების უნარი არ სწამდა. ნებელობის ემპირიული კვლევის შედეგად თითქოს საბოლოოდ დადასტურდა, რომ დეტერმინიზმი უფრო უკეთ ეთანხმება ფაქტებსაც და ზოგად მეცნიერულ პრინციპებსაც. რომლის მიხედვითაც შეუძლებელია უმიზეზოდ რაიმე ხდებოდეს. კერძოდ, ნებელობის აქტის დამოკიდებულება მოტივზე, ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, თითქოს საბოლოოდ უნდა ამტკიცებდეს ინდეტერმინიზმის უსაფუძვლობას. მიუხედავად ამისა, ნებელობის თავისუფლებაზე ლაპარაკის აღკვეთა სრულიად შეუძლებელია.

საქმე ისაა, რომ ფაქტების რიგი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევაში ნებელობის მიმდინარეობა ისეთია, რომ მასში



უეჭველი თვითაქტიობის, უეჭველი დამოუკიდებლობის განცდაა მოცემული. იქ, სადაც ამას ადგილი არა აქვს, იქ ნებელობის შესახებ არაფერს ვთქვამთ: იქ იმპულსურ ქცევასთან გვაქვს საქმე. ეს ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტია, მაგრამ იგი უაჩიროდაც საყოველთაოდაა ცნობილი. სხვა არა იყოს რა, თვითონ ცნება ნებელობის თავისუფლების შესახებ არ გაჩნდებოდა, რომ მას ჩვენს განცდაში საფუძველი არ ჰქონოდა. საკითხი შეიძლება მხოლოდ იმას ეხებოდეს, შეცთომამში შევყავართ ამ შემთხვევაში ჩვენს ცნობიერებას, ილუზიაა ნებელობის თავისუფლება თუ არა. და იმ შემთხვევაშიც, ის რომ ილუზია აღმოჩნდეს, ფსიქოლოგიის წინაშე მაინც იდგომება ნებელობის თავისუფლების საკითხი: გაშოსაკვლევია იქნება, თუ როგორ ჩნდება და რას ემყარება ეს ილუზია.

რასაკვირველია, ფაქტია, რომ მოტივაციის გარეშე ნებელობის აქტი არ ხდება. მაშასადამე, დეტერმინიზმი მართალია: ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ერთიდაიგივე მოტივი ყოველთვის ერთსადაიმავე აქტს არ იწვევს: ერთხელ რომ იგი ერთ შედეგს იძლევა, მეორეხელ მის მიმართ სრულიად უძლეური რჩება. მიზეზობრიობის ცნებას ასეთი ფაქტები სრულიად არ ეგუება: მიზეზი განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის განსაზღვრულ შედეგს იწვევს. ამიტომაც შეუძლებელია, რომელიმე გარკვეული მოტივი ან მოტივთა ჯგუფი კაუზალურად დაუკავშიროს გარკვეულ ნებელობის აქტს. მაშასადამე, დეტერმინიზმი მაინც არ არის მართალი.

საქმის ნამდვილი ვითარება უფრო ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ცნობიერებამ ჩვენ სრულიადაც არ შევყავართ შეცთომამში, როდესაც ნებელობის აქტს, როგორც თავისუფალ აქტს, განიცდის. როდესაც ადამიანი ნებელობას მიჰართავს, იგი წინასწარ აქტუალური სიტუაციის იმპულსს ხელიდან უსხლტება, მისი იძულებისაგან თავისუფლდება: იგი არ აძლევს მას — აქტუალურ სიტუაციას, ან აქტუალურ „ველს,“ როგორც იტყოდა ლევინი — შესაძლებლობას, მასში შესატყვისი მოქმედების განწყობა გამოიწვიოს. მაგრამ ეს უკვე ერთგვარი თავისუფლებაა — თავისუფლება, ასე ვთქვათ, ნეგატიური: თავისუფლება უმოქმედობისა. მაგრამ ამავე ნიადაგზე მოქმედების თავისუფლებაც აიგება. სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული მოქმედების განწყობას და, მაშასადამე, თვითონ იწვევს დამოუკიდებლად ამ მოქმედებას. ეს უკვე მოქმედების თავისუფლებაა. მას სუბიექტი — და მხოლოდ სუბიექტი — განსაზღვრავს, იმიტომ რომ ის განწყობა,

რომელიც მას უდევს საფუძვლად, მთლიანად სუბიექტის მიერაა შექმნილი: მისი ობიექტური ფაქტორი, სიტუაცია, გარედან როდია იძულებით მოცემული: იგი, როგორც წარმოსახული, როგორც აზრითი სიტუაცია, სუბიექტის აქტიობის ნაყოფია. რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია: იგი მე-ს მოთხოვნის ლეზათა სისტემითაა განსაზღვრული.

ამრიგად, უდაოა, რომ ის განწყობა, რომელიც ნებელობის აქტში ისახება და ნებისმიერი მოქმედების პროცესს წარმართავს, სუბიექტის დამოუკიდებელი აქტიობის ნაყოფია. ამ მხრივ, ნებელობის თავისუფლების განცდა მთლიანად დსაბუთებულია.

მაგრამ, მეორის მხრივ, ეს თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს საფუძველმოკლებულობას, მიზეზგარეშობას: ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობას რომ მთლიანად განწყობა წარმართავს, ეს ჩვენთვის უდაოა. მაშასადამე, ამ მხრივ არავითარ ინდეტერმინიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება, ხოლო რაც შეეხება, კერძოდ, ნებელობის აქტს — გადაწყვეტის მომენტს, რომელშიც განწყობის აღმოცენება ხდება — რაც შეეხება თვითონ ამ განწყობას, არც ის დგას ყოველგვარი მიზეზობრიობის გარეშე. ჩვენ ვიცით, რომ მასაც, სწორედ ისე, როგორც ჩვეულებრივს, იმპულსური ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობასაც, სიტუაცია განსაზღვრავს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთ შემთხვევაში აქტუალურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორეში — წარმოსახულს, ან აზრითს სიტუაციასთან. მაგრამ აქ ამ გარემოებას ხომ სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: სიტუაციას — წარმოსახული იქნება იგი, თუ აქტუალური, სულ ერთია — ორივე შემთხვევაში თანაბრად შესწევს ძალა განწყობის აღმოცენების მიზეზის როლში გამოვიდეს: ნებისმიერი ქცევის საფუძველად მდებარე განწყობა მთლიანად ისევე დეტერმინირებულია აზრითი სიტუაციით, როგორც იმპულსური ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა — აქტუალურით.

ამრიგად, ნებელობა თავისუფალია, რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან მომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულით, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადებულია.

## ნეზელოზის პათოლოგია

პათოლოგიური შემთხვევების შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალური პროცესების ნამდვილი ბუნების გასაგებად, და, რასაკვირველია, ამ მხრივ გამოწვევის არც ნებელოზის პათოლოგია შეადგენს. მეტიც შეიძლება ითქვას: რადგანაც ნებელოზის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია განსაკუთრებით დიდ დაბრკოლებებს ზღვება — იმ ინტიმური კავშირის გამო, რომელიც პიროვნებასა და მის ნებელოზს შორის არსებობს — ავადმყოფურ შემთხვევებს, როგორც თვითონ ბუნების მიერ დაყენებულ ექსპერიმენტებს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სწორედ ნებელოზის ფსიქოლოგიაში ენიჭება. აქ ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ერთის მხრივ, შევაპოწმოთ, თუ რამდენად სწორია ის მოსაზრებები, რომელიც ნებელოზის არსის შესახებ კვლევის სხვა გზით იქნა ჩვენ მიერ მონახულა, და, მეორის მხრივ, აქ მოწოდებული ახალი მასალით ნიადაგზე ჩვენი საკვლევი საგნის, ნებელოზის, ზოგიერთი ახალი მხარე დაინახოთ: ნებელოზის ფსიქოპათოლოგია ამოწმებს და ავსებს ნებელოზის ფსიქოლოგიას.

თუ ამ თვალსაზრისს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ნათელი გახდება, რომ აქ ნებელოზის პათოლოგიის სრული სურათი კი არა, მხოლოდ ძირითადი შემთხვევები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

1. ნებელოზის პათოლოგიურ შემთხვევათა ერთ ჯგუფს მოქმედების თუ ცალკე მოძრაობის ის შემთხვევები შეადგენენ, რომელთათვისაც იძულებითობაა დამახასიათებელი. ზნირად ავადმყოფი გრძნობს, რომ მოძრაობას, მოქმედებას, რომლის წარმოდგენაც მას, კაცმა არ იცის საიდან გაუჩნდა, არავითარი აზრი არა აქვს, რომ ზოგჯერ იგი მავნებელიცაა. მიუხედავად ამისა, იგი იძულებულია მაინც შეასრულოს ის და მაშინ ერთგვარ შემსუბუქებას გრძნობს. თუ არა და, იძულება ისე ძლიერი ხდება, რომ ავადმყოფს თავის შეკავების ძალა სრულიად ეკარგება. ხაზგასანმელია, რომ ავადმყოფმა მშვენივრად იცის, თუ რას ჩადის; იცის, რომ მას ისეთი მოქმედების ჩადენა უნდა, რომელსაც არავითარი აზრი არა აქვს, რომელიც უხერხულია და უადგილოა. ზოგჯერ შეიძლება დამლუპველიც იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში იგი მოუხმობს ახლობლებს — მოვიდნენ და ხელი შეუშალონ მას, ან ჩაამწყვდიონ ოთახში, რომ, მაგალ., მკვლელობა არ ჩაიდინოს და სხვ. ეს ნების მიხედვით, ამ შემთხვევებისათვის ის გარემოებაა სპეციფიკური, რომ სუბიექტი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევს იძულებას.

ერთი სიტყვით, ავადმყოფს რომელიმე მოქმედების ან ცალკე

მოდრაობის შესრულების დაუძლეველი ტენდენცია უჩნდება, რომელსაც იგი. როგორც უაზროს, უადგილოს, უზნეოს, ზოგჯერ დამლუპველს. ერთხანს წინააღმდეგობას უწევს; მაგრამ ბოლოს მაინც უთმობს, თუ რომ ამისი ტექნიკური შესაძლებლობა არ აქვს წართმეული. ავადმყოფი ყველაფერს ამას შეგნებულად ეპყრობა. მან არ იცის ოლონდ. საიდან გაუჩნდა მას ეს უძლეველი და უაზრო ტენდენცია.

პათოლოგიურ შემთხვევათა ამ ჯგუფში სხვადასხვა სირთულის მოძრაობები და მოქმედებები შედის, დაწყებული უმარტივესით — როგორცაა ე. წ. ფ ს ი ქ ა ს თ ე ნ ი კ ი ს გაუმართლებელი მოძრაობები („ტ ი კ ე ბ ი“), რომელსაც შესაფერ პირობებში თავისი აზრი ექნებოდათ: მაგალ. ბექების აწევ-დაწევა, თავის ქნევა, თითქოს შესამოწმებლად. კარგად ხურავს თავზე ქუდი თუ არა — და გათავებული საკმაოდ რთული მოქმედებებით: თვითმკვლელობა, ცეცხლის წაკიდება და სხვ.

იმისათვის, რომ პათოლოგიურ შემთხვევათა ამ ჯგუფის თავისებურება ნათლად დარჩეს ცნობიერებაში, გავეცნოთ ერთ საინტერესო დაკვირვებას: ნერვულ დაავადებათა კლინიკაში მოლის ერთი ქალი, რომელიც შემდეგზე ჩივის: ეს რამოდენიმე წელია, მას ახირებული, სრულიად გაუგებარი ჩვეულება გაუჩნდა: ერთბაშად მას მოუნდება სტვენა. მოუნდება ისეთი ძალით, რომ სრულიად ვერ ახერხებს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ სურვილს, და იძულებული ხდება დაუთმოს მას. სტვენას ხელების მოძრაობა მოჰყვება, თითქოს რაიმეს თავიდან იშორებდეს, რამეზე უარს ამბობდეს; ბოლოს დამშვიდდება და ახალ შეტევამდე სრულიად ნორმალურ ადამიანად გრძნობს თავს.

რა შეიძლება ითქვას ამ მოვლენათა შესახებ? მათი ბუნების გასაგებად განსაკუთრებით მათს სპეციფიკურ თავისებურებაზე უნდა შევჩერდეთ. ავადმყოფი საერთოდ კარგადაა ფსიქიკურად შენახული; მას გარკვეულ მოძრაობათა შესრულების დაუძლეველი მისწრაფება უჩნდება; იგი სრული შეგნებით ეპყრობა ამ მისწრაფებას; იცის მისი უაზრობა; მაგრამ არ იცის, საიდან მომდინარეობს იგი; არ იცის, რად უნდა მას ეს მოძრაობა.

ჩვენ ვიცით, რომ მოქმედებას, საზოგადოდ, პირდაპირ კი არ იწვევს სტიმული, არამედ იმ განწყობის საშუალებით, რომელსაც იგი სუბიექტში ქმნის. ჩვენ ვიცით, რომ მოქმედებას ეს განწყობა განსაზღვრავს. ამაში ჩვენ დავრწმუნდით მაშინაც, როდესაც იმპულსური ქცევის შესახებ ვლაპარაკობდით, და მაშინაც, როდესაც ნებისმიერ ქცევას ვსწავლობდით. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულს

პათოლოგიურ შემთხვევებშიც განწყობა თამაშობს როლს; რომ ის უდევს საფუძვლად იმ მოქმედებას, რომლის იმპულსსაც გრძნობს და ვერ უმკლავდება ავადმყოფი. თუ ვიგულისხმებთ, რომ რალაც მიზეზის გამო ოდესღაც სუბიექტს გარკვეული მოქმედების განწყობა გაუჩნდა, რომ ეს განწყობა მას მტკიცედ შერჩა, რომ ამავე დროს მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს არც მისი სუბიექტურისა და არც ობიექტური ფაქტორის შესახებ, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ გრძნობს იგი გარკვეული მოქმედების მტკიცე ტენდენციას, და რატომაა, რომ არ იცის, თუ საიდან მომდინარეობს ეს ტენდენცია.

ასეთი მდგომარეობა რომ შესაძლებელია — რომ შესაძლოა, ადამიანი ერთგვარი მოქმედების მიმართ უძლეველ ტენდენციას გრძნობდეს, მაგრამ სრულიად არ იცოდეს, თუ რად და რატომ უნდა მას ამ მოქმედების შესრულება. ეს ჩვენ პოსტჰიპნოტური შთაგონების ფაქტიდან ვიცით. ეს უკანასკნელი იმდენად თვალსაჩინოდ მოგვაგონებს ჩვენს პათოლოგიურ შემთხვევებს, რომ მათი სრული გაიგივება შეიძლება. ჩვენ რომ ავიყვანოთ ერთერთი ასეთი ავადმყოფი და მერე რომელსაღე ჯანმრთელ სუბიექტს ჰიპნოტურ ძილში სწორედ იმ მოქმედების შესრულება დაევალოთ გაღვიძების შემდეგ, რომლისადმი უძლეველ ტენდენციითაც ჩვენი ავადმყოფია დაავადებული, ვნახავთ, რომ ამ ორ სუბიექტს შორის სრულიად არაფერი განსხვავება არ იქნება: ერთიცა და მეორეც დაუძლეველ ტენდენციას იგრძნობენ ერთისადიმავე მოქმედების შესრულების მიმართ. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ერთს ჰიპნოტურ ძილში შთაგონებით ამ მოქმედების შესრულება, ხოლო მეორეს, არ ვიცით, საიდან გაუჩნდა იგი. განასრული საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ტენდენციის საფუძველი არსებითად ორივეს ერთნაირი უნდა ჰქონდეს, ე. ი. ავადმყოფის პათოლოგიური ტენდენციაც არსებითად იმავე წარმოშობის უნდა იყოს, როგორისაც ჯანმრთელის შთაგონებული ტენდენცია! მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ შთაგონება ჰიპნოტური ძილის დროს შესატყვის განწყობას ქმნის. რომელიც გაღვიძების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, და აიძულებს სუბიექტს გარკვეული მოქმედება შეასრულოს.

ამრიგად, პოსტჰიპნოტური შთაგონების საფუძველს განწყობა შეადგენს. ეს ექსპერიმენტულად დამტკიცებულს, უდაო დებულებას წარმოადგენს. მაშასადამე, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ავადმყოფური, დაუძლეველი ტენდენციის განცდასაც განწყობა უნდა ედოს საფუძვლად.

როგორ შეიძლება მოუხსნო სუბიექტს პოსტჰიპნოტური შთაგონ-

რებიდან გამოძინარე ტენდენცია? სულ უბრალოდ. საკმარისია დააწმენოთ, რომ ეს ტენდენცია მას ჰიპნოტურ ძილში შთააგონებს. რათა იგი იწამსვე თავიდან მოიშოროს. ეს ფაქტი უეჭველად იმაზეც მიგვითითებს. თუ როგორ შეიძლება ნებელოზის აღნიშნული ღვაწულების განკურნება. არის ფაქტები, რომელიც გვარწმუნებს, რომ აქაც საესებით იმავე ხერხს აქვს ძალა, რასაც პოსტჰიპნოტური შთაგონების გაფანტვის შემთხვევაშიც. ზემოაღნიშნული ავადმყოფი თავისთავად განიკურნა, როგორც კი მოხერხდა ჰიპნოტური ძილის დროს გამართული საუბრის ნიადაგზე იმ მოთხოვნისა და იმ სიტუაციის გამოკვევა. რომლის ნიადაგზეც მისი ავადმყოფობის საფუძვლად მდებარე განწყობა იყო აღმოცენებული.

2. ნებელოზის პათოლოგიური სისუსტე აბულიის სახელწოდებითაა ცნობილი. აბულიის შემთხვევები მრავალია ფსიქოპათოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილი. ერთერთი მათგანი ჩვენ ზემოთაც გვქონდა დასახელებული (ბენე-ს შემთხვევა). აქ მოვიყვანთ ერთ ძალიან ცნობილ შემთხვევას, რომელიც Billod-ის მიერ იყო პირველად აღწერილი. ერთს აბულიით დაავადებულ ნოტარიუსს ხელშეკრულება ჰქონდა დასაღები. დაწერა ტექსტი თავიდან ბოლომდე და ახლა ხელიდა უნდა მოეწერა. მაგრამ, დახე, მან ეს ვერ მოახერხა. ათჯერ და ასჯერ სცადა თავისი გვარის მოწერა. ვერ იქნა და ვერა: როგორც კი კალამს ქაღალდს მიუახლოვებდა, ხელი უარს ეუბნებოდა საშახურზე, მაშინ როდესაც იმავე ხელით ჰაერში დაუბრკოლებლივ ასრულებდა ყველა იმ მოძრაობებს, რაც მისი სახელისა და გვარის მოსაწერად იყო საჭირო. მხოლოდ 45 წუთის წვალებით შემდეგ შესძლო ხელისმოწერა და ისიც ძლიერ უხვიროდ.

აბულიური ნების სისუსტე დამახასიათებელია უფრო ხშირად თანდაყოლილი ნევროპათიებისათვის, ჰისტერიისათვის, ფსიქასთენიისათვის. მისი სახესხვაობა ბევრნაირია; არსებითად კი ყველგან ერთსადაიმაც მოვლენასთან გვაქვს საქმე: ავადმყოფს არაჩვეულებრივ დაქვეითებული აქვს სულ მარტივი განზრახული აქტიობის უნარიც კი.

ფსიქოპათოლოგიურ ლიტერატურაში ამ მოვლენის ახსნის სხვადასხვა ცდაა ცნობილი:

1) რიბო ფიქრობს, რომ დაავადება გრძნობის დაქვეითებით უნდა აიხსნას: როდესაც არაფერი გიზიდავს, როდესაც არც სიამოვნებას გვგრის რამე და არც უსიამოვნებას; როდესაც სრულ გულგრილობას განიცდი ყველაფრის მიმართ, მაშინ რაღა მოქმედების უნარზე, რაღა აქტიობაზე შეიძლება ლაპარაკი, რაღა

ნებისმიერ ძალისხმევაზე: მაგრამ ზემოაღნიშნული Billod-ის ნოტარიუსის შემთხვევა ცუდად ეთანხმება ამ თეორიას: ნოტარიუსი სრულიად არ იყო აპათიურად განწყობილი იმის მიმართ, რაც უნდა გაეკეთებია. აბულის შემთხვევები იმდენად მცირე აუცილებლობითაა გულგრილობის ანუ აპათიის მდგომარეობასთან დაკავშირებული, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით (ვე რ ნ ი კ ე, კ რ ა ფ ტ ე ბ ი ნ კ და სხვ.), აბულის საფუძვლად, პირიქით, ძლიერი ემოციური აგზნებადობა უნდა ჩაითვალოს.

2) საყურადღებოა პ. ჟანეს თეორია. მისი მიხედვით, აბულის შემთხვევებში სინამდვილის ფუნქციის დაზიანებული: ავადმყოფი თითქოს უცხო ქვეყანაში ცხოვრობდეს — მას არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა, ყურადღების კონცენტრაცია, რაც აუცილებელია, როდესაც ისეთს რასმე აკეთებ, რასაც რაიმე რეალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, რომ ავადმყოფი მნიშვნელობასმოკლებულ საქმეს კარგად აკეთებს, ანდა ისეთ საქმეს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობას მას კი არ დააკისრებთ, არამედ თვითონ აიღებთ თქვენს თავზე.

უფრო მარტივი იქნებოდა შემდეგი ახსნა. რა ეძნელება აბულის? იგი ვერ მოქმედობს; მისი ქცევა ისე დაუბრკოლებელი ვერ მიმდინარეობს, როგორც ეს ნორმალური ადამიანისათვის არის ჩვეულებრივი. მაშასადამე. უნდა ვიფიქროთ, მას სათანადო მოქმედების განწყობა არა აქვს. ვინაიდან, როგორც ვიცით, მოქმედების პროცესს სწორედ განწყობა წარმართავს. უგანწყობოდ შეიძლება რაიმე ცალკე მოძრაობა მოხერხდეს როგორმე, მაგრამ მოქმედება, როგორც მოძრაობათა აზრიანი სისტემა, შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ჰისტერიული სიდაძმლის დროს ავადმყოფს ცალკე მოძრაობათა შესრულება კარგად შეუძლია; მაშასადამე, კუნთების სისტემა სრულიად დაუზიანებელი აქვს; მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ მოძრაობათა აზრიან მოქმედებად გაერთიანების ძალა არა აქვს: ჰისტერიულს, მაგ. სიარული არ შეუძლია. მაგრამ თუ ვინიცობა მას განწყობა გაუჩნდა, სიდაძმლე სრულიად უგზო-უკვლოდ გაუვლის. შეიძლება მოხდეს, რომ აბულის მხოლოდ წარმოსახული სიტუაციის ზეგავლენით არ უჩნდებოდეს განწყობა, თორემ უშუალო სიტუაციაში იგი ნორმალურად მოქმედებდეს. ასეა, მაგალ., ფსიქასთენიის შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს მარტო ყოფნის დროს კარგად შეუძლია ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, მაგალ., წერა., მაგრამ სხვისი თანდასწრებით ამას ვერ ახერხებს.

ამრიგად, აბულის შემთხვევათა შესწავლა კვლავ იმ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ნებელობის პროცესში გადამ-

წყვეტ როლს განწყობა უნდა თამაშობდეს. აბულიკს რომ მართლა განწყობის სფეროში აქვს სპეციფიკური დეფექტი, ამას ექსპერიმენტული საბუთიც მოეპოვება. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ფსიქასთენიის შემთხვევაში ერთხელ შემუშავებული განწყობა დიდხანს ვერ სძლებს. იგი მალე იკარგება: ფსიქასთენიკის განწყობა ლაბილურია.

3) კიდევ უფრო საინტერესოა განწყობის თეორიის თვალსაზრისით ე. წ. აპრაქსიის შემთხვევები. გაკვრით აპრაქსიის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მასზე. ჰუგო ლიპმანს შემდეგ, რომელმაც პირველად აღწერა ეს დაავადება, აპრაქსიის სახელწოდებით იმ შემთხვევებს აღნიშნავენ, როდესაც ავადმყოფს—მოძრაობის აპარატის სრული სისალის მიუხედავად — სრულიად მარტივი ნებისმიერი მოქმედების შესრულებაც არ ძალუძს.

დავასახელოთ ზოგიერთი კლასიკური შემთხვევა! 1) ჯეკონის ერთი ავადმყოფი ვერაგზით ვერ ახერხებდა ენის გამოყოფას. როდესაც ამას ექიმი მოსთხოვდა მას; მაგრამ სრულიად დაუბრკოლებლივ ისველებდა ენით ტუჩებს, როდესაც ამისი იმპულსი გაუჩნდებოდა; 2) გოლდშტეინის ავადმყოფი ექიმის წინადადებით თვალის დახუჭვას ვერ ახერხებდა, მაგრამ როდესაც დასაძინებლად დაწვებოდა, ეს მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა; 3) ცნობილია შემთხვევები, რომ აპრაქსიით დაავადებული მშვენივრად იხსნის და იკრავს ტანისამოსის ღილებს ყოველ დილა-სალამოს, როდესაც ტანთ იცვამს ან იხდის. მაგრამ საკმარისია წინადადება მისცეთ, ღილი გაიხსნას ან შეიკრას, რომ ამ მარტივი ოპერაციის შესრულება იმწამსვე შეუძლებელი გახადოთ მისთვის; 4) საინტერესოა ლიპმანის შემთხვევები ე. წ. იდეატორული აპრაქსიისა: ავადმყოფს სრულიად არ ძალუძს რომელიმე საკმარად რთული აქტის სწორი შესრულება: იგი კარგად ასრულებს ყველა ნაწილობრივ აქტებს, რომელიც ამ რთულ აქტს შეადგენს, მაგრამ ერთიერთმანეთში ურევს, მათს წესიერ თანამიმდევრობას ვერ იცავს, რათა მართლა ერთი რთული მთლიანი მოქმედება შეასრულოს. მას, ლიპმანის თქმით, „მოქმედების ფორმულა“ აქვს დარღვეული.

აპრაქსიის ბუნება არაჩვეულებრივ ნათელი ხდება, რაწამს მას განწყობის ჩვენი თეორიის თვალთ შევხედავთ. მართლაცდა, იმ წამსვე თვალში გეცემათ ის გარემოება, რომ ავადმყოფი ერთს შემთხვევაში მშვენივრად ასრულებს ერთს მოქმედებას და მეორეში სრულიად უძლური ხდება იგივე მოქმედება გაიმეოროს. რა შეიძლე-



ბა იყოს ამისი მიზეზი, თუ არა ის, რომ ერთ შემთხვევაში მას ქვემდებარე მოქმედების შესატყვისი განწყობა აქვს და მეორეში არა. მაგრამ როდის, რა პირობებში აქვს ეს განწყობა და რა პირობებში არა აქვს იგი? როდესაც აქტუალური მოთხოვნილება გარკვეული მოქმედების შესრულებას მოითხოვს — დაძინებისათვის თვალების დახუჭვაა საჭირო და ტანისამოსის გახდისათვის დასაწოლად ღილების გახსნა — ავადმყოფს არცერთი ასეთი მოქმედება არ ეძნელება. მაშასადამე, ასეთ პირობებში მას სათანადო ქცევის უნარი მთლიანად დაუკლებია.

მაგრამ როდესაც მას ამავე მოქმედების აქტუალური მოთხოვნილება არა აქვს და როდესაც მან ის მოქმედება უნდა შეასრულოს, რომელსაც წარმოსახული სიტუაცია მოითხოვს, მაშინ ყველაფერი ირღვევა, და ავადმყოფი ჩვეული მარტივი მოქმედების შესრულებასაც ვერ ახერხებს: წარმოსახული, თუ გააზრებული სიტუაცია უძლურია, მას შესატყვისი განწყობა გაუჩინოს. უდაოა, ავადმყოფს ნებელობა აქვს დაზიანებული.

ერთად ერთი, რასაც აქ განმარტება ესაჭიროება, ეს ისაა, თუ რატომ ვლავარაკობთ ჩვენ წარმოსახულის, თუ გააზრებული სიტუაციის შესახებ, როდესაც ავადმყოფს რამე გაკეთების წინადადებას აძლევენ. უდაოა, რომ ავადმყოფს იმის გაკეთება, რასაც მას ავალბენ, ამჟამად სრულიად არ ესაჭიროება. მაშასადამე, მის აქტუალურ მოთხოვნებთან სიტუაციაში ისეთი არაფერია, რომ ამ მოქმედების შესრულებას მოითხოვდეს. მართლაც, ავადმყოფის აქტუალური სიტუაცია ასეთია: ის ექიმის ოთახშია, მას სინჯავენ, იკვლევენ მის ჭანმრთელობას. ღილის გახსნას თუ ენის გამოყოფას ეს სიტუაცია ასრულიად არ მოითხოვს. მაშასადამე, მან უნდა წარმოისახოს, უნდა აქტუალური გახადოს ისეთი სიტუაცია, რომელიც ამ აქტს მოითხოვს, თუ უნდა, რომ ექიმის დავალება შეასრულოს. უნდა ვიფიქროთ, ზოგიერთ შემთხვევაში ალბათ მას ამის ძალა არ შესწევს, ზოგიერთში შესაძლოა, მან სათანადო სიტუაცია წარმოიდგინოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მასში სათანადო განწყობის შექმნა ვერ შესძლო.

ამრიგად, აპრაქსიის ბუნება სრულიად ნათელი ხდება, თუ მას მართლა ნებელობის დაავადებად წარმოვიდგინებთ. მაშინ საკვირველი არ იქნება, რომ აქტუალური სიტუაციაში ავადმყოფი შესატყვისი მოქმედების სრულ უნარს ინარჩუნებს: იმპულსური ქცევა მას დაუზიანებელი აქვს.

1. შთაგონების პრობლემა. გარდა იმპულსურისა და ნებისმიერი ქცევისა აქტიობის სხვა ფორმებიც არსებობს. მათი ღიფერენციაცია იმის მიხედვით შეიძლება მოხდეს, თუ რა იწვევს განწყობას, რომელიც ამ აქტიობის მიზნინარობას ედება საფუძვლად. იმპულსური და ნებისმიერი აქტიობა ზემოთ სწორედ ამ ნიშნით განვასხვავეთ ურთიერთისაგან: ერთ შემთხვევაში განწყობას აქტუალური მოთხოვნების სიტუაცია იწვევს, ანდა მოკლედ — აქტუალური სიტუაცია, ხოლო მეორეში — იდეური ანუ წარმოსახვითი თუ აზრითი სიტუაცია.

იბადება საკითხი: არის თუ არა შემთხვევები, რომ მოქმედების განწყობას სხვა რამეც ქმნიდეს?

აქ პირველ რიგში ე. წ. შთაგონება უნდა იქნეს დასახელებული. დღეს მის არსებობაში ეჭვი არაეის შეაქვს. რას წარმოადგენს იგი? პირველად ეს ცნება ძალიან ვიწრო აზრით იხმარებოდა. როგორც ცნობილია, ჰიპნოტური ძილის დროს შესაძლებელი ხდება დაძინებულმა (დაჰიპნოზებულმა, შედიუმმა) ჰიპნოტიზორის წინადადება ბრძანებად განიცადოს, რომელსაც იგი უსათუოდ ასრულებს. შესაძლებელი ხდება ისიც, რომ ბრძანება გაღვიძების შემდეგ იქნეს შესრულებული, თუ ჰიპნოტიზორის სურვილი ასეთი იქნება („პოსტჰიპნოტური შთაგონება“). გამოირკვა, რომ იგივე ეფექტი სიფხიზლეშიც შეიძლება მიიღო. აქაც ხდება ზოგჯერ, რომ ადამიანი მეორის ბრძანებას თავისდაუნებურად და შეუცნობლად ემორჩილება და ასრულებს ხოლმე. აი, ასეთს ზემოქმედებას ერთი ადამიანისას მეორეზე შთაგონებას, უწოდებენ და განასხვავებენ ჰიპნოტურ შთაგონებას, პოსტჰიპნოტურ შთაგონებას და სიფხიზლეში მიღებულ შთაგონებას.

რაკი გამოირკვა, რომ შთაგონება სიფხიზლეშიც ხერხდება, ბუნებრივად ისმის საკითხი, რა პირობებში ხდება იგი. შტერნის მიხედვით, პირობათა ორი ჯგუფი უნდა განვასხვავოთ: ა) პირობები, რომელიც აუცილებელია შთაგონების მისაღებად და ბ) პირობები, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ შთაგონების გადაცემა შეიძლებოდეს.

ა) იმისათვის რომ სუბიექტმა შთაგონება მიიღოს, სამი პირობაა საჭირო: 1) იგი შთაგონებადი უნდა იყოს — ადვილად დამჩერი, უკრიტიკოდ განწყობილი, უინიციატივო სუბიექტი, ჩვეულებრივ, უფრო შთაგონებადია, ვიდრე საწინააღმდეგო ნიშნების მქონე ადამიანი. მაგრამ შთაგონებადი არა მარტო ასეთი ადამიანია;

2) სიტუაცია, რომელშიც იმყოფება სუბიექტი, ისეთს ზოგად ატმოსფეროს უნდა ქმნიდეს, რომ დამოუკიდებელის, დაკვირვებული მსჯელობის წარმოებას ხელს უშლიდეს (ემოციური სიტუაცია); 3) შთაგონება ისეთ მხარეს უნდა ეხებოდეს, რომელშიც ნაკლებაა სუბიექტის დამოუკიდებლობა მოსალოდნელი: მისთვის შედარებით უცხო სფეროს, უცხო საკითხებს და ისეთებს, რომ მისი ნებისყოფის ჩვეულებრივ მიმართულებას არ ეწინააღმდეგებოდეს.

ბ) რაც შეეხება შთაგონების გადაცემას, მისთვის მთავარ პირობას შთაგონების გადაცემის სპეციფიკური თვისება, მ შ თ ა გ ო ნ ე ბ ლ ო ბ ა ა ნ უ ს უ გ ე ს ტ ი ვ ო ბ ა შეადგენს. ექვევლია: რომ შთაგონება ყველას როდი შეუძლია, თუნდ მისი მიღების პირობები ყველა მაქსიმალურად იყოს დაცული: ამისათვის პიროვნების ერთგვარი სპეციფიკური ზოგადი ნიშანია საქირო — სუგესტივობა. უამნიშნოდ ვერც მკერამეტყველება მოიტანდა სათანადო ეფექტს და ვერც გარეგნობის ზოგიერთი ხელსაყრელი თვისება, რომელსაც სუგესტივი სუბიექტის ხელში, პირიქით, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

სუგესტივობა არა მარტო ადამიანს აქვს — შესაძლებელია, იგი კოლექტივიდანაც მომდინარეობდეს. მაგ., ე. წ. პ ა ნ ი კ ი ს შემთხვევაში ყველას მოიცავს შიში და ყველა თავისთვის ანგარიშში უცემლად გარბის; ანდა ყველა რომ აღფრთოვანებული ტაშით ხვდება ან აცილებს რომელსამე მსახიობს, ეს იმიტომ ხდება, რომ კოლექტივი, მასა, შთაგონებითს გავლენას ახდენს ერთეულებზე.

ასეთივე შთაგონების მაგალითს წარმოადგენს მ ო ლ ა ც, ჩ ა ც მ ა - დახურვას ეხება იგი, თუ სხვას რასმე, სულ ერთია: იგი კოლექტივიდან მომდინარე სუგესტივობის ნაყოფს შეადგენს.

შეიძლება სუგესტივობა საგნებსაც ჰქონდეს. ამის საუკეთესო მაგალითს ე. წ. რ ე კ ლ ა მ ა იძლევა.

შესაძლებელია თ ვ ი თ შ თ ა გ ო ნ ე ბ ა ც. როდესაც რისამე ძლიერი სურვილი გაქვს, ბოლოსდაბოლოს, ზოგჯერ მისი განხორციელების ფაქტურობაში რწმუნდები. ასეთსავე როლს ასრულებს ხშირად მოლოდინი და შიშიც: პანიკის შემთხვევაში ჩვენ არა მარტო კოლექტივიდან მომდინარე შთაგონებასთან გვაქვს საქმე, არამედ შიშის განცდიდან მომდინარე თვითშთაგონებასთანაც.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელი ხდება, ადამიანმა არა თავისი აქტუალური მოთხოვნილების, არა თავისი საკუთარი ნებელობის, არამედ სხვისი ზეგავლენის მიხედვით იმოქმედოს, და ამავე დროს ისეთი განცდა ჰქონდეს, თითქოს თავისი საკუთარი სურვილის თანახმად, და არა რაიმე

უცხო იმპულსით, მოქმედებდეს. ასეთ შემთხვევებში შთაგონებ-  
ბასთან გვაქვს საქმე.

როგორც ვხედავთ, შთაგონებული ქცევისათვის ისაა დამახასია-  
თებელი, რომ სუბიექტი ვერ გრძნობს, რომ მის ქცევას სხვისი ნე-  
ბისყოფა წარმართავს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სხვისი  
ნებელობა მართლაც არ წარმართავს შთაგონების შემთხვევაში  
შთაგონებულის ქცევას, რომ ნამდვილად იგი თვითონ მართავს მას,  
მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად სხვისი ბრძანების მეტს არა-  
ფერს ასრულებს. იმის ჩვენება რომ როგორმე შესაძლებელი ყო-  
ფილიყო, რომ ეს მართლა ასეა, მაშინ შთაგონების საიდუმლოება  
ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდებოდა. ვნახოთ, ხომ არ არის ეს  
მართლა როგორმე შესაძლებელი.

ვთქვათ, რომ პიპნოტიზორი სუბიექტის ქცევაზე როდი  
ახდენს უშუალოდ გავლენას, მასში ამა თუ იმ ქცევის აქტებს  
როდი იწვევს უშუალოდ, არამედ პირველ რიგში თვითონ სუ-  
ბიექტზე ახდენს სპეციფიკურ გავლენას. ვთქვათ, რომ იგი ისე  
ცვლის მას, რომ იგი თავისი ნებასურვილით აკეთებს იმას, რაც ნამდ-  
ვილად შთაგონებელს ნებავს. მაშინ როგორი იქნება სუბიექტის  
განცდა ან საქმის ნამდვილი ვითარება? სწორედ ისეთი, როგორიც  
შთაგონების შემთხვევაშია: სუბიექტი მართლაც იმას გააკეთებს, რაც  
მას, სწორედ მას უნდა, და არა სხვას ვისმე, თუმცა ამით იგი ობიექ-  
ტურად სხვისი ბრძანების შესრულების მეტს არაფერს აკეთებს. მა-  
შასადამე, საფიქრებელი ხდება, რომ შთაგონების შემთხვევებში სუ-  
ბიექტის მოქმედებაზე როდი ხდება უშუალო ზეგავლენა, არამედ მის  
პიროვნებაზე, რომელიც ისე იცვლება, რომ მას მისწრაფება, მზაობა.  
განწყობა უჩნდება, გარკვეული ქცევის აქტები შეასრულოს; და  
როდესაც იგი ამ აქტებს ასრულებს, იგი საკუთარი განწყობის, და  
არა სხვისი ბრძანების, რეალიზაციას ახდენს. გასაგებია, რომ მას  
განცდაც სწორედ ასეთი აქვს.

ამრიგად, შთაგონებას განწყობის მექანიზმი უნდა ედოს საფუ-  
ძვლად: სხვანაირად მისი დამაკმაყოფილებელი ახსნა შეუძლებელ  
იქნებოდა. საბედნიეროდ, არსებობს ფაქტიური საბუთიც, რო-  
მელიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. როგორც ზე-  
მოთაც იყო აღნიშნული, ჩვენ ექსპერიმენტულად დავამტკიცეთ,  
რომ ე. წ. პოსტპიპნოტური შთაგონება პიპნოტურა ძილში შექმნი-  
ლი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. მაგრამ ის, რაც  
ამ შემთხვევაში პოსტპიპნოტური შთაგონების შესახებ ითქმის, რა-  
საკვირველია, სრული უფლებით ყოველგვარი სხვა შთაგონების  
შესახებ შეიძლება განმეორდეს.

2. იძულება და მისი როლი ნებელობის გენეზისში. არის ისეთი მოქმედების შემთხვევებიც, როდესაც საქმე არც იმპულსურ ქცევასთან გვაქვს, არც ნებისმიერთან და არც შთაგონებასთან. აქტიობის ყველა ამ შემთხვევას სუბიექტურად ერთი რამ მაინც აქვს საერთო. სუბიექტის განცდა სამივე შემთხვევაში ისეთია, თითქოს იგი თავისი სურვილის მიხედვით მოქმედებდეს, იმას აკეთებდეს, რაც მას და არა სხვას ვისმე, უნდა. მაგრამ ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას როდი ახლავს ასეთი განცდა თან. არის შემთხვევები, რომ ჩვენ იძულებას განვიცდით: ჩვენ ვმოქმედობთ, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ამ შემთხვევაში სხვის ნებას ვასრულებთ, რომ საკუთარი სურვილით ამას ხელს არ მოვკიდებდით. აქ ყველა ის შემთხვევები იგულისხმება, როდესაც გარედან მომდინარე მოთხოვნებს ვასრულებთ და ვიცით, რომ ეს გარედან მომდინარე მოთხოვნებიანია: ამის მაგალითებს წარმოადგენს: 1) კომანდა, რომელსაც ჯარისკაცი ასრულებს. 2) კანონი ან წესი, რომელსაც სახელმწიფო ან რომელიმე ორგანიზაციის ავტორიტეტი უდევს საფუძვლად და რომლის შესრულებაც სავალდებულოა. 3) ბრძანება, რომელიც, მინდა-არ მინდა. უნდა შევასრულო: ბრძანება უფროსისა უმცროსისადმი, ბატონისა მონისადმი. წინანდელ საზოგადოებრივ ფორმაციებში მოქმედების ამ ფორმას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: შრომა მაშინ უმთავრესად ამის გამოვლენას წარმოადგენდა.

სხვა შესაძლო შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, დასახელებული მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაში მდგომარეობს აქტიობის ამ სახეობის თავისებურება. როგორც უკვე იყო ნათქვამი, აქ ძირითადი იძულებითობაა: ადამიანი იძულებული ხდება ის გააკეთოს, რასაც მას უკარნახებენ. იბადება საკითხი: როგორ ხორციელდება აქ მოქმედება? რა წარმართავს მას? განწყობის შესახებ ლაპარაკი ძნელია. საქმე ისაა, რომ აქ სუბიექტი მოქმედებას როგორც თავზე მოხვეულს, როგორც იმულებითს, განიცდის და არა როგორც თავის საკუთარ აქტიობას. მაგრამ, მეორის მხრივ, საზოგადოდ შეუძლებელია, რაიმე მეტად თუ ნაკლებად რთული მოქმედების პროცესი განწყობის გარეშე მიმდინარეობდეს. საკითხის გადაჭრა შემდეგში უნდა ვეძიოთ: სუბიექტი, თუმცა იძულებით, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მაინც თვითონ ღებულობს თავის თავზე დავალებულ საქმეს, მაინც იწყებს მას. მაშასადამე, ამ საქმეს მაინც ის ასრულებს და ამდენად იგი მაინც მისი საქმეა. მაშასადამე, განწყობის სრული უარყოფისთვის საბუთი არ გვრჩება.

ეს გარემოება გასაგებად ხდის, რომ, ბოლოსდაბოლოს, ამ კატეგორიის მოქმედება ნებისმიერი ქვეყნის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს, იმ ნიადაგს, რომელზეც, ნაწილობრივ მაინც, ადამიანის ნებელობა აღმოცენდა. საქმე ისაა, რომ იძულებითი აქტიობის შემთხვევაში ადამიანი იმას აკეთებს, რის მიმართაც მას ამჟამად სრულიად არავითარი იმპულსი არა აქვს. ჩვენ ვიცით, ნებელობის ერთერთ სპეციფიკურ ნიშანს სწორედ ის გარემოებაც შეადგენს, რომ სუბიექტი აქ თავისი აქტუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად როდი მოქმედობს, იგი იმას კი არ აკეთებს, რაც უნდა, არამედ იმას, რაც ამჟამად მისთვის აქტუალური არაა, რაც ეხლა მას შეიძლება სრულიადაც არ უნდოდეს. ერთი სიტყვით, ნებელობის ერთერთი დამახასიათებელი მომენტი ისაა, რომ ადამიანი აქ იმიტომ კი არ აკეთებს რაიმეს, რომ ეს მას ამჟამად უნდა, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. მაშასადამე, იძულებითი აქტიობა ამ მხრივ ერთგვარს წინასაფეხურს წარმოადგენს ნებელობისათვის: იგი აჩვენებს ადამიანს იმის კეთებას, რასაც აქტუალურ სურვილებთან საერთო არაფერი აქვს, იგი საფუძველს უყრის ამ მხრივ ადამიანის ნებელობას. მაგრამ დასრულებული ნებელობის შემთხვევაში მოქმედებას ხომ განწყობა უდევს საფუძვლად! აქედან თითქოს ნათელი ხდება, რომ ამგვარი განწყობის შესაძლებლობა იძულებითი მოქმედების პროცესში უნდა მომზადებულ იყოს.

ამისდა მიხედვით, ნებელობის გენეზი ამ მიმართულებით თითქოს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პირველად იყო ბრძანება, იმიტომ, რომ თვითონ ბრძანებელს არ უნდოდა იმის გაკეთება, რის გაკეთებასაც სხვას ავალებდა. ხოლო რაც არ უნდოდა, ამის გაკეთების ძალა მას არ შესწევდა, იმიტომ რომ მას ნ ე ბ ე ლ ბ ა ჯერ კიდევ არ ჰქონდა. მონა იძულებული იყო ბრძანება შეესრულებია, ე. ი. ისეთი საქმე გაეკეთებია, რომლის მიმართ მას არავითარი აქტუალური ინტერესი არ ჰქონდა. მაგრამ იგი ამას იძულებით აკეთებდა. იძულებიდან გამომდინარე იმპულსით. ამატომ მისი მოქმედება, ბოლოსდაბოლოს, უფრო იმპულსური იყო, ვიდრე ნებისმიერი: ნებელობა ჯერჯერობით არც მას ჰქონდა. ნამდვილი ნებელობა მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ადამიანი მიეჩვია, ბრძანება სხვის მიმართ კი არა, თავის თავის მიმართ აკეთა. მაგრამ თავის მიმართ ბრძანება — ბრძანება აღარ არის: იგი მოთხოვნილებაა იმის გაკეთებისა, რისი გაკეთების მოთხოვნილებაც სუბიექტს ამ მომენტში არ აქვს. იგი მე-ს მოთხოვნილებათა ხელმძღვანელი როლის შეგნებაა. მაშასადამე, იგი ნამდვილი ნებელობის აღმოცენების მაჩვენებელია.

როგორია ბავშვის აქტიობის განვითარების გზა, სანამ იგი დასრულებული ნებელობის საფეხურს მიაღწევდეს? ამ საკითხის დაწვრილებითი შესწავლა ცალკე ფსიქოლოგიური დისციპლინის, ბავშვის ფსიქოლოგიის ამოცანას შეადგენს. აქ, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში, საკმარისი იქნება, თუ უმთავრესად იმას შევეხებით, რასაც ადამიანის აქტიობის, განსაკუთრებით კი ნებელობის, ბუნების გასაგებად აქვს მნიშვნელობა.

დიდი ხანია, რაც ბავშვს, როგორც სენსორტორულ არსებას, ანასიათებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი შთაბეჭდილება მასში უშუალო რეაქციის შედეგად იმპულსს იწვევს. გარედან იქნება ეს შთაბეჭდილება მომდინარე, თუ შიგნიდან — თვითონ ორგანიზმიდან, ეს სულერთია: იგი იმწამსვე რეაქციით თავდება. მაშასადამე, ბავშვის რეაქციებს ისევე შემთხვევითი, ისევე მოუწესრიგებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს, როგორც შინა და გარე შთაბეჭდილებებს, რომელნიც ამ რეაქციას იწვევენ. სუბიექტი, როგორც შინაგანი აგენტი, ცენტრი, რომელიც წესსა და რიგს შეიტანდა ამ უთავბოლო ქაოსში, ზოგ შთაბეჭდილებას რეაქციით უპასუხებდა, ზოგს სრულიად უპასუხოდ დასტოვებდა, ზოგიერთს მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებდა, სხვებს მეორე პლანზე დააყენებდა, ასეთი სუბიექტი ახალდაბადებულ ბავშვში ჯერ კიდევ არსად ჩანს. იმისათვის, რომ ასეთი სუბიექტი გაჩნდეს, განვითარდეს და დასრულდეს, დროა საჭირო, სახელდობრ, მთელი ბავშვობის ხანა, რომელიც არსებითად მხოლოდ იმ მომენტიდან შეიძლება საბოლოოდ დამთავრებულად ჩაითვალოს, რაც მოზარდი ადამიანი გათვითცნობიერებულ მე-დ გადაიქცევა, რომელსაც თავისი ცხოვრების ნამდვილი ნებელობითი რეგულაციის უნარი აქვს შემუშავებული.

ბავშვის განვითარების პროცესი სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობს: იგი მოწესრიგებულ გარემოში იზრდება. ამ გარემოებას მისი აქტიობის განვითარების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: ბავშვზე მოქმედ შთაბეჭდილებებს ქაოტიური ხასიათი ეკარგება, ვინაიდან მათ კარგა ხნის განმავლობაში, სანამ ბავშვი ჯერ კიდევ სუსტია, მოზარდილი აწესრიგებს. იგივე ხდება ბავშვის მოთხოვნილებების მიმართაც: მოზარდილს წესი და რიგი მათი დაკმაყოფილების საქმეშიც შეაქვს. ყველა ამის გამო, ბავშვს თანდათანობით მოწესრიგებული რეაქციები უმუშავდება, რომელთაც თავდაპირველად ე. წ. პირობითი რეფლექსების სახე აქვთ:

ბავშვი გარკვეულ შთაბეჭდილებებზე გარკვეული რეაქციების მოცემას ეჩვევა, ხოლო სხვებზე რეაქციის შეკავების უნარი ვითარდება. ელემენტარულ მოთხოვნილებებს გარკვეულ დროსა და გარკვეული წესით იკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, მოწესრიგებულ გარემოს ზეგავლენით ბავშვს გარკვეული ელემენტარული ჩვევები უმუშავდება, რომელთაც ამ სენსომოტორულის, ამ უაღრესად იმპულსური არსების ქცევაში ერთგვარი წესი და რიგი შეაქვთ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ქცევის მოწესრიგებისათვის სიტყვიერ ზეგავლენასაც, რომელსაც თავიდანვე მივმართავთ, როგორც კი ბავშვში მისი გაგების ნიშნებს დაინახავთ: ბავშვს წარამარა ვუკრძალავთ იმის გაკეთებას, რაც არ შეიძლება; და ვასწავლით და ვაქეზებთ ისე მოიქცეს, როგორც ჩვენ მიგვაჩნია წესიერად. ამრიგად, ბავშვის წინაშე აკრძალულისა და ნებადართულის მთელი სისტემა იგება, რომელიც მის ქცევას თანდათანობით იმპულსის ბატონობისაგან ათავისუფლებს და მოწესრიგებულ მიმართულებას აძლევს. ასე თუ ისე, 1-3 წლის ბავშვი იძულებული ხდება, თავისი იმპულსების თანდათანობითს შეზღუდვასა და უფროსებისაგან ნაჩვენები გზით მოქმედებას მიეჩვიოს. ამ პერიოდის ბავშვის ქცევისათვის განსაკუთრებით სპეციფიკური ის არის, რომ იგი ადვილად ემორჩილება დისციპლინას, რომელიც მას გამუდმებით გარკვეული მიმართულებით წვრთნის.

მაგრამ ამავე წლებში ბავშვის აქტიობა სხვა მიმართულებითაც ვითარდება. პირველისა და მეორე წლის განმავლობაში ბავშვი განსაკუთრებით თავისი ჭხეულის დაუფლებით არის დაინტერესებული. მალე იგი ფეხსაც სწავლობს. ეს გარემოება სულ უფროდაუფრო ათავისუფლებს მას მომვლელთაგან. თვითონ პროცესი სხეულის დაუფლების, განსაკუთრებით კი ფეხის სწავლისა, საკმაოდ დიდს დაძაბულობას, საკმაოდ თვალსაჩინო ძალისხმევას მოითხოვს, და საინტერესოა, რომ ბავშვი სრულიად არ გაურბის ამას; პირიქით, ეტანება კიდევ მას, სანამ მიზანს არ მიაღწევს და სიარულს არ ისწავლის. ბავშვის ქცევას რომ დააკრძოთ, როდესაც ის ფეხს სწავლობს, იძულებული იქნებით იფიქროთ, რომ ნამდვილს ნებისმიერ ქცევასთან გაქვთ საქმე — ისე დიდია ბავშვის დაძაბულობა და ისე მიზანმიმართულია მთელი მისი ქცევა. ნამდვილად, რასაკვირველია, ნებისმიერ ქცევაზე ლაპარაკი ჭერჭერობით სრულიად უადგილოა: ნებელობის როლს ამ შემთხვევაში ის იმპულსი ასრულებს, რომელიც თანშობილი ფუნქციის მომწიფების სწრაფვიდან გამომდინა-



რეობს. სიარულის მექანიზმი საკმარისად მომწიფებულია, და მისი ამოქმედება ამიერიდან პირდაპირ აუცილებელი ხდება. ესაა, რომ ბავშვი ეგოდენ თვალსაჩინო ძალისხმევის წყაროდ იქცევა და ყველა სხვა იმპულსს, რომელიც ყოველთვის, შესაძლოა, გაჩნდეს, ეგოდენ წარმატებით ჩრდილავს. ხშირია შემთხვევა, რომ ბავშვი ძირს ეცემა, შეიძლება იტყინოს კიდეც რამე; მიუხედავად ამისა, ის მაინც დაეინებით განაგრძობს ცდას, კვლავ ფეხზე დადგეს და გაიაროს. ეს გარემოება ბავშვს ძალისხმევას, წინააღმდეგობის გაწევას ასწავლის. იგივე ხდება მის ელემენტურ თამაშშიც, რომელშიც ბავშვი თავის უძლიერეს ტენდენციათა ამოქმედების მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. ამ ტენდენციების იმპულსური ძალა დიდია. და ბავშვი მათი დახმარებით საწინააღმდეგო ტენდენციებთან და სხვა დაბრკოლებებთან ბრძოლას ეჩვევა.

ამრიგად, პირველი სამი წლის ბავშვის<sup>1</sup> აქტიობისათვის განსაკუთრებით ორი ურთიერთის წინააღმდეგ მიმართული ტენდენციაა დამახასიათებელი: ერთის მხრივ, იგი ადვილად, თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, ემორჩილება იმ რეგულაციას, რომელიც დიდებს შეაქვთ მის აქტიობაში, ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც ჩვილი ბავშვობის ხანის დისციპლინა მიმართავს მის გასაწვრთნელად. ამ მხრივ ბავშვი სანთელივით მოქნილი და პლასტიკურია. მეორის მხრივ, მასში თანშობილი, ბუნებრივ ტენდენციების ძლიერი იმპულსის ხელმძღვანელობით, დაბრკოლებებთან ბრძოლის, ძალისხმევისა და წინააღმდეგობის დაძლევის უნარი ვითარდება.

3-4 წლისათვის ამ უკანასკნელის განვითარების პროცესი იმდენად მაღალ დონეს აღწევს, რომ იგი 1-3 წლის ბავშვისათვის სპეციფიკურს მორჩილებისა და პლასტიკურობის ტენდენციას ვეღარ ურიგდება; ამსხვრევს მას და ბავშვის ქცევის მთელ სტრუქტურას თავისებურად გარდაქმნის. ესაა ეს ტენდენცია დგება პირველ რიგში, და მორჩილი და სანთელივით რბილი ბავშვი, უაღრესად თვითნებურს, ეჩინანსა და ჭიუტ არსებად იქცევა. იგი თავისი სურვილების უდრეკ იმპულსებს ააშკარავებს; ხშირად არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას გვიწევს და, თავისი რომ გაიტანოს, ზოგჯერ პირდაპირ საოცარს ძალისხმევის უნარს ამჟღავნებს. ერთხანს თითქმის სრულიად შეუძლებელი ხდება მასთან ბრძოლა, და მისი ქცევის მოწესრიგება ზოგჯერ მხოლოდ ფიზიკური იძულებით ხერხდება.

ამ ე. წ. „პირველი ეჩინანობის ხანაში“ ბავშვი წამდაუწუმ უფროსების წინააღმდეგობას ხვდება, მათი ნებელობის უდრეკობას მტკივნეულად განიცდის, მათი მოთხოვნილებისა და

წესების უძლეველობას ეცნობა და ძალიან მალე აქტიობის განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. მას ობიექტურად არსებული წესის, ობიექტურად არსებული ვითარებისა და მისი გარდუვალობის ან უძლეველობის ცნობიერება უვითარდება. იგი ხელახლა მორჩილი და მოქნილი ხდება. განსხვავება პირველ პერიოდთან შედარებით ისაა, რომ იქ ბავშვი იძულებას სუბიექტურად ვერ გრძნობდა. ახლა კი იგი გრძნობს, რომ ობიექტურ ვითარებას ანგარიში უნდა გაუწიოს, წესებს ვერ შესცვლის და უნდა დაემორჩილოს: ეხლა იგი იძულებას სუბიექტურადაც განიცდის.

ამისი შესაფერი ხდება მისი თამაშის შინაარსიც. ბავშვი მეტი ხალისით მონაწილეობს კოლექტიურ თამაშში, რომელშიც გარკვეული წესების დაცვა აუცილებელია. მას ახლა ამ წესების გაგებისა და მათი მორჩილების ძალა შესწევს, და იგი ხალისით ააშკარავებს ამ ძალას: მისი თამაშში შეგნებული, იძულებული ქცევის უნარს ავითარებს.

ამრიგად, ბავშვს 3-4 წლის ენობისა და ნეგატივიზმის (წინააღმდეგობის გაწევის) აღარაფერი რჩება; ამიერიდან იგი წესის გარდუვალობასა და აუცილებლობას გრძნობს; იგი მის იძულებით ძალას ცნობს და თავისი ნებით ემორჩილება. რასაკვირველია, ამით იგი აქტიობის უფრო მაღალ დონეს აღწევს. მომავალი განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქცევის ამ ახალ პირობებში ნებელობის მტკიცე საფუძვლები მზადდება, და მისი გამოვლენის პირველი ნიშნები იჩენენ თავს.

შეგნებული იძულებითი ქცევა რომ ნებელობის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ასეა თუ ისე, წინა პერიოდის მიმდინარეობაში მომწიფებულს ძლიერ იმპულსებს ბავშვი ეხლა გარედან მომდინარე წესებს უმორჩილებს, როგორც ისეთებს, რომელთა შესრულების აუცილებლობაში ეხლა მას ექვი არ შეაქვს. ეხლა მან იცის და ზოგჯერ ამას ხმამაღლა გამოთქვამს, რომ ის, რასაც წესი ავალებს. სრულიადაც არ მოსწონს მას, მაგრამ მაინც უნდა შეასრულოს. ამ წესის მიზანშეწონილების საკითხს იგი საზოგადოდ არ აყენებს, იმიტომ რომ ასეთი თვალსაზრისი ჯერ კიდევ უცხოა მისთვის: მას, ე. ი. წესს საფუძვლად უფროსის — დედ-მამის, აღმზრდელის — ავტორიტეტი უძევს. 4-7 წლის ასაკში, რომელსაც ქცევის განვითარების

ეს საფეხური ახასიათებს, ავტორიტეტის ცნობიერება განსაკუთრებული ენერგიით ვითარდება. ამ პერიოდის ბოლო წლისათვის ბავშვს საკმაოდ მტკიცედ აქვს მომწიფებული იმის შესრულების უნარი, რასაც მას ავტორიტეტი ავალებს. ეს უკვე ნებელობის ელემენტების საკმაოდ მომწიფებას გულისხმობს.

მესამე პერიოდი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ბავშვი, ქცევის იმ ფორმის ფარგლებში. რომელსაც სწავლა წარმოადგენს, თავისი ქცევის დამოუკიდებელი წარმართვის უნარს ეჩვევა; მაგრამ არა იმ მიზნების მიმართულებით, რომელსაც თვითონ ისახავს, არამედ იმ მიზნებისა, რომელზეც ავტორიტეტი მიუთითებს. სპეციფიკური ამ პერიოდისათვის ისაა, რომ მოზარდს იმ მიზნებისა და იმ წესების მიზანშეწონილების საკითხი უჩნდება, რომელსაც უფროსების —ოჯახისა და სკოლის—ავტორიტეტი აწოდებს მას, ოღონდ ეს საკითხი იმაში როდი მდგომარეობს, რომ ბავშვს ეპკი შექმონდეს მათს მიზანშეწონილებაში და ამის შემოწმება უნდოდეს. იგი იმთავითვე, როგორც უეჭველად მიზანშეწონილს, იწყნარებს მათ, და აზრადაკი არ მოდის, რომ შესაძლებელია, მისი ავტორიტეტები სცდებოდნენ. სწავლა ამ ასაკის ბავშვის მთავარი ქცევის ფორმაა, და იგი წესისა და რიგის მნიშვნელობას ბავშვის ყოველდღიური განცდის საგნად აქცევს. სწავლის პროცესი ხელს უწყობს მოწესრიგებული, სისტემატური ქცევის უნარის შემდგომ განმტკიცებას.

მაგრამ ამავე პერიოდში აქტიობის მეორე მომენტიც განაგრძობს განვითარებას, მომენტი, რომელიც თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აუცილებელ კონფლიქტში მოდის პირველთან, ე. ი. ავტორიტეტის მიერ დაწესებული წესების უკრიტიკო მორჩილების ტენდენციასთან. ჯერ ერთი, მოზარდის ფიზიკური განვითარება მისი პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლის, მისი ფიზიკური ორგანიზმის, გადახალისებას იწვევს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ენდოკრინულ სისტემაში წარმოებულ ცვლილებას, პირველ რიგში ჯირკვალთა აქტიობის გადანაცვლებას. სასქესო ჯირკვლების აქტივაცია თავის დაღს აჩენს მთელ ორგანიზმს. ეს უკანასკნელი ახლა დასრულებულს, დამთავრებულ ინდივიდუალობას წარმოადგენს, რომელსაც უკვე საკმარისად აქვს დამოუკიდებელი ცხოვრების ძალები მომწიფებული: მოზარდს ერთბაშად დამოუკიდებლობის ძლიერი მისწრაფება უჩნდება. ამასთან ერთად სწავლის პროცესში მომწიფებული ინტელექტი მას დახმარებას უწყევს, კრიტიკული თვალთ შეხედოს და შეაფასოს ყველაფერი ის, რასაც მას ამდენხანს ავტორიტეტი აწვდიდა. შედეგი ისაა, რომ მო-

ზარდი ერთხელ კიდევ ძირიან-ფესვიანად ცვლის თავის ქცევას: ყველაფერს, რისიც აშენ ხანს ეგოდენ სჯეროდა და რასაც საკმაო ხალხით ემორჩილებოდა, ახლა უარყოფით უწყებს ცქერას, და იგაკვლავ თვითნება, კვლავ ეინიან, კვლავ ნეგატივისტურად განწყობილ არსებად იქცევა, რომელსაც თავისი თავის საუკეთესო ბატონ-პატრონად თავისი თავილა მიაჩნია.

ამგვარად, სქესობრივი მომწიფების ხანაში ხელმეორედ იჩენს თავს ნეგატივიზმი, ეინიანობა და ჭიუტობა. მოზარდი სუვერენული დამოუკიდებლობისა და ყველაფრის დღემდე არსებულის უღმობელი უარყოფის შეუღრეკელ ტენდენციას გრძნობს.

ეინიანობის ეს მეორე ხანაც მალე თავდება და ადამიანის ქცევის განვითარების ახალს, ეხლა უკვე უმაღლეს საფეხურს უთმობს ადგილს. მისი ფანტაზია და მისი ინტელექტი საკმაოდაა განვითარებული, რათა მან თავისი ქცევის რეგულაცია თვითონვე იკისროს. მისი გაძლიერებული თვითცნობიერება, მისი გამუდმებული ზაზგასმა საკუთარი მე-სი და ამ უკანასკნელის იდეალებისა საკმარისად ამზადებს მას იმისათვის, რომ ამიერიდან თავისი ქცევის სუბიექტად სწორედ ეს მე აქციოს — მისი მყარი მისწრაფებებითა და იდეალებით. ამრიგად, მოზარდი ადამიანი უკვე საბოლოოდ ნებისმიერი აქტიობის საფეხურს აღწევს.

## ხასიათი

1. ხასიათის ცნება. შეიძლება, თუ არა ნებელობის დისპოზიციის შესახებ ვილაპარაკოთ, თუ ნებელობა მხოლოდ ცალკეულ აქტებით ამოიწურება და მთლიანად აკუტურ პროცესს წარმოადგენს?

ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ნებელობის აქტი და ნებელობის პროცესი არსებითს კავშირში იმყოფება პიროვნებასთან. ჭერ ერთი, იგი რაიმე ცალკეულ ფსიქიკურ შინაარსს კი არა, პიროვნების განწყობას წარმოადგენს, და შემდეგ იგი მთლიანად მოტივს ეყრდნობა, ხოლო ეს უკანასკნელი პიროვნების მოთხოვნილებათა სისტემიდან გამომდინარეობს. პიროვნება კი თავისებურ სტრუქტურულ მთლიანობას ნიშნავს. მაშასადამე, ნებელობის აკუტური აქტები და პროცესები, როგორც მთლიანი პიროვნების არსებით მოთხოვნილებათა და განწყობათა გამოვლენა, პიროვნების თავისებურებათა დალით უნდა იყოს აღბეჭდილი. სხვანაირად, თვითეულის განსხვავებული

პიროვნების შემთხვევაში ნებელობის მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული მიმდინარეობაა მოსალოდნელი. მაშასადამე, ნებელობის აქტუალურ პროცესებს წინ უსწრებს პიროვნების მიდრეკილება გარკვეულის, სხვებისაგან განსხვავებული სახის ნებისმიერი მოქმედების მიმართ: თვითეულს პიროვნებას თავისი ნებელობითი დისპოზიცია აქვს. ასეთს დისპოზიციას ხ ა ს ი ა თ ი წარმოადგენს.

ფსიქოლოგთა უდიდესი უმრავლესობა სწორედ ამ აზრით ხმარობს ამ სიტყვას: ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი, მაგალ., ხასიათს პირდაპირ როგორც „ნებელობის დისპოზიციათა ერთობლიობას“ განსაზღვრავს. ყოველდღიური მეტყველებაც უთუოდ ნებელობითს დისპოზიციას გულისხმობს, როდესაც „კარგის“ თუ „ცუდის-“ ხასიათის შესახებ ლაპარაკობს: ხასიათის სიკეთე იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმე მაღალი გონების პატრონია და კარგად აზროვნებს, ანდა უფრო ხშირად სიამოვნების ან უსიამოვნების განცდები აქვს. არა. ხასიათის სიკეთე პიროვნების იმ თავისებურებას ნიშნავს, რომელიც მის ქცევაში, მის სხვებთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს: როცა კარგი ხასიათის ადამიანზე ვლაპარაკობთ, ყველას ესმის, რომ აღნიშნული პირისაგან მხოლოდ კარგია მოსალოდნელი, რომ იგი, ჩვეულებრივ. კარგად უფრო იქცევა. ვიდრე ცუდად.

ამრიგად, ჩვეულებრივ, ხასიათზე რომ ლაპარაკობენ, ერთის მხრივ, მოქმედების ან ნებელობის შესახებ, ცნებას გულისხმობენ, ხოლო, მეორის მხრივ. ისეთ ცნებას, რომელიც არა მარტო სუბიექტის წარსულ ქცევას ეხება, არამედ მომავალსაც გვითვალისწინებს. აქედან ნათელია, რომ ხასიათი ნებელობის დისპოზიციად იგულისხმება, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს წინასწარ ვიცოდეთ, თუ როგორ მოიქცევა გარკვეული სუბიექტი გარკვეულ პირობებში.

მართალია, ეს ცნება ყველას ამ აზრით არ ესმის, მაგრამ, უეჭველია, რომ ნებელობის დისპოზიცია არსებობს და რომ მის აღსანიშნავად ყველაზე უკეთ სწორედ ეს ცნება გამოდგება.

2. მთელი და ნაწილობრივი ხასიათში. ხასიათის ცნებას რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ მას თეორიული ღირებულებაც არა ნაკლებ დიდი აქვს. მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში ხასიათის პრობლემას ჯერ კიდევ არ უკავია ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნის კლასიკურ ფსიქოლოგიაში ხასიათის საკითხს თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებდნენ. მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებით ორიოდ მეცნიერს (მაგალ., ბ ა ნ ზ ე ნ ი გერმანიაში

მილი ინგლისში), და ისიც ოფიციალური ფსიქოლოგიის ფარგლებს გარეთ, რომ ხასიათის შესწავლის მნიშვნელობა ჰქონოდათ შეგნებულნი. თორემ, საერთოდ, ხასიათის პრობლემა მე-19 საუკ. პრობლემათა სიიდან ამოშლილი იყო.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ეს ცნება თავისი არსებობით მე-19 საუკ. აზროვნების ძირითადი ტენდენციებისათვის სრულიად უცხო უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, მე-19 საუკ. მეცნიერული აზროვნების ძირითად ტენდენციას ანალიზი შეადგენდა. მისი რწმენით, სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს თუ მოვლენის გასაგებად, ძირითადი მნიშვნელობა მისი ელემენტების მონახვასა და ამ უკანასკნელთა არეში გამეფებული კანონზომიერების დადგინებას აქვს. ის, რაც ნაკლებ ემორჩილება ანალიზს, ის, რაც უფრო მთლიანი ხასიათისაა და თავის რაობას არა ელემენტებში. არამედ მთელში ამკლავებს, ასეთი რამ მე-19 საუკ. საანალიზოდ განწყობილი აზროვნებისათვის ნაკლებ მინზიდველი უნდა ყოფილიყო. ხასიათი სწორედ მთლიანობითი ცნებაა. იგი ცალკეული ნიშნის თავისებურება კი არაა, ან ცალკეულ ნიშანთა ერთობლიობა: იგი მთლიანის რაგვაობაა. ამიტომ გასაგებია, რომ იგი მე-19 ს. ანალიზური აზროვნებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

სამაგიეროდ, როდესაც ჩვენს ხანაში მთლიანობის როლი და მნიშვნელობა ეგოდენ მტკიცედ იქნა შეგნებული, ხასიათის პრობლემა ერთერთ აქტუალურ პრობლემად იქცა და მის შესასწავლად ცალკე დისციპლინა, ქარაქტეროლოგია, ჩამოყალიბდა, რომელიც საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. მას, ჩვეულებრივ, სიმძიმის ცენტრი მთლიანზე გადააქვს. მაგრამ ხასიათის პრობლემის გადაწყვეტა, როგორც განსაკუთრებით ზაზგასმით შტერნი აღნიშნავს, ადამიანთა ქცევის ფანსხვავებულობის გაგება მარტო მთლიანის თვალსაზრისით არ შეიძლება. აუცილებელია ნაწილობრივი, ცალკეული მომენტების საგანგებო შესწავლა: ხასიათი უეჭველად მთლიანობაა, მაგრამ დანაწევრებული მთლიანობა. მაშასადამე, ფსიქოლოგიამ ორივე მომენტს უნდა მიაქციოს ყურადღება და ერთი მთლიანი კვლევა-ძიების საგნად აქციოს.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული. უფრო ხშირად მთლიანობის მომენტს ცალკე იხილავენ და მრავლიანობის მომენტს ცალკე. პირველს „ინტელიგიბელ ხასიათს“ (კანტი, შოპენჰაუერი) ან „ძირითად ხასიათს“ (ფენდერ) უწოდებენ, ხოლო მეორეს — „ემპირიულ ხა-

ს ი ა თ ს". მაგრამ მათი განცალკევება უმართებულოა: არსებობს მხოლოდ ერთი, მხოლოდ მთლიანი ხასიათი, რომელიც ემპირიულად გვევლინება და ამ გამოვლინების გარეშე ცალკე არსად არსებობს. თუ რაოდენ უნაყოფოა ხასიათის, როგორც მთელისა და მისი ცალკეული მხარის ან თვისების დაპირისპირება, ერთით ან მეორით დაკმაყოფილება, ეს ნათლად ჩანს შემდეგი მოსაზრებიდან, რომელზედაც იგივე შ ტ ე რ ნ ი მიუთითებს. ვთქვათ, რომელიმე მასწავლებელი X-ი ს ა ს ტ ი კ ი ა თავის მოწაფეთა მიმართ: მისი ხასიათის ერთ-ერთი თვისება ს ი ს ა ს ტ ი კ ე ა. იგი რომ ამ მხრივ სხვა ადამიანებს შევადაროთ, უთუოდ არა კეთილ, არამედ ბოროტ ადამიანთა ჯგუფს მივაკუთვნებთ. მაგრამ თუ ამკერძო ნიშნის თვალსაზრისს თავს დავანებებთ და პიროვნების მთლიან სტრუქტურას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ, შესაძლოა, დავინახოთ, რომ საერთოდ X-ში ადამიანისადმი სიყვარული სჭარბობს, კეთილგანწყობილება მის მიმართ, ფაქის მოწაფეთა მიმართაც. მაშინ მისი სისასტიკე უფრო სიკეთის მაჩვენებელი იქნება, ვიდრე ბოროტების: იგი სასტიკად იმიტომ ეპყრობა თავის მოწაფეებს, რომ ფიქრობს, უამისოდ მტკიცე ნებისყოფისა და პასუხისმგებლობის ხალხს ვერ აღვზრდიო. მისი სისასტიკე აქ სიყვარულის მაჩვენებელია მოწაფეთა მიმართ და არა სიძულვილის ან გულგრილობის, მეორე აღმზრდელი y, პირიქით, ყველაფერს აპატიებს მოზარდს, ყურადღებას არ აქცევს, კარგად მოიქცევა იგი თუ არა, არ უსაყვედურებს და არ სჯის მას: ის თითქოს კეთილია. მაგრამ საერთოდ ისეთი ადამიანია, რომ მისთვის თავის მოწაფეთა მომავალი სულერთია: რა დავმართება მათ ცხოვრებაში, როგორც ზრდა დასრულებულთ, ეს მას არ აინტერესებს. იგი უეჭველად ნაკლებ კეთილი, უფრო ბოროტი ადამიანია, ვიდრე პირველი. ამრიგად, ნაწილობრივი თვისება მხოლოდ მთლიანის გათვალისწინების ნიადაგზე ხდება. გასაგები (შ ტ ე რ ნ ი).

მეორის მხრივ, თვითონ მთლიანიც ბუნდოვანია, სრულიად არაფრის შთქმელი, თუ იგი კერძოულ თვისებათა გათვალისწინების გარეშე იქნა წარმოდგენილი: y მასწავლებლის საერთო ხასიათის სტრუქტურას, რომელმაც ჩვენთვის მისი სისასტიკე გახადა გასაგები, ვერასდროს ვერ ვსწვდებოდით, რომ მისი ქცევის, მისი ადამიანებთან დამოკიდებულების ცალკე შემთხვევები, მისი ხასიათის სხვა კერძო მხარეები არ გაგვეთვალისწინებინა.

ამრიგად, ხასიათის ცნებაში მთელი და ნაწილობრივი დიალექტიკურად არის ურთიერთთან დაკავშირებული და მისი შესწავლა მხოლოდ ამ კავშირის ნიადაგზე შეიძლება.

3. გარემო და ხასიათი. ბუნებრივი საკითხი, რომელიც აქ ჩნდებ-

ბა. ეს შემდეგია: თუ ხასიათი წარმოადგენს იმ მთლიანობითს თავისებურებას, რომელიც ნებელობის ცალკეულ აქტებში შედგენდება. თუ იგი ნებელობითი დისპოზიციანაა, რომელიც ცალკეულ აქტებს წინ უსწრებს და განსაზღვრავს, მაშინ ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ხასიათი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, რომელიც არაერთარ გარე-ვაკლენას, არაერთარ აღმზრდელობითს შემოქმედებას არ ემორჩილება? ერთი სიტყვით იბადება საკითხი: რა ურთიერთობა არსებობს გარემოსა და ხასიათს შორის? ჩვენ ვიცით, რომ ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა აზრითი სიტუაცია იმ განწყობის გამოწვევას, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძველს წარმოადგენს; სხვანაირად იგივე აზრი, ასეც შეგვეძლო გამოგვეთქვა: ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა პიროვნებას ამ სიტუაციის ზეგავლენით ამ განწყობის აქტუალიზაციის უნარი. ე. ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად. მაშასადამე, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვეულებრივ, ხასიათს ვუწოდებთ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციურ განწყობას. გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს.

საკმარისია ეს გარემოება მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენთვის ნათელი შეიქნეს, რომ ხასიათი, როგორც ამა თუ იმ განწყობის აქტუალიზაციის უნარი თუ დისპოზიცია, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარემო-სიტუაციაში მომხდარა ამ პიროვნების ჩამოყალიბება, და რა გარემო-სიტუაცია იმოქმედებს ყოველ ცალკე შემთხვევაში მასზე. ეს, უეჭველია, იმიტომ, რომ ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ განწყობის აღმოცენება ობიექტური ფაქტორის, გარემო-სიტუაციის, შემოქმედების გარეშე სრულიად შეუძლებელია; თითოეული ჩვენგანის განწყობათა დისპოზიციები, ჩვენი ხასიათი, გარემოს შემოქმედების პირობებში ყალიბდება.

მაგრამ. მეორის მხრივ, როგორც ვიცით, განწყობას მარტო გარემო ვერასდროს ვერ შექმნიდა, რომ სუბიექტს გარკვეული მოთხოვნები არ ჰქონოდა: განწყობა სუბიექტურ ფაქტორსაც გულისხმობს. მოთხოვნებებს, რასაკვირველია, თავისი ბიოლოგიური, ორგანული საფუძვლები აქვს. მაგრამ ადამიანის მოთხოვნებიანა მრავალსახიანობა მისი ისტორიული განვითარების პროცესშია შექმნილი: ადამიანის მოთხოვნებიანა უფრო მეტად მის ისტორიაზეა დამოკიდებული, ვიდრე მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე: წყურვილს, მაგალითად, რა თქმა უნდა, ორგანიზმის მდგომარეობა უდევს საფუძვლად; მაგრამ ადამიანს რომ სწორედ ლუდი სწყურია და არა უბრალო წყალი, ეს სავსებით მის კულტურულ-ისტორიული განვითარების შედეგს წარმოადგენს. თუ რა



მოთხოვნილებები აქვს თითოეულს ჩვენგანს, საბოლოო ანგარიშში იმაზეა დამოკიდებული, გარემოს რა პირობებში გვიხდება და გვიხდებოდა ცხოვრება: მოთხოვნილებები, რომელთაც ორგანიზმში მიმდინარე პროცესები წარმოშობენ; თავის გარკვეულ სახეს იმისდა მიხედვით ლებულობენ, თუ გარემოს რა პირობებს სვდებიან: წყურვილს, რომელიც იქიდან ჩნდება, რომ ორგანიზმს სითხე ესაქიროება. ლუდის წყურვილად მხოლოდ იმ ქვეყნებში შეეძლო გამხდარიყო. სადაც ხორბალი მოდიოდა, ხოლო ღვინის წყურვილად, — სადაც ვენახი იზრდებოდა. მაგრამ თუ ამის თქმა ვიტალური მოთხოვნილების შესახებ შეიძლება, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ ე. წ. მაღალ მოთხოვნილებებზე. რომელიც ადამიანის ნებისმიერი ქცევის პროცესში ეგოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ!

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხასიათი, როგორც გარკვეულ განწყობათა გამოვლენის დისპოზიცია, გარემოს ზემოქმედების პირობებში ყალიბდება.

მაგრამ ხასიათი არა მარტო პროდუქტს წარმოადგენს გარემოს ზემოქმედებისას. საინტერესო ისაა, რომ იგი თვითონაც მოქმედებს გარემოზე და მას გარკვეულ სახეს აძლევს: გარემო ადამიანის ზემოქმედებას განიცდის და, მაშასადამე, მისი ხასიათის დაღს ატარებს. მართლაცდა, ჩვენი ნებისმიერი ქცევა ჩვენი გარემოსაყენ არის მიმართული, და ეს უკანასკნელი განუწყვეტლივ ჩვენი ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს. შედეგი ისაა, რომ გარემო იცვლება და თავისი პირველადი ბუნებრივი სახით აღარსად აღარ გვხვდება, როგორც ეს პირველად განსაკუთრებული ხაზგასმით მ ა რ ქ ს მ ა და ე ნ გ ე ლ ს მ ა აღნიშნეს. მაგრამ ნებისმიერი ქცევა ჩვენი ხასიათიდან მომდინარეობს და მაშასადამე, ის ცვლილებები, რომელიც ამ ქცევას შეაქვს გარემოში, ჩვენი ხასიათის თავისებურებითაც უნდა იყვნენ აღბეჭდილინი.

ამრიგად უდაროა, რომ გარემო არა მარტო აფორმებს, აყალიბებს ჩვენს ხასიათს, არამედ ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, აფორმებს და აყალიბებს განსაზღვრულ ფარგლებში გარემოს.

მაშასადამე, ხასიათის აღზრდა არა მარტო შესაძლებელია, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანასაც წარმოადგენს, იმიტომ რომ გარემოს ვითარება, რომელშიც ადამიანს ცხოვრება მოუხდება და რომლის ზეგავლენითაც მისი ხასიათის ჩამოყალიბება მოხდება, იმაზედაცაა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მასზე ზემოქმედი ადამიანის ხასიათი.

4. ხასიათის ტიპები. ხასიათის ტიპების შესწავლას განსაკუთრე-

ბით დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რა თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ხასიათის ტიპების დადგენისას? ხასიათი სამი თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ:

1) იმ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, რომელთა შესატყვისი მოქმედების მზაობაც უფროა მასში მოცემული, ე. ი. იმ მიზნების თვალსაზრისით, რომლის მიმართაც უფროა სუბიექტი განწყობილი. შ ტ ე რ ნ ი ა მ ა ს ტ ე ლ უ რ (ტელოს—მიზანი) თვალსაზრისს უწოდებს.

2) რამდენად შესწევს სუბიექტს ძალა ამ მიზნების სწრაფი და ზუსტი განხორციელებისა? ეს მეორე თვალსაზრისია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ხასიათის დიფერენციაცია მოხდეს. შ ტ ე რ ნ ი აქ ხასიათის დ ი ნ ა მ ი კ ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს.

3) დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ხასიათი, როგორც მთელი, რა თავისებურება აქვს მას როგორც მთელს. საკითხი აქ ხასიათის ნ ტ რ უ ქ ე ტ უ რ ი ს თვალსაზრისს ეხება.

ამისდა მიხედვით, გამოსარკვევი იქნება ხასიათის რა და რა განსხვავებული ტიპები არსებობს თითოეული ამ თვალსაზრისით.

1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხასიათის განსხვავებულობის დადგენა იმის მიხედვით, თუ რა მიზნების შესატყვისი ქცევისათვის უფრო მეტს მზაობას იჩენს იგი საზოგადოდ. აქ ჩვენს წინაშე ხასიათის რომელია განსხვავებულობის საკითხი დგას. იგი სინამდვილის იმ სფეროების გარკვევას ეხება, რომლის სამსახურადაც უფრო მზადაა სუბიექტი აქტიობას მიმართოს. აქ ჩვენს წინაშე საკითხი დგას იმის შესახებ, თუ რა და რა ხასიათის მოსაზრებებს შეუძლიათ სუბიექტის ქცევის მოტივად გადაიქცნენ.

გასაგებია, რომ ხასიათის ამ თვალსაზრისით ტიპოლოგიის დადგენა ხშირად ყოფილა ნაცადი. საჭიროა აქ ზოგიერთს ასეთს განსაკუთრებით ცნობილ ცდას გავეცნოთ.

პირველ რიგში უნდა დასახელებული იქნეს გერმანელი ფსიქოლოგის შ პ რ ა ნ გ ე რ ი ს ცდა, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ წამოაყენა. ეს ავტორი ფიქრობს, რომ ადამიანის ტიპოლოგიის დადგინებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ცხოვრების იმ სფეროების, იმ ღირებულებების გათვალისწინებას აქვს, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს მას. შ პ რ ა ნ გ ე რ ი ფიქრობს, რომ ექვსი ასეთი ძირითადი ღირებულება არსებობს, და, ამისდა მიხედვით, ადამიანთა ექვსი განსხვავებული ტიპის დადგენა შეიძლება. ეს ტიპებია: 1) თ ე ო რ ი უ ლ ი (ან თეორიის) ადამიანი, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უმეტესად შემეცნების სფერო იტაცებს; მისთვის იმ უმაღლეს ღირებულებას, რომლის გან-

ცდაც მას შეუძლია და რომელიც ამოძრავებს და ამოქმედებს მას, შემეცნება წარმოადგენს; 2) ეს თეტიკური ადამიანი, რომლისთვისაც უმაღლესა და აქტუალურ ღირებულებას მშვენიერება, ხელოვნება წარმოადგენს; 3) ეკონომიური ადამიანისთვის პირველ რიგში ეკონომიური ღირებულება, ნივთიერი კეთილდღეობა დგას. მისი მოქმედების მოტივები უმთავრესად ამ სფეროში პოულობენ ძალას; 4) პოლიტიკური ადამიანისთვის ძალაუფლებაა უმაღლესი ღირებულება. იგი თავის მოქმედებასა და მისწრაფებებში ამ ღირებულებიდან გამოდის და ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებით ბატონობას ესწრაფვის; 5) სოციალური ადამიანისათვის ბატონობა კი არა, სხვების სამსახური წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც იგი განსაკუთრებული ხალისით მოქმედობს. მას იმდენად მბრძანებლობა არ აინტერესებს, რამდენადაც სოლიდარობა და თანამშრომლობა; 6) რელიგიური ადამიანისათვის უმაღლეს ღირებულებას, რომელიც აზრსა და მიმართულებას აძლევს მთელს მის ქცევას, მთლიანობა, სამყარო, ღმერთი შეადგენს.

მეორე ცდა, რომელსაც უნდა შევეხოთ აქ. ვ. შტერნს ეკუთვნის. მისი აზრით, მიზანთა ყოველი სისტემა, რომელიც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, იმ ძირითად ურთიერთობაზე აიგება, რომელიც პიროვნებასა და ქვეყანას შორის, მე-სა და გარემოს შორის, არსებობს. აქ მიზანს ორგვარი მიმართულება შეიძლება ჰქონდეს. ერთის მხრივ, შესაძლოა, იგი მე-ს ეხებოდეს, მეორის მხრივ, ქვეყანას, გარემოს. იმისდა მიხედვით, თუ მიზანთა სისტემაში რომელი ამ მიმართულებათაგანი სჭარბობს, შტერნი აუტოტელურსა და ჰეტეროტელურს მიზანდასახულობას არჩევს; ხოლო ამ უკანასკნელთა ურთიერთმიმართების რაგვარობიდან ხასიათის სამი განსხვავებული ტიპი გამოჰყავს: აუტისტიური, ჰეტერისტიული და ინტროცეპციული ხასიათი.

1) აუტისტიურია ისეთი ხასიათი, რომელშიც აუტოტელური მისწრაფება სჭარბობს. აუტისტიის ნებელობის მიზანს არსებითად ყოველთვის თვითონ მისი თავი შეადგენს. იგი ან ინიციადისტიკა, ე. ი. თავის ქცევაში მუდამ თავისი პიროვნების თავისებურებათა წინწამოწევისა და ხაზგასმას ცდილობს; ან სუბიექტივიზმისტიკა, ე. ი. ყველაფერს იმის მიხედვით ეპყრობა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას მისი პიროვნებისათვის; ან ეგოისტია, ე. ი. ყველასა და ყველაფერს ისე ეპყრობა, როგორც მისი პირადი მიზნების განსახორციელებელ საშუალებას.

2) ჰეტერისტიულ ხასიათთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც მიზანდასახულობა საკუთარი პიროვნების საზღვრებს

სცილდება და მის გარეთ მდებარე ღირებულებათა განხორციელებას ესწრაფვის. ჰეტერისტი შეიძლება სამგვარი იყოს: ან ა) ალტრუისტი, ე. ი. ისეთი ხასიათის პატრონი, რომელიც უმთავრესად თავისი მოძმის, ცალკეული ადამიანის კეთილდღეობაში სჭერტს თავის მიზანს: მისი ხასიათის ნიშანს სხვა ცალკე პირთა მიზნების გაზიარება; ასე ვთქვათ, თანაგრძნობა ანუ სინტელია შეაღგენს; ბ) ჰიპერტელისტი, ე. ი. ადამიანა, რომელიც უმთავრესად კოლექტივის (სახელმწიფო, სამშობლო, კლასი, კაცობრიობა და სხვა) სამსახურად არის მიმართული: იგი თავის თავს რაიმე ჯგუფის, პირველ რიგში კოლექტივის წევრად და არა ცალკე ინდივიდად განიციდის და თავის მოქმედებას მის საკეთილდღეოდ წარმართავს; გ) იდეოტელისტი — ეს ისეთი ხასიათის ადამიანია, რომელიც არა ცალკეული პირის, არა ადამიანთა კოლექტივის, არამედ განყენებული იდეებისა და იდეალების სამსახურში სჭერტს თავის დანიშნულებას: მას სამართლიანობის, თავისუფლებას, ძმობის იდეალები განსაზღვრავენ. შესაძლებელია, იდეოტელისტი, რომელიც მზადაა მაგალ., ადამიანთა თავისუფლებისათვის თავი დასდოს, თითოეული ცალკე ადამიანის მიმართ მკაცრი და უღმობელი იყოს; ან ჰიპერტელისტი, რომელიც მზადაა სამშობლოს ინტერესებს თავი შესწიროს, თითოეული კერძო თანამოქალაქის მიმართ უაღრესად ინდიფერენტულად იყოს განწყობილი.

3) ნამდვილს, დასრულებულ ხასიათთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც უცხოისი და პირადი მიზანდასახულობის (აუტოტელისისა და ჰეტეროტელისის) სტრუქტურული გაერთიანება ხდება, როდესაც სუბიექტი პირადსა და უცხო მიზანდასახულობას ერთიერთს კი არ უპირისპირებს, არამედ ერთიმეორეს შევსებად, ერთიმეორის დასრულებად განიციდის. ასეთ ხასიათს შტერანი ინტროცეპციულს უწოდებს. ინტროცეპციული ხასიათისათვის, მაგალ., სამშობლოს, კაცობრიობის, ან სხვა იდეალების სამსახური საკუთარი ინდივიდუალობის უარყოფას კი არ ნიშნავს, არამედ უფრო მის განმტკიცებასა და გაშლას, იმიტომ რომ საკუთარი ინდივიდუალობა სწორედ ამ სამსახურში პოულობს თავის განსახიერებას.

ჩასაკვირველია, ინტროცეპციული ხასიათი იდეალურ ტიპს წარმოადგენს, იმიტომ რომ სინამდვილეში ჭერ კიდევ ვერ შევხვდებით ადამიანს, რომელსაც აუტისტურისა და ჰეტერისტულს, პირადისა და ობიექტური მიზნების სრული გაერთიანება მოეხერხებინოს. ჩვეულებრივ, ასეთი გაერთიანება მხოლოდ განსაზღვრულს, საკმარის ვიწრო არეებს ეხება; მხოლოდ ზოგიერთი ობიექტური მიზანი არსებობს, რომელსაც სუბიექტი თავისი პიროვნების განუყრელ კუთ-

ენილებად აქცევს, მაშინ როდესაც სხვები ჯერ კიდევ შორს ღგანან მიწის პირადი მიზანდასახულობის საზღვრებიდან. აქ, ამ ეწრო წრეში, ჩვენ მართლა მთლიანობასთან გვაქვს საქმე. მის ფარგლებს იქეთ პირადი და ობიექტური მიზანდასახულობა, ჩვეულებრივ, კონფლიქტში იმყოფებიან ურთიერთთან.

II. ხასიათის დიფერენციაცია იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ როგორ წარმართავს, ჩვეულებრივ, თავის ენერჯიას ადამიანი. ნებელობა გარკვეულ მიზნებს ემსახურება. მაშასადამე, ენერჯია ამ მიზნების განსახორციელებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ნებელობის პოზიტური დინამიკა ამაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ამას ჩვენი იმპულსები უშლიან ხელს: ისინი ენერჯიის დახარჯვას თავისი მიზნებისათვის მოითხოვენ. აქედან ნებელობის ნეგატიური ამოცანა იბადება: მისთვის, რომ დადებითი მიზნები განხორციელდეს, ენერჯიის დაზოგვაა საჭირო. ეს კი მხოლოდ იმპულსების შეფერხების გზითაა შესაძლებელი. იმპულსებთან ბრძოლის, მათი შეფერხების ძალა ზოგჯერ ნებელობის არსებად ითვლება. ნამდვილად კი იგი, შტერნიის აზრით, ნებელობის პოზიტური მუშაობის შესაძლებლობის პირობაა მხოლოდ.

მაშასადამე, ხასიათის ტიპოლოგია დინამიკის მხრივ ნამდვილად მხოლოდ ნებელობის პოზიტური მუშაობის თვალსაზრისით უნდა მოხდეს. შტერნი აქ, რაოდენობრივი თვალსაზრისით, მტკიცესა და სუსტ ხასიათს გაარჩევს, ხოლო, რომელია მისი თვალსაზრისით, მოქმედების დაუფლებლობას და დაუფლებლობას.

III. ხასიათი მთლიანობას წარმოადგენს. მაგრამ იგი უსათუოდ ცალკეულ მომენტებსაც შეიცავს. იმის მიხედვით, თუ როგორაა მთელში ეს ორი მომენტი მოცემული, შეიძლება ხასიათის სტრუქტურული განსხვავებულობის შესახებ ვილაპარაკოთ. ერთის მხრივ, შესაძლებელია, ცალკეული, ნაწილობრივი მომენტები ისე იყვნენ გაერთიანებულნი, რომ ნამდვილს ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიდნენ — კი არ ეწინააღმდეგებოდნენ ურთიერთს, არამედ ეხმარებოდნენ და ამაგრებდნენ. მეორის მხრივ, შესაძლებელია, სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასაც ჰქონდეს ადგილი: შესაძლებელია, კერძოული, ნაწილობრივი მუდამ კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს მეორესთან, შესაძლებელია, ჰარმონიის ნაცვლად, მუდამ ბრძოლისა და წინააღმდეგობის ურთიერთობა იყოს კერძოულ მომენტებს შორის გამეფებული. პირველ შემთხვევაში ჰარმონიულ ხასიათთან გვაქვს საქმე, მეორეში — შინაგანად გახლეჩილს, კონფლიქტურ ხასიათთან.

პარმონიული ხასიათისათვის ისაა სპეციფიკური, რომ იქ იმპულსურ მისწრაფებათა და ნებელობის მიზანდასახულობათა შორის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ იგანიცდება: აქ უმაღლესი იდეალებიც კი პარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებიან ბუნებრივ მიდრეკილებასთან. ამიტომ შეგნებული მოტივაცია აქ ძალიან მცირე როლს ასრულებს: რა საჭიროა მოტივების ძებნა, როდესაც ნებელობის მიზანდასახულობა მაშინვე მისი შესრულების მისწრაფებას აღძრავს.

რაც შეეხება შინაგანად გახლეჩილს, კონფლიქტურ ხასიათს, აქ ბუნებრივი იმპულსებიდან, ბუნებრივი მიდრეკილებებიდან მომდინარე მისწრაფება მკვეთრად ეწინააღმდეგება იმ მიზნებს, რომელსაც ნებელობა ისახავს. ამიტომ უკანასკნელს მუდამ ვიტალური მისწრაფებებიდან მომდინარე იმპულსების შეფერხება სჭირია, რათა შესაძლებელი გახდეს ენერჯის გამოყენება დადებითი მიზნებისათვის. მიდრეკილება და ვალდებულება აქ მკვეთრად ეწინააღმდეგება ურთიერთს; მაშასადამე, მოტივთა ბრძოლის განცდასთან განსაკუთრებით აქ უნდა გვექონდეს საქმე.

5. შპრანგერისა და შტერნის კრიტიკა. შპრანგერის ტიპოლოგია, ისე როგორც შტერნისაც, განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის იდეოლოგიის უღაო ნიშნებს ატარებს. ოდნავ თვალის გადავლებაჲ საკმარისია, რათა ორივე კაპიტალისტური საზოგადოების სიღრმეში იგამეფებულ ურთიერთობათა ზუსტ სურათად ვცნოთ. მართლაცდა, ორივე შემთხვევაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, პიროვნება და საზოგადოება მკვეთრად ეთიშება ურთიერთს: ისინი სრულიად განსხვავებულ მისწრაფებებს ამჟღავნებენ. ასეა შპრანგერის ტიპოლოგიაში, სადაც, მაგალ., ეკონომიური ან პოლიტიკური ადამიანი მკვეთრად განსხვავდება სოციალურისაგან. მაგრამ ასეა არსებითად შტერნის შედარებით უფრო პროგრესულს ცდაშიც: საკმარისია ის ძირითადი განსხვავებულობა მოვიგონოთ, რომელიც, შტერნის მიხედვით, აუტოტელიასა და ჰეტეროტელიას შორის არსებობს, რომ ეს ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდეს. მართალია, შტერნს ინტროცეპციული ხასიათის ცნებაჲ შემოაქვს და აქ სუბიექტურისა და ობიექტურის, ინდივიდუალურისა და სოციალური მთლიანობის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ ეს მთლიანობა მისთვის მეორადი ბუნებისაა: იგი პირველადად დამოუკიდებელი მიზანდასახულობის, აუტისტურისა და ჰეტერისტულის შერეგების, შედეგს წარმოადგენს.

მაშასადამე, ჩვენ არაფერი გვეთქმოდა, რომ ავტორებს ხასიათის ტიპოლოგიის აღნიშნული ცდებისათვის გარკვეული საზღვრები მიეჩინათ: აღენიშნათ, რომ მათ ტიპოლოგიას მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში აქვთ მნიშვნელობა. მაგრამ ისინი, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები, თავის ცდას აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერენ: მათ მიერ აღწერილი ხასიათის ტიპები საზოგადოდ ადამიანის ხასიათის მარადიულს, უცვლელ ტიპებად მი-აჩნიათ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მათ თვითონ ის საზოგადოებრივა ფორმაცია მიაჩნიათ ჰემმარიტად ადამიანურად, აბსოლუტურად და უცვლელად, რომლის ნიადაგზეც მათი ტიპოლოგიის ცდაა აღმოცე-ნებული. ისინი ჩქმალავენ იმ გარემოებას, რომ ეს ფორმაცია მხო-ლოდ საფეხურია, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა უფ-რო მაღალი, კომუნისტური ფორმაცია შესცვლის. ისინი იფიქვებენ, რომ ახალ ფორმაციას ხასიათის ახალი სახეები მოჰყვება, რომელ-თაც იმდენივე ექნებათ საერთო ძველთან, რამდენიც სოციალიზმსა და კომუნიზმს კაპიტალიზმთან.

და მართლაც, ეს რომ ასეა, ეს უკვე ფაქტიურადაც დამტკიცე-ბულად უნდა ჩაითვალოს: საბჭოთა კავშირში, გამარჯვებული სო-ციალიზმის ქვეყანაში, პირადისა და სოციალურის წინააღმდეგობის პრინციპულობაზე უკვე სრულიად შეუძლებელია ლაპარაკი. საკმა-რისია მოვიგონოთ ახალი ადამიანის ტიპები, სტახანოველები, პაპა-ნინელები რომ ჩვენთვის ძველი ტიპოლოგიების დროებითი და პი-რობითი მნიშვნელობა სრულიად უეჭველი შეიქმნეს. ახალ სინამდ-ვილეში, სოციალისტური მშენებლობის პირობებში, ახალი ხასიათი ყალიბდება. ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ ამას თვალყური ადევნოს, მისი კანონზომიერება შეისწავლოს, რათა ახალი ადამიანის შექმნის პროცესში ჩაერიოს და მის წარმატე-ბითს წინსვლაში თავისი წვლილიც შეიტანოს.

6. ტიპოლოგიის სხვა ცდები. თანამედროვე ფსიქოლოგიურ მწერლობაში ტიპოლოგიის სხვა ცდებიცაა ცნობილი. განსაკუთრე-ბით გავრცელებულია ი უ ნ გ ი ს მიერ შემოღებული ტიპოლოგია, რომელიც ორ ძირითადად განსხვავებულ ტიპს არჩევს: ინ ტ რ ო-ვე რ ტ უ ლ ს ა და ე ქ ს ტ რ ა ვ ე რ ტ უ ლ ს. ინტროვერტულად ისეთი ადამიანი ჩაითვლება, რომლის თვალზე შ ი გ ნ ი თ არის მიმართული, რომელსაც პირველ რიგში და განსაკუთრებით თავისი თავი, თავისი შინა სამყარო აინტერესებს: ი გ ი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ არის განწყობილი. სამავიეროდ, ექსტრავერტული ადამიანი გ ა-რეთ, ობიექტურისაკენ მიიმართება; მისი ინტერესი ო ბ ი ე ქ ტ უ რ სფეროში ტრიალებს.

როგორც ვხედავთ, იუნგის ტიპოლოგია არსებითად ხასიათის ტიპოლოგიის ცდად ვერ ჩაითვლება. იგი ადამიანის ინტერესების ზოგად მიმართულებას, მისი ფსიქიკური აქტიობის უპირატეს სფეროებს, მისი ფსიქიკის საერთო სტრუქტურას უფრო ეხება, ვიდრე კერძოდ მისი ნებელობის დისპოზიციურ რაგვარობას.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას კრეჩმერის განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული ტიპოლოგიის შესახებაც. იგი ფიზიკური კონსტიტუციის განსხვავებულობიდან გამოდის და ორს ძირითად ტიპს, შიზოთიმიკურსა და ციკლოთიმიკურს, განასხვავებს. მაგრამ ის ნიშნები, რომლითაც ეს ტიპები განსხვავდებიან ურთიერთისაგან, როგორც ვიცით. უფრო ტემპერამენტს ეხებიან, ვიდრე ხასიათს. ტემპერამენტის შესახებ კი ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.



## ქარი მუჟჟა

### ალჟმის ფსიქოლოგია

#### ალჟმის ელემენტარული პირობები და კანონზომიერებანი

1. ალჟმის რაობა. აქტიობა ორგვარია: აქცი ა, ე. ი. სუბიექტის სპონტანური (დამოუკიდებელი, თავისუფალი) ზემოქმედება ობიექტურ სინამდვილეზე, და რეაქცი ა, ე. ი. ობიექტური სინამდვილის სუბიექტზე მოქმედების შედეგად აღმოცენებული აქტიობა. ობიექტური სინამდვილე, როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში უნდა არსებობდეს: უიმისოდ არავითარი აქტიობა არ იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ არ არის საკმარისი იგი მართო ობიექტურად არსებობდეს, აუცილებელია, მას რაიმე გარკვეული სახით სუბიექტიც განიცდიდეს. ობიექტურად არსებულის ასეთ განცდას ალჟმას უწოდებენ. მე აღვიქვამ აი ამ წიგნს, აი ამ რვეულს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საგნები ეხლა ჩემთვისაც არსებობენ, რომ მათ ეხლა მეც ვამჩნევ, განვიცდი.

2. გაღიზიანება. გრძნობადი ალჟმისათვის ორი რამაა აუცილებელი. ერთი: უნდა არსებობდეს ობიექტური რაღაც, რაც სუბიექტზე მოქმედობს, და მეორე: უნდა არსებობდეს აპარატი, რომელიც ამ ზემოქმედების განცდის შესაძლებლობას იძლევა. პირველს, ჩვეულებრივ, „გამღიზიანებელს“ ან „გაღიზიანებას“ უწოდებენ; მეორეს — „გრძნობის ორგანოს“.

გამღიზიანებლად ყველაფერი წეიძლება ჩაითვალოს, რასაც შეუძლია ჩვენს გრძნობის ორგანოებზე იმოქმედოს. მაგრამ ფეხნერის შემდეგ გამღიზიანებლად, ჩვეულებრივ, მხოლოდ ელემენტარულ ფიზიკურ პროცესს სთვლიან, რომელსაც ჩვენზე ზემოქმედი საგნის თუ მოვლენის ანალიზის შე-

დეგად ვღებულობთ. მაგალითად, ფ ე ხ ნ ე რ ი ს მიხედვით, გამღიზიანებლად აკორდი კი არ უნდა ჩათვლილიყო, არამედ ის ცალკეული ტონი, რომელსაც ამ აკორდის ანალიზი იძლევა, ანდა, უფრო სწორად, ის ელემენტარული ფიზიკური პროცესი, რომელიც აკორდის თითოეულ ცალკე ტონს შესატყვისება. თანამედროვე ფსიქოლოგიური აზროვნება, პირიქით, სწორედ აკორდს სთვლის გამღიზიანებლად: იგი გაღიზიანების ელემენტურ-ფიზიოლოგიურ განსაზღვრას აღარ იზიარებს.

3. გრძნობის ორგანო. გრძნობის ორგანო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველია რ ე ც ე პ ტ ო რ ი: სპეციფიკურად აგებული გარე აპარატი, რომელიც გაღიზიანების მისაღებადაა მოწყობილი. მეორე — გ ა მ ტ ა რ ე ბ ე ლ ი ნერვი, რომელიც გაღიზიანებას გრძნობის ორგანოს შესამე ნაწილისაგან — თავის ტვინის შესატყვისის სენსორულს არეებში მოთავსებული ცენტრებისაგან ატარებს. გრძნობის ორგანოები მკაფიოდ არიან ურთიერთისაგან გამოყოფილნი. განსაკუთრებით კი ოთხი გრძნობის ორგანო — მხედველობის, სმენის, სუნისა და გემოსი. თითოეული მათგანი სხეულის ვაკუუმულ ადგილასაა მოთავსებული, და შესატყვის გაღიზიანებას მარტოდმარტო მათი საშუალებით ვღებულობთ: სინათლის სხივებში მთელი ორგანიზმია გავვეული, მაგრამ, როგორც გამღიზიანებელი, იგი მხოლოდ თვალზე მოქმედობს. ასეა ხმაც, სუნიც და, შეიძლება, გემოც.

განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ მხრივ ე. წ. მეხუთე გრძნობის ორგანოს — ჩვენი სხეულის ზედაპირს, კანს, ანუ როგორც მას უწოდებენ, შ ე ხ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ს. როგორც გამოირკვა, იგი სრულიადაც არ არის მარტო ერთი გრძნობის ორგანო. მას ორგანოების მთელი რიგი აღმოაჩნდა: ცალკე წერტილები, რომელნიც სითბოსა და სიცივის გაღიზიანებას ღებულობენ და ტემპერატურის გრძნობის შესაძლებლობას იძლევიან; წერტილები, რომელნიც შეხების გაღიზიანებას აღიქვამენ და, დასასრულ, ტკივილის გამღიზიანებლის მიმღები ცალკე ადგილები. ამას უნდა დაეუმატოთ გრძნობიერი ნერვების დაბოლოებანი კ უ ნ თ ე ბ ს ა და ს ა ხ ს რ ე ბ შ ი, როგორც სრულიად განსხვავებული გრძნობის — კ ი ნ ე ს თ ე ტ უ რ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს — ორგანოები და, დასასრულ, სხეულის წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს გრძნობის ორგანოც, რომელიც შინა ყურშია მოთავსებული: ნახევარწრის მსგავს მილებსა და პარკებში. ამათ შიგნით ნერვული დაბოლოებები აქვთ, რომელთაც მილებში ენდოლიმფისა და პარკებში ოტოლითების მოძრაობა აღიზიანებს.

„მეხუთე“ გრძნობის ორგანოს არა მარტო იმ მხრივ უკავია განსაკუთრებული ადგილი, რომ იგი ცალკე განსხვავებულ გრძნობის ორგანოთა მთელ რიგს შეიცავს, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ იგი ისე მკაფიოდ არ არის მთელი ორგანიზმიდან გამოყოფილი, ისე მკვეთრად არ არის გამოცალკევებული, როგორც ეს ზემოაღნიშნული ოთხი ორგანოსათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. როდესაც რასმე ვხედავთ ან რაიმე ვეესმის, ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ჩვენი სხეულის სწორედ ესა და ეს გარკვეული ნაწილი — თვალი, ყური — განიცდის გამლიზიანებლის ზემოქმედებას. ხოლო როდესაც საკითხი მეხუთე გრძნობის ორგანოს ეხება, მაშინ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. არის შემთხვევები, რომ ვერ იტყვი, სხეულის რომელი ნაწილი გრძნობს სითბოს ან სიცივეს; სხეულის რომელი ნაწილი განიცდის წნევას. მაგალ., როდესაც წყალში ხარ, მის ტემპერატურასაც და მის წნევასაც მთელი სხეული განიცდის და არა რომელიმე მისი ნაწილი, სახელდობრ, ტემპერატურის თუ შეხების ცალკეული წერტილები. კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ეს თავისებურება კი ნ ე ს თ ე ტ უ რ ი ს ა და განსაკუთრებით წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს გრძნობების შემთხვევაში. მეხუთე გრძნობას ამ მხრივ მართლა განსაკუთრებული ადგილი უკავია. და მართლაც, საჭირო შეიქმნა საგანგებო კვლევები, რათა ნათელი გამხდარიყო, რომ აქ განსხვავებული გრძნობის ორგანოების მთელ რიგთან გვაქვს საქმე, მაშინ როდესაც მხედველობისა და სმენის, სუნისა და გემოს ორგანოებს აღმოჩენა არ ესაჭიროებოდათ: მათი არსებობა იმთავითვე თვალსაჩინო იყო ადამიანისათვის.

გრძნობის ორგანოების როლი ძალიან დიდია. ისინია, რომ ჩვენს გარეთ არსებული ობიექტური სამყაროს გაცდისა და მასთან შესაფერი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას გვაძლევენ. ცოცხალი ორგანიზმის გარე-სინამდვილესთან შეგუებისათვის, მასზე მიზანშეწონილი ზემოქმედებისათვის უქველად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ახლო უნდა მივიდეს ორგანიზმი გალიზიანების წყაროსთან, გამლიზიანებელთან, რათა მისი მოქმედება განიცადოს. ამ მხრივ გრძნობის ორგანოების მიმღები აპარატის, რეცეპტორის აგებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არსებობს ისეთი გრძნობის ორგანოები, რომელნიც გამლიზიანებელთან უშუალო კონტაქტში უნდა მოვიდნენ, რომ მისი ზემოქმედება იგრძნონ; მაგრამ არსებობს ისეთი ორგანოებიც, რომელთაც გალიზიანების მიღება შორიდანაც შეუძლიათ. პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ შე ხ ე ბ ი ს ა და გ ე მ ო ს ორგანოები ე. წ. კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ე ბ ი, ხოლო მეორეს—შ ო რ ი თ მოქმედი ან დ ი ს ტ ა ნ ტ უ რ ი ო რ-

განოების ჯგუფი — მხედველობის, სმენისა და სუნის ორგანოები. იმისათვის, რომ შეხება ან გემო იგრძნოს, გაღლიზიანებელი პირდაპირ უნდა შეეხოს სათანადო ორგანოს: შორიდან ვერც შეხებას იგრძნობ და ვერც გემოს. სამაგიეროდ, თვალი და ყური შორიდანაც გრძნობს გაღლიზიანებლის მოქმედებას. საშუალო ადგილი სუნის გრძნობის ორგანოს უკავია: რასაკვირველია, სუნს შორიდანაც ვგრძნობთ; მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ სუნის აღმძვრელ ობიექტს პატარა ნაწილაკები მოსწყდნენ და ცხვირის ლორწოვან გარსთან უშუალო კონტაქტში მოვიდნენ; უამისოდ ვერავითარ სუნს ვერ ვიგრძნობდით. მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი გრძნობის ორგანოებიც, რომელნიც დისტანტურსაც შეიძლება მიეკუთვნოს და კონტაქტურსაც. ასეთია ტემპერატურის ორგანო: სითბოს, მაგალ., უშუალო შეხებითაც ვგრძნობთ და შორიდანაც.

4. შეგრძნება. გაღლიზიანებლის ზემოქმედების შედეგად გრძნობის ორგანოში გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესი, ე. წ. აგზნება, ჩნდება. იგი გამტარებელი ნერვის საშუალებით თავის ტვინს აღწევს და განსაზღვრულ არეებში — სათანადო სენსორულ ცენტრებში — ვრცელდება. იმ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც ამის შედეგად წარმოიშვის, შეიძლება შეგრძნება ეწოდოს.

მე-19 საუკუნე. ფსიქოლოგიაში შეგრძნებას აღქმის ელემენტად სთვლიდნენ; გულისხმობდნენ, რომ გარემოს ზეგავლენის შედეგად ადაიანს. ჩვეულებრივ, აღქმა უჩნდება, ერთგვარი რთული მოვლენა, რომლის გასაგებადაც მისი ანალიზი აუცილებელია. ასეთი ანალიზის საბოლოო შედეგად ელემენტარულ პროცესებს ვღებულობთ, რომელსაც, აღქმისაგან განსასხვავებლად, შეგრძნება ეწოდება. გარემოში მას ელემენტარული პროცესი შეესატყვისება, ელემენტარული ფიზიკურ-ქიმიკური პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, ნერვულ ელემენტებზე მოქმედობს და აქ ელემენტარულს ფიზიოლოგიურ პროცესს, აგზნებას, იწვევს.

ამრიგად, მე-19 ს. ფსიქოლოგიის წარმოდგენა შეგრძნების შესახებ ასეთი იყო: ელემენტარული ფიზიკური პროცესი (გაღლიზიანება) ელემენტარულ ფიზიოლოგიურ პროცესს (აგზნებას) იწვევს, რომელსაც ელემენტარული ფსიქიკური პროცესი, შეგრძნება, სდევს თან. აღქმა ასეთი ელემენტარული პროცესისაგან აიგება: იგი ნაწარმოები პროცესია. მაგალ., „ვაშლის“ აღქმაო, ამბობდნენ, ასე ჩნდებაო: ფერის შეგრძნებას ემატება სუნის შეგრძნება, გემოს შეგრძნება და სხვ. და ყველა ეს შეგრძნებები ერთად „ვაშლის“ აღქმას გვაძლევენო.

შეგრძნების ასეთ გაგებას საფუძვლად უდევს წინასწარი რწმენა, რომ ფსიქიკა სავსებით ისეა აგებული, როგორც ფიზიკური სინამდვილე. ეს უკანასკნელი ხომ ელემენტარული პროცესებისაგან შეესდგება! მაშასადამე, როდესაც იგი ჩემზე მოქმედობს, არსებითად ჩემზე ელემენტარული ფიზიკური პროცესების, ე. ი. გამლიზიანებლების მთელი რიგი მოქმედობს ერთდროულად. თვითეული მათგანი შესატყვის აგზნებასა და შესატყვის შეგრძნებას იწვევს. მაშასადამე, მათი საერთო მოქმედების შედეგი, ალქმა, არსებითად ცალკეული შეგრძნებების თავყრილობას უნდა წარმოადგენდესო.

აქედან თითქოს ნათელი ხდება, რომ ალქმის შესასწავლად მისი შესატყვისი გალიზიანების შესწავლაც საქმარისი უნდა ყოფილიყო: თუ ჩვენზე რაიმე გალიზიანების მოქმედება აღმოვაჩინეთ, მაშინ მისი შესატყვისი შეგრძნების არსებობაც უნდა ვიგულისხმოთ, თუნდა ალქმაში მისი კვალაც არსად ჩანდეს. მაგალ., ჩვენ გვესმის აკორდი. ძალიანაც რომ ჩაუკვირდეს კაცი, მაინც ვერ იტყვის, რომ აკორდში რამოდენიმე ტონი გვესმის ერთად. არა, იგი სრულიად მარტივ განცდად გვევლინება. მაგრამ ფიზიკური გამლიზიანებელი, რომელიც აკორდს გვაძლევს, ფაქტიურად რამოდენიმე ტონს შეიცავს. მაშასადამე, ზემოაღნიშნული შეხედულების თანახმად, უნდა დავასკვნათ, რომ თითოეულს ამ ფიზიკურ ტონს ცალკე შეგრძნება უნდა ახლდეს თან, და აკორდი არა მარტივ განცდას, არამედ ყველა ამ შეგრძნებების ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს. რა ვუყოთ, რომ განცდაში ამ შეგრძნებებს ვერ ვამჩნევთ! სინამდვილეში მათი არსებობა უეჭველიაო, ამბობდნენ.

აპრიგად. ამ შეხედულების თანახმად. შეუმიჩნეველი შეგრძნებებიც შეიძლება არსებობდნენ. ფსიქოლოგის კელერიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველად მიაქცია შეგრძნებათა მოძღვრების ამ წინასწარს შეუმოწმებელ შეხედულებას. ე. წ. „კონსტანტობის ჰიპოთეზის“, ყურადღება და მისი უმართებულობა გვიჩვენა. ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი ალქმა არავითარ შემთხვევაში არ აიგება ისეთი ფსიქიკური ელემენტებისაგან. რომელთაგანაც თითოეული ცალკე, დამოუკიდებელს ფსიქიკურ რეალობას, ცალკეული, ნაწილობრივი გალიზიანების უბრალო ანარეკლს წარმოადგენდეს: გალიზიანებასა და ფსიქიკურ პროცესებს შორის ასეთი სწორხაზობრივი შესატყვისობა, ასეთი პარალელიზმი არ არსებობს.

მაშასადამე, შეგრძნების ცნების ძველი ატომისტური გაგება დღეს მართებულად ვერ ჩაითვლება. მაგრამ შეგრძნების ცნება

მანც უნდა დარჩეს ფსიქოლოგიაში. აღქმის ანალიზი მანც აუცილებელია, და ამ ანალიზის შედეგად მიღებულ რომელობათა შორის სპეციფიკური გრძნობადი ფსიქიკური მასალა გვხვდება, რომელიც ცალკეული გრძნობის ორგანოების მონაცემს წარმოადგენს. და აი, ამ გრძნობადი ფსიქიკური შინაარსების აღსანიშნავად ფსიქოლოგიაში დღესაც შეგრძნება იხმარება.

მართალია, ჩვენი გრძნობის ორგანოები ნორმალურ პირობებში არასდროს ცალცალკე. ურთიერთისგან გამოთიშულად არ მოქმედობენ. მაშასადამე, არასდროს თავის შესატყვის შეგრძნებებს ცალცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არ იძლევიან. მაგრამ იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ ხდება გარემოს ასახვა, მისი აღქმა, თითოეული ცალკეული ორგანოს სპეციფიკური გრძნობადი მონაცემის, ცალკეული შეგრძნების დამოუკიდებელი, გამოცალკევებული განხილვა განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა. გასაგებია. რომ კლასიკური ფსიქოლოგიის კურსებში შეგრძნებათა ფსიქოლოგიას განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობოდა. დღეს მას ზოგჯერ სრულიად უყურადღებოდაც კი სტოვებენ. არცერთი ეს გზა მიზანშეწონილი არაა: შეგრძნების ფსიქოლოგიის ძირითად მონაპოვართა მოკლე განხილვა აუცილებელიცაა და საკმარისიც.

ნ. შეგრძნების მომენტები. სანამ ცალკეულ შეგრძნებათა შესახებ ვილაპარაკებდეთ, შეეჩერდეთ შეგრძნების ფსიქოლოგიის ზოგად საკითხებზე.

ჯერ ერთი, რა მხარეები ან მომენტები აქვს შეგრძნებებს, რითაც მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელი?

რა შეგრძნებაც უნდა აიღოთ, ერთი უეჭველია: იგი უთუოდ რაიმე გრძნობის ორგანოსთანაა დაკავშირებული და სრულიად თავისებურს, დანარჩენებისაგან სრულიად განსხვავებულ განცდას იძლევა: მხედველობის ორგანოს შეგრძნება — ფერი და სინათლე — სულ სხვაა და სმენის ორგანოს შეგრძნება — ტონი ან ხმაური — კიდევ სხვა. ჩვეულებრივი, ყოველდღიური დაკვირვების ნიადაგზე აგებული, არამეცნიერული, გულუბრყვილო ფსიქოლოგია, რომელიც ამა თუ იმ სახით თითოეულს ჩვენთაგანს აქვს, გულისხმობს, რომ სხვადასხვა გრძნობის ორგანოთა შეგრძნებებს შორის 'საერთო არაფერია, რომ ფერს, მაგალ., აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო ბგერასთან. მეცნიერულ ფსიქოლოგიაში დღეს უკვე დადგენილია, რომ ეს შეხედულება სულ სწორი არაა: აღმოჩნდა რომ შეგრძნება მანც ერთია. ამ მხრივ ჯერ კიდევ არის ტოტელი იყო მართალი:

როდესაც იგი „ს ა ე რ თ ო გ რ ძ ნ ო ბ ი ს“ არსებობის შესახებ ლაპარაკობდა. შეგრძნება ერთია, ოღონდ იგი სხვადასხვა გრძნობის ორგანოსთან დაკავშირებით სხვადასხვა სახით გვევლინება. ამ მხარეს შეგრძნებისას, ჰელმჰოლცს შემდეგ, მოდალობას უწოდებენ. მაშასადამე, პირველი, რითაც შეგრძნების ურთიერთისაგან განსხვავება შეიძლება, ეს მოდალობაა.

მაგრამ თითოეული ცალკეული მოდალობის შეგრძნებებიც არ არიან სულ ერთნაირნი. მაგალითად, წითელი ფერის შეგრძნება ერთია და მწვანე ფერის შეგრძნება მეორე; ანდა კიდევ: ალაშე ერთი განცდაა და მწარე სულ სხვა. შეგრძნებათა ინტრამოდალურ (შიგნი მოდალურ) განსხვავებას რომელობითს უწოდებენ.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა ერთისადამივე მოდალობისა და რომელობის შეგრძნებები კიდევ განსხვავდებოდნენ რითიმე ურთიერთისაგან. ჩვენ ვიცით, რომ შესაძლოა ერთი რომელიმე ტონი რომელობით იგივე დარჩეს, მაგრამ სხვა მხრივ შეიცვალოს. ეს ცვლილება სიძლიერეს, ინტენსიობას ეხება.

ამრიგად, შეგრძნებები შეიძლება განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან მოდალობით, რომელობითა და ინტენსიობით. თითოეულს შეგრძნებას სამივე ეს მხარე აქვს: მას უთუოდ აქვს რაიმე მოდალობა, გარკვეული რომელობა და ერთგვარი ინტენსიობა.

ბ. ე. წ. „სპეციფიკური ენერჯიის კანონი“. აქ ერთი საკითხი იზიარდება ბუნებრივად: თუ შეგრძნება ერთია, მაშინ რაღა როლი აქვს გრძნობის ორგანოების სხვადასხვაობას? შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ყოველგვარი რომელობითი განსხვავება, რომელიც შეგრძნებათა შორის არსებობს, მთლიანად გრძნობის ორგანოთა განსხვავებულობაზე იყოს დამოკიდებული. წინათ ამ საკითხის საპასუხოდ ფიზიოლოგის, იოჰანე მიულერის თეორიას მიმართავდნენ. ამ თეორიის გამოსავალ პუნქტს ის უეჭველი დაკვირვება შეადგენდა. რომ ყოველი ცალკე მოდალობის შეგრძნება სრულიად გარკვეულს გრძნობის ორგანოსთან არის დაკავშირებული, რომ არ არსებობს არცერთი შემთხვევა. არც ნორმისა და არც ანომალიის ფარგლებში. — რომ შეგრძნების რომელიმე მოდალობა რომელსამე სხვა გრძნობის ორგანოზე გადაწველებულიყოს. მოკლედ: არსად არ ყოფილა არცერთი ისეთი შემთხვევა, რომ კაცს თვალით გაეგონოს და ყურით ენახოს რამე. ერთი სიტყვით, ყოველს გრძნობის ორგანოს მხოლოდ თავისი სპეციფიკური შეგრძნების მოცემა შეუძლია.

რაზეა ეს დამოკიდებული? ჩვენი გრძნობის ერთსადაიმავე ორგანოზე რომ სრულიად განსხვავებული გალიზიანებლები გამოქმედოთ, შედეგი ყოველთვის ერთი იქნება: ჩვენ ყოველთვის მხოლოდ ერთიდაიმავე მოდალობის შეგრძნებასთან გვექნება საქმე: რითაც უნდა გამოიწვიოთ, მაგალ.. მხედველობის ორგანოს გალიზიანება, შედეგი ყოველთვის მხედველობა იქნება. მაშასადამე, შეგრძნების მოდალობა სრულიად არაა დამოკიდებული ობიექტურ გალიზიანებაზე. რჩება ერთადერთი შესაძლებლობა: იმ დამოკიდებული უნდა იყოს გრძნობის ორგანოზე. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მხედველობის ნერვს თავისი განსაკუთრებული, თავისი სპეციფიკური მოქმედების უნარი ანუ ენერგია ჰქონდეს, და რითაც უნდა გავალიზიანოთ იგი, მას მხოლოდ ამ ენერგიის გამოვლენა შეეძლოს, ე. ი. მაგალ.. მხედველობის ნერვს მხოლოდ ხედვა შეეძლოს. იგივე უნდა ითქვას ყველა დანარჩენი გრძნობის ორგანოს შესახებაც.

რა გამოდის აქედან? გამოდის, რომ მე, მაგალ., ფერის შეგრძნება რომ მაქვს, ამით მე იმას კი არ ვტყობილობ, თუ ობიექტი როგორია; არამედ იმას, თუ თვითონ გრძნობის ორგანოს რა თავისებურება აქვს, მისი მოქმედების უნარი როგორია. ერთი სიტყვით, შეგრძნება ობიექტური სინამდვილის ასახვას როდი წარმოადგენს: იგი მხოლოდ გრძნობის ორგანოთა მოქმედების სპეციფიკურობას ამჟღავნებს.

მიუღერის ამ თეორიის («გრძნობათა ორგანობის სპეციფიკური ენერგიის თეორიის») მიხედვით გამოდის, რომ შეგრძნება სრულიადაც არ გვითვალისწინებს ობიექტური სინამდვილის ვითარებას: ობიექტურ რეალობად იგი იმას გვისახავს, რაც მხოლოდ გრძნობის ორგანოთა აგებულებაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ჩვენი გრძნობადი სოფლიო მთლიანად ილუზიას წარმოადგენს, და ჩვენი აქტიობა ამ ილუზიურ სოფლიოში მიმდინარეობს. რამდენად მრავალფეროვანია ეს სოფლიო, ანდა რა და რა ნიშნები აქვს მას, ეს სავსებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გრძნობის ორგანოების პატრონი ვართ: შეგრძნების ყოველს რომელობითს განსხვავებას საფუძვლად უნდა ედოს შესატყვისი გრძნობის ორგანოს განსხვავებულობა.

საბოლოოდ. მაშასადამე, ყოველი რომელობითი განსხვავებულო-



ბა მოდალობითს განსხვავებულობაზე უნდა იქნეს დაყვანილი. თვალთ რომ სხვადასხვა ფერს, ვხედავთ, ყურით სხვადასხვა ტონს ვისმენთ, ანდა ჩვენი სხეულის ზედაპირით, კანით, შეხებასაც ვგრძნობთ, სითბოსაც და სიცივესაც, ეს, ამ თეორიის მიხედვით, იმაზე მიუთითებს, რომ არსებითად არც თვალი წარმოადგენს ერთ ორგანოს, არც ყური და არც სხვა რომელიმე ორგანო, რომელიც რომელიმე განსხვავებულ შეგრძნებებს იძლევა: თითოეული მათგანი, ამ უკანასკნელთა შესაფერისად, ცალკე ორგანოთა მთელ ჯგუფს უნდა შეიცავდეს. მ ი უ ლ ე რ ი ს თეორიის მიხედვით, საკმარისია რაიმე რომელიმე განსხვავებული შეგრძნება აღმოაჩინო, რომ სრული უფლებით მისი შესატყვისი ორგანოს არსებობაც იგულისხმოდ და მისი ძებნა დაიწყო. ამ თეორიის გავლენით აიხსნება, რომ ერთ დროს გრძნობათა ორგანოების ფსიქო-ფიზიოლოგია ცალკეული ორგანოების ძიებით იყო გატაცებული და ასეთი ორგანოების მთელი რიგი აღმოაჩინა: თვალში სინათლის შეგრძნებისათვის ცალკე ორგანოები (ე. წ. ჯოხუკები) და ფერისათვის ცალკე (ე. წ. სურები); კანზე სითბო-სიცივისა და წნევის ცალკე წერტილები და ა. შ. უეკველია, ეს ფაქტი ამ თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაგრამ იგი მაინც არ ამართლებს მის ძირითად აზრს, რომლის მიხედვითაც შეგრძნება ობიექტური სინამდვილის ასახვას კი არა, გრძნობათა ორგანოების ორგანიზაციის თავისებურებას წარმოადგენს.

რა არის მ ი უ ლ ე რ ი ს თეორიაში მართალი? ის დაკვირვება, რომელსაც ეს თეორია ეყრდნობა, უეკველი ფაქტია, და მისი გვერდის აქცევა არ შეიძლება. უდაოა, რომ ზრდადასრულებული ადამიანის გრძნობის ორგანოებს მართლაც თავისი სპეციფიკური ენერჯია აქვთ: თვალს მხოლოდ ხედვა შეუძლია და ყურს სმენა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამლიზიანებლის რომელიმე თვითონ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. პირიქით, გრძნობის ორგანო რომ სრულიად ინდიფერენტული ყოფილიყო გამლიზიანებელთა რომელიმე განსხვავებულობათა მიმართ, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომაა, რომ თითოეულს გრძნობის ორგანოს თავისი სპეციფიკური აღნაგობა და, მაშასადამე, თავისი სპეციფიკური ენერჯია გაუჩნდა. უეკველია, რომ გრძნობის ორგანოების ჩამოყალიბება ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგად მოხდა, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც თითოეულს გრძნობის ორგანოს აქვს, მხოლოდ ამ განვითარების მონაპოვარს წარმოადგენს. ეს ნათლად ჩანს გრძნობათა ორგანოების განვითარების ისტორიის მოკლე განხილვიდანაც.

განვითარების დასაწყისში არაკეთილად განსხვავებული გრძნობის ორგანოები არ არსებობდნენ: ერთადერთ ორგანოს პროტოპლაზმის მთელი მასა, ცოცხალი არსების მთელი ორგანიზმი წარმოადგენდა, და საინტერესოა, რომ იგი ერთდროულად გრძნობის ორგანოც იყო და მოძრაობისაც, ე. ი. ორგანიზმი, რითაც განიცდიდა გაღიზიანების მოქმედებას, მითვე უპასუხებდა მას. გრძნობისა და მოძრაობის ორგანოთა ურთიერთისაგან გამოყოფა და შემდეგ მრავლის, ურთიერთისაგან განსხვავებული გრძნობის ორგანოების შექმნა მხოლოდ შემდგომი განვითარების მონაპოვარს წარმოადგენს.

განვითარების გზა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მთელი სხეულის პირველადი, დიფუზიური მოძრაობითი და გრძნობითი ანუ სენსომოტორული ფუნქცია მთელ სხეულს ჩამოშორდა და მის გარკვეულ ნაწილებს დაუკავშირდა; სხეულს გამოეყენენ ცალკე ნაწილები, რომელთაც ორივე ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა. ამრიგად, მთელი სხეულის საერთო ფუნქცია მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილების ფუნქციად გადაიქცა. ასე გაჩნდა პირველი სპეციალური ორგანო, რომელიც სენსომოტორულ ფუნქციას ასრულებდა. განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი ორგანიზმის პრიმიტიული გრძნობელობა, მაშასადამე, უშუალოდ მოძრაობასთანაა დაკავშირებული: შეგრძნება დამოუკიდებლად არ არსებობს, მასთან ერთად ორგანიზმის სათანადო მოძრაობაც ჩნდება. ამ ორი ფუნქციის განცალკევება განვითარების უფრო მაღალი საფეხურების საქმეს შეადგენს.

ამის შემდეგ განვითარება დამოუკიდებელი გრძნობის ორგანოების დიფერენციაციის გზით წარიმართა: ჯერ ერთი, კვების ობიექტები ქიმიურ გავლენას ახდენენ ორგანიზმზე. მათ მისაგნებად, გამოსაცნობად მთელი სხეულის ნაცვლად გამოეყენენ მისი ცალკე ნაწილები, რომელნიც განსაკუთრებული ქიმიური გრძნობიერებით იყვნენ აღჭურვილნი და ამიტომ ამ ფუნქციას უფრო ადვილად და შეუცთომლად ასრულებდნენ: ასე გაჩნდა გემოს ორგანო, რომელიც, რაც დრო გადიოდა, თავისი ფუნქციის სულ უფროდაუფრო შესატყვის აგებულებას ღებულობდა. ასე გაჩნდა სუნის ორგანოც, რომელიც საკმლის ქიმიურ გავლენას შორიდანაც განიცდიდა და ამით ორგანიზმს მისი უკეთესი მოძებნის საშუალებას აძლევდა. ამას დაერთო მექანიკურისა და მიკრომექანიკური გამღიზიანებლების მისაღებად საგანგებოდ განწყობილი აპარატების, შეხების ორგანოსი და თვალისა და ყურის ჩასახვა და შემდგომი განვითარება. თუ წინათ ყველა ამ გამღიზიანებელს მთელი ორგანიზმი

მიმღებლობდა, ესლა მდგომარეობა შეიცვალა, და მათთვის ორგანიზმის ისეთი ნაწილები გამოეყო, რომელიც ამ ამოცანის გადასაჭრელად განსაკუთრებით ხელსაყრელად იყო აგებული.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ ორგანიზმში იმიტომ იქნენ განვითარების პროცესში ცალკე ორგანოები გამოყოფილნი, რომ ამით იგი უკეთ შეეგუა გარემოს; იმიტომ გაჩნდნენ სხვადასხვა აგებულების ორგანოები, რომ სხვადასხვაგვარი გამღიზიანებლები არსებობდნენ, რომელთაც ორგანიზმი უნდა შეგუებოდა; იმიტომ აქვს თითოეულს გრძნობის ორგანოს თავისი აგებულების შესაფერისი სპეციფიკური ფუნქცია, რომ იგი სპეციფიკური გამღიზიანებლის ზემოქმედების პირობებში განვითარდა. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მ ა უ ლ ე რ ი ს მიერ აღნიშნული ფაქტები გრძნობათა ორგანოების სპეციფიკური მოქმედების შესახებ მათ დამოუკიდებლობას როდი ამტკიცებს გამღიზიანებლის რომელიმე მიმართ, არამედ, პირიქით, მათს სრულ დამოკიდებულობას: ჩვენი შეგრძნება, მაშასადამე, ილუზიას კი არ გვაძლევს გარე სინამდვილისას, არამედ მის ანახვას წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია საბოლოოდ შევჩერდეთ ასეთ დებულებაზე: ჩვენი აქტიობა ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობაში მიმდინარეობს; მისთვის, რომ იგი წარმატებით სრულდებოდეს, ობიექტური სინამდვილის სწორი ასახვაა საჭირო, და სუბიექტურად ასეთ ასახვას ჩვენი გრძნობადი აღქმა იძლევა.

ბუნებრივად დგება საკითხი: რა წვლილი შეაქვს ობიექტური სინამდვილის ასახვაში თითოეულს ცალკე აღებულს გრძნობის ორგანოს?

მაგრამ, სანამ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ, რა დამოკიდებულება არსებობს შეგრძნებასა და გაღიზიანებას შორის ინტენსიობის მხრივ.

7. ვებერისა და ფებნერის კანონი. ყოველ შეგრძნებას, გარდა თავისი რომელიმე, უსათუოდ ინტენსიობის ანუ სიძლიერის რიგზე ხარისხიც აქვს. საინტერესოა გავიგოთ, რა დამოკიდებულება არსებობს შეგრძნების ინტენსიობასა და გაღიზიანების ინტენსიობას შორის. შესაძლოა, შეგრძნების ინტენსიობას ან სრულიად არავითარი კავშირი არ ჰქონდეს გაღიზიანების ინტენსიობასთან, ანდა, პირიქით, ამ უკანასკნელის ანარეკლის მეტს არაფერს წარმოადგენდეს, ანდა ბოლოს, რაიმე განსაზღვრულს სპეციფიკურ კანონზომიერების დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს მასთან.

ამ საკითხის გადაწყვეტა არც უბრალო დაკვირვების ნიადაგზე

შეიძლება და არც რაიმე თეორიული მოსაზრების ნიადაგზე. აქ მხოლოდ ექსპერიმენტი შესძლებს რისამე საყურადღებოს თქმას. ამიტომ, საკვირველი არაა, რომ პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ საკითხის გადასაჭრელად იყო მეცნიერებაში გადადგმული, ექსპერიმენტული ხასიათის იყო, და ამავე დროს ეს პირველი ფსიქოლოგიური საკითხიც იყო, რომლის გადაჭრაც ექსპერიმენტულად იყო ნაცადი: ექპერიმენტული ფსიქოლოგიის ისტორია იმ დროიდან იწყება, როდესაც ფიზიოლოგმა ვებერმა შეგვრძნებისა და გაღიზიანების, ე. ი. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ინტენსიობის მხრივ ურთიერთობის საკითხი დააყენა. ვებერის ცდები მას შემდეგ ფიზიკოსმა ფენჩერმა განაგრძო და საბოლოო საფუძვლები ჩაუყარა ფსიქოლოგიის იმ ნაწილს, რომელიც შემდგომ ფსიქოფიზიკის სახელწოდებით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ფსიქოლოგიის ყველაზე უფრო საინტერესო და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა.

რა გამოიკვავა შეგვრძნებისა და გაღიზიანების ინტენსიობის მხრივ დამოკიდებულების შესახებ?

ჯერ ერთი, საბოლოოდ დადასტურდა ის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ადამიანი მასზე მოქმედი გაღიზიანების ინტენსიობის ყოველ ცვლილებას როდი განიცდის, არამედ მხოლოდ შედარებით მოზრდილი ინტენსიობის გაღიზიანებას გრძნობს; მეორე: ზუსტი კვლევის შედეგად მონახული იქნა ის კანონი, რომელიც გაღიზიანებისა და შეგვრძნების ურთიერთობას უდევს საფუძვლად.

ამ კანონის გასაგებად საჭიროა განსაკუთრებით ე. წ. ზღურბლის ცნების გათვალისწინება, რომელიც ფსიქოფიზიკური კვლევის პროცესში იქნა დადგენილი.

გამოიკვავა, რომ საჭიროა გაღიზიანების ინტენსიობამ განსაზღვრულ დონეს მიადწიოს, რომ მისი ზემოქმედება ოდნავ მაინც იგრძნო. გაღიზიანების ინტენსიობის იმ დონეს, რომელიც ასეთს ოდნავ შესამჩნევ შეგვრძნებას იძლევა, „ქვედა ზღურბლი“ ეწოდება. სამაგიეროდ, გაღიზიანების ინტენსიობის ისეთი დონეც არსებობს, რომლის გაღივებაც შეგვრძნების ინტენსიობის გაძლიერებას აღარ იწვევს. ამას „ზედა ზღურბლი“ ეწოდება. გაღიზიანების ფაქტორის ზემოქმედებას ჩვენ მხოლოდ ამ ზღურბლებს შუა ვგრძნობთ. ამიტომ მათ „გარე ზღურბლები“ სახელწოდებითაც აღნიშნავენ.

საგულისხმოა, რომ სრული პარალელობა შეგვრძნებისა და გაღიზიანების ინტენსიობას შორის არც ზღურბლებს შუა მოქცეულ ინტენსიობათა არეში არსებობს. მაგალითად, ხელში ვიღებ წიგნს.

რასაკვირველია, მის სიმძიმეს ვგრძნობ. მაშასადამე, მისი სიმძიმის ინტენსიობა აქ ქვედა ზღურბლსა და ზედა ზღურბლს შუა უნდა ვიგულისხმოთ. წიგნში რომ ეხლა ერთი ფურცელი ქალაქი ჩავდოთ, ფიზიკურად მისი სიმძიმე მეტი იქნება, გალიზიანების ინტენსიობის დონე აიწევს. მაგრამ წიგნი რომ ხელში ავიღოთ, ვერასდროს ვერ შევამჩნიეთ, რომ მისი წონა მართლა სხვაა. საჭიროა ამ წონის მომატებამ განსაზღვრულ დონეს მიაღწიოს, რომ მისი განსხვავება ოდნავ მაინც შევამჩნიოთ. გალიზიანების იმ დანამატს, რომელიც ამ ოდნავ შესამჩნევი განსხვავების საგრძნობადაა საჭირო, „გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს ზ ლ უ რ ბ ლ ს“ უწოდებენ. ამაზე მეტს „ზ ე ზ ლ უ რ ბ ლ უ რ ი“ გალიზიანება ჰქვია, ხოლო ნაკლებს „ქ ე ვ ზ ლ უ რ ბ ლ უ რ ი“. განსხვავების ზღურბლის დონე (მაღალი დონე, დაბალი დონე) განსხვავების გრძნობიერებაზეა დამოკიდებული: უფრო მაღალი განსხვავების გრძნობიერების შემთხვევაში განსხვავების ზღურბლი უფრო დაბალია, ვიდრე უფრო დაბალი განსხვავების გრძნობიერების შემთხვევაში.

ვ ე ბ ე რ მ ა პირველმა მიაქცია ყურადღება (1834), რომ განსხვავების ზღურბლი ორგვარია: ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი და რ ე ლ ა ტ უ რ ი, და რომ მათს ერთმანეთისაგან გარჩევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აბსოლუტური განსხვავების ზღურბლი გალიზიანების იმ დანამატს ეწოდება, რომელიც განსხვავების ზღურბლის მისაღწევადაა საჭირო. მაგ., თუ იმისათვის, რომ 2000 გრამიანი სიმძიმის შეცვლა ოდნავ მაინც ვიგრძნო, ვთქვათ, 200 გრამის დამატებაა საჭირო, მაშინ აბსოლუტური განსხვავების ზღურბლს ეს რიცხვი გამოხატავს. იმისდა მიხედვით, რა სიმძიმის შეცვლის შემჩნევა გვინდა („ძირითადი გალიზიანება“). აბსოლუტური განსხვავების ზღურბლი სხვადასხვანაირია. მაგ., თუ 2000-გრამიანი ძირითადი გალიზიანებისათვის 200 გრამის დამატება შეიქნა საჭირო, 4000-სისათვის 200 გრამი უკვე ცოტა იქნება: მას მეტი უნდა დაემატათ.

თუ ამავე სიდიდეს (ჩვენს მაგალითში — 200 გრამს) მტკიცე ფიზიკური საზომი ერთეულებით (ჩვენს მაგალითში — გრამებით) კი არ გამოვხატავთ, არამედ იმ რიცხვით, რომელიც დამატებითა გალიზიანებასა და ძირითად გალიზიანებას შორის არსებობს, მაშინ რ ე ლ ა ტ უ რ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს ზ ლ უ რ ბ ლ ს მივიღებთ (ჩვენს მაგალითში — 2000 გრ. იყო ძირითადი გალიზიანება და 200 გრამი დამატებითი, მიმართება მათ შორის

$$\frac{200}{2000} = \frac{1}{10}.$$

მაშასადამე, რელატური ზღურბლი 0,1 უდრის). როდესაც ვებერმა სხვადასხვა ძირითადი გალიზიანების შემთხვევაში რელატური განსხვავების ზღურბლი გამოიანგარიშა, აღმოჩნდა, რომ იგი კონსტანტ სიდიდეს წარმოადგენს. სიმძიმის მოდალობის არეში იგი 0,1-ს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმძიმეების ოდნავი შეცვლა რომ იგრძნო, მათ წონის მეთადი უნდა დაუმატო.

ვებერის ცნობილი ძირითადი ფსიქოფიზიკური კანონი, რომელმაც ეგოდენ დიდი როლი ითამაშა ფსიქოლოგიის ისტორიაში. სწორედ ამაში მდგომარეობს. მისი ფორმულა ძალიან მარტივია;

იგი ასე გამოიხატება:  $\frac{dr}{r} = \text{const.}$  ( $dr$  — დამატებითი გალიზიანება,  $r$  — ძირითადი გალიზიანება).

მას შემდეგ, რაც ვებერმა თავისი კანონის ფორმულა გამოაქვეყნა, აუარებელი ექსპერიმენტული გამოკვლევა იქნა ჩატარებული, რათა რელატური განსხვავების ზღურბლის სიდიდე შეგრძნებათა ყველა მოდალობის არეში ყოფილიყო დადასტურებული. ფეხნერმა ვებერის კანონს ზუსტი მათემატიკური გამოხატულება მისცა: იმისათვის, რომ შეგრძნებათა ინტენსიობა არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდეს, გალიზიანებათა ინტენსიობა გეომეტრიული პროგრესიით უნდა გაიზარდოს. ამ დებულების უფრო მოკლე მათემატიკური ფორმულა ასეთი იქნებოდა:  $E = \log R$  ( $E$  — შეგრძნების ინტენსიობა,  $R$  — გალიზიანების ინტენსიობა).

შემდგომმა ინტენსიურმა კვლევამ იხილავდა, რომ ვებერ-ფეხნერის კანონს მხოლოდ დაახლოებითი მნიშვნელობა აქვს: იგი მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებშია სწორი. ამ ფარგლებში სხვადასხვა მოდალობისათვის განსხვავების ზღურბლის სიდიდე შემდეგი აღმოჩნდა:

სიმძიმე — 10% (2000—6000 გრამ. ფარგლებში).

წნევა — 5% (საჩვენებელ თითის წვერზე 50 — 2000 გრ. ფარგლებში).

სინათლე — 1-3% (1000 — 2000 სინათლის ფარგლებში).

თვალზომა — 2% (ხაზების, სიბრტყეების შედარებისას).

ტონი — 12% (საშუალო სიმაღლისა და საშუალო სიძლიერის ტონების ფარგლებში).

ხმაური — 33%:

ფენერის შეცთომას განსაკუთრებით ის გარემოება შეადგენდა, რომ მას შეგრძნების ინტენსიობის ზუსტი გაზომვა შესაძლოდ მიაჩნდა და საზომ ერთეულად ამ შემთხვევაში ე. წ. ო დ ნ ა ვ შ ე - ს ა მ ჩ ნ ე ვ ი შე გ რ ძ ნ ე ბ ი ს ინ ტ ე ნ ს ი ო ბ ა ს სთვლიდა. ექსპერიმენტულმა კვლევამ მისი აზრი არ გააპართლა.

## შეგრძნებათა ფსიქოლოგია

1. შეგრძნების პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიაში. კლასიკურ ფსიქოლოგიაში შეგრძნება თავისთავად წარმოადგენდა დამოუკიდებელ ინტერესს. თანახმად ძირითადი რწმენისა, რომლის მიხედვითაც ფსიქიკის შესასწავლად მის ელემენტარულ განცდებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, შეგრძნება განსაკუთრებული ყურადღების საგნად გადაიქცა. მთავარი ამოცანა, ჯერ ერთი, იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება ზუსტად დადგენილიყო ელემენტარული შეგრძნების ყველა სახე; შემდეგ—გამონახულიყო მისი შესატყვისი ელემენტარული პროცესები როგორც ფიზიკურ სინამდვილეში, ისე ფიზიოლოგიურ არეშიც და, დასასრულ, დაწესებულიყო შეგრძნების, გაღიზიანებისა და აგზნების ურთიერთ-მიმართების ძირითადი კანონზომიერებანი. ჰელმჰოლცი და ვუნდტი ორი უდიდესი მკვლევარია, რომელთაც შეგრძნების ფსიქოლოგიას, უკეთ, შეგრძნების ფსიქოფიზიკასა და ფიზიოლოგიას არა მარტო საფუძველი ჩაუყარეს, არამედ დასრულებული სახეც მისცეს.

ჩვენთვის გრძნობადს აღქმას პირველ რიგში იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ იგი ჩვენი აქტიობის ერთერთს აუცილებელ პირობას წარმოადგენს: იგი გარესსინამდვილის ასახვას იძლევა და, მაშასადამე, ჩვენი ქცევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, უძირითადეს რეგულატორს შეადგენს. ამ შემთხვევაში უკვე შეგრძნება დამოუკიდებელ ინტერესს კარგავს. ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რა წვლილი შეაქვს შეგრძნებას აღქმაში; რა შეაქვს მას ობიექტური სინამდვილის ასახვის პროცესში. მაშასადამე, შეგრძნებათა ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა ჩვენთვის ის კი არ იქნება, თუ რა დამოკიდებულება არსებობს გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის და რა კანონზომიერებათა დადასტურება შეიძლება ამ მიმართულებით. არა! ჩვენთვის მთავარ ინტერესს შეგრძნებათა მრავალფეროვნების ზუსტი აღწერა, მათი გამოვლენის ფორმებისა და სახეების სრული გათვალისწინება შეადგენს. ხოლო,

რაც შეეხება ახსნის საკითხს, იგი ალქმის პრობლემათა და-  
კავშირებით უნდა დაისვას.

ამრიგად, შეგრძნებათა ფსიქოლოგიაში ჩვენს ხანაში უექველად  
თვალსაჩინო გარდატეხა მოხდება: დღის შეგრძნებათა ფსიქოფიზი-  
კისა და ფიზიოლოგიის პრობლემები ჩრდილში დგება და მათ აღ-  
გილს პირველ რიგში შეგრძნებათა ფენომენოლოგია იკავებს.

## მხედველობა

1. მხედველობის შეგრძნებათა ძირითადი რომელობანი. მხედვე-  
ლობის შეგრძნებათა როლი ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში გან-  
საკუთრებით დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი თავის ურ-  
თიერთობაში სინამდვილესთან პირველ რიგში მხედველობით ხელმ-  
ძღვანელობს. რა შეგრძნებებს იძლევა ჩვენი მხედველობა? რას არ-  
ჩევს, რას ხედავს ობიექტურ სამყაროში თვალი?

უექველია, ძირითადად მხოლოდ ორს. რასმე: ს ი ნ ა თ ლ ე ს ა  
და ფ ე რ ს. მათ მხედველობა ორს რომელობით განსხვავებულ  
შეგრძნებათა ჯგუფს შეიცავს: სინათლის შეგრძნებებსა და ფერის  
შეგრძნებებს. უნდა ითქვას, რომ არსებითად სინათლის შეგრძნებე-  
ბიც ფერად განიცდება: ბ ნ ე ლ ი და ნ ა თ ე ლ ი, განსაკუთრებით  
კი მათი უკიდურესი საფეხურები — შ ა ვ ი და თ ე თ რ ი — ყო-  
ველთვის ფერად ითვლებოდა. იგივე ითქმის სინათლის საშუალო სა-  
ფეხურების შესახებაც: რუხი უფრო ფერია, ვიდრე სინათლე. ამი-  
ტომ შეიძლება უფრო სწორი აღწერა იქნებოდა ჩვენი განცდისა,  
თუ რომ მხედველობის შეგრძნებებს ყველას ფერის შეგრძნებად  
ჩავთვლიდით. სინათლე. რომელსაც უდაოდ არჩევს თვალი, მაშინ  
შეგრძნების ცალკე რომელობად კი აღარ ჩაითვლებოდა, არამედ  
ფერის შეგრძნების ერთერთ მომენტად, რომლითაც შეიძლება ერ-  
თი ფერი მეორესაგან განსხვავდებოდეს. ზოგი ფსიქოლოგი ასეც  
იქცევა და მხედველობის ფუნქციად მხოლოდ ფერების შეგრძნებას  
სთვლის.

თუ ამ შეხედულებას შევიწყნარებთ, მაშინ ფერის შეგრძნებათა  
მრავალსახიანობა, უწინარეს ყოვლისა, ორს დიდ ჯგუფად უნდა  
გავყოთ: პირველი იქნება ქ რ ე ლ ი ფ ე რ ე ბ ი — სწორედ ისინი  
სპექტრში რომ გვხვდებიან — ფერადი ფერები ანუ ქრომა-  
ტული ფერები, ხოლო მეორე — უფერული ფერები, აქრომატული  
ანდა კიდევ ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ფერები (თეთრი, რუხი და შავი).

2. ნეიტრალური ფერები. ფერები ურთიერთისაგან პირველ რიგში  
„ფერითი ტონით“ განსხვავდებიან. ნეიტრალური ფერების ტონთა



მრავალსახიანობა შეიძლება სწორი ხაზის საშუალებით იქნეს გამოსახული. უკიდურესი წერტილები თეთრსა და შავს აქვს დაკავებული, ხოლო მათ შუა მდებარე წერტილები — თეთრიდან შავისაკენ — რუხი ფერის სხვადასხვა ნიუანსებს. ნეიტრალური ფერების სისტემისათვის განსაკუთრებით ორი გარემოებაა დამახასიათებელი: ჯერ ერთი — ყველა ეს ფერები რომ ინტენსიობის მიხედვით დავალაგოთ, იმავე რიგს მივიღებთ. რასაც ვღებულობთ, როდესაც მათ რომელიმე განსხვავებულობის მიხედვით ვალაგებთ. მაქსიმალური ინტენსიობის ფერი ისაა, რომელიც მაქსიმალურად კარგად მოჩანს, ე. ი. რომელსაც მაქსიმალური სინათლე აქვს. ნეიტრალურ ფერებში ასეთი ფერი თეთრია. რომ დავიწყოთ თეთრიდან და ნელ-ნელა შევასუსტოთ მისი ინტენსიობა, მივიღებთ რუხი ფერების უწყვეტ რიგს, რომლის წევრებიც, ნელის თანდათანობით, კარგავენ სინათლეს და სულ უფროდაუფრო უახლოვდებიან შავს. ამრიგად, ნეიტრალური ფერის ინტენსიობის ყველა საფეხური ერთ ხაზზე ლაგდება: უკიდურეს პოლუსებს აქაც თეთრი და შავი წარმოადგენს, ხოლო რუხი ამ პოლუსებს შუაა მოთავსებული სწორედ ისე, როგორც ამავე ფერების რომელიმე მიხედვით განლაგების შემთხვევაში.

ნეიტრალურ ფერთა სისტემის მეორე თავისებურება. რომელიც არსებითად პირველიდან გამომდინარეობს, ეს ისაა, რომ აქ ინტენსიობის თითოეული საფეხური მკვეთრად გამოხატულს რომელიმე თავისებურებას წარმოადგენს: ყოველი რუხი არა მარტო ინტენსიობით განსხვავდება ყოველი დანარჩენი რუხისაგან, არამედ რომელიმე თვალსაზრისით და რომელიმე დამთხვევა აქ იმდენად სრულია, რომ ეს გარემოება საბაბს აძლევს კაცს იფიქროს, რომ ფსიქოლოგიურად შეიძლება არც სხვა შემთხვევაში არსებობდეს თვალსაზრისო განსხვავება ინტენსიობასა და რომელიმე სწორის, ანდა, შესაძლოა, რაც ინტენსიობით განსხვავებად მიგვაჩნია, ნამდვილად რომელიმე განსხვავების მეტს არაფერს წარმოადგენდეს.

3. სპექტრალური ფერები. ქრომატული ფერების ტონთა სისტემა სულ სხვა სურათს წარმოადგენს. ერთი სწორი ხაზი აქ ყველა რომელიმე გადმოსაცემად არაა საკმარისი: საჭიროა ოთხი ასეთი ხაზი მაინც.

განვიხილოთ ეს ფერები და ვნახოთ, თუ რა სახითაა მათი სისტემა მოცემული!

ამ ფერების რიგი წითლით იწყება, რომელიც თანდათანობით სუსტდება ყვითლის ხარჯზე. რომელიც სულ უფროდა-

უფრო მატულობს, სანამ ერთ წერტილს არ მიაღწევს, სადაც სიყვითლის მეტი არაფერია წარმოდგენილი. ამრიგად, თავდება ერთი ხაზი: იგი შეიცავს წითელს, ნარინჯსა და ყვითელს. ამის შემდეგ იწყება ყვითლის ხაზი, რომელსაც თანდათანობით მწვანე ემატება, რომელიც სულ უფროდაუფრო მატულობს, სანამ ესეც წმინდა სიმწვანის წერტილს არ მიაღწევს. ეს იქნება მეორე ხაზი: ყვითელი -- მწვანე. შემდეგ იწყება მესამე ხაზი ლურჯის მიმართულებით და, ბოლოს, მეოთხე — იისფერისაკენ.

საგულისხმოა, რომ, მართალია, ეს ხაზები ერთი-მეორის გაგრძელებას წარმოადგენენ, მაგრამ ამის მიუხედავად, ერთ სწორ ხაზს მაინც ვერ ქმნიან. არა! ისინი უფრო ტენილ ხაზს გვაძლევენ. რატომ? ისინი რომ ერთი სწორი ხაზის სახით გავვეერთიანებია, მაშინ დასაწყისი ფერი, წითელი, მთელს ამ გაერთიანებულ ხაზზე უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი. ეს მართლაც ასეა წმინდა სიყვითლის წერტილამდე თუ ზოლამდე. მაგრამ აქედან დაწყებული სიწითლის აბსოლუტურად აღარაფერია დარჩენილი და, მაშასადამე, შემდგომი ფერების ჩათვლა წითლის ხაზის პირდაპირ გაგრძელებად უმართებულო იქნებოდა. საქმის ვითარების უფრო ზუსტი გამოხატულება იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ წმინდა სიყვითლის წერტილში თუ ზოლში წითლის ხაზის გ ა რ დ ა ტ ე ბ ა ხდება და ახალი მიმართულება იწყება. ეს იქნებოდა მაშინ ყვითლის მიმართულება, რომელსაც სიმწვანის ზოლში იგივე ბედი ეწვევა; და აქედან უკვე მწვანის ხაზი და მიმართულება იწყება, რომელსაც ლურჯის ზოლში იგივე ემართება, რაც სხვებს, და ახალი ხაზი იწყება, რომელშიც უკვე ხელახლა სიწითლის ელემენტები იჭრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი ხაზის მიმართულება წითლისაკენ იხრება და წმინდა სიწითლის ზოლით სრულდება.

ამრიგად, ამ ოთხი ხაზიდან ერთს დაბნულ ფიგურას ვღებულობთ, რომელშიც სპექტრალური ფერების ყველა შესაძლო ნიუანსია წარმოდგენილი.

თუ ქრომატულ ფერთა ტონის მიხედვით განლაგების ამ წესრიგს ვიქონიებთ მხედველობაში, მაშინ მათი ორი სპეციფიკური თავისებურება განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. ერთი ის, რომ ქრომატული ფერების ნაირსახეობა ისეთია, რომ ის ფერი, რომელიც ყველაზე უფრო შორს დგას დასაწყისი ფერიდან (წითლიდან), თავისი ტონით ყველაზე უფრო ახლო დგას მასთან: სპექტრში პირველი ფერი წითელია, ხოლო უკანასკნელი — იისფერი. მაგრამ არც ერთი სხვა ფერი ისე ახლო არ დგას თავისი ტონით წითელთან, როგორც სწორედ იისფერი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ფერთა მრავალ-

სახიანობის გადმოსაცემად იძულებული ვხდებით დახშულ ფიგურას მივმართოთ.

მეორე გარემოება: ეს ფიგურა ოთხკუთხედიანია, იმიტომ რომ ქრომატულ ფერებში ოთხ ფერს — წითელს, ყვითელს, მწვანეს და ლურჯს — მართლა განსაკუთრებული ადგილი უკავია; ყველა დანარჩენი ფერები მათ ირგვლივ იყრიან თავს, მათ უახლოვდებიან მეტად თუ ნაკლებად, ხოლო თვითონ ისინი ნამდვილ წმინდა, მარტივ ფერებად განიცდებიან. ნეიტრალური ფერების რიგში, კერძოდ, დაკვირვებით, ასეთსავე წმინდა ფერებს შავი და თეთრი წარმოადგენს. ამ მიზეზის გამო ამ ოთხ ფერს მთავარი ფერები ეწოდება, ხოლო დანარჩენებს გარდამავალი ფერები.

მაგრამ ფერთა ნაირობა ჯერ კიდევ არაა ამ დახშული ფიგურის სახით მთლიანად ამოწურული. საქმე ისაა, რომ ფერები მარტო იმით კი არ განსხვავდებიან, რაც ამ დახშულ ფიგურაში პოულობს თავის გრაფიკულ განსახიერებას: მარტო ტონით. ერთიდაიგივე ტონის ფერი ყველა ერთნაირი როდია: განსხვავება თითოეული ფერის ტონის ფარგლებშიც დასტურდება. ეს განსხვავება ორგვარი მაინცაა: ერთიდაიგივე ფერის ტონი, შესაძლებელია, ამა თუ იმ კონკრეტული ფერის შეიმთხვევაში ან მეტად იყოს წარმოდგენილი, ან ნაკლებად. მაგალითად, წითელი შეიძლება ბევრნაირი იყოს: უფრო წითელი და ნაკლებ წითელი. მაქსიმალურ წითელს მაძღარ წითელს უწოდებენ. ამრიგად, ერთიანიმევე ფერის ტონები ურთიერთისაგან სიმადრით განსხვავდებიან.

გარდა სიმადრისა, ფერი სინათლეთაც განსხვავდება მეორე ფერისაგან: წითელი ფერი განათების სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირად გამოიყურება: ბნელი წითელი და ნათელი, ანუ ღია წითელი ერთნაირი არაა.

ფერთა შეგრძნების დამახასიათებელ თავისებურებას ის გარემოებაც შეადგენს, რომ, რა ფერიც უნდა აიღოთ, მისგან ნელის, თანდათანობითი ცვალების გზით, რა ფერიც გინდათ, იმისი მიღება შეგიძლიათ: ყოველი ფერიდან ყოველს სხვა ფერზე შეიძლება გადასვლა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ფერთა სისტემის გრაფიკულ გამოხატულებაში ფერების განსხვავებულობის ყველა შესაძლო მომენტი უნდა იყოს გათვალისწინებული — არა მარტო ფერის ტონი, არამედ მისი სიმადრეცა და სინათლის ხარისხიც.

ასეთ გამოხატულებას ე.წ. ფერთა ოქტაედრი წარმოადგენს. როგორც ვიცით, სინათლის შეგრძნებათა გრაფიკულ სურათს სწორი ხაზი იძლევა ფერთა. ოთხკუთხედი რომ სიბრტყეთ წარმოვიდგინოთ და იგი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ვიგულისხმოთ,

სინათლის შეგრძნებათა გამოშხატველი სწორი ხაზი შეიძლება ამ სიბრტყის ღერძად წარმოვისახოთ, რომელიც მას ცენტრში ზვრეტს და ერთი ნახევრით ერთ მხარეზე რჩება, ხოლო მეორით — მეორე მხარეზე. რომ შევაერთოთ ფერთა ოთხკუთხედის წვერები ამ სწორი ხაზის უკიდურეს წერტილებს — თეთრის წერტილსა და შავის წერტილს — დახშულ ფიგურას მივიღებთ, ოქტაედრს, რომელიც ფერს ყოველგვარ განსხვავებულობას გადმოგვცემს: ფერების ყველა ტონი ამ ოქტაედრის ზედაპირზე, თითოეული ცალკე წახნაგზე იქნება მოცემული. მაგრამ ამასთან ერთად ისინი თავისი სინათლის ყველა საფეხურით იქნებიან წარმოდგენილი — უფრო ნათელი ფერები ერთ მხარეზე, უფრო ბნელი ფერები მეორეზე. რაც უფრო ავიწვევთ ზევით, თეთრს მიმართულებით, მით უფრო ნათელ ფერებთან გვექნება საქმე. რაც უფრო დავიწვევთ ქვემოდ, შავის მიმართულებით, მით უფრო ბნელი ფერები შეგვხვდება. მაგრამ ამავე დროს ფერთა ოქტაედრში ფერთა განსხვავებულობის მესამე მომენტიც — სიმძლავრე — იქნება წარმოდგენილი. რომ გადავკვეთოთ ოქტაედრი სწორედ ფუძის სიბრტყეში, შიგნი მაქსიმალური სიმძლავრის ყველა ტონის ფერს დავინახავთ. სიმძლავრის ყველა შესაძლო საფეხური წარმოდგენილი იქნება განივ განაკვეთებში, როგორც თეთრის ნახევარზე, ისე შავისაზე.

ამრიგად, ფერთა ოქტაედრი ქრომატულ ფერთა ყველა შესაძლო განსხვავებულობას უწევს ანგარიშს და მას აღეკვატურ გამოშხატულებას აძლევს.

მაგრამ არის ერთი მომენტი კიდევ, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავებს ფერებს ურთიერთისაგან. ეს ის მომენტიცაა, რომელსაც პირველად მხოლოდ მე-20 საუკუნეში მიაქციეს ყურადღება და რომელსაც მისმა მკვლევარმა დ. კაც-მა ფერთა გამოვლენის ნაირობა (Erscheinungsweise) უწოდა. ეს მომენტი სრულიად განსხვავებულია იმ სამი მომენტისაგან, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი: ფერთა გამოვლენის ნაირობა ფერის ტონის, სიმძლავრისა და სინათლის გვერდით ვერ მოთავსდება. იგი სულ სხვა სიბრტყეში უნდა ვიგულისწმობთ. საქმე ისაა, რომ ფერები არასდროს ცალკე, თავისთავად არ გვეძლევა: ფერი ყოველთვის რაიმე საგნის ფერს წარმოადგენს, საგნისას, რომელსაც უთუოდ გარკვეული სიბრტყითი სტრუქტურა აქვს, და როგორც კი ჩამოაშორებ მას ამ სტრუქტურას, იგი ის აღარ იქნება, რაც იყო ნამდვილად. ფერის ტონი, სიმძლავრე და სინათლე მხოლოდ „მასალა ფერის“ ფსიქიკური გამოვლენის ნაირობისა. მაშასადამე, ფერთა ფსიქოლოგიის ერთერთი ძირითადი საკითხი — ეს არის საკითხი ფერთა გამოვ-

ლენის ნაირობის შესახებ — საკითხი იმის შესახებ, თუ, ფერის, ან საზოგადოდ, მხედველობის რა და რა გამოვლენის შემთხვევები არსებობს.

კაც-ი ორს ძირითად შემთხვევას განასხვავებს: ერთი, როდესაც ფერი ცალკეულ საგანთა ფერის სახით გვეძლევა, და მეორე, როდესაც იგი არცერთი ცალკეული საგნის კუთვნილებას არ შეადგენს, როდესაც იგი განუწევრებელია და მთლიანი.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კაც-ი „განათებას“ გულისხმობს. ავიღოთ საწინამშროდ ჩვენი ოთახის განათება. განა შეიძლება ითქვას, რომ იგი ოთახში ამჟამად არსებული საგნების ფერთა შეჯამების შედეგს წარმოადგენს? რასაკვირველია, არა. საგნების ფერის ტონი და სინათლე სხვაა და განათება სულ სხვა. განათება თითოეულ ცალკე საგნისთვის როდია: იგი მთელ სივრცეს ავსებს და ამდენად ცალკეულ საგნებზეც ვრცელდება. ასეა ყველა სხვა შემთხვევაშიც. ერთი სიტყვით, განათება ჩვენი მხედველობის გამოვლენის ერთერთი დამოუკიდებელი ნაირსახეობაა.

სულ სხვაა საკუთრივ ფერების გამოვლენის ნაირობა. როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ფერი ყოველთვის რაიმე ცალკეული საგნის, ყოველ შემთხვევაში, რისამე ფერად გვევლინება. კაც-ი შემდეგს გამოვლენის შემთხვევებს აღნიშნავს: 1) სიბრტყის ფერი — ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფერი სიბრტყეში გვეძლევა, მაგ., ცის ფერი უეჭველად სპეციფიკურად განიცდება, სულ სხვანაირად, ვიდრე სავსებით იმავე ტონის, სიმადრისა და სინათლის ფერი, ოღონდ, ვთქვათ, ქალაღის ზედაპირზე, როგორც მისი ფერი. სიბრტყის ფერს ვხედავთ, მაგალ., დახუჭული თვალით, როდესაც ძლიერი სინათლე მოქმედობს თვალებზე. სიბრტყის ფერის განცდა ექსპერიმენტულადაც შეიძლება: ავიღოთ რომელიმე გარკვეული ფერის, ვთქვათ, წითელი ფერის ქალაღის ფურცელი. ავიღოთ მეორე, რუხი ფურცელიც. გაეჩხვლიტოთ იგი ქინძისთავით და ნაჩხვლელიდან ვპერიტოთ წითელ ფურცელს: მისი ფერი სულ სხვანაირად განიცდება, ვიდრე მაშინ, როდესაც პირდაპირ ვხედავთ ქალაღის ფურცელს. კაც-ი ამ სიბრტყის ფერის რედუქციის შესახებ ლაპარაკობს; 2) ზედაპირის ფერი სულ სხვანაირად განიცდება: ეს ის ფერია, რომელიც საგანთა ზედაპირზეა მოთავსებული; 3) სხვანაირად განიცდება „გამსკვირვალე სიბრტყის ფერი“, მაგალ., ფერადი მინის ფერი; 4) სივრცის ფერი — ფერადი სითხის ან ორთქლის ფერი.

ესაა ყველა ის გრძნობადი შინაარსი, რომელსაც ჩვენი თვალი იძლევა.

1. ხმაური. რა და რა რომელობით განსხვავებულ შეგრძნებას იძლევა ჩვენი სმენა? რას ამჩნევს ჩვენი ყური? (რასაკვირველაა, ბგერას. მაგრამ ბგერა ორგვარია: ხმაური ანუ ჩქამი და ტონი. მათი განსხვავება იმდენად თვალსაჩინოდ განიცდება, რომ. ჩვეულებრივ, ტონსა და ხმაურს არავინ ურევს ერთმანეთში. მიუხედავად ამისა, სიტყვიერად იმის განსზღერა, თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, ძალიან ძნელია: ტონისა და ხმაურის აღწერა. როგორც უმარტივესი ფსიქიკური განცდებინ, ისევე შეუძლებელია. როგორც წითელის ან სხვა რომელიმე ფერისა.

ხმაური ბევრნაირია. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი სამყარო რაიმე ხმაურთან არის დაკავშირებული. მარტო ის რად ღირს, რომ მთელი ჩვენი მეტყველების ერთადერთს გრძნობადს მასალას ხმაური წარმოადგენს. ტონის განცდა შეუდარებლად უფრო იშვიათია, ვიდრე ხმაურისა. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ნაკლებაა შესწავლილი, ვიდრე პირველი. შეიძლება ითქვას, რომ ფიზიოლოგიური აკუსტიკა, რომელიც კლასიკური ფსიქოლოგიის ერთერთს ცენტრალურ ნაწილს შეადგენდა, უფრო ტონის ფსიქოლოგია იყო, ვიდრე სმენისა საზოგადოდ. ეს, რასაკვირველია, მარტო იმით კი არ აიხსნება, რამ ხმაური ისეთი ზუსტი კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია, როგორც ტონი. ეს იმითაც აიხსნება, რომ ყოველი ხმაური უაღრესად ინდივიდუალური თვისებისაა და მასში წესისა და რიგის დანახვა ძნელია. შეიძლება ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ხმაური საგანგებო, ამომწურავი კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია.

ვუნდტს შემდეგ ხმაურის სამს გამოვლენის ნაირსახეობას განასხვავებენ: 1) მყისთანადი ანუ მომენტალური ხმაური. როგორცაა, მაგ., ტყაუნი, ტყლაშუნი და სხვ. ამ ხმაურს ის აჩიხათებს, რომ იგი მომენტალური ხასიათისაა, ერთბაშია: ელვასავით ჩნდება და ქრება; 2) სულ სხვაგვარად განიცდება, მაგ., სტვენა, შრიალი, ხრიალი, გრიალი. ესენი უფრო ხანგრძლივი მიმდინარეობის არიან: უთუოდ მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის მონაკვეთს ავსებენ. ვუნდტი ასეთ ხმაურს ხანიერს უწოდებს; 3) განსაკუთრებით საინტერესოა ტონალური ან მელოდური ხმაური. ეს ის თავისებურია ხმაურობაა, რომელიც ტონების ერთდროული, უწესრიგო მიწოდების შემთხვევაში განიცდება: მაგ., როიალის კლავიატურაზე რომ მოზრდილი რამე დაე-

ცეს, რასაკვირველია, თითოეული კლავიში თავის ტონს მოგვცემს, მაგრამ ერთად ტონის განცდა კი არა, გარკვეული ხმაურის განცდა გვექნება.

ჰელმჰოლცი ხმაურის ტიპად სწორედ ამ უკანასკნელ ფორმას თვლიდა. იგი ფიქრობდა: ხმაური არსებითად ყოველთვის რთულ ფენომენს წარმოადგენს. მისი ანალიზი რომ მოვახდინოთ, საბოლოოდ სხედასხვა ტონის უწესრიგო თავყრილობის მეტს ვერაფერს მივიღებთო. მაშასადამე, მისი აზრით, ყური მხოლოდ ტონის შეგრძნებას იძლევა: სხვა ელემენტარული განცდები მას არა აქვს ფსიქოლოგიურად, ჰელმჰოლცის ეს აზრი მისაღები არაა: ხმაურის განცდა სპეციფიკურია, ტონისას იგი სრულიად არ ჰგავს. როდესაც მრავალი ტონის ერთად ქლერას ხმაურის სახით განვიცდით, ეს არაერთარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ხმაური აქ ამ ტონების შეჯამებას წარმოადგენდეს, რომ თითოეული ცალკე ტონი ცალკე გვესმოდეს, რომ ერთს მეორე ტონის განცდა ემატებოდეს, ამას მესამე ტონისა, და, მთლიანად, ხმაურის განცდას ვღებულობდეთ. ამის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ წინასწარ აღვიარებდით, რომ ყველგან, სადაც გამღიზიანებლის არსებობა დასტურდება, უთუოდ შესატყვისი შეგრძნების არსებობაც უნდა იქნეს ნაგულისხმევი. რადგანაც აქ, მელერი ხმაურის შემთხვევაში, ჩვენზე რთული გამღიზიანებელი მოქმედობს, რომელშიც თითოეული ცალკე ტონის შესაფერი გამღიზიანებელი (ცალკე კლავიში) ღებულობს მონაწილეობას, იგულისხმება, რომ თითოეულს ამ გამღიზიანებელს შესაფერი ტონის შეგრძნება უნდა სდევდეს თან, და ხმაურობა მხოლოდ ამ შეგრძნებათა ნარევის უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „კონსტანტობის ჰიპოთეზი“, რომელსაც ეს წინასწარი აზრი ემყარება, ფსიქოლოგიურად უეჭველად მცდარია. ჰელმჰოლცის ეს შეცდომა იქედან გამომდინარეობს. რომ იგი თავის ფსიქოლოგიურ აზროვნებაში კონსტანტობის ჰიპოთეზს ეყრდნობოდა.

2. ტონი. ტონთა ფსიქოლოგია გაცილებით უფრო წინაა წასული, ვიდრე ხმაურის ფსიქოლოგია. ჰელმჰოლცსა და შტუმპფს შემდეგ ტონი ისევე ზუსტადაა შესწავლილი, როგორც ფერი. მაგრამ მათ, ფერის არ იყოს, ტონის ფსიქოფიზიკა და ფსიქოფიზიოლოგია უფრო აინტერესებდათ. ამიტომ საკვირო შეიქნა მათ შემდეგ დამატებით ტონის ფენომენოლოგიაზე გამახვილებულიყო გულისყური; რევეზისა და კელერის ტონის ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა შემდეგ ტონის ფსიქოლოგია ამ მხრივაც თვალსაჩინოდ გამდიდრდა.

ტონი ტონისაგან პირველ რიგში სიმალლით განსხვავდება. ყველამ იცის ის თავისებური განსხვავება, რომელიც მაღალსა და დაბალ ხმას შორის არსებობს, და სწორედ ეს თავისებურებაა, რომ ტონის სიმალლედ იგულისხმება.

რასაკვირველია, სიმალლის მხრივ ტონი ნელი თანდათანობით იცვლება, ასე რომ ტონთა სიმალლის უწყვეტი თანმიმდევრობის გრაფიკულ გამოხატულებად სამართლიანად ხაზი ითვლება: მისი თითოეული წერტილი განსხვავებული სიმალლის ტონს წარმოადგენს. ტონთა ამ მრავალსახიანობაში მხოლოდ ზოგიერთი იქცევის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას და ისინი ჩვენს მუსიკაში პოულობენ გამოყენებას. ევროპულ მუსიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ტონს აქვს, რომელიც იტალიურ ხელოვნებაში *do, re, mi, fa, sol, la, si* -ს სახელწოდებით არიან ცნობილი.

მეორე, რაც ყოველი ტონის განცდას ახასიათებს, ეს არის ტემპირი. რას ეწოდება ტემპირი, ეს ადვილი გასათვალისწინებელია. ამისათვის მარტივი მაგალითია საკმარისი. ვთქვათ, რომელსაშე გარკვეული სიმალლის ტონს ჭიანჭურზე ვიღებთ და იმავე ტონს ფორტეპიანოზე. რაგინდ არამუსიკალურიც უნდა იყოს ადამიანი, იგი უსათუოდ გაარჩევს ამ ტონებს ერთმანეთისაგან: ერთი სულ სხვანაირად ისმის. ვიდრე მეორე. ეს თავისებურებაა, რომ ტონის ტემპირს უწოდებენ. ჩვენ რომ ორი აბსოლუტურად ერთნაირად აგებული ინსტრუმენტი წარმოვიდგინოთ, მაშინ ორივე სრულიად ერთნაირ ტონს მოგვცემდა და ამ ინსტრუმენტების ხმას ერთმანეთისაგან ვერ გავარჩევდით: მათ ერთნაირი ტემპირი ექნებოდათ. ამრიგად, ტემპირი ინსტრუმენტის აგებულებაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ტემპირის ტონი სრულიად მარტივ განცდას იძლევა, ე. ი. იგი, როგორც მარტივი, როგორც ერთი მთლიანი ტონი მოისმის, ამის მიუხედავად ჰელმჰოლცმა მაინც სცადა მისი ანალიზი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყოველი ინსტრუმენტი, ისე როგორც ადამიანის ხმაც, მხოლოდ რთულ ტონებს იძლევა (მხოლოდ კამერტონი გვაძლევს შედარებით მარტივ ტონს). ყოველ შემთხვევაში, ფიზიკალურად ეს უეჭველად ასეა, რომ ავიღოთ ჰაერის ის ტალღები, რომელიც ამა თუ იმ ტონის შემთხვევაში გვაქვს, და დავშალოთ, მივიღებთ მარტივ ტალღებს, რომელთა შორის ერთი ისეთი იქნება, რომელსაც ყველა დანარჩენზე ნაკლები რხევა აქვს: ასეთ ტალღას გარკვეული ტონი შეესატყვისება, ე. წ. ძირითადი ტონი, ხოლო დანარჩენებს უფრო მაღალი ტონები, ე. წ. ობერტონები, იმიტომ რომ ტონის სიმალლედ ჰაერის რხევის სისწრაფეზეა დამოკიდებული.



ამრიგად, როდესაც ერთი რომელიმე ინსტრუმენტის ტონი გვესმის, ძირითადი ტონის შესატყვისი ტალღაც მოქმედობს და ობერტონის შესატყვისიც. ჰელმჰოლცი, როგორც ვიცით, კონსტანტობის ჰიპოთეზის ნიადაგზე იდგა და, მაშასადამე, ასე ფიქრობდა: თითოეული ტალღა, როგორც გარკვეული გამღიზიანებელი, უთუოდ თავისი შესატყვისი ტონების შეგრძნებას უნდა იწვევდეს; მაშასადამე, როდესაც ჩვენზე რთული ტალღა მოქმედობს, ერთი ტონის შეგრძნება კი არა, ტონის შეგრძნებათა მთელი ჯგუფი უნდა გვექონდეს: ძირითადი ტონისა და ობერტონების. ტონის თავისებური ჟღერა, მისი ე. წ. ტემბრი აქედან ჩნდება: იგი ძირითადი ტონისა და ობერტონების ერთობლიობას წარმოადგენსო. რადგანაც ინსტრუმენტს ყოველთვის თავისი განსხვავებული აგებულება აქვს, ამიტომ მას ძირითადი ტონისა და ობერტონის შესატყვისი ტალღები სხვადასხვანაირი აქვს და, ცხადია, მის განსხვავებულ ტემბრს ეს გარემოება უდევს საფუძვლადო, ფიქრობდა ჰელმჰოლცი.

ამრიგად, ჰელმჰოლცის მიხედვით, ყოველი ტონი რთულია, იგი ტონების მთელ რიგს შეიცავს და ამიტომ მას ყოველთვის რაიმე ტემბრი აქვს.

ცნობილია ერთი დაკვირვება, რომელსაც რეზონანსი ეწოდება. ოთახში რომ რომელიმე ტონი ისმოდეს, ვთქვათ, გარკვეული ძი და აქვე ამავე ტონზე აწყობილი კამერტონი შემოვიტანოთ. დაინახავთ, რომ ეს უკანასკნელი მალე თვითონაც ჟღერას დაიწყებს. ამ მოვლენას რეზონანსი ეწოდება, ხოლო კამერტონს ამ შემთხვევაში შეიძლება რეზონატორი ვუწოდოთ.

ჰელმჰოლცმა თავისი შეხედულების შესამოწმებლად ტემბრის ბუნების შესახებ ეს ფაქტი გამოიყენა. ვთქვათ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტემბრში ობერტონების სახით ასეთი და ასეთი ტონები უნდა მონაწილეობდნენ. როგორ დავრწმუნდეთ, რომ ეს მართლა ასეა? მივმართოთ შესაფერ რეზონატორებს! შემოვიტანოთ ისინი. სადაც ჩვენი ტონი ჟღერს. თუ რეზონატორებმაც დაიწყეს ჟღერა, მაშინ უდაოა, რომ ტემბრი მართლა ამ ტონების ერთობლიობა ყოფილა. ჰელმჰოლცი სწორედ ასე ამტკიცებდა თავისი თეორიის სისწორეს ტემბრის რთული შედგენილობის შესახებ.

მაგრამ ეს ცდა მაინც არ ამტკიცებს, თითქოს ტემბრი ფსიქოლოგიურად ერთს მარტივს კი არა, რთულ განცდას წარმოადგენდეს. საქმე ისაა, რომ როდესაც გარკვეულ ტონს ვისმენთ თავისი სპეციფიკური ტემბრით, ჩვენ მხოლოდ ამ ტონს ვისმენთ, და იგი, როგორც ეს ტონი და არა როგორც მრავალი სხვა ტონი, ისმის: სხვა ტონები ამ შემთხვევაში არ გვესმის; მათი განცდა, მათი შეგრძნება

არა გვაქვს. მაშასადამე, რაღა უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ეს შეგრძნება მაინც არსებობს! როდესაც რეზონატორების ცდას ვაწყობთ, მაშინ მხოლოდ ერთი მტკიცდება, სახელდობრ: რეზონატორი ცალკეული ტონის შეგრძნების შესაძლებლობას გვაძლევს; ეს ცალკეული ტონის შეგრძნება მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც რეზონატორების დახმარებას მივმართავთ. მაშასადამე, აქედან ის დასკვნა კი არ გამოიმდინარეობს, რომელსაც ჰელმჰოლცი გულისხმობდა, თითქოს ეს შეგრძნება ურეზონატოროდაც არსებობდეს, არამედ მხოლოდ ის, რომ ურეზონატოროდ იგი არ არსებობს, თორემ რაღა საკირო იქნებოდა მაშინ მის მისაღებად რეზონატორებისათვის მივვემართა.

მაგრამ ესეც არ იყოს, **შ ტ უ მ ფ მ ა** უკვე დიდიხანია დაამტკიცა, რომ მარტივი ტონები ფსიქიკური ატომების ჯამის მსგავსად კი არ ქმნიან ტემბრს, არამედ ისინი ურთიერთს „ერწყებიან“ და ერთს განუყოფელს მთლიანს ქმნიან, ზოგჯერ ისეთს აბსოლუტურ მთლიანს, რომ კაცი არ არსებობს დედამიწის ზურგზე, რომ მისი, როგორც რთული ტონის, განცდა შესძლოს. **შ ტ უ მ მ ფ ი ს** ეს მონაპოვარი, როგორც ფაქტი, არსებითად ეწინააღმდეგება **ჰ ე ლ მ ჰ ო ლ ც ი ს** დებულებას და საქმის ნამდვილ ვითარებას უკეთ გამოხატავს. მაგრამ **შ ტ უ მ მ ფ ი** არსებითად მაინც **ჰ ე ლ მ ჰ ო ლ ც ი ს** პოზიციებზე განაგრძობს დგომას, რამდენადაც მაინც ტონების „შერწყმის“ შესახებ ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ შერწყმა მხოლოდ მას შეუძლია ერთმანეთთან, რაც მანამდე ლოლიკურად მაინც, შეურწყმელად არსებობდა. პირველი რეალობა, მაშასადამე, **შ ტ უ მ მ ფ ი ს** მიხედვითაც, ცალკეული ელემენტარული ტონის შეგრძნებაა, ხოლო „შერწყმა“, კერძოდ, ტემბრის სახით განცდილი მთლიანობა, მეორადი მოვლენაა. თანამედროვე ფსიქოლოგიაში კონსტანტობის ჰიპოთეზის ეს ნაშთიც უარყოფილია, და ტემბრი ტონის ერთერთ პირველად მხარედ არის მიჩნეული.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სიმაღლის მიხედვით ტონების მრავალსახიანობა ხაზის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს; მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ აქ სწორ ხაზთან გვაქვს საქმე. მართლაცდა, დიდი ხანია შენიშნულია, რომ მეშვიდე ტონს, si-ს, ტონი მოსდევს, რომელიც ძალიან ჰგავს do-ს, ამას მეორე ტონი, რომელიც თითქმის სულ re -სავით ჟღერს, მერე mi -ს ანალოგიური ტონი და ასე ვიდრე si -მდე. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს შვიდივე ძირითადი ტონი ხელახლა იმავე თანამძიდევრობით მეორდებოდეს, ოღონდ უფრო მაღალ ფარდებში. ასე ჩნდება ე. წ. მეორე ოქტავა; ამას შესაძლოა მოსდევს და ასე შემ-

დგე, უკანასკნელ ოქტავემდე (სულ 7 ოქტავას არჩევენ). ცხადია, რაკი ტონი ტონს უწყვეტად მისდევს, ხაზის გამოხატულება ძალაში რჩება. მაგრამ იმიტვის, რომ მან ტონთა ასეთ თანამიმდევრობას ადევკატური გამოხატულება მისცეს, იგი სპირალის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგორც ეს პირველად დროზიუსის მიერ იყო ნაჩვენები. სპირალი იმიტომ არის ამ შემთხვევაში ხელსაყრელი, რომ იგი ორივე მომენტს კარგად გამოხატავს, რომელიც ტონთა მრავალსაზიანობისთვისაა დამახასიათებელი: ტონების განსხვავებულობის უწყვეტ ზრდასაც და მათი ნათესაობის პერიოდულ განმეორებასაც.

პელმოლოცისა და შტუძქვის აზრით, ოქტავებას ასეთ ნათესაობას ის გარემოება უნდა ედოს საფუძვლად, რომ მათ საერთო ობერტონები უნდა ჰქონდესთ. რევეშ-მა (1913) დაამტკიცა, რომ ამ ნათესაობას მარტივი ტონების შემთხვევაშიც აქვს ადგილი, სადაც ობერტონებზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელია, და, მაშასადამე, იგი სხვა საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს. მისი აზრით, ტონების პირველად თვისებას მარტო სიმაღლე როდი წარმოადგენს. არა, მათ მეორე ასეთივე პირველადი თვისებაც აქვს, სახელდობრ, ტონის რომელობა. ერთი ოქტავის ტონების მეორე ოქტავის ტონებთან ნათესაობა, რევეშის აზრით, იმით აიხსნება, რომ ეს ტონები რომელობის მხრივ სავსებით იდენტურნი არიან, მაგრამ სიმაღლით მკაფიოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

ამრიგად, რევეშს შემდეგ, ტონის სიმაღლის გვერდით მის რომელობასაც ასახელებენ.

მეორე ახალი აღმოჩენა ტონების ფსიქოლოგიაში კვლავ ფენომენოლოგიური ხასიათისაა. ვ. კელერის ექსპერიმენტებს შემდეგ ცნობილია, რომ ტონს კიდევ აქვს ერთი, აქამდე შეუძინეველი თვისება, რომელსაც კელერმა ვოკალობა (ხმოვანობა) უწოდა, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ტონები ამა თუ იმ ხმოვან ბგერებს ჰკვანან: ზოგი ტონი, მაგალ., უ-სავით ეღერს. ზოგი ო-სავით, ზოგი ა-სავით, ე-სავით და ზოგი კიდევ ი-სავით. ეს თანამიმდევრობა საერთოდ ტონების სიმაღლის რიგს ემთხვევა: დაბალი ტონები უფრო უ-ს უახლოვდებიან, ხოლო მაღალი, ბოლოს-დაბოლოს, ი-ს.

ამ აღმოჩენას, სხვათა შორის, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მან საბოლოოდ გადაწყვიტა საკითხი, თუ რატომაა, რომ ჩვენი მეტყველების ხმოვან ბგერებს ტონალური ხასიათი აქვთ, მაშინ როდესაც თანხმოვანთა შესახებ ეს არ ითქმის. წინად ამას იმით ხსნიდნენ, რომ ხმოვან ბგერებს ტონალურ ხმაურად აცხადებდნენ, ე. ი. მარტივი

ტონების შენაერთებად. კ ე ლ ე რ ს შემდეგ საკითხი სულ სხვანაირად შებრუნდა: ტონებს თვითონ ჰქონიათ ვოკალური ხასიათი და არა, პირიქით, ვოკალებს (ე. ი. ხმოვნებს) ტონალური.

აღმოჩნდა, რომ ტონების ხაზზე მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ ადგილებს აქვთ გამოკვეთილი ვოკალობა. ასეთი ადგილები ურთიერთისაგან ოქტავეების მანძილით არიან დაშორებულნი და, მაშასადამე, თითოეულ ოქტავას თავისი განსაზღვრული ვოკალობა აქვს. გამოდის, რომ ოქტავეები არა მარტო სიმაღლით, არამედ ვოკალობითაც განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

კარგა ხანია შენიშნულია, რომ სიმაღლის ცვალებასთან ერთად ტონი სხვა მხრივაც იცვლება: იგი თითქოს თავის „სინათლესა“ და „მასივობას“ იცვლის. ეს თვისებები — სინათლე და მასივობა — იმდენად მჭიდროდ არიან ტონის სიმაღლესთან დაკავშირებული, რომ წინათ მათ არა დამოუკიდებელ ნიშნებად, არამედ სიმაღლის უბრალო თანმხლებ მოვლენებად სთვლიდნენ. ამჟამად ეს ძველი შეხედულება მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ აღმოჩნდა, რომ სინათლე და მასივობა ტონის სიმაღლის შეცვლის გარეშეც იცვლება. მაშასადამე, ისინი ტონის დამოუკიდებელი თვისებებია, რომელთაც ტონის ფენომენოლოგიაში ისეთივე ადგილი უკავია, როგორც ყველა ზემოთ აღნიშნულ ნიშანს.

## ბემო და სუნი

1. სუნის შეგრძნება. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი სუნი იმდენად თავისებურია, იმდენად ინდივიდუალურია, რომ სუნის შეგრძნებათა დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია თითქმის სრულიად შეუძლებელი შეიქნა. წინათ ლინე-ს და ცვარდემშაქერის კლასიფიკაცია იყო გავრცელებული. მაგრამ იგი არც საკმარისად სრულია, არც ლოღიკურად სწორი და არც ფსიქოლოგიურად შესატყვისი. ამიტომ დიდი ყურადღების ღირსია ჰენინგის ცდა, რომელსაც სუნთა ქაოტურ ნაირსახიანობაში ერთგვარი წესისა და რიგის შეტანა უნდა.

სპეციალური კვლევის შედეგად ჰენინგი იმ აზრს დაადგა, რომ სუნთა მრავალსახიანობა დახშულ სისტემას წარმოადგენს, რომელშიც თითოეულს ცალკე სუნს თავისი გარკვეული ადგილი უკავია, რომ ამ ადგილიდან ყველა დანარჩენ ადგილზე შეიძლება გადასვლა, ე. ი. თითოეული სუნიდან, სათანადო ცვლილებების გზით, ყველა შესაძლო სუნის მიღება შეიძლება.

ჰენინგის მიხედვით, ექვსი ძირითადი სუნის შეგრძნება არ-

სებობს და ყველა დანარჩენი სუნის შეგრძნებანი მათ ირგვლივ არიან მოთავსებულნი. ეს შეგრძნებები შემდეგია: საკმაზის სუნი, კუპრის, დამწვრის, ვარდის სუნი, დამპლისა და ხილეულის სუნი. თითოეული მათგანი რომ სამწახანაგოვანი პრიზმის წვეროებზე მოვთავსოთ, ჰენინგის მიხედვით, სუნთა სისტემის შესატყვის გრაფიკულ გამოხატულებასთან გვექნება საქმე. არ შეიძლება ითქვას, რომ ჰენინგის სქემა ისევე დამაჭერებელი იყოს, როგორც მაგალ., ფერის ან ტონის სისტემათა სქემები. ყოველ შემთხვევაში, იგი სრული ყურადღების ღირსია. იგი მიგვითითებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმოებდეს სუნის შეგრძნებათა კვლევა მომავალში.

2. გემოს შეგრძნება. ცოტა უფრო გარკვეულ სურათს წარმოადგენს გემოს შეგრძნება. განსხვავება ამ მხრივ სუნთან შედარებით უკვე ჩვეულებრივი მეტყველებიდანაც ნათლად ჩანს. საქმე ისაა, რომ ენას ამა თუ იმ სუნის აღსანიშნავად თითქმის არცერთი დამოუკიდებელი სიტყვა არ მოეპოვება და ამიტომ იგი იძულებული ხდება, ამ მიზნით ყოველთვის იმ საგნის სახელწოდებას მიმართოს, რომლის სუნზეცაა ლაპარაკი. ეს საკმაოდ კარგად ჩანს თუნდ ჰენინგის ძირითადი სუნის სახელთაგანაც (ყვავილის სუნი, დამპლის სუნი და სხ.). ეს უთუოდ იმით აიხსნება, რომ სუნის შეგრძნება იმდენად ინდივიდუალურია, რომ რომელიმე მათგანის განზოგადება უხერხული იქნებოდა.

სულ სხვაა გემოს შეგრძნებები. ენას სრულიად გარკვეული, დამოუკიდებელი სიტყვები აქვს ამ შეგრძნებათა აღსანიშნავად: ტკბილი, მწარე, მლაშე, მჟავე. ეს ცნებები ყოველ ენაში მოიპოვება, და საინტერესოა, რომ ყველგან მხოლოდ ეს ცნებები მოიპოვება. როგორც ჩანს, ჩვეულებრივ მეტყველებას სხვა გემოს შეგრძნებების არსებობა ვერ შეუმჩნევია. თანამედროვე მეცნიერებამ ამ ოთხი რომელობისათვის ორის დამატება სცადა — ალკალიური და მეტალური. მაგრამ ფსიქოლოგთა უდიდესი უმრავლესობა ისევ ჩვეულებრივი მეტყველების პოზიციასზე განაგრძობს დგომას; დღეს ძირითად გემოდ ჯერ კიდევ ეს ოთხი ითვლება: ტკბილი, მწარე, მჟავე, მლაშე.

ამ მხრივ გემოს შეგრძნება, სუნის შეგრძნებასთან შედარებით, ერთგვარ უპირატესობას შეიცავს; გემოთა მრავალსახიანობაში ერთგვარი გარკვეულობაა შეტანილი: იცი, რა გემო რა ჭგუფში უნდა მოთავსდეს; იცი, რომ ოთხი ასეთი ჭგუფი არსებობს. მაგრამ უპირატესობა მხოლოდ ამით ამოიწურება. ამ ოთხი ძირითადი რომელობის ცოდნას გემოს შეგრძნებათა ქაოსში ნამდვილი წესრიგი მაინც ვერ შეაქვს, სისტემის ხასიათს მას მაინც ვერ აძლევს. საქმე

ისაა, რომ ამ ძირითად რომელობებს თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ ურთიერთთან. ერთი გემო მეორეზე არავითარ გავლენას არ ახდენს; ერთს მეორის მიმართ არავითარი გარკვეული ადგილი არ უკავია. ამიტომ არც სქემა არსებობს, რომელიც დამაკმაყოფილებელს გრაფიკულ გამოხატულებას მისცემდა გემოს შეგრძნებათა ერთობლიობას.

გემოსა და სუნის შეგრძნებები ქიმიკურ გამლიზიანებელთა ზემოქმედების შედეგად ჩნდებიან. ისინი უშუალოდ არიან კვების მოთხოვნილებასთან დაკავშირებულნი და დღესაც წმინდა ვიტალური ფუნქციების დონეზე განაგრძობენ დგომას.

მაგრამ სუნის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარად მაინც თავისუფალია ამ კავშირისაგან. ჯერ ერთი, იგი შედარებით დისტანტური (შორითი) გრძნობაა: გალიზიანებას შორიდან გრძნობს; და მეორე — არა მარტო კამა-სმას ემსახურება, არამედ თავისთავადაც ღირებულებას შეიცავს. ამიტომაც, რომ კულინარია, რომელიც გემოს შეგრძნებათა ნიადაგზე აგებულ ხელობას წარმოადგენს, ეგოდენ განსხვავებულია პარფიუმერიისაგან, რომელსაც სუნის შეგრძნების კულტურა აქვს მხედველობაში: ამ უკანასკნელს უფრო მეტად აქვს აბსტრაქტული, არა ვიტალური ხასიათი, ვიდრე პირველს, და ამიტომ უფრო ახლო დგას ხელოვნებასთან, ვიდრე პირველი.

## შეხების მოდალობანი

1. შეხების შეგრძნება. ყველა დანარჩენი მოდალობის შეგრძნებებს ჩვეულებრივი მეტყველება ერთ ჯგუფში აერთიანებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი მას ყველას იცნობს და როგორც ერთი ჯგუფის ცალკეულ წევრებს განიცდის, არამედ იმიტომ, რომ მათ შორის იგი მხოლოდ ისეთებს იცნობს, რომელნიც ასე თუ ისე მართლა ერთი ორგანოს (სხეულის ზედაპირის, კანის) ფუნქციად განიცდებიან. ამ ჯგუფს პირველ რიგში კანის ძირითადი შეგრძნება — შეხება ეკუთვნის. მაგრამ შეხება ფსიქოლოგიურად ძალიან გაურკვეველი ცნებაა: იგი უფრო გარეგან პროცესს ახ ფაქტს აღნიშნავს, ვიდრე იმ განცდას, რომელიც ამ შემთხვევაში ჩნდება. ფსიქოლოგია ორგვარ ასეთ განცდას ადასტურებს: უბრალო შეხებასა და წნევას. მართალია, ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ინტენსიურ შეხების შედეგად ჩნდება, მაგრამ იგი იმდენად თავისებურ განცდას წარმოადგენს, რომ მისი ჩათვლა შეხების შეგრძნების მხოლოდ ინტენსიობის ხარისხად ფსიქოლოგიურად დაუსაბუთებელი იქნებოდა.

გარდა ამ ორი ელემენტარული განცდისა, შეხებას სხვა განცდებსაც უკავშირებენ: სიმაგრისა და სირბილის განცდას, სიმახვილისა და სიბლაგვის განცდას, სიმშრალისა და სინოტივის განცდას. უეჭველია, რომ თითოეული ამ რომელობის განცდაში შეხებას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ განცდების მოცემა მხოლოდ შეხების ორგანოს, როგორც ასეთს, შეეძლოს. მაგალ., სიმაგრისა და სირბილის, სიმახვილისა და სიბლაგვის განცდა მარტო შეხებით შეუძლებელია: საჭიროა სხეულის სათანადო ნაწილის მოძრაობა, რომ ეს რომელობანი იგრძნო. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელია იფიქროთ, რომ ამ განცდათა შექმნაში ერთგვარ მონაწილეობას მოძრაობის შეგრძნებებიც უნდა ღებულობდნენ.

2. ტემპერატურის შეგრძნება. ტემპერატურის შეგრძნებაც შეხებასთან არის დაკავშირებული. სითბოსა და სიცივეს შესაფერი გამღიზიანებლის კანზე ზემოქმედების შედეგად ვგრძნობთ. რასაკვირველია, სითბოს განცდა სულ სხვაგვარია, ვიდრე სიცივისა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ სიცივის განცდა შესუსტებული სითბოს განცდაა და, პირიქით. სითბოს განცდა, რაგინდ სუსტი უნდა იყოს იგი, მაინც სითბოს განცდაა, რომელიც სრულიად არ ჰგავს სიცივის განცდას. იგივე ითქმის ამ უკანასკნელის ინტენსიობის ყველა საფეხურის შესახებაც.

ერთი სიტყვით, სითბო და სიცივე სრულიად განსხვავებული რომელობებია. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, თითქოს მარტო ერთი რომელობის ტემპერატურული შეგრძნებები არსებობდეს, რომელსაც მხოლოდ ინტენსიობის საფეხურები აქვს განსხვავებული, და რომ სითბო და სიცივე სწორედ ამ საფეხურებს წარმოადგენდნენ. გვი შეიძლება მხოლოდ ორმა სპეციფიკურმა განცდამ გამოიწვიოს: გრილისა და განელეზულის განცდამ. რა შეგრძნება გვაქვს გრილის განცდაში — სითბოსი თუ სიცივისა? ანდა ცხელი წყალი რომ გაანელო, ე. ი. ცივი შეურო და შიგ ხელი ჩაპყო, სითბოს განცდა გექნება თუ სიცივის? თუ არც ერთისა და არც მეორის, არამედ ერთგვარი საშუალო ტემპერატურის, მაშინ შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ტემპერატურის შეგრძნებას მართლა ერთი რომელობა აქვს. მაგრამ უეჭველია, რომ განელეზული წყალი მაინც თბილია და გაგრილებული — ცივია. მათი ურთიერთში არევა არ შეიძლება.

8. ვიბრაციის შეგრძნება. უკანასკნელ ხანებში შეხების ორგანოსთან დაკავშირებით სრულიად თავისებური განცდის, ე. წ. ვიბრაციის განცდის არსებობასაც ადასტურებენ. კაცმა პირ-

ველმა აღწერა ეს განცდა, როგორც დამოუკიდებელი შეგრძნება. როგორც გრძნობადი შინაარსი, რომელიც არცერთს სხვა ცნობილ მოღალობას არ ეკუთვნის.

ვიბრაციის განცდის გათვალისწინება შემდეგ მაგალითებზე შეიძლება: ეთქვათ, ჭიანურის სიმს მაგრად ჩამოეყარით თითი; იგი რხევას დაიწყებს, და ამ რხევას ერთხანს თვალითაც ვხედავთ; მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ იგი აღარ ჩანს: სიმი გაჩერებული გვეგონია. სამაგიეროდ საკმარისია ახლა, ოდნავ შევეხოთ მას თითით, რათა იმწამსვე ვიგრძნოთ, რომ სიმი ისევ ირხევა. აი, ეს რხევის განცდაა, რასაც ვიბრაციის განცდას უწოდებენ (vibratio — რხევა). თავისებური რხევის განცდა გვაქვს ქარხანაში, სადაც ძლიერი მანქანები მუშაობენ, ანდა სწრაფად მიმავალ მატარებელში ან ავტოში. უკანასკნელ შემთხვევაში ვიბრაცია თითქოს თვითონ სხეულში იჭრება და მას შიგნით განიცდი. ექსპერიმენტულად ამ განცდის გამოწვევა ყველაზე უკეთ კამერტონის საშუალებით შეიძლება. კამერტონის ერთერთ წვეერს რომ რამე დაარტყა, იგი რხევას დაიწყებს. მიაღვეით კამერტონი ცდისპირს შუბლზე ან ცერის შუაძვალზე: მას თავისებური ვიბრაციის სრულიად ცხადი განცდა გაუჩნდება.

ვიბრაციის შეგრძნება გაცილებით უფრო გრძნობიერი აღმოჩნდა, ვიდრე შეხება. ამასთან ერთად მას მეორე უპირატესობაც აღმოაჩნდა: ვიბრაციის გრძნობა დისტანტურს ანუ შორითს გრძნობას წარმოადგენს, მაშინ როდესაც შეხება კონტაქტური გრძნობის ნამდვილ პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს. ორივე ეს უპირატესობა შეხებითი გრძნობის წინაშე შესაძლებლობას აძლევს ვიბრაციის გრძნობას, როდესაც ეს აუცილებელი ხდება, სხვა დისტანტური გრძნობების როლი შეასრულოს. ცნობილი ყრუმუნჯისა და ბრმის ელენ კელერიის ცხოვრებაში ვიბრაცია სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობს. მართალია, იგი მხედველობის ზოგიერთი ფუნქციის მაგიერობასაც სწევს, მაგალ., როდესაც ბრმა კედელს უახლოვდება, იგი გვერდს უვლის მას — არ ეჯახება, ალბათ იმიტომ, რომ მას ვიბრაციის გრძნობა ეხმარება: იგი შუბლით გრძნობს ვიბრაციის ცვლილებას, რომელიც კედლის სიახლოვას გამო უნდა ჩნდებოდეს, მაგრამ შეუღარებლად მეტ სამსახურს უწევს ეს გრძნობა ყრუმუნჯს სმენითი შთაბეჭდილებების სფეროში. ელენ კელერი და შვეიცარიელი მწერალი ზუტერმაისტერი ნამდვილ ესთეტიკურ ტკობას გრძნობდნენ, როდესაც მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ, მუსიკალური ნაწარმოების



შესრულების დროს წარმოქმნილი ვიბრაციის ზემოქმედება განეცადათ: ვიბრაციის გრძნობა აქ სმენის როლს ასრულებდა.

4. კინესთეტიური შეგრძნება. ჩვენი სხეულისა და მისი ცალკეული ნაწილების, კერძოდ, კიდურების მოძრაობას სპეციფიკური შეგრძნება — მოძრაობის შეგრძნება — ახლავს თან. ბასტიანს შემდეგ, შეგრძნებათა ამ ჯგუფს კინესთეტურს უწოდებენ.

ამ სპეციფიკური განცდების როლი ძალიან დიდია. ამერიკელი ფსიქოლოგების აზრით, მაგალითად, ადამიანის უმნიშვნელოვანესი განცდები კინესთეტურ შეგრძნებათა ნიადაგზეა აგებული. და მართლაც, მთელ ჩვენს აქტიობას თავიდან ბოლომდე ამ შეგრძნებათა აკომპანიმენტი უნდა ახლდეს თან. მიუხედავად ამისა, კინესთეტური შეგრძნებების შესწავლა ჯერ კიდევ პრიმიტიულ საფეხურზე დგას: მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

კინესთეტურ შეგრძნებათა ძირითად რომელობით განსხვავებულ განცდებს წინააღმდეგობის, ძალისხმევისა და მოძრაობის შეგრძნება წარმოადგენს. ეს შეგრძნებები მაშინ ჩნდება, როდესაც საქმე ჩვენი სხეულის საკმაოდ მასივი ნაწილების მოძრაობას ეხება, მაგალ., ხელისა და ფეხის ან მთელი სხეულის მოძრაობას. მაგრამ უფრო ნაკლებ მასივი მოძრაობებიც არსებობს: ჩვენი თვალი განუწყვეტლივი მოძრაობის პროცესში იმყოფება. მაგრამ ამ მოძრაობას ჩვენ არც ისე თვალსაჩინოდ ვგრძნობთ. მიუხედავად ამისა, მისი განცდის უარყოფა ჩვენ მაინც არ შეგვიძლია. საქმე ისაა, რომ კინესთეტური შეგრძნებები საზოგადოდ ყოველთვის სხვა განცდებთან არიან დაკავშირებულნი და თავის ფაქტიურობას იმით ააშკარაებენ, რომ ამ განცდებს თავის სპეციფიკურ იერს აძლევენ. უამგრძობებოდ, მაგალ., ჩვენი მოქმედების კონტროლსა და რეგულაციას ვერასდროს ვერ შევძლებდით, ჩვენი აქტიობის ენერჯისა და მისი სტრუქტურის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვოდით.

5. წონასწორობის შეგრძნება. კიდევ უფრო უსახო, უფრო დიფუზიური ხასიათის უნდა იყოს ის შეგრძნება, რომელიც ჩვენი სხეულის წონასწორობის დარღვევას გვაგრძნობინებს და მისი რეგულაციის შესაძლებლობას გვაძლევს. რასაკვირველია, შესაძლებელია და მოსალოდნელი, რომ ჩვენი წონასწორობის რეგულაცია, წმინდა ფიზიოლოგიური გზით ხდებოდეს, რომ მასში ცნობიერება არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდეს, რომ იგი წმინდა რეფლექსური გზით ხორციელდებოდეს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ შეგრძნების გარეშე რეფლექსიც წარმოუდგეხელია.

თუ რომ ორგანიზმმა გამლიზიანებლის ზემოქმედება არ იგრძნო, ისე საპასუხო მოძრაობის საბაზი მას არავითარი არ ექნება; რეფლექსური რკალი, რომელიც რეფლექსის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, არა მარტო მოტორულს, არამედ სენსორულ ნერვსაც შეიცავს. ამრიგად, ჩვენი სხეულის წონასწორობის რეგულაციის პროცესი, რაგინდ რეფლექსური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეგრძნების მონაწილეობას მაინც აუცილებლად გულისხმობს.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ამ შეგრძნების თავისებურებათა გამოცალკევებული განცდისა და აღწერისა. იგი იმდენად ინტიმურად არის მთელი სხეულის საერთო მდგომარეობის განცდასთან არა მარტო დაკავშირებული, არამედ შერწყმულიც. რომ მისი აღწერა არაჩვეულებრივ სიძნელეებს ხვდება. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი ანომალური მდგომარეობა თუ დაგვეხმარება. კერძოდ, ის შემთხვევები, როდესაც ჩვენი წონასწორობის მდგომარეობის შოკური შერყევა ხდება ხოლმე, მაგ., ზღვაში დღეღის დროს, ანდა ერთ ადგილას ხანგრძლივი ტრიალის გამო. ასეთ შემთხვევებში ჩვენს წონასწორობის ორგანოში, შიგნითს ყურში, ლაბირინთში, არაჩვეულებრივ ინტენსიური გალიზიანების გამო, განსაკუთრებით ძლიერი პროცესი უნდა ისახებოდეს, რომელსაც სუბიექტური განცდა გაძლიერებული სახით უნდა ახლდეს თან. და მართლაც, ასეთ შემთხვევებში ჩვენ საკმაოდ მკაფიო შეგრძნება გვაქვს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა მოდალობას შეგრძნებათაგან. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ამ შეგრძნების ფენომენოლოგიის შესახებ ჭერჯერობით სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს: მისი ფიზიოლოგია უკეთ არის დამუშავებული, ვიდრე მისი ფსიქოლოგია.

8. ორგანული შეგრძნება. ჩვენი ორგანიზმის ძირითად სასიცოცხლო პროცესებთან (სისხლის მიმოქცევასთან, სუნთქვასთან, საკმლის მონელებასთან და სხვ.) დაკავშირებულ გალიზიანებათა ზეგავლენით იმ ნერვულ ელემენტებში, რომელიც ამა თუ იმ სახით ყველა შესატყვის შინაგან ორგანოებშია წარმოდგენილი, განსაზღვრულა ფიზიოლოგიური პროცესი ჩნდება, რომელსაც, უეჭველია, შესატყვისი შეგრძნებები, ე. წ. ო რ გ ა ნ უ ლ ი შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი, ახლავან თან. ამ შეგრძნებათა საერთო თავისებურებას ის შეადგენს, რომ, ჩვეულებრივ, მათაც დიფუზიური, უსახო მიმდინარეობა აქვთ, და უფრო მთელი ორგანიზმის მდგომარეობად განიცდებიან, ვიდრე რომელიმე მისი კერძო სისტემის მდგომარეობად. ეს შეგრძნებებია, რომ ჩვენს საერთო თვითგრძნო-

ბას უდევს საფუძვლად; და მათი საშუალებითაა, რომ ჩვენი ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობა თავის სუბიექტურ ანარეკლს პოულობს და საჭირო შემთხვევაში შესაფერაზომების მიღების აუცილებლობას გვაგრძობინებს.

ჩვეულებრივ შემთხვევებში, როდესაც ჩვენი სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობა ნორმალურია, ამ შეგრძნებების ცალკეული განცდა არა გვაქვს: ჩვენ მხოლოდ ჩვენი ორგანიზმის საერთო განსაღობას ვგრძობთ: „ჩვენ კარგად ვართ.“ მაგრამ როდესაც ამ პროცესების მიმდინარეობა ფერხდება, რაიმე მიზეზით ძნელდება, როდესაც, ერთი სიტყვით, ორგანიზმს რაიმე აკლდება, რაც სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მიმდინარეობისთვისაა საჭირო, მაშინ შესატყვისი ორგანული შეგრძნებები მკაფიო გამოხატულებას პოულობენ: გვიჩნდება სპეციფიკური შეგრძნებები, რომელნიც ჩვენს სხედასხვა ვიტალური მოთხოვნის განცდაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. შიმშილი, წყურვილი, სულის ხუთვა და სხვა ასეთები ამ შეგრძნებების ტიპური გამოვლენის ნაირსახეობას წარმოადგენენ.

ორგანული შეგრძნებების საგულისხმო ნიშანს მათი სუბიექტური ხასიათი შეადგენს. მაშინ როდესაც ფერი და ხმა, სუნი და გემო, სითბო და სიცივე ყოველთვის ობიექტის თვისებებად განიცდება, შიმშილი და წყურვილი, ისე როგორც სხვა ორგანული შეგრძნებებიც, უფრო სუბიექტის ვითარებას გვითვალისწინებენ. ეს შეგრძნებები ძალიან ახლო დგანან ჩვენი ცნობიერების ემოციურ შინაარსთან, თუმცა მათგან მაინც საკმარისად განსხვავდებიან, რადგანაც, ასეა თუ ისე, მაინც ჩვენი სხეულის, ე. ი. რაღაც ობიექტურის, ვითარების განცდას იძლევიან.

ამიტომ შეიძლება ტკივილიც იმავე შეგრძნებათა ჯგუფში მოვაქციოთ: იგი ორგანულ შეგრძნებებსავე სუბიექტური ხასიათისა და მათსავე ორგანიზმის მდგომარეობის განცდას იძლევა — განსაკუთრებით თუ იგი შინა ორგანოებთანაა დაკავშირებული. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ტკივილის პრობლემა ჯერ კიდევ სადავო პრობლემას წარმოადგენს როგორც ფსიქოლოგიაში, ისე ნევროლოგიაშიც: ჯერ კიდევ არ ითვლება საბოლოოდ გადაწყვეტილად, თუ რას წარმოადგენს იგი ფსიქოლოგიურად — შეგრძნებას თუ გრძობას.

## შეგრძნებათა ინტერგოლაური ერთიანობა

1. საკითხის დაყენება. ადამიანის შეგრძნებათა ფენომენოლოგიური განხილვიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ შორსმწვდომი რომე-

ლობითი განსხვავება არსებობს ჩვენს შეგრძნებებს შორის. განსაკუთრებით კი სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს შორის: სულ თავისებური განცდაა ფერის განცდა და თავისებურია ხმის, ტემპერატურის, სუნის, გემოს განცდა. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ მათ შორის არაფერია საერთო.

მაგრამ გრძნობათა ორგანოების განვითარების ისტორიის განხილვიდან ჩვენ გვახსოვს, რომ ყველა ეს ძირითადად განსხვავებული მოდალობა ერთიდაიმავე წყაროდან მომდინარეობს: სულ თავში მხოლოდ ერთი ორგანო და ერთი მთლიანი დიფუზიური სენსორული განცდა არსებობდა. ყველაფერი ამ ერთი წყაროდან წარმოიშვა და სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა. ნუ თუ ამ პირველადი მთლიანობის აღარაფერი დარჩა ადამიანს ფსიქიკის სენსორულ შინაარსში? ნუთუ ჩვენი შეგრძნებები ისე დაშორდნენ ურთიერთს, რომ მათ შორის არაფერია საერთო?

2. მეტყველების მოწმობა. ჩვეულებრივი მეტყველების ამ თვალსაზრისით შესწავლა გაკეთვალისწინებდა, თუ როგორ განიცდიდა და განიცდის კაცობრიობა სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებითი მასალის ურთიერთლამოკიდებულებას. არის უფსკრული, თანახმად ამ განცდისა, ჩვენი შეგრძნებების სხვადასხვა მოდალობას შორის, თუ მათ მაინც აქვთ რაიმე საერთო? საკმარისია ორიოდ მაგალითის დასახელება, რათა ნათელი შეიქნეს, რომ ჩვენი მეტყველებისათვის ამ შეშლადიან არაერთგვაროვან უფსკრულის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი. ისეთი გამოთქმები, როგორცაა „ცივი ხმა“, „ტკბილი ხმა“ ან „თბილი ფერები“, „დაბალი ხმა“ და მრავალი სხვა ნათლად ამტკიცებს, რომ ტემპერატურისა და სმენის თუ მხედველობის შეგრძნებები, ანდა სმენისა და მხედველობის შეგრძნებები იმდენად არ ყოფილან უცხონი ურთიერთისათვის, რომ ჩვენ „ცივი“ ხმის თუ „ცივი“ ფერის შესახებაც კი ვლაპარაკობთ, თითქოს ხმისა და ფერის ტემპერატურის განცდა გვექონდეს. გერმანულ ფსიქოლოგს კლა გე-ს, რომელიც საგანგებოდ იყო ამ საკითხით დაინტერესებული, აუარებელი ანალოგიური გამოთქმები აქვს დასახელებული, საიდანაც ყოველ ექვს გარეშე ჩანს, რომ ჩვეულებრივი, არამეცნიერული დაკვირვებისათვის შეგრძნების სხვადასხვა მოდალობათ თვალსაჩინო ნათესაობა აქვთ ერთმანეთთან.

3. სინესთეზია. კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ეს ნათესაობა, როდესაც ე. წ. სინესთეზიის ფაქტს ვითვალისწინებთ. როდესაც, მაგალ., „ტკბილი ხმის“ შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ამ ხმის მოსმენისას ჩვენ მართლა სიტკბოს

შეგრძნება გვექონდეს. არა! ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იმას ვგულისხმობთ, რომ შთაბეჭდილება გვაქვს ისეთი, თუქოს მართლა ტყბილას შეგრძნებას განვიცდიდეთ. მაგრამ არსებობს ზოგი ადამიანი, რომელიც მართლა განიცდის სათანადო ხმის მოსმენისას გემოს, ფერს, ან რომელიმე სხვა მოდალობის შეგრძნებას: მისთვის ხმას შეიძლება ფერაც ჰქონდეს, ან გემო, ან სუნი, ან და რომელიმე სხვა მოდალობის სენსორული მხარე. ერთი სიტყვით, მისს ერთის რომელიმე მოდალობის შეგრძნებას მეორე მოდალობის შეგრძნება ახლავს თან. ამიტომაც, რომ ასეთ შემთხვევებში თანაშეგრძნების (სინესთეზიის) შესახებ ლაპარაკობენ.

უფრო ხშირად გვხვდება ბგერისა და ფერის სინესთეზიის შემთხვევები, ე. წ. ფოტიზმები. ვთქვათ, სუბიექტი რომელსამე მუსიკალურ ნაწარმოებს ისმენს: მას არა მარტო ბგერა ესმის, არამედ მის წინაშე ფერების, სინათლის, ფორმების მთელი კალეიდოსკოპი ისახება. იგი ორგვარად განიცდის მუსიკას: აკუსტიკურადაც და ოპტიკურადაც. მისთვის ხშირად ჩვეულებრივი მეტყველების ბგერებსაც თავის სპეციფიკური ფერი აქვს.

საინტერესოა, თუ რამდენად მყარია ამ თანაშეგრძნებათა კავშირი. გარკვეულ ტონს, აკორდს, ბგერას, სიტყვას ყოველთვის ერთი და იგივე ფერი აქვს; თუ ეს უკანასკნელი ყოველ კერძო შემთხვევაში სხვადასხვაა? გაზიარება, რომ ერთსადიმავე სუბიექტის შემთხვევაში ეს კავშირი მყარია და უცვლელი. მაგრამ თუ სხვადასხვა სუბიექტების ფოტიზმებს შევადარებთ ურთიერთს, ვნახავთ, რომ მათ შორის საერთო არაფერია: ერთსადიმავე ტონს რომ ერთისთვის ეს გარკვეული ფერი აქვს, მეორისათვის იგი სულ სხვა ფერია.

ამრიგად, სინესთეზიის ფენომენი სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებათა უქვეელი ნათესაობის ფაქტს ამტკიცებს.

4. ექსპერიმენტული საბუთები. მაგრამ ინტერსენსორული ნათესაობის ფაქტს მხოლოდ მას შემდეგ მიეცა ნამდვილი მეცნიერული ღირებულება, რაც ჩვენ მისი ექსპერიმენტული დასაბუთება მოგახერხებთ (1922). პირველი, ჩვენი ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელმაც არა მარტო უდავო, არამედ გასაგებიც გახადა ეს ფაქტი, აკუსტიკურისა და ოპტიკურის ნათესაობისა და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლების საკითხს ეხებოდა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების დიდი უმრავლესობა ერთსადიმავე, სრულიად უაზრო ნახატის სახელად ბგერების ერთსადიმავე კომპლექსს ირჩევს, როგორც განსაკუ-

თრებით შესაფერისს. ამავე დროს გამოირჩევა ისიც, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ ბგერათა კომპლექსსა და ნახატს შორის არსებითი და არა შემთხვევითი ხასიათის კავშირი განიცდება.

განსაკუთრებით აქტუალური შეიქმნა ეს პრობლემა ჰორნბოსტელის გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ (1925). მისი ძირითადი დებულება გრძნობათა ერთიანობის შესახებ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა მთელ რიგს დაედო საფუძველად. განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა გრძნობის ორგანოს ფუნქციონალური ურთიერთზეგავლენის ფაქტი, რომელსაც ექსპერიმენტულ გამოკვლევათა მთელი რიგი ადასტურებს. ჯერ კიდევ ურბანჩიჩს შეუნიშნაეს, როგორც ამოწმებს ჯემსი, რომ მისი პაციენტები კარგად არჩეულენ განსაზღვრულ მანძილზე ფერებზე სხვადასხვა ნიუანსს, როდისაც კამერატონის ხმა ისმოდათ, თო არა და სრულიად ვერ ხიდალენენ მათ: ანდა ბგერა, რომელიც იმდენად სუსტი იყო, რომ სრულიად არ ისმოდა, ჯიკვი მოსასმენი ხდებოდა, რაწამს თვალს სხვადასხვა ფერის სინათლეს მიაწოდებდნენ.

ექსპერიმენტულ გამოკვლევათა მთელი რიგი არა მარტო ამ დავიკრიების სისწორეს ადასტურებს, არამედ ინტერსენსორული ურთიერთზეგავლენის ახალ-ახალ ფაქტებსაც გვაწოდებს: 1) ადამიანის მხედველობის სიმახვილე იზრდება, როდესაც მასზე ბგერა მოქმედობს. იგივე ხდება თუ იმავე დროს სუბიექტზე გემას, შეხების ან ტკივილის გამღიზიანებელი მოქმედობს. 2) ცლისპარს რომ ხანგრძლივად აკვრეტინო ფერადი ლაქა და შემდეგ თვალი ნეიტრალურ არეზე გადაატანო, იგი საწინააღმდეგო ფერის ლაქას დაინახავს. როგორც ვიცით, ამ ფენომენს „თანამიმდევარ კვალს“ უწოდებენ. აღმოჩნდა, რომ როდესაც ცლისპირს, კვალის კვრიტიონსას, რაიმე ბგერა ესმის — ინტენსიობის პერიოდული ცვლით. მაშინ ოპტიკური კვალის პარპალს იწყებს; ხოლო როდესაც ბგერა წყდება, კვალი იმწამსვე ქრება. როდესაც მას 550 რხევიანი ბგერა ესმის, მაშინ, პიჩიტით, ფერი უფრო ნათელი, ხოლო კონტურები უფრო გამოკვეთილი ხდება. 3) ნათელ ოთახში ბგერა უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე ბნელში.

ამრიგად, ჩვენი სენსორული განცდების თვალსაჩინო მოდალური განსხვავების მიუხედავად, მაინც უეჭველია, რომ მათ შორის გარკვეული ნათესაობა არსებობს, რომ ისინი, მიუხედავად შორსმწოდში დიფერენციაციისა, ბოლოსდაბოლოს, მაინც ერთ მთლიანს წარმოადგენენ, ერთსადაიმევე საფუძველზე აღმოცენდებიან.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ეს მთლიანობა სენსორულის

ფარგლებს სცილდება და მოტორიკაზეც ვრცელდება: რითმი, მაგალ., მხოლოდ მაშინ ხდება ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელი, როდესაც მას მთელი ჩვენი სხეულის, ანდა რომელსამე კიდურის მოძრაობას ვაყოლებთ ხოლმე: საცეკვაო მუსიკა გარკვეულ მოძრაობათა შესრულების იმპულსს იძლევა. ერთერთი მკვლევარის, რუტის რწმენით, ყოველი მუსიკალური ნაწარმოები სხეულის გარკვეულ პოზასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამა თუ იმ კომპოზიტორის ნაწარმოებებს ადეკვატური შესრულებისათვის ამ პოზის გამონახვა და დაცვაა საჭირო. ზივერსის ცნობილი ფონეტიკური გამოკვლევები ამავე აზრზეა აგებული. საფიქრებელია, რომ მრძრაობათა შესრულების წარმატება სხედასხვა გრძნობის ორგანოების ერთდროულ მოქმედებაზე იყოს დამოკიდებული. შილერის ცდების შემდეგ ცნობილია, რომ ეს მართლაც ასეა: როდესაც ცდისპირს წყლის ერთი ჭოკილიდან მეორეში გადასხმა უნდა ეწარმოებია, აღმოჩნდა, რომ მას მაღალი ტონების მოსმენის შემთხვევაში 16%-ით ნაკლებად იღვრებოდა წყალი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც დაბალი ტონები ესმოდა.

ნ. ინტერმოდალური ერთიანობის საფუძველი. ყველა ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ არა მარტო შერჩენებებს. არამედ მოძრაობასაც, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაშიც სუბიექტის აქტიობა იჩენს თავს, ბოლოსდაბოლოს, ერთი მთლიანი საფუძველი აქვს.

მართლაცა, სუბიექტი ხომ ერთია, და ურთიერთობა ხომ ამ ერთს სუბიექტსა და სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენათა შორის მყარდება! რამდენადაც ამ ურთიერთობის პროცესში სინამდვილის მრავალსახიანობა იღებს მონაწილეობას, ბუნებრივია, რომ განვითარების შედარებით მაღალ საფიზურზე მდგომი ადამიანი ამ მრავალსახიანობის ასახვის საფუძვლებს თავისი შეგრძნებების სახით იძლევა. მაგრამ რამდენადაც სუბიექტი მაინც ერთ განუყრელს მთლიანს წარმოადგენს, შეუძლებელია, სინამდვილის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ზემოქმედების საპასუხოდ იგი ასეთ-სავე მთლიან ეფექტს არ იძლეოდეს. სხვანაირად, სინამდვილის მრავალფეროვნობა შეგრძნებათა განსხვავებულობაში პოულობს თავის ასახვას, ხოლო სუბიექტის ერთიანობა იმ ერთიან ცვლილებაში მქლავნდება, რომლითაც იგი მრავალფეროვანი სამყაროს ზემოქმედებას უპასუხებს. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელია, სინამდვილის ძალიან განსხვავებულმა მხარეებმაც კი რაიმე მხრივ ერთნაირი მთლიანი ეფექტი გამოიწვიონ; და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მართლაც ასეა. ჰორნბოსტელი ფიქრობს: შეგრძნებათა ინტერ-

მოდალური ნათესაობა საერთო სენსორულ შინაარსს ეყრდნობა, რომელიც ყველა ცალკე მოდალობის შეგრძნების შემთხვევაშია წარმოდგენილი. ასეთი საერთო სენსორული შინაარსის აღიარება არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვითქვამდით, რომ საქმე იმ მთლიანს პიროვნულ ეფექტშია, რომელსაც პარტომ იწვევს სუბიექტში. ასეთ ეფექტს ჩვენ განწყობის სახილწოდებით ვიანობთ. და ჩვენ ვიციით, რომ იგი არამარტო სენსორულ არეს, არამედ მოტორულსაც ეხება.

ამრიგად. შეგრძნებათა ინტერმოდალურ ნათესაობას — მაშასადამე, სინესთეზიის შემთხვევებსაც — განწყობის ერთიანობა უდევს საფუძვლად.

კონკრეტულად საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: როდესაც სუბიექტს ვთქვით, რაიმე ხმა ესმის, ეს უკანასკნელი მასში ისეთსავე მთლიანს პიროვნულ ეფექტს — განწყობას — იწვევს, როგორსაც, ვთქვით, ტკბილი გემოს განცდა. შეუძლებელი ამაში არაფერია. რადგანაც, გარდა განსხვავებული ფაქტორებისა — ხმისა და გემოს — აქ ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე ფაქტორიც, სახელობრ, სუბიექტივი მონაწილეობს. მაგრამ თუ ხმის ააგონებისას ტკბილი გემოს განწყობა გაჩნდა, ადვილი გასაგებია, რომ სუბიექტს ამ განწყობის ნიადაგზე ან ტკბილი გემოს წარმოდგენა გაუჩნდება, და მაშინ იგი „ტკბილი ხმის“ შესახებ ილაპარაკებს; ანდა. თუ განწყობა განსაკუთრებით ცხველია, შესაძლებელია მან ნამდვილად იგრძნოს პირში სიტკბო. ასეთ შემთხვევაში საქმე ნამდვილი სინესთეზიის მოვლენასთან გვექნება.

ეს შეხედულება გასაგებად ხდის ინტერმოდალური ურთიერთგავლენის იმ ფაქტებსაც, რომლის შესახებ ექსპერიმენტული მასალაც ზემოთ გვქონდა დასახილბული. მართლაცადა, რატომაა, რომ. მაგალითად, ფერთი გამლიზიანების ზემოქმედება კი არ აქვეითებს, არამედ ამაღლებს მზღველობის ან სხვა რომელიმე მოდალობის გრძნობელობას? თითქოს სრულიად საწინააღმდეგო გარემოებას უნდა ჰქონოდა ადგილი! განა მეორე გამლიზიანების ზემოქმედება ახალ ენერგიას არ მოითხოვს ჩვენგან? განა ერთი საქმის გაკეთება უფრო ადვილი არ არის ჩვენთვის, ვიდრე ორისა? ეს უეჭველად ასეა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ინტერმოდალური ურთიერთობის ფაქტი მაინც ძალაში რჩება. თუ განწყობის თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ გასაგები ვახდება, თუ რატომაა, რომ ეს ასე ხდება. როდესაც ჩვენზე რაიმე გამლიზიანებული მოქმედობს, ვთქვათ,



გარკვეული ბგერითი გამღიზიანებელი, იგი ჩვენში ერთგვარ განწყობას იწვევს. ამისი ბუხებრივი შედეგი ის იქნება, რომ ყოველა მეორე გააღიზიანებელი, როპელიც ახალგაიერი განწყობის მიცართულებით მოქმედებს, უფრო საგრძნობი შეიქნება, ვადრე უამოსოდ, და ნაკლებ საგრძნობი — როდესაც იგი სრულიად განსხვავებული განწყობის მიმართულებით მოქმედებს.

## ა ლ ქ მ ა

1. ალქმა. გარე-სინამდვილის განცდა მხოლოდ შეგრძნების გზით ხერხდება: სხვა გზა ცოცხალ არსებას არა აქვს. მიუხედავად ამისა, სინამდვილე შინც არასდროს ცალკე ფერების, ცალკე ტონების, თუ რომელიმე სხვა ცალკეული შეგრძნების სახით არ განიცდება. გავხედოთ ფანჯარაში! რას დავინახავთ? არაფერს იტყვის, რომ ის ამდენსა და ამდენს მწვანე ფერს ხედავს, ამდენსა და ამდენს წითელს, ამდენს ჩრდილსა და ანდენს სინაოლეს. არა, ის „ხეებია“ შესანებ ილაპარაკებს, „ყვავილების“ შესახებ, „ბავშვის“ შესახებ, რომელსაც, მაგალ., „წითელი ქული“ ხურავს, ხელში „შავი ბურთი“ უჭირავს (ვე რ ტ ჰ ა ი მ ე რ). ერთი სიტყვით, სინამდვილეში ნაირნაირ შეგრძნებათა ქაოსი როდი გვეძლევა, არამედ ყოველთვის მხოლოდ გარკვეული თვისების მქონე საგნები, რომელნიც ჩვენს გარეთ არსებულ სივრცეში იმყოფებიან და აქედან აღაქმებიან.

აქედან ცხადია, რომ, მართალია, სინამდვილესთან ჩვენ მხოლოდ შეგრძნების გზით მივდივართ, მაგრამ არასდროს არ ხდება, რომ იგი შეგრძნების სახით გვეძლეოდეს: სინამდვილეს როდი შევიგრძნებთ, ჩვენ მას აღვიქვამთ — იმიტომ რომ შეგრძნება, მაგალ., ფერის შეიძლება, სინამდვილეში კი ჩვენ ფერს კი არა, ყოველთვის ამა და ამ ფერის საგანს ვხედავთ. საგნის განცდას კი ალქმა ეწოდება და არა შეგრძნება: შეგრძნება მხოლოდ ისაა, რაც ჩვენს გრძნობის ორგანოს შეაქვს ალქმაში.

ცოცხალ არსებას საგნებთან აქვს საქმე, თავის მოთხოვნილებებს, მათი საშუალებით იკმაყოფილებს და არა ფერის, სუნის, გემოს საშუალებით თავისთავად. ამიტომ ვასაგებია, რომ მას საგნების ალქმის უნარი შეუმუშავდა და არა შეგრძნებათა ქაოტური განცდასა.

2. ალქმის საგანი და შინაარსი. მაგრამ არის კი ალქმაში რაიმე, გარდა შეგრძნებისა? ვცადოთ რომელიმე ალქმის ანალიზი: ვთქვათ, აი ამ ფანჯარს აღვიქვამ. ჯერ ერთი, მინდა არ მინდა, პირველ რიგში

რალაც საგანი უნდა ვიგულისხმო, რომელსაც მე აღვიქვამ: აღქმა უსაგნოდ შეუძლებელია. მაგრამ ამ საგნის აღქმაზე მე იმატომ ვლაპარაკობ, რომ მისს შინაარსს განვიცდი, ე. ი. მის ფერს ვხედავ, მის სიმძიმეს ვგრძნობ, ერთი სიტყვით, შეგრძნებათა მთელი რიგი მაქვს. რომ მკითხო: ფანქარს რომ აღიქვამ რას აძლევს ეს შენს ცნობიერებასო, მე იპულუბული ვიქნები ნხოლოდ შეგრძნებები ჩამოვთვალო: აღქმის ერთადერთ შინაარსს ჩვენი შეგრძნებები შეადგენენ.

ამრიგად, აღქმაში, ერთის მხრივ, საგანი უნდა გავარჩიოთ, ხოლო, მეორის მხრივ — შინაარსი.

მაგრამ რადგანაც საგანი მხოლოდ გარკვეული შინაარსის სახით გვეძლევა, საფიქრებელია, რომ მათი ურთიერთობისაგან განსხვავება საკირო არაა. ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, ფანქარს აღვიქვამ. ამ აღქმის შინაარსი ასეთია: წითელი ფერი და მთელი რიგი სხვა შეგრძნებებისა. დავაზნელოთ ოთახი და შევხედოთ იმავე საგანს, იმავე ფანქარს. უეჭველია, მე ვიტყვოდი, რომ მე ხელახლა იმავე საგანს აღვიქვამ, რომ ჩემი აღქმის საგანი იგივეა, რაც წინათ, ე. ი. მაშინ, როდესაც ოთახში მეტი სინათლე იყო. მაგრამ აღქმის შინაარსი — ფერი — ისე აღარ განიცდება როგორც წინათ: იგი ცოტა უფრო მობნელოდ გამოიყურება. გარდა ამისა, თუ წინათ ფანქარი, ვთქვათ, ვერტიკალურ მდგომარეობაში იყო და ამისი შესატყვისი შეგრძნებები მქონდა, ახლა იგი ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, და მაშ, შეგრძნებებიც სხვაგვარი მაქვს. ერთი სიტყვით, შეგრძნებები სულ იგივე არ არის, რაც მაშინ იყო. უეჭველია, ჩემი აღქმის შინაარსი შეიცვალა. მაუხედავად ამისა, მე მაინც ვგულისხმობ, რომ იმავე ფანქარს აღვიქვამ. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა აღქმის შინაარსი შეიცვალოს, მაგრამ მისი საგანი მაინც იგივე დარჩეს. აქედან ცხადაა, აღქმის საგნისა და აღქმის შინაარსის გარჩევა აუცილებელია.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანისათვის მნიშვნელობა პირველ რიგში საგანს აქვს და არა იმ სენსორულ განცდებს, რომელიც მას ამ საგანთან ურთიერთობის ნიადაგზე უჩნდება. და მართლაც, საგნის ღირებულება, მისი უნარი რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, სრულიად არ იცვლება იმის გამო, სიბნელეში იქნება იგი მოთავსებული თუ სინათლეში, შორიდან შეხედავ მას თუ ახლოდან, თბილ ოთახში იქნება იგი თუ ცივში. საგანი ამ პირობებში იგივე რჩება, მაშინ როდესაც შეგრძნებები, რომელსაც მისგან მომდინარე გაღიზიანება იწვევს, სხვანაირია.

3. საგნისა და შინაარსის ურთიერთობა. იბადება საკითხი: მართლა არავეითარი კავშირი არ არსებობს ალქმის საგანსა და ალქმის შინაარსს შორის? მართლა აბსოლუტურად ინდიფერენტული აოიან ისინი ურთიერთის მიმართ? მართლა შეიძლება, რომ ალქმის შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალოს, მაგრამ საგანი იგივე დარჩეს? ერთი სიტყვით, დგება საკითხი ალქმის შინაარსისა და საგნის ურთიერთობის შესახებ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ მიერ ასეთი ცდა იქნა დაყენებული: ცდისპირს თვალდახუჭულს ეძლევა ხელთ გამოსაცნობად რანდენი: საგანი, რომელიც განზრახ ისეა დანახინჯებული. რომ ადვილად ვერავინ გამოიცნობს. ცდისპირი სიხჯავს ყოველნაირად საგანს: ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეგარძნებები მიიღოს, რომ ამ სენსორულ ძასალაზე დაყრდნობით საგნის ცნობა სცადოს. მაგრამ ირკვევა, რომ, პირიქით, თვითონ შეგარძნებების მისაღებად საკირო ყოფილა რაიმე საგნის გულისხმობა: ობიექტის გრძნობადი თვისებები მხოლოდ მას შემდეგ ღებულობენ გარკვეულ სახეს, რაც ამ ობიექტის რაობა დასტურდება, მაგალ., როდესაც ცდისპირი გულისხმობს, რომ მას, მაგალ., რეზინის შტამპი აქვს ხელთ, მისი ზედაპირის შეხებისას სირბილეს გრძნობს; მაგრამ საკმარისია, მან ეს აზრი შესცვალოს, რომ იმწამსვე მ ა გ რ ა დ მოეჩვენოს ის, რაც ეს-ეს იყო, რ ბ ი ლ ა დ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ო დ ა.

ამრიგად, ერთერთი ფაქტიური დასკვნა, რომელიც ამ ცდებიდან გამომდინარეობს, ასეთია: ალქმის საგანი გავლენას ახდენს ალქმის შინაარსზე; ეს უკანასკნელი თავის გარკვეულ სახეს ალქმის საგნის ნიადაგზე ღებულობს: იგი საგნის შესატყვისად ყალიბდება.

მაგრამ ამავე ცდებიდან ჩანს, რომ არც საგანი ა ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა გ ა ნ . მართალია, შინაარსის საბოლოო გარკვეულობა საგანზეა დამოკიდებული, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ცდისპირს უკვე მანამდე აქვს ცალკეული შეგარძნებები ანა თუ იმ სახით, საწამ თავისი ალქმის საგანს იგულისხმებდეს; და აი, სწორედ ამ შეგარძნებათა რავეარობაა, რომ მას საგნის გამოცნობის შესაძლებლობას აძლევს. როდესაც, ვთქვათ, იგი ისეთ ახალ შეგარძნებას ღებულობს, როგორიც სრულიად არ შეეფერება აქამდე ნაგულისხმევ საგანს, იგი იძულებული ხდება. სხვა მნიშვნელობის შესახებ დაიწყოს ფიქრი.

ამრიგად, შინაარსსა და საგანს შორის განსაზღვრულ ფარგლებში უდაოდ მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენა არსებობს: საგანი ში-

ნაარსს აძლევს გარკვეულობას და შინაარსი, თავის მხრივ, საგანს, მაგრამ ეს მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში ხდება.

ამ ცდების შედეგებიდან ერთი რამ განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული: აღქმის საგანს აღქმის შინაარსის შეცვლა შეუძლია. საგნის პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ყოველ ეჭვს გარეშეა.

4. აღქმის კონსტანტობის პრობლემა. ეს ფაქტიური მონაცემები გასაგებად ხდის ერთ პრობლემას, რომელიც დიდი ხანია გაცხოველებული დისკუსიის საგანს წარმოადგენს. კარგა ხანია ცნობილია, რომ საგანი ერთსა და იმავე ფერის, სიდიდისა და ფორმისად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურისა და ფიზიოლოგიური პირობების შეცვლის გამო, სამივე ეს თვისება საგრძნობლად უნდა შეცვლილიყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფერის, სიდიდისა და ფორმის კონსტანტობის პრობლემა.

ფერის კონსტანტობის პრობლემა შემდეგ დაკვირვებას ეხება: ცარცის ნატეხი გათენებისას რამდენიმეჯერ ნაკლებ სინათლეს იძლევა, ვიდრე ნახშირის ნატეხი შუადღის სინათლეში (ჰერინგი). მიუხედავად ამისა, ცარცი თეთრად გვეჩვენება და ნახშირი შავად. ნამდვილად კი, ფიზიკური პირობების მიხედვით, პირიქით უნდა ყოფილიყო. ქალაღის ფურცელი საღამო-ჯამს უფრო ბნელად უნდა მოგვეჩვენებოდა, ვიდრე მელნის ლაქა დღის შუაგულ მზეში, იმიტომ რომ ფიზიკურად მეორე უფრო მეტ სინათლეს ვზავნის თვალში, ვიდრე პირველი. მაგრამ როგორც ყველამ იცის, ეს ასე არ ხდება. რატომ? ფიზიკურად და პერიფერიულ ფიზიოლოგიურად ამისი ახსნა სრულიად შეუძლებელია. არსებობს მხოლოდ ფსიქოლოგიური ახსნა.

ანალოგიურია სიდიდის კონსტანტობის პრობლემაც. როდესაც რასმე ეჭვრეტ, როგორც ცნობილია, ჩვენი თვალის ბადურაზე შესაფერი გამობატულება ჩნდება: უამისოდ ხედვა უთვალოდ ხედვა იქნებოდა. ამ გამობატულებას გარკვეული სიდიდე აქვს: როდესაც საგანს დავშორდებით, ამ გამობატულების სიდიდე დაიკლებს; როდესაც მას დავუახლოვდებით, სიდიდე მოიმატებს. აქედან უდავო და შეუქველი დასკვნა ასეთი იქნებოდა: საგანი ახლოს უფრო დიდი უნდა გვეჩვენებოდეს, ვიდრე იგივე საგანი მოშორებით. ახლა სხვანაირად, ერთიდაიგივე საგანი წარამარა უნდა იცვლიდეს თავის სიდიდეს, იმის მიხედვით, უფრო ახლოა იგი ამჟამად თვალთან, თუ უფრო შორს. სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. საგანი განსაზღვრულ ფარგლებში უცვლელად ინარჩუნებს თავის სიდიდეს: საგნის სიდიდე კონსტანტურია.

თუ რატომ ხდება ეს ასე, ესეც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას.

როდესაც სუფრაზე ვზივართ, თეფშები არა მარტო ერთნაირი სიდიდის, არამედ ყველა ერთნაირი ფორმის მოჩანს. მათი გამოხატულება კი ბადურაზე ობიექტურად სხვადასხვანაირია: ჩემს პირდაპირ მდებარე თეფშების გამოხატულება ძრგვალია; მარჯვნივ და მარცხნივ მდებარეთა კი ოვალური — და ისიც ყველა ცალკე შემთხვევაში თავისებური. როგორც ვხედავთ, საგნის ფორმაც კონსტანტური ყოფილა.

ჩვენ შეგვიძლია ფერის, სიდიდისა და ფორმის ფარგლებს გადავსცდეთ და საგნის ყველა მნიშვნელოვანი თვისების კონსტანტობის შესახებ ვილაპარაკოთ. შეიძლება ითქვას, რომ საგანთა ყოველი მნიშვნელოვანი თვისება ყოველთვის ერთნაირი გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკალური და ფიზიოლოგიური პირობების მიხედვით იგი თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

უნდა აღინიშნოს ოღონდ, რომ ეს კონსტანტობა არავითარ შემთხვევაში აბსოლუტური ხასიათის არაა. რასაკვირველია, ცარცის ნატეხი დღის სინათლეზე უფრო ნათელი მოჩანს, ვიდრე საღამოს ბინდში, და თეთრი ქაღალდის ფურცელი ელექტრონათურის შუქზე უფრო მოყვითალო მოჩანს, ვიდრე ჩვეულებრივს დღის სინათლეზე; ფერი სხვადასხვა პირობებში ასე თუ ისე იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ საგანი იგივეა. ფერის კონსტანტობის კლასიკური ექსპერიმენტი ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს: ოთახის ბნელ კუთხეში ქაღალდის თეთრი ფურცელი თავსდება; ფანჯარასთან სრულ სინათლეში. ცდისპირს ფერების ტრიალა ეძლევა თეთრი და შავი დისკოთი. ცდისპირს ვეალება: ტრიალაზე ისე შეურიოს თეთრი და შავი ერთმანეთს, რომ სწორედ ისეთი ფერი მიიღოს, როგორც ქაღალდის ფურცელს აქვს კუთხეში. შედეგი ყოველთვის ასეთია: დისკო და ქაღალდი არასდროს სავსებით ერთნაირი ფერის არ გამოდის.

აქედან ნათელია, რომ კონსტანტობის შესახებ აქ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება ლაპარაკი. უეჭველია, რომ ჩვენ არა აბსოლუტურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე, არამედ ისეთთან, რომ უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ საგნის თვისება არსებითად იგივე დარჩა.

რაა მიზეზი ამ საინტერესო მოვლენის? როგორ უნდა აიხსნას საგნის თვისებათა კონსტანტობის ფენომენი? მარტივი ექსპერიმენტი, რომელიც კაცის ეკუთვნის, თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ძირითად ფაქტორად აქ საგანი უნდა ჩაითვალოს. საკმარისია რო-

გორმე. საგნის მონაწილეობა მოვსპოთ, რომ ფერი მაშინვე შეცვლილი აღმოჩნდეს. კ ა ც-ის მიხედვით, როგორც ვიცით, მხოლოდ ზედაპირის ფერი შეიძლება საგნის ფერად ჩაითვალოს — ყოველ შემთხვევაში, ე. წ. სიბრტყის ფერი არასდროს საგნის ფერად არ განიცილება. მაშასადამე, საგნის ფერი რომ სიბრტყის ფერად ვაქციოთ, იგი თავისი ნამდვილი ტონით უნდა მოგვეჩვენოს. ჩვენ ვიცით, რომ ეს, კ ა ც-ის მიხედვით, ძნელი არაა. ავიღოთ თეთრი ქაღალდი ჩრდილში და იგივე ქაღალდი სიხათლეში. დამკვირვებელს ორივე ერთ ფერად მოეჩვენება. ავიღოთ მესამე ფურცელი ქაღალდი, გავწხელიტოთ იგი ქინძისთავით და ნაჩხვლეტიდან ორივე დანარჩენი ფურცლის ფერი ერთმანეთს შევადაროთ. ორივე ეს ფერი ახლა სიბრტყის ფერებად იქნებიან განცდილი (კ ა ც-ის ე. წ. „რედუქცია“), და საინტერესოა, რომ ჩრდილში მდებარე ფურცელი გაცილებით უფრო ბნელად მოგვეჩვენება, ვიდრე სინათლეში მდებარე. როგორც ხედავთ, უდაოა, საგანი ფერის კონსტანტობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ძველი თეორიების მიხედვით, საგნის როლი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ იგი შორს იქნება თუ ახლოს, სულერთია, ორივე შემთხვევაში სუბიექტს მოაგონებს, თუ როგორია — თანახმად ამ უკანასკნელის გამოცდილებისა — მისი ნამდვილი სიდიდე. ერთი სიტყვით, ძველი თეორიის აზრი ასეთია: ჩვენ ხშირად ახლოს გვინახავს ესა თუ ის საგანი და ვიცით მისი „ნამდვილი სიდიდე“, რომელიც მას ახლო მანძილზე აქვს. როდესაც ამ საგანს შორიდან ვხედავთ, ჩვენ გვაგონდება მისი ნამდვილი სიდიდე, და რადგანაც ჩვენთვის საგანს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცალკეულ შეგრძნებებს, ამიტომ ჩვენდა უნებურად ამ შეგრძნებებს იმას ვათქმევინებთ, რაც ჩვენს ცოდნას შეეფერება საგნის ნამდვილი სიდიდის შესახებ.

მაგრამ არსებობს მთელი რიგი ექსპერიმენტებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს თეორია სწორი არ უნდა იყოს. ხომ შეუძლებელია, მაგალ., 11 თვის ბავშვს საკმაოდ მტკიცე გამოცდილება ჰქონდეს საგანთა ნამდვილი სიდიდის შესახებ! მაშასადამე, სიდიდის კონსტანტობა მისთვის უცხო უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, 11 თვის ბავშვმა, რომელიც საგანგებოდ მიაჩვიეს ორი კოლოფიდან უდიდესი აერჩია, მაინც დიდი კოლოფი აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისე შორს დასდეს მისგან, პატარა კოლოფთან შედარებით, რომ მისი გამოხატულება ბაღურაზე ორჯერ ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე პატარა კოლოფისა (ელ. ფ რ ა ნ კ ი). გარდა ამისა, ვ. კ ე ლ ე რ ი ს ცდებიდან უდაოდ გამოირკვა, რომ სიდიდის

კონსტანტობას შიმპანზეს აღქმაშიც აქვს ადგილი. დასასრულ, შესწავლილი იყვნენ ამავე თვალსაზრისით ქათმის წიწილებიც. აღმოჩნდა, რომ სიდიდის კონსტანტობა სამი თვის წიწილასაც კი ჰქონია (გე 1).

თუ ბავშვისა და შიმპანზეს გამოცდილების შესახებ კიდევ შეიძლებოდა თქმულიყო რამე, სამი თვის წიწილის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ველარჯინ იტყვის — სიდიდის აღქმის კონსტანტობა მის გამოცდილებას ეყრდნობაო.

შეუძლებელია პატარა ბავშვს, მაიმუნს, წიწილას, საგნის სიდიდის სენსორული განცდა, ე. ი. შეგრძნებითი მასალა, ერთი ჰქონდეს და მისი შეფასება მეორე. ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო პრიმიტიულია ცოცხალი არსება, მით უფრო სენსომოტორულია იგი, ე. ი. მით უფრო მეტ როლს თამაშობს მასში შეგრძნება, მით უფრო ემორჩილება იგი სწორედ ამ უკანასკნელს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვითონ სენსორული მასალა, რომელიც აღქმის შინაარსს წარმოადგენს, მისი საგნის ზეგავლენის ქვეშ იმოქმედებს; ჩვენ ვიცით, რომ იგი საგნის შეაბრუნებლად იცვლება, თუნდ ეს ცვლილება გამღიზიანებლის მოქმედების წინააღმდეგაც იყოს მიმართული. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საგნის ზეგავლენით სენსორული მასალა ამ ცდებშიც ისეთი შეიძლებოდა გაჩენილიყო, როგორც საგნის ნამდვილ სიდიდეს შეეფერებოდა: ბავშვს, მაიმუნსა და წიწილას მაშინ არაფრის გადამუშავება, არაფრის შეცვლა ან საგანგებო ინტერპრეტაცია არ დასჭირდებოდათ.

ნ. აღქმის კატეგორიალობის საკითხი. დაეუბრუნდეთ ისევ აღქმის მაგალითს. როდესაც ამ ფანქარს აღვიქვამ, გარკვეული საგანი — ფანქარი — სრულიად გარკვეულს, კონკრეტულ სახით დგება ჩემს წინაშე. შეგრძნებითი მასალა, რომელიც ამ აღქმის შინაარსს წარმოადგენს, საგნის კონკრეტულ განცდას იძლევა: ჩემს წინაშე წინააღმდეგობა, მოკლე ფანქარია, მსუბუქი და წვრილი... ჩემი აღქმის საგანი ამ გარკვეული განცდის სახით არის ცნობიერებაში წარმოდგენილი. რომ დაეუკვირდეთ საქმის ვითარებას, ადვილად შევამჩნევთ, რომ ჩემი აღქმის სრულიად კონკრეტულს, ინდივიდუალურ შინაარსში ზოგადია მოცემული: ოთახი რომ დავაბნელოთ, იგივე საგანი განსხვავებული სენსორული შინაარსის სახით წარსდგება ცნობიერებაში. აღქმის საგანი ზოგადია, შინაარსი კონკრეტული და ინდივიდუალური. აღქმაში, მაშასადამე, იმ სენსორულ მასალაში, რომელიც მის შინაარსს ქმნის, ზოგადი განიცდება.

რა დამოკიდებულება არსებობს საგანსა და შინაარსს შორის; ამის შესახებ ჩვენ უკვე შეთანხმებული ვართ; აღქმის სენსორული

შინაარსის, დასრულების, ჩამოყალიბების პროცესი ზოგადზეა დამოკიდებული. აქედან აღვილი გასაგები ხდება, რომ შეუძლებელია ნამდვილი აღქმა, თუ რომ მას ზოგადი აკლია.

ცნობილია გ ე ლ ბ ი ს ა და გ ო ლ დ შ ტ ა ი ნ ი ს ერთი ავადმყოფი, რომელიც ფერის სახელს ვერც აქტიურად ხმარობდა და ვერც პასიურად, ე. ი. როდესაც, მაგ., წითელს ხედავდა, ვერ გეტყობდათ, თუ რას ხედავდა; ანდა მის წინაშე მდებარე ფერებს შორის წითელის ამორჩევა რომ დაგვევალეობათ, ვერც ამას მოახერხებდა: მას სრულიად არ ესმოდა რა არის წითელი, ყვითელი ან სხვა რომელიმე ფერი. საგანგებო შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მხედველობა სუბიექტს სრულიად ქანსალი ჰქონდა: ფერების ნიუანსებს იგი მშვენივრად არჩევდა: ღია წითელი მისთვის სხვა ფერი იყო და ბნელი წითელი სხვა, მუქი წითელი სულ სხვა იყო და ბაცი კიდევ სხვა. ერთი სიტყვით, „წითელ ფერს“ იგი ვერ ხედავდა, სამაგიეროდ მშვენივრად არჩევდა მცირე განსხვავებასაც კი, რომელიც ფერებს შორის არსებობდა. მაშასადამე, სუბიექტს შეგრძნების ფუნქცია შერჩენილი ჰქონდა, სამაგიეროდ მას აღქმა აღარ შეეძლო ფერების — ფერი მისთვის არსებითად აღარ წარმოადგენდა გარკვეულ საგანს, რომლის აღქმასაც იგი შესძლებდა: იგი ყოველს ცალკე შემთხვევაში სხვადასხვა ფერს ხედავდა. გ ე ლ ბ ი და გ ო ლ დ შ ტ ა ი ნ ი დაასკენიან, რომ ის, რაც ნორმალური აღქმის ყოველ ცალკე შემთხვევაში გვეძლევა, უზალოდ გარკვეულ საგანს კი არ წარმოადგებს, არანედ საგანთა მთელი ჯგუფის, მთელი კატეგორიის კერძო შემთხვევას. აღამიანის აღქმა „კ ა ტ ე გ ო რ ი ა ლ უ რ ი ა - ო“, ამბობენ იიიი, და ამ ავადმყოფს სწორედ კატეგორიალობა ჰქონდა დაზიანებულიო.

აღქმის ამ თავისებურებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი მისი განვითარების დაუსრულებელ შესაძლებლობას ქმნის. შეგრძნება, როგორც ასეთი, არ ვითარდება. იგი უფრო სათანადო ორგანოების ავკარგიანობაზეა დამოკიდებული. მაგრამ აღქმაში ზომ საგანიც გვეძლევა, და საგნის გულისხმობას გრძნობის ორგანოსთან არაფერი აქვს საერთო. არსებობს დაუსრულებელი შესაძლებლობა სულ უფროდაუფრო ზოგადი საგნის გულისხმობისა. ეს აღამიანის ინტელექტის განვითარების დონეზეა დამოკიდებული, და, მაშასადამე, ინტელექტის განვითარებასთან ერთად აღქმის განვითარების შესაძლებლობაც ჩნდება.

მ. გეშტალტის ცნება. დაუებრუნდეთ აღქმის შინაარსს! როგორც ვიცი, საგანი ამ შინაარსის სახით განიცდება. იგი მხოლოდ იმ შეგრძნებებში გვეძლევა, რომელნიც მას, ამ შინაარსს, შეადგე-



ნენ. მაგრამ საგანი ყოველთვის ერთი მთლიანია. შეგრძნებები კი რომელთა ერთობლიობის სახითაც გვეძლევა იგი, მრავალია და ურთიერთისაგან დამოუკიდებელი. იბადება საკითხი: როგორ ხდება, რომ ცალკეულ შეგრძნებათა ეს მრავალსახიანობა მთლიანი საგნის ასახვას ახერხებს?

ამ საკითხის საპასუხოდ თანამედროვე ფსიქოლოგიაში გეშტალტის (ფორმის, აღნაგობის, სტრუქტურის) ცნებაა შემოღებული. ნაგულისხმევია, რომ, მიუხედავად შეგრძნებათა მრავალსახიანობისა, აღქმის შინაარსი მაინც მთლიანობას წარმოადგენს — მთლიანობას, რომელიც შიგნით დანაწევრებულია, ხოლო გარეთ, დანარჩენ მთლიანობათაგან, მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდ და გამოყოფილი. ასეთ მთლიანობას გეშტალტი ეწოდება. აღქმის შინაარსში მოცემულ შეგრძნებათა მრავლიანობა გეშტალტს წარმოადგენს. მაშაჰადამე, აღქმა გეშტალტურია. ამის შემდეგ საკვირველი არაა, რომ ამგვარ შინაარსს საგნის მთლიანობის ასახვა შეუძლია.

მაგრამ როგორაა შესაძლებელი, რომ აღქმის შინაარსი, რომელიც მრავალი ცალკე შეგრძნებისაგან შესდგება, ასეთ მთლიანობად განიცდება? პასუხი ძლიერ მარტივი იქნებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გვეთქვა, რომ ეს შინაარსი უბრალოდ მასში შემავალი შეგრძნებების ერთად განცდას წარმოადგენს, რომ იგი უბრალოდ მასში შემავალი შეგრძნებების ჯამია. მაგრამ საქმე ისაა, რომ აღქმა როგორც მთლიანი განიცდება, და ამ მთლიანში ბევრი რამა ისეთი, რისი მსგავსიც კი არაფერია ნაწილებში. მაგალითად, წერტილების რიგი, განლაგებული სამკუთხედის ფორმით, როგორც მთელი, ნამდვილ სამკუთხედად განიცდება; მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ცალკე წერტილები, რომელთა ერთობლიობასაც ეს სამკუთხედი წარმოადგენს, რასმე შეიცავენ ისეთს, რაც სამკუთხედს მოგვაგონებს? რასაკვირველია, არა.

ერთი სიტყვით, გეშტალტის ბუნება სწორედ ისაა, რომ იგი, როგორც მთელი, ერთგვარ თავისებურებებს შეიცავს, რომლისაც მის ნაწილებში სრულიად არაფერია მოცემული. და აი, საკითხი სწორედ ამიტომ დგება: საიდან ჩნდება ეს მთლიანობა, თუ ნაწილებში მისი სრულიად არაფერია?

გუნდტმა პირველმა იგრძნო ამ საკითხის სიმწვავე. მან იგი ასე გადასჭრა: ცნობიერება უბრალოდ როდი აერთებს შეგრძნებებს, როგორც ფსიქიკურ ელემენტებს, ერთმანეთთან, არამედ მათზე „შემოქმედებით სინთეზს“ აწარმოებს; და ამიტომ, რომ


შეერთების პროდუქტი რაღაც ახალს, რაღაც სხვას წარმოადგენს, შედარებით იმასთან, რაც მის ნაწილებშია მოცემული-ო.

მაინოგმა თავისი ე. წ. „პროდუქციის თეორია“ წამოაყენა: როდისაც შეარქნებები გეჩნდება, ინტელექტი მათი შეერთების მომენტში ქმნის იმას, რაც სპეციფიკურია მთლიანობისათვის. ვიტასეკ-ის აზრით, ამ როლს ყურადღება ასრულებს: ისაა მთლიანობის თავისებურებათა შემოქმედი.

სოლ სხვანაირად ფიქრობენ ე. წ. გეშტალტ-თეორიის წარმომადგენელი, (ვერთჰაიმერი, კელერი, კოტკა). მათი აზრით, მთლიანობა, გეშტალტი, სრულადაც არ აიგება ნაწილებისაგან. საქმი ისე როდი უნდა წარმოვიდგინოთ. თითქოს ჯერ სხვადასხვა შეარქნებები გგონდეს. ხოლო მათი გაერთიანება და გამთლიანება შემდეგ ხდებოდა აოქმადში. არა, გეშტალტი იმთავითვეა მოცემული. იგი მეორადი, ნაწარმოები მოკლენა კი არ არის — იგი პირველადი განცდაა. მაშასადამე, როგორ ჩნდება იგი ელემენტებისაგან, ამის კითხვა არ შეიძლება. მიემართოთ ისე ზემოთ დასახელებულ დიგორას! რას ეხებათ იქ? არ არსებობს ნორმალური ადამიანი, რომ თქვას: აქ ამდენ და ამდენ წერტილს ვხედავო; იგი უთუოდ სამკითხედს დაასახელებს. პირველი. რაც თქალში ეცემა ადამიანს, ეს ის მთელია, რასაც ეს დიგორა წარმოადგენს: პირველ რიგში ჩვენ გეშტალტს განვიცდით.

ამრიგად, გეშტალტის სპეციფიკური თავისებურება ასეთია: იგი პირველადი განცდა ელემენტებთან შედარებით და არა ნაწარმოები. ელემენტების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მთლიანის განცდა გაჩნდება: ელემენტი მთლის ელემენტი. მთლის გარეშე იგი, როგორც ელემენტი, არ არსებობს. ელემენტი მეორადი, ნაწარმოები განცდაა.

რა დამოკიდებულება არსებობს გეშტალტში მთლსა და ნაწილებს შორის? რას აქვს დომინანტური როლი აღქმაში: გეშტალტს თუ ცალკეულ შეარქნებას, რომელიც მასში შედის? მთლს თუ ნაწილს? ამ საკითხზე გადაჭრითს პასუხს ფუქსის შეძვეგი კლასიკური ცდა იძლევა: ავილოთ ცხრა ფერადი წრე! ცენტრალური წრე ყვითელ-მწვანე ფერისაა. შავად აღნიშნული წრეები ყვითელია, ხოლო დანარჩენი ლურჯ-მწვანეა. რომ ავილოთ ახლა და ცენტრალური წრე რომელიმე ერთფეროვან წრეებში ჩავურთოთ, მაგ., ყვითლებში, მაშინ იგი ყვითელ-მწვანედ კი არა, ყვითლად გამოჩნდება; ხოლო ლურჯ-მწვანე წრეების ჯგუფში იგი მოლურჯო-მწვანე ფერს მიიღებს.



ფიგ. 1.

დასკვნა ნათელია: ნაწილის ფერი დამოკიდებულია მთელზე, და არა მთელის ფერი ნაწილზე; ანდა — ფერი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მთლიანის ნაწილად განიცილება. ეს დებულება შეიძლება განვაზოგადოთ: გეშტალტის თვისებები მისი ნაწილების თვისებებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, პირიქით, ნაწილის თვისებები მთელის თვისებებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ნაწილის დამოუკიდებლობის აზრი შემცდარია: პრიორიტეტი მთლიანს, გეშტალტს ეკუთვნის.

გეშტალტის ჰეგემონია იმის მიმართ, რაც მასში ცალკე ნაწილად შედის, იმდენად დიდია, რომ შესაძლებელია ნაწილები სრულიად შეიცვალოს, მაგრამ მთელი ამით არ დაზიანდეს. ავიღოთ რაიმე მელოდიის აღქმის შემთხვევა! არაჩვეულებრივი არაფერია იმაში, რომ ერთიდაიგივე მელოდია ბანმაც შეასრულოს და ტენორმაც. ორივე შემთხვევაში ტონების სიმაღლე სხვადასხვაა; მაშასადამე, შეგრძნებები სრულიად განსხვავებულია; მაგრამ აღქმა მაინც იგივე რჩება: მაინც იგივე მელოდია ისმის. შავი მელნით დაწერ ამათუიმ ასოს თუ სიტყვას, თუ წითელი მელნით, სულერთია, მისი წაკითხვა ორივე შემთხვევაში თანაბრად ადვილია: ფერის შეგრძნებები სულ სხვადასხვაა, მაგრამ ასოსი თუ სიტყვის მთლიანი სახე სავესებით იგივეა. ამას გეშტალტის გაღატანას ან ტრანსპოზიციას უწოდებენ.

არის შემთხვევა, რომ გამლიზიანებელთა ჯგუფს, რომელმაც აღქმის შინაარსი უნდა მოგვეცეს, ერთერთი წევრი აკლია. საინტერესოა, იქნება თუ არა აღქმაში, როგორც მთელში, რაიმე დანაკლისი. საკმარისია კორექტურულ შეცდომათა ფაქტი დაეასახელოთ, რომ პასუხი ნათელი გახდეს: შესაძლებელია, აღქმა, როგორც მთელი, სრულიად უნაკლო იქნეს. ხშირია შემთხვევა, რომ კორექტურულ შეცდომას ვერ ვამჩნევთ: სიტყვას ერთი ან ორი ასო აკლია, ან ერთი ასოს ნაცვლად მეორე აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სწორად ვკითხვლობთ, და დარწმუნებული ვართ, რომ სიტყვა სწორად იყო დაწერილი.

ეს ფაქტი დიდი ხანია შენიშნულია. წინათ ასე ამბობდნენ: აღქმნას შინაარსი მართო შეგარძნებებით როდი ამოიწურება, მასში წარმოდგენებიც შედისო, და როდესაც მას რაიმე შეგარძნება აკლია, შეიძლება იგი წარმოდგენა შეავსოსო. კორექტურულ შეცდომას რომ ვერ ვამჩნევთ, ეს იმით აიხსნება, რომ, რადგანაც ეს სიტყვა ხშირად წაგვიკითხავს. ეხლა კითხვის პროცესში სათანადო ადგილას გამოტოვებული ასოს წარმოდგენა გვიჩნდებაო.

ამ თეორიის მახედვით, არც კი არსებობს ისეთი აღქმა, რომ მისი შინაარსი მთლიანად შეგარძნებებისაგან შესდგებოდეს. წარმოდგენები მეტნაკლებად ყოველი აღქმის შინაარსში მონახება. ჩვენ რომ, მაგალ.. შექარს ვხედავთ, ნამდვილად მხოლოდ მისი ფერის შეგარძნება გვაქვს. მაგრამ ამ აღქმის შინაარსში გემოს წარმოდგენაც შედის. ჩვეულებრივ, აღქმის შინაარსში მაინც ყოველთვის შეგარძნება სკარბობს. როდესაც ხდება, რომ წარმოდგენა მეტია მასში, ან მეტ როლს ასრულებს, ვიდრე შეგარძნება, მაშინ მცდარ აღქმასთან ე. წ. ი ლ უ ზ ი ა ს თ ა ნ გვაქვს საქმე. მაგალ., სიბნელეში ტყეში რომ ბუჩქი მხეცად მოგეჩვენოს, ეს ილუზია იქნება: რალაც შეგარძნებები უკველად გვაქვს (მაგ.. ბუჩქის ფორმას ვხედავთ); მაგრამ ამას წარმოდგენები ერთვის, და საერთოდ მხეცის აღქმა გამოდის. როდესაც აღქმის შინაარსს მხოლოდ წარმოდგენები შეადგენენ, ამ შემთხვევაში უკვე პ ა ლ უ ც ი ნ ა ც ი ა ს თ ა ნ გვაქვს საქმე. მაგალითი: პ ა მ ლ ე ტ ი მამის ა ჩ რ დ ი ლ ს ხედავს. ასეთია ძველი თეორია.

მაგრამ ეს თეორია ძნელი გასაზიარებელია. საქმე ისაა, რომ, როდესაც კორექტურული შეცდომით დაწერილს სწორად კითხვლობთ, გამოტოვებულ ასოს კი არ წარმოიდგენ, არამედ პირდაპირ ხედავ. ამიტომაც დღეს უფრო სხვაგვარი ახსნაა გავრცელებული: მთელი არა მარტო სცვლის განსაზღვრულ ფარგლებში თავის ნაწილებს, არამედ სათანადო პირობებში კიდევ ქმნის მას. გეშტალტს

საკუთარი თავის შევსების ტენდენცია აქვს, და სწორედ ეს ტენდენციაა, რომ ამ შემთხვევაში მოქმედობსო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გეშტალტი ყოველთვის დასრულებისაკენ, ყოველთვის გამოკვეთილობისაკენ ისწრაფვის. შევსების ტენდენცია, რომლის შესახებაც ზემოდ ვლაპარაკობდით, ამ მისწრაფების კერძო შემთხვევას წარმოადგენს. მაგრამ საქმე მართო შევსებით არ ამოიწურება, უფრო საინტერესოა, რომ გეშტალტი უმჯობესდება, უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობს. მაგალ., ჩვენ რომ ხელით სწორი ხაზი გავატაროთ, ან კვადრატი დავხაზოთ, ობიექტურად, გეომეტრიულად არც ერთი იქნება სულ სწორი და არც მეორე. მაგრამ აღქმაში ჩვენი ხელის შეცდომა სწორდება და ნახაზი უკეთესი გვეჩვენება. ამ მოვლენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მასში გეშტალტის ძირითადი კანონი იჩენს თავს („პრეგნანტობის კანონი“), რომლის წყალობითაც ყველაფერი უფრო სრულისა და სწორი ფორმისად გვეჩვენება, ვიდრე ნამდვილადაა (ე. წ. ო რ თ ო ს კ ო პ ი უ ლ ო ბ ა).


7. გეშტალტის ფაქტორები. აღქმის შინაარსი გეშტალტურია: იგი იმთავითვეა ასეთი და არა ცალკე შეგრძნებათა გაერთიანების აქტის შედეგად. მაგრამ ხომ მაინც უდაოა, რომ ამათუიშ საგნის აღქმაში ბევრი რამ შედის ისეთი, რაც შეიძლება თვითონ წარმოადგენდეს დამოუკიდებელი აღქმის საგანს, მაგალ., თუნდ აი ეს სიტყვა, ეხლა რომ ვკითხულობთ. როგორც სიტყვა, იგი ცალკე გეშტალტს წარმოადგენს, ცალკე აღქმის საგანს. მაგრამ უდაოა, რომ ამავე დროს ცალკე ასოების აღქმაც შემიძლია: ამ შემთხვევაში თითოეული მათგანიც ცალკე აღქმის საგანს წარმოადგენს და თითოეულს თავისი გეშტალტი აქვს. ანდა აი ის ხე! როგორც ხე, იგი ცალკე გეშტალტია; მაგრამ ეს ვაშლი, მარცხნივ ქვედა შტოს რომ ასხია, ეხლა ხომ ის შეადგენს ჩემი აღქმის საგანს და როგორც ასეთი, აღქმის გეშტალტურ შინაარსში შეიძლება. ერთი სიტყვით, საგნები როგორც მთლიანი გეშტალტები, თვითონ შესდგებიან ნაწილებისაგან, რომელნიც თავის მხრივ წარმოადგენენ ცალკე გეშტალტებს.

ასეთ პირობებში ბუნებრივად ისმის საკითხი: როგორ ხდება, რომ ეს ცალკეული ნაწილები მთლიან გეშტალტად ერთიანდებიან? რა ფაქტორებია, რომ გეშტალტიზაციის პროცესს უდევს საფუძვლად?

ეს საკითხი ისევ გეშტალტთეორიის წარმომადგენელთ აქვთ საგანგებოდ შესწავლილი, კერძოდ, ამ სკოლის მთავარ ხელმძღვანელს,

მ. ვერთჰაიმერს, რომელმაც. მისი აზრით, გეშტალტის ფაქტორების მთელი რიგი აღმოაჩინა.


1) ვთქვათ ჩვენს წინაშე ოცდაერთი წერტილია ამ სახით მოცემული:



ფიგ. 2.

როგორ აღვიქვამთ ამ წერტილებს. თითოეულს მათგანს ცალცალკე, თუ ისინი მთლიან ჯგუფებად ნაწილდებიან? საკმარისია ოდნავ თვალის გადავლება. რათა იმწამსვე დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ სრულიად გარკვეულ ჯგუფებთან გვაქვს საქმე, რომლებშიც სამ-სამი წერტილი ერთიანდება (ჩ რცხნიდან მარჯვნივ და არა პირიქით, ABC-ს შესატყვისად). ეს უქვეელი ფაქტია. რა უღევს მას საფუძვლად? ვერთჰაიმერი აქ „სიახლოვის ფაქტორზე“ ლაპარაკობს; და მართლაც, დაჯგუფება აქ უმცირესი მანძილის პრინციპის მიხედვით ხდება. საგულისხმოა, რომ ამ პრინციპს არა მართო მხედველობისა და სივრცის სფეროში აქვს ძალა. სმენითი შთაბეჭდილებებიც ამ ფაქტორის გავლენას განიცდიან: ახლომდებარე ბგერები ერთ ჯგუფში ერთიანდებიან, და ასე ჩნდება რითმი.

2) რომ ავიღოთ ასეთი შემთხვევა (ფიგ. 3) და ვიკითხოთ, 'რა გვეცემა, უპირველეს ყოვლისა, თვალში, როდესაც ამ ფიგურას შევხვდავთ, პასუხი ყოველთვის ასეთი იქნება: ვერტიკალური სვეტები და არა პორიზონტალური. აქ ჩვენს წინაშე ცალკე სვეტებია, ცალკე წრეებისა და ცალკე წერტილებისა. რა უღევს ასეთ დაჯგუფებას




ფიგ. 3.

საფუძვლად? სიახლოვე არაფერ შუაშია, იმიტომ რომ ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არა აქვს ელემენტთა შორის ადგილი, და, მაშასადამე, როგორც ფაქტორი, იგი გამორიცხულია. რჩება მსგავსება: მსგავსი ელემენტები ვერტიკალურადაა ერთიმეორის მიყოლებით მოთავსებული. მაშ, აქ მეორე ფაქტორთან გვაქვს საქმე, მსგავსების ფაქტორთან: მსგავს ელემენტებს ერთ გეშტალტად გაერთიანების ტენდენცია აქვთ.

ტებს ერთ გეშტალტად გაერთიანების ტენდენცია აქვთ.

3) ვთქვათ, წერტილთა რიგში, რომელიც სიახლოვის პრინციპის მიხედვით სამ-სამად არის დაჯგუფებული, ყოველი კენტი ჯგუფის მესამე და ლუწი ჯგუფის პირველი და მეორე წევრი სტრიქონს ზევითაა მოქცეული: მაშინ სიახლოვის პრინციპით შედგენილი ჯგუფების ნაცვლად ჩვენ ასეთ ჯგუფებს მივიღებთ: ზედა წერტილების ჯგუფებს ცალკე და ქვედა წერტილებისას ცალკე (ფიგ. 4). ვერთჰაიმერი ამ მესამე ფაქტორს „საერთო ბედის“ ფაქტორს უწოდებს.




ფიგ. 4.

4) იმის მიხედვით, თუ რა უსწრებდა წინ განსაზღვრული სტიმულების კონსტელაციას, მათი ორგანიზაცია სხვადასხვანაირია: მოლოდინი გაელენას ახდენს აღქმაზე. ამ ფაქტორს განწყობის პრინციპს“ ან გეშტალტის დისპოზიციის ფაქტორს უწოდებენ.

5) მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს „შინაგანი კუთხეების“ ფაქტორი, ანდა „კარგი გეშტალტის“ ფაქტორი. ავიღოთ შემდეგი ნახაზები (ფიგ. 5):

პირველ შემთხვევაში ჩვენ ორ ხაზს ვხედავთ AC-ს და B-ს, მეორეშიც AC-ს და B-ს. თანახმად სიახლოვის კანონისა კი ასე არ უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ C-ს წერტილები B-სთან უფრო ახლოა, ვიდრე A-სთან. A და C ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ერთმანეთს ეკუთვნიან და ამიტომ მთლიანს შეადგენენ.

6) შემდეგ მოდის „დახშულობის“ ფაქტორი: როდესაც A, B, C, D ხაზებიდან AB|CD შეიცავენ დახშულსა და დასრულებულ პროცესებს, ხოლო AC|BD ღიასა



ფიგ. 5.

და დაუსრულებელს, აღქმისათვის უპირატესობა პირველს ეძლევა.

7) მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „მდებარეობის“ ფაქტორსაც (ფიგ. 6.). მოცემულია მარცხნივაც (a) და მარჯვნივაც (b)

ორ-ორი ექვსკუთხედი. განსხვავება მხოლოდ მდებარეობაშია: მარცხნივ ამ ფიგურებს მინიმალური შეხების არე აქვთ, მარჯვნივ კი, მთელი ფუძე აქვთ საერთო. შედეგი ისაა, რომ პირველ შემთხვე-



ფიგ. 6.

ვაში ორივეს ცალ-ცალკე ვხედავთ; მეორეში კი ორის ნაცვლად ხოლოდ ერთი მთლიანი ფიგურა მოჩანს. მდებარეობას, მაშასადამე, გეშტალტის შექმნაც შეუძლია და დაშლაც.

8) ერთგვარ როლს ასრულებს „გამოცდილები“ ან „ჩვეულები“ ფაქტორიც. ადამიანი იმას ხედავს: პირველ რიგში, რასთანაც უფრო ხშირად ჰქონია საქმე. (ფიგ. 7) ელინისტიკისათვის ორი ბერძნული ასო იქნება — სიგმა და გამა, ჰოლო ლათინისტიკისათვის — ლათინური ვ. მაგრამ გამოცდილების გავლენას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც იგი გეშტალტის სხვა ფაქტორებს არ უპირისპირდება: გამოცდილება, რაგინდ დიდიც იყოს იგი, გეშტალტს, რომელიც სხვა ფაქტორების ზეგავლენითაა აგებული, ვერ გარდაქმნის. მაგალ., ციფრებთან რომ თანამედროვე ადამიანს ძალიან ხშირად აქვს საქმე, ეს უდაოა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ნახაზში (ფიგ. 8) არავის არ ეცემა თვალში 3-ის და 4-ის გეშტალტი და კიდევ უფრო ნაკლებ E და S-ისა.


ამრიგად, აღქმის შინაარსის გამთლიანებას ფაქტორების მთელი რიგი უდევს საფუძვლად. მაგრამ ყველა ამ ფაქტორის შესახებ უნდა ითქვას, რომ, რა გეშტალტიც, რა მთლიანობაც უნდა მოგვცეს მან, გეშტალტთეორიის წარმომადგენელთა დაკვირვებით, თითოეული ეს გეშტალტი მაქსიმალური სისრული სადა გამოკვეთილობის აქენის წრათვის. ეს გეშტალტიზაციის ძირითადი კანონ-






ნია, რომელსაც ჩვენ „გეშტალტის პრეგნანტობის“ კანონის სახელწოდებით ვიცნობთ (ვერთხაიმერ).

8. ფიგურა და ფონი. სინამდვილეში ჩვენ არასდროს არ გვაქვს ცალკეულის. გარემოცვიდან სრულიად ამოგლეჯილის, განხლოებული საგნის აღქმა: ყოველი საგანი თავის ფონზე აღიქმება. ნამდვილი აღქმა ორივეს გულისხმობს, ფიგურასაც, ე. ი. თვითონ საგანს, და მის ფონსაც. აღქმა ფიგურისა და ფონის მთლიანობაა. მაშასადამე, შეუძლებელია,

ვიფიქროთ, რომ ისინი ანდიფერენტული იყვნენ ურთიერთის მიმართ, რომ ფიგურისთვის სულერთი იყოს, როგორი იქნება ფონი და, პირიქით. არა! ფიგურა გავლენას ახდენს ფონზე და ფონი ფიგურაზე. ავიღოთ მაგალითი! (ფიგ. 9): ჩვენს წინაშე ეაზაა, რომელიც



ფიგ. 7.



„ფიგურა“ და „ფონი“

„ფიგურა“ და „ფონი“

ფიგ. 8.

ფიგ. 9.

შეე ფონზეა გამოყვანილი. ფიგურა გამოკვეთილია, მისი გეშტალტი სრულიად ნათელია; იგი შინაგანდაც განაწევრებულია და ფონისგანაც მკაფიო კონტურებითაა გამოყოფილი. სულ სხვაა სურათს იძლევა ფონი. იგი უფორმოა, განუსაზღვრელი სივრცეა, თითქმის ყოველივე გარკვეულ გეშტალტს მოკლებული; იგი არც შინაგანდაც განაწევრებული და არც გარემოდანაა მკაფიოდ გამოყოფილი: იგი თვითონაა გარემო.

ეცადოთ ეხლა, რაც ფონი იყო ჩვენს სურათზე ფიგურად გადავქციოთ და რაც ფიგურა იყო, ფონად. ჩაუქვივრდეთ შავ ფონს! ეს ხომ ადამიანის სახეა, ერთი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ. ისინი ერთმანეთს უყურებენ. სრულიად ნათლად ჩანს შუბლი, ცხვირი, ნიკაპი, ერთი სიტყვით, წინანდელი შავი ფონი ეხლა განაწევრებულ მთლიანად იქცა — ადამიანის სახედ, თავისი ნაწილებით. ამჟამად დროს იგი გარკვეული კონტურებით გამოეყო გარემოცვას. სამაგიეროდ, წინანდელი „ფიგურა“ შეიცვალა. თეთრი ვაზის ეხლა აღარაფერი ჩანს. მის ნაცვლად უსახო სივრცეა, რომელიც არც შინაგანადაა განაწევრებული და არც გარემოცვიდანაა გამოყოფილი.

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენს ფონი და ფიგურა ერთმანეთზე: ფ ი გ უ რ ა გ ე შ ტ ა ლ ტ ა დ ა ღ ი ქ მ ე ბ ა , ფ ო ნ ი ა რ ა .

როდესაც სინამდვილეს აღვიქვამთ, აუცილებელია, საგნებს რაიმე ფონზე აღვიქვამდეთ. რადგანაც ფიგურა და ფონი სხვადასხვანაირად აღიქმება, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რას აღვიქვამთ ფიგურად და რას ფონად. გეშტალტთეორიის მიმდევრები აღწერით კმაყოფილდებიან და ამბობენ: ფიგურად გრძნობადი სინამდვილის იმ ნაწილს აღვიქვამთ, რომელსაც გამთლიანების ხელსაყრელი პირობების გამო უკეთესი გეშტალტი აქვს; ხოლო ფონად იმას, რაც უფრო ცუდ გეშტალტს წარმოადგენსო. ჩვეულებრივ, ფიგურად შედარებით უფრო პატარა და უფრო განაწევრებული ნაწილები იქცევა, ხოლო ფონად — უფრო დიდი და ნაკლებ განაწევრებული.

მ. გეშტალტთეორიის კრიტიკა. აღქმის შინაარსი რომ მთლიანი ხასიათისაა, ეს დიდიხანია ცნობილი. ისიც შენიშნული იყო, თუ რა ფაქტორების ზეგავლენით ხდება მისი გამთლიანება. კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითად დებულებას შემდეგი წარმოადგენს: აღქმა ელემენტარული ფსიქიკური პროცესების, შეგრძნებების, კომპლექსს წარმოადგენს. მაშასადამე, ამოცანა მისთვის იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე ეს ელემენტები დადასტურებულიყო. თუ ნაჩვენები იქნებოდა, მაგალ., რა და რა შეგრძნებები შედის სივრცის აღქმაში, ამით სივრცის აღქმის ფსიქოლოგიის ამოცანა არსებითად გადაკრილად ჩაითვლებოდა.

გეშტალტთეორიის დიდი დამსახურება იმაშია, რომ მან თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ ნამდვილი, ცოცხალი, კონკრეტული აღქმის შესწავლის თვალსაზრისით. მისთვის მთლიანია ძირითადი. ამიტომ ფსიქოლოგიის ამოცანა ამ მთლიანის შესწავლაშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ამ მთლიანის გამოვლენის ფორმები უნდა იქნეს ზუსტად აღწერილი, და მერე, რაკი მთლიანი დამოუკი-

დებელს, პირველად რეალობას წარმოადგენს, ის სპეციფიკური კანონზომიერება უნდა იქნეს შესწავლილი, რომელიც მისთვისაა დამახასიათებელი.

ვერთქაიმერიის გეშტალტიზაციის ფაქტორები და კანონები ამ კანონზომიერების დადგენის ერთერთ საგულისხმო ცდას წარმოადგენს. თითოეული მათგანი უეჭველად სწორ დაკვირვებას ემყარება და ასეთი დაკვირვების განზოგადებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ რამდენადაც გეშტალტთეორია მართო ამით კმაყოფილება, რამდენადაც იგი ფენომენთა აღწერის ფარგლებს არ სცილდება, შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მთელ სინამდვილეს ობიექტურადც ეს ფენომენები ქმნიდნენ. მაგალ, რატომაა, რომ ჩემს წინ „რეუულს“ აღვიქვამ? იმიტომ რომ გარკვეული ელემენტები — სიახლოვის, მსგავსების, დახშულობის თუ სხვა ფაქტორების ზეგავლენით — ერთმანეთს დაუკავშირდნენ: რეუული, როგორც გარკვეული გეშტალტი, როგორც გარკვეული აღქმის საგანი, ასეთი დაკავშირების შედეგია. რატომაა, რომ გარეთ, აი ამ გარკვეულ საგანს ვხედავ? იმიტომ, რომ გრძნობადი სინამდვილის — ანდა, როგორც გეშტალტთეორიის წარმომადგენლები ამბობენ, „გრძნობადი ველის“ — გარკვეული ნაწილები ერთს მთლიან გეშტალტად გაერთიანდნენ. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ობიექტური სინამდვილის რაგვარობა სავსებით იმაზე იყოს დამოკიდებული, თუ რა ფენომენებს აქვთ ცნობიერებაში ადგილი, თითქოს იგი ამ ფენომენებით ამოიწურებოდეს.

უეჭველია, გეშტალტთეორიის ეს შეხედულება მიუღებელია. უშუალო დაკვირვების მონაცემების განზოგადება არ კმარა: რაც ხდება, ამას უეჭველად რაიმე ობიექტური საფუძველი მოეპოვება. აღქმის ფსიქოლოგიის ამოცანას ამ ობიექტური საფუძვლისა და მისი ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ნათელყოფა შეადგენს.

სანიმუშოდ ავიღოთ გეშტალტიზაციის ერთერთი „კანონი“, ვთქვათ, შემდეგი: სენსორულ ველში იმ ნაწილების გაერთიანება ხდება, რომელიც ახლოა ურთიერთთან („სიახლოვის ფაქტორი“). ეს დაკვირვება არც კლასიკური ფსიქოლოგიისათვის იყო უცხო. მაშინ ამას ასე ხსნიდნენ: ის, რაც ახლოსაა, ყოველთვის ერთად განიცდება, და ამ ხშირი ერთად განცდის გამო, ბოლოსდაბოლოს, მტკიცედ უკავშირდება ასოციაციურად ერთმანეთს. ასეთ მსჯელობას შემდეგი რწმენა უდევს საფუძვლად: გამლიზიანებელი პირდაპირ მოქმედობს სუბიექტზე და მასში უშუალოდ თავის შესატყვის ფსიქიკურ რეაქციას, შეგრძნებას, იწვევს: როგორცაა გალიზიანება, ისეთივეა შეგრძნებაც. თუ გამლიზიანებლები ერთად გვხვდება, შე-

სატყვისი შეგრძნებებიც ერთად გაჩნდება. კლასიკური ფსიქოლო-  
გის ძირითადი ფორმულა ასეთია: გალიზიანება — ფსიქიკური  
რეაქცია (შეგრძნება). გეშტალტთეორია ამ დებულებას არ იზი-  
არებს. მისი შეხედულება ასეთია: გალიზიანება რომ გაჩნდება, იგი  
უშუალოდ კი არ მოქმედობს სუბიექტზე, არამედ ჯერ მისი ორგა-  
ნიზაცია, მისი გეშტალტიზაცია ხდება, სუბიექტი რეაქციას ამ  
ორგანიზაციის პროდუქტზე იქლევა. სიახლოვის ფაქტორის მი-  
მართ მსჯელობა ამ შემთხვევაში ასეთი იქნებოდა: სანამ სენსორუ-  
ლი გამლიზიანებელი სუბიექტში რაიმე რეაქციას გამოიწვევდეს,  
მანამდე მისი ორგანიზაცია, მისი გამთლიანება ხდება და ჩვენი აღ-  
ქმა ამ ნიადაგზე აიგება.

არც ერთი ეს ფორმულა სწორი არაა: იქაც და აქაც სუბიექტი,  
როგორც ასეთი, როგორც მთელი, დავიწყებულია. უფრო სწორი  
ასეთი ფორმულა იქნებოდა: გალიზიანებათა კომპლექსი (ობიექტი)  
— მთლიანი პროცესა სუბიექტში — აღქმა, როგორც მთლიანობა.  
ეხლა გასაგები ხდება, თუ რა უდევს აღქმის მთლიანობას საფუძე-  
ლად, ანდა უკეთ, გასაგები ხდება გეშტალტთეორიის მიერ დადას-  
ტურებული ფაქტი გეშტალტის ფსიქიკური პირველადობისა.

გეშტალტი უქვევლად პირველადია, როგორც განცდა. მაგრამ  
მას სუბიექტის ის მთლიანი ცვლილება უდევს საფუძვლად, რო-  
მელსაც მასში ობიექტური ვითარების ზემოქმედება იწვევს. მაშა-  
სადამე, სენსორული ველის ახლო მდებარე ნაწილები იმიტომ  
ერთიანდებიან ერთ გეშტალტად, რომ ობიექტურად ისინი ერთს  
საგანს ეკუთვნიან, რომლის ზემოქმედების შედეგადაც სუბიექ-  
ტში ერთგვარი მთლიანი ხასიათის ეფექტი ჩნდება, რომლის ნია-  
დაგზეც შემდეგ მისი მთლიანი, მისი გეშტალტური აღქმა აიგება.

აქედან ეხლა ნათელი ხდება, თუ რა უდევს ძირითად საფუძე-  
ლად იმას, რასაც შემდეგ აღქმის საგნად განვიცდით. ეს ის  
მთლიანი ცვლილებაა, რომელსაც ობიექტური ვითარების ზემოქ-  
მედება იწვევს სუბიექტში. სხვა შემთხვევებში ასეთ ცვლილებას  
ჩვენ განწყობას ვუწოდებთ. ყოველ შემთხვევაში, აღქმის მექანიზ-  
მი აშეამად ასე გვეხატება: რაიმე მოთხოვნილების ზეგავლენით,  
სუბიექტი გარესინამდვილესთან ურთიერთობას იწყებს; შედეგი  
სუბიექტის მთლიანი ცვლილებაა, რომელსაც მასში ობიექტური  
ვითარება იწვევს. ასე ჩნდება განწყობა, რომელიც სუბიექტის გან-  
ცდებისა და მოქმედების საფუძველს წარმოადგენს.

1. ნატივიზმი და გენეტიზმი. პირველი უძირითადესი თვისება ალქმისა ის არის, რომ მასში ჩემს გარეთ არსებული საგნის განცდა შეძლება. ამიტომაც, რომ ამ ფსიქიკურ განცდას ყველა ენაზე ალქმა (გარედან მიღება) ეწოდება. გრძნობადი ალქმის საგანი უთუოდ სივრცეშია სადმე მოთავსებული და ვრცეული თვისებების მთელ რიგს ატარებს: ჯერ ერთი, მას გარკვეული ადგილი უჭირავს სივრცეში, იგი უთუოდ განფენილია, ე. ი. უთუოდ რაიმე გარკვეული სიდიდით ან გარკვეული ფორმა აქვს. მაგრამ ორივე ეს თვისება შეიძლება ერთის, ორისა, ან სამი განზომილების იყოს. ნივთიერ სხეულებს, რომელნიც ჩვენი ალქმის ჩვეულებრივ საგანს შეადგენენ, სამი განზომილება აქვთ: სიგრძე, სივანე, სიმაღლე, ანდა როგორც ამბობენ, მათ სხეულებრიობა ახასიათებს. ყოველი საგანი უთუოდ სადმე, ჩემგან რომელიმე გარკვეული მიმართულებით ან გარკვეულ მანძილზე იმყოფება. სივრცითს თვისებებს რომ სხვადასხვა მოდალობის სენსორული რომელობანი, ფერი, ხმა, გემო, სუნის და სხვა დაუშუპატოთ, ამის მეტს ალქმის შინაარსში ვერაფერს დავადასტურებთ.

აქედან გასაგები ხდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ალქმის ფსიქოლოგიაში სივრცის საკითხებს აქვს. კიდევ უფრო დიდად ეჩვენებოდა ამ საკითხის მნიშვნელობა კლასიკური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთ. საქმე ისაა, რომ ისინი, როგორც ვიცით, ნამდვილ მასალად, რომელიც ალქმის საყმაროს აგებს, შეგრძნებას თვლიდნენ. კერძოდ, სივრცეც ამავე მასალით უნდა ყოფილიყო აგებული. მაგრამ შეგრძნება ხომ ჩვენი შინაგანი, ფსიქიკური, ელემენტარული განცდაა. მაშასადამე, მთავარი საკითხი იმთავითვე ასეთი უნდა გაჩენილიყო: რანაირად ჩნდება შეგრძნებებისაგან სივრცის ალქმა?

პასუხი მხოლოდ ორგვარს შეიძლება ყოფილიყო: ან შეგრძნებას თვითონ აქვს ვრცეულობა, ანდა შეგრძნებას თავისთავად სივრცის არაფერი აქვს და, მაშასადამე, ეს უკანასკნელი შეგრძნებათა ასეთი თუ ისეთი შეერთების შედეგად უნდა ჩნდებოდეს. პირველ შემთხვევაში სივრცე იმთავითვე მოცემულია, თანდაყოლილია, როგორც, მაგალითად, თვალი და მისი შეგრძნებების უნარი თანდაყოლილი. მეორე შემთხვევაში სივრცე თითოეულის ჩვენთაგანის პირადი ცხოვრების მიმდინარეობაშია შექმნილი. კლასიკურ ფსიქოლოგიაში ეს ორი მიმდინარეობა იბრძოდა — ე. წ. ნატივიზმი და ემპირიზმი ან გენეტიზმი — და იმ

ფსიქოლოგიური სოფლმხედველობისათვის, რომელსაც ყველაფრის მასალად შეგვრძნება მიაჩნდა, სივრცის ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემას სწორედ ეს პრობლემა წარმოადგენდა.

ნატივიზმისა და გენეტიზმის პრობლემის გადაჭრას ხელი შეუწყა ბრძანდებულთა მხედველობის დაკვირვებამ ოპერაციის შემდეგ. მართლაც, აქ იშვიათი შემთხვევა გვეძლევა შევამოწმოთ, თანდაყოლილი აქვს ადამიანს სივრცის აღქმის მზამზარეული მექანიზმი, თუ მის შესაძენად გამოცდილებაა საჭირო. ცნობილია ფრანცის მიერ ოპერირებული ავადმყოფის დაკვირვება (1841 წ.). პირველად რომ მან თვალი გაახილა, ერთგვარს „სინათლის არეს“ ხედავდა, მაგრამ მტის არაფერს. რამოდენიმე კვირამ განვლო, და სამკანზომილებიანსა და ბრტყელ სხეულებს (მაგალ., ბირთვსა და წრეს) იგი ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ნატივიზმისა და გენეტიზმის საკითხის გადასაჭრელად ეს დაკვირვებაც საკმარისია: ავადმყოფი სინათლესთან ერთად არესაც ხედავს, ე. ი. განფენილ სინათლეს. მაშასადამე, განფენილობა თანდაყოლილია. ამაში ნატივიზმი აღმოჩნდა მართალი. სამაგიეროდ, სიშორე-სიახლოვესა და სხეულებრიობას ავადმყოფი რამდენიმე კვირის შემდეგაც ვერ არჩევდა. მაშასადამე, გენეტიზმიც მართალი გამოდგა, რამდენადაც სივრცის რთული მხარეების დასაუფლებლად საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება ყოფილა საჭირო.

ამრიგად, დღეს ეს საკითხი ასე ითვლება გადაჭრილად: სივრცის პირველადი, ძირითადი ფვისება, განფენილობა, იმთავითვე მოცემულია; იგი შეგვრძნების ისეთსავე მხარეს წარმოადგენს, როგორსაც ინტენსიობა. მაგრამ რაც შეეხება ნამდვილ სივრცეს, ყველა მისი დანარჩენი თვისებებით, ყველაფერი ეს მხოლოდ პირადი გამოცდილების ნიადაგზე გვაქვს შეძენილი; და სივრცის ფსიქოლოგიის ამოცანას სწორედ იმის გამოჩვენება შეადგენს, თუ როგორ ახერხებს ადამიანი ყველა ამ თვისებების აღქმას.

2. სიდიდის აღქმა. როგორ ვწვდებით საგნის სიდიდეს? ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს ჩვენი მხედველობა ასრულებს. მაგრამ არა მარტო მხედველობა: სიდიდის აღქმა შეხებითაც შეიძლება. მაშასადამე, სიდიდე ინტერსენსორული აღქმაა, ისე როგორც ვრცეულობა საზოგადოდ. მაგრამ არა მარტო იმ აზრითაა იგი ინტერსენსორული, რომ მისი აღქმა შეხებითაც შეიძლება და მხედველობითაც, არამედ განსაკუთრებით იმ აზრით, რომ სიდიდის აღქმა მარტო ერთი გრძნობის ორგანოს საშუალებით შეუძლებ-

ლია. თითქოს ბრმა მარტო შეხებით უნდა არკვევდეს საგანთა სიდიდეს! მაგრამ მცირეოდენი დაკვირვებაც საკმარისია, რომ თვალში გვეცეს, რა დიდ როლს უნდა ასრულებდეს ბრმის სივრცის აღქმის შემთხვევაში მოძრაობა. საგანთა სიდიდის შეფასებისას მისი ხელები განუწყვეტლივ მოძრაობს: საგნის სიდიდეს იგი არსებითად პასიური შეხებით კი არ აღიქვამს, არამედ უფრო აქტიურით — მაშასადამე, მოძრაობის თანხლებით.

ამრიგად, სიდიდის აღქმაში შეხების შეგრძნებებთან ერთად მოძრაობის შეგრძნებებიც მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობენ.

იგივე უნდა ითქვას მხედველობის შესახებაც: ჩვენი თვალი სულ მუდამ მოძრაობაშია. ცხადია, შესატყვისი მორთული შეგრძნებები სივრცის მხედველობითს აღქმაშიც ღებულობს მონაწილეობას.

მხედველობა განუყრელადაა დაკავშირებული თვალის მოძრაობასთან, და უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის იღებს ერთგვარ მონაწილეობას სივრცის მხედველობითს აღქმაში. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ხასიათის მოძრაობებს მიმართავს თვალი, როდესაც იგი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის, სხვადასხვა მანძილზე მდებარე საგნებს აღიქვამს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოძრაობებს, რომელნიც ლინზის სისქის რეგულაციას აწარმოებენ და ამით სხვადასხვა მანძილზე მყოფი ობიექტების ბაღურაზე მკაფიოდ გამოხატვის შესაძლებლობას იძლევიან („აკომოდაცია“). გარდა ამისა, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ის კუნთიც, რომელიც თვალის გუგას აფართოებს და ავიწროებს, აგრეთვე ექვსი კუნთი, რომელიც თვალის კაკლების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობას აწესრიგებს. მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ყველა ეს მოძრაობა ისე შეთანხმებულად ხდება ორივე თვალში, თითქოს ორს კი არა, ერთ ორგანოსთან გვექონდეს საქმე. როდესაც ორივე თვალით ერთს რომელსაღმე საგანს ვკვრეტთ: ჩვეულებრივ, ორივე თვალის საფიქსაციო ხაზები ისე ეწყობა, რომ ისინი სწორედ ფიქსირებულ წერტილში ხვდებიან ურთიერთა („კონვერგენცია“), და რაც უფრო შორსაა საგანი, მით უფრო მახვილს კონვერგენციის კუთხეს ვღებულობთ. ასე, რომ სიშორე-სიახლოვის აღქმაში კონვერგენციას გადამწყვეტი როლი უნდა ჰქონდეს. საკმარისია კონვერგენცია დაირღვეს, რომ საგანი გარებულნი დავინახოთ. მაშასადამე, კონვერგენცია ისე, როგორც აკომოდაცია: მაშინაც განუწყვეტლივ აქტიობაში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც რაიმე უძრავი წერტილის ფიქსაციას ვახდენთ და თვალი უძრავ მდგომარეობაში უნდა ვიქონიოთ.

ამრიგად, კინესთეტური შეგრძნება, რომელიც თვალის სხვადასხვა კუნთების ფუნქციობასთანაა დაკავშირებული, ვრცელ ობიექტთა ხედვის ყველა აქტში ლეზულობს მონაწილეობას — კერძოდ, საგანთა სიდიდის აღქმავშიც. იქ, სადაც ობიექტის სიდიდისათვის თვალის გადავლება მეტს კინესთეტურ ენერჯიას მოითხოვს, იქ საგანი უფრო დიდად გვეჩვენება, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში.

საგნის სიდიდე დამოკიდებულია აგრეთვე მანძილზე. შემდეგი ცდა ამას ნათლად ამტკიცებს:

მოვათავსოთ სტერეოსკოპში ორ-ორი ტოლი წრე, მაგრამ ისე, რომ ერთი წინ იყოს და მეორე უკან. რადგანაც სტერეოსკოპში უკანა უფრო შორს გამოჩნდება, ვიდრე წინა, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა შევამოწმოთ: მართლა აქვს მანძილს ობიექტის სიდიდისა შეფასებაზე რაიმე გავლენა თუ არა. საკმარისია ჩავიხედოთ სტერეოსკოპში და დავინახავთ, რომ ის წრე, რომელიც შორსაა, უფრო დიდი მოჩანს, ვიდრე ის, რომელიც უფრო ახლოსაა.

ეს დაკვირვება ერთს საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს: რატომაა, რომ მთვარე პორიზონტზე უფრო დიდი მოჩანს, ვიდრე ზენიტზე. ამ კითხვაზე, რომლის შესახებაც თავისი მოსაზრება სხვათა შორის არისტოტელსაც კი აქვს გამოთქმული, ასეთ პასუხს იძლევიან: პორიზონტი უფრო შორს გვეჩვენება, ვიდრე ზენიტი; ეს, უეჭველია, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენსა და პორიზონტს შუა საგნებს ვხედავთ, მაშინ როდესაც ზენიტის მიმართულებით ცარიელი სივრცეა. ცარიელი მანძილი კი, როგორც წესი, უფრო მცირე გვეჩვენება, ვიდრე სავე. ამის დამტკიცება სულ უბრალოდ შეიძლება. დავნიშნოთ წერტილებით ორი ტოლი მანძილი და ერთ-ერთი მათგანი წერტილებით შევავსოთ; იმწამსვე დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი უფრო გრძელი მოჩანს, ვიდრე მეორე. მაგრამ თუ პორიზონტი უფრო შორს გვეჩვენება, ვიდრე ზენიტი, მაშინ თანახმად ჩვენი სტერეოსკოპიული დაკვირვებისა, მთვარე იქ უფრო დიდი უნდა გამოჩნდეს, ვიდრე ზენიტზე.

გარდა ამ ორი ფაქტორისა, სიდიდის აღქმაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ობიექტის ბადურაზე გამოხატულების სიდიდეც. ჩვენ უკვე გვეჩვენა ლაპარაკი, რომ ეს გავლენა აბსოლუტური ხასიათის არაა: საგანთა სიდიდის კონსტანტობის ფაქტი უეჭველია, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში: ძალიან შორს ნორმალური აღამიანი ლილიპუტის ოდენა გვეჩვენება.

8. მესამე განზომილება. ყოველთვის განსაკუთრებით დიდ ინტე-



რეს იწვევდა სხეულებრიობის აღქმის საკითხი. რატომაა და როგორაა, რომ საგნებს, რომელთა გამოხატულებაც ბადურაზე ორგანოზომილებიანია, ჩვენ მაინც სამი განზომილების მქონედ აღვიქვამთ?

ამ საკითხზე საკმაოდ დამაჯერებელ პასუხს შემდეგი მარტივი ცლა იძლევა:

გადავხატოთ ფოტოგრაფიულად რომელიმე საგანი, ვთქვათ, კოშკი, ჭერ ისე, როგორც მას ერთი რომელიმე წერტილიდან მარჯვენა თვალი ხედავს, და მერე ისე. როგორც იმავე ადგილიდან მას მარცხენა თვალი აღიქვამს. მერე მოვთავსოთ ეს სურათები სტერეოსკოპში შესატყვის მხარეებზე და ჩავიხედოთ შიგ: კოშკის სურათი სხეულებრივად მოგვეჩვენება — სამგანზომილებიანად. რამ გადააქცია ორორგანოზომილებიანი ნახატი სხეულებრივად? მხოლოდ მათმა შეერთებამ: სტერეოსკოპს მეტი არაფერი უქნია; მან მხოლოდ გააერთიანა ეს სურათები. მაგრამ საესებით ერთნაირი სურათები რომ მოგვეთავსებია სტერეოსკოპში, სხეულებრივს ვერაფერს მივიღებდით. საჭიროა უსათუოდ ისეთი სურათები, რომელნიც თითოეული თვალის ბადურაზე აღბეჭდილ გამოხატულებას შეესატყვისება.

მაშასადამე, ცხადია: სხეულებრიობა ორივე თვალის მონაწილეობის ეფექტს წარმოადგენს. მაგრამ რა მომენტი ქმნის ამ შემთხვევაში ამ ეფექტს? ერთი ბადურის თითოეულ წერტილს მეორე ბადურაზე თავისი შესატყვისი წერტილი აქვს. ამათ „იღენტური წერტილებს“ უწოდებენ, და მათი თავისებურება ისაა, რომ მათი ერთდროული გაღიზიანება ერთს გამოხატულებას იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად ორ გამოხატულებასთან გვაქვს საქმე. როდესაც ჩვენ რომელიმე სხეულებრივ საგანს ვკვრეტთ, მარცხენა და მარჯვენა თვალზე არა იღენტური, ე. წ. „ღისპარატული წერტილებიც“ ღიზიანდება, და ესაა მიზეზი, რომ მარცხენა და მარჯვენა ბადურაზე აღბეჭდილი გამოხატულება ერთნაირი არაა. ჩვენი ჩვეულებრივი ხედვის დროს ორივე ეს ღისპარატული გამოხატულება ერთდება და შედეგად სხეულებრიობის აღქმას ვღებულობთ. ასე ჩნდება მესამე განზომილების აღქმის შემთხვევები.

მაგრამ გარდა ამისა, დამხმარე ფაქტორების მთელი რიგიც არსებობს, რომელიც მესამე განზომილების, სიღრმის, დასრულებული აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს.

1) პერსპექტიული გადახრა (მაგ., ჩემს წინ მდებარე წიგნის კუთხეებისა და კიდეების).

2) მანძილი ზრდასთან ერთად ობიექტის გამოხატულების დაპატარავება ჩვენს ბაღურაზე.

3) პაერის პერსპექტივა, რომელიც შორეულ საგნებს ნაკლებ მკაფიოდ აჩენს, ვიდრე ახლო მდებარეთ.

4) შორს მდებარე საგნების ნაწილობრივ დაფარვა ახლო მდებარეთაგან. ამ წმინდა ოპტიკურ ფაქტორებს კინესთეტურიც ემატება:

ა) სიღრმეში სხვადასხვა სიშორით მდებარე საგანთა აკომოდაციას სხვადასხვა კინესთეტური შეგრძნებები ახლავს თან.

ბ) კონვერგენციის კინესთეტური შეგრძნებები.

მაგრამ ის სპეციფიკური განცდა, რომელიც „სიღრმის“, ან „სხეულებრიობის“ აღქმის სახით გვეძლევა, მარტო მხედველობისა და თვალის მოძრაობათა შეგრძნების ნიადაგზე არ აიგება. უეჭველია, რომ ამ განცდაში თავისი წვლილი სხვა ორგანოებსაც შეაქვთ, განსაკუთრებით, თუ მას გენეტური თვალსაზრისით განვიხილავთ. პატარა ბავშვისათვის, მაგ., სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ კინესთეტურ განცდებს, რომელნიც ტაყების მოძრაობასთან არიან დაკავშირებულნი: „აზლო“-ს და „შორი“-ს განცდას განსაკუთრებით ეს კინესთეტური მომენტები უნდა აძლევდნენ სპეციფიკურ ხასიათს. შემდგომს ასაკობრივ საფეხურებზე ამას მთელი სხეულის მოძრაობასთან — განსაკუთრებით ლოკომოციასთან — დაკავშირებული კინესთეტური შეგრძნებები ემატება: შორის განცდაში საკუთარი მოძრაობის ცნობიერებაც ღებულობს მონაწილეობას. ერთი სიტყვით, ადამიანი „სიღრმეს“ არა მარტო თვალით „ხედავს“ და თვალის მოძრაობით განიცდის, არამედ მთელი თავისი პიროვნებით, რომლის ორგანოთაგანაც ყოველს ცალკე შემთხვევაში ის ორგანო იწყებს მოქმედებას, რომელიც აღქმის მიზანს ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ემსახურება (შ ტ ე რ ნ ი).

გეშტალტთეორიის წარმომადგენელთა ექსპერიმენტებმა სიღრმის აღქმის საკითხშიც შეიტანეს ახალი შუქი. გამოიჩვენა, რომ სიღრმის განცდას არა მარტო ზემოაღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავენ: ნაწილების ახალ გამთლიანებას, იმავე ნაწილებისაგან ახალი სტრუქტურის შექმნას, გადასტრუქტურებას, ხშირად გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სიღრმის განცდის აღმოცენების პროცესშიც.

1. აწმოს განცდა. აღქმის საგანი, ჩვეულებრივ, არა მარტო სიერცეში მოცემულად განიცდება, არამედ, კიდევ უფრო მეტად, დროშიც. აღქმისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ყველაზე უფრო სპეციფიკური ისაა, რომ იგი თავის საგანს აქვამად მოცემულად, ამეამად არსებულად, აწმომში წარმოდგენილად, ერთი სიტყვით, აქტუალურ საგანად განიცდის. ეს აწმოს მომენტის განცდაა, რომ აღქმას წარმოდგენისაგან განასხვავებს. როდესაც განცდაში მისი საგნის წარსული დროისადმი, ნამყოსადმი, მიკუთვნების მომენტია მოცემული, ანდა დროის მომენტი სრულიად უგულებელყოფილია, მაშინ ჩვენ წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. აღქმა და წარმოდგენა განსაკუთრებით ამით განსხვავდებიან ურთიერთისაგან; და საგულახხმოა. რომ ეს ნიშანი თვითონ განცდაშია მოცემული: იგი არა მხოლოდ ობიექტურად არსებობს. ერთი სიტყვით, აღქმა აწმომში მოცემული საგნის განცდას წარმოადგენს.

მაგრამ როგორ არის „აწმომში მოცემულობის“ განცდა შესაძლებელი? როგორ შეიძლება აწმოს განცდა, როდესაც მათემატიკურად მას არაერთიანი ხანგრძლიობა არა აქვს — როდესაც, მაშასადამე, როგორც დროის მონაკვეთი, აწმომ ნამდვილად არ არსებობს? მარადაცადა, დრო ხომ მარად მიმდინარედ განიცდება: დროს შეჩერება არ შეიძლება. მაშასადამე, აწმომ შეიძლება მხოლოდ როგორც მარად მოძრაობაში მყოფი საზღვარი წარმოვიდგინოთ წარსულსა და მომავალს შორის. შეუძლებელია თვითონ მას რაიმე ხანგრძლიობა ჰქონდეს, იმიტომ რომ ყოველი ხანგრძლიობა ან განვლილს და ან გასავლელ დროს ნიშნავს.

აწმომს ცნება, ამის მიხედვით, ლოგიკურად შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს; მას რაღაც ხანგრძლიობა უნდა ჰქონდეს, ე. ი. რამდენიმე ხანს მაინც უნდა გრძელდებოდეს, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია, მას მართლა რაიმე ხანგრძლიობა ჰქონდეს.

ეს რომ ასეა, ეს უდაოა. მაგრამ, მეორის მხრივ, ვის შეუვა ეჭვი. რომ აღქმა მართლა არსებობს, რომ მაშასადამე, აწმომს განცდა უეჭველად გვაქვს? როგორც ჩანს, მათემატიკური დრო და ფსიქოლოგიური დრო ერთიდაიგივე არ არის, თვითონ დრო ობიექტურად, რასაკვირველია, ერთია. მაგრამ დროის ანალიზი მათემატიკური თვალსაზრისით და დროის განცდა ერთმანეთს არ ემთხვევა. მათემატიკურ აწმომს ხანგრძლიობა არა აქვს. მაგრამ ფსიქოლოგიურად აწმომ უსათუოდ არსებობს; ჩვენ მას უეჭველად განვიცდით და,

მიუხედავად იმისა, რომ ის აწმყოა, მას მაინც გარკვეული ხანგრძლიობა აქვს.

მოვიყვანოთ მაგალითი! მე ვკითხულობ აი ამ სიტყვას, და მე ვკითხულობ მთელ წიგნს. რა განსხვავებაა დროის განცდის მიხედვით ამ ორ შემთხვევას შორის? ეს ერთი სიტყვა ცალკე ასოებისგან შესდგება, და მისი წაკითხვა გარკვეული დროის მონაკვეთს მოითხოვს — მართალია, მცირეს, მაგრამ მაინც ერთგვარი ხანგრძლიობისას, ვთქვათ, „1“ს. მთელი წიგნის წაკითხვასაც დრო უნდა, რასაკვირველია, გაცილებით მეტი. პრინციპულად ამ ორ შემთხვევას შორის არაერთარი განსხვავება არაა: განსხვავება მხოლოდ დროის იმ ხანგრძლიობის მეტნაკლებობაშია, რომელსაც თითოეული მათგანი მოითხოვს. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის ფსიქოლოგიურად! სიტყვა ყველა თავისი ნაწილებით, ცალკე ასოებით, რომლისგანაც იგი შესდგება და რომლის წაკითხვაც რაღაც დროის ერთეულებს, სეკუნდის ნაწილებს, მოითხოვდა, მთლიანად მაქვს ამ პომენტში ცნობიერებაში: თითქოს ყველა ასოები ერთდროულად ცოცხლობდნენ მასში; თითქოს უკანასკნელი ასო რომ წაეკითხე, პირველი ჯერ კიდევ აქტუალურად განიცდებოდა ცნობიერებაში; თითქოს მან ვერ მოასწრო აწმყოს ჩამოშორებოდა და წარსულს შეერთებოდა.

ერთი სიტყვით, ცალკე სიტყვის წაკითხვის შემთხვევაში მისი, სხვადასხვა დროს აღქმული, ელემენტები ერთს მთლიანში ერთიანდებიან და ამ მთელში სიცოცხლეს განაგრძობენ: ისინი აწმყოში მოცემულად განიცდებიან.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მთელი წიგნის წაკითხვის შემთხვევაში. აქ დროის ხანგრძლიობა, რომელიც წიგნის წაკითხვას მოუხდა, სრულიად გარკვევით ნაწილდება: მე გარკვევით განვიცდი, რომ ამ წიგნის წინა ნაწილებს ეხლა კი არ ვკითხულობ, არამედ წარსულში (ან ორი საათის წინათ, ან გუშინ) ვკითხულობდი. აქ ცალკე წარსული დროის განცდაც მაქვს და ცალკე აწმყოიც — აი, ეხლა რომ ამ სიტყვას ვკითხულობ.

ამრიგად, აწმყოს განცდა უქვევლი ფაქტია. ფსიქოლოგიურად აწმყო დროის ის მონაკვეთია, რომელსაც ერთი, მეტად თუ ნაკლებად რთული მთლიანი ნაწილების განცდა ავსებს. როგორც ეს ნაწილებია ერთად მთლიანში მოცემული, ისეა მათი დროც მთლიანის მომენტანური განცდის დროში მოცემული. ამიტომაც, რომ ჩვენს განცდაში აწმყოს ხანგრძლიობა აქვს.

დავასახელოთ მაგალითი! ეს-ეს იყო კედლის საათმა რეკვა და-ასრულა. მე მუშაობაში ვიყავი გართული და არ დამითვლია, თუ

რამდენი დაირეკა. მაგრამ მტკიცე რწმენა მაქვს. რომ მე შემოიძლია აღვადგინო, რამდენჯერ დაჰკრა საათმა. მთელი ეს რეკვის პროცესი თავიდან ბოლომდე თითქოს ჭერ კიდეც ცოცხალია ჩემს ცნობიერებაში. იმდენად ცოცხალი, რომ მართლა შემოიძლია მისი აღდგენა. რეკვა საკმაო ხანია, რაც დასრულდა: იგი წარსულს ეკუთვნის მთლიანად. მიუხედავად ამისა, იგი ჭერ კიდეც აქტუალურადაა ჩემს განცდაში მოცემული. ისე აქტუალურად, თითქოს ყურს ეხლა ესმოდეს რეკვა.

2. უმოკლესი აწმყო. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია ცდები, რომელნიც ობიექტური დროის იმ მინიმალური ხანგრძლიობის დადგენას ისახავენ მიზნად. რომელიც მინიმალური ხანის ერთობის (durée) ..უ ს ი ქ ი კ უ რ ი პ რ ე ზ ე ნ ტ ო ბ ი ს დ რ ო ს“ (შტერნი). ანუ უმოკლესი აწმყოს განცდისათვისაა საკმარისი. განსაკუთრებით გრძობიერი აღმოჩნდა ამ მხრივ ყური: ექსპერიმენტის მიხედვით, ორი ელექტრული სიგნალი ცალკე ისმის, თუ მათ 0,002 სექუნდის ინტერვალი აშორებს ერთმანეთს. მხედველობითი სიგნალების გასარჩევად ცოტა უფრო დიდი ინტერვალია საჭირო. სახელდობრ, 0,044 სექუნდი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. რომ, როდესაც სხვადასხვა მოდალობის გამლიზიანებლები ერთდროულად მოქმედობენ ჩვენზე, ისინი თანამიმდევრად გვეჩვენებიათ. ეს იმიტომ, რომ ზოგი ორგანო უფრო ნელა მუშაობს, ზოგი უფრო სწრაფად. მაგალ., ოპტიკური შეგრძნება ნელა ჩნდება და ნელა ქრება.

3. მაქსიმალური აწმყო. განსაკუთრებით კარგად არის შესწავლილი საკითხი გამლიზიანებელთა მაქსიმალური ხანგრძლიობის შესახებ, რომელიც ჭერ კიდეც აწმყოს სახით შეიძლება განცდილ იქნეს.

უნდტის შემდეგ ასეთ მეთოდს იყენებენ: ცდისპირს იზოტონური მეტრონომის საშუალებით. ე. ი. ისეთი მეტრონომის საშუალებით, რომელიც თანაბარი ინტერვალით, მაგალ.,  $\frac{1}{2}$  სექ. (იზოქრონულად) და თანაბარი ინტენსიობით (იზოტონურად) მუშაობს. ბგერითს გამლიზიანებლებს აძლევენ. ჭერ, ვთქვათ, მეტრონომის ერთ ცემას აძლევენ, მერე ორს, სამს, ოთხს და ასე შემდეგ მანამდე, სანამ ცდისპირს მეტრონომის ცემათა რიცხვი ჭერ კიდეც დაუთვლელადაც ეკოდინება, ე. ი. სანამ მიწოდებული გალიზიანებანი კიდეც ერთ მთლიან აღქმად ერთდებიან — ერთ აღქმად, რომელიც აწმყოს ნიშნითაა აღბეჭდილი.

თანახმად არსებული გამოკვლევებისა, დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი აწმყოს ხანიერობა, რომელიც, სხვათა შორის,

მრავალი ფაქტორის ზეგავლენას ემორჩილება და ამიტომ ძალიან ცვა-  
ლებადია, რამოდენიმე სეკუნდს არ აღემატება. იგი დამოკიდებულია  
გალიზიანებათა თანამიმდევრობის სისწრაფეზე: საუკეთესო აღმოჩნ-  
და ინტერვალის 0.2 სეკ. 0.3-მდე. თუ ინტერვალის 4 სეკუნდს უდრის,  
მაშინ ბგერითი ერთეულების გაერთიანება აღარ ხდება: სანამ მიორე  
ხმას გაიგონებდით, პირველი უკვე იკარგება. ხოლო როდესაც ინტერ-  
ვალის 0.18 სეკ. ნაკლებია, სინთეზი არც მაშინ ხერხდება: ცემათა სე-  
რიის ნაცვლად, რაღაც ხანგრძლივი ხრიალი ისმის. ერთერთს ხელის-  
შემწყობ ფაქტორს რ ი თ მ ი ც წარმოადგენს. თუ რითმი ხელსაყრე-  
ლია, მაშინ გალიზიანებათა გაცილებით მეტი რიცხვი ერთიანდება:  
აწმყოს ნიშნით აღბეჭდილ აღქმაში. ვიდრე უამისოდ.

4. რითმი. დროის აღქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რითმს.  
იგი პირველ რიგში აკუსტიკურ შეგრძნებებს ეხება; მაგრამ, რასაკვი-  
რეოლია, მარტო მათ ფარგლებში არ რჩება. იგი იმავე დროს მოძრაო-  
ბებზეც ვრცელდება. ჩვეულებრივ, აკუსტიკურ შეგრძნებათა რითმი  
ჩვენდაუნებურად შესატყვისი რითმული მოძრაობების ტენდენციას  
გვიღვიძებს; ბგერათა რითმულ თანამიმდევრობას ხელის, ფეხის და  
მთელი სხეულის მოძრაობას ვაყოლებთ ხოლმე თან: საცეკვაო მუ-  
სიკა საიმიჯოდ გვიზიდავს.

მაგრამ რითმი მხედველობის შეგრძნებათა არეშიც განიცდება:  
ვთქვათ. რვეულის ხაზებს შუა ხუთ-ხუთი მილიმეტრია დატოვებუ-  
ლი; მიუხედავად იმისა, რომ ეს ინტერვალის ყველგან ზუსტადაა და-  
ცული, ჩვენ მაინც შეგვიძლია. ხაზები თანასწორი ჭგუფების სახით,  
ვთქვათ. წყვილ-წყვილად აღვიქვათ. ამ შემთხვევაში ინტერვალის  
ჯგუფებს შორის უფრო დიდი მოკვეჩიენება, ვიდრე ჭგუფის წიგრთა  
შორის. ამრიგად, ბგერათა რითმის რითმული თანამიმდევრობის სრულ  
ანალოგიას ვღებულობთ.

რითმი დროისა და სივრცის ორგანიზაციას წარმოადგენს: იგი  
ერთგვაროვან შთაბეჭდილებებს გარკვეულ ერთეულებში აერთიან-  
ებს და ამავე დროს ამ ერთეულების ელემენტების მკვეთრი აღქმის  
შესაძლებლობასაც გვაძლევს: რითმი ინტეგრაციაც არის და დი-  
ფერენციაციაც ერთსადამიანვე დროს.

5. ხანიერობის შეფასება. აწმყოს განცდის სპეციფიკურ თავისე-  
ბურებას ის გარემოება შეადგენს, რომ იგი უთუოდ რითმიეა სავსე:  
იგი ყოველთვის თანამიმდევრობის განცდას წარმოადგენს. ამიტომაც,  
რომ ექსპერიმენტულად აწმყოს განსაცდელად ბგერათა თანამიმდევ-  
რობითი რიგით სარგებლობენ ხოლმე. უამისოდ დროში განფენილო-  
ბის. ანუ ხ ა ნ ი ე რ ო ბ ი ს განცდა არ არსებობს. მაგრამ თუ აწმყო  
თანამიმდევრობას შეიცავს, მაგრამ ასეთ თანამიმდევრობას, რომლის

წინა წევრებიც შემდგომი წევრების გვერდით განაგრძობენ არსებობას; თუ იგი წერტილად კი არა, უფრო ხაზად განიცილება, მაშინ გასაგებია, რომ აწმყოში წარსულიც გვეძლევა, რომ აწმყოს განცდა წარსულის განცდასაც შეიცავს, რომ. მაშასადამე, წარსულს. როგორც ეს ლამოცემულს, როგორც აქტუალურს განვიცდით. ერთი სიტყვით, გასაგები ხდება წარსულის აღქმის ფაქტი.

მაგრამ თუ ხანიერობა, ე. ი. აწმყოს დრო, ყოველთვის სავსეა, მაშინ ობიექტურად ერთიდაიმავე ხანგრძლიობის აწმყოს ერთნაირად უნდა ვაფასებდეთ. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ასე არაა: როდესაც რასმე ველოდებით, დრო გრძელდება; როდესაც ამავე დროის განმავლობაში რასმე საინტერესოს ვაკეთებთ, დრო გარბის. ობიექტურად ერთიდაიმავე ხანგრძლიობის დრო სხვადასხვა ხანგრძლიობისად აღიქმება. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ პირველ შემთხვევაში დრო ცარიელია, მეორეში შინაარსითაა სავსე. მაგრამ ნამდვილად იგი ორივე შემთხვევაში შევსებულია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ლოდინის შემთხვევაში მას ერთფეროვანი შინაარსი აქვს, მეორე შემთხვევაში კი მრავალფეროვანი. როდესაც ასეთ განსხვავებასთან გვაქვს ხოლმე საქმე, მაშინ დროის ხანგრძლიობა ყოველთვის განსხვავებულად განიცილება. ამ აზრით დროის აღქმის ფსიქოლოგიაში სავსე დროის კანონის შესახებ ლაპარაკობენ. როგორც ვხედავთ, ეს გამოთქმა ზუსტი არაა: იგი უფრო შინაარსის მრავალფეროვნებასა და დანაწევრებულობას გულისხმობს.

მაგრამ არსებობს მეორე კანონიც: როდესაც რასმე სასიამოვნოს ველოდები. დრო არ თავდება; როდესაც რასმე უსიამოვნოს, დრო ძლიერ სწრაფად გარბის. როგორც ჩანს, აქ გადამწყვეტ როლს ემოციური ფაქტორი ასრულებს. ელზენჰანსი ამას დროის შეფასების ემოციური განსაზღვრულობის კახონს უწოდებს.

ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ დროის თვითონ ობიექტურ ხანგრძლიობასაც აქვს მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსით არის იგი სავსე: ჩვეულებრივ, ერთიდაიმავე განცდებით ავსებული მცირე დროის მონაკვეთის გადაფასება ხდება, ხოლო უფრო დიდი დროის მონაკვეთის შეუფასებლობა, ე. ი. პირველი უფრო ხანგრძლივი გვეჩვენება, ვიდრე ის ნამდვილადაა, ხოლო მეორე უფრო ხანმოკლე. საინტერესოა, რომ გადაფასებაცა და შეუფასებლობაც ბავშვებს უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ზრდადასრულებულთ (დიდებს გადაფასება 133% აღმოაჩნდათ წუთში, ხოლო მოზარდებს 7-19 წლამდე — 175%).

6. ნატივიზმის საკითხი. ფსიქოლოგიაში დროის აღქმის მიმართაც იგივე საკითხი იდგა, რაც სივრცის აღქმის მიმართ: პირველადია და უფრო მარტივ განცდებზე დაუყვანადია, მაშასადამე, თანდაყოლილია, დროის განცდა (ნ ა ტ ი ვ ი ზ მ ი), თუ იგი უფრო მარტივი ელემენტების კომბინაციის ნაწარმოებია (გ ე ნ ე ტ ი ზ მ ი)? ბ ე რ გ ს ო ნ ი დროს თვითონ ფსიქიკის არსად თვლის: არ არსებობს ფსიქიკური მდგომარეობანი, არის მხოლოდ ცვლილებები: დრო ფსიქიკურ ფენომენტა გამოვლენის ფორმააო.

ვ უ ნ დ ტ ი აქაც გენეტიზმის თვალსაზრისს იცავს. მისი აზრით, დრო აკუსტიკურისა და დაძაბვის შეგრძნებათა და მათთან დაკავშირებული დაძაბულობისა და შევების გრძნობათა ნიადაგზე აიგება. მიუხედავად ბ ე რ გ ი ს აზრით, დროის აღქმის შემთხვევაში გადამწყვეტ როლს კუნთური შეგრძნება ასრულებს. ლ ი პ ს ი ასე ფიქრობს: დროის აღქმა წარმოდგენათა ქვალიტატურ ცვალებას — მათ ზრდასა და შემცირებას წარმოადგენს. შეგრძნებამ შეიძლება ასეთი მოდიფიკაცია განიცადოს: იგი სუსტდება, მერე ცხოველ წარმოდგენად იქცევა, მერე ბუნდოვანდება. ეს მოდიფიკაციაა, რომ დროითი პროცესის ნიმუშს წარმოადგენსო. ამბობს ლ ი პ ს ი. რ ე ვ ო დ ა ლ ლ ო ნ ი -ს ერთერთ ავადმყოფს დროის განცდის და ორგანული შეგრძნებების უნარი ერთდროულად აღმოაჩნდა დაკარგული. მაშასადამე, დროის აღქმისათვის შესაძლებელია ამ შეგრძნებებსაც ჰქონდეთ ერთგვარი მნიშვნელობა.

დღეს ნატივიზმისა და გენეტიზმის საკითხი დროის აღქმის მიმართ ისე მწვავედ აღარ დგას, როგორც მე-19 საუკ. ფსიქოლოგიაში იდგა. როგორც ჩანს, ავტორთა უმრავლესობა ამ შემთხვევაშიც იმავე პოზიციასზე დგას, როგორც სივრცის აღქმის შემთხვევაში: პირველადი პრიმიტიული განცდა დროისა — ხანიერობა - - ოსევე თანდაყოლილია, როგორც სივრცის აღქმის შემთხვევაში - განფენილობა. მაგრამ დასრულებული დროის განცდა, იგი როგორც სივრცისაც განვითარების მხოლოდ საკმაოდ რთული პროცესის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

7. სენსორული შინაარსი. რა მოდალობის შეგრძნებასთან უფრო მეტი კავშირი აქვს დროის განცდას?

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ზოგის აზრით, დროის განცდა სრულიად გარკვეული მოდალობის შეგრძნებათა მასალით აიგება. განსაკუთრებული ადგილი ასეთ შეგრძნებათა შორის სმენის მოდალობას უჭირავს. მაგრამ უდაოა, რომ დროც ისევე ინტერმოდალური წარმოშობის განცდაა, როგორც სივრცეც — შეიძლება კიდევ უფრო



მეტადაც, რადგანაც სუბიექტს გაცილებით უფრო ინტიმური კავშირი აქვს დროსთან, ვიდრე სივრცესთან.

სხვადასხვა სენსორული მასალით აგებული დროის განცდა არ არსებობს. დრო ერთია, და ამ ერთ დროს ჩვენ საჭიროებისდა მიხედვით, ყველა იმ საშუალებით აღვიქვამთ, რაც კი ჩვენს განიარგულებაში მოიპოვება. რომ დრო — რა გრძნობის ორგანოს საშუალებითაც უნდა აღიქმებოდეს იგი — ერთია, ამის დამტკიცება შემდეგი მარტივი ცდით შეიძლება:

ცდისპირს ერთადიამავე დროის ხანგრძლიობის შეფასებას სხვადასხვა გრძნობის ორგანოს საშუალებით ავალდებენ: აძლევენ ერთადიამავე ხანგრძლიობის სმენის, მხედველობის, შეხების და სხვ. გამლიზიანებელთ. შედეგი ანეთია: ყველა გრძნობის ორგანო თითქმის სასეებელ ერთნაირ შეფასებას იძლევა.

### დაპვირვება

1. „შეგრძნებითი აღქმა“. აქამდე ჩვენ აღქმის შესახებ ისე ვლაპარაკობდით, თითქოს მისი მარტო ერთადერთი ფორმა არსებობდეს. ნამდვილად კი სინამდვილესთან რეკეპტორული დამოკიდებულების ფორმები სხვადასხვანაირია: ზოგი უფრო მარტივია, ზოგი უფრო რთული. თუ რომელს მათგანს მიმართავს ცოცხალი არსება, ეს, ერთის მხრივ, მისი განვითარების აქტუალურ დონეზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორის მხრივ, ქცევის იმ ფორმაზე, რომელშიც მას ამჟამად სინამდვილესთან აღქმითი ურთიერთობის დამყარება უხდება. ასე რომ განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომი არსების, ადაჰიანის, ცხოვრებაშიც იქნება შემთხვევები, როდესაც იგი აღქმის უმარტივეს ფორმებს მიმართავს ხოლმე, იმიტომ რომ სინამდვილესთან დამოკიდებულების, ე. ი. პ რ ა კ ტ ი კ ი ს, ფორმა შეიძლება ზოგჯერ ისეთი იყოს, რომ იგი აღქმის ამ უმარტივესი სახეებითაც დაჰმაყოფილდეს.

აღქმის ყველაზე უფრო მარტივ ფორმად ის შემთხვევები შეგვიძლია ჩავთვალოთ, როდესაც გარეგალიზიანებათა ზეგავლენა უბრალო გამოძახილს პოულობს ჩვენს ფსიქიკაში, როდესაც გარეგალიზიანების მხოლოდ არსებობა განიცდება; ხოლო მისი რაობა, მისი რავარობა სრულიად უცხო რჩება. ასეთ განცდებს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ექნებოდა ადგილი, როდესაც გარე სინამდვილის რავგვარობა როლს არ თამაშობს ჩვენთვის, როდესაც მის მიმართ არავითარი ინტერესი არა გვაქვს, როდესაც ჩვენი ზემოქმედება სინამდვილზე სრულიად არაა ჩვენზე დამოკიდებული — როდესაც მას

თვითონ გაპლიზიანებული განსაზღვრავს. სინამდვილესთან ასეთი დამოკიდებულებების უკიდურეს ფორმად ძილი შეიძლება ჩაითვალოს. ძილში სინამდვილესთან ყოველი პრაქტიკული კავშირი შეწყვეტილი გვაქვს: ჩვენ მასზე ზემოქმედებას სრულიად არ ვაპირებთ. მაგრამ ეს გარემოება თვითონ გამლიზიანებლებს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის ჩვენზე ზემოქმედება განაგრძონ. ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვგრძნობთ ამ ზემოქმედებას: იგი ფიზიოლოგიურის საზღვრებს არ სცილდება. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რაიმე ძლიერი გამლიზიანებული, ვთქვათ, ძლიერი ხმაური, გვალვიძებს. ვთქვათ, ოთახში რაღაც გადმოვარდა და ძლიერი ხმაურის გამო გაჩვიდი. ხდება ზოგჯერ, რომ სრულიად არ ვიცით, რამ გავალვიძა, მაგრამ ყურში თითქოს რაღაც ისმის: შთაბეჭდილება იწეოდა, თითქოს ხმაურის კვალი განაგრძობდეს მოქმედებას, და ერთბაშად ჩვენ ვხვდებით, რომ ხმაურმა გაგვალვიძა.

აქ ერთდროულად აღქმის ორი საფეხურის მაგალითი გვაქვს მოცემული: პირველი, უმარტივესი ფორმა ისაა, რომ „ყ უ რ შ ი რ ა ს ლ ა ც გ ა ნ ვ ი ც დ ი თ“, თითქოს „ჩ ვ ე ნ შ ი ხ მ ა უ რ ო ბ დ ე ს“. თითქოს ეს „ხმაური“ ჩვენი მდგომარეობა იყოს, და არა რაღაც, ჩვენს გარეთ არსებული. ესაა სწორედ ის უმარტივესი ფორმა გარესინამდვილის განცდისა, რომლის გათვალისწინების მიზნითაც ეს მაგალითი დაგვიქირდა.

ანალოგიური განცდა თავის დროზე შეგრძნების სახელწოდებით აღწერეს<sup>1</sup>, და შემდეგ დაახლოებით ასეთივე განცდის ექსპერიმენტალური ანალიზი პაინც ვერნერმა სცადა. შეიძლება შტერნიც ამავე კატეგორიის მოვლენას გულისხმობდეს, როდესაც ლაპარაკობს: „შეგრძნება ამ შემთხვევაში პიროვნების მთლიან რეზონანსს წარმოადგენს გამლიზიანებულზე“-ო. მთლიან რეზონანსზე ლაპარაკი აქ სახეობით არ გამოხატავენ იმ მოვლენას, რომელიც მე მაქვს მხედველობაში: იგი მთლიანი მდგომარეობის ფონზე აღმოცენებულს საკმაოდ მკაფიო განცდას წარმოადგენს, რომელიც ჭერ კიდევ ვითომ სუბიექტის მდგომარეობად განიცდება.

ანალოგიური განცდა არა მარტო ახალ გაღვიძებულს აქვს. საზოგადოოდ, როგორც კი შეწყდება პრაქტიკული კავშირი ჩვენსა და სინამდვილეს შორის, ყოველთვის ასეთი განცდების აღმოცენების პირობებთან გვაქვს საქმე, მაგალ., ძლიერი დაღლილობის შემთხვევაში, ყურადღების თვალსაჩინო დაქვეითების შემთხვევაში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეუძლებელი არაა, ზოგიერთს შემთხვევაში, აღქმის ეს უმარტივესი ფორმა, ეს, ასე ვთქვათ, შეგრძნებითი აღქმა, გარესინამდვილესთან პრაქტიკული ურთიერთობის

<sup>1</sup> იხ. ჩემი ექსპერ. ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1925.

საქიროებათათვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს: სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როდესაც გარე-გამლიზიანებელი მხოლოდ სიგნალის როლს ასრულებს, რომელსაც ესათვის რეაქცია სდევს თან. განსაკუთრებით ხშირი უხდა იყო ეს შემთხვევები მოძიარების პრაქტიკაში, სადაც კავშირი გამლიზიანებელსა და რეაქციას შორის ხშირად წმინდა რეფლექტორული ხასიათისაა.

2. დაკვირვება. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედება გამლიზიანებლის რაგვარობაზეა დამოკიდებული, როდესაც სუბიექტმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს იგი, სახამ რეაქციას მოიცემოდეს, შეგრძნებითი აღქმა საკმარისი აღარაა: აქ აუცილებელი ხდება, აღქმის შინაარსი ობიექტურად მოცემულად იქნეს გახსნილი; აუცილებელი ხდება, აღქმა საგნის გახსნას იძლეოდეს. ეს უკვე შემდეგი ფორმაა აღქმის გამოვლენისა, ანდა მისი განვითარების შემდგომი, უფრო მაღალი საფეხური. როდესაც ჩვენს მაგალითში გავლიძების შემდეგ ხმაურს ეცნობილობთ, მისი განცდა ერთბაშად სხვანაირი ხდება: ეხლა იგი გარედან მოცემულად განიცდება, ისეთ რადმე, რასაც ობიექტური არსებობა აქვს, რაც შეიძლება გარკვეული საგნის ნიშანს წარმოადგენდეს.

აღქმის განვითარების ამ საფეხურისათვის ორი ნიშანია დამახასიათებელი: ერთი, რომლითაც ის განვითარების წინა საფეხურს ეთიშება; და მეორე, რომელიც მას განვითარების შემდგომი საფეხურისაგან განაახვევებს. პირველი სწორედ მის საგნობრიობაში, მის ობიექტურობაში მდგომარეობს; მეორე მის პასიურობაში — სახელდობრ, იმ გარემოებაში, რომ იგი, ესე როგორც შეგრძნებითი აღქმის შემთხვევაშიც, სავსებით გამლიზიანებლის ზემოქმედებაზეა დამოკიდებული: იმოქმედებს გამლიზიანებელი, გაჩნდება აღქმაც, და როგორც იქნება ეს ზემოქმედება, სავსებით ისეთივე იქნება აღქმის შინაარსიც. ყოველ შემთხვევაში, აღქმის იმპულსი უფრო გარედან მომდინარეობს, ვიდრე შიგნიდან, თვითონ სუბიექტის განზრახვებიდან.

აღქმის განვითარების შემდგომ საფეხურთან გვაქვს საქმე, როდესაც აღქმა აქტიური ხდება, როდესაც მისი აღმოცენებაცა და შინაარსიც სუბიექტის განზრახვაზე, მის ნებელობაზეა დამოკიდებული; ერთი სიტყვით, როდესაც ნებისმიერი აღქმა ჩნდება. ასეთი აქტიური ნებისმიერ აღქმა უკვე უბრალო აღქმა აღარაა: იგი დაკვირვების სახელწოდებითაა ცნობილი.

ნამდვილი დაკვირვების შესახებ განსაკუთრებით აღქმის განვითარებული კატეგორიალობის შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი.

როდესაც აღქმის საგანი, როგორც ობიექტური მოცემულობა განიცდება, რომელსაც, შესაძლებელია, ბევრნაირი კონკრეტული გამოვლენა ჰქონდეს; როდესაც იგულისხმება, რომ არსებობს საგანი, რომლის შინაარსიც არცერთი ანეთი ცალკეული აღქმის შემთხვევით არ ამოიწურება, მაშინ, შეიძლება, მისი მაქსიმალური გათვალისწინების მიზნით, ახალახალი თვალსაზრისით მისი ახალახალი აღქმა იქნეს ნაცადი. ასეთს შეგნებულს, მეთოდურს, გარკვეულ თვალსაზრისთა მიხედვით დაგეგმულ აღქმას დაკვირვება ეწოდება.

თავისთავად იგულისხმება, დაკვირვება მხოლოდ ისეთ არსებას შეუძლია, რომელსაც საკმაოდ განვითარებული ნებელობა აქვს: დაკვირვება მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ამიტომაც ნებელობა დაკვირვების უპირველეს პირობად ითვლება.

ფრებესი დაკვირვების განსხვავებულ სახესხვაობათ ასახელებს: პირველი შემთხვევა ეს ისაა, როდესაც ობიექტი სტატიკურ მდგომარეობაშია მოცემული და ხანგრძლივი დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ობიექტის დაკვირვების შესახებ ლიხტენბერგი ამბობს: მე ამდენხანს შემოძლია შევაჩერო თვალი ერთსადაიმთხვე საგანზე, სანამ მასში რაიმე ახალ ნიშანს არ აღმოვაჩენო. მაშასადამე, მთავარი აქ მიზნობრივი წარმოდგენაა. იგი პტკიცე უნდა იყოს და მყარი, იმიტომ რომ მთლიანი ხასიათი დაკვირვებას მხოლოდ მიზნობრივი წარმოდგენის ნიადაგზე ეძლევა. დაკვირვების მეთოდურობა თვალსაზრისისა და კატეგორიების სიმრავლეზე დამოკიდებული. ამიტომაც, რომ თითოეული ჩვენთაგანი სინამდვილის ნაცნობ სფეროში უფრო ზუსტ დაკვირვებას ახერხებს, ვიდრე უცნობში: სპეციალისტის დაკვირვება გაცილებით უფრო მდიდარია და ზედმიწევნით, ვიდრე არა სპეციალისტისა. მაგრამ ყველაფერი ეს განსაკუთრებით ჩვენს წინაშე მდგომი მყარი ობიექტის დაკვირვებას ეხება.

მაგრამ არის შემთხვევები, რომ ზოგჯერ სწრაფად წარმავალ მოვლენას უნდა დავაკვირდეთ. ვთქვათ, ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ ეს მოვლენა გაჩნდება; მაგრამ ისიც ვიცით, რომ იგი სწრაფად გაქრება. ასეთი დაკვირვების მთავარ პირობას თვალსაზრისის წინასწარ მომზადება და ყურადღების სწრაფად, საჭირო მიმართულებით, წარმართვა შეადგენს.

სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც დაკვირვება სრულიად მოულოდნელ მოვლენას თუ შემთხვევას ეხება. მაგალ., მიწისძვრა მოხდა, ან შემთხვევით რაიმე კატასტროფას დაესწარი. ასეთ შემთხვე-

ვებში ნამდვილი დაკვირვების აუცილებელ პირობას ის წარმოადგენს, რომ დაკვირვების თვალსაზრისი სწრაფად შეიმუშავო და ნებისმიერ შესცვალო.

დაკვირვების თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე, მაგალ., მოგზაურობის პირობებში, როდესაც აღქმის მრავალმხრივობასა და სიფხიზლეს დაკვირვების ზოგადი განწყობა განსაზღვრავს.

## აღქმის ონტოგენეტიკური განვითარება

1. ადრეული ბავშვობა. აღქმის უმარტივესი ფორმა, შეგრძნებითი აღქმა, გრძნობათა ორგანოების მომწიფების დონეზეა დამოკიდებული. სადაც ესათუის გრძნობის ორგანო იმდენად მომწიფებულია, რომ შესატყვისი ფიზიოლოგიური პროცესის აღმოცენებასა და მიმდინარეობას უზრუნველყოფს, იქ სრული უფლება გვაქვს შეგრძნების შესახებაც ვილაპარაკოთ. ის ფაქტი, რომ ახალშობილ ბავშვს რეფლექსების მთელი რიგი აქვს, ამტკიცებს, რომ გარეგამღიზიანებელთა მოქმედებას მისთვის ზიგნალის მნიშვნელობა აქვს. რომ, მაშასადამე, მას ამ უკანასკნელი აღქმა შეუძლია.

რომ ამ შემთხვევაში მართლა მხოლოდ აღქმის ელემენტარულ ელემენტთან, შეგრძნებით აღქმასთან, გვაქვს საქმე, ეს ნათლად ჩანს განსაკუთრებით იმ ფაქტიდან, რომ ბავშვის რეაქციები ამათუიმ გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ პირველ თვეებში არასპეციფიკურია, ე. ი. გამღიზიანებლის თავისებურებას სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს: გამღიზიანებელი ჭერ კიდეც არ წარმოადგენს ბავშვისათვის ობიექტს, რომელსაც თავისი ნიშნები აქვს, რომელიც, მაშასადამე, მას ამ ნიშნების შესაფერის ქცევას ავლენს.

როგორც უკანასკნელი დროის გამოკვლევებიდან ირკვევა, გრძნობათა ორგანოების მომწიფება ჭერ კიდეც დედის მუცელში იწყება და შემდეგი თანამიმდევრობით სრულდება: ყველაზე ადრე შეხებისა და მოძრაობის ორგანოები მწიფდება; ამას სუნისა და გემოსი და, ბოლოს, მხედველობისა და სმენის ორგანოები მოსდევს. საგულისხმოა, რომ დაბადებიდანვე არა მარტო გამტარებელი ნერვებია მომწიფებული (ე. ი. მიელინის გარსით დაფარული), არამედ თვითონ თავის ტვინის განსაზღვრული არეებიც (1-13 და 14-28, ფლექსიგის მიხედვით). დანარჩენი არეები დაბადების პირველსავე თვეებში აღწევენ მომწიფების ისეთ დონეს, რომ მათი ფუნქციობის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ. უკანასკნელ ხანებ-

ში გამორკვეულად ითვლება, რომ უკვე სამი თვის ბავშვის შეუძლია ცხრა ძირითადი ფერის გარჩევა; წინანდელი შეხედულება სმენის ჩამორჩენილობის შესახებ ახალ გამოკვლევათა მიხედვით არ მტკიცდება. შეხების რომელობათა გარჩევის უნარს ხომ ძლიერ ადრე ამჟღავნებს ბავშვი.

ერთი სიტყვით, გრძნობათა ორგანოების ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარება თავის მაქსიმალურ დონეს უკვე პირველსავე წლებში აღწევს და ერთ ხანს ამ დონეზე რჩება. რამოდენიმე წლის შემდეგ იგი რეგრესულ განვითარებას იწყებს (პეტერსი): წინსვლის მაგიერ, უკან იხევს.

2. ალქმის შემდგომი განვითარება. მიუხედავად ამისა, არსებობს გამოკვლევათა მთელი რიგი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვის სენსორული განვითარება არა მარტო სკოლის წინარე ასაკში, არამედ მას შემდეგაც განაგრძობს წინსვლას. სასკოლო ასაკის ბავშვი უკეთ ხედავს ფერებს, უკეთ არჩევს სინათლეს, ტონებს, ვიდრე თავისი განვითარების წინა საფეხურებზე.

ამრიგად, ასე ირკვევა: გრძნობის ორგანოების ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარება დიდხნის დასრულებულია; იგი არა თუ წინ აღარ მიიწევს, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, რეგრესის გზასაც კი ადგება. მიუხედავად ამისა, ალქმის განვითარება მაინც თვალსაჩინოდ მიდის წინ.

პეტერსმა ამ პარადოქსალური ვითარების ახსნა ასე სცადა: სკოლის წინარესა და განსაკუთრებით სასკოლო ასაკში, ბავშვი ინტელექტუალურად ვითარდება; და სწორედ ეს ინტელექტუალური განვითარებაა, რომ მისი ალქმის ფუნქციების შემდგომ წინსვლას ედება საფუძვლად. ეს აზრი უეჭველად საყურადღებოა, მაგრამ საკითხს იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ სჭრის. გაცილებით უფრო სწორი და უფრო გასაგები იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ალქმა მარტო ერთადერთი ფორმით როდი გვევლინება, რომ პირიქით, მას რამოდენიმე რომელობით და სირთულით განსხვავებული ფორმა აქვს, და ალქმის განვითარება ამ ფორმათა თანამიმდევრობითს გამოვლენაში მქდაენდება. გრძნობათა ორგანოების მომწიფების დონე ალქმის უელემენტარესსა და უადრეს ფორმას განსაზღვრავს, იმას, რასაც შეგრძნებითი ალქმა შეიძლება ეწოდოს. გრძნობათა ორგანოების მომწიფების მაქსიმალური დონე მხოლოდ შეგრძნებითი ალქმის განვითარების უმაღლეს დონეს ნიშნავს და არა ალქმის განვითარებისას საზოგადოდ. ალქმის სხვა ფორმებს სხვა საფუძვლები აქვს, და მათი განვითარების პროცესი, ერთი საფეხურიდან მეორე-

ზე გადასვლის პროცესი, მთელი ბავშვობის ასაკის გასწვრივ გრძელდება.

შეგრძნებითს აღქმას, რომელიც მხოლოდ ცხოვრების დასაწყის პერიოდში უნდა ვიგულისხმოთ, მალე აღქმის ახალი ფორმა, როგორც განვითარების ახალი საფეხური, სდევს თან. შეგრძნებითი მასალა თანდათანობით სულ უფროდაუფრო ობიექტური მოცემულობის ხასიათს ღებულობს; მაგრამ იგი საგანს კი არ წარმოადგენს, რომელიც სხვაგვარ სენსორულ შინაარსშიც შეიძლება მოგვეცეს. არამედ, ყოველს კერძო შემთხვევაში, სრულიად დამოუკიდებელსა და თვითმყოფ ფენომენს: აქ სუბიექტს აღქმაში საგანი კი არ ეძლევა, არამედ მხოლოდ შინაარსი, რომელიც ყოველთვის არის რაიმენაირად გაფორმებული: იგი ფიგურას ხედავს და არა იმას, რასაც ეს ფიგურა წარმოადგენს, რასაც ის ნიშნავს. დაახლოებით ორ წლამდე, როდესაც ბავშვი უკვე ნამდვილად მეტყველებს, ბავშვის აღქმა, ჩვეულებრივ, ფიგურალურია.

აღქმის განვითარების შემდგომ საფეხურთან გვაქვს საქმე, როდესაც ბავშვისათვის ფიგურაში უკვე საგანია მოცემული: შეგრძნებადი მასალა ეხლა როგორც საგნის თვისება აღიქმება. მაგრამ დამახასიათებელი აქ ისაა, რომ საგანი ამ მასალით ამოიწურება: იგი იმდენად და იმ სახით არსებობს ბავშვის განცდისთვის, რამდენადაც იგი ყოველს მოცემულ მომენტში გვეძლევა: ფიგურა ეხლა საგნად განიცდება.

სასკოლო ასაკის პირველი წლები ობიექტური ინტერესის მძლავრი განვითარებით ხასიათდება: ბავშვი მთელი თავისი არსებით გარესინამდვილისაკენ არის მიმართული. გასაგებია, რომ ობიექტური აღქმას, აქ განსაკუთრებით ფართო გასაქანი ეძლევა. ამიტომ არაფერი არაა საკვირველი იმაში, რომ მიუხედავად გრძნობის ორგანოთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური მომწიფების პროცესის დამთავრებისა, სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმის უნარი წინსვლის თვალსაჩინო მაჩვენებლებს იძლევა.

მაგრამ აღქმა არც სასკოლო ასაკის პირველ წლებში აღწევს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. უკვე ძველი გამოკვლევებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მისი განვითარების მაქსიმალური დონე მხოლოდ სასკოლო ასაკის მეორე საფეხურზეა მიღწეული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: საქმე ისაა, რომ ამ ასაკობრივ საფეხურზე ახალი გარემოება იჩენს თავს, სახელდობრ, ნებელობის განვითარების ფაქტი, რომელიც, თავის მხრივ, თვალსაჩინო გავლენას ახდენს აღ-

ქმის განვითარებაზე. ჩნდება აღქმის უმაღლესი ფორმა, ნებისმიერი აღქმა, დაკვირვება, რომელიც უკვე წინა საფეხურზეც იხაზება.

8. აღქმის სტრუქტურული განვითარება. ბავშვის აღქმის განვითარების ამ სურათს კარგად შეეფერება ისიც, რაც მისი სტრუქტურის შესახებ არის ცნობილი.

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მისი აღქმა მით უფრო დიფუზიურია, მით უფრო მოკლებულია იგი გეშტალტის ძირითად თვისებებს: შინაგან განაწევრებულობასა და გარეგან გამოკვეთილობას. ამ დებულების კარგ ილუსტრაციას შემდეგი ცდა წარმოადგენს.

მიეცით ბავშვს, რომელიც ტაცების პერიოდში იმყოფება, რაიმე მისთვის განსაკუთრებით საინტერესო საგანი და მერე წაართვით. მაშინვე ტირილს დაიწყებს: მოითხოვს საგნის უკანვე დაბრუნებას. დადევით ეს საგანი რაიმე უფრო დიდი ზედაპირის მქონე მეორე საგანზე, ვთქვათ, წიგნზე, და ისე მიაწოდეთ ბავშვს. არის შემთხვევა, რომ ბავშვი ან ტირილს განაგრძობს და სრულიად არ შეეხება მიწოდებულ საგანს, ანდა ხელს სტაცებს იმ საგანს კი არა, რომელიც მას აინტერესებს, არამედ მეორეს, რომელზეც იგია მოთავსებული (წიგნს). თუ არ მიეცით, იგი ისევ ტირილს განაგრძობს.

დასკვნა ცხადია: ბავშვისათვის ორივე საგანი ერთ მთელს წარმოადგენს: იგი ვერ ხედავს თითოეულს ცალკე. მაგრამ თუ იგი ორს დამოუკიდებელ საგანს ისე ამთლიანებს, რომ ამ მთელში მათ ცალკე ცალკე ვეღარ ამჩნევს, მაშინ რაღა უნდა ითქვას თითოეული ცალკე საგნის საკუთარ ნაწილებზე! უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მისი აღქმა კიდევ უფრო დიფუზიური, კიდევ უფრო გაუნაწევრებელი იქნება. და მართლაც — განსაკუთრებით ფოლკელტის ცდების შემდეგ — დადგენილად ითვლება, რომ, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მისი აღქმა მით უფრო დიფუზიურია.

მაგრამ რას წარმოადგენს ეს დიფუზიური აღქმა? სახელდობრ, როგორ განიცდება საგანი ამ დიფუზიურ აღქმაში? ერთი მომენტი ჩვენ უკვე ვიცით: საგანი განაწევრებულ მთლიანს არ წარმოადგენს: ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ამ მთელში მისი ნაწილებიც დაინახოს.

მაგრამ როგორ განიცდის იგი ამ მთელს, ამას საგანგებო შესწავლა ესაჭიროება. ფოლკელტმა ამ მიზნისათვის სკოლის წინარე ასაკის ბავშვის ნახატები შეისწავლა. გამოიჩინა, რომ ბავშვი ობიექტს კი არ ხატავს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს, არამედ იმ სუბიექტურ შთაბეჭდილებას, რომელსაც იგი ამ საგნისაგან ღებულობს, იმ ემოციურ დამოკიდებულებას, რომელიც მას ამ საგ-



ნის მიმართ აქვს შემუშავებული. აქედან შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ბავშვისთვის აღქმაში ობიექტი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ თვითონ სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც ამ ობიექტთან ურთიერთობის ნიადაგზე ჩნდება. ეს შემდეგიდანაც კარგად ჩანს: ბავშვს ეძლევა ცილინდრი გადასახატავად. როგორც ირკვევა, იგა. ცილინდრის ობიექტური თვისებების გადმოცემის ნაცვლად, იმ შთაბეჭდილების გადმოცემას ცდილობს, რომელიც მას ცილინდრისაგან მიუღია, სახელდობრ, სიმრგვალის შთაბეჭდილებისას.

კლ ა პ ა რ ე დ მ ა ბავშვის აღქმის არსებითად ამავე თავისებურებას ს ი ნ კ რ ე ტ ი ზ მ ი უწოდა. ბავშვმა კითხვა არ იცის, მაგრამ არის შემთხვევები, რომ ზოგიერთ სიტყვებს იგი საერთო მოხაზულობით, თუ მოყვანილობით ცნობილობს: ასოების ერთი კომპლექსი. როგორც მთელი, ერთ შემთხვევაში ერთნაირად გამოიყურება მისთვის და მეორეში მეორენაირად. თითოეულ სიტყვას იგი. როგორც რომელიმე თავისებურ მთლიანს. აღიქვამს, რომლის ნაწილებსაც ვერ ხედავს. ასეთია, საზოგადოდ, მისი აღქმა: დანაწევრებული გეშტალტის ნაცვლად ბავშვი დიფერენციაციას მოკლებულ მთლიან სქემებს აღიქვამს.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სკოლის წინარე ასაკის ბავშვის აღქმის ასეთი დახასიათებიდან აღქმის განვითარების დასაწყისი საფეხურების შესახებ? თუ აღქმა სკოლის წინარე ასაკში ისეთია, რომ მისი სუბიექტური ხასიათის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, რა უნდა ვთქვათ მაშინ ადამიანის ცხოვრების პირველი ნაბიჯების შესახებ? უნდა ვიფიქროთ, რომ აღქმის გამოვლენის პირველი ფორმა. შესაძლოა, სწორედ ისეთი იყოს, როგორცაა ზოგჯერ გამღიზიანებლის განცდა პირველ მომენტში, როდესაც, მაგალ., მისი ზემოქმედების გამო ვიღვიძებთ: აღქმის გამოვლენის პირველად ფორმად შეგრძნებით აღქმა შეიძლება ჩაითვალოს. შემდეგ საფეხურზე აღქმის სტრუქტურა ისეთია, რა არაერთაარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ მისი შინაარსი მთლიანად სუბიექტურია: ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვი თავის ნახატებში მაინც რალაცას გადმოგვცემს; მაშასადამე, მაინც ობიექტს განიცდის. ჩვენ ვხედავთ, რომ ნიშნები, რომელსაც ბავშვი ხატავს, ამ გარედან მოცემულ რალაცას აქვს: სიმრგვალე მას ეკუთვნის და არა თვითონ სუბიექტს.

აღქმის ასეთი სტრუქტურა კარგად შეეფერება იმას, რაც ამ ასაკობრივი საფეხურის აღქმის განვითარების შესახებ იყო ზემოთ აღნიშნული: ბავშვის აღქმა უკვე საგნობრივია; მაგრამ აღქმული საგანი ისეთი ნიშნებით კი არ ხასიათდება, რომელიც თვითონ საგანს ეკუთვნის, დამოუკიდებლად იმისა, მოქმედებს იგი ვინმეზე თუ არა,

არამედ ისეთი ნიშნებით, რომელიც სუბიექტის გარეშე წარმოუდგენელია; საგანი მთლიანად იმით ამოიწურება, რაც მისი ზემოქმედების შემთხვევაში განიცდება. ამის გარეშე საგანი, როგორც დამოუკიდებელი ობიექტური არსი, ბავშვისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს. თავისთავად იგულისხმება, ასეთი აღქმის შემთხვევაში სუბიექტი სავსებით აქტუალურ სიტუაციაზე დამოკიდებული: საგანი მხოლოდ ის არის, რაც ყოველ მოცემულ მომენტში აღქმის აქტუალურ შინაარსში გვეძლევა. ამიტომ თუ რაიმე რეაქცია უნდა მოხდეს საგანზე, ეს რეაქცია შეიძლება მხოლოდ იმის შესატყვისი იყოს, რასაც ეს საგანი ყოველ მოცემულ მომენტში წარმოადგენს. სკოლის წინარე ასაკის ბავშვის ქცევის იმპულსიურობა, მისი უშუალო სიტუაციაზე სრული დამოკიდებულება მშვენივრად შეესატყვისება მისი აღქმის ამ თავისებურებას.

ბავშვის ნახატების შესწავლა სასკოლო ასაკში ნათლად ამტკიცებს, რომ მისი აღქმის სტრუქტურა საფუძვლიანად იცვლება. ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვი ეხლა ობიექტური საგნების ნაცვლად, სქემებს იძლევა: ამ სქემებში, რასაკვირველია, მხოლოდ ისაა მოცემული, რაც საგანს ეკუთვნის, როგორც მისი ობიექტური თვისება: საგნის სქემას იმ შთაბეჭდილების გადმოცემით ვერ დახატავთ, რომელსაც ეს საგანი სტოვებს თქვენში. ამ შემთხვევაში იგი საგნის სქემა ხომ აღარ იქნებოდა! ბავშვის ხატვის ეს სსაფეხური, სქემატური ხატვა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბავშვის აღქმა თვალსაჩინოდ უახლოვდება დიდისას იმით, რომ იგი იმ მხრივ მაინც არის გეშტალტური, რომ მკაფიოდაა გარემოსაგან გამოყოფილი: სქემაში კონტური განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს. რაც შეეხება გეშტალტის მეორე მხარეს, შინაგან განაწევრებულობას, ამ მხრივ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ, უეჭველია, რომ ეს პირველი ნაბიჯები მართლა გაბედულადაა გადადგმული: სქემა ასე თუ ისე მარტო კონტურს როდი შეიცავს; იგი სხვა მომენტების გადმოცემასაც გულისხმობს, რომელნიც მთლიანად აუცილებელ ნაწილებად განიცდებიან.

აღქმის სტრუქტურა უკვე სავსებით ისეთია, როგორიც ჩვენი, როდესაც ბავშვი სქემის სრულ უკმარობას გრძნობს და ამ მიზეზით ხატვას თავს ანებებს: როგორც ჩანს, ის ხედავს, რომ სქემატური ნახატი სინამდვილის შესატყვისი სურათს ვერ იძლევა. ნამდვილი საგანი მისთვის ეხლა გაცილებით უფრო დანაწევრებულია, გაცილებით უფრო მეტ დეტალებს შეიცავს, ვიდრე ეს მის სქემაშია გადმოცემული: მისი აღქმა ეხლა უკვე მთლიანად გეშტალტურია, სქემა ამ გეშტალტის სიმძლავრეს დაახლოებითაც ვერ გადმოგვცემს. ამის

შემდეგ არაა საკვირველი, რომ ბავშვმა სქემატურ ხატვას თავი დაანებოს, და რადგანაც უკეთ სახატეად მას ძალა არ შესწევს, ყოველგვარ ხატვაზე ხელი აიღოს! ჩვენ უკვე ვიცით, რომ სკოლის წინარე ასაკისა და ნაწილობრივ დაბალი სასკოლო ასაკის ბავშვიც დიდი გატაცებით ხატავს: ხატვა ამ ასაკობრივ საფეხურზე მასიურ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც წესი, განსაზღვრულ ასაკში ბავშვი სრულიად თავს ანებებს მას. ხატვას მხოლოდ ისეთი პირები განაგრძობენ, რომელთაც მართლა შეუძლია ნამდვილი გეშტალტის გადმოცემა, და ამიტომ არავეითარი საბუთი არა აქვთ ხელი აიღონ ხატვაზე.

გასაგებია, რომ აღქმის ასეთი სტრუქტურა, მისი სრული ობიექტური და გეშტალტური ხასიათი, ხშირად აიძულებს ბავშვს, როდესაც ეს გეშტალტი სრული არაა, მისი სისრულისათვის იზრუნოს. ჩნდება ნებისმიერი აღქმის — აქტიური დაკვირვების — შემთხვევები, და ჩვენ ვიცით, რომ სასკოლო ასაკში ნებისმიერი აღქმა თავისი განვითარების მაღალ საფეხურებს აღწევს: ბავშვი და აკვირვებას იწყებს.

## კარი მეზვილე

### მნეპური პროცესების ფსიქოლოგია

#### მნეპური პროცესის უმარტივესი ფორმები

1. მნეპე. ცნობილია, რომ ზოგიერთი მცენარის. მაგ., მიმოზის ან აკაციის ზოგიერთი ჯიშის ფოთლები ღამით იხურება და დილით კვლავ იშლება. ეს გაშლისა და დახურვის მოძრაობები ზუსტი პერიოდულობით ცვლიან ერთმანეთს — ყოველ თორმეტ საათში ერთხელ. იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა ამ რითმის შეცვლა? შეიძლება თუ არა, მაგალ., აკაცია სხვა რითმს „მიაჩვიო“. ვთქვათ. 18 საათს რომ გაშლილი იყოს და 6-ს დახურული, ანდა, პირიქით? მოვაწყოთ საგანგებოდ ისე, რომ აკაცია განმეორებით 18 საათის განმავლობაში სინათლეში იყოს და 6 საათის განმავლობაში სიბნელეში. ამით, ბოლოსდაბოლოს, ისეთ მდგომარეობას მივალწევთ. რომ აკაცია ერთხანს დღე-ღამის ნორმალური ცვლილებების პირობებშიც თავის ახლად შექმნილ რითმს დაიცავს: მხოლოდ 6 საათი იქნება დახურული და თვრამეტი გაშლილი (3 ფ ე ფ ე რ ი).

რას ამტკიცებს ეს ფაქტი? იმის გამო რომ აკაციაზე, განმეორებით, ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივად ამოქმედებდნენ სინათლეს, მან თავისი ჩვეულებრივი რითმი დაკარგა და ახალი შეიძინა. ეს რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, მას თავისი ბუნებრივი რითმი შერჩებოდა. უეჭველია, ამ შემთხვევაში უკვალოდ არ დაკარგულა ჩვენი მცენარისათვის წარსული: მისი ეხლანდელი რითმი ამ წარსულის გავლენის შედეგია. მაგრამ წარსულის შენახვას, აწმყოზე მისს გავლენას, საზოგადოდ, „მეხსიერება“ ეწოდება, ამ სიტყვის უარყოფით მნიშვნელობით. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცენარეს „მეხსიერება“ აქვს.

გამოკვლევათა მთელი რიგის შედეგად ცნობილია, რომ რაგინდ მარტივიც უნდა იყოს ცოცხალი არსება, აკაციის მსგავსი ფექტი ყველგან შეგვიძლია მივიღოთ. ცნობილ ფიზიოლოგს ევალდ ჰერიცს სწორედ ასეთი ფაქტები ჰქონდა მხედველობაში, როდესაც მან „მეხსიერება ორგანიზებული მატერიის საერთო ფუნქციად“ გამოაცხადა (1870). და მართლაც, ვერ ნახავთ ცოცხალ არსებას, რომ ის, რასაც იგი ამჟამად წარმოადგენს, მისი წარსულის ყოველგვარი გავლენის გარეშე იდგეს. პირიქით, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ მისი აწმყო ძირითადში მისი წარსულის პროდუქტს შეადგენს. ყოველ შემთხვევაში, ერთი მაინც უდაოა: რაგინდ მარტივიც უნდა იყოს ორგანიზმი, სათანადო ზემოქმედების საშუალებით განსაზღვრულ ფარგლებში მისი ასეთი თუ ისეთი შეცვლა შეიძლება. ამიტომაც, რომ ცხოვრების პირობების შეცვლის საშუალებით ცხოველთა და მცენარეთა, წინასწარ განზრახული მიმართულებით, გარდაქმნას ვახერხება; ამიტომაც რომ მათ „კულტურაზე“ შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

მაგრამ რა ნიადაგზე ხდება ამ შემთხვევაში წარსულის აწმყოზე გავლენა? რა მეხსიერებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? რასაკვირველია: ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს გავლენა ფსიქიკის ნიადაგზე ხდებოდეს; ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ, მაგალ., აკაციას ფსიქიკურად ახსოვდეს, რომ იგი 18 საათის განმავლობაში გაშლილი იყო და 6 საათის განმავლობაში დახურული. უეჭველია, რომ აქ წმინდა ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე. უეჭველია, რომ ექსპერიმენტული პირობების ზეგავლენით, მცენარეში ერთგვარი ფიზიოლოგიური ხასიათის ცვლილება მოხდა, რომელიც მისი მოძრაობების ზალ-ჩინთს დაედო საფუძვლად.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ცნადია, რომ აქ ჩვენ საკმაოდ თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც უთუოდ თვალსაჩინოდ განსხვავდება იმისაგან, რასაც, ჩვეულებრივ, მეხსიერება ეწოდება. ამიტომ ამ მოვლენას სახელწოდებაც განსხვავებული შეფერის. ზემონმა ამ ელემენტარულს, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური „მეხსიერების“ აღსანიშნავად ახალი ტერმინი, მნემე (ბერძნულად, მეხსიერება), შემოიღო.<sup>1</sup>

ამრიგად, „მეხსიერების“ უმარტივეს ფორმად, რომელიც ჰერიცის მიხედვით, ყოველი ორგანიზებული მატერიის ფუნქციას წარმოადგენს, მნემე უნდა ვივულისებოთ. მნემე ყოველი

<sup>1</sup> იმ კვალს, რომელსაც წარსული სტოვებს, ზემონი, „ენგარამს“ უწოდებს. ხოლო კვალის განახლებას „ეკფორიას“.

ცოცხალი ორგანიზმის თვისებაა. მაშასადამე, იგი არც ადამიანის-  
თვისაა უცხო: წარსულის გაკლენას ჩვენ ყოველთვის ფსიქიკურად  
როდი განვიცდით: ძალიან ხშირია შემთხვევები, რომ იგი მხოლოდ  
ანატომიურ-ფიზიოლოგიურის თარგლებით განისაზღვრება: მაგალ.,  
ვარჯიშის ზეგავლენით კონთი იზრდება და ფუნქციონალურად ვი-  
თარდება. ფსიქიკური მეხსიერების შესახებ, ამ შემთხვევაში, რასა-  
კვირველია. არავინ ილაპარაკებს.

2. ხანიერობა. განვითარების შემდგომ საფეხურზე წარსულის  
აწმყოში მოქმედებას უკვე ფსიქიკური ხასიათი კძლევა: წარსული  
არა მარტო ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ არეში, არამედ განცდა-  
შიც განაგრძობს არსებობას. მაშასადამე, ახლა უკვე ნამდვილი მეხ-  
სიერების შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ვნახოთ, როგორია მე-  
ხსიერების გამძლეუნის ყველაზე უფრო მარტივი ფორმა!

ჩერ კიდევ ფეხნერმა მიაქცია ყურადღება, რომ ზოგიერ-  
თი მოდალობის, მაგ., მხედველობის, არეში აღქმა იმწამსვე  
როდი ქრება, როგორც კი შესატყვისი გაღიზიანების ზემოქმედება  
შეწყდება, არამედ ერთგვარი კვალის სახით კვლავ განაგრ-  
ძობს ერთხანს არსებობას. შევაჩეროთ უძრავად თვალი ნათელი  
კვადრატის ერთ გარკვეულ წერტილზე 40-მდე სექუნდის განმავ-  
ლობაში გადავიტანოთ შემდეგ მხედველობა სრულიად ცარიელს  
ნეიტრალურ არეზე, ვთქვათ, თეთრი ქაღალდის ფურცელზე. ჩვენ  
იქაც კვადრატის გამობატულებას დავინახავთ. ფეხნერმა ამას  
თანამიმდევარი ხატი უწოდა (Nachbild). როგორც ვხე-  
დავთ, მისი სახით წინანდელი განცდა ახლაც განაგრძობს არსებო-  
ბას — წარსული აწმყოშიც მოქმედობს. მაშასადამე, შეიძლება იფი-  
ქროს კაცმა, რომ თანმიმდევარი კვალის სახით მეხსიერების გამო-  
ვლენის ერთერთ სახეობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ნამდვილად ეს  
ასე არაა.

საქმე ისაა, რომ კვალის შემთხვევაში ჩვენ წარსულში ნახულს  
კი არ აღვადგენთ, არამედ კვლავ განვაგრძობთ მის ხედვას: ის ფი-  
ზიოლოგიური პროცესი, რომელიც გამღიზიანებლის უშუალო ზე-  
მოქმედების შემთხვევაში ჩნდება, ერთხანს მისი აღკვეთის შემდე-  
გაც გრძელდება — მაშასადამე, აქტუალურ აღქმას იძლევა. ეს  
სრულიად ნათლად ჩანს თუნდ იმ გარემოებიდან, რომ თანამიმდე-  
ვარი კვალი, ჩვეულებრივ, უარყოფითია, ე. ი. საწინააღმდეგო  
ფერისად ვეჩვენება, მაგალ., წითელი კვადრატი მწვანედ მოჩანს.  
ლურჯი — ყვეთლად: აქტიურმა ფიზიოლოგიურმა პროცესებმა,  
რაც წითელი ფერის აღქმას უდევს საფუძვლად, კვალის შემთხვევა-  
ში მწვანე ფერის მიმართულებით გადაინაცვლეს.

ზემოდ, როდესაც დროის აღქმის შესახებ გვექონდა საუბარი, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის თავისებური განცდა, რომელიც აწმყოს აღქმის სახით გვეძლევა: აწმყო ხანიერად განიცდება, მდინარებად, რომელშიც წარსული, უკვე განვლილი, ამეამად მოცემულადაც, აწმყოშიც არსებულადაც აღიქმება. მასასადამე, წარსული როდი ქრება, როდი ისპობა, არამედ აწმყოში გადადის, მასში შედის, მის ელემენტად იქცევა. წარსული განცდა რომ მისი შესატყვისი გაღიზიანების აღკვეთასთან ერთად ქრებოდეს, ის რომ მაშინვე კვდებოდეს, აწმყოში არსებობას არ განაგრძობდეს, მაშინ ხანიერობის განცდა შეუძლებელი იქნებოდა. მაშინ ჩვენ ყოველთვის წერტილისებურ მომენტებს აღვიქვამდით, რომელნიც ელვისებური სისწრაფით შესცვლიდნენ ურთიერთს და ვერასოდეს ხანიერ ამწყოს ვერ მოგვეცემდნენ.

როგორც ვხედავთ, აწმყოს განცდაში მეხსიერების მოქმედების ფაქტთან გვაქვს საქმე: მეხსიერება რომ არ ყოფილიყო, ე. ი. წარსული რომ იმ წამსვე აღკვეთილიყო, მაშინ აწმყოს ხანიერობის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. აწმყოს მაგალითები ჩვენ უკვე ზემოთ გვექონდა დასახელებული. შეიძლება მათ ხელახლა დავუბრუნდეთ. ამისთვის შორს წასვლა არ დაგვეკირდება, იმიტომ რომ ამ მიზნისათვის ყოველი ცალკე აღქმის შემთხვევა გამოდგება. აი, მაგ., აგერ შემთხვევით თოფი გავარდა. ჩაუუკვირდეთ ჩვენს ბგერითს აღქმას: მას შემდეგ, რაც ბგერა ობიექტურად დასრულდა, ჩვენ ერთხანს ამ ბგერის მკაფიო, პლასტიკური განცდა გვაქვს, თითქოს იგი ხელახლა ისმოდეს; რამდენიმე ხნის შემდეგ სრულიად ქრება და მერმე უკვე მხოლოდ წარმოდგენის სახით განიცდება.

რასაკვირველია, ეს განცდა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ წარსულის, უკვე გათავებული შემთხვევის, აწმყოში გადმოტანის უნარი არ გვექონოდა.

ამრიგად, ამგვარ განცდებში მართლა მეხსიერების მოქმედება ფაქტთან გვაქვს საქმე. მაგრამ ჩაუუკვირდეთ ჩვენს განცდას: წარსული, განვლილი, აქ წარსულში კი არ იგულისხმება, როგორც რაღაც, რაც იყო და ახლა აღარაა. არა, იგი აწმყოში განიცდება. მასასადამე, წარსულის განცდა, როგორც წარსულის, ჭერ კიდევ არა გვაქვს, მეხსიერება ჭერ კიდევ ვერ ჩამოშორებია აღქმას, იგი ჭერ კიდევ ძალიან პრიმიტიული სახის მეხსიერებად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, იგი თანამიმდევარი ხატი არაა, იგი მასზე მალა დგას.

## უშუალო მეხსიერება

1. უშუალო მეხსიერება. ძალიან ახლო დგას მეხსიერების გამოვლენის ამ უმარტივეს ფორმასთან მეხსიერების მეორე ფორმა, რომელიც, განსაკუთრებით მოიმანს შემდეგ, უშუალო მეხსიერების სახელწოდებითაა ცნობილი.

ორიოდე მაგალითი საკმარისია, რათა ნათელი შეიქნეს, თუ რას გულისხმობენ, როდისაც უშუალო მეხსიერების შესახებ ლაპარაკობენ. ეთქვამ, ვინმე მესაუბრება. როდისაც იგი რომელიმე წინადადების უანასანილ სიტყვას ამბობს, წინა სიტყვები მას უკვე ნათქვამი აქვს. მაშასადამე, ისინი წარსულს ეკუთვნიან. მიუხედავად ამისა. ეს სიტყვები ჩვენთვის სრულიად არ არიან დაკარგული: ისინი ჩემს ცნობიერებაში ჭირ კიდევ განაგრძობენ არსებობას, თითქოს ჭირ კიდევ მოისმოდნენ. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ენობრივი ურთიერთობა ადამიანთა შორის სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, როგორც კი გათავდება წინადადება, როგორც კი გავიგებთ აზრს, როგორც კი დაკარგავს, მაშასადამე, იგი პრაქტიკულად ჩვენთვის მნიშვნელობას, ჩვენ იგი უკვე დავიწყებული გვაქვს. უშუალო მეხსიერებისათვის სწორედ ესაა დამახასიათებელი. გამლიზიანებლის ზემოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ ფსიქიკურად იგი მაინც განაგრძობს ერთხანს არსებობას, სანამ ამას ჩვენთვის პრაქტიკულად მნიშვნელობა აქვს.

უშუალო მეხსიერებას, საზოგადოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, მაგრამ აქტიობის ზოგიერთი ფორმისათვის მას სრულიად განსაკუთრებული როლი ეკისრება. მაგალ., როგორ შეიძლებოდა ნაყოფიერად ემუშავნა ასოთამწყობს, რომ ყოველი ასო, ყოველი სიტყვა მას უმაღვე დავიწყებოდა, სანამ მის აწყობას მოასწრებდა! ან როგორ შესძლებდა გადამწერი თავის საქმის გაკეთებას, რომ მას თითოეული სიტყვა წაკითხვასთან ერთად დავიწყებოდა! როგორ შესძლებდა მოწაფე რისამე სწავლას, რომ მას ნაკარნახევი დაწერამდე მაინც თავში არ შერჩენოდა. რასაკვირველია, ვერც ერთი ეს საქმე ვერ გაკეთდებოდა, ადამიანს რომ ყოველი შთაბეჭდილება იმწამსვე უგზოუკვლოდ ეკარგებოდა.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასოთამწყობს ყველაფერი, რაც მას აუწყვია, ხანგრძლივად ამახსოვრდება, ან გადამწერს შემანქანებს, რაც გადაუწერია, ანდა მოწაფეს, რაც მისთვის უყარნახებიან. რასაკვირველია, ამას არა თუ არავითარი აზრი არ ექნებოდა, არამედ ეს მავნებელიც იქნებოდა: ეს ზედმეტად დატვირთავდა ადამიანის



ცნობიერებას. როდესაც უშუალო მეხსიერებაზე ვლაპარაკობთ, გახსაკუთრებით ეს მომენტიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში: წარსული უშუალო მეხსიერების შემთხვევებშიც გახაზარდობს აწმყოში არსებობას; მაგრამ როგორც კი იქცევა ეს აწმყო წარსულად, მასთან ერთად ისიც კვდება, რაც მასში შედიოდა წარსულიდან.

2. უშუალო მეხსიერების მოცულობის საკითხი. უშუალო მეხსიერების შესწავლა დღემდე უმთავრესად ექსპერიმენტული გზით წარმოებდა, და მის შესახებ თახამედროვე ფსიქოლოგიაში საკმაო ცნობები მოიპოვება.

პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ეს ისაა, რომ დასამახსოვრებელი მასალის მოცულობას უშუალო მეხსიერების შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა აღმოაჩნდა. მაგალ, ექვსი ერთმნიშვნელოვანი ციფრი რომ უკარნახოთ ვისმე, იგი ექვსივეს თავისუფლად აღადგენს; მაგრამ ექვსის ნაცვლად რომ ათი უკარნახოთ, ხახავთ, რომ იგი, არა თუ ათივეს, არამედ ექვსსაც ვერ აღადგენს. ზოგი ფსიქოლოგის აზრით, ეს ასე აიხსნება: ზედმეტი რომ ემატება რიცხვების იმ რაოდენობას, რომელიც უშუალოდ ამახსოვრდება ადამიანს, ეს უკუქცევით მოქმედობს მასზე და იმასაც ავიწყებინებს, რაც უაძისოდ უხდა დამახსოვრებოდა (ე. წ. უკუქცევითი შეფერხება). ზოგი კიდევ სხვაგვარ ახსნას იძლევა: შტერნის აზრით, ამ შემთხვევაში, ცალკე ელემენტებიდან მომდინარე პროცესს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ ენერგიას, რომელიც მთელს დასამახსოვრებელ მასალაზეა გაიფილებული. როდესაც ეს მასალა დიდია, თითოეულს ცალკე წევრს ეხეოგის ნაკლები რაოდენობა ხდება. ამიტომაც რომ მთელის აღდგენა აქ ნაკლები წარმატებით ხდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მთელი ნაკლები მოცულობისაა.

ფაქტობენ, რომ უშუალო მეხსიერების მოცულობას დიდი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. უშუალო მეხსიერების მოცულობა ეწოდება ადამიანის უნარს, აღადგინოს უშუალოდ ერთი მიწოდების შემდეგ განსხვავებული სტიმულების სერია იმ წესრიგით, რა წესრიგითაც იყო იგი მიწოდებული (ბლენკენ-ჰიპ). სამწუხაროდ, ეს ცნება ჯერ კიდევ ვერაა საკმარისად შესწავლილი: ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გამორკვეული, სპეციფიკურ უნარად ჩაითვლება უშუალო მეხსიერების მოცულობა თუ არა. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, მანამდე, რასაკვირველია, ამ ცნების დიფერენციალ-ფსიქოლოგიური მიზნებისათვის გამოყენება ძალიან ძნელი იქნებოდა.

ძალიან საინტერესოა, რომ მეხსიერების მოცულობის ფაქტორა

იმწამსვე კარგავს თავის გავლენას, რა წამს მის წინააღმდეგ სხვა ფაქტორები იწყებენ მოქმედებას. ამათ შორის პირველ რიგში რითონის ფაქტორი უნდა აღინიშნოს. რომ ავიღოთ და ცდისპირს რითმულად მივცეთ იგივე ათი რიცხვი, რომლის აღდგენაც ზემოთ მან ვერ მოახერხა, დავინახავთ, რომ ამ ამოცანას იგი აღვილად გადაწყვეტს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დასამახსოვრებელი ძასალის აზრსაც. როდესაც ძასალა უაზოა, ძაშინ გაცილებით ნაკლები გამახსოვრდება, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი ი. იმე გარკვეულ აზრს შეიცავს.

უნდა ვიფიქროთ, რითმიცა და აზრიც ერთიდაიმავე მიძართულებით ახდებენ გავლენას მეხსიერების მოცულობაზე: ისინი ცალკე ერთეულებს ურთიერთს უკავშირებენ, ერთ მთელში აერთიანებენ და ამით მათ გამარტივებას ახერხებენ.

## ეიდეტური ხატი

1. ეიდეტური ხატი. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში სხვაგვარი ფაქტიცაა დადასტურებული, რომელიც აგრეთვე მეხსიერების მოქმედების გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

მივცეთ ცდისპირს წითელი კვადრატი. ვაკვრეტინოთ იგი თავისუფლად 8-9 სექუნდის განმავლობაში და ამის შემდეგ თვალი ცარიელ არეზე გადაუტანიოთ ჩვენ ვნახავთ, რომ იგი აქაც განაგრძობს კვადრატის ხედვას.

შეიძლება ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივს თანმიმდევარ კვალთან გვექონდეს საქმე?

მაგრამ, ჭერ ერთი, კვალის მისაღებად ნიმუშის ფიქსაცია და შედარებით ხანგრძლივი ჭვრეტა საჭირო (40 სექუნდი). აქ კი ცდისპირი მხოლოდ 8-9 სექუნდის განმავლობაში, და ისიც თავისუფლად, ჭვრეტს კვადრატს. მაგრამ ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც იმას, რომ კვალი საწინააღმდეგო ფერისაა; აქ კი წითელი კვადრატი თავისი ჩვეულებრივი ფერით ჩანს. გარდა ამისა, რაც უფრო ახლოა ცდისპირთან ის შირმა, რომელზედაც კვალის გამოხატულების პროექცია ხდება; შით უფრო მცირე მოცულობისად მოჩანს ეს უკანასკნელი, და რაც უფრო შორსაა, მით უფრო დიდი მოცულობის მქონედ. კვალის მოცულობა პირდაპირ პროპორციულია მანძილის მიმართ. ეს ფაქტი პირველად ემერტმა აღმოაჩინა და იგი ემერტის კანონის სახელწოდებითაა ცნობილი. მაშ კვალი ემერტის კანონს ემორჩილება. რაც შეეხება ჩვენს შემთხვევას, აღმოჩნდა, რომ

აქ კვადრატის გამოხატულების მოცულობა არაერთგვარადაა შემთხვევაში ემერტის კახონს ახგარიშს არ უყვეს.

დასაარულ, კვალის პროექცია რომ ფერად ეკრანზე მოვახდინოთ, დავიხსანავთ, რომ მისი ფერი ეკრანის ფერს შეერევა და ნარევი ფერისად გამოჩნდება. ჩვენი კდის შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი: კვადრატის გამოხატულება ზევიდან ეფარება თავისი ფერთურთ ეკრანის შესაფერ ხაჟილს.

აქედან ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაში არა თანმიმდევარ კვალთან, არამედ სრულიად განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. პირველად ეს მოვლენა ვეხელდა ოფთალმოლოგმა ურბან ჩიჩმა აღმოაჩინა. თანამედროვე ფსიქოლოგიაში იგი „ვიდეტური ხატი“ სახელწოდებითაა ცნობილი და, უექნეღია, იისი სახით ნებისეერების მოქნეღების ერთერთ მარტივ სახეობასთან გვაქვს საქმე.

მართლაცდა, ეიდეტური ხატი — ჩვენს მაგალითში წითელი კვადრატის გამოხატულება<sup>1</sup> — მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩეას თავს, თუ რომ მას ხამდვილი აღქმა უსწრებს წინ. რადგანაც ეიდეტური ხატი, როგორც დავრწმუნდით, თანამიმდევარ კვალად არ ჩაითვლება, ჩვენ სრული უფლება გვაქვს იგი ამ აღქმის ხელახალ განხეოებად ან მის გაგრძელებად კი არა, მის ხატად, ან არეკლად ჩავთვალოთ. თაგოამ ასეთ ხატს ჩვენ დასრულებული მეხსიერების შემთხვევაშიც ვღებულობთ. მაგალ., მე ამჟამს სრულიად ვერ ვხედავ ჩემს ძეგონარს X-ს. მიუხედავად ამისა, მისი სახე თითქოს ჩემს თვალწინ დგას — მე მას ამჟამად ვერ აღვიქვამ, მაგრამ მისი სახის წარმოდგენა შემძლია: მეხსიერების ხატი წარმოდგენის სახით გვეძლევა. ბუნებრივად ჩნდება საკითხი: თუ სწორია, რომ ეიდეტური ხატი თანამიმდევარ კვალს არ წარმოადგენს და, მაშასადამე, აქტუალურ აღქმად ვერ ჩაითვლება; თუ იგი უფრო ხატია, ეიდრე აქტუალური აღქმა, მაშინ ხომ არ არის იგი ჩვეულებრივი წარმოდგენა?

წარმოდგენისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მას ყოველთვის მისი საგნის არაამწყობის, არააქტუალობის განკდა ახლავს თან: როდესაც X-ის სახეს წარმოვიდგენ, მე ვიცი, რომ მე მას არ აღვიქვამ, რომ მე მას ამჟამად ვერ ვხედავ, რომ იგი ჩემს წინაშე არ დგას. ეიდეტური ხატის შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: კდისპირი ისე ხედავს მას, თითქოს იგი მართლა მის წინაშე იდგეს, თითქოს მართლა ხედავდეს

<sup>1</sup> საქმაოდ რთული სურათიც შემძლება გამოვიყენოთ.

მას; სწორედ ისე ხედავს, როგორც თანამიმდევარ კვალს ვხედავთ ხოლმე, ე. ი. ნ ა მ ვ ი ლ ა დ ხ ე დ ა ვ ს. ამ მხრივ, ეიდეტური ხატი ნამდვილ აღქმას ჰგავს.

მაშასადამე, წარმოდგენასთან მას თითქოს არაფერი აქვს საერთო. მაგრამ ფაქტიურად საგანი ნამდვილად როდი დგას მის წინაშე, რომ მისი დანახვა მართლა შეიძლებოდეს. მაშასადამე, იგი ნამდვილად როდი აღიქვამს ამ საგანს, არამედ მის ხატს წ ა რ მ ი დ გ ე ნ ს.

ანალოგიური მდგომარეობა ე. წ. პ ა ლ უ ც ი ნ ა ც ი ი ს შემთხვევაში გვაქვს: ჩვენ გვგონია, რომ აჩრდილს ნამდვილად ვხედავთ, მაშინ როდესაც სინამდვილეში მხოლოდ აჩრდილთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ამისა, ეიდეტური ხატი არც პალუცინაციად ჩაითვლება: პალუცინაციის დროს ჩვენ მართლა დარწმუნებული ვართ, თითქოს რასღაც ნამდვილად აღვიქვამდეთ. ხოლო ეიდეტური ხატის შემთხვევაში ყოველთვის ვიცით, რომ საგანი ჩვენს თვალწინ აღარაა, რომ მას ამჟამად ფაქტიურად არ აღვიქვამთ.

ამრიგად, ეიდეტური ხატი არც ნამდვილი აღქმაა და არც ნამდვილი წარმოდგენა: იგი ისეთი აღქმაა, რომლის შესახებაც იცი, რომ მისი საგანი შენ თვალწინ არაა; მაგრამ იგი ისეთი წარმოდგენაა, რომლის საგანსაც ისე განიცდი, თითქოს იგი შენს თვალწინ იყოს.

მაშასადამე, ეიდეტურ ხატში ჩვენ მას შევძლებაც განვგარძობთ საგნის აღქმისებურ განცდას, რაც თვითონ საგანი ჩვენს წინ აღარ არის, და მისი ხელახალი აღქმის შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ეიდეტურ ხატში წარსულის, ე. ი. წინააღმდეგი აღქმის მონაცემებს შეაბნეა ხდება. ამ მხრივ იგი მებსიერების წარმოდგენათა ფუნქციას ასრულებს.

მაგრამ, როგორც ვიცით, იგი მეხსიერების წარმოდგენისაგან მაინც შორს დგას. მაშინ როდესაც წარმოდგენაში საგანი როგორც წარმოდგენილი განიცდება, ეიდეტურ ხატში საგანი კვლავ როგორც აღქმული განიცდება. მაშასადამე, ეიდეტურ ხატში ჩვენ ჯერ კიდევ მაინც ვერ ვშორდებით საგრძნობლად აღქმის დონეს; ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ, რომ ჰინამდვილე არა-აღქმისებურადაც განიცდება.

ეიდეტური ხატი მნეჭური განვითარებას შემდგომი საფეხურია, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც დაბალი საფეხური. ყოველ შემთხვევაში, იგი ფსიქიკურ არეში მიჰდინარეობს და ამდენად მაინც მეხსიერების გამოვლენის ფორმად უნდა ჩაითვალოს.

რომ იგი ჯერ კიდევ ახლოს დგას აღქმასთან და, მაშასადამე, განვითარების ჯერ კიდევ დაბალ საფეხურს წარმოადგენს, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეიდეტური ხატი წმინდა უნებურ მოვლენათა კა-

ტეგორიას ეკუთვნის: აღქმის შეწყვეტის შემდეგ იგი სპონტანურად ჩნდება, და მისი ჩაქრობა, ჩვეულებრივ, ჩვენი ნებისყოფის ზემოქმედებას ნაკლებად ემორჩილება. ერთ ბავშვს იმპერიალისტური ომის დროს ბრძოლის ველზე შამა მოუკლეს. ბავშვს სულთმობრძავი მაშის ეიდეტური ხატი გაუჩნდა. შამა თითქოს მის წინაშე სისხლიდან იცლებოდა და საშინელი ტანჯვით კედებოდა. რადგანაც ბავშვი ამ სურათის თავიდან მოშორებას ვერ ახერხებდა, იგი წერგულად დაავადანყოფდა. ბოლოსდაბოლოს, ნხოლოდ მედიკამენტური საშუალებით მონებრძა ეიდეტური ხატის დაჩრდილება და ბავშვის გადაჩენა. აღმოჩნდა, რომ ეიდეტურ უნარზე კალციუმი უარყოფით გავლენას ახდენს. ალბათ ამით აიხსნება, რომ ეიდეტური ხატის გავრცელებლობა გეოგრაფიულ პირობებზეა დამოკიდებული. ზოგიერთს რაიონში არც ერთი ეიდეტიკოსი არ აღმოჩნდა, განსაკუთრებით იქ, სადაც სასქელ წყალში კალციუმის შექადგენლობა შედარებით დიდი იყო.

ეს შემთხვევა ნათლად გვიჩვენებს, რომ ეიდეტური ხატი თვითონ ჩნდება და თვითონვე ქრება, რომ იგი „იმპულსურ“ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის.

ამიტომაც, რომ ეიდეტური ხატის უნარი ყველას (ლოდი აქვს. ვისაც ეს უნარი აქვს, მის აღქმას ეიდეტური ხატი სდევს თან; ვისაც არა, იგი ვერავითარი საშუალებით მის გამოწვევას ვერ მოახერხებს: ნებისყოფა ამ შემთხვევაში სრულიად უძლურია.

2. ეიდეტური ხატის ტიპოლოგია. მაგრამ ეს ყველა ეიდეტიკოსის შესახებ ერთნაირად არ ითქმის. ამ ფენომენის სპეციალური მკვლევარნი ეიდეტიკოსთა შორის ორ განსხვავებულ ტიპს არჩევენ: ტ-ტიპს (ტეტანოიდურ ტიპს) და ბ-ტიპს (ბაზედოვოიდურს). პირველს ეიდეტური ხატი თანმიმდევარ კვალს უფრო ჰგავს: იგი ტლანქია და უძრავი და, ამავე დროს განსაკუთრებით იძულებითი ხასიათის — იგი სრულიად არ ემორჩილება ნებისყოფას. სამაგიეროდ, სულ სხვა სურათს იძლევა ბ-ტიპი. მისი ეიდეტური ხატი უფრო მოძრავია და, რაც მთავარია, იგი შედარებით ადვილად ემორჩილება ნებისყოფას: ეიდეტიკოსს თავის ნებაზე შეუძლია მისი გამოწვევა და თავისი გემოვნებისა და ინტერესების მიხედვით ამა თუ იმ მიმართულებით შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ტიპის წარმომადგენელთა ეიდეტური ხატი თითქოს ნებისმიერ ფენომენთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, მანც არ შეიძლება ითქვას, რომ ეიდეტური ფენომენი ნებისმიერი წარმომადგენლისაა. როგორც აღვნიშნეთ, გაქვს თუ არა ეს უნარი, ეს სავსებით არანებისმიერ ფაქტორზეა და-

მოკიდებული, და ნებელობა, საზოგადოდ, არც მის განვითარებაზე ახდენს გავლენას და არც მის დასუსტებაზე.

8. ეიდეტისმი როგორც პრიმიტიული ფენომენი. ძალიან სიმპტომატურია, რომ ეიდეტური უნარი, როგორც წესი, ბავშვობის ასაკში უფრო ხშირად გვხვდება: ზრდადასრულებულთა შორის ეიდეტიკოსი იშვიათ გამოჩენის წარმოადგენს. გარდა ამისა, ეიდეტისმი ველურსა და უკულტურო ტომებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე თანამედროვე კულტურულ ადამიანთა შორის. ზოგიერთი ფსიქოლოგის მიხედვით, ეს ფენომენი ადამიანის ფსიქიკის განვითარების იმ საფეხურს წარმოადგენს, რომელზეც აღქმა და წარმოდგენა ჯერ კიდევ ლიფუზიურ მთლიანს შეადგენდნენ — როდესაც ცალცალკე არც ერთი მათგანი არ არსებობდა. ეიდეტური ფენომენი ჩვენი ნებესიერების განვითარების იმ საფეხურს ეკუთვნის, როდესაც მან აღქმის გვერდით პირველად აიღვა ფეხი.

მიუხედავად იმისა, რომ ეიდეტისმი განვითარების განვლილ საფეხურს ეკუთვნის, შეიძლება ზოგჯერ იგი თანამედროვე კულტურულ ადამიანსაც ჰქონდეს. მაგალ., ცნობილია, რომ გოეთე ეიდეტისმი უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, შეიძლება ეიდეტური უნარი სრულიად ჩვეულებრივსა და ზოგჯერ ჩვეულებრივზე უფრო დაბლა მდგომ ადამიანსაც ჰქონდეს. პირველ შემთხვევაში იგი შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული და ამდენად მის პატრონს დიდ უპირატესობას აძლევდეს, მაგალ., მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულს ნახულისა და გაგონილის ეიდეტური სიცხოველით ხელახალი განცდა დიდ სამართურს გაუწევდა. მაგრამ გონებრივად ჩამორჩენილი მას ბევრში ვერაფერში გამოიყენებდა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეიდეტისმი მკვლევარი აქვს ინტელექტის დონესთან (ცილიგ), ხოლო ზოგიერთის აზრით; არავითარი (ბონტე).

4. ეიდეტური ხატის ტემპორალური თავისებურება. ეიდეტური ხატის, როგორც მეხსიერების ფენომენის, დასახასიათებლად ერთი საკითხია კიდევ გამოსარკვევი: როგორ განიცდება ეიდეტური ხატი ტემპორალური მხრივ? ხდება თუ არა მისი წარსულისადმი მიკუთვნება, მისი წარსულში ლოკალიზაცია?

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მართალია, ეიდეტური ხატი აღქმისებურად განიცდება; მაგრამ ამავე დროს სუბიექტს სრული ცნობიერებაც აქვს იმისი, რომ იგი მხოლოდ ხატს ხედავს და არა აქტუალურ საგანს. მაშასადამე, ეიდეტური ხატის შემთხვევაში ტემპორალური განცდა სპეციფიკურია: წარსული, რასაკვირველია, ნათლადაა სუბიექტის ცნობიერებაში წარმოდგენილი, როგორც მათ-

რებელი გარკვეული აქტუალური განცდის, სახელდობრ, ეიდეტური ხატის საგნის ნამდვილი აღქმის. მაგრამ ის, რაც წარსულს განცდას წარმოადგენს, ის აშშყოშიც იმავნაირად განიცდება, მიუხედავად იმისა, რომ ის წარსულია და არა აშშყო.

როგორც ვხედავთ, ეიდეტური ხატის შემთხვევაში წარსული და აშშყო ჭერ კიდევ ვერ არიან ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განთვისებულნი.

## პერსევერაცია

1. პერსევერაციის ცნება. მეხსიერების გამოვლენის ერთერთს აგრეთვე მარტივსა და გენეტურად აღრეულს, თუმცა შედარებით მაინც წინწაულ ფორმას ე. წ. პერსევერაცია შეადგენს.

რას ეწოდება პერსევერაცია? ამაზე პასუხს შემდეგი მაგალითი იძლევა: არის შემთხვევები, რომ აღამიანს რაიმე სიტყვა ან რაიმე მელოდია აეკვიტება ხოლმე და სულ თავში უტრიალებს. შეიძლება იგი ძალიან სერიოზულ მუშაობასაც აწარმოებდეს; გატაცებულიც იყოს ამ სამუშაოთი; მიუხედავად ამისა, აკვიტებულ სიტყვას თუ მელოდიას მაინც თავიდან ვერ იშორებს. პერსევერაცია სწორედ ასეთ აკვიტებულ განცდებს ეწოდება.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს განცდა. სრულიად ცხადია, იმისათვის, რომ ასეთი განცდა გაგვიჩნდეს, იგი წარსულში, ოდესმე მაინც, უნდა გვექონოდა: აკვიტებული სიტყვა სადმე უნდა გვექონდეს გავონილი თუ ამოკითხული, ხოლო მელოდია მოსმენილი. მაშასადამე, პერსევერაცია რომელიმე განცდის განახლებას, აღდგენას გულისხმობს: განახლება რომელიმე განცდა, რომელიც ოდესმე გვექონია, და ერთი ხნის განმავლობაში თავიდან არ გვეშორდება.

შეიძლება ეს განცდა ეს-ესაა ეხლა გვექონდა და ვინ იცის, რატომ აღარ გვეშორდება თავიდან; მაგალ., რომელიმე სიტყვა ვინმარე, და ვხედავ — ამის შემდეგ წარამარა მას ვიპეორებ — შეიძლება ზოგჯერ შეუფერებლადაც. შეიძლება ისიც, რომ არც კი გვახსოვდეს, თუ როდის გვექონდა ეს განცდა, და ერთბაშად სწორედ ეხლა იჩინოს მან თავი და აკვეკვიტოს.

საგულისხმო ყველა ამ შემთხვევაში ისაა, რომ სრულიად არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია პერსევერირებული განცდა და რა აზრი აქვს მას. მისი უაზრობა, ზოგჯერ სიტუაციისადმი ტლანქი შეუფერებლობა, ნათლად განიცდება სუბიექტის მიერ. მაგრამ იგი უძღურიცაა მის წინაშე: პერსევერაცია ნებელობის ფაქტორს არ ემორჩილება — იგი სპონტანურად ჩნდება და სპონტანურადვე ქრება. მისი პრიმიტიული ხასიათი განსაკუთრებით აქედან ჩანს.

2. პერსევერაცია როგორც წარმოდგენა. მართალია, პერსევერაციული განცდა ოდესღაც აქტუალური განცდის განაზღვრებას წარმოადგენს: ამ მხრივ იგი ნამდვილ წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ განცდაში ეს დროის მომენტი სრულიად არ არის მოცემული: წარსულში გვექონია, თუ არა იგი, ან ჩოღის გვექონია, პერსევერაციული წარმოდგენის განცდისათვის ეს სულერთია: ამაზე იგი არაფერს გვეუბნება. ამ მხრივ პერსევერაცია არც ხანიერობის განცდაზე ღვას მალა და მით უმეტეს არც ეიდეტურ ხატზე.

ის, რაც მათ წინაშე უპირატესობას აძლევს მას, ეს ისაა, რომ პერსევერაციული განცდა ნამდვილი წარმოდგენაა. ეს პირველი შემთხვევაა, რომ წარსული განცდა წარმოდგენის სახით ახლდებოდეს: აქამდე იგი აწმყოს აქტუალურ განცდაში შედიოდა. ამ მხრივ პერსევერაცია, რასაკვირველია, უფრო ახლო ღვას მეხსიერების მაღალ ფორმებთან, ვიდრე ზემოთ განხილული ფორმები. მაგრამ მხოლოდ ამ მხრივ.

## ცნობა

1. ცნობა და მოგონება. მეხსიერების გამოვლენის შემდგომ ფორმას ცნობა წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი მეხსიერების შესახებ მხოლოდ ამიერიდან შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ჭაქმე ისაა, რომ აქამდე წარსული, როგორც წარსული როდი განიცდებოდა; იგი აწმყოს განცდის აქტუალობას იზიარებდა და უფრო აწმყოს ნიშნით ხასიათდებოდა. ასე იყო ხანიერობის განცდაში, ეიდეტურ ხატში, პერსევერაციაში. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ცნობის შემთხვევაში.

ისე, როგორც დასრულებული, ნამდვილი მეხსიერების აქტებში, ისე აქაც — ცნობის შემთხვევაშიც, ჩვენ წარსულს, როგორც წარსულის, ნათელი განცდა გვეძლევა. მე მაგონდება X-ის სახე; ეს იმას ნიშნავს, რომ მე ამჟამად ჩემს ცნობიერებაში აღმოცენებული წარმოდგენის საგანს იმ საგნად ვგულისხმობ, რომელიც ოდესმე სინამდვილეში როგორც X-ის სახე განიცდიდა. მე ვიცანი X-ი — ეს იმას ნიშნავს, რომ, მე რომ ამჟამად კაცს ვხედავ, მას იმ კაცად ვგულისხმობ, რომელიც ოდესმე წარსულში ჩემი აღქმის საგანი ყოფილა.

განსხვავება ცნობის აქტსა და მოგონების აქტს შორის, როგორც ვხედავთ, შემდეგშია: ცნობის აქტის შემთხვევაში ჩვენ აღვქმასთან გვაქვს საქმე, რომლის საგნის შესახებაც ვგულისხმობთ, რომ იგი წინათაც ყოფილა ჩვენი აღქმის საგნად; ხოლო მო-



გონების შემთხვევაში აღქმასთან კი არა, წარმოდგენასთან გვაქვს საქმე, რომლის საგნის შესახებაც ვგულისხმობთ, რომ იგი წინათაც ყოფილა ჩვენი განცდის საგნად. ცნობა, მაშასადამე, მართლა ახლო დგას ნამდვილ მეხსიერებასთან. მაგრამ იგი მისი უფრო მარტივი ფორმაა და გენეტიურად უფრო ადრეული საფეხურია.

2. ცნობა როგორც მეხსიერების დამოკიდებული ფორმა. იმისათვის რომ რაიმე იცნო, მისი აღქმა აღცილებელია: ცნობა მხოლოდ იმისი შეიძლება, რასაც ხედავ, ან რასაც აღიქვამ. თუ არაფერს არ აღიქვამ, რისი ცნობის შესახებ შეიძლებაოდა გველაპარაკნა! აქედან ცხადია, რომ ცნობის აქტებში მეხსიერების მოქმედების იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც დამოუკიდებლად კი არა, მხოლოდ რაიმე აღქმასთან დაკავშირებით ჩნდება. მეხსიერების განვითარების ამ საფეხურზე მეხსიერება ერთხელაც არ იჩენდა თავს მისი იმპულსი რომ აღქმას არ მოეცა. წარმოიდგინეთ განვითარების ამ საფეხურზე ადამიანი ბნელ ოთახში, სრულ სიჩუქეში, ერთი სიტყვით, ისეთ პირობებში, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები გამღიზიანებლები მოქმედობდნენ მასზე — რამდენადაც შესაძლებელია, აღქმის მიღების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდეს მას. თქვენ მიხედვით, რომ სწორედ იმის გამო, რომ მას აღქმები არ უჩნდება, მაშასადამე, საცნობი არაფერი აქვს, მისი მეხსიერება სრულიად მოკლებული იქნება მოქმედების შესაძლებლობას. მაგრამ იმავე პირობებში რომ ჩვენი თავი წარმოვიდგინოთ, საცნობი არც ჩვენ გვექნება რაიმე, მაგრამ ეს გარეგნობა ხელს არ შეგვიშლის — შეიძლება დაგვეხმაროს კიდევ — ჩვენი მეხსიერება ინტენსიურად ამუშავდეს და წარსულის მოგონებათა მთელი ბაღე მოქსოვს.

ამგვარად, ცნობა აღქმასთანაა დაკავშირებული, იგი აღქმის გარეშე არსებობს. მაშასადამე, იგი მეხსიერების დამოკიდებული ფორმაა და უნდა იქნეს მიჩნეული.

3. განმეორება როგორც ფაქტორი ცნობის. ცნობის ჩვეულებრივ პირობას განმეორება წარმოადგენს. იმისათვის რომ რაიმე ვიცნოთ, ერთხელ მაინც უნდა გვექონდეს მანამდე აღქმული. მაგრამ რისამე ერთხელობრივი აღქმა კიდევ არ იძლევა იმის საწინდარს, რომ მეორედ აღქმისას იგი უთუოდ იქნება ნაცნობი. ექსპერიმენტულადაც და ჩვეულებრივი დაკვირვების ნიადაგზეც არა ერთი შემთხვევაა დადასტურებული, საიდანაც უდაოდ ჩანს, რომ, შესაძლოა, ერთხელ და ზოგჯერ მეტჯერაც აღქმული სრულიად უცნობი მოგვეჩვენოს.

მეორის მხრივ, უთუოდ არაერთი შემთხვევა ჰქონია თითოეულს ჩვენგანს, რომ მას ერთხელ აღქმული იმწამსვე უცვნია. როგორც ჩანს, განმეორება ისეთ ეფექტს იძლევა, რომელიც, შესაძლოა, უიმისოდაც გაჩენილიყო. მაშასადამე, საქმე აქ სუბიექტის მდგომარეობას უნდა ეხებოდეს, თორემ აღქმის საგანი თვითონ განმეორებითა აღქმის შემთხვევაშიც ხომ იგივე რჩება. ამრიგად, ცნობას სუბიექტის ერთგვარი მდგომარეობა უდევს საფუძვლად, რომელიც უფრო ხშირად განმეორებითი აღქმის ზეგავლენით ჩნდება, ხოლო ზოგჯერ ერთხელობრივი შთაბეჭდილების ზეგავლენითაც.

4. ჩვეული და ნაცნობი. ასეა თუ ისე — განმეორებითი აღქმის. თუ რამ სხვა მიზეზის გამრ — სუბიექტს მის გარეთ არსებული საგნებისა და მოვლენების მიჯნით, ან მთელი გარემოს მიმართ, გარკვეული დამოკიდებულება უჩნდება: ეს გარემო მისი ჩვეული გარემო ხდება; თითოეული მოვლენა აქ, ან თითოეული ცალკე საგანი, ისე იწვევს მასში შესაფერ რეაქციას, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც სუბიექტი წინასწარ ცნობილობს მას, ე. ი. განიცდის როგორც ისეთს, რაც მას წინათაც უნახავს.

ავიღოთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება: როდესაც ჩემს სამუშაო ოთახში შევდივარ, სკამზე ვჯდები, წიგნს ვვლებულობ, ანდა საჭიროებისდა მიხედვით, კალმისტარს ვკიდებ ხელს და ვწერ; განა შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ამ საგნის ცნობა მჭირდება, მოგონება, რომ აი ეს ის არის, რაც წინათ ამ მიზნით გამოვიყენებია, და ეს კიდევ — იმ მიზნით? უდაოა, რომ ასეთი ცნობიერი მუშაობა სრულიად არაა საჭირო: თითოეულ საგანს მე მაინც მისდა შესაბამისად ვექვევ; ოღონდ აღქმა თითოეული მათგანის აუცილებელია.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ცხოველიც. დავაკვირდეთ სანიმუშოდ ძალს, რომელიც ჩვენთან ცხოვრებას არის მიჩვეული. იგი თავის ყოველდღიურ ცხოვრებას ჩვეულ გარემოში ატარებს: ყველაფერა ჩვეულებრივი გზით მიმდინარეობს. მაგრამ, ვთქვათ, ერთბაშად ეზოში უჩვეულო მხეცი შემოიჭრა, ან მისი ხმა მოისმა, ან რაიმე უმნიშვნელო, მაგრამ არაჩვეულებრივი მოხდა. იმწამსვე ცხოველის ქცევა შეიცვლება: უფრო ხშირად ჩვენ მას შიშს, უმწურობას, ყოველ შემთხვევაში, სრულიად თავისებურ ქცევას შევამჩნევთ. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ეს მოვლენა ჩვეულებრივი გახდება, ცხოველის მისდამი დამოკიდებულება სულ სხვაგვარი შეიქმნება — ისეთივე, როგორიც სხვა ჩვეულებრივი საგნების მიმართ.

ასე გვემართება ჩვენც: როდესაც ჩემს მაგიდაზე სრულიად მოულოდნელად რაიმე უცნობ საგანს წავაწყდები, ჩემი ყურადღება მასზე ჩერდება და ჩემს წინაშე ჩემდა უნებურად ასეთი კითხვა ჩნდება. „რა არის ეს?“ მაშასადამე, ამ საგნის რაობის, მისი ცნობის საკითხი ჩნდება. სხვა საგნების მიმართ ასეთი საკითხი ჩემს წინაშე არ ისმის: მათ მიმართ ისე ვიქცევი, როგორც მათ შეეფერება.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვეულ საგნებს თუ მოვლენებს ჩვენ როგორც ნაცნობ საგნებსა და მოვლენებს ვეპყრობით, მაგრამ ისე, რომ ჩვენ არ გვჭირდება იმის საგანგებო განცდა, რომ მათთან წინათაც გვქონია საქმე. ასეთი განცდა მხოლოდ იმ ობიექტის მიმართ ხდება აუცილებელი, რომელიც შედარებით ახალია, ყოველ შემთხვევაში, ამ სიტუაციაში უჩვეულოა.

მაშასადამე, როდესაც საგანი თუ მოვლენა ჩვეულია, ჩვენ ხელახლა მისი ცნობა არ გვესაჭიროება: ჩვენ მას იმთავითვე როგორც ნაცნობს ვეპყრობით. ხოლო როდესაც იგი ახალია, მაშინ თავიდანვე მისი ცნობის ცნობიერი აქტია აუცილებელი.

5. ნაცნობობის რომელობა. რით განსხვავდება პირველი მეორისაგან, ნაცნობი ჯერ კიდევ უცნობისაგან? პირველად ამ საკითხის გადაჭრა ჰე ფ დ ი ნ გ მ ა სცადა. მან აღნიშნა, რომ ჩვენს განცდაში ნაცნობ საგნებსა და მოვლენებს თავისებური ნიშანი აქვთ, რომლითაც ისინი მკვეთრად განსხვავდებიან უცნობთაგან. ეს ნიშანი ძალიან სპეციფიკურია: მას „ნ ა ც ნ ო ბ ო ბ ი ს რ ო მ ე ლ ო ბ ა“ შეიძლება ეწოდოს. ერთი სიტყვით, შევხედავთ თუ არა საგანს, არა მარტო მის გრძნობად თვისებებს, მის ფერს, მის ფორმას განვიცდით, არამედ მის ნ ა ც ნ ო ბ ო ბ ა ს თ უ უ ც ნ ო ბ ო ბ ა ს ა ც.

ამისდა მიხედვით ასე გამოდის: როდესაც ჩვეულ საგნებთან გვაქვს საქმე, მათ აღქმასთან ერთად მათი ნაცნობობაც აღიქმება. გარდა აღქმისა, სხვა რამ ცნობიერი განცდა აქ საჭირო აღარაა. მაგრამ საკმარისია რაიმე არაჩვეული საგანი შეგვხვდეს, რომ აქ აღქმა საკმარისი აღარ აღმოჩნდეს და მისი საგანგებო ცნობა შეიქნეს საჭირო.

მაგრამ მაშინ რასლა ემყარება ეს ცნობა? როგორ ხდება, რომ ზოგჯერ საგანი უცნობი გვეჩვენება, ე. ი. უცნობობის რომელობით აღზევდელი აღიქმება, მაგრამ ბოლოს იგი მაინც ნაცნობი აღმოჩნდება? რას ემყარება აქ ცნობის ფაქტი, თუ არა ნაცნობობის რომელობას, რომელიც ამ საგნის აღქმაშია მოცემული? ჰე ფ დ ი ნ გ მ ა ს მიხედვით, სხვაგვარი პასუხი შეუძლებელია. მაგრამ ეს პასუხი სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი: ნაცნობობის რომელობა რომ ქონოდა ამ საგანს, იგი თავიდანვე ნაცნობად მოგვეჩვენებოდა. მაგრამ

თუ ეს რომელიმე მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ჩვენ იგი ვიცანით, მაშინ ნაცნობობის რომელიმე ცნობის აქტის საფუძვლად აღარ გამოდგება: მაშინ გამოვა, რომ ის კი არ განსაზღვრავს ცნობას, არამედ, პირიქით, ცნობა განსაზღვრავს მას.

6. ნაცნობობის გრძნობა. ვუნდტი ცდილობდა. ცნობის საფუძველი არა ობიექტის თვისებაში, არამედ თვითონ სუბიექტში გადაეტანა. მისი რწმენით, ცნობას ის სპეციფიკური ემოციური მდგომარეობა განსაზღვრავს, რომელიც ნაცნობი საგნის აღქმას ახლავს თან. მაშასადამე, თვითონ საგანს კი არა, სუბიექტს ახასიათებს. ამ ემოციურ მდგომარეობას მან „ნაცნობობის გრძნობა“ უწოდა.

მაგრამ მოვლენათა აღწერის ზედპირს ვერც ვუნდტის მსჯელობა სცილდება: იგი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი რასმე ცნობილობს, მას ერთგვარი ემოციური განცდაც უჩნდება. მაგრამ საიდან ჩნდება ეს ნაცნობობის გრძნობა? რატომაა, რომ ზოგჯერ ერთხელ აღქმულსაც შეუძლია ამ გრძნობის გამოწვევა და ზოგჯერ მრავალგზის განმეორებით აღქმულსაც არ შესწევს ამის ძალა? ვუნდტის შეხედულების უპირატესობა იმაშია, რომ იგი ამ მოვლენის კვლევა-ძიებისას ჩვენს ყურადღებას სუბიექტისაკენ მიმართავს.

7. ცნობა და განწყობა. ამავე მიმართულებით ცდილობს ამ საკითხის გადაჭრას ვ. ბეციცი, ოღონდ იგი ცნობილი ტრადიციული ფსიქოლოგიური ცნებებით არ კმაყოფილდება და შედარებით ახალი ცნების გამოყენებას ცდილობს. მისი ძირითადი აზრი ასეთია: როდესაც რასმე აღვიქვამთ, გარდა შეგრძნებებისა, თუ რაიმე თვალსაჩინო გრძნობებისა, ერთგვარი, ამ აღქმისათვის სპეციფიკური, სხეულებრივი განწყობაც გვიჩნდება. როდესაც ამავე საგანს მეორედ აღვიქვამთ, იგი ჩვენში იმავე განწყობას იწვევს, ამიტომაც, რომ ეს საგანი ეხლა ნაცნობად გვეჩვენება.

მაგრამ როდესაც ბეციცი განწყობის ანალიზს იძლევა, გამოდის, რომ ფსიქოლოგიურად იგი მთლიანად სხეულის მდგომარეობასთან დაკავშირებულს სენსორულსა და ემოციურ განცდებზე დაიყვანება. მაგრამ მაშინ ძნელი გასაგებია — რატომაა, რომ ცნობის საფუძვლად სწორედ ეს სენსორული და ემოციური განცდები, გამოდის, და არა შეუდარებლად უფრო ნათელი, უფრო თვალსაჩინო სენსორული და ემოციური განცდები, რომელნიც თვითონაც საგნის აღქმის შინაარსს წარმოადგენენ. გარდა ამისა, ისინი ხომ მხოლოდ სუბიექტს ეხებიან, მაშინ როდეს-

საც ესენი ობიექტს ახასიათებენ; და რადგანაც საკითხი არა სუბიექტის მდგომარეობის ცნობას, არამედ სწორედ ობიექტის ცნობას ეხება, ამ უკანასკნელის საფუძვლობა ამათ უფრო უნდა შესძლებოდათ, ვიდრე იმათ.

მაგრამ თუ განწყობის იმ ცნებას ავიღებთ, რომლის შესახებაც ზემოთ გვერდოდა საგანგებოდ ლაპარაკი, მაშინ, უეჭველია, რომ იგი ცნობის პროცესში მართლა თვალსაჩინო როლს უნდა ასრულებდეს. თანახმად ამ ცნების ძირითადი აზრისა, როდესაც სუბიექტი ობიექტურ სინამდვილეს უპირისპირდება, მასში, როგორც მთელში, ამ უკანასკნელის შესატყვისი მოდიფიკაცია ჩნდება. მისი აღქმა და მისი ქცევა ამ მთლიან პიროვნულ ეფექტზე აიგება. აღქმას, მაშასადამე, ყოველთვის ასეთი თუ ისეთი მთლიან-პიროვნული მდგომარეობა უდევს საფუძვლად — მდგომარეობა, რომელსაც განწყობის სახელწოდებით ვიცნობთ. როდესაც მე ხელმეორედ იგივე საგანი მაქვს აღქმული და ჩემში იგივე განწყობა ჩნდება, მაშინ გასაგებია, რომ ამ საგნის აღქმა სხვაგვარად განიცდება, ვიდრე რომელიმე სხვა აღქმა.

აქ, ჩასაკვირველია, განწყობის, როგორც მთლიან-პიროვნული მდგომარეობის მიმართ, საკითხი ვერ დაისმის, თუ რატომაა, რომ იმას, რაც მას შეუძლია, აღქმის სენსორული შინაარსი ვერ ახერხებს. ეს საკითხი იმდროშ ვერ დაისმის, რომ განწყობა თვითონ სუბიექტის რაგვარობაა, როგორც მთელის, მაშინ როდესაც აღქმის სენსორული შინაარსი მხოლოდ ცნობიერების ნაწილობრივი შინაარსია.

მაგრამ თუ ცნობის აქტს განწყობის იგივეობა უდევს საფუძვლად, მაშინ გასაგებია, თუ საიდანაა, რომ ნაცნობი ობიექტის აღქმა „ნაცნობობის როქელობითაა“ აღბეჭდილი და „ნაცნობობის გრძნობას“ იწვევს სუბიექტში: ორივე ეს განცდა იმ განწყობის ნადაგზე აიგება, რომელიც ქვემდებარე აღქმას უდევს საფუძვლად.

მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი, რომ ნაცნობი ობიექტის აღქმას ყოველთვის ახლდეს თან ეს განცდები. შესაძლებელია, ცნობა მართო განწყობას ემყარებოდეს ისე, რომ ცნობიერებაში მას არავითარი წარმომადგენლობა არ ჰქონდეს. ეს, ალბათ, ისეთ შემთხვევებში იქნება საკმარისი, როდესაც სუბიექტს ხანგრძლივად, უცვლელად ერთსადაიმავე საგნებთან აქვს საქმე. აქ ცნობიერების მონაწილეობა ზედმეტია: აქ მართო განწყობის ხელმძღვანელობაც საკმარისია, რა სახითაც მას აქტუალური სიტუაცია ქმნის.

მაშასადამე, გასაგები ხდება ამ თვალსაზრისით ის გარემოება, რომ ჩვეულ გარემოში ჩვენ ცნობიერი ცნობა, როგორც ზემოთ ვამ-

ბობლით, არ გვკვირდება: ჩვენ უამისოდაც ადეკვატურად ვიქცევით ასეთ სიტუაციაში. მაგრამ საკმარისია რაიმე უჩვეულო გაჩნდეს, რომ იმწამსვე ცნობიერების ჩარევა შეიქნეს აუცილებელი.

8. ცნობის ილუზიები. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, რომ ზოგჯერ ადამიანს ცალკე საგნები თუ მოვლენები, ანდა მთელი სიტუაციაც ნაცნობად ეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველაფერს ამას პირველად ხედავს თავის სიცოცხლეში. ეს შემთხვევები სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: მას ზოგჯერ *fausse reconnaissance*-ს („მცთარ ცნობას“) უწოდებენ, ზოგჯერ *illusion de déjà vu* („უკვე ნახულის ილუზია“). თუ რაა წარმოადგენს ეს ილუზია, ამის საილუსტრაციოდ შემდეგი აღწერა გამოდგება:

„უკვე ექვსი წელია, რაც მე ობიექტურად სრულიად ახალიც კი ზოგჯერ ნაცნობად მეჩვენება. ეს მოვლენა ჩემს პრაქტიკაში უმთავრესად ადამიანებსა და განსაზღვრულ სიტუაციებს, უფრო იშვიათად, ლანდშაფტურ შთაბეჭდილებებს ეხება. მაგალ., ვხვდები რომელიმე უცნობ ქალაქში ადამიანს, რომელიც მანამდე, რასაკვირველია, არასდროს არ მინახავს: ერთბაშად შიში ამიტანს და თავში აზრი დამიწყებს ტრიალს: ამ კაცს ხომ ვიცნობ-მეთქი. ნეტავ სად შემხვედრია იგი! ეს გრძნობა ასე 1,5—10 მინუტს გრძელდება. შემდეგ იგი სრულიად ქრება. *Fausse reconnaissance*-ი მე აგზნებულ მდგომარეობაში როდი მაქვს. არა, ამ დროს მე სრულიად დამშვიდებულ მდგომარეობაში ვიმყოფები. პირველად 16 წლის ვიყავი, როდესაც ეს ილუზია განვიცადე. მაშინ მე მოწაფე ვიყავი და ერთხელ ამხანაგებთან ერთად სასკოლო დღესასწაულის მოწყობის შესახებ ვმსჯელობდით. მე ძალიან კაზად მაგონდება, რომ რაღაც აზრი გამოვთქვი და ერთბაშად დავდუმდი, უნდა დავდუმებულიყავი, იმიტომ რომ შიშმა ამიტანა, და თავში უსიამოვნო აზრი მიტრიალებდა: ყველაფერი ეს ხომ სწორედ ასე იყო ერთხელ, ეს ხომ სიტყვა-სიტყვით ანუ ვთქვი მაშინაც“ (შტერნი).

„ერთხელ მაშაჩემს ვესაუბრებოდით... უცებ ძალიან ცხადი და მტკიცე შთაბეჭდილება გამიჩნდა, რომ ყველაფერი ეს ოდესღაც უკვე განცდილი უნდა მქონოდა. ეს გრძნობა კიდევ უფრო განმტკიცდა საუბრის შემდგომ მიმდინარეობაში. თითქოს წინასწარ ვიცოდი მაშაჩემის კითხვებიცა და ჩემი პასუხიც. მე ნაცნობი მეჩვენებოდა მისი პოზა, მისი თავის მოძრაობა, ხელების თამაში, თითქოს ოდესღაც ჩემი ხმის ინტონაციაც მოსმენილი მქონდა... მე მეჩვენებოდა თითქოს ეს მოგონება ძალიან შორეულ წარსულს ეკუთვნო-

და, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ჩემს ცხოვრებასთან..." (დელაკრუა).

დელაკრუა ასე აღწერს ამავე განცდას: „არის მომენტები აღამიანის სიცოცხლეში, როდესაც ჩვენ გვწამს, რომ ყველაფერი, რასაც ვაპოვებთ, რასაც ვაკეთებთ, ერთხელ ოდესღაც, ძალიან შორეულ წარსულში, თითქოს უკვე გვეტყვას, უკვე გაგვეკეთებინოს; მომენტები — როდესაც ჩვენ გვაგონდება, თითქოს ჩვენ ირგვლივ იგივე საგნები გვერტყა, იგივე პირები, იგივე შემთხვევები, მომენტები, როდესაც ჩვენ მშვენივრად ვიცით თავიდანვე, რას გვეტყვიან შემდეგში, თითქოს ყველაფერი ეს თქმასთან ერთად გვაგონდებოდეს“.

ცნობილია რადიკალურად საწინააღმდეგო დაკვირვებაც. სუბიექტი სრულიად ნაცნობ სიტუაციაში იმყოფება. ერთბაშად მას გრძნობა ეუფლება, თითქოს ყველაფერს ამას პირველად ხედავდეს თავის ცხოვრებაში, და ყველაფერი უცხოდ და უცნობად ეჩვენება. ამ ილუზიას *illusion du jamais vu*-ს უწოდებენ, ე. ი. „არასდროს არ ნახულას“ ილუზიას.

შეიძლება ორივე ფენომენი ზოგჯერ სრულიად ნორმალურ აღამიანსაც აღმოაჩინდეს — უფრო ხშირად დადლილობის დროს. ამიტომ უთუოდ პათოლოგიურად ვერცერთს მათგანს ვერ ჩავთვლით. მაგრამ არის შემთხვევები, რომ ისინი ჩვეულებრივ მოვლენად და მახსიერების მუშაობის გაბატონებულ ფორმებად იქცევიან. მაშინ, რასაკვირველია, ნამდვილ პათოლოგიასთან გვაქვს საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ილუზიების მრავალი შემთხვევა აღწერილი. მათი საბოლოო ახსნა დღემდე ვერ მოხერხდა: სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად ხსნის ამ მოვლენას, და ამ ნაირნაირ ცდებიდან ზოგი ერთს კერძო შემთხვევას უდგება კარგად და ზოგი მეორეს. საერთო, დამაკმაყოფილებელი თეორია, რომელიც ყველა შემთხვევას გასაგებად გახდიდა, დღემდე არ არსებობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენას იგივე საფუძველი აქვს, რაც ცნობის ნორმალურ შემთხვევებს: ნაცნობობის გრძნობა და რომელობა, რომელსაც *deja vu*-ს შემთხვევებში აქვს ადგილი, სუბიექტის მთლიანი მდგომარეობის, მისი განწყობის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ყველა კერძო შემთხვევაში საგანგებო მიზეზითაა გამოწვეული.

## წარმოდგენათა ასოციაცია

1. წარმოდგენა. მახსიერების მოქმედების შემდგომ ფორმას იმ შემთხვევებში ვხვდებით, როდესაც წარსული განცდის აღდგენა

ან რეპროდუქცია აღქმის გარეშეც ოდებ, როდესაც წარსულში არსებული აღქმის ფაქტი მხოლოდ აქტუალური აღქმის სპეციფიკურ განცდაში—ნაცნობობის რომელიმით მის აღბეჭდვაში—კი არ იჩენს თავს, არამედ სუბიექტის ცნობიერებაში პირდაპირ დამოუკიდებელი ხატის სახით ახლდება. ადამიანს ნახულის არა მარტო ცნობის უნარი აქვს, არამედ მას მისი მოგონებაც შეუძლია. ავიღოთ უბრალო მაგალითი. გარედან ლაპარაკის ხმა ისმის. ვაკვირდები ვინ ლაპარაკობს და ვცნობილობ ხმას: ეს ჩემი მეზობლის ხმაა. ამრიგად, ხმა მე ვიცანი, მაგრამ ჩემი მეხსიერება ამით არ ემაყოფილდება: ნათლად მაგონდება ჩემი მეზობლის სახე, მაგონდება, რომ გუშინ მას ქალაქში შევხვდი; მაგონდება, რომ მისმა ავტომ კინლამ ბავშვს გადაუარა; ნათლად მაგონდება ბავშვის შეშინებული სახე. ერთი სიტყვით, გუშინდელი და უფრო შორეული წარსულის აღქმის საგნები ხელახლა განიცდება ჩემს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მეზობელს ეხლა თვალთ ვერ ვხედავ; რასაკვირველია, ვერც იმას, რაც გუშინ ჩემს თვალწინ მოხდა — ყველაფერი ეს ხელახლა ჩნდება ჩემს ცნობიერებაში, თითქოს ყველაფერი ხელახლა ჩემი აღქმის საგნად გამხდარიყოს. მაშასადამე, მე იმის ნათელი, კონკრეტული განცდაც შემიძლება, რაც ჩემს თვალწინ არაა, რაც სხვა ადგილასა და სხვა დროს მომხდარა. ოღონდ ამ განცდას განსაკუთრებით ის ახასიათებს, რომ ყოველთვის ვგულისხმობ, რომ თვითონ საგანთან კი არა, მხოლოდ მის ხატთან მაქვს საქმე. ასეთ განცდას, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, წარმოდგენა ეწოდება.

ამგვარად, ადამიანის მეხსიერების მოქმედება იმ მხრივაც იჩენს თავს, რომ მას, წარმოდგენათა სახით, იმის რეპროდუქცია შეუძლია, რაც ოდესმე წარსულში ყოფილა ჩვენი აღქმის საგანი.

2. წარმოდგენა და აღქმა. უეპკველია, რომ ამ შემთხვევაში მეხსიერების მართლა მაღალ ფორმასთან გვაქვს საქმე. შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერების ის ფორმები, რომლის შესახებაც აქამდე გვქონდა საუბარი, მხოლოდ მნემეს უბრალო გამოვლენას წარმოადგენენ. ისინი ყველანი ასე თუ ისე პირუტყვის კუთვნილებადაც შეიძლებოდა წარმოგვედგინა. მაგრამ სულ სხვაა წარმოდგენათა რეპროდუქციის უნარი. იგი არაჩვეულებრივ მნიშვნელოვან მონაპოვარს შეადგენს ცოცხალი არსებისათვის: ის მას შემდგომი განვითარების ახალ შესაძლებლობას აძლევს, ახალ შესაძლებლობას, რომელსაც იგი მარტო აღქმის ნიადაგზე ვერასდროს ვერ მიიღებდა.



რასაკვირველია, წარმოდგენა ახალს არაფერს იძლევა აღქმასთან შედარებით. საგანი აღქმასა და წარმოდგენაში ერთია. მეტიც შეიძლება ითქვას: იგი გაცილებით უფრო ზუსტად და ნათლადა მოცემული პირველში, ვიდრე მეორეში. ამ მხრივ წარმოდგენა მეტს კი არა, იმასაც ვერ იძლევა, რასაც აღქმა: აღქმა ერთადერთი წყაროა, საიდანაც ყოველი საგნის წარმოდგენა იკვებება. წარმოდგენის უპირატესობა სხვა რამეში უნდა ვეძიოთ. აღქმა აქტუალური განცდაა: მასში მხოლოდ ის გვეძლევა, რაც მოცემულ მომენტში, მოცემულ ადგილზე აქტუალურად მოქმედობს ჩვენზე. აღქმა, შეიძლება ითქვას, „უშუალო“ პასუხია, რომელსაც ფსიქიკა გაპლიზიანებლის შემოქმედებაზე იძლევა. მაშასადამე, აღქმაში ჩვენ მხოლოდ ის გვეძლევა, რაც აქამად მოქმედობს ჩვენზე, და ესეც მანამ გვეძლევა, სანამ ეს მოქმედება გრძელდება.

სულ სხვაა წარმოდგენა. იგი იმას კი არ გვაძლევს, რაც აქტუალურად მოქმედობს ჩვენზე, არამედ იმას, რასაც ოდესმე უმოქმედებია: იგი იმას იძლევა, რაც ოდესმე აღქმის სახით გვექონებია მოცემული.

მაშასადამე, წარმოდგენაში ჩვენი ცნობიერება სრულიად აღარაა აქტუალურ გალიზიანებაზე დამოკიდებული — მონაცემ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელიც აქამად მოქმედობს ჩვენზე. წარმოდგენაში ჩვენ იმის განცდაც შეგვიძლია, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს აქტუალურ სიტუაციასთან. მაშასადამე, იგი გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე ყოველი ცალკეული აღქმის შემთხვევა: იგი აქტუალური დროისა და სივრცის ტყვეობიდან გვათავისუფლებს და იმის ხელახალი განცდის შესაძლებლობას გვაძლევს, რაც სხვა დროს და სხვა ადგილას ყოფილა ჩვენი განცდის საგნად.

ეს უეჭველად დიდი უპირატესობაა: უამისოდ ჩვენი ცნობიერების შინაარსი მხოლოდ აქტუალურით, მხოლოდ იმით იქნებოდა განსაზღვრული, რაც აწმყოს შინაარსს წარმოადგენს. შეიძლება ზოგი რამ ამ შინაარსიდან წარსულის ასპექტითაც იქნებოდა აღბეჭდილი, მაგრამ ის მხოლოდ ნაცნობად მოგვეჩვენებოდა — მაშასადამე, არსებულის, აქტუალურის შინაარსის ფარგლებს ვერც აქ გავცდებოდით. სამაგიეროდ, წარმოდგენა შესაძლებლობას გვაძლევს ამ კონკრეტულ სიტუაციაში ვიმყოფებოდეთ, აი აქ, ამ ოთახში ვისხედეთ, ჩვენს წინ წიგნები ელაგოს, გარედ წვიმდეს, და, მიუხედავად ამისა, ისეთ საკითხებზე ვფიქრობდეთ, რასაც აქტუალურ სიტუაციასთან არაფერი არ აქვს საერთო. წარმოდგენა შეუდარებლად აფართოებს ჩვენი ცნობიერების ჰორიზონტს — როგორც დროის, ისე სივრცის მიმართულებით.

გარდა ამისა, წარმოდგენას მეორე უპირატესობაც აქვს აღქმის წინაშე. რადგანაც მასში აღქმის ყველა კერძო შემთხვევის განახლება შესაძლებელი — მიუხედავად დროისა და სივრცისა, რომელშიც იგი ხდება — წარმოდგენის საგნის განცდას ის კონკრეტულობა, ის დროითი და სივრცითი განსაზღვრულობა აკლია, რაც აღქმის აუცილებელ ელემენტს შეადგენს. ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ აღქმის საგანი აღქმის შინაარსს ემთხვევა. წარმოდგენაზე ეს არ ითქმის: აქ საგანი უფრო ზოგად შინაარსში გვეძლევა: აქ იგი უფრო იგულისხმება, ვიდრე გვეძლევა. ამიტომ წარმოდგენა ყოველთვის უფრო ზოგადია, ვიდრე აღქმა: იგი ცალკეულთან კონკრეტულთან, ინდივიდუალურთან უფრო შორს დგას, ვიდრე ეს უკანასკნელი. მაგრამ იგი მხოლოდ პირველი საფეხურია ნაძვილი ზოგადობისაკენ: იგი მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია, საიდანაც ცოცხალ არსებას ზოგადის აზროვნების დონემდე შეუძლია ავალდეს. აქედან ნათელია, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს მეხსიერების იმ ფორმის ზუსტ შესწავლას. რომელიც წარმოდგენათა მიმდინარეობას განსაზღვრავს.

3. ასოციაცია. მეხსიერების ამ ფორმის სულ უბრალო შემთხვევას შემდეგი მაგალითი წარმოადგენს: მე ნაცნობის ფოტოგრაფიულ სურათს ვხედავ და იწმამევე ეს ნაცნობი მაგონდება. ანდა ნაცნობის ხმა მესმის და იწმამსევე მისი სახე წარმომიდგება. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში წარმოდგენა თვითონ კი არ ჩნდება სრულიად დამოუკიდებლად, არამედ მას აღქმა უსწრებს წინ (სურათის ნახვა, ხმის გაგონება), და წარმოდგენა, თითქოს, მხოლოდ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იჩენს თავს.

როგორც ვხედავთ, ნაცნობის წარმოდგენა ერთ შემთხვევაში სურათის აღქმამ გამოიწვია, ხოლო მეორეში ხმისამ.

მაგრამ წარმოდგენას არა მარტო აღქმა იწვევს: შესაძლებელია იგი წარმოდგენამაც გამოიწვიოს. მაგალითად, შესაძლოა, ნაცნობის სახე მისი ხმის გაგონებამ წარმომადგენიოს, მაგრამ არანაკლებ შესაძლებელია ამ წარმოდგენამ ნაცნობის ბინა მომაგონოს, ბინამ კიდევ ის სახლი, რომელშიც ეს ბინაა მოთავსებული, და სახლმა — მეორე ნაცნობი, რომელიც ამავე სახლში ცხოვრობს. ერთი სიტყვით, წარმოდგენის გამოწვევა არა მარტო აღქმას, არამედ წარმოდგენასაც შეუძლია.

მაგრამ განა აღქმა ან წარმოდგენა ყველაფერს ერთნაირად მომაგონებს? რასაკვირველია, არა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხოლოდ იმ აღქმას, თუ წარმოდგენას შეუძლია მეორე წარმოდგენის გამოწ-

ვევა, რომელთანაც მას რაიმე კავშირი აქვს. აი ამ კავშირს განც-  
დათა შორის, რომელიც იმაში იჩენს თავს, რომ  
ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია, ასოციაცი-  
აწოდება.

4. ასოციაციის კანონები. ასოციაციის ცნება დიდი ხანია შემო-  
ღებულია ფსიქოლოგიაში. მას ჯერ კიდევ პლატონი და განსაკუთ-  
რებით არისტოტელი იცნობდა (4 საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამ-  
დის). მაგრამ სრულიად განსაკუთრებული როლი ამ ცნებამ ახალ  
ხანაში ითამაშა, განსაკუთრებით ინგლისის ფსიქოლოგიაში, და შემ-  
დეგ, ამ უკანასკნელის გავლენით, კონტინენტურ ქვეყნებშიც. თავი-  
სი უკიდურესი გამოყენება ასოციაციის ცნებამ ე. წ. ასოციაცი-  
ონისტურ ფსიქოლოგიაში პოვა, რომლის დამაარსებლადაც  
ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჰიუმი და შემდეგ პერტ-  
ლი, ჯემსმილი, ჯონსტუარტიმილი და ა. ბენიუნდა ჩა-  
ითვალონ. იმისათვის, რომ ასოციაციის ცნებას შესაფერიანი ადგი-  
ლი მიეჩინოს ფსიქოლოგიაში, ასოციონისტური ფსიქოლოგიის ძი-  
რითადი შეხედულებების გაცნობაა საჭირო.

ჰიუმი ამბობდა, რომ ადამიანის ფსიქიკა იდეებისაგან  
(წარმოდგენებისაგან) შესდგება, რომელნიც აღქმების პირს წარმო-  
ადგენენ და ერთმანეთთან განსაზღვრული კანონების, ასოციაციის  
კანონების, მოხედვით არიან დაკავშირებულნი. ეს კანონები იმა-  
ვე როლს ასრულებენ ფსიქიკურ სამყაროში, რასაც მსოფლიო  
მიზიდულობის კანონი ასრულებს მექანიკურ მოვლენათა სამკვიდ-  
როში (პერტლი). როგორია ეს კანონები?

უკვე ძველითგანვე ცნობილი იყო ასოციაციის ოთხი ძირითადი  
კანონი:

1) ჩემი ნაცნობის ხმა მის სახეს მომავონებს; „ანი“ „ბანის“ წარ-  
მოდგენას იწვევს, ელვის წარმოდგენა გრუხუნს მომავონებს. საკმა-  
რისია გადაეხედოთ ამ მაგალითებს, რათა იმუამსვე შევნიშნოთ, რომ  
აქ აღნიშნული წყვილ-წყვილი წარმოდგენები ისეთია, რომ მათი საგა-  
ნი არა ერთხელ აღმიქვამს ერთდროულად, ანდა უშუალოდ ერთი  
მეორის შემდეგ. ან-ს ბანი მოსდევს; ჩვეულებრივ, ელვას — გრუხუ-  
ნი; ადამიანის ხმა რომ გესმის, ჩვეულებრივ, მის სახესაც ხედავ.  
ასეთ შემთხვევებში მათ შორის თითქოს კავშირი მყარდება, რომე-  
ლიც იმაში იჩენს თავს, რომ ერთის რეპროდუქცია მეორეს იწვევს  
(„მეზობლობის ასოციაცია დროში“).

2) როდესაც „სახლს“ ვამბობთ — „კარი“ გვაგონდება, „მთვარე“  
„ვარსკვლავის“ წარმოდგენას იწვევს, ნაცნობის ბინა იმ ქუჩას მოგ-  
ვაგონებს, სადაც იგი ცხოვრობს. ასოციაციურ კავშირს აქაც მეზობ-

ლობა ქმნის, მაგრამ მეზობლობა სივრცეში; სახლი და კარი, მთვარე და ვარსკვლავი, ნაცნობის ბინა და ქუჩა — სივრცეში მეზობლად არიან მოთავსებულნი („მეზობლობის ასოციაციას ივრცეში“).

3) თუ წარმოდგენათა საგნებს შორის მსგავსებებ არსებობს, ისინი ასოციაციურად უკავშირდებიან ურთიერთს, ანდა უფრო სწორად: მსგავსი წარმოდგენები ურთიერთის რეპროდუქციას ახდენენ. მაგალითად: ალექსანდრე მაკედონელი ნაპოლეონს მომაგონებს; ორივე დიდი სარდალი იყო. შვილი მამას მომაგონებს, რადგან, ჩვეულებრივ, მათ შორის თვალსაჩინო მსგავსებებია („მსგავსებების ასოციაცია“).

4) დასასრულ, ერთი წარმოდგენა მეორის რეპროდუქციას იმ შემთხვევაშიც იწვევს, როდესაც მათი საგნები ურთიერთის კონტრასტს წარმოადგენენ: დღე და ღამე, შავი და თეთრი, მაღალი და დაბალი, ცა და დედამიწა („კონტრასტის ასოციაცია“).

რომ ჩვეუკვირდეთ ასოციაციის ამ ოთხივე შემთხვევას, მაშინვე შევემჩნევთ, რომ აქ ორს განსხვავებულ კატეგორიასთან გვაქვს საქმე. პირველს ორ შემთხვევაში ასოციაციური კავშირი წარმოდგენათა თანმიმდევრობის ნიადაგზე მყარდება: აქ წარმოდგენების რაგვარობას მათ შინაარსს სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ: რაც ერთად ხდება — დროში თუ სივრცეში, რაც უნდა იყოს სულერთია, ბოლოსდაბოლოს, ასოციაციურად უკავშირდება ერთმანეთს. ასეთია პირველი ორი კანონის აზრი.

სამაგიეროდ, მეორე ორისთვის წარმოდგენათა თანმიმდევრობას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: აქ გადაამწყვეტ როლს მათი შინაარსი ასრულებს: მსგავსია ეს შინაარსი, თუ განსხვავებული, საკითხს მხოლოდ ეს გარემოება სწყვეტს.

შემდეგი მომენტი, რომლითაც ასოციაციის კანონების პირველი და მეორე წყვილი განსხვავდებიან ურთიერთისაგან, ეს ისაა, რომ პირველი წყვილი იმ საკითხს ეხება, თუ რა უდევს საფუძვლად წარმოდგენათა შორის ასოციაციური კავშირის დამყარებას: წარმოდგენათა შორის თავისთავად არავითარი კავშირი არ არსებობს; ეს კავშირი მხოლოდ მას შემდეგ იბმება, რაც ისინი დროში ან სივრცეში მეზობლად ხვდებიან ურთიერთს. მაშასადამე, კავშირს წარმოდგენათა შორის ამ შემთხვევაში მხოლოდ მათი წარსული, მათი „ისტორია“ ქმნის, ანდა სხვანაირად, ია, თუ რა წარმოდგენების ურთიერთის მეზობლად განცდის შემთხვევა ჰქონია სუბიექტს თავისი გამოცდილების მიმდინარეობაში: კავშირს სუბიექტის გამოცდილება ქმნის. გამოცდილება რომ სხვაგვარი ყოფილიყო, ე. ი.

სხვა წარმოდგენები შეხვედროდნენ ურთიერთს, მაშინ ასოციაციური კავშირიც ამ სხვა წარმოდგენებს შორის დამყარდებოდა.

სამაგიეროდ, მსგავსებისა და კონტრასტის ასოციაცია სრულიად არ ეხება იმას, თუ რა ქმნის ასოციაციურ კავშირს წარმოდგენათა შორის. აქ ის კი არ იგულისხმება, რომ არსებობენ წარმოდგენები, რომელნიც იმათივე რიდი არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, არამედ მხოლოდ შემდეგ უკავშირდებიან რაიმე მიზეზის გამო ერთმანეთს. არა! თუ წარმოდგენები ისეთია, რომ მათ შორის მსგავსება არსებობს, კავშირს დამყარება არ უნდა: ერთის რეპროდუქცია მეორეს გამოიწვევს. მაშასადამე, ასოციაციის ეს ორი უკანასკნელი კანონი უფრო რეპროდუქციის პროცესს ეხება, ვიდრე თვითონ ასოციაციის შექმნის პროცესს. ამ კავშირს სრულიად არაფერი აქვს საერთო იმასთან, თუ ვის როგორ და რა წარმოდგენები განუცდია: აქ არც სუბიექტის გამოცდილება თამაშობს რაიმე როლს და არც თვითონ წარმოდგენების წარსული, მათი ბედი ან „ისტორია“. აქ მნიშვნელობა მხოლოდ შინაარსს აქვს.

ამრიგად, ასოციაციათა ორი არსებითად განსხვავებული ჯგუფი არსებობს. მიუხედავად ამისა, ასოციაციისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა აზრით, ასოციაციის ყველა ოთხი კანონი არსებითად მარტო ერთზე უნდა იქნეს დაყვანილი: ასოციაციის კანონი მარტო ერთი არსებობს, სახელდობრ, დროში მეზობლობის კანონი, აშკარაა ჯერამს მილი.

5. ასოციაციის კანონთა რედუქცია. როგორ ასაბუთებენ ასოციაციონისტები ამ თავის დებულებას? რაც შეეხება მეზობლების ასოციაციის ორ ფორმას, ადვილი გასაგებია, რომ აქ არსებითად მართლაც მარტო ერთ ფორმაზე შეიძლება ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ის, რაც სივრცეში აღიქმება მეზობლად, დროშიც მეზობლად გვაქვს მოცემული. მაშასადამე, სივრცეში მეზობლობის ასოციაციის ყველა შემთხვევა დროში მეზობლობის ასოციაციად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ასოციაციის ფორმებს, მსგავსებისა და კონტრასტის ასოციაციას, არც ესენი წარმოდგენენ დამოუკიდებელს, თავისთავადს, ასოციაციურ პროცესებს. ჯერ ერთი, კონტრასტის ასოციაციის შემთხვევები რომ განვიხილოთ, ადვილად დაერწმუნდებით, რომ ზოგი მათგანი დროში მეზობლობის ასოციაციად უნდა ჩაითვალოს (მაგ., დღე და ღამე: ესენი იმიტომ კი არ არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, რომ თავისი შინაარსის მხრივ კონტრასტულ ურთიერთობაში იმყოფებიან, არამედ იმიტომ, რომ დღე

და ღამე ღროშია ერთიმეორესთან დაკავშირებული: დღეს ღამე მოსდევს და ღამეს დღე) და ზოგი კიღვე მსგავსების ასოციაციის შემთხვევად — იმიტომ რომ კონტრასტი იმავე ღროს მსგავსებაც არის: კონტრასტულ დამოკიდებულებაში ურთიერთთან მხოლოდ ისეთი ორი მოვლენა შეიძლება იყოს, რომელნიც ერთსადაიმევე კატეგორიას ეკუთვნიან. მაგალ., შავი და თეთრი — ორივე ფერია; მაშასადამე, ამ მხრივ მათ შორის მსგავსება არსებობს.

ამრიგად, ასოციაციის მხოლოდ ორი ფორმა რჩება: ღროში მეზობლობისა და მსგავსების ასოციაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ასოციაციონიზმს მსგავსების ასოციაციაც ღროში მეზობლობის ასოციაციის შემთხვევად მიაჩნია. მართლაც, რას ნიშნავს მსგავსება? როდესაც ორი ობიექტის მსგავსებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ზოგი ნიშანი მათ ერთნაირი აქვთ და ზოგი განსხვავებული. მაგალითად, ობიექტს A-ს a, b, c, d, e, f ნიშნები აქვს, ხოლო ობიექტს B-ს a, b, c, k, l ნიშნები. რადგანაც ობიექტი A ხშირად აღვიქვამს, ნიშნები a, b, c, d, e, f ერთღროულის განმეორებითი აღქმის გამო, თანახმად ღროში მეზობლობის ასოციაციის კანონისა, ასოციაციურად უნდა იყვნენ ურთიერთთან დაკავშირებულნი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისია, მაგალ., a, b, c, d ნიშანი წარმოვიდგინოთ ან აღვიქვათ, რომ ამას, თანახმად ღროში მეზობლობის ასოციაციის კანონისა, e, f ნიშნების წარმოდგენაც მოჰყვეს თან. ვთქვათ, ეხლა B ობიექტს ვხედავთ, მაგრამ თვალში მისი ის ნიშნები გვხვდება, რომელნიც მას A-სთან აქვს საერთო, სახელდობრ, a, b, c, d ნიშნები. თანახმად ღროში მეზობლობის ასოციაციის კანონისა, ჩემს ცნობიერებაში მასთან ასოციაციურად დაკავშირებული e, f ნიშნების წარმოდგენა და მთლიანად, მაშასადამე, a, b, c, d, e, f ნიშანთა კომპლექსის წარმოდგენა უნდა გაჩნდეს. a, b, c, d, e, f ნიშნები კი A ობიექტს წარმოადგენენ. მაშასადამე, B ობიექტის დანახვისას A ობიექტი უნდა მოგვაგონდეს. რატომ მოხდა ეს? რა ასოციაციის ძალით? როგორც ვხედავთ, მხოლოდ ღროში მეზობლობის ასოციაციის ძალით.

ამიტომაც რომ ამბობენ: ასოციაცია წარმოდგენათა შორის, ბოლოსდაბოლოს, არსებითად მხოლოდ ღროში მეზობლობის გამო მყარდებაო. ესაა ის ერთადერთი კანონი, რომელიც, ჭეშმის მილის აზრით, მთელს ფსიქიკურ ცხოვრებას წარმართავს.

6. რეინტეგრაციის კანონი. ღროში მეზობლობის ასოციაციის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ღროში ერთად შეხვედრა ცალკეულ წარმოდგენებს ერთმანეთს უკავშირებს. მაშასადამე, ამ კავშირის სიმტკიცე იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ რამდენად

ხშირად ხდება ეს შეხვედრა: ასოციაციის ნამდვილ საფუძველს განმეორება წარმოადგენს. შევამოწმოთ, რამდენადაა ეს დებულება სწორი.

მივცეთ ცდისპირს გამლიზიანებლად რაიმე სიტყვა, მაგალ., „კარადა“, და დავავალოთ, იმწამსვე იმ სიტყვით გვიპასუხოს, რომელიც ყველაზე უფრო ადრე მოუვა თავში, ყველაზე უფრო ადრე მაგონდება. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ზოგი ცდისპირი პირველ რიგში „წიგნს“ დაასახელებს: კარადა და წიგნი მტკიცე ასოციაციურ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან. რატომ? იმიტომ რომ ასოციაციონიზმის თანახმად, კარადა და წიგნი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ერთად.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ კარადა და წიგნი უფრო ხშირად გვინახავს ერთად, ვიდრე, ვთქვათ, კარადა და კედელი? კარადა, უეპველია, უწიგნოდაც გვინახავს; მაგრამ ისე, რომ კედელთან არ იდგეს, ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო იშვიათად. მიუხედავად ამისა, კარადის წარმოდგენა თითქოს წიგნის წარმოდგენასთან უფრო მტკიცედ აღმოჩნდა ჩვენს მაგალითში დაკავშირებული, ვიდრე კედლის წარმოდგენასთან.

უეპველია, საქმე დროში ერთად შეხვედრის სიხშირეში არაა, როგორც ასოციაციონიზმის პრინციპი გულისხმობს, არამედ რაღაც სხვაში. რომ შევადაროთ „წიგნი“ და „კედელი“ ურთიერთს კარადის მიმართ, ჩვენ იმწამსვე მივაქცევთ ყურადღებას, რომ წიგნს გაცილებით მეტი კავშირი აქვს კარადასთან, ვიდრე კედელს. წიგნი და კარადა შემთხვევით კი არ არიან ურთიერთთან დაკავშირებული — მარტო იმის გამო კი არა, რომ წიგნი და კარადა ხშირად მინახავს ერთად, არამედ მათი კავშირი არსებითია: წიგნი და კარადა ერთი მთლიანი აღქმის, წიგნების კარადის აღქმის ცალკეულ მომენტებს წარმოადგენს, მაშინ როდესაც კედლის შესახებ ამას ვერ ვიტყვით: კარადა და კედელი იშვიათად წარმოადგენს ჩვენს განცდაში ერთ მთელს. მაშ, ასე გამოდის: კარადის წარმოდგენას იმიტომ კი არ გამოუწვევია ჩვენი ცდისპირის ცნობიერებაში წიგნის წარმოდგენა, რომ მას წიგნი და კარადა უფრო ხშირად უნახავს ერთად, ვიდრე კედელი და კარადა, არამედ იმიტომ, რომ წიგნი და კარადა ერთიანი იმავე მთელის ნაწილებს წარმოადგენენ და, მათადაც, იმთავითვე არიან ურთიერთთან დაკავშირებული, ხოლო კედლისა და კარადის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.

ამის მიხედვით, ჩვენ ასე შეგვიძლია ვთქვათ: ერთი წარმოდგენა იმ შემთხვევაში კი არ იწვევს მეორის რეპროდუქციას, თუ ისინი ხშირად ყოფილან ერთდროულად განცდილნი, არამედ მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ისინი ერთი მთლიანის ნაწილებს წარმოადგენენ და არსებითად არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი.

მაშასადამე, ასოციაციონიზმის ძირითადი დებულებაა მცთარი, დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენს ფსიქიკაში იმთავითვე სრულიად დამოუკიდებელი, ცალკეული ელემენტარული განცდებია მოცემული, ფსიქიკური ატომები, რომელთაც არსებითად არავითარი აკავშირი არა აქვთ ერთმანეთთან, და რომ მათი ურთიერთთან დაკავშირება და მთლიანი განცდების აღმოცენება მხოლოდ შემდეგ ხდება. როგორც დავინახეთ, ნამდვილად თითქოს სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: ასოციაციის ფაქტი, პირიქით, იმას გულისხმობს, რომ წინასწარ მთლიანია მოცემული, და ასოციაცია ამ მთლიანის ნაწილებს შორის არსებობს.

ამისდა მიხედვით, ასოციაციის პროცესებში პირველად მთლიანის აგება კი არ ხდება, არამედ აქ მისი დაშლა, მისი დისოციაცია წარმოებს, და ამ მთელის ხელახალი აგება ხდება: ასოციაციის კანონები რეინტეგრაციის კანონებია, ჰამილტონის თქმა რომ ეობმართ, და არა ურთიერთისათვის უცხო ელემენტების ასოციაციის, როგორც ასოციაციონიზმს ეგონა.

ასოციაციური პროცესის ნამდვილი ბუნება, მაშასადამე, ასე უნდა იქნეს გაგებული: როდესაც რაიმე წარმოდგენა ჩნდება, იგი იმ წარმოდგენების რეპროდუქციას იწვევს, რომლებთანაც იგი ერთ მთლიანს შეადგენდა: ასოციაციის კანონები არსებითად გამთლიანების, გეშტალტიზაციის კანონებად შეიძლება ჩაითვალოს, და ამიტომ, რომ ვერთჰაიზერის მიერ ხაზგასმული კანონები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, ეგოდენ ახლო დგანან მასთან.

ამრიგად, ასოციაციის ცნება მართებული და სასარგებლო ცნებაა, მაგრამ მხოლოდ როგორც „რეინტეგრაციის“ და „გეშტალტიზაციის“ ცნება.

7. ასოციაცია და განწყობა. მაგრამ არც „რეინტეგრაციის“ და „გეშტალტიზაციის“ ცნებები ზღიან ამ პროცესს გასაგებს, სანამ მათ შესატყვისი შინაარსი არ მისცემიათ. საქმე ისაა, რომ ორივე ცნება, ისე როგორც დღემდე იხმარებოდა, ასოციაციონიზმის ერთს უძირითადეს დებულებას წინასწარ შეუმოწმებლად იზიარებს: ისინი იმთავითვე გულისხმობენ, რომ განცდები, წარმოდგენები უშუალოდ ახდენენ ერთმანეთზე გავლენას, უშუალოდ შეუძლიათ ერთმანეთის გამოწვევა: ისინი უშუალობის პრინციპის ნიადაგზე დგანან.

მართლაც, ორივე შემთხვევაში, როგორც რეინტეგრაციის, ისე გეშტალტიზაციის შემთხვევაში, მთელის აღდგენა ნაწილების



ურთიერთობის ნიადაგზე ხდება, და ამ ურთიერთობის ფაქტორი თვითონ ნაწილების თვისებათა შორის იძებნება: მსგავსება, სიახლოვე დროსა და სივრცეში და სხვა ასეთი. მაგრამ ყველაფერი ეს განა მხოლოდ ნაწილების დახასიათებას არ შეადგენს? ჩვენ უკვე თავის დროზე გვექონდა უშუალოდ პრინციპის შესახებ ლაპარაკი და მის უმარტობელობაში ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდით. ჩვენთვის უდავოა: განცდები, როგორც უნდა იყვნენ ისინი, უშუალოდ კი არ მოქმედობენ ურთიერთზე, არამედ მხოლოდ პიროვნების შუალობით, რომლის განცდებსაც ისინი წარმოადგენენ. მაშასადამე, კერძოდ ასოციაციის შემთხვევაშიც რეინტეგრაციისა და გეშტალტზაციის საფუძვლები პიროვნებაში უნდა ვეძიოთ, როგორც მთელში, და არა მის ნაწილობრივ მომენტებში ან შინაარსებში.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა წარმოადგენს ასეთ საფუძველს. როდესაც გეშტალტის პრობლემის შესახებ გვექონდა ლაპარაკი, მაშინ დავინახეთ, რომ ასეთ საფუძველს სუბიექტის განწყობა იძლევა. ასოციაციის შემთხვევაში საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: როდესაც სუბიექტზე ესა თუ ის წარმოდგენა მოქმედობს, იგი მასში შესაფერ განწყობას იწვევს. რა წარმოდგენები გაუჩნდება მას ამის შემდეგ, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რა მთლიანის განწყობა აქვს მას. ყველა ცალკეულ ფაქტორს — ე. წ. ასოციაციის კანონს — მსგავსებას თუ მეზობლობას, მხოლოდ იმდენად აქვს ფაქტორის ღირებულება, რამდენადაც მას გარკვეული განწყობა უღვეს საფუძველად.

ამის საბუთს განსაკუთრებით ორი მნიშვნელოვანი სფერო იძლევა, სადაც ასოციაციის მოქმედება მეტად ხელსაყრელ პირობებს ხვდება და სადაც ამიტომ ასოციაციის ცნების გამოყენება არაერთგზის ყოფილა ნაცადი. ერთაა სიზმრის სფერო და მეორე ე. წ. „ემოციური კომპლექსების“. ჩვენ განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე გვინდა შევჩერდეთ: სიზმარს არსებითად იგივე მექანიზმი უღვეს საფუძველად, რაც „კომპლექსის“ შემთხვევაში წარმოდგენათა მიმდინარეობის პროცესს.

არის შემთხვევა, რომ აღამიანზე რაიმე განცდა განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგალ., რაიმე ძლიერი სურვილი ებადება, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით მისთვის სრულიად მიუღებელია, შეიძლება აღმაშფოთებელიც იყოს. იგი ამ განცდის დავიწყებას ცდილობს, მის ცნობიერებიდან „გაძევებას“, როგორც სრულიად შეუწყნარებელი განცდისას. ამას კიდევ ახერხებს და ამიერიდან სუბიექტს მისი აღარაფერი ახსოვს, მის შესახებ ცნობიერებაში კვალიც არავითარი ჩანს. მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ ამ გან-

ცდის მას მართლა სრულიად აღარაფერი დარჩა? რასაკვირველია, არა. საქმე ისაა, რომ ყოველი განცდა და მით უმეტეს განსაკუთრებით ძლიერი, პიროვნულად მნიშვნელოვანი, არა მარტო ცნობიერების კონკრეტული შინაარსის სახით არსებობს სუბიექტში, არამედ ამავე დროს გარკვეული განწყობის სახითაც. მაშასადამე, როდესაც ეს განცდა ცნობიერებიდან იდევნება, როდესაც იგი, როგორც ცნობიერების გარკვეული შინაარსი, ისპობა, დავიწყებას ეძლევა, ეს არ ნიშნავს, რომ სუბიექტში მისი აღარაფერი რჩება: განწყობა ხომ სულ სხვაა, ვიდრე თვითონ განცდა, როგორც ცნობიერების ფენომენი. მაშასადამე, განცდა რომ გაქრეს, ეს არ ნიშნავს, რომ ამასთან ერთად ის განწყობაც უნდა მოისპოს, რომელიც მას ახლდა თან.

ამრიგად, ე. წ. „გაძევების“ შემთხვევებში სუბიექტში განცდა, მხოლოდ როგორც ცნობიერების შინაარსი, ეძლევა დავიწყებას. სამაგიეროდ, განწყობა რჩება და აი, ეს განწყობაა, არსებითად, რაც ფსიქოანალიზის სკოლაში „კომპლექსის“ სახელწოდებითაა ცნობილი, და რაც სუბიექტის ასოციაციების მიმდინარეობაზე გადაწყვეტ გავლენას ახდენს. ყველაზე უკეთ ეს ძილში ზორციელდება, სიზმრის სახით; და მართლაც, სიზმრის წარმოდგენათა მიმდინარეობის ანალიზი, ფსიქოანალიზის სკოლის გამოცდილების მიხედვით, განსაკუთრებით საიმედო მასალას იძლევა სუბიექტის „კომპლექსების“, ე. ი. მისი განწყობების ნათელსაყოფად: სიზმრის შინაარსი სუბიექტის განწყობის საკმაოდ ნათელ ასახვას იძლევა.

კიდევ უფრო დემონსტრაციულ შედეგებს გვაწოდებს ამავე საკითხისათვის ე. წ. ასოციაციური ექსპერიმენტი, რომელსაც ან „კომპლექსის“ გამოსააშკარავებლად ხმარობენ (იუნგი ფრეიდი, ანდა განზრახ დაფარული ემოციური აზრის თუ განზრახვის გამოსავლინებლად (ვერთჰაიმერი, შტერნი, ლიპმანი) ლური).

ასოციაციური ექსპერიმენტი ორგვარია: ან წყვილური ექსპერიმენტი (იუნგი) ან ჭაჭველი (ფრეიდი). პირველ შემთხვევაში სუბიექტს საგანგებოდ შერჩეულ ცალკე სიტყვებს აძლევენ, და მან თითოეულზე პირველად თავში მოსული სიტყვა უნდა დაასახელოს. ამრიგად მიღებული მასალა, ჩვეულებრივ, მისი ფარული განწყობის ანარეკლს წარმოადგენს. „გამღიზიანებელ სიტყვებში“ (ე. ი. იმ სიტყვებში, რომელზეც პასუხი, ე. ი. „სარეაქციო სიტყვა“ უნდა მოგვეცეს ცდისპირმა) განზრახ აქა-იქ ისეთი სიტყვები ურევია, რომელსაც ნაგულისხმევ განწყობასთან აქვს კავშირი და ამ აზრით „საპროვოკაციო გამღიზიანებლად“ შეიძლება ჩაითვალოს. ცდისპირი,

ჩვეულებრივ, ნაგულისხმევი განწყობის არსებობის შემთხვევაში, ამ სიტყვებზე ისეთ სარეაქციო სიტყვებს იძლევა, რომ მისი განწყობის თუ ფარული აზრის რაგვარობაში ხშირად არავითარი ეჭვი აღარ გერჩება.

ჩაკვეული ექსპერიმენტის შემთხვევაში ცდისპირს ჯერ ორიოდ გაძლიზიანებელი სიტყვა ეძლევა. ამის შემდეგ იგი, რამდენადაც შეიძლება, თავისი წარმოდგენების თავისუფალ მსვლელობას უნდა მიენდოს. თავს იჩენს თანამიმდევარ წარმოდგენათა ჯაჭვი, რომელიც ცდისპირის ფარული განწყობის საფუძველზე აიგება და ამიტომ მისი გამოვლენის ხელსაყრელ მასალას წარმოადგენს. ექსპერიმენტატორი მხოლოდ იშვიათად და მოხერხებულად ერევა ასოციაციური ჯაჭვის მიმდინარეობაში იმ მიზნით, რომ ხელი კი არ შეუშალოს, არამედ ხელი შეუწყოს ფარული განწყობის გამოვლენის პროცესს.

8. ასოციაციური მეხსიერება როგორც მეხსიერების დაბალი ფორმა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ასოციაციურ ცდებში ერთი მომენტი, სახელდობრ, ის, რომ უტყუარი ასოციაციური პროცესის გამოვლენის აუცილებელ პირობას აქ სუბიექტის მაქსიმალური პასიურობა წარმოადგენს, მაქსიმალური გამოთიშულობა მისი ნებელობისა და მისი აზროვნების წარმოდგენათა სპონტანური მიმდინარეობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასოციაციური პროცესის ნაცვლად, აქტიურად დეტერმინირებულ პროცესს მივიღებდით. ეს გარემოება იმიტომაა განსაკუთრებით ხაზგასასმელი, რომ ნამდვილი ასოციაციური პროცესი არსებითად სპონტანური პროცესია, ადამიანის აქტიობის გარეშე მდგომი პროცესი, და მეხსიერების განვითარების ერთერთ საფეხურს და მის გამოვლენის ერთერთ ფორმას იგი ამ სახით წარმოადგენს. ასოციაციური მეხსიერების შემთხვევაში ჩვენ სპონტანურ მეხსიერებასთან გვაქვს საქმე, სპონტანურ მნეზურ პროცესთან, რომელსაც ნებისმიერ მეხსიერებასთან არაფერი აქვს საერთო. ამ მხრივ იგი, რასაკვირველია, მეხსიერების გამოვლენის წინათ აღწერილ პრიმიტიულ ფორმებთან უფრო ახლო დგას, ვიდრე სპეციფიკური ადამიანური მეხსიერების ფორმებთან.

ეს სპონტანობა ასოციაციურ მეხსიერებას ორივე ძირითად მომენტში თანაბრად ახასიათებს — როგორც დამახსოვრების ანუ ფიქსაციის ან რეტენციის მომენტში, ისე გახსენების ანუ რეპროდუქციის მომენტშიც.

სუბიექტი ყოველთვის მრავალფეროვან შთაბეჭდილებათა გაგვლენის ქვეშ იმყოფება. ეს შთაბეჭდილებები ხშირად მოდიან და მიდიან ისე, რომ ჩვენს ნებაყოფლობას ანგარიშს არ უწევენ. მაგრამ,

ჩვეულებრივ, უგზოუკვლოდ მაინც არ იკარგებიან: თვითონ ისინი ცნობიერი განცდების სახით დიდხანს არ რჩებიან ფსიქიკაში. სამაგიეროდ თვითონ სუბიექტი რჩება ყველა იმ მთლიან პიროვნულ ცვლილებებით, რომელთაც ეს შთაბეჭდილებები იწვევენ მასში. და აი: ამ ცვლილებების ნიადაგზე, როდესაც სათანადო პირობები ჩნდება, როდესაც, მაგალითად, ერთერთი შესატყვისი შთაბეჭდილება კვლავ მოქმედობს სუბიექტზე, ეს უკანასკნელი ამ თავისი ცვლილების შესაფერის რეაქციებს იძლევა: მის ცნობიერებაში კვლავ ის განცდები ახლდება, რომელნიც ამ ცვლილებებს შეესატყვისებიან. ასე ხდება იმ წარმოდგენათა რეპროდუქცია, რომელიც სპონტანურ შთაბეჭდილებათა ზემოქმედების პროდუქტად ესახება სუბიექტს. როგორც ვხედავთ, მათი რეპროდუქციაც სუბიექტის აქტიური, განზრახული ჩარევის გარეშე ხდება.

რომ ასოციაციური მეხსიერება მკვეთრად უნდა განვასხვაოთ ნებისმიერი მეხსიერებისაგან, ამის სასარგებლოდ ის გარემოებაც ლაპარაკობს, რომასოციაციური წარმოდგენის რეპროდუქცია ყოველთვის მხოლოდ რაიმე მეორე განცდის, აღქმის ან წარმოდგენის, ზემოქმედების შედეგად ხდება: იმისათვის, რომ ასოციაციური წარმოდგენა გაჩნდეს, გამლიზიანებელი წარმოდგენა თუ აღქმა აუცილებელია. ეს გარემოება საკმაოდ კარგად ახასიათებს ასოციაციურ მეხსიერებას. როგორც მეხსიერების მოქმედების ჯერ კიდევ დაბალს, დამოკიდებულ ფორმას. ამ მხრივ იგი საკმაოდ ახლო დგას ცნობასთან.

ამ უკანასკნელის მიმდინარეობა, როგორც ვიცი, ასეთია: აღიქვამ X-ს. აღქმა ნაცნობობის რომელიმე ალბეჭდილი. მე X-ს ვცნობილობ: ის მე მინახავს. მაგრამ თუ ამას რაიმე წარმოდგენაც დაემატება, მაგალ., X-ი მე ამა და ამ ადგილას მინახავს (ადგილის ხატი) ან მას ასეთი და ასეთი ქული ეხურა (ქულის ხატი), მაშინ უკვე ასოციაციურ მეხსიერებასთან მაქვს საქმე: X-ის აღქმამ წარმოდგენების რეპროდუქცია გამოიწვია. განსხვავება ცნობასა და ასოციაციურ მეხსიერებას შორის, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ისაა, რომ ცნობის შემთხვევაში წარსული თვითონ აღქმაში ცოცხლდება, იგი აღქმის ფარგლებს არ შორდება; ხოლო ასოციაციური მეხსიერების შემთხვევაში წარსული აღქმის რომელსამე თვისებაში როდი მეძლევა, არამედ მისი ხატი ჩნდება; იგი ხელახლა მეძლევა, ოღონდ წარმოდგენაში. ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, მეხსიერების წარმოდგენათა რეპროდუქციისათვის, გამლიზიანებელი ყოველთვის როდია აუცილებელი. არსებობს არა მარტო ნებისმიერი დამახსოვრება, არამედ ნებისმიერი გახსენებაც.

9. რეპროდუქციის სიზუსტის საკითხი. ერთი საკითხი კიდევ უნდა იქნეს განხილული: რა ემართება სპონტანურად დამახსოვრებულ მასალას დროის მიმდინარეობაში? იმავე სახით ხდება მისი რეპროდუქცია, რა სახითაც იყო იგი დამახსოვრების პერიოდში, თუ მასში რაიმე ცვლილების დადასტურება შეიძლება?

ექსპერიმენტალური კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ რეპროდუქცირებული წარმოდგენის საგანი, ჩვეულებრივ, საკმაოდ შეცვლილია, ე. ი. რომ იგი სულ ისეთი როდია, როგორც დამახსოვრების მომენტში იყო. მაგრამ როგორ, რა მიმართულებით იცვლება იგი? ამ საკითხზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები ვუღვის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში იქნა მიღებული. ცდისპირს რამოდენიმე უბრალო ფიგურის ნახაზი ეძლევა, რომელიც განსაზღვრული დროის შემდეგ, რამდენადაც ახსოვს, უნდა ზუსტად დახაზოს. დედანისა და რეპროდუქციის შედარება ნათლად გვიჩვენებს, არის თუ არა რაიმე ცვლილება, და თუ არის, როგორია იგი.

ვულფის ცდების მიხედვით, გამოირკვა, რომ დამახსოვრებულ ფიგურა სრულიად გარკვეული მიმართულებით იცვლება: იგი უკეთესი გეშტალტისაქენ ისწრაფვის. ე. ი. გეშტალტთეორიის წარმომადგენელთა მთავარი პრინციპის, პრეგნანტობის პრინციპის, მიხედვით ყალიბდება. ვულფმა საკმაოდ დიდი მასალის ნიადაგზე ასეთი დასკვნა მიიღო: რეპროდუქციის მომენტისათვის გეშტალტი სრულიად გარკვეული მიმართულებით იცვლება — ზოგი მისი ნაწილი იჩრდილება და ზოგი, პირიქით, უფრო გამოკვეთილი ხდება, იმისდა მიხედვით, თუ რაა საჭირო უფრო მკვეთრი გეშტალტის მისაღებად.

თეორიული თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ამერიკელი ფსიქოლოგიის კარმიკელის ცდები. მან ვულფის ცდები შემდეგნაირად შესცვალა: სანამ ცდისპირებს ერთსადაიმევე სარეპროდუქციო ფიგურას მიაწოდებდა, მან ერთ ჯგუფს სიტყვების ერთი სთა წაუკითხა და მეორეს მეორე. მესამე ჯგუფის, საკონტროლო ჯგუფის, ცდისპირებს პირდაპირ ეძლეოდათ ფიგურები — სიტყვების გარეშე. შედეგი ასეთი აღმოჩნდა: როდესაც ცდისპირებს განსაზღვრული დროის შემდეგ ნაჩვენები ფიგურების რეპროდუქცია მოეთხოვათ, გამოირკვა, რომ, ჯერ ერთი, რეპროდუქცირებული ფიგურა საკმაოდ განსხვავდებოდა ორიგინალისაგან, და მეორე — რაც უმთავრესია ამ შემთხვევაში — იგი თითქმის ყოველთვის (75%) წინასწარ წაკითხული სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით იყო შეცვლილი. მაგალ., ცდისპირს ეძლევა სიტყვა „სათვალე“ და შემდეგ ორი წრე, რომელიც სწორი ხაზით არის ერთმანეთთან შეერთებუ-

ლი. მეორე შემთხვევაშიც იგივე ფიგურაა, მაგრამ წინასწარ „სათვალის“ ნაცვლად მეორე სიტყვა — „ფიზკულტურული ხელსაწყო“ — ეძლევა. როდესაც განსაზღვრული დროის შემდეგ ამ ფიგურის რეპროდუქცია ხდება, იგი პირველ შემთხვევაში სათვალეს ჰგავს და მეორეში — სავარჯიშო აბრებს.

ეს შედეგი საკმაოდ კარგად ამტკიცებს, რომ ფიგურის აღქმას რაღაც პროცესი უსწრებს წინ, რომელიც წინასწარ მიწოდებული სიტყვის წაკითხვის შედეგად ჩნდება, და რომ ეს პროცესი გადამწყვეტ გავლენას ახდენს რეპროდუქციის რაგვარობაზე. მაგრამ წინა პროცესი, რომელიც თავისდა შესატყვისად სცვლის მომდევნოს, განწყობის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამრიგად, რეპროდუქციის შემთხვევაში სავსებით იგივე მოვლენა მეორდება, რაც არა ერთხელ ყოფილა აღქმის პროცესში დადასტურებული: როდესაც სუბიექტს წინასწარ რაიმე გარკვეული განწყობა აქვს, მასზე მოქმედი აქტუალური შთაბეჭდილება, თუ რომ იგი ტლანქად არ განსხვავდება საგანწყობოსაგან, ამ უკანასკნელის სახით აღიქმება: ჩნდება განწყობის ილუზია. არსებითად იგივე მდგომარეობა აღმოჩნდა ვულფისა და კარმიკელის ცდების მიხედვით რეპროდუქციის შემთხვევაშიც: თუ რომ სუბიექტს წინასწარ გარკვეული განწყობა აქვს შექმნილი, მაშინ მიწოდებული შთაბეჭდილების რეპროდუქციას, თუ რომ ეს შთაბეჭდილება ტლანქად არ განსხვავდება საგანწყობოსაგან, ამ უკანასკნელის შესატყვისი სახე ეძლევა: ჩნდება იგივე განწყობის ილუზია, ოღონდ ეხლა რეპროდუქციის არეში.

## ატბიური მხსნიერების ფორმები

1. ნებისმიერი მხსნიერება. თვალი რომ გადავავლოთ მხსნიერების ყველა იმ ფორმას, რომელიც აქამდე გვაქვს განხილული, ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ერთი გარემოება მიიქცევს: ყველა ამ შემთხვევაში მხსნიერების პასიურ ფორმებთან გვაქვს საქმე. დამახსოვრება შთაბეჭდილების ზემოქმედების შედეგად ხდება, და სუბიექტის ნებისყოფა არც რეპროდუქციის მომენტში ასრულებს რაიმე როლს. თავი რომ დავანებოთ ხანიერობისა და ეიდეტური ხატის განცდას — პირველს იმიტომ, რომ იქ მხსნიერების მხოლოდ ობიექტურ ფაქტთან გვაქვს საქმე, თორემ სუბიექტურად მასში მხსნიერების არაფერია მოცემული; ხოლო მეორეს იმიტომ, რომ იგი ატიპური ფორმაა მხსნიერების — თავი რომ დავანებოთ მათ და ცნო-

ბისა და ასოციაციური მეხსიერების ფაქტებზე შევჩერდეთ, დავინახავთ, რომ მათ მაშინაც ინტენსიურად შეუძლიათ იჩინონ თავი, როდესაც სუბიექტი ამისათვის არავითარ ზომებს არ ღებულობს. ამიტომ მეხსიერების ამ ფორმების დადასტურება განვითარების დაბალ საფეხურზეც შეიძლება: ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთი მათგანი მეხსიერების სპეციფიკურ ადამიანურ ფორმად ვერ ჩაითვლება.

ადამიანისათვის ნებელობაა დამახასიათებელი და, უეჭველია, როგორც აღქმის შემთხვევაში, ისე აქაც — მეხსიერების შემთხვევაშიც, სპეციფიკურს ადამიანურ ფორმებს ნებელობის მონაწილეობა უნდა ქმნიდეს. და მართლაც, რომ გადაეხედოთ ადამიანის მეხსიერების სხვადასხვა შემთხვევას, ჩვენ ყველგან ერთ დამახასიათებელ გარემოებას დავადასტურებთ: ადამიანი თვითონ ერევა დამახსოვრებისა და გახსენების პროცესში — მისთვის სულ ერთი კი არაა, თუ რა დაამახსოვრდება და რა მოაგონდება მას, არამედ მას თავისი გარკვეული მიზნები აქვს; მაშასადამე, გარკვეული მასალა აქვს დასამახსოვრებელი და გარკვეული მასალა გასახსენებელი; და გასაგებია, რომ იგი ზომებს ღებულობს ამ მიზნის მისაღწევად.

ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს ადამიანის აქტიური მეხსიერების მუშაობა.

## სწავლა და მოგონება

1. ებინგჰაუსის მეთოდი. მეხსიერების ექსპერიმენტული კვლევა პირველად გერმანელმა ფსიქოლოგმა ებინგჰაუსმა დაიწყო (1885). მისი გავლენა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მეხსიერების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია არსებითად დღემდე ებინგჰაუსის პოზიციებზე განაგრძობს დგომას. მაგრამ საკმარისია თვალი გადავაავლოთ მის დღევანდელ მდგომარეობას, რათა იმწამსვე დავრწმუნდეთ, რომ აქ არსებითად საქმე მხოლოდ მეხსიერების ერთერთ ფორმასთან გვაქვს და არა საზოგადოდ მეხსიერებასთან. იმისათვის რომ გავარკვიოთ, თუ, სახელდობრ, მეხსიერების რომელ ფორმასთან გვაქვს აქ საქმე, უნდა გავეცნოთ მოკლედ ებინგჰაუსის ექსპერიმენტულ მეთოდიკას.

ძირითადი მნიშვნელობა ამ მეთოდიკაში დასამახსოვრებელი მასალის შერჩევას აქვს. ებინგჰაუსის სხვადასხვა მოსაზრებით უაზრო მასალაზე ჩერდება: ჯერ ერთი, უაზრო მასალის მიმართ ცდისპირები ერთნაირად ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. საქმე ისაა, რომ ადამიანს თავის ცხოვრება-

ში მხოლოდ აზრიან მასალასთან უხდება საქმის დაქერა, და, რამდენადაც თითოეულ ჩვენგანს თავისი წარსული აქვს, თავისი განსხვავებული გამოცდილება, შეუძლებელია ისეთი აზრიანი მასალის გამოხატვა, რომ იგი ყველასათვის ერთნაირად უცნობი და ამიტომ ყველასათვის ერთნაირად ძნელი დასამახსოვრებელი იყოს. უაზრო მასალის მიმართ კი ჩვენ, ჩვეულებრივ, არავითარი გამოცდილება არა გვაქვს. ამიტომ, უნდა ვაფიქროთ, ძნელი არ იქნება ისეთი უაზრო მასალის შედგენა, რომ ყველა ცდისპირისათვის ერთნაირად ადვილი ან ერთნაირად ძნელი დასამახსოვრებელი იყოს. გარდა ამისა, ისეთი მასალის დამზადება რამდენიც გინდა, იმდენი შეიძლება, და, რასაკვირველია, ექსპერიმენტისათვის ამასაც აქვს მნიშვნელობა. დასასრულ, რადგანაც უაზრო მასალასთან გვაქვს საქმე, არაფერი არ შეგვიშლის ხელს, ამ მასალის თითოეულ ელემენტს მართლა ნამდვილი ერთეულის სახე მივცეთ, ე. ი. ჩვენი უაზრო მასალის ელემენტები ისე დავამზადოთ, რომ ისინი ერთნაირად ძნელი დასამახსოვრებელი იყვნენ.

ამ მოსაზრებათა განზომილებების შესწავლისათვის საუკეთესო ექსპერიმენტულ მასალად. ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი ა სეთ მასალას გარკვეული პრინციპის მიხედვით აგებდა: თითოეული უაზრო სიტყვა სამი ბევრისაგან შესდგება — შუაში ხმოვანი და გვერდებზე თანხმოვნები; მაშასადამე, ერთმარცვლოვან სიტყვას წარმოადგენს. იგი არც ერთ ნამდვილ სიტყვას არ უნდა ჰგავდეს, მაგალ., მარცვალი „ქალ“ ქართული ცდისპირისათვის არ ვარგა: იგი ქართულ სიტყვას (ქალი) მოგვაგონებს. ასეთი ერთმარცვლოვანი უაზრო „სიტყვების“ მომზადება მართლა ბევრის შეიძლება, და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, თითოეული მათგანი მართლა ერთეულად შეიძლება ჩაითვალოს

ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი ს მეთოდის მიხედვით, ცდისპირებს ამ მასალის დამახსოვრება ევალებათ. მასალის მიწოდება, რასაკვირველია, სათანადოდაა მოწესრიგებული. იგი მექანიკურად ხდება, საგანგებო აპარატის, ე. წ. მ ნ ე მ ო მ ე ტ რ ი ს საშუალებით, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისათვის არის აგებული. ცდისპირი კითხულობს უაზრო მარცვალთა რიგს, სანამ მას ზეპირად არ დაისწავლის.

მეხსიერების კვლევის მეთოდიკა ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი ს აღმოჩენილი გზით განვითარდა და დღეს შემდეგი მთავარი მეთოდებია ცნობილი.

1) დასწავლის მეთოდი: უაზრო მარცვალთა რიგს მანამ იმეორებს ცდისპირი, სანამ ვერ შესძლებს შეუცთომლად მის განძეო-



რებას. ვთქვათ, ერთს რაიმე გარკვეული მასალის დასასწავლად, 7 განმეორება დასჭირდა, და მეორეს — 9. მეორედ ეს რიცხვები ითვლება თითოეული მათგანის მეხსიერების (დასწავლის) კოეფიციენტად.

2) ეკონომიის ან მომარაგების მეთოდი: ვთქვათ, ცდისპირს უაზრო მარცვლების გარკვეული რიგის დასასწავლად 11 განმეორება დასჭირდა. ვთქვათ, განვლო დრომ და სუბიექტს ეს მასალა სრულიად დაავიწყდა. ვაძლევთ კვლავ იმავე მასალას დასამახსოვრებლად. ეხლა ცდისპირს ამ მასალის ხელახლა დასასწავლად 11-ზე გაცილებით ნაკლები განმეორება დასჭირდება (ვთქვათ 5), მიუხედავად იმისა, რომ, მას რომ კითხო, სრულიად არაფერი აბსოლუტურად არაფერი აბსოლუტურად არაფერია შემთხვევაში არ დავიწყებია ეს მასალა, თორემ საიდან მოახერხებდა ეხლა 11-ის ნაცვლად 5 განმეორებით დაესწავლა იგი. ამ შემთხვევაში მისი მომარაგების კოეფიციენტი  $11 - 5 = 6$  უდრის. სხვათა შორის, ამ მეთოდით ირკვევა, რომ აბსოლუტური დავიწყება არ არსებობს: თუ კი რამ ერთხელ მაინც გვისწავლია, შემდეგში მისი ხალახალი სწავლა უფრო ადვილია, ვიდრე პირველად იყო.

3) ცნობის მეთოდი: ცდისპირს ეძლევა უაზრო მარცვალთა რიგი წინასწარი გაფრთხილებით, რომ მერე მას იგივე მარცვლები მიეცემა ახლებს შორის გამოსაცნობად.

4) დამახსოვრებელი წევრების მეთოდი: ცდისპირს ეძლევა დასამახსოვრებლად უაზრო მარცვალთა რიგი ერთხელ (ან შეიძლება მეტჯერაც), და ექსპოზიციის შემდეგ მან უნდა ჩამოთვალოს იგი. დასამახსოვრებელ მარცვალთა რაოდენობა მისი მეხსიერების სისწორის კოეფიციენტს იძლევა.

5) სწორი პასუხების მეთოდი: (პირველად შემოიღო იოსტმა, შემდეგ დაამუშავა შიულერმა და პილცეკერმა): ცდისპირს წინადადება ეძლევა, იამბურად ან ტროქეულად იკითხოს წყვილ-წყვილად უაზრო მარცვლების რიგი. შემდეგ ექსპერიმენტატორი ასახელებს რომელიმე წყვილის პირველ წევრს, და ცდისპირმა მეორე უნდა დაასახელოს. დამახსოვრების კოეფიციენტი უდრის მიმართებას სწორ პასუხთა რიცხვსა და მიწოდებულ წყვილთა რიცხვს შორის.

როგორც ვხედავთ, ყველა ეს მეთოდი გარკვეულ ამოცანას აძლევს ცდისპირს: მან უნდა დაიმახსოვროს გარკვეული მასალა. მაშასადამე, ცდისპირი ამ უკანასკნელის დამახსოვრების მი-

ზ ა ნ ს ი ს ა ხ ა ვ ს. მისი მეხსიერების შემდგომი მუშაობის მთელი მიმდინარეობა მიზანდასახულ პროცესს წარმოადგენს. აქედან ცხადია, ამ მეთოდებით მხოლოდ ნებისმიერი დამახსოვრების შემთხვევები იკვლევა და არა მეხსიერების პროცესი საზოგადოდ.

აპი. დემონსტრაციულ საბუთს ჩ ა დ ო ს ლ ა ვ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს მიერ აღწერილი შემთხვევა იძლევა, რომლის შესახებაც გაკვირვებით ჩვენ ზემოდაც გვეჩვენა ლაპარაკი. მან ერთერთ უცხოელს ცდისპირს, რომელმაც გერმანული კარგად არ იცოდა, რვა უაზრო მარცვლი მისცა დასასწავლად. უცხოელმა დაიწყო მიწოდებული მასალის კითხვა. უკვე 46-ჯერ წაიკითხა და მაინც არაერთარ ნიშანს არ იძლეოდა, რომ განმეორება საჭირო აღარ იყო, რომ მან უკვე ზეპირად იცოდა ეს მასალა (მას სწორედ ასეთი ინსტრუქცია ჰქონდა მიცემული გერმანულ ენაზე: როცა ზეპირად დაისწავლიდა, ეთქვა, რომ ცდა შეეწყვიტათ). რაკი ცდისპირი არაერთარ ნიშანს არ იძლეოდა, ექსპერიმენტატორმა თვითონ შეწყვიტა ცდა და კითხა ცდისპირს — თუ რამე დაგამახსოვრდაო. აღმოჩნდა, რომ ცდისპირს ვერ გაეგო ინსტრუქცია და დამახსოვრების განზრახვის გარეშე კითხულობდა უაზრო მარცვლების რიგს. როდესაც გაიგო, რომ მასალა მას ზეპირად უნდა დაესწავლა, მოითხოვა — ხელახლა შომეცით იგივე ამოცანაო — და უკვე 6 განმეორების შემდეგ ყველაფერი ზეპირად იცოდა.

რას ამტკიცებს ეს დაკვირვება? მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ უაზრო მარცვლების მეთოდით, ჩვეულებრივ, ნებისმიერი მეხსიერების კვლევა წარმოებს. ამიტომ ყველა ის შედეგი, რომელიც ასეთი კვლევის ნიადაგზე იქნა მიღებული, არსებითად მეხსიერების ამ ფორმას ებება და ისიც ერთერთს მის სახეობას.

2. სწავლა და მოგონება როგორც ნებისმიერი მეხსიერების ფორმები. რასაკვირველია, ადამიანს ნებელობის გამოყენება ყოველთვის შეუძლია, როგორც კი მის წინაშე წინასწარ დადგება საკითხი მეხსიერების რაიმე მიმართულებით ამოქმედების შესახებ. ჩვენ უკვე ზემოთ ვნახეთ, რომ არსებობს ერთი ტიპი ეიდეტეიკოსებისა, რომელიც, ასე თუ ისე მაინც, თვალსაჩინო ხატის ნებისმიერი გამოყენების უნარით ხასიათდება. უეჭველია, რომ ასეთივე ნებისმიერი გამოყენება უშუალო მეხსიერებასაც შეიძლება ჰქონდეს. მართლაცდა, ხშირია შემთხვევა, რომ ადამიანი საგანგებო ზომებს მიმართავს თავისი უშუალო მეხსიერების გამახვილების მიზნით: იგი ყურადღების განსაკუთრებულ კონცენტრაციას ახერხებს საჭირო მიმართულებით, იგი ყველა ხელისშემშლელი პირობის თავიდან აცილებას ცდილობს, მიწოდებული მასალის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს

(ვთქვათ, რითმიზაციას) მიმართავს და განსაკუთრებით მის გააზრებასაც ესწრაფვის. ყველაფერი ეს უკვე ნებელობითი პროცესია, და უშუალო მეხსიერების მუშაობას აქ თითქოს ნებისმიერი მიმდინარეობა ეძლევა. რასაკვირველია, ადამიანი ცნობის მიზნითაც მიმართავს საგანგებო ზომებს: ხშირია შემთხვევა, რომ, მაგ., ვისიმე გაცნობისას, საგანგებო ყურადღების მიქცევას ვცდილობთ ამ პირის ზოგიერთ დამახასიათებელ თავისებურებაზე იმ მიზნით, რომ ამ გარემოებამ შემდეგში მისი ცნობა გაგვიადვილოს; ანდა, როდესაც ვინმე ნაცნობად გვეჩვენება, აქტიურად ვცდილობთ მოვიგონოთ, სად და რა პირობებში გავიცანით იგი; ხშირად ამ პირობების აღდგენით ვიწყებთ: „ვინ უნდა იყოს? X-ისას ხომ არ შევხვედრივარ მას? ანდა, შეიძლება, კონცერტზე; მაშინ მე რამოდენიმე ახალი პირი გამაცუნეს“. ასე ვმსჯელობთ, ჩვეულებრივ, ანალოგიურ შემთხვევებში ასოციაციებს რომ ხშირად ნებისმიერაც ვამყარებთ, რათა რაიმეს დამახსოვრება, ანდა მოგონება გავიადვილოთ, ეს ხომ ყველასათვის ცნობილია.

ერთი სიტყვით, ადამიანი საჭიროებს შემთხვევაში ნებელობის გამოყენებას ასე თუ ისე მეხსიერების ყველა ფორმის მიმართ ახერხებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო მეხსიერების ეს ფორმები ყველა იმთავითვე ნებისმიერი მეხსიერების სახეებად უნდა ჩავთვალოთ. საქმე ისაა, რომ, როგორც დავრწმუნდით, მეხსიერების აღნიშნული ფორმები ძირითადად ნებელობის მონაწილეობის გარეშე მუშაობენ, რომ ამიტომ მათი დადასტურება ფილოგენეზურისა და ონტოგენეზური განვითარების იმ საფეხურებზეც შეიძლება, სადაც ნებელობის შესახებ ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

სამაგიეროდ, არსებობს მეხსიერების გამოვლენის ისეთი ფორმებიც, რომელნიც მხოლოდ განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგებიან წინა რიგში და თავის მიმდინარეობაში ნებელობის წამყვან მონაწილეობას გულისხმობენ. ასეთად განსაკუთრებით ორი უნდა ჩაითვალოს: სწავლა და მოგონება.

ერთმანეთისაგან ეს ფორმები იმით განსხვავდებიან, რომ სწავლის შემთხვევაში საკითხი წარსულის მხოლოდ რეპროდუქციას ეხება. რაც შეეხება თვითონ ამ წარსულის ისტორიას, როდის და სად იყო იგი განცდილი, ანა ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგალითი: როდესაც ჩვენ, ვთქვათ, უცხო ენას ვსწავლობთ და, ბოლოს, ამ ენაზე ლაპარაკს ვიწყებთ, სრულიად არაა საჭირო, რომ

ყოველი სიტყვის შესახებ გვახსოვდეს, თუ როდის და სად ვისწავლეთ იგი პირველად. სულ სხვაა მოგონება. აქ საქმე მარტო რეპროდუქციაში კი არაა, არამედ განსაკუთრებით იმაშიც, რომ რეპროდუქცირებული სწორად იყოს დროში მოთავსებული. მოგონება ტემპორალიზაციასაც გულისხმობს. მაგალ., მე მაგონდება ჩემი პირველი მასწავლებელი: ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს ცნობიერებაში არა მარტო მისი ხატი ჩნდება, არამედ ამავე დროს ის განცდაც, რომ იგი წარსულში ჩემი მასწავლებელი იყო. მოკლედ: ცოდნა და მოგონება ურთიერთისაგან ტემპორალიზაციის მომენტით განსხვავდება<sup>1</sup>.

რომელს ამ ფორმათაგან ეკუთვნის მეხსიერების გამოვლენის ის შემთხვევები, რომელთა შესწავლაც უაზრო მარცვლების მეთოდით წარმოებს? რაკი ცდისპირის ამოცანა ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაშია, რომ განსაზღვრული მასალა ზეპირად დაისწავლოს, ცხადია, ტემპორალიზაციის საკითხი აქ სრულიად მოხსნილია. ამიტომაც, რომ საკითხს ტემპორალიზაციის შესახებ უაზრო მარცვლების მეთოდს არცერთი ვარიანტი არ აყენებს.

ამრიგად, ებინგჰაუსის მეთოდი მეხსიერების იმ ფორმას ეხება, რომელიც სწავლას უდევს საფუძვლად. ამიტომ ყველა ის დასკვნა, რომელიც მეხსიერების ინტენსიური კვლევის შედეგად იქნა დღემდე მიღებული, არსებითად თითქმის მხოლოდ მეხსიერების ამ ფორმას ეხება; და უნდა ითქვას, რომ შეიძლება, დღემდე არცერთი რთული ფსიქოლოგიური პრობლემა არ იყოს ექსპერიმენტულად ისეთი წარმატებით შესწავლილი, როგორც ნებისმიერი მეხსიერების ეს ფორმა.

## სწავლა

1. სწავლის ცნება. სწავლა, რასაკვირველია, მარტო მეხსიერების პრობლემას არ წარმოადგენს: იგი გაცილებით უფრო რთული პრობლემაა. იგი ადამიანის ერთერთი დამოუკიდებელი ქცევის ფორმაა, და როგორც ასეთს, თავისი სპეციფიკური ფსიქოლოგიური შინაარსი აქვს. ცხადია, რომ მისი რომელიმე ცალკე ფსიქიკურ ფუნქციასთან გაიგივება არ შეიძლება: მასში ფუნქციათა რიგი ღებულობს მონაწილეობას. მაგრამ მათ შორის ზოგი განსაკუთრებით მჭიდროდ არის ქცევის ამ ფორმასთან დაკავშირებული, ზოგი კი დევს შე-

<sup>1</sup> ტერმინი „ტემპორალიზაცია“ ე. შტერნს ეკუთვნის. იგი ლოკალიზაციის (სივრცეში მოთავსება) ანალოგიურად არის შედგენილი.

დარებით ნაკლებ. უნდა ითქვას, რომ მეხსიერება ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობს: იგი ის ძირითადი ფუნქციაა, რომელიც სწავლის უძირითადეს პირობას შეადგენს: უიმისოდ სწავლა თავისი უმარტივესი სახითაც კი შეუძლებელი იქნებოდა.

მეხსიერების მუშაობა სწავლის პროცესში თავისი განსხვავებული ფორმის, დასწავლის, სახით ყალიბდება. ებინგჰაუსის მეთოდი არსებითად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეხსიერების სწორედ ამ ფორმას იკვლევს. ქვემოთ ჩვენ ზოგიერთ ძირითად კანონზომიერებას გავეცნობით, რომელიც, თანახმად თანამედროვე კვლევის შედეგებისა, დასწავლის პროცესს ახასიათებს.

### დასწავლის სისწრაფის ფაქტორები

1. ნებელობა. თავისთავად იგულისხმება, განსაკუთრებულ გავლენას დამახსოვრების სისწრაფეზე ნებელობა უნდა ახდენდეს. თვითონ დასწავლა, როგორც ვიცით, არსებითად ნებისმიერი პროცესია და, ცხადია, ნებელობის სისუსტე ხელს უნდა უშლიდეს დასწავლის პროცესის მსვლელობას.

ამერიკელი და ინგლისელი ფსიქოლოგების გამოკვლევებში ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ „შემთხვევითი მეხსიერება“, სადაც წინასწარ განზრახვაზე ლაპარაკი ზედმეტია, გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე მეხსიერების ის ფორმები, სადაც დამახსოვრების განზრახვა ღებულობს მონაწილეობას — მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ პირობები ორივე შემთხვევაში შეიძლება საეხებით ერთნაირი იყოს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ბავშვი ისე სწრაფად ვერ იმახსოვრებს, როგორც დიდი, თუქცა გაცილებით უფრო ხანგრძლივად. ეს ფაქტი უთუოდ ნებელობას გახუფითარებლობით უნდა აიხსნას.

რით აღწევს ნებელობა ამ შედეგს? ჩერ ერთი, დასწავლა ერთსადაიმავე მასალაზე ხანგრძლივ შეჩერებას გულისხმობს: მიწოდებული ექსპერიმენტული მასალის დამახსოვრება ერთი წაკითხვით აოხერხაება — საჭირო ხდება მისი მრავალგზისი განმეორება. საიდან შეიძლება ამ განმეორების იმპულსი გამომდინარეობდეს? თვითონ მასალა უმუშალოდ, რასაკვირველია, ამის იმპულსს არ იძლევა, იმიტომ რომ სუბიექტს თვითონ განმეორების მოთხოვნილება კი არ აქვს, არამედ იმისი, რაც ამ განმეორების საშუალებით იქნება მილ-

წეული: იმპულსი შეიძლება მხოლოდ დასწავლის განზრახვიდან გამომდინარეობდეს.

მაშასადამე, ნებელობა ერთადერთი წყაროა, რომელიც სუბიექტს თავისთავად სრულიად არასაინტერესო საქმის შესრულების, სახელდობრ, ერთიდაიმავე მასალის მრავალგზისი განმეორების ძალას აძლევს.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ განმეორება თავისთავად, როგორც ეს პირველ რიგში ლევიჩის სკოლის გამოკვლევებშია ექსპერიმენტულად დადასტურებული, მოჭარბების უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს, და, ცხადია, მისი გადალახვა მხოლოდ ნებელობის ძალას შეუძლია.

გარდა ამისა, გარკვეული მასალის დასწავლა განსაკუთრებით წარმატებით და სასწრაფოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ რომ ადამიანს ძალა შესწევს, მაქსიმალური ენერგია მაშინ გამოიწვიოს, როდესაც ამას საკიროდ ჩათვლის, ამ შემთხვევაში — როდესაც მას გარკვეული მასალის დასწავლის ამოცანა გაუჩნდება. ჩვეულებრივ, სწავლის პროცესი ისეა მოწყობილი, რომ იგი გარკვეულ დროის გარკვეული მიმართულებით მუშაობას გულისხმობს; და რამდენადაც ნებელობა ამის შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ცხადია, იგი სწავლის ძირითადი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს.

2. ინტერესი. მეორე ფაქტორი, რომელსაც ყოველთვის ასახელებენ ამ შემთხვევაში, ეს, უდაოდ, ინტერესია. რომ ინტერესი საზოგადოდ სწავლის ერთერთს ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. მეტი შეიძლება ითქვას: სწავლას სწორედ ის გარემოება აქცევს ფსიქოლოგიურად სრულიად დამოუკიდებელს ქცევის ფორმად, რომ მასში ნებელობის გვერდით ინტერესიც ფუძემდებელ როლს ასრულებს. სწავლა არა მარტო მიზნის მნიშვნელობის შეგნებაში პოულობს ენერგიის წყაროს, არამედ იმავე დროს შინაგან მისწრაფებაში, შინაგან მიდრეკილებაში, ინტერესში, რომლის გარეშეც ყოველივე სწავლა იძულებითი შრომის სახეს მიიღებდა.

ინტერესი, კერძოდ, დასწავლის პროცესშიც ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ ნებელობის მაგიერობას ის, რასაკვირველია, მთლიანად ვერ გასწევს — ნებელობის ფაქტორს ის ზედმეტად ვერ გადააქცევს. იგი მხოლოდ მის გვერდით შეიძლება ასეთ ფაქტორად იქნეს ცნობილი. ეს გასაგებიცაა, იმიტომ რომ ყოველი სწავლა უთუოდ მეტად თუ ნაკლებად სისტემატური ბუნებისაა, მაშინ როდესაც ინტერესი, როგორც სუბიექტური მიდრეკილება, უფრო შემთხ-

ვევითი ზასიათის მოვლენაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ იგი სწავლის ყველა მომენტს დაემთხვეს. უფრო საფიქრებელია რომ სწავლის მიზნის განსახორციელებლად სუბიექტს ზოგი რამ ისეთის გაკეთებაც დასჭირდება, რაც შეიძლება აქტუალური ინტერესის ფარგლებში არა თუ არ შედიოდეს, არამედ ეწინააღმდეგებოდეს კიდევ მას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლისა.

რით აღწევს იგი ამას? უეჭველია, მხოლოდ ერთით: იგი აადვილებს ნებელობის გამოყენებას და, მაშასადამე, ნებისმიერი მეხსიერების ამოქმედებასაც. საქმე ისაა, რომ ბაშუს, მაგალ., შეიძლება ძალიან უჭირდეს ზანგრძლივად მათემატიკურ ამოცანებზე შეჩერება: ამისათვის მას ნებისყოფა არ ყოფნიდეს. მაგრამ საკმარისია იგი დაინტერესდეს ამ ამოცანებით, რომ უკვე შედარებით ადვილად შესძლოს თავისი ენერჯის ამ მიმართულებით მობილიზაცია: ამ შემთხვევაში მას ნაკლები წინააღმდეგობის დაძლევა უხდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე თავისთავად სრულიად არ იზიდავს მას.

უაზრო მარცვლების მეთოდით კვლევის შედეგად, სხვათა შორის, ისიც გამოიჩვენა, რომ ინტერესი, როგორც დასწავლის ფაქტორი, ზოგიერთ შემთხვევაში აქაც კი იჩენს თავს. ჯერ ერთი, თავისთავად სრულიად არასაინტერესო მასალის, უაზრო მარცვლების, ზეპირად სწავლის ხალისს შეეჯიბრების ინტერესი იწვევს, რომელიც ორი მიმართულებით შეიძლება მოქმედებდეს: შეეჯიბრება სხვა ცდისპირებთან — თითოეულს ცდისპირს ძალას მატებს სურვილი სხვებს არ ჩამორჩეს, სხვებზე უარესი არ გამოდგეს და, თუ შესაძლებელია, აჯობოს კიდევ მათ. მეორის მხრივ, თავი იჩინა ისეთმა შემთხვევებმაც, როდესაც ცდისპირი, ასე ვთქვათ, თვითონ თავის თავს ეეჯიბრება და, რაც დრო გადის, სულ უფროდაუფრო მეტის დამახსოვრებას ცდილობს. დასასრულ, ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცდისპირს თვითონ უაზრო მასალის დაზეპირების პროცესი, თვითონ სწავლის პროცესი აინტერესებს. ყველა ამ შემთხვევაში სწავლა საგრძნობლად ადვილდება: იგი უფრო სწრაფად და უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობს. როგორც ვხედავთ, თვითონ დასასწავლ მასალას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ წმინდა ფორმალური ინტერესის გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ფორმალურ ინტერესს, როგორც წმინდა ფორმალურს, მაინცდამაინც დიდი ღირებულება არ აღმოაჩნდა: შეეჯიბრება სხვებთან, შეეჯიბრება თავის თავთან, შორს ვერ მიდის, სანამ მას მხოლოდ

წმინდა სპორტული ხასიათი აქვს, სანამ იგი მხოლოდ საკუთარი ძალის, საკუთარი შეძლების გამოვლენის მიზნებს ემსახურება, სანამ იგი მართლა წმინდა ფორმალურ ინტერესს წარმოადგენს. გაცილებით უფრო ეფექტურია და, გარდა ამისა, გაცილებით უფრო ზრდის ნებელობას, როდესაც შეჯიბრების ინტერესს არა მარტო წმინდა ინდივიდუალური ძალების გამოვლენის განზრახვა, არამედ უფრო ფართო, უფრო ზოგადი მიზნები ასაზრდოებს. ამით აიხსნება ის არაჩვეულებრივი მაჩვენებლები, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში სოცშეჯიბრის შედეგები იძლევა.

მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით შინაარსეული ინტერესს. იგი არაჩვეულებრივ აადვილებს სისტემატური სწავლის პროცესს, თუ რომ ეს უკანასკნელი სწორედ იმ შინაარსს ეხება, რომლის მიმართაც სუბიექტს საგანგებო ინტერესი აქვს, მაგალ., ცნობილია, რა ადვილად ამახსოვრდება მათემატიკოსს მათემატიკური მასალა ან ბოტანიკოსს — ბოტანიკური. შტერნი დირიჟორის მაგალითს აღნიშნავს, რომელსაც მთელი კონცერტის პარტიტურა ზეპირად ახსოვს. ასეთ შემთხვევაში არსებითად დასამახსოვრებელი მასალის ზეპირად დასწავლა როდი ხდება, არამედ მისი შინაგანი გადამუშავება და საკუთარი პიროვნების კუთვნილებად ქცევა.

რასაკვირველია, შინაარსეული ინტერესის პედაგოგიური მნიშვნელობა უდაოა: იგი ნამდვილი სწავლის, ნამდვილი განათლების ერთერთს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ინტერესის დადებით მოქმედებას დამახსოვრების პროცესზე ხელს უნდა უწყობდეს ის გარემოებაც, რომ ინტერესი სასიამოვნო ემოციებთანაა დაკავშირებული: საინტერესო საქმის კეთება, როგორც ყველამ იცის, სასიამოვნოა. ფრანკის ექსპერიმენტული გამოკვლევის მიხედვით, სასიამოვნო სუნი დადებით გავლენას ახდენს დამახსოვრების პროცესზე, უსიამოვნო კი — შემაფერხებელს. როგორც პიერონი აღნიშნავს, ეს ფაქტი კარგად ეთანხმება ცნობილ დაკვირვებებს, რომლის მიხედვითაც ინტენსიური უსიამოვნების ემოციები არა მარტო ახალის დამახსოვრებას უშლიან ხელს, არამედ ე. წ. „რეტროაქტულ ამნეზიასაც“ კი იწვევენ, ე. ი. იმის დავიწყებას, რაც მანამდე კარგად გვახსოვდა.

8. ფიზიოლოგიური ფაქტორი. დამახსოვრების ერთერთ ფაქტორად წმინდა ფიზიოლოგიური ხასიათის დისპოზიციებიც ითვლება. შენიშნულია, რომ დამახსოვრება დილის ზოგიერთ საათებში უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობს, ვიდრე სხვა დროს. ამისი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ დღე-ღამის მიმდინარეობაში ფი-



ზიოლოგიური დისპოზიციები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფებიან (პიერონ).

მაგრამ ამას მეტად ინდივიდუალური ხასიათი აქვს: ზოგისათვის დღის ერთი გარკვეული დრო წარმოადგენს ოპტიმალურ დროს და ზოგისთვის სულ სხვა დრო. ამიტომ ერთი გარკვეული საათის დანიშვნა, როგორც საზოგადოდ ყველასათვის ოპტიმალურის, ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, მეხსიერების ნებისმიერი გამოყენებისათვის ამ გარემოებას ის მნიშვნელობა მანიც აქვს, რომ თითოეულს ცალკე პირს ისე შეუძლია მოაწესრიგოს თავისი დრო, რომ მეხსიერების სამუშაო სწორედ იმ საათისათვის დანიშნოს, როდესაც მისი ფიზიოლოგიური დისპოზიციები ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან.

4. სენსორული ფაქტორი. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს დამახსოვრებისათვის იმასაც, თუ რა სენსორული მასალაა დასამახსოვრებელი, მაშასადამე, რა მოძალობის სენსორული აპარატები ღებულობენ მონაწილეობას მუშაობაში.

დაკვირვებიდან ცნობილია, რომ ზოგს ოპტიკური მასალის დამახსოვრება უადვილდება, ზოგს აკუსტიკურისა და ზოგს კიდევ უფრო შოტორულის. ეს იქიდანაც ჩანს, თუ როგორ სწავლობს თვითოეული ჩვენგანი მიწოდებულ მასალას ზეპირად: ზოგი ჩუმად კითხვას ამჯობინებს (ოპტიკური ტიპი), ზოგს ურჩევნია, თუ სხვა ვინმე უკითხავს მას (აკუსტიკური ტიპი), ზოგი კი ხმამაღლა კითხულობს და ამავე დროს დასამახსოვრებელ მასალას რაიმე მოძრაობებით (მაგალ., ჩაწერის მოძრაობებით) განამტკიცებს მეხსიერებაში (მოტორული ტიპი). რასაკვირველია, წმინდა სახით ეს ტიპები ძლიერ იშვიათად გვხვდება, და ისიც თითქმის მხოლოდ შემოქმედ ხელოვანთა შორის — სახელდობრ, წმინდა ოპტიკური ტიპის მხატვარი, აკუსტიკურის — მემუსიკე და მოტორულის — მოცეკვავე. ჩვეულებრივ ადამიანთა შორის კი, როგორც წესი, შერეული ტიპის ხალხი უფრო გვხვდება. ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთერთი გრძნობის ორგანოს მონაწილეობა სჭარბობს, ჩვენ მაინც უფლება გვეძლევა შესატყვისი ტიპის შესახებ ვილაპარაკოთ. მაგალ., თუ ადამიანს შედარებით უკეთ ვიზუალური შთაბეჭდილებები დამახსოვრდება და ამიტომ იგი სწორედ ამ მასალას აძლევს უპირატესობას, სრული უფლება გვაქვს, იგი მხედველობითს ტიპს მივაკუთვნოთ.

სენსორულ მასალას იმ მხრივაც აღმოაჩნდა მნიშვნელობა, რომ, მაგალ., სიტყვიერი მასალის დასამახსოვრებლად მარტო ოპტიკურად ან მარტო აკუსტიკურად მიწოდებას ამ მასალის ერთდროულად ოპტიკურ-აკუსტიკური მიწოდება სჯობს. რაც შეეხება თი-

თოეულს ამათგანს ცალკე, აკუსტიკური მიწოდების ფორმა უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვიდრე მარტო ოპტიკურის, თუნდ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სხვა მხრივ ოპტიკური ტიპის სუბიექტთან გვაქვს საქმე (მიუნსტერბერგი, პოლმანი). ეს ფაქტი, სხვათა შორის, იმაზეც მიუთითებს, რომ შესაძლებელია ადამიანი რაიმე განსაზღვრული მასალის მიმართ ერთ ტიპს ეკუთვნოდეს, ხოლო სხვა მასალის მიმართ სულ სხვა ტიპს: შეიძლება იგი გეომეტრიულ ფიგურებს ოპტიკურად იმახსოვრებდეს უკეთ, მაგრამ სიტყვებს აკუსტიკურად. მასალას, როგორც ვხედავთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნ. ინტელექტუალური ფაქტორი. ნებისმიერი მეხსიერების ერთ-ერთს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რასაკვირველია, ინტელექტიც წარმოადგენს. ჭერ მარტო ის გარემოება, რომ ნამდვილი ნებისმიერი ქცევა ინტელექტის არსებითი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, საკმარისია, რათა ეს დებულება უდაოდ ჩაეთვალოთ.

მაგრამ ინტელექტი ამის გარეშეც თვალსაჩინო გავლენას ახდენს დამახსოვრების მიმდინარეობაზე. რას გვაძლევს სწავლა? რას ვიძენთ მისი ზეგავლენით? რა თქმა უნდა, ცოდნას. მაგრამ ცოდნა, რომელსაც სწავლის პროცესში ვიძენთ, ყოველთვის ერთნაირი არაა. ზოგჯერ საქმე ჩვევებით განისაზღვრება, მაგრამ ძალიან ხშირად საკითხი ნამდვილი ცოდნის შექმნასა და დამახსოვრებასაც ეხება ხოლმე. რასაკვირველია, ნამდვილი ცოდნის შესასებ მხოლოდ იმ შემთხვევებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც არა მარტო გვესმის ამა თუ იმ დებულების აზრი, არამედ სავსებით ვფლობთ და საკიროებისდა მიხედვით ვიყენებთ კიდევ მას. ცოდნა არა მარტო გაგებას გულისხმობს, არამედ მტკიცე დამახსოვრებასაც და მის ნიადაგზე თავისუფალ რეპროდუქციას. გაგებისათვის რომ ინტელექტს მნიშვნელობა აქვს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მნიშვნელობა აქვს მას — სწორედ ამ მიზეზით — დამახსოვრებისთვისაც. საქმე ისაა, რომ ადამიანი, ჩვეულებრივ, უაზრო მასალას ადვილად ვერ იმახსოვრებს. მაშასადამე, მაშინაც, როდესაც მის წინაშე ჩვეულებრივი დამახსოვრების ამოცანა დგას, იგი დასამახსოვრებელი მასალის აზრს ეძებს და ამ უკანასკნელს, ე. ი. აზრს, უკეთ იმახსოვრებს, ვიდრე იმ ფსიქიკურ შინაარსს, რომელიც ამ აზრს გულისხმობს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც მეხსიერების პასიური ფორმების შესახებ ვლაპარაკობდით. ადვილად გასაგებია, რომ აქტიური დამახსოვრების შემთხვევაში ადამიანი საგანგებოდ ცდილობს იმ აზრის დაჭერას, რომელიც დასამახ-

სოვრებელ მასალას აქვს და, რა თქმა უნდა, იგი მით უფრო ადვილად ახერხებს ამას, რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას მისი ინტელექტი. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აზრი ისე მკაფიოდ არ ჩანს, რომ იმწამსვე თვალში გვეცეს, და მაშინ მის დასა-ნახავად აზროვნების საკმაოდ ინტენსიური ამოქმედება ხდება საჭი-რო.

ინტელექტის მონაწილეობის მნიშვნელობა აქტიური დამახსოვ-რების პროცესში ზოგჯერ უაზრო მასალის დამახსოვრების შემთხ-ვეებიდანაც ნათლად ჩანს. მეხსიერების კვლევის მეთოდოლოგიაში ცნო-ბილია, რომ ცდისპირის ზოგჯერ უაზრო მარცვლების რიგი კი არა, ცალკე სიტყვების, ცალკე ფიგურების თუ სურათების, ზოგჯერ ცალკე წინადადებების სერია ეძლევა, რომლის წევრებს შორისაც არავითარი აზრითი კავშირი არ არსებობს. ამ შემთხვევაში ცდისპი-რი ამგვარი კავშირის დადგენას თვითონ ცდილობს, ხელოვნურად და, როდესაც ამას ახერხებს, დამახსოვრების საქმე უფრო ადვილად მიდის წინ. ეს გარემოება ნათლად მიუთითებს, რომ აზრიანი მასა-ლის დამახსოვრების შემთხვევაში აზრის წვდომას, რა თქმა უნდა, პირველხარისხოვანი მნიშვნელობს უნდა ჰქონდეს.

გარდა ამისა, ინტელექტის როლი მეხსიერებისთვის განსაკუთ-რებით იმ მხრივაც დიდია, რომ ცდისპირი ხშირად სხვადასხვა ხერხს მიმართავს, რათა მისი დახმარებით ქვემდებარე მასალის დამახსოვ-რება გაიადვილოს. ასეთი ხერხების გამონახვა კი ზოგჯერ თვალსა-ჩინო ინტელექტუალურ განვითარებას გულისხმობს; ყოველ შემთხ-ვევაში, მათი მოძებნა და შეფასება ინტელექტის საქმეა. სხვათა შო-რის, ერთერთი მიზეზი ბავშვის მეხსიერების სისუსტისა ისიცაა, რომ მას ასეთი ხერხების გამონახვის და მათი მიზანშეწონილი გამოყენე-ბის უნარი ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული.

## დასწავლის „ბანონები“

1. დამახსოვრებული ერთეულის რიგში ადგილმდებარეობის კა-ნონი. ჯერ კიდევ ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს მ ა მიაქცია ყურადღება, რომ დამახსოვრების სისწრაფეზე თვალსაჩინო გავლენას ახდენს ადგილი, რომელიც ამა თუ იმ ელემენტს უკავია დასამახსოვრებელი მასალის სერიაში. როგორც წესი, დადასტურდა, რომ უპირატესობა სერიის პ ი რ ვ ე ლ ს ა და უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ადგილებს ეკუთვნის. ეს დე-ბულება, რომელმაც პირველად ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი ს მეთოდის გა-მოყენებას შემთხვევებში იჩინა თავი, შემოწმებულ იქნა სხვა მეთო-

დებითაც და უაზრო მარცვლებისა და ციფრების მიმართ მთლიანად ძალაში დარჩა (რ ო ბ ი ნ ზ ო ნ ი და ბ რ ა უ ნ ი).

პ ი ე რ ო ნ ი ს მიხედვით, სიტყვების დამახსოვრების შემთხვევაშიც იგივე კანონი მოქმედობს. მაგრამ აქ ცოტაოდენ გადახრასაც აქვს ადგილი. ძნელია ისეთი აზრიანი სიტყვები მოინახოს, რომ არავითარი აფექტური მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ეს გარემოება კი, როგორც ეს საგანგებოდ ს მ ი ტ ი ს სპეციალურ გამოკვლევაშია დადასტურებული, უეჭველ გავლენას ახდენს დამახსოვრების ნაყოფიერებაზე: აფექტური შინაარსის სიტყვები ხან შემაფერხებელ გავლენას ახდენენ დამახსოვრების ნაყოფიერებაზე და ხან ხელისშემწყობ გავლენას. ს მ ი ტ ი ს მიხედვით, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ იმ სიტყვათა წრეში, რომელიც ყველაზე უკეთ ამახსოვრდებათ ცდისპირებს, განსაკუთრებული ადგილი ს ე ქ ს უ ა ლ უ რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს სიტყვებს უკავიათ (სიყვარული, კოცნა და სხ.). პ ი ე რ ო ნ ი ს დაკვირვებით, ამ ახალი ფაქტორის გავლენით, ადგილმდებარეობის კანონი ზოგჯერ ირღვევა: თუ განსაკუთრებით აფექტური შინაარსისა სიტყვა, იგი სერიის შუაშიც რომ იყოს მოთავსებული, მაინც უკეთ ამახსოვრდება ადამიანს, ვიდრე პირველს თუ უკანასკნელ რიგში მიწოდებული ინდიფერენტული სიტყვა. მიუხედავად ამისა, პ ი ე რ ო ნ ი ს შედეგები, საერთოდ მაინც, ამ კანონის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. აი, მისი შედეგები:

სიტყვის ადგილი სერიაში	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	XIV	XV
სწორი რეპოდუქციის %/%	79	73	65,3	56,8	47	47	43,6	35,9	41,8	65,3	65,3

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ეს კანონი თითქოს სრულიად არ რჩება ძალაში. მაგალ., დ რ ო ბ ა-ს გამოკვლევის მიხედვით, რომელიც თავის ცდისპირებს სურათებს აძლევდა დასამახსოვრებლად, პირველად მიწოდებულ სურათზე გაცილებით უკეთეს მაჩვენებლებს მესამე და მეოთხე სურათი იძლევა. როგორც ჩანს, შინაარსს უეჭველი მნიშვნელობა აქვს და ადგილმდებარეობის ფაქტორს მისი სრული დაჩრდილვა, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. ამიტომ ეს კანონი ძალაში რჩება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დასამახსოვრებელი მასალის ელემენტები მხოლოდ ადგილმდებარეობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო სხვა მხრივ თანასწორ პირობებში იმყოფებიან. მაშასადამე, ადვილი გასაგებია, რომ ამ კანონმა სწორედ უაზრო მარცვალთა მეთოდის გამოყენების შემთხვევაში იჩინა თავი.

2. ფუკოს კანონი. მასალის მოცულობას, რასაკვირველია, გავ-

ლენა აქვს დამახსოვრების სიადვილეზე. ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია დასამახსოვრებელი მასალის მოცულობა, მით უფრო ძნელია მისი დამახსოვრება. მაგრამ ეს მიმართება პირდაპირ პროპორციული არაა: ექვსწევრიანი რიგი უაზრო მარცვლებისა ერთი წაკითხვითაც ამახსოვრდება ადამიანს, ხოლო 12 წევრიანი რიგისათვის 10-12 განმეორებაა საჭირო და არა მხოლოდ ორი. 24 წევრიანი რიგი კი, 24 განმეორებითა ნაცულად 44-ს მოითხოვს.

როგორ იცვლება დამახსოვრების სისწრაფე მასალის მოცულობის ზრდასთან ერთად? ამ კონკრეტულ საკითხზე ფუკომ გარკვეული პასუხი მიიღო. იგი თავის ცდისპირებს (რიცხვით შვიდ კაცს) სიტყვების სხვადასხვა მოცულობის სერიას აძლევდა და თითოეულს მათგანს მანამ ამეორებინებდა ამ სერიას, სანამ ზეპირად არ დაასწავლიდა. თითოეული ცალკე სერიისათვის მან საშუალოდ შემდეგი დროის მაჩვენებლები მიიღო:

სერიები —	8 სიტ.	10 სიტ.	12 სიტ.	15 სიტ.
დრო (სექუნდებში)	109.0	156,5	217,7	372,5

აქედან ფუკომ დაასკვნა, რომ მასალის მოცულობასა და დროს შორის, რომელიც ამ მასალის დასამახსოვრებლად აუცილებელია, სრულად გარკვეული კანონზომიერი დამოკიდებულება არსებობს. ფუკომ ამის აღსანიშნავად ასეთი ფორმულა წამოაყენა:  $t = k l^2$  ( $t$ —დამახსოვრების დრო,  $l$ —მასალის მოცულობა,  $k$ —კონსტანტა). ე. ი. ამა თუ იმ მოცულობის მასალის დასამახსოვრებლად საჭირო დრო მასალის რაოდენობის კვადრატის პროპორციულად იზრდება.

ძალიან საინტერესოა, რომ ფუკოს აგან სრულად დამოუკიდებლად იგივე კანონზომიერება მეორე მკვლევარმა, სახელდობრ, ლიონმა. ალმაჩინა (1914); ოლონდ ამ უკანასკნელის შედეგების მიხედვით, ამ კანონს მარტო უაზრო მარცვლებისა და რიცხვების დამახსოვრების შემთხვევაში აქვს ძალა. რაც შეეხება აზრიან მასალას, ლექსსა და პროზას, მის დასამახსოვრებლად საჭირო დრო მასალის მოცულობის პროპორციულად იზრდება.

პიეტრონი ამ კანონის განხილვისას შემდეგ დასკვნამდე მიდის: ფუკოს კანონი მხოლოდ დახლოებით გამოსახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. მისი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ დამახსოვრებისათვის საჭირო დრო ფუნქციონალურ მიმართებაში იმყოფება მასალის რაოდენობის კვადრატთან კი არა, მის განსაზღვრულ ხარისხთან, რომელიც მყარ ოდენობას არ წარმო-

ადგენს და დასამახსოვრებელი მასალის გადიდებასთან ერთად იზრდება.

რაც შეეხება დროს, რომელიც თითოეულს ელემენტზე მოდის, დადასტურდა შემდეგი: არსებობს მოცულობის განსაზღვრული სიდიდე, რომლის დამახსოვრებაც ყველა სხვა მოცულობის მასალაზე უფრო სწრაფად ხდება, ე. წ. ოპტიმუმი. ცხადია, მასში შემავალი ელემენტების დახსოვებაზე ნაკლები დრო მიდის, ვიდრე არაოპტიმალური მოცულობის ელემენტებისაზე.

პიერონის მიხედვით, 20-ციფრიან სერიაში თითო ციფრზე 0,180 განმეორება მოდის, 50-ანში — 0,100 და 75-ანში — 0,125. როგორც ვხედავთ, ოპტიმუმი აქ 50-იანსა და 75-ციფრიან სერიას შუა მდებარეობს. ფუკოს მიხედვით, აქ ასეთი დებულების წამოყენება შეიძლებოდა: ერთი და იმავე რაოდენობის მასალის დასამახსოვრებლად საჭირო დრო იმ სერიის მოცულობის პროპორციულად იზრდება, რომელშიც იგი როგორც ნაწილი შედის. პიერონი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ფუკოს ამ კანონს დაახლოებითი მნიშვნელობა აქვს. და ისიც დამახსოვრების განსაზღვრულ პირობებში და დასამახსოვრებელი მასალის მოცულობის განსაზღვრულ ფარგლებში.

8. გეშტალტიზაციის კანონი. როდესაც ცდისპირს საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა ეძლევა, იგი მის გამარტივებასა და ამ გზით მისი დამახსოვრების გაადვილებას ცდილობს. მთავარი ხერხი, რომელსაც იგი მიმართავს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი სერიის ცალკე ელემენტებს აერთებს და ამრიგად უფრო რთულ ერთეულებს ე. წ. „კომპლექსებს“ (გ. მ. უ. ლ. ე. რი) ღებულობს. ამ ხერხის გამოყენების შედეგად სერია ერთეულების ნაკლებ რაოდენობად იშლება და ამიტომ უფრო ადვილი დასამახსოვრებელი ხდება. საქმე ისაა, რომ, მაგალ., რვა ცალკე ასოსი, ან ცალკე ციფრის დამახსოვრება დაახლოებით იმავე სიძნელეს წარმოადგენს, რასაც რვა ცალკე სიტყვის დამახსოვრება. ეს იმას ამტკიცებს, რომ დამახსოვრებისათვის, განსაზღვრულ ფარგლებში, ერთეულების რაოდენობას აქვს მნიშვნელობა, და არა იმას, თუ რამდენი ელემენტისაგან შედგება თითოეული ამათგანი, როდესაც დასამახსოვრებელი მასალა აზრიანია, ასეთი ერთეულების შედგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. გაცილებით უფრო ძნელია ეს, როცა უაზრო მასალასთან, მაგალ., უაზრო მარცვლებთან, გვაქვს საქმე. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ მეხსიერება აქაც იმავე გზას

მისდევს: მეზობელი ელემენტები, მაგალ., რითმულ ერთეულებად უკავშირდებიან ურთიერთს და მთელ სერიას უფრო მარტივი შემადგენლობისად აქცევენ.

მიუღერისა და შუშანის ცდებში საგანგებო ზომები იყო მიღებული, რომ ცდისპირებს მასალის რითმიზაცია ვერ მოეხერხებიათ. შედეგი ასეთი აღმოჩნდა: ზოგიერთისათვის მასალის დამახსოვრება სრულიად შეუძლებელი შეიქნა.

საზოგადოდ, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მასალის დასამახსოვრებლად მის განაწევრებულობასა და ნაწილების გამოკვეთილობას, ე. ი. მის გეშტალტიზაციას აქვს მნიშვნელობა. ამერიკელი ფსიქოლოგის ოგდენის მიერ დადასტურებული ფაქტი, რომ ყოველი მოცემული მასალის დასამახსოვრებლად მისი წაკითხვის ოპტიმალური სისწრაფე არსებობს, უნდა ვიფიქროთ, იმით აიხსნება, რომ მასალის გეშტალტიზაციის პროცესი გარკვეული ხანგრძლიობის დროს მოითხოვს, და, მაშასადამე, ძალიან სწრაფი ან ძალიან ნელი მიწოდება ხელს უშლის მას.

4. სწავლის ტემპი. ამასთან მკიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სწავლის ტემპის შესახებ: რა წესს მიმართავს სუბიექტი მაქსიმალური დამახსოვრების მიზნით — სწრაფ კითხვას, თუ ნელს? ებინგჰაუსი თავისი ცდების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, მაგალ., ლექსების ზეპირად დასწავლისას სწრაფ ტემპს უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე შედარებით უფრო ნელს.

მაგრამ უდაოა, რომ სწავლის ტემპის საკითხი თვითონ პიროვნების ბუნებრივი ტემპის საკითხთან არის დაკავშირებული: არის ხალხი, რომელიც, ჩვეულებრივ, სწრაფი ტემპით მუშაობს, და არიან ისეთებიც, რომელთაც უფრო ნელა ურჩევნიათ მუშაობა. ცხადია, ამათვის სწავლის ერთნაირი ტემპის რჩევა დაუსაბუთებელი იქნებოდა: სწავლის ტემპიც თითოეულის ბუნებრივ ტემპზე დამოკიდებულია.

5. განმეორების ადგილმდებარეობის კანონი. როდესაც დასამახსოვრებელი მასალის მოცულობა განსაზღვრულ სიდიდეს აღემატება, მის დასასწავლად განმეორება ხდება საჭირო.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თითოეული ცალკე განმეორების მნიშური ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოცულობის მასალასთან გვაქვს საქმე: ექვსწევრიანი უაზრო მარცვლების სერიის დამახსოვრება ერთი წაკითხვით ხდება, მაგრამ 12 წევრიანს ორი წაკითხვის ნაცვლად 10-12 განმეორება უნდა. ბუნებრივად იბადება

საკითხი: ერთიდაიგივე მნემური ღირებულება აქვს თითოეულს ცალკე წევრს განმეორებათა რიგში, თუ არა? ანდა სხვანაირად: თუ მაგალ., 12 წევრიანი სერიის დასამახსოვრებლად 12 განმეორება აუცილებელი, თითოეული ამთგანი მასალის ერთსადიმავე რაოდენობას (ამ შემთხვევაში — 12:12—1) გვამახსოვრებებს, თუ არა?

ექსპერიმენტული პასუხი ამ საკითხზე უარყოფითი აღმოჩნდა: თითოეული ცალკე განმეორების მნემური ღირებულება იმაზე დაბოკიდებული, თუ რა ადგილი უკავია მას განმეორებათა რიგში. ეს ღირებულება მით უფრო მცირეა, რაც უფრო დაშორებულია იგი თავიდან. მაშასადამე, ყველაზე მეტი მნემური მნიშვნელობა პირველ წაკითხვას აქვს და ყველაზე ნაკლები უკანასკნელს. მაგალ., მეტხუმეტე განმეორება უფრო დიდს დამატებითს ეფექტს იძლევა, ვიდრე შემდეგი, ვთქვათ, მეოცე. მაშასადამე, თუ ერთი წაკითხვით დასწავლილი მასალა. მაგალ., მეათედი დაგამახსოვრდა. ეს კიდევ არ გაძლევს საბუთს იფიქრო, რომ მთელი მასალის დასასწავლად ათი განმეორება გეყოფა. აქედან ნათელია, რომ რაც უფრო მეტს იმეორებ დასამახსოვრებელ მასალას, მით უფრო ნაკლებსა და ნაკლებს მატებ უკვე დამახსოვრებულის რაოდენობას.

ეს გარემოება ბუნებრივად აყენებს საკითხს ე. წ. „პირველი რიგის საკითხის“ ან ჰარბი დასწავლის შესახებ.

6. „ჰიპერფიქსაციის“ კანონი. თანახმად განმეორების ადგილმდებარეობის კანონისა, უკანასკნელი განმეორება ყველაზე ნაკლებს დამატებითს ეფექტს იძლევა. კიდევ რომ განვაგრძოთ განმეორებათა წარმოება, თითოეულმა მათგანმა სულ უფროდაუფრო ნაკლები დამატებითი შედეგი უნდა მოგვეცეს. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ: აქვს თუ არა რაიმე მნემური ღირებულება ზედმეტ განმეორებას, ე. ი. აქვს თუ არა რაიმე აზრი მას შემდეგაც მასალის განმეორებას, რაც იგი უკვე კარგადაა დასწავლილი?

ეს საკითხი განსაკუთრებით ამერიკელ ფსიქოლოგებს აქვს შესწავლილი. მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, საჭიროა ცოტა მაინც შევიკრდეთ მასზე.

საერთო დასკვნა, რომელიც ჰიპერფიქსაციის შესახები ცდებიდან გამომდინარეობს, ასეთია: ჰარბი განმეორების დადებითი მნემური ღირებულება განსაზღვრულ ფარგლებში (განსაკუთრებით პირველი ზედმეტი განმეორებების ფარგლებში) უდოა: იგი დაბახსოვრების განმტკიცებაში იჩენს თავს. ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც, მაგალითად, ზეპირად დასწავლილ ლექსს კიდევ ვკითხულობთ, კიდევ ვსწავლობთ, ეს უაზრო ღრის



კარგვად არ ჩაითვლება: ეს ლექსი უფრო ხანგრძლივად გვამახსოვრდება. ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ამ ხერხს არ მივმართავთ.

7. იოსტის კანონი. განმეორებათა ადგილმდებარეობის კანონს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა, თუ რომ თანამიმდევარ განმეორებათა უწყვეტი რიგი გვაქვს მოცემული. თუ რომ იგი ერთხანს წყდება, რათა შემდეგ კვლავ განახლდეს, მაშინ ცოტა განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მართლაცა, ამ შემთხვევაში შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ განმეორებათა ერთი სერიის ნაცვლად, რამდენიმე სერია გვაქვს. და, მაშასადამე, თითოეული განმეორების ადგილმდებარეობა და ამასთან ერთად მისი მნემური ღირებულებაც შესატყვისად უნდა შეცვლილიყო. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში განმეორებათა შორის ჩართული ინტერვალების ხანგრძლიობას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა: როდესაც ინტერვალის მცირეა, მაშინ სერიის შეწყვეტაზე ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს ინტერვალის უფრო ხანგრძლივია. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, გამოსარკვევია, აქვს თუ არა განმეორებათა შორის ჩართული ინტერვალების ხანგრძლიობას რაიმე მნემური ღირებულება.

ამ საკითხზე ცნობილი იოსტის კანონი (1897) იძლევა პასუხს: ვიზუალური მასალის (მარცვლების, სიტყვების, ციფრების) ზეპირად დასამახსოვრებლად იმ შემთხვევაში უფრო ნაკლები განმეორებაა საჭირო, როცა განმეორებათა შორის ჩართული ინტერვალის უფრო ხანგრძლივია, ვიდრე იმ შემთხვევაში. როცა ეს უკანასკნელი ხანმოკლეა.

ეს იმას ნიშნავს რომ, ვთქვათ, თუ რომ ლექსის დასამახსოვრებლად ოცქერ მისი ზედიზედ წაკითხვაა საჭირო, გაცილებით ნაკლებჯერ მოგვიხდება მისი წაკითხვა, თუ რომ, მაგალ., ოთხი დღის განმავლობაში ვისწავლით: დღეში მაშინ ხუთ-ხუთი განმეორება კი არა, გაცილებით ნაკლები იქნება საჭირო. პიროვნება შემდეგი რიცხვები მიიღო:

20 ციფრის დასამახსოვრებლად საკმარისი აღმოჩნდა: როდესაც ინტერვალის ხანგრძლიობა იყო 1½ მინ. — 11 განმეორება; 2 მინ. — 7,5 განმ.; 5 მინ. — 6 განმ.; 10 მინ. — 5 განმ.; 20 მინ. — 24 საათამდე — 4,5 განმ.

კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოხატული იოსტის კანონი, როდესაც საქმე მორტორული ჩვევებისა. შუთვისების საკითხს ეხება (ს ნ ო დ ი).

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონს აბსოლუტური ძალა აქვს? განა შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო გავახანგრძლივებთ ინტერვალს, სულ უფროდაუფრო უკეთეს შედეგს მივიღებთ? რასაკვირველია, ამისი თქმა სწორი არ იქნებოდა. თავისთავად ცხადია, ძლიერ ხანგრძლივი ინტერვალი დამახსოვრების კი არა, დავიწყების ფაქტორს წარმოადგენს: დღეს რომ ორჯერ წავიკითხოთ ლექსი და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში მას აღარ შეეხვით, უეჭველია, ბოლოსდაბოლოს, მისი აღარაფერი გვეხსომება.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, იოსტის კანონს განსაზღვრულ ფარგლებში უნდა ჰქონდეს ძალა: უნდა არსებობდეს რაღაც ხანგრძლიობის ინტერვალი, რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობას უნდა წარმოადგენდეს დამახსოვრების პროცესისათვის— უნდა არსებობდეს ოპტიმალური ინტერვალი, რომელიც უფრო ხანმოკლე ინტერვალსაც სჯობს და უფრო ხანგრძლივსაც. არსებული გამოკვლევების მიხედვით, ასეთი ინტერვალი, როგორც ზემომოყვანილი ციფრებიდან ჩანს, 10 წუთსა და 24 საათს შუა უნდა მდებარეობდეს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ იოსტის კანონის საბოლოო ფორმულა ასეთი იქნებოდა: ყოველი მასალის დასამახსოვრებლად საჭირო განმეორებათა მინიმალური რაოდენობა დამოკიდებულია ამ განმეორებათა შორის ჩართული ინტერვალების ოპტიმალურ ხანგრძლიობაზე.

8. მთლიანად სწავლის კანონი. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ, ჩვეულებრივ, როდესაც, ვთქვათ, ლექსი გვაქვს ზეპირად დასასწავლი, უფრო ხშირად მას ნაწილ-ნაწილ ვსწავლობთ ხოლმე: ჯერ ერთ სტროფს დავისწავლით, მერე — მეორეს და ასე ბოლომდე. თუმცა იაიცი უნდა ითქვას, რომ ყველა ყოველთვის ასე არ იქცევა: ზოგი მთლიანად სწავლობს ლექსს, გაუნაწილებლად, იბადება საკითხი: რომელი წესი უფრო ეკონომიურია, მთლიანობითი, თუ ნაწილ-ნაწილობრივი?

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად სჯობს ამ საკითხს, მათი შედეგების განხილვიდან ნათლად ჩანს, რომ სწავლის ნორმალურ პირობებში საშუალო მოცულობის ტექსტის თუ უაზრო მარცვლების სერიის სწავლა — თუ მცირე გამონაკლის მხედველობაში არ მივიღებთ — მთლიანი (გლობალური) მეთოდით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნაწილობრივით (ფრაგმენტულით).

რიდი ყველაზე ეკონომიურად იმ მეთოდს სთვლის, რომელსაც იგი „პროგრესულს“ უწოდებს და რომელიც ფრაგმენტულისა

და გლობალური წესის ერთგვარი შერიგების ცდას წარმოადგენს: ცდისპირი ნაწილ-ნაწილ სწავლოზს მასალას, მაგრამ ასეთი წესით: ჯერ ლექსის ერთ სტროფს დაისწავლის, მერე მეორეს, მერე ორივეს ერთად და შემდეგ მესამეს და სამივეს ერთად, მეოთხესა და ოთხივეს ერთად და ასე შემდეგ: სანამ ლექსი არ ეცოდინება ზეპირად, თუ სწორია, რომ ნაწილ-ნაწილ სწავლის წესის ნაკლი ისაა, რომ მას ცალკე დასწავლილი ნაწილების გადაერთიანებლად ახალი, საგანგებო ენერგია სჭირია, მაშინ, როგორც ეს ჯერ კიდევ პეკუტეინმა ნათელყო (1921), რი დის პროგრესული მეთოდი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მონიანი ცეხება ამავე საკითხს. იგი ასეთ რჩევას იძლევა: ახალი მასალის სწავლა მთლიანი წესით უნდა იქნეს დაწყებული, რათა მთლიანის საერთო სტრუქტურა და აზრი თავიდანვე საკმაოდ გათვალისწინებული იქნეს. ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით კუდად გვამახსოვრდება, ცალკალკე უნდა იქნეს დასწავლილი, და შემდეგ, ხელახლა რამდენიმეჯერ მთლიანი წაკითხვის გზით. მთელში თავთავის ადგილას განცდილი. ამ გზით თავიდან იქნება აცილებული ორივე წესის ნაკლი, და გაერთიანებული იქნება ყველა ის უპირატესობა, რომელიც თითოეულს მათგანს აქვს.

## დავიწყება

1. დავიწყების ორი ცნება. დავიწყება უქვეელი ფაქტია. რაც რდესმე გვისწავლია, ყველაფერი როდი რჩება ჩვენს მეხსიერებაში: რამდენი ლექსი გვეცოდნია ზეპირად! რამდენი გრამატიკული ან მათემატიკური ფორმულა! და აქედან დიდი უმრავლესობა დღეს დავიწყებული გვაქვს. განა ყველაფერი, რაც სწავლის დასრულებისას, გამოცდისათვის რომ ვემზადებოდით, ვიცოდით, დღესაც უკლებლივ გვახსოვს? რასაკვირველია, არა. და ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც მარტო მე კი არა, ყველას ეხება. როდესაც სკოლაში. რასმე ვასწავლით, თავიდანვე ვიცით, რომ მომავალში ბევრი რამ დავიწყებული იქნება და დავიწყებული უნდა იქნეს. არსებობს ზოგიერთი სასწავლო საგანიც კი, რომელსაც მთელი წლობით ასწავლიან და რომელსაც მხოლოდ როგორც მოსამზადებელ სალენუსს აქვს რომელიმე სხვა საგნის მიმართ მნიშვნელობა. როგორც კი შეასრულებს იგი თავის როლს, ე. ი. ამ მეორე საგნისათვის მომზადებას უზრუნველყოფს, მას ყოველი აზრი ეკარგება, და ბევრი რამ, რაც მის შინაარსში შედიოდა, დავიწყებული უნდა იქნეს როგორც სრულიად ზედმეტი და უსარგებლო. შეიძ-

ლება ითქვას, რომ უდიდესი ნაწილი იმისა, რასაც სკოლაში გვასწავლიდნენ — გაკვეთილების შინაარსი, რომელსაც ყოველდღიურად ვაწვავლობდით და მეორე დღისათვის კარგად ვიცოდით — შეიძლება ითქვას, რომ. თუ ყველაფერი არა, ამის უდიდესი ნაწილი მაინც დავიწყებული გვაქვს.

რა უნდა დავასკვნათ აქედან? ნუ თუ ყველაფერი ეს უნაყოფო დროისა და ენერჯიის ხარჯვა იყო? ნუ თუ ახალგაზრდობის საუკეთესო წლების ამოდენი ენერჯია ტყუილუბრალოდ გაიფლანგა! რასაც ვკირველია. ასეთი დასკვნა დაუსაბუთებელი იქნებოდა. მე რომ სკოლაში არ მესწავლა ყველაფერი ის, რასაც ვსწავლობდი და რაც ეხლა დავიწყებული მაქვს, განა შეიძლება თქვას კაცმა, რომ სავსებით ისეთივე ვიქნებოდი, როგორც დღეს ვარ? განა ყველაფერი ეს ერთგვარ მონაწილეობას არ ღებულობდა ჩემი განვითარების, ჩემი ჩამოყალიბების პროცესში. ჩემს, ასე ვთქვათ, „ისტორიაში“?

ყოველი ადამიანი თავისი წარსულის პროდუქტს წარმოადგებს, და ამდენად წარსული კვლავ განაგრძობს მასში არსებობას, სანამ თვითონ ეს ადამიანი არსებობს. მაშასადამე, ცხადია, დავიწყება წარსულის აწმყოში მოქმედებას ანუ მეხსიერების ყველა მონაპოვარის სრულ აღკვეთას როდი ნიშნავს. დავიწყება მხოლოდ იმის აღკვეთას წარმოადგენს. რაც, ცოდნის თუ სხვა ფსიქიკური შინაარსის სახით, ცნობიერებაში გვექონდა დაცული: დავიწყება მხოლოდ ცნობიერებას ეხება. მაგრამ, უეჭველია, ბევრი რამ მეხსიერებას ცნობიერების გარეშეც აქვს გაკეთებული, და დავიწყება შეიძლება ამას ყოველთვის არ ეხებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, ზემოდ აღნიშნული ფაქტები მიგვიჩვენებენ, რომ დავიწყება ორი სრულიად განსხვავებული აზრით მაინც უნდა იქნეს გაგებული: გაქრობა იმისა, რაც წარსული შთაბეჭდილებებიდან ცნობიერებაში იყო შემონახული, და მოსპობა იმისა, რაც წარსულიდან პიროვნებაში ცნობიერების გარეშე იყო დაცული.

როდესაც ზემოდ დავიწყების შესახებ ვლაპარაკობდით, ჩვენ ამ ცნების პირველი მნიშვნელობა გვექონდა სახეში, და საზოგადოდაც, დავიწყების ცნება. ჩვეულებრივ. მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარება.

ნამდვილად მას მეორე მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ბავშვობაში რომ ლექსები მისწავლია, შეიძლება აღარც ერთი აღარ მახსოვდეს, ზეპირად თქმა აღარც ერთის აღარ შემეძლოს — მაშასადამე, სრულიად დავიწყებული მქონდეს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დამახსოვრების პროცესი ასე მიმდინარეობს: დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება

ჩვენზე, როგორც პიროვნებაზე, მოქმედობს და შესატყვისი განწყობის სახით ჩვენი პიროვნების გარკვეულ მოდიფიკაციას ქმნის. მაშასადამე, ამ შთაბეჭდილების არა მარტო განცდა გვაქვს, როგორც ცნობიერების გარკვეული ფენომენი, არამედ მისი შესატყვისი განწყობაც, როგორც სუბიექტის მდგომარეობა. განცდა განწყობის გარეშე არ ჩნდება, იმიტომ რომ განცდა ყოველთვის თავის სუბიექტს გულისხმობს. მაგრამ სამაგიეროდ განწყობა დისპოზიციანაა, და იგი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს, ე. ი. ყოველთვის შესაძლებელია, რომ სუბიექტმა თავისი აქტიობა ამ განწყობის მიმართულებით გაშალოს. ამის უტყუარ საბუთს შემდეგი ექსპერიმენტული მონაცემი წარმოადგენს. პიპნოტურ ძილში შექმნილი განწყობა გაღვიძების შემდეგაც მოქმედობს, თუმცა სუბიექტს სრული პოსტპიპნოტური ამნეზია აქვს. ე. ი. ცნობიერად არაფერი არ ახსოვს იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომელთა ზეგავლენითაც მას ქვემდებარე განწყობა შეექმნა.

მაშასადამე, შესაძლებელია ბავშვობაში ნაწაწველი ლექსი სრულიად აღარ მახსოვდეს ცნობიერებაში მისი აღარაფერი იყოს დარჩენილი, მაგრამ ის განწყობა, რომელიც ამ ლექსის ზეგავლენით მქონდა შექმნილი, როგორც დისპოზიციანა ამა თუ იმ სახით დატული იყოს, ე. ი. სანამ იმავე პიროვნებას წარმოვადგენ, არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა ამ განწყობის აქტუალიზაცია მოვახდინო, მისი მიმართულებით ვიმოქმედო. წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნება არსებობდა შეიცვალა, სრულიად შეიცვალა, როგორც ამას ზოგიერთ პათოლოგიურ შემთხვევაში აქვს ადგილი. მაშინ, რასაკვირველია, ძველი პიროვნებისა და, მაშასადამე, მისი განწყობების შესახებ ლაპარაკი სრულიად ზედმეტი იქნებოდა. მაშინ ჩვენ კვლავ დავიწყებდითან გვექნებოდა საქმე, მაგრამ ეხლა უკვე ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობით: დავიწყებდითან არა მარტო, როგორც ცნობიერების გარკვეული შინაარსის აღკვეთასთან, არამედ დავიწყებდითან, როგორც წინანდელი განწყობის სრულს გაქრობასთან.

მაგრამ არის პიროვნების არ არსებითი შეცვლის შემთხვევებიც; მაგალ., ადამიანი ბავშვობის ხანაში და სრული მოწიფულობის პერიოდში თითქმის სულ სხვადასხვაა: ამდენად აქ ბავშვობაში შეძენილ განწყობათა გაქრობის შესახებ თითქოს უდაოდ შეიძლებოდა ლაპარაკი. მაგრამ საკმარისია ადამიანი ან მოხუცებულობის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ბავშვობის პერიოდის პიროვნებას დაუახლოვდეს, რომ მას ხელახლა ძველი განწყობები დაუბრუნდეს და ამ უკანასკნელთა ნიადაგზე ძველი მოგონებებიც კი განუახლ-

დეს: როგორც ცნობილია, ბავშვობის დროის განცდები, რომელიც ვაჟივით სრულიად დავიწყებული აქვს, მოხუცებულობის პერიოდში მას ხელახლა აგონდება.

თუ დავიწყების ამ მეორე მნიშვნელობასაც ვიჭონიებთ მხედველობაში, მაშინ ვეღარ ვიტყვი, რომ სკოლაში ტყუილუბრალოდ გაგვიტარებია დრო, რომ ტყუილუბრალოდ გვიხარჯავს ენერგია. ბავშვობაში ნასწავლი მასალის რეპროდუქცია რომ აღარ შემოძლია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მისი აღარაფერი მაქვს შერჩენილი: ჩემი მე, ჩემი პიროვნება ყველა იმ განწყობებით, რომელთა ნიადაგზეც საზოგადოდ შემოძლია აქტიობა ხომ დაუტლია, ხომ განაგრძობს არსებობას! და სწავლას არსებითად, და კერძოდ ყოველს მის ცალკეულ აქტს, ვთქვათ, ამა თუ იმ ლექსის დაზეპირებას, სწორედ პიროვნების განვითარება, სწორედ მისი გარკვეული სტრუქტურის შექმნა აქვს და ჰქონდა მხედველობაში. ჩვენ იმიტომ კი არ გვასწავლიდნენ ლექსს, რომ ეს ლექსი სამუდამოდ დაგვხსომებია, არამედ იმიტომ, რომ ამ ლექსის სწავლას აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა — მას ჩვენში გარკვეული განწყობის შექმნისათვის უნდა შეეწყო ხელი, რომელიც ჩვენი პიროვნების ერთერთ ელემენტად უნდა გადაქცეულიყო. თუ რომ ლექსის სწავლამ ამ მიზანს მიაღწია, მისს ზეპირად ცოდნას ეხლა უკვე აზრი აღარ აქვს, და იგი დავიწყებული უნდა იქნეს.

ამრიგად, დავიწყება ორნაირია: დავიწყება ცოდნის, როგორც ცნობიერი შინაარსისა, და „დავიწყება“ იმ განწყობებისა, რომელიც წარსულის შთაბეჭდილებათა ზეგავლენით ყალიბდება პიროვნებაში. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ჭერჯერობით ჩვენ მხოლოდ დავიწყების პირველი ცნების შესახებ მოგვეპოება ცნობები: იგი დღემდე ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევის საგანს შეადგენს.

2. დავიწყების ფენომენოლოგია. დავიწყების პრობლემა ერთერთი ძირითადი პრობლემა იყო, რომლის კვლევაც მეხსიერების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის უადრეს ამოცანათა წრეში შედიოდა. იგი ჭერ კიდევ ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს მ ა დააყენა და, უნდა ითქვას, არსებითში საბოლოოდ გადაჭრა კიდევ. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ამ საკითხში არსებითად ჭერ კიდევ ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს ი ს პ ო ზ ი ც ი ა ზ ე დგას და მთელი მისი მუშაობა ამ უკანასკნელის შევსებისა და დაზუსტების მეტად არაფერს წარმოადგენს.

დავიწყების ძირითადი კანონი, თუ ძირითადი წესი, უკვე ე ბ ი ნ გ ჰ ა უ ს მ ა აღმოაჩინა. იგი დღემდე ძალაში რჩება. მაგრამ სანამ მის გათვალისწინებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავეცნოთ, თუ რას

წარმოადგენს დავიწყება ფენომენოლოგიურად. ამ საკითხს წინათ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმარისად იყო შესწავლილი.

ჩვეულებრივ, როდესაც დავიწყების შესახებ ლაპარაკობენ, ერთის მხრივ, ნასწავლის შინაარსისა და, მეორეს მხრივ, მის წვერებს შორის არსებული კავშირების დასუსტებას გულისხმობენ.

შტერნი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დავიწყების ცნების შინაარსს მართო ეს ორი მომენტი არ ამოსწურავს. იგი თავის მხრივ ამ მოვლენის შედარებით რთულ აღწერას იძლევა. დავიწყება, შტერნის მიხედვით, სხვადასხვა სიმპტომში იჩენს თავს. პირველი სიმპტომი ისაა, რომ ნასწავლი მასალის ცალკეული წევრები მკრთალდებიან, ბუნდოვანდებიან, გარკვეულობას კარგავენ („ნათელობის დაკარგვა“); ხდება სტატიკური მეხსიერების (პიერონის ტერმინოლოგიით), ე. ი. ცალკეული ელემენტების, ცალკე ხატების მეხსიერების დაქვეითება. მეორე სიმპტომი ასეთია: კავშირები ცალკეულ წევრებს შორის სუსტდება, წყდება და ბოლოს ქრება, ასე რომ მთლიანის ერთიანობა ირღვევა („სიმტკიცის დაკარგვა“). პიერონის მიხედვით, აქ დინამიური მეხსიერების აღკვეთაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მესამე სიმპტომი, რომელშიც დავიწყება იჩენს თავს, იმაში მდგომარეობს, რომ სწავლის პირველადი აქტის შედეგად შექმნილი დისპოზიცია სუსტდება, და დავიწყებულის ხელახლა აღსადგენად, რაც დრო გადის სულ უფროდაუფრო მეტი დრო და ენერგია ხდება საჭირო (ვარჯიშის დაკარგვა“). მეოთხე სიმპტომი, რომელიც დავიწყების პროცესს ახლავს თან, ეს ისაა, რომ ნასწავლის მოსაგონებლად სულ უფრო მეტი და მეტი ძალისხმევა, ნებელობის მეტი დაძაბვა ხდება აუცილებელი („სიტკიცის დაკარგვა“). დასასრულ, შტერნის თქმით, დავიწყება იმაშიც იჩენს თავს, რომ ნასწავლის ფარული გავლენა, რომელიც განათლებასა და ცხოვრების გამოცდილებაში პოულობს თავის გამოხატულებას, თანდათანობით სუსტდება და სულ უფროდაუფრო იშვიათად იჩენს ხოლმე თავს.

შტერნის აღწერა დავიწყების ფენომენისა საკმაოდ სრულია. ოლონდ უკანასკნელი „სიმპტომი“ დავიწყების მეორე ცნებას უფრო ეხება, ვიდრე პირველს, და ამიტომ მას დავიწყების ფენომენოლოგიურ ანალიზში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

8. დავიწყების ძირითადი კანონი და დავიწყების მრუდე. ებინგჰაუსი, სხვათა შორის, ერთს საინტერესო შემთხვევას მოგვითხრობს: მას, როგორც ახალგაზრდა მკვლევარს, ბაირონის რამოდენიმე სტროფის ზეპირად დაწავლა მოუხდა. 22 წლის შემ-

დგ, როდესაც მან ხელახლა მოკიდა ამ სტროფების ზეპირად სწავლას ხელი: აღმოჩნდა, რომ ამათგან სრულიად აღარაფერი ახსოვდა: მას არა თუ ზეპირად განმეორება აღარ შეეძლო მათი, არამედ ნაცნობადაც კი აღარ ეჩვენებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მათი ხელახლა დასწავლა საგრძნობლად (7%-ით) უფრო ადვილი აღმოჩნდა. მისთვის, ვიდრე ტოლი სიძნელის ახალი სტროფების დასწავლა. ებინგჰაუსი დაასკენის: მაშ. ეს სტროფები მთლიანად როდღე დავიწყებია მას --- რაღაც კვალი კიდევ ყოფილა დარჩენილი მის ცნობიერებაში.

მაგრამ, გარდა ამ დაკვირვებისა, ებინგჰაუსს განსაკუთრებული ექსპერიმენტული მასალაც აქვს დაგროვილი, რომელიც ამ დაკვირვების სისწორესა და მის ზოგად ბუნებას ადასტურებს. იგი თავის ცდისპირებს ჩვეულებრივს მენსიერების საექსპერიმენტო მასალას, უაზრო მარცვლებს, აწვდიდა დასამახსოვრებლად. მას შემდეგ, რაც ცდისპირს სრულიად ავიწყდებოდა ნასწავლი, იგი ხელახლა აძლევდა მათ, სხვადასხვა დროს, გარკვეული ინტერვალის დაცვით, იმავე მასალის დასასწავლად. უნდა გარკვეულიყო, ჰქონდა თუ არა ნასწავლს რაიმე კვალი დავიწყების შემდეგაც დატოვებულ; და თუ ჰქონდა, რამდენ ხანს შეეძლო ამ კვალს გაძლება.

თუ, მაგალითად, უაზრო მარცვლების გარკვეული რიგის პირველად დასასწავლად 30 განმეორება იყო საჭირო, იმავე მასალის ხელმეორედ დასასწავლად შემდეგი ციფრები იქნა მიღებული:

დროის ინტერვალი	20 წუთის შემდეგ	1 სათ. შ.	9 ს. შ.	24 ს. შ.	6 დღის	1 თვის შ.
საჭირო განმეორებათა რიცხვი	12 (40%)	17 (57%)	19 (53%)	20 (67%)	23 (73%)	24 (80%)

როგორც ვხედავთ, წინანდელი სწავლის ფაქტს უეჭველი გავლენა აქვს ხელახლა სწავლის პროცესზე. მეორის მხრივ, რაც დრო გადის, ეს გავლენა მით უფრო მცირდება. მაშასადამე, დავიწყება პროგრესულად იზრდება. მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩენას წარმოადგენს, ისეთი მდგომარეობა არასდროს არ დგება, რომ სრული დავიწყების შესახებ შეიძლებოდეს ლაპარაკი: უაზრო მარცვლების რიგი ერთი თვის შემდეგაც კი მხოლოდ 80%-ით აღმოჩნდა დავიწყებული. ამისდა მიხედვით, ებინგჰაუსის მიერ აღმოჩენილი ძირითადი კანონის ფორმულა ასეთი იქნებოდა: რაც უფრო დიდი დრო გადის რაიმე გარკვეული მასალის დასწავლის მომენტიდან,



მით უფრო შორს მიდის მისი დავიწყების პროცესი, მაგრამ აბსოლუტური დავიწყების დონეს ვერასდროს ვერ აღწევს. მოკლედ: დავიწყება განსაზღვრულ ფარგლებში დროის ფუნქციას წარმოადგენს.

მაგრამ როგორია დავიწყების პროცესის მსვლელობა, ამის გამოხატულებას ებინგჰაუსის დავიწყების მრუდე იძლევა. ექსპერიმენტული შედეგების მიხედვით, დავიწყების პროცესი მუდამ უცვლელი ტემპით როდი მიმდინარეობს: თავში მისი სვლა განსაკუთრებით სწრაფია, შემდეგ შედარებით ნელი და, ბოლოს, დგება ისეთი მომენტიც, რომ დავიწყება მხოლოდ ძლიერ ნელის ნაბიჯით თუ მიიწევს წინ. ამ პროცესის თვალსაჩინო გამოხატულებას ებინგჰაუსის დავიწყების მრუდე იძლევა.

ფუკო დავიწყების კანონის ასეთ ფორმულას აყენებს: განხეივება უკუპროპორციულია განვლილი დროის მიმართ. პიერონი ამტკიცებს, ემპირიული მასალა სრულიად არ ეთანხმება ამ ფორმულასო. მისი აზრით, უფრო ახლო ვიდგომებოდით ქეშმარიტებასთან, თუ ვიტყოდით, რომ მეხსიერება განვლილი დროის კვადრატის მიმართაა უკუპროპორციული. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ფორმულაც განსაზღვრულ ფარგლებშია სწორი და მხოლოდ მიახლოებითი ღირებულებისაა.

4. დავიწყების სხვა ფაქტორები. რასაკვირველია, დავიწყება დროის ზეგავლენით ხდება; მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვითონ დროს, როგორც ასეთს, თავისთავად ჰქონდეს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა. არა, იგი თავის შინაარსით ახდენს გავლენას, იმით, რაც მისი მიმდინარეობის პროცესში ხდება. მაშასადამე, დავიწყების ფაქტორები ამ შინაარსში უნდა ვეძიოთ, მის რომელობითს თავისებურებაში, ისე როგორც იმ პირობებშიც, რომლებშიც მას ამ თავისებურებათა გამოვლინება უხდებათ. უეჭველია, რომ ასეთსავე ფაქტორს სუბიექტის ინდივიდუალობაც უნდა წარმოადგენდეს:

1) პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აალის კანონი. იგი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც მასალა განსაზღვრული ვადისთვის მზადდება, მაგალ, გამოცდის ჩაბარების მიზნით; მაშინ იგი უფრო მალე გვაეწვდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფრო ხანგრძლივი ვადისათვის ხდება. მაშასადამე, შეაძლებელია, ერთიდაიგივე მასალა ერთსა და იმავე ადამიანს ერთ შემთხვევაში უფრო ხანგრძლივად შეერჩეს მეხსიერებაში და მეორეში — მალე დაავიწყდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა განზრახვით დაიწყო მან ამ მასალის სწავ-

ლა, ხანგრძლივი დამახსოვრების მიზნით, თუ მხოლოდ გარკვეული დროისათვის. თავისთავად იგულისხმება, ააღის ამ დაკვირვებას ძალიან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: იგი ნათლად ამტკიცებს, თუ რაოდენ დიდი კავშირი აქვს მეხსიერებას პიროვნებასთან, როგორც მთელთან, მის ინტერესებთან, მის მოთხოვნილებებთან. ამიტომ იგი გასაგებად ხდის ცნობილ დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც სპეციალურად გამოცდისათვის დასწავლილი მასალა, ჩვეულებრივ, თითქმის გამოცდის ჩაბარებასთან ერთად ეძლევა დავიწყებას. რასაკვირველია, სათანადო პრაქტიკული დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს.

2) უეჭველია, ერთგვარი კავშირი აქვს ამასთან მეორე ფაქტორს: „სწრაფად დასწავლილი სწრაფადვე გვავიწყდება“-ო, ამბობენ. და მართლაც, როგორც მოიმაინისა და ებერტის ცდებიდან ჩანს, ეს დებულება ექსპერიმენტულადაც მართლდება, ყოველ შემთხვევაში, უაზრო მასალის მიმართ მაინც. რაც შეეხება აზრიან მასალას, აქ, ალბათ, სხვაც ფაქტორების ჩართვის გამო, მდგომარეობა სხვაგვარია.

რაზეა დამოკიდებული სწრაფი სწავლის ეს ეფექტი? ზოგიერთ შემთხვევაში, ალბათ, იმაზე, რომ სწრაფი დამახსოვრება ადამიანს, ჩვეულებრივ, გარკვეული დროისათვის ესაჭიროება. ეს ერთი. და მეორე — გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამას უნდა ჰქონდეს — სწრაფი სწავლის პროცესი საშუალებას არ აძლევს შეთვისებულ მასალას, დასრულდეს მომწიფდეს, პიროვნებაზე სრულად იმოქმედოს. და მასში სათანადო განწყობა გაჰოიწვიოს. „როდესაც ოპტიმალური ინტერვალის დამახსოვრების თანმიმდევარ აქტებს შორის დიდია, მაშინ დამახსოვრებაც უფრო მტკიცე არის ხოლმე“-ო, ამბობს ბალარდი (1913).

3) უფრო კონკრეტული, უფრო თვალსაჩინო მასალა გაცილებით ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში, ვიდრე ნაკლებ თვალსაჩინო და განყენებული. მაგალ., ციფრების, უაზრო მარცვლების, ცალკე ასოების სერები, რომელთაც ეგოდენ ხშირად ხმარობენ მეხსიერების კვლევის პრაქტიკაში, გაცილებით უფრო ადრე ავიწყდება ადამიანს, ვიდრე, მაგალ., ნახატების სერები. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე მართო თვალსაჩინოებაში არ უნდა იყოს: საქმე ისაა, რომ როდესაც დასამახსოვრებელი მასალა ლოგიკურადაა შინაგანად შეკრული — თუნდ მისი ელემენტები განყენებული ხასიათისაც იყოს — იგი მაინც გაცილებით უფრო ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში, ვიდრე თვალსაჩინო ნახატების უბრალო თანმიმდევრობითი რიგი.

4) სიტყვები უფრო დიდხნით ამახსოვრდება ადამიანს, ვიდრე უაზრო მარცვლები; ფრაზა უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ცალკე სიტყვები.

5) მოტორულ ჩვევათა დამახსოვრების სიმტკიცე განსაკუთრებით თვალსაჩინოა და განსაკუთრებით საყურადღებო. მაგალითად, 48 დღის ვარჯიშის შედეგად ერთმა პირმა გავარჯიშების ისეთ დონეს მიაღწია, რომ მანქანაზე 1100 სიტყვას წერდა საათში. 2 წლის განმავლობაში იგი სრულიად აღარ ვარჯიშობდა; მიუხედავად ამისა, 10 დღის ვარჯიშიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას თავისი ძველი ჩვევა მთელი სისრულით ხელახლა აღედგინა (ს ვ ი ფ ტ ი). როგორც ვხედავთ, დამახსოვრების სიმტკიცე აქ პირდაპირ გასაოცარია.

6) მნიშვნელობა აქვს დამახსოვრების სიმტკიცისათვის იმასაც, თუ რა წესით იყო მასალა დასწავლილი — გლობალურის თუ ფრაგმენტული წესით. აღმოჩნდა, რომ პირველი დამახსოვრების სიმტკიცის მზრდივაც სჯობნის მეორეს, ყოველ შემთხვევაში, თუ საქმე უაზრო მასალას ეხება (მ. მაიერ).

5. დავიწყების დადებითი ღირებულება. დავიწყება ყოველთვის ჩვენი სისუსტის, ჩვენი უსრულობის გამოვლენად განიციდება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს განცდა მტკივნეულიც კია. გვინდა მოვიგონოთ — ძალიან ვცდილობთ მოვიგონოთ, და ზოგჯერ „მქადის სახელიც გვავიწყდება“. არის შემთხვევები, რომ არა მარტო მტკიცე ცოდნა და ჩვევა გვისხლტება ხელიდან, არამედ ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვანი დავალება ან დაპირებაც გვავიწყდება ხოლმე. ეს გარემოება ხელს გვიშლის ცხოვრებაში: რიგი ამოცანებისა ისე სწრაფად და ისე ზუსტად ვერ წყდება, როგორც უსათუოდ გადაწყდებოდა, რომ დავიწყებას ადგილი არ ჰქონოდა.

ერთი სიტყვით, დავიწყება, ობიექტურადაც და სუბიექტურადაც, ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაკლი ადამიანის ფილოგენეტური განვითარების პროცესში თანდათანობით შესუსტების გზას ადგეს. პირიქით, არსებობს საბუთები, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მესხიერება ზოგჯერ განსაკუთრებული სიმახვილით უნდა ხასიათდებოდეს: ის, რისი უშუალო დამახსოვრებაც ველურს შეუძლია, კულტურული ადამიანისათვის ხშირად სრულიად მიუღწეველია. მაშასადამე, დავიწყება რაღაც დადებითს როლსაც უნდა ასრულებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ბედი ფილოგენეტური განვითარების მიმდინარეობაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

გარდა ამისა, არსებობს საკმაოდ ფართოდ გავრცელებული აზრი ფსიქოლოგიაში, რომლის მიხედვითაც ყველა ჩვენს მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ფსიქიკურ პროცესს რაღაც აზრი უნდა ჰქონდეს, და ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამ აზრის გაგება შეადგენს (ე. წ. „გაგებებითი ფსიქოლოგია“ შპრანგერი, იასპერსისა და სხვ.).

მაშასადამე, საკვირველი არაა, რომ, კერძოდ, დავიწყების აზრის, მისი დადებითი მნიშვნელობის შესახებაც დგას საკითხი. ფსიქონალიზის მამამთავარი, ფრეიდი, განსაკუთრებული გულსუფრით ეპყრობა ამ საკითხს. მისი აზრით, დავიწყება ძალიან დიდს დადებითს როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. როდესაც ადამიანს არ უნდა გულში რისამე გაკეთება, იგი ივიწყებს მას: ვინმეს დაავიწყდა დანიშნული პაემანის დრო — ეს იმას ნიშნავს, რომ გულში მას აღარ უნდა აღნიშნულ პირთან კავშირის გაგრძელება. ვინმეს დაავიწყდა, რომ გუშინ საღამოს კრებაზე უნდა წასულიყო: ეს იმით მოხდა, რომ გულში მას ამ კრებაზე დასწრება არ უნდოდა.

რასაკვირველია, იგულისხმება, რომ დავიწყების მექანიზმს აქ ნამდვილი სურვილი უდევს საფუძვლად — სურვილი, რომლის შესახებაც თვითონ სუბიექტს აჩვეითარი წარმოდგენა არა აქვს და რომელიც, მაშასადამე, არაცნობიერადაა მასში წარმოდგენილი. ჩვენი ნამდვილი მოსწრაფებები, ჩვენი ნამდვილი სურვილები, რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ არც კი ვიცით რამე, ცდილობენ განდევნონ ცნობიერებიდან ყველაფერი, რაც კი ეწინააღმდეგება მათ, და დავიწყებაც სწორედ ამ არაცნობიერად მიმდინარე პროცესის გამოვლენის ერთერთი ფორმააო. მაშასადამე, დავიწყებას, ფრეიდის აზრით, სრულიად გარკვეული დადებითი ღირებულება აქვს.

შტერნი გადაჭრით ამტკიცებს, რომ დავიწყებას პიროვნებისათვის არა მარტო უარყოფითი მნიშვნელობა აქვს: კერძოდ, ცოდნის დაკარგვას, რაც იცოდი, იმის დავიწყებას. შეიძლება ზოგჯერ ნამდვილი განტვირთვის მნიშვნელობა ჰქონდესო. ცხოვრების სხვადასხვა ეპოქა და სიტუაცია ყოველთვის შესაფერი ცოდნის მარაგს მოითხოვს, და გასაგებია, რომ ჩვენმა მარად განსაზღვრულმა ენერჯიამ ზოგი რამ ჩვენი ცოდნის საგანძურადან. რასაც ამჟამად გამოყენება არა აქვს, სრულიად უყურადღებოდ დატოვოსო. ასე ჩნდება დავიწყება, და ვინაჲ ამის უნაჩი არა აქვს, მას, როგორც, მაგალ, ზოგიერთს „პოლიპისტორს“ — ყველაფრის მცოდნეს — არამნემური საქმიანობისათვის, განსაკუთრებით შემოქმედებითი მუშაობისათვის, ძალა აღარ შესწევსო. მოკლედ: შტერნის მიხედვით, ადამი-

ანს ენერჯის განსაზღვრული მარაგი აქვს; და ესაა მიზეზი, რომ იგი, რაც არ სჭირია, ივიწყებს, და ამით, რაც სჭირია, იმის ნობო-  
ვების შესაძლებლობას იძენს.

## მოგონება

1. მოგონება. რა არის მოგონება და რით განსხვავდება იგი მეხ-  
სიერების სხვა ფორმებისაგან? ამის შესახებ ზოგადად ჩვენ უკვე  
ზემოთ გვეკონდა ლაპარაკი. საჭიროა ეხლა უფრო ახლო გავეცნოთ  
ამ ცნებას.

ავილოთ მოგონების რაიმე კერძო შემთხვევა: ერთხელ ქალაქს  
გარეთ მანქანით მივდიოდით. ერთბაშად მეორე მანქანამ ჩამიჭროლა.  
ჩამოდენიძე წუთის შემდეგ ვხედავ — მანქანა ხრანში გადაჩეხილ-  
იყო და დაღეწილიყო. პირველი, რაც აქ განიცდება, ეს იმ ობიექტუ-  
რი ვითარებაა, რომელიც ჩემი მოგონების შინაარსს წარმოადგენს  
(ობიექტური ინდექსი). მეორე მომენტი, ეს ისაა, რომ ჩემს  
განცდაში ეს ფაქტი ეხლა კი არ ხდება, არამედ მას წარსულში,  
სახელდობრ, შარშან, ჰქონდა ადგალი (დროის ინდექსი). მე-  
სამე, რასაც განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება, ეს ისაა,  
რომ ეს ობიექტური ვითარება თავისთავად, როგორც მხოლოდ ობი-  
ექტური მოცემულობა კი არ განიცდება, არამედ როგორც ჩემი  
მაშინდელი აღქმის შინაარსი. მოგონება უბრალოდ ობიექტურ ვითა-  
რებას კი არ გვითვალისწინებს, რომელსაც წარსულში ჰქონია ადგი-  
ლი, არამედ იმას, თუ მე რა განმიცდია წარსულში: მოგონების გან-  
ცდაში ხაზი იმას კი არ ესმის, თუ რა მომხდარა ოდესმე, არამედ  
იმას, თუ მე რისი მოწმე ვყოფილვარ, მე რა აღმიქვამს. მოგონებაში  
ქვეყნის ამბავი კი არა, უფრო ჩემი ამბავია მოთხრობილი. ამი-  
ტომ მოგონებაში ცენტრალურია ადგილი სუბიექტს უკავია. ჩემი მე  
მხოლოდ მოგონებაში მეძლევა, და მოგონებათა გარეშე მისი განც-  
და. როგორც სიცარიელას განცდა, უშინაარსო განცდაა (მეს ინ-  
დექსი). ამ თვალსაზრისით, მოგონება მართლაც სუბიექტის გან-  
ცდილ ისტორიას წარმოადგენს. ამიტომ მას ისტორიულ  
მეხსიერებასაც უწოდებენ.

მოგონება სპეციფიკური ადამიანური თვისებაა: პირუტყვს მო-  
გონება არა აქვს; მაშასადამე, მას არც თავისი ისტორია და არც თა-  
ვისი მე-ს განცდა აქვს. საქმე ისაა, რომ მოგონება განცდას ობიექ-  
ტივაციას გულისხმობს. სუბიექტი არა მარტო განიცდის რასმე,  
ვთქვათ აღიქვამს რასმე, არამედ თვითონ აღქმის ფაქტს აქცევს ყუ-

რადლებას; აღქმის ფაქტი მისთვის ობიექტურ მოვლენად იქცევა; ობიექტური მოვლენა კი სუბიექტურ აქტთან ერთად როდი ისპობა; იგი არსებობას განაგრძობს, მაგრამ როგორც უკვე მომხდარი აქტი: მაშასადამე, იგი როგორც წარსული აწმყოში განაგრძობს არსებობას. ასე ჩნდება წარსულის განცდა და მასთან ერთად საკუთარი მეს განცდაც, რომელიც თავის შინაარსს ამ წარსულში პოულობს.

2. მოგონების დათარიღების საფუძველი. როგორც ვიცით, მოგონებისათვის განსაკუთრებით ისაა დამახასიათებელი, რომ სუბიექტი თავის წარმოდგენებს, როგორც წარსულში ყოფილ აღქმებს, განიცდის: თითოეულს თავის მოგონების წარმოდგენას ამ წარსულში, თავსებს, მის ტემპორალიზაციას ახდენს.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, მოგონებაში ობიექტური ვითარებაც აუცილებელ ელემენტად შედის: მოგონება უთუოდ რაიმე ობიექტურ შინაარსს ეხება. მაგრამ ამ შინაარსს, როგორც ობიექტურს, ობიექტურ დროში უკავია თავისი გარკვეული ადგილი. მაშასადამე, თავისი მოგონების დათარიღების პროცესში, თავის წარმოდგენების ტემპორალიზაციისას, სუბიექტი იძულებული ხდება, ობიექტური დროის თარიღიც მიიღოს მხედველობაში და თავისი განცდის ადგილი წარსულში მათი საშუალებით გახადოს ყველასათვის გასაგები.

ობიექტური დროის თარიღებს კი ისტორიული მოვლენები ქმნიან; ობიექტური დროის შინაარსს ადამიანთა საერთო ისტორიული წარსული შეადგენს. ამრიგად, სუბიექტის საკუთარი წარსული, რომელიც მისი მოგონების სახით გვეძლევა, საზოგადოების ისტორიული წარსულის მიმდინარეობას ერთვის და მისი თარიღების მიხედვით ხდება გასაგები. ზემოთ აღწერილი კატასტროფა მსოფლიო ომის დაწყებას წელში მოხდა. ამის შემდეგ ჩემი მოგონების ტემპორალიზაცია სრულიად გარკვეულ სახეს ღებულობს: იგი ისეთ ფაქტს უკავშირდება, რომლის განცდაც თითოეული ჩვენგანის წარსულს საერთო მნიშვნელოვან განცდას წარმოადგენს (ბლონდელი).

3. მოგონების აწმყოზე დამოკიდებულება როგორც მისი ფაქტორი. მოგონება წარსული განცდების აწმყოში განახლებას წარმოადგენს. მოგონება ყოველთვის აწმყოში ხდება. მისი შინაარსია წარსული, განვლილი, უკვე მომხდარი ფაქტი, თორემ თვითონ მოგონების აქტი წმინდა აქტუალური პროცესია. მოგონება, ჩვეულებრივ, თავისთავად და თავისთვის როდი ჩნდება — იგი ჩვენი აქტუალური ინტერესის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აქტუალდება. მაშასადამე, იგი არა მხოლოდ წარსულზე, არამედ აწმყოზედაც უნდა იყოს დამოკიდებული: რაღაც გავლენას მასზე ჩვენი აქტუალური მოთხო-

ენილებებიც უნდა ახდენდნენ, რაკი იგი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნითაა აღმოცენებული.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი მოგონება მხოლოდ უცვლელ პირს როდი უნდა წარმოადგენდეს ჩვენი წარსულის განცდებისას, მათ სარკისებურ ასახვას, მათ უბრალო განმეორებას, არამედ იგეგმავს თავისებურსაც უნდა შეიცავდეს, რაც აწმყოს ინტერესებისათვისაა საჭირო. და მართლაც, მოგონების ზუსტი შესწავლა უდაოდ ამტკიცებს, რომ იგი არაერთარ შემთხვევაში წარსულის უცვლელ ასახვას არ წარმოადგენს: იგი უფრო რეკონსტრუქციაა წარსულისა. ვიდრე მისი უცვლელი პირი.

სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილებების თვალთ უდგება წარსულს. და მისი აღდგენა ამ მოთხოვნილებების მიხედვით ხდება. თავისთავად იგულისხმება, ამ პირობებში წარსული არასდროს თავისი უცვლელი სახით არ გვევლინება: მოგონებაში იგი ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად სახეშეცვლილია. მოგონება, მაშასადამე, ყოველთვის ილუზიურია: იგი წარსულის ზუსტ სურათად მოგვაჩვენებს იმას, რასაც ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ შორეული მსგავსება ჰქონდეს მასთან.

მოგონება, როგორც ვიცით, სამი აუცილებელი მომენტის — ობიექტური ვითარების, სუბიექტისა და დროის — გამთლიანებულ ერთობლიობას წარმოადგენს. მაშასადამე, მისი ბუნებისა და მოქმედების გასაშუქებლად სამივე ამ მომენტის გათვალისწინებაა საჭირო.

ყველაზე უკეთ მოგონება მისი სუბიექტური შინაარსის მიხედვითაა შესწავლილი: თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში მთელი განყოფილება არსებობს, რომელიც კარგა ხანია „ჩვენებათა ფსიქოლოგიის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

თითქმის სრულიად შეუსწავლელია მოგონების ორი დანარჩენი მომენტი. ჩვენ მოკლედ ჯერ ამაზე შევჩერდებით, რათა შემდეგ უფრო მეტი დრო ჩვენებათა ფსიქოლოგიის განხილვას მოვანდომოთ.

4. ობიექტური და სუბიექტური წარსული. ობიექტურად თითოეული ჩვენგანის წარსული დრო ხაზისებურ მდინარებას წარმოადგენს, რომლის თითოეული მომენტიც სიშორე აწმყოდან მისი ქრონოლოგიური თარიღით განისაზღვრება: რაც უფრო ადრე მომხდარა რაიმე მით უფრო შორეულ წარსულს ეკუთვნის იგი. მაგრამ ეს მხოლოდ ობიექტურად არის ასე. სუბიექტურად, ე. ი. მოგონებაში — როგორც ამას განსაკუთრებით შტერნმა მიაქცია ყურადღება — მდგომარეობა სხვანაირია. წარსულის ობიექტური ქრონოლოგიური რიგი და მისი სუბიექტური განცდა, ანუ მოკლედ, ობიექტური და სუბიექტ-

ტური წარსული, ყველა თავისი წერტილებით როდი ემთხვევა ერთმანეთს. არა, შესაძლებელია ქრონოლოგიურად დიდი ხნის მომხდარი ფაქტი მთელი თავისი პლასტიკურობით აღგეს ჩვენს თვალწინ და როგორც ახლო წარსულის ფაქტი განიცდებოდეს; მაშინ როდესაც ობიექტურად სულ ახლო წარსულის რომელიმე შემთხვევა როგორც შორეული წარსულის ფაქტი გვაგონდებოდეს, რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო აწმყოსთან. მაგალითად, სკოლის დასრულების შემდეგ X პროფესიულ საქმიანობაში ჩაება. რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ სწავლას დაუბრუნდა. უეჭველია, ეხლა მისი მოწაფეობის პერიოდი უფრო ახლო იქნება მის განცდაში აწმყოსთან, ვიდრე პროფესიული მუშაობის ობიექტურად ახლო წარსულის განცდები. მოხუცებულობის ხანაში ბავშვობის განცდები უფრო გვაგონდება, ვიდრე ახლო წარსულისა. ყველაფერი ეს ასეც უნდა იყოს: თუ მოგონებას აწმყოს ინტერესები და განწყობები განსაზღვრავს, მაშინ გასაგებია, რომ მოხუცსაც, რომელიც თავისი ინტერესებით ბავშვს უახლოვდება, და მოსწავლესაც ის აგონდება, რაც უფრო ახლოს დგას მის აქტუალურ ინტერესებთან.

5. აწმყოს განცდის გავლენა წარსულზე. აწმყოს ინტერესებისა და მოთხოვნილებების გავლენით, მოგონებათა სუბიექტური მომენტიც განიცდის ერთგვარ მოდიფიკაციას. ვთქვათ, X-მა Y-ის მიმართ თავისი დამოკიდებულება შეცვლა: იგი ეხლა Y-ს, რომელსაც წინათ ებრაძოდა, განაყოფიერებულ სიმპათიით ეპყრობა. უეჭველია, მისი მოგონებები ამ ცვლილების ზეგავლენით სხვა მიმართულებასა და ხასიათს მიიღებენ. ის ფაქტები Y-ის წარსულიდან, რომელთა მიმართაც მას წინათ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, ახლა მას სხვანაირად მოეჩვენება: მოაგონდება მათში ბევრი რამ ისეთი, რასაც წინათ უყურადღებოდ სტოვებდა, და რაც ეხლა სიმპათიურად აქცევს იმას, ვინც წინათ მისთვის ანტიპათიური იყო (შტერნი).

როდესაც აწმყო უშინაარსო და უაზრო ხდება, მაშინ ადამიანი წარსულისაკენ შვრება პირს და მისდამი განსაკუთრებულ მიდრეკილებას გრძნობს. წარსულის უმნიშვნელო განცდები ეხლა ხშირად მის თვალში აზრითა და მნიშვნელობით ივსება და მოგონებაში ამის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის. მოხუცს ძველი ყველაფერი უკეთესად ეჩვენება, ვიდრე ახალი — მისთვის ცხოვრება გაუმჭობესების კი არა, გაუარესების გზას აღგია.

შტერნი მათუთიებს, რომ აწმყო მაშინაც ახდენს თავისებურ გავლენას წარსულის განცდებზე, როდესაც იგი, პირიქით, შინაარსით



აღსავსეა და ბედნიერების წყაროდ განიცდება. როდესაც უკიდურეს გაჭირვებასა და სიღარიბეში აღზრდილი პირი რადიკალურად საწინააღმდეგო მდგომარეობაში ვარდება, იგი ზოგჯერ ხალხით იგონებს ხოლმე თავის წარსულს და თავისი წინანდელი ცხოვრების უმწარეს წუთებს ალბათ იმატომ, რომ ბედნიერი აწმყოს განცდა უბედურ წარსულთან დაპირისპირების გამო კიდევ უფრო ინტენსიურად ხდება.

## ჩვენების ფსიქოლოგია

მოგონებას ობიექტური მომენტიც აქვს: იგი რაიმე ობიექტურ ვითარებას ეხება; მასში წარმოდგენის სახით ცოცხლდება, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი. გასაგებია ამიტომ, რომ მას სისწორე მოეთხოვება: ობიექტური ვითარება ობიექტური სისწორით უნდა იქნეს გადმოცემული. შემუარები არა მარტო ავტორის პიროვნების გასაცნობადაა საინტერესო: ისინი ისტორიულ დოკუმენტებსაც წარმოადგენენ, და მათში მოთხრობილი ამბები შეთხზული კი არა, ნამდვილი უნდა იყოს.

სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად შეიძლება მოგონებაში იმის სისწორით აღდგენა, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი. გოეთე მართალი იყო, როდესაც ამბობდა — ყოველი მოგონება ნამდვილია და შეთხზულის შერწყმას წარმოადგენს (Wahrheit und Dichtung თანამედროვე ფსიქოლოგიაში ეს დებულება ექსპერიმენტულადცაა დამტკიცებული. მოგონება, რომელიც არსებითად წარსულის სწორი აღდგენის განზრახვას ემსახურება, ზუსტად ვერასდროს ამ თავის მიზანს ვერ აღწევს: ობიექტური სინამდვილე ასე თუ ისე ყოველთვის დამახინჯებულია მასში. ე. წ. „ჩვენების ფსიქოლოგია“ მიზნად ისახავს მოგონებისა და სინამდვილის შეთანხმებულობის და შეუთანხმებლობის პრობლემები სპეციალური კვლევის საგნად აქციოს.

1. კვლევის მეთოდები. ჩვენების ექსპერიმენტული შესწავლა, ჩვეულებრივ, ორნაირად წარმოებს: ერთის მხრივ, ცნობილია ე. წ. „ს უ რ ა თ ი ს ც დ ა“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცდისპირს განსაზღვრული ხნით სურათს აჩვენებენ და—ამა თუ იმ დროს ინტერვალის განვლის შემდეგ — მის აღწერას ავალებენ; მეორის მხრივ, „შ ე მ თ ხ ე ე ვ ი ს ც დ ა“ ან „ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ც დ ა“, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ მოგონების საგნად ცოცხალი სინამდვილის რაიმე ნამდვილი შემთხვევაა აღებული: ცდისპირს რაიმე სპეციალურად მოწყობილი შემთხვევის აღწერას ავალებენ.

ცდისპირის ჩვენება ორგვარი წესით გროვდება: მოხსენების გზით— ცდისპირი გადაბმით და დამოუკიდებლად მოგვითხრობს ყველაფერს. რაც ახსოვს; დაკითხვის გზით — მას წინასწარ დამუშავებული ცალკე კითხვები ეძლევა სათანადო ფორმით (შთამაგონებელი კითხვების გვერდის აქცევით).

2. ჩვენების ფსიქოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენების ფსიქოლოგიის კვლევის შედეგებს განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვთ. საქმე ისაა, რომ არსებობს ცხოვრების მთელი დარგები, რომელთათვისაც ამა თუ იმ მომხდარი ფაქტის სწორ აღდგენას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; მაგალ., სასამართლოს პრაქტიკაში მოწმის ჩვენებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოდ, სადაც საქმე წარსულის აღდგენას ეხება, იქ თვითმხილველისა და თანადამხდურის მოწმობაზე უფრო საიმედო საბუთი არ არსებობს. ამიტომ ჩვენების ფსიქოლოგიას ზოგ შემთხვევაში მეცნიერული კვლევა-ძიებისათვისაც აქვს მნიშვნელობა. მაგალ., წარსული პირველ რიგში ისტორიას აინტერესებს. მისთვის თანამედროვეთა და თვითმხილველთა მოწმობებს განსაკუთრებით დიდი ღირებულება აქვს. მაგრამ რამდენად სანდოა მოწმის ჩვენება, რომელიც მთელი საქმის ვითარების აღწერას გულწრფელად ცდილობს, ან მემპტიანის „მართალი თქმულებანი“, რომელიც სინამდვილის მხოლოდ-და სარკისებური ასახვის მიზნით არიან ჩაწერილნი? რა დამოკიდებულება არსებობს მოგონებასა და სინამდვილეს შორის და როგორ უნდა შევადგინოთ და შევავსოთ მოგონებები. ყველაფრის ამის გარკვევა ჩვენების ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს.

გასაგებია, რომ კრიმინალისტიკა და ისტორიული კრიტიკა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენების ფსიქოლოგიის მიმართ. პირველი გამოკვლევები ამ დარგში ვ. შტერნსა (1902) და მ. ვერთჰაიმერს ეკუთვნის. შტერნი სულ უკანასკნელ ხანამდე იყო ჩვენების ფსიქოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებული და ამ დარგის განსაკუთრებით თვალსაჩინო ავტორიტეტად უნდა ჩაითვალოს. მის უკანასკნელ წიგნში ჩვენების ფსიქოლოგიის შედეგების მოკლე განხილვაა მოცემული. ჩვენთვის საკმარისი იქნება, თუ იმ დასკვნებს გავეცნობით, რომლებზეც, შტერნის მიხედვით, თანამედროვე ჩვენების ფსიქოლოგიაა შეჩერებული.

8. ჩვენების ფსიქოლოგიის მთავარი შედეგები. მრავალრიცხოვან გამოკვლევათა ძირითადი შედეგი, რომელიც კვლევის ძალიან

განსხვავებულ პირობებში იქნა მიღებული, და ამიტომ შეუძლებელია რაიმე ექვს იწვევდეს, ასეთია: „100%-ით სწორი მოგონება არ არსებობს“, ე. ი. არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ წარსული სრული სიზუსტით, სრულიად შეუცდომლად ყოფილიყო მოგონებაში აღდგენილი: მოგონებას მეტი თუ ნაკლები ოდენობით ყოველთვის შეცდომაში შევეყვართ. ეს დებულება ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც ცდისპირს დაკვირვების, დამახსოვრებისა და შემდეგ გახსენების მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში ვაყენებთ.

შტერნმა საგანგებოდ მოაწყო ასეთი ცდა: მან თავის ცდისპირებს — განათლებულ მოზრდილებს — მარტივი, არააფექტური შინაარსის სურათები მისცა ხელთ: რამდენიც გინდათ, იმდენი ათვალიერეთ ეს სურათები და, როდესაც კარგად დაიმახსოვრებთ მათ შინაარსს. მიაშებთ მხოლოდ ის, რის შესახებაც მტკიცედ ხართ დარწმუნებული, რომ სრულიად შეუცდომლად გახსოვთო. შედეგი პირდაპირ გასაოცარი აღმოჩნდა: ცდისპირების ჩვენებებიდან საშუალოდ 5% მაინც შემცდარი გამოდგა, და რაც მთავარია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს შეცდომები სურათის შინაარსის არა არსებობის მომენტებს ეხებოდა.

დასკვნა აქედან ნათელია: არ არსებობს მოწმე, თანადამხდური და თვითმხილველი, რომ მისი ჩვენება 100%-ით ნდობის ღირსი იყოს. მაშასადამე, საჭიროა საგანგებოდ იქნეს შესწავლილი, თუ საიდან მომდინარეობს ჩვენების აუცილებელი შეცდომები.

4. შეცდომის ფაქტორები. შტერნი პირველ ადგილას პირველადი განცდის — აღქმისა და ყურადღების — ფაქტორს აღნიშნავს. მას მხედველობაში აქვს ის შემთხვევები, როდესაც სუბიექტს თვითონ აღქმის დროს აქვს შეცდომა, ანდა ყურადღებას არ აქცევს ზოგიერთს რასმე, რასაც შეიძლება საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აღმოაჩნდეს. ასეთ შემთხვევებში, რასაკვირველია, სრულიად შეუძლებელია, ჩვენება საქმის ობიექტურ ვითარებას სწორად გადმოგვცემდეს. მაგრამ ეს ხომ მეხსიერების ბრალი არაა! სუბიექტს რომ სწორად აღექვა და ყურადღება მიექცია იმისათვის, რაც ყურადღების გარეშე დარჩა, განა დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მაინც მცდარ ჩვენებას მოიკემოდა? რასაკვირველია, არა. ჩვენთვის მოგონების მცდარობის ფაქტორებია საინტერესო. და არა ჩვენების მცდარობისა საზოგადოდ.

ა) ამ მხრივ კი განსაკუთრებით საგულსხმო ფაქტორს დროის ფაქტორი წარმოადგენს. რაც უფრო დიდი დროა განვლილი აღქმის მომენტსა და მოგონების მომენტს შორის, მით უფრო მეტი შე-

ცდომბა მოსალოდნელი. ამისი მიზეზი არა მარტო ისაა, რომ დავიწყების პროცესი ძლიერდება, არამედ ისიც, რომ შემცდარი ჩვენებების რიცხვი იზრდება: საქმე ისაა, რომ ზოგჯერ დაგვიანებული გამოკითხვის დროს მეტს ჩვენებებს იძლევიან, ვიდრე უფრო ადრე ჩატარებული გამოკითხვის დროს. ასე რომ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამ ხნის განმავლობაში მეხსიერებას ერთგვარი გაუმჯობესება განეცადოს. ნამდვილად კი სწორედ საწინააღმდეგოს აქვს ადგილი. შტერნის შემოაღნიშნულ ცდებში, მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების გავლენის შესახებ, აღმოჩნდა, რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ ცდისპირები, მართალია, ჩვენებების ცოტა უფრო მეტ რიცხვს იძლეოდნენ, მაგრამ სამაგეროდ შეცდომები ერთიორად მეტი ჰქონდათ (ნაცვლად 5%-ისა 10%).

ბ) ჩვენების სისწორეზე თვალსაჩინო გავლენა აქვს იმას, თუ როგორ იძლევა სუბიექტი ჩვენებას. შტერნის მიხედვით, თავისუფალი თხრობის შემთხვევაში შეცდომათა რიცხვი 6% აღმოჩნდა, ხოლო გამოკითხვის წესმა ეს რიცხვი 33%-მდე ასწია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ გამოკითხვის დროს შთაგონების ფაქტორს ეძლევა გასაქანი, რაც თავისუფალი თხრობის შესახებ ვერ ითქმის. აქ სუბიექტი მხოლოდ იმის შესახებ იძლევა ჩვენებას, რაც შედარებით უკეთ ახსოვს. გამოკითხვის დროს კი იგი იძულებული ხდება იმაზეც ილაპარაკოს, რაც შესაძლებელია სრულიადაც არ ახსოვდეს. რა თქმა უნდა, მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ ეს მას არ ახსოვს. მაგრამ ძალიან ხშირად შთამაგონებულ გავლენას უკვე კითხვის დასმა ახდენს, და იშვიათია შემთხვევა, რომ ცდისპირი ამ გავლენას არ ემორჩილებოდეს. და აი. აქ თვითონ კითხვის შინაარსსა და მცდარ ფორმას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენების ექსპერამენტების ერთერთს უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად შტერნი ე. წ. შთამაგონებელი კითხვების როლის გაშუქებას სთვლის. აღმოჩნდა, რომ თუ კითხვა სათანადოდ არაა ფორმულირებული და შესაფერისი ტონით გამოთქმული, იგი ხელს კი არ უწყობს, არამედ ხელს უშლის სწორ მოგონებას: „განა არ გახსოვთ, რომ მას ხელში ჭოხი ეკავა?“ ასე დასმულ კითხვაზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იძლევიან უარყოფითს პასუხს. შტერნის ცდებში ასეთი კითხვების შთაგონების კოეფიციენტი 25% აღმოჩნდა, ე. ი. ყოველს ოთხს შთამაგონებულ კითხვაზე ერთი შემცდარი პასუხი მოდიოდა.

შთამაგონებელი კითხვის ასეთი გავლენა გასაგებია. როგორც ვიცით, შთაგონება სათანადო განწყობის შექმნაში მდგომარეობს. მაგ-

რამ თუ სუბიექტს განწყობა გაუჩნდა — კაცს ჯოხი უნდა ჰქონოდა ხელშიო — მაშინ მას სწორედ ჯოხიანი კაცის სურათი წარმოუდგება, და ზოგჯერ ის იმდენად დარწმუნებული იქნება თავისი ჩვენებას სისწორეში, რომ შეიძლება ჯოხის ზუსტი აღწერაც მოგეთ, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში არავითარ ჯოხს ადგილი არ ჰქონია. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგჯერ შთამაგონებელმა კითხვამ მცდარი განწყობის ისეთი სტაბილიზაცია მოახდინოს, რომ სუბიექტმა. ამავე საკითხზე თავისუფალი თხრობის გზით, შეძლოდეს ჩვენების მოკლებისასაც ამ განწყობის ნიადაგზე განაგრძოს დგომა და, მათსადამე, საქმის ვითარების სრულიად ყალბი სურათი დახატოს იმ რწმენათ, რომ იგი სრულ ჭეშმარიტებას ამბობს.

თუ რაოდენი გამძლეობა აქვს ასეთ შემთხვევებში შთაგონებას, ეს განსაკუთრებით კარგად შთაგონებული ობიექტის შესახები დამატებითი კითხვების პასუხებიდან ჩანს.

შტერნის ცდებში ერთი 12 წლას გოგონა შთამაგონებელ კითხვებზე: „კარადა არ იყო სურათზე?“ (ნამდვილად არავითარი კარადა არ ყოფილა), დადებით პასუხს იძლევა. ექსპერიმენტატორი განაგრძობს კითხვას ამ კარადის შესახებ: „სად იდგა იგი?“ — „მარჯვენა კუთხეში“.

„რა ფერის იყო იგი?“ — „ყუთის ფერის“.

„ერთკარიანი იყო, თუ ორკარიანი?“

„მოჩანდა შიგნით რამე თუ არა?“ — „ღიად ტანისამოსი“.

„რა იდგა კარადაზე?“ — „ყუთულებს ვაზა“.

შტერნი შენიშნავს, რომ ბავშვს სრულიად არავითარი განზრახვა არ ჰქონია, სურვე ელაპარაკნა. მაგრამ იგი იმდენად ფანტაზია-მდიდარი და შთაგონებადი იყო, რომ მისი ყოველი ახალი წარმოდგენა მაშინვე სინამდვილის აქცენტით აღიბეჭდებოდა.

გ) განსაკუთრებით ადვილად ჩნდება შთაგონება, როდესაც კითხვა დროს ეხება. მოგონებისათვის ტემპორალიზაცია აუცილებელია. მაგრამ წარსული ძალიან ხშირად ცუდადადა დროის თვალსაზრისით განაწევრებული: „გუშინ და გუშინწინ, შარშან და შარშანწინ პატარა ბავშვისათვის ზოგჯერ ერთიდაიგივეა. არსებობს მრავალი ადამიანი, რომლისთვისაც წარსული დიფუზურს, ცუდად განაწევრებულს ტემპორალურ განფენილობას წარმოადგენს, და გასაგებია, რომ ასეთ ადამიანს წარაუღლის შემთხვევების სწორი დათარიღება ძლიერ უჭირს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში შთამაგონებელი კითხვების გავლენას ფართო გასაქანი ეძლევა.

დ) ჩვეულებრიობა უეჭველი ფაქტორი აღმოჩნდა, რომე-

ლიც თვალსაჩინო გავლენას ახდენს მოგონებაზე. საინტერესოა, რომ ეს გავლენა ორი განსხვავებული მიმართულებით მოქმედობს.

ვთქვათ, სუბიექტს ჩვენება აქვს მისაცემი რაიმე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფაქტის შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში, გამოწვევის სახით, სხვაგვარად მოხდა. ჩვეულებრივ, როდესაც ვინმე გვხვდება, სალამს გვაძლევს ხოლმე. მაგრამ, ვთქვათ, მოხდა ისე, რომ ნაცნობი შეგვხვდა და სალამი არ მოგვცა. როდესაც მოწმეს ამის შესახებ ეკითხებიან, იგი ჩვეულებრივ დარწმუნებული ლაპარაკობს, რომ ნაცნობი ჯერ მოგვესალმა და შემდეგ დაიწყო საუბარი. ასეთი შეცდომები ხშირია. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ჩვეულებრივსა და ყოველდღიურს საზოგადოდ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, იმიტომ რომ მათ არსებობა ისედაც ვგულისხმობთ; და როდესაც საკითხი მათს მოგონებას ეხება, გასაგებია, რომ მეხსიერება აღქმაში დატოვებულ ხარვეზებს ჩვეულებრივის მიმართულებით ავსებს (იხ. ზენოდ ე უ ლ ფ ი ს ც დები).

მაგრამ თუ შემთხვევა ან ფაქტი ტლანქად ეწინააღმდეგება ჩვეულებრივს, მაშინ ეს გარემოება ჩვენს საგანგებო ყურადღებას იქცევს; მაშასადამე, ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით კარგად უხდება დაგვამახსოვრებოდა. ნამდვილად კი მეხსიერებისათვის არც ეს მდგომარეობაა ხელსაყრელი. საქმე ისაა, რომ არაჩვეულებრივს, იშვიათს მეხსიერებაში კიდევ უფრო ესმება ხაზი, და როდესაც საკითხი მის მოგონებას ეხება, იგი მართლა გადაჭარბებით არაჩვეულებრივის, მართლა იშვიათის სახით წარმოგვიდგება. კიდევ უფრო მოქმედობს ეს ფაქტორი, თუ არაჩვეულებრივი ფაქტი ემოციური ხასიათისაც არის: განცდილი ხიფათი მოგონებაში გაზვიადებული ხდება; თუ ვინმემ რაიმე სიკეთე გვიქნა, დროთა მსვლელობაში ეს ქცევა ჩვენს თვალში იდეალურ სახეს ღებულობს.

ვ) ჩვენების სისწორეზე გავლენას ახდენს აგრეთვე შინაარსის ინტელექტუალური, ესთეტიური და მეტყველებითი გაფორმების ტენდენციები. საქმე ისაა, რომ სათანადო გადამუშავების გარეშე არაფერი გვაპამახსოვრდება. თუ რაიმე უნდა დაგვაპამახსოვრდეს, იგი, უწინარეს ყოვლისა, ან იმთავითვე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ლოგიკას, ანდა შემდეგში თავისთავად იმგვარად გადამუშავდეს, რომ გასაგები შეიქნეს. ერთი სიტყვით, აუცილებელია ხდება მეხსიერების მასალის ლოგიკიზაცია. ამ გარემოებას, თვითონ სუბიექტისათვის შეუმჩნეველად, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს მეხსიერების მასალაში.

შტერნი ერთ მაგალითს ასახელებს: ცდისპირებს სურათი მიეცათ აღსაწერად. რომელზეც ბინიდან ბინაზე გადასვლის ერთი მომენტი იყო გადმოცემული: საბარგო მანქანა, სხვადასხვა საოქაბო ნივთებით დატვირთული; ზედ იდგა ცარელი დივანიც, რომელზეც ქალი იჯდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთი ცდისპირი თავის ჩვენებაში, სხვათა შორის, ქალსაც ასახელებს: ის ყუთზე იჯდაო, ამბობს, როგორც ჩანს, ქალის ხატი მას კარგად ჩარჩენია მესსიერებაში, მაგრამ, მას ის აღარ ახსოვს, თუ რაზე იჯდა იგი. რამეზე კი უსათუოდ უნდა მქდარიყო, და ცდისპირს ყუთის წარმოდგენა გაუჩნდა.

არანაკლებ გავლენას ახდენს ესთეტიური და განსაკუთრებით სიტყვიერი გამოსახვის ტენდენციები. როდესაც ვინმე რისამე შესახებ იძლევა ჩვენებას, იგი თავისდაუნებურად ალამაზებს მას, და ამას ერთგვარი ცვლილება შეაქვს სინამდვილის სურათში. განსაკუთრებით სახიფათოა, როდესაც სუბიექტი განმეორებით იძლევა იმავე ჩვენებას: განმეორებისას მას თავისი სიტყვები უფრო აგონდება, ვიდრე ის, რის შესახებაც ლაპარაკობდა. შეიძლება მოხდეს, რომ მესამედ და მეოთხედ დაკითხვისას მან თავისი სიტყვები უკვე შეცვლილი მნიშვნელობით გაიმეოროს: — სიტყვიერი ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში იგივე დატოვოს, მაგრამ შინაარსი სულ სხვა იგულისხმოს.

ვ) განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ცდები იყო დაყენებული ჩვენების ბიოლოგიური ფაქტორების ცხადსაყოფად. აღმოჩნდა, რომ თვალსაჩინო როლს ხნოვანობა ასრულებს. ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, თუ რაოდენ ადვილად ემორჩილება ბავშვი შთაგონებას. შტერნის მასალის მიხედვით, 7 წლის ასაკში შთაგონებითი კითხვების შთაგონების კოეფიციენტი 50%/ის უდრის, შემდეგ ასაკში 20%/ის. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ სქესობრივი მომწიფებარს ხანაში შთაგონებადობა ხელახლა თვალსაჩინოდ იზრდება. აქედან, შტერნის თქმით, გარკვეული პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს: ამ ასაკში მოზარდის მოწმედ დასახელება და გამოყენება ძალიან სახიფათოდ უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგის კონსულტაციის გარეშე ასეთი მოწმის დაკითხვა საკმაოდ სახიფათოა.

რაც შეეხება სქესობრივ განსხვავებულობას, როგორც ჩანს, ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ექსპერიმენტული შედეგები გადაჭრით არც ერთი სქესის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ სქესი სპეციფიკურ ფაქტორს წარმოადგენდეს, რომელიც ჩვენების სისწორეზე ახდენს გავლენას.

ზ) კლაპარედმა ერთს მნიშვნელოვან ფაქტორს მიაქცია ყურადღება: შეიძლება ჩვენების სისწორეზე თვითონ ობიექტი ახდენდეს გავლენას, და, მაშასადამე, შესაძლებელია ამ თვალსაზრისით ობიექტის მეტნაკლები ხელსაყრელობის შესახებაც დაისვას საკითხი: შესაძლებელია ზოგი რამ უფრო ადვილად ავიწყდებოდეს ადამიანს და ზოგი რამ უფრო ძნელად. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც ცხადია: არის ობიექტი, რომ ადამიანი მას ხაკლებ ყურადღებას აქცევს და არის ობიექტი, რომ მეტ ყურადღებას იწვევს. კლაპარედის გამოკვლევიტ, ფანჯარა, მაგალითად, რომელსაც ყოველდღე ხედავენ, მხოლოდ შემთხვევატა 15%-ში იწვევს სწორ ჩვენებას.

## მეხსიერების თეორიები

1. ორი თეორიული საკითხი. მეხსიერების ცალკე მოვლენების თავისებურებატა გასაგებად და მათს ერთს მთლიან ცნებაში გასაერთიანებად, მეხსიერების ფსიქოლოგიაში ყოველთვის გრძნობდნენ აუცილებლობას, ემპირიული კვლევის გვერდით განმაზოგადებელი თეორიული მუშაობაც ეწარმოებინათ.

მეხსიერების ფაქტიური მასალა განსაკუთრებით ორ საკითხს აყენებს, რომელსაც მეხსიერების ცნებისათვის ძირითადი თეორიული მნიშვნელობა აქვს და რომლის პასუხიც შეიძლება მხოლოდ ჰიპოთეტური ხასიატის იყოს. ერთი საკითხი მეხსიერების ფაქტების ერთ რიგს ეხება, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ყოველი შტაბექტილება აღქმის მომენტადან რეპროდუქციის მომენტამდე რალაუნაირად ისე ინახება, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მისი სრულიად არაფერი ჩანს: მას ფარული არსებობის ხანა, ანუ ე. წ. ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ი ხ ა ნ ა აქვს. და აი, საკითხი სწორედ ამას ეხება: როგორ, რა სახით განაგრძობს შტაბექტილება ამ ფარული პეროდის განმავლობაში არსებობას? რომ იგი უეჭველად განაგრძობს არსებობას, ეს სადაოდ არ ითვლება, იმიტომ რომ უამისოდ რეპროდუქციის მომენტში მისი გაჩენა სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

მეორე საკითხი ისე ზოგადი ხასიატის არ არის, როგორც პირველი: იგი შედარებით განვითარებული, ფსიქიკური მეხსიერების ფორმებს ეხება. მას შემდეგი უეჭველი გარემოება აქვს მხედველობაში: როდესაც მნემური წარმოდგენის რეპროდუქცია ხდება, როდესაც რასმე ვცნობილობტ, რასმე ვიხსენებტ ან ვიგონებტ, შინაგანი რწმენა გვაქვს, რომ ჩვენ არ ვცდებტ, რომ ჩვენი მოგონება სწორედ



ამას ეხება, რასაც უნდა შეხებოდა. თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ეს შინაგანი რწმენა გაშლილი მს. ელო. ის სახათ იჩენს თავს: ის, რაც ეხლა მოგონების საგანს შეადგენს, სწორედ ისაა, რაც წინათ მქონდა აღქმული. მოკლედ, როდესაც რასმე ვიხსენებთ, ჩვეულებრივ, კიდევ განვიცდით ამას: ე. ი. მეხსიერების ობიექტური მოქმედების შემთხვევაში ჩვენ მისი მუშაობის, როგორც სწორედ მეხსიერების მუშაობის განცდაც გვაქვს: მეხსიერებას მეხსიერებად განვიცდით.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რა უდევს ამას საფუძვლად? როგორ ხდება, რომ რეპროდუცირებული წარმოდგენის საგანს, ე. ი. რაც ეხლა გამახსენდა, ჩემი წარსული აღქმის საგანთან ვაიგივეებ? როგორ ხერხდება ეს იდენტიფიკაცია? რა უდევს საფუძვლად ამ შინაგან რწმენას, რომელსაც ამ იდენტიფიკაციის განცდის შემთხვევაში აქვს ადგილი?

ყოველი მეტად თუ ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მეხსიერების თეორია ორივე ამ საკითხს უნდა უწყევდეს ანგარიშს, მაგრამ ისე, რომ პასუხი ორივე საკითხისათვის ერთიანიმანვე პრინციპიდან გამომდინარეობდეს.

2. კვალის თეორია. არსებული თეორიებიდან უძველესი და ყველაზე უფრო გავრცელებული თეორია არსებითად კვალის თეორიაა. მისი ძირითადი დებულება ასეთია: შთაბეჭდილება -- ოღონდ „კვალის“ სახით. რომელსაც იგი ტოვებს -- მთელი ლატენტური პერიოდის განმავლობაში განაგრძობს არსებობას: რეპროდუქციის მომენტში ამ აქამდე დაფარული „კვალის“ გამოვლენის მეტი არაფერი ხდება.

ეს „კვალი“ სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვანაირად აქვს წარმოდგენილი. ზოგისათვის იგი გაკაფულ გზებს წარმოადგენს, ზოგისათვის აგზნებულობის აწევას განსაზღვრული მიმართულებით, ზოგისათვის ფიზიკო-ქიმიკურ ცვლილებას, ზოგისათვის კიდევ არაცნობიერ წარმოდგენას (პერბარტი, ფრეიდი). მაგრამ პრინციპული მნიშვნელობა აზრთა ამ სხვადასხვაობას არა აქვს. ძირითადში აქ სრული შეთანხმებულობაა: გამოიზიანებელი მოქმედებს -- ჩნდება აღქმა; შემდეგ იგი ქრება, მაგრამ მაინც რჩება კვალის სახით, ფარულად; სათანადო პირობებში იგი ხელახლა თვალსაჩინო ხდება, და მაშინ გახსენების თუ მოგონების შესახებ ვლაპარაკობთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია, პირველი შეხედვით, ძლიერ დამარწმუნებელი ჩანს, მისი მიღება სრულიად შეუძლებელია. იგი საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ყველა იმ შედეგს, რომელიც თანა-

მედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მტკიცე მონაპოვარს შეადგენს. ჩვენ ზემოდ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ რეპროდუქტულა წარმოდგენა, მოგონება. არავითარ შემთხვევაში პირველადი პროცესის, აღქმის. უცვლელ ანარეკლს ან პირს არ წარმოადგენს: პირველადი პროცესის, პროდუქტის უცვლელი შენახვის შესახებ ლაპარაკი სრულიად შეუძლებელია. მაშასადამე, კვალის თეორია ამ სახით მიუღებელია.

გეშტალტთეორიის წარმომადგენელთა ცდა კვალის თეორიის გადახლისებისა და ამ სახით მისი გადარჩენისა, საქმეს მაინც ვერ შევლის. კ ე ლ ე რ ი და კ ო ფ კ ა „კვალთა“ დინამიკის, მათი ავტონომიური ცვალების შესახებ ლაპარაკობენ, თანახმად განსაზღვრულ მთლიან დინამიკურ კანონზომიერებათა, თანახმად გეშტალტიზაციის იმავე კანონზომიერებათა, რომელნიც აღქმაში იჩენენ თავს. მაგრამ, მიუხედავად კოფკას ცდისა, რომელსაც მე-ს ცნობიერებაც კი კვალთა განსაზღვრულ კომპლექსებზე დაჰყავს და, მაშასადამე, მას კვალთა ურთიერთ შემოქმედების პროცესის მონაწილედ ხდის, კვალთა თეორია ამ ახალი რედაქციითაც წმინდა მექანიკურ კონცეფციად რჩება.

უშუალობის თეორია, რომელიც აქტიური პიროვნების ცნებას — მე-ს ცნებას — არსებითად სრულიად ზედმეტად ხდის, კვალის განახლებულ თეორიაში თავის მკაფიო გამოხატულებას იძლევა: კვალი კვალზე მოქმედობს, და ასე მიმდინარეობს ყველა ის უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური პროცესები, რომელნიც წარმოდგენათა ურთიერთობის ბაზაზე აიგებიან. სუბიექტი, მე, არსებითად სრულიად განზე რჩება. მართალია, ისაა, რომ იხსენებს, ისაა, რომ მოქმედობს. მაგრამ ის მაინც მხოლოდ სარბიელია, მხოლოდ არეა, სადაც ეს გახსენებისა და ეს მოქმედების პროცესები მიმდინარეობს — თავისთავად, უიმისოდ: სრულიად ავტონომიურად.

ცხადია, ასეთი კონცეფცია დამაკმაყოფილებელი არაა: მეხსიერების ფაქტების განვითარება, რომელიც ზემოდაა მოცემული, მკვეთრად ეწინააღმდეგება ასეთ კონცეფციას. ავტონომიურის, სპონტანური მნემური პროცესების შესახებ ადამიანის შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ პარობითად შეგვიძლია ვილაპარაკოთ: ადამიანისათვის მეხსიერების მაღალი ფორმებია სპეციფიკური, და აქ გადამწყვეტი როლი სწორედ აქტიური პიროვნების ნებელობას აქვს.

8. მიუღერის თეორია. როგორ ხდება, რომ მოგონების საგანს იმადვე ვთვლით, რაც ერთხელ უკვე ყოფილა ჩვენი განცდის საგანად? რა უღევს საფუძვლად ამ რწმენას? „კვალის“ ცნება ამ საკითხ-

ზე თავისთავად არავითარ პასუხს არ იძლევა, და ამ თეორიის მომხრეები იძულებულნი ხდებიან ამ საკითხისათვის სპეციალური თეორიები შეიმუშაონ.

გ. ე. მიულერა ამ საკითხის გადაჭრას ექსპერიმენტულად ცდილობს. იგი ფიქრობს, რომ მოგონების განსაზღვრული „კრიტერიუმები“ არსებობს, რომელიც საფუძვლად ედებინ ჩვენს რწმენას, რომ ჩვენი მეხსიერება არ ცთება. ეს კრიტერიუმები შემდეგი აღმოჩნდა: 1) როდესაც მოგონების აქტის დროს ერთიდაიგივე წარმოდგენის მეტი თავში სხვა არაფერი მოდის, ეს საფუძვლად ედება ჩვენს რწმენას, რომ მოგონება სწორია. 2) მეორე კრიტერიუმია წარმოდგენის რეპროდუქციის სისწრაფე: უკონკურენტოდ, სწრაფად გაგონდება — მაშ ისაა, რაც უნდა ყოფილიყო. 3) მესამე კრიტერიუმში წარმოდგენის სიცხველეა და მკაფიობა. 4) დიდ როლს თამაშობს აგრეთვე წარმოდგენის სავსეობა: გაგონდება მასთან დაკავშირებული მომენტებიც.

მიულერს ძალიან საყურადღებო ექსპერიმენტული მასალა აქვს დაგროვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ წარმოდგენის ამ თვისებებს ზართლა აქვთ მნიშვნელობა ჩვენი მოგონების კონსოლიდაციის პროცესში. ამიტომ მათი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მაგრამ არსებობს ისეთი გამოკვლევებიც, რომელიც ყოველთვის ანალოგიურ შედეგებს არ იძლევა: არის შემთხვევები, რომ რეპროდუქცირებულ წარმოდგენას აღნიშნული თვისებები არ აქვს, მაგრამ მოგონების სისწორეში ჩვენ მაინც სრულიად დარწმუნებულნი ვართ. გარდა ამისა, არსებობს საბუთები, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ წარმოდგენის ისეთი თვისებები, როგორც, მიულერის თეორიის მიხედვით, მოგონების კრიტერიუმად ითვლება, მეორადი წარმოშობის უნდა იყვნენ და არა პირველადის, ე. ი. მოგონების სისწორეში დარწმუნებულობას წინ როდი უნდა უსწრებდნენ, არამედ თან უნდა ახლდნენ. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია დაკვირვებები, რომლის მიხედვითაც წარმოდგენის ზოგიერთი ისეთი თვისება, როგორც აქ მოგონების კრიტერიუმად არის ცნობილი, მაგალ., სიცხველე და მკაფიობა, მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, რაც წარმოდგენის ბუნება გამორკვეულია.

განსაკუთრებით საეჭვო მომენტი მიულერის ამ თეორიაში ისაა. რომ მისთვის ყველაფერს წარმოდგენათა მექანიკა სწყვეტს: წარმოდგენები მიდიან და მოდიან, ისინი ასეთი თუ ისეთი თვისებების მატარებლები არიან, და ყველაფერი ამ თვისებებზეა დამოკიდებული. სუბიექტი არსად ჩანს — თავის დარწმუნებულობაში, თუ დაურ-

წმუნებლობაში თვითონ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს: ყველაფერი წარმოდგენათა ავტონომიურ მსვლელობაზეა დამოკიდებული.

4. ასოციაციის თეორია. მიუღწერის თეორია არსებითად ასოციაციის თეორიის გამოყენების თავისებურს კერძო შემთხვევას წარმოადგენს. საზოგადოდ, ეს თეორია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა, და ჩვენთვის საკმარისი იქნება, თუ მისი განხილვით დაეკმაყოფილდებით.

თანხმად ასოციაციის თეორიისა, ესა თუ ის წარმოდგენა იმ ნიშნით იცნობა მოგონების წარმოდგენად, რომ იგი რაიმე ცნობილ წარმოდგენას აღვიძებს. მაგალ., ლემანი თავის ცდისპირებს სხვადასხვა სუნის ცნობას ავალბდა. აღმოჩნდა, რომ სწორი ცნობის შემთხვევაში, როგორც წესი, სუნის წარმოდგენა ან მისი სახელის წარმოდგენას იწვევდა ცნობიერებაში ან რაიმე სხვა წარმოდგენას. და ცნობას ეს ედო თითქოს საფუძვლად. დასკვნა ასეთი იყო: ამა თუ იმ წარმოდგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვცნობთ მოგონების წარმოდგენად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს გრძნობა, რომ ჩვენი მოგონება სწორია, თუ რომ იგი რაიმე სხვა წარმოდგენებს იწვევს ასოციაციურად.

ამ თეორიის წინააღმდეგ ასეთი მოსაზრებაა ცნობილი: ვთქვათ, რომ მოგონების წარმოდგენამ მართლა რაიმე ნაცნობი წარმოდგენა, მაგალ., სახელის წარმოდგენა გამოიწვია. საიდან შეუძლია სახელის წარმოდგენას გავითვალისწინოს, რომ რეპროდუცირებული წარმოდგენა ნაცნობია, სანამ თვითონ ის არ გვიცვნია, როგორც გარკვეული შინაარსის სახელის წარმოდგენა? მასაც ხომ ცნობა უნდა? ხომ უნდა გვქონდეს შინაგანი რწმენა აქაც, რომ ეს სიტყვა, ეხლა რომ მომაგონდა, სწორედ ამის სახელია და არა ბეგრათა უბრალო გროვა!

გარდა ამისა, როგორც კლინიკური დაკვირვებებიდან, ისე ექსპერიმენტული გამოკვლევებიდანაც ცნობილია, რომ, შესაძლოა, ადამიანს რეპროდუქცია დაცული ჰქონდეს, მას რეპროდუცირებული წარმოდგენები უჩნდებოდეს, მაგრამ იგი სრულიად არ განიცდიდეს, რომ ამ შემთხვევაში რეპროდუქციასთან აქვს საქმე: მას ეს წარმოდგენა მოგონებად კი არა, სრულიად ახალ წარმოდგენად მიაჩნდეს. კლაპარედის დაკვირვებით, ერთს ავადმყოფ ქალს, რომელიც უკვე 15 წელი იწვა საავადმყოფოში, მისი რწმენით, სრულიად არაფერი ახსოვდა წარსულიდან. ნამდვილად კი მას წარმოდგენები უჩნდებოდა, რომელნიც ძველი განცდების უქველ რეპროდუქციას იძ-

ლეოდნენ, თუმცა თვითონ ავადმყოფს სრულიად ახალ წარმოდგენებდალ ეჩვენებოდნენ.

5. განწყობის თეორია. მეხსიერების პრობლემის გადაწყვეტა მექანიკურ პოზიციებზე შეუძლებელია. უშუალოდის დოგმას აქაც უნდა დაეანებოთ თავი და პრობლემის გადაწყვეტის ცდისას განსაკუთრებული ყურადღება პიროვნების როლის გამორკვევას მივაქციოთ. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კვლევა ამ მიმართულებით შორს არაა წასული, და ჩვენ დღეს-დღეობით მხოლოდ ჰიპოთეზების ამარა ვართ, რომელთა ნიადაგზეც კვლევის გაშლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

რა უდევს საფუძვლად მეხსიერებას, ამაზე ჩვენ ზემოდაც გვქონდა ლაპარაკი. ჩვენც ვიცით, რომ აღქმის შემთხვევაში პიროვნებას გარკვეული განწყობა უჩნდება, და აღქმა ამ უკანასკნელის ნიადაგზე აიგება. განწყობა თვითონ ცნობიერების რაიმე შინაარსის სახით არ გვეძლევა, იგი სუბიექტის, როგორც მთლიანი არსების, მოდუსია; იგი სუბიექტის გარკვეულობაა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომ შესაძლებელია, ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდა, მოისპოს, გაქრეს, მაგრამ განწყობამ მაინც განაგრძოს არსებობა. მაშასადამე, შესაძლოა, აღქმა ცნობიერებაში აღარ იყოს, ე. ი. ჩვენ გარკვეულ საგანს აღარ ვხედავდეთ, მაგრამ მისი შესატყვისი განწყობა მაინც შეგვგრჩეს. ეს იმას ნიშნავს, რომ წარსული განცდები „კვალის“ თუ არაცნობიერი წარმოდგენების სახით კი არ განაგრძობენ მეხსიერების ლატენტურ პერიოდში არსებობას, არამედ განწყობის სახით.

მაგრამ განა ეს არსებითად იგივე არ არის? განა აქ იგივე კვალის ანუ ინერციის თეორია ძალაში არ რჩება? განა აქ იმის მეტია რამე ნათქვამი, რომ თითქოს მეხსიერების ე. წ. „კვალი“ განწყობის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი?

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ლატენტურ პერიოდში განწყობა განაგრძობს არსებობას, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ განწყობის არსებობის შესახებაა ლაპარაკი. მისი არსებობა კი სულ სხვაგვარია, ვიდრე კვალის არსებობა. განწყობა სუბიექტის რაგვარობაა, მისი არსებობის მოდუსია. მაშასადამე, როდესაც განწყობის არსებობის შესახებ ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ სუბიექტის გარკვეული მოდუსი განაგრძობს არსებობას, რომ თვითონ სუბიექტი, როგორც გარკვეული სუბიექტი, როგორც გარკვეული მიმართულებით განწყობილი სუბიექტი განაგრძობს არსებობას. რასაკვირველია, მეხსიერების ლატენტურ პერიოდში ეს განწყობა აქ-

ტუალური სახით არაა წარმოდგენილი. ასეთად იგი მხოლოდ რეპროდუქციის მომენტში იქცევა. მაგრამ ამის მიუხედავად, მისი მატარებელი სუბიექტი ხომ ნამდვილად არსებობს, ე. ი. სუბიექტი, რომელიც სავსებით ისეთივე სუბიექტი კი აღარაა, როგორც მანამდე იყო, სანამ აქტუალური შთაბეჭდილების ზეგავლენით ქვემდებარე განწყობა გაუჩნდებოდა, არამედ სწორედ ამ განწყობის მიხედვით შეცვლილი სუბიექტია. ასეთი სუბიექტის არსებობა იმას ნიშნავს, რომ განწყობა კი არ გამქრალა, არამედ მანამ განაგრძობს მისი სახით არსებობას, სანამ ეს სუბიექტი, როგორც ამგვარად შეცვლილი სუბიექტი განაგრძობს სიცოცხლეს. ჩააყენეთ ეხლა ეს სუბიექტი მისი განწყობის შესაფერის პირობებში. განა შესაძლებელი იქნება, მან ისევე იმოქმედოს, როგორც სხვამ, ვისაც ასეთი განწყობა არასდროს არ ჰქონია, ანდა თვითონ ის იმოქმედებდა, სანამ ამ განწყობის მიმართულებით შეიცვლებოდა! რასაკვირველია, არა. ამ პირობებში იგი, როგორც შესაფერი განწყობის მქონე სუბიექტი, იმოქმედებს, ე. ი. ამ პირობებში მისი განწყობის აქტუალიზაცია მოხდება. მაშასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს, განწყობის შენახვის. მისი არსებობის გაგრძელების შესახებ ვილაპარაკოთ მაშინაც, როდესაც ეს განწყობა აქტუალური არაა. მაგრამ ეს შენახვა, ეს არსებობის გაგრძელება სრულიად ცალკე განცდათა „კვალის“ არსებობის გაგრძელებას არ ჰგავს: იგი თვითონ სუბიექტის, როგორც გარკვეული მიმართულებით შეცვლილის, როგორც გარკვეული დისპოზიციური შესაძლებლობის პატრონის, არსებობის გაგრძელებას წარმოადგენს.

თავისთავად იგულისხმება, აქ წარსული განცდის ან მისი კვალის უცვლელი სახით ლატენტურ პერიოდში შენახვისა და მისი ამავე სახით განახლების შესახებ ლაპარაკი სრულიად შეუძლებელია. აქ რეპროდუქციის მომენტში რომელიმე კერძო განცდის „კვალი“ კი არ ილვიძებს, რომ უცვლელი სახით მოგვევლინოს, არამედ გარკვეული მიმართულებით განწყობილი სუბიექტი იძლევა რეაქციას — მაშასადამე, სუბიექტი, რომელიც აწმყოში ცხოვრობს და აწმყოს გადაწყვეტი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, სუბიექტი, რომელსაც წარსული განწყობა როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა აქვს დაცული, და არა როგორც უძრავი, ცალკე ობიექტი აქვს შემონახული. მოკლედ, ძველი განწყობა აწმყოს განწყობათა რავგვარობაში განაგრძობს არსებობას. ამიტომ გასაგებია, რომ მის არსებობას ცალკეული „კვალის“, გინდა „არაცნობიერი წარმოდგენის“ არსებობასთან არაფერი აქვს საერთო.

6. დარწმუნებულობის საფუძველი. ძნელი არაა ამის შემდეგ, მეხსიერების თეორიის მეორე ძირითად საკითხზეც გავცეთ პასუხი; და ეს გარემოება ახალი და უეჭველად მნიშვნელოვანი საბუთია, რომელიც ჩვენი ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს: მეხსიერების სწორი თეორია ორივე ძირითად საკითხს ერთიდამავე პრინციპის ნიადაგზე უნდა სწყვეტდეს.

მართლაცდა, საიდანაა, რომ მეხსიერების შემთხვევაში რეპროდუქციებულ წარმოდგენას ვცნობილობთ? საიდანაა, რომ ასეთ შემთხვევებში შინაგანად დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს სწორედ ისაა, რაც წინადაც გვქონდა განცდილი? რა უდევს საფუძვლად ამ დარწმუნებულობას? ჩვენ რომ წარსული განცდა თვალწინ გვქონოდა და რეპროდუქციებული წარმოდგენის მასთან დაპირისპირება და შედარება შეგვეძლებოდა, მაშინ ადვილად დავინახავდით, წარმოდგენს თუ არა ჩემი რეპროდუქციებული წარმოდგენა იმასვე, რასაც წარსული განცდა ეხებოდა — წარმოდგენს ის მართლა მოგონებას თუ არა. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩემი წარმოდგენა ამ ძველ განცდას დაემთხვეოდა, მაშინ, უეჭველია, მათი შესატყვისობის განცდა გამიჩნდებოდა — სრული დარწმუნებულობა იმაში, რომ მართლა მოგონების ფაქტთან მაქვს საქმე. საწინააღმდეგო შემთხვევაში, რასაკვირველია, რეპროდუქციებული წარმოდგენა, კლავს და ის პაციენტის მსგავსად, სრულიად ახალ განცდად და არა რეპროდუქციად მომეჩვენებოდა. მაგრამ, როგორც ვიცით, წარსულის განცდა და მისი მეხსიერებაში რეპროდუქცია თითქმის არასდროს არ ემთხვევა ერთმანეთს: ზოგჯერ საკმარისი მსგავსებაც კი არ არის მათ შორის, და ზოგჯერ ისიც კი ხდება, რომ აბსოლუტურად ახალი წარმოდგენა წარსულის რეპროდუქციად განიცდება, როგორც ამას პარამნეზის (,, ძეჯა ვიი ") შემთხვევაში აქვს ადგილი. მაშასადამე, წარსულის განცდა რომ თავისი უცვლელი სახით მართლა მქონოდა ხელთ და რეპროდუქციული წარმოდგენა მისთვის შემედარებია, ალბათ, მოგონების განცდა იშვიათად შექნებოდა, ხოლო პარამნეზიის მოვლენები — არასოდეს. როგორც ჩანს, მოგონების განცდისათვის საკმარისად ახირებული პირობა ყოფილა საჭირო: იმისათვის, რომ მეხსიერებაში აღმოცენებული წარმოდგენა რეპროდუქციად სცნო, იმისათვის, რომ მნემური დარწმუნებულობა გაგიჩნდეს, საჭირო ყოფილა წარსული განცდა ისე გვქონდეს წინასწარ მოცემული, რომ იგი მაინცდამაინც დიდად არ გავდეს თავის თავს, ხოლო ზოგჯერ სულ სხვა სურათს წარმოადგენდეს, ე. ი. საჭირო ყოფილა წარსული განცდა ისე იყოს მოცემული, რომ ის წარსული განცდა არ იყოს. ასეთს

პარადოქსალურ პირობას გულისხმობს მოგონების განცდის ფაქტი. განა შესაძლებელია ასეთი მოთხოვნების განხორციელება?

საბედნიეროდ, ეს შეუძლებელი არაა. განწყობის ჩვენი ცნება არაჩვეულებრივ ზუსტად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. მართლაცდა, როდესაც სუბიექტი რეპროდუქციას ახდენს, როდესაც მას რაიმე აგონდება, როგორც ვიცით, წარსული მართლა უკვე მანამ დგას მის წინაშე, სანამ მოგონების ფაქტი მოხდებოდეს — მაგრამ იმ განცდის ან მისი კვალის სახით კი არა, რომელიც მას სინამდვილეში ჰქონდა. არამედ შესატყვისი განწყობის სახით: ძველი განცდა როგორც განცდა კი არა, როგორც განწყობა განაგრძობს არსებობას; და გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამას აქვს. რეპროდუქციული წარმოდგენა წარსულში განცდის წარმოდგენას თუ აღქმას კი არ უპირისპირდება, არამედ განწყობას. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ამ განწყობას ეთანხმება. იგი წარსულს ეთანხმება და წარსულის რეპროდუქციას წარმოადგენს, მაგრამ ისე, რომ წარსული განცდის საკისებურ ასახვას, მის უცვლელ პირს არ შეადგენს. საკვირველი არაა, რომ ამ პირობებში მნემური განცდის, მნემური დარწმუნებულობის გრძნობის აღმოსაყენებლად, სრულებით საჭირო არაა, რომ რეპროდუქცია ორიგინალის სრულ განმეორებას წარმოადგენდეს, და შეუძლებელი არაა, რომ ეს განცდა ძველისა და ახალი განცდების სრული შეუფერებლობის დროსაც გაჩნდეს, როგორც ამას პარამნეზიის შემთხვევაში აქვს ადგილი.

ამრიგად, დარწმუნებულობის გრძნობა, მოგონების განცდა, იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ძველი შთაბეჭდილება არა ცალკეული განცდის და მისი კვალის, არამედ განწყობის სახით განაგრძობს არსებობას.

## მეხსიერების დაავადებანი

1. ჰიპერმნეზია. მეხსიერების მოქმედების პათოლოგიური ფორმა სამგვარია: ჰიპერმნეზია, ჰიპომნეზია და პარამნეზია. შევჩერდეთ მოკლედ თითოეულ მათგანზე.

ჰიპერმნეზია მეხსიერების გადაჭარბებულ აგზნებულობაში იჩენს თავს. იგი, საზოგადოდ, იშვიათად გვხვდება და ჭერ კიდევ არ არის საკმაოდ კარგად შესწავლილი. არ შეიძლება ითქვას, რომ არაჩვეულებრივ ძლიერი მეხსიერების, ფენომენალური მეხსიერების შემთხვევები, როგორც ჰქონდა, მაგალ., ცნობილ მოანგარიშეებს, ინო დის ა და დია მან დის, ანდა მიუღერი ს მიერ აღწერილს რ ი უ კ ლ ე ს, ჰიპერმნეზიის მოვლენებად უნდა ჩაითვალოს.



ჰიპერმენზიასთან უფრო მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც რაიმე მიზეზის გამო აქამდე რომელიმე სრულიად მივიწყებულ მოგონებათა ჯგუფი ერთბაშად არაჩვეულებრივი სიცხადით ამოტივტივდება ცნობიერების ზედაპირზე. ასეთი ჰიპერმენზიის შემთხვევები, ჩვეულებრივ, რაიმე უდიდესი ხიჯათის მომენტში, ზოგიერთი ტრავმის დროს ან სიცოცხლესთან განშორების მომენტში, იჩენს ხოლმე თავს, და არა ერთგზის ყოფილა აღწერილი. დამახასიათებელი მათთვის ისაა, რომ სულ მცირე ხნის განმავლობაში, ერთს თვალის დახამხამებაზე, ადამიანის წინაშე ერთბაშად თითქმის მთელი მისი წარსულის პანორამა იშლება (ამიტომ ამ მოვლენას ფრანგები „პანორამულ მოჩვენებას“ უწოდებენ). მას თავისი წარსული ცხოვრების მთელი მონაკვეთები აგონდება, რომელიც მანამდე სრულიად მივიწყებული ჩანდა.

2. ჰიპომენზია. ჰ ი პ ო მ ნ ე ზ ი ი ს სახელწოდებით მეხსიერების დაქვეითების შემთხვევები, უმთავრესად ე. წ. ა მ ნ ე ზ ი ე ბ ი აღინიშნება. ამნეზია დროში მიმდინარეობის მიხედვით სამგვარია: ა ნ ტ ე რ ო გ რ ა დ უ ლ ი, რ ე ტ რ ო გ რ ა დ უ ლ ი და პ ე რ ი ო დ უ ლ ი.

ა ნ ტ ე რ ო გ რ ა დ უ ლ ი ამნეზია ისეთ შემთხვევებს ეწოდება. როდესაც ადამიანს ძველი მოგონებები შერჩენილი აქვს, მაგრამ ახალი არათერი ამახსოვრდება: იგი ახალ მოგონებათა შემუშავების უნარის დაქვეითებაში მდგომარეობს. ეპილეპტიკი ზოგჯერ საკმაოდ რთულ აქტებს ასრულებს, მაგალ., შეიძლება, შორეულ ქვეყანაშიც კი გაემგზავროს; მაგრამ ამ მგზავრობის პერიოდი სრულიად არავითარ კვალს არ ტოვებს მის მეხსიერებაში; მთელი ეს პერიოდი სრულიად ამოშლილია მისი ცხოვრების განცდილი ისტორიიდან. უეჭველია, ამ მოვლენის მიზეზი თვითონ ალქმის პერიოდში, მოგონების ჩასახვის პირობებში უნდა ვეძიოთ.

რ ე ტ რ ო გ რ ა დ უ ლ ი ამნეზია არსებულ მოგონებათა დაკარგვას ნიშნავს: ადამიანს სრულიად ნორმალური მეხსიერება ჰქონდა და ერთბაშად, რაიმე მიზეზის გამო, სრულიად ავიწყდება: 1) ან ყველაფერი განურჩევლად (ზ ო გ ა დ ი ა მ ნ ე ზ ი ა) გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დ რ ო ი ს მ ო ნ ა კ ვ ე თ შ ი (დ რ ო ე ბ ი თ ი ა მ ნ ე ზ ი ა); ან და დ რ ო ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ (ტ ო ტ ა ლ უ რ ი ა მ ნ ე ზ ი ა), ან 2) ზოგი რამ ავიწყდება შერჩევით, ვთქვათ, მოგონებათა გარკვეული კატეგორია (ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ა მ ნ ე ზ ი ა). შეიძლება რეტროგრადული ამნეზია სრული იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეხსიერება სუბიექტს საზოგადოდ ჰქონდეს აღკვეთილი: ამნეზია მოგონებას ეხება და არა მეხსიერების ყველა ფორმას საზოგადოდ.

ერთს ფსიქიკურად დაავადებულ მწერალს სრული ამნეზია ჰქონდა წინა წლების განცდათა მიმართ. იგი დიდიხნის განვლილი ამბების შესახებ, როგორც აწმყოს შესახებ, ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობის დროს მას მშვენიერად ახსოვდა სტენოგრაფია, რომელიც მან ამნეზიით დაზიანებულობის პერიოდში შეისწავლა: მოგონებები ამ პერიოდიდან სრულიად აღარ ჰქონდა, მაგრამ იმ დროს შეძენილი ცოდნაჩვევა ხელუხლებლად ჰქონდა დაცული.

დროებითი რეტროგრადული ამნეზიის მშვენიერ მაგალითებს ტრავმის ნიადაგზე აღმოცენებული ე. წ. ტრავმატული ამნეზიის შემთხვევები იძლევიან.

ერთი კაცი სამსახურიდან რომ ბრუნდებოდა, მანქანას ქვეშ მოჰყვა და საკმაოდ დაზიანდა. ცნობიერება რომ დაუბრუნდა, მას მთელი იმ უბედური დღის ამბები კარგად ახსოვდა, გარდა ერთი პერიოდისა — სამსახურიდან წამოსვლის მომენტადან, ვიდრე ცნობიერების დაბრუნებამდე. ეს პერიოდი მას შემდეგშიც მესხიერების გარეშე დარჩა (შტერნი).

რეტროგრადული ამნეზია, რიბოს მიხედვით, უახლესი ამბების დავიწყებით იწყება და უძველესით თავდება. მაგრამ, როგორც ჩანს „რიბოს კანონი“ სწორი არ უნდა იყოს. საქმე მოგონებათა სიძველეში კი არაა, მათ სისუსტეში და სირთულეში უნდა იყოს: ამნეზია უფრო სუსტი და რთული მოგონებების აღკვეთით იწყება და უფრო მტკიცესა და მარტივზე გადადის. რეტროგრადული ამნეზია გახსენების პერიოდის პირობებზეა ბევრის მხრივ დამოკიდებული, წინააღმდეგ ანტიროგრადადულისა, რომელიც უფრო დამახსოვრების პერიოდის პირობებითაა განსაზღვრული; გახსენების აქტი რთული ნებისმიერი აქტია, იგი არაბუნებრივ ორიენტაციას მოითხოვს — ორიენტაციას წარსულისაკენ, მაშინ როდესაც ადამიანი ბუნებრივად აწმყოსაკენ არის მიმართული — იგი საკმაოდ დიდ დაძაბვას ავალებს სუბიექტს. გასაგებია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ყველაფერი ეს ნორმალურად ვერ მიმდინარეობდეს და რეტროგრადული ამნეზია იჩენდეს თავს.

პერიოდული ამნეზია პიროვნების სრული შეცვლის ან გაორების შემთხვევებში გვხვდება. დავასახელოთ ორი შემთხვევა:

1) ერთს ახალგაზრდა ამერიკელ ქალს, ერთი ღრმა გულწასულობის შემდეგ, ყველაფერი დაავიწყდა თავისი არსებობის წინაპერიოდიდან. იგი აბსოლუტურად აღარ გრძნობდა თავის ძველ მე-ს, და არც ძველად შეძენილი ცოდნა ჰქონდა დაცული, გარდა ისეთი ჩვევებისა, როგორიცაა სიარული და სხვ. წერა-კითხვა მას ხელაზლა უნდა ესწავლა, რამოდენიმე თვის შემდეგ იგი ძილად დავარდა და გამოღვიძების შემდეგ ისევ ძველ პიროვნებად იგრძნო თავი: თავისი გულწასულობის შემდგომი დროის მან აბსოლუტურად აღარაფერი იცოდა. ეს მდგომარეობა რამდენიმეჯერ განმეორდა, და არც ერთხელ არ მომხდარა, რომ ერთ მდგომარეობაში ყოფნის პე-

რიოდში მას მეორე პერიოდის რაიმე გახსენებოდა. ერთ ადამიანში ნამდვილი ორი პიროვნება ცხოვრობდა, რომელნიც ურთიერთს სცვლიდნენ და ურთიერთის არაფერი იცოდნენ.

2) კლასიკური შემთხვევა ფელიდისა (იზამის დაკვირვება) ამავე დაავადების გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ნორმალურ მდგომარეობაში სუბიექტს არანორმალურის არაფერი არ ახსოვს, ხოლო არანორმალურ მდგომარეობაში მას თავისი ნორმალური პერიოდის მიმართ მეხსიერება კარგად აქვს დაცული.

ამნეზიათა თავისებურ ფორმას წარმოადგენს ე. წ. აგნოზიები, რომელნიც ჩვეულებრივი საგნების ცნობის უნარის დაქვეითებაში და, მაშასადამე, აღქმის პათოლოგიურ დაშლაში იჩენს თავს. აგნოზიით დაავადებული ჩვეულებრივი საგნების ცნობასაც სრულიად ვერ ახერხებს, მაგალ., თავისი ცოლშვილის, თავისი სამუშაო ოთახის ცნობას, მაშინ როდესაც სათანადო გრძნობათა ორგანოები სრულიად დაუზიანებელი აქვს: ოპტიკური აგნოზიის შემთხვევაში ნორმალურია მხედველობა, აკუსტიკური აგნოზიის შემთხვევაში — სმენა და ტაქტილურისაში — შეხება (ლიპმან).

აგნოზია, როგორც ვხედავთ, აღქმას ეხება და იმ მნემური პროცესების დაშლას წარმოადგენს, რომელნიც აღქმაში მონაწილეობენ. მაგრამ არსებობს აგრეთვე პათოლოგიური შემთხვევები, რომელნიც განცდის გამოსახვისათვის საჭირო მოტორულ ჩვევათა დავიწყებაში იჩენენ თავს. სახელდობრ, აზრის სიტყვის საშუალებით გამოთქმისა (აფაზია) და ჩვეულებრივ მოქმედებათა შესრულების უნარის მოშლაში (აპრაქსია).

## მეხსიერების ონტოგენეტიკური განვითარება

მეხსიერების ონტოგენეტიკური განვითარების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ მეხსიერების გამოვლენის ფორმები, რომელთა შესახებაც ზემოდ გვქონდა საუბარი, იმავე დროს განვითარების საფეხურებსაც წარმოადგენენ. იგი გვითვალისწინებს, თუ რა ფსიქოლოგიური პირობები უნდა იყოს მომწიფებული, რომ მეხსიერების ამა თუ იმ ფორმამ თავი იჩინოს და სუბიექტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყოს. ეს გარემოება, რასაკვირველია, მეხსიერების ფორმების ფსიქოლოგიური შინაარსის გაგებას აადვილებს და მათი ზოგად ფსიქოლოგიური ანალიზის სისწორის შემოწმების შესაძლებლობას გვაძლევს. მეხსიერების ონტოგენეტიკური განვითარების განხილვამ უნდა გვიჩვენოს, თუ რა გარემოებაა, რომ

ადამიანის მეხსიერებას ეგოდენ მნიშვნელოვან ფაქტორად აქცევს. ეგოდენ მნიშვნელოვან ძალად, რომ მის გარეშე ადამიანი მარად განვითარების პირუტყვეულ საფეხურზე უნდა დარჩენილიყო.

1. ცნობა. თავისთავად იგულისხმება, მნემე იმთავითვე, დაბადებიდანვე, აქტიური სახით არ არის ბავშვის ორგანიზმში წარმოდგენილი. რომ ახლად დაბადებული და 12 თვის ბავშვი შევადაროთ ერთმანეთს, გაცილებით მეტ განსხვავებას დავადასტურებთ, ვიდრე იმ შემთხვევაში, ერთი წლის ბავშვი რომ ზრდადასრულებულ ადამიანს შევადაროთ; ეგოდენ დიდია ჩვენი სიცოცხლის პირველი 12 ათის განვითარების მონაპოვარი. და ყველაფერს ამას მეხსიერება უდევს საფუძვლად — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. რასაკვირველია, დასაწყისში თითქმის მხოლოდ ფიზიოლოგიური მეხსიერების შესახებ შეიძლება ლაპარაკი: მოტორული ჩვევები, რომელთაც უძირითადესი მნიშვნელობა აქვთ ცოცხალი არსების მთელი შემდგომი ცხოვრების მიმდინარეობაში (სხეულის და მისი ნაწილების მოტორული დაუფლება და სხვ.), უმთავრესად ასეთი მეხსიერების მონაპოვარს წარმოადგენს.

მაგრამ ამავე პირველი წლის მიმდინარეობაში ფსიქიკური მეხსიერების ფორმებიც იჩენენ თავს. რასაკვირველია, აქ მხოლოდ უელემენტარეს ფორმებზე, სახელდობრ, პასიური მეხსიერების ფორმებზე, შეიძლება ლაპარაკი და ამათხეც — არა ერთდროულად: ზოგი მათგანი დაბადების პირველსავე თვეებში იჩენს თავს, ზოგი კიდევ შედარებით გვიან. სამწუხაროდ, მეხსიერების უელემენტარესი ფორმების განვითარება ჯერ კიდევ არაა საკმარისად შესწავლილი. ამათგან ყველაზე მეტი მასალა ცნობის უნარის განვითარების შესახებ მოიპოვება.

ცნობის შესახებ უკვე პირველი წლის პერიოდშივე შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ აქ, რასაკვირველია, მას უფრო პრაქტიკული ხასიათი აქვს, ვიდრე ფსიქიკური: ბავშვი საგანთა მთელ რიგს არა როგორც ახალთ, უცნობთ, არამედ როგორც ნაცნობთ ეპყრობა: მათზე ჩვეულ რეაქციებს იძლევა, და ამ აზრით შეგვიძლია აქ ცნობის შესახებ ვილაპარაკოთ.

საფიქრებელია, რომ ძალიან მალე ეს საგნები უკვე სპეციფიკურ განცდასაც იწვევენ მასში, იმას, რაც შემდეგში ნაცნობობის გრძნობის სახით ჩამოყალიბდება, და რაც ახალი საგნების ზემოქმედების შემთხვევაში არ განიცდება: აქ უფრო უცხოობის გრძნობის შესახებ შეიძლება ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, უცხოობა უკვე პირველი წლის მიმდინარეობაში იცის ბავშვმა. დადასტურებულია, რომ ბავშვი პირველ რიგში ადამიანებს (დედას, მომვლელს, შემ-

დეგ მამას, ოჯახის სხვა წევრებს) ცნობილობს, შემდეგ საგნებსაც. მაგრამ ამათაც და იმათაც იმ შემთხვევაში, თუ ხშირად ჰქონია მათთან საქმე. მართალია, არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ბავშვი ერთბელ ნახულსაც ცნობილობს მეორეჯერ შეხვედრისას. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ რომ მისგან განსაკუთრებით ძლიერი შთბეჭდილება აქვს მიღებული.

რასაკვირველია, ნაცნობ საგანთა რიცხვი ამ პირობებში დიდი არ იქნება, მაგრამ ბავშვს ესენიც არ ახსოვს მაინცდამაინც ხანგრძლივად: მისი მეხსიერების ლატენტური ხანა ძალიან მოკლეა. გასაგებია ამიტომ, რომ ენობის შემდგომი განვითარების პროცესი ორივე ამ მომენტს ეხება: იზრდება ნაცნობ საგანთა რიცხვიც და ლატენტური პერიოდის ხანგრძლივობაც. თუ რა ტემპით ხდება განვითარება, ეს შემდეგი დაკვირვებიდან შეიძლება დაასკვნას კაცმა:

შტერნის გოგონა, პილა, ერთი წლის იყო, რომ თოთხმეტი დღე სხვაგან ჰყავდათ; და როდესაც სახლში მიიყვანეს, აღმოჩნდა, რომ ბავშვმა თითქოს ველაფერი იცნო, სამაგიეროდ, ექვსი თვის შემდეგ მან უკვე ორმოცდა ორი დღის შემდეგაც ყველაფერი იცნო.

მეორე წლის ასაკში ცნობის ლატენტური ხანა, ჩვეულებრივ, ევ ი რ ე ბ ი თ განისაზღვრება, მესამე წელში — თ ვ ე ე ბ ი თ ა, და მეოთხეში იგი შეიძლება წ ლ ა მ დ ე ე გ რ ძ ე ლ დ ე ბ ო დ ე ს.

2. უშუალო მეხსიერება. უშუალო მეხსიერება, — ისე როგორც პერსევერაცია — უკვე პირველსავე თვეებში იჩენს თავს. სამწუხაროდ, ამ პერიოდში მისი შესწავლა ძალიან ძნელია: ობიექტური დაკვირვება, რომელსაც ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავეყრდნოთ, ჭერ კიდევ ცოტა გვაქვს და საკმარის მასალას ვერ გვაძლევს. რაც შეეხება მისი განვითარების გზას შემდგომ ასაკობრივ საფეხურებზე, მ ო ი მ ა ნ ის მიხედვით. იგი 13 წლამდე ნელა ვითარდება, ხოლო შემდეგ 13-დან 16-მდე სწრაფი ტემპით მიდის წინ და 22-დან 25-მდე თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს.

განსხვავებული დაკვირვება აქვს ბ უ რ დ ო ნ ს. მისი მიხედვით. უშუალო მეხსიერება განსაკუთრებით 8 წლიდან 14-მდე ვითარდება, ხოლო შემდეგ, 14-დან 18-მდე, ოდნავ შესამჩნევი ნაბიჯებით მიიწევს წინ. ყოველ შემთხვევაში ზრდადასრულებული გაცილებით მეტს იმახსოვრებს უშუალოდ, ვიდრე ბავშვი.

ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ უშუალო მეხსიერების ბუნებრივი განვითარება უკვე დაბალ საფეხურებზე ამთავრებს თავის წინსვლას, და შემდგომ ასაკობრივ საფეხურებზე იგი უმთავრესად ნებელობის ზეგავლენით აღწევს მაღალ მონაცემებს: ზრდადასრულებული ადამიანის უშუალო მეხსიერება თავის

მალაქ ეფექტს (6-7 უაზრო მარცვალი, 8-9 სიტყვა, 7-8 ციფრი) ნებელობის დახმარებას უნდა უმაღლოდეს. ეს აზრი იმით შეიძლება დასაბუთდეს, რომ, როგორც ვიცით, არა ერთი დაკვირვებაა ცნობილი, საიდანაც ჩანს, თუ რა დიდ დახმარებას უწევს ადამიანს მეხსიერების მიმდინარეობაში ნებელობის ჩარევა და მისი აქტიური დახმარება. ამ საკითხის ექსპერიმენტულად გადაწყვეტის მიზნით საგანგებო ცდებიც კი იყო ჩატარებული (დ ა ნ ი ე ლ ი ს, ა ბ რ ა მ ო ვ ა კ ი ს), საიდანაც გამოიჩინა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ცდისპირის ყურადღება სხვა მხრივია მიმართული, და მეხსიერება თავის თავზეა მინებებული, უშუალო დამახსოვრების უნარი ქვეითდება, როგორც მოცულობისა და ხანგრძლიობის, ისე სისწორის თვალსაზრისითაც. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ როლს ასრულებს უშუალო მეხსიერების პროცესში სუბიექტის აქტიური ჩარევა.

3. ასოციაციური მეხსიერება. უშუალო მეხსიერება არაა სულ მოწყვეტილი ალქმას: იგი უფრო მისი გამოძახილის, ვიდრე ნამდვილი წარმოდგენის სახით განიკლება. გადამწყვეტ ნაბიჯს სპეციფიკური ადამიანური მეხსიერების დაუფლებისაკენ მაშინ ადგამს ბავშვი, როდესაც იგი ასოციაციური მეხსიერების ნიადაგზე ნამდვილ წარმოდგენათა რეპროდუქციის წარმოებას იწყებს. ეს მას შესაძლებლობას აძლევს, საფუძველი ჩაუყაროს თავისი ქცევის აქტუალური სიტუაციის აბსოლუტური ბატონობისაგან განთავისუფლების პროცესს. რასაკვირველია, ეს პროცესი თანდათანობით ვითარდება.

როგორც ცნობილია, ასოციაციური მეხსიერების წარმოდგენებით უკვე მეორე წელში იწყებს ბავშვი სარგებლობას. მისი ქცევის მთავარ ფორმად მალე ე. წ. ი ლ უ ზ ი უ რ ი თ ა მ ა შ ი ი ქ ე ვ ა (ცხენობა ან ასტიპის თამაში), რომელიც წარმოდგენათა რეპროდუქციის უნარის გარეშე სრულიად შეუძლებელია; აკი არსი ილუზიის თამაშისა ისაა, რომ ბავშვი, ალქმული საგნისა და მოვლენის ადგილას, წარმოდგენილს გულისხმობს (ჯოხს ხედავს და მას ცხენად წარმოიდგენს). ძალიან საინტერესოა და დამახასიათებელიც, რომ ილუზიურ თამაშში წარმოდგენას თავის აღმოსაყენებლად უთუოდ ალქმა ესაჭიროება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვს წარმოდგენათა თავისუფალი, ალქმისაგან დამოუკიდებელი რეპროდუქციის უნარი ჯერ კიდევ არა აქვს. ცნობილ დაკვირვებათა თანახმად, უკვე 1,4-ის ბავშვს აქვს ასოციაციები:

როდესაც 1,4-ის (ერთი წლითა და ოთხი თვისა) გ უ ნ ტ ე რ მ ა (შტერნის ბავშვა) დაფა დაინახა, „ამუ-ამუ“-ო, თქვა. ეტყობა, მას ძალიან გაახსენდა, რომელიც მას ორი თვის წინათ დედამ დაუხატა ამ დაფაზე.

ამრიგად, პირველად რაიმე აღქმას საჭირო, რომ მასთან ასოციაციურად დაკავშირებული წარმოდგენა გაჩნდეს.

მალე ბავშვის ცნობიერებაში თვითონ წარმოდგენებიც უკავშირდებიან ერთმანეთს: ძაღლის წარმოდგენამ შეიძლება ეხლა ცხენი მოაგონოს ბავშვს. მაგრამ აღქმულ სიტუაციაზე დამოკიდებულობის ნიშნები აქაც ჩანს. ბავშვის წარმოდგენები უმთავრესად თვალსაჩინო აღქმითი შინაარსისაა — განყენებული, სიტყვიერი მასალა მას უფრო იშვიათად ამახსოვრდება. მეორის მხრივ, ჭერ კიდეე მაინც წმინდა ასოციაციურ მეხსიერებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ამ ასაკში მხოლოდ პასიური ხასიათისაა: რა წარმოდგენები გაჩნდება ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს სავსებით ობიექტურ ვითარებაზე დამოკიდებული, და თვითონ სუბიექტი ნებისმიერ ჭერ კიდეე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მათ მიმდინარეობაზე. მიუხედავად ამისა, მეხსიერების მაღალი აქტიური ფორმების მოსამზადებლად ასოციაციურ მეხსიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

4. სწავლა. არსებითად ასეთსავე სურათს ვღებულობთ, როდესაც მეხსიერების უმაღლესი ფორმის ონტოგენეტურ განვითარებას ვსწავლობთ. სწავლა, როგორც ვიცით, მეხსიერების მუშაობის აქტიურ ფორმას წარმოადგენს. მან, ამისდა მიხედვით, მხოლოდ განვითარების უმაღლეს საფეხურზე უნდა იჩინოს თავი. ადრეული ბავშვობის პერიოდისათვის იგი უცხო უნდა იყოს, რამდენადაც ნებელობის განვითარების დონე ამ ასაკში, როგორც ეს ჩვეულებრივი, არამეცნიერული დაკვირვებიდანაც ჩანს, დაბალია. მაგრამ უდაოა, რომ ბავშვი ადრეულ ასაკშიც ბევრ რამეს სწავლობს. მაშასადამე, მეხსიერების სათანადო ფორმა, დასწავლის უნარი, უკვე ამ ასაკშიც უნდა ჰქონდეს მას.

მაგრამ საკმარისია დავაკვირდეთ, თუ როგორ სწავლობს ამ ასაკში ბავშვი, რომ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი შეიქნეს. თუ არაორგანიზებულ გარემოში დავაკვირდებით ბავშვის სწავლას, მაგალ.: პატარა ლექსების, პატარა სიმღერების, ზოგიერთი სიტყვების სწავლას, უთუოდ თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ „სწავლის“ პროცესს აქ ყოველთვის შემთხვევითი, არა სისტემატური, ბავშვის გუნებისდა მიხედვითი ხასიათი აქვს: აქვს ხალისი ბავშვს, მაშინ ის გაიმეორებს ლექსს, სიტყვას — ერთი სიტყვით, იმას რისი სწავლის ხალისიც მას ამჟამად აქვს. მოკლედ: ამ შემთხვევაშიც ისე იქცევა ბავშვი, როგორც თამაშის დროს; ნამდვილად იგი კი არ „სწავლობს“, არამედ აქაც თამაშობს: ის იმიტომ კი არ იმეორებს ლექსს, რომ მისი დასწავლა უნდა, არამედ იმიტომ, რომ თვითონ განმეორება ჰგერის მას სიამოვნებას, განსაკუთრებით კი სწორი, შეუძქტარი

განმეორება. ისე როგორც ფეხზე დადგმისა და გავლის „სწავლან“ უბრალოდ ამ ფუნქციების ამოქმედებისა და განვითარების მოთხოვნილება განსაზღვრავს, ისეა „სწავლის“ ხბვა შემთხვევებშიც. „სწავლა“ სასკოლო ასაკამდე არსებითად მხოლოდ თამაშის პროცესში ხერხდება. ამიტომაც, რომ სკოლის წინარე ასაკის პედაგოგიკა აღმზრდელობითი ზეგავლენის პროცესს თამაშს უკავშირებს.

ამრიგად, ადრეული ბავშვის ასაკში ადამიანი ბევრს რასმე სწავლობს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეხსიერების ნებისმიერ გამოყენებასთან, ნამდვილს დასწავლის პროცესთან მაინც არა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე: სწავლას აქ საფუძვლად მეხსიერების სპონტანური მუშაობა ედება.

როგორ ვითარდება ეს სპონტანური სწავლის მეხსიერება? სამწუხაროდ, ამის შესახებ სისტემატური ცნობები თითქმის არ მოიპოვება. ეს გასაგებია, იმიტომ რომ ექსპერიმენტი ამ შემთხვევაში მოუხერხებელია: ექსპერიმენტული სწავლა სპონტანური სწავლა აღარ იქნებოდა, რაგინდ თამაშის ხასიათიც უნდა მისცემოდა მას. ექსპერიმენტის გარეშე კი საკმარისი მასალის დაგროვება ძალიან ბევრ დროს მოითხოვს.

ამიტომაც ცნობილი გამოკვლევები მეხსიერების შესახებ, ჩვეულებრივ, სასკოლო ასაკს ეხება, ასაკს, რომელშიც მოზარდს აქტიური მეხსიერების უნარი უვითარდება. მ.ო.ი.მ.ან.ის. მიხედვით, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დასწავლის სისწრაფისა და დამახსოვრების ხანგრძლიობის უნარი გენეტურად ერთმანეთს არ ხვდება: როგორც წესი, რაც უფრო პატარაა ბავშვი. მით უფრო ძნელად სწავლობს ის, მაგრამ მით უფრო ხანგრძლივად იმახსოვრებს. ასეთია მოიძანის მიერ დადასტურებული კანონი. კონკრეტულად. დასწავლის უნარი შემდეგნაირად ვითარდება: 13 წლამდე იგი ნელა ვითარდება, 13-დან 16-მდე სწრაფად, ხოლო 20—25 წლამდე მაქსიმუმს აღწევს: ყველაზე უკეთ ადამიანის მეხსიერება ამ პერიოდში მუშაობს. ამის შემდეგ — 50 წლამდე მაინც — დასწავლის უნარი დაახლოებით ერთ დონეზე რჩება და მხოლოდ მერე იწყებს დაქვეითებას. ებინგჰაუსი 52 წლის იყო, როდესაც თავის თავის შესახებ ამბობდა: ოც წელზე მეტია, რაც ჩემი მეხსიერება უცვლელად ერთსადაიმევე დონეზე დგასო. საწინააღმდეგო სურათს იძლევა დამახსოვრების ხანგრძლიობის მრუდე; დიდები გაცილებით უფრო ცუდად იმახსოვრებენ, ვიდრე სასკოლო ასაკის ბავშვები, და უფრო მალე ივიწყებენ, ვიდრე ეს უკანასკნელნი.



ამ ფაქტს განსაკუთრებული ინტერესი აქვს. იგი ამტკიცებს, რომ მეხსიერება, როგორც ბუნებრივი, ბიოლოგიური უნარი, როგორც ორგანული პლასტიკურობა, ყოველ შემთხვევაში, უკვე სასკოლო ასაკის დასაწყის წლებისათვის დგას თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე; რომ, მეორის მხრივ, მეხსიერების შემდგომი განვითარება უმთავრესად მის იმ ფუნქციას ეხება, რომელიც უფრო ემორჩილება ნებელობის ზემოქმედებას; ესაა მიზეზი, რომ დასწავლის უნარი მოხუცებულობის ხანამდეც უმაღლეს საფეხურზე დგა. ამასთან ერთად მოიმაინს ეს დაკვირვება იმასაც ამტკიცებს, რომ დამახსოვრების ხანგრძლიობა ყველაზე ნაკლებ ემორჩილება ჩვენს აქტიურ ზემოქმედებას: როგორც ჩანს, დამახსოვრების ენერგია განსაზღვრულია, და ამიტომ რაც უფრო მეტს იმახსოვრებს ადამიანი, მიუ უფრო ნაკლები ენერგიის რაოდენობა ხვდება წილად დამახსოვრებული მასალის ცალკეულ ჯგუფებს.

ამრიგად, დასწავლის ფუნქციისათვის ნებელობის გადამწყვეტი მნიშვნელობა გენეტურადაც დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს; და ჩვენ ვხედავთ, რომ მოზარდი პირველად სასკოლო ასაკში ახერხებს თავისი მეხსიერების ნებისმიერ ამოქმედებას და ამ გზით მისი შემდგომი წინსვლის უზრუნველყოფას. რასაკვირველია, ეს უდიდესი მონაპოვარია, რომელიც კი შეიძლება მეხსიერების განვითარების ისტორიაში იქნეს დადასტურებული. სპეციფიკურ-ადამიანური მეხსიერების დაუფლება, როგორც ვხედავთ, პირველად ეხლა ხდება. „თუ აღქმისაგან ემანსიპაცია, რაც წარმოდგენათა რეპროდუქციული ხატის აღმოცენებაში იჩენს თავს, მეხსიერების განვითარების პირველს მსხვილ ეტაპს წარმოადგენს, მისი გარდაქმნა ნებისმიერს, ცნობიერად წარმართულ ოპერაციად მის შემდგომს უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს“-ო, ამბობს რ უ ბ ი ნ შ ტ ე ი ნ ი.

და მართლაც, ამ გარემოების ნიადაგზე ბავშვის ცხოვრებაში ფუნდამენტალური გარდატეხა ხდება: თუ აქამდე მისი ქცევის ძირითად ფორმას თამაში შეადგენდა და მთელი მისი ფსიქიკური განვითარება არსებითად მის ნიადაგზე წარმოებდა, ეხლა მისი ქცევის ძირითად ფორმად სწავლა იქცევა. მაშასადამე, მისი განვითარების მთავარ ფაქტორად ამიერიდან სწავლა ხდება. თამაშის ნაცვლად ცხოვრების მთავარ საქმედ სწავლის გადაქცევა იმის გამო ხდება შესაძლებელი, რომ მოზარდის ნებელობა თავისი განვითარების განსაზღვრულ დონეს აღწევს.

5. მოგონება. ამავე დროს თვალსაჩინო განვითარების გზას განვლის მეხსიერების მეორე აქტიური ფორმაც — მოგონება ან

ისტორიული მეხსიერება. უნდა ითქვას, რომ იგი — განსაკუთრებით იმის გამო, რომ საკუთარი განცდის ობიექტივაციას. მაშასადამე, მე-ს ერთგვარ ცნობიერებასა და ამასთან ერთად წარსულისაკენ ორიენტაციას, ტემპორალიზაციას, გულისხმობს — მეხსიერების განსაკუთრებით რთულ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ წინანსწარვე საფიქრებელია, რომ იგი განსაკუთრებით გვიან უნდა უვითარდებოდეს ადამიანს.

რა დროიდან უჩნდება ბავშვს მოგონება? ამ საკითხის გამოსარკვევად უფრო ხშირად ბავშვობის ხანის პირველი მოგონებების შესწავლას მიმართავენ. ასეთი მოგონებები არა ერთს ავტორს აქვს შეკრებილი; და საერთო დასკვნა, რომელიც ამ მასალიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ, ყოველ შემთხვევაში, 2 წელზე ადრე მოგონების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. საერთოდ, პირველ მოგონებათა თარიღი 2 და 4 წელს შუა ქანაობს. და ხშირად ძალიან ძნელია გარჩევა, ნამდვილ მოგონებასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, თუ იმათთან, რაც სხვებისაგან გაუგონია სუბიექტს თავის შესახებ.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ეხლანდელი უადრესი მოგონება მართლა ჩემი პირველი მოგონება იყოს. უექვევლია, შეიძლება რაიმე მოგონება ამ „პირველ“ მოგონებამდეც მქონოდა, მაგრამ დამახსოვრებით მხოლოდ შემდეგი დროის მოგონება დამმახსოვრებოდა. რომ ეს ასეა, განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმ მასალიდან, რომელიც ბლონსკის აქვს გამოქვეყნებული (1929). ზრდადასრულებულ პირთა შორის შეგროვილი მასალის მიხედვით, ყველაზე ხშირად პირველი მოგონებები 5 წლის ასაკს ეხება (28<sup>0</sup>/6); ხოლო 11 — 12 წლის მოზარდთა მასალის მიხედვით, 3 წლის ასაკს. ასეთი მოგონებები რომ ექვსი-შვიდი წლის ბავშვთა შორის მოგვეგროვებია, შესაძლებელია, სხვა თარიღები მიგველო.

სამაგიეროდ, ამ მოგონებებს იმ მხრივ აქვთ დიდი მნიშვნელობა, რომ ეს ერთადერთი მასალაა, რაც იმდროინდელი ისტორიული მეხსიერების განცდითის, რომელობითი მხარის შესახებ ლაპარაკის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგრამ ამისათვის მარტო პირველი მოგონებების მასალას კი არ უნდა მივმართოთ, არამედ უადრეს მოგონებებს საზოგადოდ, ე. ი. მნიშვნელობა აქვს არა მარტო პირველს, არამედ მათ შემდეგ მიმდინარე მოგონებებსაც: მეორეს, მესამეს, მეოთხეს.

რომ მივმართოთ ჩვენი საკუთარი უადრესი ბავშვობის მოგონებებს ჩვენ იმ წამსვე ყურადღებას მივაქცევთ, რომ ისინი როგორც სრულიად იზოლირებული ფაქტები განიცდებიან, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან; არც დროითი კავშირი:

ისინი წარსულში კი არიან მოთავსებულნი, მაგრამ ისე კი არა, რომ ერთი უწყვეტი ხაზის სხვადასხვა წერტილი ჰქონდესთ დაკავებული, ერთი წინ იყოს და მეორე უკან — მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრულ მანძილზე ურთიერთისაგან. არა, ჩვენი პირველი მოგონებები იზოლირებული ფაქტების სახით გვაქვს ჩარჩენილი მეხსიერებაში, რომელნიც ერთნაირად შორეულისა და სრულიად გაურკვეველი წარსულის ინდექსით არიან აღბეჭდილნი: „ერთხელ მე ესა და ეს დამემართა; ერთხელ მე ესა და ეს ვნახე“... ასე შეიძლებოდა გამოგვეთქვა ჩვენი უძველესი განცდები.

ეს დაკვირვება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბავშვის მოგონებებს პირველი წლების განმავლობაში სწორედ ასეთი ხასიათი აქვთ. ზემოთ, როდესაც დროის განცდის შესახებ ვლაპარაკობდით, დაინახეთ, რომ ბავშვის წარსული დაუნაწევრებელს, დიფუზიურს, ბურუსით მოცულს, პერსპექტივას მოკლებულ „სივრცეს“ წარმოადგენს. მაშასადამე, მოვლენები მასში ერთი მეორის შემდეგ როდი არიან მოთავსებულნი, გარკვეულ ადგილას და ამიტომ გარკვეული მანძილით ურთიერთს დაშორებულნი, არამედ თითქოს ერთად არიან ამ დიფუზიურ არეში გაფანტული, ზოგი უფრო ადრე, ზოგი უფრო გვიან; მაგრამ როდის, ამის შესახებ კითხვაც კი არ ჩნდება.

ბავშვს წარსული არ აინტერესებს: „წარსული უკვე გათავებული საქმეა, მასში აღარაფერია, რომ გინდოდეს, ელოდე, იმედი გქონდეს. მისი მხოლოდ დადასტურება შეიძლება. ბავშვი კი მემართიანე არაა. იგი სურვილის, გრძობისა და მოქმედების არსებაა. იგი უფრო მომავლისაკენ იყურება და წარსულზე ოცნების ხალისი არა აქვს“ (დ ე ლ ა კ რ უ ა).

მოგონებები წარსულში ერთი მეორის შემდეგ, გარკვეული დროის მონაკვეთში, გარკვეული ტემპორალიზაციით, იმ მიზეზით არ არიან განაწილებულნი, რომ თვით ეს წარსული, დიფუზიური, უპერსპექტივო განფენილობაა. მას არა აქვს გამოკვეთილი წერტილები, მიჯნები, რომელიც ერთი დროის პერიოდს მეორისაგან გამოკყოფს; მას არა აქვს არავითარი პერიოდები, იმიტომ რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ მიჯნებს, ამ გამოკვეთილ წერტილებსა და ამ პერიოდებს საზოგადოდ სოციალური ცხოვრების ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტები ქმნიან. ბავშვისათვის კი ყველაფერი ეს ჭერ კიდევ უცხობა.

როგორ ჩნდება ადრეული ბავშვობის ეს ფრაგმენტული, ცუდად ტემპორალიზებული მოგონებები? უნდა ვიფიქროთ, სრულიად შემთხვევით, რაიმე სტიმულის ზეგავლენით, ასოციაციურად — პირველ რიგში რაიმე აქტუალურ აღქმასთან დაკავშირებით და შემდეგ

შეიძლება წარმოდგენებთანაც. ბავშვი რასმე ხედავს, და ეს მას წარსულს მოაგონებს.

დაახლოებით 7 წლიდან მდგომარეობა იცვლება: ბავშვის მოგონებები ერთ უწყვეტ ხაზზე ლაგდებიან, ერთ ქრონოლოგიურ სერიად ერთდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი ისტორიული მეხსიერების შესახებ მხოლოდ ამიერიდან შეიძლება დავიწყოთ ლაპარაკი. მაშასადამე, აქამდე ბავშვის მოგონებები, ასე ვთქვათ, წინა ისტორიული მეხსიერების საფეხურს წარმოადგენდნენ.

ამ ცვლილებას განსაკუთრებით ის უწყობს ხელს, რომ ბავშვი სკოლაში კოლექტიური ცხოვრების მონაწილე ხდება, და მისი მნიშვნელოვანი თარიღები სუბიექტური მოგონებების ტემპორალიზაციის შესაძლებლობას იძლევიან. ამიტომაც, რომ თავისი წარსულის შესახებ უფრო ისეთ პირებს აქვთ უწყვეტი თანამიმდევრობის განცდა, ვისაც თავისი ახალგაზრდობა სკოლაში გაუტარებია. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ სწორედ ამ დროს, როგორც ვიცით, ბავშვი მეხსიერების ნებისმიერ გამოყენებასაც ეჩვევა, და ისტორიულ მეხსიერებაზე უამისოდ ხომ ძნელია ლაპარაკი.

## აზროვნების ფსიქოლოგია

### აზროვნება

1. ალქმა და აზროვნება. შეგარძნება, ალქმა, წარმოდგენა და აზროვნება შემეცნების პროცესებს წარმოადგენენ, მაშასადამე, თითოეული მათგანი სინამდვილის ასახვის მიზანს ემსახურება, და ამდენად მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. განსხვავება შეიძლება მხოლოდ იმას ეხებოდეს, თუ სინამდვილის რა მხარეს ასახავს თითოეული მათგანი. ჩვეულებრივ აღინიშნება, რომ შეგარძნება და ალქმა აქტუალური საგნებისა, მოვლენებისა და მათი თვისებების უშუალო ასახვას იძლევა; ხოლო წარმოდგენა ამავე მიზანს არა აქტუალურის, არამედ წარსულში მოქმედი ობიექტების მიმართ ემსახურება. მაშასადამე, იგულისხმება, რომ სამივე ეს ფუნქცია შინაარსეულად არსებითად ერთსადაიმავე საქმეს აკეთებს: საგანთა, მოვლენათა და მათ თვისებათა უშუალო ასახვის შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ სინამდვილე ხომ მარტო საგნებითა და მოვლენებით არ ამოიწურება! იგი ამ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულს მრავალფეროვან კავშირებს, დამოკიდებულებებს, მიმართებებსაც შეიცავს. და უდაოა, რომ უკანასკნელთა ასახვის გარეშე სინამდვილის სწორი და სრული შემეცნების შესახებ ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა. და აი, ამ ამოცანას, ე. ი. მიმართებათა ასახვას, ჩვეულებრივ, აზროვნებას აკისრებენ. მისი ჩვეულებრივი განსაზღვრა ამისდა მიხედვით ასეთია: აზროვნება ობიექტური სამყაროს კავშირებისა და მიმართებების, ხოლო ალქმა საგნებისა და პროცესების ასახვას წარმოადგენსო.

მაგრამ აღქმისა და აზროვნების ასეთი გათიშვა გაუმართლებელია. არაა სწორი, თითქოს ცოცხალ არსებას საგანთა ასასახავად ერთი ფუნქცია ჰქონდეს მიცემული, ხოლო მათ შორის არსებულ მიმართებათა ასასახავად — მეორე. მართალია, აზროვნება ადამიანის სპეციალური თავისებურებად ითვლება, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ მუდამ ვაზროვნობდეთ. ზშირია შემთხვევები, რომ ჩვენი ქცევა აზროვნების მონაწილეობის გარეშეც მიმდინარეობს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ასეთი შემთხვევებით. იქ, სადაც ჩვენ ჩვეულებრივი ამოცანების გადაჭრასთან გვაქვს საქმე, აზროვნება საჭირო არ არის: იქ ჩვენი ჩვევებიც საკმარის სამსახურს გვიწვევენ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, ასეთ შემთხვევებში ჩვენი ქცევა ისე მიმდინარეობდეს, რომ იგი გარემოში არსებულ მიმართებებს არავითარ ანგარიშს არ უწევდეს. სულ უბრალო მაგალითი დაგვარწმუნებს, რომ ეს მართლა ასეა. ვთქვათ, აი ეხლა, ამ სტრიქონებსი წერის დროს წითელი სამელნე დამპირდა, რომელიც შავი მელნის მარცხნივ აა ჩემს საწერ მაგიდაზე მოთავსებული. საკმარისია, თვალი მოვავლო მაგიდას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელი სწორედ მარცხნივ წავიდეს — წითელი სამელნის მიმართულებით, და არა მარჯვნივ — შავი მელნისაკენ. გარდა ამისა, შავი სამელნე ახლოს დგას ჩემთან, წითელი უფრო შორს. საგულისხმოა, რომ, როდესაც წითელი მელანი მჭირდება, იმავეითვე მისი მიმართულებით უფრო ძლიერი იმპულსით ვწევ ხელს, ვიდრე შავი სამელნის მიმართულებით. როგორც ვხედავთ, ჩემი ხელის მოძრაობას ამ შემთხვევაში სწორედ მიმართება განსაზღვრავს: ერთ შემთხვევაში მარჯვენა-მარცხენა, მეორეში — შორი და ახლო: მარჯვნივ მდებარე სამელნე მარჯვნივ იწვევს ხელის მოძრაობას, უფრო შორი საგანი მოძრაობის მეტ იმპულსს გამსაზღვრავს.

რასაკვირველია, არცერთს აღნიშნულ შემთხვევაში ჩემი ხელის მიზანშეწონილ მოძრაობათა გამოსაწვევად საგანგებო მოფიქრება და მოაზრება არ მჭირდება. უდაოა, რომ ამ შემთხვევაში ის მიმართებები, რომელიც ჩემს მიზანშეწონილ მოძრაობებს უდევს საფუძვლად, ჩემი აზროვნების წყაროდან არ გამომდინარეობენ. მათ საიდან მაქვს ისინი?

როგორც ჩანს, მიმართებების განცდა მართო აზროვნების ფუნქციას არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენს მაგალითებში ცხადად ჩანს, რომ სამელნის შედარებითს სიშორე-სიახლოვეს, მის მარჯვნივ თუ მარცხნივ მდებარეობას, თვითონ სამელნესთან ერთად

გ ა ნ ვ ი ც დ ი : წითელ სამელნეს, როგორც მარცხნივ მდებარეს, როგორც უფრო დაშორებულს აღვიქვამ და არა უბრალოდ, როგორც სამელნეს, თავისთავად და დამოუკიდებლად. უეჭველია, მიმართების განცდის წყაროდ ამ შემთხვევაში აღქმა უნდა ჩაითვალოს.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მიმართების განცდის საკითხი ერთერთი ძველი სადაო საკითხთაგანია. მაშინ როდესაც ზოგი მკვლევარი მიმართებათა აღქმის შესაძლებლობის აზრს იცავს, სხვები ამის წინააღმდეგი არიან და მიმართების წვდომას მხოლოდ აზროვნების საქმედ სთვლიან: ამათთვის მიმართება ყოველთვის აზროვნების პროდუქტს წარმოედგენს, ხოლო იმათთვის შეიძლება იგი აღქმაშიც გვეძლეოდეს.

ამ უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ განსაკუთრებით საყურადღებო საბუთები ა. ბ რ უ ნ ს ვ ი გ ს აქვს თავმოყრილი. იგი გვიჩვენებს, რომ მიმართების უშუალო აღქმის შესაძლებლობის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, როდესაც წინასწარ დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენზე მართო შეგრძნების შესატყვისი გაჰლიზიანებელი მოქმედება და არა თვითონ საგანთა შორის არსებული მიმართებაც. ბ რ უ ნ ს ვ ი გ ი გვიჩვენებს, თუ როდენ მცთარია ეს შეზღუდულება. „როდესაც ჩემს წინაშე ორი ფერადი ლაქაა, ანდა ორი სხვადასხვა სიგრძის ხაზი, განსაზღვრულ პირობებში ხშირად ერთგვარ მდგომარეობას განვიცდი, რომელსაც ამნაირად დავახსოავებდი: მე უშუალოდ ვხედავ, რომ ფერები ერთმანეთს ჰკვანან ან ორი ხაზიდან A უფრო გრძელია, ვიდრე B, და ეს უშუალო ხედვა, რასაკვირველია, აღქმად უნდა ჩაითვალოს, მართალია, არა გრძობად აღქმად, მაგრამ მაინც აღქმად, ე. ი. ობიექტის უშუალო წვდომად“.

ამრიგად, მიმართების („A უფრო გრძელია, ვიდრე B“) აღქმა ამ შემთხვევაში ყოველ ექვს გარეშეა.

რასაკვირველია, მიმართების ასეთი უშუალო განცდის დაკვირვების შემთხვევები ყველას აქვს. მაგრამ, თუ ამის მიუხედავად, ბურჟუაზიულ ფსიქოლოგთა შორის მიმართების აღქმის შეუძლებლობის აზრი მაინც ფართოდაა გავრცელებული, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იაინი დღემდე იდეალისტურ პოზიციებზე განაგრძობენ დგომას. მართლაცდა, თუ წინასწარ ვიგულსხმებთ, რომ მიმართებები თვითონ ობიექტურ სინამდვილეში კი არ არსებობენ, არამედ მხოლოდ ჩვენი შემეცნების ფორმებს წარმოადგენენ და ჩვენ მიერ არიან იქ შეტანილნი, — როგორც ფიქრობდა, მაგალი, კ ა ნ ტ ი, — მაშინ, ცხადია, მიმართების აღქმა შეუძლებლად უნდა იქნეს

ცნობილი. მაგრამ ჩვენთვის უდაოა, რომ მიმართება თვითონ ობიექტური სინამდვილის მოვლენათა თუ საგანთა შორის არსებობს: დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ეს ერთერთი უდაო დებულებათაგანია. მაშასადამე, საოცარი იქნებოდა, ადამიანს ობიექტური სინამდვილის მართო საგნებთან და მოვლენებთან ჰქონოდა პირდაპირი კავშირი, ხოლო მათ შორის არსებულ მიმართებებთან — არა. ჩვენთვის უდაოა, რომ აღქმა ობიექტური სინამდვილის ასახვას იძლევა და, მაშასადამე, მასში არსებული მიმართებებისასაც.

ამრიგად, არაა სწორი, თითქოს აზროვნებასა და აღქმას შორის განსხვავება არსებობდეს, რომ პირველი მიმართებების ასახვას ახერხებს, ხოლო მეორე ამ უნარს მოკლებულია.

აღქმასა და აზროვნებას შორის უინაარსეულად არსებითი განსხვავება საზოგადოდ არ არსებობს. ამიტომ არც ისაა სწორი, თითქოს ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ასახვა მხოლოდ აღქმის და წარმოდგენის საქმე იყოს, ხოლო აზროვნებას ეს სრულიად არ ეხებოდეს. არა, აზროვნებას საგნისა და მოვლენის წვდომაც შეუძლია: მეცნიერულ აზროვნებას არა ერთი მოვლენა გაუთვალისწინებია წინასწარ, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ ქცეულა ფაქტად და, მაშასადამე, აღქმისათვისაც მხოლოდ ამის შემდეგ გამხდარა მისაწვდომი.

ამრიგად, ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მიმართებების ასახვა აღქმასაც შეუძლია და აზროვნებასაც. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს შემეცნებების ამ გზებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. უდაოა, რომ განსხვავება მათ შორის არის. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

2. აღქმისა და აზროვნების განსხვავება. აღქმა და აზროვნება შემეცნების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ. ესაა ძირითადი გარემოება, რომელიც მათ განსხვავებას უდევს საფუძვლად. ამიტომ საჭიროა, ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ ამაზე.

აღქმა აქტუალურ გამლიზიანებელთა ზემოქმედებას გულისხმობს: აღქმა მხოლოდ იმისი შეიძლება, რაც უშუალოდ მოქმედებს სუბიექტზე. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც აღქმის სუბიექტი, ყოველთვის მკვეთრად არის განსაზღვრული, როგორც დროის, ისე სივრცის პირობებით. აღქმა უთუოდ როდისმე, ე. ი. გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობს, და უთუოდ სადმე, ე. ი. სივრცის რომელსამე გარკვეულ წერტილზე, ხდება. ამიტომ იგი ობიექტური სინამდვილის მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრული ამონაკვეთის ასახვას იძლევა, იმის ასახვას, რაც ამ გარკვეულს დროსა და სივრცეში უშუალოდ გავლენას ახდენს სუბიექტზე. აღქმა სი-



ნამდვილის უშუალო ასახვას წარმოადგენს და ამიტომ იგი მხოლოდ ისეთ საგნებსა და მოვლენებს, ისეთს თვისებებსა და მმართველებს ეხება, რომელნიც თითოეულს კერძო შემთხვევაში მოქმედობენ ჩვენზე, და რომელთაც ამიტომ შემთხვევითი და კერძობითი ხასიათი აქვთ.

ობიექტური სინამდვილე, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება. იგი საგანთა და მოვლენათა თვალუწვდენელ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც ერთს მთლიან სისტემადაა შეკავშირებული. აღქმა მხოლოდ იმას გვითვალისწინებს, რაც ჩვენს თვალწინაა; რაც ამას იქითაა. მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელია: აღქმა მხოლოდ გვიჩვენებს იმას, რაც უშუალოდ მოქმედებს ამ გარკვეულ მომენტში და ამ განსაზღვრულ ადგილას ჩვენზე, და ამით კმაყოფილდება. მეტი მას არაფერი შეუძლია. ასეა წარმოდგენაც: იმის ფარგლებს, რაც აღქმას მოუცია ოდესმე ჩვენთვის, იგი ვერასოდეს ვერ სცილდება. წარმოდგენა მხოლოდ აგროვებს იმას, რაც აღქმაში გვექონია მოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად აგროვებს: წარმოდგენა გაცილებით ნაკლებ ნათელია და ნაკლებ ზუსტი, ვიდრე აღქმა.

ამრიგად, აღქმა ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვას იძლევა: იგი მხოლოდ იმას გვითვალისწინებს, რაც უშუალოდაა ჩვენს თვალწინ; ამას იქით იგი ვერ მიდის.

მაგრამ ასეთი ასახვა არა მარტო იმ მხრივ არაა დამაკმაყოფილებელი, რომ იგი სინამდვილის ყოველთვის ვიწროდ შემოფარგლულ ნაწილს ეხება, არამედ განსაკუთრებით და უმთავრესად იმ მხრივ, რომ იგი არც ამ შემოფარგლული ნაწილის ნამდვილ ასახვას იძლევა. აღქმა იმასაც კი ვერ გვეუბნება, თუ რა არის ის, რასაც აღვიქვამთ; იგი მის სურათს, მის ხატს გვაძლევს მხოლოდ. რაც შეეხება მის ნამდვილ არსს, წმინდა აღქმისათვის ეს სრულიად უცხო რჩება. აი, რას ამბობს ამის შესახებ მარქსი: „საქონლის ღირებულების სუბსტანცია იმით განსხვავდება ფალსტაფის მეგობრის, ქვრივი კვიცილისაგან, რომ კაცმა არ იცის, სად იმყოფება იგი... თქვენ როგორც გინდათ, ისე შეგიძლიათ შინჯოთ ხელში ან ათვალეროთ თითოეული ცალკე საქონელი, მისი ღირებულება მაინც შეუმჩნეველი დარჩება თქვენთვის“-ო.

რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს სინამდვილის ასახვას აღქმაში? შეიძლება თუ არა ცოცხალი არსება სინამდვილის აღქმაში ასახვით დაკმაყოფილდეს? შეიძლება თუ არა ცხოვრება, სინამდვილესთან მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარება, თუ რომ ეს სინამდვილე მხოლოდ აღქმაში გვექმნება?

ამ კითხვებზე, რასაკვირველია, დადებითი პასუხის გაცემა შეუძლებელია. უეჭველია, რომ ცხოველი გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ჩვეულებრივ, მხოლოდ აღქმით კმაყოფილდება. როდესაც ჩვენ ქცევის ისეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, რომელნიც წმინდა რეფლექსის ხასიათს ატარებენ, მაშინ გასაგებია, რომ მათი წესიერი მიმდინარეობისათვის აღქმაზე მეტი არაფერია საჭირო: რეფლექსი გარკვეულ სტიმულებთანაა დაკავშირებული, და საკმარისია ამ სტიმულის აღქმა, რომ სათანადო რეფლექსმა თავი იჩინოს.

იგივე უნდა ითქვას ე. წ. ინსტინქტურის, ისე როგორც ყოველგვარი იმპულსური ქცევის შესახებ. როგორც ვიცით, ქცევის ამ ფორმათა შემთხვევებში ცოცხალი არსების მოძრაობებსა და გარედან მოქმედ სტიმულებს შორის ან მემკვიდრეობით განმტკიცებული კავშირი არსებობს — როგორც ამას ინსტინქტური ქცევის შემთხვევებში აქვს ადგილი — ანდა პირდაპირ სტიმულიდან გამომდინარე იმპულსის ნიადაგზე აღმოცენებული კავშირი — როგორც ეს იმპულსური ქცევის შემთხვევებში დასტურდება. ობიექტური სინამდვილის როგორი ასახვაა ქცევის ამ შემთხვევებში საკმარისი? უეჭველია, მხოლოდ უშუალო, მხოლოდ აღქმადი ასახვა, იმიტომ, რომ ინსტინქტურსაც და იმპულსურ ქცევებსაც კონკრეტულს თვალსაჩინო სტიმულებთან აქვთ საქმე. რაა, მაგალ., საჭირო, რომ მშიერმა თოთო ბავშვმა ძუძუს წოვა დაიწყოს? მხოლოდ ერთი: საკმარისია, მან ძუძუს ტუჩებზე შეხება იგრძნოს. რაა საჭირო, რომ მწყურვალე ადამიანმა წყალი დაისხას და დალიოს? აქაც მხოლოდ ერთი: წყლის ჰურტლის აღქმა სათანადო პირობებში.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ქცევასა და სტიმულებს შორის უშუალო კავშირი არსებობს, როგორც ამას რეფლექსის, ინსტინქტისა და იმპულსური ქცევის შემთხვევებში აქვს ადგილი, ქცევის დასაწყებად მარტო აღქმაც საკმარისი.

მაგრამ, ვთქვათ, რომ გარე სინამდვილესა და ჩვენს ქცევას შორის ასეთი პირდაპირი კავშირი არ არსებობს; ვთქვათ, რომ გარედან ჩვენზე ისეთი სტიმული მოქმედობს, რომ სრულიად არ ვიცით, თუ რა მოძრაობით ვუპასუხოთ მას: ისეთს სიტუაციაში მოვხვდით, რომ არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. უეჭველია, პირველ რიგში აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სტიმულის გაგებას ექნებოდა. იმისათვის, რომ მიზანშეწონილად ვუპასუხოთ მას, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვაცოდეთ, თუ რას წარმოადგენს იგი. და აი, ასეთ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ სტიმულის აღქმაზე იმ წამსვე შესატყვისი რეაქცია გაჩნდეს, ჩვენში ერთგვარი გაკვირვების გრძნობა იღვიძება:

რა არის ეს? თითქოს ვეკითხებით ჩვენს თავს, და ჩვენი გულისყური აღქმული სტიმულისაყენ მიიმართება. ამრიგად, სტიმულის აღქმა, ნაცვლად იმისა, რომ საპასუხო მოძრაობას იწვევდეს, გააკვირვების საგნად იქცევა. გაკვირვება ჩვენზე მოქმედი სტიმულის უცნობობის ნიადაგზე ჩნდება, და გასაგებია, რომ ფსიქიკა შემეცნების მიზნით მასზე ჩერდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რასაც აღქმა გვაძლევს სტიმულის შესახებ, ამ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდა, და ამიტომ მისი ხელმეორედ ასახვა გახდა საჭირო, ოღონდ, რასაკვირველია, არა ხელახალი აღქმის სახით: ჩვენ იმიტომ კი არ ვგრძნობთ გაკვირვებას, რომ სტიმულის ნათელი აღქმა ვერ მოვასწარით. არა! სრულიად პირიქით. სტიმულის სწორედ ზუსტი აღქმაა, რომ ჩვენს გაკვირვებას იწვევს, იმიტომ რომ უცნობ საგანს გვიჩვენებს.

მაშასადამე, გაკვირვებას ხელახალი აღქმა კი არა, სხვა გზით ასახვა უნდა: მას პასუხი უნდა თავის კითხვაზე: რა არის ეს? იმისათვის, რომ ასეთი პასუხი მოხერხდეს, აუცილებელი ხდება, უცნობი სტიმულის აღქმა სხვა ცნობილ სტიმულებს დაუპირისპირდეს, მათ შორის არსებული დამოკიდებულება, მათი ურთიერთ-მიმართება გათვალისწინდეს და ამ გზით მონახული იქნეს ის ადგილი, რომელიც მას ობიექტური სინამდვილის სხვა აღქმულ საგანთა და მოვლენათა შორის ეკუთვნის. ასეთი შემეცნების პროცესი, რასაკვირველია, აღქმითი პროცესი არაა. იგი თავისებური შემეცნებითი პროცესია. ეს ის პროცესია, რომელსაც აზროვნება ეწოდება.

ამრიგად, ყველაზე უფრო ძირითადი ნიშანი, რომელიც განასხვავებს აზროვნებას აღქმისაგან, ეს ისაა, რომ აზროვნების შემთხვევაში შემეცნებითი პროცესი უკვე გულისხმობს აღქმის ფაქტს: იმისათვის რომ ვიაზროვნოთ, საჭიროა სინამდვილის რაღაც ნაწილი აღქმული გვექონდეს. აზროვნება მხოლოდ იმას ეხება, რაც ასე თუ ისე ჩემი აღქმის საგანი ყოფილა: იმაზე რაც არ მინახავს, რაც არავითარნაირად არ აღმიქვამს, აზროვნება არ შეიძლება. აზროვნების მასალას ყოველთვის აღქმული სინამდვილე წარმოადგენს.

მაშასადამე, შემეცნებითს პროცესში სინამდვილე ორჯერ აისახება: ჯერ უშუალოდ — აღქმის პროცესში აღმოცენებული ხატის სახით, და მერე — ამ ხატზე დაყრდნობით, აღქმის ობიექტივაციის საშუალებით, ე. ი. არაპირდაპირ და შუალობით. ამიტომ თუ აღქმა ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვას იძლევა, აზროვნება მის გაშუალებულ ასახვას წარმოადგენს.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ აზროვნებისა და აღქმის განსხვავებას, ჩვენთვის ნათელი შეიქნება, თუ რას ნიშნავს, როდესაც

მათ შესახებ, როგორც შემეცნების სხვადასხვა საფეხურის შესახებ ვლაპარაკობთ. მართლაცდა ჩვენ ვხედავთ, რომ აღქმა შემეცნებითი პროცესის პირველი საფეხურია, ხოლო აზროვნება, რამდენადაც იგი მის ბაზაზე აიგება, შემეცნებითი პროცესის მეორე საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ აღქმა ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვას იძლევა: იგი არა მარტო საგნებსა და მოვლენებს, არამედ მის ზოგიერთ თვისებებსა და მიმართებებსაც გვიჩვენებს. მაგრამ იგი სინამდვილის მხოლოდ გარე ხატს, მის სურათს იძლევა. ამიტომ იგი ცოცხალი არსის ქცევის მხოლოდ ისეთი შემთხვევებისათვისაა საკმარისი, რომლებშიც ობიექტური სინამდვილის წიაღიდან მომდინარე ენა თუ ის სტიმული ამა თუ იმ გარკვეული რეაქციის მხოლოდ ს ი გ ნ ა ლ ის როლს ასრულებს: რეფლექსის, ინსტინქტის, ალბათ, იმპულსური ქცევის შემთხვევებშიც. მაგრამ იქ, სადაც სტიმული უცნობია, იქ რეაქციის ნაცვლად გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ის გ რ ძ ნობა და ამასთან ერთად აღქმის ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა ჩნდება. იწყება აღქმულის ფსიქიკური გადამუშავება, ახალი შემეცნებითი პროცესი, რომელიც აზროვნების სახელითაა ცნობილი.

მაშასადამე, აზროვნებისათვის პირველ რიგში ისაა დამახასიათებელი, რომ იგი გაკვირვების იმპულსით აღქმის ობიექტივაციას ახდენს და თავის მიზანს — სინამდვილის ა რ ს ე ბ ი თ ი ხასიათის ასახვას, აღქმათა-მასალის გადამუშავების ნიადაგზე აღწევს. ამრიგად, თუ აღქმა, როგორც სინამდვილის უშუალო ასახვა, პ ი რ ვ ე ლ ა დ ა შემეცნებით პროცესს წარმოადგენს, აზროვნებისათვის დამახასიათებლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ი გ ი მ ე ო რ ა დ ი შემეცნებითი პროცესია.

**8. გაკვირვება როგორც აზროვნების აქტუალიზაციის პირობა.** მეორადი შემეცნების პროცესს, აზროვნებას, გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ის მომენტი უდევს საფუძვლად. იქ, სადაც აღქმული სინამდვილე ასეთ განცდას არ იწვევს, აზროვნების აღმოცენებას არავითარი აზრი არ ექნებოდა. შევჩერდეთ ერთხანს გაკვირვების ცნების განხილვაზე.

როგორც ცნობილია, გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა (ზαυμαζειν) ჯერ კიდევ პ ლ ა ტ ო ნ მ ა (მე-4 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდის) გამოაცხადა ფილოსოფიური აზროვნების სტიმულად. მისი აზრით, ვისაც ეს უნარი არა აქვს, იგი არაა ფილოსოფიური აზროვნებისათვის მოწოდებული. პლატონის ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. გაკვირვება მართლაც უდევს საფუძვლად აზროვნებას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი აზროვნების ძირითად წყაროს მაინც არ

წარმოადგენს. იგი მხოლოდ მეორადი პროცესია, რომელიც უფრო ღრმად მდებარე იმპულსს ეყრდნობა. აზროვნების ძირითად სტიმულს, რასაკვირველია, მოთხოვნილება წარმოადგენს, რომლის ნიადაგზეც ცოცხალი არსება ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობას ამყარებს. როგორც ვიცით, ყოველგვარ აქტიობას უთუოდ რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი აქვს სარჩულად. ამიტომ გასაგებია, რომ, რაც უფრო ძლიერია მოთხოვნილება, რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი სუბიექტისათვის, მით უფრო ენერგიულ აქტიობას იწვევს იგი.

როდესაც ეს აქტიობა ბრკოლდება და, მაშასადამე, მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ხერხდება, ბუნებრივია, რომ სუბიექტი ინდიფერენტული არ რჩება: მასში ის სპეციფიკური გრძნობა ჩნდება, რომელიც გაკვირვების საბელწოდებითაა ცნობილი და რომლის ნიადაგზეც აზროვნების პროცესის აღმოცენება ხდება. აზროვნება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროებათათვის გაჩნდა: იგი პრაქტიკის ნიადაგზე აღმოცენდა და არსებითად პრაქტიკის ინტერესებს ემსახურება.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას საფუძვლად ყოველთვის მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესი აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არა მარტო ჩვეულებრივი ვიტალური მოთხოვნილება ვითარდება და სხვაფერდება, არამედ ახალ მოთხოვნილებათა დაუსრულებელი რიგი ჩნდება, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ეპოულობთ ცხოველთა სამყაროში. თავისთავად იგულისხმება, აზროვნების ამოქმედების იმპულსს ყოველი ასეთი მოთხოვნილება შეიძლება დაედვას საფუძვლად. ოღონდ გადამწყვეტი როლი აქ იმას აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნილება პიროვნებისათვის.

მაგრამ მოთხოვნილება მხოლოდ შინაგანი სუბიექტური ფაქტორია. გაკვირვების გრძნობა და აზროვნების პროცესი გარე ფაქტორსაც გულსხმობს ჩვენ უკვე ზემოდაც აღვნიშნეთ, რომ სიტუაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს გაკვირვებას: 1) როდესაც იგი არაა ქცევის ჩვეულს აქტებთან უშუალოდ დაკავშირებული, და 2) როდესაც ამის გამო სუბიექტისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე ბრკოლდება. წინააღმდეგ შემთხვევაში აზროვნების დაწყებას საფუძველი არ ექნებოდა. ამრიგად, აზროვნების აქტუალიზაციის გარე პირობას სიტუაციის ორი მომენტი შეადგენს: მისი სიახლე ან უჩვეულობა და მისი პერსონალური ღირებულება.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორებს, ეს კარგად ჩანს შემდეგი დაკვირვებიდან, რომელიც შტერნს აქვს მოყვანილი: შინამოსამსახურეს დავალებული

ქონდა ყოველდღიურად სამუშაო ოთახიდან უვარჯისი ქალაქებით სავსე გალათი გაეტანა და ნაგვის ყუთში დაეცალა. ეს საქმე მას სრულიად ჩვეულებრივ, ავტომატურ საქმედ ქონდა გადაქცეული. ერთ დღეს შემთხვევით კალათში საკმაოდ ძვირფასი ნივთებით სავსე პატარა ყუთი ჩაეარდნილიყო და მას ზემოდან ქალაქები დაჰყაროდა, ასე რომ ყუთი სრულიად აღარ ჩანდა. მოსამსახურეს ეგრძნო, რომ კალათი იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო მძიმე იყო, მაგრამ ამისათვის მანქანადამინც ყურადღება არ მიექცია და კალათი ჩვეულებრივი წესით ნაგვის ყუთში დაეცალა.

რატომ დაიკარგა ძვირფასი ყუთი? იმიტომ, რომ კალათის სიმძიმემ არაერთი გააკვირვებდა არ გამოაწვია მოსამსახურეში და, მაშასადამე, არც რაიმე აზროვნების პროცესი, რომელიც მას კალათის შინაარსის შემოწმებას გადააწყვეტინებდა.

რატომ არ მოხდა ასე? ჯერ ერთი იმიტომ, რომ კალათის სიმძიმის შეცვლა არც ისე დიდი იყო, რომ დაშლაგებულს ამაში რაიმე უჩვეულო, რაიმე მართლა ახალი დაენახა, და მეორე — იმიტომ რომ კალათის შინაარსს ჩვეულებრივ არაერთი პერსონალური ღირებულება არ ქონია აღნიშნული ძუბიექტისათვის — არც ერთ მის მნიშვნელოვან მოთხოვნილებასთან არ ყოფილა დაკავშირებული. წინასწარ რომ გავგო მას ძვირფასი ყუთის დაკარგვა და კალათის ჩვეულებრივზე ცოტა მეტი სიმძიმე ამის შემდეგ ეგრძნო, საფიქრებელია, ეს გარემოება კალათის შინაარსს მეტ პერსონალურ ღირებულებას მისცემდა და იგიც ასე ინდიფერენტულად აღარ დასცილიდა მას ნაგვის ყუთში.

ამრიგად, ნათელია, რომ გაკვირვება, რომელიც უსათუოდ უსწრებს წინ ყოველი აზროვნების პროცესს, მეორად ფაქტორს წარმოადგენს: მას საფუძვლად შინა და გარე ფაქტორების რიგი უდევს.

გაკვირვება ერთი განცდაა, რომელიც პირველ რიგში უნდა ჩაითვალოს დამახასიათებლად აზროვნებისათვის. ეს განცდა აზროვნების პროცესის დასაწყისის მომენტს ეხება. სამაგიეროდ, მეორე განცდა მისი დასასრულისათვისაა დამახასიათებელი. ყოველი აზროვნების მიმდინარეობა აღძრული კითხვის გადაჭრით, გაკვირვების დაკმაყოფილებით, სრულდება; მას ის სპეციფიკური განცდა ახლავს თან, რომელიც აჰ ა-გ ან ც დ ის სახელწოდებითაა ცნობილი (ბიულერი, ვერტჰაიმერი). ამისდა შესატყვისად, თუ პირველ განცდას დაძაბულობის ხასიათი აქვს, აჰ ა-გ ან ც დ ა ს, პირიქით, შვების ემოციური მდგომარეობა ახასიათებს. ამიტომ აზროვნების პროცესი როგორც უპირველად დინამიკური მდგომარეობა განიცდება, რომელსაც დასაწყისი და დასასრული მომენტი ერთს მთლიან დახშულ მიმდინარეობად აკავშირებს — ერთს მთლიან პროცესად, რომელშიც ყოველი წინა საფეხური გარკვევით ბოლო საფეხურისაკენ მიიმართება.

შეიძლება ითქვას, ეს ნიშანი აზროვნების პროცესის ერთს განსაკუთრებით სპეციფიკურსა და განსაკუთრებით დემონსტრაციულ ნიშანს წარმოადგენს, რომ ავიღოთ წარმოდგენათა ჩვეულებრივი

ასოციაციური ჯაჭვი, სულ სხვა სურათს მივიღებთ: აქ, ჯერ-ერთი, იმდაგვარს დაძაბულობისა და შვების განცდებს, როგორც გაკვირვებისა და აჰა-განცდის შემთხვევებში გვაქვს, სრულიად არა აქვს ადგილი. ეს თავისთავად გასაგებია, რადგანაც წარმოდგენათა ასოციაციური ჯაჭვის შემთხვევაში თვითონ ამ განცდებზე — გაკვირვებასა და აჰა-განცდაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ ასოციაციის ნიადაგზე აღმოცენებული წარმოდგენების დასაწყისს არაფერი არა აქვს საერთო მის ბოლო წევრთან: აქ ჩვენ წარმოდგენათა უბრალო თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე, სადაც თითოეული წევრი მხოლოდ თავის წინაწევრთან არის დაკავშირებული, და არა დახშულ მთლიანობასთან, სადაც აზრთა მთელი მიმდინარეობაა გაერთიანებული.

**4. დეტერმინაციის ტენდენცია.** აზროვნების მიმდინარეობის დახშულობა, მისი სისტემატური მთლიანობა აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარეობს. როდესაც პირველად ჩვენი საუკუნის დასაწყის წლებში აზროვნების პროცესის შესწავლა ექსპერიმენტული გზით იქნა დაწყებული (კიულპე, ახი, უატი), აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ როლს ის ამოცანა ასრულებს, რომლის გადაწყვეტაც მთელი ამ პროცესის მიზნად არის დასახული. როდესაც ცდისპირს რაიმე ამოცანა ეძლევა გადასაწყვეტად, ჩვეულებრივ, მას თავში მხოლოდ ის წარმოდგენები მოსდის, რომელთაც მიწოდებული ამოცანის გადაწყვეტისათვის აქვთ მნიშვნელობა: წარმოდგენათა ასოციაციას ამ შემთხვევაში ძალა ეკარგება. ეს გარემოება იმდენად სპეციფიკურია აზროვნების პროცესისათვის, რომ უიმისოდ უმარტივესი აზროვნების შემთხვევასაც არა აქვს ხოლმე ადგილი: საკმარისია ამოცანის ცნობიერების გავლენა შესუსტდეს, რომ იმწაშსვე აზროვნების ნაცვლად სხვამ, არააზროვნებითმა პროცესებმა იჩინონ თავი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამოცანა თავისთავად, შექანიკურად როდი ახდენს ასეთ განსაზღვრულ გავლენას ჩვენი ცნობიერების მუშაობაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სუბიექტი მიწოდებული ამოცანის გადაჭრას მართლა სერიოზულად იღებს თავის თავზე. ამის შემდეგ ცნობიერება ისე ეწყობა, რომ მასში ჩვეულებრივი ასოციაციური ტენდენცია ძალას კარგავს და თავის ადგილს ახალ ტენდენციას, ე. წ. „დეტერმინაციის ტენდენციას“ (ნ. ახი) უთმობს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: ადამიანს რომ აზროვნების პროცესში სწორედ შესაფერისი, სწორედ მიზანშეწონილი აზრები უჩნდება, ამას არსებითად უფრო აქტიური ხასიათი აქვს, ვიდრე პასიური: სა-

ფუძვლად ამას სუბიექტის მიერ ამოცანის აღიარება, ამოცანის გადაჭრის გადაწყვეტილება, ე. ი. ნებელობის აქტი უდევს.

5. აქტიურობა. აზროვნების ეს აქტიური ხასიათი მისი მიმდინარეობის შემდგომ სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება. ფსიქოლოგიაში აზროვნების ამ მხარეს ყოველთვის განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ეს გასაგებია, იმიტომ რომ ასოციაციისა და აზროვნების განსხვავებულ ბუნებას არაფერი ისე თვალსაჩინოდ არ ამტკიცებს, როგორც სწორედ ამ გარემოების ნათლად ჩვენება.

აზროვნების პროცესს რომ მართლა აქტიობა ახასიათებს, ეს არა მარტო იმ განცდებიდან ჩანს, რომელიც აზროვნების დროს გვაქვს, არამედ მიმდინარეობის იმ თავისებურებიდანაც, რომელიც აზროვნების პროცესს ახასიათებს: აზროვნება ფენომენოლოგიურად და ფუნქციონალურადაც აქტიურ პროცესს წარმოადგენს.

რას განვიცდით, როდესაც ვთქვით, რაიმე რთულს მათემატიკურ ამოცანას ვწყვეტთ და როდესაც ჩვეულებრივი ოცნების მიმდინარეობას ვაძლევთ თავს? განცდათა სხვადასხვაობა აქ სრულიად უდაოა, პირველ შემთხვევაში ჩვენ უაღრესად თვითმოქმედად ვგრძნობთ თავს, უაღრესად აქტიურად: ჩვენ ყოველ წუთს სიძნელეთა და დაბრკოლებათა პირისპირ განვიცდით თავს და მათ გადააღლახად განუწყვეტლივ შესაფერის ზომებს ვღებულობთ. სამაგიეროდ, ოცნების შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს: აზროვნების ჩვეულებრივი დაძაბულობა აქ პასიურ მოდუნებას უთმობს ადგილს: ოცნების მიმდინარეობა ჩვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე ხდება. თუ იქ თითქმის ყოველი ცალკე აზრი ჩვენი შეგნებული ძიების პროდუქტად განიცდება, აქ წარმოდგენები ისე მიდიან და მოდიან, რომ ჩვენ მხოლოდ პასიური მკვრეტელის როლიღა გვაქვს შერჩენილი. აზროვნების შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებთ; აქ, ოცნების შემთხვევაში, ჩვენ ვკვრეტთ იმას, რაც თითქოს ჩვენი მონაწილეობის გარეშე ხდება.

არანაკლებ ნათლად ჩანს აზროვნების აქტიური ხასიათი მისი მიმდინარეობის თავისებურებიდან. ჩვენ ზემოდ დავინახეთ, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ამოცანის ცნობიერება აზროვნების პროცესში: მთელი პროცესი ისეა წარმართული, რომ იგი თავიდან ბოლომდე მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს და, დასასრულ, ამ ამოცანის გადაწყვეტის აქტით თავდება. აზროვნების პროცესის ეს მიზანშეწონილებითი ბუნება ნათლად მიუთითებს, რომ პიროვნება პირველი ნაბიჯიდანვე იღებს მასში თავისი მიზნებით მონაწილეობას და ბოლომდე აქტიურად წარმართავს მას. ასეთი აქტიობა შეიძლება მხოლოდ ნებელობის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევას ახასია-



თებდეს, თორემ სხვა ფსიქიკური პროცესების შესახებ ამას ვერ ვიტყვით.

8. ტრანსპოზიცია. როგორც დავინახეთ, აზროვნება იმ ფსიქიკურ პროცესს ეწოდება, რომელიც ყოველთვის საკითხის დასმით იწყება და მისი გადაწყვეტით სრულდება. ყოველს კერძო შემთხვევაში საკითხი ერთია—გარკვეული, ინდივიდუალურად განსაზღვრული შინაარსით—და აზროვნება სწორედ ამ ერთის, ინდივიდუალურად განსაზღვრული საკითხის გადაწყვეტას გვაძლევს. მაგრამ ვთქვათ, მეორედ ჩვენს წინაშე აბსოლუტურად იგივე კი არა, ანალოგიური ამოცანა დადგა. ისევე გაუჭირდება ჩვენს აზროვნებას ამ ამოცანის გადაჭრა, როგორც პირველის თუ არა? იმავე სიძნელეებს ვიგრძნობთ ამ შემთხვევაშიც და ისეთივე ძალისხმევა და აქტიური დაძაბვა დაგვჭირდება, როგორც ამოცანის პირველად გადაჭრის დროს თუ არა? სულ მცირე დაკვირვებაც საკმარისია, რომ ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი გავცეთ. ანალოგიური ამოცანის გადაწყვეტისას აზროვნების პროცესი შეუდარებლად უფრო იოლად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, ვიდრე პირველ შემთხვევაში, და დროსაც გაცილებით ნაკლებს მოითხოვს. შეიძლება ითქვას, საკმარისია გაგებულ იქნეს, რომ ამოცანა ანალოგიურია, რათა გადაწყვეტა იმწამსვე იქნეს მონახული.

აზროვნებისათვის ეს გარემოება განსაკუთრებით დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. აზროვნება რომ ამოცანას სწყვეტს, ეს „ერთხელ და სამუდამოდ“ ხდება: ყველა კერძო შემთხვევაში ხელახლა თავიდან დაწყება საჭირო აღარაა. აზროვნებას ერთხელ გადაჭრილი ამოცანის ხერხი ანალოგიურ ახალ ამოცანებზე „გადააქვს“, და ესაა, რომ მას ეგოდენ მაღალ ღირებულებას ანიჭებს: აზროვნებას „ვ. დ. ა. ნ. ს.“, „ტრანსპოზიციის“ უნარი აქვს.

თუ რაოდენ დამახასიათებელია ეს მომენტი აზროვნებისათვის, ეს ნათლად ჩანს ამოცანის, ასე ვთქვათ, უცაბედო, შემთხვევითი გადაწყვეტის ფაქტების შესწავლიდან. არის შემთხვევები, რომ ზოგჯერ ამოცანის გადაჭრას ვერ ახერხებ. მაშინ აზროვნებაზე ხელს იღებ და უბრალოდ ცდას მიმართავ: ხან ისე ცდი, ხან ასე; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამ ცდას რაიმე გონივრული საბუთი ჰქონდეს, არამედ უბრალოდ, რაც მოგივა თავში, იმას ცდი. არის შემთხვევები, რომ ზოგჯერ ამ გზით ამოცანის სწორ გადაჭრას წააწყდები. არ იცი, რატომ წყდება ამოცანა ასე. ხედავ კი, რომ გადაწყდა. ასეთ ბრმად გადაწყვეტას, როგორც ვხედავთ, „ცდოსა და შეცდომის“ მეთოდის გამოყენების შემთხვევებში აქვს

ადგილი. ვთქვათ, ახლა ხელახლა მოგცეს ეს ამოცანა გადასაწყვეტად, ანდა ანალოგიური ამოცანა მოგაწოდეს. თუ მექანიკურად არ გას-სოვს, როგორ მოხდა წინათ ამ ამოცანის გადაჭრა, ხელახლა თავი-დან უნდა დაიწყო, ხელახლა „ცლისა და შეტომის“ გზით უნდა სცადო მისი გადაწყვეტა: ამოცანის უაზროდ, ბრმად გადაჭრის შემ-სხვევებში გადატანას, ტრანსპოზიციას, ადგილი არ აქვს.

### პრაქტიკული აზროვნება

ჩვეულებრივ, აზროვნება ადამიანის ერთერთ განსაკუთრებით სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება. მას მეტყველების უნარს უკავშირებენ და მისი გამოვლენის დასრულებულ ფორმად ლოდი-კურს მეცნიერულ აზროვნებას სთვლიან. ბუნებრივად იბალება სა-კითხი: ეს ერთადერთი ფორმაა აზროვნებისა, თუ მისი სხვა ფორმე-ბიც არსებობს? წინათ ასე ფიქრობდნენ: ნამდვილი აზროვნება მეტყველების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს; ამიტომ აზროვნე-ბე მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, როგორც ერთადერთს მეტყველების უნარით აღჭურვილ არსებასო.

მაგრამ თუ განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ შეიძლება უფრო შესაწყინარებლად ამისი საწინააღმდეგო აზ-რი მივიჩნიოთ, რომლის მიხედვითაც ადამიანის ვერბალური, ლოდი-კური აზროვნების შემთხვევაში განვითარების უმაღლეს საფეხურ-თან გვაქვს საქმე, და, მაშასადამე, მისი განვითარების წინასაფხე-რების შესატყვისი ფორმებიც უნდა არსებობდნენ.

როგორც სათანადო გამოკვლევებიდან გამოიჩნება, აზროვნება, მართლაც, განვითარების რამოდენიმე საფეხურს განვლის და თი-თოეულს ამ საფეხურზე თავისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმას გვიჩვენებს.

ასეთებად შეიძლება შემდეგი ძირითადი ფორმები ჩავთვალოთ: 1) პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა, 2) თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო, ხ ა ტ ო ვ ა ნ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა და 3) ვ ე რ ბ ა ლ უ რ ი, ლ ო დ ი-კ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა.

1. კელერის ცდები. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა მკიდროდ არის დაკავშირებული კ ე ლ ე რ ი ს სახელთან. შეიძლება ითქვას, ეს ცნება პირველად მხოლოდ მისი ზოოფსიქოლოგიური ცდების შემდეგ იქნა მეცნიერებაში შემოღებული და, როგორც ჩანს, საბოლოოდ დამკვიდრებული.

კ ე ლ ე რ ი ს ძირითადი პრობლემა ასეთი იყო: შეუძლია თუ არა ცხოველს, რომელიც, როგორც ყველამ იცის, მოკლებულია მეტყვე-ლების უნარს, გონიერი ქცევა, ე. ი. ქცევა, რომელიც არც ინსტინ-

ქტურად შეიძლება ჩაითვალოს და არც უბრალო შემთხვევითობის პროდუქტად, და რომელიც, მაშასადამე, აზროვნების გამოვლენის უმარტივეს ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული. თუ ასეთი ქცევა არსებობს, როგორ მიმდინარეობს იგი?

ამ საკითხის გადასწვეტად კელერმა ადამიანის მსგავსი მაიმუნების (ანთროპოიდების) ქცევის ექსპერიმენტულ შესწავლას მიმართა. მისი ცდების პრინციპი ასეთი იყო: როდესაც მიზნის მიღწევა პირდაპირი გზითაც შეიძლება, მაშინ ცხოველი ბუნებრივად ინსტინქტით სარგებლობს; მაგრამ თუ მიზნის მისაღწევად უთუოდ არაპირდაპირი „შემოვლილი გზა“ საჭირო, მაშინ, ინსტინქტის ნაცვლად, ცხოველი იძულებული გახდება უკვე გონივრულ აქტებს მიმართოს. ამრიგად, კელერის მიხედვით, გონივრული ქცევის კრიტერიუმად შემოვლილი გზის არჩევის უნარი უნდა ჩაითვალოს. ამიტომ კელერის ცდები ყველა ისეა აგებული, რომ მიზნის მისაღწევად ცხოველს უთუოდ შემოვლილის გზის არჩევა უხდება: „ექსპერიმენტატორი ისეთ სიტუაციას ქმნის, რომ მასში პირდაპირი გზა მიზნისაკენ სრულიად გამოუსადეგარია; სამაგიეროდ, შემოვლილი გზა თავისუფალი რჩება. ცხოველი ამ სიტუაციაში თავსდება... და შესაძლებელი ხდება გამოარკვით: შესწევს მას ძალა თუ არა, ამოცანის გადასაჭრელად არაპირდაპირი, შემოვლილი გზებით ისარგებლოს.“

კელერმა ამ პრინციპზე ცდების მთელი სერია ააგო. მას უნდოდა გამოერკვია, თუ სირთულის რა დონემდე შეეძლო მიეღწია ცხოველის გონივრულ ქცევას. ამიტომ მისი ცდები უმარტივესი ამოცანებით იწყება და საკმაოდ რთულით თავდება. თუ როგორი იყო ეს ამოცანები, ამისი გათვალისწინება უმარტივესისა და ურთულესი ამოცანების ორიოდ ნიმუშის გაცნობით შეიძლება.

პირველი ცდის სიტუაცია ასეთი იყო: ქერზე ჩამოკიდებულია მაიმუნის საყვარელი საკმლით, ბანანებით, საესე კალათი, მაგრამ ისე მაღლა, რომ ცხოველი მას იატაკიდან ვერ შესწვდება. კალათი ბაწარზეა დაკიდებული, და ექსპერიმენტატორი მას აქანავებს. კალათი ამ დროს ისე ახლო მიდის იქვე ოთახში მოწყობილ ფიცარნავთან, რომ საკმარისია მაიმუნი ამ ფიცარნავზე ახტეს და კალათის მიახლოებას მოუცადოს, რომ იგი ადვილად იგდოს ხელთ. აქ შემოვლილი გზა საჭირო არაა; ოღონდ საჭიროა ცხოველმა ის ადგილი შეაძინოს — ფიცარნავი — საიდანაც მიზნის მიღწევა პირდაპირი გზითაც შეიძლება.

ერთერთ უახლოეს ცდაში უკვე ეს შემოვლილი გზაც იჩენს თავს: კალათი ზევითაა დაკიდებული; მაგრამ იქვე ოთახში ყუთია. თუ მიათრევ მას კალათთან და ზედ შედგება, მაშინ მიზანი მიღწეულ იქნება.

მაიმუნი გალიაშია ჩამწყვდეული. გარეთ ბანანი მოჩანს: მაიმუნი ბანანს ხედავს, მაგრამ ხელით ვერ სწვდება. გალიაში ორი ლერწმის ქოხი ავლია, მაგრამ

ორივე ისე მოკლეა, რომ ცალცალკე ვერც ერთით ვერ მიწვდები ბანანს. ხოლო თუ ერთს მეორეში ჩაარკობ, მაშინ ამოცანის გადაჭრა ძნელი აღარ იქნება.

შემოვლილი გზის პრინციპი ძალიან თვალსაჩინოდაა განხორციელებული ერთერთ ურთულეს ცდაში: მაჰუნეი გალიაშია ჩამწყვედელი; მის წინ, გარეთ, 45 სანტ. მანძილზე, ყუთია, რომელშიც ბანანი ავლია ყუთის იმ კედელთან, რომელიც ახლოა მაიმუნთან. ყუთის ერთი კედელი აკლია, მაგრამ სწორედ ის კედელი, რომელიც ყველაზე უფრო შორსაა მაიმუნისაგან. გალიაში გრძელი ჯოხი ავლია. როგორ შეუძლია ცხოველს ამოცანის გადაწყვეტა და ბანანის ხელში ჩაგდება? მხოლოდ ასე: უნდა აიღოს ჯოხი, ამ ჯოხით ბანანი თავისკენ კი არ უნდა მოსწიოს, არამედ, პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით — ღია კედლისაკენ, და ამ გზით, ბოლოს, ყუთიდან გარედ გამოაგოროს. ამის შემდეგ იმავე ჯოხით გვერდით გასწიოს, სანამ ყუთს არ გადასცდება და მერე უკვე პირდაპირ თავისკენ მოსწიოს.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აქ მაიმუნი, მართლაც, ისეთ სიტუაციაშია მოქცეული, რომ თუ არა გონივრული ქცევით, სხვა გზით მას ამოცანის გადაჭრა არ შეუძლია.

ვთქვათ, რომ, მაგალითად, უკანასკნელ ცდაში ცხოველი თავის ინსტინქტურ იმპულსებს ემორჩილება. რას იზამდა იგი ამ შემთხვევაში? უეჭველია, ნაცვლად იმისა, რომ ბანანი უკან გაეწია, ე. ი. კიდევ უფრო დაეშორებია, იგი მას თავისაკენ მოსწევდა. მაგრამ, რადგანაც მხოლოდ ყუთის უკანა კედლიდან შეიძლებოდა მისი გარეთ გამოგდება, ამნაირი ქცევით, ცხადია, ცხოველი მას ვერასდროს ხელში ვერ ჩაიგდებდა. ანდა ორი ჯოხის ამოცანა! ცხოველმა იქ ისეთ მოძრაობებს უნდა მიმართოს, რომელთაც თავისთავად სრულიად არავითარი კავშირი არა აქვთ ბანანთან: ნაცვლად იმისა, რომ ხელი ბანანისაკენ გასწიოს, მან ჯოხი უნდა აიღოს ხელში — მსხვილი მარცხენაში, ხოლო უფრო წვრილი მარჯვენაში — და ერთი მეორეს მიარგოს.

მიუხედავად იმისა, რომ კელერის ცდებში შექმნილი სიტუაციიდან ინსტინქტური გზით გამოსვლა სრულიად შეუძლებელი იყო, ანთროპოიდები მაინც წარმატებით სწყვეტდნენ ამოცანას. იბადება საკითხი: როგორ ახერხებდნენ ისინი ამას? კელერის პასუხი ამ საკითხზე ცნობილია: ანთროპოიდები გონივრული ქცევის უნარს ამჟღავნებდნენ; ისინი არა ინსტინქტის, არამედ აზრის დახმარებით ახერხებდნენ სიტუაციიდან გამოსვლას.

2. „ცდისა და შეცთომის თეორია“. კელერის ეს დასკვნა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ფსიქოლოგიაში განმტკიცებულ შეხედულებას როგორც აზროვნების ბუნების, ისე ცხოველის ქცევის შესახებ. და ამიტომ საკითხი დაისვა, სწორი იყო თუ არა ის ინტერპრეტაცია, რომელსაც კელერი მის მიერ აღმოჩენილს ექსპერიმენტულ

ფაქტებს აძლევდა და რომლის მიხედვითაც მეტყველების გარეშე აზროვნების შესაძლებლობა მტკიცდებოდა.

ფსიქოლოგების ერთი რიგი, განსაკუთრებით ამერიკელი ფსიქოლოგები (თორნდაიკი და სხვ.) იმ აზრს იცავდნენ, რომ მაიმუნიები კვლერის ცდებშიც შემთხვევით სწყვეტდნენ ამოცანას და შემდეგ, ხშირი განმეორების გზით, მას მექანიკურ ჩვევად აქცევდნენ.

ეს აზრი ჯერ კიდევ კვლერის ცდების შედეგების გამოქვეყნებამდე ჰქონდა გამოთქმული თორნდაიკს, და იგი, „ცლისა და შეცთომის“ პრინციპის სახელწოდებით, ფართოდ იყო გავრცელებული. განსაკუთრებით ამერიკელ ფსიქოლოგთა შორის. თორნდაიკს ეს პრინციპი თავისი ცნობილი ზოოფსიქოლოგიური ცდების შედეგად ჰქონდა ფორმულირებული, რომელთა აგებულობაც არაუბიჯად ასეთი იყო:

შვიერ ცხოველს გალიაში ჰკეტავენ, საიდანაც იგი გარეთ მოთავსებულ საკმელს ხედავს. გალიას კარი აქვს, რომელაც იმ წამსვე იღება, თუ ცხოველი, მაგალ., რაზას გადასწევს, ან რომელიმე გარკვეულ ადგილს თათით მიაწვება. ერთი სიტყვით, გალიის გაღება შეიძლება თუ რომ ცხოველი შესაფერის მოძრაობას მიმართავს. ექსპერიმენტატორი თვალუერს ადევნებს ცხოველის ქცევას, რომელიც იქეთ არის მიმართული, რომ გალიდან გარეთ გამოსვლისა და შიმშილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა უზრუნველყოს.

როგორ აღწევს, თორნდაიკის მიხედვით, ცხოველი თავის მიზანს? ძალიან უბრალოდ. შიმშილი მას გარეთ მოთავსებული საკმელისაკენ ერეკება. ცხოველი ზრულიად ბუნებრივს, ჩვეულებრივს, თანდაყოლილ მოძრაობას მიმართავს: იგი საკმლის მიმართულებით გარბის და როდესაც კედელს ეხეთქება, გალიიდან განთავისუფლების იმპულსით ხან აქეთ ეცემა, ხან იქეთ: თითქოს „სცდის“, აქედან ზომ არ შეიძლება გასვლაო, და როდესაც ირკვევა, რომ ეს „შეცდომა“ იყო, ხელახლა განაგრძობს ახლახან ცდებს. ამ განუწყვეტელ მოძრაობაში ცხოველი შემთხვევით რაზას შეეხება და გალიის კარი გაიღება: ცხოველი მიზანს აღწევს, მაგრამ სრულიად „შემთხვევით — თავისი მრავალი „ცდებისა და შეცდომების“ შედეგად. ცხოველი რომ ხელახლა დააბრუნო გალიაში, იგი კვლავ მიმართავს თავის უაზრო მოძრაობებს და კვლავ შემთხვევით გაითავისუფლებს თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ცდების ხშირი განმეორების შემთხვევაში ირკვევა, რომ რაც უფრო ხშირად უბღება ცხოველს გალიიდან გამოსვლა, მით უფრო იშვიათად მიმართავს ხოლმე იგი არამიზანშეწონილ მოძრაობებს, ბოლოსდაბოლოს, სრულიად თავს ანებებს მათ და პირდაპირ შესაფერის მოძრაობებს იწყებს: ჩაამწყვდევე თუ არა გალიაში, იმწამსვე რაზას მი-

ვარდება და თათის სათანადო დარტყმით კარს ადებს და გარეთ გა-  
მოდის.

ამრიგად, ცხოველი პირველად შემთხვევით გამოვიდა გალიიდან:  
მას შეგნებულად როდი აურჩევია ის მოძრაობა, რომლის წყალობი-  
თაც კარის გაღება მოახერხა, არამედ ეს სრულიად შემთხვევით, მი-  
სი ცნობიერი ჩარევის გარეშე მოხდა.

მაგრამ რატომ ხდება, რომ ცდის ხშირი განმეორების შედეგად  
ცხოველი სულ უფროდაუფრო იშვიათად მიმართავს არამიზანშეწო-  
ნილ მოძრაობებს და, ბოლოს, პირდაპირ მიზანშეწონილით იწყებს?  
ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, ბოლოსდაბოლოს, ცხოველი თავისი  
მიზანშეწონილი მოძრაობის აზრს ხვდება და ამიერიდან მას თავი-  
დანვე შეგნებულად მიმართავს? თორნდაიკის პასუხი ასეთია: ირ-  
ა! არამიზანშეწონილ მოძრაობათა შემცირება და, ბოლოს, მათი სრუ-  
ლი ელიმინაცია, ხოლო მიზანშეწონილთა განმტკიცება და გაუმჯო-  
ბესება თავისთავად, სრულიად მექანიკურად, ცხოველის აქტიური  
მონაწილეობის გარეშე ხდება: მიზანშეწონილი მოძრაობა რომ წარ-  
მატებით თავდება, ეს გარემოება ცხოველში სიამოვნებას უნდა იწ-  
ვევდეს, ხოლო არამიზანშეწონილ მოძრაობათა უნაყოფობა-  
უსიამოვნებას. ამისი ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ სიამოვნების  
გრძნობის გავლენით მიზანშეწონილ მოძრაობათა და განსაზღვრულ  
სენსორულ შთაბეჭდილებათა შორის არსებული ასოციაციური კავ-  
შირები მტკიცდება, ხოლო არამიზანშეწონილ მოძრაობათა შემ-  
თხვევაში, უსიამოვნების ზეგავლენით, ასეთი კავშირი სუსტდება,  
ასე ხდება, რომ, ბოლოსდაბოლოს, არამიზანშეწონილი მოძრაობე-  
ბი ისპობა და მხოლოდ მიზანშეწონილი რჩება.

ასეთია „ცდისა და შეცთომის“ თეორია. როგორც ვხედავთ, იგი  
თავიდან ბოლომდე წმინდა მექანიკურ პოზიციებზე დგას, და, გა-  
საგებია, რომ კელერის ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ილაშქრებს:  
„რა საჭიროა ინტელექტზე ლაპარაკი, როდესაც ცხოველის ე. წ. გო-  
ნივრული ქცევა „ცდისა და შეცთომის“ პრინციპითაც ადვილად  
აიხსნებაო“, ამბობენ ამერიკელი ფსიქოლოგები.

3. „გარდასვლის განცდის“ თეორია. ფსიქოლოგების მეორე  
ჯგუფი, განსაკუთრებით გერმანელი ფსიქოლოგები (ბ ი უ ლ ე რ ი,  
ლინდვორსკი და სხვ.), სხვა მოსაზრებით არ ეთანხმებიან კე-  
ლერის დასკვნას. მათი აზრით, მაიმუნები რომ ეგოდენ რთულ ამო-  
ცანებს სჭრიან, ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ისინი რაიმენაირად  
აზროვნების აქტებს მიმართავდნენ. საქმე ისაა, რომ მათი ქცევის  
ახსნა სხვანაირადაც შეიძლება, სახელდობრ, ისე, რომ აზროვნების  
აღიარება სრულიად არაა საჭირო. უეჭველია, თუ ასეთი ახსნა მართ-

ლა შესაძლებელია, მაშინ უპირატესობა მას უნდა მიეცეს, იმიტომ რომ ცხოველის აზროვნების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ აღმოჩნდება, რომ მისი ქცევის ახსნა სხვა, უფრო მარტივი, ფუნქციების მოქმედების ნიადაგზე სრულიად შეუძლებელია. ფსიქოლოგების ამ ჯგუფის აზრით, კელერის მაიმუნების ქცევა ისეთი არაა, რომ მისი მარტივი ფსიქიკური ფუნქციებიდან გამოყვანა არ შეიძლებოდეს.

მართლაცაა, რა უღვეს საფუძვლად კელერის მაიმუნების წარმატებითს ქევას? უეჭველია, როგორც აღნიშნავს ბიულერი, მიწოდებულ საგანთა შორის არსებული მიმართებების გამოყენება. მაგრამ განა მიმართების წვდომა უთუოდ გონებას გულისხმობს? დიდი ხანია შენიშნულია (შუმანის მიერ), რომ ორი სიდიდის მაგალ., ორი წრის სუექციური შედარებებისას, პირველის, ვთქვათ, უფრო დიდი მოცულობის წრის შემდეგ, მეორე — უფრო მცირე მოცულობის მქონე — თითქოს იკუმშება — ანდა, როდესაც შესაძარებელი წრეების თანამიმდევრობა სხვაგვარია, პირიქით, მეორე წრე ფართოვდება. ამ „შეკუმშვის“ თუ „გაფართოების“ თანმხლებ განცდას „გარდასვლის განცდას“ (Uebergangserlebnis უწოდებენ; ფიქრობენ, რომ შედარების აქტს სწორედ ეს სპეციფიკური ფენომენი, ეს „გარდასვლის განცდა“ უნდა ედოს საფუძვლად: როდესაც მეორე წრე „იკუმშება“, მას უფრო პატარად განიცდი, ვიდრე პირველს, ხოლო, როდესაც იგი „იზრდება“, მაშინ, რასაკვირველია, პირიქით, იგი უფრო დიდად გეჩვენება. მაშასადამე, შედარების შემთხვევაში არავითარი მიმართების სპეციფიკურ წვდომაზე, არავითარს გონებრივ ოპერაციაზე არაა საჭირო ლაპარაკი. მიმართებას — რომ ერთი უფრო დიდია, ვიდრე მეორე — ამ შემთხვევაში აზროვნების კი არა, „გარდასვლის“ განცდის საშუალებით ვწვდებით.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდაოა, რომ „ცხოველი სწორედ გარდასვლის განცდებით წვდება მიმართებას და არა აზროვნებით“—ო, ამბობს ლინდვორსკი, რომელიც საზოგადოდ უარყოფს აზრს, თითქოს მაიმუნს მიმართების ნამდვილი წვდომა შეეძლოს: იგი მ ი მ ა რ თ ე ბ ა ს კ ი არა, გ ა რ დ ა ს ვ ლ ა ს განიცდისო, ამბობს იგი.

მაგრამ „გარდასვლის განცდას“ შუმანის მხოლოდ ზოგიერთი ცდისპირი ადასტურებს: უმრავლესობამ მის შესახებ არაფერი იცის, მაშ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ცხოველებს ეს განცდა ჩვენზე უფრო გამოკვეთილი აქვთ? თითქოს ნათელი უნდა იყოს: კიდევ რომ ჰქონდეს ცხოველს ეს განცდა, იგი გაცილებით უფრო ნაკლებ უნდა ამჩნევდეს მას, ვიდრე ჩვენ, ადამიანები.

მაგრამ გარდასვლის განცდის მომხრეები ასე მსჯელობენ ამის საპასუხოდ: რასაკვირველია, შესაძლებელია გარდასვლის განცდა ძალიან სუსტი ჰქონდეს ცხოველს, მაგრამ ეს სრულიად არ გვიშლის ხელს, ვიფიქროთ, რომ შე დ ა რ ე ბ ი ს ა ს ცხოველი მაინც გარდასვლის განცდას ემყარება: საქმე ისაა, რომ ცნობილია შემთხვევები, როდესაც ჩვენს მსჯელობას იმდენად სუსტი გრძნობადი შთაბეჭდილება განსაზღვრავს, რომ მისი შემჩნევაც კი არ შეიძლება. მაშასადამე, გარდასვლის განცდების სისუსტე სრულიად არ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს შეუძლებელი იყოს შედარების აქტი მას ემყარებოდეს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: კელერის შედეგების სხვაგვარი ინტერპრეტაციის ცდებიც არსებობს. ამ ცდების მიხედვით, სრულიად არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ შიმპანზე თავის ამოცანებს აზროვნების საშუალებით სწავტვდეს. მაშ, რა უღვეს საფუძვლად კელერის მაიმუნების ცქევას? თორნიდაიკის მიხედვით — „ცდისა და შეცთომის“ გზა, ხოლო გერჰანელი ფსიქოლოგების მიხედვით — სუსტი, შეუმჩნეველი ე. წ. გარდასვლის განცდები. მაგრამ „ცდისა და შეცთომის“ პრინციპის უაღრესად მექანიკური ბუნება, ხოლო „შეუმჩნეველი გარდასვლის განცდების“ არანაკლებ უაღრესად ჰიპოთეტური ხასიათი საეჭვოდ ხდის, რომ რომელიმე ამათგანი უკეთ ხსნიდეს კელერის ფაქტებს, ვიდრე ის ინტერპრეტაცია, რომელსაც თვითონ კელერი იძლევა.

4. ანთროპოიდის აზროვნების საკითხი. კელერი დაწერილებით აღწერს თავისი ცხოველების ქცევას. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ, აქვს თუ არა ამ ქცევას ის ნიშნები, რომელნიც ზემოდ აზროვნების პროცესის დამახასიათებელ ნიშნებად მივიჩნიეთ. კელერის ერთერთი ცდა ასეთი იყო. მაღლა, ერთერთ კედელზე ბანანი იყო დაკიდებული. იქვე, შორიახლოს, ყუთი იდგა. შიმპანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მისწვდებოდა ნაყოფს, თუ ყუთს ბანანის ქვეშ მიათრევდა და ზედ შედგებოდა. კელერი საინტერესო დაკვირვებას გადმოგვცემს, თუ როგორ გადაჭრა ეს ამოცანა სადგურის ყველაზე უფრო ახალგაზრდა წევრმა, კოკომ.

როდესაც კოკომ მაღლა დაკიდებული ბანანი დაინახა, იგი პირდაპირ გაექანა მისკენ, ახტა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზევით, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მაშინ იგი უკან გამობრუნდა, მოშორდა კედელს, რომელზე და ც ბ ა ნ ა ნ ი ე კ ი დ ა , მაგრამ ხელახლა უკან დაბრუნდა და ეს რამოდენიმეჯერ გაიმეორა: მ ი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა კ ე დ ე ლ ს და დაშორდება მას. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდეს-



საც კოკო კედელს დაშორდა, ყუთთან მივიდა და შედგა ზედ, გაიხედა ბანანისაკენ და დაუწყო ყუთს ნელა ბიძგვა, მაგრამ ისე, რომ ადგილიდან არ დაუძრავს. კოკოს მოძრაობებს თვალსაჩინო შენელება ეტყობა: იგი გაცილებით უფრო ნელა იწყებს მოძრაობაა, ვიდრე აქამდე. ის თავს ანებებს ყუთს, მიდის ხელახლა კედლისაკენ, მაგრამ კვლავ ყუთს უბრუნდება; ხელახლა ხელს ჰკრავს მას, მაგრამ მაინც ისე სუსტად, რომ არ ჩანს, რომ მას მაინცდამაინც ყუთის ადგილიდან დაძვრა ჰქონდეს მიზნად დასახული. როდესაც საქმე წინვე რმიდის, ექსპერიმენტატორი ბანანს ფორთოქალას ნაჭერს უმატებს. ეს გარემოება თვალსაჩინო გავლენას ახდენს მაიმუნზე: იგი ისევ ყუთთან მიდის, ერთბაშად სტაეებს მას ხელს და თითქმის ერთი იმპულსით კედელთან მიაქვს, ხტება ზედ და ჰგლეჯს კედლიდან ნაყოფს.

საკმარისია ცოტა ჩავუკვირდეთ შიმპანზეს ამ ქცევას, რომ მასში აზროვნების თითქმის ყველა ნიშანი აღმოვაჩინოთ. ჯერ-ერთი, საყურადღებოა, რომ ბანანის შემჩნევა იმწამსვე მისკენ მოძრაობას და, ზევით ახტომის საშუალებით, ე. ი. პირდაპირი გზით, მისს ხელში ჩაგდების ცდას იწვევს: ცხოველში პირველ რიგში ინსტიქტი იღვიძებს. მაგრამ როცა არაფერი გამოდის, კოკო აქეთ-იქით სიარულს იწყებს: ხან მიუახლოვდება კედელს, სადაც ბანანი ჰკიდია, ხან დაშორდება მას; ამასთანავე თვალს არ აშორებს მიზანს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ცხოველში სწორედ ის სპეციფიკური მდგომარეობა იყოს შექმნილი, რომელიც ზემოდ გაკვირვებებს ის სახელწოდებით გვაქვს აღწერილი და რომლითაც აზროვნების პროცესი იწყება, რომ ანალოგიური განცდა მართლა უნდა ჰქონდეს შიმპანზეს, ეს სხვა შემთხვევების აღწერიდან კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ჩანს.

გასაგებია, რომ კოკო ასე დაყინებით მიჩერებია ბანანს, ასე დაყინებით უბრუნდება ყუთს: სიტუაციის ობიექტივაცია, რომელიც აზროვნების ძირითად მომენტს წარმოადგენს, აქ ყოველ ექვს გარეშეა. მაგრამ აზროვნების შემთხვევაში გაკვირვების განცლით დაწყებული პროცესი მეორე სპეციალური განცლით, აჰანგანცლით, მთავრდება. საგულისხმოა, რომ კოკოს ქცევის აღწერაში ეს მომენტიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი: ფორთოქალის ნაჭერის მიმატებასთან ერთად ისევ ყუთთან მისვლა, აქ ერთხანს გაჩერება და მერე, ერთბაშად, ერთი დაკვრით ქცევის მიზანშეწონილი მიმართულებით შეცვლა აჰანგანცლის ტიპურ სურათს გვიხატავს: კოკო ერთბაშად „მიხვდა“, თუ როგორ შეიძლებოდა

მიზნის მიღწევა, მისთვის ერთბაშად „ყველაფერი ნათელი 'ჰეიქანა“, როგორც იტყოდა მის მდგომარეობაში აღამიანი.

გასაგებია, რომ მთელი ქცევის მიმდინარეობა ამის შემდეგ ურას დახშულ მთლიანობას წარმოადგენს: იგი აზროვნების ერთი მთლიანი პროცესია, რომელიც გარკვეული მიზნის გადაწყვეტის ტენდენციითაა დეტერმინირებული. აზროვნების პროცესის დახშულობისა და აპა-განცდის მომენტებს რომ მართლა აქვთ კელერის ანთროპოიდების ქცევაში ადგილი, ეს განსაკუთრებით მათი მოქმედების მიმდინარეობის მრუდიდან ჩანს: „ცდისა და შეცთომის“ პრინციპის გამოყენების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ცხოველი შემთხვევითი მოძრაობის საშუალებით სჭრის ამოცანას და შემდეგ, ხანგრძლივი განმეორების წყალობით, ამ მოძრაობას მტკიცე ჩვევად აქცევს, ცხოველის მოძრაობათა მრუდე ასეთია: თუ აბსცისაზე ამოცანის გადაჭრის განმეორებაჲს ცდებს აღვნიშნავთ და ორდინატზე — დროს, რომელიც ამისათვისაა საჭირო, მივიღებთ მრუდეს, რომელიც საერთოდ წელი თანდათანობით ეშვება ძირს, მაგრამ აქა-იქ, დროგამოშვებით, კვლავ ზევით ავარდება ხოლმე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგჯერ ცხოველი ამოცანის სწორი გადაჭრის შემდეგაც ძველ შეცთომებს უბრუნდება.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ცხოველის ქცევის მრუდე, როდესაც იგი კელერის მაიმუნების ქცევის სურათს იძლევა: აქ მრუდე შეიძლება ისე იწყებოდეს, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, მაგრამ იგი ყოველთვის შეიცავს კრიტიკულ მომენტს, რის შემდეგაც მრუდე ერთბაშად, მოსხლეტით, ძირს ვარდება და ამის შემდეგ არც ერთხელ ზევით აწევის ტენდენციას აღარ ამჟღავნებს. რაკი ერთხელ მოხერხდა ამოცანის გადაჭრა, ცხოველი უკვე აღარ უბრუნდება შეცთომებს. ჩვენ ასე შეგვეძლო აგვეწერა საქმის ვითარება: ცხოველი „მიხვდა“, თუ როგორ წყდება ამოცანა, მან „ერთხელ და სამუდამოდ გაიგო“, თუ რაშია სიძნელე; ამიტომაც რომ ამიერიდან ერთხელაც აღარ ცდება. უდაოა, მრუდის ასეთი მიმდინარეობის შემთხვევაში მხოლოდ ინტელექტურ პროცესთან შეიძლება გვქონდეს საქმე. მრუდეში განსაკუთრებით დემონსტრაციულადაა აპა-განცდის მომენტი ასახული: მრუდე ერთბაშად ვარდება ძირს და აღარც ერთხელ ზევით არ იწევს.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ კელერის მაიმუნის ქცევაში მიზანშეწონილებისა და აქტიობის მომენტიც ნათლადაა წარმოდგენილი. კოკოს დაეინებით იზიდავს თავისაკენ კედელზე დაკიდებული ნაყოფი: იგი თვალს ვერ აშორებს მას, შეიძლება მოშორდეს ერთი ხნით, მაგრამ მალე კვლავ მისკენ უნდა გაბრუნდეს. ცხადად ჩანს, თუ რა

შიმშიდველი ძალა აქვს მისთვის ნაყოფს: მიუხედავად ამისა, კოკო მაინც აქტიურია: იგი ხშირად სტოვებს ნაყოფს, ყუთისაკენ მიდის, ე. ი. კი არ უახლოვდება, არამედ შორდება მას. უდაოა, ამ შემთხვევაში იგი ნაყოფიდან მომდინარე ბუნებრივი იმპულსის წინააღმდეგ მოქმედობს. მაშასადამე, მისი აქტიურობა უკვე ამაშიც ნათლად ჩანს. მაგრამ სრულიად უდაო ხდება იგი, როდესაც კოკო მონაცემ სიტუაციას თვითონ სცვლის, როდესაც იგი ყუთს ადგილიდან სძრავს და სხვა ადგილას გადააქვს: კოკო თავის გარემოს სცვლის. მაგრამ ამაში მართო აქტიობა როდი ჩანს, არამედ მიზანშეწონილი აქტიობაც: კოკოს ქცევას ბანანის ხელში ჩაგდების მიზანი განსაზღვრავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: სანამ კედელზე მართო ბანანი ეკიდა, კოკოს აზროვნება ჯერ კიდევ არ ყოფილა საკმარისად მობილიზებული. მაგრამ დაემატა თუ არა მას ფორთოქალიც, მდგომარეობა მყის შეიცვალა: კოკომ თავისი ამოცანა მყის გადაწყვიტა. ჩვენს წინაშე უაღრესად მჭერმეტყველი ფაქტი დგას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებას, ობიექტის პიროვნულ მნიშვნელობას, აზროვნების სტიმულაციისათვის.

ამრიგად, მაიმუნის ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას აზროვნების უეჭველი ნიშნები ახასიათებს. მაშასადამე, ჩვენ არ გვაქვს საბუთი არ ვაღიაროთ, რომ უთუოდ უნდა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ანთროპოიდი აზროვნების აქტებს მიმართავს და მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას გონიერი ქცევის გზით სწყვეტს. მაგრამ როგორია ეს აზროვნება?

ნ. პრაქტიკული აზროვნება. თავისთავად იგულისხმება, ჩვენს წინაშე აზროვნების თავისებური ფორმაა, რომლის არსებობაც ჩვენს საუკუნემდე არავინ იცოდა. რა თავისებური ნიშნები ახასიათებს აზროვნების ამ ფორმას?

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. როდესაც აღამიანი რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად აზროვნებას მიმართავს, ეს, ჩვეულებრივ, ასე ხდება: სანამ არ დაასრულებს აზროვნებას, მანამდე იგი უმოქმედოდ რჩება, იმიტომ რომ მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ სჯობს მოქმედება. ეს უკანასკნელი მხოლოდ აზროვნების პროცესის დამთავრების შემდეგ იწყება. იგი დასრულებული აზროვნების შედეგის ქცევაში გამოვლენას წარმოადგენს და არა თვითონ პროცესს აზროვნებისას, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივს შემთხვევებში, აზროვნების პროცესი წინ უსწრებს მოქმედებას:

„ჯერ ეზომავთ და მერე ვპირით“, ე. ი. ჯერ მოვიფიქრებთ და მერე ვმოქმედებთ.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე შიმპანზეს აზროვნების შემთხვევაში. აქ აზროვნების პროცესი ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი მოქმედებისაგან. იგი წინ კი არ უსწრებს მას, არამედ მასთან ერთად ხდება, მასშია ჩართული.

თუ ჩვეულებრივი ადამიანური აზროვნების შემთხვევაში იმის დანახვა, თუ როგორ მიმდინარეობს აზროვნების პროცესი, მხოლოდ მოქმედების დაწყებამდე შეიძლება — იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობს სუბიექტი — აქ, შიმპანზეს აზროვნების შემთხვევაში, სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: აზროვნების მიმდინარეობის რაგვარობა თვითონ ქცევაში, თვითონ მოძრაობებში ჩანს. იმ როლს, რომელსაც ამ თვალსაზრისით ადამიანის აზროვნების შემთხვევაში მეტყველება ასრულებს, აქ თვითონ მოქმედება, თვითონ ქცევა თამაშობს. ქცევა აქ პროდუქტიკი არაა აზროვნებისა, იგი თვითონ პროცესია მისი. მაშასადამე, აზროვნება ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი საქმიდან, პრაქტიკიდან. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, აზროვნების ამ ფორმას პრაქტიკული აზროვნება შეიძლება ეწოდოს.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში კავშირი სიტუაციიდან მომდინარე სტიმულსა და მოქმედებას შორის ჯერ კიდევ არაა სულ თავისუფალი. რეფლექტორული ქცევის პროცესში გარკვეული სიტუაცია უთუოდ გარკვეულ რეაქციას იწვევს: მოქმედებასა და სიტუაციას შორის აქ იძულებითი კავშირი არსებობს. ასეა არსებითად ინსტინქტის შემთხვევაშიც; წლის გარკვეულ დროს, რომ, მაგალ., დატყვევებულმა ციყვმა ოთახში კაკალი დაინახოს, მის მოგროვებასა და თითქოს საზამთროდ გადანახვას დაიწყებს, ე. ი. სწორედ ისეთ რეაქციებს მიმართავს, რომელსაც აქ ოთახში, ტყვეობაში მყოფი ციყვისათვის არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ გარეთ მისი არსებობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს: რეფლექსისა და ინსტინქტის შემთხვევებში სტიმულის აღქმას მაშინვე თან სდევს ხოლმე გარკვეული მოძრაობა.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ადამიანის ქცევის განვითარების მაღალ საფეხურებზე. სიტუაციის აღქმას ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მოქმედება როდი ახლავს თან, არამედ პირველ რიგში აზროვნების პროცესი იწყება, და როგორც მოქმედების რაგვარობა, ისე მისი დაწყების დროც სავსებით ამ პროცესის შედეგებ-

ზეა დამოკიდებული: ამ აზრით, კავშირი სიტუაციის სტიმულებსა და ჩვენს ქცევას შორის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა.

პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში, თითქოს აზროვნებინა საშუალო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: რასაკვირველია, სიტუაციასა და ქცევას შორის რეფლექსებურს იძულებითს კავშირს აქ ადგილი აღარ აქვს; მაგრამ ეს კავშირი არც ისე თავისუფალია, როგორც ჩვენი საგანგებოდ მოაზრებული ქცევის შემთხვევებში. საქმე ისაა, რომ როდესაც შიმპანზე ამოცანის გადაწყვეტის სიტუაციაში იმყოფება, იგი მკვეთრად შეზღუდული პირობებითაა განსაზღვრული. კელერი ხაზგასმით აღნიშნავს: იმისათვის, რომ მის მიამუნებს რაიმე ორ ობიექტს შორის მიმართება დაემყარებიათ, მაგალ., იმისათვის, რომ ჯოხი ბანანის მოსაწვევად გამოუყენებიათ, აუცილებლად საჭირო იყო, რომ ორივე ეს ობიექტი ერთს მხედველობითს არეში ყოფილიყო მოქცეული. თუ მათი მდებარეობა სივრცეში ისეთი იყო, რომ როცა ერთი ჩანდა, მეორე მაშინ მხედველობის გარეშე რჩებოდა, ჩვეულებრივ, მათ შორის არავითარი კავშირი არ მყარდებოდა: თითოეული მათგანი, ერთი მეორის მიმართ კი არა, ცალცალკე აღიქმებოდა. კელერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიმპანზეს გონივრულ ქცევას ო ბ ტ ი კ უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიმპანზეს ქცევას მხოლოდ ის მიმართებები უდევს საფუძვლად, შიმპანზე მხოლოდ იმ მიმართებების მიხედვით მოქმედობს, რომელთაც იგი მხედველობითს არეში აღიქვამს, რომელთაც, ასე ვთქვათ, თვალთ ხედავს.

მაგრამ შეტომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს შიმპანზემ ორი ობიექტი ერთ მხედველობითს ველში მოათავსოს, რათა ისინი ურთიერთის მიმართ აღიქვას, მათ შორის მიმართება დაამყაროს. არა, იმისათვის, რომ ეს მოხდეს, აუცილებელია, მიმართება უშუალოდ იყოს მოცემული, მაშასადამე, მისი აღქმა იყოს შესაძლებელი. ვთქვათ, რომ ეს ასე არაა: ვთქვათ, რომ ერთი ობიექტი მეორესთან იმყოფება უშუალო მიმართებაში; მაგრამ შესაძლებელია, რომ მას შესამესთანაც ჰქონდეს კავშირი, ხოლო ეს კავშირი ახლა არ ჩანდეს, იმიტომ რომ ობიექტი, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მეორესთანაა დაკავშირებული. კელერის ერთერთი დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში. ჩიკა, ერთერთი შიმპანზე, რომელმაც უკვე კარგად იცის ყუთის გამოყენება მალა დაკიდებული ბანანების მისაწვდომად, ერთ დღეს თავდაუზოგველად ცდილობს, მალა ახტომის საშუალებით, ჰერზე ჩამოკიდებული ნაყოფი ჩამოგლიჯოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კარგად ხედავს იქვე გვერდით მოთავსებულ ყუთს, იგი ერთხე-

ლაც არ ცდილობს თავისი მიზნისათვის მის გამოყენებას. რატომ? როგორც გამოიჩვენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყუთზე ამ დროს მეორე მაიმუნი იწვა. საკმარისი იყო ცოტა ხნის შემდეგ ეს უკანასკნელი ყუთიდან ჩამოშტარიყო, ყუთი გაეთავისუფლებია, რომ ჩიკა იმწამსვე ყუთს მივარდნოდა და ბანანის ჩამოსაღებად გამოეყენებია. ჩიკას ბანანის ხელში ჩაგდება უნდოდა. იგი ხედავდა იქვე, ამავე ოპტიკურ არეში მოთავსებულ ყუთს, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში მასსა და ბანანს შორის მიმართებას ვერ ამყარებდა. რატომ? უეჭველია, იმიტომ რომ მიმართება უ მ უ ა ლ ო დ ყუთსა და ბანანს შორის კი არა, ყუთსა და მასზე მწოლარე მაიმუნს შორის არსებობდა. ჩიკა ამ მიმართებას ხედავდა. მაგრამ იმისათვის, რომ მას ყუთსა და ბანანს შორის დაემყარებია მიმართება, მას ჯერ ის მიმართება უნდა უგულუბელყო, უნდა დაერღვია, რომელსაც უშუალოდ ხედავდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნებოდა მისთვის ყუთისა და ბანანს შორის არსებული მიმართება უშუალოდ მისაწვდომი.

ერთი სიტყვით, ყუთსა და მასზე მწოლარე მაიმუნს შორის არსებული მიმართება უშუალოდ იყო მოცემული. ხოლო ყუთსა და ბანანს შორის არსებული მიმართება მარტო იმ შემთხვევაში შეიძლებოდა უშუალოდ ყოფილიყო მოცემული, თუ რომ ამჟამად უშუალოდ მოცემული მიმართება დაირღვეოდა (მაიმუნი ყუთიდან ჩამოვიდოდა ან თვითონ ჩიკა ჩამოაგდებდა მას იქედან). სანამ ეს უკანასკნელი არ მოხდა, ჩიკას ქცევაზე ყუთის სიახლოვე არავითარ გავლენას არ ახდენდა.

დასკვნა სრულიად ცხადია: ჩიკას ქცევას მხოლოდ უშუალოდ მოცემული მიმართება განსაზღვრავს: ის მიმართება, რომელსაც მაიმუნი უშუალოდ ვერ აღიქვამს, ის მიმართება, რომლის აღქმაც მხოლოდ არსებულის დარღვევის თუ შეცვლის შემდეგაა შესაძლებელი, მაიმუნის ქცევისათვის არავითარ როლს არ ასრულებს...

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულ აზროვნებას მხოლოდ ის მიმართებები წარმართავს, რომელიც უშუალოდაა აღქმის არეში მოცემული: ცხოველის ქცევას აქტუალურ აღქმაში მოცემული მიმართებები განსაზღვრავს.

მაგრამ ზემოდ ჩვენ დავრწმუნდით, რომ აღქმული მიმართება წმინდა ინსტრუქტორი ქცევის შემთხვევაშიც მოქმედობს. იბალება საკითხი: რაღა უფლება გვაქვს მაშინ აქ აზროვნების შესახებ ვილაპარაკოთ? ანდა უკეთ: რა განსხვავებაა ამ მხრივ პრაქტიკულ აზროვნებასა და ქცევის იმ აქტებს შორის, რომელნიც აზროვნებად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ მაინც აღქმულ მიმართებათა გავლენას ემორ-

ჩილებიან? რა განსხვავება არსებობს პრაქტიკულ აზროვნებასა და ინსტინქტურ ქცევას შორის?

უდაოა, რომ სიტუაციაში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს ინსტინქტიც ანგარიშს უწევს. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ინსტინქტური ქცევის შემთხვევებში ეს მხოლოდ ის მიმართებებია, რომელნიც თვითონ ს უ ბ ი ე ქ ტ ს ა და გარემოს ო ბ ი ე ქ ტ თ ა შორის არსებობს: სუბიექტი მხოლოდ იმ მიმართების მიხედვით მოქმედობს ობიექტზე, რომელშიც ეს უკანასკნელი მ ა ს თ ა ნ, ე. ი. ს უ ბ ი ე ქ ტ თ ა ნ, იმყოფება. ამიტომ, რომ ინსტინქტური ქცევა ისეთი აქტებისაგან შესდგება, რომელიც ყოველთვის უ შ უ ა ლ ო დ, პ ი რ დ ა პ ი რ, ყოველი უშა-წევრის მონაწილეობის გარეშე ეხება მიზანს: ინსტიქტი არ ას.ღ.რ.ოს რთულს, ორსართულიან ქცევას არ წარმოადგენს, რომელშიც ჭერ ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს მოსაპოებლად წარმართული მოქმედება შედის, და შემდეგ — მ ი ზ ნ ი ს ა ე ე ნ მიმართული მოქმედება. ამიტომ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, ინსტინქტს რომ ოდესმე ი ა რ ა დ ი ს შექმნაში მიეღოს მონაწილეობა. ეს გარემოება ძალიან დამახასიათებელია ინსტინქტისათვის, და საჭიროა იგი ყოველთვის ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, უეჭველია, რომ ინსტინქტში ყოველთვის ც ა ლ კ ე უ ლ ი მიმართებები უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას — ცალცალკე, ერთმანეთისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ — და ა რ ა ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ დაკავშირებულ მიმართებათა რიგი, ან ჯაჭვი. ვიმეორებთ: ეს ასე უნდა იყოს იმიტომ, რომ ინსტინქტი ობიექტის სუბიექტთან უ შ უ ა ლ ო მიმართებას ემყარება, უშუალოს და არა სხვა მიმართებებით გ ა შ უ ა ლ ე ბ უ ლ ს.

სულ სხვა მდგომარეობაა პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში. როგორც აღვნიშნეთ, იგიც სიტუაციაში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს ეყრდნობა: მასაც მხოლოდ აღქმული მიმართება განსაზღვრავს. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ იმას აქვს, რომ ეს მხოლოდ ის მიმართებები როდია, რომელიც ობიექტს უ შ უ ა ლ ო დ აქვს სუბიექტთან. არა! ათავარ როლს აქ ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ს შ ო რ ი ს ა რ ს ე ბ უ ლ ი მიმართებები ასრულებენ. სუბიექტი თავისი ქცევის პროცესში ამ მიმართებებით სარგებლობს. ამიტომ მისთვის მარტო ცალკეული მიმართება კი არაა აქტუალური, არამედ, გარემოებისდა მიხედვით, მიმართებათა მთელი ჯაჭვიც, მაგრამ უსათუოდ ა ღ ქ მ ა შ ი მ ო ც ე მ უ ლ მიმართებათა ჯაჭვი. მაგალითი: მაიმუნი გალიაშია დამწყვედელი. გარეთ ბანანი აგდია; მაგრამ ისე მოშორებით, რომ ხელით ვერ მიწვდება.

იქვე გალიაში ჯოხი დევს, მაგრამ ძალიან მოკლე; ბანანი მოსაწევად არ გამოდგება. სამაგიეროდ, გალიის გარეთ რომ ჯოხი მოჩანს, ის უკვე საკმაოდ გრძელია. ის რომ ხელთ ჰქონოდა შიმპანზეს, მაშინ ბანანის ხელში ჩაგდება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ხელით ამ გრძელ ჯოხს ვერ მისწვდება, მაგრამ გალიაში რომ მოკლე ჯოხია, მისი სიგრძე სრულიად საკმარისია, რომ გრძელ ჯოხს მიწვდეს.

ეს ამოცანა არაა ადვილი გადასაწყვეტი. მხოლოდ განსაკუთრებით ჰქვიანი ცხოველები ახერხებენ მის წარმატებითს გადაჭრას. რაა აქ საჭირო, რომ მაიმუნმა სწორი გადაწყვეტა მონახოს? უეჭველია, მიმართებათა რიგის აღქმა და მათი ერთი მეორის შემდეგ სწორი თანამიმდევრობით გამოყენება. გადაწყვეტი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, აქ ორი მიმართების შემჩნევას მაინც უნდა მიეწეროს: მოკლე ჯოხი გრძელს მიწვდება, გრძელი ჯოხი — ბანანს. ორივე ეს მიმართება თვალწინ აქვს მაიმუნს: საჭიროა მხოლოდ მათი აღქმა და სწორი თანამიმდევრობით გამოყენება. პრაქტიკული აზროვნების მონაპოვარს სწორედ ის გარემოება შეადგენს, რომ იგი არა მარტო ამჩნევს აღქმის არეში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს და თითოეული მათგანით ცალკე სარგებლობს, არამედ ქცევას ისე წარმართავს, რომ იგი ამ მიმართებათა სწორი თანამიმდევრობით გამოყენებას ემყარება: შიმპანზე ჯერ მოკლე ჯოხს იყენებს გრძელის ხელში ჩასაგდებად და მერე გრძელს ბანანის ხელში ჩასაგდებად, ე. ი. მისი ქცევა ორსართულიანი მიმართების წვდომით ხასიათდება: ჯერ მოკლე ჯოხი გრძელის მიმართ, მერე გრძელი ჯოხი ბანანის მიმართ.

ამრიგად, პრაქტიკული აზროვნება ცალკე მიმართებებით კი არ სარგებლობს: იგი მიმართებათა სწორ. თანამიმდევრობას, მიმართებათა, ასე ეთქვათ, სისტემას წვდება.

ამით განსხვავდება იგი ინსტინქტური ქცევასაგან და ამით იქცევა იგი აზროვნების გამოვლენის ერთერთ ფორმად. უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, რომელსაც ამით აღწევს პრაქტიკული აზროვნება, ეს ისაა, რომ მისი წყალობით ცოცხალი არსება ისეთი მოქმედების შესრულებასაც ეჩვევა, რომელსაც სრულიად არა აქვს მიზნად მისი აქტუალური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მაგალ., მაიმუნი ბანანს ხელს და მისი შექმა უნდა. იმის ნაცვლად, რომ მან მისკენ წაიღოს ხელი (მისი აქტუალური მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილების მოძრაობა ეს იქნებოდა, იგი იძულებული ხდება, ბანანს ერთხანს მაინც თავი დაანებოს და, მაგალ., საკმაოდ მძიმე ყუთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა სცადოს. სხვანაირად: პრაქტიკული აზროვნების უდიდესი მონაპოვარი ისაა, რომ იგი



„საშუალებებისათვის“ მოქმედების უნარს აძლევს ცოცხალ არსებას, ე. ი. იმისათვის მოქმედების უნარს, რაც თვითონ, თავის თავად სრულიად არაა მისთვის სასარგებლო, იმიტომ რომ არცერთს მის ატქუალურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. ეს კი მართლა უდიდესი მონაპოვარია: გარეშე ამისა ვერც იარაღი გაჩნდებოდა როდისმე და ვერც შრომა. მაშასადამე, გარეშე ამისა არც ნამდვილი ადამიანი იქნებოდა დედამიწის ზურგზე და არც მისი ისტორია, იმიტომ რომ ადამიანიც და მისი ისტორიაც შრომამ და იარაღმა შექმნა (ენგელსი).

**8. მომსახურება და პრაქტიკული აზროვნება.** მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პრაქტიკული აზროვნება საშუალებების დასრულებულ იდეას და, მაშასადამე, ნამდვილი იარაღის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდეს. ერთიც და მეორეც მხოლოდ ჩანასახის ფორმით გვეძლევა პრაქტიკულ აზროვნებაში, ყოველ შემთხვევაში, იმ პრაქტიკულ აზროვნებაში, რომელიც განვითარების პირუტყვულ საფეხურზე გვხვდება.

ბუნებრივად ჩნდება საკითხი: აქტიობის რა ფორმის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულყო პრაქტიკული აზროვნება?

ჩვენი საკითხის გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კელერის ერთ დაკვირვებას: მის მაიმუნებს ძალიან უყვარდათ თამაში ყუთებით, რომელიც მრავლად ეყარა ეზოში. მთელ თავისუფალ დროს თითქმის მარტო ამ თამაშში ატარებდნენ. ერთ დღეს კელერმა ყველა ყუთი მაიმუნების საწოლ ოთახში შეატანინა, სადაც მაიმუნებს მთელი ღამე ეძინათ. მეორე დილას, როდესაც ისინი ეზოში გამოუშვეს, საკვირველმა გარემოებამ იჩინა თავი: მიუხედავად იმისა, რომ მაიმუნები ძალიან ნაწყენი ჩანდნენ, იმის გამო, რომ ეზოში ყუთები აღარ იყო და მათ თამაში აღარ შეეძლოთ, არცერთს მათგანს აზრადაც არ მოსვლია, შებრუნებულყო საწოლ ოთახში და ყუთები გარეთ გამოეტანა.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, ეს ისაა, რომ, როგორც ჩანს, შიმპანზესათვის „ყუთი ეზოში“ და „ყუთი საწოლ ოთახში“ ერთიდაიგივე არაა: მისთვის იდენტური საგნის იდეა ჯერ კიდევ უცხო ჩანს. აქედან გასაგები ხდება, რომ არც კელერს და არც სხვა მკვლევარს ერთი დაკვირვებაც არა აქვს ისეთი აღნიშნული, რომ ცხოველს მის მიერ დიდი გაკვირვებითა და ვაივავლახით გაკეთებული იარაღი მომავლისათვის გადაენახოს. კელერის ერთერთმა ყველაზე უფრო ნიჭიერმა შიმპანზემ, სულთანმა, ორი ლერწმის ჯოხი ერთმანეთს მიუჯგო და ერთი მოგრძო ჯოხი გაიკეთა, რომლითაც გალიიდან საკმაოდ

მოშორებით მოთავსებულ ბანანს მისწვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იარაღი მას მომავალშიც გამოადგებოდა, იგი მან გამოყენების უმაღლესე თავიდან მოიშორა: ახალი საჭიროების შემთხვევაში: ჯოხები მას ხელახლა ერთმანეთისათვის უნდა მიერგო, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო მისთვის. აქედან ცხადად ჩანს, რომ შიმპანზეს მხოლოდ თითოეული კერძო შემთხვევისათვის შეუძლია „იარაღის“ გაკეთება: დასჭირდება საკვების ხელში ჩაგდება, და იგიც სპეციალურად ამ შემთხვევისათვის შესაფერის „იარაღს“ აგებს; მაგრამ ხელმეორედ რომ ასეთსავე სიტუაციაში მოხვდეს, ხელახლა ასეთივე „იარაღის“ გაკეთებას იწყებს. მაშასადამე, შიმპანზეს „იარაღი“ ნ ა მ დ ვ ი ლ ი იარაღი არაა: იარაღი მისი განმეორებითი გამოყენების შესაძლებლობას გულისხმობს; იარაღი როგორც ისეთი საშუალება განიცილება, რომელსაც ს ა ზ ო გ ა დ ო დ აქვს გარკვეული გამოყენება. ამიტომ იარაღი როგორც ისეთი რამ განიცილება, რაც ისევე სამუდამოდ გამოსადეგია, როგორც საკუთარი სხეულის რაიმე ორგანო. მაშასადამე, არ იქნება სწორი, შიმპანზეს შემთხვევაში ნამდვილი იარაღის შესახებ ვილაპარაკოთ: შიმპანზეს და, საზოგადოდ, პირუტყვის არც გაკეთება შეუძლია ნამდვილი იარაღისა და არც გამოყენება.

უკვე ის გარემოება, რომ შიმპანზე „იარაღსაც“ კი კონკრეტული, გარკვეული მოთხოვნისათვის აკეთებს, თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ შიმპანზესთვის ნ ა მ დ ვ ი ლ ი შ რ ო მ ა უ ე ტ ხ ო ა. როდესაც ენერგია რაიმე კონკრეტულის, ინდივიდუალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იხარჯება, როდესაც რაიმე პროდუქტი მხოლოდ იმისათვის კეთდება, რომ აი ამ პირის ეს გარკვეული, ეს კონკრეტული, ეს ინდივიდუალურად განსაზღვრული მოთხოვნისა იქნეს დაკმაყოფილებული, მაშინ, როგორც ვიცით, ნამდვილ შრომასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ აქტიობის იმ ფორმასთან, რომელსაც „მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა“ შეიძლება ეწოდოს.

შრომის შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობაა: შრომის პროდუქტს კონკრეტულის, ინდივიდუალურის, მომენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება კი არა აქვს მიზნად დასახული, არამედ გარკვეული მოთხოვნების, როგორც მოთხოვნების — ვისიც უნდა იყოს იგი და სადაც უნდა იჩინოს მან თავი, სულ ერთია. პირველს ასეთ პროდუქტს ისტორიულად, უეჭველია, იარაღი შეადგენდა. ამიტომ, რომ ე ნ გ ე ლ ს ი ს კ ე შ მ ა რ ი ტ ა დ გ ე ნ ი ა ლ უ რ ი ს ი ტ უ ვ ი თ, „შრომის პროცესი მხოლოდ იარაღის დამზადებისას იწყება“.

ამრიგად, შიმპანზეს „იარაღი“ ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება იარაღად; მისი აქტიობის ძირითადი ფორმა მომსახურების ფარგლებს

არ სცილდება, და ამიტომ, რომ იარაღის განცდა ჯერ კიდევ უცხოა მისთვის. აზროვნების გამოვლენის დასაწყისი ფორმა. პრაქტიკული აზროვნება, როგორც ვხედავთ, მომსახურების პირობებშია ჩასახული და გაფორმებული. აქტიობის განვითარების შრომის საფეხურზე აზროვნების უფრო მაღალი ფორმები იჩენს თავს: პრაქტიკული აზროვნება მისთვის საკმარისი არაა. ეს ფორმებია ჯერ თვალსაჩინოებითი, კონკრეტული, ხატოვანი აზროვნება და შემდეგ განსაკუთრებით ვერბალური, ლოლიკური, მეცნიერული, განყენებული აზროვნება.

## ხატოვანი აზროვნება

1. ხატოვანი აზროვნება. აზროვნების გამოვლენის შემდეგი ფორმა ადამიანის განვითარების პირველ საფეხურებზე გვხვდება: იგი დამახასიათებელია პრიმიტიული ცნობიერებისათვის; მაგრამ ამავე დროს დამახასიათებელია იგი თანამედროვე ბავშვის ცნობიერებისთვისაც, რამდენადაც ობიექტური სინამდვილე ჯერ კიდევ უცხოა და უცნობი მისთვის.

აზროვნების ამ ფორმისათვის პირველ რიგში და განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ იგი, წინააღმდეგ პრაქტიკული აზროვნებისა, მოქმედების ფარგლებს გარეშე ხდება: იგი წინ უსწრებს მას და, შესადაამე, თავის უშუალო გამოვლენას მოქმედებაში არ პოულობს.

ამ მხრივ იგი აზროვნების უმაღლესი ფორმისაგან არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აზროვნების უმაღლესი ფორმა ცნებებში მიმდინარეობს, მაშინ როდესაც აზროვნების ამ ფორმას განსაკუთრებით წარმოადგენებთან აქვს საქმე. შესადაამე, თუ პრაქტიკული აზროვნება მოქმედებით აზროვნებაა, ხოლო ლოლიკური აზროვნება — ცნებებით აზროვნება, ხატოვანი აზროვნება წარმოადგენებით, საზოგადოდ, თვალსაჩინო ხატებით აზროვნებას წარმოადგენს. ამიტომ აზროვნების ამ ფორმას კონკრეტულ აზროვნებას, საგნობრავ აზროვნებას (ვერნერ), ხატოვან აზროვნებას (ნიკომარო) ან თვალსაჩინოებობის აზროვნებას (ბასოვი) უწოდებენ.

2. მეტყველება და ხატოვანი აზროვნება. პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში აზრი უშუალოდ მოქმედებაში პოულობს თავის გამოვლენასა და განსახიერებას. ამდენად იგი იმთავითვე ობიექტურადაა მორცმული. იგი მოაზროვნესუბიექტის შინაგანი სამკვიდროს

საიდუმლოებას, მის ფარულ განცდას როდი წარმოადგენს. იგი ობიექტური სინამდვილის ერთერთი მოვლენაა და ამიტომ იგი ნათელია და ცხადი როგორც იმისათვის, ვინც აზროვნობს, ისე იმისათვისაც, ვინც მასთან საერთო საქმის ნიადაგზეა დაკავშირებული-- ვინც მასთან ერთად „მუშაობს“.

მაგრამ როდესაც აზროვნება თავის უშუალო კავშირს მოქმედებასთან სწყვეტს და მხოლოდ წარმოდგენასთან ან ცნებებსა თან იჭერს საქმეს, მაშინ, ცხადია, იგი პირველ რიგში სუბიექტის შინა სამკვიდროს ფარგლებში იკეტება. როგორია აზროვნების მიმდინარეობა ამ შემთხვევაში, ეს გარეთ აღარ ჩანს. მაგრამ რამდენადაც ადამიანს ყოველთვის უჭირდა თავისი შინა სამყაროს მოვლენების, თავისი განცდების თვალყურის დევნება, რამდენაც ადამიანის ცნობიერება ყოველთვის გარეთ იყო მიმართული და არა შიგნით, აზროვნების მიმდინარეობა ამ პირობებში არც თვითონ მოაზროვნე სუბიექტისათვის შეიძლება იყოს ნათლად გაცნობიერებული. მაგრამ გაუცნობიერებელი აზროვნება, როგორც ვიცით, აზროვნებად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, ბუნებრივად იბადება აზრი, რომ შეუძლებელია აზროვნება განვითარების ამ საუფერხვეც არ ყოფილიყოს ობიექტურად მოცემული, შეუძლებელია იგი წმინდა წარმოდგენის არეში ყოფილიყოს ჩაკეტილი. მარქსის თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ფსიქიკა მოქმედებასა და მოქმედების პროდუქტებშია ობიექტურად მოცემული; მაგრამ ამავე დროს იმაზეც მიუთითებდა, რომ იგი შეიძლება სხვანაირადაც გვეძლეოდეს ობიექტურად. კერძოდ, აზროვნების შესახებ იგი ასე ამბობდა: „აზრის უშუალო სინამდვილე მეტყველება არის“-ო.

ეს დებულება დღეს სრულიად უდაო დებულებად უნდა ჩაითვალოს. იგი ნათელ პასუხს იძლევა ჩვენს საკითხზე: ხატოვანი აზროვნება, თუ მოქმედებაში არა, სამაგიეროდ სიტყვაში, მეტყველებაში პოულობს თავის ობიექტურ განსახიერებას. მაშასადამე, სიტყვაა, რომ სხვისთვისაც მისაწვდომს ხდის ხატოვან აზროვნებას და თვითონაც სუბიექტსაც შესაძლებლობას. აქლევს თვალყური ადევნოს თავის საკუთარ აზრს და, სადაც საჭიროა, სათანადო ცვლილება შეიტანოს მასში.

3. საგნის აზროვნება. როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, აზროვნება საგანსაც ეხება და მიმართებასაც. მაშასადამე, ხატოვანი აზროვნების დასახასიათებლად საჭირო იქნებოდა

გავცნობოდით, თუ როგორ ასახავს იგი ერთსაც და მეორესაც. შევებოთ ჭერ საგნის ასახვას!

1) როგორ იაზრება საგანი ხატოვანი აზროვნების შემთხვევაში, ამის გათვალისწინება ყველაზე უკეთ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლო, თუ პ რ ი მ ი ტ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს ანალიზს მოვახდენდით, იმიტომ რომ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თავისი შინაარსის გადასაცემად ხატოვანი აზროვნებაც სიტყვას იყენებს.

ლ ე ვ ი - ბ რ ი უ ლ ი ს ცნობილ თხზულებაში (ველურთა აზროვნების შესახებ), რომელიც საზოგადოდ მდიდარ მასალას ეყრდნობა, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რას წარმოადგენს ველურის სიტყვის შინაარსი: რას გულისხმობს იგი, როდესაც ამა თუ იმ სიტყვას მიმართავს. შენიშნულია, რომ პრიმიტიულ ენებში ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად, როგორც წესი, ერთი სიტყვის ნაცლად მრავალს სხვადასხვა სიტყვას ხმარობენ. მაგალ., თ ო ვ ლ ი ს აღსანიშნავად ლ ა პ ე ბ ს 41 სხვადასხვა სიტყვა ჰქონიათ. ტ ა მ ო ს, „აღმოსავლეთით წასვლის“ აღსანიშნავად სულ სხვა სიტყვა აქვთ, „დასავლეთით წასვლისათვის“ სხვა, სხვა სიტყვა „ჩრდილოეთით წასვლისათვის“ და სულ სხვა „სამხრეთით „წასვლისათვის“. ხოლო რაც შეეხება ერთ სიტყვას, რომელიც, საზოგადოდ, „წასვლას“ ნიშნავს, ასეთი რამ მათ ენაში სრულიად არ აღმოჩნდა. „ჰ უ რ ო ნ ე ბ ი ს ენაში ჰამის აღსანიშნავად, საზოგადოდ, ცალკე სიტყვა არ მოიპოება; სამაგიეროდ, მათ იმდენი განსხვავებული სიტყვა აქვთ ამ ცნებისათვის, რამდენი სხვადასხვა საკმლის ჰამაც შეიძლება: ხორცის ჰამისათვის ერთი სიტყვა აქვთ, თევზის ჰამისათვის — მეორე, და ასე შემდეგ, იმისდა მიხედვით. თუ რას სჰამენ.

ერთი სიტყვით, ხშირია შემთხვევა, რომ პრიმიტიულ ენებში ყოველს ცალკე საგანს, ყოველს ცალკე მოვლენას თავისი სახელი აქვს: რომელიმე საგანი ს ა ზ ო გ ა დ ო დ, რომელიმე მოვლენა ან მოქმედება ს ა ზ ო გ ა დ ო დ, როგორც, მაგალ., ა დ ა მ ი ა ნ ი ან ჰ ა მ ა, პრიმიტივის ენაში არ აღინიშნება: მისთვის მხოლოდ ინდივიდუალური, მხოლოდ კონკრეტული არსებობს.

რატომ არის ასე, ამის ახსნას პრიმიტივის სიტყვების ზუსტი ანალიზი მოიცემოდა. მაგრამ რა პრინციპით ადგენენ ისინი თავის სიტყვებს, ეს იქედანაც კარგად ჩანს, თუ რას უწოდებენ ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ველურები ზოგიერთს მათთვის უცნობს, ახალ საგანს. ცნობილია, რომ, მაგალ., ერთ-ერთმა ველურმა ტომმა პიანინოს თავის ადგილობრივ ინგლისურზე „ყუ თ ი, ხ ე ლ ს რ ო მ დ ა ა რ ტ ყ ა მ, ყ ვ ი რ ი ს“ უწოდა.

ამ მაგალითიდან საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ველური ცდილობს თავისი სიტყვის შინაარსში, რამდენადაც შეიძლება, იმის ზუსტი სურათი მოგვცეს, რასაც აღნიშნავს. მაგრამ რადგანაც საგნის თუ მოვლენის სურათი ყოველთვის მხოლოდ ინდივიდუალურია და კონკრეტული, გასაგებია, რომ, მაგალ., თოვლის აღსანიშნავად ლაპებს 41 სხვადასხვა სიტყვა აქვთ: თითოეული შათგანი თოვლის კონკრეტულ სურათს იძლევა, და ასეთი სურათი ხომ მრავალია.

ამრიგად, სრულიად ნათელი ხდება, რომ პრიმიტივი თავის სიტყვებში კონკრეტულს, ინდივიდუალურ ხატს გულისხმობს; რომ ზოგადი, განყენებული, მისთვის მიუწვდომელია.

2) მაგრამ სიტყვის ხმარება ყოველი განზოგადების გარეშე სრულიად შეუძლებელია: „ყოველი სიტყვა უკვე განზოგადებას იძლევა“-ო, — ამბობს სამართლიანად ლენინი. მართლაცდა, სიტყვის არსებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ რომ მისი განმეორებით ხმარება იქნებოდა შესაძლებელი; თუ რომ მას რაიმე გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა, მნიშვნელობა, რომელსაც განმეორებით შეხვდებოდა ადამიანი, და, მაშასადამე, მისი დასახელების საჭიროება გაუჩნდებოდა. ამიტომ შეუძლებელია, სიტყვა რაიმე სრულიად ინდივიდუალურს, სრულიად კონკრეტულს, სრულიად ერთხელობრივს ნიშნავდეს: ასეთი სიტყვა, დაიბადებოდა თუ არა, იმწამსვე თავის მნიშვნელობასთან ერთად მოკვდებოდა. ამიტომ ველურის სიტყვაც ერთგვარ განზოგადებას უნდა გულისხმობდეს: წმინდა ინდივიდუალური, გაუმეორებელი მნიშვნელობა, საზოგადოდ, არ შეიძლება სიტყვას ჰქონდეს. როდესაც ტამოს „აღმოსავლეთით წასვლისათვის“ ერთი სიტყვა აქვს და „დასავლეთით წასვლისათვის“ — მეორე, ეს, რასაკვირველია, იმაზე მიუთითებს, რომ ტამოს სიტყვები ზოგადს და არა კონკრეტულს გულისხმობენ. მართლაცდა, „აღმოსავლეთით წასვლა“ ხომ ბევრნაირი შეიძლება იყოს! აღმოსავლეთით წასვლა დღეს, და იმავე მიმართულებით წასვლა ხვალ, არ შეიძლება, როგორც ხატი სავსებით ერთიდაიგივე იყოს: ხომ შეიძლება აღმოსავლეთით სხვადასხვა ადამიანი მიდიოდეს, სხვადასხვა მდგომარეობაში, სულ სხვადასხვა ადგილიდან! მიუხედავად ამისა, სიტყვა მაინც ერთია. იგი აღმოსავლეთით წასვლის ყველა შემთხვევას, აღმოსავლეთით წასვლას საზოგადოდ გულისხმობს.

მაშასადამე, უდაოა, ერთგვარი განზოგადება ხატოვანმა აზროვნებამაც იცის. მაგრამ როგორ ახდენს იგი ამას? საზოგადოდ „აღმოსავლეთით წასვლის“ შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც მხედველობაში ყველა ის ნიშანი გვაქვს, რომელიც

„აღმოსავლეთით წასვლის“ ყველა შემთხვევაში გვხვდება. მაშ, საჭიროა ამ საერთო ნიშნების გამონახვა და მხედველობაში მხოლოდ მათი ქონება. ამისათვის უთუოდ ე. წ. აბსტრაქციის აქტია საჭირო, ე. ი. მთლიანიდან ცალკეული ნაწილებისა და ნიშნების გამოყოფისა და თითოეულის მათგანის ცალკე განხილვის აქტი.

გამოდის, რომ ხატოვანი აზროვნებაც აბსტრაქციას გულისხმობს. მაშასადამე, რაღა აზრი აქვს მას, ცნებითი აზროვნებისაგან განსასხვავებლად, კონკრეტული, ანუ არააბსტრაქტული აზროვნება ვუწოდოთ!

მაგრამ ხატოვანი აზროვნების „აბსტრაქცია“ სხვაგვარი აბსტრაქციაა. იგი თავისებურს სპეციფიკურ ხერხს წარმოადგენს, რომელიც მართალია იმავე მიზანს ემსახურება, რასაც განვითარებული აბსტრაქცია, მაგრამ აბსტრაქციად მაინც ვერ ჩაითვლება: იგი ნამდვილი აბსტრაქციას კი არა, მხოლოდ მის ფუნქციონალურ ეკვივალენტს წარმოადგენს. რაში მდგომარეობს ეს ეკვივალენტი?

ეს განსაკუთრებით ნათლად ისევ პრიმიტიული მეტყველების მაგალითებიდან ჩანს. ვნახოთ, როგორ აღნიშნავს პრიმიტივი საგნის თვისებას, ნიშანს, მაგალ., რას უწოდებს იგი ამა თუ იმ ფერს, რასიტყვით აღნიშნავს, ვთქვათ, „შავს“ ან „წითელს“. ეს იმიტომ არის ამ შემთხვევაში საინტერესო, რომ ცალკე ნიშნისათვის ცალკე სიტყვის შემოსაღებად საჭიროა ეს ნიშანი მთლიანი საგნის წარმოდგენიდან გქონდეს გამოყოფილი და, შესაფერისი სიტყვის ხმარებისას, მხოლოდ ამ გამოყოფილ შინაარსზე ფიქრობდე, მხოლოდ ის გქონდეს მხედველობაში — სხვანაირად, საჭიროა აბსტრაქცია. მაშ, როგორ აღნიშნავს პრიმიტივი თვისებას, ნიშანს, ამ უექველად აბსტრაქტულ შინაარსს? ახალი პოშერანიის მკვიდრნი, მაგალითად, „შავს“, თურმე. „კოტკოტს“ (ყვავს) უწოდებენ და წითელს „გაბ-ს“ (სისხლს); ე. ი. ამა თუ იმ ნიშანს იმ საგნის სახელწოდებით აღნიშნავენ, რომელშიც განსაკუთრებით მკვეთრადაა ეს ნიშანი წარმოდგენილი.

რას ამტკიცებს ეს გარემოება? უექველია, როდესაც პრიმიტივი თვისების აღმნიშვნელ სიტყვას (მაგალ., „შავს“) ხმარობს, მის ცნობიერებაში სიშავის, როგორც ცალკე ნიშნის, ცნება როდი ჩნდება, არამედ უსათუოდ მთლიანი საგნის, სახელდობრ, ყვავის წარმოდგენა. მაგრამ ყვავს ხომ სხვა თვისებებიც აქვს! მიუხედავად ამისა, ამ თვისებებს ყვავის კი არა, სხვა საგნების სახელი ეწოდებათ. უექველია, ყვავი პირველ რიგში და განსაკუთრებით თავისი სიშავით ახდენს პრიმიტივზე შთაბეჭდილებას; და, გასაგებია,

სადაც მას ამ შთაბეჭდილების აღნიშვნა სურს, იქ იგი ყ ვ ა ვ ი ს სახელს იგონებს.

მაშასადამე, პრიმიტივის ენაში აბსტრაქტული შინაარსის, მაგალ., ნიშნის სახელწოდება, მთლიანის წარმოდგენიდან გამოყოფილს ცალკე ნიშანს როდი გულისხმობს, არამედ თვითონ მთლიანს, ოღონდ ამ ნიშნით აღბეჭდილს. ამიტომაც, რომ შავს „ყ ვ ა ვ ი“ ეწოდება და წითელს „ს ი ს ხ ლ ი“.

რომ ეს მართლა ასე უნდა იყოს, რომ მთლიანიდან ცალკეული მხარის გამოყოფის, ე. ი. აბსტრაქციის ნაცვლად, პრიმიტივი ისევ ამ მთელს უნდა მიმართავდეს — ოღონდ მთელს, რომელშიც წინა რიგში განსაკუთრებით ესა თუ ის ერთი გარკვეული ნიშანია წამოწეული (მაგალ., ყვავის შემთხვევაში სიშავე, სისხლის შემთხვევაში — სიწითლე), ეს სხვა მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს: ერთ-ერთს ველურ ტომში ქოლგას და მურას უწოდეს; მეორე ადგილას ორი სრულიად განსხვავებული ევროპელი ძმებად ჩათვალეს. რატომ? რაა საერთო ქოლგასა და მურას შორის ან იმ ორ ევროპელს შორის? საფიქრებელია, რომ ორივე შემთხვევაში მთლიანი შთაბეჭდილება განსაკუთრებით ერთი რაიმე ნიშნით იყო ველურის ცნობიერებაში აღბეჭდილი. ქოლგისა და მურას შემთხვევაში ამ შთაბეჭდილებაში მურას გაშლილი ფრთები უნდა ყოფილიყო წინა რიგში წამოწეული; ევროპელების შემთხვევაში, როგორც შემდეგ გამოირკვა, „ყვირელი ჩქებები“, რომელიც ერთსაც ეცვა და მეორესაც.

ამრიგად, ხატოვანი აზროვნება მოკლებულია ნამდვილი აბსტრაქციის უნარს: იქ, სადაც ცალკე ნიშნების აზროვნებაა საჭირო, იგი ყოველთვის მთლიანს გულისხმობს, მაგრამ მთლიანს, რომელიც ერთი რომელიმე ნიშნითაა აღბეჭდილი, სახელდობრ, იმ ნიშნით, რომლითაც იგი განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამისდა მიხედვით, პრიმიტივის „აბსტრაქციის“ პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პრიმიტივი რომ, მაგალ., ყვავს ხედავს, მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, ვთქვათ, სიშავე ახდენს. ყვავის მთლიან წარმოდგენაში სიშავე „ფ ი გ უ რ ი ს“ რო ლ ს ა ს რ უ ლ ე ბ ს და ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი „ფ ო ნ ი ს ა ს“. ვთქვათ, ველური შავ მელანს ხედავს პირველად თავის სიცოცხლეში, თუ ამ შემთხვევაში მისი ყურადღება განსაკუთრებით სიშავემ მიიქცია, თუ ეს თვისება ფიგურად იქნა აღქმული, და ყველაფერი დანარჩენი ფონად, მაშინ ცხადია, ყვავი და მელანი ერთნაირი იქნება მისთვის: ორივე შავი იქნება (იგი ორივეს „ყვავს“ უწოდებს). თუ ფიგურისა და ფონის ურთიერთობას პირობით ფ ი გ უ რ ა ც ი ა ს ვუწოდებთ,



მაშინ აბსტრაქციის ფუნქციონალურ ეკვივალენტად ხატოვან აზროვნებაში სწორედ ფიგურაცია უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, ცხადად ჩანს, რომ პრიმიტიული აზროვნება მართლა ხატოვან აზროვნებად უნდა ჩაითვალოს: მისი საგანი ყოველთვის ცალკე ხატის სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ ეს მაინც ხატია და არა აქტუალური სინამდვილე, წარმოდგენაა და არა აღქმა. წარმოდგენა კი ერთგვარ განზოგადებებს შეიცავს, როგორც ამას ველურის სიტყვა და მისი მნიშვნელობა გვიმტკიცებს. მაშასადამე, ცხადია, ხატოვან აზროვნებაში ჩვენ სინამდვილის აქტუალური მოცემულობის ფარგლებს ეშორდებით, მისი უშუალო მონობიდან ერთგვარად მაინც ვთავისუფლდებით: იგი პრაქტიკულ აზროვნებაზე ამ მხრივაც მაღლა დგას.

3) აქედან ნათელი ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ხატოვანი აზროვნების ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ხატოვანი აზროვნების სამყარო ერთ სიბრტყეში განლაგებულ საგანთა და მოვლენათა სამკვიდროს წარმოადგენს: მისთვის უცხოა იდეა „ცნებათა“ ურთიერთი დაქვემდებარებისა. მას არ ესმის, რომ არსებობს აზრი გვარის შესახებ და სახეობათა შესახებ, რომ სახეობა გვარს ექვემდებარება, მაგალ., „დამიანი საზოგადოდ“ გვარითი ცნებაა, და მის სხვადასხვა სახეობას, მაგალ., „ქალი“ ან „ვაჟი“ წარმოადგენს; შემდგომ, თითოეულ ამ ცნებასაც აქვს თავისი ქვემდებარე ცნებები, თავისი სახეობანი (მაგალ., ქალი — გათხოვილი და გაუთხოვარი) და ა. შ. ხატოვანი აზროვნებისათვის დაქვემდებარების იდეა უცხოა. ამის მიზეზი ისაა, რომ მის საგანს ყოველთვის კონკრეტული წარმოდგენა, ყოველთვის ხატი შეადგენს. კონკრეტული ხატი კი მხოლოდ გვერდში შეიძლება ამოუდგეს მეორე კონკრეტულ ხატს. ისინი ერთი მეორის სახეობად ან გვარად არ გამოდგებიან: მათი ურთიერთის დაქვემდებარება არ შეიძლება.

რომ ეს ასეა. ეს კვლავ პრიმიტიული ენის მახალებიდან ჩანს. ვთქვათ, პრიმიტივი ახალს რასმე ხედავს, რასაც მან რაიმე სახელწოდება უნდა მისცეს. ანალოგიურ მდგომარეობაში ჩვენ ასე მოვიქცეოდით: იმის მიხედვით, თუ რა ნიშნები აქვს ამ ახალ ობიექტს, მას გარკვეულ საგანთა ჯგუფს მივაკუთვნებდით და ამით მის სახელსაც გავარკვევდით. მაგალ., ვიტყოდით: ეს ფრინველია ან მინერალია, წიგნია... ე. ი. ჩვენ იმ გვარს მოვქებნიდით, რომელსაც აღნიშნული ობიექტი, როგორც სახეობა, ეკუთვნის. უცნობ ობიექტს ნაცნობთა ჯგუფს და უქვემდებარებდით, მოვახდენდით. როგორც ამბობენ, მის სუბსუმციას. გარეგნულად პრიმიტი-

ვიც ასე იქცევა: ისიც გარკვეულ ჯგუფს აკუთვნებს ამ ახალ ობიექტს, მაგრამ არა სუბსუმციის, არამედ სულ სხვა გზით. როდესაც პრაიტივი ქოლგას ხელაწეს, იგი მას „ლამურას“ უწოდებს; როდესაც ფრინველს სკვრეტს, „პეპელაო“ ამბობს; როდესაც სანთელს აქრობს, იგი მას „ჰკლავს“. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაიტივის აზროვნება ქოლგას ისეთივე ფიგურაციით აღიქვამს, როგორითაც ლამურას, პეპელას ისეთივე როგორითაც ფრინველს.

მაშასადამე, ქოლგა და ლამურა, ფრინველი და პეპელა თითო ჯგუფში თავსდება, ერთი მეორის გვერდით, როგორც თანაბარი ღირებულების მოვლენები. მაშასადამე, აქ დაქვემდებარებაზე, სუბსუმციაზე ლაპარაკი მართლა უადგილო იქნებოდა. ვერნერის თქმით, ამ შემთხვევაში უფრო „საგნობრივ ტრანსპოზიციასთან“ გვაქვს საქმე, ვიდრე სუბსუმციასთან.

რაა ამის შედეგი? ხატოვანი აზროვნება ისეთ მოვლენებს ან ობიექტებს აქცევს ერთსაღიმავე ჯგუფში, ისეთ საგნებსა და მოვლენებს აღნიშნავს ერთიღიმავე სიტყვით, რომ ჩვენი ლოლიკური აზროვნება არასდროს მათ არ გააერთიანებდა. მაგალ., ერთერთს ჩრდილო ამერიკულ ენაში (ჰაიდას ენაში) ყველაფერს, რაც მორგვალოა, ერთიღიმავე სახელი ეწოდება: მზე, მთვარე, ყური, თევზი... ყველაფერს ამას ერთიღიმავე სახელი აქვს, მაშასადამე, ერთ ჯგუფშია გაერთიანებული. იგივე უნდა ითქვას მოგონი საგნების შესახებაც: მაგალ., ენა და ცხვირი ერთიღიმავე სიტყვით აღინიშნება. რადგანაც ხატოვანი აზროვნება მით ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, რომ იგი, ასე ვთქვათ, ხატავს, აღწერს მას, გასაგებია, რომ დაქვემდებარება მისთვის უცხოა, რომ იგი ანალოგიას უფრო სკვრეტს, ვიდრე ლოლიკურ დამოკიდებულებას.

4. ხატოვანი აზროვნება და მიმართებათა ასახვა. როგორც ვიცით, აზროვნებას განსაკუთრებით მიმართება ანტიერესებს. რას წარმოადგენს ამ მხრივ ხატოვანი აზროვნება?

1) ფორმალური ლოლიკის მიხედვით, არსებობს მიმართების ცნებათა რიგი, რომელიც ყოველგვარი წესრიგისა და კავშირის გათვალისწინების, ყოველგვარი შემცირების ძირითადს, სხვა რაზედმე დაუყვანადს პირობას წარმოადგენს. ასეთს უზოგადეს, უძირითადეს მიმართებათა ცნებებს „კატეგორიებს“ უწოდებენ. მათ რიცხვს, ეკუთვნის, მაგალ., იგივეობის მიმართების ცნება, მიზეზობრიობის (კაუზალობის) მიმართების ცნება და სხვა. იგბულისგვება, რომ ლოლიკური შეშეცნება, როგორც უნდა იყოს იგი, უკვე იმთავითვე გულისხმობს ასეთ მიმართებებს. მაშასა-

დამე, აზროვნება მხოლოდ კატეგორიალური შეიძლება იყოს.)

ხატოვანი აზროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი გვიმტკიცებს, რომ ფორმალური ლოდიკის ეს დებულება არც ფსიქოლოგიურადაა სწორი.

ხატოვანი აზროვნება, თავისი განვითარების ძირითად საფეხურებზე მაინც, კატეგორიალურ აზროვნებას არ წარმოადგენს. იგი უფრო პრეკატეგორიალურია.

ყოველი მიმართება, მაგალ., კაუზალობა, ორ წევრს გულისხმობს მიზეზსა და შედეგს — და მიმართება მათ შორის დასტურდება. ეს დებულება იგივეობის (იდენტობის) შემთხვევაშიც ძალაში რჩება: საგანი ერთ შემთხვევაში და საგანი მეორე შემთხვევაში იგივეობის მიმართებაში იგულისხმება თავისთავთან. მაგრამ ხატოვანი აზროვნებისათვის საგნების ასე გამოცალკევება და ერთიმეორისათვის დაპირისპირება შეუძლებელია. ამისათვის აბსტრაქციის განვითარების მაღალი დონე იქნებოდა საჭირო, რაც, როგორც ვიცით, ხატოვან აზროვნებას არა აქვს. მაშასადამე, ხატოვანი აზროვნებისათვის ორის ურთიერთ მიმართება როდი არსებობს, არამედ მისთვის ყოველი საგანი თუ მოვლენა ყოველს სხვა საგანთან თუ მოვლენასთანაც არის დაკავშირებული: მსოფლიო მისთვის მთლიანობას წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს დიალექტიკური მთლიანობა არაა: მაშინ პრიმიტივის აზროვნება დიალექტიკური აზროვნება იქნებოდა. არა, აქ განუწვალებადს, ძირითადად მაინც, დიფუზიურ მთლიანობასთან გვაქვს საქმე.

აზროვნების ფსიქოლოგიის ეს მონაპოვარი ცხადად ამტკიცებს: რომ აზროვნება თავისი არსებით ისეთი არაა, როგორც მას ფორმალური ლოდიკა ხატავს, რომ იგი უთუოდ ფორმალურ-ლოდიკური არაა. თავის დასაწყის საფეხურზე იგი მთლიანობითია, და გასაგები ხდება, რომ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე იგი კვლავ მთლიანობას უბრუნდება — მაგრამ არა დიფუზიურს, განუწევრებელს, არამედ დიალექტიკურ მთლიანობას — და, ამრიგად, დიალექტიკურ აზროვნებად იქცევა.

მაშასადამე, ფორმალური ლოდიკის კატეგორიები აზროვნების ამ საფეხურისათვის უცხოა: იგი პრეკატეგორიალური აზროვნებაა.

იბადება საკითხი: როგორ ხერხდება აზროვნება კატეგორიების გარეშე? რა გზას მიმართავს ხატოვანი აზროვნება იქ, სადაც ჩვენ ძირითად მიმართებებთან გვაქვს საქმე?

სანიმუშოდ ავიღოთ ორი ძირითადი მიმართება: ი გ ი ვ ე ო ბ ა და მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ო ბ ა .

2) ცნობილია დაკვირვებათა მთელი რიგი, საიდანაც ჩანს, რომ ხატოვანი აზროვნებისათვის ნამდვილი ი გ ი ვ ე ო ბ ი ს მიმართება ჯერ კიდევ სულ დაძლეული არაა. მაგალ., ერთი სამხრეთ აფრიკელი ტომისათვის ამომავალი მზე და ჩამავალი მზე ერთიდაიგივე საგანი როდია; არც მთვარეა სხვადასხვა ფაზებში ერთიდაიგივე საგანი; რასაკვირველია, კიდევ უფრო ძნელია მისთვის საგნის იგივეობის გაგება, როდესაც საგანი თავისი განვითარების პროცესში თვალსაჩინო მეტამორფოზებს განიცდის, როგორც, მაგალ., ამას აღვილი აქვს ცხოველთა სამეკიდროში. ფსიქოლოგი თ უ რ ნ ვ ა ლ დი, მაგალ., ერთხელ სასაცილოდაც კი აიგდეს, როდესაც მან მუხლუხი და პეპელა ერთსადაიმავე ცხოველად გამოაცხადა. აღქმის თუ წარმოდგენის შინააარსი და საგანი ჯერ კიდევ საკმარისად არაა ურთიერთისაგან გამოყოფილი: პრიმიტივის საგნობრივ ცნობიერებაში გადამწყვეტ როლს ჯერ კიდევ შინაარსი ასრულებს. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ფსიქიკური შინაარსი, რომელსაც რომელიმე საგანი ერთ პირობებში აღძრავს, თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ შინაარსისაგან, რომელსაც იგივე საგანი მეორე პირობებში იწვევს, ხატოვანი ცნობიერება უძლური ხდება ამ საგნის იგივეობა სცნოს. კონკრეტული აზროვნება ხატით სარგებლობს, ხატს გარეშე აზრი მას ჯერ კიდევ არა აქვს მოცემული. ამიტომ გასაგებია, რომ იგივეობის კატეგორია მას ჯერ კიდევ არა აქვს საბოლოოდ შემუშავებული.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პრიმიტივი ერთსადაიმავე საგანზე ზოგჯერ ორს სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამს. ამ დაკვირვების ნიადაგზე იყო, რომ ლ ე ვ ი - ბ რ უ ლ ი ასეთ დასკვნამდე მივიდა: პრიმიტივი აზრთა წინააღმდეგობას ვერ გრძნობს. მისთვის ფორმალური ლოდიკის წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი არ არსებობსო. ნამდვილად საქმე იმაშია, რომ პრიმიტივს იგივეობის განცდა არა აქვს საკმარისად განვითარებული: იგი ხატებით აზროვნობს, და როდესაც მას თვალსაჩინოდ განსხვავებულ ხატებთან აქვს საქმე, იგი საგნებსაც სხვადასხვას გულისხმობს. ამიტომ საკვირველი არაფერია, როდესაც იგი ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ურთიერთის სრულიად საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამს ერთიდაიმავე საგნის შესახებ: მისთვის ხომ აქ სხვადასხვა საგანზეა ლაპარაკი!

ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: ხატოვანი აზროვნების საფუძ-

ველზე იგივეობის განცდა ჯერ კიდევ არაა საკმარისად განვითარებული; იგი ჯერ მხოლოდ თვალსაჩინობას ეყრდნობა: იგი მხოლოდ იქ განიცდება, სადაც თვალსაჩინო შინაარსი, სადაც ხატი ერთნაირია: ცოდნა, ცნება მას ჯერ კიდევ არ უდევს საფუძვლად.

3) როგორ განიცდის ხატოვანი აზროვნება მიზეზობრივობას, მიმართებას თანმიმდევარ მოვლენათა შორის, რომელთაგანაც ერთი მიზეზია და მეორე შედეგი?

როდესაც ჩვენს წინაშე რაიმე მოვლენაა, რომელიც ახლად, უჩვეულოდ, გაუგებრად გვეჩვენება, როგორც წესი, მოთხოვნილება გვიჩნდება გავიგოთ რატომ არის ასე? რა მიზეზითაა გამოწვეული? მოკლედ, ჩვენ ამ მოვლენის მიზეზის მოძებნა ანუ მისი ახსნა გვინდა. უეჭველია, ახსნა ხატოვანი აზროვნების განვითარების საფეხურზეც აინტერესებს ადამიანს. როგორ ხსნის იგი ამა თუ იმ მოვლენას? უეჭველია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ესმის მას მიზეზობრიობა.

რატომ აქვს იაბუტი-კუს დამსკდარი და ბრტყელი ბაკანი? ბრაზილიელი ინდოელი ამას ასე ხსნის: ერთხელ „კუ და ძერა დანაძლევენ, ვინ მიასწრებდა ასვლას ცაში ზეიმზე, რომელიც სწორედ ამ დროს ეწყობოდა იქ. კუ ჩაიპარა ძერას სასურსათო კალაშში და მასთან ერთად ცაში იქნა ატანილი. ასე რომ, როდესაც ძერა საზეიმო სეირნობიდან დაბრუნდა, კუ იქ დახვდა: მე შენზე ადრე ამოვედი და დიდი ხანია აქ გელოდებიო. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს — ნიძლავი იმას ქონდეს მოგებული, ვინც მიწაზე ჩასვლას მოასწრებსო. ძერა ფრენით დაეშვა ძირს; კუ კი გადავარდა და, რასაკვირველია, ჩაასწრო ძერას, მაგრამ ისე ძლიერ დაენარცხა მიწაზე, რომ ბაკანი გაუბრტყელდა და გაუსკდა. ამიტომაც, რომ მას დღესაც ბრტყელი და დახეთქილი ბაკანი აქვსო“.

როგორც ვხედავთ, ბრაზილიელი ინდოელი ამბავს თხზავს, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მოხდა, რომ კუს ბაკანი გაუსკდა. ესაა მისი ახსნა. ასეა სხვა შემთხვევებშიც: როდესაც პრიმიტივის რისამე ახსნა უნდა, იგი მოთხრობას ადგენს, სადაც აღწერილია, თუ როგორ მოხდა საინტერესო მოვლენა. ხატოვანი აზროვნებისათვის ახსნა და აღწერა ერთმანეთს ემთხვევა. უდაოა, როგორც იგივეობის მიმართების შემთხვევაში, ისე აქაც ხატოვანი აზროვნება მხოლოდ ისე ხედავს და ისე ასახავს მიმართებას, როგორც ის უშუალოდაა მოცემული. მიზეზი და შედეგი უბრალო თანმიმდევრობაზეა დაყვანილი: ერთი მოვლენის შემდეგ მეორე ხდება, ერთს მეორე უსწრებს წინ — ეს არის და ეს, რასაც ხატო-

ვანი აზროვნება განიცდის მიზეზობრივი კავშირის შემთხვევაში. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ჰიუმის ფორმულა — *post hoc ergo propter hoc* (ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის მიზეზით) — ხატოვანი აზროვნების მიზეზობრიობას გამოხატავს.

მაგრამ მიზეზობრივი კავშირის ბუნება, ჩვენი აზროვნებისათვის მაინც, აუცილებლობითი ხასიათისაა. ხატოვანი აზროვნებისათვის ეს ასე არაა: აუცილებლობა მისთვის გაუგებარია. როდესაც ცნობილმა მოგზაურმა ფონდენშტაინენმა, რომლის ცნობებითაც ჩვენ აქ განუწყვეტლივ ვსარგებლობდით, ერთერთს ბაკაირის უთხრა — „ყველა უნდა მოკვდესო“ — გამოიჩქვია, რომ მისთვის ეს „უნდა“, როგორც აუცილებლობა, სრულიად გაუგებარი ყოფილა. მას ჭერ კიდევ ვერ მიეღწია იმ მდგომარეობისათვის, რომ მოვლენათა რიგიდან, მუდამ ერთიდაიმავე სახით რომ მეორდება, ზოგადი აუცილებლობის აზრი გამოეყვანა. აუცილებლობისა და ზოგადობის კატეგორიები უცხოა ხატოვანი აზროვნებისათვის. ამიტომაც, რომ იგი მხოლოდ მოთხრობით, მხოლოდ აღწერით კმაყოფილდება.

მაგრამ ნუთუ ხატოვანი აზროვნებისათვის მიზეზსა და შედეგს შორის უბრალო თანმიმდევრობის მეტი სხვა არავითარი კავშირი არ არსებობს? როგორც ველურების, ისე ბავშვის ხატოვანი აზროვნების დაკვირვება ამტკიცებს, რომ იგი მიზეზსა და შედეგს შორის თავისებურ კავშირს გულისხმობს, რომლის მიხედვითაც შედეგი უბრალოდ შედეგს კი არ ნიშნავს, არამედ უფრო პროდუქტს, კეთების ნაყოფს. ხატოვანი აზროვნება მიზეზსა და შედეგს შორის კეთების კავშირს გულისხმობს: ყველაფერი რაც ხდება და რაც არსებობს უთუოდ ვისიმე გაკეთებულია. ასეთია ხატოვანი აზროვნების რწმენა. ამიტომ საკმარისია, მოთხრობილი იქნეს, თუ ვინ და როგორ გააკეთა ესათვის საგანი თუ მოვლენა, რათა ახსნა სრულიად დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი.

ეს ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშვა მიზეზობრივობის ცნება, როგორ მივიდა ადამიანი მიზეზობრივი კავშირის იდეამდე. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დიდი ხანია გავრცელებულია აზრი, თითქოს მიზეზობრივობის შემეცნების წყარო საკუთარი ნებელობის დაკვირვება იყოს (შოპენჰაუერი). ნამდვილად შეუძლებელია ეს ასე იყოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უნდა მიგვეღო, რომ თვითდაკვირვება, რომელიც აბსტრაქციის საკმაოდ მაღალ დონეს გულისხმობს,

გაცილებით ადრე განვითარდა, ვიდრე ობიექტური დაკვირვება, რომ მიზეზობრიობა ჯერ შინა სამყაროში იქნა შენიშნული და შემდეგ გარე-სინამდვილეში გადატანილი, რომ ეს კატეგორია ჯერ თეორიულად იქნა განჭვრეტილი და შემდეგ პრაქტიკულად — შინა სამყაროს დაკვირვებას პრაქტიკასთან უშუალოდ ხომ კავშირი არა აქვს: პრაქტიკა შინა კი არა, გარე-სინამდვილეში მიმდინარეობს.

გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა, თუ საქმეს ასე წარმოვიდგენდით. მიზეზობრივი კავშირის გაგება „გაკეთების“ მიმართების სახით იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანმა პირველად თავისი შრომის პროდუქტებს მიაქცია ყურადღება, იმას, რასაც იგი აკეთებდა, და ამავდროს იმასაც, რომ ამ პროდუქტს მხოლოდ გაკეთების შედეგად ღებულობდა. რაც შეეხება კეთების სუბიექტურ მხარეს, მოტივაციასა და აქტივობის განცდას ეს შედარებით უფრო გვიან უნდა გამხდარიყო ადამიანის დაკვირვების საგნად. და ჩვენ ვიცით, რომ, მართლაც, მიზეზობრიობის კეთების სახით წარმოდგენას, ე. ი. იმას, რაც ამჟამად არტიფიციალიზმის სახელწოდებითაა ფსიქოლოგიაში ცნობილი, მიზეზ-შედეგის მიმართების ფსიქოლოგიური გაგება მოჰყვა თან, რომლის მიხედვითაც მიზეზი სწორედ ისე მოქმედობს, როგორც მოტივი, და ყველაფერი რაიმე მოტივით ხდება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მიზეზობრივი მიმართების იდეის წყარო ადამიანის პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ. ისე, როგორც ყველფერი სპეციფიკურ-ადამიანური შრომის წყაროდან მომდინარეობს, ისე კაუზალობის კატეგორიის სათავეც აქ უნდა ვივულისებოთ.

მაგრამ პრიმიტიული ადამიანის პრაქტიკა, მისი „შრომა“ ჯერ კიდევ მარტივ ფორმებში მიმდინარეობდა: იგი ჯერ კიდევ მხოლოდ მოხმარებისა და მომსახურების ფარგლებში იყო მოქცეული. ამიტომ მისი კაუზალობის ცნობიერებაც ჯერ მხოლოდ პრიმიტიული შეიძლებოდა ყოფილიყო. ნამდვილი მიზეზობრივი მიმართების იდეა, ისე როგორც სხვა მიმართებებისაც, ისე როგორც ნამდვილი საგნის ცნობიერებაც, მხოლოდ განვითარების ამ საფეხურზე შემუშავდა, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში დომინანტური მნიშვნელობა ნამდვილმა წარმოებითმა შრომამ მოიპოვა. დასრულებული აზროვნების, ე. წ. ცნებითი აზროვნების, საბოლოო ჩამოყალიბება ამ ნიადაგზე მოხერხდა.

როგორც ვხედავთ, ხატოვანი აზროვნება განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკული აზროვნება, მაგრამ გაცილებით უფრო დაბალს, ვიდრე ცნებითი აზროვნება.

## ცნებიტი აზროვნება

1. ასოციაციონიზმი აზროვნების ფსიქოლოგიაში. პრაქტიკული აზროვნება აღქმულის ფარგლებში მიმდინარეობს. ხატოვანი აზროვნება საკმარისად აფართოებს თავისი მოქმედების არეს, რამდენადაც წარმოდგენასაც ემყარება. მაგრამ იგიც უშუალოდ მოცემულის ფარგლებში რჩება. იბადება საკითხი: ნუთუ არ არსებობს საშუალება უშუალო მოცემულობის, თვალსაჩინოების, ზღუდეების გადალახვისა და სინამდვილის უფრო დაშორებული მხარეების ასახვისა?

მე-19 საუკ. ფსიქოლოგიისათვის არსებითად პრაქტიკული აზროვნებაც უცნობი იყო და ხატოვანიც: აზროვნებად იგი მხოლოდ ლოლიკურს, განყენებულს, ცნებითს აზროვნებას თვლიდა. მიუხედავად ამისა, ყოველი აზროვნება მას მაინც თვალსაჩინოებამდე დაჰყავდა. მე-19 საუკუნის კლასიკური ფსიქოლოგია ასოციონისტური ფსიქოლოგია იყო; იგი დარწმუნებული იყო, რომ ერთადერთი მასალა, რომლითაც ფსიქიკა სარგებლობს, შეგროვებაა, და, მაშასადამე, აზროვნებაც ამავე მასალითაა აგებული. რაც შეეხება კანონზომიერებას, რომელსაც აზროვნებითს პროცესებში აქვს იდგილი, არც ის წარმოადგენს რასმე სპეციფიკურს: ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ასოციაციითა კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც აზროვნების ფსიქოლოგიის ამოცანა შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ მან აზროვნების ყველა შესაძლო ფორმა ანალიზკოს და გვიჩვენოს, რომ იგი სხვადასხვა წარმოდგენათა, ასოციაციის კანონების მიხედვით, გაერთიანების მეტს არაფერს არ წარმოადგენსო. ცნება, მაგალ., წარმოდგენათა ერთდროული ასოციაციის პროდუქტია, მსჯელობა — თანამიმდევარი ასოციაციისაო. ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის უკიდურესი სენსუალიზმი შესაძლებლობას არ აძლევდა მას აზროვნებაში ისეთი ფსიქიკური პროცესი დაენახა, რომელიც უშუალოდ მოცემულობის ფარგლებს შორდება და სინამდვილის არსებითი მხარეების შემეცნების შესაძლებლობას ქმნის

2. აზრი როგორც არათვალსაჩინო განცდა. ნუთუ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი აზროვნება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზეც თვალსაჩინოების ფარგლებით რჩება შეზღუდული? თანამედროვე მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევები უდაოდ ამტკიცებენ, რომ ადამიანის აზრს ძალა შესწევს მოვლენათა ზედაპირს გადასცდეს და მათი არსებითი ბუნების შემეცნება მოახერხოს. რა თქმა



უნდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენი აზროვნება არსებითად შეგრძნებათა ასოციაციების მეტი არაფერი ყოფილიყო და მაშასადამე, მარტო უშუალო მოცემულობით ყოფილიყო შემოფარგლული.

ეს გარემოება ყოველთვის მწვავედ აყენებდა ფსიქოლოგიის წინაშე საკითხს, თუ რა გზით და როგორ ახერხებს ჩვენი აზროვნება შემეცნების ეგოდენ მნიშვნელოვანი სიმალეების მიღწევას. ამ საკითხის ინტენსიური შესწავლა XX საუკ. დასაწყის წლებში დაიწყო. გერმანიაში მას კულპე ხელმძღვანელობდა („ეურცბურგის სკოლა“) და საფრანგეთში — ბინე. ვინაიდან აზროვნების კვლევა ექსპერიმენტულ ნიადაგზე იქნა გადატანილი, იგი თავიდანვე ნაყოფიერი აღმოჩნდა.

პირველი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც აზროვნების ექსპერიმენტული შესწავლის ნიადაგზე იქნა მიღებული, სწორედ ჩვენს პრობლემას ეხება. გამოიჩვენა რომ აზროვნების პროცესის დაყვანა მხოლოდ თვალსაჩინო შინაარსზე, მარტო შეგრძნებებსა და წარმოდგენებზე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; რომ ამ თვალსაჩინო შინაარსების გვერდით აზროვნების პროცესში კიდევ განიცდება რაღაც, რასაც არც რაიმე გრძობადი რომელობა აქვს და არც რაიმე ინტენსიობა, ე. ი. არცერთი ისეთი მხარე, რის გარეშეც შეგრძნების აზროვნებაც კი არ შეიძლება. უდაოა, ამ შემთხვევაში განცდასთან გვაქვს საქმე, რომელსაც შეგრძნებასთან არაფერი აქვს საერთო.

ჩვეულებრივ, ამ განცდას ცდისპირები „ცოდნა“, „აზრს“ უწოდებენ. მისი შეგრძნებაზე თუ წარმოდგენაზე დაყვანა შეუძლებელი შეიქნა: გარდა იმისა, რომ მას არც გრძობადი რომელობა აქვს და არც ინტენსიობა, იგი სხვა მხრივაც განსხვავებული აღმოჩნდა თვალსაჩინო განცდებისაგან, წარმოდგენებისაგან, 1) როდესაც ცდისპირი თავისი აზრდების აქტის შესახებ იძლევა ანგარიშს, მაგალ., როდესაც ის მოგვითხრობს თავის განცდებს, რომელნიც, ვთქვათ, მიწოდებული წინადადების გაგების პროცესში ლებულობდნენ მონაწილეობას, მას ძლიერ კარგად, ძლიერ ნათლად ახსოვს „აზრი“, რომელიც მას თავში მოუვიდა. მაგრამ, რაც შეეხება წარმოდგენებს, რომელნიც მას ამ დროს ჰქონდა, მათ შესახებ ისიც კი არ იცის, როგორი ყოვნენ ისინი — მხოლოდ სქემატურნი თუ დასრულებული, გარკვეული შინაარსის მქონენი. მაშ, აზრის სხვა და წარმოდგენის სხვა. 2) რომ ეს ასეა, ეს იქედანაც ჩანს, რომ, მაგალ., სიტყვის გაგებისათვის უფრო მცირე დრო აღმოჩნდა საჭირო, ვიდრე მხედველობითი წარმოდგენის აღმოცენ-

ბისათვის. აზრი რომ მართლა წარმოდგენათა ასოციაცია ყოფილიყო, მაშინ ამ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა. 3) ვთქვათ, ცდისპირმა მარტივი მოძრაობითი რეაქცია უნდა მოგვეცეს მიწოდებულ სიტყვაზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გაიგებს ამ სიტყვას, სწვდება მის მნიშვნელობას. აღ. ჩნდა, რომ შესაძლოა ცდისპირს რაღაც წარმოდგენები გაუჩნდეს, მაგრამ მან იცოდეს, რომ ისინი ამ სიტყვის მნიშვნელობას არ შეეფერებიან: მნიშვნელობის ცოდნა, აზრი, მაშასადამე, წარმოდგენაზე არ დაიყვანება.

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი ცნობიერება თვალსაჩინო შინაარსთა — შეგრძნებათა და წარმოდგენათა — გარდა, არათვალსაჩინო განცდებსაც შეიცავს — არათვალსაჩინოების ცოდნას, რომელიც აზროვნების პროცესში იჩენს ხოლმე თავს და რომელიც „აზრის“ სახელწოდებითაა ფსიქოლოგიაში შეტანილი.

მაშ, ჩვენი საკითხი ასე წყდება: პრაქტიკულსა და ხატოვან აზროვნებას გარდა კიდევ არსებობს აზროვნების ფორმა, რომლისთვისაც ისაა დამახასიათებელი, რომ იგი აზრის ან არათვალსაჩინო ცოდნის საშუალებით თვალსაჩინოების ფარგლებს არღვევს და სინამდვილის არაუშუალოდ მოცემულ მხარეებსაც ასახავს. აზროვნების ამ ფორმას „ცნებითი აზროვნება“ ეწოდება.

8. ცნებითი აზროვნება და თვალსაჩინო შინაარსი. იბადება საკითხი: რა დამოკიდებულება არსებობს თვითონ ცნებითს აზროვნებაში თვალსაჩინო შინაარსებსა და არათვალსაჩინო განცდებს შორის; სენსორულ მასალასა და აზრს შორის? ხომ, არ უნდა ვიფიქროდ, რომ, რაკი აზროვნებაში არათვალსაჩინო აქტების არსებობა დასტურდება, მასში თვალსაჩინო განცდათა მონაწილეობისათვის ადგილი აღარ რჩება?

პირველ ხანებში — არათვალსაჩინო აქტების შესწავლის პირველ პერიოდში — ახალი აღმოჩენით გატაცებული ვურცბურგის სკოლის ფსიქოლოგები ერთგვარს უკიდურესობაში ვარდებოდნენ, როდესაც მათ წინაშე აზროვნებაში თვალსაჩინოების — აღქმისა და წარმოდგენის — მონაწილეობის საკითხი დგებოდა. თუ ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას აზროვნება, საზოგადოდ, თვალსაჩინო განცდებზე დაჰყავდა, ვურცბურგელები მაშინ, პირიქით, იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ თვალსაჩინო შინაარსს სრულიად არავითარი წილი არ უდევს აზროვნებაში. მაგრამ მალე გამოიჩვენა, რომ ეს უკიდურესობა იყო. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ თვალსაჩინო, გრძნობადი შინაარსის მონაწილეობის გარეშე აზროვნება არ შეიძლება. ამას აღარც ვერცბურგის სკოლის წარმომადგენლები უწევენ წი-

ნაღმდებობას. საკითხი ამჟამად მხოლოდ იმას ეხება, თუ რა როლს ასრულებს ეს შინაარსი ცნებითს აზროვნებაში.

1) როგორც ვიცით, ყოველი აზროვნება უთუოდ გულისხმობს რასღაც, რაზეღაც ვაზროვნებთ: რღაც უნღა გეჭონღდღს მოცემული, რომ მის შესახებ აზროვნება შეიძღლებოდღს. აზროვნება, როგორც ზემოდღც აღვნიშნღვთ, აღქმის ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა ს გულისხმობს; იგი მეორღდი პროცესიღ, რომელსღც პირველღდი სინამღღვიღღის ასახვღ უსწრღბს წინ, დღ ეს პირველღდი ასახვღ აღქმასღ დღ წარმოდგენღშიღ მოცემული.

ამრიგად, თვღლსაჩინო გრძნობღდი შინაარსის მოცემუღღობღ პირველი პირობღღ, რომღღის გარეშეც აზროვნებღზე ლღპარღკიც შეუძღლებელი იქნებოდღ.

2) მღგრღმ სენსორული შინაარსი სხვღ მხრივღც აუცილებელიღ ცნებითი აზროვნებისღთვის. ჟღრ-ერთი, რღც უფრო განყენებულიღ ჩვენი აზროვნების შინაარსი, ჩვეულებრივ, მით უფრო მწვავედ განიცდებღ თვღლსაჩინო მასღღის სღჟირობღ. სღქმე ისღღ, რომ აზროვნებღს მხოლოდ იმ შემთხვევღში აქვს რღიმე ღღრებუღღბღ, თუ რომ იგღ-მთღღიანღ ცნობიღღ, თუ რომ იგი, ასე ვთქვღთ, თავიღღან ბოლომღღე სუბიექტის შინღგანი მხედღვეღღობის არეში მიმღღინარეობს: აზროვნებღს, როგორც უღღრესღდ აქტიურ პროცესს, განუწყვეტელი თვღღყურის ღღვენებღ, განუწყვეტელი კონტროლი ესღჟირობღ.

მღგრღმ, როგორ, რღ სღხით შეიძღლებღ გვეძღღეოდღს აზროვნების შინაარსი, როღღსღც იგი განყენების მღღღლ სღფეხურღბს აღწევს? განყენებული სწორღდ იმღს ნიშნღვს, რომ იგი უშუღღღდ არღღ მოცემული. მღგრღმ, როგორც ვნღხღთ, აუცილებელიღ უსღთუოდ რღმენღიარღ მღინც გვეძღღეოდღს იგი. ამ შემთხვევღში სრულიღდ განსაკუთრებულ როღს მეტყველებღ ასრულებს. სიტყვღზე უკეთ განყენებული აზრის მოცემუღღობღდ გღღღქევეღ არღფერს არ შეუძღღღღ. სღქმე ისღღ, რომ სიტყვღ თავისთავღდ ყოველგვარ სღკუთღრ შინაარს მოკღღბულიღ: იგი ბგერღღ დღ მეტი არღფერი, ე. ი. წმინღღ თვღლსაჩინო გღცღღღ. მღშღსღღღმე, არღფერი გვიღღღის ხელს მის შინაარსღდ განყენებული აზრი ვღქციოთ დღ ამით ამ უკღნღსკენღს ხელსღხები, თვღლსაჩინო ობიექტური განსღხიერებღ მივცღთ: ს ი ტ ვ ა გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი აზრის ო ბ ი ე ქ ტ ი ე ი ც ა ა. იგი არღთვღლსაჩინო გღცღღღს უშუღღღო მოცემუღღობღდ გღღღქევის სღშუღღღბღს იძღღეღ. უიმისოღ, მღშღსღღღმე, განყენებული აზროვნების აქტიური გღშღღ შეუძღლებელი იქნებოდღ.

ამრიგად, თვღლსაჩინო, სენსორული შინაარსი პირველ რიგში

სიტყვაში ხედება არათვალსაჩინო აზრს და ამ უკანასკნელს განვითარებისა და გაშლის შესაძლებლობას უქმნის. ამიტომ, რასაკვირველია, სამართლიანია, როდესაც ცნებითს, განყენებულ აზროვნებას ვერბალურ (სიტყვიერ) აზროვნებასაც უწოდებენ.

3) მაგრამ თვალსაჩინო შინაარსი სხვა მხრივაც ღებულობს მონაწილეობას აზროვნების მიმდინარეობაში. თუ სიტყვას საკუთარი შინაარსი არა აქვს და ამიტომ მისი ჩარევა აზროვნების პროცესში ამ უკანასკნელზე შინაარსეულად არ ახდენს გავლენას, სხვა სენსორულ შინაარსებზე ამას ვერ ვიტყვით: წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს, როგორც უნდა იყოს იგი, ყოველთვის აქვს თავისი შინაარსი, და ყოველთვის სინამდვილის უშუალო ასახვის მიზანს ემსახურება. შესადამე, განყენებულ აზროვნებასთან, რომელიც სწორედ გასუ ნებულს და არათვალსაჩინოს ეხება, მას არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულად დამტკიცებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი განყენებული აზროვნების პროცესში თვალსაჩინო განცდებიც, კონკრეტული საგნობრივი წარმოდგენებიც, უეჭველ მონაწილეობას ღებულობენ. როგორც უნდა იყოს ამოცანა, მისი გადაწყვეტის პროცესი არასოდეს ისე არ მთავრდება, რომ სუბიექტის ცნობიერებაში საგნობრივი წარმოდგენების რიგმა არ იჩინოს თავი.

ავიღოთ ერთი მაგალითი! ცდისპირს დავალება ეძლევა: ო რ ს ი ტ ყ ვ ა ს, რომელსაც მას მიაწოდებენ, ზემდებარე ცნება მოუხახოს (მაგალ., ვაჟი — ქალი, ზემდებარე ცნება: იქნება — ა დ ა მ ი ა ნ ი) და შემდეგ ანგარიში მოგვეცეს, თუ რა განცდები ჰქონდა მას სიტყვების გაგონების მომენტიდან პასუხის მიცემამდე.

ერთერთი ოქმიდან ამონაწერი ასეთია: ეძლევა ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა ს — ქ ე ი თ ა რ ი. ც. პ.-ის დაკვირება: ერთხანს დაბნეულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მალე ხატოვანი წარმოდგენა გამიჩნდა... იგი მხოლოდ ხატი იყო, ისე არაფერს არ აღნიშნავდა სინამდვილიდან. თითქოს სასამართლოს სცენა იყო გადმოცემული; მაგრამ ისე, რომ მისი აღწერა არ შეიძლება. ამას მეორე სურათი დამატა, ერთი მარჯვნივ იყო, მეორე მარცხნივ. ეს მეორე სურათი წარმოდგენდა ხელს, რომელიც წერდა; ვინც წერდა, არ ჩანდა, მარტო ხელი იყო სურათზე. და აი, მკვხედი, რას შერებოდა ეს ხელი, რას ნიშნავდა მისი წერა (და ასე გადაწყდა ამოცანა: ც. პ.-მა დაასახელა ზემდებარე ცნება).

როგორც აქედან ჩანს, სუბიექტს სრულიად თვალსაჩინო წარმოდგენები უჩნდება. შეიძლება ზოგი მათგანი გაურკვეველიც იყოს. წვრილმანები არ ჩანდეს; მაგრამ ის, რაც არის, უდაოდ გრძნობადია, და, მაშ, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა ზ რ თ ა ნ, ც ო დ ნ ა ს თ ა ნ ი ქ ნ ე ს გ ა ი გ ი ე ე ბ უ ლ ი. მაგრამ აქვს თუ არა მას რაიმე შინაგანი კავშირი ამ უკანასკნელთან?

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს ხატოვანი წარმოდგენები სრულიად შემთხვევით ჩნდებიან, რომ მათ მხოლოდ უბრალო ასოციაციური კავშირი აქვთ ამოცანის ელემენტებთან, მაგალ., სიტყვებთან, რომელსაც მიწოდებული ამოცანა შეიცავს. მაგრამ სათანადო ექსპერიმენტული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ასე არაა (ვილვოლი). რასაკვირველია, არის შემთხვევები, რომ ესა თუ ის წარმოდგენა წმინდა ასოციაციური გზით იჭრება ცნობიერებაში; მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, მაგალ., ზელცი, სრულიად უარყოფს ასეთი შემთხვევების შესაძლებლობას. სამაგიეროდ როგორც წესი მოაზროვნე სუბიექტის ცნობიერებაში წამოჭრილი თვალსაჩინო შინაარსის წარმოდგენები ამოცანასთან არიან არსებობის და დაკავშირებული. ისინი რაღაც როლს ასრულებენ აზროვნების პროცესში, მათ რაღაც გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონდეთ.

რაში მდგომარეობს ეს ფუნქცია? იგი სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა:

1) უწინარეს ყოვლისა, არის შემთხვევები, რომ აზროვნების პროცესში აღმოცენებული თვალსაჩინო შინაარსის წარმოდგენები არათვალსაჩინო აზრის ილუსტრაციის მეტს არაფერს წარმოადგენენ: ისინი წინ როდი უსწრებენ ჩვენს აზრებს, არამედ თან ახლავან მათ და ამოცანის გადაწყვეტაზე უშუალო გავლენას არ ახდენენ.

2) ზოგჯერ სუბიექტს არაჩვეულებრივ ცხოველი თვალსაჩინო ხატი უჩნდება. ასეთ შემთხვევებში თვალსაჩინო წარმოდგენა ხშირად შემაფერხებელ გავლენას ახდენს აზროვნების პროცესზე: ცხოველი წარმოდგენა ან თვითონ იტაცებს სუბიექტს და ხელს უშლის მას ყურადღება ამოცანის გადასაწყვეტად წარმართოს, ან — სწორედ იმის გამო, რომ ძალიან ნათელ სურათს წარმოადგენს — ნაადრევად ათაეებინებს აზროვნების პროცესს; ანდა, რა მიმართებაც ამ ცხოველ წარმოდგენებს შორის არის, ამოცანის ელემენტებს შორისაც იმას აგულისხმებინებს. მოკლედ: აზროვნების მიმდინარეობაში წამოჭრილი თვალსაჩინო შინაარსი ზოგჯერ შემაფერხებელ გავლენას ახდენს მასზე. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც წარმოდგენა თვალსაჩინოების მაღალ დონეს აღწევს.

3) უფრო ხშირია შემთხვევები, რომ თვალსაჩინო წარმოდგენა კი არ აფერხებს აზროვნებას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას. საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევებში იგი, ჩვეულებრივ, სრულიად მოკლებულია თვალსაჩინოების იმ მაღალ დონეს, რომელიც შემაფერხებელი წარმოდგენებისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი.

ლი. ამ შემთხვევებში იგი შედარებით ზოგადის, გაურკვეველი სახისაა: ვერ იტყვი ზუსტად, რას გამოხატავს ეს წარმოდგენა: „ცხოველია, შეიძლება ხარი იყოს, ან ძროხა, ან ცხენი...“ ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში უქველად თავისებურად გრძნობადს შინაარსთან გვაქვს საქმე: უდაოა, რომ იგი თვალსაჩინო შინაარსს, გრძნობად ხატს წარმოადგენს, და ამით იგი სხვა გრძნობადი მასალისაგან არაფრით განსხვავდება; მაგრამ ამავე დროს ეს გრძნობადი შინაარსი ისეთია, რომ მას ინდივიდუალური გარკვეულობა აკლია: იგი შეიძლება ესეც იყოს და ისიც... ამ მხრივ იგი უფრო ინტელექტუალურს, არათვალსაჩინო შინაარსს უახლოვდება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ერთგვარს, ინტელექტუალიზირებულ ხატთან გვაქვს საქმე, და ესაა, რომ მას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს აზროვნებისათვის. წინათ წარმოდგენის ასეთი ინტელექტუალიზაციის შესაძლებლობას სრულიად უარყოფდნენ: სამკუთხედი ან ტოლგვერდი შეიძლება იყოს ან არატოლგვერდი, და ამიტომ შეუძლებელია წარმოიდგინო სამკუთხედი საზოგადოოდ“, რომელიც ისიც იქნებოდა და ესეცო, ამბობდა ბერკლი. მაგრამ დღეს უკვე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბერკლი ცდებოდა: ინტელექტუალიზირებული წარმოდგენის არსებობა უდაო ფაქტად ითვლება (მესერ, ვილვოლ, რუბინშტეინ, და სხვ.).

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ვასაგებია, რომ ასეთ წარმოდგენას საკმაოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია აზროვნების პროცესში. როდესაც სუბიექტს ასეთი წარმოდგენები უჩნდება, ეს არ ნიშნავს, რომ ამოცანის გადაჭარის პროცესი პირველად ამ მომენტიდან აღგებოდა სწორ გზას. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი წარმოდგენების აღმოცენებას უკვე წინ უსწრებს ერთგვარი მდგომარეობა, რომელიც ამოცანის სწორი გადაჭრის განწყობას უნდა წარმოადგენდეს; და ეს გაურკვეველი წარმოდგენები, რომელიც ამოცანის სწორი გადაჭრის პროცესს ეხმარებიან, ამ განწყობის წიადაგზე უნდა იყვნენ აღმოცენებული. ამით აიხსნება, რომ ძინი სწორი გადაწყვეტისაკენ მიუთითებენ და განყენებულ აზროვნებას შესატყვის დასაყრდენსა და მიმართულებას აძლევენ.

4) არათვალსაჩინო აზრისა და თვალსაჩინო შინაარსის მკიდროკავშირი სხვანაირადაც იჩენს თავს. თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში საკმაო ხანია ცნობილია, რომ აზროვნების პროცესში კიდევ ჩნდება ერთგვარი თავისებური თვალსაჩინო შინაარსი — სქემა — რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ზემოდ აღ-

წერილს საგნობრივს, გაურკვეველ წარმოდგენებს, მაგრამ მათგან მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდება (ბ ი უ ლ ე რ ი, შ ტ ე რ ნ ი). მაშინ როდესაც საგნობრივი წარმოდგენა არათვალსაჩინო აზრის გათვალსაჩინობას, მისს, ასე ვთქვათ, განსახიერებას თუ გამოხატულებას იძლევა, სქემა მხოლოდ მისი ს ი მ ბ ო ლ ო ს როლს ასრულებს. მიუხედავად ამისა, მისი როლი აზროვნების პროცესში მაინც დიდია. ბ ი უ ლ ე რ ი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მიაწერს მას: „ძალიან დიდ სამსახურს უწევს ცნებითს აზროვნებას სქემატური წარმოდგენა, რომელიც უკვე ძლიერ ადრე უმუშავდება ბავშვს“-ო, ამბობს იგი.

როგორია ეს სქემატური წარმოდგენა, ეს შემდეგი მაგალითებიდან ჩანს: ერთერთ ცდისპირს ორი ცნება ეძლევა, რომელიც მან ზემდებარე ცნებაში უნდა გააერთიანოს: „მეორე სიტყვა რომ გავიგონე, ორივე ცნებას შორის მიმართება დავამყარე; ამ დროს მე ს ა მ კ უ თ ხ ე დ ი ს ს ქ ე მ ა გამიჩინდა, რომელიც ყოველთვის შაქვს ხოლმე, როდესაც ზემდებარე ცნებას ვეძებ“-ო, ამბობს იგი. მეორე ც. პ.: „ეხლაც ფამიჩნდა ორივე სიტყვისათვის ს ქ ე მ ა — თითქოს თქვენ ქაღალდი გეჭირათ ხელში, და ერთი მოცემულ სიტყვათაგანი ზემოდ იყო ამ ქაღალდზე მოთავსებული. მეორე ქვემოდ. ოღონდ თვითონ სიტყვებს ვერ ვხედავდი: მე მხოლოდ ადგილს ვხედავდი ერთისას. და მეორისას... აი, თითქოს ახლაც გადაამაქვს თვალი ერთიდან მეორეზე...“

ასეთი სიმბოლოები ორგვარია: ფ ო რ მ ა ლ უ რ ი, რომელიც ამოცანის ფორმალურ მხარეს ეხება, და შ ი ნ ა ა რ ს ე უ ლ ი, როდესაც იგი მოცემული ამოცანის შინაარსის სიმბოლოს წარმოდგენს.

ფ ო რ მ ა ლ უ რ ს ქ ე მ ე ბ ს ზემოდ მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით (სამკუთხედი, სივრცეში განლაგების სქემა). რაც შეეხება შ ი ნ ა ა რ ს ე უ ლ ს ქ ე მ ა ტ უ რ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს, მის ნიმუშს შემდეგი დაკვირვება იძლევა (ისევ ვ ი ლ ვ ო ლ ის გამოკვლევიდან):

(ვ მ ი რ ო ბ ა — დ ა ს რ უ ლ ე ბ უ ლ ო ბ ა). უნდა მოინახოს ზემდებარე ცნება: ც. პ.: გაურკვეველი ხატები, მეორე სიტყვის გასათვალსაჩინებლადაც გაჩნდა წარმოდგენა: იგი (დასრულებულობა) მარცხნივ იდგა — ძალიან პირამიდის ს:ხ:ო.

რაც შეეხება ამ სქემატურა წარმოდგენებში ფუნქციას. იგი არსებითად ისეთივეა, როგორც საგნობრივი წარმოდგენების შემთხვევაში დავადასტურეთ: ზოგ შემთხვევაში იგი ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ი ს როლს ასრულებს, ზოგში კიდევ აზროვნების დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ს როლს, რომელიც აზროვნების მსვლელობას აადვილებს და აზუსტებს.

ამრიგად, არათვალსაჩინო აზრსა და თვალსაჩინო გრძნობადს

ფსიქიკურ შინაარსებს შორის არავითარი უფსკრული არ არსებობს, როგორც ამას ფსიქოლოგიური სენსუალიზმი და რაციონალიზმი გულისხმობდნენ: არ არის მართალი, თითქოს შემეცნების ერთადერთს წყაროს ან ჩვენი გრძნობები შეადგენდნენ და ან ჩვენი გონება. არა! დიალექტიკური ლოდიკა ან-ან-ის ფორმულას არც აქ იზიარებს და აზროვნებისა და გრძნობებლობის ერთიანობის დებულებას იცავს. აზროვნების თანამედროვე ფსიქოლოგია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს დებულება სწორია: შეგრძნებასა და განყენებულს არათვალსაჩინო აზრს შორის უწყვეტი კავშირი არსებობს, რომელიც ინტელექტუალიზირებული საგნობრივი წარმოდგენებისა და სიმბოლური სქემატური წარმოდგენების შუალობით ხორციელდება.

## ა. ცნება

1. აზრი და თვალსაჩინოება. ჩვენთვის ამჟამად უდაოა, რომ აზრის თვალსაჩინო შინაარსებზე დაყვანა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, არანაკლებ უდაოა ისიც, რომ თავისთავად არათვალსაჩინო აქტი, აზრი, მაინც უთუოდ თვალსაჩინო იგანცდებთანაა დაკავშირებული: ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ კავშირის გარეშე აზროვნება შეუძლებელია. მაგრამ აზრისა და თვალსაჩინო წარმოდგენის ერთიანობა მარტო ამაში როდი იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ, მეორის მხრივ, თვითონ თვალსაჩინო განცდაც — აღქმა იქნება იგი თუ წარმოდგენა — უთუოდ რაიმე არათვალსაჩინო წარმოდგენის ერთდაკავშირებული. ასეთი კავშირის გარეშე ადამიანს არც აღქმა შეუძლია და არც წარმოდგენა. მართლაც, როგორც ვიცით, აღქმაშიც და წარმოდგენაშიც უთუოდ რაიმე საგანი იგულისხმება: ის, რაც აღიქმება ან წამოიღვინება. უიმისოდ არც აღქმასა და არც წარმოდგენას არავითარი აზრი ან მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაშასადამე, აღქმაში არა მარტო თვალსაჩინო იგრძნობადი შინაარსი გვაქვს მოცემული, არამედ მასში საგნის გულისხმობის არათვალსაჩინო აქტიც დებულობს მონაწილეობას: არათვალსაჩინო განცდის გარეშე არც თვალსაჩინო შინაარსი არსებობს ადამიანის ცნობიერებაში.

მაგრამ აღქმაში მხოლოდ ელემენტია არათვალსაჩინო აზრის. ჩვენ ვხედავთ, მაგალ., აი, ამ წიგნს როგორც სრულიად თვალსაჩინო მოცემულობას: მას ეს იგარკვეული ფორმა აქვს, ეს სიდიდე, ეს ფერი... წიგნი — ჩვენი აღქმის საგანი — გარკვეულს გრძნობადს მონაცემს წარმოადგენს. მაშასადამე, ის, რაც აღქმაში აზრით იგულისხ-



მება — „მისი საგანი“ — გრძნობადი, თვალსაჩინო შინაარსის სახით განიცდება: იგი ჯერ კიდევ მთლიანად ამ თვალსაჩინო შინაარსთანაა შერწყმული.

მაგრამ აზროვნების განვითარების მაღალ საფეხურზე აზრი თანდათანობით შორდება თვალსაჩინო შინაარსს და, ბოლოს, ცნება ის სახით საბოლოოდ არათვალსაჩინო იგნორირებული ყალიბდება. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ცნებას არავითარი კავშირი არა აქვს თვალსაჩინობასთან: ზემოდ ჩვენ დავრწმუნდით, რომ თვალსაჩინო შინაარსი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცნებითი აზროვნების პროცესში.

იბადება საკითხი: როგორ ხდება ეს? როგორ ხერხდება, რომ ჩვენი აზრის საგნად, თვალსაჩინო შინაარსის ნაცვლად, არათვალსაჩინო, განყენებული შინაარსი იქცევა? რა ოპერაციებს მიმართავს ამისათვის აზროვნება?

2. ცნება და ზოგადი წარმოდგენა. ცნება ჩვენი ცნებითი აზროვნების ძირითად ფორმას წარმოადგენს. მაგრამ რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც ცნების შესახებ ვლაპარაკობთ? ჯერჯერობით, სთორიენტაციოდ ასე შეიძლებაოდა გვეთქვა: ცნება ყოველი ცალკე სიტყვის აზრის, მნიშვნელობას წარმოადგენს. ამიტომ საკმარისია რაიმე სიტყვა დავასახელოთ — სულერთია რომელი — და ჩვენ ყოველთვის ცნებასთან გვექნება საქმე.

მაგალ., სახლი, წიგნი, ერთობა, ცნება... მაგრამ სიტყვა მხოლოდ ლოდიკურად, ობიექტურად წარმოადგენს ნამდვილ ცნებას. ფსიქოლოგიურად, ე. ი. თითოეული ცალკე ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისით, შესაძლოა, მას ბევრი არაფერი ჰქონდეს საერთო ცნებასთან. ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ, მოწაფეს წინადადებას ვაძლევეთ დაფაზე წერე დახაზოს, და იგიც სწორად სწყევტს ამ ამოცანას. ამტკიცებს თუ არა ეს გარემოება, რომ მას წრის ცნება აქვს. უეჭველია, სიტყვის მნიშვნელობა მან იცის. მაშასადამე, თითქოს ცნებაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ იგი ამ სიტყვის მნიშვნელობად ცნებას არა, სხვას რასმე გულისხმობდეს, რაც ცნება არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ცნების როლს ასრულებს, მის ფუნქციონალურ ეკვივალენტს წამოადგენს: მაგალ., შესაძლებელია სუბიექტს წრის ე. წ. ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს და ამ ფიგურის სწორი დახაზვის შესაძლებლობას მას მხოლოდ ეს აძლევდეს.

მართლაც, ასოციაციური ფსიქოლოგია არსებითად ზოგად წარმოდგენასა და ცნებას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხე-

დავდა. საქიროა გარკვევს, რამდენად მართებულია ასეთი შეხედულება.

რა არის ზოგადი წარმოდგენა? ყველაზე უკეთესი იქნებოდა, თუ ამ კითხვას ასოციაციური ფსიქოლოგიის მიხედვით ვუპასუხებდით. უეჭველია, მოწაფეს წრის სახელწოდებით არა ერთი ფიგურა უნახავს: ამ ფიგურებს ფერი და სიდიდე ხშირად ძალიან განსხვავებული, მაგრამ ფორმა ყოველთვის ერთი ექნებოდათ. ამიტომაც ამ ფორმის ხშირი, განმეორებითი აღქმის გამო, სუბიექტის ცნობიერებაში სწორედ მისი წარმოდგენა უნდა განმტკიცებულიყო; ხოლო ფერისა და სიდიდის მომენტი, მათი ცვალებადობის გამო, უნდა დაჩრდილულიყო. მაშასადამე, სუბიექტს, წრის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ფორმის მხრივ გარკვეულის, მაგრამ სხვა მხრივ გაურკვეველი ფიგურის წარმოდგენა უნდა შემუშავებოდა. ასეთ წარმოდგენას სრულიად სამართლიანად ზოგად წარმოდგენას უწოდებენ. და მართლაც, განა შეიძლება იგი ერთი რომელიმე გარკვეული წრის წარმოდგენად ჩაითვალოს? მას ხომ არც ფერი აქვს გარკვეული და არც სიდიდე. მას მხოლოდ ფორმა აქვს გარკვეული. ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვითონ იგი ყველა თავის ნაწილში ერთნაირად მკაფიო არ არის, მაგრამ როგორც ხატი მაინც სრულიად გარკვეულია. გაურკვეველია იგი მხოლოდ ფუნქციონალურად, და ამიტომ, შესაძლოა, სურვილისდა მიხედვით დიდ წრესაც წარმოდგენდეს და პატარასაც, შავად დახაზულსაც და წითლად დახაზულსაც.

და აი, როდესაც ჩვენს მოწაფეს წრის დახაზვას ვავალებთ, შესაძლოა, მის ცნობიერებაში სწორედ ეს ბუნდოვანი, ან ფუნქციონალურად გაურკვეველი წარმოდგენა ჩნდებოდეს და დავალების სწორად შესრულების შესაძლებლობას ეს აძლევდეს.

ვთქვათ, ჩვენ ვკითხვთ მოწაფეს, თუ რა არის წრე. მისი პასუხი — იმ შემთხვევაში, თუ იგი წრის ზოგად წარმოდგენას ეყრდნობა — დაახლოებით ასეთი იქნება: წრე მრგვალი ფიგურა არისო. როგორც ვხედავთ, იგი წრის, როგორც თვალსაჩინო ხატის, ზოგიერთ ნიშანს ასახელებს. შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ მას წრის ცნება აქვს? ამის გამოსარკვევად აუცილებელია მისი განსაზღვრა იმ განსაზღვრას შევადაროთ, რომელსაც შესატყვისი მეცნიერება — ამ შემთხვევაში გეომეტრია — იძლევა, და რომლის მიხედვითაც წრე დახშულ ხაზს წარმოდგენს, რომლის ყველა წერტილიც თანაბრად არის ერთსადაიმევე წერტილს, როგორც თავის ცენტრს, დაშორებული. ჩვენ ვხედავთ, განსხვავება ამ ორ განსაზღვრას შო-

რის დიდი: პირველ შემთხვევაში წრის ერთერთი გრძობადი თვისება, სახელდობრ, მისი სიმრგვალება ძირითად ნიშნად დასახელებული; მეორე შემთხვევაში ასეთი ნიშნის როლს მისი ნაწილების მიმართება ასრულებს. ეს განსხვავება ძირითადია, და იგი არა მარტო ამ კერძო შემთხვევაში გვხვდება, არამედ საზოგადოდაა ცნებისა და ზოგადი წარმოდგენისათვის დამახასიათებელი.

მაგრამ თუ ეს ასეა, თუ ზოგადი წარმოდგენა ყოველთვის თვალსაჩინო, გრძობადი მასალითაა აგებული, ხოლო ცნება განსაკუთრებით მიმართებებს გვითვალისწინებს, მაშინ, ცხადია, რომ ზოგადი წარმოდგენისა და ცნების აღმოცენების გზებიც არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ურთიერთისაგან.

ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ ზოგადი წარმოდგენა არსებითად ასოციაციური წარმოშობისაა. თავისთავად იგულისხმება, თუ ცნება არათვალსაჩინო ხატს, არამედ მიმართებათა ცოდნას წარმოადგენს. ასოციაციის გზით, ე. ი. შექანიკურად, მისი გაჩენა სრულიად შეუძლებელი უნდა იყოს. ცნება სუბიექტის აქტიობას გულისხმობს, აქტიობას, რომელიც მიმართებათა გამოყოფას, მათს ერთგვარ შერჩევასა და ფიქსაციას უდევს საფუძვლად.

ზოგადი წარმოდგენა იმ ნიშნებს შეიცავს, რომელიც ჯგუფის ყველა ეგზემპლიარს აქვს, ე. ი. ზოგად ნიშნებს. ცნებაზე ეს არ ითქმის: ცნება ზოგად ნიშნებს კი არ შეიცავს, არამედ არსებობს ნიშნებს, ე. ი. იმ ნიშნებს, რომელიც აუცილებელია და ძირითადი ყველა იმ ობიექტისათვის, რომელსაც ეს ცნება ეხება. თავისთავად იგულისხმება, ასოციაციის გზით ამ ნიშნების ცნობიერების წინა რიგზე წამოწევა შეუძლებელია: მათ შერჩევა ესაჭიროებათ, მონახვა და შეფასება: მათი დადგენა მხოლოდ შემეცნების აქტიობის ნიადაგზე შეიძლება. გარეშე მიზანდასახული აქტიობის ჩარევისა. ამა თუ იმ ნიშნის შემეცნებითი ღირებულების, მისი არსებობის შეფასება სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა. ასეთი როლისათვის ასოციაცია აბსოლუტურად გამოუსადეგარია.

3. ცნების შემუშავების პროცესი. როგორ ჩნდება ცნება? პირველ რიგში ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული, რომ ცნების აღმოცენებას ყოველთვის გარკვეული შემეცნებითი ამოცანა უძღვის წინ. ზოგადი წარმოდგენისათვის ეს საჭირო არ არის, მაგრამ ცნებისათვის, როგორც შემეცნების ერთერთი ფორმისათვის, ეს აუცილებელია. ამიტომაც, რომ ცნების შინაარსში ზოგადი ნიშ-

ნები როდი შედის, არამედ იგი არსებობი ნიშნებისაგან შესდგება.

როგორც სათანადო ექსპერიმენტებიდან გამოიკვია, ამ შემეცნების ამოცანას მართლა განსაკუთრებით გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცნების შემუშავების პროცესში. საქმე ისაა, რომ მთელი აზროვნების პროცესი, რომელიც ამ ამოცანის იმპულსით არის გამოწვეული, მისი ზეგავლენისა და მისი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს: იმ უამრავ მომენტსა და ნიშანს შორის, რომელიც ყოველთვის აქვს ქვემდებარე ობიექტებს, სუბიექტის ცნობიერებაში განსაკუთრებით ის ნიშნები იკაფავენ გზას, რომელთაც სწორედ დასმულ ამოცანასთან აქვთ კავშირი. ეს იმიტომ ხდება, რომ სუბიექტი ამ ამოცანის თვალსაზრისით ავლებს თვალს მის განკარგულებაში მყოფ ობიექტებს და ამ თვალსაზრისით აწარმოებს მის ურთიერთ-შედარებას.

ამრიგად, შემეცნებითი ამოცანის მიღება და მისი ასპექტით სათანადო მასალის გადახედვა და შედარება ძირითადი ნაბიჯია, რომლითაც ყოველი ცნებითი აზროვნება იწყება. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩვენი შემეცნებითი მომზადებულობის დონე, ქვემდებარე მასალის შედარების შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ან უფრო შესატყვისი ნიშნები იწყვენ წინ ან ნაკლებ შესატყვისნი. ჩვენი ცნების სიაგარგე ამაზეა დამოკიდებული.

მაგრამ ცნებაძდე ჭო კიდევ შორსაა. პირველი, რაც ეხლა უნდა მოხდეს, ეს ისაა, რომ სუბიექტი ამ ნიშნებს უნდა დაეუფლოს, რათა შემდეგში მათი თავისუფალი გამოყენება შესძლოს. ეს კი პირველ რიგში მთლიანი წარმოდგენების დაშლას გულისხმობს, სადაც ეს ნიშნებია მოცემული. მთლიანი წარმოდგენა, ე. ი. მთლიანი ობიექტის ასახვა, ამიერიდან სუბიექტს სრულიად აღარ ესაჭიროება: მას მხოლოდ ის ცალკეული ნიშნები აინტერესებს, რომელიც ამოცანის შესატყვისად იქნა ცნობილი. ამისათვის, ე. ი. განსაზღვრული ნიშნების მთლიანი დანამოკრეფისათვის და მათზე იზოლირებულ აზროვნებისათვის ახალი გონებრივი ოპერაციაა აუცილებელი, ე. წ. აბსტრაქცია ანუ განყენება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აბსტრაქციის შემთხვევაში ყოველთვის ე. წ. ნიშნებთან გვაქვს საქმე, ე. ი. მთლიანი ობიექტის მხარეებთან, რომელთაც რეალურად მხოლოდ ობიექტში შეუძლიათ არსებობა, და რომელნიც, მაშასადამე, დამოკიდებულ მომენტებად უნდა იქნენ ცნობილნი. იმისათვის რომ

ამ დამოკიდებულებული შინაარსების დამოუკიდებელი წარმოდგენის შექმნა შეუძლოთ, საჭიროა ისინი იმ მთლიანიდან გამოვყოთ, რომლის დამოკიდებულ მომენტებსაც შეადგენენ (ამას „პოზიტურ აბსტრაქციას“ უწოდებენ) და ამავე დროს ისიც შეუძლოთ, რომ თვითონ მთლიანი, ყველა მისი დანარჩენი მომენტით, ყურადღების გარეშე დავტოვოთ (ე. წ. „ნეგატიური აბსტრაქცია“).

ამის მიხედვით, თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აბსტრაქცია ყურადღების მოქმედების ერთერთ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ყურადღებას რომ რასმე აქცევ, ამისი შედეგი ისაა, რომ საგანი ან მისი რომელიმე მხარე ნათელი და მკაფიო ხდება. მეტი არაფერი. აბსტრაქციის შემთხვევაში კი საქმე სინათლეს კი არა, დამოუკიდებელი ნაწილის თუ მომენტის მთლიანიდან გამოყოფას ეხება. ყურადღება ნათელ წარმოდგენას იძლევა, აბსტრაქცია — მთლიანიდან ნაწილობრივი მომენტის გამოყოფის შესაძლებლობას. მართალია, იმისათვის რომ მთლიანს რაიმე მომენტი გამოჰყო, საჭიროა მისი ნათელი წარმოდგენა გქონდეს, ე. ი. აბსტრაქციისათვის ყურადღებაა საჭირო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირველი მეორეზე უნდა იქნას დაყვანილი.

ამრიგად, აბსტრაქცია ყველა იმ ნიშნის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ცნების შინაარსად არის განზრახული.

მაგრამ ცნების შემუშავების პროცესი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. საქმე ისაა, რომ აბსტრაქტიზებული ნიშნები სათითაოდ რომელიმე მთელის დამოკიდებულ მომენტებს წარმოადგენენ, რომელნიც ახლა ამ მთლიანიდან ამოღებულნი არიან და, მასთანადამე, თავის სუბსტრატს, თავის მატარებელს, მოკლებულნი არიან. იმისათვის რომ აბსტრაქტიზებული ნიშნები ახალი მთლიანის სახით გაერთიანდნენ, ე. ი. ცნებად იქცნენ, საჭიროა მათ რაიმე თვალსაჩინო დასაყრდენი, რაიმე სუბსტრატი მიეცეს, რაც მათ ობიექტივაციას მიანიჭებდა და სინამდვილის ჩვეულებრივ მოვლენად გადააქცევდა. ასეთ დასაყრდენს სიტყვა წარმოადგენს. აბსტრაქტიზებული, დამოკიდებული, იზოლირებული მომენტები სიტყვაში ერთიანდებიან, დამოუკიდებელ მთლიანობად იქცევიან და ობიექტური სამყაროს ჩვეულებრივ მოვლენებად ხდებიან. ნამდვილი ცნების შესახებ მხოლოდ ამიერიდან შეიძლება ვილაპარაკოთ.

მაგრამ სახელდების მნიშვნელობა სწორად არ იქნებოდა გაგებულნი, თუ ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებას მივაქცევდით, რომ სიტყვაში აბსტრაქტიზებულ ნიშანთა გაერთიანება ხდება. გადამწყ-

ვეტი მნიშვნელობა უფროა. ზეორე მომენტს აქვს, სახელდობრ, იმას, რომ სიტყვა ჩვენი აზროვნების პროდუქტის, ცნების შინაარსის, ობიექტივაციის შესაძლებლობას იძლევა: ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზრი და სიტყვა ერთს მთლიანობად ირწყმება; სიტყვა და მისი შინაარსი, მისი მნიშვნელობა, ე. ი. მასში გაერთიანებული აბსტრაქტიზებული ნიშნები, ცალცალკე როდი განიცდება. არამედ როგორც ერთი განუყრელი მთლიანი. ამიტომაც საკმარისია, რაიმე სიტყვა გავიგონოთ, მაგალ., წრე, რომ ჩვენს ცნობიერებაში იმწამსვე ბგერების კომპლექსის კი არა, თვითონ წრის წარმოდგენა გაჩნდეს. სიტყვა და მისი მნიშვნელობა ისე მტკიცედ არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, ისე განუყრელად არიან ურთიერთში შერწყმულნი, რომ ბავშვი, მაგალ., თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საგანსა და მის სახელს შორის ვერაერთარ განსხვავებას ვერ ხედავს: წრე. მაგალ., მისთვის სიტყვა კი არ არის, თვითონ ფიგურაა.

ამრიგად, ცნება სიტყვისა და მასში გაერთიანებული შინაარსის შერწყმითს მთლიანობას წარმოადგენს.

ამის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ სიტყვის მნიშვნელობა — მასში და მასთან გაერთიანებული შინაარსი — ისევე ერთნაირი ხდება ყველასათვის, როგორც თვითონ სიტყვაა ყველასათვის ერთნაირი: სიტყვა და მისი მნიშვნელობა, მაშასადამე, ცნება, ყველას მიერ ერთნაირად იაზრება. ამიტომ ის თვალსაჩინო გრძნობადი შინაარსი, ის წარმოდგენები, სიმბოლური სქემები და ილუსტრაციები, რომელნიც ყოველთვის დასტურდება ცნებითი აზროვნების პროცესში, მაგრამ ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად ინდივიდუალური ხასიათის მატარებელნი არიან, არასდროს თვითონ ცნების შინაარსში საბოლოოდ არ ჩიებიან. ნამდვილი ცნების შინაარსი ყოველთვის იწმინდება ამ გრძნობადი შენარევიდან და მარტო გარკვეულ აზრად ყალიბდება. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სიტყვა ადამიანთა ურთიერთობის ეგოდენ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს.

იბადება საკითხი: როგორ ხდება სახელდება? როგორ ხერხდება სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შერწყმა?

ჭერ-ერთი, ძველი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, სიტყვა ასოციაციურადაა თავის მნიშვნელობასთან დაკავშირებული, დღეს, საზოგადოდ, დაძლეულად უნდა ჩაითვალოს. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ბგერითი კომპლექსებისა და გარკვეული

ობიექტების ასოციაციურ დაკავშირებას არასდროს არ შესწევს ძალა ბგერების კომპლექსი ობიექტების სახელად აქციოს: ამ ნიადაგზე, საუკეთესო შემთხვევაში. შესაძლოა, ბგერამ სიგნალის მნიშვნელობა მოიპოვოს. სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შერწყმის, ცნების, საბოლოო ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სოციალური კონტაქტის საჭიროება, ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება წარმოადგენს. ბგერების კომპლექსი ამ ურთიერთობის პროცესში იქცევა ნამდვილსიტყვად, ამ ურთიერთობის პროცესში იძენს მნიშვნელობას. როგორ ხდება ეს, განსაკუთრებით ეს ნათლად ჩანს ცნების შექმნა-შეცვლის მეორე უფრო ჩვეულებრივი გზის განხილვიდან

4. ცნების გაგება. ცნების შემუშავება ყოველთვის ასე როდი ხდება. ეს გზა მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როდესაც ჩვენს წინაშე ახალი ცნებები შექმნის ამოცანა დგას. მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევა, რომ ცნება უკვე შემუშავებულია, და არსებობს სიტყვები რომელნიც ამ ცნების აღსანიშნავად არიან შემოღებული; მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ ამ ცნებას და არ გვესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. სხვანაირად: ისინი მხოლოდ ბგერების კომპლექსს წარმოადგენენ ჩვენთვის და არა ნამდვილ ცნებებს. იბადება საკითხი: როგორ ხდება ამ ცნებების დაუფლება? როგორ იძენენ ბგერების კომპლექსები მნიშვნელობას? როგორ იქცევიან ისინი ჩვენთვის ნამდვილ ცნებებად?

ამ საკითხის შესახებ არსებული ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით მდგომარეობა დაახლოებით შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ:

გარკვეული სიტყვა, როგორც ცნება, გარკვეულ პირობებში. გარკვეული ობიექტების მიმართ იხმარება. როდესაც ჩვენ სწორედ ამ პირობების ნიადაგზე ვიმყოფებით ურთიერთობაში ვინმესთან, ჩვენთვის აუცილებელი ხდება როგორც სწორი გაგება ამ სიტყვისა. ისე მისი სწორი გამოყენებაც: უამისოდ ჩვენი კონტაქტი დაირღვეოდა. ეს გარემოება გვაიძულებს, აღნიშნული სიტყვის ხმარების ყველა კერძო შემთხვევაში, დავუკვირდეთ, თუ რის მიმართ იხმარება იგი, და, მაშ, როგორი უნდა იყოს მისი მნიშვნელობა. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს, პირველ რიგში ამ სიტყვის ზოგადს, ჯერ კიდევ გაუნაწევრებელ მნიშვნელობას ვწვდეთ.

რასაკვირველია, სიტყვის სრული მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ გვესმის, ცნება ჯერ კიდევ არა გვაქვს. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ზო-

გადი მნიშვნელობის ცოდნა შესაძლებლობას იძლევა თვითონ ვიხმაროთ ეს სიტყვა და, ვნახოთ, რამდენად და როდის იქნება იგი სხვებისათვის გასაგები. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება — ამ სიტყვის ხმარების სხვადასხვა შემთხვევაში — სხვების რეაქცია, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით სულ უფროდაუფრო ზუსტი დაკვირვება ვაწარმოოთ და, ბოლოსადაბოლოს, სწორედ იმას მივაკვლიოთ, რაც ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობაში იგულისხმება.

ეს მომენტი ცნების წვდომის კ რ ი ტ ი კ უ ლ მომენტს წარმოადგენს. აქამდე სიტყვა და მისი შესაძლო მნიშვნელობა მხოლოდ გარეგნულად უკავშირდებოდნენ ურთიერთს. ამიტომ ყოველთვის ასეთ განცდას ჰქონდა ადგილი: შესაძლოა, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ეს კი არა, სხვა რაიმე იყოს-თქო. ახლა ერთბაშად სრულიად თავისებური განცდა ჩნდება: თითქოს რაღაც აღმოჩენას წავაწყდით: ერთბაშად ნათელი ხდება, რომ სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ესაა და შეუძლებელია სხვა იყოს. თავს იჩენს ტიპური აჰა-გ ა ნ ც და, რომელშიც სიტყვა და მნიშვნელობა ერთბაშად ურთიერთს ერწყმის და ერთს განუყრელ მთლიანად იქცევა. ახლა მათ შორის შემთხვევითი და გარეგანი კი არა, არსებითი და შინაგანი კავშირი განიცდება. მხოლოდ ახლა შეიძლება ითქვას, რომ ცნება გავიგე და შეძლებისდაგვარად მისი შინაარსის შესახებ ანგარიშის მოცემაც შემიძლია.

მაგრამ რა შევიძინე ვე ამით? რას გვაძლევს ცნება?

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში როდი იმყოფებიან ურთიერთთან: ისინი მკიდროდ და კანონზომიერად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და, თავის ერთობლიობაში გარკვეულ სისტემას ქმნიან. ისინი ობიექტური სინამდვილის მოვლენათა დიალექტიკური მთლიანობის ასახვას წარმოადგენენ, და, გასაგებია, რომ იზოლირებული, სხვა ცნებასთან დაუკავშირებელი ცნება არ არსებობს. ვთქვათ, ახლა ჩვენს წინაშე რაიმე საგანია, რაიმე მოვლენა, მაგალ., და ხ შ უ ლ ი ხ ა ზ ი. თუ აღმოჩნდა, რომ მას სწორედ ის ნიშნები აქვს, რომელიც წრის ცნების შინაარსს შეადგენს, ჩვენ უყოყმანოთ მას წრედ გამოვაცხადებთ. მაშასადამე, ამ დახშულ ზაზს ჩვენი ცნებების სისტემაში გარკვეულ ადგილს მივაკუთვნებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფიგურის დამოკიდებულება სინამდვილის მრავალი სხვა მოვლენის მიმართ თავისთავად გარკვეული ხდება. მას ის ადგილი განსაზღვრავს, რომელიც ჩვენი ცნებების სისტემაში წრის ცნებას უკავია: ჩვენ უკვე ვიცით, რას უდრის მისი მოედანი ( $\Omega^2$ ), მოკლედ ჩვენ ამ ფიგურ



რის მთელი გეომეტრია ვიცით. და თუ, ვინიცობაა, ჩვენ ტრიგონომეტრიული ცნებებიც მოგვეპოვება, მაშინ კიდევ უფრო ნათელი ხდება ამ ფიგურის ადგილი სინამდვილეში, კიდევ უფრო მეტი გვეცოდინება მის შესახებ.

ამრიგად, ცნება უდიდეს როლს ასრულებს სინამდვილის შემეცნების პროცესში: იგი გვითვალისწინებს თითოეული კერძო მოვლენის ადგილს, რომელიც მას სინამდვილის სისტემაში უკავია, იგი ნათელჰყოფს იმ კავშირებს, რომელიც მას სოფლიოს სხვა მოვლენებთან აქვს.

## ბ. მსჯელობა

1. მსჯელობის რაობა. აზროვნების კონკრეტულ შემთხვევებში ცნება ცალკე არასდროს არ გვხვდება. მისი შინაარსი ყოველთვის მსჯელობათა სისტემაში იშლება, და ამიტომ იგი მსჯელობის აქტთან არის ხოლმე დაკავშირებული: „ცნების ბუნებრივი ადგილი მსჯელობაა“-ო, ამბობს სამართლიანად ბ ი უ ლ ე რ ი.

მაგრამ რა არის მსჯელობა? საორიენტაციოდ ასე შეიძლება გვეთქვა: თუ ყოველი სიტყვა ცნებად შეიძლება ვიგულისხმოთ, იგივე ითქმის მსჯელობისა და წინადადების შესახებაც: მსჯელობა ისაა, რაც სიტყვიერად წინადადების სახით გვეძლევა. მაგ., წინადადება—სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორს ორს უდრის—მსჯელობას წარმოადგენს.

რომ ჩავუკვირდეთ ამ წინადადებას, დავრწმუნდებით, რომ აქ რაღაც ობიექტების შესახებ ჩვენ რასღაც ვამტკიცებთ, სახელდობრ, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამსა და ორ ორს შორის გარკვეული მიმართება, სახელდობრ, ტოლობის მიმართება არსებობს. ასეა ყველა სხვა შემთხვევაშიც: მსჯელობა ყოველთვის მიმართებას ეხება; მასში ყოველთვის ორი წევრია ნაგულისხმევი, ორი ცნება (სუბიექტი—ქვემდებარე და პრედიკატი—შემასმენელი), რომელთა შორისაც გარკვეული მიმართების არსებობა მტკიცდება. მსჯელობა ორ შინაარს შორის არსებულ მიმართების შემეცნებას წარმოადგენს: სინამდვილეში არსებული კავშირების ანუ მიმართებების შემეცნებას ჩვენ ყოველთვის მხოლოდ მსჯელობის საშუალებით ვახერხებთ. ამის შემდეგ გასაგებია, რომ ყოველი აზროვნების ბუნებრივ გამოვლინებად მსჯელობა ითვლება.

2. მიმართების აღქმა და მსჯელობა. მაგრამ მიმართება ხომ ზოგჯერ უშუალოდაც გვეძლევა: ჩვენ ვიცით, რომ მიმართების აღქმაც

შეიძლება. მაშ, რაღა განსხვავება არსებობს მიმართების აღქმასა და მსჯელობას შორის? პასუხი ამ საკითხზე ძნელი არ იქნება, თუ მოვივინებთ, რომ აღქმასა და აზროვნებას შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. აზროვნება მეორადი პროცესია: იგი აღქმას გულისხმობს, ამ უკანასკნელში მოცემული შინაარსის ხელახალ ასახვას, ცნობიერსა და აქტიურ ასახვას წარმოადგენს. როდესაც, მაგალ., ორ ხაზს, როგორც თანასწორს, აღვიქვამთ, ეს კიდეც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ თანასწორობას ვადასტურებდეთ, ვამტყიცებდეთ. ამისათვის საჭიროა, აღქმული თანასწორობა ხელახლა დაკვირვების საგნად ვაქციოთ. ეს ორი ხაზი საგანგებოდ შევადაროთ ურთიერთს, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ შორის მართლა თანასწორობის მიმართება არსებობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება უფლება მსჯელობის შესახებ ვილაპარაკოთ: აქტიური შედარების შედეგად ჩვენ ვარწმუნებთ, რომ მათ შორის დადასტურებული თანასწორობის მიმართება მართლა არსებობს.

მსჯელობისათვის სწორედ ეს გარემოებაა დამახასიათებელი, ეს დარწმუნებულობა გარკვეული მიმართების ფაქტიურობაში, მაშინ როდესაც აღქმის განცდაში საგანგებოდ არასდროს არ იმეება საკითხი, სწორია იგი თუ არა: აღქმა თავისთავად, არსებითად, არასდროს წინასწარი დასმული საკითხის პასუხს არ წარმოადგენს. აზროვნებისათვის კი, როგორც ვიცით, სწორედ ესაა დამახასიათებელი; და გასაგებია, რომ ნამდვილი მსჯელობა, როგორც საკითხის პასუხი, ყოველთვის შეიცავს დარწმუნებულობის განცდას. რომ იგი სწორია, რომ მასში აღნიშნული მიმართება მართლა არსებობს.

ლოდიკურად მსჯელობის ობიექტური ქვეშარიტება და დარწმუნებულობა ურთიერთს ემთხვევა: ლოდიკის თვალსაზრისით, დარწმუნებული მხოლოდ იმაში შეიძლება ვიყვეთ, რაც ობიექტურადაც ქვეშარიტია. ამიტომ ლოდიკას მხოლოდ იმდენად აინტერესებს მსჯელობა, რამდენადაც იგი შექმარიტების შემეცნების ფორმას წარმოადგენს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დარწმუნებულია სუბიექტი მსჯელობის სიმართლეში თუ არა: ლოდიკას მსჯელობის ობიექტური ქვეშარიტება აინტერესებს; ხოლო როგორ განიცდის მას ესა თუ ის სუბიექტი, ეს მისთვის აბსოლუტურად სულერთია.

სამაგიეროდ ფსიქოლოგიას სწორედ ეს უკანასკნელი აინტერესებს: მისთვის მთავარი მსჯელობის განცდაა და არა მისი შინაარსის

მართებულობა. მსჯელობის განცდაში კი, როგორც ვნახეთ, მთავარი ისაა, რომ სუბიექტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ დადასტურებული მიმართება მართლა არსებობს, რომ მისი მსჯელობა კეშმარიატია.

მოკლედ, ლოდიკას მსჯელობის ობიექტური კეშმარიტება აინტერესებს; ფსიქოლოგიას --- მისი სუბიექტური განცდა. ამიტომ მსჯელობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა დარწმუნებულობის პრობლემაა.

3. დარწმუნებულობის პრობლემა. დარწმუნებულობა, განსაზღვრული აზრით, არა მარტო მსჯელობასთანაა დაკავშირებული. იგი სხვა განცდათა შემთხვევებშიც ხშირად გვხვდება. შეიძლება ითქვას, იგი ჩვენი ფსიქიკის მუშაობის ერთი განსაკუთრებით ძირითადი ფაქტორთაგანია.

რასაკვირველია, აღქმაში საგანგებოდ, ცნობიერად ისე, როგორც ამას მსჯელობის შემთხვევაში აქვს ადგილი. დარწმუნებულობის განცდა, ჩვეულებრივ, არ გვეძლევა. აღქმაში რომ აქტუალურ სინამდვილეს განვიცდით, ეს თითქოს თავისთავად იგულისხმება: აქ სრულიად არ დგას საკითხი, მართლაც ეს ასე თუ არა. მაგრამ ფარულად რომ რაღაც სახით დარწმუნებულობა აღქმაშიც მონაწილეობს, ეს მყის ცხადი ხდება, რა წამს იგი რაიმე მიზეზის გამო დაზიანდება. არის შემთხვევები, რომ სუბიექტს ერთბაშად ყველაფერი ეუცხოება, არაფერი რეალურად არ ეჩვენება, მასსა და რეალურ სინამდვილეს შორის ჩვეულებრივი კონტაქტი ირღვევა: ჩნდება მდგომარეობა, რომელიც „სინამდვილის განთვისებობა“ სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი აღქმა აღარ არის: სუბიექტისთვის სინამდვილის განცდა უცხო ხდება, მას ყველაფერი არარეალურად ეჩვენება. მაშასადამე, ნამდვილს აღქმაში იმთავითვე ჩართული ყოფილა დარწმუნებულობის განცდა, და მის გარეშე სინამდვილის განცდა შეუძლებელია.

მაგრამ დარწმუნებულობა არა მარტო აღქმის კონსტიტუტივ ფაქტორს წარმოადგენს: მის გარეშე არც რაიმე წარმოდგენა შეიძლება არსებობდეს. კერძოდ, უიმისოდ მოგონების ან ცნობის აქტაც შეუძლებელი იქნებოდა. როდესაც რასმე ვიგონებთ. ყოველთვის დარწმუნებული ვართ, რომ ეს სწორედ ისაა, რაც უნდა მოგვეგონებია უამისოდ მოგონების განცდა, როგორც მოგონების, ე. ი. წარსულის რეპროდუქციის, სრულიად წარმოდგენელი იქნებოდა.

მაგრამ მსჯელობის აქტებთანა და აღქმისა და მეხსიერების აქ-

ტებთან დაკავშირებული დარწმუნებულობის განცდა სულ ერთნაირად როდი გვეძლევა. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივი ალქმისა თუ ჩვეულებრივი მოგონების პროცესში დარწმუნებულობის განცდა წინა რიგში არაა წამოწეული: იგი თითქოს შეუმჩნეველი რჩება, როგორც ისეთი რამ, რაც, ასე ვთქვათ, თავისთავადაც იგულისხმება: აქ იგი თითქოს ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ საკმარისია რაიმე დაბრკოლება გაჩნდეს, ალქმის თუ მოგონების პროცესი გაძნელდეს, რომ დარწმუნებულობის განცდა იმწამსვე ცნობიერების წინა პლანზე გამოვიდეს.

მაგალ., მეხსიერების ცდებში ხშირად ყოფილა შენიშნული, რომ როდესაც ცდისპირი მტკიცედ დასწავლილი უაზრო მარცვლების რიგს მექანიკურად და სრულიად დაუბრკოლებლად იმეორებს, იგი არავითარ დარწმუნებულობას არ განიცდის იმაში, რომ იგი არ ცდება. მაგრამ საკმარისია რაიმე დაბრკოლება გაჩნდეს, მას ეჭვი დაებადოს, ან სათანადო კითხვა გაუჩნდეს, რომ მან უკვე მკაფიო დარწმუნებულობის განცდა იგრძნოს. „დარწმუნებულობის განცდები ყველა შესაძლო ხარისხით განსაკუთრებით მკვეთრად მაშინ იჩენენ ხოლმე თავს, როდესაც მათ ეჭვი, შემოწმება ან კითხვა უსწრებს წინ“-ო, ამბობს ბ ი უ ლ ე რ ი.

მსჯელობის შემთხვევაში კი ყოველთვის საკითხთან გვაქვს საქმე, ამოცანასთან, რომელსაც სწორედ მსჯელობის აქტმა უნდა გასცეს პასუხი: მსჯელობა ხომ აზროვნების ძირითადი ფორმაა, და აზროვნება ყოველთვის „გაკვირვებით“, ყოველთვის საკითხის დაყენებით იწყება. აქედან ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო გამოკვეთილად დარწმუნებულობის განცდა მსჯელობის შემთხვევაში გვეძლევა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დარწმუნებულობა ორნაირად განიცდება: ა) თითქოს შეუმჩნეველად, ლატენტურად და ბ) თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად. პირველს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ფსიქიკური პროცესები — ალქმა იქნება, მოგონება თუ სხვა რამ — დაუბრკოლებლივ მიმდინარეობენ; მეორეს მაშინ, როდესაც დაბრკოლება ჩნდება, შეფერხება, კითხვა ან ეჭვი.

მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ უკვე აზროვნების პროცესთან გვაქვს საქმე: დაბრკოლება, საკითხი, ეჭვი აზროვნების სტიმულს წარმოადგენს.

როდესაც ცდისპირს საკითხი უჩნდება — მართლა აქტუალურად არსებობს ის, რასაც ახლა აღიქვამს, ან მართლა სწორად აგონდება ის, რაც უნდა მოეგონებია თუ არა — ის უკვე აზროვნებას იწყებს,

ის უკვე მსჯელობს: სწორია თუ არა მისი მოგონება? მართლა არსებობს ის, რასაც ხედავს თუ არა? მაშასადამე, გამოვლენილი დარწმუნებულობის განცდა მხოლოდ აზროვნების, მხოლოდ მსჯელობის აქტებთან არის დაკავშირებული; მაგრამ რამდენადაც იგი, ფარული სახით, აღქმასა და წარმოდგენის აუცილებელ ელემენტს შეადგენს, ირკვევა, რომ მსჯელობას არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ აქვს ფესვები თვალსაჩინო განცდაში გადგმული, არამედ იმ სპეციფიკური განცდის მხრივაც, რომელიც გამოვლენილი დარწმუნებულობის სახით სწორედ მისთვისაა სპეციფიკური.

რას ემყარება დარწმუნებულობა? სად უნდა ვეძიოთ მისი წყარო? იუმიის აზრით, დარწმუნებულობის განცდა რაიმე სპეციფიკურ განცდას როდი წარმოადგენს: ისე, როგორც ყველაფერი ჩვენს ფსიქიკაში, ისიც წარმოდგენაა, გარკვეული თვისებებით აღბეჭდილი: როდესაც მოგონების პროცესში განსაკუთრებით ცხოველი და სრული წარმოდგენა გვიჩნდება, ესაა, რასაც მოგონების სისწორეში დარწმუნებულობის სახით განვიცდითო, გვეუბნება იუმი. იუმიური წარმოდგენათა ანალოგიურ თვისებებს, მათს „მკაფიობასა და სისრულეს“, „მათი რეპროდუქციის სისწრაფეს, სიმტკიცესა და უკლებლიობას“, და მათ „ცნობის სიადვილეს“ თვითონ დარწმუნებულობის განცდად როდი თვლის, იუმიის მსგავსად, არამედ მის „კრიტერიუმებად“. ეს იმას ნიშნავს, რომ დარწმუნებულობა, მისი აზრით, კერძოდ, მოგონების სისწორეში, ამ კრიტერიუმებს ეყრდნობა. სახელდობრ: როდესაც მკაფიო და სრული წარმოდგენები ჩნდება, როდესაც მათი რეპროდუქცია დაეინებითა და სისწრაფით ხდება, მაშინ სუბიექტს რწმენა უჩნდება, რომ მისი მოგონება სწორია:

ორივე ამ შეხედულების შეცდომა ისაა, რომ იმას, რაც შესაძლოა ნამდვილად მეორად პროცესს წარმოადგენდეს, ისინი პირველად აღცხადებენ: წარმოდგენების ესა თუ ის თვისებები, მათი სისრულე და სიცოცხლე, შესაძლოა, წინ როდი უსწრებდეს დარწმუნებულობის განცდას, არამედ, პირიქით, პირველად ამ განცდის ნიადაგზე ყალიბდებოდეს.

არსებობს ექსპერიმენტული საბუთი, რომელიც სწორედ ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს: ეთქვათ, ცდისპირს რაიმე უცნობ საგანს ვაძლევეთ ხელთშეხებით გამოსაცნობად. როდესაც მას აზრად მოდის, საგანი გამოვიცანიო, როდესაც რწმენა უჩნდება, ეს საგანი ესა და ეს უნდა იყოსო, მაშინ ზოგიერთი ნიშანი ძალიან მკაფიოდ და სრულად ეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები

ობიექტურად, შესაძლოა, სულ სხვანაირი იყოს. ესეც რომ არ იყოს, წარმოდგენის სიცხველესა და სისრულეს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ აქცევს ცდისპირი ყურადღებას, როდესაც მას ახსნას მოსთხოვენ, თუ რატომაა იგი თავისი მეხსიერების მუშაობის სისწორეში დარწმუნებული: როდესაც ის ხედავს, რომ ის მოგონება, რომლის სისწორეშიც დარწმუნებულია, უფრო მკაფიოა და უფრო ცხველი. ვიდრე ის, რომელიც საექვოდ მიაჩნია, იგი ფიქრობს, რომ სწორედ ეს თვისებები უნდა შეადგენდნენ მისი დარწმუნებულობის საფუძველს. ამრიგად, მისი თვითდაკვირვების მონაცემები ამ შემთხვევაში უფრო მის „თეორიას“ წარმოადგენენ, ვიდრე თვითონ ფაქტიურ მასალას.

საგულისხმოა, რომ ყველა ცდა, რომელიც დარწმუნებულობის საკითხს ეხება, ზემოდ ჩვენ მიერ დახასიათებულს უშუალოდ მის თეორიას ეყრდნობა. მართლაც, სუბიექტს დარწმუნებულობის განცდა აქვს. რა უღვეს მას საფუძვლად? ან რა განსაზღვრავს ამ განცდას? პასუხი ასეთია: სუბიექტის სხვა განცდები, სახელობრ, მისი წარმოდგენები და მათი მიმდინარეობის გარკვეული თავისებურებები: ერთ განცდას მეორე ვანცდა განსაზღვრავს.

უშუალობის თეორიის აქ გამოყენების ფაქტს განსაკუთრებით ის სპეციფიკური სიძნელე ხდის გასაგებად, რომელიც დარწმუნებულობის პრობლემას ახლავს თან. მართლაც, რაშია ამ პრობლემის მთავარი სიძნელე? სუბიექტს გარკვეული მსჯელობა აქვს — მაშასადამე, გარკვეული ფსიქიკური ფაქტი, რომელშიც რწმენაა ჩაქსოვილი, რომ მისი შინაარსი ობიექტური ვითარების სწორასახვას წარმოადგენს. და აი, სიძნელეც სწორედ ამაშია: რა უფლებით ვართ ჩვენ ობიექტური ვითარების სუბიექტური ასახვის სისწორეში დარწმუნებულნი, როდესაც თუკი ვიცით ობიექტური ვითარების შესახებ, ისევე მხოლოდ ამ სუბიექტური ასახვის წყალობით ვიცით — მაშასადამე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას ობიექტური ვითარება და მისი ასახვა ურთიერთს შევადაროთ და, ვნახოთ, მართლა არის მათ შორის ის შესატყვისობა, რომელიც მსჯელობაში მტკიცდება თუ არა. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ჩვენს დარწმუნებულობას მსჯელობის სისწორეში მართლა ექნებოდა საფუძველი. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვიჩნდება რწმენა, რომ ჩვენი მსჯელობა ობიექტური ვითარების სწორ ასახვას წარმოადგენს. რა საბუთი აქვს ამ რწმენას, როდესაც, ვიმეორებთ, ობიექტური ვითარების

შესახებ იმის მეტი, რაც თვითონ მსჯელობაშია მოცემული, სრულად არაფერი ვიცით?

ჩვენ ვხედავთ, აქ ჩვენი ფსიქიკისა და ობიექტური ვითარების სრული დამოუკიდებლობა, მათი ურთიერთისაგან სრული მოწყვეტილობა იგულისხმება: მსჯელობა სუბიექტში ზღვება, ობიექტური ვითარება მის გარეთაა; მაშინ საიდან შეიძლება დარწმუნებულ იყოს სუბიექტი, რომ მისი მსჯელობა სწორად ასახავს იმას, რის შესახებაც მან არაფერი იცის? ერთადერთი გამოსავალი აქ შეიძლება მხოლოდ შემდეგი იყოს: ეს დარწმუნებულობა წმინდა ფსიქიკური წარმოშობის უნდა იყოს. მისი საფუძვლები ისევ ფსიქიკური უნდა ვეძიოთ, იმიტომ რომ თვითონ ობიექტურში ძებნა ჩვენთვის მიუწვდომელია და ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ფსიქიკური რჩება.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უშუალოდ თეორიის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ მისთვის სუბიექტი ფსიქიკასთანაა გაიგივებული. მაშასადამე, აზროვნების პროცესი მას ასე აქვს წარმოდგენილი: სუბიექტი, ე. ი. ფსიქიკა ობიექტურ ვითარებას უპირისპირდება, და ამის ნიადაგზე მასში, ფსიქიკაში, ერთგვარი პროცესი ჩნდება, რომელიც ამ ობიექტური ვითარების ასახვად მიგვაჩნია. მაშასადამე ვართ ამ შემთხვევაში თუ არა, ეს კაცმა არ იცის; ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ნიშნებით ვხელმძღვანელობთ, რომელსაც ფსიქიკაში აქვს ადგილი, და ჩვენს რწმენას ამაზე ვაგებთ.

მაშასადამე, გამოდის, რომ იმის საზომად ან მოწმედ, რომ განსაზღვრული სუბიექტური შინაარსი მართლა განსაზღვრულს ობიექტურ ვითარებას შეეფერება, მეორე სუბიექტური შინაარსია გამოყენებული, რომელსაც იმდენივე აქვს საერთო ობიექტურთან, რამდენიც პირველს.

ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილად სუბიექტისა და ობიექტური ვითარების ურთიერთობის პროცესი სხვაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც ობიექტური ვითარება სუბიექტზე მოქმედებს, იგი, უწინარეს ყოვლისა, ამ უკანასკნელში, როგორც მთელში, იწვევს სათანადო ეფექტს — განწყობას, და არა ცალკეულს ფსიქიკურ აქტებსა და მოვლენებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ეფექტი ობიექტური ვითარების შესატყვის ასახვას წარმოადგენს: იგი, ასე ვთქვათ, ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანაა, სუბიექტის ობიექტური ვითარების შესატყვისად მომართვა, განწყობა. ამიტომ, გასაგებია, რომ სუბიექტის ფსიქიკის მუშაობა ამ ურთიერთობის პროცესში — შემეცნებითს პროცესში — შეიძლება მხოლოდ ამ განწყობაზე იქნეს დამოკიდებული, როგორც ასე

განწყობილი სუბიექტის ფსიქიკის მუშაობა. ვთქვათ, რომ სუბიექტმა სწორედ ისე შესძლო თავისი ფსიქიკის წარმართვა, რომ მას სწორედ ამ თავისი განწყობის შესატყვისი აზრები უჩნდებოდა. თუ მოვიფიქრობთ, რომ განწყობა ობიექტური ვითარების ასახვას, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადასაცემებულ სუბიექტურ ვითარებას წარმოადგენს, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტს თავისი აზრების ობიექტური ვითარებისადმი შესატყვისობის განცდა უნდა გაუჩნდეს, სწორედ ის განცდა, რომელიც დარწმუნებულობის სახით ჩვენი მსჯელობის აქტებს ახლავს ხოლმე თან.

ახლა ჩვენთვის ცხადია, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ჩვენს მსჯელობებს მათი ობიექტური ვითარებისადმი შესატყვისობის განცდა უდევს საფუძვლად — მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურ ვითარებას პირველად მხოლოდ ამ მსჯელობებში ვწვდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შესაძლებლობას ის გარემოება ქმნის, რომ ობიექტთან ურთიერთობის პროცესში სუბიექტში, როგორც მთელში. ამ ობიექტის შესატყვისი ცვლილება — გარკვეული განწყობა — ჩნდება; და როდესაც ფსიქიკა ამ ცვლილებების შესატყვისად იწყებს მოქმედებას, სუბიექტი ამას ობიექტური ვითარებისადმი შესატყვისობის სახით განიცდის. ასე ჩნდება დარწმუნებულობა. რომ ჩვენი მსჯელობა სწორია.

თუ რომ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ გასაგები გახდება ისიც, რომ ანეთსავე დარწმუნებულობას მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინო სახით ყველგან აქვს ადგილი, სადაც კი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობასთან გვაქვს საქმე — მაშასადამე, აღქმისა და წარმოდგენის შემთხვევებშიც.

დასასარულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დებულება დარწმუნებულობის განცდის გენეზისის შესახებ ექსპერიმენტულადაც შეიძლება დასაბუთდეს. ცლისპირს რომ ჰიპნოტურ ძილში განწყობა შეუქმნა, იგი გაღვიძების შემდეგაც ამ განწყობის მიხედვით განაგრძობს მოქმედებას. მაშასადამე, პირდაპირი საბუთი არსებობს, ჰიპნოტური შთაგონების საფუძვლად განწყობა აღვიაროთ. მაგრამ ცნობილია, თუ რაოდენ მტკიცე დარწმუნებულობა ახლავს ჰიპნოტურ ძილში შთაგონებულ მსჯელობებს.

მაშასადამე, დარწმუნებულობის განცდა აქ უეჭველად სათანადო განწყობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ჩვენს ხელთ უღაო საბუთია, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დარწმუნებულობის განცდა სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაციის — განწყობის — ნიადაგზე აღმოცენდება.



ნამდვილი შემეცნების შესახებ არსებითად მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც მსჯელობას სინამდვილესთან პირადი კონტაქტის ნიადაგზე აღმოცენებული დარწმუნებულობის განცდა ახლავს თან, სადაც ამ განცდას საფუძვლად ობიექტური ვითარების ამსახველი განწყობა უდევს. მაგრამ განწყობა შეიძლება შთაგონებულიც იყოს. შეიძლება ესა თუ ის დებულება ქეშმარიტებად მომეჩვენოს, იმიტომ რომ იგი ავტორიტეტს ეკუთვნის, ან იმიტომ, რომ იგი რაიმე მოსაზრებით ხელსაყრელია ჩემთვის, იმიტომ რომ მისი შინაარსი ჩემს იდეურმა ზრახვებსა და სურვილებს ეთანხმება: შეიძლება ამ მიზეზების გამო მისი შესატყვისი განწყობა და, მაშასადამე, სათანადო დარწმუნებულობა გამოჩნდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნამდვილი შემეცნების შესახებ ლაპარაკი, რასაკვირველია, დაუსაბუთებელი იქნებოდა.

## ბ. დ ა ს კ ვ ნ ა

1. დასკვნა. ცნებითი აზროვნების მესამე ფორმად, ჩვეულებრივ, დასკვნას თვლიან. მაგრამ დასკვნა არსებითად იგივე მსჯელობაა, იმიტომ რომ საკითხი აქაც სუბიექტსა და პრედიკატს შორის არსებული მიმართების დადასტურებას ეხება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვეულებრივი მსჯელობის შემთხვევაში ჩვენ თვითონ სინამდვილესთან გვაქვს საქმე და ამათუიბ აზრს მის შესახებ მხოლოდ მისი უშუალო შესწავლის შედეგად ვღებულობთ; ხოლო დასკვნის შემთხვევაში თვითონ სინამდვილეს როდი ვეყრდნობით უშუალოდ, არამედ იმ მსჯელობებს (ე. წ. წ ი ნ ა მ ძ ღ რ ე ბ ს), რომელნიც სინამდვილის სხვა მომენტების შესახებ გვაქვს დაგროვილი, და ჩვენ მსჯელობა (ე. წ. დ ა ნ ა ს კ ვ ი) აქედან გამოგვეყავს: უკვე ცნობილი მსჯელობიდან ახალ მსჯელობას ვღებულობთ. მაგალითად: საკმარისია იცოდე, რომ ადამიანი მოკვდავია, რათა იმწამსვე დაასკვნა, რომ სოკრატიც მოკვდება. სრულიად არაა საჭირო, საგანგებოდ თვითონ სოკრატს დააკვირდე, რათა მისი და მოკვდაობის ურთიერთმიმართება გამოარკვიო: ეს მიმართება სოკრატის უნახავდაც შეგიძლია აღმოაჩინო, თუ იცი, რომ ადამიანი მოკვდავია, ხოლო სოკრატი ადამიანია.

ლოგიკაში დიდი ხანია ცნობილია, რომ დასკვნა სამგვარი შეიძლება იყოს: 1) დ ე ღ უ ქ ც ი ა, ე. ი. ზოგადი დებულებიდან (ყოველი ადამიანი მოკვდავია) კერძო დებულების (სოკრატი მოკვდება) გამოყვანა; 2) ი ნ ღ უ ქ ც ი ა — კერძო დებულებიდან ზოგადის გამოყვანა, კერძო შემთხვევის განზოგადება (მაგალ., სითბოსგან სხვადასხვა სხეული ფართოვდება. მაშასადამე, სითბოსგან ყოველ

სხეული ფართოვდება) და დასასრულ, 3) ანალოგია — ერთი კერძო შემთხვევიდან მეორე მსგავსი კერძო შემთხვევის შესახებ მსჯელობის გამოყვანა (მაგალ., დედამიწაზე ჰაერია და ადამიანები ცხოვრობენ. მარსზეც არის ჰაერი. მაშ, იქაც უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები).

დასკვნის შემეცნებით ღირებულება ძალიან დიდია: იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანს არა მარტო ის იცოდეს, რასაც თვითონ დაკვირვებია და რის შესახებაც სათანადო მსჯელობები გამოუთქვამს, არამედ ისიც, რაც უშუალო შესწავლის საგნად არასდროს არ გაუხდია: დასკვნის გარეშე ჩვენი ცოდნა ჩვენი უშუალო მსჯელობების რკალით იქნებოდა შეზღუდული. დასკვნის წყალობით იგი შორს სცილდება მის ფარგლებს. ცოდნის სისტემა მხოლოდ დასკვნის წყალობით ყალიბდება. მაგრამ არც დასკვნა იქნებოდა შესაძლებელი, თვითონ სინამდვილეც რომ მიმართებოდათა სისტემა არ ყოფილიყო.

2. დასკვნის პროცესი. დასკვნის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ რამოდენიმე ფუნდამენტალური ექსპერიმენტული გამოკვლევა არსებობს (განსაკუთრებით შტერინგის და ლინდვორსკის), რომელიც აზროვნების ამ ფორმის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად საგულისხმო მასალას იძლევა.

პირველ რიგში გამოირკვა, რომ დასკვნა ისე, როგორც ცნებითი აზროვნების სხვა ფორმებაც, მკიდროდ არის თვალსაჩინო განცდებთან დაკავშირებული: ეყრდნობა მათ — ყოველ შემთხვევაში, ფართოდ სარგებლობს ამ განცდებით. მაგალითად, როდესაც ცდისპირს, რაიმე ობიექტების ცნობილი სივრცითი, თუ დროითი ურთიერთმომართების ნიადაგზე, დასკვნა აქვს გამოსაყვანი (მაგალ., ასეთი: A მოთავსებულია B-ს მარცხნივ, ხოლო C—B-ს მარჯვნივ. რა სივრცითს ურთიერთობაში იმყოფება A C-ს მიმართ?), იგი, ჩვეულებრივ, ერთგვარს ზოგად წარმოდგენას ქმნის, რომელშიც სქემატურად არის A, B, C-ს სივრცეში განლაგება მოცემული. ამის შემდეგ საქმარისი ხდება ამ სქემას გადაავლოს თვალი, რომ ამოცანის პასუხი პირდაპირ იქედან ამოიკითხოს. საგულისხმოა, რომ ამ მეთოდის გამოყენება არა მარტო სივრცითი და დროითი მიმართებების შემთხვევებში ხერხდება, არამედ სხვა თვალსაჩინო და ზოგიერთი არათვალსაჩინო ნიშნის მიმართებათა შემთხვევაშიც. ადვილად შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ასეთ შემთხვევაში არც კი გვაქვს საქმე ნამდვილი აზროვნების აქტთან და რომ აქ დასკვნა კი

არა, ორ ობიექტს შორის არსებული მიმართების უბრალო აღქმა ხდება. მაგრამ ეს სწორი არ იქნებოდა: ჯერ-ერთი, თვითონ სათანადო სქემის შედგენა გულისხმობს აზროვნების უეჭველ მონაწილეობას, სახელდობრ, სწორი კომბინაციის აქტებს, რომლებმაც სქემაში მოცემული ელემენტების სწორი განაწილება უნდა მოგვეცინა. გარდა ამისა, არც ამოკითხვა წარმოადგენს მარტო აღქმას: იგი სიტყვებში ფორმულირებული მსჯელობების სახით გვეძლევა: A მოთავსებულია C-ს მარცხნივ.

საერთოდ, თვალსაჩინო სქემები და სიმბოლოები, რომელთა მონაწილეობაც დასკვნის პროცესში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა აღმოჩნდა, კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, ადასტურებენ აზროვნების მონაწილეობას ამ პროცესში: ისინი აზრის ილუსტრაციის ან წარმომადგენლობის როლს ასრულებენ და, მაშასადამე, ყოველთვის ამ აზრის მონაწილეობას გულისხმობენ. უმაზროდ სქემებსა და სიმბოლოებს გარკვეული მნიშვნელობა დაეკარგებოდათ, იმიტომ რომ მაშინ ისინი სხვა შინაარსების სიმბოლოებადაც გამოდგებოდნენ. მაგალ., სქემა A — B — C შეიძლება არა მარტო A — C-ს სივრცითი მიმართების სიმბოლოდ ჩაითვალოს, არამედ მათი თანამიმდევრობის, ანდა A და C-ს B-საგან ერთნაირ დაშორებულობის სიმბოლოდ.

გარდა თვალსაჩინო სქემებისა, დასკვნის აქტი განსაკუთრებით ხშირად რაიმე კანონის ან წესის გამოყენებას ეყრდნობა. მაგალ.,  $A = B$ ,  $B = C$ ; რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ვინც იცის წესი, რომ ორი სიდიდე ყოველთვის ტოლია ურთიერთის, თუ თითოეული მათგანი ცალცალკე ერთისადიმავე მესამე სიდიდის ტოლია, იგი პირდაპირ ამ წესის დახმარებით აღნიშნავს, რომ  $A = C$ . აღმოჩნდა, რომ ასეთი ზოგადი აზრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასკვნის კონკრეტულ შემთხვევებში.

მაგრამ როგორც თვალსაჩინო სქემებზე დაყრდნობილი დასკვნა, ისე ზოგადი დებულების მიხედვით წარმართულიც, მხოლოდ იმდენად წარმოადგენს ნამდვილ დასკვნას, რამდენადაც მასში ახალი მიმართების აზროვნებაა მოცემული. დასკვნის ექსპერიმენტული კვლევის ძირითად მონაპოვარს სწორედ ეს შეადგენს: დასკვნის ნამდვილ ბირთვის მიმართების განცდა წარმოადგენს — მოცემული წინამძღვრების გააზრების ნიადაგზე დანასკვის სუბიექტსა და პრედიკატს შორის არსებული მიმართების წვდომა.

ნამდვილი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ვვაქვს, როდესაც წინამძღვრებსა და დანასკვს შორის აუცილებლობითს კავშიარს ვხე-

დავთ, როდესაც აზროვნების ახალი აქტის საშუალებით ამ კავშირის არსებობას ვწვდებით. „იმისათვის, რომ დასკვნა გაჩნდეს, საჭიროა სუბიექტმა დასკვნის შინაარსი წინამძღვრებისას შეუფარდოს, და მის ცნობიერებაში მათ შორის არსებული ობიექტური კავშირი აისახოს. სანამ წინამძღვრებისა და დასკვნის შინაარსები ცნობიერებაში ურთიერთის გვერდითაა მოცემული... მანამდე დასკვნა არ არსებობს. დასკვნითი აზროვნების განვითარება იმას ნიშნავს, რომ ობიექტური სინამდვილის შინაარსი აღარ წარმოადგენს სუბიექტისათვის ცალკეული ელემენტების ურთიერთის გვერდით მდებარეობას, რომ მათ შორის კავშირი აღმოჩნდა და რომ ისინი ურთიერთში ყოფილან ჩართულნი“ (Рубинштейн).

## აზროვნების განვითარება ონტოგენეზში

აზროვნების ონტოგენეტური განვითარება ბავშვის ფსიქოლოგიის ერთერთ უდიდესსა და უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. რასაკვირველია: ჩვენ აქ ამ პრობლემის სრული მოცულობით განხილვას მიზნად ვერ დავისახავთ. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში ეს არცაა საჭირო: აქ აზროვნების ონტოგენეტური განვითარების შესწავლას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი აზროვნების ზოგად-ფსიქოლოგიური ძირითადი პრობლემების გაშუქებას უწყობს ხელს. ამიტომ აზროვნების ონტოგენეზის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევეხებით, განსაკუთრებით კი საკითხს, რომელსაც აზროვნების განვითარების ისტორიაში უსათუოდ ცენტრალური ადგილი ეკუთვნის: საკითხს შემეცნებითი ინტერესისა და ამ უკანასკნელის ნიადაგზე ცნებითი აზროვნების განვითარების შესახებ.

1. აზროვნების განვითარების პირობები ფილოგენეზსა და ონტოგენეზში. როდესაც ბავშვის აზროვნების განვითარებას ვიკვლევთ, ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც აზროვნების ონტოგენეტური და ფილოგენეტური განვითარების პირობებს შორის არსებობს. ფილოგენეტური განვითარების ხაზზე აზროვნების სტიმულს, ძირითადად, ყოველთვის ის მოთხოვნილებები შეადგენდნენ, რომელთა დაკმაყოფილებასაც, არსებითად, მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ: აზროვნება აქ სერიოზული საქმიანობის, მომსახურებისა და განსაკუთრებით შრომის ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა. რაც შეეხება ონტოგენეზს, განსაკუთრებით ბავშვობის ასაკის ფარგლებში, აქ არსებითად განსხვავებულ მდგომარეობას

აქვს ადგილი: ბავშვობის ასაკი ადამიანის სიცოცხლის სწორედ იმ პერიოდს ეწოდება, რომელშიც თავისი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე თვითონ მას — ადამიანს — როდი უხდება ზრუნვა, არამედ სხვებს, მის აღმზრდელებს, მოზრდილებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოზარდი უკვე იძულებული ხდება თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა შესახებ თვითონ დაიწყოს ზრუნვა, მას შემდეგ, რაც იგი ამ ნიადაგზე აღმოცენებული ავოცანების გადაწყვეტას საკუთარი ძალღონით იწყებს, იგი უკვე ბავშვად აღარ ჩაითვლება.

ამიტომ აზროვნების განვითარების იმპულსს ბავშვობის პერიოდში სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროება როდი იძლევა, როგორც ამას ფილოგენეზში აქვს ადგილი, არამედ სხვა კატეგორიის მოთხოვნილებათა, სახელდობრ, განვითარების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროება: ბავშვის აზროვნების განვითარება ძირითადად თამაშისა და სწავლის ნიადაგზე ყალიბდება. ამ გარემოების გათვალისწინებას არა მარტო დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს. არამედ შეიძლება კიდევ უფრო მეტი პრაქტიკულიც: აზროვნების აღზრდის პროცესში იმის ცოდნას, თუ საიდან მომდინარეობს ბავშვის აზროვნების იმპულსები. უდაოდ ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს.

2. ინტელექტუალური ინტერესის განვითარების ძირითადი პერიოდები. რას აქცევს უმთავრესად ყურადღებას ბავშვი თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში? რა ინტერესებს მას? ამის შესწავლა განსაკუთრებით იმ კითხვების ანალიზის ნიადაგზე შეიძლება, რომელსაც ბავშვი თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში იძლევა. სხვადასხვა ავტორის ამ მიმართულებით წარმოებულ გამოკვლევათა შედეგად, დღეს დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. რომ ბავშვის ინტერესის განვითარების ძირითადი ეტაპები არსებითად იგივეა, რაც ბინესა და შტერნს ჰქონდათ აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ შემთხვევაში სულ სხვა მეთოდით სარგებლობდნენ. ორივე შედარებით მარტივი სურათის აღწერას ავალებდა თავის ცდისპირებს და ამ გზით დაგროვილი მასალის ანალიზის შედეგად დაახლოებით ერთნაირ დასკვნამდე მივიდნენ.

ბინეს მიხედვით, ბავშვის ინტერესის განვითარების მსვლელობაში სამი პერიოდი უნდა იქნეს ურთიერთისაგან გამოყოფილი, სახელდობრ, ჩამოთვლის, აღწერისა და ინტერპრეტაციის პერიოდი.

პირველი პერიოდი, რომელიც ჩოლის წინარე ასაკში გვხვდება.

იმით ხასიათდება, რომ ბავშვი ცალკეული ობიექტების ჩამოთვლით კმაყოფილდება: როგორც ჩანს, მას ჯერ მხოლოდ ცალკეულ საგანთა შემჩნევა და დასახელება, ცალკეულ მოვლენათა ობიექტივაცია აინტერესებს.

სასკოლო ასაკში, შვიდი წლიდან, ბავშვი უბრალო ჩამოთვლით აღარ კმაყოფილდება: მას უკვე თითოეული ობიექტისა და მთელი სიტუაციის ზუსტი აღწერა აინტერესებს.

მაგრამ რას ნიშნავს აღწერის ინტერესი? უეჭველია, იგი პირველ რიგში სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ინდივიდუალობის, მათი სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინების ინტერესს ნიშნავს. მაგრამ საგანთა და მოვლენათა თავისებურების წვდომა მათს ურთიერთშედარებასაც გულისხმობს, ამის შედეგად, მოცემული სინამდვილის შინაარსში, მსგავს და განსხვავებულ მოვლენათა დადგენას და, მაშასადამე, აქამდე თითქოს უწესრიგოდ მიმდინარე სინამდვილეში სისტემისა და წესრიგის აღმოჩენის განზრახვას. როგორც ვხედავთ, აღწერის ამოცანა კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ამოცანებთანაა დაკავშირებული, და, საბოლოოდ, თავისებური აზროვნების მონაწილეობას თხოულობს, სახელდობრ, კონკრეტული გრძნობადი შინაარსის აზროვნების მონაწილეობას.

რაც შეეხება არაგრძნობადს, არათვალსაჩინო მასალას, ამისი ინტერესი შემდგომი პერიოდის საქმეა. აქ საქმე იმით იწყება, რომ ბავშვს თვითონ საგნები და მოვლენები როდი აინტერესებს თავისთავად, არამედ მათი კავშირები, მათი ურთიერთმიმართება: ახსნა ანუ ინტერპრეტაცია იმისა, რაც მის თვალწინ ხდება და რისი აღწერაც ეგოდენ იტაცებდა. მას განვითარების წინა საფეხურზე. ბინეს მიხედვით, მიმართებათა წვდომის ინტერესი 12 წლისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, ბობერტაგის დაკვირვებით, იგი არც ცხრა წლის ბავშვისათვისაა უცხო. ოღონდ ამისათვის ერთგვარი სტიმულაციაა გარედან საჭირო: მაგალ., როდესაც 9 წლის ბავშვს სათანადო კითხვებს აძლევ, იგი მიმართებებსაც აქცევს ყურადღებას და მათ შესახებ ანგარიშის მოცემას ცდილობს. უეჭველია, კონკრეტული, ხატოვანი აზროვნება ამ შემთხვევაში საკმარისი აღარაა: აქ უკვე განყენებული აზროვნების საჭიროება ჩნდება.

ამრიგად, ბავშვის ინტელექტუალური ინტერესი სამს ძირითად პერიოდს შეიცავს: პირველი საგნობრივი მოცემულობის ფარგლებით განისაზღვრება: ბავშვს მოცემული საგნების რაც შეიძლება

სრული ჩამოთვლა აინტერესებს. მეორე პერიოდში საქმე უფრო აღწერას ეხება: ბავშვის ინტერესს სინამდვილის ფენომენალური მოცემულობა უფრო იტაცებს, ვიდრე სხვა რამ. დასასრულ, მესამე პერიოდში ინტერესი უმთავრესად უკვე იმ ფარული ძაფებისაკენ, იმ კავშირებისაკენ მიიმართება, რომელაც სინამდვილის ცალკეულ მოვლენათა შორის არსებობს.

3. ცნებითი აზროვნების განვითარება. ძალიან საინტერესოა, რომ ცნებითი აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები სწორედ შემეცნებითი ინტერესის ამ პერიოდთა თავისებურებებს შეესატყვისებიან. ისე როგორც იქ, განვითარების პროცესი აქაც სამ საფეხურს განვლის, რომელთაგანაც პირველი სკოლის წინარე ასაკისათვისაა დამახასიათებელი, მეორე — დაწყებითი სკოლისა და მესამე — საშუალო სკოლის პერიოდისათვის.

როგორც ვხედავთ, ინტელექტუალური ინტერესი და ინტელექტუალური შეიარაღებულობა მკიდროდ არიან ურთიერთთან დაკავშირებული: ბავშვს არა მარტო გარკვეული ინტერესი აქვს, მას აქვს აგრეთვე უნარიც ამ ინტერესის დაკმაყოფილებისა.

სკოლის წინარე ასაკის ბავშვის შემეცნებითი ინტერესი, როგორც ვიცით, დადასტურებული ხასიათისაა: რაც ირგვლივ ხდება — მისს შედარებით ვიწრო გარემოში — მას ყველაფრის ამის შემჩნევა, ყველაფრის ამის დადასტურება სწადია. თვითონ ბუნება ამ მოვლენათა, ურთიერთკავშირი, რომელიც ამ მოვლენათა შორის არსებობს, მას ჯერ კიდევ არა აქვს მთავარი ინტერესის საგნად გადაქცეული.

ვნახოთ, როგორია მისი აზროვნება! როგორც ცნობილია, ბავშვი საკმაოდ ადრე იწყებს აზროვნებას. კ. ბ ი უ ლ ე რ მ ა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ აზროვნების ელემენტები უკვე პირველი წლის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში გვხვდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ე. წ. პ რ ა კ ტ ი კ უ ლ ი ინ ტ ე ლ ე ქ ტ ი ს გამოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენ კი უფრო აზროვნების ის ფორმა გვაინტერესებს, რომელიც სიტყვასთანაა დაკავშირებული და თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე ცნებითი აზროვნების დასრულებულ ფორმებში გადადის.

ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილი ცნების შესადგენად საგანთა თუ მოვლენათა მსგავსების შემჩნევაა საჭირო, მათი საერთო ნიშნების გამოყოფა, სიტყვის საშუალებით მათი ფიქსაცია და ახალ საგნებზე გავრცელება; მოკლედ, საჭიროა კლასიფიკაციის უნარი, აბსტრაქციის, სახელდებისა და განზოგადების.

რაც შეეხება არსებითი ნიშნის მონახვის უნარს, ეს იმაზეა დამოკიდებული: თუ შემეცნების განვითარების რამდენად მაღალ დონეზე დგას სუბიექტი. ყოველ შემთხვევაში, სწორად იქნება არსებითი ნიშანი მონახული თუ არა, ზემოდ აღნიშნული ოპერაციები, სულერთია, ორივე შემთხვევაში აუცილებელია. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ როდის ეუფლება ბავშვი ამ ოპერაციებს.

ამ საკითხის გამოსარკვევად შემდეგი ხერხი იყო გამოყენებული: ბავშვს აძლევენ სხვადასხვა ფერისა და ფორმის, სხვადასხვა სიდიდის მუყაოს ფიგურას და ავალებენ ყველა ეს ფიგურა სხვადასხვა ჯგუფად გააყოს. თითოეულ ჯგუფს რაიმე სახელი ეძლევა (მაგალ., დიდს რგვალ ფერად ფიგურებს „ე დ ე ზ ა“). სწარმოებს საუბარი ამ სახელის გამოყენებით, მაგალ., „რამდენი ეღეზაა კიდევ მაგილაზე?“ „მომეტი—ორი ეღეზა!“ ცლისპირს უჩვენებენ რაიმე ახალ საგანს, რომელსაც იგივე ნიშნები აქვს, რაც ახალ ცნებებში იგულისხმება, მაგალ., რაიმე მოხრდილს მრგვალ ობიექტს. ბავშვმა ისიც „ეღეზად“ უნდა სცნოს: მოახდინოს განზოგადება. ბოლოს, მას ახალი ცნების განსაზღვრა ევალება.

როგორც ვხედავთ, მეთოდი კლასიფიკაციის, აბსტრაქციის, სახელდების, განზოგადებისა და დეფინიციის ოპერაციების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ოპერაცია აქ სრულიად თვალსაჩინო მასალაზე მოწმდება: სააბსტრაქციო ნიშნები ყველა გრძობადი შინაარსისაა (ფერა, ფორმა, სადიდი). მაშასადამე, თუ ვინცობაა, რომელიმე აღნიშნულმა ოპერაციამ რომელიმე ასაკობრივ საფეხურზე თავი არ იჩინა. ეს მასალის სიძნელეს ვერ მუყერება.

რა შეიძლება ითქვას სკოლის წინარე ასაკის ბავშვის აზროვნების შესახებ? ერთი, რაც ამთავითვე უნდა იქნეს აღნიშნული, ეს ისაა. რომ სკოლის წინარე ასაკის ბავშვს ჩვენი სიტყვები კარგად ესმის და მათ, საჭიროებისდა მიხედვით, თვითონაც ხმარობს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთიდაიმავე სიტყვის მნიშვნელობა დიდსა და პატარა: ერთნაირი როდი აქვთ: თუ ჩვენთვის სიტყვის მნიშვნელობას ცნება წარმოადგენს, ბავშვისათვის იგივე სიტყვა ამავე ცნებას კი არა, რაღაც თავისებურ შინაარსს შეიცავს, რაც ცნების როლს ასრულებს და, მაშასადამე, მის ფუნქციონალურ ექვივალენტად უნდა ჩაითვალოს.

ცნებითი აზროვნების განვითარების შესწავლის ამოცანა, ამისდა მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ გამოარკვეული იქნეს, თუ როგორ იცვლება განვითარების პროცესში ეს ცნების ფუნქციონალური ექვივალენტი.

სკოლის წინარე ასაკის აზროვნების გასაცნობად საკმარისი იქნე-



ბა, თუ გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს ამ მხრივ დასაწყისი წლები (3 წელი) და ბოლო წლები (7 წელი).

სამი წლის ბავშვების დიდი უმრავლესობა მარტო ერთი ნიშნის (მაგალ., ფერის) მიხედვით აჯგუფებს საექსპერიმენტო მასალას. სხვა ნიშნებს იგი მხედველობის გარეთ სტოვებს. როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა მის წინაშე მდებარე ობიექტში ნიშანთა სიმრავლე დაადასტუროს: მისი აღქმა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ დიფუზიურია, ჯერ კიდევ გაუნაწევრებელ მთლიანობითია, ჯერ კიდევ, როგორც იტყობა კლ ა პ ა რ ე დ ი, სინკრეტულია. აქედან გასაგები ხდება, რომ სამწლიანი ბავშვების უმრავლესობა ცდებში აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას ვერ ახერხებს. ამისდა შესაბამისად, იქ, სადაც ბავშვი ახალი სიტყვის გაგებასა და გამოყენებს ეუფლება, ირკვევა, რომ მის მნიშვნელობად იგი მთლიანს, გაუნაწევრებელს, სინკრეტულ ხატს გულისხმობს და არა ნიშანთა კრებულს. ამიტომაც ამ ახალი სიტყვების გამოყენებას ახალი საგნების მიმართ, ახალი „ცნების“ განზოგადებას, სამწლიანი, ჩვეულებრივ, ვერ ახერხებს; და ახალი „ცნების“ დეფინიციის ამოცანა ხომ სრულიად ხელმიუწვდომელია მისთვის: ნაცვლად იმ ნიშნების დასახელებისა, რომელთა საობიექტივატოდაც არის ცდებში სიტყვა განზრახული, ბავშვი თვითონ ფიგურებს ასახელებს: „ეღეზა ასეთია“-ო, ამბობს იგი.

აქედან შეგვიძლია ასე დავასკვნათ: სამწლიანი ბავშვი ჯერ კიდევ დიფუზიური, სინკრეტული სახეებით აზროვნებს. იგი ვერ ხელდას მთელში ცალკალკე ნაწილობრივ შინაარსებს, დამოკიდებულ მომენტებს. ნიშნის იდეა მისთვის სრულიად უცხოა და ა ბ ს ტ რ ა ქ ი ა მაშასადამე, მიუწვდომელია. მისი სიტყვების მნიშვნელობა ცალკეული საგნების დ ი ფ უ ზ ი უ რ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ა. ასეთია მისი „ცნება“; ეს არის, რაც მის აზროვნებაში ცნების ფუნქციებს ასრულებს. ადვილი გასაგებია, რომ ამ ფუნქციების წრე უაღრესად განსაზღვრულია.

სამწლიანის მსჯელობისა და დასკვნის თავისებურებები სწავებით მისი „ცნების“ თავისებურებებს ეყრდნობა. მაგალ., ცნობილია, რომ ამ ასაკის ბავშვს არც ნამდვილი ინდუქცია აქვს და არც ნამდვილი დედუქცია: შ ტ ე რ ნ ი ს ა და პ ი ა ე ე ს დაკვირვებით, მას მხოლოდ ა ნ ა ლ ო გ ი თ დასკვნის ძალა შესწევს, იმიტომ რომ იგი მხოლოდ მთლიანი, გაუნაწევრებელი ხატებით აზროვნებს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს შვიდწლიანის აზროვნება. ცდების შედეგი არავითარ ექვს არ სტოვებს იმაში, რომ უკვე სკოლის წინარე ასაკის მიმდინარეობაში ეუფლება ბავშვი ყველა იმ ოპერა-

ციას, რომელიც ცდებში მიწოდებული ამოცანების გადასაწყვეტად და საჭირო: შვიდწლიანი საერთოდ სწორად ახერხებს მიწოდებულ ფიგურათა და აჭგუფებას; როდესაც იგი ანგარიშს იძლევა, თუ რატომ ათავსებს ამა თუ იმ ფიგურას სწორედ ამ გარკვეულ ჯგუფში. ნათლად ჩანს, რომ მას ფიგურის მთლიანი, სინკრეტული ხატი კი აღარ აქვს მხედველობაში, არამედ გარკვეული ნიშნები, რომელიც ფიგურალურად სრულიად განსხვავებულ ობიექტებშიც გვხვდება. შვიდწლიანების უმრავლესობა გარკვევით ახერხებს თვალსაჩინო ნაწილობრივი შინაარსების გამოყოფას, მათს აბსტრაქციას და, ამასთან ერთად, სიტყვის საშუალებით, მათ ფიქსაციას. სიტყვის მნიშვნელობად შვიდწლიანი გარკვევით ამ აბსტრაქირებული მომენტების ერთობლიობას გულისხმობს. ეს ნათლად ჩანს დეფინიციებში და, რომელთაც იგი იძლევა: როგორც წესი, შვიდწლიანის დეფინიციებში ყველა იმ ნიშანს ვხვდებით, რომელიც სიტყვის მნიშვნელობადაა ნაგულისხმევი. ოღონდ ეს ნიშნები ჯერ მხოლოდ მექანიკურად არიან შეერთებული: მათი ნამდვილი სინთეტური გამთლიანება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ამისდა მიხედვით, ექვი არაა, შვიდწლიანი ბავშვი უკვე დაუფლებულია — ოღონდ თვალსაჩინო მასალაზე — ყველა იმ ძირითად ოპერაციას, რომელიც ცნების შესადგენადაა საჭირო: მის წინაშე მდგომი საგნები მას ნაწილობრივი შინაარსების, როგორც ნიშნების, მიხედვით შეუძლია ურთიერთს შეადაროს, აბსტრაქცია მოახდინოს ამ ნიშნების, ასე თუ ისე გააერთიანოს ისინი სიტყვის მნიშვნელობის სახით და ასე შემუშავებული ახალი „ცნება“ არა მარტო სწორად გამოიყენოს, არამედ სწორადაც განსაზღვროს. მართალია, ყოველ შვიდწლიან ბავშვს ყველაფერი ეს არ შეუძლია. მაგრამ საერთოდ ამ ასაკში აზროვნების ეს საფეხური მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვიდწლიანი ბავშვის სიტყვაში ნამდვილი ცნება იგულისხმებოდეს. არა. ამისათვის ზოგიერთი პირობა კიდევაა საჭირო, რომლის შესრულებაც ჯერ კიდევ აღემატება მის ძალებს.

საქმე ისაა, რომ ზემოდ აღნიშნული ცდების მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობაში, როგორც ჩანს, ჯერ მხოლოდ ფიგურათა ჯგუფის საერთო ნიშნები შედის. მაგრამ უდაოა, რომ ნამდვილი ცნების შინაარსი მარტო ზოგადობის პრინციპით ვერ განისაზღვრება: არის მთელი რიგი ზოგადი ნიშნებისა, რომელთაც არაფერი აქვს საერთო არსებითთან, და ამიტომ შესატყვისი შემეცნებითი ღირებულება არა

აქვთ. ნამდვილი ცნება არსებითს ნიშნებს შეიცავს. ამიტომ იმის გადასაწყვეტად, ნამდვილ ცნებასთან გვაქვს საქმე შეიღწლიანის აზროვნების შემთხვევაში, თუ აქაც მხოლოდ მის თავისებურ ექვივალენტთან, უნდა გამოირკვეს, რა შემეცნებითი ღირებულება აქვთ იმ ნიშნებს, რომელნიც შეიღწლიანი ბავშვის ცნების შინაარსს შეადგენენ. ზემოაღნიშნული ცდები ამის შესაძლებლობას არ იძლევა. სამაგიეროდ, ჩვენს განკარგულებაში რ. ნ ა თ ა ძ ი ს საფუძვლიანი ექსპერიმენტული გამოკვლევაა, რომელიც სწორედ ამ თვალსაზრისით სწავლობს ცნების განვითარებას ბავშვობის ასაკში.

თანახმად ამ გამოკვლევის შედეგებისა, უეჭველი ხდება, რომ შეიღწლიანი ბავშვის ცნება მხოლოდ ზოგად ნიშნებს შეიცავს, რომ ამ ასაკის ბავშვი ჯერ კიდევ ვერ ამალღებულა იმ დონემდე, რომ ზოგად ნიშნებს შორის მეტნაკლები შემეცნებითი ღირებულების მქონე ნიშნების ძებნა დაიწყოს. მაშასადამე, მისი ცნება ისეთ წარმონაქმად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მოცემული ობიექტების ჯერ მხოლოდ ზოგადი სახე ან უკეთ ზოგადი ხ ა ტ ი აინტერესებს და არა მათი ა რ ს ი, მათი ადგილი სამყაროში.

თუ გავიხსენებთ, რომ შეიღწლიანის ცნების შინაარსში ჩვენი ცდების მიხედვით მხოლოდ თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ნიშნები (ფერი, ფორმა, სიდიდე) შედის, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ შეიღწლიანი ბავშვი ყველა ზემოაღნიშნულ ოპერაციას ე. წ. ზ ო გ ა დ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს შესაღვენად ხმარობს. ცნების როლს მისთვის ეს ზოგადი წარმოდგენა ასრულებს.

არ უნდა თქმა, ამ უკანასკნელს გაცილებით მეტი საზაროვნო ფუნქციის შესრულება შეუძლია, ვიდრე სამწლიანი ბავშვის სინკრეტულ წარმოდგენებს, ხოლო დასრულებული ცნების მაგიერობას იგი მაინც ვერ სწევს. მაგრამ ეს არც ესაქიროება მას. საქმე ისაა, რომ წინამდებარე ასაკის ბავშვს, როგორც ზემოდ დავრწმუნდით, მხოლოდ შემჩნევა, მხოლოდ აღნიშვნა, მხოლოდ ჩამოთვლა აინტერესებს იმისა, რასაც ირგვლივ ხედავს. ამისათვის კი, რასაკვირველია, არა თუ ა რ ს ე ბ ი თ ი ნიშნების მონახვა არაა საჭირო, არამედ არც ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ნიშნებისა: წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, მ ე ტ ა დ ი ქ ე ბ ა ი გ ი გ ა ნ ა წ ე ვ რ ე ბ უ ლ ი თ უ ნ ა კ ლ ე ბ ა დ, სულერთია, ამ მიზნისათვის ასე თუ ისე, ყოველთვის გამოდგება.

ცნებითი აზროვნების შემდგომი განვითარება ძირითადად მისი შემეცნებითი ღირებულების ცნობიერების ზრდაში მდგომარეობს. ყველაფერი ახალი, რასაც ამ მიმართულებით იძენს ბავშვი — განსაკუთრებით მისი თანდათანობითი განთავისუფლება

თვალსაჩინოების ტყვეობიდან — უმთავრესად ცნების შემეცნებითი ღირებულების განვითარებას ეხება, თორემ ძირითადი რეაქციები ს ა თ ა ნ ა დ რ მ ა ს ა ლ ა ზ ე — შედარება, აბსტრაქცია, ფაქტსაცია — მას უკვე წინა ასაკობრივ საფეხურზე აქვს დაპყრობილი. ამათი შემდგომი განვითარება ახალ მასალასთან მჭიდრო კავშირში ხდება.

სანამ მოზარდი დასრულებული ცნებითი აზროვნების დონეს მიაღწევდეს, მან განვითარების რამდენიმე განსხვავებული პერიოდი უნდა განვლოს კიდევ: ერთი — 8 — 10 წლამდე, მეორე — 11—13 წლამდე და მესამე — 14 — 17 წლამდე.

4. დაწყებითი სკოლის პერიოდი (8—10 წ.) საგულისხმო ნაბიჯს წარმოადგენს წინ ცნებითი აზროვნების განვითარების გზაზე. ეს ნაბიჯი სასკოლო ასაკის პირველივე წლიდან იჩენს თავს და 10 წლისათვის თავისი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს: იგი ცნების შემეცნებითი ღირებულებების ცნობიერების პირველ გაღვიძებაში მდგომარეობს. საქმე ისაა, რომ ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვისათვის ყველა მის მიერ გამოყოფილი, თუნდ ზოგადი ნიშნებიც, თანაბარი ღირებულების მოვლენებს აღარ წარმოადგენენ: მათში, მისი აზრით, ზოგი უფრო მნიშვნელოვანია და ზოგი ნაკლებ მნიშვნელოვანი. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მთლიანად თვალსაჩინოების ნიადაგზე განაგრძობს დგომას, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს განყენებითი ნიშნების შემჩნევესა და გამოყოფას, და შეიძლება ამიტომ არსებული ნიშნის ღირებულების ცნობიერება მას ჯერ მხოლოდ განვითარების დასაწყის ფორმებში აქვს. სამაგიეროდ. სრულიად უდაოა, რომ 8 — 10 წ. ასაკობრივ საფეხურზე ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ნიშნის ხმარების განვითარება იწყება და საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. რ. ნ ა თ ა ძ ი ს ცდების მიხედვით, ამ ასაკობრივი საფეხურის ძირითად მონაპოვარს განსაკუთრებით ეს გარემოება შეადგენს.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ პერიოდის ბავშვს თითქოს არსებითი ნიშნის ღირებულების ცნობიერებაც ეღვიძება, მაგრამ სპეციფიკური ნიშნის ცნობიერების წინაშე ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ მეორე ხარისხოვან როლს ასრულებს; და როდესაც საკითხი დგება, თუ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, თვალსაჩინოსა და სპეციფიკურ ნიშანს თუ არსებითს, მაგრამ ნაკლებ თვალსაჩინოს, ბავშვი, ბოლოსდაბოლოს, მაინც პირველის მხარეზე იხრება.

ამრიგად, განვითარების ამ საფეხურზე ბავშვის ცნება, ჩვეულებრივ, სპეციფიკურს, მაგრამ ჯერ კიდევ კონკრეტულ ნიშნებს

შეიცავს. არსებითი ნიშნის ცნობიერების განვითარება შემდგომი საფეხურის ამოცანას წარმოადგენს.

ბავშვის ცნების ასეთი ხასიათი კარგად ეთანხმება იმ მოთხოვნ-ნილებებს, რომელიც მოს. აზროვნების წინაშე დგას. მას ხომ ჯერ-ხნობით განსაკუთრებით აღწერის ინტერესი აქვს, იგი ხომ ჯერ-ჯერობით ფენომენალური მოცემულობით არის გატაცებული. რაც შეეხება მოვლენათა არსს, ეს ჯერ კიდევ მისი აქტუალური ინტერესების ფარგლებს სცილდება. საგანთა და მოვლენათა ფენომენოლოგიისათვის კი სპეციფიკური ნიშნების ცნობიერებაც საკმარისია: არსებითი ნიშნის ძიება მოზარდს განსაკუთრებით შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე დასჭირდება.

თუ რაოდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საფეხურის ბავშვის აზროვნებისათვის თვალსაჩინოებას, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ შემდეგში იჩენს თავს: როდესაც ბავშვს მხოლოდ სიტყვიერად, ყოველი გათვალსაჩინოების გარეშე აწვდიან სწორედ იმ ცნებებს, რომელსაც იგი კონკრეტული მასალის ნიადაგზე შედარებით ადვილად ეუფლება, იგი ამ ცნებების გაგების ამოცანის წინაშე სრულ უმწეობას იჩენს. მას არ ესმის ეს ცნებები, ამახინჯებს მათ, ვერ სწვდება მათში ნაგულისხმევ სპეციფიკურ ნიშნებს.

წინამდებარე ასაკობრივ საფეხურზე, აზროვნების განვითარების აქტივში აღსანიშნავია ის თავისებური წარმატება, რომელსაც ბავშვი ცნებათა განზოგადებისა და განსაკუთრების ცნებათა ლოდიკური კავშირის ამოცანებში აღწევს.

როდესაც ბავშვის წინაშე ცნებათა განზოგადების ამოცანა დგას, როდესაც მან მოცემული ცნებების ნიადაგზე ახალი ცნება უნდა შეადგინოს, იგი ამას ამ ცნებების შეჯამების, უბრალო არითმეტიკული შეკრების გზით ასერხებს და არა მათი სინთეზის გზით. გამოდის, რომ მისთვის ადამიანი, მაგალ. ყველა ქალისა და ვაჟის ერთობლიობას (ჯამს) წარმოადგენს და მეტს არაფერს. რასაკვირველია, ნამდვილი ზოგადი ცნების შინაარსი აქ სრულიად არაა მოცემული: თითქოს ბავშვი ჯერ მხოლოდ ცნების მოცულობას ღებულობს მხედველობაში, ე. ი. საგანთა ერთობლიობას, რომელსაც აღნიშნული ცნება ეხება. მაგრამ ზოგადი ცნების არსი მარტო ის კი არაა, რომ მას გარკვეული მოცულობა გააჩნია, არამედ განსაკუთრებით ის, რომ მას სპეციფიკური შინაარსიც აქვს, რომელიც სრულიად გარკვეულ კავშირში იმყოფება ქვემდებარე ცნებებთან, სახელდობრ, მათ სინთეტურ გაერთიანებას წარმოადგენს და ამით ცნების ნამდვილი მოცულობის ფარგლებსაც

განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ცნების — თუნდ მარტო მოცულობის თვალსაზრისითაც — განზოგადების წვდომა უდაოდ თვალსაჩინო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ეს რომ მართლა მიღწევაა, ეს იმწამსვე ცხადი ხდება, როგორც კი ბავშვის წინაშე ცნებათა ლოლიკური ურთიერთობის ამოცანას დავაყენებთ. ბავშვი მაშინვე აღნიშნავს, რომ რაოდენობრივის მხრივ ზოგად ცნებასა და ქვეცნებებს შორის დიდი განსხვავებაა, რომ ზოგადი უფრო ფართოა, ვიდრე თითოეული ქვემდებარე ცნება თავისთავად: მაგალ., ადამიანები უფრო ბევრია, ვიდრე ქალები ან ვაჟები. მაშასადამე, მას მხოლოდ რაოდენობის, მხოლოდ მოცულობის თვალსაზრისი აქვს მხედველობაში. რაც შეეხება შინაარსეულს, ლოლიკურ დამოკიდებულებას, რომელიც ზოგად ცნებასა და ქვეცნებებს შორის არსებობს, ეს 8 — 10 წლის ბავშვისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი ჩანს. თუ ბავშვისათვის ქ ა ლ ი ა ნ ვ ა უ ი ა დ ა მ ი ა ნ ა დ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა, ეს იმიტომ როდი ხდება, აითქოს ამის საფუძველს ქვემდებარე და ზემდებარე ცნებათა შინაარსეული ურთიერთმიმართება წარმოადგენდეს, თითქოს ბავშვს ადამიანის ცნებისა და მისი ქვეცნებების ლოლიკური ურთიერთობა ჰქონდეს გააზრებული, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მოცულობის თვალსაზრისია მისთვის გასაგები, და მან ემპირიულად იცის, რომ ქალსაც და ვაჟსაც ა დ ა მ ი ა ნ ს უწოდებენ.

**5. ცნება საშუალო სკოლის დასაწყის წლებში (11—13 წ.).** რა ცვლილებები ხდება ბავშვის ცნებითს აზროვნებაში საშუალო სკოლის დასაწყის წლებში, არასრული საშუალო სკოლის ასაკში? რ. ნ ა თ ა ძ ი ს გამოკვლევის მიხედვით, 11 — 13 წლების მიმდინარეობაში ბავშვის აზროვნებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები დასტურდება.

პირველ რიგში ცვლილება ნიშნის ცნობიერებას ეხება. თუ წინა საფეხურზე ბავშვისათვის სპეციფიკური ნიშნის მნიშვნელობა შეიქნა ნათელი, ხოლო ა რ ს ე ბ ი თ ი ნიშანი მისთვის ჯერ მხოლოდ მეორე პლანზე იდგა, ეხლა მდგომარეობა იმ მხრივ აცვლება, რომ ა რ ს ე ბ ი თ ი ნიშნის მნიშვნელობა, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ მაინც, სრულიად უდაოდ ხდება მოზარდის აზროვნებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ამოცანა, სადაც იგი არსებითი ნიშნის უპირატესობას არ სცნობდეს. ბავშვს რომ ერთიდაიმავე ცნების ორგვარი განსაზღვრება მისცე — ერთი სპეციფიკური ნიშნებისა და მეორე არსებითი ნიშნების გამოყენებით — იგი არა მარტო უპირატესობას მიაჩნევს მეორეს, არამედ მას ერთადერთ სწორ გან-

საზღვრებადაც კი აღიარებს: სპეციფიკური ნიშანი, როგორც მხოლოდ სპეციფიკური, მას აღარ აკმაყოფილებს. მას ისეთი ცნება აინტერესებს, რომ სინამდვილის ზედაპირს კი არა, მისს არსებითს მხარეებს ასახავდეს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ 11 — 13 წლის ბავშვი საბოლოოდ და სისრულით დაეუფლა არსებითი ნიშნის ცნობიერებას. საქმე ისაა, რომ წინამდებარე ასაკობრივ საფეხურზე მოზარდი არსებითად მხოლოდ პრაქტიკულადაა არსებითის მნიშვნელობას დაუფლებული. მართალია, როდესაც მას თავისი ოპერაციების სისწორის დასაბუთება უხდება, იგი ამას არსებითი ნიშნების მითითებით ახერხებს. მაგრამ სიმპტომატურია, რომ მოზარდი ამ შემთხვევაში არსებითი ნიშნის მხოლოდ მითითებით, მხოლოდ დასახელებით კმაყოფილდება და, ჩვეულებრივ, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ვერ ახერხებს აღნიშნოს, რომ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს ნიშანი არსებითია: ბავშვს არსებითი ნიშნის შემეცნებითი ღირებულების ცნობიერება ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისად განვითარებული. იგი მხოლოდ პრაქტიკულად უწევს ამ ნიშანს ანგარიშს.

მაგრამ არსებითი ნიშნის ცნობიერების ეს დონეც საყოველთაოდ მხოლოდ კონკრეტული ნიშნების ფარგლებში აქვს ამ პერიოდის ბავშვს მიღწეული. როდესაც მას საქმე უფრო განუცნობიერებულ მასალასთან აქვს, როდესაც მას სააზროვნო ოპერაციების წარმოება განუყენებელი მიმართებითი ნიშნების ნიადაგზე უხდება, მაშინ იგი, ჩვეულებრივ, არა თუ არსებითას, არამედ ხშირად სპეციფიკური ნიშნის ცნობიერების დონესაც ვერ ინარჩუნებს და კვლავ განვითარების განვლილ საფეხურებს უბრუნდება.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის ბავშვის მიღწევა მაინც ღრმა მნიშვნელობისაა. შეიძლება ითქვას, რომ თვალსაჩინო, კონკრეტული მასალის ფარგლებში ბავშვის ცნება ეხლა უკვე თითქმის ნამდვილი ცნების — არა მარტო ექვივალენტის — როლს ასრულებს, ისეთი ექვივალენტისას, რომელსაც თავისი შინაარსით ბევრი არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ცნებასთან: ბავშვის ცნება პრაქტიკულად ეხლა უკვე არსებითი ნიშნების გაერთიანებას წარმოადგენს.

ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, იგი ნამდვილ ცნებად ჩავთვალოთ, ეს ისაა, რომ ეს გაერთიანება ჯერ კიდევ არ არის ისეთი, როგორც ნამდვილი ცნებაში იგულისხმება: სათანადო ცდები ამტკიცებენ, რომ ნიშნების ნამდვილი სინთეტური გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ უცხოა ამ საფეხურის ბავშვისათვის.

ეს იქედან ჩანს, რომ ყოველი ზოგადი ცნება — თუნდ კონკრეტულიც — მას ქვეცნებების უბრალო შეჯამებად მიაჩნია და არა მათი არსებითი ნიშნების სინთეტურ გაერთიანებად და, მაშასადამე, ახალ ცნებად. მაგალითად, მან იცის, რომ ადამიანის ძალით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებაც არსებობს და ცხოველის ძალითაც. რომ მისცეთ ეხლა მას, ვთქვათ, ამ ცნებების უფრო მაღალ ცნებაში გაერთიანების ამოცანა, იგი მათ სინთეზს კი არ მოახდენს — ცოცხალი ძალით მოძრავი საშუალებაო როდი იტყვის — არამედ უბრალოდ მათ შეჯამებას მოგვეცემს: ადამიანისა და ცხოველის ძალით მოძრავი საშუალებაო, გვეტყვის.

იქედან ცხადია, ამ ასაკის ბავშვის აზროვნებაში ცნება ჯერ კიდევ ნიშანთა ნამდვილ სინთეზს არ წარმოადგენს.

მაგრამ საკმარისია, ერთგვარი სტიმული მისცეთ მას ამ მიმართულებით, ერთგვარი დახმარება გაუწიოთ სათანადოდ შერჩეული შეკითხვების საშუალებით, ან ცნების განსაზღვრა მისცეთ, რომ ბავშვი შედარებით ადვილად მიხვდეს, რომ საქმე აქ სინთეზშია და არა შეჯამებაში.

მაშასადამე, მართალია 11 — 13 წლის მოზარდს დამოუკიდებლად, სპონტანურად, არსებითი ნიშნების სინთეტური გზით ერთ ცნებაში გაერთიანება არ შეუძლია; მაგრამ სინთეზის სულ მიუწვდომელი მაინც არ არის მისთვის, და ეს უკანასკნელი გარემოება ამ ასაკობრივი საფეხურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მიღწევაც მხოლოდ კონკრეტულის, მხოლოდ თვალსაჩინოს ფარგლებით შემოიზღუდება: განყენებული მიმართებითი ნიშნების სინთეზს ამ პერიოდის ბავშვი დახმარების შემთხვევაშიც ვერ ახერხებს.

ცნებითი აზროვნების განვითარების მეორე საყურადღებო მიღწევად ამ პერიოდში შემდეგი უნდა ჩაითვალოს: წინა საფეხურების ბავშვის აზროვნების უმწეობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვერბალური მასალის ნიადაგზე ჩანს: ის, რაც მისთვის შედარებით ადვილია კონკრეტულ, თვალსაჩინო მასალაზე, სრულიად მიუწვდომელი ხდება, რაწამს საქმე ვერბალურ მასალას ეხება. სამაგიეროდ, 11 — 13 წლის მოზარდი უაღრესად მნიშვნელოვან ნახტომს აკეთებს ამ მიმართულებით: იგი იმდენად სწრაფად და იოლად ეუფლება ვერბალურ მასალას, რომ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მისთვის, ვერბალურ მასალაზე უხდება მას თავისი ინტელექტუალური ოპერაციების წარ-



მოება და ცნების შედგენა თუ თვალსაჩინოზე. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა ამ პერიოდის მოზარდთა უმრავლესობის შესახებ შეიძლება.

ამრიგად, ამ ასაკობრივი საფეხურის ერთერთს უდიდეს მიღწევას ვერბალური აზროვნების დაუფლების დაწყება შეადგენს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას განსაკუთრებით პედაგოგიური პრაქტიკისათვის. საშუალო სკოლაში თვალსაჩინოების მეთოდს ისეთი განუსაზღვრელი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც დაწყებითი სკოლის საფეხურზე.

თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ფორმალური-ლოგიკური აზროვნების უნარიც სწორედ ამ ასაკში იჩენს თავს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდია ცნებითი აზროვნების ონტოგენეტური განვითარების ისტორიაში ამ ასაკობრივი საფეხურის მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ წინა ასაკობრივ საფეხურებზე ბავშვის ცნებითი აზროვნება მკიდროდ იყო ცნებების შინაარსთან დაკავშირებული: იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ცნებათა შორის არსებობს, იგი მხოლოდ იმის მიხედვით მსჯელობდა, თუ რა იცოდა ემპირიულად ამ ცნებათა, შინაარსის მიხედვით, ურთიერთობის შესახებ: თუ ამ მხრივ მან არაფერი იცოდა, იგი თითქმის აბსოლუტურად უმწეო იყო მათი ურთიერთობის შესახებ რაიმე საგულისხმო ეთქვა: ფორმალური, ალგებრული აზროვნება მისთვის სრულიად მიუწვდომელი იყო.

ესლა კი, 11 — 13 წლის ასაკში, ესეც იცვლება. მოზარდმა შეიძლება სრულიად არ იცოდეს მიღებული ცნების შინაარსი, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს ამ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თავისი აზრი გამოთქვას: იგი ამ შემთხვევაში არა ემპირიული, არამედ მხოლოდ ლოგიკური, ფორმალური ურთიერთობით ხელმძღვანელობს. მაგალ., ამ ასაკობრივ საფეხურზე რომ ბავშვს ასეთი ამოცანა მისცე: თუ  $x = a + b$ ,  $a = c$ , მაშინ  $x$  უფრო დიდი რიცხვი იქნება თუ  $c$ , იგი ამას ადვილად გადაჭრის, მიუხედავად იმისა, რომ არც  $x$ -ის შინაარსი იცის და არც  $c$ -სი: თუ  $x$   $a$ -საც შეიცავს და  $b$ -საც, ხოლო  $c$   $a$ -ზე მეტი არ არის, მაშინ იგი  $x$ -ზე ნაკლები ყოფილაო, იტყვის ბავშვი. წინა ასაკობრივ საფეხურზე კი ასეთი ფორმალური, ალგებრული აზროვნების შემთხვევებს მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ შეხვდებით.

ამრიგად, ცნებების ლოგიკურ ურთიერთობას პირველად 11—13 წლის პერიოდში ეუფლება მოზარდი.

6. ბოლო საფეხური სასკოლო ასაკში (14—17 წ.). ის, რაც დამთავრებული ცნების შემუშავებას წინა ასაკობრივ პერიოდში აკლდა, აქ, განვითარების ამ საფეხურზე, სრულდება, და მოზარდი ცნებითი აზროვნების იმ უმაღლეს საფეხურს აღწევს, რომელიც საზოგადოდაა სასკოლო ასაკში მისაწვდომი.

პირველ რიგში განვითარება არსებითი ნიშნის ცნობიერებას ეხება: 14 — 17 წლის მოზარდისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იგი თავისი ინტელექტუალური ოპერაციების დასაბუთების საჭიროებას თვითონვე გრძნობს და აქ — ამ დასაბუთებაში — ჩვეულებრივ, არსებითი ნიშნის მაღალ შემეცნებითს ღირებულებას აღნიშნავს. ის, რაც წინა პერიოდში მოზარდთა მხოლოდ ნაწილს შეეძლო, აქ თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს წარმატება ეხლა მარტო კონკრეტული ნიშნებით როდი განისაზღვრება: მოზარდისათვის ამიერიდან განყენებული მიმართებითი ნიშანიც დაძლეულ სფეროს წარმოადგენს. მიმართების ცნობიერება მაღალ დონეზე დგება, და ეს გარემოება ცნებითი აზროვნების მთელ ხაზზე ახდენს თვალსაჩინო გავლენას.

პირველ რიგში ეს ვერბალური აზროვნების კიდევ უფრო მძლავრ განვითარებაში იჩენს თავს: 14 — 17 წლის მოზარდისათვის, საზოგადოდ, აღარ აქვს მნიშვნელობა ვერბალურ მასალასთან აქვს მას საქმე თუ თვალსაჩინოსთან; 14 — 17 წლების მიმდინარეობაში ეს მიღწევა საყოველთაო კუთვნილებად იქცევა.

თუ წინა ასაკობრივ საფეხურს ცნებაში ნაგულისხმევ ნიშანთა ნამდვილი სინთეზის სპონტანური ცნობიერება აკლდა, აქ, ამ ასაკობრივ პერიოდში, სულ სხვა მდგომარეობა იჩენს თავს: მოზარდილთა უმრავლესობას სრულიად აღარ ესაჭიროება გარედან მომდინარე სტიმულები, როცა მას ამოცანა აქვს, მიწოდებულ კონკრეტულ ცნებათა სინთეტიკური გაერთიანება მოახდინოს და, ამრიგად, სრულიად ახალი ცნება მოგვეცეს: იგი ამას სპონტანურად, თავისით აკეთებს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სინთეზის სიძნელე საბოლოოდაა დაძლეული. საქმე ისაა, რომ განყენებულ ცნებათა უფრო მაღალ ცნებაში გაერთიანება და ამ გზით ახალის, კიდევ უფრო ზოგადი ცნების შექმნა, როგორც წესი, არც ამ ასაკის მოზარდს შეუძლია.

ადვილი გასაგებია, რომ ცნებათა ლოდიკური კავშირების წვდომა და ფორმალური, ალგებრული აზროვნების განვითარება

სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ: ამ ასაკობრივ საფეხურზე ყველაფერი ეს უკვე საყოველთაო კუთვნილებად იქცევა: 14 — 17 წლის ჩვეულებრივი, ნორმალურად განვითარებული მოზარდი ლოლიკურ დამოკიდებულებათა ნაცვლად არასდროს მხოლოდ რაოდენობრივს ან მხოლოდ ემპირიულ დამოკიდებულებას არ გულისხმობს.

ასეთია ცნების განვითარების პროცესი ონტოგენეზში. ხოლო აზროვნების სხვა ფორმების განვითარება უმთავრესად ამაზეა დამოკიდებული, და მათ განხილვაზე აქ არ შეეჩერდებით.

## ყურადღების ფსიქოლოგია

### ყურადღება

1. რა არის ყურადღება. რა არის ყურადღება? რას ვგულისხმობთ, როდესაც ყურადღების შესახებ ვლაპარაკობთ? ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, აუდიტორიაში რამოდენიმე ათეული სტუდენტია და პროფესორი ლექციას კითხულობს. გარემო ამ შემთხვევაში ობიექტურად ყველას ერთნაირი აქვს: გარედან ყველაზე დაახლოებით ერთიდაიგივე გამღიზიანებლები მოქმედობენ: ისმის ლექტორის ხმა, ეზოში ვიღაც მღერის, იქვე მუშები ფიცრებს ხერხავენ... ასეთია სამენითი გამღიზიანებლები. კიდევ მეტია მხედველობითი გამღიზიანებლების რიცხვი: თითოეული სუბიექტის წინაშე სხვადასხვა ფორმისა და ფერის საგანთა დიდრი ჩაოდენობა: დაფა, კათედრა, კედელი, იქვე ნათურა, თვითონ ლექტორი, მისი სათვალეები... სინათლე აუდიტორიაში, მაგიდაზე რეეული, ხელში ფანქარი, გვერდით და წინ ამხანაგები... თითქმის ასევე უთვალავია სხვა მოდალობის გამღიზიანებლების რიცხვიც: შეხებითის, კინესთეტიკის. ერთი სიტყვით, გარემო გაღიზიანებათა უთვალავ ჩაოდენობას შეიცავს, და აუდიტორიაში ყველა ამ გარემოსთან იმყოფება ურთიერთობაში.

ვნახოთ, როგორია თითოეული სუბიექტის ცნობიერების შინაარსი, ცნობიერებას, რომელიც სწორედ ამ გარემოს ასახვას უნდა წარმოადგენდეს. პირველი, რაც ამ შემთხვევაში იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ეს ისაა, რომ ჩვენ ერთ პირსაც ვერ ვნახავთ ისეთს, რომ ყველა ამ გამღიზიანებლის შესატყვისი განცდები ჰქონდეს, და, მაშ, მასზე მოქმედ გარემოს უკლებლივ ასახავდეს. ჰკითხეთ თათოეულს:

რა ხმა ისმოდა ეზოდან, რას მღეროდნენ სტუდენტები, რა ფერის პალსტუხი პქონდა ლექტორს, დაფაზე რა ეწერა, — და თქვენ დაინახავთ, რომ, ჩვეულებრივ, როგორც წესი, ასეთ კითხვებზე პასუხს ვერავენ მოგვემსთ. დიდი უმრავლესობა მხოლოდ იმას აღნიშნავს, თუ ლექტორი რაზე ლაპარაკობდა. რაც შეეხება სხვა გამღიზიანებლებს, ზოგზე აბსოლუტურად ვერაფერს იტყვის, ხოლო ზოგის შესახებ შეიძლება ასე თქვას: რაღაც კი ისმოდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევიაო.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ უამრავი გამღიზიანებლიდან, რომელიც ადამიანზე მოქმედებს, ცნობიერებაში მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი პოულობს თავის ანარეკლს. მაშასადამე, ჩვენი ცნობიერება ყოველს მონაცემ მომენტში ჩვენზე მოქმედი ზინამღვილის მხოლოდ სრულიად განსაზღვრულს მონაკვეთს ასახავს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მისი არე ვიწრო იყო და ყველაფერს, რაც ჩვენზე მოქმედებს, ვერ იტყვევებს. ეს გარემოება ჯერ კიდევ პერტარტმა აღნიშნა, და მას შემდეგ იგი „ცნობიერების სივიწროვის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მეორე, რაც ჩვენი მაგალითიდან ჩანს, ეს ისაა, რომ ზინამღვილის ის მცირე მონაკვეთიც კი, რომელიც ცნობიერებაშია ასახული, ერთნაირი სიციხადით არ განიცდება. რას ამბობდა ლექტორი, ეს ნათლად აქვს სუბიექტს წარმოდგენილი. მაგრამ რაც შეეხება, მაგალ., სიმღერას, ამის შესახებ მას მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ რაღაც სიმღერა მართლა ისმოდა, ხოლო რა სიმღერა, ამას ვერ გეტყვიან; სამაგიეროდ, უკეთეს ცნობებს იძლევა იგი ლექტორის შესახებ: ის ნამდვილად ხედავდა მას. მისი ხმის შესახებ: მას მშვენიერად ესმოდა ეს ხმა; იმის შესახებ, რომ ლექტორმა დაფაზე ფორმულა დასწერა...

მაშასადამე, ცნობიერების ცენტრში მოქცეულია ერთი რომელიმე განცდა, რომელიც მაქსიმალური ზინათლით ხასიათდება. დანარჩენი განცდები მის ირგვლივ არიან განაწილებული, და მით უფრო მეტი ზინათლი აქვთ, რაც უფრო ახლო დგანან მასთან.

მაგრამ ასეთს სურათს მხოლოდ ისეთი სუბიექტების ცნობიერება იძლევა, რომელთა აქტივობაც ლექციის მოსმენაში მდგომარეობდა. მაგრამ, ვთქვათ, აუდიტორიაში ისეთი პირებიცაა, რომელთაც თუნდ დროებით, მაგრამ მაინც სხვა მიზანდასახულება აქვთ, მაგალითად, ერთერთს თავისი მუდმივი კალამი გაფუჭებულია; იგი ნაწილებად შლის მას და ფრთხილად ასწორებს. რა უნდა ითქვას მისი ცნობიერების შინაარსის შესახებ? იგივე, რაც სხვების შესახებ: აქაც ზინამღვილის სულ მცირე მონაკვეთი განიცდება

ნათლად და მკათიოდ, ან ამ მცირე მონაკვეთის განცდას უკავია ცენტრალური ადგილი და მთელი ცნობიერების შინაარსის მის ირგვლივ თაემოყრილი. რაც მას არ ეხება, ის ცნობიერებაში ადგილს ვერ პოულობს. რაც ახლოსაა, განსაკუთრებით ნათლად განიცდება, რაც შორს — უფრო ბუნდოვანად.

ერთი სიტყვით, ცნობიერების აღნაგობა, სტრუქტურა აქაც ისეთია, როგორც სხვა შემთხვევაში. მაგრამ განსხვავებაც დიდია; და ეს განსხვავება შინაარსს ეხება: აქ ცენტრალური ადგილი ცნობიერებაში ლექციის შინაარსს კი არა, იმ მანკულაციებს, იმ მოტორულ აქტებს უკავია, რომელსაც სუბიექტი თავისი მიზნის მისაღწევად, კალმისტრის მექანიზმის გასასწორებლად, მიმართავს. დანარჩენი მისთვის თითქოს აღარაფერი არ არსებობს: სანამ იგი თავის საქმეშია გართული, მას აღარც ლექტორის ხმა ესმის, არც გარედან სიმღერისა და არც სხვა რამე.

ანალოგიურ მდგომარეობაში, შესაძლოა, სხვებიც იყვნენ. მაგალ., ერთერთი ძალიან ცდილობს უსმინოს ლექციას, მაგრამ ვერ ახერხებს: მას თავში უტრიალებს ის ამოცანა, რომელიც აგერ მეორე დღეა ვერ გადაუჭრია. აი, თითქოს სწორედ ეხლა მონახა სწორი გზა... ამ პირის ცნობიერებაში რომ ღიახედოთ, ნახავთ, რომ აქ ნათელ შინაარსს მხოლოდ ამოცანის შესახები აზრები წარმოადგენენ. რაც შეეხება ყველაფერს დანარჩენს, ეს თითქოს მთლიანად მისი ცნობიერების ფარგლებს გარეთ რჩება.

ყველა ასეთ შემთხვევაში ჩვენ ყურადღების შესახებ ვლაპარაკობთ: რაც ჩვენი ცნობიერების ცენტრშია მოთავსებული და რაც ნათლად განიცდება, ეს სწორედ ისაა, რასაც ყურადღებას ვაქცევთ; ხოლო რაც ობიექტურად არსებობს, მაგრამ ჩვენი ყურადღების საგანი არ გამხდარა, იგი ჩვენი ნათელი ცნობიერების ფარგლებს გარეთ რჩება. ამრიგად, ყურადღების პროცესის დამახასიათებელი მოვლენები შემდეგია: სინამდვილის რომელიმე მონაკვეთის ნათელი განცდა; მისი გადაქცევა ცნობიერების გაბატონებულ შინაარსად; დანარჩენი შინაარსების მასთან დაკავშირებით განცდა. ადამიანის ენერჯიას მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია იმოქმედოს, და ყურადღების მდგომარეობა, ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ჩვენი ენერჯიის მობილიზაცია ამ გარკვეული მიმართულებით ხდება.

2. ყურადღება როგორც აქტი. აქედან ნათელია, რომ ყურადღების დახასიათება, როგორც ფსიქიკური შინაარსის მდგომარეობისა, უმართებულოა. ტიჩენერი, ებინგჰაუსი და ზოგიერთი სხვა ფსიქოლოგიც ყურადღებაში ჩვენი ცნო-

ბიერების შინაარსის თავისებურ მდგომარეობას სქვერეტდნენ: ყურადღება ამ შინაარსის სინათლისა და სიცხადის ხარისხს წარმოადგენს, მეტს არაფერსო, — ამბობდნენ ისინი. სუბიექტი ამ შემთხვევაში სრულიად განზე იყო დატოვებული. ნამდვილად კი ყურადღების განცდაში უექველად სუბიექტის მონაწილეობაც იგულისხმება: ცნობიერების შინაარსის სინათლისა და სიცხადის ნიშნები განიცდება როგორც მეორადი მოვლენები, რომელნიც სუბიექტის წყალობითა და სუბიექტისთვის არსებობს.

ყურადღება შინაარსი კი არაა; იგი აქტია, რომელსაც სუბიექტი ასრულებს. რასაკვირველია, იგი ყოველთვის გარკვეული შინაარსის სახით იჩენს ხოლმე თავს, და შინაარსის გარეშე მისი დახასიათება შეუძლებელია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი შინაარსის გარკვეული ნიშნების მეტს არაფერს წარმოადგენს, არამედ იმას, რომ არსებობს სუბიექტიდან, მე-დან მომდინარე ძალა, რომლის დინამიკაც ფსიქიკური შინაარსის გარკვეულ ცვლილებებს იწვევს; იმ ცვლილებებს, რომელიც ამ მე-ს, ამ სუბიექტის მიზნებისთვისაა საჭირო.

სინამდვილის ამა თუ იმ მონაკვეთის ნათელი განცდა სუბიექტს ხომ იმისათვის სჭირია, რომ თავისი აქტიობა უფრო მიზანშეწონილად წარმართოს. აქედან გასაგებია, რომ ყურადღების შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ მიზანდასახულებას, მიზნის ცნობიერებას აქვს.

ამისდა მიხედვით, ყურადღება ჩვენი ცნობიერების რომელიმე შინაარსის მდგომარეობა კი არაა; არა, იგი სუბიექტის აქტია, რომელიც ქცევასთანაა არსებითად დაკავშირებული და მისი ნაყოფიერების წინასწარ პირობას წარმოადგენს.

ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ ყურადღებას არ ჩვეითი ხასიათი აქვს. გარე-სინამდვილის მრავალფეროვან გაღიზიანებათაგან ცნობიერებისაკენ მხოლოდ ზოგიერთი იკვლევს გზას, და ამიტომაც, რომ მათლად და მკაფიოდ ამ სინამდვილის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი განიცდება, მაშინ როდესაც დანარჩენი სიბუნელეში რჩება. გასაგები ხდება ისიც, რომ სუბიექტის ცნობიერებაში მხოლოდ ის პოულობს თავის ასახვას, რაც მთლიანობაში ერთიანდება: წარმოდგენები, აზრები, მოქმედებები ერთს მთლიან სისტემას ქმნიან და ყურადღების შინაარსში მხოლოდ ამ სახით შედიან.

8. ყურადღების სახეები. იმისდა მიხედვით, თუ რა აქტიობასთან გვაქვს საქმე, შეიძლება კაცმა ყურადღების გამოვლენის სამი სახეობა გაარჩიოს: გრძნობადი (სენსორული) ყურადღება, მო-

ტორული ყურადღება და ინტელექტუალური ყურადღება.

1) სენსორული ყურადღება, როდესაც ადამიანს ჰკვრეტის აქტები აინტერესებს: ვთქვათ, სიმღერას ისმენს, ან კინოფილმს სჰკვრეტს, მაშინ მისი მიზანი პირველ რიგში ისაა, რომ რაც შეიძლება ნათელი სენსორული განცდები მიიღოს. ამიტომაც მისი ენერჯიის მობილიზაცია სწორედ ამ მიმართულებით წარმოებს. ეს პირველ რიგში სხეულებრივ პროცესში იჩენს თავს: გარედან მომდინარე აღსაქმელი გამლიზიანებელი თვითონ იწვევს ორგანიზმში რეფლექტორულად გარკვეულ რეაქციას, რომელიც აღქმის მიღებას აადვილებს. მაგალ., როდესაც სინათლის სხივი ბადურას პერიფერიულ ნაწილს ხვდება, თვალი იმწამსვე თვითონ მიტრიალდება ისე, რომ სხივი საუკეთესო მხედველობის არეში მოხვდეს. როდესაც საიდანმე რაიმე ბგერა ისმის, ჩვენ იმწამსვე, რეფლექტორულად, თავს იქეთ მივატრიალებთ, საიდანაც ხმა მოდის. ერთი სიტყვით, გამლიზიანებელი თვითონ იწვევს რეფლექტორულად, სწორედ ისეთს სხეულებრივ ცვლილებებს, რომელიც ნათელი აღქმისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

რეფლექსოლოგიის თვალსაზრისით, ყურადღება ამ რეფლექსური პროცესების, ამ სხეულის აღსაქმელად მოწყობის მეტს არაფერს წარმოადგენს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში სენსორული ყურადღების მხოლოდ ერთერთს მნიშვნელოვან პირობასთან გვაქვს საქმე, და არა თვითონ ყურადღებასთან საზოგადოდ. ბიულერმა სამართლიანად მიუთითა, რომ ოპტიკურად სურათი შეიძლება მაქსიმალურად ნათელი იყოს, მაგრამ ბევრს მის მომენტს ყურადღებას ვერ ვაქცევდეთ: გარდა პერიფერიული პროცესებისა, ყურადღება ცენტრალურ პროცესებსაც გულისხმობს.

2) მოტორული ყურადღება, იმისდა მიხედვით, თუ რისი მოძრაობა შეადგენს მის საგანს, სხვადასხვაგვარია. როდესაც ადამიანი ცეკვავს, მისი ცნობიერების შინაარსი ფეხებისა და სხეულის სათანადო მოძრაობებზეა კონცენტრირებული. კიდევ უფრო ნათლად ჩანს მოტორული ყურადღების თავისებურება სპორტული შეჯიბრების სხვადასხვა შემთხვევაში: მაგალ., ფეხბურთის თამაშში, ანდა კიდევ სწრაფ რბენაში, ყურადღება მაქსიმალურადაა დაძაბული, და წარმატება აქ ზოგჯერ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს სპორტსმენი თავისი ყურადღების ხანგრძლივად ასეთს დაძაბულ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

რასაკვირველია, სხეულის სათანადოდ მომართვას აქ კიდევ უფ-



რო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სენსორული ყურადღების შემთხვევაში. შეიძლება ითქვას, რომ მთელი შეჯიბრების პროცესი არა მარტო სხეულის სათანადო ნაწილის, ვთქვათ, ფეხების მუსკულატურის სათანადო წარმართვაში მიმდინარეობს, არამედ ამასთან ერთად მთელი სხეულის მუსკულატურის შესატყვის რეგულაციაშიც. სხეულის მომართვის როლი მოტორული ყურადღების პროცესში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მოსამზადებელ მომენტში ჩანს, იმ მომენტში, როდესაც, მაგ., სწრაფ მარბენალნი შეჯიბრების დაწყების სიგნალს ელოდებიან, რათა ნიშნის მოცემასთან ერთად მყის ადგილს მოსწყდნენ. აქ მთელი მათი ორგანიზმი თავისებურს დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა ჯერ კიდევ უძრავად ერთ ადგილზე დგანან.

უეჭველია, მოტორული ყურადღება დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, და რაც უფრო დაბალ საფეხურს ავიღებთ განვითარებისას, მით უფრო დიდია ეს როლი. მიუხედავად ამისა, მოტორული ყურადღების შესახებ მხოლოდ შედარებით ახალ ხანაში დაიწყეს ლაპარაკი: ტრადიციული, კლასიკური ფსიქოლოგია უფრო სენსორული ყურადღებით იყო დაინტერესებული, და, საზოგადოდ, ყურადღების იმ ფორმებით, რომელიც ადამიანის სტატიკური მდგომარეობისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე დინამიკურისათვის.

3) ინტელექტუალური ყურადღება. ვთქვათ, ვისმე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, წინასწარ რაიმე ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: მაგალითად, მან ჯერ კიდევ არ იცის, როგორ სჯობს მონაცემ სიტუაციაში მოქმედება. ასეთ შემთხვევაში მისი ყურადღება მოქმედებისაკენ კი არა, სხვა მხრივ წარიმართება: იგი სხვადასხვა მოსაზრებას გაითვალისწინებს ამა თუ იმ შესაძლო მოქმედების სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ, და შეიძლება ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს, სანამ სუბიექტი მოქმედების ერთერთ გზას აირჩევდეს. .

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მოქმედების ეს წინასწარი პერიოდი თანდათანობით რთულდებოდა, და, ბოლოს, იგი, გონებრივი შრომის სახით, ქცევის ცალკე, დამოუკიდებელ ფორმად იქცა. ინტელექტუალური ყურადღება ადამიანის კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს: იგი იმას კი არ ეხება, რაც აქტუალურადაა მოცემული — აქტუალურ გამლობიანებლებს ან აქტუალურ მოძრაობებს; არა, იგი იმას ეხება, რაც მხოლოდ აზრად ან საზოგადოდ წარმოდგენად შეიძლება ჰქონდეს ადამიანს.

სხელი რომ აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ეს იმ სპეციფიკური მდგომარეობიდან ჩანს, რომელშიც იგი ღრმა აზროვნების დროს იმყოფება: ჯემსის დაკვირვებით, ამ შემთხვევებში სხელი სწორედ იმ გამართულობის საწინააღმდეგო სურათს იძლევა, რომელსაც იგი სენსორული ყურადღების შემთხვევაში ღებულ-ობს.

## ყურადღების თვისებები

თუ ყურადღება ცნობიერების შინაარსის სინათლესა და სიცხადეში იჩენს თავს, მაშინ, უეჭველია, მას ინტენსიობის საფეხურებიც ექნება, რომლის მიხედვითაც ცნობიერების შინაარსის სინათლისა და სიცხადის დონე იცვლება. გარდა ამისა ყურადღებას განსაზღვრული მოცულობა აქვს ე. ი. შინაარსის მეტნაკლები რაოდენობა, რომელზეც იგი ვრცელდება. დასასრულ, ყურადღებას შეიძლება უფრო ხანგრძლივი ან ნაკლებ ხანგრძლივი მოქმედების უნარი ჰქონდეს; მაშასადამე, მას ტემპორალური თვისებებიც აქვს: კონსტანტობა და ლაბილობა, სწრაფი შეგუება და ნელი.

განვიხილოთ თვითეული ეს თვისება ცალკე.

1. ყურადღების ინტენსიობის საკითხი. ყურადღების ინტენსიობა არა მარტო სხვადასხვა ადამიანს აქვს სხვადასხვანაირი, არამედ ერთსადამიანვე პირსაც განსხვავებული აქვთ თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში და პირობებში: ჩვენი აზრები და წარმოდგენები ხან არაჩვეულებრივ თვალსაჩინო სიცხადით ხასიათდებიან, ხან კიდევ საკმაოდ დიდი გაურკვევლობითა და ბუნდოვანობით. ერთი სიტყვით, ჩვენი ცნობიერების დონეს ყოველთვის ერთგვარი მერყეობა ახასიათებს, რომელიც ნორმალურ ფარგლებში ყურადღების მერყეობად შეიძლება ჩაითვალოს.

მასზე შემდეგი ფაქტორები ახდენენ გავლენას: 1) ემოციური განცდები: საშუალო ინტენსიობის აგზნებითი შინაარსის ემოცია, მაგალ., სიხარული, ხელს უწყობს ყურადღების ინტენსიობას, ხოლო საწინააღმდეგო შინაარსის განცდა ხელს უშლის და აქვეითებს მას. 2) გონებრივი დაღლილობა აქვეითებს ყურადღების აქტიობის დონეს. ჩვენი რეაქციები ნელდება და სიზუსტეს კარგავს, სენსორული კოორდინაციები ქვეითდება, გრძნობათა ორგანოების გრძნობიერება სუსტდება, გონებრივი მუშაობა ნაკლებ პროდუქტიული ხდება. 3) კვებასა და სხვადა-

სხვა ფარმაკოლოგიურ ნივთიერებას სხვადასხვანაირი გავლენა აქვს აქტიობის სხვადასხვა ფორმაზე. 4) გარე პირობების, მაგალ., სეზონის, ადგილმდებარეობისა და სხვათა გავლენა ჩვენი აქტიობის ნაყოფიერებაზე ყოველ ექვს გარეშეა. 5) გავლენა აქვს აგრეთვე დღეღამის სხვადასხვა პერიოდს: ზოგიერთისთვისაა ყურადღების მუშაობა განსაკუთრებით დილით არის ინტენსიური, ზოგისათვის — საღამოს, ზოგისათვის მაქსიმალურ დონეს იგი დღის შუაგულს აღწევს, ზოგისათვის — მხოლოდ შუაღამისთვის.

**2. ყურადღების მოცულობა.** სენსორული ყურადღების მოცულობა. „ცნობიერების სიეიწროვის“ გამო აღამიანის ყურადღება მოვლენათა თუ ობიექტთა მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას ეხება. მაშასადამე, იგი იძულებულია გარემოს უფაღავ გამღიზიანებელთა შორის მხოლოდ ზოგიერთი შეარჩიოს. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორია აღამიანის ყურადღების მოცულობა? რამდენი შთაბეჭდილება შეიძლება თანაბარი სინათლით განვიცადოთ ერთდროულად, მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში?

ამ საკითხის შესასწავლად არა ერთი ცდა ყოფილა დაყენებული — პირველ რიგში სენსორული ყურადღების მოცულობის გამოსარკვევად.

ამ მიზნისათვის, ჩვეულებრივ, ტაქისტოსკოპს იყენებენ, აპარატს, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ ოპტიკურ შთაბეჭდილებათა მომენტანური მიწოდება შეუძლია. სხვადასხვა გამოკვლევათა შედეგად, აღმოჩნდა, რომ აღამიანს ერთდროულად ექვსი მარტივი შთაბეჭდილების გარჩევა შეუძლია: მაგალითად, ექვსი წერტილის, ექვსი ასოსი ან ციფრის. ხოლო როდესაც ექვსზე მეტი ელემენტია, მაშინ ვიბნევიან და რამდენია ვერ ვარჩევთ... შემდგომი ცდებიდან გამოიკვია, რომ ელემენტებას რაოდენობას მნიშვნელობა არა ჰქონია: როდესაც ცდისპირს აწოდებენ რთულ ერთეულს, რომელიც რამოდენიმე ელემენტს შეიცავს, იგი აქაც ექვს ერთეულს ამჩნევს: მაგალ., ოთხ-ოთხი ან ექვს-ექვსი წერტილი რომ ისე გავანაწილოთ, რომ რაიმე ერთეულს წარმოადგენდეს (მაგალითად, ოთხკუთხედს...), ცდისპირი ექვს ასეთ ფიგურას გაარჩევს. მაშასადამე, ის ექვს წერტილს კი არა, შეუღარებლად მეტს (ექვსჯერ ექვსს) შეამჩნევს. ცალკე სიტყვებს მიაწოდებ ცდისპირს თუ ცალკე ასოებს, სულერთია, მისი ყურადღების მოცულობა ორივე შემთხვევაში ექვსი ერთეულით განისაზღვრება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების შემთხვევაში ასოების რიცხვი გაცილებით მეტია (ვუნდ-

ტი ს მიხედვით, სამჭერ მეტი), ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირს ცალკე შეუკავშირებელ ასოებს ვაწოდებთ.

აქედან ნათელია, რომ წინანდელი ფსიქოლოგიის რწმენა, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ელემენტებზეა დამოკიდებული, ე. წ. „ელემენტების ფსიქოლოგი“-ის რწმენა, შემცდარია: ჩვენს ყურადღებას ელემენტები კი არ აინტერესებს, არამედ მთლიანი „გემეტალები,“ ე. ი. ის, რასაც სუბიექტისათვის რაიმე აზრი შეიძლება ჰქონდეს, იმიტომ რომ იგი ქცევასთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ ამ ექვსიოდე ერთეულის გვერდით სხვა ელემენტების შემჩნევაც ხდება, მაგრამ ძალიან ბუნდოვანად. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ცნობიერების სტრუქტურა ყურადღების მუშაობის შემთხვევაში სწორეთ ასეთია: არსებობს განსაკუთრებით ნათელი შინაარსი და მის გვერდით ნაკლებ ნათელი, იმისდა მიხედვით. თუ რამდენად ახლოს დგას იგი ცნობიერების გაბატონებულ შინაარსთან.

ვესტფალის გამოკვლევის მიხედვით, არსებობს ცნობიერების რამოდენიმე საფეხური, რომელიც საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა სამი საფეხური: 1) უბრალო მოცემულობის საფეხური იმაში მდგომარეობს, რომ, მაგალითად, ცდისპირა ფიგურის ფორმას ამჩნევს, ხოლო ფერს ვერა, თუმცა იცის, რომ ფიგურას ფერიც აქვს. მაშასადამე, ცნობიერების შინაარსს ფერის მოცემულობა შეადგენს და არა მისი რაგვარობა. 2) მეორე საფეხური შემჩნევის საფეხურია ე. ი. სუბიექტი რაიმე თვალსაზრისით აღიქვამს ამ ფიგურას, ვთქვათ, ფორმის თვალსაზრისით. დასასრულ, როდესაც შემჩნეულის ფიქსაცია ხდება სიტყვის საშუალებით, მაგალითად, ვამბობთ: „სამკუთხედი“, მაშინ უკვე 3) კონსტატაციის ანუ დადასტურების საფეხური გვაქვს. სენსორული ყურადღების მოცულობის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ცნობიერების ასეთი საფეხურები უკველად არსებობს.

მ. ყურადღების განაწილების საკითხი. სენსორული ყურადღების მოცულობის საკითხს ჩვენ ხანაში აქტუალური ინტერესი აღარ აქვს. თუ წინათ, ვუნდტის დროს, სენსორული ყურადღების მოცულობის შესახებ გამოკვლევათა დიდი რიცხვი ქვეყნდებოდა, ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. მაგრამ თუ ყურადღების მოცულობის პრობლემა დღესაც წარმოადგენს ზოგჯერ ინტერესს, ეს სულ სხვა მიზეზის გამო ხდება, ვიდრე წინათ. დღეს უფრო პრაქტიკული ხასიათის საკითხი დგას ფსიქოლოგთა წინაშე. ადა-

მიანი სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს, მაგრამ ცნობილია, რომ რაც უფრო მეტია ოპერაციების რიცხვი, რომელთაც ჩვენ ერთდროულად მივმართავთ, მით უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა თითოეულ მათგანს. მაშასადამე, შეიძლება ასე დადგეს საკითხი: ხომ არ არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთა ერთად შესრულება შედარებით ადვილია, და ისეთი ოპერაციები, რომელთა შესრულება მხოლოდ ცალცალკე შეიძლება? ამ საკითხს განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დიდი: არსებობს მთელი რიგი პროფესიებისა, რომელნიც სხვადასხვა ოპერაციის ერთდროულ შესრულებას გულისხმობენ. იმისათვის, რომ ამ პროფესიების რაციონალური ორგანიზაცია მოხდეს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმის ცოდნას, თუ რა ოპერაციები შეიძლება წარმატებით სრულდებოდეს ერთდროულად და რა ოპერაციები უნდა ჩამოშორდნენ ურთიერთს.

ამრიგად, ჩვენს წინაშე ყურადღების კონცენტრაციისა და დისტრიბუციის საკითხი დგება. მაგრამ არა ცალკეული სენსორული ელემენტების, არამედ მთლიანი ოპერაციების მიმართ.

უკვე დიდი ხანია შენიშნულია, რომ ყურადღების ეს ორი გამოვლენის ფორმა, მისი კონცენტრაცია, ერთის მხრივ, და დისტრიბუცია, ე. ი. სხვადასხვა შინაარსზე განაწილება. მეორის მხრივ: გარკვეულს. კანონზომიერ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ურთიერთთან, სახელდობრ: რაც უფრო დიდია ყურადღების კონცენტრაცია, მით მცირეა მისი დისტრიბუცია და. პირიქით, რაც უფრო დიდია დისტრიბუცია, მით უფრო მცირეა თითოეულს შინაარსზე ყურადღების კონცენტრაცია.

მაგრამ ამ დებულებას კანონის ხასიათი არა აქვს. არსებობს ოპერაციები. რომელთა გაერთიანებაც არა მარტო ადვილია, არამედ ხელსაყრელიცაა. ამ შემთხვევაში „კანონი“ ირღვევა და სრულიად საწინააღმდეგო შინაარსს ღებულობს: რაც უფრო დიდია განსაზღვრულ ფარგლებში დისტრიბუცია, მით უფრო მეტია კონცენტრაცია. ეს ნათლად ჩანს მაკდაუგოლის, მოიმანის და განსაკუთრებით გ. ბაქრაძის ცდებიდან. ცდისპირს გარკვეული ამოცანა ეძლევა შესასრულებლად და ამავე დროს რაიმე მეორე ოპერაცია ევალება. აღმოჩნდა, რომ არსებობს ოპერაციები, რომელნიც ხელს კი არ უშლიან, არამედ, პირიქით, ხელს უწყობენ ყურადღების კონცენტრაციას: უამოპერაციებოდ ცდისპირის ყურადღება ნაკლებად ეფექტური იქნებოდა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მას ამ მეორე ოპერაციის შესრულებაც ევალება.

მეორის მხრივ, შენიშნულია, რომ არსებობს ოპერაციები, რომელთა ერთად შესრულებაც ხელს არ უშლის მათ; მაგალ., ე. წ. ავტომატური ოპერაციები, როგორცაა სიარული, სუნთქვა და სხვა ასეთები, სრულიად არ აფერხებს, მაგალ., აზროვნებას, პიანინოზე დაკრას, სურათის კერეტას. ერთი სიტყვით, რაც უფრო ადვილია ოპერაციები, მით უფრო ნაკლებ აფერხებენ ისინი ერთმანეთს. ავტომატური ოპერაცია, თანდაყოლილი იქნება იგი თუ შეძენილი, ჩვეულებრივ. თითქმის სრულიად არ მოითხოვს ყურადღებას. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ასეთი ოპერაციების შეთავსება ადვილია. სამაგიეროდ, როდესაც თითოეული ცალკე ოპერაცია საგანგებო ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს, მაშინ კონკურენცია მათ შორის აუცილებელი ხდება, და მათი ერთდროული შესრულება ძნელდება. მაშ, საქმე იმას ეხება, თუ რამდენად აუცილებელია კონკურენცია ერთდროულად შესასრულებელ ოპერაციებს შორის.

ამ თვალსაზრისით, ყურადღების დისტრიბუციისა და კონცენტრაციის საკითხის სწორი გადაწყვეტა შედარებით ადვილი ხდება. როგორც ვხედავთ, სხვა მდგომარეობაა, როდესაც სუბიექტი ოპერაციებს ასრულებს, რომელთა შორისაც გარკვეული კონკურენცია წარმოებს, და სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც ასეთ კონკურენციას ნაკლებ აქვს ადგილი. მაშასადამე, ყურადღების დისტრიბუციის ორი შემთხვევა უნდა გაეარჩიოთ: 1) როდესაც ოპერაციები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან და მეტოქეობას არ უწივენ, მაშინ კონცენტრაციისა და დისტრიბუციის ძალა ურთიერთის საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული. 2) როდესაც ადგილი აქვს ასეთ წინააღმდეგობას, მაშინ კონცენტრაციისა და დისტრიბუციის ურთიერთობა უკუპროპორციულია.

ბუნებრივად იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა ოპერაციათა შორის კონკურენციის შენელება ან მოსპობა? თუ მდგომარეობა უფრო ისეთია, რომ, თუ კი რაიმე წინააღმდეგობა არსებობს ოპერაციათა შორის, ეს წინააღმდეგობა აბსოლუტურია და მარადიული, და მისი შენელება შეუძლებელია?

ამ საკითხზე პასუხი ძნელი არაა. თუ რომ ძველს თვალსაზრისზე დავრჩებით — „ელემენტთა ფსიქოლოგიის“ მექანიკურ თვალსაზრისზე — მაშინ იძულებული ვიქნებით, აღვიაროთ, რომ, რაც არის, არის: თუ ერთი ოპერაცია მეორეს ეწინააღმდეგება, ამას ვერაფერს უშველი: კონკურენცია მათ შორის აუცილებელი იქნება.

მაგრამ დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ ეს შეხედულება სწორი არაა. ყველაფერი პირობებზე და გარემოზეა დამოკიდებული: ცალ-

კეული ოპერაცია, როგორც რომელისამე უფრო მაღალი მთლიანი ოპერაციის ნაწილი, სხვაა, და იგივე ოპერაცია ცალკე. როგორც დამოუკიდებელი მთლიანი, სხვა. თუ ვიგულისხმებთ, რომ ორი დამოუკიდებელი ოპერაცია ერთს, უფრო ფართო მთლიანს ოპერაციაში ერთიანდება, როგორც ამ მთლიანის ნაწილობრივი მომენტები, მაშინ, შესაძლებელია, მათ შორის წინააღმდეგობის აღარაფერი დარჩეს: შესაძლებელია ერთი მთელის ნაწილებმა ხელი კი არ შეუშალონ, არამედ დაეხმარონ კიდევ ურთიერთს. საკმარისია ოვალი გადავავლოთ ადამიანის რომელსამე მეტად თუ ნაკლებად რთულ ოპერაციას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს დებულება სწორია. განსაკუთრებით დემონსტრაციულია ამ მიზნისათვის ასეთი რთული ოპერაციის შესწავლის ისტორია. სურათი თითქმის ყოველთვის ასეთია: ჭერ სუბიექტს ცალკე ნაწილობრივი ოპერაციების შესრულება უჭირს, მაგრამ მერე, თითქოს ერთბაშად, იგი მათს გამთლიანებას ახერხებს, და ამის შემდეგ მათი ერთდროული შესრულება არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ამას კოორდინაციას უწოდებენ. და მართლაც, ადამიანის განვითარების მთელი პროცესი სულ უფროდაუფრო შორეულ ოპერაციათა კოორდინაციაში, ანდა უკეთ, ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა შ ი მდგომარეობს. ჩვენ სულ უფროდაუფრო სრულმთლიანებს ვეძებთ და ამით ნაწილობრივის შესრულების საქმეს ვიადვილებთ. ამის მარტივ მაგალითს, ვთქვათ, ველოსიპედის სწავლა წარმოადგენს. როდესაც პირველად ვვადებთ ველოსიპედზე. ჩვენი სხეულის მომართვა მთლიანად. ხელების მოძრაობა, ფეხების, მხედველობის მუშაობა და სმენისაც ცალკე ოპერაციებს წარმოადგენენ, რომელთაც ჭერ კიდევ არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. მაგრამ თანდათანობით ჩვენ ყველა ამ მოძრაობათა ისეთს ორგანიზაციას ვახერხებთ, რომ ისინი ერთი მთლიანი ოპერაციის ნაწილობრივ მომენტებად იქცევიან. ამ დროიდან ველოსიპედით სიარული თითქმის სრულიად აღარ გეიჭირს: მასში შემავალი ნაწილობრივი ოპერაციები სრულიად აღარ უშლიან ხელს ურთიერთს. ასეა ყველა სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, შოფერობას ვსწავლობთ. რამდენი ცალკე ოპერაციები შედის ამ რთულ საქმეში! ხელის სათანადო მოძრაობები, ფეხის, თვალყურის დევნება ქუჩაზე მიმავალი ხალხის, ეტლების, ავტოების, სიგნალის... ჩვენი ყურადღება ათასსა და ათათასს შთაბეჭდილებაზე უნდა გავრცელდეს, მათ შორის უნდა განაწილდეს. მაგრამ თანდათანობით ყველა ეს მოძრაობა და ოპერაცია ურთიერთს უკავშირდება და მთლიანდება. შოფერის ხელობის სწავლა ამ ოპერაციების ორგანიზაციაში. მათს გამთლიანებაში მდგომარეობს.

მას შემდეგ, რაც ასეთი გამთლიანება ფაქტად იქცევა, ეს მრავალფეროვანი მოძრაობები ურთიერთს კონკურენციას კი აღარ უწევენ, არამედ, პირიქით. შეიძლება ერთგვარად ეხმარებოდნენ კიდეც ერთმანეთს.

რასაკვირველია. ოპერაციების ეს გამთლიანება უბრალო შეჯამების. უბრალო შეერთების გზით არ ხდება. არა, ოპერაციების ასეთ ორგანიზაციას წინასწარი საფუძველი ესაჭიროება, და ეს საფუძველი თვითონ სუბიექტის, როგორც მთელის, სპეციფიკურ ცვლილებაში მდგომარეობს. განწყობაში, რომელიც მასში სწავლის პროცესში მუშავდება. ე. წ. ყურადღების განაწილება, ამისდა მიხედვით. იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი, რაც ვთქვათ. შოფერის საქმეში ლებულობს მონაწილეობას, ყურადღების საგანს წარმოადგენდეს, ყურადღება ყველაზე თანაბრად ვრცელდებოდეს: ყურადღების ასეთი განაწილება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. არა, ყურადღების განაწილება ორგანიზაციას. გამთლიანებას ნიშნავს. როგორც სენსორულ ყურადღებას ცალკე აღებულის მხოლოდ ექვსი ასოს შემჩნევა შეუძლია. ხოლო, თუ ცალკე ასოების ნაცვლად, სიტყვებს ავიღებთ, სამჯერ მეტის (ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ორმოცისადაც), პრინციპულად ასევეა ე. წ. ყურადღების განაწილების შემთხვევაშიც: სადაც ოპერაციების ერთ ნივთსავე გაერთიანება და გამთლიანება ხერხდება. ყურადღების განაწილებაზე მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი.

მაგრამ ყველგან და ყოველთვის ეს არ ხერხდება. არის ოპერაციები, რომელნიც თავისთავად იმდენად დამოუკიდებელს მთლიანს წარმოადგენენ, რომ მათი ერთი რომელიმე რთული მთლიანის ნაწილებად გაერთიანება არ ხერხდება. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ისეთ შემთხვევებს, როდესაც ამგვარი ოპერაციების ერთდროულად შესრულებაზეა ლაპარაკი, მრავალმაგ მოქმედებას უწოდებენ (Mehrfachhandlung).

ასეთი მრავალმაგი მოქმედების შემთხვევები საკმაოდ ბევრია ექსპერიმენტალურად შესწავლილი. შტერცინგერი (1927) თავის ცდისპირებს ერთდროულად ორს საკმაოდ დამოუკიდებელ საქმეს ავალებდა: მოთხრობის მოსმენას, რომელსაც მას უკითხავდნენ და რომლის შინაარსიც მას ბოლოს უნდა გადმოეცა, და ამავე დროს მარტივი რიცხვების რიგის შევსებას. შედეგი ასეთი აღმოჩნდა: როდესაც ორივე ეს ოპერაცია ერთდროულად სრულდებოდა, თითოეული მათგანის ნაყოფიერება ორთაშუა რიცხვით 35%-მდე



ტემოდა, ე. ი. ცდისპირის მუშაობის ნაყოფიერება ერთისაჲდ უარესდებოდა იმასთან შედარებით, რასაც იგი ამ ოპერაციების ცალცალკე შესრულების შემთხვევაში იძლეოდა.

ცნობილია პოლანის ძველი ცდებიც (1887), რომელიც ამავე საკითხის გადასაწყვეტად გამოდგება. გამოიჩვენა, რომ ორი შეუთავსებელი ოპერაციის ერთდროულად შესრულების ცდის შემთხვევებში ეფექტურობა თვალსაჩინოდ ქვეითდება. მაგალ., თუ მარჯვენა ხელით გარკვეული რიცხვების გამრავლებისათვის 8 სექუნდი აღმოჩნდა საკმარისი და მარცხენა ხელით მეორე რიცხვის გამრავლებისათვის 15 სექუნდი, ორივე ხელით ერთდროულად აქ ოპერაციების შესრულებას 38 სექუნდი დასჭირდა, ე. ი. გაცილებით მეტი დრო, ვიდრე საჭირო იქნებოდა, რომ ეს ოპერაციები ერთი მეორის შემდეგ ცალცალკე შესრულებულიყო ( $8 + 15 = 23$  სექ.).

სხვა ანალოგიური ცდების შედეგებს რომ თავი დაენებოთ, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ, საზოგადოდ, ისეთი დამოუკიდებელი ოპერაციების ერთდროულად შესრულების შემთხვევაში, რომელთა გაერთიანებაც ერთს რთულ საქმედ ვერ ხერხდება, ნაყოფიერება თვალსაჩინოდ ქვეითდება.

ბუნებრივად იბადება საკითხი: ხდება კი ასეთ შემთხვევებში ამ ოპერაციების ნამდვილად ერთდროული შესრულება, თუ ფაქტურად ერთდროულობის შესახებ ლაპარაკი აქ უმართებულოა?

არსებული გამოკვლევების მიხედვით, ეს საკითხი უფრო უარყოფითად უნდა გადაიჭრას: ორი ჰეტეროგენული სენსორული შთაბეჭდილება, რომელიც ერთს მთლიან შთაბეჭდილებად არ ერთიანდება, როგორც ჩანს, ორმაგ პერცეფციას მოითხოვს და, მაშასადამე, თანამიმდევრობით უფრო აღიქმება, ვიდრე ერთდროულად. როდესაც ეს თანამიმდევრობა სწრაფია, მაშინ, ჩვეულებრივ, სრული ერთდროულობის შთაბეჭდილება ჩნდება. რომ იქ. სადაც ერთდროულობას ვგულისხმობთ, სინამდვილეში სწრაფ თანამიმდევრობასთან გვაქვს საქმე, ამის სასარგებლოდ ის დაკვირვებაც ლაპარაკობს, რომ ცდისპირები, რომელნიც ერთდროული ოპერაციების შესრულებაში სჯობნიდნენ სხვებს, საქმიდან საქმეზე გადასვლასაც უფრო სწრაფად და უკეთ ახერხებდნენ.

ამიტომ განსაკუთრებული ინტერესის ღირსი ხდება საკითხი. თუ რამდენად სწრაფად შეიძლება ყურადღების ერთი შთაბეჭდილებიდან მეორეზე გადანაცვლების მოხერხება. ამ საკითხს ჭერ კი-

დევ ვუნდტი იკვლევდა. მისი მონაცემებზე მიხედვით, ამისათვის სეკუნდის ერთი მეათედია საკმარისი. ფელიგენჰაუერი სისტემატური გამოკვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ აკუსტიკური გამლიზიანებლიდან მეორე აკუსტიკურ გამლიზიანებელზე ყურადღების გადასატანად 0,32 სეკუნდია საჭირო, ტაქტილურიდან ტაქტილურზე — 0,31 სეკ., აკუსტიკურიდან ტაქტილურზე — 0,33 სეკ. მაგრამ აქ ხომ, რაც უნდა იყოს, მონათესავე შთაბეჭდილებებთან გვაქვს საქმე; და უეჭველია, როდესაც ყურადღება უფრო დაშორებულ შთაბეჭდილებებს ეხება, იქ უფრო მეტი დრო იქნება საჭირო.

4. ყურადღების ტემპორალური თვისებები. უეჭველია, რომ დრო გავლენას ახდენს ყურადღებაზე. ამაში, რასაკვირველია, არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს: ე. წ. გონებრივი დადლილობის ფაქტორებს შორის ყურადღება, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო როლს ასრულებს. დროის ფაქტორთან დაკავშირებით ყურადღების ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული გულისყურით შემდეგ კონკრეტულ საკითხებს იკვლევენ: 1) რამდენად სწრაფად ეგუება ყურადღება ახალ შთაბეჭდილებას? 2) რამდენად ხანგრძლივად შეიძლება ადამიანმა ყურადღება კონცენტრაციის ერთსაღიმავე დონეზე უცვლელად შეაჩეროს? 3) რამდენხანს შესწევს ყურადღებას ძალა, ხელისშემშლელ შთაბეჭდილებებს წინააღმდეგობა გაუწიოს?

ვნახოთ, როგორ სჭრის ამ საკითხებს თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგია.

ა) ყურადღების ადაპტაცია. ექსპერიმენტული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ, რათა ყურადღება ახალ გამლიზიანებელს შეეგუოს, განსაზღვრულმა დრომ უნდა განვლოს. ამისათვის, ჩვეულებრივ, 1-2" სთვლიან საკმარად.

უდაოა, რომ ყურადღების რომელსამე ობიექტზე შეჩერება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ობიექტის პირველად შემჩნევა. ალბათ, ბევრს ჰქონია ასეთი დაკვირვება: თვალი გაუყოლებია ჰაეროპლანისათვის ძალიან მაღლა, ჰაერში, მაგრამ როგორც კი მოუშორებია მისთვის თვალი, მერე ხელახლა მისი მოძებნა გაჭირვებია.

ყურადღების შეგუების (ადაპტაციის) სისწრაფე სხვადასხვა სუბიექტს სხვადასხვანაირი აქვს. არსებობს პროფესიების მთელი რიგი, რომელთათვისაც ყურადღების სწრაფი ადაპტაციის უნარი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასეთია, მაგალ., შოფერის პროფესია ან ტრამვაის ვატმანისა. ასეთი პროფესიების

ფსიქოლოგიური შემოწმებებიდან და დაკვირვებებიდან პირველ რიგში ყურადღების ადაპტაციის ორი საწინააღმდეგო ტიპის არსებობა გამოირკვა: აღმოჩნდა ხალხი, რომელიც მეტად სწრაფად და ადვილად ეგუება ყოველ ახალ შთაბეჭდილებას; მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთა ყურადღებაც ძალიან ზანტად იწყებს მუშაობას. გარდა ამ ორი საწინააღმდეგო ტიპისა, სხვა ჯგუფებიც არსებობენ: ა) ისეთები, რომელთა ყურადღებაც მხოლოდ დასაწყისში მუშაობს სწრაფად, ბ) ისეთები, რომელთა ყურადღებაც უცხო გამღიზიანებელთა მოქმედება უშლის ხელს, და დასასრულს გ) ისეთები, რომელთა ყურადღებაც სრულიად ჩლუნგდება საშიშროების ზეგავლენით.

ბ) ყ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს რ ხ ე ვ ა. პირველად (1875) ჯერ კიდევ ავსტრიელმა ოტოლოგისტმა ცნობილმა უ რ ბ ა ნ ჩ ი ჩ მ ა მიაქცია ყურადღება, რომ, როდესაც იგი თავის ავადმყოფებს სმენის სიმახვილის შემოწმებისათვის შორიდან რაიმე სუსტ ბგერას მოასმენინებდა, მაგალ., საათის წიკ-წიკს, ისინი ხშირად აღნიშნავდნენ, თითქოს ხმა მათ, განსაზღვრული ინტერვალების დაცვით, ხან უფრო კარგად ესმოდათ და ხან უფრო ცუდად. ამის შემოწმება ყველას ადვილად შეუძლია: მოისმინეთ ჩვეულებრივი ჯიბის საათის ხმა შორიდან ანდა ახლოდან, და ნახავთ, რომ წიკ-წიკი ხან სუსტდება და ხან ძლიერდება, ამავე ხასიათის მოვლენას აქვს ადგილი მხედველობის არეშიც და კუნთური ძალისხმევის შემთხვევაშიც.

რით აიხსნება სუსტი შეგრძნებების ინტენსიობის ასეთი მოჩვენებითი ცვალება?

ყველაზე ადრე ამ მოვლენის მიზეზად რუსმა ფსიქოლოგმა ნ. ლ ა ნ გ ე მ ყ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს რ ხ ე ვ ა დაადასტურა (1888). ასე რომ ეს ცნება არსებითად ნ. ლ ა ნ გ ე ს ეკუთვნის. სხვადასხვა გრძნობის მოდალობის შესწავლის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რხევის პერიოდები ყველგანაა, და მისი ხანგრძლიობა ყველგან ერთნაირია, სახელობრ  $2\frac{1}{2}$ -4". გარდა ამისა, აკუსტიკური-სა და ოპტიკური გაღიზიანების ერთდროულად მოქმედების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ რხევა ამ პირობებში ორივე მოდალობის არეში მორიგეობით სცვლის ურთიერთს. ნ. ლ ა ნ გ ე ფიქრობს, რომ ამ მოვლენის მიზეზი შეიძლებაოდა მხოლოდ ცენტრალური პროცესი ყოფილიყო და არა პერიფერიული, თორემ რად უნდა ყოფილიყო რხევის დაწყება ერთ მოდალობაში დამოკიდებული მეორეზე.

მაგრამ ლანგეს ცენტრალური თეორიის საწინააღმდეგოდ ე.წ. პერიფერიული თეორია იქნა წამოყენებული. თანახმად ამ თეორიისა, ყურადღების რხევის ფაქტებს საფუძვლად პერიფერიულ ორგანოში მიმდინარე პროცესები უნდა ედოს. ყურადღების აქტში სათანადო გრძნობის ორგანოს მონაწილეობა უეჭველია. და საფიქრებელია, რომ ყურადღების ინტენსიობის პერიოდული ცვალება გრძნობის ორგანოს ნაწილობრივი დადლილობით აიხსნებოდეს. მაგალ., მხედველობითი ყურადღებისათვის თვალის კუნთების მუშაობაა აუცილებელი: ჭერ-ერთი, თვითონ თვალის მოძრაობაა საჭირო და შემდეგ — აკომოდაცია. მაშასადამე, შესაძლებელია კუნთების მუშაობის უნარი რხევადობდეს და ამის შედეგად ყურადღების რხევის შთაბეჭდილება ჩნდებოდეს (მ ი უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ ი).

მაგრამ აღმოჩნდა, რომ, როგორც თვალის ატროპინიზაციის, ისე თვალის ბროლუჯის ოპერაციული ამოკვეთის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ აკომოდაციაზე ლაპარაკი გამორიცხებულია, ყურადღების რხევის ფაქტი მაინც ძალაში რჩება. გარდა ამისა, თვითონ თვალის მოძრაობათა საგანგებო შესწავლა ადასტურებს, რომ ყურადღების რხევასა და თვალის მოძრაობათა შორის არავითარი პარალელიზმი არ არსებობს: ჭერ თვითონ მ ი უ ნ ს ტ ე რ ბ ე რ გ მ ა ც აღნიშნა, თვალის ნებისმიერი მოძრაობა არავითარ გავლენას არ ახდენს ყურადღების რხევაზეო. შემდეგ პ ი ლ ს ბ უ რ ი მ ფოტოგრაფიულად გადაიღო თვალის მოძრაობები სწორედ ყურადღების რხევის მომენტში და გამოარკვია, რომ თვალის მოძრაობა უწყესრიგოდ, აპერიოდულად მიმდინარეობს, მაშინ როდესაც ყურადღების რხევას პ ე რ ი ო დ უ ლ ო ბ ა ახასიათებს.

ვ) ყ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ო ბ ა. ყურადღების რხევის შესახებ. ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სუბიექტს ერთი რომელიმე შთაბეჭდილება აქვს. ყურადღების საგნად მიწოდებული, და უნდა გამოირკვეს, რამდენ ხანს შესძლებს იგი ამ პირობებში ყურადღების მაქსიმალური დონის შენარჩუნებას. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენს ყურადღებას ასეთი ამოცანის გადაჭრა იშვიათად უხდება. ჩვეულებრივ, ჩვენი ყურადღების ობიექტი რთულია: წმინდა სენსორულის, წმინდა მოტორულის, ან წმინდა ინტელექტუალური ყურადღების შესახებ მხოლოდ ანალიზის თვალსაზრისით შეიძლება ლაპარაკი, თორემ რეალურად აღამიანის ყურადღების აქტიობაში თითქმის ყოველთვის სამივე ეს ფორმა ლებულობს მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენზე

ართული შთაბეჭდილებები მოქმედობენ. და ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად, ყურადღების სხვადასხვა მიმართულებით ამოქმედება ხდება აუცილებელი. როგორია ყურადღების გამძლეობა ასეთ შემთხვევებში, ეს საკითხი ყურადღების რხევის საკითხად ვერ ჩაითვლება: იგი ყურადღების კონსტანტობის, მისი დროში გამძლეობის საკითხია. კონსტანტობის და რხევის საკითხი არც იმ შემთხვევაში ხვდება ერთმანეთს, როდესაც ყურადღების საგნად თუნდ ერთი რომელიმე მარტივი სენსორული შთაბეჭდილება აღებული: ხომ შესაძლებელია სანთელი პარპალობდეს, მაგრამ თავის რხევადს შუქს მთელი ღამის განმავლობაში აფრქვევდეს! ერთი საქმეა, ყოველს მომენტში ინტენსიური მუშაობის უნარი, და მეორე — მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობის უნარი. პირველ შემთხვევაში ყურადღების რხევის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, მეორეში — ყურადღების კონსტანტობის შესახებ.

ყურადღების კონსტანტობა ინდივიდუალურად ცვალებადი თვისებაა. არის ხალხი, რომელსაც ერთი იმპულსი ჰყოფნის, რათა ყურადღება ხანგრძლივად შეაჩეროს ერთსადაიმთხვევით ობიექტზე ამას სტატიკური ყურადღება ეწოდება. მაგრამ არის ისეთი ხალხიც, რომელსაც ყურადღების ხანგრძლივად რაიმე საგანზე შესაჩერებლად სულ ახალახალი იმპულსები ესაჭიროება: მათ ერთი გადაწყვეტილების აქტი არ ჰყოფნის, იმიტომ რომ მათი ყურადღება ძალიან სწრაფად იღლება, ანდა ძალიან მალე განიცდის ერთდამთხვევით ობიექტის ზემოქმედების გამო მოჭარბებას. ამ შემთხვევაში დინამიკური ყურადღების შესახებ ლაპარაკობენ. მაგრამ რაგინდ სტატიკურიც უნდა იყოს ყურადღება, მისი კონსტანტობა მეტად თუ ნაკლებად მაინც ყოველთვის განსაზღვრულია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყურადღების დონის დაქვეითება ყოველთვის სუბიექტის დადლილობით იყოს გამოწვეული. არა, ის ფაქტი, რომ ხშირად ყურადღება მაშინვე ინტენსიურ მუშაობას იწყებს სხვა მიმართულებით, ამტკიცებს, რომ დადლილობა აქ არაფერ შუაშია.

დ) ვარჯიში და ყურადღება. ბუნებრივად იბადება საკითხი: შეუძლია თუ არა ვარჯიშს ყურადღების აღნიშნულ თვისებაზე რაიმე გავლენა მოახდინოს? თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრებოდა, და ის საზღვრებიც გამოირკვეოდა, რომელშიც ვარჯიშის დადებითი გავლენა ექვს არ იწვევს, აქედან პრაქტიკულად ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა იქნებოდა შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ ყურადღება ჩვენი გონებრივისა და ფიზიკური აქტიობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, და მისი გან-

ვითარებისა და გამახვილების შესაძლებლობას, რასაკვირველია, განსაკუთრებით პედაგოგიური თვალსაზრისით ექნებოდა დიდი მნიშვნელობა.

ამიტომ საკვირველი არაა, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით სწორედ პედაგოგიური ფსიქოლოგიის მკვლევარნი ეპყრობიან. მთლიანად დასკვნამდე მიდის, რომ ვარჯიშის ვაჟი ლენა ყურადღებაზე ექვს არ იწვევს. მისი ცდისპირების მონაცემების მიხედვით, ასეთი სურათი იხატება: ვარჯიშის საშუალებით ნელი ადაპტაციის სუბიექტებს შედარებით უფრო სწრაფი ადაპტაციის უნარი უმუშავდებათ. ამავე ფაქტორის ზეგავლენით თვალსაჩინოდ იცვლება კონცენტრაციის ინტენსიობისა და კონსტანტობის მონიტორინგი. დასასრულს, ვარჯიშის წყალობით შესაძლებელი ხდება კონცენტრაციის უნარის გაზრდასთან ერთად ყურადღების განაწილების უნარიც განვითარდეს.

### ყურადღების პროცესის მიმდინარეობა

აქამდე ჩვენ ყურადღების რაობასა და მისი სხვადასხვა თვისებისა და მხარის გათვალისწინების ამოცანა გვექონდა გადასაწყვეტი. ეხლა უკვე მთელი პროცესის მიმდინარეობაზე შეიძლება დავიწყოთ ლაპარაკი.

პირველ რიგში გამოსარკვევი იქნება, თუ რა ფაქტორებია, რომ ყურადღების აქტიობას განსაზღვრავს. ამ საკითხს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ყურადღების პრინციპული საკითხების გადაწყვეტა ბევრის მხრივ იმაზეა დამოკიდებული. თუ როგორ გავიგებთ ამ პროცესის აღმოცენებას. რასაკვირველია, ფაქტორი განსაზღვრავს მოვლენას, მაგრამ არა ნაკლებ უმეტესად, რომ გარკვეული აზრით, პირიქით, მოვლენაც განსაზღვრავს ფაქტორს: თუ როგორია მოვლენა, ეს მასზე მოქმედ ფაქტორზეა დამოკიდებული; მაგრამ როგორი ფაქტორები იმოქმედებენ მოვლენაზე, განა ეს თვითონ მოვლენის ბუნებაზე არაა დამოკიდებული! ამიტომ ყურადღების ფაქტორების საკითხი შედარებით დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი.

მას შემდეგ, რაც გარკვეული იქნება, რა ფაქტორები იწვევს ყურადღების აქტიობას, უნდა შესწავლილი იქნეს ის ეფექტი ან შედეგები, რომელიც ამ აქტიობას სდევს თან. ეს შედეგები ორგანიზაცია: ფსიქიკური და სხეულებრივი. საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა არის ფსიქოლოგიაში ამჟამად მათ შესახებ ცნობილი. და-

სასრულ, ყურადღების პროცესის სრულად გასათვალისწინებლად საჭიროა გარკვეული იქნეს ის ფიზიოლოგიური მექანიზმიც, რომელიც მას საფუძვლად უდევს.

1. მოთხოვნილება როგორც ყურადღების ძირითადი ფაქტორი. ყურადღების ფაქტორების შესწავლისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკითხი მარტო იმას კი არ ეხება, თუ პირველად რა აძლიერებს ადამიანის ყურადღებას, არამედ უეჭველად იმასაც, თუ რაა, რომ მას განსაზღვრული მიმართულებით მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი მუშაობის იმპულსს აძლევს. თუ ამას არ დავივიწყებთ, მაშინ ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, რომ ყურადღების ძირითადი ფაქტორი პირველ რიგში სუბიექტში უნდა ვეძიოთ: როდის და რა მიმართულებით დაიწყება ყურადღების მუშაობა და როდის დასრულდება იგი, ეს, უეჭველია იმაზეა დამოკიდებული. თუ რა მოთხოვნილებები აქვს ამჟამად სუბიექტს, და რომელი მათგანის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს იგი. ყურადღება ყოველთვის რომელიმე ქცევის რთულ აქტშია ჩართული, როგორც მისი აუცილებელი პირობა, და ქცევას ხომ ყოველთვის უთუოდ რაიმე მოთხოვნილების პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაკმაყოფილების ამოცანა აქვს დაკისრებული. გასაგებია ამიტომ, რომ ფსიქოლოგების მთელი რიგი ყურადღების არსებითს ფაქტორად ე. წ. ინტერესს სთვლიდნენ. რიბო, მაგალითად, ყურადღების მექანიზმს აფექტურ მექანიზმად თვლიდა. ბლოილერი ისთვის ყურადღება აფექტურობის გამოვლენას წარმოადგენს; ხოლო პიერონი ყურადღების ერთადერთს ფაქტორად ინტერესს სთვლის, ე. ი. ყურადღების პროცესის ბუნებას ისიც აფექტურად აღიარებს. ყველაფერი ეს უეჭველად სწორია, რამდენადაც აქ პირველ რიგში მოთხოვნილებების დინამიკას ვიგულისხმებთ. საზოგადოდ, მთელი ქცევის იმპულსი, რომელშიც ყურადღების აქტიობაც მონაწილეობს, მოთხოვნილების წყაროდან გამომდინარეობს, და, უეჭველია, ყურადღებაც აქედანვე ლებულობს თავის იმპულსს.

მოთხოვნილება კი შეიძლება ორგვარი იყოს: აქტუალური, უშუალო, რომელსაც აი, ეხლავე გრძნობს სუბიექტი, და მოთხოვნილება არაპირდაპირი, ასე ვთქვათ, განყენებული, ხელოვნური, რომელსაც არა ეს მომენტი, არამედ სუბიექტის მთელი სიცოცხლის გასაქანი აქვს მხედველობაში. შეიძლება ყურადღების იმპულსი პირველიდანაც გამომდინარეობდეს და მეორედანაც.

პირველ შემთხვევაში ყურადღება ყოველი აქტუალური მოთხოვნების შეცვლის კვალობაზე უნდა იცვლებოდეს: გაჩნდა ახალი მოთხოვნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღება მის იმპულსებს უნდა დაემორჩილოს, მისი მიზნების შესატყვისად იმოქმედოს. მაშასადამე, ყურადღების აქტიობა აქ ახალახალი მოთხოვნების აღმოცენების შემთხვევაზეა დამოკიდებული: იგი ი მ პ უ ლ ს უ რ ი ა, ა ე ტ ო ნ ო მ ი უ რ ი, პ ა ს ი უ რ ი, უ ნ ე ბ უ რ ი, ს უ ბ ი ე კ ტ ი ს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ს, ს ტ ა ბ ი ლ ი ზ ი რ ე ბ უ ლ მიზნებსა და მისწრაფებებზე სრულიად დამოუკიდებელი.

სულ სხვა მდგომარეობაა მეორე შემთხვევაში. აქ შემთხვევითობაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელია. აქ ყურადღება უშუალო მოთხოვნების იმპულსებს ხელიდან უსხლტება და ნ ე ბ ი ს მ ი ე რ, ა ქ ტ ი უ რ ყურადღებად იქცევა.

2. პასიური ყურადღების ფაქტორები. აქ მხოლოდ იმ ფაქტორებზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელიც ჩვენდა უნებურად წარმართავს ჩვენს ყურადღებას. უეჭველია, ყურადღების ასეთი წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ ფაქტორებს ჩვენს მოთხოვნილებებთან არ ჰქონოდათ კავშირი. საქმე ისაა, რომ ყურადღების აქტიობა ასეთ შემთხვევებშიც როგორც ჩვენი ყურადღების აქტიობა განიცდება: მართალია იძულებით, მაგრამ ყურადღებას მაინც ჩვენ წარმართავთ, და არა თვითონ ყურადღება მიიძართება. მაშასადამე. ბოლოსდაბოლოს, ეს ფაქტორები ჩვენს მოთხოვნილებებზე უნდა მოქმედობდნენ და ყურადღების აქტიობას ამ გზით იწვევდნენ. ეს მით უმეტეს უნდა იყოს ასე, რომ საქმე მართო ყურადღების აღძვრით როდი განისაზღვრება, არამედ, ჩვეულებრივ, ერთხელ აღძრული ყურადღება, სანამ საჭიროა, ამ გარკვეული მიმართულებით განაგრძობს მუშაობას.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში უნებური ყურადღების ფაქტორებს ხშირად ობიექტური ფაქტორების სახელწოდებითაც აღნიშნავენ (მ ე ს ს ე რ ი), ანდა გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ფაქტორების სახელწოდებით (პ ი ე რ ო ნ ი).

ა) ინტენსიობა. პირველ ადგილას, ლოცეს შემდეგ, ჩვეულებრივ შთაბეჭდილების ინტენსიობის ფაქტორს ასახელებენ. და მართლაც, არაფერი ისე უნებურად არ იზიდავს ჩვენს ყურადღებას, როგორც შთაბეჭდილების ინტენსიობა. ამიტომ, რომ სიგნალად, ჩვეულებრივ, ზარია შემოღებული: ხანძარი იქნება, სტუმარი გესტუმრება, ტელეფონით გამოგიძახებს ვინმე, თუ ტრამვაის ვაგონი მოგცემს გამაფრთხილებელ სიგნალს, ყველ-



გან ინტენსიური ზარის ხმას მიმართავენ ხოლმე და ყველგან, რაგინდ გართულიც უნდა იყო, ბოლოსდაბოლოს, იძულებული ხდები. შენი ყურადღება ამ სიგნალისაკენ გადაიტანო.

თუ ინტენსიობას, როგორც საზოგადოდ რაოდენობით ფაქტორს გავიგებთ. მაშინ სიდიდეც აქვე უნდა იქნეს დასახელებული.

ცნობილია, რომ დიდი უფრო იწვევს ჩვენს ყურადღებას, ვიდრე პატარა. რეკლამის ფსიქოლოგიაში ამ გარემოებას დიდი ხანია სათახადო ანგარიშს უწევენ: რაც უფრო ძეტი საზოგადოების ყურადღება გინდა მიიქციო, მით უფრო დიდი ზომის აფიშა ან პლაკატი უნდა დაამზადო. რეკლამის ფსიქოლოგიაში ამ გარემოებას კანონის მნიშვნელობას აძლევენ; მისი ფორმულა ასეთია: ყურადღების მიზიდვის ძალა პლაკატის ზედაპირის კვადრატის პროპორციულად იზრდება.

გარდა ამისა. „პროსექსიგენური“<sup>1</sup> (ყურადღების გამომწვევი: პროსექსის ყურადღება) მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზოგიერთი მოღალატის შთაბეჭდილებას თ ა ე ი ს თ ა ე ვ ა დ ა ც: ძალიან წვრილი ხმა. ძლიერ ცხოველი ფერი, მწარე გემო. ტკივილი. ზოგიერთი სუნი ინტენსიობის მიუხედავათაც ადვილად იქცევა ჩვენს ყურადღებას.

აქვე უნდა დავასახელოთ ზოგიერთი სივრცითი ფაქტორიც: ახლო შთაბეჭდილება უფრო იქცევა ყურადღებას. ვიდრე შორეული: თუ სახეზე მოგედო რამე, უფრო იგრძნობ, ვიდრე სხეულის რომელსამე სხვა ნაწილზე. რაც შეხება მხედველობის არეს, აქაც იმავე გარემოებას აქვს ადგილი: ჩვენი თვალი პირველ რიგში ახლო მდებარე ობიექტებს ხედავს და შორეულზე მხოლოდ შემდეგ გადადის.

ბ) ც ვ ლ ი ლ ე ბ ა. ცნობილია: ღამე რომ ერთბაშად წისქვილი გაჩერდეს, მეწისქვილეს მაშინვე გაეღვიძება. რა აღვიძებს მას? როდესაც ხმაურობაა, მაშინ მას სძინავს. როდესაც ხმაურობა წყდება, სწორედ მაშინ ეღვიძება. რა აღვიძებს მას? უეჭველია ხმაურობის შეწყვეტა. როდესაც ოთახში ხმაურობენ, შეიძლება ყურადღებას არ აქცევდე ამას, დიდის გულისყურით კითხულობდე წიგნს. მაგრამ, ვთქვათ, უცებ ხმაურობა შეწყდა. უეჭველია, თქვენი ყურადღება იმწამსვე ამ გარემოებას მიექცევა. ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ არსებულის ან ჩვეულებრივი მდგომარეობის შეცვლა უეჭველ პროსექსიგენურ ფაქტორს წარმოადგენს.

მაგრამ ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ძალიან მრავალმნიშვნელოვანი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ ფართო ცნებაა. მაგალითად, მოძ-  
<sup>1</sup> ტერმინი პიერონს ეკუთვნის.

რ ა ო ბ ა ც ცვლილების ერთერთ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს: იგი ხომ ადგილის შეცვლაა, ადგილგადანაცვლებაა. ამიტომ საკვირველი არაა, რომ მოძრაობაც სამართლიანად ყურადღების გამომწვევ ფაქტორად ითვლება. ეს გარემოება დიდი ხანია შენიშნულია. ინსტიტუტურად ამით ცხოველებიც კი სარგებლობენ: ხშირია შემთხვევა, რომ ცხოველი უძრავად ჩერდება ერთ ადგილას, რათა მტრისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. ვინც იწალება, ის საზოგადოდ გაურბის მოძრაობა: იგი, რამდენადაც შესაძლოა, უძრავად რჩება თავის თავშესაფარში. არსებობს ცხოველები (განსაკუთრ. (batracitus) რომელთა ყურადღებასაც მხოლოდ მოძრავი ობიექტი იპყრობს.

შეიძლება ითქვას, რომ ამავე კატეგორიას, ე. ი. ცვლილების კატეგორიას, ეკუთვნის აგრეთვე ახალიც, უცნობიც, მოულოდნელიც. უჩვეულოც. მართლაცდა, ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც არსებულ მდგომარეობაში რაღაც ცვლილება ხდება, თუნდ იმ მხრივ, რომ რაღაც ახალი ჩნდება, და გასაგებია, რომ ჩვენი ყურადღება მისკენ იხრება.

მაგრამ საოცარია, რომ ყურადღების არანაკლებ ენერგიულ ფაქტორად სწორედ საწინააღმდეგო გარემოებაც უნდა ჩაითვალოს: ნაცნობი, ჩვეულებრივი, მოსალოდნელი — ესეც აღძრავს ყურადღებას. ეს იმდენად ნათელია, რომ ამაში ექვის შეტანა არ შეიძლება. ოთახში რომ უცნობ საზოგადოებას შეხვდე, და შემთხვევით იქ ერთი ნაცნობი აღმოჩნდეს, თქვენი თვალი, რასაკვირველია, პირველ რიგში მას მოხვდება. როდესაც ვისიმე მოსვლას ელოდები. საკმარისია სულ მცირეოდენი კაკუნიც კი კარზე, რომ იმწამსვე ყურადღება მიაქციო. ცოტა რომ ჩავუყვირდეთ ამ მაგალითებს, დავინახავთ, რომ არსებითად აქაც ცვლილების ნიშნებთან გვაქვს საქმე. მართლაცდა, უცნობთა შორის ნაცნობი იგივეა, რაც ნაცნობთა შორის უცნობი: საერთო შთაბეჭდილებას უმრავლესობა ქმნის, და ამ უმრავლესობისაგან განსხვავებულ ობიექტს — ნაცნობი იქნება იგი თუ უცნობი, სულერთია — საერთო შთაბეჭდილებაში რაღაც ახალი შეაქვს. რაც შეეხება მოსალოდნელის პროსექსიგენურ მნიშვნელობას, არც ეს წარმოადგენს ახალ გარემოებას: მოსალოდნელიცა და მოულოდნელიც მართლაც ორივე იქცევის ყურადღებას, იმიტომ რომ ორივე რასღაც ახალს ნიშნავს. იმას, რაც ამჟამად არ არის, მაგრამ რაც ამიერიდან ხდება.

რომ გადავხედოთ ეხლა ყველა ამ პროსექსიგენურ ფაქტორას.

ჩვენ არ გავგიჟირდება შევამჩნიოთ, რომ თვითუღს მათგანს უთუოდ რაიმე ღირებულება, რაიმე აზრი აქვს სუბიექტისათვის, იგი რომელიმე მის მოთხენილებასთან არის დაკავშირებული: „სტიმული, რომელიც დიდი ინტენსიობით მოქმედობს — დიდი ტანის სკანის ან არსების გამოჩენა, ერთბაში თვალსაჩინო ცვლილება გარემოში — ჩვეულებრივ, ინდიფერენტულ მოვლენას არ წარმოადგენს“ ცოცხალი არსებისათვის: ასეთს სტიმულს თითქმის ყოველთვის რაღაც სდევს ხოლმე თან, ან საშიში რაიმე და ან, შესაძლოა, სასარგებლოც. მაშასადამე, ცოცხალი არსების ინტერესი ყველაფრის ამის შემჩნევასა და ღროზე სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს.

ამრიგად, უნებური ყურადღების ფაქტორები არსებითად სიგნალის როლს ასრულებენ ცოცხალი არსებისათვის, და ამიტომაც, რომ ყურადღების მუშაობას იწვევენ.

უნებური ყურადღება, ტ ი ჩ ე ნ ე რ ი ს თქმით, პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ყურადღებაა, და, როგორც ასეთი, იგი საზოგადოდაა დამახასიათებელი ცოცხალი არსებისათვის. რაც შეეხება ადამიანს, მისი სპეციფიკური თავისებურება -- ნებელობა — რასაკვირველია, აქაც იჩენს თავს და ყურადღების მუშაობის თავისებურ ფორმას, ე. წ. ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ს აძლევს დასაბამს.

## ნებისმიერი ყურადღების ფაქტორები

1. ნებისყოფა როგორც ფაქტორი. ნებისმიერი ყურადღების ფაქტორების შესახებ ბევრი არაფერია სათქმელი. უკვე სახელწოდებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ყურადღების ამ ფორმის ძირითადსა და. შეიძლება ითქვას, ერთადერთს ფაქტორს ჩვენი ნებისყოფა შეადგენს. ამ შემთხვევაში ყურადღებაზე ვერც ინტენსიობის ფაქტორი ახდენს რაიმე გავლენას და ვერც ცვლილების. გადამწყვეტ როლს სუბიექტის განზრახვა, სუბიექტის შეგნებული მისწრაფება ასრულებს. როდესაც რაიმე ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი, ჩვენი ყურადღება იმ ინტენსიური ან ცვალებადი გამლიზიანებლებისაყენ კი არ მიიმართება, რომელთაც, შესაძლოა, ამჟამად ადგილი ჰქონდესთ ჩვენს გარემოში. არამედ იმის მიმართ, რაც გასაკეთებელი გვაქვს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენი აქტუალური ინტერესების ჩახშობა გვიხდება და ხშირად საკმაო ძალისხმევა გვჭირდება, რათა ჩვენს ყურადღებას სისტემატური, მტკიცე მიმართულება უზრუნველვუყოთ.

თავისთავად იგულისხმება, ნებისმიერი ყურადღების ძალა, როგორც ჭერ კიდევ რიბოშ აღნიშნა, საკმაოდ მაღალი კულტურული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. ნებისმიერ ყურადღებას პრაქტიკის მხოლოდ იმ ფორმის ნიადაგზე შეეძლო აღმოცენებულიყო, რომელიც ადამიანის სპეციფიკურ კუთვნილებას წარმოადგენს. ნებისმიერი ყურადღება შრომის პროცესში ჩაისახა და განვითარდა: „როგორც კი გაჩნდა შრომის აუცილებლობა, ნებისმიერი ყურადღება საარსებო რბძოლის ამ ახალი ფორმისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორად გადაიქცა. როგორც კი გაუჩნდა ადამიანს უნარი, ხელი მოეკიდა შრომისათვის - არსებითად არა მიმზიდველის, მაგრამ, როგორც ცხოვრების საშუალება, აუცილებელი აქტიობისათვის — მას ნებისმიერი ყურადღებაც გაუვითარდა. ადვილად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ცივილიზაციის აღმოცენებამდე ნებისმიერი ყურადღება ან სრულიად არ არსებობდა. ანდა, ელვის მსგავსად, ერთი მომენტით თუ იჩენდა თავს. ნებისმიერი ყურადღება სოციალურ მოვლენას წარმოადგენს... ნებისმიერი ყურადღება უმალღესი, სოციალური ცხოვრების პირობებთან შეგუებაა“.

2. ნებისმიერი ყურადღების შუალობითი ხასიათი. ადამიანის ნებისმიერი ყურადღების განვითარების პირველ პერიოდს ის ხანა შეადგენს, როდესაც ადამიანს თავისი საკუთარი ყურადღების ორგანიზაციის უნარი ჭერ კიდევ არ გააჩნდა, მაგრამ სხვისი ყურადღების წარმართვას მაინც ცდილობდა. ეს უკანასკნელი მაინცდამაინც ძნელი არ იყო. საკმარისი იყო, მას თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია ის. რაც უნებურ ყურადღებას წარმართავს, და ამით იგი თავის თანამომემს სწორედ იქეთ მიაქცევინებდა ყურადღებას. საითკენაც უნდოდა. როგორც ჩანს, უდიდესი როლი ამ მიმართულებით ხელმა შეასრულა: ხელით ჩვენება, მითითება, ყურადღების წარმართვის ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს; და საინტერესოა, რომ ხელიდან მითითებულ საგანზე თვალის გადატანა, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ადამიანს შეუძლია. მაშასადამე, ყურადღების წარმართვა არა პირდაპირ, არამედ რაღაც მესამის შუალობით დაიწყო, და, შეიძლება ითქვას, დღემდე ასე დარჩა: ნებისმიერი ყურადღება გაშუალებული ყურადღებაა. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა, რომ კითხვის სწავლის დასაწყის საფეხურზე ადამიანი თითო აყოლებს ხოლმე ასოებს და ისე კითხულობს; როგორც ჩანს, ამით იგი თავის

ყურადღებას ეხმარება: იქ სადაც ყურადღება გაძნელებულია, ადამიანი მის დასახმარებლად რაიმე გარე საშუალებებს მიმართავს სოლმე.

საბჭოთა ფსიქოლოგის, ვიგოტსკისა და მისი სკოლის უღაოდ თვალსაჩინო დამსახურებას ის გარემოებაც შეადგენს, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა და ექსპერიმენტულად დაასაბუთა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქიკური განვითარების ისტორიაში გაშუალებას. გაშუალებულნი შენებას. კერძოდ, ნებისმიერი ყურადღების არსიც გაშუალებაში მდგომარეობს: ადამიანი ყურადღებას აქცევს იმ კანონზომიერებათ, რომელნიც ბუნებრივს ყურადღების პროცესს წარმართავენ, და შემდეგ, როდესაც თავისი თუ სხვისი ყურადღების წარმართვა მოუწდება. ამ კანონზომიერებებს მიმართავს და ამით მათს ნებისმიერ გამოყენებას: ხერხებს.

მ. მოლოდინი. ნებისმიერი ყურადღების ტიპიურ შემთხვევად მოლოდინი შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ მისი შესწავლა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

ეთქვათ, რაიმე შთაბეჭდილების მიღებას ველით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ყურადღება ამ მომავალი შთაბეჭდილებისაკენ მიიმართება და, როგორც კი იჩენს ეს უკანასკნელი თავს, იმწამსვე მას დაეუფლება. როგორ ვახერხებთ ამას? გ. მიუღერის მიხედვით, ეს ასე ხდება: ჩვენ ვცდილობთ, ჩამდენადაც შესაძლოა ის მდგომარეობა აღვადგინოთ. რომელსაც ამ შთაბეჭდილების წინანდელი აღქმისას განვიცდიდით. სხეულის მდგომარეობის აღდგენა ძნელი არაა, ჩამდენადაც ჩვენი სხეულის მოტორიკას უკვე დაუფლებულ ვართ და იგი ნებისმიერ შეგვიძლია წარვმართოთ, რაც შეეხება ფსიქიკურ შინაარსს, ამას ჩვენ წარმოდგენის სახით აღვადგენთ: ვცდილობთ, რაც შეიძლება უკეთ წარმოვიდგინოთ იგი. როდესაც ამ პირობებში, ე. ი. მოლოდინის პირობებში მოსალოდნელი შთაბეჭდილება ჩნდება, გასაგებია, რომ ყურადღება მას მყის ეუფლება. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყურადღების მოქმედების პირველი პერიოდი — შეგუების ანუ ადაპტაციის პერიოდი, რომელიც, როგორც უკვე ზემოდაც იყო აღნიშნული, დროს მოითხოვს — თვითონ ყურადღების პროცესიდან ვარდება და მოლოდინის პერიოდში გადადის. ამიტომ, გასაგებია, რომ თვითონ პროცესი შემოკლებული ხდება.

რომ თავი მოვეუყაროთ ყველაფერს, რასაც სხვადასხვა ავტორი ლაპარაკობს მოლოდინის შესახებ, უღაოდ, საერთო აზრად შემდეგ-

გი უნდა იქნეს ცნობილი: შეიძლება მომავალი შთაბეჭდილების კონკრეტულ წარმოდგენას არც კი ჰქონდეს ადგილი; მოლოდინი უიმისოდაცაა შესაძლებელი. არც ისაა აუცილებელი, რომ სუბიექტი დაძაბულობას განიცდიდეს. მთავარი და ძირითადია ამოცანის ანება; ან გარკვეული აზრის, ან არათვალსაჩინო ცოდნის, ანდა განწყობის სახით. უაქუქანასკნელოდ, ამბობს ფრებესი, მოლოდინს უცხოველესი წარმოდგენაც კი ვერ შექმნიდაო.

## ყურადღების გავლენა

1. აქტიობის გაცხოველება როგორც ყურადღების ძირითადი ეფექტი ყურადღების გავლენა ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე ძალიან დიდია. შეიძლება ითქვას, იგი ერთი ძირითადი პირობაა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას ედება საფუძვლად. საქმე ისაა, რომ ყოველი ცალკე ადამიანის განკარგულებაში, მისი განვითარების ყოველს მონაცემ საფეხურზე, როგორც ჩანს, ენერჯიის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა იმყოფება. საით წარიმართება ეს ენერჯია, რა აქტიობის სახით გამოვლინდება იგი, ეს ჩვენს ყურადღებაზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ ყურადღება ჩვენი ფსიქიკური ენერჯიის ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას ნიშნავს. მაშინ ცხადია, რომ ყურადღების გავლენა მართლა დიდი უნდა იყოს და იგი პირველ რიგში სათანადო ფსიქიკური აქტიობის გაცხოველებაში უნდა იჩენდეს თავს. როდესაც მხატვარი რაიმე ნაწარმოებს ქმნის. მისი მაქსიმალური ყურადღება. და მისი მაქსიმალური აქტიობაც, ამ ნაწარმოებისაკენაა მიპყრობილი. როდესაც არქიმედი მთელი თავისი ყურადღებით თავის გეომეტრიულ ამოცანებში იყო ჩაძირული, მისი ფსიქიკა, რასაკვირველია, ყველაზე უფრო გაცხოველებულ მუშაობას გონებრივი ოპერაციების არეში აწარმოებდა; როდესაც ადამიანი ველოსიპედზე ჯდომას სწავლობს და დაძაბული ყურადღებით შერყეული წონასწორობის აღდგენას ცდილობს, ყველაზე უფრო გაცხოველებული აქტიობა მისი სხეულის კუნთურ სისტემაში მიმდინარეობს.

ყურადღების ამ გაცხოველებული მუშაობის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ აქტიობა შედარებით უფრო სწრაფად, უფრო ზუსტად, უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობს. რომ ავიღოთ ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ცალკე მიმართულებები — მისი აღქმა, მისი

წარმოდგენა, მისი აზროვნება, მისი ფანტაზია. მისი გრძნობა — ჩვენ ვნახავთ, რომ ყურადღების გაცხოველებას ყველგან ეს ეფექტი ახლავს თან, ოღონდ, რასაკვირველია, იმ ფორმებში, რომელიც თვითნებური ამ მიმართულებისთვისაა შესაფერისი.

2. სენსორული აქტიობა. რა გავლენას ახდენს ყურადღება ჩვენს აღქმით აქტიობაზე? ზოგადი პასუხი ჩვენ უკვე მზად გვაქვს: იგი აცხოველებს ამ აქტიობას, ე. ი. ჩვენი სენსორული მექანიზმი ამ შემთხვევაში უფრო ენერგიულად იწყებს მუშაობას, ვიდრე იმ შემთხვევაში. როდესაც ყურადღება უპირატესად სხვა მიმართულებით მოქმედობს. ამისი შედეგი ისაა, რომ უფრო მაღალი ღირსების პროდუქტებს ვღებულობთ: უფრო ნათელსა და ცხად შეგრძნებებსა და აღქმებს. ასე რომ საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, ყურადღების გავლენა სენსორულ აქტიობაზე იმაში იჩენს თავს, რომ ჩვენი სენსორული შინაარსები, აღქმები და წარმოდგენები, უფრო ნათელი და ცხადი ხდება.

და მართლაც: ვინ არ იცის, რომ მეტი ყურადღებით აღქმული უფრო ნათელია და უფრო ცხადი, ვიდრე ნაკლები ყურადღებით აღქმული! ეს დებულება უფრო ზუსტად ექსპერიმენტულ პირობებში იქნა შესწავლილი. ცდისპირს ტ ა ქ ი ს ტ ო ს კ ო პ უ რ ა დ — ისე. როგორც ეს ყურადღების მოცულობის ცდებში ხდება — რამდენიმე მარტივ გამლიზიანებელს აწვდიან. მან უნდა აღნიშნოს, რამდენს ელემენტს აღიქვამს მკაფიოდ. აღმოჩნდა, რომ: 1) იმ შემთხვევებში, როდესაც ცდისპირს წინასწარ აძლევ სიგნალს და მხოლოდ ამის შემდეგ — ექსპოზიციას, იგი უფრო სწრაფად და უფრო სწორად ამჩნევს გამლიზიანებელს, 2) ხოლო როდესაც ყურადღებას რაიმე უშლის ხელს — ვთქვათ, რაიმე ხელისშემშლელ გამლიზიანებელს აძლევ ტ ა ქ ი ს ტ ო ს კ ო პ უ რ თ ა ნ ერთად — მაშინ იგი გაცილებით ნაკლებს ამჩნევს. ცხადია, ეს ყურადღების დასუსტების ბრალია. ვ ე ს ტ ფ ა ლ ი ს ც დებიდან ვიცით, რომ აღქმის სიციხადის რამდენიმე საფეხური არსებობს, და თითოეული ეს საფეხური იმანეა დამოკიდებული, თუ რამდენად ინტენსიურ ყურადღებას აქცევს ცდისპირი ამოცანას.

ამრიგად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყურადღების გავლენა სენსორული შინაარსის სიციხადისა და სინათლის გაძლიერებაში მდგომარეობს.

3. ყურადღების გავლენის საკითხი სენსორული შინაარსების ინტენსიობაზე. თუ ყურადღება შეგრძნების თუ აღქმის სიციხადეს აძლიერებს, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ინტენსიობაზეც

ასეთსავე გავლენას ახდენს? მით უმეტეს, რომ სინათლე და სიცხადე. ერთის მხრივ, და ინტენსიობა, მეორის მხრივ, შეგრძნების წმინდა რაოდენობრივს დახასიათებას იძლევა, რამდენადაც ორივე წმინდა ქვანტიტატურ ნიშნებს წარმოადგენს.

ეს საკითხი ერთი იმ საკითხთაგანია, რომელთაც მე-19 საუკ. კლასიკური ფსიქოლოგია ეგოდენი ხალისითა და ენერგიით იკვლევდა. დღეს მას ძველი გაცხოველებული ინტერესის თითქმის სრულიად აღარაფერი აქვს შერჩენილი: შეგრძნების პრობლემასთან ერთად, ეს საკითხიც უკანა რიგებში ჩადგა. მიუხედავად ამისა, მისი გათვალისწინება მაინც არაა ინტერესს მოკლებული, არც არსებითად და განსაკუთრებით არც ისტორიულად.

შეგრძნების ინტენსიობაზე ყურადღების გამაძლიერებელი გავლენის საკითხს თითქმის ყველა დადებითად სწყვეტს: მარტო მიუენტენბერგი იყო, რომ, წინააღმდეგ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებისა, ამტკიცებდა: ყურადღება კი არ აძლიერებს. პირიქით, ასუსტებს შეგრძნებასო. მაგრამ მას მხარი ვერავინ დაუჭირა, და იგი ამ აზრის ერთადერთ წარმომადგენლად დარჩა. განსხვავება ფსიქოლოგთა შორის ამ შემთხვევაში მხოლოდ ისაა, რომ ერთი ჭგუფი შეგრძნების ინტენსიობაზე ყურადღების პირდაპირი, უშუალო გავლენის აზრს იცავს; ხოლო მეორე ამას უარყოფს და უფრო იმ აზრს ადგას, რომ შეგრძნების ინტენსიობა იმიტომ კი არ ძლიერდება, რომ მასზე უშუალოდ მოქმედობს ყურადღება, არამედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი გრძნობათა ორგანოების ადაპტაციის გაუმჯობესებას უწყობს ხელს და ამით შეგრძნების ინტენსიობის გაძლიერების პირობებს ქმნის: იგი მხოლოდ შუალობით ახდენს გავლენას შეგრძნების ინტენსიობაზე. პირველ აზრს განსაკუთრებით ავტორიტეტული ფსიქოლოგები იცავდნენ: ვუნდტი, გ. მიულერი, შტუმპფი, მეორეს — ლიპსი და სხ.

საგულისხმო საბუთები იყო პირველი შეხედულების სასარგებლოდ გ. მეიერიისა და შტუმპფის ცდებში მიღებული. მეიერი ყურადღების დაძაბვის შედეგად იმდენად თვალსაჩინოსა და ინტენსიურ წარმოდგენას ღებულობდა, რომ ეს უკანასკნელი თავის შემდეგ ოპტიკურ კვალსაც კი სტოვებდა. ამ ფაქტიდან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: თუ რომ შესაძლებელია ყურადღების ზეგავლენით წარმოდგენის ინტენსიობა აღქმის ინტენსიობის დონემდე ამადლდეს, რამ უნდა შეუშალოს ხელი, ასეთმავე ეფექტმა რომ შეგრძნებების შემთხვევებშიც იჩინოს თავი!



შ ტ უ მ ჰ მ ა დაამტკიცა. რომ ყურადღების საშუალებით შე-  
საძლებელია სუსტ აკორდში რა ტონიც გინდა გააძლიერო და ამ-  
რიგად გარკვეული მელოდია მოისმინო. რაც შეეხება ძლიერ ტო-  
ნებს, მათი ინტენსიობის კიდევ უფრო გაძლიერება მან ვერ შესძ-  
ლო. საზოგადოდ შენიშნულა, რომ ყურადღების გავლენა სუსტი  
შეგრძნების ინტენსიობის მიმართ იჩენს თავს — თუმცა ზოგმა  
მკვლევარმა იგივე ეფექტი ძლიერი შეგრძნებების მიმართაც აღ-  
ნიშნა (ბ ე ნ ტ ლ ი). ყველაზე უფრო უდაო საბუთს ზღურბლის  
შედარების ცდები იძლევა. აღმოჩნდა, რომ ყურადღების მეტი  
კონცენტრაციის შემთხვევაში ზღურბლი უფრო დაბალია, ვიდრე  
იმ შემთხვევაში, როდესაც ყურადღების კონცენტრაცია ნაკლებია:  
ცხადია. აღქმის ინტენსიობა იმატებს.

ამრიგად, საკითხი გრძნობადი შინაარსების ინტენსიობაზე ყურ-  
ადღების გავლენის შესახებ დადებითად წყდება; თუ საზოგადოდ  
არა, სუსტი ინტენსიობის სენსორული შინაარსების შემთხვევაში  
მაინც.

4. ყურადღების გავლენა მოტორულ აქტიობაზე. მოტორული  
აქტიობის გაცხოველება, რომელსაც მოტორული ყურადღება იწ-  
ვევს. თავს იჩენს მოძრაობათა გ ა ს წ რ ა ფ ე ბ ა შ ი. გ ა ძ ლ ი ე რ ე-  
ბ ა შ ი და გ ა ხ უ ს ტ ე ბ ა შ ი.

ამის დამტკიცება ძლიერ ადვილია: 1) დაავალეთ ცდისპირს ფან-  
ქრის რაც შეიძლება სწრაფად კაქუნი მაგიდაზე. შეადარეთ, რამ-  
დენს შეძლებს იგი ყურადღების კონცენტრაციის შემთხვევაში და  
რამდენს, როდესაც მისი ყურადღების კონცენტრაციას რაიმე უშლი-  
ხელს. ნახავთ, პირველ შემთხვევაში ეფექტი მეტი იქნება, ვიდრე  
მეორეში.

2) დაავალეთ დინამომეტრზე მაქსიმალური ხელის მოჭერა პირ-  
ველი ცდის ანალოგიურ პირობებში; შედეგი ასეთი იქნება: ყურად-  
ღების ზეგავლენით მოტორიკა (კუნთების შეკუმშვა) უფრო ინტენ-  
სიური გახდება.

3) დაავალეთ ცდისპირს განსაზღვრული სიგრძის ხაზების ხაზვა  
იმავე პირობებში და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყურადღების  
კონცენტრაციის შემთხვევაში მოტორიკა გაცილებით უფრო ზუს-  
ტია. ვიდრე უამისოდ.

თითქმის გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ ყურადღების ასეთი  
გავლენა მოტორულ აქტიობაზე იმით აიხსნება, რომ, როგორც დი-  
დიხანია ცნობილია, იგი სენსომოტორულ შეგუებას უწყობს ხელს.

ეს ფაქტი ე. წ. რეაქციის ცდების წარმოების დროს იქნა აღმოჩენილი. პირველად ლუდვიგ ლანგემ შეამჩნია, რომ ე. წ. მარტივი რეაქციის დრო ხან უფრო ხანგრძლივი იყო და ხან უფრო ხანმოკლე. აღმოჩნდა შემდეგი: ცდისპირს სიგნალს აძლევენ დავალებით — როგორც კი სიგნალს აღიქვამს, რაც შეიძლება სწრაფად აუშვას თითო ელექტრო-გასაღებს (რომელიც საგანგებო დროის აღმნიშვნელს გრძნობიერ აპარატთან, მაგ., ჰიპის ქრონოსკოპთან, არის შეერთებული და ელექტროდენს სწყვეტს. რის გამოც აპარატის ისარი ჩერდება და უჩვენებს. რა დრომ გახვლო — სეკუნდების მეთათხედებში ე. წ. სიგმებში — სიგნალის მოცემის მომენტიდან ხელის აშვებამდე ანუ რეაქციამდე. მთელს ამ დროს რეაქციის დროს უწოდებენ). გამოიკვია რომ ყურადღების კონცენტრაცია ამოცანის მიმართ ყოველთვის თვალსაჩინოდ ამცირებს რეაქციის დროს.

ლანგემ პირველმა მიაქცია ყურადღება (1888), რომ როდესაც ცდისპირი ყურადღებას სიგნალს უფრო აქცევს, ვიდრე თავის რეაქციას, რეაქციის დრო შედარებით ხანგრძლივია (სენსორული რეაქცია), ხოლო როდესაც იგი მეტი ყურადღებით თავის მოძრაობა ეპყრობა: „არ დამაგვიანდეს, რაც შეიძლება სწრაფად ვუპასუხო“-ო, მაშინ რეაქციის დრო გაცილებით უფრო მოკლე ხდება (მოტორული რეაქცია).

ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია ყურადღებას, როდესაც იგი მოტორიკისაკენ არის მიმართული: იგი აჩქარებს რეაქციას, რომელიც სიგნალის წინასწარ აღქმას გულისხმობს; მასადამე, ხელს უწყობს სენსომოტორულ ადაპტაციას.

5. ყურადღების გავლენა მეხსიერებასა და ინტელექტუალურ ოპერაციებზე. ყურადღების გავლენა მეხსიერების აქტიობაზე ძალიან დიდია. ზოგიერთი ფორმა მეხსიერების მუშაობისა, მაგალითად, უშუალო მეხსიერება, ეგოდენ მკიდროდ არის ყურადღებასთან დაკავშირებული, რომ ძნელი გასარჩევია, ყურადღების პროცესთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, თუ მეხსიერების პროცესთან. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია, რომ უშუალო მეხსიერებას გერმანელები „შემჩნევის უნარსაც“ (Merkfähigkeit) უწოდებენ. და მართლაც, არსებობს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მასალა, რომელიც თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ უშუალო მეხსიერების ნაყოფიერება ყველაზე მეტად ყურადღებაზეა დამოკიდებული, რომლითაც დასამახსოვრებელი მასალა აღიქმება.

დასამახსოვრებელი მასალის ყურადღებით აღქმას ამავე მიმართულებით მეხსიერების სხვა ფორმებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ყურადღების გავლენა მეხსიერებაზე მარტო ამით არ ამოიწურება. აქ ჩვენ უფრო სხვა სიბრტყეში გვანტერესებს საკითხი, სახელდობრ, რა გავლენას ახდენს ყურადღების კონცენტრაცია გახსენების ანუ რეპროდუქციის პროცესზე. თუ კი ყურადღების გავლენით წარმოდგენა სინათლესა და სიცხადეს იძენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პირობებში მისი რეპროდუქცია ადვილდება და ზუსტდება. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ნებისმიერი მოგონების შემთხვევებში.

რაც შეეხება ინტელექტუალურ ოპერაციებს, დიდიხნიდან ცნობილია, რომ ყურადღების გარეშე მათ შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია: ყოველი სწავლის უპირველეს პირობად იმთავითვე, სრულიად სამართლიანად, ყურადღება ითვლება. მაგრამ ექსპერიმენტული საბუთებიც არსებობს, რომელიც ამ დაკვირვების უეჭველ სისწორეს ზედმეტად ადასტურებს და აკონკრეტებს. ამათზე შეჩერება არ ღირს. აქ მხოლოდ ერთი უნდა აღინიშნოს, რაც ყურადღების ცდების მიმდინარეობაში გამოირკვა. აღმოჩნდა, რომ ყურადღების ზეგავლენით გონებრივი შრომის ნაყოფიერება იზრდება და მისი სიზუსტე მატულობს. მაგრამ სპეციალური გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ მუშაობის სისწრაფე და სიზუსტე ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა მიმართული: რაც უფრო დიდია ერთი, მით უფრო მცირეა მეორე. კროსლენდის შედეგების მიხედვით (1924), მათ შორის უარყოფითი კორელაცია არსებობს (სახელდობრ—0.47). მაშასადამე, ყურადღების გავლენის გამორკვევისას გონებრივ მუშაობაზე ყოველთვის ორივე ეს ფაქტორი, სისწრაფე და სისწორე, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

6. ყურადღება და გრძნობა. ტიჩენერის აზრით, გრძნობის გადაქცევა ყურადღების საგნად არ შეიძლება. ნაცვლად იმისა, რომ, ყურადღების გავლენით, იგი უფრო ნათელი და ინტენსიური გახდეს, პირიქით, სუსტდება და ქრება. მაგ., ადამიანი რომ განრისხებული იყოს და ამ თავისი ემოციური მდგომარეობის ყურადღებითი ანალიზი დაიწყო, მას გული გაუნელდება, და ემოციის მას, ყოველ შემთხვევაში, ბევრი აღარაფერი შერჩება. ამიტომაც, რომ, ტიჩენერის მიხედვით, ყურადღება როგორც მხოლოდ წარმოდგენის სინათლის დონე უნდა იქნეს გაგებული.

უდაოა, რომ გრძნობის მიმართ ყურადღების შესახებ იმ აზრით

ლაპარაკი რა აზრითაც შემეცნებითი პროცესების შემთხვევაში ვლაპარაკობთ, მართებული არ იქნებოდა. საქმე ისაა, რომ შემეცნებითი პროცესების შემთხვევაში, მაგალ., ალქმის დროს, ყურადღების და ალქმის აქტიობის ენერგია ერთმანეთს ემთხვევა: ყურადღება აქ ალქმის ენერგიის გაცხოველებას ნიშნავს. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გრძნობის შემთხვევაში: გრძნობა, მაგალ., მწუხარება, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რომ მისი გამომწვევი გარემოების შესახებ ვიცით რამე. თუ მიზეზი არაფერი გვაქვს, ისე მწუხარებას ვინ განიცდის: სანამ დედამ თავისი შვილის სიკვდილის შესახებ არაფერი იცის, მანამ იგი არავითარ მწუხარებას არ განიცდის. მაშ, გრძნობის უშუალო წყაროს შემეცნებითი პროცესები წარმოადგენენ, იმ ობიექტურ გარემოებათა გაცნობიერება, რომელნიც მას განსაზღვრავენ. როდესაც ყურადღებას სწორედ ამას ვაქცევთ, გრძნობის წყაროს, ე. ი. როდესაც გრძნობის გამომწვევ გარემოებას ნათლად ვითვალისწინებთ, მაშინ ყურადღებისა და გრძნობის ენერგია ერთმანეთს ხვდება, და შედეგად გრძნობის გაძლიერებას ვღებულობთ. მაგრამ, როდესაც ჩვენი ყურადღება თვითონ გრძნობაზე ჩერდება, მაშინ ამ უკანასკნელის წყაროს. მისი გამომწვევი პირობების განცდას, ფსიქიკური აქტიობა აკლდება. იგი სხვა მიმართულებით იწყებს მუშაობას, და გასაგებია, რომ გრძნობას ვეღარ კვებავს.

მაგრამ ეს მდგომარეობა სპეციფიკური კი არაა გრძნობისათვის. იგი-ყველგან იჩენს თავს, სადაც კი ანალოგიურ პირობებს აქვთ ადგილი. ავიღოთ, მაგალ., ცეკვა, დაკვრა, ან სხვა ავტომატიზირებული მოქმედება. ცნობილია, რომ ყურადღება აქ ისევე მოქმედებს, როგორც გრძნობის შემთხვევაში: საკმარისია, რომელიმე ამ ავტომატური ქცევის დროს შენს ცალკე მოძრაობებს მიაქციო საგანგებო ყურადღება, რომ ავტომატიზმი დაირღვეს და, ცეკვა იქნება თუ დაკვრა, გაგიჭირდეს. მიზეზი იგივეა, რაც გრძნობის შემთხვევაში: ავტომატურ ქცევას სხეულის საერთო მომართვა უღვეს საფუძვლად. და როდესაც ყურადღება ამ უკანასკნელისაკენაა მიპყრობილი, მაშინ ავტომატური ქცევა კარგად სრულდება. მაგრამ როდესაც ყურადღება ცალკეულ აქტებზე გადადის, მაშინ სხეულის საერთო მომართვა, ავტომატური ქცევის საფუძველი, ზარალდება. და შედეგი ისაა, რომ ავტომატური ქცევა ირღვევა.

## ყურადღება და ორგანიზმი

1. ყურადღება და ორგანიზმი. რასაკვირველია, არცერთი ფსიქიკური პროცესი არ არსებობს ისეთი, რომ ორგანიზმთან განუყრელი კავშირი არ ჰქონდეს: ფსიქიკა ხომ მთლიანად „ორგანიზებული მატერიის თვისებას“ წარმოადგენს (ლ ე ნ ი ნ). მაგრამ ყურადღებას და გრძნობას ამ მხრივ მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ერთიკა და მეორეც ისე თვალსაჩინოდ არიან ფიზიკური ორგანიზმის მდგომარეობასთან დაკავშირებული, რომ ფსიქოლოგიაში აზრიც კი გაჩნდა ასეთი: გრძნობა არსებითად ჩვენი სხეულებრივი პროცესების ცნობიერებაში ასახვის მეტს არაფერს წარმოადგენსო (ჯ ე მ ს ი); ყურადღება ჩვენი ორგანიზმის მოტორული გამართულობაა და მეტი არაფერიო (რ ი ბ ო). მართალია, ორივე ეს თეორია ცალმხრივია და მიუღებელი, მაგრამ გრძნობისა და ყურადღების განსაკუთრებული მდგომარეობა უდაოა: არცერთს ფსიქიკურ პროცესს არ ახლავს სხეულის ისეთი თვალსაჩინო ცვლილებები, როგორც გრძნობასა და ყურადღებას. უდაოა, რომ ეს გარემოება ამ ფსიქიკური პროცესების თეორიული გაცნობიერებისა; მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვერული.

რა მთავარი სხეულებრივი ცვლილებები ახლავს თან ყურადღების მდგომარეობას?

1) მოტორული ცვლილებები. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ცვლილებები, რომელნიც გრძნობის ორგანოების გამღიზიანებლებისადმი შეგუებას ანუ ადაპტაციას განსაზღვრავენ: აკომოდაცია, კონვერგენცია, თვალის გუგას რეფლექსი, თვალების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა, როდესაც საქმე მხედველობითს ყურადღებას ეხება. თუ ყურადღება მხედველობითი წარმოდგენისაკენაა მიმართული, მაშინ თვალი ისეთ მდგომარეობაში დგება, თითქოს რაიმე შორეულ ობიექტს ესპერეტდეთ. შესაფერისი ცვლილებები ჩნდება სხვა გრძნობის ორგანოების ადაპტაციისასაც: ჰაერის ნელი შეყნოსვა სუნის აღსაქმელად, სმენის ორგანოს დაძაბვა და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გამღიზიანებლისადმი ადაპტაციას მარტო ეს, თვით ორგანოებთან უშუალოდ დაკავშირებული, ცვლილებები კი არ ქმნის: ამას ემატება შესაფერისი დაქერა მთელი სუნის, თავის კიდურების.

ყურადღების მდგომარეობას თავისებური მიმიკური ცვლილებებიც ახლავს თან: ეს ის მიმიკური მდგომარეობაა, რომელიც მხედველობისთვისაა დამახასიათებელი: თვალების ზევით აწევა და უკან

მიბრუნება, მათი ფართოდ გახელა, შუბლზე ჰორიზონტალური ნაოკები, ზოგჯერ პირის ღია დატოვება. როდესაც ყურადღება თვალსაჩინოა და დაძაბული, მაშინ სათანადო სახის გამომეტყველება ჩნდება, მაგალ., შუბლზე ვერტიკალური ნაოკები. მაგრამ ეს მიმიკა ისე სპეციფიკური, ისე დამახასიათებელი არაა ყურადღებისათვის, როგორც ის თავისებური აქტიური უძრავობა, რომელიც ყოველს ნამდვილი ყურადღების მდგომარეობას ახლავს თან: ადამიანი თითქოს გარკვეულ მდგომარეობაში ქვევდება, მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, რომელიც განსაკუთრებით ადვილებს კონცენტრაციას. ეს უძრავობა ტონუსის ერთგვარ გაძლიერებას იცავს და როგორც აქტიური დაძაბულობა, ორგანიზმს იმ გამღიზიანებლებისაგან იფარავს, რომელნიც ამჟამად ყურადღების საგანს არ უხდ. შეადგენდნენ.

2) შინაგანი მოტორული პროცესები: სუნთქვა, გულისცემა, სისხლის მოძრაობა, ჯირკვლების სეკრეცია. სხეულის უძრავობა გავლენას ახდენს სუნთქვაზე: ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ყურადღება განსაკუთრებით ძლიერია, სუნთქვა ერთხანს სრულიად ჩერდება.

მაგრამ, როგორც მაკ-დაუგოლმა ნათელჰყო, ეს სიმპტომი უფრო სენსორული ყურადღებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. ინტელექტუალურ ყურადღებას უფრო სწრაფი სუნთქვა ახასიათებს. იგი ზერელეა და ზოგჯერ უწყესრიგო. ამიტომ დროგამოშვებით ღრმა ამოსუნთქვა ხდება ხოლმე აუცილებელი.

გულისცემა დასაწყისში ნელდება, მაგრამ შემდეგ ჩქარდება ალბათ, ამით აიხსნება, რომ ყურადღების დამახასიათებლად ზოგი ავტორი გულისცემის შენელებას სთვლის (მოიმანი) და ზოგი მის აჩქარებას (ბინე, მაკ-დაუგოლი).

რაც შეეხება სისხლის მოძრაობას, ყურადღების მიმართაც ძალში რჩება ის ზოგადი ფიზიოლოგიური დებულება, რომლის მიხედვითაც ორგანიზმის ის ნაწილი უფრო ჰარბად ირწყვება სისხლით. რომელიც უფრო აქტიურ მდგომარეობაში იმყოფება. სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ყურადღების მდგომარეობაში, როგორც წესი, კიდურებზე სისხლის ძარღვების შევიწროება ხდება, ხოლო ტვინში, პირიქით, მათი თვალსაჩინო გაფართოება. ეს დაკვირვება კარგად ეთანხმება იმ ფაქტს, რომ ყურადღების დროს ტვინი განსაკუთრებით აქტიურ მდგომარეობაში იმყოფება.

დასასრულ, როგორც ჩანს, ყურადღება ჯირკვლოვანი სისტემის მუშაობასთანაცაა დაკავშირებული. ყოველ შემთხ-

ვევაში, ბლონსკის გამოკვლევის მიხედვით (1929), ყურადღება ნერწყვის ალკალიურობაზე მინც უქველ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, სენსომოტორული და ინტელექტუალური აქტიობა ერთგვარ ანტაგონიზმში იმყოფება მომწელებელი ორგანოების, კერძოდ. კუჭის სეკრეტორულ აქტიობასთან.

3) ყურადღება და ცენტრალური ნერვული სისტემა. დომინანტის თეორია. რომ ყურადღების პროცესს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში თავისი საფუძველი აქვს. ამაში ექვი არავის შეაქვს. ამიტომ დიდი ხანია, რომ ფსიქოლოგია ამ საფუძვლების ნათელყოფის საკითხით არის დაინტერესებული. სხვადასხვა ფიზიოლოგიურ თეორიათა შორის, რომელნიც დღემდეა ცნობილი, განსაკუთრებული ყურადღება ე. წ. დომინანტის თეორიამ დაიმსახურა. ეს თეორია წამბოთა ფიზიოლოგის უხტომსკის მიერაა შემუშავებული. და მისი ძირითადი აზრი შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ.

ნერვულ სისტემაზე ყოველ მონაცემ მომენტში გარე აგენტების. ე. წ. გამლიზიანებლების უთვალავი რაოდენობა მოქმედობს და სათანადო ცენტრებში შესატყვის აგზნებას იწვევს; მაგრამ შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა. რომ აგზნების ყველა ამ კერას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. არა, ყოველს მონაცემ მომენტში რომელიმე ერთი აგზნების კერა არსებობს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი გამლიზიანებლის ზემოქმედების შედეგად ჩნდება და რომელიც ამიტომ ყველაზე უფრო ინტენსიური აგზნების კერად შეიძლება ჩაითვალოს. იგი გაბატონებულ კერად, დომინანტად, იქცევა, რაც იმაში იჩენს თავს, რომ, როდესაც სხვა გამლიზიანებლები შესაფერის კერებში აგზნებას იწვევენ, ეს უქანასკნელი იმწამსვე გაბატონებულ კერაში გადადის: აგზნების დომინანტური კერა, როგორც ეს ჯერ კიდევ პავლოვმა დაამტკიცა, თავისკენ იზიდავს ყველა შედარებით სუსტ აგზნებას. რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა პუნქტებში ჩნდება, და, ამრიგად, მათ ხარჯზე კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. ამის ექსპერიმენტულ საბუთს შემდეგი დავირვება იძლევა: გაზაფხულზე ბაყაყს სქესობრივი აგზნებულობის კერა აქვს დომინანტური. ეს იქედან ჩანს, რომ იგი ძლიერს მოხვევის რეფლექსს გვაძლევს: სქესობრივად აგზნებულ ბაყაყს რომ გულმკერდის არეზე ჯოხი მიადო, იგი მოხვევა მას. ვთქვათ, ეხლა რაიმე სხვა გამლიზიანებელი ამოქმედდეთ მასზე, ისეთი რომ მას სქესობრივი აგზნებულობის კერასთან არაფერი ჰქონდეს საერთო, მაგალ., ზურგზე შეეხეთ მას, ან ელექტროდენი ამოქმედდეთ, ან რაიმე-

ნაირად სხვაგვარად გააღიზიანეთ. ეფექტი აქაც იგივე იქნება: მოხვევის რეფლექსი გაძლიერდება. ცხადია, შეხებითი გაღიზიანების შედეგად აღმოცენებული აგზნება თავის პირველად ცენტრში კი არ დარჩენილა, არამედ მოხვევის რეფლექსის კერას შეერთებია და გაუძლიერებია იგი. ამით აიხსნება, რომ შეხებითი გაღიზიანების შედეგად ჩვეულებრივი თავდაცვითი რეფლექსის ნაცვლად მოხვევის რეფლექსის გაძლიერება მივიღეთ.

ამრიგად. ყოველს მონაცემ მომენტში ცენტრალურს ნერვულ სისტემაში ერთი კერაა გაბატონებული, რომელიც სხვა პუნქტებში აღმოცენებულ აგზნებას თავისკენ იზიდავს და ამით კიდევ უფრო ძლიერდება.

ეს გარემოება საკმაოდ კარგად ეთანხმება ყურადღების ფსიქოლოგიაში დადასტურებულს ორს ფენომენს; ერთის მხრივ, იმას, რომ ყურადღებას ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს, რომ მისი მოცულობა განსაზღვრულია; და, მეორის მხრივ, იმას, რომ ზოგიერთი უცხო გამღიზიანებელი ხელს კი არ უშლის, არამედ ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას.

უხტომსკის მიხედვით, შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დომინანტა ცენტრალური ნერვული სისტემის ერთს ტოპოგრაფიულად განსაზღვრულ წერტილს წარმოადგენს. არა! იგი ნერვული სისტემის სხვადასხვა სართულსა და ნაწილში, თავისა და ზურგის ტვინისა და ვეგეტატიური სისტემის სხვადასხვა ადგილას, განაწილებული მაღალი აგზნებულობის მქონე ცენტრების კომპლექსის სახით უნდა წარმოვიდგინოთ. აქედან გასაგები გახდება ის ფაქტი, რომ ყურადღების პროცესში მთელი სხეულია ჩართული: არა მარტო მისი მოტორული სისტემა, არამედ ის პროცესებიც, რომელთაც ვეგეტატიური ნერვული სისტემა წარმართავს (სუნთქვა, გულისცემა. სისხლის მიმოქცევა და სხვა). შეცთომა იქნებოდა იმის ფიქრიც, თითქოს დომინანტა ერთხელ და სამუდამოდ იყოს განსაზღვრული. არა, დომინანტა იცვლება. და, ამისდა მიხედვით, მთელი სხეულის გამართულობა და ფსიქიკის შინაარსიც სხვაგვარი ხდება.

ასეთია ის ფიზიოლოგიური საფუძვლები. რომელზედაც ჩვენი ყურადღების აქტები აიგება.



1. ცნობიერების სინათლის პათოლოგიური დაქვეითება. ნორმალურ ცნობიერებას ყოველთვის სინათლის ერთიდაიგივე დონე როლი ახასიათებს: ვესტფალის ცდების მიხედვით, ოთხი საფეხური მაინც უნდა იქნეს ამ შემთხვევაში ურთიერთისაგან განსხვავებული: 1) უბრალო მოცემულობის საფეხური 2) შემჩნევის საფეხური, 3) პოტენციალური ცოდნისა და 4) გამოთქმული ცოდნის, ანუ დადასტურების საფეხური. მაგრამ ამ საფეხურებში პათოლოგიური არაფერია. პათოლოგიასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც, შთაბეჭდილების მიწოდების ოპტიმალური პირობების მიუხედავად, ცნობიერება მაინც დაბალ დონეს ვერ შორდება.

განასხვავებენ ცნობიერების ამღვრევას და დაბინდულ ცნობიერებას. შეიძლება, ცნობიერების დაქვეითება უმნიშვნელო იყოს და წარმოავალი. როგორც ეს ეპილეფსიისა და ჰისტერიის შემთხვევაში ხდება, და შეიძლება იგი ღრმა იყოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განასხვავებენ ე. წ. სომნოლენცს, როდესაც, ბოლოსდაბოლოს, ენერგიული შეკითხვის საშუალებით ავადმყოფის ყურადღების აღძვრა მაინც ხერხდება: სოპორს, როდესაც ავადმყოფი ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაშია, გრძნობად შთაბეჭდილებებზე რეაქციას არ იძლევა, მაგრამ ადვილად შეიძლება გამოაღვიძო; აქვს ერთგვარი, თუმცა ბუნდოვანი წარმოდგენა, თუ სად იმყოფება, ჰო-სა და არა-ს გიპასუხებს; მაგრამ როგორც კი თავს დაანებებ, ხელახლა თავის თვლემას უბრუნდება. გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობას წარმოადგენს სტუპორი: როდესაც დაელაპარაკები, ავადმყოფი გაკვირვებით თვალებს ახელს, მაგრამ არაფერი ესმის და ვერაფერში ერკვევა; ყლაპვა ჭერ კიდევ შეუძლია, შერჩენილი აქვს თვალის მოძრაობა სინათლის მიმართულებით. ამაზე უარესი მდგომარეობაა კომა, სადაც ცნობიერების კვალიც აღარსად ჩანს: ავადმყოფს ყლაპვის რეფლექსი აღარ აქვს, არც თვალის გუგის რეფლექსი. ზოგჯერ ასეთი მდგომარეობა ერთბაშად იწყება და ხანგრძლივად გრძელდება: მაშინ ამას აპოპლექსიას უწოდებენ.

2. ყურადღების აშლილობის ტიპები. ყველა ეს ფორმა ცნობიერების მთლიან მდგომარეობას ახასიათებს. მაგრამ არის ყურადღების ნაწილობრივი აშლილობის შემთხვევებიც. კრეპელინი შემდეგ ფორმებს განასხვავებს: 1) ყურადღების დაწლუნება:

ავადმყოფი არაფერს არ აქცევს გარემოში ყურადღებას, არაფერი არ აღძრავს მოგონებებს, არაფერი არ იწვევს ინტერესს. 2) ყურადღების ჩა რ ა ზ ვ ა (sperrnug): ავადმყოფს ყველაფერი კარგად ესმის. მაგრამ რაზედაც მიუთითებთ, არაფერს არ აქცევს ყურადღებას; მას არ უნდა ვინმე რაიმე გავლენას ახდენდეს მასზე, და ამიტომაც თქვენს კითხვებს უპასუხოდ სტოვებს. 3) ყურადღების შეფერხება: ყურადღების გარე ნიშნები ყველაფერი მოცემულია; მაგრამ არა ნორმალურად ღიძმა დრომ უნდა განვლოს. რომ ავადმყოფმა, რაც უთხარით, გაიგოს. როგორც ჩანს, მას ყურადღების დროითი მომენტი აქვს დაზიანებული. 4) ყურადღების გარე გალიზიანებებით განსაზღვრულობა: ავადმყოფის ყურადღებას ყოველი ახალი გალიზიანება იწვევს (პიპერდინამიკური ყურადღება). 5) გარეგნულად ასეთივე ეფექტი გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ავადმყოფის ყურადღება არანორმალურად ადვილად გადადის საგნიდან საგანზე — უბრალოდ იმის გამო, რომ საგანი ღრმად ვერ მოქმედობს ცნობიერებაზე; როგორც ეს, მაგალ., დაღლილობის დროს ხდება ხოლმე: ასეთ შემთხვევაში არანორმალურად გაძლიერებულ დაბნეულობასთან გვაქვს საქმე.

8. ცნობიერების დავიწროება. განსაკუთრებით ხშირად ცნობიერების პათოლოგიური დავიწროება პისტერიის დროს გვხვდება. უანე მოგვიტორობს თავისი, ეხლა უკვე სახელგანთქმულის, პაციენტი ქალის ლუსის შესახებ: როდესაც ლუსი ვისმე ესაუბრება. სხვას ვეღარაფერს ამჩნევს: შეგიძლიათ მას ხმამაღლა დაუძახოთ. ურში ჩასძახოთ: სულერთია, მაინც ვერაფერს გააგონებთ. იმავე უანეს მიხედვით, არსებობს მდგომარეობა ე. წ. კატალექსია, როდესაც ცნობიერების შინაარსი მარტოდმარტო ერთი წარმოდგენით განისაზღვრება.

ძალიან საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: ავადმყოფს მშვენივრად შეუძლია ერთი ობიექტის ყურადღებით ჭვრეტა, მაგრამ მხოლოდ ერთის. მეორეს ამ დროს ის სრულიად ვეღარ ამჩნევს. მას მშვენივრად შეუძლია ერთი თვალის გადავლებით ადამიანის ფიგურის აღწერა: დაგისახელებთ ტანისამოსის ფერს, სიდიდეს და სხვ. მაგრამ ასეთი ცდა რომ დააყენოთ: მიაწოდოთ ჭინძისთავი და იქვე გვერდით, 5 სანტიმეტრის დაშორებით, ანთებული სანთელი, საოცარ შედეგს მიიღებთ: როდესაც იგი ჭინძისთავს ხედავს, სინათლეს სრულიად ვეღარ ამჩნევს და პირაქით.

## ყურადღების განვითარება ონტოგენეზში

ისე, როგორც სხვა ფსიქიკური ფუნქციების განვითარების ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ყურადღების ონტოგენეზშიც უთუოდ იმ მომენტს აქვს, როდესაც მოზარდი თავის ყურადღებას იმ დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებს, რომელშიც იგი მასზე შემთხვევით მოქმედი გამღიზიანებლების მიმართ იმყოფებოდა, და მის წარმართვას თვითონ იწყებს: ყურადღების განვითარების ისტორიის ცენტრალურ ფაქტს ნებისმიერი, გაშუალებული ყურადღების დაბადების აქტი შეადგენს.

ლენტოების შედეგების მიხედვით, ნებისმიერი ყურადღების ელემენტები სკოლის წინარე ასაკშიც გვხვდება; მაგრამ ჰემმარიტად ნებისმიერად იგი მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც მოზარდი მისი ორგანიზაციის, მოწესრიგების ხერხებს დაეუფლება. ეს კი მხოლოდ სასკოლო ასაკში ხდება, და 11-12 წლის მოწაფე თავისი ნებისმიერი ყურადღების განვითარების უკვე მაღალ საფეხურზე დგას.

ამიტომ სკოლის წინარე ასაკი ყურადღების განვითარების ისტორიაშიც მკვეთრად გამოეყოფა მოზარდის ცხოვრების შემდგომ პერიოდს.

1. ყურადღების მოცულობა. როდესაც ადრეული ასაკის ბავშვის აღქმას ან მეხსიერებას ვეცნობოდით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ ასაკის ბავშვის ცნობიერებას ჯერ კიდევ დიფუზიურობა ახასიათებს. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს გარემოება თავისებურ გავლენას ახდენს მის ყურადღებაზეც: ადრეული ასაკის ბავშვისათვის, ჩვეულებრივ, სრულიად შეუძლებელია, რომ მან რაიმე რთული ობიექტის სხვადასხვა მხარეები, როგორც ერთი საგნის ნიშნები, თავისი ყურადღების საგნად აქციოს. მის ყურადღებას ობიექტის თითოეული ცალკე მხარე იტაცებს, სწორედ ისე. როგორც ზემოაღწერილს ყურადღების შევიწროების შემთხვევაში, პაციენტის ყურადღებას თითოეული ცალკე საგანი იპყრობს. სხვა მხარეებს მაშინ იგი ვერ ხედავს, და ამიტომ საგანი მისთვის მარტო ერთი ნიშნით არის წარმოდგენილი, იმ ნიშნით, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო.

ბავშვის ყურადღების მოცულობის სივიწროვე, რომლის კლასიკური აღწერაც ჯერ კიდევ მოიხანმა მოგვცა, უნდა ვიფიქროთ, აქედან — ცნობიერების დიფუზიურობიდან — გამომდინარეობს: ბავშვის ცნობიერებისათვის ჯერ კიდევ უცხოა მთლიანში სიმრავლის დანახვის უნარი. ამიტომ მისთვის, ყველა მონაცემ მომენტში, მხოლოდ ცალცალკე ობიექტები და მოვლენები არსებობენ. რომელთა

შეკავშირება. რაიმე რთულ მთელში გაერთიანება, მან ჯერ კიდევ არ იცის. ამიტომ, რომ ბავშვი ერთს რომ აპყრობს თავის ყურადღებას, მეორე მისთვის აღარ არსებობს. ამიტომ, როგორც ამბობდა მოიმიანი, ბავშვს რომ ცალ ხელში სათამაშო ჰქონდეს და მეორეში სხვა სათამაშო მისცე, პირველს ხელიდან გააგდებს: როდესაც ერთს ხედავს, მეორე სრულიად ქრება მისთვის.

თავისთავად იგულისხმება, რომ განვითარების ამ საფეხურზე მხოლოდ სენსორული და მოტორული ყურადღების შესახებ შეიძლება ლაპარაკი: ინტელექტუალური ყურადღება ჯერ კიდევ უცხოა ბავშვისათვის.

2. ყურადღების კონცენტრაცია. მგრამ ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ, რაკი ბავშვის ყურადღების მოცულობა ეგოდენ განსაზღვრულია, მისი კონცენტრაციის უნარი უნდა იყოს დიდი? ჩვენ ხომ დავრწმუნდით, რომ განსაზღვრულ ფარგლებში ყურადღების კონცენტრაცია მით უფრო დიდია, რაც უფრო ვიწროა მისი მოცულობა! მაგრამ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს მოიმიანი, რომ ამ შემთხვევაში ბავშვის ყურადღების ძლიერებასთან კი არა, სისუსტესთან გვაქვს საქმე: ბავშვის ყურადღების კონცენტრაციის დონის სიმალეზე ლაპარაკი არ შეიძლება. მას კონცენტრაციაზე უფრო, განსაზღვრული აზრით, დისტრიბუცია ახასიათებს. იმ გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ბავშვის ყურადღების კონცენტრაციას ეხება (ბუიროლ, კოლანდერ), შეიძლება ითქვას, რომ განვითარების გზაზე ერთი ნახტომი 4-5 წელში კეთდება და მეორე 10-11-ში პირველი პერიოდი (3—4 წლამდე) კონცენტრაციის უნარის მაქსიმალური სისუსტით ხასიათდება. მეორე პერიოდში (4-5-დან — 9-10-მდე) ეს უნარი შედარებით მაღალია, იმდენად მაღალი, რომ, მაგ., 8-10 წელში საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებას აღწევს. ხოლო შემდეგ (10-11-დან — 14 წლამდე) თავისი განვითარების უმაღლეს დონეზე დგას.

ეს გარდატეხა კონცენტრაციის განვითარების გზაზე (რომელიც 11-12 წელში ხდება) მშვენივრად ეთანხმება იმ მონაცემებს, რომელიც მოზარდის ნებისმიერი ყურადღების განვითარების შესახებ სწორედ ამ ასაკობრივ საფეხურზეა დადასტურებული. საყურადღებოა, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში (14 — 15 წლებში) მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ხელახლა ქვეითდება, რათა შემდეგ, 16 წლიდან, ხელახლა მაღალი მაჩვენებლები მოგვეცეს.

3. ყურადღების დინამიკურობა. მოიმიანი ბავშვის ყურადღების ერთერთ თავისებურებას მის დინამიკურობაში სკვრეტს. ესეც ბავშვის სისუსტის წყაროდან გამომდინარეობს: მას შინა-წარმართ-

ველი ძალა აკლია, იგი გარემოების განუსაზღვრელი გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ მისი ყურადღება დიდხანს ვერ სძლებს ერთიანი იმავე მიმართულებით: ბავშვის ყურადღებას ახალახალი იმპულსი ესაჭიროება. ეს პირველი სასკოლო ასაკის ბავშვის ყურადღების შესახებაც კი ითქმის. მით უმეტეს უნდა იფქვას ეს სკოლის წინარე ასაკის ბავშვის ყურადღების შესახებ.

სამწუხაროდ, ჭერჭერობით ჩვენ მხოლოდ სკოლის წინარე ასაკის ბავშვის შესახებ ვიცით, თუ რამდენად გამძლეა მისი ყურადღება. ბ ე ი რ ლ ი საგანგებოდ სწავლობდა, რამდენ ხანს გრძელდება ბავშვის თამაში აღრეული ბავშვობის სხვადასხვა საფეხურზე და მისი კონსტანტობის დონის შესახებ აქედან დაასკვნოდა. მან ნათლად გვიჩვენა, რომ ბავშვის ყურადღება ოთხ წლამდე მაქსიმალურად დინამიკურია. ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვის ყურადღების განვითარების მიმდინარეობაში თვალსაჩინო ცვლილება ხდება და მის შემდეგ — ექვს წლამდე ყოველ შემთხვევაში — იგი ისევ სწრაფი ტემპით მიიწევს წინ, ასე რომ სკოლის პერიოდის დასაწყისისათვის უკვე იმდენად მაღალ საფეხურზე დგას, რომ საინტერესო ობიექტზე ყურადღების შეჩერება საათნახევარზე მეტ ხანს შეუძლია (ბეირლის მიხედვით, 96,6').

მაგრამ ნამდვილი სტატიკური ყურადღების შესახებ რომ თქვას კაცმა, ჭერჭერობით არც კი შეიძლება ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ბავშვი ამდენ ხანს ჭერ მხოლოდ საინტერესო საქმიანობაზე, განსაკუთრებით თამაშზე, აჩერებს ყურადღებას; ხოლო რაც შეეხება იმას, რაც მისთვის უშუალო ინტერესს არ წარმოადგენს, აქ იგი ისევე უმწეოა, როგორც 2—3 წლის ბავშვი საინტერესო თამაშის დროს: მხოლოდ სასკოლო ასაკში ეჩვევა იგი თანდათანობით ყურადღების ხანგრძლივად არა უშუალოდ საინტერესო საგნებზეც შეჩერებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ, რასაკვირველია, ერთის მხრივ, ბავშვის ინტერესთა პორიზონტის გაფართოებას აქვს და, მეორის მხრივ, მისი ნებისყოფის განვითარებას.

## წარმოსახვის ფსიქოლოგია

### წარმოსახვა

1. წარმოსახვა. აღქმა აქტუალური ობიექტური სინამდვილის ასახვას იძლევა, ე. ი. ობიექტური სინამდვილისას, რომელთანაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ურთიერთობაში. მეხსიერებაც ობიექტური სინამდვილის ასახვას გვაწვდის, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასთან წარსულში გვექონია ურთიერთობა. ერთი სიტყვით, ორივე ფუნქცია — აღქმაცა და წარმოდგენაც — ობიექტურის, ჩვენგან დამოუკიდებელი სინამდვილის, ასახვას იძლევა, ოღონდ ერთი — სინამდვილის მხოლოდ იმ მხარეებისას, რომელიც აწმყოში მოქმედობს ჩვენზე, ხოლო მეორე — იმისას, რასაც წარსულში უმოქმედებია ჩვენზე.

მეხსიერება რომ არ არსებულებოდა, სინამდვილე ჩვენთვის მარად იმით იქნებოდა განსაზღვრული, რაც ყოველს მონაცემ მომენტში მოქმედობს ჩვენზე: იგი ვერასდროს აწმყოში მოცემულის ფარგლებს ვერ გასცილდებოდა, და ჩვენი ქცევაც მარად ყოველს ცალკე მომენტში შექმნილ სიტუაციაზე იქნებოდა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენ მეხსიერებაც გვაქვს, და იგი შესაძლებლობას გვიქმნის, არა მარტო იმის მიხედვით ვმოქმედოთ სინამდვილეზე, რაც ამჟამად გვეძლევა მის შესახებ აღქმაში, არამედ იმის მიხედვითაც, რაც ოდესმე გვექონია მოცემული: მეხსიერება პირველი გვათავისუფლებს უშუალო სიტუაციის მონობისაგან, იგი პირველი აფართოებს სინამდვილის საზღვრებს, რომლებშიც ჩვენი აქტიობა მიმდინარეობს.

მაგრამ ორივე, მეხსიერებაცა და აღქმაც, მარტო იმით არის განსაზღვრული, რაც ან ეხლა გვეძლევა გარედან, ანდა ოდესმე ყოფილა

იქედან მოციმული. ის, რაც ჯერ არასდროს არ ყოფილა ჩვენი აღქმის საგნად, რაც შესაძლებელია მხოლოდ მომავალში გახდეს ასეთად, ის ჩვენთვის ჯერ კიდევ სრულიად არ არსებობს, ის ჯერ კიდევ ვერაერთად გავლენას ვერ ახდენს ჩვენს ქცევაზე.

მაგრამ ადამიანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მისი ქცევა სრულიად არ არის სინამდვილის იმ ვიწრო არით შეზღუდული, რომელიც აწმყოსა და წარსულში მოცემულით განისაზღვრება. იგი მოცემულობის ზღუდეებს არღვევს და ახალ სინამდვილეს ქმნის. ამის შესაძლებლობას მას წარმო-სახე ანუ ფანტაზია აძლევს. ჩვენ არ ვკმაყოფილდებით იმით, რაც ობიექტურადაა აღქმისა და მეხსიერების შინაარსის სახით მოცემული, ჩვენ ფანტაზიის საშუალებით ახალი შინაარსების წარმოსახვას ვიწყებთ, ახალ წარმოდგენებს ვქმნით, რომელსაც აღქმაში მოცემული ობიექტური სინამდვილის ასახვა კი არა, პირიქით, მისი ფარგლების გაფართოება და ახალი სინამდვილის შექმნა აქვს მიზნად დასახული.

2. მეხსიერებისა და ფანტაზიის წარმოდგენა შინაარსის მხრივ. როგორც აღქმაში, ისე მეხსიერების წარმოდგენაშიც ჩვენ ყოველთვის რაღაც გვეძლევა: აღქმაც და წარმოდგენაც საგანს გულისხმობს, საგანს ეხება. ასეა წარმოსახვის შეთხვევაშიც: ჩვენ უთუოდ რასმე წარმოვისახავთ, რასმე წარმოვიდგენთ; საგნის გარეშე არც ფანტაზიის წარმოდგენა არსებობს. მაგრამ გარდა საგნისა აღქმაში შინაარსსაც ვარჩევთ. ასეა მეხსიერების წარმოდგენაში და ასეა ყოველგვარს სხვა წარმოდგენაშიც — კერძოდ, ფანტაზიისაშიც.

იმისათვის, რომ ფანტაზიისა და აღქმის ან მეხსიერების პროდუქტების განსხვავება მოვნახოთ, საჭიროა ისინი, როგორც მათი საგნის, ისე მათი შინაარსის მხრივ შევადაროთ ურთიერთს.

დავიწყოთ შინაარსით! როგორც ვიცით, აღქმის შინაარსს ჩვენი გრძნობადი მასალა შეადგენს, ჩვენი სხვადასხვა მოღალაობის შეგრძნებები. იგივე შინაარსი აქვს მეხსიერების წარმოდგენასაც. რა უნდა ითქვას ფანტაზიის წარმოდგენის შესახებ? ავიღოთ რაიმე მაგალითი, ყველაზე უფრო ფანტასტური შინაარსის წარმოდგენა, ვთქვათ, „ქიმერა“, რომელსაც, ჰომეროსის აღწერის მიხედვით, წინა ნაწილი ლომისა აქვს, შუატანი თხისა და უკანა ნაწილი გველის. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ისეთი, რომ ჩვენი შეგრძნებების კი არა, რაიმე სხვა მასალისაგან იყოს აგებული: მასალა აქ ჩვეულებრივია, ისეთივე, როგორც აღქმის შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ

ეს მასალა სხვანაირადაა გაფორმებული, გამთლიანებული. რა თქმა უნდა, ეს არა მარტო ჩვენი მაგალითის შესახებ ითქმის, არამედ ეს ასეა ყველგან. ერთი სიტყვით, ფანტაზიის წარმოდგენაც იმავე მასალას შეიცავს, რასაც ყოველი ალქმა და ყოველი მეხსიერების წარმოდგენაც: შეუძლებელია, ფანტაზიის წარმოდგენაში რაიმე ისეთი შინაარსეული მომენტი იყოს მოცემული, რისი შესატყვისი შეგვჩვენებაც არასდროს არ გვექონია. ცნობილია, რომ დაბადებით უსინათლო, რაგინდ ცხოველი ფანტაზიის პატრონიც უნდა იყოს იგი, ვერასდროს ვერც ერთ ფერს ვერ წარმოისახავს.

მაგრამ ჩვენ აქამდე შინაარსის მხოლოდ რომელიღობითი მხარე გვექონდა მხედველობაში. შეიძლება განსხვავება რომელსაღმე რაოდენობით მომენტში იყოს — შეიძლება ალქმის ან მეხსიერების წარმოდგენა თავის სიძლიერის, სინათლის, ცხოველობის ხასიათით განსხვავდებოდეს ფანტაზიის წარმოდგენისაგან! და მართლაც, ჩვეულებრივ, ფანტაზიის შესახებ ასეთი შეხედულება არსებობს: თითქოს მისი წარმოდგენები განსაკუთრებული სიციხოვლით ხასიათდებოდნენ. მაგრამ ეს არაა სწორი. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, რომ მოგონება იმდენად პლასტიკურია, იმდენად ხელსახები და ცხოველი, რომ იგი ისე განიცდება, თითქოს მისი სუგანი ჩვენს თვალწინ იდგეს, მაშინ როდესაც ფანტაზიის წარმოდგენას ყოველთვის ასეთი სიციხოველე არ ახასიათებს: განა ცოტა არის ისეთი შემთხვევები, რომ ადამიანს მშვენიერი მეხსიერება ჰქონდეს, მაგრამ სუსტი ფანტაზია! ასეთი შემთხვევები არა თუ არის, არამედ ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ორივე ამ ფუნქციის განსაკუთრებით მაღალი განვითარების დონე ერთსადაიმავე სუბიექტში, ჩვეულებრივ, არც კი გვხვდება. მეხსიერება, ერთის მხრივ, შეიძლება ხელსაც უშლიდეს ფანტაზიის თავისუფალ მუშაობას.

მაგრამ კიდევ რომ ყოფილიყო ამგვარი განსხვავება ფანტაზიის წარმოდგენასა და მეხსიერების წარმოდგენას შორის, ეს მათ საღიფერენციაციოდ მიანც არ გამოდგებოდა, იმიტომ რომ რაოდენობითი განსხვავება — სიციხოველის მეტნაკლებობა — თავისთავად, როგორც რაოდენობითი განსხვავება, რომელიც ჟერ კიდევ არ გადაქცეულა რომელიღობით განსხვავებად, მხოლოდ ერთიღაიმავე ჟგუფის მოვლენათა შორის იძლევა შიგნითს დიფერენციაციას: იგი, ასე ვთქვათ, ინტრადიფერენციაციისთვის გამოდგება, და არა ინტერადიფერენციაციისთვის.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისის გამოყენების აზრს, ფანტაზიისა და მეხსიერების წარმოდგენა-



თა შედარებისას, მაინც აქვს თავისი საპატიო საბუთი. საქმე ისაა, რომ მეხსიერება ობიექტური სინამდვილის ასახვის ამოცანით არის შეზღუდული: მას არ შეუძლია სუვერენულად შესცვალოს, ისე როგორც უნდა, თავისი წარმოდგენები, ვინაიდან ეს უკანასკნელი ობიექტური ვითარების ასახვას უნდა იძლეოდნენ — იმის ასახვას, რასაც ნამდვილად ჰქონდა წარსულში ადგილი. სულ სხვაა ფანტაზია: იგი ობიექტური ვითარების ასახვის ნაცვლად, ახალის, არყოფილის წარმოდგენის აგებას ცდილობს, და როგორი იქნება ეს ახალი, ეს სავსებით და მარტოდმარტო მასზე, ფანტაზიაზე, არის დამოკიდებული. ამიტომ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ფანტაზიას თავისი წარმოდგენის რომელიმე მხარე მკრთალი, გაურკვეველი, ხარვეზიანი ღარჩეს. ან კი რა შეუშლიდა მას ხელს, ეს წარმოდგენა ისე შეევსო და გადაეკეთებია, როგორც მას მოესურვებოდა! მიუხედავად ამისა. არ შეიძლება ითქვას, რომ სიცხოველე ყოველ ფანტაზიას თანაბრად ახასიათებდეს: არსებობს არაერთი ადამიანი, რომლის ფანტაზიაც შეიძლება უფრო მკრთალი იყოს, ვიდრე მისი მეხსიერება და, მით უმეტეს, ვიდრე მისი აღქმა.

ამრიგად, მეხსიერების იქნება წარმოდგენა თუ ფანტაზიის, მათ შორის შინაარსის შემადგენლობის მხრივ არავითარი განსხვავება არ დასტურდება: შინაარსის შექმნისგან განსხვავებული ვერაფერია, რა წარმოდგენასთან გაქვს საქმე, უბრალო მოგონებასთან თუ წარმოსახვასთან.

## 8. მეხსიერებისა და ფანტაზიის წარმოდგენის საგანი.

ვნახოთ, არის თუ არა რაიმე განსხვავება მათ შორის საგნის თვალსაზრისით. ზემონათქვამიდან ჩანს, რომ აქ უკვე სულ სხვა მდგომარეობასთან უნდა გვექონდეს საქმე. მეხსიერება, ისე როგორც აღქმაც, სინამდვილეში არსებულის ასახვას ცდილობს, მაშასადამე, ნამდვილად არსებულ საგანს გულისხმობს: მისი ინტენციონალური საგანი ნამდვილი, ობიექტურად არსებული საგანია. სულ სხვაა ფანტაზია. იგი თვითონ ქმნის თავის საგანს: მასში ნაგულისხმევი საგანი არავითარ შემთხვევაში სინამდვილეში არსებულ საგანს არ უნდა წარმოადგენდეს, იგი უსათუოდ სხვაგვარი უნდა იყოს — ის კი არა, რაც არის, არამედ ის, რაც ამ სახით ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არსად არ ყოფილა. მაშასადამე, მათი საგანი სულ სხვადასხვაა. საგნის მიხედვით, ფანტაზიისა და მეხსიერების წარმოდგენები არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

მაგრამ როგორ გავიგოთ ჭაგანთა ეს განსხვავებულობა? ფანტაზიის წარმოდგენის საგანში სინამდვილეში არსებული საგანი არ იგულისხმება; მეხსიერების საგანში კი სწორედ ეს უკანასკნელი იგუ-

ლისხმება. მაგრამ, ვთქვათ, ვინმემ შავი გელი წარმოიდგინა. რად ჩაითვლება ეს წარმოდგენა — ფანტაზიის წარმოდგენად თუ მეხსიერებად? თუ ობიექტურის სინამდვილის თვალთ შვევხედავთ, შავი გელის წარმოდგენა ფანტაზიად ვერ ჩაითვლება, იმიტომ რომ შავი ფერის გელი სინამდვილეში მართალა არსებობს. მაგრამ ჩვენს მაგალითში სუბიექტს, ვთქვათ, არც თვითონ უნახავს ასეთი გელი და არც მისი არსებობის შესახებ გაუგონია რამე. მაშასადამე, მას თვითონ უნდა შეექმნა შავი გელის ხატი. ამდენად ეს უკანასკნელი არა მეხსიერების, არამედ ფანტაზიის პროდუქტად უნდა ჩათვლილიყო.

ამისდა მიხედვით, საქმე ის კი არაა, თუ ობიექტურად რას წარმოადგენს ამა თუ იმ წარმოდგენის საგანი, არამედ ის, თუ როგორ იგულისხმება, ანუ რას წარმოადგენს იგი ინტენციონალურად.

მაგრამ, მეორეს მხრივ, უდაოა, რომ არის ისეთი შემთხვევებიც. როდესაც უქვევლად ფანტაზიის წარმოდგენასთან გვაქვს საქმე, და ამავე დროს ინტენციონალურად მისი საგანი სინამდვილეში არსებულ საგნად იგულისხმება — მაგალითად, ჰალუცინაციის შემთხვევაში, ან სიზმრის წარმოდგენათა შემთხვევაში. მაშასადამე, საქმე არც იმაშია, როგორია წარმოდგენის საგანი ინტენციონალურად და არც იმაში, თუ როგორია იგი ობიექტურად. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ არც საგნის მიხედვით შეიძლება ფანტაზიისა და მეხსიერების წარმოდგენათა დიფერენციაცია.

მაგრამ ეს დასკვნა სწორი არაა. საქმე ისაა, რომ ესა თუ ის წარმოდგენა ერთის თვალსაზრისით შეიძლება ფანტაზიად ჩაითვალოს. ხოლო მეორის თვალსაზრისით — არა. როდესაც საკითხს ვაყენებთ, ახალია ესა თუ ის წარმოდგენა ობიექტურად, თუ იგი მხოლოდ იმის ასახვას წარმოადგენს, რაც არსებობს, მაშინ ჩვენი თვალსაზრისი უფრო ლოლიკურია, ვიდრე ფსიქოლოგიური. როდესაც, მეორის მხრივ, ვკითხულობთ, თუ როგორია ესა თუ ის წარმოდგენა ინტენციონალურად, მაშინ ჩვენი თვალსაზრისი ფენომენოლოგიურია. ფსიქოლოგია, მაშასადამე, არც პირველ შემთხვევაშია ჩვენი თვალსაზრისი და არც მეორეში. ფანტაზია კი პირველ რიგში ფსიქოლოგიური ცნებაა, და აქ ჩვენ, რასაკვირველია, მხოლოდ ეს უკანასკნელი გვაინტერესებს.

თუ მსჯელობის დროს ერთს გარკვეულ თვალსაზრისზე, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურ თვალსაზრისზე, დავდგებით, მაშინ საკითხის გადაჭრა ძნელი არ იქნება. მაშინ ჩვენ ის კი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, თუ როგორია ამა თუ იმ წარმოდგენის საგანი წმინდა ობიექტურად, არამედ — ახალია იგი თუ არა ობიექტურად (და არა სუბიექტურად) სუბიექტისათვის, ე. ი. კჰონია თუ არა სუბიექტს ეს

საგანი ოდესმე რაიმენაირად განცდილი. ჩვენს მაგალითს რომ დავუბრუნდეთ იმის გადასაწყვეტად, შავი გედის წარმოდგენა ფანტაზიის წარმოდგენაა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თუ არა, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, ჰქონდა თუ არა სუბიექტს შავი გედის შესახებ რაიმე გაგონილი ან განცდილი. იმ შემთხვევაში, თუ არაფერი, მაშინ ეს წარმოდგენა უეჭველად ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად იგი არავითარ შემთხვევაში ასეთად არ ჩაითვლება. რომ ავიღოთ ესაა რაიმე მართლა ფანტასტიკური სიზმრის წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ განცდის მომენტში სუბიექტს მისი სრული რეალობა სწამს, იგი მაინც ფანტაზიის წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ ნამდვილად ასეთი რამ სუბიექტს არასდროს არაფერი განუცდია. მაშასადამე, მის შექმნას იგი მხოლოდ ფანტაზიის საშუალებით შესძლებდა.

ამრიგად, ფანტაზიის წარმოდგენისა და მეხსიერების წარმოდგენის საგანი სხვადასხვაა. ფანტაზიის საგანი ინდიფერენტულია არსებული სინამდვილის მიმართ; მეხსიერების წარმოდგენა კი, პირქიით, მხოლოდ არსებული სინამდვილის ასახვას ესწრაფის: მისი საგანი არსებული სინამდვილის საგანს წარმოადგენს.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფანტაზია არა მარტო ცალკეული ხატების წარმოქმნაში იჩენს თავს — არა მარტო იმაში, რომ იგი ვთქვათ, ქიშკრის ან შავი გედის, ან ცხრათავიანი დევის ცალკეულ წარმოდგენებს იძლევა. არა! კიდევ უფრო ხშირად ფანტაზია მთელ სუქეეტებს ქმნის, რთულ ამბებს, შემთხვევებს, ერთი სიტყვით, წარმოდგენათა მთლიანი, დაკავშირებული მიმდინარეობის სურათებს. მაგალ., სიზმრის შინაარსში მარტო მაშინ კი არ იჩენს თავს ფანტაზია, როდესაც მასში შემავალი ცალკეული წარმოდგენები სრულიად თავისებურია, როდესაც ისინი სინამდვილიდან როდი არიან ამოღებული, არამედ სრულიად ახლად არიან შექმნილი. არა! შეიძლება. სიზმარში შემავალი ცალკეული წარმოდგენები ყველა სინამდვილიდან იყოს ამოკრებილი, ყველა ცნობილი იყოს, მაგრამ სიზმარი, როგორც მთლიანი, ყველაფერი რაც მასში ხდება, ერთი სიტყვით, მისი სუქეტი, განცდილის უბრალო მოგონებას კი არა, სრულიად ახალს, ამ სახით. ჭერ არყოფილ ვითარებას წარმოადგენდეს.

მეხსიერებისა და ფანტაზიის განსხვავება აქაც იგივეა: პირველის წარმოდგენა იმის რეპროდუქციაა, რაც ერთხელ მაინც განუცდია სუბიექტს სინამდვილეში; მეორეს კი — იმის პროდუქცია, რაც მას ამ სახით არასდროს არ შეხვედრია სინამდვილეში.

ამრიგად, როდესაც ფანტაზია ცალკეულ წარმოდგენებს ქმნის, იგი ჩვეულებრივი აღქმადი ელემენტებისაგან არის აგებული. მაშა-

სადამე, ახალი მთელის თავისებურებაში, მთელის გეშტალტში უნდა ვეძიოთ და არა მასალის ერთეულებში. ასეა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ფანტაზია რთული შინაარსების, რთული სუჟეტების, შემოქმედებაში იჩენს თავს: მასალა, ცალკეული წარმოდგენები, შესაძლებელია აქაც აღქმადი შინაარსის იყოს; მაგრამ ფანტაზიის პროდუქტი, როგორც მთელი — სუჟეტი, ამბავი — თავისი აღნაგობით უთუოდ ახალ რასმე უნდა წარმოადგენდეს.

4. რეპროდუქციული ფანტაზიის საკითხი. ფანტაზია არსებული სინამდვილის ფარგლებს შორდება: იგი „აფრენაა სინამდვილისაგან“, როგორც იტყოდა ლენინი, და ახალი სამყაროს შემოქმედებაა. მაგრამ იგი უსათუოდ ობიექტურად ახალის კი არა, მხოლოდ სუბიექტისათვის მართლა ახალის შემოქმედებაა. თუ ეს უკანასკნელი პირობა დაცულია, ჩვენ, როგორც ზემოდაც დავრწმუნდით, უდაოდ ფანტაზიასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც ჩვეულებრივ შემთხვევებში ფანტაზიის საგანი ინტენციონალურადაც განსხვავდება აღქმისა და მეხსიერების საგანთაგან: იგი არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ ფენომენალურადაც ახალს, არარეალურს წარმოადგენს: სუბიექტი ფანტაზიის საგნებს როგორც არარეალურს განიცდის, მაშინ როდესაც მეხსიერებისა და აღქმის შემთხვევებში, ჩვეულებრივ რეალურის შესახებ ფიქრობს. ეს ასეა ჩვეულებრივ შემთხვევებში: ფსიქოლოგიური და ფენომენოლოგიური ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ასეა ყოველთვის: ფსიქოლოგიური და ფენომენოლოგიური მხოლოდ შემთხვევით ემთხვევა ერთმანეთს და არა არსებითი იგივეობის გამო. როდესაც ფანტაზიის სახესხვაობათა შესახებ ვლაპარაკობთ, ეს გარემოება უთუოდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

არის ფანტაზია სუსტი, მკრთალი, უძლური, რომელიც ობიექტურად არსებულის ფარგლებს შორს ვერ გასცილებია და ფაქტიურად ამ ფარგლებში ტრიალებს. ასეთი ფანტაზიის პროდუქტი სხვას, ე. ი. არა თვითონ ფანტაზიის სუბიექტს, ბევრს ვერაფერს ეუბნება, ვერაფრით აკმაყოფილებს. სხვისთვის, შესაძლებელია, იგი ახალს მართლა არაფერს წარმოადგენდეს და, მაშასადამე, ობიექტურად უფრო რეპროდუქციული იყოს, ვიდრე პროდუქციული. მაგრამ არის სხვაგვარი ფანტაზიაც, რომელიც თავის წარმოდგენებში მართლა ახალ საგნებს, ახალ სინამდვილეს ქმნის. ასეთი ფანტაზია უკვე უდაოდ შემოქმედებითი ან პროდუქციული ფანტაზიაა.

ამრიგად, ძველი ცნებები პროდუქციულისა და რეპროდუქციული ფანტაზიის შესახებ ძალაში რჩება; ოღონდ მათ შესაფერი შინაა-

რსი უნდა მიეცეს. ფსიქოლოგიურად ორივე შემოქმედებითი პროცესია; ამიტომ ორივე შემთხვევაში ფანტაზიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ობიექტურად პირველ შემთხვევაში მართლა ახალის შემოქმედებას ვხვდებით, მაშინ როდესაც მეორეში შეიძლება მხოლოდ არსებული რეპროდუქციას ჰქონდეს ადგილი.

რეპროდუქციული ფანტაზიის ცნების საპირობება ექვს იწვევს. თუ მისი ხატები ფაქტიურად ძველი განცდების რეპროდუქციას წამოადგენენ, მაშინ იგი ფანტაზიად ვერ ჩაითვლება: იგი მებსიერების მოქმედების ერთერთ ფორმად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ თუ ეს ხატები სუბიექტის ძველი განცდების რეპროდუქციას არც ინტენციონალურად წარმოადგენენ და არც ობიექტურად, მაშინ ხელს არაფერი გვიშლის ისინი ფანტაზიად ვიგულისხმოთ. მაგრამ მაშინ რატომაა, რომ ფაქტიურად ისინი არსებულის ფარგლებს თითქმის ვერ სცდებიან და არაფერს ახალს არ წარმოადგენენ? ამრიგად, ჩვენს წინაშე ფანტაზიისა და მებსიერების ურთიერთობის საკითხი დგება.

ჩვენ ერთხელ უკვე გვქოიდა შემთხვევა, გაკვრით ამ საკითხის ერთ მხარეს შევხებოდით. მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შესაძლებელია მებსიერების ინტენსიური განვითარება ფანტაზიის შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელსაყრელი არ იყოს. ეს დაკვირვება სწორია; არაერთხელ ყოფილა შენიშნული, რომ გადაჭარბებით განვითარებული მებსიერება ფსიქიკურ ენერჯიას არსებულის, უკვე ერთხელ განცდილის ფარგლებში ატყვევებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ მებსიერება ფანტაზიისათვის საზოგადოდ უარყოფითს ფაქტორს წარმოადგენდეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფანტაზია თავის წარმოდგენის საგანს გამოცდილებაში დაგროვილი მასალიდან აგებს, ამიტომ რაც უფრო ფართო გამოცდილება აქვს სუბიექტს, რაც უფრო მეტი უნახავს და განუცდია მას, მით უფრო მდიდარი მასალა იმყოფება მის განკარგულებაში, და ახალახალი სახეების შექმნის მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა მას. ამიტომ შეიძლება ბუნებრივად ჩაითვალოს, რომ, ჩვეულებრივ, დიდ ხელოვანთ განსაკუთრებით კარგი მებსიერება აქვს, ოღონდ თავისი შემოქმედების სფეროში: მემუსიკეთ—ბერათა სამკვიდროში, მხატვართ—ფერებისაში. ცნობილი მხატვრის მაკარტისათვის, მაგალ., საკმარისი ყოფილა, თუნდ ერთხელ მოევლო თვალი ყვავილისათვის, რომ არაჩვეულებრივი სიზუსტით დაეხატა იგი.— თუმცა სხვა მხრივ საკმაოდ გულმავიწყი ყოფილა.

ამრიგად, მებსიერება თავისთავად, რამდენადაც ყოველ შემოქმედებას მასალა ესაპირობება, ფანტაზიის დადებითს ფაქტორს წარ-

მოადგენს. ფანტაზია უსათუოდ სარგებლობს გამოცდილებით თავის შემოქმედებითს მუშაობაში იმ მხრივაც, რომ სინამდვილეში ტიპიურისა და ჩვეულებრივის გვერდით ზოგჯერ არაჩვეულებრივი, თავისებური, ორიგინალური მოვლენებიც, თავისებური ეგზემპლარები და კაზუსები გვხვდება, რომელთა შესწავლაც ფანტაზიის მუშაობას განსაზღვრულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწყევს.

მაგრამ ყველაფრით ამით ჰემშარიტად ახალის, ნამდვილად ორიგინალურის შექმნა ყოველ ფანტაზიას ერთნაირად როდი შეუძლია: ზოგიერთ შემთხვევაში იგი გამოცდილებაში დაგროვილი მასალის ერთგვარი მოდიფიკაციით, მისი შევსებით, დასრულებით კმაყოფილდება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში შექმნილი სახეები ახლო დგანან იმასთან, რის მოდიფიკაციასაც წარმოადგენენ; გაცილებით უფრო ახლო, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ფანტაზია გამოცდილებაში მოცემული სახეებით მხოლოდ როგორც მასალით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ მეხსიერების მუშაობასთან გვექონდეს საქმე, და ფანტაზია აქ არაფერ შუაში იყოს. რასაკვირველია, მოდიფიკაცია, შევსება, დასრულება, შეცვლა აქ ყველგან ფანტაზიის საქმეა: მეხსიერება აქ მხოლოდ მეტ როლს ასრულებს, ვიდრე ჰემშარიტად შემოქმედებითი ფანტაზიის მუშაობის შემთხვევაში, როდესაც იგი ფანტაზიას მხოლოდ მასალას აწვდის.

ამიტომ სრული უფლება გვაქვს პროდუქციული ფანტაზიის გვერდით რეპროდუქციული ფანტაზიის შესახებაც ვილაპარაკოთ. ამ განსხვავების სათავე თვითონ ფანტაზიის ცნებაშია მოთავსებული: იგი არ გულისხმობს, რომ ფანტაზიის პროდუქტი ობიექტურად მართლა ახალს რასმე წარმოადგენდეს; სრულიად საკმარისია თუ სუბიექტისათვის არის იგი მართლა ახალი. მაშასადამე, შესაძლებელია, ფანტაზიის პროდუქტი ობიექტურად ან უფრო ახალი იყოს, ან ნაკლებ ახალი, ან უფრო ახლო იდგეს სინამდვილეში მოცემულ საგნებთან, ან უფრო შორს: სუბიექტისათვის იგი ორივე შემთხვევაში ახალი უნდა იყოს და ამიტომ ფსიქოლოგიურად ორივე შემთხვევაში ფანტაზიასთან შეიძლება გვექონდეს საქმე.

5. ფანტაზიის აზრი და მიზეზი. რა არის მიზეზი, რომ ადამიანი სინამდვილეს წყდება და აბრარეალურ სამყაროს აგებს, აქტუალურ სიტუაციას ზურგს უქცევს და არაარსებულს წარმოისახავს? რა არის აზრი, მიზანი აბრარეალურის შემოქმედების, მაშინ როდესაც ჩვენი ცხოვრება სინამდვილეში და მხოლოდ სინამდვილეში მიმდინარეობს? დგება საკითხი ფანტაზიის მიზეზისა და აზრის შესახებ ერთდროულად.

ობიექტურ სინამდვილეს თავისი დამოუკიდებელი არსებობა აქვს, თავისი მტკიცე კანონზომიერება, რომელიც ჩვენს სურვილებსა და მოთხოვნილებებს ანგარიშს არ უწევს, მაშინ როდესაც ამათი დაკმაყოფილება სწორედ მასზეა დამოკიდებული. ძალიან ხშირად ჩვენი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევებში სუბიექტს იმპულსი უჩნდება — თუ კი არსებული სინამდვილე მის მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, თვითონ მაინც შექმნას ისეთი სინამდვილე, რომელიც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების ამ როლს განსაკუთრებით ფსიქო-ანალიზის მიმდინარეობამ (ფ რ ე ი დ მ ა და სხვ.) მიაქცია ყურადღება და საკმაოდ დამარწმუნებლად დაამტკიცა, რომ ჩვენი ფანტაზიის მუშაობას ძალიან ხშირად ჩვენი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებიდან მომდინარე ენერგია უდევს საფუძვლად. როდესაც რაიმე ძლიერი მოთხოვნილება გვაქვს, რომლის დაკმაყოფილებაც ჩვენს ძალებს აღემატება, მაშინ, როგორც წესი, მისი საგნის მკაფიო წარმოდგენა გვიჩნდება ხოლმე: დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება წარმოსახვის აქტუალიზაციას იწვევს.

მაგრამ როგორც ცნობილია, წარმოსახული სინამდვილე ძალიან ხშირად ისეთ სახეს ღებულობს, რომ რაიმე გარკვეულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებასთან მისი დაკავშირება, თუ არ ძალდატანებით, სხვანაირად სრულიად შეუძლებელია? ამიტომაც, რომ ფ რ ე ი დ ი ფანტაზიის წარმოდგენათა უაღრესად ხელოვნურ გადამუშავებას აწარმოებს, რათა მათი შინაარსის ასეთ მოთხოვნილებასთან კავშირი სარწმუნო გახადოს. უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოსახვას სხვა საფუძველიც აქვს. საქმე ისაა, რომ ხშირად ობიექტური სინამდვილე ჩვენი ძალების ყველა მიმართულებით ამოქმედების შესაძლებლობას არ გვაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამის უეჭველ მოთხოვნილებას ვგრძნობთ. შესაძლებელია, ფანტაზია რომ ხელოვნურ სინამდვილეს ქმნის, ამით იგი ხშირად ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება. ჩვენ ქვემოდ ვნახავთ, რომ არსებობს ფანტაზიის მოქმედების სპეციალური ფორმები, რომელნიც განსაკუთრებით ამ მიზნით არიან გამოწვეული და სწორედ ამ მიზანს ემსახურებიან. ასეთია, უწინარეს ყოვლისა, თ ა მ ა შ ი.

გარდა ამისა, უეჭველია, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და აქტიობის მიმდინარეობაში მრავალნაირი მოთხოვნილების ნიადაგზე, მრავალგვარი შთაბეჭდილების ზეგავლენით, არა ერთი განწყობა გვიჩნდება, რომლის რეალიზაციის, სრული გამოვლენის, შესაძ-

ლებლობას — მოცემული ობიექტური სინამდვილის პირობებში — მეტად თუ ნაკლებად, ანდა სრულიად მოკლებული ვართ. უდაოა, რომ ჩვენი პიროვნების ეს განწყობები რეალიზაციას ესწრაფიან და ფანტაზიაში თავისი ადეკვატური გამოვლენის განუსაზღვრელ შესაძლებლობას პოულობენ.

ამრიგად, ადამიანს ბევრი რამ აქვს ისეთი, რისი სრული დაკმაყოფილებისა და გამოვლენის საშუალებასაც რეალური სინამდვილე არ იძლევა. მაგრამ ადამიანი აქტიური არსებაა და იგი იმთავითვე თავისი არსის სრული გამოვლენისა და გაშლისაკენ ისწრაფის. ფანტაზია სწორედ ის ფუნქციაა, რომელიც მას განსაზღვრულ ფარგლებში, სახელდობრ, ფსიქიკური რეალობის ფარგლებში, ამის შესაძლებლობას აძლევს.

აღქმისა და მეხსიერების სინამდვილე გარედან მოცემული სინამდვილეა: ჩვენ ეს სინამდვილე მზამზარეული გვხვდება, და ჩვენც იძულებულნი ვართ, ჩვენი ქცევის მიზანშეწონილი მიმართულებით წარმართვის მიზნით, მისი, რამდენადაც შესაძლებელია, ზუსტი ასახვა ვცადოთ—აღქმა და მეხსიერება ორივე ამ მიზანს ემსახურება— და მთელი ჩვენი აქტიობა ამისდა მიხედვით წარვმართოთ. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მარტოდმარტო გარე სინამდვილე გვიკარნახებს, თუ რომელი ჩვენი ფუნქციები უნდა მოვიყვანოთ მოქმედებაში. მაგრამ ასეთი მდგომარეობაც არსებობს: ჩვენ მოთხოვნილებები გვაქვს და გარკვეული ფუნქციები, რომელნიც გარკვეული მიმართულებით მოქმედებას ესწრაფიან, მაგრამ რადგან რეალური სინამდვილე მათ ამ მიმართულებით მოქმედების შესაძლებლობას არ აძლევს და, მაშ, შესატყვისი განწყობის გამოვლენას წინააღმდეგობას უწევს, ისინი თავის რეალიზაციას წარმოდგენათა სფეროში ახერხებენ. სრულიად ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი, როგორც მათი რეალიზაციის ცდის პროდუქტი, სწორედ მათ შესაფერს მიმდინარეობას ღებულობს და მაშასადამე, ობიექტური სინამდვილისაგან განსხვავებულს, სინამდვილის სრულიად ახალ სახეს წარმოადგენს. ასე ჩნდება ფანტაზიის სამკვიდრო—რეალური სინამდვილის გვერდით მეორე — ოღონდ არარეალური — სინამდვილე.

ამრიგად, აღქმისა და მეხსიერების შემთხვევებში წინასწარ გარედან მოცემული სინამდვილე არსებობს და წამყვან როლს ის თამაშობს, გამსაზღვრელს, აქტიურ ფაქტორს ის წარმოადგენს. ფანტაზიის შემთხვევაში კი წინასწარ სუბიექტია მოცემული თავისი ძალების განსაზღვრული კომპლექსით, ამ ძალების განსაზღვრული მიმართულებით ამოქმედების ტენდენციით. ამ განმსაზღვრელს, აქტიურ ფაქტორს ეს წარმოადგენს. ფანტაზიის სინამდვილე მხოლოდ შე-



დევ ჩნდება, და ჩნდება, როგორც შედეგი ამ ფაქტორის ზემოქმედებისა: ფანტაზიაში აგებული სინამდვილე ყველა ამ ძალის აღნიშნული მიმართულებით ამოქმედების ტენდენციის რეალიზაციას შეადგენს.

მოკლედ, ასე შეიძლება გვეთქვას: იქ, აღქმასა და მეხსიერებაში, საგნობრივი სინამდვილე განსაზღვრავს სუბიექტს, აქ ფანტაზიის შემთხვევაში, პირიქით, საგნობრივ სინამდვილეს სუბიექტი განსაზღვრავს.

ასეთია ფანტაზიის მუშაობის გენეზისი. როგორც ვხედავთ, აქ ძნელი გასარჩევია ურთიერთისაგან მიზეზი და მიზეზი. აქ ორივე ერთს მთელს წარმოადგენს: ის, რაც იწვევს ფანტაზიის მუშაობას, იმავე დროს მის აზრსაც გასაგებად ხდის. მართლაც, ფანტაზიის აქტივაციას სუბიექტის ძალების განსაზღვრული მიმართულებით ამოქმედების ტენდენცია, განსაზღვრული განწყობის რეალიზაციის ტენდენცია უდევს საფუძვლად. მაგრამ ფანტაზიის აზრი და მიზეზი იგივეა; სახელდობრ, იგი ამ რეალიზაციის ტენდენციას აკმაყოფილებს და ამით სუბიექტის ძალების შემდგომი შეუფერხებელი მოქმედების შესაძლებლობას უზრუნველყოფს: მიზეზისა და მიზეზის დიალექტიკა აქ ხელსახები პლასტიკურობითაა მოცემული.

6. ფანტაზიის შემოქმედებითი მუშაობის თეორიები. როგორ ხერხდება ფანტაზიის წარმოდგენათა შექმნა? როგორ ხერხდება გამოცდილების სხვადასხვაგვარი ელემენტებიდან სრულიად ახალი რომელობის, ახალი მთლიანის აგება? ეს საკითხი ფანტაზიის ფსიქოლოგიის ძველს, მაგრამ დღესაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. დღემდე შემდეგი შეხედულებებია განსაკუთრებით ცნობილი:

ა) მეხსიერების წარმოდგენები დროთა მსვლელობაში თავისთავად ბუნდოვანდებიან, ფერმკრთალდებიან: მათ აქა-იქ ხარვეზები უჩნდება, და აი, ამ ხარვეზების ამოვსება სხვა წარმოდგენებთან ასოციაციების წყალობით ხდება. მაგრამ ეს თეორია ვერ ხსნის, თუ როგორ ხერხდება, რომ სხვა წარმოდგენებისაგან ნასესხები ელემენტები ისე ერთიან მეხსიერების წარმოდგენების ნაშთებს, რომ ხელახლა სწორედ დასრულებული მთლიანი ჩნდება? ეს მით უმეტეს საკვირველია, რომ ფანტაზიის შემთხვევაში მარტო ცალკეულ წარმოდგენებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ რთულ სცენებთან, ამბებთან, თანმიმდევარ შემთხვევათა სისტემასთან: მაგ., ხელოვნებაში — დრამასთან, რომანთან, მუსიკალურ სიმფონიასთან!

ბ) როდესაც, მაგ., ზღაპრის გამოგონებელს თავის მსმენელში რაიმე საშინელებიან გრძნობის ვალვიძება უნდა, იგი წარმოდგენათი ისეთი კომბინაციების შექმნას ცდილობს, რომ მათი გავ-

ლენით მასაც გაუჩნდეს ეს გრძნობა. ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ ფანტაზიის წარმოდგენათა აღმოცენებაში მსგავსებების ასოციაციები თამაშობენ გადაწყვეტ როლს. ასეთია მეორეგვარი შეხედულება, რომელსაც არსებითად რიბოც ემხრობა: ის რაც ცალკე არის, მაგრამ მსგავსების ასოციაციის ნიადაგზე ერთმანეთს უდგება, ურთიერთს უკავშირდება და ახალს, ჯერ არყოფილს კომბინაციებს ქმნის.

მაგრამ ამ თეორიიდან არა ჩანს, თუ რატომაა, რომ ამგვარად აღმოცენებული ახალი კომპლექსები სწორედ აზრიან მთლიანს წარმოადგენენ — რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს, დრამას ან სიმფონიას. მარტო ასოციაცია, რომელიც შემთხვევითს პროცესს წარადგენს, ნამდვილი შემოქმედების ბუნებას ვერ აგვიხსნის.

გ) შემოქმედებითი მუშაობა ინტელექტის საქმეა: სხვადასხვა ელემენტები არა მარტო შემთხვევით უკავშირდებიან ურთიერთს, არამედ ჩვენ ნებისმიერ ვაერთიანებთ მათ ახალსა და ახალს კომბინაციად და, საბოლოოდ, მხოლოდ მას შემდეგ ვჩერდებით რომელიმე მათგანზე, როდესაც, სათანადო შეფასების შემდეგ, შესაფერისად ვცნობთ მას. მსგავსების ასოციაცია მხოლოდ მასალის აძლევს ჩვენს ფანტაზიას, თორემ წამყვანი როლი მას კი არა, უდაოდ ინტელექტს ეკუთვნის (ფრებე ს).

მაგრამ ინტელექტი, როგორც შემდეგშიც დავინახავთ, ობიექტური სინამდვილის წვდომის, მისი მაქსიმალურად ადეკვატური ასახვის, მისი შემეცნების იარაღს წარმოადგენს, და არა ახალის, ობიექტური რეალობისაგან სრულიად განსხვავებული სინამდვილის აგების იარაღს. სულ სხვა საკითხია, აქვს თუ არა მას მნიშვნელობა ფანტაზიისათვის. ეს მნიშვნელობა, უდაოა, განსაკუთრებით. როდესაც საკითხი შემოქმედებითი ფანტაზიის გამოვლენის მაღალ ფორმებს ეხება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალის შემოქმედება ფანტაზიას ინტელექტის წყალობით შეუძლია.

მაშ, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი? ჩვენ ზემოდ დავრწმუნდით, რომ ფანტაზიას სუბიექტის გამოუვლინებელი, არარეალიზაციქმნილი განწყობები უდევს საფუძვლად, ის განწყობები, რომლის გამოვლენის შესაძლებლობასაც რეალური სინამდვილის ზემოქმედება არ იძლევა. ფანტაზიის სურათები ამ განწყობის რეალიზაციას წარმოადგენენ. მაშ, ნათელია, რომ ფანტაზიის წარმოდგენას იმიტომ აქვს ახალი, რეალურისაგან განსხვავებული, საგანი, რომ მას სწორედ ისეთი განწყობა უდევს საფუძვლად, რომელიც მხოლოდ ამგვარი საგნის წარმოდგენებში პოულობს თავის რეალიზაციას.

მაშასადამე, ახალი წარმოდგენების მექანიზმის ძიება ცნობიერების ფარგლებში როდი უნდა წარმოებდეს. ცნობიერების შინაარსზე ყოველ მოცემულ მომენტში თვითონ პიროვნების რაგვარობა, სახელდობრ, მისი განწყობა ახდენს გადამწყვეტ გავლენას. ცნობიერების მოცემული შინაარსი ყოველთვის მოცემული განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. ეს დებულება ჩვენთვის უდაოა. ამის შესახებ ზემოდ გვქონდა საუბარი, და ეხლა კვლავ მისი დასაბუთება ზედმეტია. მაგრამ თუ ასეთია ცნობიერების შინაარსისა და განწყობის ურთიერთობა საზოგადოდ, და თუ, მეორის მხრივ, ფანტაზია გარკვეული განწყობის თავისუფალ რეალიზაციას წარმოადგენს— თავისუფალს იმიტომ, რომ მას გარესინამდვილის მკაცრი მოთხოვნები გარდაუვალბა არ უშლის ხელს — მაშინ გასაგებია, რომ ფანტაზიის სამყარო სწორედ ახალს, რეალური სინამდვილისაგან განსხვავებულ სამყაროს უნდა წარმოადგენდეს.

რასაკვირველია, ერთგვარი მნიშვნელობა შეიძლება აქ ასოციაციებსაც ექნეს, ინტელექტის დახმარებასაც, შეიძლება კიდევ ბევრს სხვა ფაქტორსაც. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მოცემული განწყობის რაგვარობით იქნება განსაზღვრული, პირობადებული, ნაკარნახევი; ყველაფერი ეს განწყობის სარეალიზაციოდ ამოქმედებული მექანიზმი იქნება.

7. ფანტაზიის წარმოდგენა როგორც სიმბოლო. თუ ფანტაზიას სუბიექტის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისება, გარკვეული ძალების ამოქმედების ტენდენცია, გარკვეული არარეალიზებული განწყობები უდევს საფუძვლად, თუ, მაშასადამე, ფანტაზიის მოქმედება ყველაფრის ამის სარეალიზაციოდ არას მიმართული, მაშინ, უეჭველია, ფანტაზიის მუშაობის პროდუქტებს ს ი მ მ ბ ტ ო მ ი ს ა და ს ი მ ბ ო ლ ო ს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რომლის მიხედვითაც შესაძლებლობა ჩნდება სუბიექტის ფარულ განწყობაზე, მოთხოვნისებაზე, აქტიობის ტენდენციებზე ვილაპარაკოთ.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ფანტაზიის სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებით ენერგიულად ფსიქოანალიზის წარმომადგენელნი ლაპარაკობენ. მათი აზრით, ფანტაზიის მუშაობის ყველა გამოვლენას, ყველა გადახრას სინამდვილიდან, თუნდ უბრალო შეცდომასაც, უდაოდ რალაც აზრი, რალაც მნიშვნელობა აქვს. იგი სუბიექტის ფარულ სურვილებს ამჟღავნებს, მის „განდევნილ“ წარმოდგენებსა და მისწრაფებებს. მაშასადამე, საჭიროა ამ სიმბოლოების შესწავლა, როცა გსურთ, რომ, სუბიექტის ამ განდევნილ განცდას მიაკვლიოთ. ფსიქოანალიზის რწმენით, განდევნილი სურვილების მიგნებას, მათს ნათელყოფას უდიდესი პრაქტი-

კული მნიშვნელობა აქვს: ნევროზები და ფსიქოზები, რომელნიც არსებითად ასეთი განდევნილი განცდების მოქმედების პროდუქტს წარმოადგენდნენ, შეიძლება განკურნებული იქნენ, რა წამს ეს განდევნილი განცდა იქნება გაცნობიერებული. ფსიქოანალიზის წარმომადგენელთა რწმენით, ფანტაზიის ხატები გარკვეულ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ: თითოეული მათგანი უთუოდ რაიმეს ნიშნავს, და როცა ჩნდება, ყოველთვის ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ჩნდება.

რასაკვირველია, ფანტაზიის წარმოდგენების ასეთის მტკიცე, გარკვეული, უცვლელი მნიშვნელობის სიმბოლოებად გამოცხადება ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ჩვენთვის დღეს უაღაოა, რომ არ არსებობს ელემენტი, ცალკეული ნაწილი, რომ იმ მთელზე არ იყოს დამოკიდებული, რომელშიც იგი, როგორც ელემენტი თუ ნაწილი შედის. ფანტაზია, ჩვეულებრივ, ცალკეულ წარმოდგენებს როდი ქმნის, არამედ მთელ სისტემას, ამბებს, შემთხვევებს, და ცალკეული წარმოდგენა ამა თუ იმ განსხვავებული მთელის კონტექსტში გვხვდება; მაშასადამე, იგი ამ მთელის გავლენას ემორჩილება და სიმბოლურ მნიშვნელობას ამისდა მიხედვით იცვლის.

მაშასადამე, ერთი უცვლელი სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი დაუსაბუთებელია: იგი ძველი ატომისტური ფსიქოლოგიის პრინციპებს ემყარება, პრინციპებს, რომელიც დღეს უარყოფითად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ყურადღება მთელს უნდა მიექცეს და, უწინარეს ყოვლისა, მთელის აზრი იქნეს გაგებული.

რასაკვირველია, შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა რომ, რაკი ფანტაზიას ერთი საფუძველი აქვს, მისი მოქმედებაც ყველა შემთხვევაში ერთნაირია. ისე როგორც სხვა ფსიქიკური ფუნქციები, ფანტაზიაც განვითარებას პროცესს განვლის და თავისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმას იძლევა.

განვითარების დაბალ საფეხურზე ფანტაზია თავისით მუშაობს, ავტომატურად, სუბიექტის საგანგებო ჩარევის გარეშე. ამ შემთხვევაში პასიური ფანტაზიის შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მაგრამ უფრო მაღალი ფორმაც არსებობს ფანტაზიის: აქტიური ფანტაზია, ნებისმიერი, ადამიანის განზრახვების მიხედვით მოქმედი. თავისთავად იგულისხმება, იგი განვითარების მაღალ საფეხურზე იჩენს თავს, იმ საფეხურზე, რომელზეც ადამიანის ქცევაზე, საზოგადოდ, ნებელობის ფაქტორი იწყებს გადამწყვეტი გავლენის მოხდენას.

1. პასიური ფანტაზია. როდესაც ადამიანის წინაშე ყოველდღიური პრაქტიკული ამოცანები დგას გადასაწყვეტად, და იგი თავის აქტიობას ამ მიმართულებით წარმართავს, მას პირველ რიგში ობიექტური სინამდვილის შეუმცთარი ასახვა ესაჭიროება. ამიტომ გადაწყვეტი მნიშვნელობა მისთვის აღქმასა და მეხსიერებას აქვს, რადგანაც ერთიკა და მეორეც მას ობიექტური სინამდვილის გათვალისწინებაში ეხმარება.

მაგრამ სუბიექტს თავისი ძირითადი ტენდენციები და განწყობები მუდამ თან ახლავს, და რამდენადაც მათ რეალიზაცია ესაჭიროებათ, ისინი ყოველთვის მზად არიან, მეტად თუ ნაკლებად შესაფერის პირობებში მყის აქტუალურ მდგომარეობაში გადავიდნენ და ფანტაზიის მუშაობა გამოიწვიონ. ამიტომაც არ არსებობს თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი სახე ადამიანის აქტიობისა, რომ ფანტაზია მასში ჩარევის შემთხვევებს ვერ პოულობდეს და მის მიმდინარეობაზე ერთგვარი გავლენის მოხდენას ვერ ახერხებდეს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მაშინაც კი, როდესაც იგი პრაქტიკის სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურება, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ფანტაზიის მუშაობის ელემენტებსაც შეიცავს.

თავისთავად იგულისხმება, ფანტაზიის მუშაობა ასეთ შემთხვევებში ავტონომიურია, სუბიექტისათვის სრულიად უნებური. მეტიც შეიძლება ითქვას: იგი ზოგჯერ წინააღმდეგობასაც კი უწევს სუბიექტის განზრახვებს, ხელს ეშლის ობიექტური სინამდვილის ასახვის მიზნებს, ე. ი. იმას, რაც განსაკუთრებით ესაჭიროება ამ შემთხვევაში სუბიექტს. ამიტომაც არა თუ განზრახ არ მივმართავთ ასეთ შემთხვევებში ფანტაზიას, არამედ, პირიქით, ვცდილობთ კიდევ, სრულიად ჩავახშოთ, ჩავაჩუმოთ იგი, სანამ ჩვენი ამოცანა არ გადაგვიჭრია. მიუხედავად ამისა, ჩვენი ფარული ტენდენციები, ჩვენი რეალიზაციისაკენ მსწრაფი განწყობები, წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, მაინც ახერხებენ ჩვენი ფანტაზიის ამოძრავებას და ობიექტურა სინამდვილის სურათში, რომელსაც აღქმა და მეხსიერების წარმოდგენა იძლევა, თავისი ელემენტების შეტანას.

ამრიგად, ფანტაზია ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების მიმდინარეობაშიც ლებულობს მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენს განზრახვებს სრულიად ეწინააღმდეგება: მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში უნებური ან პასიური ფანტაზიის მოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ვნახოთ, როგორ იჩენს იგი თავს ჯერ აღქმის და მეერ მეხსიერების მუშაობის პროცესში.

2. ფანტაზია აღქმაში. არასდროს ადამიანის ფსიქიკა ისე ახლოს არ დგას სინამდვილესთან, როგორც აღქმის შემთხვევაში: აქ სინამდვილე პირდაპირ მოქმედობს ჩვენზე, და აღქმამ მისი მაქსიმალურად უშუალოდ ასახვა უნდა მოგვეცეს. მიუხედავად ამისა, ფანტაზია აქაც ახერხებს ჩარევას და სინამდვილის სურათში, ჩვენთვის სრულიად შეუმჩნეველად, ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ თვალსაჩინო ცვლილებები შეაქვს. ეს სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა გზით ხდება. ჯერ-ერთი, ვის არ განუცდია ბავშვობის ასაკში განსაკუთრებული შიში ზოგიერთი ადგილის მიმართ: ე. წ. ნაზრახი ადგილი ყოველთვის სპეციფიკურ განწყობას იწვევს ცრუმორწმუნე, უკულტურო ადამიანში, ან ბავშვში. ეს განწყობა თავისებურ გავლენას ახდენს აღქმაზე: ხშირია შემთხვევა, რომ ასეთ ადგილზე რამე საშინელი ელანდება ცრუმორწმუნე ადამიანს: ეშმაკი, ჭინკა, „რომელიც ცხენს ფაფარს უწნავდა...“ იგი დარწმუნებულია, რომ მართლა საკუთარი თვალთ დაინახა ეს; ნამდვილად კი მხოლოდ მისი ფანტაზიის პროდუქტთან გვაქვს საქმე.

ანალოგიური შემთხვევები ხშირია. ადამიანის ზოგიერთი განწყობა იმდენად ენერგიულად იჩენს ხოლმე თავს, რომ აღქმის სრულ მოდიფიკაციას ახერხებს. ამას, უწინარეს ყოვლისა, ილუზიების შემთხვევაში აქვს ადგილი. ოღონდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველი ილუზია როდი ჩაითვლება ფანტაზიის გამოვლენის პროდუქტად: არის ილუზიები, რომელთაც სრულიად სხვა საფუძვლები აქვთ, მაგალითად, წმინდა ფიზიკური (წყალში ვერტიკალურად ჩაშვებული ჭოხი გატეხილი გეჩვენება), ან წმინდა ფიზიოლოგიური, ან ფსიქოფიზიოლოგიური (შევსებული მანძილი უფრო დიდი გვეჩვენება, ვიდრე ცარიელი).

ფანტაზიის გავლენა აქ, ილუზიის შემთხვევებში, ძალიან თვალსაჩინოა: მისი წყალობით ისეთს რასმე „აღვიქვამთ“ ხოლმე, რისი მსგავსიც კი არაფერი გვეძლევა ამჟამად ობიექტურ სინამდვილეში.

მაგრამ არის ნაკლებ თვალსაჩინო გავლენის შემთხვევებიც. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის პრაქტიკულად უმნიშვნელო მოდიფიკაციები, რომელიც ყოველ აღქმაში შეიძლება დადასტურდეს. საკმარისია სხვადასხვა პირს ერთისა და იმავე ობიექტის აღწერა მოსთხოვოთ, და ისიც თუნდ ისეთის, რომელიც თითოეულს მათგანს დღეში რამოდენიმეჯერ აღუქვამს, რათა დარწმუნდეთ, რომ მათი აღქმა ზოგიერთ დეტალებში უთუოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დაბეჭივით შეიძლება ითქვას, რომ სავსებით ერთნაირად ჩვენ არაფერს არ აღვიქვამთ.

კლასიკურ ფსიქოლოგიაში ამ ფაქტის ასახსნელად აპერცეფციის ცნებას მიმართავდნენ, ე. ი. აღნიშნავდნენ, რომ აღქმაში არა მარტო შეგრძნებები შედის, არამედ წარმოდგენებიც, და რადგანაც თითოეულს ჩვენგანს თავისი მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული წარსული აქვს, განსხვავებული გამოცდილება ქვემდებარე აღქმის საგნის მიმართ, ამიტომ ამ უკანასკნელის აღქმის შინაარსში ყველას თავისი განსხვავებული წარმოდგენები შეაქვს.

მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ აღქმა შეგრძნებებისა და წარმოდგენების მოზაიკად ვერ ჩაითვლება. ეს აზრი მხოლოდ უშუალოდ მექანიკური თეორიის ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. არა! აღქმა როგორც მთლიანი განიცდება, და, მაშასადამე, განსაკუთრებული მნიშვნელობა მისთვის სწორედ ასეთსავე მთლიან პროცესს უნდა ჰქონდეს: ერთისადაიმავე ობიექტის აღქმის სხვადასხვაობა თითოეული სუბიექტის განწყობის სხვადასხვაობით უნდა აიხსნას.

მაგრამ რა უნდა ქმნიდეს ამ სხვადასხვაობას? ჩვენ ვიცით, რომ განწყობას ორი ფაქტორი განსაზღვრავს: მოთხოვნილება და ობიექტი. ამ ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში განწყობა ყოველთვის ერთნაირი უნდა ჩნდებოდეს. მაგრამ სუბიექტს წინანდელი განწყობებიც აქვს, ზოგი ჩვეულებრივი, ფიქსირებული, ზოგი კიდევ შეფერხებული, რეალიზაციას მოკლებული — და ესაა, რომ მისი განწყობის სხვადასხვაობაზე ლაპარაკის უფლებას გვაძლევს. ბუნებრივია, რომ თითოეული ამათგანი ყოველთვის მზადაა თავი იჩინოს, სადაც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდება და, მაშასადამე, აქტუალურ აღქმაზე თავისი გავლენა მოახდინოს, მას თავისებური დალი დააჩინოს.

გარდა ამისა, აქტუალური სინამდვილე ზოგჯერ ისეთი არაა, რომ თავის დეტალებში დასრულებული აღქმის შესაძლებლობა მოგვცეს. ზოგჯერ განზრახვაც კია გამღიზიანებელი ისე შერჩეული, რომ ფანტაზიის ამოქმედება გამოიწვიოს, და ის, რაც ობიექტურად რაა მოცემული, ფანტაზიიდან იქნეს შევსებული. მაგალითად, თეატრის დეკორაციებზე მხოლოდ ძირითადი ხაზებია მოცემული — ტყის, შენობების, ქალაქის, რამდენიმე ლაქა — დანარჩენი ჩვენმა ფანტაზიამ უნდა შეავსოს. ამიტომაც ამ შემთხვევაში „ფანტაზიის გამღიზიანებელი“-ს შესახებ ლაპარაკობენ. ასეთ შემთხვევაში აღქმას ფანტაზია ავსებს.

განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობს ჩვენი ფანტაზია, როდესაც რასმე მოგვითხრობენ, რაიმე გვესმის, ან რასმე ვკითხულობთ.

წიგნებში გმირების გარეგნობა ყოველთვის ზედმიწევნით არაა აღწერილი. ამის მიუხედავად, ჩვენ თითოეული მათგანის გარკვეული სურათი გვიჩნდება. ჩინეთში თუ ინდოეთში ჩვენ ჯერ არ ვყოფილვართ; მიუხედავად ამისა, ჩვენი ფანტაზია მათს ერთგვარ სურათს გვიხატავს: ჩვენ გვგონია, ჩინეთში ამნაირი ქალაქებია, ამნაირი სოფლებია. ჩვენ ბევრი რამ წავგვიკითხავს ამაღამ ავტორის ნაწარმოებები, მაგრამ მისი ფოტოგრაფიული სურათი არ გვინახავს: მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს ერთგვარი წარმოდგენა მისი გარეგნობის შესახებ, და, რასაკვირველია, ხშირია შემთხვევა, რომ ჩვენი წარმოდგენა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა აღვნიშნეთ, როდესაც ფანტაზია თვითნებურად ერევა აღქმის პროცესში და მასში თავისი ელემენტები შეაქვს. უეჭველია, რომ ეს გაცილებით უფრო ხშირად ხდება და ამის შესასწავლად ცალკე სისტემატური დაკვირვება და ანალიზი იქნება საჭირო.

3. ფანტაზია მეხსიერების პროცესში. კიდევ უფრო ხშირია ფანტაზიის ჩარევის შემთხვევები მეხსიერების მუშაობის პროცესში. ეს არცაა საკვირველი. მეხსიერებას ხომ სინამდვილის უშუალო ზემოქმედებასთან არა აქვს საქმე; იგი წარსულს ეხება; მან ეს წარსული უნდა ასახოს. მაშასადამე, სინამდვილე შედარებით შორსაა, და ეს გარემოება გზას უხსნის ფანტაზიას. ამიტომ გასაგებია, რომ აღქმის შინაარსში ისე ადვილად ვერ შეიტან სუბიექტურ მომენტებს, როგორც მეხსიერების შინაარსში: პირველ შემთხვევაში კონტროლს თვითონ სინამდვილე სწევს, მეორეში — მხოლოდ სუბიექტი. სახელდობრ, მისი დარწმუნებულება, რომ მოგონება სწორია.

ჩვენების ფსიქოლოგიას განსაკუთრებით ხშირად აღვნიშნავს ფანტაზიის დამლუპველი გავლენა მოგონებაზე. საქმე ისაა, რომ ის ტენდენციები, რომელნიც აღქმის პროცესშიც კი ახერხებენ თავისი გავლენის მოხდენას, მოგონების შემთხვევაში განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან. სინამდვილე აქ მხოლოდ იმ კვალის სახით თუ უწევს მათ წინააღმდეგობას, რომელიც აღქმას დაუტოვებია ჩვენს ცნობიერებაში, თორემ უშუალოდ მას ასეთი კონტროლის გაწევის შესაძლებლობა აღარ აქვს. ამიტომაც, რომ პანიკურად განწყობილ ადამიანს, მაგალითად, წარსულიდან განსაკუთრებით ის რჩება მეხსიერებაში. რაც მის ამ განწყობას შეეფერება. მეტიც შეიძლება ითქვას: წარსულის შთაბეჭდილებები, მისდა უნებურად, ამ მისი განწყობის შესაფერის მოდიფიკაციას განიცდიან და, საერთოდ, საშიშროების მკვეთრ სურათს ქმნიან. ის, რაც წარსულიდან ამ სურათს ყარგად ეთანხმება და მის დასრულებასა და გამოკვეთილობას უწყობს



ხელს, მეხსიერებაში კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობს და მტკიცდება; ხოლო ის, რაც ცუდად უდგება ამ სურათს, იგი ან სრულიად იკარგება, ან მის შესაფერისად იცვლება.

განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ფანტაზიის მოგონებებზე გავლენა, როდესაც რაიმე მომენტი ჩნდება, რომელიც ცოტაოდენ მაინც ფანტაზიის მიმართულებით იწყებს მოქმედებას. მაგალ., ჩვენების ფსიქოლოგიაში ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ჩვენებაზე შთაგონებითი კითხვები. საკმარისია, სუბიექტმა თუნდ ერთი ისეთი შთაგონებითი შეკითხვა მიიღოს, რომელიც რომელსამე მის ტენდენციას ეთანხმება, რათა მისი ჩვენება სავსებით ამ მიმართულებით გაიშალოს.

მაგრამ ფანტაზია მეხსიერების არა მარტო ერთ ფორმაზე — მოგონებაზე — ახდენს გავლენას. არა, იგი მეტად თუ ნაკლებად მეხსიერების მთელი მუშაობის გასწვრივ შეიძლება დადასტურდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეხსიერების მუშაობის არცერთი ფორმა არ უქმნის მას ეგოდენ ხელსაყრელ პირობებს, როგორც მოგონება. ცოდნა, მაგალ., უფრო ნაკლებ პიროვნულია, უფრო ობიექტური, შედარებით უფრო ინდიფერენტული, ვიდრე მოგონება. ამიტომაც ფანტაზია არსად ისეთს გამანადგურებულ გავლენას არ ახდენს, როგორც ისტორიული მეხსიერების სფეროში.

4. ოცნება. მაგრამ როდესაც ადამიანი საზოგადოდ ზურგს უქცევს სინამდვილეს, როდესაც მას ამ უკანასკნელთან ურთიერთობა აღარ აინტერესებს, მაშინ, რასაკვირველია, ფანტაზიას აღაჩაფერი უშლის ხელს სრულიად თავისუფლად გაიშალოს.

ეს განსაკუთრებული სისრულით ძილში ხორციელდება, და მაშინ, მართლაც, ფანტაზიის დასრულებულ სახესთან გვაქვს საქმე. ს ი ზ - მ ა რ ი თავიდან ბოლომდე ფანტაზიის შეუფერხებელ გამოვლენას წარმოადგენს. მაგრამ ფანტაზიის თავისუფალი მუშაობა, რომელიც არსებითად თითქმის არაფრით განსხვავდება სიზმრისაგან, ზოგჯერ ცხადშიც იჩენს ხოლმე თავს მე მხედველობაში მაქვს ო ც ნ ე ბ ა, ის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის ფსიქიკის ფხიზელ მუშაობას თითქმის კვალდაკვალ სდევს თან და მუდამ მზადაა მისი ადგილი დაიკავოს.

სინამდვილესთან აქტიური ურთიერთობა, ცხოვრების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის პროცესი, ადამიანის ძალების მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში შენახვას მოითხოვს — ჩვენი ყურადღებისა და აღქმის, მეხსიერებისა და აზროვნების, როგორც აქტიური ოპერაციების, მოქმედებას. მაგრამ ხანგრძლივად ასეთი მდგომარეობის დაცვას ძალა უნდა, და ეს ძალა

ყველას ერთნაირად არა აქვს. საერთოდ კი, ძალების ასეთი დამაბევა დამქანცველია, და, მოდუნდება თუ არა ჩვენი ამ აქტიური ძალების მოქმედება, მყის ჩვენი ფანტაზიის მუშაობა იწყება. მაგრამ ესეა ისე კი არა, რომ ფანტაზია ამ აქტიური ფუნქციების მუშაობაში ერეოდეს და მათს პროდუქტებში მეტად თუ ნაკლებად შესამჩნევი საკუთარი ელემენტები შექმონდეს. არა! ამ შემთხვევაში ფანტაზია დამოუკიდებელ მუშაობას იწყებს და სრულიად დამოუკიდებელ პროდუქტებს ქმნის ხოლმე, რომელთაც უფრო ხშირად არაფერი აქვთ საერთო იმასთან, რაც ჩვენი აქტიური ძალების მუშაობის საგანს შეადგენდა. ფსიქიკა ავტონომიურის, აქტიურად მოუწესრიგებელი მუშაობის ლიანდაგზე გადადის: ჩვენ ოცნებას ვიწყებთ.

ოცნების ერთერთს ძირითად ნიშანს ის შეადგენს, რომ მისი შინა-არსი, შეიძლება ითქვას, ე გ ო ც ე ნ ტ რ უ ლ ი ა. ამ მხრივ იგი ისტორიულ მეხსიერებას ჰგავს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი მე-ს წარსულს ეხება, ოცნებას მისი მომავალი აქვს მხედველობაში, ე. ი. ის, რაც უნდა მოხდეს ან შეიძლება მომავალში მოხდეს: ოცნების სურათები მე-ს ბედს ეხება. ამიტომ გასაგებია, რომ ოცნების შინაარსის რაგვარობისათვის სუბიექტის სურვილებს, ერთის მხრივ, და მისი შიშა და რიდს, მეორის მხრივ, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რაც უფრო ძლიერია ჩვენი სურვილი და რაც უფრო ნაკლებია არსებულ სინამდვილის პირობებში მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მით უფრო ადვილად ვსარგებლობთ ყველა საბაბით და ჩვენი სურვილების განხორციელების შესახებ ვიწყებთ ოცნებას. ის, რაც გვაკლია და რისი შევსების შესაძლებლობაც არსებულ პირობებში მოკლებული ვართ, ყველაფერს ამას ოცნების სამყაროში ვეუფლებით. ტუსადი თავისუფალი ცხოვრების შესახებ ოცნებობს, უცხოეთში გადახვეწილ თავის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მშვიერ-მწყურვალ სიმამლ-საჭმლის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ არაფერს იმდენი კავშირი არა აქვს ოცნებასთან, რამდენიც ჩვენს განუხორციელებელ სურვილებს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ფრეიდი, კერძოდ, ოცნებას, ისე როგორც სიზმარსაც, სურვილის განხორციელებად სთვლიდა.

მაგრამ ჩვენი ოცნების შინაარსის თავისებურებათა გასათვალისწინებლად მარტო სურვილის ცნება არ კმარა. როგორ მიმდინარეობს ჩვენი სურვილის დაკმაყოფილება ჩვენს ოცნებაში, რა სურათები ჩნდება, როგორ ვმოქმედობთ, როგორ და რა დაბრკოლებებს გადავლახავთ, ეს პიროვნების ძირითად განწყობებზეა დამოკიდებული, ისე როგორც იმ განწყობაზე, რომელიც მას ამ სურვილის მი-

მართ აქვს თავიდანვე შემუშავებული. მაგალითად, ტუსადები, რომელიც საპატიმროში სხედან სადმე და თავისუფალ ცხოვრებაზე ოცნებობენ, ყველა ერთნაირ სურათს როდი ქმნის თავისი გათავისუფლების შესახებ. ერთი შეიძლება იმაზე ოცნებობდეს, რომ, აი, ეხლა დიდი ღღესასწაულების გამო ამინტია იქნება, რომელიც მას თავისუფლებას მოუტანს; მეორე—იმის შესახებ, რომ, აი, ის ხელიდან უსხლტდება დაჩაჯებს და გაქცევას ახერხებს; მესამე კიდევ — რევოლუცია ხდება, ხალხი ძველს წესწყობილებას ამსხვრევს და სახელმწიფოს თვითონ ექცევა სათავეში, მას ათავისუფლებენ და ისიც ენერგიულად იბრძვის ახალი წესწყობილების განმტკიცებისათვის.

ოცნების შინაარსში არა მარტო სურვილის დაკმაყოფილების სახეები გვეძლევა, არამედ, პირიქით, ზოგჯერ ისეთი სურათებიც, რომელიც სწორედ საწინააღმდეგოს გვიხატავენ. ვინ არ იცის, რომ ის, რისიც გვეშინია, რაც ზოგჯერ სინამდვილეში არ სრულდება—შეიძლება არც შესრულდეს როდისმე—ოცნებაში სისრულეში მოდის ხოლმე. სტუდენტი გამოცდისათვის ეშინება; და აი, იგი ოცნებას ეძლევა: მოვიდა მისი ჯერი; მიდის გამოსაცდელად, და დახე, გამომცდელი სწორედ იმის შესახებ აძლევს შეკითხვას, რაც მას ცუდად ჰქონდა მომზადებული. იგი გამოცდას ვერ აბარებს.

რასაკვირველია, ძნელი გასაგებია, თუ რატომ მიმართავს ჩვენი ოცნება იმას, რაც სრულიად არ ეთანხმება ჩვენს ინტერესს: შეუძლებელია, ასეთი სურათები კმაყოფილებას იწვევდეს ადამიანში. რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს ოცნებას, თუ მის მიერ დახატული სინამდვილე ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე რეალური სინამდვილე, რომელშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მიმდინარეობს!

ზოგი ასე ფიქრობს ამ საკითხის გადაჭრას: ჩვენი შიში ნამდვილად ჩვენს ფარულ სურვილებს გამოხატავს, და ამდენად ოცნებაში იმის ასრულება, რისიც გვეშინია, სურვილის ასრულებას წარმოადგენსო (ფ რ ე ი ლ).

ზოგი კიდევ, მაგალ., შ ტ ე რ ნ ი, იმაზე მიუთითებს, რომ ცხოვრებაში არა ერთი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი თავისი მდგომარეობის გაურკვეველობას ვერ იტანს. ამიტომ განუწყვეტლივ შიშს—ვაი თუ ასე მოხდესო—ბოლოსდაბოლოს, ისევ იმას არჩევს, რომ მართლა მოხდეს ბარემ ის, რისიც მას ეგოდენ ეშინია და გათავდეს. ზოგჯერ შიში უფრო ძნელი ასატანი ხდება, ვიდრე ის, რისიც გვეშინია (შ ტ ე რ ნ ი). ეს დაკვირვება სწორია. მაგრამ ეს მაინც არ ამტკიცებს, რომ რისიც გვეშინია, იმის ოცნებაში შესრულება რაიმე მხრივ სასარ-

გებლო იყოს შენთვის—თუნდ ოდნავ მაინც გათავისუფლებდეს ამ მიშისაგან.

უფრო სწორი იქნებოდა თუ ოცნების, ისე როგორც, საზოგადოდ, ფანტაზიის აზრს, ისე როდი გავიგებდით, თითქოს იგი სუბიექტის უთუოდ გარკვეული მიზნების გახორციელებას ემსახურებოდეს, არამედ სხვანაირად: სუბიექტს გარკვეული პირობების ზეგავლენით გარკვეული მოვლენის მიმართ უარყოფითი განწყობა უჩნდება, რომელიც ემოციურად შიშის განცდის სახით ვლინდება; ბუნებრივია, ეს განწყობა რომ რეალიზებული ყოფილიყო, მაშინ იმის შიში, ვაი თუ ასე მოხდესო, არ იქნებოდა. მაშასადამე, მას რეალიზაცია სჭირდება და რამდენადაც ეს უკანასკნელი სინამდვილეში არ ხერხდება, იგი ოცნების სამკვიდროში გადადის.

რომ ეს ასე უნდა იყოს, ეს იქედანაც საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ოცნებაში საშიშის განხორციელების სურათებს ყველა ერთნაირად ხშირად როდი მიმართავს. მტკიცე და ძლიერი ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია თავის ძალებში, ანდა, საზოგადოდ, ოპტიმისტურადაა განწყობილი, საშიშის შესახებ არ ოცნებობს. სამაგიეროდ, სუბიექტი საზოგადოდ, გაუბედავის, მშიშარისა და პესიმისტურად განწყობილი სუბიექტის ოცნებაში სწორედ საშიში სჭარბობს.

ოცნების სურათები, ჩვეულებრივ, რეალისტურია. იგი ჩვენს ბედს ეხება, ჩვენს თავგადასავალს მოგვითხრობს, და გასაგებია, რომ მასში ადამიანისათვის, საზოგადოდ, შეუძლებელს და ფანტასტურს ადგილი არა აქვს. ზემოაღნიშნული ტუსალი გათავისუფლებაზე ოცნებობს და ისიც ისეთი საშუალებებით, რომ ამაზე სერიოზულად მის პირობებში ფიქრიც კი არ შეიძლება. მაგრამ ამგვარად თავისუფლების მოპოება, საზოგადოდ, სრულიად წარმოუდგენელი მაინც არაა: იმ პირობებში, რომელშიც ტუსალი იმყოფება, ეს ფანტასტურია, სრულიად შეუძლებელია; მაგრამ შესაფერ პირობებში სრულიად არაა შეუძლებელი.

ერთი სიტყვით, ოცნება მხოლოდ იმას ეხება, რის განხორციელებაც აზრად მაინც მოსახერხებელია: ოცნებაში ჩვენ არც კენტავრები გვხვდება და არც ქიმერები, არც სხვა რამ შეუძლებელი არსებები. ოცნებას, რაც უნდა იყოს, მაინც სინამდვილესთან აქვს საქმე. ს მ ი ტ ი ს გამოკვლევებიდან, რომელიც დიდ მასალას ემყარება, ჩანს, რომ ნორმალური ზრდადასრულებული ადამიანის ოცნება უფრო ხშირად მის მომავალ გეგმებს ეხება. ამიტომ გასაგებია, რომ ოცნებაში სინამდვილისათვის ანგარიშის სრული გაუწევლობა შეუძლებელია.

5. სიზმარი და მისი თავისებურებები. კიდევ უფრო დასრულებუ-

ლი სახით ფანტაზიის მეშობა სიზმარში იშლება. თუ ოცნებაში სინამდვილესთან იმ მხრივ მაინც გვაქვს საქმე, რომ იძულებული ვხდებით მის კანონებს გაუწიოთ ანგარიში, სიზმარში ეს დაბრკოლებაც მოხსნილია. აქ ფანტაზია აბსოლუტურად სუვერენული ხდება: რაგინდ უაზროც, რაგინდ აბსურდულიც უნდა იყოს სიტუაცია, რაგინდ შეუძლებელიც მოვლენა თუ საგანი, სიზმარში ყველაფერი ეს შესაძლებელი ხდება; და ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ყველაზე უფრო სპეციფიკური სიზმრის ცნობიერებისათვის ისაა, რომ ყველაფერი ეს მასში, როგორც შესაძლებელი კი არა, როგორც სინამდვილეში აქტუალურად მოცემული განიცდება: ფანტაზიის განცდა სიზმარში არ არსებობს. სიზმრის ცნობიერება და ფსიქიკურად დაავადებულის ცნობიერება ძალიან ახლო დგანან ურთიერთთან: ისიც და ესეც ორივე მოწყვეტილია რეალურ სინამდვილეს და ამას ვერც ერთი ვერ ამჩნევს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ზოგი ავადმყოფი განკურნების შემდეგ თავის წინანდელ მდგომარეობას სიზმარს ადარებს ხოლმე. ვნახოთ რა თავისებურებები ახასიათებს სიზმარში შექმნილ ფანტასტურ სინამდვილეს.

1) ჯერ-ერთი, სიზმრის სინამდვილე იმ მხრივაც სპეციფიკურად აგებული, რომ იგი ძალიან თავისებურადაა დროსა და სივრცეში მოცემული: სიზმრის სინამდვილე არც დროის მიხედვით ჰგავს რეალურ სინამდვილეს და არც სივრცის მიხედვით.

სიზმარი არაჩვეულებრივ სწრაფად მიმდინარეობს. სიზმარში ერთის თუ ორი სექუნდის განმავლობაში ხდება, რაც ცხადში მთელი თვეებისა და, შეიძლება, წლების ხანგრძლიობას მოითხოვდეს. ცნობილია, მორის (Maury) კლასიკური შემთხვევა: იგი სიზმარში საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ცხოვრობს. განიცადა ტერორის საშინელი წლები; თავის თვალთ ხედავს რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას. აი, ისიც გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. აი, ეშაფოტზე აიყვანეს, და გილიოტინის დანა ერთბაშად მას კისერზე ეცემა. სწორედ ამ დროს იღვიძებს: თურმე რაღაც გადმოვარდნილა და მას კისერზე დასცემია. მაშასადამე, გამოდის, რომ მთელი ეს სიზმარი, რომელიც მთელი წლების ამბების განცდას წარმოადგენდა, ობიექტურად სექუნდის განმავლობაში მომხდარა: რაღაც გადმოვარდნილა და მძინარე გაუღვიძებია. იმ ერთ მომენტში, რომელიც გაღვიძებისათვის იყო საჭირო, სუბიექტის ცნობიერებაში წლების ამბებს გაუელებებია. ასეთია სიზმრის მიმდინარეობა დროში.

გასაოცარია: როგორ შეიძლება, რომ ამდენი განცდა დროის

ეგოდენ მოკლე მონაკვეთში დაეტიოს? ამიტომაც ექსპერიმენტული გამოკვლევების მთელი რიგი იქნა ჩატარებული, რომელსაც უნდა შეემოწმებია, თუ რა სისწრაფით მიმდინარეობს რეალურად ადამიანის განცდები. გამოიკვია, რომ სიზმრის განცდათა მიმდინარეობა მართლა არაჩვეულებრივ სწრაფი ყოფილა. სულ სხვა საკითხია, თუ როგორ უნდა აიხსნას იგი.

დაახლოებით ასეთსავე სურათს წარმოადგენს სივრცეც, რომელიც სიზმრის ცნობიერებაში განიცდება. სიზმარში ყველაფერი ძალიან ვიწროდ შემოფარგლულ სივრცეში ხდება — ოთახი, მოედანი. ან კიდევ უფრო ვიწროდ შემოზღუდული არე კმარა, რომ სიზმრის ცნობიერებამ ყველაფერი შიგ მოათავსოს. შესაძლებელი ხდება სიზმარში სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები პირები მაინც ერთ ადგილას განიცდებოდნენ: ისინი სხვადასხვა ადგილას არიან, მაგრამ მაინც ერთად არიან.

2) სიზმარში აღმოცენებული წარმოდგენები ჩვეულებრივი წარმოდგენებია. მაგრამ შეიძლება მოხდეს, რომ, მაგალ., ხეს ხედავდე სიზმარში, მაგრამ მას ადამიანად გულისხმობდე: ხეა, მაგრამ ადამიანია. ერთერთ სიზმარში მწვანილით სავსე კალათს სუბიექტი სიზმრების კრებულად განიცდიდა: იგი მწვანილს ხედავდა, მაგრამ ეს მწვანილი მისთვის სიზმრების კრებული იყო. მაშასადამე, წარმოდგენის შინაარსი და საგანი ზოგჯერ მკაფიოდ შორდება სიზმრის ცნობიერებაში ურთიერთს: რასაც ვხედავ, ის კი არაა, რასაც ვხედავ, არამედ სულ სხვა რაღაც.

3) ამასთან კავშირი აქვს ზოგიერთ შემთხვევაში დადასტურებულს ემოციური განცდების თავისებურებასაც. ვთქვათ, სუბიექტი რასმე განსაკუთრებით სამწუხაროს ხედავს, მაგალ., მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასს არსებას კარგავს. ცხადია, ამან სათანადო განცდები უნდა გამოიწვიოს მასში. მაგრამ ზოგჯერ სიზმარში ასე ხდება: მწუხარების ნაცვლად სუბიექტი სიამოვნებას გრძნობს ან სრულს სიმშვიდეს და გულგრილობას იჩენს. როგორც ვხედავთ, აქაც ერთი მთლიანი განცდის ისეთსავე გახლეჩას აქვს ადგილი, როგორც ზემოთ, წარმოდგენის მნიშვნელობის განცდის შემთხვევაში,

4) ზოგჯერ საგნები და მოვლენები თავისი არსებითი ნიშნის გარეშე განიცდებიან. მიუხედავად ამისა, სუბიექტი მაინც გარკვევით ხედავს ამ საგანს, და ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელს თავისი არსებითი ნიშანი არა აქვს, მას სრულიად არ აკვირვებს. ერთერთი სიზმარი: სუბიექტი ფეხშიშველა თოვლში დაიარება, მაგრამ თოვლი სრულიად არაა ცივი: იგი უფრო თბილია, ვიდრე ცივი.

5) სიზმრის ცნობიერებას ხშირად გადაჭარბება უყვარს. ვის არ უნახავს სიზმარში არაჩვეულებრივი სიდიდის ადამიანი, გოლიათი, ან გადაჭარბებით პატარა ზომის ლილიპუტი! საინტერესოა აქ ისაა, რომ ასეთი არაჩვეულებრივ ინტენსიურად ხაზგასმული ნიშნები არავითარ უხერხულობას არ იწვევს სიზმრის ცნობიერებაში.

6) ყველაფერი ეს ნათლად მიუთითებს, რომ სიზმრის სინამდვილეში ყველაფერი შეიძლება მოხდეს: შეიძლება იქ სრულიად წარმოუდგენელმა არსებებმა იჩინონ თავი; შეიძლება ცეცხლში იწოდეს, მაგრამ ტანჯვის ნაცვლად უღრმეს ბედნიერებას განიცდიდე. სიზმარში ყველაფერი ეს შესაძლებელია, და სუბიექტიც შესაძლებლად კი არა, ბუნებრივად, რეალურად, სთვლის ამას: კრიტიკის უნარი სიზმარში მიძინებულია.

შ. სიზმრის მასალა. როგორც თავის მოქმედების სხვა შემთხვევაშიც, ფანტაზია სიზმარშიც იმავე მასალით სარგებლობს, რაც სინამდვილის ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი. ახალი და უცნაური მხოლოდ ის კომბინაციებია, რომელშიც ეს მასალა არის ხოლმე ხშირად გაერთიანებული.

ა) შეიძლება ითქვას, სიზმრის ცნობიერების მთელ მასალას წარმოადგენენ შეადგენენ. აღმოჩნდა, რომ სიზმარში განსაკუთრებით ხშირად მხედველობითი წარმოდგენები მონაწილეობენ ამას განსაკუთრებით ფრეიდმა მიაქცია ყურადღება. გარდა ამისა, თითქმის ყველა ენაზე სიზმრის „ნახვის“ შესახებ ლაპარაკობენ და არა, მაგალ., მოსმენის შესახებ. ჰაკერის მიხედვით, მის მიერ შესწავლილ სიზმარში 93% მხედველობის წარმოდგენებს შეიცავდა, ხოლო სმენითი წარმოდგენები მას 100-დან მარტო 73 შემთხვევაში შეხვდა.

რაც შეეხება სხვა მოდალობის წარმოდგენებს, იგივე ჰაკერი ასეთ ციფრებს ასახელებს: შეხებითი წარმოდგენები სიზმრის 16%-ში გვხვდება, კინესთეტური — 18%, სუნისა და გემოს წარმოდგენები — 3%, ტკივილის წარმოდგენა სიზმარში ან სრულიად არ გვხვდება (კლაგეს) ან ძლიერ იშვიათად (ბონი).

საგულისხმოა, რომ სივრცითი მიმართებების ხედვა სიზმარში სავსებით ეთანხმება იმას, რაც სიზმრის ცნობიერების სივრცის შესახებ იყო ზემოთ თქმული: შორეული მთა სიზმარში ისე ახლო მოჩანს, რომ თითქმის ხელით შეგიძლია მისწვდე (ჰაკერი).

მხედველობითი წარმოდგენების განსაკუთრებული როლი სიზმარში იქიდანაც ჩანს, რომ ისინი არა მარტო რაოდენობით სჭარბობენ ყველა დანარჩენი მოდალობის წარმოდგენებს, არამედ სიცხოვე-

ლითაც. ამ მხრივ მათ ვერც ერთი მოდალობის წარმოდგენა ვერ შეედრება: ბონი-ს მიხედვით, სიზმრის მხედველობითი წარმოდგენები თითქმის ისევე ცხოველნი და მკაფიონი არიან, როგორც ალქმები, მაგრამ მათ ყოველთვის ნაკლები სივრცე უჭირავთ: ვიდრე ალქმის საგნებს.

მაგრამ ყველა მკვლევარი ერთნაირი აზრის არაა მხედველობითი წარმოდგენების ასეთი სიცხოველისა და მკაფიობის შესახებ. მაშინ როდესაც ფრეიდი საესეებით მხარს უჭერს ამ დებულებას, ზემი მაიერი მის წინააღმდეგ გამოდის. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად ერთ გარემოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ ობიექტურად სიზმრის ხატი ყველა წარმოდგენის ხატია. მაგრამ ფენომენოლოგიურად, ე. ი. თვითონ სიზმრის ცნობიერებისათვის, ისინი ორ ჯგუფს შეადგენენ, ალქმებისა და წარმოდგენების ჯგუფს. სიზმარში ჩვენ ზოგჯერ წარმოდგენაც გვაქვს, და სიზმრის ცნობიერების ალქმები და წარმოდგენები რომ ურთიერთს შევადაროთ, ვნახავთ, რომ პირველნი მართლა ალქმად განიცდებიან, ე. ი. ისინი ისევე ცხოველნი და მკაფიონი არიან, როგორც ყოველი ჩვეულებრივი ალქმა; ხოლო მეორენი სიცხოველის მხრივაც წარმოდგენებად განიცდებიან. რასაკვირველია, უადრესად საყურადღებოა, რომ სიზმარში, ჩვეულებრივ. წარმოდგენა ალქმად იქცევა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს წარმოდგენა უკვე მანამდე ასევე ნათელი და ცხადი იყოს, სანამ ალქმად გადაიქცეოდეს. ყურადღებით დაკვირვება გვმტკიცებს, რომ, პირიქით, წარმოდგენის საგანი მხოლოდ მას შემდეგ ხდება ცხადი და მკაფიო, რაც იგი ალქმის საგნად იქცევა, და არა მანამდე.

რაც შეეხება სიზმრის წარმოდგენათა შინაარსს, აღმოჩნდა, რომ სიზმრის წარმოდგენა ან ფანტასტური შინაარსისა და ან მნემურის, ე. ი. განცდილის რეპროდუქციას წარმოადგენს. კელერის მიხედვით, ფანტასტური შინაარსის სიზმრის წარმოდგენა ერთ შემთხვევაში საგანს ეხებოდა, 94-ში — ადამიანებს და 145-ში — ადგილებს. ყველა დანარჩენი წარმოდგენა განცდილის რეპროდუქციას წარმოადგენს, მაგრამ არა უცვლელი სახით, არამედ ზოგჯერ საკმაოდ თვალსაჩინოდ შეცვლილით.

ბ) სარგებლობს თუ არა სიზმრის ფანტაზია სხვა მასალითაც, ამის შესახებ ფსიქოლოგთა შორის თანხმობა არ არის. ზოგი ფიქრობს, რომ სიზმარში ყოველგვარ ფსიქიკურ მასალას აქვს ადგილი. ზოგი ამის წინააღმდეგია. სიზმრის შემთხვევათა ყურადღებითი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ, ყოველ შემთხვევაში, აქტიური



ფსიქიკური განცდები, აზროვნება და ნებელობა, სიზმრის ცნობიერებისათვის უცხოა. შეიძლება კაცს ესიზმროს, რომ ის მსჯელობს, ერთი სიტყვით, აზროვნობს, ან ნებისმიერ მოქმედობს — ეს შეიძლება მას ესიზმროს; მაგრამ რომ სიზმრის ცნობიერების ანალიზი მის შინაარსში აქტიურ პროცესებსაც აღმოაჩენდა, ამის თქმა სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა.

მხოლოდ გრძნობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტი არა მარტო სიზმარს ხედავს თავისი გრძნობების შესახებ, არამედ აქტუალურადაც განიცდის მათ. ამის საბუთს სათანადო სომატური სიმპტომები იძლევა, რომელიც მძინარის მწვავე ემოციურ განცდებს ახლავს ხოლმე თან. ცნობილია, რომ ძილში შიშის გამო გულისცემა იმატებს, ანდა მწუხარების გამო თვალს ცრემლი ადგება. რომ მძინარეს მხოლოდ წარმოდგენები ჰქონოდა სიზმარში თავისი მწუხარების ან შიშის შესახებ, ე. ი. რომ მხოლოდ სიზმარში ენახა, რომ იგი შიშს ან მწუხარებას განიცდის, და ფაქტიურად არ ჰქონდა ეს განცდები, მაშინ გულისცემაცა და ცრემლიც სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

ამრიგად, ძილში სუბიექტს აქტუალურად მხოლოდ წარმოდგენები და გრძნობები აქვს; და აი, ამ მასალით იგი თავისი სიზმრების მთელ შინაარსს აგებს, შინაარსს, რომელშიც ახალი, თავისებური სინამდვილეა მოცემული — სიზმრის წარმოსახული სინამდვილე. აქ, ამ სინამდვილეში შეიძლება მოაზროვნე და ნებისმიერ მოქმედი ადამიანიც იყოს წარმოდგენილი, რომელიც, როგორც სავსებით დასრულებული ადამიანი, მოქმედობს და აზროვნობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვითონ სიზმრის სუბიექტი, მძინარე ადამიანი, აზროვნობდეს და ნებისმიერ მოქმედებდეს. სიზმარი ფანტაზიის ავტონომიური აქტიობის გამოვლენაა: ადამიანის აზროვნება ან ნებელობა მასში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს.

გ) მაგრამ რა უნდა ითქვას შეგრძნების ან აღქმის შესახებ? ღებულობს იგიც სიზმარში მონაწილეობას თუ არა? შესაძლებელია, იგი სიზმრის წარმოდგენების შინაარსში შედიოდეს? ყოველ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ძილის დროს ადამიანი აბსოლუტურად მოწყვეტილი არ უნდა იყოს ობიექტურ სინამდვილეს. ეს უკანასკნელი ორის მხრივ მოქმედობს მასზე: გარედან და შიგნიდან. მართალია, ძილის დროს ბევრი ჩვენი რეცეპტორი დახშულია გარე გაღიზიანებათა მიმართ: თვალები დახუჭულია, სხეული მოშვებული. უძრავი, მაგრამ სუნის ორგანო და ყური ზომ ღიაა გაღიზიანებათა მისაღებად. ჩვენი ბუნებრივი ძილის დროს, ღამის სიბნელესა და სიჩუმეში, არცაა საჭირო ჩვენი გრძნობის ორგანოების უმოქმედო-

ბის უზრუნველსაყოფად საგანგებო ზომები იქნეს მიღებული: შესაძლო გაღიზიანებათა რიცხვი მინიმუმადეა დაყვანილი. მიუხედავად ამისა, რაიმე მეტად თუ ნაკლებად ინტენსიური გაღიზიანების ზემოქმედების შესაძლებლობა ალკეითილი მაინც არ არის. არის შემთხვევები, რომ სიბნელეს ელვა სერავს, ან თვითონ თვალის შინა არეში აქა-იქ სხვადასხვა ფერადი წერტილი ჩნდება; სიჩუმეს გრუხუნის არღვევს, ანდა ქუჩაზე სახანძრო რაზმის საგანგაშო ზარები. გარდა ამისა ობიექტური სინამდვილე მძინარის ორგანიზმზე შიგნიდანაც მოქმედობს: თვითონ სხეულში სასიცოცხლო პროცესების მუშაობა ძილის დროსაც განუწყვეტლივ მდინარებაში იმყოფება, და შინა გამღიზიანებელთა მოქმედება არც ძილის დროს სწყდება. მამასადამე, უნდა ვიფიქროთ, ყველა ამ გაღიზიანებათა მოქმედების შედეგად ორგანიზმში სათანადო ფიზიოლოგიური პროცესები და შესაფერი შეგარძნებები ჩნდება.

ერთი სიტყვით, საფიქრებელია, სათანადო გაღიზიანებათა ზემოქმედების შემთხვევაში მძინარე ადამიანს სათანადო შეგარძნებები გაუჩნდეს.

და აი, საკითხიც სწორედ აქ იბადება: რა როლს ასრულებენ ეს შეგარძნებები? რა ემართება მათ?

ვუნდები იმ აზრის იყო, რომ სიზმრის მასალას ძირითადად და უმთავრესად შეგარძნებები შეადგენდნენ. მაგრამ ბერგსონის მიხედვით, რომლისთვისაც ყოველი სიზმარი რაიმე გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად ჩნდება, შეგარძნება პირდაპირ უცვლელი სახით როდი შედის სიზმრის შედგენილობაში. არა, სიზმრისათვის სწორედ ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ მასში გაღიზიანების ზემოქმედების შედეგად მიღებული შეგარძნებების სრული გადამუშავება ხდება: ძალის ყეფა სიზმარში, მაგალ. კრებაზე ატეხილს აურზაურადა და აღშფოთებულს „ძირს, ძირს“-ის ყვირილად გადამუშავდება (ბერგსონი), გადმოვარდნილი ხის საგნის კისერზე დაცემა — გილიოტინის დანად (მორი).

ერთი სიტყვით, არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც შეგარძნება უცვლელი სახით შედის სიზმრის შინაარსში; მაგრამ ამის საწინააღმდეგო აზრსაც ჰყავს მომხრეები: შეგარძნება გადამუშავებული სახით, სულ ახალი მნიშვნელობით, შედის სიზმრის წარმოდგენათა შემადგენლობაში.

ამ საკითხის გადასაწყვეტად მ. ვოლდმა საგანგებო ცდები დააყენა, რომლის შედეგებიც ფართოდაა ცნობილი. მისი მეთოდი მარტივი იყო: ძილის დროს იგი თავის ცდისპირებზე სხვადასხვა გაღიზიანებას ამოქმედებდა და შემდეგ მათი სიზმრის შინაარსს

სწავლობდა. საბოლოო დასკვნა, რომელიც მისი შედეგების განხილვიდან გამომდინარეობს, ასეთია: გაღიზიანება თითქმის ყოველთვის ახდენს გავლენას სიზმარზე; მაგრამ იგი პირდაპირ თავისი სახით როდი შედის სიზმარში, არამედ ხშირად იმდენად საფუძვლიანად გადამუშავებულის სახით, რომ მისი ცნობაც კი შეუძლებელი ხდება; მართალია, არის ისეთი შემთხვევებიც, რომ გაღიზიანება სწორ ალქმას იწვევს, და ეს უკანასკნელი სიზმრის ელემენტად, იქცევა, მაგრამ ასეთი შემთხვევა მხოლოდ იშვიათ გამონაკლისს შეადგენს.

რაც შეეხება შინა გამღიზიანებლებს, რომელნიც სასიცოცხლო პროცესებთან არიან დაკავშირებული, ისინი ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე, საერთო კეთილდღეობაზე, ახდენენ გავლენას და ამით სიზმრის საერთო ხასიათს, საერთო მიმდინარეობას განსაზღვრავენ. ზოგჯერ კი უფრო ახლობელ ანარეკლსაც პოულობენ სიზმრის შინაარსში. მაგალ., გულის ტკივილი სხვადასხვა შინაარსის კომპარულ სიზმრებს იწვევს, შიმშილი — მდიდარ სუფრაზე ღრეობის სურათებს.

ამრიგად, დასკვნა ასეთია: გარესინამდვილიდან მომდინარე გაღიზიანება გავლენას ახდენს სიზმრის ცნობიერებაზე, მაგრამ თავისი უცვლელი სახით მასში თითქმის არასოდეს არ შედის.

კონკრეტულად რომ გავითვალისწინოთ სიზმრის გენეზისი გარეგამღიზიანებელთა ზემოქმედების შემთხვევებში, საქმე დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: გარეგამღიზიანების ინტენსიური ზემოქმედების შედეგად — ინტენსიური ზემოქმედების შედეგად — იმიტომ ვამბობთ, რომ ძილში ყველა რეცეპტორის ზღურბლი თვალსაჩინოდაა ზევით აწეული, ე. ი. მგრძნობელობა დაქვეითებულია — გაღიზიანების ასეთი ზემოქმედების შედეგად ჩვენ ის სპეციფიკური, მართლა თავისებური განცდა გვიჩნდება, რომელიც უფრო სუბიექტური ხასიათის შინაარსს წარმოადგენს, ვიდრე რაიმე ობიექტური მნიშვნელობის მქონეს. ჩვენ აქ ის განცდა გვაქვს მხედველობაში, რომელიც ჩვენ უფრო დაწვრილებით ზემოთ ავწერეთ, და შეგრძნების კონკრეტულ განცდად ვცანით. გაღიზიანების ზემოქმედების ასეთი პროდუქტი თავისთავად მხოლოდ ერთგვარი შინაარსია, მაგალ., ბგერა, რომელიც უფრო სუბიექტის მდგომარეობას წარმოადგენს, ვიდრე ობიექტურ მოცულობას — უფრო ყურშია მოთავსებული, ვიდრე გარეთ, ობიექტურ სინამდვილეში. ეს შინაარსი თავისთავად არაფერს ობიექტურს არ ნიშნავს. მნიშვნელობას მას ჩვენი სიფხიზლის ცნობიერება აძლევს, — ალქმის პროცესი სწორედ ამაში მდგომარეობს, — და მნიშვნელობასთან ერთად ეს

სენსორული შინაარსიც თავის გარკვეულობას, თავის ობიექტურობას იძენს: როგორც გარკვეული ფსიქიკური შინაარსი, მაგალ., როგორც ნამდვილი ბგერა ყალიბდება.

მაშასადამე, ძილის დროს გარეგალიზიანებათა მოქმედების შედეგად ჩვენ შეგარძნება გვიჩნდება, რომელიც რაკი სიფხიზლის ცნობიერება მიძინებულა, არაფრის აღქმად არ გვეძლევა. სამაგიეროდ, მას სიზმრის ცნობიერება იყენებს და, იმის მიხედვით. თუ რა მიმართულებით არის განწყობილი, გარკვეულ აზრსა და მნიშვნელობას აძლევს. „ძაღლის ყეფას“ ადამიანის „ყვირილის“ ხმაურად აქცევს, ლოგინის ხის ნაწილს, რომელიც შემთხვევით მიძინარეს კისერზე ეცემა, გილიოტინად.

ობიექტურ სინამდვილეს თავისი წვლილი მხოლოდ ამ გზით შეაქვს სიზმარში. როგორც ვხედავთ, ეს წვლილი ძალიან უმნიშვნელოა. იგი თვითონ ობიექტური სინამდვილის სიზმრის ცნობიერებაში ასახვას როდი უწყობს ხელს. იგი უფრო საბაბია, რომლის გამოც სიზმრის ცნობიერება თავის საქმეს აკეთებს — თავისი განწყობების სარეალიზაციოდ სიზმრის სინამდვილის ბადესა ქსოვს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სიზმარი მხოლოდ ამ საბაბით ჩნდება, რომ იგი მხოლოდ გალიზიანების აქტუალური ზემოქმედების შედეგად იბადება. ყოველ შემთხვევაში, ამის დამტკიცება შეუძლებელია; და ის ფაქტი, რომ სიზმარი ღრმა ძილის დროსაც გვაქვს, გვაფიქრებინებს, რომ განწყობის დაძაბულობამ შესაძლებელია ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ გარე გალიზიანების საბაბის გარეშეც პოვოს თავისი გამოვლენა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ობიექტური სინამდვილის ზემოქმედება ყოველთვის მხოლოდ სიზმრის საბაბის როლს ასრულებდეს: შესაძლებელია იგი სიზმრის შინაარსში მნიშვნელოვანს, ზოგჯერ დომინანტურ ელემენტადაც შედიოდეს. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამისი იშვიათი შემთხვევები ვოლდის ცდებშიც იქნა დადასტურებული.

მაგრამ როგორაა ეს შესაძლებელი, თუ აქტუალური გალიზიანების ზემოქმედების შედეგად, მძინარის ცნობიერებაში ყოველთვის მხოლოდ „შეგარძნება“ ჩნდება, და არა აღქმა, რომელიც ობიექტური ვითარების ასახვას იძლევა? როგორაა ამ პირობებში შესაძლებელი, რომ მძინარის სიახლოვეს, მაგალითად, ძაღლის ყეფა ისმოდეს და ამის გამო სიზმარი გაჩნდეს, თითქოს მას ძაღლები დაედევნა? — როდესაც მართლა ასეთი სიზმრის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ინტენსიურმა, აქტუალურმა გალიზიანებამ მძინარე გააღვიძა: მან, ვთქვათ, ძაღლის ყეფა „გაიგონა“

და ხელახლა ჩაეძინა. გასაგებია, რომ ძალის ყეფა ამ შემთხვევაში მისი სიზმრის ცნობიერებაში შეევა, მაგრამ არა აღქმის, არამედ უკვე წარმოდგენის სახით, რომელიც გაღვიძების დროს მიღებული აღქმის რეპროდუქციად უნდა ვიგულისხმოთ.

მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ აქტუალური გაღიზიანებისა და სიზმრის შინაარსის შესატყვისობის შემთხვევაში ყოველთვის წარმოდგენასთან გვაქვს საქმე, რომელსაც გაღიზიანების ზემოქმედებით გამოწვეული, გაღვიძებისას მიღებული, „ძილში ჩაყოლილი“ აღქმა უღევს საფუძვლად.

7. სიზმრის თეორია. როგორც დავრწმუნდით, სიზმრის ცნობიერებას გარკვეულ მასალასთან აქვს საქმე — სხვადასხვა მოდალობის წარმოდგენებთან, რომელთაგანაც იგი თავისებურ სინამდვილეს. სიზმრის სინამდვილეს, ქმნის. ჩვენ ვნახეთ რომ ამ სინამდვილეს მრავალი თავისებურება ახასიათებს, რომლითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ობიექტური სინამდვილისაგან. რა უღევს საფუძვლად ამ სინამდვილის შემოქმედების პროცესს? რა წარმართავს ფანტაზიას, როდესაც იგი ეგოდენ თავისებურ სამკვიდროს ქმნის?

ეს საკითხი ჩვენთვის ახალი საკითხი არაა. ზოგადად იგი ფანტაზიის საფუძვლების განხილვისას გვაქვს შესწავლილი, უფრო კონკრეტულად — ოცნების საფუძვლების გათვალისწინებისას.

ჩვენ ვიცით. რომ განსაკუთრებული გულისყურით ფანტაზიის საკითხი ფრეიდის და მის სკოლას, ფსიქოანალიზს აქვს გარკვეული. კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია ფრეიდის თეორია სიზმრის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით. სიზმარი სურვილის ასრულებას ემსახურება, სურვილისას. რომლის შესახებაც თვითონ სუბიექტმა არაფერი იცის: ეს ის სურვილია. იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი, რომელიც მას უეჭველად აქვს, მაგრამ რომელსაც იგი. როგორც სასირცხოხსა და აღმაშფოთებელს, თავისთავსაც უმაღავს და სხვებსაც; უფრო ხშირად, თითქმის ყოველთვის ეს სქესობრივი სურვილია, რომელიც შეიძლება ზოგჯერ ისეთს პირებზე იყოს მიმართული (ფრეიდის მიხედვით, მაგალ., ვაჟს დედის მიმართ აქვს ისეთი სურვილი და ქალს მამის მიმართ), რომ ამ სურვილის გამხელა კაცმა თავისთავსაც კი ვერ გაუბედოს. ეს სურვილები ცნობიერებიდან „განდევნილი“ სურვილებია, რომელნიც, ფრეიდის მიხედვით, არ აცნობიერად განაგრძობენ არსებობას. ეს სურვილები ცნობიერებაში შექრას ესწრაფიან და, მაშასადამე, რეალიზაციის გზაზე დადგომას. მაგრამ სიფხიზლეში ეს ძნელია, იმიტომ რომ ჩვენ ვაფერხებთ, არ ვუშვებთ მათ ცნობიერებაში. ფრეიდი ამას „ცენზურა“-ს უწოდებს. ძილში ცენზურა ისე ფხიზლად არ არის, როგორც

სიფხიზლეში. და ამიტომ „განდევნილი“ სურვილები, მართალია, შეცვლილი სახით. შენიღბულნი, მაგრამ მაინც ახერხებენ ცნობიერებაში შექრას. ასე ჩნდება სიზმარი.

როგორც ვხედავთ, იგი განდევნილი სურვილის ცნობიერებაში გამოვლენაა. მაშასადამე. მისი ასრულებაა. მაგრამ ეს მაინც არაა ამ სურვილის საკუთარი სახით გამოვლენა: ეს მხოლოდ ნიღაბია, რომელიც განდევნილი სურვილების ნამდვილ სახეს ფარავს. ფრეიდი დაწერილებით სწავლობს ყველა იმ ხერხს. რომელთა დახმარებითაც განდევნილი სურვილის შენიღბვა ხდება: ყველა იმ პროცესს, რომელთა ნიადაგზეც გარკვეული სურვილის ასრულების შესაძლებლობანი ისე იცვლებიან, „მახინჯდებიან“, რომ მათი ცნობა, პირველი შეხედვით. სრულიად შეუძლებელი ხდება.

მაშასადამე. რაგინდ ახირებულაც, რაგინდ ინდიფერენტული და უმნიშვნელოც უნდა ჩანდეს სიზმრის შინაარსი. ან რომელიმე მისი ელემენტი. ყოველთვის დარწმუნებული უნდა ვიყოთ. რომ მისი გამოვლენილი, ანუ მ ა ნ ი ფ ე ს ტ უ რ ი, სახის ქვეშ მისი ნამდვილი, მისი ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ი შინაარსი იმალება. საჭიროა გარკვეული ზომები იქნეს მიღებული. და ამ შინაარსის აღმოჩენა შესაძლებელი იქნება.

ამრიგად. ფრეიდის მიხედვით, სიზმარს თავისი გარკვეული აზრი. თავისი ფარული შინაარსი აქვს, რომელსაც მონახვა უნდა, რომელსაც ახსნა უნდა. მაშასადამე. სიზმრის ახსნა მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს. რომელსაც, ფრეიდის რწმენით, ძალიან დიდი პრაქტიკული. კერძოდ, თერაპიული მნიშვნელობაც აქვს: სიზმრის სწორი ახსნა ნევროტიკის ან ფსიქოპათის ფარულ მიზნებსა და სურვილებს მიგვაკვლევინებს, და საკმარისია გააცნობიერებო იგი ავადმყოფს. რომ მისი განკურნება უზრუნველყოფილი გახადო.

ფრეიდის უეჭველ დამსახურებას შეადგენს, რომ მან სიზმრის აზრისა და მისი ახსნის საკითხის მეცნიერულ საფუძველზე დაყენება სცადა. სიზმარი, როგორც ფანტაზიის მუშაობის შეურყვნელი გამოვლენა, მხოლოდ სიმბოლოსა და სიმბტომს წარმოადგენს. მაგრამ იგი ობიექტური სინამდვილის შესახებ კი არ გვაწვდის ცნობებს, იმას როდი გვითვალისწინებს, რაც ობიექტური სამყაროს დასახასიათებლად გამოდგება, არამედ მხოლოდ იმას, რაც სუბიექტს ეხება და რაც სუბიექტის ფარული განზრახვების, სურვილებისა და მისწრაფების სამკვიდროში ხდება. ფრეიდის ეს დებულება ძირითადში სწორია. ნაგრამ იმ სახით, რა სახითაც იგი ფრეიდს აქვს გაფორმებული. მისი მიღება ძნელია. განდევნილი სურვილი ისეა ფრეიდის სისტემაში წარმოდგენილი, თითქოს იგი ცოცხალი

არსება იყოს, რომელსაც მშვენივრად ესმის, თუ ვისთან აქვს ბრძოლა, წინასწარ აქვს გათვალისწინებული, თუ რა უნდა, და საგანგებოდ ირჩევს საშუალებებს თავისი მიზნის მისაღწევად. განდევნილი სურვილის ასეთი პერსონიფიკაცია, მისი ინტელექტითა და ნებელობით აღჭურვილ არსად წარმოდგენა ფანტასტიურ სახეს აძლევს ფრეიდის თეორიულ კონსტრუქციას და მის შეწყნარებას აძნელებს.

გაცილებით უფრო მარტივ მდგომარეობასთან გვექნებოდა საქმე: თუ სიზმრის ცნობიერების მუშაობას სუბიექტის ძირითადს, მისი პიროვნების დომინანტურ განწყობას და შემდეგ იმ განწყობებს დაევლდებით საფუძვლად, რომელთაც ჯერ კიდევ გამოვლენა, ჯერ კიდევ განცდა და განცდაში რეალიზაცია ესაჭიროებათ. მაშინ სრულიად არაფერი იქნებოდა მისტიკური და გაუგებარი იმაში, რომ სიზმარში სინამდვილე ეგოდენ თავისებურ სახეს იძენს, რომ ზოგჯერ წარმოდგენაში მისი შინაარსისა და მისი საგნის გათიშვა ხდება, რომ ზოგჯერ მოვლენები შეუფერებელი ემოციური ტონით განიცდებიან, რომ აღამიანები და საგნები არა ბუნებრივი თვისებებითა და ნიშნებით გვევლინებიან... ყველაფერი ეს გასაგები გახდებოდა, თუ ვიგულისხმებდით, რომ სიზმარში განწყობის თავისუფალს, გარესინამდვილისაგან შეუზღუდველსა და შეუფერხებელ გამოვლენასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ სიზმარში იგივე ხდება, რაც ოცნებაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ყველაფერს ამას გამოვლენის გაცილებით უკეთესი პირობები აქვს, თავისუფალი მოქმედების განუსაზღვრელი შესაძლებლობა.

### აქტიური ფანტაზია

1. მხატვრული შემოქმედება. ოცნებაში და სიზმარში ჩვენი ფანტაზია შეუზღუდველად და შეუფერხებლად მუშაობს და განუწყვეტლივ ჯერ კიდევ განცდაში გამოუვლინებელი განწყობების რეალიზაციას ახორციელებს. მაგრამ ფანტაზიის ეს მუშაობა ჩვენი აქტიური ჩარევის გარეშე წარმოებს—იგი ავტონომიურად მიმდინარეობს. ჩვენი ოცნებისა და სიზმრის სურათები თავის ნებაზე ჩნდებიან და ქრებიან: ისინი არც თავისი აღმოცენების მომენტში არიან ჩვენს ნებისყოფაზე დამოკიდებული და არც თავისი აღკვეთის მომენტში უწყვეტ მას ანგარიშს. საინტერესოა, რომ ეს სურათები თვითონ იმ სუბიექტის მეხსიერებაშიც არ რჩებიან ხანგრძლივად, რომლის განწყობათა გამოსავლენადაც არიან მოვლენილი.

ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, თავისი საფუძვლები აქვს; მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო მაინც ის არის, რომ ეს სურათები იმთავითვე წმინდა სუბიექტურ მოცემულობას წარმოადგენენ და

ობიექტურს დროსა და სივრცეში არსად მტკიცე ადგილს არ იკავებენ. სანამ ცოცხალი არსება თვითონ არის ცხოვრების მიმდინარეობაში მთლიანად ჩართული, სანამ სინამდვილე მისთვის ჯერ კიდევ არაა ორს საწინააღმდეგო პოლუსად (მე და ობიექტური სამყარო) ჩამოყალიბებული, მანამდე. რასაკვირველია, როგორც ყველაფერს მასში, ფანტაზიასაც ავტონომიური მოქმედება ახასიათებს, და მისი სურათები სუბიექტური ყოფის ფარგლებს ვერ სცილდებიან.

მაგრამ ადამიანი იმავე დროს ნებელობით აღჭურვილი არსებაცაა, რომელიც თავის თავს ობიექტურ სინამდვილეს უპირისპირებს, მასზე მოქმედობს და მას წინასწარი განზრახვების შესაფერისად გარდაქმნის. ამას იგი პირველ რიგში შრომის პროცესში ახერხებს, როდესაც იგი თავისი შრომის პროდუქტების სახით გარკვეულ ობიექტებს ქმნის. აქ, შრომაში, იჩენს თავს, რომ ადამიანი არა მარტო მოქმედი არსია. არამედ შემოქმედიც, რომ მას არა მარტო წარმოდგენა შეუძლია იმისა, რაც ჯერ კიდევ არაა სინამდვილეში მოცემული. არამედ ამ წარმოდგენის ობიექტური განსახიერებაც — მისი ობიექტურის, საგნობრივის სახით სინამდვილეში განხორციელებაც, მისი, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ობიექტივაცაა.

ბუნებრივია, რომ ადამიანი თავისი ოცნებისა და სიზმრის წარმავალი სახეებით არ კმაყოფილდება და თავისი ფანტაზიის პროდუქტების შემოქმედებითი ობიექტივაციის მიზანსაც ისახავს. ნებელობით აღჭურვილი არსის მხრივ ეს ტენდენცია გასაგებია. იგი არა მარტო შესაფერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ობიექტურ საშუალებებს ქმნის, ე. ი. შრომობს — იგი ფანტაზიის ობიექტური პროდუქტების შემოქმედებისაკენაც არის მიმართული.

მოკლედ: რაწამს ფანტაზია ნებისმიერი ხდება, იგი. ნაცვლად ოცნებისა და სიზმრის წარმავალი სახეების შექმნისა, ხელოვნურ ნაწარმოებთა შემოქმედებასაც იწყებს და ამით მხატვრულს შემოქმედებითს ფანტაზიად იქცევა.

2. შრომა და მხატვრული შემოქმედება. როგორც წარმოებითს შრომაში, ისე აქაც. მხატვრულ შემოქმედებაში, ადამიანის აქტიობის მიზანს ობიექტური პროდუქტის შექმნა შეადგენს. მაგრამ განსხვავება ქცევის ამ ორ ფორმას შორის მაინც დიდია. შრომაში აქტიობის რაგვარობას ეს ობიექტური პროდუქტი განსაზღვრავს: მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეს გარკვეული პროდუქტია საჭიროა, და, მაშასადამე, ადამიანი იძულებული ხდება, სწორედ ის აქტიობა განავითაროს, რომელიც ამ პროდუქტის შესაქმნელადაა მიზანშეწონილი. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მხატვრული შემოქმედების შემთხვევაში. აქ სუბიექტს პირველად და თავისი ძალების



გარკვეული მიმართულებით ამოქმედება ესაჭიროება—აქ გარკვეული განწყობა გარე გამოვლენას, რეალიზაციას ესწრაფვის, და რამდენადაც ამ შემთხვევაში ობიექტური რეალიზაციაა მიზნად დასახული, — ე. ი. ობიექტური პროდუქტის შექმნა, რომელიც ამ ტენდენციის, ამ განწყობის მაქსიმალურად ადეკვატურ რეალიზაციას მოგვცემს—იმდენად, ცხადია, აქ პროდუქტი კი არ განსაზღვრავს აქტიობის რაგვარობას, არამედ, პირიქით, აქტიობა პროდუქტს, როგორც თავის ობიექტურ განსახიერებას.

მოკლედ: წარმოებითი შრომის შემთხვევაში ამოცანა ისაა, რომ სუბიექტმა გარკვეული ობიექტური პროდუქტის შესატყვისი განწყობა და მის ნიადაგზე მიზანშეწონილი აქტიობა გაშალოს. ხოლო მხატვრული შემოქმედების შემთხვევაში, პირიქით, ამოცანა ისაა, რომ უკვე არსებული, გარკვეული, მაგრამ არა რეალიზებული განწყობისათვის შესატყვისი პროდუქტი მონახოს და იგი ხელსახებ ფორმებში მოგვცეს: იქ საგანი წინასწარაა მოცემული, ხოლო მოსახი განწყობა და აქტიობაა; აქ, პირიქით, განწყობა მოცემულია. მაგრამ საგანია მოსახი.

რასაკვირველია, ფანტაზიის მუშაობის ობიექტური განსახიერებისათვის, ისეთი მხატვრული პროდუქტის შექმნისათვის, რომელიც სუბიექტის შესატყვისი განწყობათა ადეკვატურ რეალიზაციას უზრუნველყოფდა, ფანტაზიის სპონტანური მუშაობა, როგორც ამას ოცნებისა და სიზმრის დროს აქვს ადგილი, არაერთაა შემთხვევაში საკმარისი არ არის. აქ ფანტაზიის მუშაობაში ნებელობა უნდა ჩაერიოს და მას სათანადო მიმართულება და აუცილებელი სისტემატური ხასიათი მისცეს: ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ა რ შ ე ი ქ მ ნ ე ბ ა.

3. დამოკიდებული მხატვრული შემოქმედება. მხატვრული შემოქმედების ტენდენცია ისე, როგორც საზოგადოდ ფანტაზია, სადაც კი შესაძლებელია, ყველგან, მაშასადამე, ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაშიც, იჩენს თავს. ყველაფერი, რაც ადამიანის ხელიდან გამოდის, მეტად თუ ნაკლებად ამ ტენდენციის დაღს ატარებს. ამიტომ, რომ ის საგნები, რომელსაც ჩვენ რაიმე პრაქტიკული მიზნისათვის ვამზადებთ, მაგალ., ქურჭელი, იარაღი, ავეჯი, ტანსაცმელი.. არა მარტო იმ თვისებებს შეიცავს, რომელიც მის დანიშნულებას ემსახურება, არამედ ისეთებსაც, რომელთაც აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო საგნის დანიშნულებასთან: რაში უნდა დაეხმაროს თევზს ის მხატვრობა, რომლითაც ძვირფასი ფაიფურის ქურჭელია ზოგჯერ მოვარაყებულნი! რა უნდა შემატოს ავეჯის პრაქტიკულ ღირებულებას ჩუქურთმამ, რომელიც ეგოდენ დაკვირვებულ შრომას

მოითხოვს! ეს გადახრა პირდაპირი დანიშნულებიდან, ეს, ამ უკახასკნელის თვალსაზრისით, ზედმეტი ენერგია, რომელიც სხვადასხვა პრაქტიკული დანიშნულების საგნების გასამშვენიერებლად იხარჯება, უეჭველია, ჩვენი მხატვრული ფანტაზიის საქმეში ჩარევის შედეგს წარმოადგენს: ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ჩვენს ესთეტიურ მოთხოვნილებებზე და ამიტომაც, რომ ყველაფერს, რაც კი ჩვენი ხელიდან გამოდის, მხატვრული შემოქმედების დაღი აქვს.

ჩვენს ფანტაზიას, რასაკვირველია, აქაც იგივე მორთვი ამოქმედებს, რაც სხვა შემთხვევაშიც. როდესაც რაიმე პრაქტიკული დანიშნულების საგანს, ვთქვათ, ავეჯს წარმოვიდგენთ ან ვიგულისხმებთ, მის მიმართ რაიმე გარკვეული განწყობა გვიჩნდება — ჩვენ უკვე მრავალჯერ გვაქვს აღნიშნული, რომ ყველაფერი, რაც ჩვენზე მოქმედობს, პირველ რიგში პიროვნებაზე, როგორც მთელზე, ახდენს გავლენას — და აი ეს განწყობა სრულ თავის განსახიერებას საგნის მარტოდმარტო პრაქტიკული ღირებულების მქონე ნიშნებში როდი პოულობს; რჩება კიდევ რაღაც, რაც თავისი თავის რეალიზაციის მიზნით ფანტაზიის სტიმულაციას იწვევს. ასე ხდება, რომ შრომის პროცესში მხატვრული შემოქმედების ელემენტებიც ერევა, და შრომის პროდუქტი ნაწილობრივ ესთეტიური ღირებულების მატარებელიც იდება. თუ ასე გავიგებთ ჩვეულებრივი მოხმარების საგანთა მხატვრულობის საფუძველს, მაშინ ძნელი არ იქნება იმ პრინციპის მიგნება, რომელსაც ამ შემთხვევაში მხატვრული შემოქმედება უხდა ეყრდნობოდეს. მაგრამ ეს უკვე ესთეტიკის საქმეა.

როგორც ვხედავთ, მხატვრული შემოქმედება ამ შემთხვევაში მხოლოდ დამოკიდებულ როლს ასრულებს: იგი თავის საკუთარი პროდუქტების ვითარებაში კი არ იჩენს თავს, არამედ სულ სხვა პროცესის, შრომითი პროცესის, დამატებით მომენტს წარმოადგენს, და ამიტომ შრომის პროდუქტის დამატებით თვისებაში, ესთეტიურს სიავეკარგეში, პოულობს განსახიერებას.

**4. მხატვრული ფანტაზიის მასალა.** დამოუკიდებელი სახით მხატვრული ფანტაზია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებებში იჩენს თავს. იბადება საკითხი: რა მასალით სარგებლობს მხატვრული ფანტაზია თავისი ხატების ობიექტივაციისათვის?

საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი როლი, რომელსაც ხელოვნებაში ჩვენი ე. წ. უმაღლესი გრძნობის ორგანოები ასრულებენ: თვალი და ყური; ესთეტიკურ ორგანოებად, ასე ვთქვათ, პირველ რიგში ეს ორი ორგანო ითვლება. მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება ხელოვნების ძირითადი დარგების — მხატვრობის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) და მუსიკის განცდა: მხატვ-

რული ფანტაზიის ხატთა განსახიერება და ობიექტივაცია ბ გ ე რ ი თ - ს ა და მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ ს ფორმებში ხდება.

მაგრამ გარდა ამისა, ხელოვნება სხვა მასალითაც სარგებლობს, სახელდობრ, მოძრაობით, ერთის მხრივ, და სიტყვით, მეორეს მხრივ. გარდა მუსიკისა და მხატვრობისა ქანდაკებითურთ, არსებობს ქო- რ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ხელოვნებაც — ცეკვა — და შემდეგ განსაკუთ- რებით მეტყველებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგია. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს. სიტყვა უნი- ვერსალური განსასახიერებელი საშუალებაა. ამიტომ მეტყველებითი ხელოვნების დარგებში მხატვრულ ფანტაზიას ობიექტური განსახი- ერების არაჩვეულებრივ ფართო შესაძლებლობა ენიჭება.

რაც შეეხება სხვა მასალას, სხვა მოძალობის სენსორულ მასა- ლას, მაგალ., გემოს, სუნს, შეხებას, ტემპერატურას, მათ ესთეტიურ ღირებულებაზე ლაპარაკი დაუსაბუთებელია. მართალია, არის ხალ- ხი, რომელიც, მაგალ., სუნის ესთეტიკაზე ლაპარაკობს ( გ ი უ ო ), შეიძლება გემოს ესთეტიკაზედაც, მაგრამ შეუძლებელია პ ა რ ფ ი - უ მ ე რ ი ა და გ ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა ხელოვნების დარგებად იქმნენ მიჩნეულნი. სუნი და გემო იმდენად მკიდროდ არის ჩვენს ბიოლოგი- ურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული, რომ ამათ გარეშე რაიმე მხრივ მათი დამოუკიდებელი ღირებულების შესახებ ლაპარაკი ზედ- მეტი იქნებოდა.

უკანასკნელ ხანებში ლაპარაკია ვ ი ბ რ ა ც ი ი ს ესთეტიკური ღი- რებულების შესახებაც. მაგრამ უეჭველია, რომ ჯანსაღი, ნორმალუ- რი ადამიანისათვის, ყოველ შემთხვევაში, მას არავითარი ესთეტი- კური ღირებულება არა აქვს. შესაძლებელია ყრუ-მუნჯისათვის ეს ასე არ იყოს; მაგრამ მაშინ შეხებითს ესთეტიკური გრძნობის შესა- ხებაც უნდა ვილაპარაკოთ, იმიტომ რომ უსინათლონი ზოგიერთი ესთეტიკური განცდის მიღებას მხოლოდ შეხებით ახერხებენ.

სხვა ფსიქიკური მასალიდან განსაკუთრებით დიდ როლს ხელოვ- ნებაში გ რ ძ ნ ო ბ ა, ა ფ ე ქ ტ ი ასრულებს. მხატვრული ფანტაზია თავის მიზნებს იმით აღწევს, რომ იგი ჩვეულებრივ, ემოციური გან- ცდების ობიექტივაციას იძლევა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ კავშირს, რომელიც ჩვენს ემოციურ განცდებსა და განწყობას შორის არსებობს, მაშინ ემოციური ცხოვრების განსაკუთრებული მზაშეხე- ლობა ფანტაზიისათვის სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება.

5. შემოქმედების პროცესი. მხატვრული შემოქმედების ძუშაობა რთულს, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, რომელშიც ნებისყო- ფა ყოველთვის მნიშვნელოვან ელემენტად შედის. არ არის სწორი, რაიმე ყურადღების ღირსი ხელოვნური ნაწარმოები ოდესმე სერი-

ოზულის, ნებელობით წარმართული მუშაობის გარეშე დამზადებულიყოს.

შემოქმედების პროცესის პირველი საფეხური მასალის დაგროვებაში მდგომარეობს. ეს უკანასკნელი ჭერ კიდევ მანამდე იწყება, სანამ მხატვრული ნაწარმოების იდეა ჩაისახებოდეს. ხელოვანი განუწყვეტლივ აკვირდება სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც მის ხელოვნებას ეხება: მხატვარი ფერებს და მუსიკოსი ბგერებს, ისე როგორც ადამიანის ცხოვრებასა და მის ემოციურ განცდებს. იგი აგროვებს ცალკე დაკვირვებებს, რომელიც მას რაიმე მხრივ მნიშვნელოვნად ეჩვენება: ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი იწერდა ხოლმე ყველაფერს, რაც თავში მოუვიდოდა, ჭერ უწყსრიგოდ, ისე როგორც განიცდიდა. ს ა რ დ უ, თუ რომ რაიმე ფაქტს შენიშნავდა, ახალ სიტყვას მიაგნებდა, რაიმე იდეა მოუვიდოდა თავში, ყველაფერს ამას დაუღალავად იწერდა თავის შენიშვნების წიგნში.

მასალის დაგროვების ამ პერიოდის აზრი ისაა, რომ მხატვარს თანდათანობით, მისთვისაც შეუმჩნევლად, თავისი ხელოვნური ნაწარმოების იდეა უმწიფდება. სინამდვილის ხანგრძლივი და მრავალმხრივი განცდა ზელს უწყობს იმ თავისებური, ინდივიდუალური, ორიგინალური განწყობის ჩამოყალიბებას, რომელიც მხატვარს ცხოვრებისა და სინამდვილის მოვლენებისადმი უმუშავდება და რომელიც მისი ნაწარმოების კონცეფციასა და მისი შემოქმედებითი ფანტაზიის მოძრაობას ედება საფუძვლად.

შემდეგი საფეხური მომავალი ნაწარმოების კონცეფციის, ი დ ე ის დაბადებას ეხება. ეს პროცესი იმდენად თავისებურია, რომ იგი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ხელოვანი არაჩვეულებრივ აგზნებას გრძნობს, იდეებისა და გრძნობების არაჩვეულებრივ სიმდიდრესა და სიცხოველეს; და ამ მომენტში თითქოს სრულიად სპონტანურად — მისი ნებისყოფისა და ინტელექტის ჩარევის გარეშე — სრულიად არაცნობიერად, მომავალი მხატვრული ნაწარმოების იდეა ისახება. ამ მდგომარეობას ი ნ ს პ ი რ ა ც ი ა ს, მ ხ ა ტ ვ რ უ ლ შ თ ა გ ო ნ ე ბ ა ს, უწოდებენ. ზოგი მას ზეშთაგონებად განიცდის, თითქოს რაღაც არაადამიანური ძალა ერთბაშად, მოულოდნელად და მოუმზადებლად ეუფლებოდეს გრძნობას.

„ყველაფერი ეს უაღრესად უნებურად ჩნდება, მაგრამ ამავე დროს თავისუფლების გრძნობის ნამდვილი ქარიშხალი განიცდება“.

„როგორც ცრემლები ერთბაშად გვადგება თვალზე, ისე ერთბაშად ჩნდება ლექსიც“-ო (პ ე ი ნ ე). „ქვერეტის ერთი მომენტი, და სურათი მზამზარეული დაიბადა“ (ფ ე ი ე რ ბ ა ხ ი).

დასაწყისში ერთგვარი ინსტინქტის მსგავსი მდგომარეობა განიცდება. შემდეგ ერთბაშად ერთხანს წინ მიისწრაფი, თითქოს ნახევრად ცნობიერ მდგომარეობაში, და სრულიად არ იცი, რა გამოძრავებს. რა ხდება შენში. ნებისმიერი ჩარევა აქ ვერ შეეღობა: შთაგონებას ვერ დააჩქარებ; ერთადერთი, რაც შეგიძლია, ეს ლოდინია. განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს შთაგონებისათვის ისეთი მდგომარეობა ქმნის, როდესაც ყოველდღიური ცნობიერება თავისუფალია, როდესაც ჩვეულებრივი ყოველდღიური ცნობიერების ამოცანები არ დაგტრიალებს თავს, როდესაც მე და სინამდვილე ურთიერთს არ უპირდაპირდება, როდესაც შენი საკუთარი თავი აღარ გახსოვს, ისე ხარ გადასული ქვერეტაში (ფ რ ე ბ ე ს).

მაგრამ განსაკუთრებით უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ინსპირაცია, შთაგონება მხატვრული შემოქმედების მეორე საფეხურია, რომელსაც წინა საფეხური, მასალის დაგროვების საფეხური, ე. ი. დაეინებითი, ენერგიული დაკვირვებისა და ძიების საფეხური უსწრებს წინ. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ერთბაშად სჭრიდა საკითხს: მისი გადაწყვეტილება სწრაფი იყო და მტკიცე. ამას იგი მით ხსნიდა, რომ იგი წინასწარ ფიქრობდა ბევრს და ყველა შესაძლო შემთხვევისათვის უკვე წინასწარ იყო მზად. ასეა ხელოვანიც: ინსპირაციის მომენტში დაბადებული კონცეფცია მოსამზადებელი საფეხურის მუშაობის ნაყოფია. მაგრამ რატომ იბადება იგი ერთბაშად? რატომ ჩნდება ელვასავით? რატომ განიცდება, როგორც ქვეცნობიერებიდან, ჩვენდა უნებურად მოვლენილი რაღაც?

ყველაფერი ეს საკმაოდ ადვილი გასაგები იქნებოდა. თუ მოვიგონებდით, რომ მხატვრულ შემოქმედებას განწყობა უდევს საფუძვლად. იგი წინა პერიოდში მზადდება, და როდესაც იგი გარკვეულია, ცნობიერებაში ერთბაშად იჩენს თავს. ერთბაშად იმიტომ, რომ განწყობა ცნობიერების ფენომენს არ წარმოადგენს. მაშასადამე, ცნობიერებაში მას არავითარი წინა საფეხურები არ შეიძლება ჰქონდეს. გასაგებია ისიც, რომ იგი თითქოს როგორც ზემთაგონება განიცდება. როგორც რაღაც გარედან მოსული.

მაგრამ თუ ე. წ. შთაგონება განწყობის მომწიფების ცნობიერებაში გამოვლენას წარმოადგენს, მაშინ ვანცდა შინაარსეულადაც შესაფერისი უნდა იყოს. და მართლაც, ინსპირაციის განცდის აღწერებიდან ჩანს, რომ მხატვრული ნაწარმოების იდეა, კონცეფცია, რომელიც ამ ინსპირაციის მომენტში იბადება, დამთავრებული ნაწარმოე-

ბის იდენის ან ხატის სახით კი არ ჩნდება, რათა შემდეგი მუშაობა მხოლოდ ამ ხატის პირის გადაღებაში მდგომარეობდეს. საქმე ის კი არაა, თითქოს მხატვარს ის სურათი, რომელსაც იგი ხატავს, უკვე მზამზარეული უდგებოდეს თვალწინ, და შემდეგი მისი მუშაობა მხოლოდ მის გადმოხატვაში მდგომარეობდეს. არა, ინსპირაციის მომენტი ხელოვანს გარკვეული მიმართულებით მუშაობის უძლეველ ტენდენციას უჩენს: „აი, ეხლა მე უთუოდ უნდა დავიწყო ხატვა... აი ასე.“ მან წინასწარ როდი იცის, თუ როგორ გამოიყურება ის, რაც უნდა დახატოს. ეს მან არ იცის, მაგრამ რომ ხატავს, მაშინ გრძნობს, რომ, აი, ეს სწორედ ის არის, რაც უნდა იყოს; ეს კი შეუფერებელია. სურათი მას თითქოს შინაგნად აქვს, ხოლო სურათის სახით კი არა, არამედ თითქოს ფარულად და გამოუვლინებლად — მაგრამ ისე, რომ მის შემოქმედებით მუშაობას შესრულების პროცესში ეს ფარული სურათი წარმართავს.

როგორც ვხედავთ, ინსპირაციის მომენტში მართლა მხოლოდ განწყობის მომწიფების აქტთან უნდა გვეკონდეს საქმე; და როდესაც მხატვარი ამ უკანასკნელის სტიმულით მის გამოსავლენად მუშაობას იწყებს, იგი შემოქმედებითს და არა უბრალო სარეპროდუქციო მუშაობას აწარმოებს. როდესაც იგი გარკვეულ სახეს აძლევს თავის ნაწარმოებს, იგი სკვერტს მას, და როცა ხედავს, რომ მისი განწყობა სრულიად ვერ პოულობს მასში ადეკვატ რეალიზაციას, რომ იგი სრულიად არ შეეფერება მას, იგი სცვლის თავის ნაწარმოებს და ასწორებს. ასე გრძელდება შემოქმედებითი მუშაობა მანამდე, სანამ განხორციელებული არ იქნება ის ფორმა, რომელიც ხელოვანის განწყობის ადეკვატურ განსახიერებად იქნება განცდილი. მხოლოდ ამის შემდეგ წყნარდება შემოქმედი, მხოლოდ ამის შემდეგ გრძნობს იგი, რომ ობიექტური სინამდვილე ჭეშმარიტად ახალი სინამდვილით გაამდიდრა.

ინსპირაციას, რომელიც მხატვრული ნაწარმოების კონცეფციას იძლევა, ამ კონცეფციის განხორციელების საფეხური მოსდევს. როგორც ეს-ეს არის აღვნიშნეთ, ეს საფეხური მხატვრის იდენის განსახიერებისათვის ბრძოლას წარმოადგენს, ბრძოლას იმისათვის, რომ სწორედ ისეთი პროდუქტი შეიქმნეს, რომელიც ინსპირაციის მომენტში ჩასახულ კონცეფციას მართლა ადეკვატურ ობიექტივაციას მისცემს.

ეს საფეხური სხვადასხვანაირად მიმდინარეობს: ზოგიერთი ხელოვანისთვის აუცილებელია საგრძნობლად ხანგრძლივმა დრომ განვლოს ინსპირაციის შემდეგ, რომ საქმეს ხელი მოკიდოს, და მაშინ მას შედარებით მალე ათავებს. მაგრამ არის ისეთი ხელოვანის ტიპიც,

რომელიც ძალიან ბევრსა და დაძაბულ ენერგიას ანდომებს უკანასკნელი საფეხურის გავლას. პირველ ტიპს, როგორც ცნობილია, უფრო გოეთე ეკუთვნის, მეორეს — უფრო შილერი.

მაგრამ უდაოა, რომ მუშაობა ორივე შემთხვევაში არაჩვეულებრივ ინტენსიურია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების დამთავრების შემდეგ, ავტორის ჯანმრთელობა, როდესაც იგი ისედაც სუსტი იყო, ისე ძირიან-ფესვიანად უარესდება, რომ იგა შემდგომი მუშაობის უნარს კარგავს; ხოლო ზოგჯერ ასეთი მუშაობა ნაადრევი სიკვდილითაც კი თავდება. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს ქემშარიტი შემოქმედების პროცესი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტს მხატვრული შემოქმედების პროცესში ტექნიკა შეადგენს. ცნობილია, რაოდენ შრომას მოითხოვს მუსიკაში ტექნიკის დაუფლება, და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მას ყოველი ქემშარიტად მუსიკალური ნაწარმოების შექმნასა და შესრულებაში. მაგრამ ტექნიკა ხელოვნების სხვა დარგებსაც აქვს, კერძოდ, პოეზიასაც; რომლის შესახებაც ტყუილა იგულისხმება: თითქოს იგი ყველაზე ნაკლებ იყოს ტექნიკაზე დამოკიდებული.

ამრიგად მხატვრული შემოქმედების პროცესი, მეტადრე თავის მესამე საფეხურზე, ინტენსიურ, წინასწარ განზრახულს, სისტემატურ მუშაობას მოითხოვს, რომელშიც ნებელობითი და ინტელექტუალური აქტები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

6. „მხატვრული ნიჭიერება“. რით აღწევს ხელოვანი თავის მიზანს? რაშია მხატვრული ნიჭიერების არსი? ხშირად ასე ამბობენ: ხელოვანი არაჩვეულებრივი გრძნობიერი არსებაა, რომელიც მეტს ხედავს და მეტს აზროვნებს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. იგი ფაქიზი და ღრმა ემოციური განცდების ადამიანია, რომელიც მთელი თავისი არსებით განიცდის იმას, რაც ჩვეულებრივი ადამიანის ემოციის სფეროს მხოლოდ ზედაპირულად თუ შეარხევს. ხელოვანი ღრმა და შორსმჭვრეტი ინტელექტის ადამიანია, რომელიც თითქოს სულ უმნიშვნელო მოვლენაშიც კი ნათლად ხედავს ჩვეულებრივი ადამიანისათვის უხილავ ძაფებს, რომელიც მას სოფლიო მთლიანობასთან აკავშირებს.

მაგრამ ხელოვანის სხვადასხვა ფსიქიკურ ფუნქციათა დაკვირვება გვასწავლის, რომ ისინი არაფერს სპეციფიკურს არ წარმოადგენენ: არაა სავალდებულო, რომ გრძნობელობის ზღურბლი, თუნდ ფერთა სამკვიდროში, მხატვარს უფრო დაბალი ჰქონდეს, ვიდრე ჩვეულებ-

ჩივ ადამიანს; ანდა მუსიკოსს უფრო მახვილი სმენა ჰქონდეს, ვიდრე ჩვეულებრივ ნორმალურ ადამიანს: ბეთოვენის დაყრუების შემდეგაც გენიალურ მუსიკოსად დარჩა. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი ფუნქციების შესახებაც: არც გრძნობა, არც ინტელექტი და არც ნებელობა ისეთს არაფერს შეიცავენ, რომ სპეციფიკურად ჩაითვალოს მხატვრული შემოქმედებისათვის.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხელოვნური შემოქმედების ნიქს არა რაიმე ცალკე ფსიქიკური მომენტი უნდა ედოს საფუძვლად, არამედ რაღაც მთლიანპიროვნული თავისებურება. ჩვენი ძირითადი კონცეფციის მიხედვით, სინამდვილე პირველ რიგში პიროვნებაზე მოქმედებს, როგორც მთელზე და მასში გარკვეულ მთლიან პიროვნულ რეაქციას იწვევს, გარკვეულ განწყობას, რომელიც პიროვნების შემდგომ ქცევას ედება საფუძვლად. საფიქრებელია, რომ ხელოვნებს ეს მთლიანპიროვნული რეაქცია აქვს თავისებური, ჩვეულებრივი ადამიანის ასეთსავე პირობებში შექმნილი რეაქციისაგან განსხვავებული. სახელდობრ, რაში მდგომარეობს ეს თავისებურება, ამის გამორკვევა მომავალი ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური კვლევის საქმეა. რომელიც, როგორც ვხედავთ, არა ცალკე ფუნქციების, არამედ მთლიანპიროვნულ თავისებურებათა მიმართულებით უნდა განვი-თარდეს.

## ფანტაზია ონტოგენეზში

1. ბავშვის სინამდვილე. როდესაც ფანტაზიის შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ჩვენ კარგად ვარჩევთ ურთიერთისაგან ნამდვილსა და არანამდვილს, იმას, რაც არის და იმას, რაც ნამდვილად კი არა, მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არის. სანამ ამის გარჩევის უნარი არ გვიჩნდება, სანამ ნამდვილისა და არანამდვილის სხვადასხვაობას არა ვგრძნობთ, მანამდე ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფანტაზიის წარმოდგენები გვაქვს. ფანტაზია, ფენოქენოლოგიურად მაინც, სინამდვილის განცდის დიფერენციაციას გულისხმობს: აღქმითი სინამდვილე, მეხსიერებაში მოცემული სინამდვილე და ფანტაზიაში ნაგულისხმევი სინამდვილე, ყველაფერი ეს, როგორც განსხვავებული, როგორც სხვადასხვა უნდა განიკლებოდეს, და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ, კერძოდ, ფანტაზიის წარმოდგენებიც გვაქვს.

ბავშვი განსაზღვრულ ასაკობრივ საფეხურამდე სინამდვილის ასეთ განსხვავებულობას ვერ განიცდის. იგი აღქმის, მეხსიერების თუ ფანტაზიის შემთხვევაში ყოველთვის ერთსა და იმავე სინამდვილეს გულისხმობს, ეს იმას ნიშნავს, რომ, წარმოიდგენს ბავშვი



რასმე თუ აღიქვამს, ეს მისთვის ხშირად სულერთია: წარმოდგენილი და აღქმული ორივე ერთნაირად სინამდვილეში მოცემულად განი-  
ცდება. რომ ეს ასეა, ჩვენ იქედანაც ვიცით. რომ ბავშვი თავის წარ-  
მოდგენებს ეიდეტურად განიცდის.

გარდა ამისა. ხშირია შემთხვევები. რომ იგი სასურველს, ე. ი.  
რაც სინამდვილეში კი არ აქვს, არამედ მხოლოდ უნდა რომ ჰქონდეს.  
როგორც ნამდვილს განიცდის.

ორი წლის ბავშვს პურის ნაჭერი მისცეს, მაგრამ უკარაქოდ. მან  
აიღო დანა, გაუსე-გამოუსვა პურს, თითქოს კარაქს აცხებდო; მერე  
კმაყოფილი სახით განაცხადა, პურს ახლა კარაქი აქვსო, და დაიწყო  
სიამოვნებით ჭამა (ს კ უ პ ი ნ ი).

ცნობილია, როგორ ეპყრობა ბავშვი თავის სათამაშოს: დედოფა-  
ლა მისთვის აღამიანია, ყოველ შემთხვევაში, ისე ეპყრობა მას, თით-  
ქოს მართლა ცოცხალი არსება იყოს: თამაშის სინამდვილე და რეა-  
ლური სინამდვილე ბავშვისათვის ერთია.

ანდა სიზმარი. ვის არ უნახავს, რომ ბავშვი ტირილით იღვიძებს!  
მას სიზმარში ბურთი დაეკარგა და გაღვიძების შემდეგაც დარწმუნ-  
ებულა, რომ ეს მართლა ასე მოხდა. შემდეგში მდგომარეობა ცო-  
ტა იცვლება: სიზმრის სინამდვილე და ცხადის სინამდვილე მისთვის  
ერთი და იგივე არაა. მაგრამ მაინც ერთნაირია: „თუ არ გძინავს, სიზ-  
მარი თავშია; როდესაც დაგეძინება. სიზმარი გარეთ გამოდისო“. ო  
ამბობს ბავშვი (ვ ე რ ნ ე რ ი).

განსაკუთრებით დემონსტრაციული მნიშვნელობა აქვს შემდეგ  
დაკვირვებას: მ. ი. ს.-შ ი ნ ი ს მიერ აღწერილ ბავშვს, ორი წლის ასაკ-  
ში სთხოვეს ეთქვა, თუ რა არის ელევა. ბავშვმა თვალეზი დახუჭა,  
დააპირა მაგრად ზედ ხელი და თქვა „აი, სწორედ ასეთია“-ო. ცხა-  
დად ჩანს. რომ ბავშვისათვის წარმოდგენას ისეთივე რეალობა აქვს  
როგორც აღქმას. ის დარწმუნებულია, რომ რაც მისთვის არსებობს,  
ასევე არსებობს სხვისთვისაც. სუბიექტური და ობიექტური რეალო-  
ბა მისთვისაც ერთი და იგივე რეალობაა.

ასეთივე დამოკიდებულება აქვს ბავშვს ხელოვნებაში მოცემული  
სინამდვილის მიმართაც: არც იგია გამოყოფილი რეალური სინამდ-  
ვილისაგან: ბავშვი (3 წლისა) ერთხანს მამამისის დიდ ფოტოგრა-  
ფიულ სურათს მისჩერებოდა — „უთხარი. გამოვიდეს მამა სურათი-  
დან“-ო, დაიძახა მან (ს კ უ პ ი ნ ი).

ამრიგად, უდაოა, ადრეული ბავშვობის ასაკში (6—7 წლამდე)  
სინამდვილის მოდალობის სხვადასხვა ცნობიერება არ არსებობს.  
ბავშვისათვის მართო ერთი სინამდვილე არსებობს. მაგრამ შეცთომა  
იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ერთი სინამდვილე რეალური სინამდვი-

ლეა; რომ ყველაფერი, რაც ფაქტიურად არარეალურია, მას რეალურად მიაჩნია; რომ წარმოდგენებს მისთვის აღქმის ხასიათი აქვთ. არა. არც ეს ერთი სინამდვილე წარმოადგენს მისთვის იმას, რასაც ჩვენთვის რეალური სინამდვილე წარმოადგენს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით. რომ ბავშვის სინამდვილე „დიფუზიური სინამდვილეა“ (ვერნერ), რომელშიც სინამდვილის ყველა მოდალობის ელემენტები ერთდროულადაა მოცემული.

## თ ა მ ა შ ი

1. თამაშის სინამდვილე. ყველაზე უფრო ტიპური სახით ეს დიფუზიური სინამდვილე თამაშის განცდაშია მოცემული. ამიტომაც სრულიად სამართლიანად აღრეული ბავშვობის ხანა „თამაშის ხანად“ ითვლება: ამ ასაკის ბავშვი თამაშის სამყაროში. თამაშის სინამდვილეში ცხოვრობს, და ნამდვილი თამაშის ტიპური ფორმა, ე. წ. ილუზიის თამაში. სწორედ ამ ასაკის ცხოვრების ძირითად შინაარსს წარმოადგენს.

პირველი ძირითადი თავისებურება, რომელიც ამ პერიოდის თამაშს ახასიათებს, ეს ისაა. რომ ყველაფერი, რაც არსებობს, ბავშვისათვის მოკლებულია თავის ობიექტურ ნიშნებს და, მაშასადამე. იძულებითს ხასიათსაც: ყველაფერი ყველაფრად შეიძლება აქციო; ეს შენს ნებაზეა დამოკიდებული, იმიტომ, რომ ობიექტური. გინდა-არ გინდა, უნდა სცნო და მას შესაფერისად მოეპყრო: თამაშის საგანს კი ობიექტური არაფერი გააჩნია. მაშასადამე, თამაშის სინამდვილე ისეთი სახეა სინამდვილისა, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი კანონზომიერება როდი აქვს, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, არამედ სავსებით ჩვენს ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. აგერ ჯოხი აგდია: თამაშის ცნობიერება მას ცხენად აქცევს. აგერ ფიცრის ნატეხია: თამაშის ცნობიერება მას ბავშვად წარმოისახავს, ბავშვად, რომელსაც პატარა გოგონა ისეთივე ნაზი სიყვარულითა და თავდავიწყებული მზრუნველობით დასტრიალებს თავს, როგორც თვითონ მას მისი საკუთარი დედა.

ამრიგად, თამაშის ცნობიერება ყოველთვის სახეს უცვლის სინამდვილეს, ყოველთვის სხვა რამედ გარდაქმნის მას.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ჯოხი მართლა ცხენად მიაჩნია ბავშვს? ნამდვილი ცხენი რომ მოუყვანო, ჯოხსა და მას შორის ნუთუ ვერავითარ განსხვავებას ვერ დაინახავს? რასაკვირველია. ამისი თქმა არ შეიძლება. თამაშის ცნობიერებისათვის სწორედ ესაა

განსაკუთრებით დამახასიათებელი: ჯოხი ჯოხია. მაგრამ იგი ცხენი-  
ცაა. ბავშვი კარგად ხედავს, რომ მისი დედოფალა უსულო საგანია,  
მაგრამ ამის მიუხედავად იგი მას სულიერად გულისხმობს, როგორც  
სულიერს ეპყრობა. „ბავშვმა მშვენიერად იცის, რომ თვითონ დედო-  
ფალა კი არაა მისი აღფრთოვანების საგანი; ამის მიუხედავად სწო-  
რედ ამ დედოფალას ემსახურება, მას რთავს ათასნაირად, მას ეფე-  
რება და მას ასაჩუქრებს“ (ე ო რ ე ზ ა ნ ღ ი). ბავშვი თავის დედო-  
ფალას ცოცხალ არსებად გულისხმობს, ეფერება და ანუგეშებს მას:  
„ნუ ტირი“-ო, ეხვეწება. მაგრამ დედოფალას რომ ერთბაშად მართ-  
ლა მოერთო ტირილი, უეჭველია. ბავშვი შიშით გადაირეოდა  
(ვ უ ნ დ ტ ი).

ამრიგად, თამაშის სინამდვილის უეჭველი თავისებურება ისაა.  
რომ იგი ერთდროულად ფანტასტიური სინამდვილეცაა და ნამდვილი  
სინამდვილეც: იგი დიფუზიური სინამდვილეა.

2. თამაში როგორც თავისებური ფანტაზიის პროდუქტი. რას  
წარმოადგენს ფაქტიურად, ობიექტურად თამაშის შინაარსი? ბავშვი  
ცხენობანას თამაშობს ან დედოფალას ეთამაშება. ეს ტიპიური ფორ-  
მაა ნამდვილი თამაშისა, და, რაც ამის შესახებ ითქმის, იგივე შეიძ-  
ლება ითქვას თამაშის დანარჩენი შემთხვევების შესახებაც.

ვთქვათ, რომ ბავშვს არასდროს არც უნახავს ცხენი. არც გაუგო-  
ნია რაიმე მის შესახებ და არც ცხენობანას შესახებ იცის რამე. განა  
ის ამ შემთხვევაშიც ითამაშებს ცხენობანას? უეჭველია, არა. ჩვენს  
ხანაში ბავშვი გატაცებით თამაშობს შოფერის როლს. რატომ არა-  
ფერი იცოდნენ ამ თამაშის შესახებ ბავშვობაში ჩვენმა მამა-პაპებმა?  
სრულიად უდაოა, რომ ბავშვი თავის თამაშში მხოლოდ იმის რეპრო-  
დუქციას ახდენს, რაც უნახავს ან რაც იცის: არსებითად ახალს ილუ-  
ზიის თამაშში ჩვენ ვერაფერს შევხვდებით. მაშასადამე, ობიექტურად  
ბავშვის თამაშის შინაარსი მხოლოდ ნახულის ან გაგონილის რეპრო-  
დუქციას წარმოადგენს: იგი უფრო მნემური წარმოშობისაა, ვიდრე  
ფანტაზიურის.

მაგრამ ფაქტიურად ნახული ან გაგონილი იმდენად სახეშეცვლი-  
ლია თამაშში, იმდენად თავისებურადაა გარდაქმნილი, რომ მასში  
ფანტაზიის თვალსაჩინო მონაწილეობა ყოველ ექვს გარეშეა: ჯოხი  
არაფრით არ გავს ცხენს, და ხის ნაჭერი — ბავშვს. მიუხედავად ამი-  
სა, პირველი თამაშში ცხენის როლს ასრულებს, ხოლო მეორე — ბავ-  
შვისას. თუ რაოდენ ღიდ მონაწილეობას ღებულობს ამ შემთხვევაში  
ფანტაზია, ეს ეორე ზანდის შემდეგი მოგონებიდან ჩანს მკაფიოდ: აე-  
ტორი მოგვითხრობს, რომ ერთ საღამოს ბავშვები ისე გატაცებული  
იყვნენ თამაშით; რომ ირგვლივ ველარაფერს რეალურს ველარ არ-

ჩვედნენ: „ჩვენ სუფრაზე გვიწვევდნენ. მაგრამ ჩვენ არაფერი გვესმოდა. მაშინ დედაჩემი მოვიდა ჩემთან, ხელში ამიყვანა და წამიყვანა სუფრაზე. მე არასდროს არ დამავიწყდება ის გაოცება, რომელიც მე ვიგრძენი, როდესაც განათებული ოთახი, მაგიდა და ნამდვილი საგნები დავინახე. მე ნამდვილი ჰალუცინაციის სამკვიდროდან დავბრუნდი; და ჩემთვის ადვილი არ იყო, ასე მალე გავთავისუფლებულიყავი მისგან“.

ამრიგად, თამაშის შინაარსი ფანტაზიით გადამუშავებულს, გარდაქმნილს რეპროდუქციას წარმოადგენს იმისას, რაც ბავშვს ნახული ან გაგონილი აქვს, და არა თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ ნაყოფს.

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამაშში ბავშვის ფანტაზია, ერთის მხრივ, უსათუოდ დაკავშირებულია სინამდვილის განცდასთან, აწმყოსთან და წარსულთან. მაშასადამე, იგი ჯერ კიდევ ვერაა იმდენად მომაგრებული, რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი ფუნქციობა შეეძლოს. მეორეს მხრივ, იგი სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ სინამდვილეს: ჯერ ერთი. იმ მხრივ, რომ სრულიად თავისუფლად, ნებისმიერად გარდაქმნის მას, და მეორე, იმ მხრივ, რომ ვერ გრძნობს მის ობიექტურობას — მისი რეალობის უპირატესობას თამაშის შინაარსის რეალობასთან შედარებით.

მოკლედ, თამაშის ფანტაზიის დახასიათება ასე შეიძლება: იგი დამოუკიდებელი ფუნქციობისათვის ჯერ კიდევ არაა მზად, რამდენადაც იგი მხოლოდ რეალური საგნის თუ მოვლენის გარდაქმნაში იჩენს თავს. მეორეს მხრივ, იგი ნახულის ან გაგონილის წაბაძვას წარმოადგენს, მაშასადამე, უფრო რეპროდუქციულ წარმოდგენებს იძლევა. ვიდრე ნამდვილად ახალს, შექმნილს, ფანტასტურს: იგი უფრო რეპროდუქციის პროცესია, ვიდრე ახალის შემოქმედებისა. დასასრულ, მისი შინაარსი ისე როდი განიცდება, როგორც ფანტაზიის წარმოდგენას შეფერის, არამედ როგორც რეალური, ნამდვილი რამე.

მაშასადამე, თამაშის ფანტაზია თავისებური ფანტაზიაა: იგი ფანტაზიის განვითარების დაბალი საფეხურია. იგი გენეტურად არის ფანტაზია, თორემ. განვითარების თვალსაზრისის გარეშე. მისი ფანტაზიად ჩათვლა დაუსაბუთებელი იქნებოდა.

3. თამაშის თეორიები. თამაში თავისებური, დამოუკიდებელი ქცევის ფორმაა. რომელიც ადამიანის ცხოვრების მთელ მნიშვნელოვან პერიოდს, ადრეული ბავშვობის ხანას უღვევს საფუძვლად. იგი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთერთი ძირითადი პრაქტიკის ფორმა, რომლის ნიადაგზე მისი განვითარება მიმდინარეობს. ამიტომ საკვირველი არაა,

რომ თამაშის პრობლემა დიდი ხანია, მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს. რა არის ქცევის ამ ფორმის არსი? რატომ არის, რომ თამაშში ახალგაზრდა ადამიანი ამოღენა ენერგიას ხარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანებთან მას არავითარი კავშირი არა აქვს?

შტერნის მიხედვით, ყველა არსებული თეორია შეიძლება სამად დაჯგუფდეს, იმის მიხედვით, თუ რასთან დავაკავშირებთ 'თამაშს' — სუბიექტის აწმყო მისწრაფებებსა და ინტერესებთან, წარსულიდან მომდინარესთან, თუ მომავალთან.

ა) აწმყო სთეორიები: 1) პირველი ასეთი თეორია სპენსერის ეკუთვნის. მისი აზრით, ბავშვს გაცილებით მეტი ენერგია აქვს, ვიდრე მისი ცხოვრების ამოცანები მოითხოვენ: ბავშვს ბევრი არაფერი აქვს გასაკეთებელი — მისთვის მოზრდილები ზრუნავენ. მაშასადამე, მას მეტი ენერგია აქვს, ვიდრე საჭიროა, და ბუნებრივია, რომ ეს ზედმეტი ენერგია განტვირთვას მოითხოვს. სპენსერის რწმენით, ეს განტვირთვა სწორედ თამაშის პროცესში ხდება: თამაშის არსი ჭარბი ენერგიის განტვირთვაში მდგომარეობს.

მაშასადამე, ბავშვისათვის სულ ერთია, რა მიმართულებით მოახერხებს იგი თავისი ჭარბი ენერგიის გამოვლინებას: იხტუნებს და იცეკვებს იგი, თუ თამაშის სხვა რომელიმე ფორმას მიმართავს.

მაგრამ სპენსერი ხედავს, რომ ბავშვის თამაშს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს, და იგი იძულებული ხდება ამის ასახსნელად სხვა მოსაზრებას მიმართოს, რომელსაც, უნდა ითქვას, ჭარბი ენერგიის ცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის ამბობს, რომ ბავშვი მიმბაძველი არსებაა და რომ იგი თავისი თამაშის შინაარსს წაბაძველობის ნიადაგზე ქმნის: ის ღიდების საქმიანობას, აქტიობის სხვადასხვა შემთხვევას ხედავს და თავის თამაშში მათ ბაძავს. ამით აიხსნება, რომ ბავშვი ცხენობანას თამაშობს, თითქოს სახლებსა და კოშკებს აგებს, რკინისგზის მატარებლებსა და აეროპლანებს აკეთებს.

სპენსერის თეორია, ჯერ-ერთი, მარტო ბავშვს გულისხმობს. მაშასადამე, ზრდადასრულებულობის ასაკში თამაშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამას ძნელად თუ ვინმე დაეთანხმება. მეორე: მისი თეორიიდან თამაშის შინაარსის გარკვეულობა არ გამომდინარეობს. განა სულერთი არაა როგორ მოხდება ენერგიის განტვირთვა! ამიტომ, რომ სპენსერს წაბაძველობის პრინციპი შემოაქვს. მაშასადამე, ჭარბი ენერგიის ცნება თამაშის არსის გასაგებად საკმარისი არ არის. დასასრულ, თეორია სწორი არაა არც ფაქტიურად. შენიშნულია, რომ

ბავშვი ზოგჯერ დაღლილია და მაინც თამაშობს. ასეთ შემთხვევაში ენერჯის სიჭარბის შესახებ ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა.

2) დასვენების თეორია. არსებობს სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის თეორიაც, რომლის მიხედვითაც საქმე ენერჯის სიჭარბეში კი არაა, პირიქით, იმაში, რომ სუბიექტი სერიოზული აქტიობის გავლენით იღლება, და ძალა აღარ შესწევს განაგრძოს მუშაობა; მას დასვენება ესაჭიროება. მაგრამ დასვენებას არა მარტო უმოქმედობა იძლევა, არამედ მოქმედებაც, ოღონდ ისეთი, რომ პასუხსაგები არ იყოს ასეთი არასერიოზული, არაპასუხსაგები აქტიობისათვის ადამიანს კიდევ აქვს ძალები შერჩენილი; და აი, თამაშის აზრიც სწორედ ის არის, რომ იგი სწორედ ასეთი ბუნების აქტიობას შეიცავს და, მაშ, ადამიანს დასვენების შესაძლებლობას აძლევს. მოკლედ: ცხოვრების ამოცანებისათვის ბრძოლა ადამიანს ღლის, და დასასვენებლად იგი თამაშს მიმართავს.

მაგრამ რა სერიოზული ამოცანები აქვს ბავშვს, ადრეული ბავშვობის ასაკში, საკუთარი ძალებით გადასაწყვეტი, რომ მან ეგოდენ ხშირად მიმართოს თამაშს, როგორც დასვენების საშუალებას? არავითარი. პირიქით, თამაში თვითონ არის ამ ასაკის ბავშვის ქცევის უმთავრესი ფორმა, და თუ რითიმე იღლება იგი, პირველ რიგში თამაშით იღლება. დასვენების თეორია შეიძლება როგორმე კიდევ დიდის თამაშისათვის გამოდგეს, თორემ ბავშვის თამაშის ასახსნელად იგი სრულიად უსარგებლოა.

3) ადლერის თეორია. ბავშვი სუსტია, მას ჯერ კიდევ არა აქვს იმდენად განვითარებული ძალები, რომ თავისი მისწრაფებების განხორციელება შესძლოს. იგი ყოველ ნაბიჯზე გრძნობს ამ სისუსტეს: მას ყველაფერს უკრძალავენ, იგი სხვებზეა დამოკიდებული, და აი, ამ სისუსტის საკომპენსაციოდ, იგი ახალ ფანტასტიურ სინამდვილეს ქმნის, რომელშიც იგი უნდა მამაა, უნდა დედა, უნდა შოფერი, უნდა პილოტი, უნდა გოლიათი, უნდა გენიოსი. თუ სინამდვილეში არა, აქ მაინც შესწევს მას ძალა, რაც უნდა ის იყოს და ის გააკეთოს. თამაშის აზრი, მაშასადამე, სისუსტის კომპენსაცია და ძლიერების აღმშენებლის ფრაგმენტების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს. ასეთია ადლერის ე. წ. „ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის“ თამაშის თეორია.

მაგრამ უეჭველი გადაჭარბება იქნებოდა, თამაშის ყველა შემთხვევის აზრი ასეთი კომპენსაციის ტენდენციაში გვეძებნა: თუ ბავშვი თავის თამაშში, მაგალ., მეთაურის როლს ასრულებს, დანარჩენები ხომ უბრალო ჯარისკაცის როლით კმაყოფილდებიან. თუ ერთი თამაშში გოლიათის ძალას იჩენს, ხომ აუცილებელია, რომ ამ

თამაშში სხვებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებზეც ეს გოლი-  
ათი იმარჯვებს. ნუთუ დამარცხებულიც თავისი ძლიერებისადმი  
ტენდენციას იკმაყოფილებს!

4) ფ რ ე ი დ ის თ ე ო რ ი ა. თამაში ისევე, როგორც ფანტა-  
ზიის მოქმედების სხვა ფორმებიც, მაგ., ოცნება და სიზმარი, „გან-  
დევნილი“ ზრახვების, ტენდენციების გამოვლინებას წარმოადგენენ  
ფრეიდის აზრით, აქ ისე როგორც სხვა შემთხვევებშიც, სქესობრი-  
ვი ტენდენციების გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

თამაშის შინაარსში უთუოდ რაიმე სქესობრივი მისწრაფება უნ-  
და ვეძიოთ. მაგალითად, ბავშვი რომ ცხენობანას თამაშში მათ-  
რახს ხმარობს, ეს მისი სადისტური ტენდენციის გამოვლენაა, ხოლო  
მეორე ბავშვი, რომელიც ცხენის როლს ასრულებს და რომელსაც  
ეს მათრახი ხვდება, ალბათ, ამით თავის მაზოხისტურ ტენდენციას  
იკმაყოფილებს.

ბ). წ ა რ ს უ ლ ის თ ე ო რ ი ე ბ ი. ამერიკელი ფსიქოლოგის.  
სტენლი ჰოლის თეორიის მიხედვით, იმ ტენდენციების სათავე,  
რომელიც თამაშის პროცესში პოულობს გამოვლენას, კაცობრიო-  
ბის წარსულში უნდა ვეძიოთ. კაცობრიობამ თავის წასრულში გან-  
ვითარების საფეხურთა მთელი რიგი განვლო. თუ, თანახმად ჰეკე-  
ლის „ბიოგენეტური კანონისა“, ორგანიზმი ემბრიონალური სიცო-  
ცხლის პერიოდში თავისი გვარის განვითარების ყველა საფეხურს  
იმეორებს, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით იგივე ხდე-  
ბა პოსტემბრიონალური სიცოცხლის პერიოდშიც; ოღონდ ამ შემ-  
თხვევაში, რაკი არა სომატური, არამედ ფსიქიკურ განვითარებასთან  
გვაქვს საქმე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ განმეორება იმ საფეხურებს  
ეხება, რომელიც თავისი კულტურული განვითარების გზაზე განვლო  
კაცობრიობამ. ბავშვობის პერიოდში, მაშასადამე, სხვადასხვა ასაკო-  
ბრივ საფეხურზე, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ის ტენდენ-  
ციები ჩნდება. რომელნიც უკვე განვლილი და საბოლოოდ უკუგდ-  
ებული აქვს კაცობრიობას. ამ ტენდენციების გამოვლენის ფორმას  
თამაში წარმოადგენს.

ამრიგად, სტენლი ჰოლის მიხედვით, თამაშის არსი იმაშია,  
რომ იგი საშუალებას აძლევს ინდივიდს თავისი გვარის კულტუ-  
რულ-ისტორიული წარსულის რეკაპიტულაცია მოახდინოს.

მაშასადამე, თამაში უფრო წარსულის—არა საკუთარის, არამედ  
გვარის წარსულის—არაღნობიერ მოგონებას წარმოადგენს, ვიდრე  
ფანტაზიის პროდუქტს: იგი უფრო მნემური პროცესია, ვიდრე ფან-  
ტაზიის გამოვლენის პროცესი. ეს კი სრულიად არ ეთანხმება საყო-

ველთაოდ დადასტურებულ შეხედულებას თამაშის ფანტაზიისეული ბუნების შესახებ. გარდა ამისა, ასეთი შეხედულება, როგორც სრულიად ანტიისტორიული, აშკარად ეწინააღმდეგება იმ უღაო დაკვირვებებს, რომელიც ბავშვის განვითარების შესახებ მოგვეპოვება: ბავშვის ხანა არავითარ შემთხვევაში მემკვიდრეობით ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ რაიმეს არ წარმოადგენს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ბურჟუაზიული ბავშვი მარადიულ კატეგორიად უნდა გამოგვეცხადებინა და მასთან ერთად, რასაკვირველია, ის წესწყობილებაც, რომელმაც ეს ბავშვი შექმნა. ამიტომ თავისთავად იგულისხმება, ს ტ ე ნ ლ ი ჰ ო ლ ი ს თეორია არავითარ შემთხვევაში და მაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება.

გ) მ ო მ ა ვ ლ ი ს თ ე ო რ ი ე ბ ი. კ ა რ ლ გ რ ო ო ს ს თამაში მომავლის ინტერესებიდან გამოჰყავს. იგი განსაკუთრებით იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომ ბავშვი თამაშის პროცესში სწორედ იმ ძალებს ამოქმედებს, რომელსაც ადამიანი სერიოზულ საქმიანობის დროს მიმართავს ხოლმე. პატარა გოგონა რომ თავის დედოფალს ეალერსება და უელის, ეს იმავე ტენდენციების აქტიობად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ბავშვის მოვლის ფსიქოლოგიურ შინაარსს წარმოადგენს. როდესაც პატარა ბიჭი ავტოს მიაქანებს, იგი იმავე ტენდენციებს ამოქმედებს, რომელთაც შოფერის საქმიანობის პროცესში აქვთ ადგილი. და თუ თამაშში ის ძალები და ტენდენციები მოქმედებენ, რომელნიც ადამიანის სერიოზული ცხოვრების ამოცანათა გადაწყვეტაში ღებულობენ მონაწილეობას, მაშინ ცხადია, თამაშში ბავშვი მომავლისათვის ემზადება, იგი იმ ძალებს ავარჯიშებს და წვრთნის, მომავალში სერიოზული ამოცანების გადასაწყვეტად რომ დასტირდება. თამაში, მაშასადამე, მომავალი ცხოვრებისათვის „მ ო ს ა მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი ს კ ო ლ ა ა“. ასეთია კარლ გროოსის თამაშის თეორიის დედააზრი.

რასაკვირველია, გროოსის ეს თეორია საყურადღებოა. მაგრამ მას ერთი ძირითადი ნაკლი აქვს, რომელიც მას სრულიად მიუღებლად ქმნის. მისი მიხედვით, ბავშვის ქცევის თავისებურებანი იმ მიზნიდან გამომდინარეობენ, რომელსაც თითქოს თამაში ემსახურება. ამდენად უღაოა, რომ ეს თეორია ტელეოლოგიურია. მაგრამ როგორ ხდება, რომ თამაში ასეთ მიზანს ახორციელებს? შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ რაღაც განგების ძალა არსებობს, რომელმაც ისე გონივრულად მოაწყო ქვეყანა, რომ ყველაფერს თავისი მიზანდასახულობა მისცა და კერძოდ თამაშსაც. ადამიანს ძალები ესაჭიროება ცხოვრების ამოცანების გადასაწყვეტად, და, აი, ამ ძალების გასაფიქრებლად განგებამ მას თამაში შემოაღებინა. როდესაც ის



თამაშობს, გონია, ვერთობიო, ნამდვილად კი რაღაც ამოცანას წყვეტს, რომლის შესახებაც თვითონ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს.

ასეთია არსებითად გროსის თეორიიდან გამომდინარე დასკვნები, როგორც ვხედავთ, მათი შეწყნარება და მამასადამე, გროსის თეორიის მიღება შეუძლებელია.

დ) შტერნის თეორია. დასასრულ, უნდა შევეხოთ ვ. შტერნის თეორიასაც, რომელსაც იგი პერსონალის ტურს უწოდებს, და რომელიც ყველა დანარჩენი ცალმხრივი თეორიის საღი ელემენტების გაერთიანებასა და შევსებას ისახავს მიზნად.

თამაშის მართებული თეორია, შტერნის აზრით, არც მარტო აწმყოს ტენდენციას უნდა ემყარებოდეს, არც მხოლოდ წარსულისას და არც მხოლოდ მომავლისას. თამაში ისეთი პროცესია, რომ ყველა ამ ტენდენციას შეიცავს. მაგრამ, რაც მთავარია, საკითხი იმაში კი არ არის, რომ უნათუოდ მხოლოდ თამაშის ბიოლოგიური აზრი ვიკვლიოთ—რა მიზანს ემსახურება იგი, რისთვისაა საჭირო— არამედ იმაში, რომ სხვა მისი მომენტებიც მივიღოთ მხედველობაში. გარდა ბიოლოგიურისა, თამაშს „გარეგამოვლენის“ მნიშვნელობაც აქვს. ადამიანის ერთერთ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მას საქმიანობა, აქტიობა იმ შემთხვევაშიც შეუძლია, როდესაც ამას არავითარი სერიოზული ამოცანა არ მოითხოვს: ადამიანს თამაშშიც შეუძლია, „ადამიანი მხოლოდ იქ არის სრული ადამიანი, სადაც მას თამაში შეუძლია“-ო, ამბობდა შილერი, და შტერნისათვის ამ დებულების სასწორე ყოველ ექვს გარეშეა. თამაში მთელ ადამიანს ასახავს ყველა იმ ტენდენციით, რომელიც მას აქვს—არა მარტო აწყმოში, არამედ წარსულშიც.

საქმე ისაა, რომ ადამიანის ფსიქიკა სხვადასხვა ფენისაგან შესდგება და, კერძოდ, წარსულის ფენისაგანაც. სადაც ცხოვრების სერიოზული ამოცანები ამის ნებას იძლევა, ეს წარსულის მიძინებული ტენდენციები და მისწრაფებები მყის იღვიძებენ და თამაშის შინაარსში აქტიურნი ხდებიან. მაგრამ მომავლის ფენაც არსებობს „ყოველ აწმყო მომენტში არა მარტო იმ მხრივთა მომავალი მოცემული, რომ იგი ცნობიერად წინასწარაა განჭვრეტილი“... არამედ იმითაც, რომ იგი ჩანასახის ფორმით იმ ფუნქციებშია წარმოდგენილი, რომელნიც ჭერ კიდევ იმდენად მომწიფებულნი არ არიან, რომ თავისი დანიშნულება სერიოზულად შეასრულონ. მიუხედავად ამისა, ისინიც ისწრაფიან გამოვლენისაკენ, და ამის რეალიზაცია თამაშში ხდება.

თამაში ამიტომ მართლაც ჩვენი ძალების წინასწარი ვარჯიშია, როგორც დაამტკიცა გროსმა, მაგრამ ამასთან ერთად, შტერნის თქმით, იგი წინასწარი მოსინჯვაა (Vortastung) მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობის, რომ, ბოლოსდაბოლოს, ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმები მონახოს. იგი ამავე დროს სუბიექტის პროგნოსტიკული გარეგამოსახულებაა, იმიტომ რომ თამაშის პროცესში სუბიექტი თავისი მომავალი ცხოვრების ფორმის ჩანასახს ამოქმედებს, ასე რომ ბავშვის გაცნობა თამაშში უკეთ შეიძლება, ვიდრე სერიოზული აქტიობის პროცესში.

შტერნის თეორია განსაკუთრებით იმ მხრივია საყურადღებო, რომ იგი სხვა თეორიებისათვის ჩვეულებრივ ცალმხრივ თვალსაზრისს გვერდს უქცევს და თამაშის მრავალმხრივი მნიშვნელობის იდეას ემყარება. მიუხედავად ამისა, მისი გაზიარება მაინც არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ ძირითადი იდეა არ უნდა იყოს სწორი. როგორც დავინახეთ, თავი და თავი შტერნის თეორიაში ისაა, რომ იგი თამაშს განუვითარებელ, ჩანასახოვან ფუნქციათა და ტენდენციათა გამოვლინებად სთვლის. ჭერ-ერთი, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ავტორს ზრდადასრულებულის თამაშის შესახებ აღარ უნდა ელაპარაკნა და თამაში მხოლოდ ბავშვობის ასაკის მოვლენად უნდა გამოეცხადებინა. მეორე: ცნობილია თამაშის ფაქტები, რომელთა შესახებაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყვი, რომ ისინი ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ძალების გამოვლენას წარმოადგენენ. მაგალითად, ბავშვი რომ შვილობანას თამაშობს, შეიძლება ერთხელ დედის როლს ასრულებდეს და მეორედ შვილისას. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, აქ მართლაც იმ ფუნქციებისა და ტენდენციების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, რომელიც ბავშვს ჭერ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში აქვს მოცემული. მაგრამ რა უნდა ვთქვათ მეორე შემთხვევის შესახებ, როდესაც ბავშვი დედის კი არა, შვილის როლს ასრულებს—შეიძლება სულ თოთო ბავშვისასაც! უეჭველია, აქ უკვე ჩანასახოვანი ფუნქციების შესახებ ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ბავშვი თავის მომავალს კი არა, უფრო თავის წარსულს ამჟღავნებს. თუ შტერნი ამაზე ასე გვიპასუხებდა: თამაში წარსულის ტენდენციების გამომჟღავნებასა და დაკმაყოფილებასაც ემსახურებაო, მაშინ ეს ჩვენ მისი თეორიის სისუსტის მაჩვენებლად უნდა ვაღიაროთ, მისი თეორიის ეკლეკტიკური ბუნების მაჩვენებლად.

3) ფუნქციონალური ტენდენციის თეორია. მოვლენას ერთი არსი აქვს, და ყველა ძირითადი თავისებურება, რომელიც მას ახასიათებს, ამ ერთი არსიდან გამომდინარეობს. მოვლენის

სწორ თეორიას ამ არსის მიგნება ევალება: მაშინ მას მისი სხვადასხვა მხარის ასახსნელად სხვადასხვა პრინციპის მოშველება აღარ დასჭირდება. თამაშსაც აქვს, რასაკვირველია, ასეთი არსი. იგი შემდეგში მდგომარეობს: ბავშვს, როგორც ადამიანის შვილს, გარკვეული ტენდენციები და ფუნქციები აქვს, რომელსაც იგი ან ვერ იყენებს, ანდა ყოველმხრივ და ყველა მიმართულებით ვერ ამოქმედებს. ფუნქციები, ტენდენციები „ძალას“ წარმოადგენენ, და ძალისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ იგი არსებითად მოძრავია, მოქმედი, ძალა დინამიკური ცნებაა. მაშასადამე, ცხადია, ბავშვის ამ ძალებს უმოქმედოდ არსებობა არ შეუძლია: ფუნქციონალური ტენდენცია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძალების არსებობა ფუნქციების გარეშე შეუძლებელია, გასაგებად ხდის ბავშვის იმ შემთხვევაშიც აქტიობას, როდესაც მას გასაკეთებელი არაფერი აქვს, როდესაც ეს აქტიობა რაიმე პროდუქტის მისაღებად კი არ არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ როგორც პროცესია მნიშვნელოვანი. ფუნქციონალური ტენდენციის ცნება გასაგებად ხდის თამაშის ფაქტს.

მასაშადამე, რატომ თამაშობს ბავშვი თუ დიდი, სულერთია, ამას ფუნქციონალური ტენდენცია უდევს საფუძვლად.

მაგრამ იგივე გარემოება გასაგებად ხდის იმასაც, თუ როგორ თამაშობს ბავშვი; გასაგებად ხდის თამაშის შინაარსეულ მხარესაც. მართლაც, თუ თამაში ფუნქციონალური ტენდენციის გამოვლენაა, ცხადია, მისი შინაარსი მხოლოდ ისეთი შეიძლება იყოს, როგორც აქტიობაში მყოფ ფუნქციებს შეეფერება. ეს ფუნქციები, რასაკვირველია, ადამიანის ფუნქციებია, რომელიც ფილოგენეტურად გარკვეული საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბდა. მაშასადამე, როგორ შეეძლება ამ ფუნქციებს აქტიობა, თუ არა ამ გარკვეული საქმიანობის სახით!

ამრიგად, ბავშვის თამაში თავისი შინაარსით ადამიანის საქმიანობის წაბაძვას წარმოადგენს.

მაგრამ აქედან გროსის მიერ შენიშნული ფაქტიც თავისთავად გასაგები ხდება: თუ თამაში თავისი შინაარსით ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმას წარმოადგენს, მაშინ ცხადია, რომ იგი მართლაც ავარჯიშებს ბავშვს ამ საქმიანობაში და, მაშ, მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, ფუნქციონალური ტენდენციის თეორია, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, თამაშის არსის სწორ დახასიათებას იძლევა. ყოველ შემთხვევაში, უდაოა, რომ თამაშის ყველა ის თავისებურებანი, რომელთაგანაც თითოეული კერძოდ ცალკე თეო-

რის საფუძვლად იყო ხოლმე გამოყენებული, ფუნქციონალური ტენდენციის თეორიის მიხედვით, ერთი და იმავე არსიდან გამომდინარეობენ.

## ფანტაზიის უემფოვი განვითარება

საგულისხმოა, რომ „თამაშის ასაკი“ — ე. წ. „ზღაპრის ასაკი“ ემთხვევა, ე. ი. ის ასაკი, რომელიც ზღაპრის ძლიერი ინტერესით ხასიათდება (4-დან — 8 წლამდე). ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ზღაპრის შინაარსის ანალიზი ამტკიცებს, რომ იგი ფანტაზიის იმავე თავისებურებებს შეიცავს, რომელიც თამაშის ფანტაზიისთვისაცაა დამახასიათებელი. აქ იგივე პასიური, იგივე უკრიტიკო, იგივე სუბიექტური და ყველაფრის განმასულიერებელი ანიმისტური ფანტაზია მოქმედებს, როგორსაც ჩვეულებრივ, თამაშის შემთხვევაში აქვს ადგილი.

მაგრამ ზღაპარი უკვე ფანტაზიის დამოუკიდებელი, თავისუფალი მუშაობის თვალსაჩინოდ განვითარებულ ელემენტებს შეიცავს: და აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი, რომ მოზარდის ფანტაზიისათვის სწორედ ეს დამოუკიდებელი, ეს თავისუფალი მუშაობა შეიქმნეს დამახასიათებელი.

ცნობილია, რომ მოზარდი, განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების პერიოდში, ოცნებით არის ხოლმე გატაცებული. არასოდეს ადამიანი იმდენ კოშკებს არ აგებს ჰაერში, რამდენსაც ამ ასაკობრივ საფეხურზე. მაგრამ ფანტაზიის განვითარების მონაპოვარს აქ მეორე გარემოება წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ მოზარდს, სინამდვილის ახალი მოდალობის, ფ ა ნ ტ ა ზ ი ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს, განცდა უჩნდება. იგი ეხლა უკვე ერთნაირად აღარ ეპყრობა რეალურსა და ფანტაზიის სამყაროს. ამიერიდან ჩვენ ნამდვილი ფანტაზიის შესახებ შეგვიძლია ლაპარაკი, რამდენადაც ფანტაზიის წარმოდგენა განცდაშიც დიფერენცირდება.

ჭაბუკობის პერიოდში მოზარდს ხელოვნების გაგების უნარი უჩნდება. ხშირად იგი თვითონაც ცდის ამ მიმართულებით თავის ძალებს: დამახასიათებელია, რომ არცერთ ასაკობრივ საფეხურზე იმდენი ლექსი არ იწერება, რამდენიც ჭაბუკობის ხანაში — აქ თავისი თავი თითქმის ყველას პოეტად მიაჩნია. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ფანტაზიის განვითარებაში ახალი პერიოდი დაწყებულია — ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, კრიტიკული. თუ აქამდე ბავშვის ფანტაზიის მუშაობა უმთავრესად სპონტანურად

მიმდინარეობდა — არა მარტო თამაშის პერიოდში, არამედ შემდეგაც, ოცნების ხანაშიც — ეხლა საკმეში ნებელობა ერევა, და ჩვენ აქტიური ფანტაზიის აღმოცენების მოწმენი ვხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი ადამიანური მიზნებისათვის მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ფანტაზია მუშაობას, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს იგი იმ უდიდესი როლის შესრულებას, რომელიც მას ადამიანის კულტურული განვითარების ისტორიაში აქვს დაკისრებული.

რ ი ბ ო ს მიხედვით, ფანტაზიის განვითარება სამ პერიოდს განვლის: პირველი პერიოდი სამი წლიდან იწყება და მთელი აღრეული ბავშვობის ხანაში გრძელდება. მისთვის დამახასიათებელი ისაა, რომ ფანტაზია აქ სრულიად თავისუფალია რაციონალური ელემენტებისაგან. მაგრამ იმისდა კვალობაზე, თუ როგორ ვითარდება ინტელექტი, ფანტაზია სულ უფროდაუფრო უპირისპირდება მის გავლენას, და იწყება მეორე პერიოდი — კ რ ი ტ ი კ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი, ხანა ინტელექტის ობიექტურობასა და ფანტაზიის სუბიექტურობას შორის ბრძოლისა.

მესამე პერიოდი ინტელექტის გამარჯვების პერიოდია, როდესაც ფანტაზია მისი ელემენტებით იმსკვალება და რაციონალური შემოქმედების გზას ადგება. ამის შედეგი ისაა, რომ ზოგიერთს ფანტაზია სრულიად უქვეითდება: თავს ანებებს ახალგაზრდობის იდეალებს, თავის ძველ ოცნებებს ემშვიდობება და ცხოვრების პროზაში ეფლობა. ხოლო ვისაც მართლა მდიდარი ფანტაზია აქვს, იმისათვის რაციონალური ელემენტების შეკრა ფანტაზიაში ხელსაყრელი ხდება: ფანტაზია მდიდრდება და ნამდვილი შემოქმედების უნარს იჩენს.

ეს სქემა ერთგვარ შესწორებას მოითხოვს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რ ი ბ ო ფანტაზიის განვითარების პროცესში ძირითადად, გადამწყვეტ მომენტს სწორად აღნიშნავს. მისი აზრით, ეს მომენტი ფანტაზიის რაციონალური ელემენტებით გამსკვალვაში მდგომარეობს. და მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ფანტაზიის განვითარების ხაზზე განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ეტაპს აქვს, როდესაც წარმოსახვის პასიური, სპონტანური მუშაობა აქტიურით, ნებელობით წარმართული შემოქმედებითი პროცესით შეიცვლება. მაგრამ ამას ორი საფეხური კიდევ უსწრებს წინ. ერთი — თამაშის ფანტაზიის საფეხური, რომელიც ფენომენოლოგიურად ნამდვილი ფანტაზიის საფეხურად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება და ობიექტურადაც დიფუზიური ხასიათის პროცესს წარმოადგენს. მეორე საფეხური, რომელიც 6-8 წელს შუა ყალიბდება და ფანტაზიის თავისუფალი მუშაობის სახით იჩენს თავს, რიბოს მიერ აღნიშნულ გარდამავალ პე-

რიოდს უთმობს ადგილს და, ბოლოს, პროდუქტული, აქტიური ფან-ტაზიის საფეხურით იცვლება.

რასაკვირველია, ისე როგორც საზოგადოდ ყველგან, აქაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განვითარების ახალ-ახალი საფეხურის მიღწევა ძველების სრულ აღკვეთას როდი ნიშნავს. ძველები, მართალია, მოხსნილი სახით, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობას.

---

## ბოლოსიტუაცია

წინამდებარე წიგნის გავლენა და ღვაწლი ქართული მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიაში განუზომლად დიდია. უკვე ოც წელზე მეტია, რაც იგი ჩვენს სტუდენტობას და საერთოდ ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს ემსახურება; თვალსაჩინოა მისი გავლენა იმ ავტორებზე, რომლებმაც ჩვენში ფსიქოლოგიის ახალი „სახელმძღვანელო კურსები“ დაწერეს, და საკუთარ წიგნად რჩება კერძოდ მათთვისაც, ვინც დღეს ჩვენში ექსპერიმენტულ მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებას ეწევა.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილულია ავტორის საკუთარი კონცეფციის — „განწყობის თეორიის“ — თვალსაზრისით და ამის გამო სხვანაირი თანამიმდევრობითაც, ვიდრე ეს არსებულ სახელმძღვანელოებშია მოცემული, სახელდობრ: თუ არსებულ სახელმძღვანელოებში ჯერ შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს განიხილავენ, შემდეგ ემოციებს, ნებელობას და, დასასრულ, პიროვნებისა და მისი აქტივობის ანუ ქცევის საკითხებს, წინამდებარე წიგნში ეს თანამიმდევრობა თითქმის საწინააღმდეგოა: ცალკეულ ფსიქიკურ ფენომენების გარჩევას აქ წინ უსწრებს მოძღვრება „განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ“, რომელიც სახელმძღვანელოებში არ გვხვდება; შემდეგ მოდის ემოციური გაცდების ფსიქოლოგია, შემდეგ ქცევა და ნებელობა და, დასასრულ, შემეცნებითი პროცესები (შეგრძნება, აღქმა, აზროვნება და სხვ.). ეს განსხვავება შემთხვევითი არაა: როცა მოთხოვნილების მქონე სუბიექტზე გარემო ანუ ობიექტური სიტუაცია მოქმედებს, ეს უკანასკნელი უშუალოდ კი არ იწვევს მასში შესატყვის ქცევას და, მაშასადამე, ცნობიერი ფსიქიკური პროცესების აქტივაციას, არამედ გაშუალებით, განწყობის გზით: ჯერ ჩნდება განწყობა როგორც მთლიანი სუბიექტის, პიროვნების, მოდიფიკაცია, როგორც მისი ფსიქოფიზიკური ფუნქციების გარკვეული მოქმედებისათვის მზაობა, და შემდეგ ამ განწყობის საფუძველზე რეალიზდება თვითონ ქცევა; ასეთია

საერთოდ, ავტორის თეორიის თანახმად, ფსიქიკის მუშაობის მექანიზმი და ამიტომაც, რომ წინამდებარე წიგნიც ჯერ განწყობის ფსიქოლოგიას იხილავს და შემდეგ კი ქცევებს და მათში ჩართულ ცალკეულ ფსიქიკურ ფენომენებს. ამ თვალსაზრისით წიგნი უთუოდ განსხვავდება ზოგადი ფსიქოლოგიის ყველა დღემდე ცნობილ კურსებისგან და, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელოცაა და ორიგინალური ფსიქოლოგიური გამოკვლევაც ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ.

წიგნი წარმოადგენს დ. უზნაძის შრომების პუბლიკაციის III—IV ტომს და დაბეჭდილია უცვლელად იმ სახით, რა სახითაც იგი გამოცემული იყო პირველად (1940) თვითონ ავტორის მიერ.

ზ. ი. ხოჯავა

14. III 64.

---



## ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ზ ი ა

ბიბლიოგრაფია სრული არაა. იგი შეიცავს მხოლოდ იმ სახელწოდებათ, რომელთაც ძირითადი მნიშვნელობა აქვთ წიგნში განხილული საკითხებისათვის.

### I. ფსიქოლოგია რობორტ მესენიერმა

1. Herbart J.—Psychologie als Wissenschaft, neu gegründet auf Erfahrung, Metaphysik und Mathematik, 2 Bde, 18 11/18.
2. Ebbinghaus H.—Grundzüge der Psychologie, 3 ტომი (მესამე, გადამუშავებული Dürr-ის მიერ ჩამოკვეყნდა 1911 წ.).
3. Wundt W.—Grundzüge der physiolog. Psychologie, 3 Bde (I გამოც. 1874).  
„ Grundriss der Psychologie, მე-15 გამ. 1922.  
„ Probleme der Völkerpsychologie, 1921.
4. Brentano F.—Psychologie vom empirischen Standpunkte, 1874, მე-2 გამ. 1924.
5. Messer A.—Psychologie, მე-4 გამ. 1928.
6. Köhler W.—Gestalt Psychology 1929/30.  
„ Psychologische Probleme, 1933.
7. Koffka K.—Principles of Gestalt Psychology, 1935.
8. Watson I. B.—Psychology from the Standpoint of a Behaviorist, მე-3 გამოც. 1929.
9. Tolman E.—Purposive Behavior in Animals und Men, 1932.
10. Mc Dougall W.—Outline of Psychology, 1923.
11. Stern W.—Allgemeine Psychologie, 1935.
12. Рубинштейн С.—Основы психологии.
13. უზნაძე დ.—ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, I, 1925.
14. Fröbels I.—Lehrbuch d. exper. Psychologie, 2 Bde, 1929.
15. Dumas G.—Nouveau traité de Psychologie, t. I, II, III, IV, V, VI.
16. Klemm O.—Geschichte der Psychologie, 1911.
17. Boring E. A.—History of experimental Psychology, 1935.

### II. პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები

1. Becher E.—Gehirn und Seele, 1911.
2. Stern W.—Personalistik als Wissenschaft, 1930.  
„ Die menschliche Persönlichkeit, 1923.
3. Kretschmer E.—Körperbau und Charakter, მე-10 გამ. 1931.
4. Богомолец, А., акад.—Кризис энцефалиологии, 1927.
5. Орбели Л.—Лекции по физиологии нервной системы.

6. ბერიტაშვილი ი., აკად.—ზოგადი ფიზიოლოგია, 1940.
7. Flourens—Recherchos experimentales sur les propriétés et les fonctions du système nerveux dans les animaux vertébrés. 1842.
8. Gall F. I.—Sur les fonctions du corveau et sur celles de chacune des ses parties, 1825.
9. Soury I.—Système nerveux central, 2 ტომი. 1899 (ლოკალიზაციის მოძღვრების ისტორია ვიდრე 1870-იან წლებამდე).
10. Лешли К.—Мозг и интеллект.

### III. გ ა ნ წ ყ ო ბ ა

1. Маркс К.—Подготов. работы для „Святого семейства“.
2. Энгельс Ф.—Философия природы.
3. Ленин В. И. Материализм и эмпириокритицизм.
4. უხნაძე დ.—ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტ. I, 1925.  
 „ განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, კრებ. განწყობის ფსიქოლოგიის მასალები, საქ. საფსიქ. სახ-ის შრომები, I (იხ. აგრეთვე უტრნ. Психология, 1930 г.).  
 „ Demichtstauschung und ihre Analoga. Psych. Forschung, 1931.  
 „ განწყობის ფსიქოლოგიისათვის—საქ. საფს. სახ-ის შრომები I. 1938 (იხ. აგრეთვე—Untersuchungen z. Psychologie der Einstellung, Acta psychologica, 1939)  
 პოატქინოტური შთაგონების თეორიისათვის. ფუნქც. დაავ. ინსტ. შრომები, I.
5. ხმაღალაძე გრ.—მოცულობის ილუზია. საქ. საფს. სახ-ის შრომები, I.
6. ხაკიაპურიძე ბ.—განწყობის მოქმედების ფაზური ხასიათი. საქ. საფს. სახ-ის შრომები, I.  
 „ ხელოვნურად შექმნილი განწყობის ხანგრძლიობისათვის, იქვე.
7. შდივანი ქ.—განწყობის ილუზია ისტერიის შემთხვევებში. ფუნქც. დაავ. ინსტ. შრომები, I.
8. ბეღალაძე ი.—განწყობის ილუზია ეპილეფსიის შემთხვევებში, იქვე.
9. უხნაძე დ.—(რედ.) მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები 17, 1940.

### IV. ემოციური პროცესები

1. Wundt W.—Zur Lehre von Gemütsbewegungen, Philos. Stud. 1890.  
 „ Grundriss der Psychologie, 1924.
2. Lehmann A.—Die Hauptgesetze des menschlichen Gefühlslebens, 1914.
3. Darwin Ch.—The expression of the emotions in Man and Animals, 1872 (რუს. თარგ.)
4. McDougall W.—Emotion and Feeling distinguished (კრებ. Feeling and Emotion).

5. James W.—What is an Emotion, 1884.
- 6 Lange C.—Ueber Gemütsbewegungen, 1887 (რუს. თარგმ.).
7. Cannon W.—Bodily Changes in Pain, Hunger and Rage. 1929.  
" The James-Lange Theorie of Emotions, Amer. Journ. of Psych. 1927.
8. Krueger F.—Das Wesen der Gefühle, 1929.
9. Stern W.—Allgemeine Psychologie (უკანასკნელი თავი) 1935.
10. Кречмер—Строение тела и характер.
11. Павлов И. П.—Лекции о работе больших полушарий головного мозга' 1937.
12. Luria A.—The Nature of human conflicts, 1932.

#### V. აბტიომის ფსიქოლოგია

1. Ach N.—Ueber den Willensakt und d. Temperament. 1910.
2. Michotte A. et Prüm E.—Le choix volontaire et ses antécédents immédiats. Arch. de Psych. 10, 1910.
3. Levin K.—Vorsatz, Wille und Bedürfnis. Psych. Fo. 7. 1926.  
" Die Entwicklung d. exper. Willenspsychologie u. d. Psychotherapie. 1929.
4. Lindworsky Der Wille, 3 A. 1923.
5. Wundt W.—Grundzüge d. Phys. psychologie. B. III.
6. Stern W.—Allgemeine Psychologie. 1935 (V თავი).
7. Aveling—Personality and Will, 1931.
8. Ewald G.—Temperament und Charakter, 1924.
9. Hoffmann H.—Das Problem des Charakteraufbaus, 1926.
10. Jaensch E.—Psychophysische Konstitutionstypen. Handwörterbuch d. med. Ps. 1930.
11. Iung C. G.—Psychologische Typen. V. 1930 (არის რუსული თარგმანი).
12. Klages L. D.—Grundlagen der Charakterkunde VI. 1928.
13. Spranger E.—Lebensformen. VII, 1930.

#### VI. შებრძობა და აღქმა

1. Helmholtz H.—Handbuch der physiol. Optik., 3 Bde, 1909—11.
2. " Die Lehre von den Tonempfindungen, 1913.
3. Katz D.—Der Aufbau der Tastwelt, 1925.
4. " Der Aufbau der Farbwelt, 2 A. 1930.
5. " Methoden zur Untersuchung des Vibrationssinnes 1930.
6. Henning H.—Der Geruch, 1924.
7. Weber E. H.—Tastsinn und Gemeingefühl. Wagners Handwörterbuch d. Physiol. 3. 1846.
8. უზნაძე დ.—მნიშვნელობის წვდომისათვის. უნივერს. მოამბე. 1927.
9. " სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები. ჩვენი მეცნიერება. 1922.
10. " ექსპ. ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტ. I. 1925.
11. Usnadze D.—Zum Problem der Bedeutungserfassung, Arch. ges Psych. 1927.
12. " D. psych. Grundlagen der Namengebung, Psych. Fo. 5. 1924.

13. Ehrenfels Chr.—Ueber Gestaltqualitäten. Vierteljahrshr. f. wiss. Philos 14. 1890.
14. Köhler W.—Ueber unbemerkte Empfindungen u. Urteilstäuschungen Z ps. 66. 1913.
15. „ D. physischen Gestalten in Ruhe u. stationärem Zustand. 1920.
16. „ Gestaltpsychology, 1929—30.
17. Rubin E.—Visuell wahrgenommene Figuren, I. T. 1921.
18. Wertheimer M.—Drei Abhandlungen z. Gestalttheorie, 1925.
19. „ Untersuchungen z. Lehre v. d. Gestalt Psych. Fo. 3.
- „ Experimentelle Untersuchungen über das Sehen der Bewegung. Zps. 61, 1912.
20. Hornbostel E. M.—Die Einheit der Sinne, Melos, 1925.
21. Zietz K.—Die gegenseitige Beeinflussung von Farb- und Tonerlebnissen. Zps. 121, 1931.
22. Кравков С. и Теплов В. (ред.) Зрительные ощущения и восприятия 1935.
23. Stumpf C.—Ueber d. psych. Ursprung d. Raumvorstellung, 1873.
24. Benussi V.—Psychologie der Zeitauffassung, 1913.
25. Bourdon B.—La perception. Dumas, Nouveau traité de Psych. T. V. 1936.

## VII. გონიერება

1. Hering E.—Ueber das Gedächtnis als allgemeine Function der organisierten Materie. 1870.
2. Stern W.—Psychische Präsenzzeit Zps. 13, 1897.
3. Betz W.—Vorstellung und Einstellung. Ar Gs 17. 1910.
4. Jaensch E.—Ueber den Aufbau der Wahrnehmungswelt. 2 A. 1927
5. Kroh O.—Subjektive Anschauungsbilder bei lugendlichen. 1924.
6. Claparède Ed.—L'association des idées. 1909.
7. Ebbinghaus H.—Ueber das Gedächtnis. 1885.
8. Iost A.—Assoziationsfestigkeit in ihrer Abhängigkeit von der Verteilung der Wiederholungen. Zps. 14. 1897.
9. Müller G. E.—Zur Analyse der Gedächtnistätigkeit und des Vorstellungsverlaufes. 3 Bde 1911, 1917, 1924.
10. Bühler K.—Ueber Gedankenerinnerungen. Ar Gs Ps 12, 1908.
11. Bartlett R. I.—Remembering. 1932.
12. Thorndike E. L.—The Fundamentals of Learning. 1932.
13. Stern W.—Allgemeine Psychologie.
14. Sern W. und Cl. Erinnerung — Aussage und Lüge in der frühen Kindheit, 4 A. 1931.
15. Piéron H.—La mémoire. Dumas, Nouveau Traité de Psych. T. IV
16. Brunswik E.—Untersuchungen zur Entwicklung des Gedächtnisses. 1932.
17. Ranschburg P.—Das kranke Gedächtnis, 1911.
18. Volkelt H.—Ueber die Vorstellungen der Tiere.
19. უხანაძე დ.—წარმოდგენა და აღქმა. უნივერს. მოამბე, 1926.

20. Блонский П.—Память и мышление.  
 21. Леонтьев А. Н.—Развитие памяти.

VIII. ა ზ რ მ ვ ბ ძ ჯ

1. A e h N.—Ueber d. Willenstätigkeit und das Denken, 1905.  
 2. „ Die Begriffsbildung, 1921.  
 3. Binet A.—La pensée sans images. Revue philos. I. 1909.  
 4. Bühler K.—Tatsachen u. Probleme zu einer Psychologie d. Denkvorgänge. Ar Gs Ps. 9 und 12.  
 5. Cassirer E.—Philosophie d. symbolischen Formen (3 Bde). Bd. I Die Sprache, 1923 Bd. II. Das mythische Denken. Bd. III. Phänomenologie d. Erkenntnis. 1929.  
 6. Grünbaum A. A.—Ueber d. Abstraktion d. Gleichheit. Ar Gs Ps 12. (1908).  
 7. Köhler W.—Intelligenzprüfungen an Menschenaffen, 2 A. 1924.  
 8. Külpe O.—Versuche über d. Abstraktion. Berichte üb. d. I Kongr. d. exp. Ps. 1904.  
 9. Levy-Brühl L.—Les fonctions mentales dans les sociétés inférieures. IX. 1930.  
 10. „ L'âme primitive. IV, 1930.  
 11. Lindworsky I.—Das schlussfolgernde Denken, 1916.  
 12. Lipmann O. u Bogen H.—Naive Physik, 1923.  
 13. Marbe K.—Exper. psych. Untersuchungen über das Urteil. 1901.  
 14. Messer A.—Empfindung und Denken, III. 1928.  
 15. ნათაძე რ.—ცნების განვითარება ინტოგენეზში. უნივ. შრომები, 1940.  
 16. Piaget J.—Le langage et la pensée chez l'enfant 1923. (არის რუსული თარგმანი: Язык и мышление у ребенка).  
 17. Piaget J.—Le jugement et le raisonnement chez l'enfant, 1924.  
 18. „ La représentation du monde chez l'enfant. 1926.  
 19. „ La causalité physique chez l'enfant.  
 20. Selz O. Die Gesetze der produktiven und reproduktiven Geistestätigkeit. 1924.  
 21. Zur Psychologie des produktiven Denkens u. des Irrtums 1922.  
 22. Störring G.—Exper. Untersuchung über einfache Schlussprozesse. Ar Gs Ps. 1908.  
 23. „ Das Urteilende und schliessende Denken in kausaler Behandlung 1926.  
 24. Usnadze D.—Gruppenbildungsversuche im vorschulpflichtigen Alter. Ar Gs Ps. 1929.  
 25. D. Begriffsbildung im vorschulpflichtigen Alter. Zang. Ps 1930.  
 26. ხუნდაძე ფ.—შემეცნებითი ინტერესის განვითარება სასკოლო ასაკში. 1936.  
 27. Watt H. I.—Exper. Beiträge zur Theorie des Denkens. Ar Gs Ps. 1904.  
 28. Werner H.—Einführung in die Entwicklungspsychologie. 2 A. 1933.  
 40. დ. უზნაძე

29. Wertheimer M.—Ueber das Denken der Naturvölker. Z ps. 60, 1912.
30. Willwoll A.—Begriffsbildung. 1926.
31. Wundt, W.—Ueber Ausfrageexperimente und über die Methoden zur Psychologie des Denkens. Psychol. Studien. 3. 1907.

IX    Ⴛ   Ⴜ   Ⴝ   Ⴞ   Ⴟ   Ⴛ   Ⴜ   Ⴝ   Ⴞ   Ⴟ

1. Freud S.—Traumdeutung. 1899.
2.     „     Zur Psychopathologie des Alltagslebens, 1904.
3. Groos, K.—Die Spiele der Tiere. 1896 (III A. 1930).
4.     „     D. Spiele der Menschen, 1899.
5.     „     Der ästhetische Genuss. 1902.
6. Kerscheneiner G.—Die Entwicklung der zeichnerischen Begabung, 1905.
7. Müller-Freienfels R.—Psychologie der Kunst. 1923.
8.     „     D. Denken und d. Phantasie. 1925.
9. Stern W.—Allgemeine Psychologie. Cap. XVIII. Phantasie.
10. უხნაძე დ.—ძილი და სიზმარი.
11.     „     აღქმა და წარმოდგენა.
12. Wundt W.—Völkerpsychologie. D Kunst.

X. უმთავრესი პერიოდული გამოცემები

1. Psychological Abstracts. N. J. Amer. Ps. Association (მოკლე რეფერატები მიმდინარე ფსიქოლოგ. ლიტერატურის).
2. Psychological Bulletin (თემატიკური რეფერატები პერიოდულად). იქვე.
3. American journal of Psychology. N. j. Cornell University.
4. Acta psychologica. Den Haag. Martinus Nijhoff.
5. Année psychologique. Paris.
6. Journal de psychologie normale et pathol. Paris.
7. Psychologische Studien ვუნდტისა (1917 წლამდე).
8. Neue psychologische Studien, Leipzig.
9. Psychologische Forschung. Berlin.
10. Archiv für die gesamte Psychologie, Leipzig.
11. Zeitschrift für Psychologie, Leipzig.
12. Zeitschrift für angewandte Psychologie. Leipzig.
13. Психология. Москва (აღარ გამოდის).

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## კარი პირველი

### ფსიქოლოგიის შესავალი

ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანა . . . . .	9
1. შეტაფიზიკური ფსიქოლოგია	9
2. ემპირიული ფსიქოლოგია .	10
3. ბიპევიორიზმი . . . . .	12
4. ემპირიზმის და ბიპევიორიზმის ძირითადი შეცდომა .	14
5. ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის პრობლემა	15
ა) ფსიქოფიზიკური პარალელიზმი	17
ბ) ურთიერთხემაკედემაის თეორია .	18
6. ფსიქიკურის ობიექტურობა	18
7. ფსიქოლოგიის საგანი .	19
8. ფსიქოლოგიის ამოცანა	19
<b>ფსიქოლოგიის მეთოდები</b>	
<b>თ ვ ი თ და კ ვ ი რ ე ვ ბ ა</b>	20
<b>ს ხ ვ ა თ ა და კ ვ ი რ ე ვ ბ ა</b>	
1. ანალოგიის თეორია .	28
2. ანალოგიის თეორიის კრიტიკა . . . . .	29
3. ფსიქიკურის ობიექტური მოცემულობის შესაძლებლობა	33
<b>ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი</b>	
1. ექსპერიმენტის ცნება . .	37
2. ექსპერიმენტის პირობები . . . . .	38
3. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სახეები .	40
<b>ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაცია</b>	
1. კლასიფიკაციის სიძნელე . . . . .	44
2. ძველი კლასიფიკაცია . . . . .	45
3. ელემენტარული პროცესების კლასიფიკაციის ცდები	46
4. შტუმფის კლასიფიკაცია . . . . .	47
<b>ფსიქიკური პროცესების შუალაობითი ხახათი</b>	
1. ფიზიკურის ფიზიკურზე ხემოქმედების უშუალობა	48
2. „უშუალობის თეორია“ ფსიქოლოგიაში	49
3. უშუალობის თეორიის კრიტიკა .	50
4. მთლიანი სუბიექტი როგორც ამოსავალი ცნება ფსიქოლოგიაში .	52

პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები

წინასწარი შენიშვნები . . . . .	55
კონსტიტუციის მოძღვრება . . . . .	56
შინაგანი სეკრეცია . . . . .	60
ნერვული სისტემა . . . . .	63
ლოკალიზაციის მოძღვრება . . . . .	71

პარი მისამე

განწყობის ფსიქოლოგია

განწყობა

1. მიხანშეწონილობის პრობლემა: მექანიციზმი და ვიტალიზმი . . . . .	80
2. მიხანშეწონილობის პრობლემა: განწყობა . . . . .	82
3. განწყობა და ადამიანი . . . . .	89
4. განწყობის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში . . . . .	93
5. განწყობის სუბიექტური ფაქტორი . . . . .	94
6. განწყობის ობიექტური ფაქტორი . . . . .	95
7. განწყობის ცნების რეტარი გამოყენება . . . . .	97

ფიქსირებული განწყობა

1. ფიქსირებული განწყობის ცნება . . . . .	98
2. ფიქსირებული განწყობის ილუზიები . . . . .	100

განწყობის ზოგადი ფსიქოლოგიისათვის . . . . .	102
---	-----

განწყობის დიფერენციული ფსიქოლოგიისათვის . . . . .	110
---	-----

განწყობა პათოლოგიურ შემთხვევებში . . . . .	113
--	-----

1. განწყობა და პათოლოგია . . . . .	113
2. განწყობა შიზოფრენიის დროს . . . . .	114
3. განწყობა ეპილეფსიის დროს . . . . .	115
4. განწყობა ისტერიის შემთხვევებში . . . . .	116
5. ჯანმრთელობის გაუმჯობესება და განწყობა . . . . .	117

პარი მორთხე

ემოციურ განცდათა ფსიქოლოგია

ემოციური განცდები

1. ცნობიერების მუშაობის უკიდურესი ეტაპები . . . . .	118
2. ემოციური განცდის შედარებითი პრიმიტიულობა . . . . .	119
3. ემოცია და გრძნობა—ვიწრო მნიშვნელობით . . . . .	121

გრძნობა

1. გრძნობის დამოუკიდებლობის საკითხი . . . . .	123
2. ელემენტარული გრძნობების ძირითადი რომელობები . . . . .	124
3. გრძნობათა კლასიფიკაცია . . . . .	129

ემოცია და მისი კლასიფიკაციის ცდები

1. გრძნობა და ემოცია . . . . .	131
2. ემოციის ძირითადი კლასები . . . . .	133



<b>ემოციურ განცდათა რომელობითი დახასიათება</b>	
1. სუბიექტურობა . . .	136
2. პოლარული ხასიათი . . . . .	137
3. პოლუსების ასიმეტრიულობა . . . . .	137
4. ემოციური მდგომარეობის ერთიანობა	141
5. ამბივალენტობა	142

<b>ემოციური განცდის გრადუალური დახასიათება</b>	
1. ინტენსიობა	142
2. ექსტენსიობა .	146
3. სიღრმე . . . . .	147
4. გრძნობის ხანგრძლივობა . . . . .	147
5. ემოც. განც. გრად. განსხვავ. ქვალიტატური ხასიათი . .	148
1) გუნება . . . . .	148
2) აფექტი . . . . .	149

<b>ემოციური განცდა და სხეული</b>	
1. გრძნობა და გამომხატველი მოძრაობა	151
2. ემოცია და გამომხატველი მოძრაობა . . . . .	153
3. ჯემს-ლანგეს თეორია . . . . .	154
4. ემოციის ფიზიოლოგიური საფუძვლები	157

<b>ტემპერამენტი</b>	
1. ტემპერამენტის ცნება . . . . .	159
2. ტემპერამენტის ტიპოლოგია	160

## პარი მსხუთე

### ქცევის ფსიქოლოგია

<b>იმპულსური ქცევა</b>	
1. ცოცხალი არსება და ვიტალური მოთხოვნილება . . . . .	165
2. ვიტალური მოთხოვნილება და ქცევა . . . . .	166
3. მომსახურება როგორც ქცევის ცალკე ფორმა . . . . .	167
4. იმპულსური ქცევა და მომსახურება . . . . .	171
5. შრომა და მოთხოვნილება . . . . .	174
6. შრომა და ინტელექტი . . . . .	176

<b>ნებელობა</b>	
1. ცნების ზოგადი განსაზღვრება . . . . .	177
2. ნებელობის სხეულებრივი საფუძვლები . . . . .	181

<b>ნებელობის აქტის შესრულება</b>	
1. ნებელობის პერიოდები . . . . .	182
2. ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობა . . . . .	183
3. დეტერმინაციის ტენდენციისა და კვაზი-მოთხოვნილების თეორიები	187
4. განწყობა როგორც შესრულების საფუძველი . . . . .	189

<b>გადაწვევითობის აქტი</b>	
1. ნებელობის განცდის ფენომენოლოგია . . . . .	190
2. გადაწვევითი განწყობის შექცევის განცდა . . . . .	193

<b>ნებელობის სიმტკიცის საკითხი</b>	
1. ნებელობის სიმტკიცის საფუძველი . . . . .	194
2. ნებისყოფის სიმტკიცის ექსპერიმენტალური შესწავლის ცდები	200
3. ნებელობა და პერავერაცია . . . . .	201
4. განწყობა და ნებისყოფის სისუსტე . . . . .	202
<b>მოტივაცია—ნებელობის აქტის წინა პერიოდი</b>	
1. აპ პერიოდის შესწავლის მნიშვნელობა . . . . .	203
2. აპ პერიოდის აზრი . . . . .	204
3. არჩევანი და მოტივი . . . . .	205
4. ფიზიკური ქცევის ცნება . . . . .	209
5. მოტივის ცნება ფსიქოლოგიაში	210
6. მოტივი ფუნქცია . . . . .	211
7. მოტივი და ძალადი მოთხოვნილებები	213
8. მოტივაცია და განწყობა . . . . .	215
9. ნებისპიერი და იმპულსური ქცევა	216
10. ნებელობის აქტიურობა . . . . .	218
11. ნებელობის თავისუფლების პრობლემა	220
<b>ნებელობის პათოლოგია</b>	<b>223</b>
<b>აქტიობის სხვა სახეები</b>	
1. შთაგონების პრობლემა . . . . .	230
2. იძულება და მისი როლი ნებელობის გენეზისში	233
<b>აქტიობის ინტოგენეტური განვითარება</b>	<b>235</b>
<b>ხასიათი</b>	
1. ხასიათის ცნება . . . . .	240
2. მთელი და ნაწილობრივი ხასიათში	241
3. გარემო და ხასიათი	243
4. ხასიათის ტიპები . . . . .	245
5. შპრანგერისა და შტერნის კრიტიკა	250
6. ტიპოლოგიის სხვა ცდები . . . . .	251

**ტარი მემქმნი**

**აღქმის ფსიქოლოგია**

<b>აღქმის ელემენტარული პირობები და კანონზომიერებანი</b>	
1. აღქმის რაობა . . . . .	253
2. გალიზიანება . . . . .	253
3. გრძნობის ორგანო . . . . .	254
4. შეგრძნება . . . . .	256
5. შეგრძნების მომენტები . . . . .	258
6. ე. წ. „სპექტიფიკური ენერჯის კანონი“	259
7. ვებერისა და ფენერის კანონი . . . . .	263
<b>შეგრძნებათა ფსიქოლოგია</b>	
1. შეგრძნების პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიაში	267

**მხედველობა**

- |   |     |
|---|-----|
| 1. მხედველობის შეგარძნებათა ძირითადი რომელობანი . . . | 268 |
| 2. ნეიტრალური ფერები .                                | 268 |
| 3. სპექტრალური ფერები                                 | 269 |

**ხ მ ე ნ ა**

- |                     |     |
|---------------------|-----|
| 1. ხმაური . . . . . | 274 |
| 2. ტონი .           | 275 |

**გემო და ხუნი**

- |                         |     |
|-------------------------|-----|
| 1. ხუნის შეგარძნება .   | 280 |
| 2. გემოს შეგარძნება . . | 281 |

**შეხების მოდალობანი**

- |                             |     |
|-----------------------------|-----|
| 1. შეხების შეგარძნება . . . | 282 |
| 2. ტემპერატურის შეგარძნება  | 283 |
| 3. ვიბრაციის შეგარძნება     | 283 |
| 4. კინესთეტური შეგარძნება   | 285 |
| 5. წონასწორობის შეგარძნება  | 285 |
| 6. ორგანული შეგარძნება      | 286 |

**შეგარძნებათა ინტერმოდალური ერთიანობა**

- |                                       |     |
|---------------------------------------|-----|
| 1. საკითხის დაყენება . . .            | 287 |
| 2. მეტყველების მოწმობა                | 288 |
| 3. სინესთეზია . . . . .               | 288 |
| 4. ექსპერიმენტული საბუთები . . . . .  | 289 |
| 5. ინტერმოდალური ერთიანობის საფუძველი | 291 |

**ა ლ ქ შ ა**

- |  |     |
|--|-----|
| 1. ალქმა . . . . .                         | 293 |
| 2. ალქმის საგანი და შინაარსი . . . . .     | 293 |
| 3. საგნისა და შინაარსის ურთიერთობა . . .   | 295 |
| 4. ალქმის კონსტანტობის პრობლემა . . .      | 296 |
| 5. ალქმის კატეგორიალობის საკითხი . . . . . | 299 |
| 6. გეშტალტის ცნება . . .                   | 300 |
| 7. გეშტალტის ფაქტორები .                   | 305 |
| 8. ფიგურა და ფონი . . . . .                | 309 |
| 9. გეშტალტთეორიის კრიტიკა .                | 310 |

**ხივრცის ალქმა**

- |                         |     |
|-------------------------|-----|
| 1. ნატივისი და გენეტიკა | 313 |
| 2. სიდიდის ალქმა .      | 314 |
| 3. ავსამე განზომილება   | 316 |

**დროის ალქმა**

- |                                  |     |
|----------------------------------|-----|
| 1. აწმყოს განცდა . . .           | 319 |
| 2. უმოკლესი აწმყო .              | 321 |
| 3. მაქსიმალური აწმყო . . . . .   | 321 |
| 4. რითმი . . . . .               | 322 |
| 5. ხანიერობის შეფასება . . . . . | 322 |
| 6. ნატივიზმის საკითხი . . . . .  | 324 |
| 7. სენსორული შინაარსი . . . . .  | 324 |

**დაკვირება**

1. „შეგრძნებითი ალქმა“	325
2. დაკვირება . . . . .	327

**ალქმის ონტოგენეტური განვითარება**

1. ადრეული ბავშვობა . . . . .	329
2. ალქმის შემდგომი განვითარება . . . . .	330
3. ალქმის სტრუქტურული განვითარება . . . . .	332

**ქარი მუშვიდი****მ ნ ე მ უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს ფ ს ი კ ო ლ ო გ ი ა****მნემური პროცესის უმარტივესი ფორმები**

1. მნეჟე . . . . .	336
2. ხანიერობა . . . . .	338

**უშუალო მემსიერება**

1. უშუალო მემსიერება . . . . .	340
2. უშუალო მემსიერების მოკულობის საკითხი . . . . .	341

**ეიდეტური ხატი**

1. ეიდეტური ხატი . . . . .	342
2. ეიდეტური ხატის ტიპოლოგია . . . . .	345
3. ეიდეტიზმი როგორც პრიმიტიული ფენოქენი . . . . .	346
4. ეიდეტური ხატის ტემპორალური თავისებურება . . . . .	346

**პერსევერაცია**

1. პერსევერაციის ცნება . . . . .	347
2. პერსევერაცია როგორც წარმოდგენა . . . . .	348

**ცნობა**

1. ცნობა და მოგონება . . . . .	348
2. ცნობა როგორც მემსიერების დამოკიდებული ფორმა . . . . .	349
3. განმეორება როგორც ფაქტორი ცნობის . . . . .	349
4. ჩვეული და ნაცნობი . . . . .	350
5. ნაცნობობის რომელობა . . . . .	351
6. ნაცნობობის გრძნობა . . . . .	352
7. ცნობა და განწყობა . . . . .	352
8. ცნობის ილუზიები . . . . .	354

**წარმოდგენათა ასოციაცია**

1. წარმოდგენა . . . . .	355
2. წარმოდგენა და ალქმა . . . . .	356
3. ასოციაცია . . . . .	358
4. ასოციაციის კანონები . . . . .	359
5. ასოციაციის კანონთა რედუქცია . . . . .	361
6. რეინტეგრაციის კანონი . . . . .	362
7. ასოციაცია და განწყობა . . . . .	364
8. ასოციაციური მემსიერება როგორც მემსიერების დაბალი ფორმა . . . . .	367
9. რეპროდუქციის სიზუსტის საკითხი . . . . .	369

<b>აქტიური მუხსიერების ფორმები</b>	
1. ნებისმიერი მუხსიერება . . . . .	370
<b>სწავლა და მოგონება</b>	
1. ებინგაუსის მეთოდი . . . . .	371
2. სწავლა და მოგონება როგორც ნებისმიერი მუხსიერების ფორმები	374
<b>სწავლა</b>	
1. სწავლის ცნება . . . . .	376
<b>დასწავლის ხისწორის ფაქტორები</b>	
1. ნებელობა . . . . .	377
2. ინტერესი . . . . .	378
3. ფიზიოლოგიური ფაქტორი . . . . .	380
4. სენსორული ფაქტორი . . . . .	381
5. ინტელექტუალური ფაქტორი . . . . .	382
<b>დასწავლის „კანონები“</b>	
1. დამახსოვრებული ერთეულის რიგში ადგილმდებარეობის კანონი .	383
2. ფუკოს კანონი . . . . .	384
3. გემტალტიზაციის კანონი . . . . .	386
4. სწავლის ტემპი . . . . .	387
5. განმეორების ადგილმდებარეობის კანონი . . . . .	387
6. „ჰიპერფიქსაციის“ კანონი . . . . .	388
7. იოსტის კანონი . . . . .	389
8. მთლიანად სწავლის კანონი . . . . .	390
<b>დავიწყება</b>	
1. დავიწყების ორი ცნება . . . . .	391
2. დავიწყების ფენომენოლოგია . . . . .	394
3. დავიწყების ძირითადი კანონი და დავიწყების მრუდე . . . . .	395
4. დავიწყების სხვა ფაქტორები . . . . .	397
5. დავიწყების დადებითი ღირებულება . . . . .	399
<b>მოგონება</b>	
1. მოგონება . . . . .	401
2. მოგონების დათარიღების საფუძველი . . . . .	402
3. მოგონების აწმყოზე დამოკიდებულება როგორც მისი ფაქტორი . . . . .	402
4. ობიექტური და სუბიექტური წარსული . . . . .	403
5. აწმყოს განცდის გავლენა წარსულზე . . . . .	404
<b>ჩვენების ფსიქოლოგია</b>	
1. კვლევის მეთოდები . . . . .	405
2. ჩვენების ფსიქოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა . . . . .	406
3. ჩვენების ფსიქოლოგიის მთავარი შედეგები . . . . .	406
4. შეცდომების ფაქტორები . . . . .	407
<b>მუხსიერების თეორიები</b>	
1. ორი თეორიული საკითხი . . . . .	412
2. კვლის თეორია . . . . .	413
3. მიულერის თეორია . . . . .	414

4. ასოციაციის თეორია .	416
5. განწყობის თეორია .	417
6. დარწმუნებულობის საფუძველი . .	419
<b>მეხსიერების დავადებანი</b>	
1. ჰიპერმნეზია .	420
2. ჰიპომნეზია . . . . .	421
<b>მეხსიერების ონტოგენეტური განვითარება</b>	
1. ცნობა . . . . .	424
2. უშუალო მეხსიერება . . . . .	425
3. ასოციაციური მეხსიერება	426
4. სწავლა	427
5. მოგონება .	429

## ქარი მერვი

### აზროვნების ფსიქოლოგია

#### აზროვნება

1. აღქმა და აზროვნება . . . . .	433
2. აღქმისა და აზროვნების განსხვავება . . . . .	436
3. გაკვირვება როგორც აზროვნების აქტუალიზაციის პირობა . . .	440
4. დეტერმინაციის ტენდენცია . . . . .	443
5. აქტიურობა . . . . .	444
6. ტრანსპოზიცია .	445

#### პრაქტიკული აზროვნება

1. კელერის ცდები . . . . .	446
2. „სდისა და შეცდომის თეორია“	448
3. „გარდასვლის განცდის“ თეორია	450
4. ანთროპოიდის აზროვნების საკითხი	452
5. პრაქტიკული აზროვნება . . . . .	455
6. მომსახურება და პრაქტიკული აზროვნება	461

#### ხატოვანი აზროვნება

1. ხატოვანი აზროვნება . . . . .	463
2. მეტყველება და ხატოვანი აზროვნება .	463
3. საგნის აზროვნება . . . . .	464
4. სატოვანი აზროვნება და მიმართებათა ასახვა .	470

#### ცნებითი აზროვნება

1. ასოციაციონიზმი აზროვნების ფსიქოლოგიაში	476
2. აზრი როგორც არათვალსაჩინო განცდა . . .	476
3. ცნებითი აზროვნება და თვალსაჩინო შინაარსი .	478

#### ა) ცნება

1. აზრი და თვალსაჩინობა . . . . .	484
2. ცნება და ზოგადი წარმოდგენა .	485

3. ცნების შემუშავების პროცესი	487
4. ცნების გაგება	491
ბ) მსჯელობა	
1. მსჯელობის რაობა . . . . .	493
2. მიმართების აღქმა და მსჯელობა	493
3. დარწმუნებულობის პრობლემა	495
გ) დასკვნა	
1. დასკვნა . . . . .	501
2. დასკვნის პროცესი . . . . .	502
აზროვნების განვითარება ონტოგენეზში	
1. აზროვნების განვითარების პირობები ფილოგენეზსა და ონტოგენეზში . . . . .	504
2. ინტელექტუალური ინტერესის განვითარების ძირითადი პერიოდები	505
3. ენებითი აზროვნების განვითარება . . . . .	505
4. დაწყებითი სკოლის პერიოდი . . . . .	512
5. ცნება საშუალო სკოლის დასაწყის წლებში	514
6. ბოლო საფეხური სასკოლო ასაკში	518

**ქარი მაცხრა**

**ყურადღების ფსიქოლოგია**

<b>ყურადღება</b>	
1. რა არის ყურადღება . . . . .	520
2. ყურადღება როგორც აქტი	522
3. ყურადღების სახეები	523
<b>ყურადღების თვისებები</b>	
1. ყურადღების ინტენსიობის საკითხი . . . . .	526
2. ყურადღების მოცულობა . . . . .	527
3. ყურადღების განაწილების საკითხი . . . . .	528
4. ყურადღების ტემპორალური თვისებები . . . . .	534
<b>ყურადღების პროცესის მიმდინარეობა</b>	
1. მოთხოვნილება როგორც ყურადღების ძირითადი ფაქტორი	539
2. პასიური ყურადღების ფაქტორები . . . . .	540
<b>ნებისმიერი ყურადღების ფაქტორები</b>	
1. ნებისყოფა როგორც ფაქტორი . . . . .	543
2. ნებისმიერი ყურადღების შუალობითი ხასიათი	544
3. მოლოდინი . . . . .	545
<b>ყურადღების გავლენა</b>	
1. აქტიობის გაცხოველება როგორც ყურადღების ძირითადი ეფექტი	546
2. სენსორული აქტიობა . . . . .	547
3. ყურადღების გავლენის საკითხი სენსორული შინაარსების ინტენსიობაზე . . . . .	547
4. ყურადღების გავლენა მოტორულ აქტიობაზე	549
	<b>686</b>

5. ყურადღების გაელენა მებსიერებასა და ინტელქტუალურ ოპერაციებზე . . . . .	550
6. ყურადღება და გრძნობა . . . . .	551
<b>ყურადღება და ორგანიზმი</b>	
1. ყურადღება და ორგანიზმი . . . . .	553
<b>ყურადღების პათოლოგია</b>	
1. ცნობიერების სინათლის პათოლოგიური დაქვეითება . . . . .	557
2. ყურადღების აულილობის ტიპები . . . . .	557
3. ცნობიერების დაქვიწროება . . . . .	558
<b>ყურადღების განვითარება ონტოგენეზში</b>	
1. ყურადღების მოცულობა . . . . .	559
2. ყურადღების კონცენტრაცია . . . . .	560
3. ყურადღების დინამიკურობა . . . . .	560

## პარდი მებათე

### წარმოსახვის ფსიქოლოგია

#### წარმოსახვა

1. წარმოსახვა . . . . .	562
2. მებსიერებისა და ფანტაზიის წარმოდგენა შინაარსის მხრივ . . . . .	563
3. მებსიერებისა და ფანტაზიის წარმოდგენის საგანი . . . . .	564
4. რეპროდუქციული ფანტაზიის საკითხი . . . . .	568
5. ფანტაზიის აზრი და მიზეზი . . . . .	570
6. ფანტაზიის შემოქმედებითი მუშაობის თეორიები . . . . .	573
7. ფანტაზიის წარმოდგენა რთგორც სიმბოლო . . . . .	575

#### პასიური ფანტაზია

1. პასიური ფანტაზია . . . . .	577
2. ფანტაზია აღქმაში . . . . .	578
3. ფანტაზია მებსიერების პროცესში . . . . .	580
4. ოცნება . . . . .	581
5. სიზმარი და მისი თავისებურებები . . . . .	584
6. სიზმრის მასალა . . . . .	587
7. სიზმრის თეორია . . . . .	593

#### აქტიური ფანტაზია

1. მხატვრული შემოქმედება . . . . .	595
2. შრომა და მხატვრული შემოქმედება . . . . .	596
3. დამოკიდებული მხატვრული შემოქმედება . . . . .	597
4. მხატვრული ფანტაზიის მასალა . . . . .	598
5. შემოქმედების პროცესი . . . . .	599
6. „მხატვრული ნიჭიერება“ . . . . .	603

#### ფანტაზია ონტოგენეზში

1. ბავშვის სინამდვილე . . . . .	604
---------------------------------	-----

#### თამაში

1. თამაშის სინამდვილე . . . . .	606
2. თამაში რთგორც თავისებური ფანტაზიის პროდუქტი . . . . .	607
3. თამაშის თეორიები . . . . .	608

#### ფანტაზიის შემდგომი განვითარება